ბორის
პასტერნაკი

ექიმი ჟივაგო

ნობელის პრემიის ლაურეატები

ინტელექტი

ბორის პასტერნაკი

ექიმი ჟივაგო

რუსულიდან თარგმნა
ნოდარ ნონიაშვილმა

წინასიტყვაობა

ბორის პასტერნაკი
და მისი რომანი

„წიგნსაც კაცივით თავისი ბედი თან დაჰყვებაო“, – უთქვამთ ძველ ლათინებს.

წიგნიც არის და წიგნიც ზოგი მათგანი ავტორის ბედის მოზიარეა, ზოგიერთი კი თავად წარმართავს მის ბედისწერას.

სწორედ ასეთი საბედისწერო წიგნი გახლავთ დიდი რუსი მწერლის ბორის პასტერნაკის საქვეყნოდ განთქმული რომანი „ექიმი ჟივაგო“ თავისი უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებით ბორის პასტერნაკმა იმთავითვე დაიმკვიდრა მეოცე საუკუნის რუსული მწერლობის ჭეშმარიტი დიდოსტატის სახელი, მაგრამ თავისი უმთავრესი ნაწარმოები მან სიკვდილამდე სამიოდე წლით ადრე, 1957 წელს, ისიც საზღვარგარეთ, იტალიაში, იტალიურ ენაზე გამოაქვეყნა. და თუმცა ამ გამოცემას ელვისებური სისწრაფით მოჰყვა რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, შვედური და სხვაენოვანი გამოცემები, რომელთაც ერთბაშად დაიპყრეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მრავალმილიონიან მკითხველთა გული და გონება და უკვე მომდევნო, 1958 წელს ავტორს ნობელის პრემია მიენიჭა, სამი ათეული წლის განმავლობაში ეს რომანი მწერლის სამშობლოში არ გამოცემულა და მხოლოდ 1988 წელს იხილა

იქ მზის სინათლე.

ალბათ, მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად თუ მოიძებნება მეორე ისეთი ნაწარმოები, რომელსაც ერთდროულად იმდენი წყენა და სიხარული, ქება-დიდება და ლანძღვა-გინება მოეტანოს ავტორისათვის, როგორც ეს ბორის პასტერნაკისა და მისი რომანის შემთხვევაში მოხდა. ერთი მხრივ, საზღვარგარეთის პრესამ და ლიტერატურულმა კრიტიკამ ერთხმად აღიარეს იგი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ მოვლენად, ბოლშევიკური ტირანიის პირობებში თავისუფალი აზრის პირუთვნელად გაცხადების განსაკუთრებულ შემთხვევად, რომელიც თავისი მნიშვნელობით გასცდა საკუთრივ ლიტერატურის ფარგლებს და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საქმეში როგორც თავად საბჭოთა კავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთ; მეორე მხრივ კი საბჭოთა პროპაგანდამ და სპეცსამსახურებმა „ექიმი ჟივაგოს" და მისი ავტორის წინააღმდეგ ღვარძლიანი კამპანია გააჩაღეს, უხეში მუქარით და ძალდატანებით აიძულეს მწერალი უარი ეთქვა პრემიაზე. ამის შემდეგ ბორის პასტერნაკს დიდხანს აღარ უცოცხლია და ორიოდე წელიწადში გარდაიცვალა.

ამ დიდებული მწერლის, ჩვენი ქვეყნის ერთგული მეგობრისა და მოჭირნახულის საქვეყნოდ განთქმული რომანის თარგმანს ვთავაზობთ ქართველ მკითხველს. ამასთან, საჭიროდ მიგვაჩნია წინასწარ მოკლედ შევჩერდეთ ნაწარმოების ზოგიერთ ასპექტზე, გაკვრით შევეხოთ იმ ფაქტორებს, რომელთაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს მისი იდეური თუ მხატვრული თავისებურებანი. საამისოდ კი პირველ რიგში ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეული მომენტები უნდა გავიხსენოთ.

* * *

ბორის პასტერნაკი დაიბადა მოსკოვში, 1890 წლის 10 თებერვალს.

მომავალი მწერლის მამა, ლეონიდ პასტერნაკი მხატვარი იყო, ხოლო დედა, რ. ი. კაუფმანი – პიანისტი. მათ ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ

ცნობილი მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, რომელთა შორის იყვნენ ლ. ტოლსტოი, ნ. გე, ა. სკრიაბინი, გ. სეროვი. ასეთმა გარემომ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ბ. პასტერნაკზე, რაც შემდგომში თავისებურად აისახა მის შემოქმედებაში.

ბავშვობაში ბ. პასტერნაკი სწავლობდა ხატვას, ხოლო 1903-1908 წლებში საკომპოზიტორო კარიერისთვის ემზადებოდა. მიუხედავად ამისა, 1909 წელს იგი ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის ფილოსოფიურ განყოფილებაზე, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა მისი არჩევანი. 1912 წელს, ერთი სემესტრის განმავლობაში, ბ. პასტერნაკი სწავლობდა გერმანიაში, მარბურგის უნივერსიტეტში, საიდანაც კვლავ მოსკოვს დაუბრუნდა, 1913 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და ამის შემდეგ მარტოოდენ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, თუმცა ხელოვნების და ფილოსოფიის სიყვარულმა უდიდესი გავლენა იქონია მისი, როგორც შემოქმედის მსოფლმხედველობის და მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების ჩამოყალიბებაში.

თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში ბ. პასტერნაკი დაუახლოვდა სიმბოლისტ პოეტებს – ა. ბელს, ა. ბლოკს, ვ. ივანოვს და ი. ანენსკის. იგი აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ და ფილოსოფიურ წრეებში. 1914 წელს პასტერნაკი შევიდა ე. წ „ცენტრიფუგას“ ფუტურისტულ ჯგუფში. სპეციალისტთა საერთო შეფასებით, სიმბოლისტურმა და ფუტურისტულმა ტენდენციებმა თავისებური ასახვა ჰპოვეს ბ. პასტერნაკის პირველ პოეტურ კრებულებში „ტყუპი ღრუბლებში“ (1913) და „ბარიერთა ზევით” (1917). თუმცა აქვე იკვეთება მისი, როგორც შემოქმედის ორიგინალური მსოფლშეგრძნების მოტივებიც.

ბ. პასტერნაკის პოეტურ სამყაროში საგნები და მოვლენები მარადიულ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ნებისმიერი საგანი განიცდის მი ირგვლივ მიმდინარე ყოვლისმომცველი მოვლენების ზეგავლენას, რის გამოც საკმარისია ჩავწვდეთ ცალკეული, თუნდაც ერთი შეხედვით ჩვე-

ულებრივი თუ შემთხვევითი საგნის ან მოვლენის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს და საშუალება მოგვეცემა მივუახლოვდეთ ერთიანს, მთლიანს. ყოველივე ეს გადმოცემულია პასტერნაკისათვის დამახასიათებელი ემოციური დაძაბულობით და მოულოდნელი წიაღსვლებით, რაც განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

გარესამყაროს პასტერნაკისეული აღქმისა და პოეტური – გადმოცემის უფრო სრული სურათი იშლება პოეტის ლექსთა მესამე წიგნში „დაი ჩემი – ცხოვრება“, რომელიც 1922 წელს გამოვიდა წიგნი ეძღვნება 1917 წლის ზაფხულს. ორ რუსულ რევოლუციას შორის მოქცეული პერიოდის დრამატულად დაძაბული სულისკვეთების გადმოცემას ავტორი ცდილობს სრულიად ორიგინალური პალიტრის მეშვეობით. სინამდვილეში ეს არის ლექსების ციკლი სიყვარულზე, ბუნებასა და შემოქმედებაზე; და თუმცა პოეტი პირდაპირ არ აშიშვლებს ისტორიული მომენტისათვის დამახასიათებელ რეალიებს, მას სწამს, რომ „გამოხატა ყველაფერი, რისი თქმაც შეიძლებოდა რევოლუციაზე, არნახული და მიუწვდომელი. საკუთარი ესთეტიკური მრწამსის შესაბამისად, ავტორი ერიდება ისტორიულ მოვლენათა მშრალი ქრონიკის გადმოცემას იგი პოეტურად ასახავს რევოლუციით მოცულ ცხოვრებას, ბუნებას, ადამიანურ განცდებს და ამ გზით ცდილობს ეპოქის მაჯისცემის გამოხატვას. მოგვიანებით სინამდვილისადმი ამგვარ მიდგომას თავად პასტერნაკმა „ისტორიის ინტიმიზაცია“ უწოდა და ეს პრინციპი წითელ ზოლად გასდევს მთელ მის შემოქმედებას.

ოციანი წლებიდან ბორის პასტერნაკის პოეტურ შემოქმედებაში. უმთავრესი ადგილი დაიკავა ისტორიის, რევოლუციის გააზრებისა და მისი ეპიკური ასახვისადმი მისწრაფებამ, რასაც მიუძღვნა პოემები: „ამაღლებული დაავადება” (1923-1928), „ცხრაას ხუთი წელი” (1925-1926), „სპექტორსკი“ (1925-1931), – „ლეიტენანტი შმიდტი” (1926-1927). მათში რევოლუცია წარმოდგენილია როგორც ისტორიის ლოგიკური გაგრძელება

და დაგვირგვინება, რომელიც მოწოდებულია მოსპოს ყოველგვარი უსამართლობა, დაიცვას ადამიანური ღირსება.

მხატვრული ოსტატობის დონით, ემოციური ძალით და ინტელექტუალური სიღრმით ბორის პასტერნაკის პოეზია ემყარება და ამდიდრებს რუსული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს. მან კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მომდევნო თაობის პოეტების – პ. ანტოკოლსკის, ნ. ზაბოლოცკის, ნ. ტიხონოვის, ა. ტარკოვსკისა და კ. სიმონოვის შემოქმედებაზე.

პოეტური შემოქმედების პარალელურად ბ. პასტერნაკი ნაყოფიერად მუშაობდა მხატვრულ პროზაშიც. მან ჯერ კიდევ 1917-1918 წლების ზამთარში დაიწყო მუშაობა რომანზე, რომელსაც სავარაუდოდ „სამი სახელი“ უნდა რქმეოდა. ამ რომანის დასაწყისი მოთხრობის სახით და „ლუვერსის ბავშვობის“ სახელწოდებით 1921 წელს დაიბეჭდა და ბევრი თანამედროვის, მათ შორის ცნობილი პოეტის – მარინა ცვეტაევას აღტაცებული გამოხმაურებაც დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, ჩაფიქრებული რომანი მაინც დაუმთავრებელი დარჩა ბ. პასტერნაკმა 1922 წელს გამოაქვეყნა ფრაგმენტი „სამი თავი მოთხრობიდან“, რომელიც ორგანულად უკავშირდება შემდგომში გამოქვეყნებულ „მოთხრობას”. უფრო ადრე, 1918 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში „უსიყვარულოდ“ კი ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ მასში უკვე ჩნდება „ექიმი ჟივაგოს“ ზოგიერთი პერსონაჟი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ბ. პასტერნაკის 1930 წელს გამოქვეყნებული ვრცელი ავტობიოგრაფიული მოთხრობა „დაცვის სიგელი”, რომელშიც იგი ერთგვარად აჯამებს თავის ოცწლიან შემოქმედებას, გამოთქვამს შეხედულებებს ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულებაზე, ეხება თავისი ბიოგრაფიისა და მისთვის ყველაზე ახლობელი პოეტის – ვ. მაიაკოვსკის ცხოვრების საგულისხმო მომენტებს. ბ. პასტერნაკმა მძიმედ განიცადა პირველ მეუღლესთან – მხატვარ ელენა პასტერ-

ნაკთან განშორება. თავისი ცხოვრების ახალ მეგზურთან, ცნობილი მუსიკოსის გ. ნეიგაუზის ყოფილ მეუღლესთან ზინაიდა ნეიგაუზთან დაახლოებას უძღვნა პოეტმა ლირიკული კრებული „მეორედ დაბადება" (1932) ამას მოჰყვა ბ. პასტერნაკის მკვეთრი გააქტიურება საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ასპარეზზე იგი მკაფიო სიტყვით გამოდის სსრ კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე (1934), რომელზეც ირჩევენ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, აქტიურად ერევა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, იცავს შემოქმედის თავისუფლების პრინციპს, რითაც ხშირად იწვევს „იდეოლოგიური ფრონტის" მუშაკთა გაღიზიანებას.

თუმცა ამავე დროს, შემოქმედებითი სიმწიფისა და ლიტერატურული დიდების ზენიტში, იგრძნობა მისი შინაგანი გაორებაც. ერთის მხრივ, იგი აღფრთოვანებულია რევოლუციით, რომელიც ნათელს ჰფენს „შეგინებულ სინამდვილეს", მეორე მხრივ კი მასში თანდათანობით მწიფდება შინაგანი პროტესტის გრძნობა რევოლუციურ სინამდვილეში არსებული უამრავი სიმახინჯის და უსამართლობის გამო ამ ტენდენციამ იმდენად იმძლავრა ბ. პასტერნაკის შემოქმედებაში და მისი საზოგადოებრივი პოზიცია იმდენად მკვეთრად გამოიკვეთა, რომ 1936 წლიდან იგი თითქმის მთლიანად განერიდა ორიგინალურ შემოქმედებას და მხატვრული თარგმანის სტიქიაში გადაეშვა. „პირადი შემოქმედება დასრულდა. თარგმანებში წავედი", – ირონიულად შენიშნავდა მწერალი ამ პერიოდის თაობაზე მრავალი წლის შემდეგ.

ბორის პასტერნაკმა უდიდესი ამაგი დასდო მსოფლიო კლასიკოსთა რუსულ ენაზე ამეტყველების საქმეს. ოცდაათიანი წლების შუა ხანებიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი ინტენსიურად, დიდი გატაცებით მუშაობდა ამ ასპარეზზე. მის კალამს ეკუთვნის უილიამ შექსპირის ტრაგედიების – „ოტელოს", „ჰამლეტის", „მეფე ლირის", „მაკბეტის", „რომეო და ჯულიეტას", გოეთეს „ფაუსტის", აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხალხთა

ლიტერატურულ ნაწარმოებთა თარგმანები, რომელთაც მნიშვნელოვნად გააფართოეს რუსი მკითხველის თვალსაწიერი. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ მხატვრულ თარგმანში ბ. პასტერნაკს თავისი შემოქმედებითი მეთოდი აქვს მომარჯვებული. იგი მორჩილად, სიტყვა-სიტყვით კი არ მიჰყვება ორიგინალს, პირიქით, ცდილობს უცხოენოვანი ავტორი მიიყვანოს რუს მკითხველამდე და მაყურებლამდე, რაც გულისხმობს სათარგმნ ნაწარმოებთა ზოგიერთი მხატვრულ-სტილისტური თავისებურების უგულებელყოფას, რუსულ მხატვრულ სამყაროში მათ გადმონერგვას და გათავისებას.

ჩვენთვის განსაკუთრებით ფასდაუდებელია ბ. პასტერნაკის შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც მოიცავს ქართველ მწერალთა ნაწარმოებების თარგმნას. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბორის პასტერნაკი ეკუთვნის რუს მწერალთა იმ ბედნიერ გამონაკლისს, რომელმაც გულით შეიყვარა საქართველო, მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა და ათეული წლების განმავლობაში, თვით სიკვდილამდე ერთგულად მეგობრობდა მის საუკეთესო წარმომადგენლებთან.

ბ. პასტერნაკმა მთლიანად თარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, აკაკი წერეთლის ლირიკა, ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი", ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალიო აბაშელის, – იოსებ გრიშაშვილის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ნიკოლო მიწიშვილის, ირაკლი აბაშიძის ლექსები, საქართველოს მიუძღვნა ორი პოეტური რკალი – „მხატვარი" და „მგზავრის ჩანახატები" (1936). ბ. პასტერნაკი ჯერ კიდევ 1931 წელს ეწვია საქართველოს და მას შემდეგ, თავისი მშფოთვარე ცხოვრების ყველა ეტაპზე იგი ხშირად ჩამოდიოდა მეგობარ ქართველ მწერლებთან განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვეს გრძნობდა იგი ქართველ ცისფერყანწელებთან – ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან. გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდა

მას გიორგი ლეონიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან, სხვა ქართველ მწერლებთან და მათი ოჯახის წევრებთან. დიდი, ადამიანური თანაგრძნობა და გულითადობა გამოსჭვივის ბ. პასტერნაკის პირად წერილებში ტ. ტაბიძის ოჯახის, ტრაგიკულად დაღუპული პოეტის მეუღლის – ნინო ტაბიძისადმი, რომლის მიმართ საგანგებო მოწიწებას და პატივისცემას იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში ინარჩუნებდა.

* * *

ვიდრე უშუალოდ „ექიმ ჟივაგოს" შევეხებოდეთ, შეუძლებელია ორიოდე სიტყვით არ შევეხოთ ბ. პასტერნაკის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას. ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ სფეროში იგი მართლაც შეუდარებელია როგორც რუსულ, ისე მსოფლიო მწერლობაში. ბ. პასტერნაკს გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდა თავისი დროის უამრავ გამოჩენილ მოღვაწესთან როგორც რუსეთსა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ისე საზღვარგარეთ. მათ შორის განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ქართველი მწერლების, მათი ოჯახის წევრებისადმი გამოგზავნილი. წერილები.

ერთი შეხედვით ისეთ საყოველდღეო საყოფაცხოვრებო წვრილმანში, როგორიც პირადი წერილია, მწერალი უდიდეს ადამიანურ სითბოს და სულის უფაქიზეს თრთოლვას აქსოვს, ისე, რომ ახლაც, მრავალი ათეული წლის მერეც შეუძლებელია მათი აუღელვებლად გაცნობა ამასთანავე, მათ გააჩნიათ სხვა, არანაკლებ ფასეული ღირებულებაც – მომავლის ლიტერატორებს და ისტორიკოსებს მათი საშუალებით გადაეშლებათ უნიკალური სურათი მეოცე საუკუნის უღრანებში მოქცეულ ადამიანთა სულების ბედუკულმართი კატაკლიზმებისა.

როგორც აღვნიშნეთ, ოცდაათიანი წლების შუახანებიდან ბ. პასტერნაკი უაღრესად ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა და ორიგინალური შემოქმედებისათვის ნაკლებად იცლიდა. მეორე მსოფლიო

ომის დროს იგი განახლებული ენერგიით მიუბრუნდა თავის პოეტურ შემოქმედებას და ომის თემაზე გამოაქვეყნა ლექსთა კრებულები „ადრიან მატარებლებზე” (1943) და „მიწიერი სივრცე” (1945). შეიძლება ითქვას, რომ ბ. პასტერნაკი აქაც ერთგულია საკუთარი მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებისა. ბევრი თანამედროვე საბჭოთა პოეტისაგან განსხვავებით, მანამდე არნახული მასშტაბების ზოგადსაკაცობრიო კოლიზიების გადმოცემისას იგი ერიდება ტრაფარეტად ქცეულ გაცვეთილ ფრაზებს და ომის ქარცეცხლში მოყოლილ ადამიანთა ტრაგიკული განცდების ასახვას ზოგადისგან განკერძოებით, მეტაფორული ხატოვანებით და უშუალობით აღწევს.

* * *

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ზორის პასტერნაკის მთელი შემოქმედების გვირგვინს მაინც „ექიმი ჟივაგო” წარმოადგენს. თავად მწერლის შეფასებით, სწორედ ეს რომანია მისი „უმაღლესი მხატვრული მიღწევა, რისთვისაც ღირდა ცხოვრება“.

რომანის წერა ბ. პასტერნაკმა 1945 წელს დაიწყო და 1955 წელს დაასრულა. ამ ათწლეულის განმავლობაში იგი ხშირად კითხულობდა ცალკეულ ნაწყვეტებს მეგობართა და ახლობელთა წრეებში, გულდასმით ისმენდა და შესაბამისად ითვალისწინებდა მკითხველთა და მსმენელთა შენიშვნებს, სურვილებს, მოსაზრებებს ჩვენამდე მოღწეული და სათანადოდ გამოცემულია რომანის ცალკეული ფრაგმენტები და ვარიანტები, რაც ნათლად მეტყველებს ავტორის რუდუნებაზე, მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობაზე, საკუთარი შემოქმედების მიმართ ჯანსაღ თვით კრიტიკულ დამოკიდებულებაზე. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ თვით სათაურის შესარჩევად ავტორმა უამრავი ვარიანტი „გადახარშა”, რომელთაგან ზოგიერთს აქვე გთავაზობთ: „ახალი კეთილშობილების ნორმები“, „სიკვდილი არ იქნება“, „ბიჭები და გოგო-

ნები“, „რინვა“, „რუსი ფაუსტის გამოცდილება”, „მიწიერი ჰაერი”, „ცოცხლები, მკვდრები და მკვდრეთით აღმდგარნი“, „ჟივაგოების ოჯახის გამოუქვეყნებელი ჩანაწერებიდან“, „სანთელი ენთო“, „ექიმი ჟივაგო (ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების სურათები)“. საბოლოო ვარიანტი („ექიმი ჟივაგო“) ბ. პასტერნაკმა მხოლოდ 1955 წლის შემოდგომით დაადგინა.

ჯერ კიდევ თავისი შემოქმედების გარიჟრაჟზე ბ. პასტერნაკი თავისი ეპოქის სულიერი და ზნეობრივი სურათის, თავისი თაობის ყოვლისმომცველი ისტორიის შექმნის იდეით იყო შეპყრობილი. თავისი მთავარი გმირის მსგავსად, ისიც ჭაბუკობიდანვე „ოცნებობდა პროზაზე, ცხოვრების ამსახველ წიგნზე, სადაც ფარული ფეთქებადი ბუდეებივით ჩააწყობდა იმ საოცრებებს, რაც კი ოდესმე ენახა და გადაეხარშა“.

ბ. პასტერნაკის აზრით, „წიგნი ცხელი, აბოლებული სინდისის ნაჭერია და სხვა არაფერი”. ამასთანავე, „სიმართლის მოძიებისა და გამოთქმის უუნარობა ისეთი ნაკლია, რასაც სიცრუის თქმის ვერავითარი ნიჭი ვერ გადაფარავს”. სწორედ ავტორისათვის დამახასიათებელი ამ ორი უმთავრესი კომპონენტის – ზნეობრიობისა და გამბედაობის შედეგად იშვა რომანი, რომელშიც ნიჭიერი და პატიოსანი რუსი ინტელიგენტის, ექიმისა და პოეტის იური ჟივაგოს ცხოვრების აღწერის ფონზე დახატულია ის მძაფრი ქარტეხილები, რომელთაც მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში ერთიანად შესძრეს რუსული სინამდვილე. მწერალი ფართო პლანით აღწერს ქვეყნის ისტორიას საუკუნის დასაწყისიდან მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდამდე. მასში რეალისტურადაა დანახული და ასახული რევოლუციის მიერ ცხოვრების ჩვეული კალაპოტიდან ამოყრილ და საკუთარი კერიიდან შორს გატყორცნილ ადამიანთა ბედი უნგრეთის ველებიდან ციმბირის უკიდეგანო სივრცეებამდე. საამისოდ ბ. პასტერნაკი იყენებს თავის ნაცად ხერხს, ე. წ. „ისტორიის ინტიმიზაციას”, რაც საშუალებას აძლევს უაღრესად ზედმიწევნით, უშუალოდ და დამაჯერებლად გადმოსცეს რევოლუციის და სამოქალაქო ნგრევის ყოვლისმომცველი ტალღების მიერ ბუდედანგრეული, სასოწარკვეთილი და

განწირული ადამიანების განცდები. ჯერ კიდევ 1932-1933 წლებში ურალში „სოციალისტურ გარდაქმნათა" შესახებ მასალების შესაკრებად სვერდლოვსკში ჩასულმა ბ. პასტერნაკმა თვალნათლივ იხილა ბოლშევიკურ-დემაგოგიურ მითსა და სინამდვილეს შორის არსებული უფსკრული. ნანახით და განცდილით იგი იმდენად იყო შეძრწუნებული, რომ მისივე თქმით, „მთელი წლის განმავლობაში ძილი აღარ ეკარებოდა.

მეორე მსოფლიო ომმა და მისმა თანამდევმა მოვლენებმა საბჭოური ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილში წარმოშვა ერთგვარი ილუზია, რომ შესაძლებელი იყო ქვეყნის განვითარება თანდათანობით პროგრესის გზით წარმართულიყო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ მიმდინარე პროცესები ამ ისტორიულ იმედებს არ შეესაბამებოდა. დაიწყო დასმენები, – რეპრესიები. კვლავ ძველი ძალით ამუშავდა დამსჯელი მანქანა ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგებმაც აღარ დააყოვნეს და, როგორც ყოველთვის თავიანთი ბასრი მახვილი ამჯერადაც პირველ რიგში შემოქმედებითი ინტელიგენციის წინააღმდეგ მიმართეს. სწორედ ამისი დასტური იყო სკკპ(ბ) ცეკას 1946 წლის 11 აგვისტოს მიღებული დადგენილება ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესახებ, რომლითაც მკაცრად იყვნენ გაკრიტიკებულნი მიხაილ ხომჩენკო და ანა ახმატოვა მას მოჰყვა იმავე სულისკვეთების დადგენილებები დრამატული თეატრებისა და კინოს შესახებ.

პარტიულ ჩინოსანთა ესტაფეტა უმალვე აიტაცეს,„ლიტერატურის ფრონტზე" პარტიის პოლიტიკის გამტარებლებმა. დაიწყო პროგრესულ მწერალთა და მოაზროვნეთა სასტიკი დევნა, რომელთა შორის ერთ-ერთ უპირველეს სამიზნედ ბორის პასტერნაკიც მოიაზრებოდა.

1946 წლის 4 სექტემბერს სსრკ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე ა. ფადეევმა გააკრიტიკა ბ. პასტერნაკი „ხალხისაგან მოწყვეტისა და „ჩვენი იდეოლოგიისათვის ზურგის შექცევის" გამო. იგივე ფადეევი ორიოდე კვირის შემდეგ მოსკოველ მწერალთა შეკრებაზე ამგვარად მოძღვრავდა კოლეგებს: „პასტერნაკის უიდეო და აპოლიტიკური

პოეზია არ შეიძლება იქცეს დიდი რუსული პოეზიის მემკვიდრეთა იდეალადო".

ბ. პასტერნაკის დევნა არც მომდევნო პერიოდში შესუსტებულა. 1947 წლის 15 მარტს „ლიტერატურნაია გაზეტაში" პასტერნაკის განქიქების მიზნით გამოქვეყნდა ვინმე ი. საშინის გალექსილი ფელეტონი „მიტოვებული ბაღი", ხოლო 21 მარტს ჟურნალში „კულტურა ი ჟიზნ" – პოეტ ა. სურკოვის სტატია „პასტერნაკის პოეზიაზე", რომელიც ომისშემდგომ მოსკოვში ავისმომასწავებელ ბრალდებად გაისმა. დამსმენი ავტორი მიუთითებდა პასტერნაკის „ჩამორჩენილ, რეაქციულ მსოფლმხედველობაზე", „პირდაპირ ცილისწამებაზე" და ასკვნიდა: „საბჭოთა ლიტერატურა მის პოეზიას ვერასდიდებით ვერ შეურიგდებაო".

ბორის პასტერნაკი ღრმად იყო დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში, თავისი მისიის ისტორიულ ხასიათში და მედგრად იტანდა ყველა შემოტევას, თუმცა ხანდახან მეგობართა წრეში ადამიანურ წყენას და გულისტკივილსაც ვეღარ ფარავდა. „თავიდან ეს „მიმდინარე ამბები" ჩემდა თავად ოდნავადაც არ შემხებია, – წერდა იგი ერთ-ერთ წერილში, – ვიჯექი ჩემთვის პერედელკინოში და გატაცებით ვმუშაობდი ჩემი ეპოპეის მესამე თავზე. მაგრამ ზინა (მწერლის მეუღლე. – ნ.ნ), სულ უფრო ხშირად ბრუნდებოდა ქალაქიდან დაღვრემილი, საცოდავი, დატანჯული და მობერებული, ჩემი გულისთვის გაღიზიანებული თავმოყვარეობით, და მხოლოდ ამგვარი სახით, მისი თანაგრძნობის გამოისობით გადმოვიდა ჩემზე ეს უსიამოვნებანი".

1946 წლის 4 დეკემბერს მწერალი ტიციან ტაბიძის მეუღლეს, ნინო ტაბიძეს სწერდა: „შემოდგომის მითქმა-მოთქმას ოდნავაც არ დაუწყვეტია ჩემთვის გული. განა შეიძლება არსებობდეს ჩვენს შორის ისეთი ბრიყვი და უთავმოყვარეო, დაჯდეს და იფიქროს, ხალხთან ვარ თუ არაო?

მხოლოდ ამგვარ ურცხვ ფრაზიორებს შეუძლიათ იხმარონ წამდაუ-

წუმ ასეთი საშინელი და მყვირალა სიტყვა... ეჰ, ნინო, ხალხს რომ მისცემდნენ თავისუფლებას, რა სასწაული იქნებოდა, რა ბედნიერება! სულ მეჩვენება, რომ ეს ჩვენი სინამდვილე შეგინებული ზღაპარია და სხვა არაფერი". მიუხედავად უხეში თავდასხმებისა და შეურაცხყოფისა, ბ. პასტერნაკი გატაცებით განაგრძობდა მუშაობას თავის რომანზე. ო. ფრეიდენბერგისათვის 1946 წლის 13 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში თავის ჩანაფიქრს იგი ამგვარად ახასიათებდა: „კაცმა რომ თქვას, ეს ჩემი პირველი ნამდვილი ნაშრომია. მე მასში მინდა გადმოვცე რუსეთის ისტორიული სახე უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში, და ამავე დროს მძიმე, სევდიანი და დეტალურად დამუშავებული სიუჟეტით, როგორც იდეალში დიკენსთან და დოსტოევსკისთანაა, – ეს იქნებოდა ჩემი შეხედულებების გადმოცემა ხელოვნებაზე, სახარებაზე, ადამიანის ცხოვრებაზე ისტორიაში და სხვა მრავალზე".

1946 წლის შემოდგომით ჟურნალ „ნოვი მირის" რედაქციაში ბ. პასტერნაკმა გაიცნო პოეზიის განყოფილების თანამშრომელი ოლგა ივინსკაია, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მწერლის ცხოვრებაზე.

ო. ივინსკაია არ შეუშინდა საერთო დინების წინააღმდეგ მიმავალი შემოქმედის ეკლიანი გზის სიმძიმეს, მხარში ამოუდგა მწერალს და დიდი წვლილი შეიტანა რომანის ბეჭდვისა და გავრცელების საქმეში, რისთვისაც 1949 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს და ოთხი წლის განმავლობაში ციხეში იყო გამომწყვდეული. სპეციალისტთა საერთო აღიარებით, ბ. პასტერნაკმა ოლგა ივინსკაიას სახე ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირის – ლარა გიშარის პროტოტიპად გამოიყენა.

მოგვიანებით, 1948 წლის 6 აპრილს მ. გრომოვისათვის მიწერილ წერილში ბ. პასტერნაკი თავის მომავალ რომანს ამგვარად ახასიათებს: „აქ აღწერილია ერთი მოსკოვური წრის ცხოვრება (თუმცა იგი ნაწილობრივ ურალსაც ეხება) პირველი წიგნი მოიცავს დროს 1903 წლიდან 1914 წლის ომის დასასრულამდე. მეორეში, რომელსაც სამამულო ომამდე მოყვანას

ვუპირებ, დაახლოებით 1929 წელს უნდა გარდაიცვალოს მთავარი გმირი, პროფესიით ექიმი, მაგრამ ძალიან ძლიერი მეორე შემოქმედებითი პლანით, როგორიც ექიმი ა. პ. ჩეხოვი იყო. როდესაც მისი გერი ძმა, რომლის არსებობაც ყურმოკვრით იცოდა, მოაწესრიგებს მიცვალებულის ქაღალდებს, მათ შორის აღმოჩნდება ფილოსოფიური ხასიათის მრავალი შენიშვნა და ლექსების მთელი წიგნი, რომელსაც ეს გერი ძმა გამოსცემს, რაც რომანის მეორე წიგნში მთელ გალექსილ თავს შეადგენს. – ეს გმირი უნდა იყოს რაღაც შუალედური ჩემსა, ბლოკსა, ესენინსა და მაიაკოვსკის შორის, და როცა ახლა ახალ ლექსებს ვწერ, სწორედ ამ კაცის – იური ჟივაგოს რვეულში ვათავსებ“.

1955 წლის დეკემბერში ბ. პასტერნაკმა საბოლოოდ დაამთავრა რომანის ჩასწორება. „რომანი დავასრულე – სწერდა იგი ამის თაობაზე ვ. შალამოვს, – აღვასრულე ვალი, უფლისაგან ჩაგონებული“.

ბ. პასტერნაკის ცხოვრებაში დაიწყო ახალი, არანაკლებ მძიმე პერიოდი, რაც და კავშირებული იყო რომანის გამოცემასთან.

უამრავი ცდის მიუხედავად, მწერალმა ვერ შეძლო ქვეყნის შიგნით მის გამოცემაზე თანხმობის მიღება და იძულებული გახდა მისი გამოქვეყნება საზღვარგარეთ ეცადა. 1956 წლის მაისში ბ. პასტერნაკს ეწვია იტალიის კომპარტიის წევრი და იტალიის რადიოს თანამშრომელი სერჯიო დ'ანჯელო. მწერალმა მას თავისი ნაწარმოები გადასცა. ხელნაწერი გადაეგზავნა მილანელ გამომცემელ ჯ. ფელტრინელს, რომელმაც ბ. პასტერნაკს აუწყა, რომანის გამოცემას ვაპირებ და მთარგმნელს ვეძებო.

იმხანად „ექიმი ჟივაგოს“ გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის კ. ჩუკოვსკი მისი „დღიურების“ 1956 წლის 1 სექტემბრით დათარიღებულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „გუშინ ფედინთან ვიყავი. მან სრულიად საიდუმლოდ მითხრა, პასტერნაკს თავისი რომანი ვიღაც იტალიელისათვის გადაუცია, რომელსაც საზღვარგარეთ მისი გამოცემა აქვსო გადაწყვეტილი... ამ რომანზე დიდი მითქმა-მოთქმაა. თა-

ვის დროზე პასტერნაკმა იგი „ლიტერატურნაია მოსკვას“ გადასცა. კაზაკევიჩს წაუკითხავს და უთქვამს: თუ ამ რომანით ვიმსჯელებთ, ისე გამოდის, რომ ოქტომბრის რევოლუცია გაუგებრობა ყოფილა და უმჯობესი იქნებოდა იგი საერთოდ არ მოეხდინათო. ხელნაწერი უკანვე დაუბრუნეს. მან კი ის და მასთან ერთად თავისივე ლექსების კრებულის „წინასიტყვაობა– „ნოვი მირს“ გადასცა. კრივიც კი იქით იხრებოდა, „წინასიტყვაობის დაბეჭდვა მცირეოდენი ჩასწორებებით შეიძლებაო, მაგრამ სიმონოვმა რომ წაიკითხა, „წინასიტყვაობის! დაბეჭდვაზეც ხელები გაატატანა: „არ შეიძლება პასტერნაკ ტრიბუნა მივცეთო!“ ასეთი გეგმა დაისახა: ყოველგვარი მითქმა-მოთქმა რომ შეწყდეს (აქაც და საზღვარგარეთაც), რომანი სამიოდე ათას ეგზემპლარად დაიბეჭდოს და ამგვარად, ხელმიუწვდომელი გახდეს მასებისთვის. ამასთანავე გაცხადდეს, რომ ჩვენში პასტერნაკს გზას არ უღობავენო.

რომანი კი, ფედინის თქმით, „გენიალურია“, მეტისმეტად ეგოცენტრული, ამაყი, სატანურად გამქირდავი, იშვიათად უბრალო და ამავე დროს უაღრესად წიგნიერი – მოკლედ, მართლაც რომ დიდი პასტერნაკის საკადრისი ბიოგრაფიაა“.

1956 წლის სექტემბერში „ნოვი მირმა“ საბოლოოდ თქვა უარი რომანის დაბეჭდვაზე. საამისოდ კოლექტიურ წერილს ხელს აწერდნენ რედკოლეგიის წევრები: ბ. აგაპოვი, ბ. ლავრენიევი, კ. ფედინი, კ. სიმონოვი, ა. კრივიცკი. ამის შემდეგ 32 წლის განმავლობაში რომანი სსრ კავშირში არ დასტამბულა, საზღვარგარეთ კი იმავე პერიოდში მის შესახებ ათას ხუთასზე მეტი ნაშრომი გამოქვეყნდა.

სსსრკ მწერალთა კავშირმა არაერთხელ სცადა, რათა რომანი იტალიიდან „უკან გამოეთხოვა“, მაგრამ გამომცემლისგან ცივი უარი მიიღო.

1957 წელის 15 ნოემბერს გამოვიდა რომანის იტალიური თარგმანი. რუსულ ენაზე კი წიგნი პირველად 1958 წლის 24 აგვისტოს გამოიცა ჰოლანდიაში. ამ გამოცემებს მოჰყვა მრავალენოვანი, მასობრივ ტირაჟიანი

პუბლიკაციები ევროპის, აზიის და ამერიკის უმრავლეს ქვეყნებში. უმოკლეს დროში „ექიმი ჟივაგო“ მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წიგნად გადაიქცა. ამის დასტური იყო ის ფაქტი, რომ 1958 წელს მის ავტორს ნობელის პრემია მიანიჭეს „თანამედროვე ლირიკულ პოეზიაში და დიდი რუსული პროზის ტრადიციულ ასპარეზზე თვალსაჩინო დამსახურებისათვის“.

საბჭოთა კავშირში კი კომუნისტური ხელისუფლების ოფიციალური იდეოლოგები მას წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ, ჟურნალ-გაზეთებში, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კრებებზე მის თაობაზე მოარულ ფრაზად იქცა გამოთქმა: მართალია, მე ის წიგნი არ წამიკითხავს, მაგრამ სასტიკად ვგმობო... ბორის პასტერნაკი გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, ყველგან შეწყვიტეს მისი საწარმოებების ბეჭდვა, ემუქრებოდნენ ქვეყნიდან გაძევებით. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც კი აღძრეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით.

ბ. პასტერნაკი მედგრად იტანდა ამ შემოტევებს. დამახასიათებელია ამ მხრივ მისი წერილი სკკპ ცკ-ის იდეოლოგიური განყოფილების გამგის დ. პოლიკარპოვისადმი, რომელიც 1957 წლის 20 აგვისტოთია დათარიღებული.

„ზნეობრივად გათვითცნობიერებული ადამიანები არასოდეს არიან საკუთარი თავით კმაყოფილნი, – სწერდა მას ბ. პასტერნაკი, – ბევრ რამეზე სწუხან, ბევრ რამეს ნანობენ. ერთადერთი, რაზეც ცხოვრებაში მოსანანიებელი არაფერი მაქვს, ეს რომანია. დავწერე ის, რასაც ვფიქრობდი და დღემდე ამ აზრებს ვინარჩუნებ. იქნებ შეცდომაა, რომ ყოველივე სხვას ვერ დავუმალე. გარწმუნებთ, დავმალავდი, უფრო სუსტად რომ ყოფილიყო დაწერილი, მაგრამ იგი ჩემს ოცნებებზე ძლიერი გამოდგა, ძალა კი დამიანს ზევიდან ეძლევა და, ამრიგად, მისი შემდგომი ბედი ჩემს ხელთ არ არის. მასში მე ვეღარ ჩავერევი. თუ ის სიმართლე, რომელიც ვიცი, ტანჯვით უნდა გამოვისყიდო, ჩემთვის ეს არ ახალია, და მზად ვარ მივიღო ნებისმიერი საზღაური“.

თუმცა სიმართლისათვის მებრძოლი მწერალი იძულებული მაინც გახადეს ერთგვარ კომპრომისზე წასულიყო და ახლობელთა დაცვის მიზნით უარი ეთქვა ნობელის პრემიის მიღებაზე.

ისტორიულმა სამართლიანობამ კი საბოლოოდ მაინც იზეიმა: 1989 წლის 9 დეკემბერს, მწერლის სიკვდილიდან თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ, მის ვაჟს, ევგენის, სტოკჰოლმში, შვედეთის მეცნიერებათა აკადემიაში მამის კუთვნილი პრემიის დიპლომი და მედალი გადასცეს.

* * *

და ბოლოს, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ წინამდებარე თარგმანის ისტორიასაც.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების შუახანებამდე საბჭოთა კავშირში ჩვეულებრივი მკითხველისათვის „ექიმი ჟივაგოს“ მოძიება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება და აღტაცება, როცა ირანში ჩასვლისთანავე, 1970 წელს თეირანის უნივერსიტეტის მახლობლად. წიგნის მაღაზიაში, ბორის პასტერნაკის ლეგენდად ქცეულმა რომანმა შემომანათა.

სპარსული თარგმანი იყო და გარეკანზე მოსკოველი ექიმი საოცრად სევდიანი სახე იყო გამოსახული. დაუყოვნებლივ შევიძინე და ორიოდე ღამეში სულმოუთქმელად გადავიკითხე, რადგან დღისით ჩემს ირგვლივ ათასი ჯურის ხალხი ირეოდა და სსრ კავშირის ოფიციალური ხელისუფლების მიერ შერისხული მწერლის ნაწარმოების აშკარად კითხვა, თუნდაც საზღვარგარეთ, ჯერაც სახიფათო სითამამეს წარმოადგენდა.

მახსოვს, ვინატრე, მალე მოსულიყო ის დრო, როცა მისი ქართულად თარგმნა და გამოცემა შემეძლებოდა.

ღვთის შეწევნით, ბოლოს და ბოლოს, ეს დროც დადგა და 1988 წელს ჟურნალ „ნოვი მირში” რომანი მთლიანად დაიბეჭდა.

უმალვე შევუდექი თარგმნას და რამდენიმე თვეში რომანის თარგმანი

თითქმის მთლიანად დასრულებული მქონდა. 1990 წლის 31 აგვისტოს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" დავბეჭდე კიდეც პირველი თავის თარგმანი და წიგნის მთლიანად გამოსაცემად ვემზადებოდი, თან მიხაროდა, საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენი ქვეყნის, ქართული კულტურის ჭეშმარიტი მეგობრის, ადამიანთა მოდგმის ღირსებისა და თავისუფლებისათვის თავშეწირული მწერლის წიგნით რომ შევხვდებოდი.

თემცა ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

საქართველოში შინაური და გარეშე მტრების მიერ დატრიალებულმა ავმა ქარბორბალამ ჩემი განზრახვის აღსრულებაც სხვათა ოცნების დარად მრავალი წლით შეაჩერა და დაამუხრუჭა.

როგორც ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, ამ თარგმანმაც გარკვეულწილად დედნის ბედი გაიზიარა.

ბედნიერი ვარ, საბოლოოდ, დიდი ხნის შემდეგ გამომცემლობა „ინტელექტის" ხელმძღვანელობის, პირადად ბ-ნ კახმეგ კუდავას თანადგომით, ამ თარგმანის გამოცემის საშუალება რომ მეძლევა.

იმ ობლის კვერივით ამ გამოცემამაც მზის სინათლე გვიან იხილა და მინდა იმედი ვიქონიო, რომ იგი ქართველი მკითხველის გულისაკენ მიმავალ ბილიკს მაინც იპოვის.

ნოდარ ნონიაშვილი

პირველი წიგნი

ნაწილი პირველი

ჩქარი მატარებელი

1

მიდიოდნენ და მიდიოდნენ, თან „საუკუნო სახსენებელს” მიიმღეროდნენ. სულის მოთქმის ჟამს ეჩვენებოდათ, თითქოს ფეხის ხმაც, ცხენებიც და ქარის ზუზუნიც იმ სიმღერას იმეორებდნენ.

გამვლელები გზას უთმობდნენ, გვირგვინებს ითვლიდნენ, პირჯვარს იწერდნენ. ცნობისმოყვარენი ჭირისუფლებში ყელყელაობდნენ, ვის ასაფლავებენო, კითხულობდნენ. როგორ თუ ვისო, ჟივაგოსო, იყო პასუხი.

„აჰ, აი თურმე რა ყოფილა. გასაგებია”.

„არა, კაცს კი არა, ქალს”.

„ეგ სულ ერთია. ღმერთმა აცხონოს. მდიდრული დაკრძალვაა”.

უკანასკნელმა ორიოდე წუთმაც ჩაიქროლა და მარადისობას შეუერთდა. „უფლისაჲ არს ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი, სოფელი და ყოველნი დამკვიდრებულნი მას შინა”. მღვდელმა მარია ნიკოლაევნას პირჯვარი გადასახა და ერთი პეშვი მიწა მიაყარა. იგალობეს „სულთა თანა”. ანაზდად საშინელი ჯგლეთა შეიქნა. კუბოს სარქველი დაჰხურეს, დაჭედეს, სამარეში ჩაუშვეს. ოთხი ნიჩაბი გამალებით ამუშავდა და სამარიდან მიწის ხრიალი მოისმა. საფლავზე ბორცვი აღიმართა. ზედ ათიოდე წლის ბიჭუნა ავიდა.

მარტოოდენ დიდ დასაფლავებათა ბოლო წუთებისათვის თანამდევ გაოგნებასა და გარინდებაში თუ შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ, რომ იმ ბიჭუნას დედის საფლავზე სიტყვის თქმა სურდა.

გულჩათუთქულმა თავი ასწია, შემაღლებიდან შემოდგომით მოცულ უდაბურ სივრცეს და მონასტრის სანახებს მოავლო თვალი. პაჭუა ცხვირიანი სახე მოეღრიცა. კისერი წაუგრძელდა. მგლის ლეკვს ოდესმე თავი ამგვარად რომ აეწია, აშკარა იქნებოდა, სადაც იყო, დაიყმუვლებდა. ბიჭუნამ სახეზე ხელები აიფარა და აზლუქუნდა. პირისპირ წამოსულმა ღრუბელმა ხელებსა და სახეში გათოშილი თავსხმის სველი მათრახები

დაუშინა. საფლავს შავით მოსილი, მჭიდროდ ასხმულ სახელოებიანი კაცი მიუახლოვდა. მიცვალებულის ძმა და ატირებული ბიჭის ბიძა, თავისივე ნებით გაკრეჭილი მღვდელი ნიკოლაი ვედენიაპინი იყო. ბიჭთან მივიდა და საფლავიდან წამოიყვანა.

2

ღამეს მონასტრის ერთ-ერთ სავანეში ათევდნენ, რომელიც ბიძას ძველი ნაცნობობის წყალობით დაუთმეს. ღვთისმშობლის საფარველის[1] წინა დღე იყო. მეორე დღეს ბიძასთან ერთად შორს, სამხრეთში, ვოლგისპირეთის რომელიღაც საგუბერნიო ქალაქში უნდა გამგზავრებულიყო.

მამა ნიკოლოზი იქ ერთ გამომცემლობაში მუშაობდა, რომელიც იმ მხარის პროგრესულ გაზეთს უშვებდა. მატარებლის ბილეთები უკვე ნაყიდი ჰქონდათ, ბარგიც შეკრული იყო და სენაკში ეწყო. სადგურიდან ქარს ორთქლმავლების სევდიანი კივილის ხმები მოჰქონდა.

საღამო ხანს ძლიერ აცივდა. მიწის პირას გამოყვანილი ორი ფანჯრიდან ყვითელი აკაციის ბუჩქებით მოფენილი უშნო ბოსტანი, შარაგზის გაყინული გუბეები და სასაფლაოს ის ნაწილი მოჩანდა, სადაც დღისით მარია ნიკოლაევნა დაკრძალეს. სიცივისაგან გალურჯებული კომბოსტოს რამდენიმე აჩხაბაჩხა კვლის გარდა ბოსტანი მთლად ცარიელი იყო. ქარის დაბერვაზე ფოთლებშემოძარცული აკაციები, თითქოს ავსული დასცემიათო, ბორგავდნენ და გზაზე წვებოდნენ.

ღამით იურა ფანჯრის კაკუნმა გამოაღვიძა. მრუმე სენაკში ქათქათა სინათლე შემოჭრილიყო. პერანგის ამარამ ფანჯარასთან მიირბინა და სახით ცივ მინას მიეკრა. – აღარც გზა ჩანდა ფანჯრის მიღმა, აღარც სასაფლაო და აღარც ბოსტანი. ეზოში ქარბუქი მძვინვარებდა. ჰაერში თოვლის ბუქი ტრიალებდა. თითქოს ქარიშხალმა შენიშნა იურა, იცოდა,

[1] ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაულს მართლმადიდებელი ეკლესია 1(14) ოქტომბერს აღნიშნავს.

თავად რა საშინელიც იყო და ბალღის გაოგნებით ტკბებოდა. გაცოფებული გუგუნებდა, ღრიალებდა და ბიჭის თავზარდასაცემად აღარაფერს ერიდებოდა. ციდან უსასრულო გორგლებად ეშვებოდა თეთრი ქსოვილი და დედამიწას სამგლოვიარო სუდარაში ჰხვევდა. ბურთიც და მოედანიც მარტო ქარიშხალს დარჩენოდა, მთელ დუნიაზე ერთადერთი ისღა დათარეშობდა და ვერაფერი უმკლავდებოდა.

ფანჯრის რაფას რომ შორდებოდა, ერთი სული ჰქონდა, ტანთ ჩაეცვა და გარეთ გაჭრილიყო, ეგებ რაიმე ვიღონოო. თითქოს ეშინოდა, მონასტრის კომბოსტოს თოვლი დაფარავს და ვეღარ მოჭრიანო, ან კიდევ, ვაითუ მინდვრად ყინულივით ცივმა ნამქერმა ჩაჩუმქროს დედა, ის კი, საბრალო, ვერ გაუმკლავდეს მოძალებულ ქარს და სტიქიონს, მისგან უფრო შორს, ღრმად ჩაეშვას მიწის წიაღში.

თავი ვერც ახლა შეიმაგრა, ცრემლები წასკდა. ბიძამისს გაეღვიძა. დიდხანს ებაასებოდა მაცხოვარზე და ამშვიდებდა. მერე მთქნარება მოერია. ჟამიდან ჟამად მიდიოდა ფანჯარასთან და ფიქრს ეძლეოდა. ჩაცმა დაიწყეს. თენდებოდა.

3

ვიდრე დედა ცოცხალი იყო, იურამ არ იცოდა, მამამ ისინი დიდი ხნის წინათ რომ მიატოვა, ციმბირსა თუ უცხოეთში ქალაქიდან ქალაქში დაეხეტებოდა, ქეიფობდა და დროს ატარებდა. კარგა ხანი იყო, მილიონიანი ქონება გაანიავა და ქარს გაატანა. იურას სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ, პეტერბურგშია, რომელიღაც ბაზრობაზეო. უფრო ხშირად ირბიტს[2] ახსენებდნენ.

მერე კი დედას, გამუდმებით რომ ავადმყოფობდა, ჭლექი აღმოაჩნდა.

[2] ირბიტი ურალის მცირე ქალაქია, სადაც XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში ხშირად იმართებოდა ბაზრობები.

სამკურნალოდ სამხრეთ საფრანგეთსა და ჩრდილოეთ იტალიაში სიარულს მოუხშირა, სადაც იურა ორჯერ ახლდა კიდეც. აი, ამგვარად, გაუთავებელ ალიაქოთსა და გამოცანებში განვლო ბიჭის ბავშვობამ. თავისი დღე და მოსწრება სულ სხვის ხელში შემყურე იყო და ისინიც წარამარა იცვლებოდნენ. ბოლოს და ბოლოს ამგვარ ცვალებადობას მიეჩვია კიდეც და მარადიულ აყალმაყალში უმამობა აღარ აკვირვებდა.

ჯერ კიდევ თავის ბალღობაში შეესწრო იმ დროს, როცა მისი გვარი აუარებელ რამეს ერქვა სახელად. არსებობდა ჟივაგოს მანუფაქტურა, ჟივაგოს ბანკი, ჟივაგოს სახლები, ჰალსტუხის გამონასკვისა და ქინძისთავის დამაგრების ჟივაგოსებური ხერხი, ასე გასინჯეთ, რომიანი ბაბის მსგავს ტკბილ, მრგვალ ღვეზელსაც კი ჟივაგოს ეძახდნენ. ერთი ხანობა შეიძლებოდა მოსკოვში გეთქვათ მეეტლისათვის, „აბა, გაფრინდი ჟივაგოსკენო!" ისევე, როგორც „მიდი, გარეკე, ჯანდაბაში ეშმაკები დავაფეთოთო!" ისიც მარხილით ცხრა მთის, ცხრა ზღვის იქით გაგაქროლებდათ. ირგვლივ მყუდრო პარკი შრიალებდა. ნაძვებს კონწიალა ტოტებიდან წვეთ-წვეთობით სცვიოდათ რთვილის ცვარ-ნამი, სამაგიეროდ ზედ სხდებოდნენ ყვავი-ყვანჩალები. არემარეს ფიჩხის ჭახანივით ეფინებოდა მათი ყრანტალი. განაკაფს იქით ახალშენებიდან გზებზე ჯიშიანი ძაღლები გადარბოდნენ. იმ ადგილებში ერთთავად კოცონები გიზგიზებდა.

მერე უეცრად ყოველივე არარად იქცა. ისინი გაღატაკდნენ.

4

ათას ცხრაას სამი წლის ზაფხულში იურა და ბიძამისი ორცხენიანი ტარანტასით მინდორ-მინდორ მიემგზავრებოდნენ დუპლიანკაში, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მფლობელისა და ხელოვნების დიდი მფარველის, კოლოგრივოვის მამულში, პედაგოგთან და სასარგებლო ცოდნის გამავრცელებელთან ივანე ვოსკობოინიკოვთან.

ყაზანის ღვთისმშობლის ხატის გამოცხადების დღე იყო[3], გახურებული ალოობა. სამხრობის მიზეზით იყო თუ დღესასწაულის გამოისობით, მინდვრებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მზე აცხუნებდა მოუმკელი ყანის სვრელებში, ტუსაღის სანახევროდ გაკრეჭილ კეფას რომ წააგავდა. მინდვრების თავზე, ცაში ფრინველები ირეოდნენ. გზისპირებზე თავთავებდახრილი ყანა უქარო ამინდში სიმივით იძაბებოდა, გზიდან მოშორებით კი წელში სწორდებოდა. დიდხანს თუ დააკვირდებოდით, გეგონებოდათ, ცისკიდურზე მიწისმზომელნი დააბიჯებენ და რაღაცას იწერენო. – ვისია ეს მიწები, – ეკითხებოდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი პავლეს, გამომცემლობის შავ მუშას და დარაჯს, რომელიც კოფოზე გვერდულად იჯდა, წელში წახრილიყო და ფეხი ფეხზე ჰქონდა გადადებული იმის ნიშნად, აქაოდა უბრალო მეეტლე არ გეგონოთ, მაგ ხელობიდან შორსა ვდგავარო, – ვისია ეს მიწები, მემამულისა თუ გლეხებისა?

– ესენი ბატონისანები არიან – თამბაქოს ექაჩებოდა და ისე ჰპასუხობდა პავლე, – ესენი კიდენა, – ცეცხლს ძლივძლივობით ელეოდა, ნაფაზს არტყამდა და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მათრახის ტარით სხვა მხარეს უთითებდა, – ანგრე ისენი კიდენა თავიანთია. ჰაიტ, თქვე სამგლეებო, დეგეძინათ განა?! – წამდაუწუმ უწყრებოდა ცხენებს, თან იმათ გავა-კუდებს ისე მიშტერებოდა, როგორც ორთქლმავლის მემანქანე მანომეტრებს.

ცხენები კი სწორედ იმგვარად ირჯებოდნენ, როგორც ამქვეყნად ცხენთა წესია, ანუ შუანა, ხელნის ცხენი თანდაყოლილი, უეშმაკო ბუნების გამო უღალატოდ მოალაჯებდა, განაპირა კი ცუღლუტობდა, გედივით ყელმოღერებული ბუქნას უვლიდა და ეჟვნებს ძალდაძალ აჟღარუნებდა.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩს ვოსკობოინიკოვთან მიწის საკითხზე დაწერილი მისივე წიგნის კორექტურა მიჰქონდა. ცენზურის გამკაცრების გამო

[3] ყაზანის ღვთისმშობლის ხატის გამოცხადების დღესასწაული 8(21) ივლისს აღინიშნება.

გამომცემლობა სთხოვდა, წიგნისათვის გადაეხედა.

– ცუდად იქცევა ხალხი მაზრაში, – ამბობდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი. – პანკოვის თემში ვაჭარი მოკლეს, ერობასაც ცხენსაშენი დაუწვეს. შენ რაღას ფიქრობ ამაზე? თქვენთან სოფელში რაღას ამბობენ? თურმე ნუ იტყვით, პავლე უფრო პირქუშად უყურებდა მოვლენებს, ვიდრე თავად ცენზორი, რომელიც ვოსკობოინიკოვის აგრარულ ვნებათაღელვას ლაგამსა სდებდა.

– რაღა რას ამბობენ? იმას ამბობენ, რომა ხალხი მიუშვეს, სუ წითელ კვერცხებს უგორებენო, მაშა! მერედა განა ჩვენ ძმას ეგღა უნდოდა? მაგ მუდრეგებსა თუ ნება მიეცი, ეცემიან ერთმანეთსა და გადათელამენ, ღმერთმანი. ჰაიტ, შე სამგლე, შენა!

მეორედ იყო, ბიძა-დისწული დუპლიანკას რომ მიემგზავრებოდა. იურა ფიქრობდა, გზა დავიმახსოვრეო, და ყოველთვის, როცა მინდვრები განგან გარბოდნენ, ხოლო ტყეები აქეთ-იქიდან წვრილ-წვრილ არშიად ევლებოდნენ, ეგონა, იმ ადგილს მიადგნენ, საიდანაც გზა მარჯვნივ გაუხვევდა, მოსახვევიდან კი წამით გამოჩნდებოდა და კვლავ თვალს მიეფარებოდა კოლოგრივოვის ათვერსიანი ხედი შორეთში მოელვარე მდინარით და მის გასწვრივ გაწოლილი რკინიგზით, მაგრამ ყოველთვის ტყუვდებოდა. მინდვრებს მინდვრები ენაცვლებოდნენ, ტყეებიც ისევ და ისევ გარს ეხვეოდნენ. ამგვარ სივრცეთა ცვალებადობა გულს ალაღებდა. კაცს ოცნება და მომავალზე ფიქრი მოგინდებოდა.

– იმ წიგნებიდან, მერე და მერე ნიკოლაი ნიკოლაევიჩს სახელი და დიდება რომ მოუტანეს, ჯერ არც ერთი დაწერილიყო, მაგრამ აზრები უკვე გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული ჰქონდა. ჯერ არ იცოდა, მისი ჟამი როდის დაჰკრავდა.

მალე იმდროინდელი ლიტერატურის წარმომადგენლებს, უნივერსიტეტის პროფესორებსა და რევოლუციის ფილოსოფოსებს შორის უნდა გამოჩენილიყო ეს ადამიანი, რომელიც ყველა მათ თემაზე ფიქრობდა,

თუმცა ტერმინოლოგიის გარდა მათთან საერთო არა ჰქონდა რა. დანარ-ჩენები დიდიან-პატარიანად ჯგროებად იყვნენ მიკოწიწებულნი რომე-ლიმე დოგმაზე, მარტოოდენ სიტყვებითა და გარეგანი ზიზილ-პიპილე-ბით კმაყოფილდებოდნენ, მამა ნიკოლოზი კი ის მღვდელი გახლდათ, ტოლსტოველობაც და რევოლუციაც უკან რომ მოიტოვა და ახლა სულ წინ და წინ მიიწევდა. მას აზრი სწყუროდა, აზრი ფრთიანი, ნივთიერი, გზას ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე რომ გაიკაფავდა, ქვეყნად სიკეთეს დაამკვიდრებდა და ვითარცა ელვის კაშკაში ან ჭექა-ქუხილის ნაკვალევი, ნებისმიერი ბავშვის თუ უბირი ადამიანისათვის ცხადზე უც-ხადესი იქნებოდა. სიახლე სწყუროდა.

იურას უყვარდა ბიძასთან ყოფნა. დედას ამსგავსებდა. მასავით ისიც თავისუფალი ადამიანი იყო და უჩვეულო საგნებს თუ მოვლენებს წინას-წარი ახირებით არ ეპყრობოდა. როგორც დედა, ისიც ყოველი სულიერი-სადმი თანასწორობის გრძნობით იყო განმსჭვალული. მასაც ყოველივე თვალის ერთი შევლებით ესმოდა და შეეძლო აზრები ისე გამოეთქვა, როგორც ისინი მოდიან თავში პირველივე წუთს, ვიდრე ცოცხალნი არი-ან და ჯერ უაზრობად არ ქცეულან.

ბიჭს უხაროდა, ბიძამ დუპლიანკაში რომ წამოიყვანა. იქ ყველაფერი მეტისმეტად ლამაზი იყო. გარემოს სილამაზეც დედას აგონებდა, რადგან ბუნება მასაც უყვარდა და სეირნობისას ხშირად შვილსაც დაატარებდა. გარდა ამისა, იურას სიამოვნებას ჰგვრიდა იმაზე ფიქრიც, რომ კვლავ შეხვდებოდა ნიკა დუდოროვს, ვოსკობოინიკოვთან მცხოვრებ გიმნაზი-ელს, რომელიც ამრეზით უყურებდა. ორიოდე წლით უფროსი იყო და ალბათ იმიტომ. მისალმებისას ნიკა იურას ხელს დაბლა ექაჩებოდა. თავს იმდენად დაბლა უკრავდა, ქოჩორი შუბლზე ეშლებოდა და სახეს სანა-ხევროდ უფარავდა.

5

– პაუპერიზმის[4] პრობლემის სასიცოცხლო ნერვის წყალობით, – კითხულობდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი ჩასწორებულ ხელნაწერში. – მგონი უკეთესი იქნება, თუ ვიტყვით – არსიო, – ამბობდა ივან ივანოვიჩი და კორექტურაში შესაბამისი შესწორება შეჰქონდა. შუშაბანდის ბინდბუნდში მუშაობდნენ. ირგვლივ უწესრიგოდ ეყარა წურწურები და საბაღე იარაღი. გატეხილი სკამის საზურგეზე საწვიმარი იყო მიგდებული. იქვე, კუთხეში ტალახშემხმარი და იატაკამდე ყელებდაშვებული ჭაობის ჩექმები ეწყო.

– ამასთანავე, სიკვდილიანობისა და შობადობის სტატისტიკა გვიჩვენებს, – ჰკარნახობდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი.

– უნდა ჩავუმატოთ: საანგარიშო წლის განმავლობაში, – ამბობდა ივან ივანოვიჩი და ნაწერს ასწორებდა.

შუშაბანდში ოდნავ შესამჩნევი გამჭოლი ნიავი უბერავდა. ბროშურის ფურცლები აქეთ-იქით რომ არ გადაცვენილიყო, ზედ გრანიტის ნატეხები ეწყო.

საქმეს რომ მორჩნენ, ნიკოლაი ნიკოლაევიჩი სახლში წასასვლელად – ავდარს აპირებს. უნდა წავიდე.

– არც კი იფიქროთ. ვერ გაგიშვებთ. საცაა ჩაის მოგვიტანენ. – საღამოს უთუოდ ქალაქში უნდა ვიყო.

– ვერაფერი გიშველით. გაგონებაც არ მინდა.

ბაღჩიდან წამოსული სამოვრის ნამწვავი ნახშირის სუნი თამბაქოს და ჰელიოტროპის სურნელებას აყუჩებდა. ფლიგელიდან იქით გაჰქონდათ ყაიმაღი, კენკრა და ნამცხვარი. ამასობაში ამბავი მოიტანეს, პავლე საბანაოდ წავიდა მდინარეზე და ცხენებიც წაასხაო. სხვა გზა არ იყო და

---

[4] „პაუპერ“ ლათინურად „ღარიბს” ნიშნავს. „პაუპერიზმი“ ანუ მოძღვრება ხალხის მასების გაღატაკების თაობაზე საკმაოდ გავრცელებული იყო ევროპაში XIX ს-ის მეორე ნახევარში.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩიც დაჰყვა მასპინძლის ნებას.

– ვიდრე ჩაის მოგვიტანენ, წავიდეთ, სკამზე ჩამოვსხდეთ ხევის პირას. – შესთავაზა სტუმარს ივან ივანოვიჩმა.

ივან ივანოვიჩს მდიდარ კოლოგრივოვთან ახლობლის უფლებით ეჭირა მოურავის ფლიგელის ორი ოთახი. ეს მომცრო სახლი მიმდებარე ბაღჩასთან ერთად შესასვლელი გზის ძველი, ნახევრად მრგვალი ხეივნიანი პარკის ჩაშავებულ, მიტოვებულ ნაწილში მდებარეობდა. ხეივანი ხშირ ბალახს დაეფარა. გზა გაუქმებული იყო და აქედან ახლა მიწა და სამშენებლო ნაყარნუყარი თუ გაჰქონდათ სანაგვედ ქცეულ ხევში გადასაყრელად. თავად კოლოგრივოვი, მოწინავე შეხედულებების მქონე, რევოლუციის მიმართ თანაგრძნობით განმსჭვალული კაცი, იმხანად ცოლთან ერთად საზღვარგარეთ იმყოფებოდა. მამულში მხოლოდ მისი ქალიშვილები – ნადია და ლიპა ცხოვრობდნენ გადიასთან და მცირერიცხოვან მოსამსახურეებთან ერთად.

მოურავის ბაღჩას ტბორებიან-მდელოებიანი პარკისა და საბატონო სახლისაგან შავი ძახველის ხშირი ცოცხალი ღობე ჰყოფდა. ივან ივანოვიჩმა და ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა ბარდებს გარედან მოუფარეს. მათ წინ წარამარა გუნდ-გუნდად ფრინდებოდნენ ბეღურები. ძახველის ბუჩქები მათი ფრთხიალით ივსებოდა და გეგონებოდათ, ივან ივანოვიჩისა და ნიკოლაი ნიკოლაევიჩის წინ, ღობის გასწვრივ, მილში წყალი მიჩხრიალებსო.

– ორანჟერეას, მებაღის სადგომებს და გაურკვეველი დანიშნულების ქვის ნანგრევებს გასცდნენ. საუბარი მეცნიერებასა და ლიტერატურაში მოსულ ახალ თაობაზე ჩამოვარდა.

– რაღა თქმა უნდა, შიგადაშიგ ნიჭიერი ადამიანებიც გვხვდებიან, – ამბობდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, – მაგრამ ახლა ნაირ-ნაირი წრეები და გაერთიანებები დიდ გასავალშია. ყოველგვარი ჯოგურობა უნიჭობის თავშესაფარია, სულ ერთია, სოლოვიოვის ერთგულებით იქნება ნაკარნახევი, კანტისა თუ მარქსისა. ჭეშმარიტებას მარტოოდენ ერთეულები

ეძიებენ და ყველას ზურგს აქცევენ, ვისაც იგი არასაკმარისად უყვარს. ნეტა ვიცოდე, არის კი ქვეყნად ისეთი რამ, ერთგულებას რომ იმსახურებდეს? ასეთი რამეები ერთობ მცირეა. მგონი უკვდავების, სიცოცხლის ან სხვა, ოდნავ გაძლიერებული სახელწოდების ერთგულნი უნდა ვიყოთ. უკვდავების მიმართ ერთგულება უნდა შევინარჩუნოთ, ქრისტეს ერთგულნი უნდა ვიყოთ! ეჰ, ჩემო საბრალო მეგობარო, თქვენ იღუშებით. ისევ და ისევ ვერაფერიც ვერ გამიგეთ.

– მდა, – ბურტყუნებდა თხელ-თხელი, ქერა, დაუდეგარი ივან ივანოვიჩი, რომელიც თავისი იქედნური წვერით ლინკოლნის[5] დროინდელ ამერიკელს წააგავდა. იგი წვერს წამდაუწუმ მუჭში იქცევდა და მის ბოლოებს ბაგეებით იჭერდა. – მე, რა თქმა უნდა, ჩუმადა ვარ. თავადვე იცით, – ასეთ რამეებს სულ სხვანაირად ვუყურებ. ჰო, მართლა, მომიყევით, როგორ გაგკრიჭეს. დიდი ხანია, მინდოდა მეკითხა. რაო, ხომ არ გადაამლაშეს? ანათემაზე[6] ხომ არ გადაგცეს? ჰა?

– რაც სათქმელია, თავს რად ვარიდებთ? თუმცა რა უჭირს, რაკი ეგრეა. ანათემაზეო, მეუბნებით? არა, ამჟამად აღარ მწყევლიან. იყო უსიამოვნება, დარჩა შედეგი. მაგალითად, სახელმწიფო სამსახურში ყოფნის უფლება დიდი ხნითა მაქვს ჩამორთმეული. დედაქალაქებშიც აღარ მიშვებენ. მაგრამ ეს სისულელეა. საუბრის საგანს დავუბრუნდეთ. ქრისტეს ერთგულნი უნდა ვიყოთ-მეთქი, გითხარით. ახლავე აგიხსნით. ნუთუ არ გესმით, რომ შეიძლება ათეისტი იყოს კაცი, შეიძლება არც ის იცოდეს, არის თუ არა ღმერთი, ან რისთვისაა იგი საჭირო, მაგრამ ამავე დროს იცოდეს, რომ ადამიანი ბუნებაში კი არა, ისტორიაში ცხოვრობს. ახლანდელი გაგებით, ისტორია ქრისტემ დააფუძნა და სახარება მისი ლიბოა. ისტორია რაღაა? ეს სიკვდილის თანმიმდევრული ამოცნობისა და მისი

---

[5] იგულისხმება ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე, მონობის წინააღმდეგ მებრძოლი აბრაამ ლინკოლნი (1809-1865), აშშ-ის პრეზიდენტი 1861-1865 წლებში.

[6] მოკვეთა, შეჩვენება, საეკლესიო სასჯელის განსაკუთრებული ზომა.

მომავალი დაძლევისათვის საუკუნოვან სამუშაოთა დადგინებაა. ამისთვის ხდება მათემატიკური უსასრულობისა და ელექტრომაგნიტური ტალღების აღმოჩენა, საამისოდ იწერება სიმფონიები. ამ მიმართულებით წინსვლა გარკვეული აღმაფრენის გარეშე შეუძლებელია. ამ აღმოჩენებისთვისაა საჭირო სულიერი გაწონასწორება. მის მონაცემებს სახარება შეიცავს. აი ისინიც: უპირველესად, ეს არის მოყვასის სიყვარული, ეს უმაღლესი სახეობა ცოცხალი ენერგიისა, რაიც ადამიანის გულს ავსებს, გარეთ გამოსვლას და ხარჯვას მოითხოვს. მას მოსდევს თანამედროვე ადამიანის მთავარი შემადგენელი ნაწილები, ურომლისოდაც იგი წარმოუდგენელია. სახელდობრ, თავისუფალი პიროვნების და სიცოცხლის, როგორც მსხვერპლის იდეა. მხედველობაში იქონიეთ, რომ სადღეისოდ ყოველივე ეს მეტისმეტად ახალი რამაა. ამ თვალსაზრისით, ძველებს ისტორია არა ჰქონიათ. აქ იყო სასტიკი, ყვავილის სენით დახრული კალიგულების[7] სანგვინისტური ღორობა, რომელთაც არც კი ესმოდათ, თუ რა უნიჭოა ყოველგვარი დამპყრობელი. იქ კი იყო ბრინჯაოს ძეგლებისა და მარმარილოს სვეტების ბაქიბუქა მკვდარი მარადისობა. საუკუნეებმა და თაობებმა მხოლოდ ქრისტეს შემდეგ ამოისუნთქეს თავისუფლად. მარტო მას შემდეგ დაიწყო შთამომავლობაში ცხოვრება და ადამიანი ქუჩაში, ღობის ძირას კი არა, თავის ისტორიაში, სიკვდილის დასამარცხებლად გაჩაღებულ შრომაში კვდება, კვდება ისე, რომ თავადაც ამ თემას ეწირება. უჰ, დასწყევლოს ღმერთმა, რომ იტყვიან, ოფლში გავიწურე, ამას კი რაც გინდა, ის ელაპარაკე. – ეგ ყველაფერი მეტაფიზიკაა, ჩემო კარგო, ექიმებმა ამიკრძალეს. მაგას ჩემი კუჭი ვერ მოინელებს.

– ჯანდაბას. თავი დავანებოთ. ნეტავი თქვენა! ისეთი სახე გაქვთ, კაცს გააგიჟებთ. ერთი შეხედეთ, ცხოვრობს და არაფერი ედარდება. მდინარის

[7] „კალიგულა“ სისასტიკით და უზნეობით განთქმული რომის იმპერატორს გაიუს ცეზარ ავგუსტ გერმანიკის მეტსახელია, რომელიც რომის იმპერიას ჩვ. წ. 37-41 წლებში მართავდა. ვარაუდობენ, რომ შესაძლოა აქ სტალინზეც იყოს მინიშნება.

ცქერა შეუძლებელი იყო. მზეზე ელვარებდა, რკინის ფურცელივით აღ-მა-დაღმა იზნიქებოდა. უეცრად ზედაპირზე ნაოჭები გაუჩნდა. გამოღმი-დან გაღმა ნაპირისკენ ცხენებით, საზიდრებით, ქალებითა – და კაცებით დატვირთული მძიმე ბორანი გაცურდა.

– წარმოგიდგენიათ? მხოლოდ მეექვსე საათია, – თქვა ივან ივანოვიჩ-მა. – ხედავთ, ჩქარი მატარებელი მოდის სიზრანიდან. ხუთ საათსა და რაღაც წუთებზე ჩაივლის ხოლმე.

შორს, დაცემულ ვაკეზე, მარჯვნიდან მარცხნივ, მანძილის გამო მკვეთრად დაპატარავებული, ყვითლად და ლურჯად გაკრიალებული მა-ტარებელი მიჰქროდა. უცებ შენიშნეს, რომ იგი გაჩერდა. ორთქლმავლის თავზე ორთქლის თეთრი გორგლები გაიშალა. ცოტა ხნის შემდეგ საგან-გაშო შეკივლებამაც მოაღწია.

– უცნაურია, – თქვა ვოსკობოინიკოვმა. – რაღაც ფარსაგი უნდა იყოს. ისე ჭაობებში არ გაჩერდებოდა. ეტყობა, რაღაც მოხდა. წავიდეთ, ჩაი დავლიოთ.

6

ნიკა არც ბაღში აღმოჩნდა და არც სახლში. იურა ხვდებოდა, რომ ემალებოდა, რადგან ბიჭი მათთან მოწყენილი იყო და თავადაც ვერაფე-რიშვილ ამფსონობას გაუწევდა. ბიძამისმა ივან ივანოვიჩთან ერთად სა-მუშაოდ შუშაბანდს მიაშურა და მეტი რა ჩარა იყო, იურას სახლის გარ-შემო უმიზნოდ უნდა ეყიალა.

ირგვლივ საოცარი მშვენიერება სუფევდა! ყოველ წუთს ისმოდა მო-ლაღურების სამმუხლოვანი სტვენა. ფრთოსანი მგალობელნი შიგადაშიგ ჩერდებოდნენ და საკუთარ ხმას აყურადებდნენ, რათა ნოტიო, სალამუ-რივით წკრიალა ხმებით არემარე ერთიანად გაჟღენთილიყო. ჰაერში მი-

მობნეული ყვავილთა სურნელება პაპანაქებას ყვავილნარისთვის უძრავად მიეჯაჭვებინა. როგორ აგონებდა ყოველივე ანტიბს და ბორდიგერას![8] იურა წარამარა ტრიალდებოდა მარჯვნივ და მარცხნივ. ცის თავანიდან იღვრებოდა დედის ძახილი. იურას იგი ფრინველთა ხმაშეწყობილ გალობად, ფუტკრების ზუზუნად ჩაესმოდა. მალიმალ კრთოდა, ეჩვენებოდა, თითქოს დედა უხმობდა, სადღაც ეძახდა.

ხევისკენ გაემართა, თავქვე დაეშვა. ფერდობზე შეფენილი მეჩხერი, სუფთა ტყიდან ერთბაშად ხევის ფსკერზე მოდებულ მურყნარში აღმოჩნდა.

გარშემო ნესტიან სიბნელეს დაესადგურებინა. აქა-იქ ქარიშხლისაგან დალეწილი ხეები და ლეში ეყარა. ნაკლებად ჩანდა ყვავილები. ამ ყიამეთში შვიტას მუხლოვანი ღეროები იურას დასურათებულ საღვთო წერილში გამოსახულ, ძველეგვიპტური ჩუქურთმებით დამშვენებულ კვერთხებს და არგნებს წააგავდა.

გულზე ნაღველი შემოაწვა. ტირილი მოუნდა. უხმოდ ჩაიკეცა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსცვივდა.

– ღვთიურო ანგელოზო[9], ჩემო წმინდა მფარველო, – ლოცულობდა იურა, – ჭეშმარიტი გზით წარმართე გონება ჩემი და ჩემს დედიკოს აუწყე, რომ არა მიჭირს რა, ნუ იდარდებს. და თუ იმქვეყნად მართლაც არის სასუფეველი, სამოთხეში ამყოფე, ღმერთო, სადაც წმინდანებს და ალალმართლებს მზესავით ადგათ შარავანდედი. ჩემი დედიკო ისეთი კეთილი იყო, შეუძლებელია ცოდვილი იყოს. შეიწყალე, უფალო, და ისე მოაწყვე საქმე, რომ არ იწვალოს. დედიკო! – სულისშემძვრელი მწუხარებით უხმობდა ციდან, ვითარცა ახალმოვლენილ წმინდანს. უცაბედად თავი ვეღარ შეიმაგრა, მიწაზე დაეცა და გრძნობა დაკარგა.

---

[8] ანტიბი და ბორდიგერა საკურორტო ქალაქები. პირველი მათგანი სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ხოლო მეორე – ჩრდილოეთ იტალიაში.

[9] არაზუსტი ციტატა მხსნელი ანგელოზის კანონიდან (ტროპარი, ხმა 6).

დიდხანს არ წოლილა გულწასული. გონს რომ მოვიდა, ყური მოჰკრა, ზევიდან ბიძა ეძახდა. გაეხმიანა და აღმართს შეუდგა. უცებ გაახსენდა, თავის კვალწმინდად დაკარგულ მამაზე რომ არ ელოცნა, როგორც ამას მარია ნიკოლაევნა ასწავლიდა.

მაგრამ გულის წასვლის შემდეგ თავს ისე კარგად გრძნობდა, არ უნდოდა ეს სიმსუბუქე გამქრალიყო, მისი დაკარგვის შეეშინდა. და გაიფიქრა, არაფერი დაშავდება, თუ მამაზე სხვა დროს ვილოცებო. – დაიცდის, მოითმენსო, – თითქოს გაიფიქრა. იურას იგი სულ არ ახსოვდა.

7

მატარებლის მეორე კლასის კუპით მამასთან, ორენბურგელ ნაფიც რწმუნებულ[10] გორდონთან ერთად მგზავრობდა მეორე კლასელი გიმნაზიელი მიშა გორდონი. თერთმეტი წლის ბიჭუნა იყო, ფიქრიანი სახე და დიდრონი შავი თვალები ჰქონდა. მამა სამუშაოდ მოსკოვში გადადიოდა, ბიჭსაც მოსკოვის გიმნაზიაში უნდა ევლო. კარგა ხანი იყო, დედამისი თავის დებთან ერთად ადგილზე იყო ჩასული და ბინის მოწყობის გაწამაწიაში ჩაფლულს თავი არ ახსოვდა.

მესამე დღე იყო, მამა-შვილი მატარებელში იმყოფებოდა.

სადღაც, მხურვალე მტვრის ღრუბლებში, კირწასმულივით მზით თეთრად შეფეთქილი რუსეთი მიცურავდა თავისი მინდორ-ველებით და დაბა-სოფლებით. შარაგზებზე გაჭიმული აღალები საურმე გზებიდან ლიანდაგებისაკენ მძიმე-მძიმედ მოემართებოდნენ. თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმქროლავი მატარებლიდან ისე მოჩანდა, თითქოს საზიდრები უძრავად დგანან, ხოლო ცხენები ერთ ადგილზე იტკეპნებიანო. დიდ

[10] ნაფიცი რწმუნებული – 1864 წლის სასამართლოს რეფორმის შემდეგ ასე იხსენიებდნენ რუსეთში საოლქო სასამართლოს და სასამართლო პალატის სახელმწიფო სამსახურში მყოფ ადვოკატებს.

გაჩერებებზე მგზავრები დამთხვეულებივით აწყდებოდნენ ბუფეტს. ჩამავალი მზე სადგურის ბაღის ხეების იქიდან ანათებდა და ვაგონის ბორბლებქვეშ ეფინებოდა.

ქვეყნად ყოველი მოძრაობა ფხიზლად იყო გაანგარიშებული, მთლიანად კი ისინი ანგარიშმიუცემლად დამთვრალიყვნენ მათივე გამაერთიანებელი ცხოვრების საერთო მდინარებით. საკუთარ საზრუნავთა მექანიზმებით აღძრული ადამიანები შრომობდნენ და ფუსფუსებდნენ. მაგრამ იგივე მექანიზმები არ იმოქმედებდნენ, მათი მთავარი მომწესრიგებელი უმაღლესი და ყოვლისმომცველი გულდამშვიდების გრძნობა რომ არ ყოფილიყო. ამ უზრუნველობას ჰბადებდა ადამიანურ არსებობათა ურთიერთკავშირი, ერთი მათგანიდან მეორეში გადასვლის რწმენა, ბედნიერების განცდა იმის გამო, რომ ყოველივე მარტოოდენ იმ მიწაზე კი არ ხდება, რომლის წიაღშიც მიცვალებულებს ასაფლავებენ, არამედ კიდევ სხვაგან, იქ, რასაც ერთნი ღვთის საბრძანებელს უწოდებენ, მეორენი ისტორიას, მესამენი კი სულ სხვა რაღაცას.

ამ წესებიდან ბიჭი მწარე და მძიმე გამონაკლისი გახლდათ. მის უკანასკნელ ზამბარას წუხილის გრძნობა წარმოადგენდა, უზრუნველობაც შვებას არ ჰგვრიდა, ზნეობრივად არ ამაღლებდა. იცოდა, ეს თვისება მემკვიდრეობით ჰქონდა გამოყოლილი და მის ნიშნებს საკუთარ თავში იჭვნეული გაფაციცებით პოულობდა. სწორედ ეს იყო, გულს რომ სწყვეტდა. მისი აჩრდილი ამცირებდა.

რაც თავი ახსოვდა, სულ უკვირდა, რომ დანარჩენებივით მასაც ისეთივე ხელ-ფეხი ჰქონდა, იგივე ენა და თვისებები, და მაინც ყველასგან ასე განირჩეოდა, თანაც იმგვარი რამით, რაც ცოტას თუ მოსწონდა, სხვანი და სხვანი კი ათვალწუნებით უყურებდნენ. მას არ შეეძლო ჩასწვდომოდა მდგომარეობას, როცა სხვაზე უარესი ხარ, გსურს გამოსწორდე, კიდევაც ცდილობ, მაგრამ ვერა გაგიწყვია რა, განა რას ნიშნავს ებრაელობა? რისთვის არსებობს? ანდა რითი მართლდება ან ჯილდოვდება ეს უიარაღო გამოწვევა, დარდის მეტი რომ არა მოაქვს რა?

ამგვარი კითხვით მამას რომ მიმართავდა, იგი ჰპასუხობდა, რაღაც ახირებული აგკვიატებიაო, ეგრე მსჯელობა როგორ იქნებაო, მაგრამ სანაცვლოდ ისეთს არაფერს ეუბნებოდა, რაც აზრის სიღრმით მის გონებას გაიტაცებდა და შეუცვლელის წინაშე უსიტყვო მორჩილებას აიძულებდა.

თავისი დედ-მამის გარდა მიშას თანდათან შესძაგდა უფროსები, რომელნიც ისეთ აბლაბუდაში გახლართულან, თავი და ბოლო ვერ უპოვიათ დარწმუნებული იყო, გაიზრდებოდა და ყოველივეს თავის ადგილს მიუჩენდა.

აი ახლაც ვერავინ იტყოდა, რომ მამამისი არასწორად მოიქცა, იმ გადარეულს რომ გამოუდგა, როცა იგი ვაგონის ტალანში გაიჭრა, ან თუნდაც მაშინ, განა საჭირო არ იყო მატარებლის გაჩერება, როდესაც იმ უბედურმა გრიგორი ოსიპოვიჩი ხელისკვრით მოიშორა თავიდან, ვაგონის კარი გამოაღო და გაქანებული მატარებლიდან მიწაყრილზე თავით გადაეშვა, სწორედ იმგვარად, წყალში ჩაყვინთვისას რომ ხტებიან ხოლმე?

მაგრამ რაკი მუხრუჭის სახელური სხვა ვინმემ კი არა, სწორედ გრიგორი ოსიპოვიჩმა მოქაჩა, ისე გამოდიოდა, რომ მატარებელი ასე უსაშველოდ დიდხანს მათი წყალობით იყო გაჩერებული.

საქმის ამგვარი გაჭიანურების მიზეზი არავინ იცოდა. ერთნი ამბობდნენ, უეცარი შეჩერებით საჰაერო მუხრუჭები დაზიანდაო, მეორენი გაიძახოდნენ, მატარებელი ციცაბო აღმართზე დგას და გაქანების გარეშე ორთქლმავალს მისი გაწევა უჭირსო. მესამენი იმ აზრს ავრცელებდნენ, თვითმკვლელი დიდი კაცია და მისმა რწმუნებულმა, ამავე მატარებლით მასთან ერთად რომ მოდიოდა, მოითხოვა, ოქმის შესადგენად უახლოეს სადგურ კოლოგრივოვკიდან მოწმეები გამოიწვიონო. აი, თურმე რატომ აცოცდა მემანქანის თანაშემწე სატელეფონო ბოძზე. დრეზინი ალბათ უკვე გზაშია.

ვაგონში საპირფარეშოებიდან უსიამო სუნი აღწევდა და მათი სიმ-

ყრალის განელებას ვარდის წყლით ცდილობდნენ. ყოველივე ამას ცხიმიან ქაღალდში შეხვეული შემწვარი ქათმების სუნიც ემატებოდა. ორთქლმავლის ჭვარტლში არეული, მომეტებული კოსმეტიკისაგან სათითაოდ შავტუხა ბოშა ქალებად ქცეული პეტერბურგელი მანდილოსნები კი ძველებურად იპუდრებოდნენ, ხელისგულებს ცხვირსახოცებით იმშრალებდნენ და აღუღუნებულ-აწრიპინებული ხმით მასლაათობდნენ. გორდონების კუპესთან გავლისას მხრებზე მოსასხამებს ისწორებდნენ, ტალანის სივიწროვეს ახალ საკეკლუცო საშუალებად იყენებდნენ და მიშას ეჩვენებოდა, რომ სისინებდნენ, ან, თუ მათი მოპრუწული ტუჩების მიხედვით იმსჯელებდა კაცი, უნდა ესისინათ: „აჰ, შემოგვხედეთ, გეთაყვა, რა ტურფები ვართ! უბირი ხალხი არ გეგონოთ! ინტელიგენტები გახლავართ ოჰ, არ შეგვიძლია!

თვითმკვლელის გვამი მიწაყრილის მახლობლად, ბალახზე ესვენა. შუბლისა და თვალების გასწვრივ შემხმარი სისხლის ნაკადი შავად მოუჩანდა, თითქოს სახეზე არყოფნის ჯვარი დაუსვამთო. ეს სისხლი თითქოს მისი არ იყო, მას არ დასდენოდა, თითქოს სალბუნით, გამხმარი ტალახით ან არყის ხის ხმელი ფოთლით გარედან მიუკრავთო.

გვამის გარშემო ცნობისმოყვარეთა და თანამგრძნობთა გროვა განუწყვეტლივ იცვლებოდა. მის თავთან ოფლისაგან დასველებულ პერანგში გამოწყობილი ჯიშიანი პირუტყვივით იდგა პირქუში, გაქვავებულ სახიანი, მისივე კუპიდან მოსული ნაცნობი და მეზობელი, ჩასუქებული და ქედმაღალი ვექილი. სიცხისგან სულშეხუთული, მსუბუქ ჩალის ქუდს ინიავებდა. ყველა კითხვაზე მხრებს იჩეჩავდა, მოსაუბრეს არც კი უყურებდა, კბილებში სცრიდა: „ლოთბაზარა იყო, ნუთუ არ გესმით? ეგ მოსდგამს ხოლმე თეთრ ხურვებას, აბა!”

გვამთან ორჯერ თუ სამჯერ მივიდა შალის კაბიანი, არშიაშემოვლებულ თავსაფრიანი გამხდარი ქალი. ორი მემანქანის ქვრივი და დედა, მოხუცებული ტივერზინა იყო. ორ რძალთან ერთად სამსახურებრივი ბილეთებით და მესამე კლასის კუპით უფასოდ მგზავრობდა. მდუმარე,

თავშლებში საგულდაგულოდ შეფუთნული ქალები დედაბერს უხმოდ მიჰყვებოდნენ, გეგონებოდათ, პირქუშ წინამძღვარს ორი მორჩილი ასდევნებიაო. ხალხი მათ მიმართ იმთავითვე მოწიწებით განიმსჭვალა.

აქეთ-იქით გაიწიეს და გზა უტიეს.

ტივერზინას ქმარი ერთი სარკინიგზო კატასტროფის დროს ცოცხლად დაიწვა. ქალი გვამისაგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით შეჩერდა, ისე, რომ ხალხის ჯგროდან თვალი შეევლო. თან ოხრავდა და ერთმანეთს ადარებდა. „ვინ იცის, შუბლზე ვის რა აწერიაო, – თითქოს ამბობდა იგი, – ზოგს ღვთის განგებით მოსდის, ამან კი, ხედავთ, როგორ წააგო თავი – ფუფუნებამ და ჭკუის ამჩატებამ უყოო".

მგზავრები ცხედარს ათვალიერებდნენ და ვაგონში ბრუნდებოდნენ, ეშინოდათ, ემანდ არაფერი მოგვპარონო.

ლიანდაგებზე რომ ხტებოდნენ, ტანში იშლებოდნენ, ყვავილებს ჰკრეფდნენ და მსუბუქად მიმორბოდნენ. ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ეს ადგილები მხოლოდ იმ გაჩერების წყალობით იყო ქვეყნად გაჩენილი და უცაბედად გამომტყვრალი უბედურება რომ არა, არც ეს ჭაობიანი მდელო და კოლბოხები იქნებოდა სადმე, არც ფართო მდინარე და არც მოპირდაპირე მაღალ ნაპირზე ლამაზად წამოყინჩული სახლი და ეკლესია.

მიმწუხრის მზეც კი, მხოლოდ აქაურს რომ წააგავდა, ლიანდაგებთან წარმოქმნილ სცენას მორცხვად ანათებდა, სწორედ იმგვარი რიდით და ძრწოლით, მახლობლად მობალაზე ნახირს ასხლეტილი ძროხა რომ შეათვალიერებდა რკინიგზის ხაზზე თავშეყრილ კრებულს.

მიშა თავზარდაცემული იყო მომხდარი ამბით და პირველ წუთებში სიბრალულით და ელდით დაზაფრული ქვითინებდა. ხანგრძლივი მგზავრობის განმავლობაში ის უბედური მათ კუპეში რამდენჯერმე შემოვიდა. ჩამოჯდებოდა და მიშას მამას საათობით ელაპარაკებოდა. „მე თქვენს გარშემო გამეფებულ წმინდა ზნეობრივ სიმყუდროვესა და ურთიერთგაგებაში სულს ვიოხებო", – გაიძახოდა და გრიგორი ოსიპოვიჩს ერთთავად

თამასუქების, ნაჩუქრობის ნუსხების, გაკოტრებისა და თაღლითობის ირგვლივ ათასნაირ იურიდიულ წვრილმანებსა თუ ხრიკებზე ემუსაიფებოდა.

– აი, თურმე როგორ ყოფილა! – გაკვირვებით აღმოხდებოდა ხოლმე გორდონის განმარტებებზე. – თქვენ რაღაც მოწყალე კანონებით განსჯით. ჩემს რწმუნებულს კი სულ სხვა მონაცემები გააჩნია. ამგვარ რამეებზე უიმედოდ აქვს ხელი ჩაქნეული.

ყოველთვის, როცა ეს ნერვებაწეწილი ადამიანი მშვიდდებოდა, პირველი კლასის კუპედან მისი იურისტი მეზობელი მოდიოდა და სალონვაგონში შამპანურის დასალევად ეძალებოდა. ეს სწორედ ის ჩასუქებული თავზედი, სუფთად გაპარსული პეწენიკი ადვოკატი გახლდათ, რომელიც ახლა გვამს არხეინად წამოსდგომოდა და მთელ დუნიაზე არაფერი აკვირვებდა. შეუძლებელი იყო, კაცს არ ეფიქრა, თავისი მუშტრის გამუდმებული აფორიაქება როგორღაც ხელს აძლევდაო.

ეს საქვეყნოდ ცნობილი მდიდარი, კეთილი და გულუბრყვილო კაცი უკვე ნახევრად შეურაცხადიაო, ამბობდა მამა. ის კი მიშას არც კი ერიდებოდა, თავის შვილზე, მიშას თანატოლზე და გარდაცვლილ ცოლზე ჰყვებოდა, მერე თავის მეორე, ასევე მიტოვებულ ოჯახზე გადადიოდა, რაღაც ახალს იხსენებდა, შიშისაგან ფერი მისდიოდა, ენა ერეოდა და ყველაფერი ავიწყდებოდა.

მიშას მიმართ რაღაც უცნაურ, აუხსნელ, ალბათ სასხვისოდ გათვალისწინებულ სინაზეს იჩენდა. თან წარამარა რაღაც-რაღაცეებით ასაჩუქრებდა და საამისოდ ყველაზე დიდი სადგურების პირველი კლასის დარბაზებში გადიოდა, სადაც წიგნებით სავსე დახლები იყო, სათამაშოები და ადგილობრივი საარმაღანო ნივთები იყიდებოდა.

ერთთავად სვამდა, თან ჩიოდა, მესამე თვეა, თვალზე რული არ მომკარებიაო, ხანდახან, მცირე ხნით რომ გამოვფხიზლდები, ისეთ საშინელ ტანჯვას განვიცდი, ჭკუადმყოფელი ვერ წარმოიდგენსო. აღსასრულამდე

ორიოდე წამით ადრე მათთან კუპეში შეირბინა, გრიგორი ოსიპოვიჩს ხელი ჩაავლო, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვეღარაფერი აწამა, მერე ის იყო, გარეთ გაიჭრა და მატარებლიდან გადავარდა.

მიშა მიცვალებულის უკანასკნელ სახსოვარს – ხის მომცრო ყუთში ჩალაგებულ, ურალის ქედის მინერალების ნაკრებს ათვალიერებდა. უეცრად ირგვლივ ჩოჩქოლი ატყდა. მეორე მხრიდან მატარებელს დრეზინი მოადგა. იქიდან კოკარდიან ქუდიანი გამომძიებელი, ექიმი და ქალაქის ორი პოლიციელი ჩამოხტა. გაისმა ცივი, საქმიანი ხმები. დამსწრეებს რაღაცას ეკითხებოდნენ, რაღაცას იწერდნენ. კონდუქტორები და პოლიციელები გვამს მიწაყრილზე აღმა უხერხულად მიათრევდნენ, წამდაუწუმ ფეხი უსხლტებოდათ და ქვიშაზე ცურდებოდნენ. ვიღაც დედაკაცს ტირილი აუვარდა. მგზავრებს სთხოვეს, ვაგონებში შესულიყვნენ. გაისმა სტვენა. მატარებელი დაიძრა.

8

„ისევ ეს ხატის ზეთი!" – მწყრალად გაიფიქრა ნიკამ და ოთახში აწრიალდა. სტუმართა ხმები ახლოვდებოდა. უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. საძინებელ ოთახში ორი საწოლი იდგა, ვოსკობოინიკოვისა და მისი, ნიკასი. ბევრი აღარ უფიქრია, სტუცა თავი და მეორის ქვეშ შეძვრა.

ესმოდა, სხვა ოთახებში როგორ ეძებდნენ, ეძახდნენ, სად დაიკარგაო, უკვირდათ. მერე საძინებელში შემოვიდნენ.

– ახლა რაღა ვქნათ, – თქვა ვედენიაპინმა, – მიდი, იურა, დატრიალდი, იქნებ როგორმე იპოვო ის შენი ამხანაგი, ითამაშებდით.

ერთხანს პეტერბურგის და მოსკოვის უნივერსიტეტების სტუდენტთა მღელვარებაზე საუბრობდნენ და ოციოდე წუთი ნიკა იმ სულელურ, დამამცირებელ სამალავში ჰყავდათ გამომწყვდეული, ბოლოს აივანზე გავიდნენ. ნიკამ ჩუმად გამოაღო ფანჯარა, გადახტა და პარკში გავიდა. იმ დღეს უცნაურ გუნებაზე იყო. კაცმა რომ თქვას, თვალი არც წინა ღამით

მოუხუჭავს. სახუმარო საქმე ხომ არ იყო, უკვე მეთოთხმეტე წელში იყო გადამდგარი. პატარაობა ყელში ამოუვიდა. მთელი ღამე არ სძინებია და ფლიგელიდან განთიადისას გამოვიდა. მზე ამოდიოდა. დედამიწა გრძელი, დილის ცვრით გადანამული, ერთმანეთში გადახლართული ხეთა ჩრდილებით იყო მოფენილი, რომელიც შავი კი არა, სველი ნაბადივით მუქი ნაცრისფერი იყო. დილის გამაბრუებელი სურნელება თითქოს სწორედ ამ მიწაზე განრთხმული ნოტიო ჩრდილებიდან მოდიოდა, რომელთა შორის წაგრძელებული გამონაშუქი გოგონას თითებს წააგავდა.

უეცრად მისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, ბალახბულახში აციმციმებული ცვარ-ნამის მსგავსად, ტყვიის ვერცხლისფერი ნაკადი გასრიალდა. ნაკადი მიედინებოდა, მიედინებოდა, მიწა კი არა და არ ისრუტავდა. მოულოდნელად ის ნაკადი მკვეთრი მოძრაობით გასხლტა გვერდით და მიიმალა. ანკარა იყო. ნიკა შეკრთა.

უცნაური ბიჭი იყო. აღელვებისას თავისთავს ხმამაღლა ელაპარაკებოდა. მაღალი მატერიებისა და პარადოქსებისადმი მიდრეკილებაში დედას ჰბაძავდა.

„ო, რა კარგია ამქვეყნად ყოფნა!" – გაიფიქრა მან. – „მაგრამ ეს განცდა რად არის ასე მტკივნეული? ღმერთი, რა თქმა უნდა, არსებობს. მაგრამ თუ არსებობს, ეს მე ვარ ღმერთი. აი, ვუბრძანებ", – გაიფიქრა და ძირიდან კენწერომდე აცახცახებულ ვერხვს შეხედა, რომლის მბზინავი ფოთლები თუნუქისაგან გამოჭრილს ჰგავდნენ, – „აი, მე ახლა ამას ვუბრძანებ", – და საკუთარ ძალთა არაადამიანური დაძაბვით, კი არ უჩურჩულა, მთელი არსებით, სულით და გულით მოინდომა და გაიფიქრა: „გაშეშდი!" – და ხეც იმწამსვე მორჩილად გაინაბა. გახარებულმა ნიკამ გაიცინა და მდინარეზე საბანაოდ გაეშურა.

მამამისი, ტერორისტი დომენტი დუდოროვი, ხელმწიფემ შეიწყალა და ჩამოხრჩობის ნაცვლად კატორღაში გაგზავნა. მისი დედა, ქართველი თავადის ქალი, გვარად ერისთავი, გიჟმაჟი, ჯერაც ახალგაზრდა მზეთუნახავი, ერთთავად ათასნაირი რამით იყო გატაცებული – ამბოხებებით,

ამბოხებულებით, უკიდურესი თეორიებით, სახელგანთქმული მსახიობებით თუ უპოვარი ხელმოცარულებით.

ნიკას აღმერთებდა და მისი სახელის – ინოკენტისაგან უამრავ ნაზ და ქარაფშუტულ მეტსახელებს თხზავდა, როგორიცაა ინუკა, ინაკუკა... ადრე ტფილისშიც ჰყავდა წაყვანილი თავის ახლობლებთან. იქ ბიჭი ყველაზე მეტად ერთმა უცნაურმა თითებგაფარჩხულმა ხემ გააოცა, რომელიც იმავე ეზოში იდგა, სადაც სტუმრობდნენ. ერთი უშველებელი ტროპიკული გოლიათი იყო, სპილოს ყურების მსგავსი ფოთლებით იცავდა ეზოს სამხრეთული მცხუნვარე მზისაგან. ნიკა ვერაფრით შერიგებოდა იმ აზრს, რომ ის ხე მცენარე იყო და არა ცხოველი.

ბიჭს მამის გვარი სამომავლოდ ხიფათს უქმნიდა. ამიტომ იყო, რომ ნინო გალაქტიონის ასულის თანხმობით ივან ივანოვიჩი ხელმწიფის სახელზე არზის დაწერას აპირებდა დედის გვარზე ნიკას გადასაწერად. ამქვეყნიურ საქმეთა მდინარებით გულმოსული, საწოლქვეშ რომ იწვა, სხვათა შორის ამაზეც ფიქრობდა. არადა, მართლაც ვინ მიგდია ეს ვოსკობოინიკოვი, სხვის საქმეებში რომ ეჩხირება? დააცადონ ერთი, თუ კაცია, მას და მის მსგავსებს ჭკუას ასწავლის!

ან ეს ნადია ვიღასი ტიკი-ტომარაა? დიდი ამბავი, თუ თხუთმეტი წლისაა, ეს იმას როდი ნიშნავს, ტუჩი აუბზუოს და ისე ელაპარაკოს, როგორც პატარას? ერთი დააცადოს, მაგისთვისაც მოიცლის! „ვერ ვიტან, – თავისთვის რამდენჯერმე გაიმეორა ბიჭმა. – მოვკლავ, ნავით წავიყვან სასეირნოდ და დავახრჩობ”.

ისე, სხვათაშორის, დედაც კარგი ვინმეა. წასვლისას, რაღა თქმა უნდა, ისიც და ვოსკობოინიკოვიც გვარიანად გააცურა. არავითარ კავკასიაში არ წასულა, უბრალოდ, უახლოესი საკვანძო სადგურიდან ჩრდილოეთისაკენ გაუბერა. ახლა ალბათ უკვე პეტერბურგშია და სტუდენტებთან ერთად არხეინად უშენს ტყვიას პოლიციელებს, ბიჭი კი ცოცხლად უნდა დალპეს ამ ორმოში. მაგრამ არა, ეშმაკობაში ყველას აჯობებს. დაახ-

რჩობს ნადიას, მიატოვებს გიმნაზიას და აჯანყების მოსაწყობად ციმბირში მოუსვამს, მამასთან.

გუბურის ნაპირი ერთიანად დუმფარებით იყო მოფენილი. ნავი მის ტევრებს შრიალით შეერია. ბარდებში გუბურის წყალი მოჟონავდა, სწორედ იმგვარად, სამკუთხა განაჭერში რომ იწურება ხოლმე საზამთროს წვენი.

ქალ-ვაჟი დუმფარების კრეფას შეუდგა. ორივენი ერთ მაგარ, რეზინივით ხეშეშ ღეროს დაეძგერნენ. ვერაფერი დააკლეს და თავებით ერთმანეთს დაეტაკნენ. თითქოს უეცრად თოკით გაქაჩესო, ნავმა ნაპირისაკენ გაიწია. ღეროები ერთმანეთში ირეოდნენ და მოკლდებოდნენ.

თეთრი ყვავილები სისხლიანი კვერცხის გულივით მოელვარე გულებით ყვინთავდნენ წყალში, მერე კი თავებს კვლავ მაღლა სწევდნენ და წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ.

ნადია და ნიკა ყვავილების კრეფას განაგრძობდნენ. ისინი გვერდიგვერდ იწვნენ დაფერდებული ნავის კიდეზე, რომელიც თანდათან იძირებოდა წყალში.

– მომწყინდა სწავლა, – ჩაილაპარაკა ნიკამ. – დროა ცხოვრებას შევუდგე, ფული ვიშოვო, ხალხში გავიდე.

– მე კი შენთვის კვადრატული განტოლებების ამოხსნაში დახმარება უნდა მეთხოვნა. ალგებრაში ისე სუსტი ვარ, კინაღამ გამოცდა გამომაყოლეს.

ნიკას მოეჩვენა, დამცინისო. რაღა თქმა უნდა, ეს ახტაჯანა ჭკუას ასწავლის, აღუა ხარო, ეუბნება. კვადრატული განტოლებები! მათ ხომ ალგებრა ჯერ ხილადაც არ უხილავთ.

წყენა არც კი შეუმჩნევია, მოგონილი გულგრილობით სიტყვა ბანზე აუგდო და იმავე წამს მიხვდა, რომ სისულელე წამოროშა:

– როცა გაიზრდები, ცოლად ვის გაჰყვები?

– უჰ, რა დროს ეგ არის. ალბათ არავის, მაგაზე ჯერ არ მიფიქრია. – თუ გგონია, მაინტერესებს, ძალიან ცდები.

– მაშ რაღას მეკითხები?

– რა ტუტუცი ხარ!

შეჰყვნენ და ჩხუბი მოუვიდათ. ნიკას თავისი იმდილანდელი ქალ-თმოძულეობა გაახსენდა. ნადიას დაემუქრა, ენას ნუ ატლიკინებ, თორემ წყალში ჩაგაყირავებ და დაგახრჩობო.

– აბა, გაბედე! – წამოენთო ნადია.

ბიჭმა წელში სტაცა ხელი. ერთმანეთს დაეძგერნენ. წონასწორობა დაკარგეს და ორივემ წყალში მოადინა ზღართანი.

ცურვა იცოდნენ, მაგრამ ხელ-ფეხზე თეთრი დუმფარები ედებოდათ, ფსკერამდე კი ფეხს ვერ უწვდენდნენ. ბოლოს ორივენი ტლაპოში ჩაეფ-ლნენ და ნაპირამდე ძლივს გააღწიეს. ფეხსაცმელებიდან და ჯიბეებიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ. განსაკუთრებით ნიკა დაღლილიყო.

ყველაფერი ცოტა ადრე, გასულ გაზაფხულ რომ მომხდარიყო, ამგვარ ყოფაში, ასეთი ცურვის შემდეგ უთუოდ აყალმაყალს ატეხდნენ, იჩხუ-ბებდნენ ან იხარხარებდნენ.

ახლა კი ამ უაზრო საქციელმა ორივეს გუნება წაუხდინა. ნადია აღ-შფოთებული იყო და უსიტყვოდ იბუსხებოდა. ნიკასაც მთელი ტანი სტკიოდა, თითქოს ხელ-ფეხი სახრით აუჭრელეს, ნეკნები ჩაუმტვრიესო. ბოლოს ნადიას დიდურად წამოსცდა: „სულელი!” და ბიჭმაც დიდურად უპასუხა: „მაპატიე”.

სახლისაკენ გაემართნენ. გეგონებოდათ, მეთულუხის ორი კასრი ჩა-უტარებიათო, უკან წურწურით ჩამონადენი კვალი რჩებოდათ. მტვრი-ანი, გველებით სავსე აღმართი ჰქონდათ ასავლელი იმ ადგილების სიახ-ლოვეს, სადაც დილით ნიკამ ანკარა დაინახა.

ბიჭს ღამეული ხალისი, ალიონი და თავისი იმდილანდელი ყოვლის-შემძლეობა გაახსენდა, როცა ბუნებას საკუთარ ნებას ჰკარნახობდა. ახ-ლა რაღა უბრძანოს? ყველაზე მეტად რას ინატრებდა? მოეჩვენა, რომ ყველაზე მეტად გუბურაში ნადიასთან ერთად ჩაყირავება ეამებოდა. რას

არ მისცემდა, ოღონდ სცოდნოდა, ყოველივე ეს ოდესმე კიდევ განმეორ-
დებოდა თუ არა.

ნაწილი მეორე

სხვა წრის გოგონა

1

იაპონიასთან ომი ჯერ არ დამთავრებულიყო. მოულოდნელად ის სხვა მოვლენებმა დაჩრდილეს. რუსეთში რევოლუციის ტალღა ტალღას მოსდევდა, ერთიმეორეზე მძლავრი და არნახული.

ამ დროს ურალიდან მოსკოვს ჩამოვიდა ბელგიელი ინჟინრის ქვრივი, გარუსებული ფრანგი ქალი ამალია გიშარი და თან ორი შვილი ჩამოიყვანა. ვაჟს როდიონი ერქვა, ხოლო ქალიშვილს – ლარისა. ვაჟი კადეტთა კორპუსში[11] მიაბარა, ქალიშვილი კი შემთხვევით სწორედ იმ გიმნაზიაში და კლასში მოხვდა, რომელშიც ნადია კოლოგრივოვა სწავლობდა. მადამ გიშარს ქმრისგან დატოვებული დანაზოგი ჰქონდა შემორჩენილი ფასიანი ქაღალდების სახით, რომელთა კურსი ადრე იზრდებოდა, ახლა კი სულ უკან-უკან მიდიოდა. გულხელდაკრეფით რომ არ მჯდარიყო და საარსებო სახსრების განიავებაც შეეჩერებინა, მადამ გიშარმა ტრიუმფალური კარიბჭის[12] ახლოს, მკერავის მემკვიდრეებისაგან ლევიცკაიას ნაქონი პატარა სამკერვალო სახელოსნო შეიძინა და ძველი ფირმა, წინანდელი შემკვეთები, მკერავი ქალები და მოწაფეებიც შეინარჩუნა. მადამ გიშარმა ეს ნაბიჯი თავისი ქმრის მეგობრისა და თავისივე ბურჯის, გულცივი საქმოსნის ადვოკატ კომაროვსკის რჩევით გადადგა, რომელიც რუსეთის საქმიან ცხოვრებას ხუთი თითივით იცნობდა. სწორედ მასთან ჰქონდა ქალს მიმოწერა აქ ჩამოსვლის თაობაზე, ის დახვდათ სადგურში,

[11] კადეტთა კორპუსი – დახურული ტიპის სასწავლო დაწესებულებები რევოლუციამდელ რუსეთში, სადაც სამხედრო სასწავლებელთა მომავალ კურსანტებს ამზადებდნენ.

[12] ტრიუმფალური კარიბჭე – თავდაპირველად აგებული იქნა მოსკოვში, ტვერის კარიბჭესთან 1814 წელს, ნაპოლეონის არმიაზე გამარჯვების აღსანიშნავად. XX ს. 60-იან წლებში იგი გადაიტანეს კუტუზოვის პროსპექტზე.

მანვე მოატარა ჩამოსულები მთელი მოსკოვი, ვიდრე საჭურვლის შესახ-ვევში „ჩერნოგორიის" ავეჯით გაწყობილ ოთახებში[13] მიიყვანდა, სადაც მათთვის ნომერი იქირავა. მანვე დაიყოლია ქალი, რათა როდია კორპუს-ში, ლარა კი გიმნაზიაში მიებარებინა და საამისოდ რეკომენდაციაც თა-ვადვე გაუწია. ბიჭსაც ის ელაზღანდარებოდა უკბილოდ და გოგოსაც ისე-თი ლირწი თვალებით აშტერდებოდა, რომ იგი წითლდებოდა.

2

სახელოსნოს მახლობლად მდებარე პატარა სამოთახიან ბინაში გა-დასვლამდე დაახლოებით ერთ თვეს ცხოვრობდნენ „ჩერნოგორიაში".

ეს იყო მოსკოვის ყველაზე საზარელი ადგილი. საითაც არ უნდა გა-გეხედათ, მარტოოდენ თავზეხელაღებულ ავაზაკებს და მათ ბუნაგებს, გარყვნილებაში ჩაფლულ ქუჩებს, „ხელიდან წასულ ქმნილებათა" ქოხ-მახებს დაინახავდით.

ბავშვებს აღარც ნომრების სიბინძურე აკვირვებდათ, აღარც ბაღლინ-ჯოები და დანჯღრეული ავეჯი. მამის სიკვდილის შემდეგ დედას ერთთა-ვად გაღატაკების შიში აწვალებდა. როდიამ და ლარამ ყური მიაჩვიეს, რომ დაღუპვის პირას იყვნენ მისულნი. ქუჩის ბავშვები რომ არ იყვნენ, კარგად ესმოდათ, მაგრამ საობლე სახლების მკვიდრთა მსგავსად მდი-დართა მიმართ რიდი და კრძალვა ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი.

საამისოდ ცოცხალ მაგალითს დედა იძლეოდა. ამალია კარლოვნა ოცდათხუთმეტიოდე წლის ტანსრული, ქერათმიანი ქალი იყო და რიგ-რიგობით ხან გულის შემოტევა სტანჯავდა და ხანაც თავქარიანობისა.

საოცრად მშიშარა გახლდათ. ნამეტნავად კაცების დანახვაზე მოს-დიოდა ელეთმელეთი. ამიტომ იყო, რომ დაბნეულ-შეშინებული ხელი-დან ხელში გადადიოდა.

---

[13] ამგვარ გასაქირავებელი ოთახები XX ს-ის დასაწყისში არსებობდა ყოფი-ლი საჭურვლის, ამჟამად სადოვო-ტრიუმფალნაიას ქუჩაზე.

„ჩერნოგორიაში” ოცდამესამე ნომერი ეჭირათ, ხოლო ოცდამეოთხეში ნომრების გახსნის დღიდან ცხოვრობდა მევიოლინე ტიშკევიჩი, ოფლიანი, მელოტი, პარიკიანი, გულკეთილი კაცი. თუ ვინმეს რაიმეში არწმუნებდა, ხელებს მლოცველივით გულზე იწყობდა, საზოგადოებაში დაკვრისას ან კონცერტებზე გამოსვლისას კი თავს უკან სწევდა და თვალები შთაგონებით ებინდებოდა. შინ იშვიათად იყო, მთელ დღეებს დიდ თეატრში ან კონსერვატორიაში ატარებდა. მეზობლებმა ერთმანეთი გაიცნეს. თავაზიანობას მალე მათი დაახლოებაც მოჰყვა.

რაკი კომაროვსკის სტუმრობისას შვილების სიახლოვე ამალია კარლოვნას ხელ-ფეხს უბორკავდა, სახლიდან გასვლისას ტიშკევიჩი მას თავისი ნომრის გასაღებს უტოვებდა და ქალიც თავის კუროს იქ ეკურკურებოდა. თანდათანობით მადამ გიშარი მის თავგანწირვას ისე მიეჩვია, რამდენჯერმე ატირებულმა კარებზეც კი მიუკაკუნა და თავისი მფარველისაგან შველა სთხოვა.

3

სახლი ერთსართულიანი იყო და ტვერის ქუჩის კუთხის მახლობლად იდგა. ირგვლივ ბრესტის რკინიგზის სიახლოვე იგრძნობოდა. იქვე, შორიახლო, მისი სამფლობელოები, მოსამსახურეთა სახაზინო ბინები, საორთქლმავლო დეპოები და საწყობები იწყებოდა.

სწორედ იმ გზით დადიოდა სახლში ერთი ჭკვიანი გოგონა, მოსკოვის სატვირთო სადგურის მოსამსახურის დისწული ოლგა დიომინა.

იგი ნიჭიერი მოწაფე იყო. ძველ მეპატრონე ქალს თვალში მოსდიოდა და ახალმაც დაიახლოვა. ოლია დიომინას ძალიან მოსწონდა ლარა. ყველაფერი ისევე რჩებოდა, როგორც ლევიცკაიას დროს იყო. დაღლილ–დაქანცული მკერავი ქალების ხელ-ფეხს აყოლილი საკერავი მანქანები გადარეულებივით ბზრიალებდნენ, რომელიმე მკერავი, როგორც წესი, მა-

გიდაზე იყო შემომჯდარი, ხელში გრძლად აგებული ნემსი ჰქონდა მომარჯვებული და უხმოდ ჰკერავდა. იატაკი ნაკუწებით იყო მოფენილი. საკერავი მანქანების გაბმული ხმაურისათვის, კირილ მოდესტოვიჩის გამყივანი ხმისა და ფანჯრის თაღქვეშ გალიაში გამომწყვდეული კანარის ჩიტისათვის რომ გადაემეტებინათ, რომლის სახელიც ძველმა მეპატრონემ სამარეში ჩაიტანა, ყველანი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

მისაღებში მანდილოსნები ჟურნალებიან მაგიდას გარს ეხვეოდნენ. სწორედ იმგვარად იდგნენ, ისხდნენ და იდაყვდაყრდნობით ბაასობდნენ, როგორც სურათებში იყო გამოსახული, ნაირ-ნაირ მოდელებს ათვალიერებდნენ და ფასონებზე თათბირობდნენ. მეორე მაგიდასთან, სადირექტორო ადგილზე იჯდა ამალია კარლოვნას თანაშემწე, უფროსი გამომჭრელი ფაინა სილანტიევნა ფეტისოვა, მომჩვარული ლოყების ნაოჭებში მეჭეჭებშესეული, გაძვალტყავებული ქალი.

ჩაყვითლებულ კბილებში მას ერთთავად პაპიროსიანი ძვლის მუნდშტუკი ჰქონდა გაჩრილი, ყვითელთეთრონებიან თვალებს წკურავდა, ცხვირ-პირიდან ყვითელი ბოლის ნაკადს უშვებდა და რვეულში მოძალებული მუშტრის ზომებს, ქვითრების ნომრებს, მისამართებს და ათასნაირ სურვილებს იწერდა.

სახელოსნოში ამალია კარლოვნა ახალი, გამოუცდელი ადამიანი იყო და თავს ჯერჯერობით საქმის სრულ ბატონ-პატრონად ვერ გრძნობდა. მართალია, პატიოსანი ხალხი ჰყავდა, ფეტისოვას ნდობაც შეეძლო, მაგრამ მაინც ავი დრო იყო, მომავალზე ფიქრისა ეშინოდა. სასოწარკვეთილებას შეეპყრო და ყველაფერი ხელიდან უცვიოდა.

კომაროვსკი მათთან ხშირად დაიარებოდა. მათი კუთხისაკენ მიმავალ ვიქტორ იპოლიტოვიჩს მთელი სახელოსნოს გავლა უხდებოდა.

მოდიოდა და გზადაგზა გახდილ კოხტაპრუწა ქალებს აწიოკებდა. შემოეხეტებოდა თუ არა, ქალები ფარდებს უკან იმალებოდნენ და კაცის ლირფ ქილიკს კეკლუცად იგერიებდნენ, მკერავები კი უკმაყოფილოდ იმ-

რიზებოდნენ და მის კვალდაკვალ ჩურჩულებდნენ: „მობრძანდა", „მუსუ-სი", „ამალიას კურო", „ბუღა-კამეჩი", „ქალთა გამრყვნელი" ნამეტნავად მის ბულდოგ ჯეკს ვერ იტანდნენ, რომელიც ხანდახან თასმით მოჰყავდა. ძაღლი იმგვარი გაშმაგებით მოიწევდა, ათრეულ პატრონს ფეხი ერეოდა და წინ გაჭრილ ცხოველს ისე მოსდევდა, როგორც ბრმა თავის მეგზურს.

ერთხელ, გაზაფხულზე, ჯეკი ფეხში ეცა ლარას და წინდა დაუხია. – დამაცადოს ერთი, თუ არ მივაძაღლო ეგ უწმინდური, – ბავშვური გაგუ-ლისებით ჩასჩურჩულა ყურში ლარას ოლია დიომინამ.

– ჰო, მართლაც საძაგელი ძაღლია. მაგრამ, ჩერჩეტო, აბა რას უზამ? – ჩუმად, ნუ ხმაურობ და გასწავლი. სააღდგომო ქვის კვერცხები ხომ გა-გიგონია? აი, ისეთი, თქვენს დედილოს რომ აქვს კომოდზე... – დიახ, მარ-მარილოსი, ბროლისა...

– სწორედ ისეთი. ცოტა დაიხარე, ყურში გეტყვი. უნდა აიღო და ქონი წაუსვა. გაიპოხება. გადაყლაპავს ეგ საზიზღარი ეშმაკის ფეხი, ამოიყო-რავს სტომაქს, და – შაბაშ! ფეხებს გაფშიკავს!

ლარა იცინოდა და შურით ფიქრობდა: გოგონას უჭირს, შრომობს. უბ-რალო ხალხის შვილები ცხოვრებაში ადრე შედიან. შეხედეთ ერთი, რამ-დენი რამაა ამ გოგოში ჯერ კიდევ შეურყვნელი, ბავშვური. ეს კვერცხე-ბიო, ეს ჯეკიო, – ხედავთ, რაები მოიგონა? „ნეტავ რად დამყვა ასეთი ბე-დი? – ფიქრობდა ლარა. – ყველაფერს ვხედავ და გული მტკივა".

4

„მისთვის დედაჩემი ხომ – რა ჰქვია... ის ხომ დედას ის არის... საზიზ-ღარი სიტყვებია, გამეორება არ შემიძლია. მაშ ასეთი თვალებით რაღად მიყურებს? კაცმა რომ თქვას, მე ხომ მისი ქალიშვილი ვარ". თექვსმეტი წლისა ცოტა ხნის წინათ შესრულდა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული ქა-ლიშვილი იყო. ნათელი გონება ჰქონდა და საამო ხასიათი.

მოკლედ, ძალიან კარგი გოგო იყო.

მას და როდიას ესმოდათ, რომ ცხოვრების გზა-სავალი თავად უნდა გაეკვლიათ. გაქსუებული და გაზულუქებული ხალხისაგან განსხვავებით არ შეეძლოთ ნაადრევი გაიძვერობა და იმის განსჯა, რაც პრაქტიკულად არ ეხებოდათ. როგორც იტყვიან, რაც ზედმეტია, უწმინდურია. ლარა კი ამქვეყნად ყველაზე წმინდა არსება იყო.

და-ძმამ ყველაფრის ფასი იცოდა და რაც ებადათ, უფრთხილდებოდნენ. მიზნის მისაღწევად ცდა იყო საჭირო. ლარა იმიტომ კი არ სწავლობდა კარგად, რომ ცოდნისადმი განყენებული სწრაფვა იზიდავდა. სწავლის ქირისგან გასათავისუფლებლად კარგი მოწაფე უნდა ყოფილიყო და საამისოდ თავს არ ზოგავდა. ლარა ჭურჭელსაც ისევე კარგად რეცხავდა, როგორც სწავლობდა, სახელოსნოშიც დედის დავალებების შესასრულებლად დადიოდა. უხმოდ, ნარნარად მოძრაობდა და ყველაფერი – ცქრიალა ქცევა, ტანი, ხმა, ნაცრისფერი თვალები და ქერა თმა მასში თვალ-გულის გასახარად იყო შეხმატკბილებული. კვირადღე იყო, შუა ივლისი. უქმეებში დილ-დილობით უფრო დიდხანს შეიძლებოდა ლოგინში ნებივრობა. ლარა გულაღმა იწვა. ხელები თავქვეშ ჰქონდა ამოდებული.

სახელოსნოში უჩვეულო სიჩუმე იდგა. ქუჩის მხარეს ფანჯარა ღია იყო. ლარამ ყური მოჰკრა, სადღაც შორიახლო მორახრახე ფურგონი ქვაფენილიდან კონკის ლიანდაგის ღარში როგორ გადავიდა, როგორ შეცვალა უხეში რახრახი ბორბლის ხმაშეწყობილმა სრიალმა. „ცოტა კიდევ უნდა წავუძინო" – გაიფიქრა მან. ქალაქის გუგუნი ნანასავით ძილსა ჰგვრიდა.

თავის სიმაღლეს და მდგომარეობას ლოგინში ახლა ორი წერტილითღა შეიგრძნობდა – მარცხენა მხრის ნაწიბურით და მარჯვენა ფეხის ცერა თითით. ეს მარტოოდენ მხარი და ფეხი გახლდათ, დანარჩენი კი – მეტნაკლებად თავადვე იყო, ნაკვთებში მწყობრად განფენილი, მომავლისაკენ სათნოდ მიმართული მისი სული და არსება.

„უნდა დავიძინო", – ფიქრობდა ლარა, თუმცა ამ წუთებში ეტლების

რიგის მზიანი მხარე, საეკიპაჟო ფარდულების ფაქიზად დაგვილ-დაკრიალებულ იატაკებზე დახვავებული უზარმაზარი ფორნები, კარეტის ფარნის წახნაგოვანი შუშები, დათვის ფიტულები, მდიდრული ცხოვრება ეზმანებოდა. ცოტა ქვევით კი გონების თვალით ხედავდა ზნამენსკის ყაზარმების ეზოში გამართულ დრაგუნთა წვრთნას, წრეში მოტრიალე კოხტად დარახტულ ჯიშიან ცხენებს, გაქანებული ბედაურის უნაგირზე შეხტომას, ცხენის ნაბიჯით ტარებას, ჩორთით სიარულს, ოთხით ჭენებას, ყაზარმის ღობის გარეთ შეგროვილ ჯგრო ხალხს, გაკვირვებისაგან პირდაღებულ, ბავშვებაკონწიალებულ გადიებსა და ძიძებს. „უფრო ქვევით კი, – ფიქრობდა ლარა, – პეტროვკაა, პეტროვკის რიგები". „რას ამბობთ, ლარა! ანკი რამ გაფიქრებინათ? უბრალოდ, მინდა ჩემი ბინა გაჩვენოთ. მითუმეტეს, აქ სულ ახლოა".

ეტლების რიგში იმ კაცის ნაცნობების პაწია გოგონას, ოლგას დღეობა[14] იყო. ამ დღის აღსანიშნავად დიდები ილხენდნენ – იყო ცეკვა და შამპანური. იმ კაცმა საცეკვაოდ დედა გაიწვია, მაგრამ ქალს არ შეეძლო, უქეიფოდ იყო. დედამ უთხრა: „ლარა აცეკვეთ. სულ იმას ჩამჩიჩინებთ, „ამალია, ლარას გაუფრთხილდითო". ა, ბატონო, გაუფრთხილდით". ვერაფერს იტყვი, მართლაც გაუფრთხილდა! ხა-ხა-ხა!

რა საოცარი რამაა ვალსი! ტრიალებ, ტრიალებ და არაფერს ფიქრობ. ვიდრე მუსიკაა, მთელი საუკუნე გადის, სწორედ ისე, როგორც რომანებშია. მაგრამ როგორც კი დადუმდება, საშინელი შეგრძნებაა, თითქოს ცივი წყალი გადაგასხეს ან მთლად შიშველს შემოგისწრესო. გარდა ამისა, სხვის მოჭარბებულ სითამამესაც კოკობზიკობის გამო იტან, აქაოდა, ერთი შემომხედეთ, უკვე დიდი ვარო.

ლარა ვერც კი იფიქრებდა, ის კაცი ასე კარგად თუ ცეკვავდა. მერედა, რა ჭკვიანი ხელები ჰქონდა, რა თავდაჯერებით ხვევდა წელზე ხელს! აი, იმგვარად კოცნის ნებას კი აღარავის დართავს. ვერასოდეს იფიქრებდა,

---

[14] იგულისხმება „რუსეთის დიდი დედოფლის, მოციქულთა სწორის ოლგას" დღეობა. რომელი 11(24) ივლისს აღინიშნება.

სხვის ბაგეებში ამდენი ურცხვობა თუ მოიყრიდა თავს, როცა თავისას ამდენი ხნით აწებებენ შენსას.

არა, ამ სისულელეებს თავი უნდა დაანებოს, ერთხელ და სამუდამოდ. ამიერიდან არც მიამიტობას გამოიჩენს, არც გულჩვილობას და აღარც მორცხვად დახრის თვალებს. ეს ყველაფერი ოდესღაც ცუდად დამთავრდება. სადღაც, აქვე ახლოს, საშინელი ზღვარია. საკმარისია ნაბიჯი გადადგა და მაშინვე უფსკრულში გადაიჩეხები. ცეკვას ფიქრადაც აღარ გაივლებს. იმაშია მთელი ბოროტება. აღარც უარის თქმისა შერცხვება. ცეკვის უცოდინარობას მოიმიზეზებს, ან სულაც ფეხის მოტეხილობას მოიგონებს.

5

შემოდგომით მოსკოვის კვანძის რკინიგზის ხაზებზე მღელვარება[15] სუფევდა. მოსკოვი-ყაზანის რკინიგზა გაიფიცა. მას მოსკოვი-ბრესტის ხაზიც უნდა მიმხრობოდა. გაფიცვის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული იყო, მაგრამ საგზაო კომიტეტში მისი გამოცხადების დღეზე ვერა და ვერ შეთანხმებულიყვნენ. გაფიცვის შესახებ ხაზზე ყველამ იცოდა და მხოლოდ გარეგნული საბაბიღა იყო საჭირო, რომ იგი თვითნებურად დაწყებულიყო.

ოქტომბრის დასაწყისის ცივი, ღრუბლიანი დილა იყო. იმ დღეს ხაზზე ხელფასი უნდა დაერიგებინათ. საანგარიშო ნაწილიდან დიდხანს არაფერი ისმოდა. მერე კანტორაში შევიდა ბიჭუნა, რომელსაც ხელში ტაბელი, გასაცემი უწყისი და ჯარიმების დასაქვითავად შეგროვებული მუშათა წიგნაკების დასტა ეჭირა. ხელფასის გაცემა დაიწყეს. კეთილმოუწყობელი სივრცის უსასრულო ზოლზე, რომელიც სადგურს, სახელოსნოებს,

[15] მოსკოვის რკინიგზელთა მღელვარება მართლაც მოხდა 1905 წლის შემოდგომაზე 6 ოქტომბერს გაიფიცა მოსკოვი-ყაზანის, ხოლო 8 ოქტომბერს – მოსკოვი-ბრესტის მიმართულება.

ორთქლმავლის დეპოებს, საწყობებსა და ლიანდაგებს სამმართველოს ხის შენობებისაგან ჰყოფდა, ჯამაგირის მისაღებად გამცილებლების, მეისრეების, ზეინკლების და მათი შეგირდების, სავაგონო ფარეხის იატაკის მრეცხავი დედაკაცების რიგი გაიჭიმა.

ირგვლივ ქალაქური ზამთრის დასაწყისის, ნეკერჩხლის გასრესილი ფოთლის, გამლხვალი თოვლის, ორთქლმავლის წიდისა და ცხელ-ცხელი ჭვავის პურის სურნელება ტრიალებდა, რომელსაც სადგურის ბუფეტის სარდაფში აცხობდნენ და ის იყო, ფურნიდან გამოეღოთ. შემოდიოდნენ და გადიოდნენ მატარებლები. შემადგენლობებს ადგენდნენ და შლიდნენ, თან დახვეულ თუ გაშლილ ალმებს იქნევდნენ. ათასნაირად ხმიანობდნენ გუშაგთა ღოროტოტოები, გადამბმელების ჯიბის სასტვენები და ორთქლმავლების ბოხხმიანი საყვირები. კვამლის სვეტები ცისკენ უსასრულო კიბეებად ადიოდნენ. გახურებული ორთქლმავლები გასასვლელად იყვნენ გამზადებულნი და ზამთრის გათოშილ ღრუბლებს ორთქლის მდუღარე ღრუბლებს უშენდნენ.

ვაკისის პირას დისტანციის უფროსი, რკინიგზის ინჟინერი ფუფლიგინი და სადგურისპირა მონაკვეთის გზის ოსტატი პაველ თერაპონტოვიჩ ანტიპოვი ბოლთასა სცემდნენ. ანტიპოვმა სარემონტო სამსახურს თავი მოაბეზრა. სალიანდაგო საფარის გასაახლებლად გადმოტვირთულ მასალებს უჩიოდა. ფოლადს დრეკადობა არ ჰყოფნიდა. ლიანდაგები ღუნვისა და მსხვრევის სინჯებს არ შეესაბამებოდა და, ანტიპოვის ვარაუდით, ყინვაში უთუოდ დასკდებოდა. სამმართველო ანტიპოვის საჩივარს აინუნშიც არ აგდებდა. აშკარა იყო, ამაზე ვიღაც ხელს ითბობდა. ფუფლიგინს გაღეღილი სახაზო კანტიანი ძვირფასი ქურქი და შევიოტის ახალი სამოქალაქო კოსტუმი ეცვა. თავისი პიჯაკის ბორტების საერთო ხაზს, შარვლის სწორ ნაკეცს, ფეხსაცმლის კეთილშობილურ ფორმას შეჰხაროდა და მიწაყრილზე ფრთხილად აბიჯებდა.

ფუფლიგინს ანტიპოვის სიტყვები ერთ ყურში შესდიოდა და მეორი-

დან უფრინდებოდა. საკუთარ ფიქრებში იყო გართული, ჯიბიდან წამ-დაუწუმ იღებდა საათს და აკვირდებოდა. ეტყობოდა, სადღაც ეჩქარებო-და.

– სწორია, სწორი, ჩემო ძმაო, – მოუთმენლად აწყვეტინებდა იგი ან-ტიპოვს, – მაგრამ ეგ მხოლოდ სადმე სხვაგან, მთავარ გზებზე ან ორმხრივ გადასარბენებზეა, სადაც დიდი მოძრაობაა. აბა გაიხსენე, შენთან რაღაა? რომელიღაც სათადარიგო გზები და ჩიხები, ოროვანდი – და ჭინჭარი, უკიდურეს შემთხვევაში – ცარიელი ვაგონების დახარისხება და სამანევ-რო „გუგულის" ყანყალი. თანაც უკმაყოფილოა! ხომ არ გაგიჟდი! აქ ასე-თი ლიანდაგებისა კი არა, ხის დაგებაც კი შეიძლება. ფუფლიგინმა საათს დახედა, სარქველი დაჰხურა და შორს დაიწყო ყურება, საიდანაც რკი-ნიგზისაკენ შარაგზა მოემართებოდა. მოსახვევში ეტლი გამოჩნდა. ფუფ-ლიგინის ეტლი იყო. ცოლმა მოაკითხა. მეეტლემ ცხენები ზედ ვაკისის პირას შეაჩერა, თან წვრილი, ქალური ხმით სულ იურვებდა და უყვავებ-და, როგორც ძიძები ჭირვეულ ჩვილებს, – ცხენები რკინიგზას უფ-რთხოდნენ. ეტლის კუთხეში, ბალიშებზე, დაუდევრად გადაწოლილიყო ლამაზი მანდილოსანი.

– აბა, ძმაო, როგორმე სხვა დროს იყოს, – თქვა დისტანციის უფროსმა და ხელი ჩაიქნია, – აქაოდა შენი ლიანდაგებისათვის სადა მცალია, ამ-ქვეყნად უფრო მნიშვნელოვანი მატერიებიც არსებობსო. ცოლ-ქმარი იქაურობას გაშორდა.

6

სამი-ოთხი საათის შემდეგ, შებინდებისას, გზის გადაღმა, მინდორში, თითქოს მიწიდან ამოიზიდა ორი ფიგურა, რომლებიც ადრე არსად ჩან-დნენ. ხშირ-ხშირად აქეთ-იქით იხედებოდნენ და იქაურობას მალე გა-შორდნენ. ანტიპოვი და ტივერზინი იყვნენ.

– ჩქარა წავიდეთ, – თქვა ტივერზინმა – მოენეებისა კი არ მეშინია,

ეს იწილო-ბიწილო მალე დამთავრდება, მიწურებიდან ამოძვრებიან და დაგვერევიან. მე კი იმათ დასანახავად ვერ ვიტანი. ამდენს თუ გავაზოზინებდით, მაშინ აღარც ეს ფაფხური იყო საჭირო. თუ ასე იყო, ან იმ კომიტეტს, ცეცხლთან თამაშს და მიწის ქვეშ ძრომიალს რაღა თავში ვიხლიდით. ისე, როგორც ჩანს, არც შენ უქნიხარ გამჩენს, ნიკოლაეველთა გულდედლობა[16] რომ გადაგდებია.

– დარია მყავს ავად მუცლის ტიფით. ნეტა საავადმყოფოში მიმაყვანინა. სანამ არ დავაწვენ, არაფერი შედის ამ თავში.

– ასე ამბობენ, დღეს ჯამაგირს იძლევიანო. კანტორაში შევივლი. ერთი ხელფასის დარიგების დღე არ ყოფილიყო, მოგაფურთხებდით ყველას და წუთსაც არ დავკარგავდი, სამართალს თავად გავაჩენდი. – მერედა როგორ, აღარ იტყვი?

– მაგას რა დიდი ამბავი უნდა. საქვაბეში ჩავიდოდი, ერთს დავუსტვენდი და მორჩებოდა შენი ტაკიმასხრობა.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ და სხვადასხვა მხარეს გაემართნენ. ტივერზინი გზას გაუყვა, ქალაქისაკენ გასწია. გზაში კანტორიდან მომავალი ჯამაგირმიღებული ხალხი ხვდებოდა. ძალიან ბევრნი იყვნენ. ტივერზინი მიხვდა, რომ სადგურის ტერიტორიაზე ანგარიში ყველასთვის გაესწორებინათ.

ბინდდებოდა. კანტორასთან, ღია მოედანზე, კანტორის ფარნებით განათებული მოცლილი მუშები ირეოდნენ. მოედნის მისადგომთან ფუფლიგინის ეტლი იდგა. ფუფლიგინის ცოლი შიგ ძველებურ პოზაში იჯდა, თითქოს დილას აქეთ ფეხი არ მოუცვლიაო. ქმარს ელოდებოდა, რომელიც კანტორაში ფულის ასაღებად მოსულიყო, მოულოდნელად თოვლჭყაპი წამოვიდა. მეეტლე კოფოდან ჩამოხტა და ტყავის საბურველის აწევა დაიწყო. სანამ ეტლის ბოლოში ერთიმეორეზე მჭიდროდ მიწყობილ საბჯენებს ასწორებდა, ფუფლიგინა კანტორის ფარნების შუქზე

[16] იგულისხმება ის ფაქტი, რომ ნიკოლაევის რკინიგზა შედარებით გვიან – 10 ოქტომბერს გაიფიცა.

აბორიალებული წყალწყალა ფაფის ვერცხლისფერი მძივების მზერით ტკბებოდა. ჯგროდ შეყრილ მუშებს ისეთი მეოცნებე თვალებით უყურებდა, თითქოს საჭიროების შემთხვევაში ამ მზერას შეეძლო უვნებლად გაევლო მათში, როგორც ნისლსა და ბურუსში.

ტივერზინმა შემთხვევით ჰკიდა თვალი ამ მზერას. ეჩოთირა. ისე ჩაუარა, ქალს არც კი მისალმებია. კანტორაში უცაბედად მის ქმარს რომ არ შესჩეხებოდა, გადაწყვიტა, ხელფასის მისაღებად მოგვიანებით შეევლო. გზა სახელოსნოთა ნაკლებად განათებულ მხარეს განაგრძო, სადაც საორთქლმავლო დეპოში მისასვლელ გზებიანი მოსაბრუნებელი წრე შავად მოჩანდა.

– ტივერზინ! კუპრიკ! – რამდენიმე ხმამ ერთად დაუძახა სიბნელიდან. სახელოსნოების წინ ხალხი იყო შექუჩებული. შიგნით ვიღაც ღრიალებდა და ბავშვის ქვითინი ისმოდა. – კიპრიან საველიევიჩ, ბიჭს მიეშველეთ. – ეს ვიღაც ქალმა სთხოვა ბრბოდან.

ძველი ოსტატი პიოტრ ხუდოლეევი ჩვეულებისამებრ კვლავ თავის მსხვერპლს, მცირეწლოვან მოწაფე იუსუფკას ურტყამდა.

ხუდოლეევი ყოველთვის როდი იყო შეგირდთა მწვალებელი, ლოთი და რკინისმუშტიანი ჩხუბისთავი. ერთი დრო იყო, თავმომწონე მუშას მოსკოვის საგარეუბნო რაბათების ვაჭართა ქალიშვილები და ხუცესთა ასულები თვალებს უპრაწავდნენ. მაგრამ ტივერზინის დედამ, რომელმაც ის იყო, საეპარქიო სასწავლებელი[17] დაამთავრა, ცოლობაზე უარი უთხრა და მისივე ამხანაგს, ორთქლმავლის მემანქანე საველი ნიკიტიჩ ტივერზინს გაჰყვა.

საველი ნიკიტიჩის საშინელი სიკვდილის შემდეგ (იგი იმხანებში მატარებლების ერთი გახმაურებული შეჯახებისას დაიწვა 1888 წელს), ქა-

[17] რუსული ეკლესიის სინოდთან არსებული ქალთა 6-7 კლასიანი საშუალო სასწავლებელი, სადაც უმთავრესად სამღვდელოების წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ.

ლის დაქვრივებიდან ექვსი წლის თავზე პიოტრ პეტროვიჩმა კვლავ განაახლა მაჭანკლობა, მაგრამ მართა გავრილოვნამ იგი ამჯერადაც უარით გაისტუმრა. მას მერე ხუდოლეევი სასმელს მიეძალა. წარამარა აურზაურს ტეხდა, მთელ ქვეყნიერებას თავისი საქმეების აწეწვაში ადანაშაულებდა და თავისებურად ანგარიშს უსწორებდა.

იუსუფკა ტივერზინის ეზოში მცხოვრები მეეზოვის – გიმაზეტდინის ვაჟი იყო. ტივერზინი ბიჭს სახელოსნოებში მფარველობას უწევდა, ეს კი მის მიმართ ხუდოლეევის გაბოროტებას აასკეცებდა.

– როგორ გიჭერია ქლიბი, შე ახვარო, შენა! – ღრიალებდა ხუდოლეევი, იუსუფკას თმებით ათრევდა და კისერში ურტყამდა. – აგრე ხეხამენ ნაწიბურს, განა?! შენ გეკითხები, კიდენ ჩამიოხრებ საქმესა, განა, შე კასიმას ნათრევო, შე ალა-მულა ბრუტიანო, შენა!

– ვაი, აღარ ვიზამ, ბიძია, ვაი, აღარა, აღარა, ვაი, ტკივა! – ათასჯერ უთხრეს, ვეგი წინ გასწი და მერე მოუჭიო ამასა კიდენა, სუყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. კინაღამ შპინტელი გამიოხრა, ამ ნაბიჭვარმა, ამანა.

– შპინდილისთვინა ხელი არ დამიდია, ბიძია, ღმერთმანი, არ დამიდია.

– რატომ სჩაგრავ ბიჭსა? – ბრბოში ძლივსძლივობით გზა გაიკვლია და ისე ჰკითხა ტივერზინმა.

– შინაური ძაღლების ჩხუბში გარეულსა ვინ რასა ჰკითხამს, – შეუღრინა ხუდოლეევმა.

– შენ გეკითხები, ბიჭს რატომ სჩაგრავ?

– მე კი გითხარი, შენი გზა ნახე, სოციალ-მეთაურო. ამაზე მოკვლაც ცოტაა, ამ მუტრუკზე, კინაღამ შპინტელი გამიტეხა. ხელები უნდა დამიკოცნოს, თავი რომ არ წავაგდებინე ამ ბრუტიან ეშმაკს, – ცოტათი ყური ავუწიე და თმაზეც წავატანე ხელი.

– მერე რა მოხდა, მაგისთვის თავი უნდა მოსჭრა, ძია ხუდოლეი? გრცხვენოდეს მაინც. ძველი ოსტატი ხარ, თმა გაგთეთრებია და ჭკუა კი სადღაც გაგპარვია.

– წადი, წადი-მეთქი, სანამ მთელი ხარ. წადი, თორემა ჭკუის სწავლების ხალისს დაგაკარგვინებ, შე ძაღლის გაგდებულო! ვის რას ასწავლი, როცა შენ თითონ შპალებზე ხარ გაკეთებული, შე ტარაღანის ჯიშისავ, შენა, თანაც მამაშენის ცხვირწინა. ისიც კარგათ ვიცი, რა დედის შვილიცა ხარ, რა კალთაბარაქიანი ნათრევი კატისა!

– რაც მერე მოხდა, ერთ წუთზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა. ორივე დაზგებს ეცნენ, რომლებზეც მძიმე იარაღები და რკინის ხარახურა იყო დახვავებული, რაც ხელში მოხვდათ, წამოიტაცეს და ალბათ ერთმანეთს დახოცავდნენ, თვალის დახამხამებაში მათ შორის ხალხი რომ არ ჩამდგარიყო. გაფითრებული და თვალებჩასისხლიანებული ხუდოლეევი და ტივერზინი პირისპირ იდგნენ, ერთმანეთს ექაჩებოდნენ. თავები წინ გადაეხარათ და შუბლებით თითქმის ერთიმეორეს ეხებოდნენ. მღელვარებისაგან სული ეხუთებოდათ, სიტყვის თქმა ვეღარ მოეხერხებინათ.

უკნიდან ორივეს ხელებში ჩაჰფრენოდნენ და მაგრად ჰყავდათ გაკავებული. მოჩხუბარნი ხანდახან ძალას მოიკრეფდნენ, გაიბრძოლებდნენ, მთელი ტანით იგრიხებოდნენ და ზურგს უკან ჩამოკონწიალებულ ამხანაგებს მიათრევდნენ. ტანსაცმელზე ღილები და დუგმები დააწყდათ, გაშიშვლებული მხრებიდან ქურთუკები და ხალათები დაბლა ჩამოუცურდათ. ირგვლივ გაუთავებელი ღრიანცელი იდგა.

– საჭრეთელი! საჭრეთელი გამოართვი – თავს გაუჩეხავს. – ნელა, ნელა ძია პეტრე, თორემ მკლავს ამოგიგდებთ! – არა და როდემდე უნდა ველოლიავოთ? გავათრიოთ ცალ-ცალკე, ჩავკეტოთ სადმე და მოვრჩეთ ამ დავიდარაბას.

უეცრად ტივერზინმა ძალ-ღონის არაადამიანური დაძაბვით ჩამოიბერტყა გარს შემოსეული ხალხის გორგალი, თავი გაითავისუფლა, გაქანდა და კარებთან აღმოჩნდა. მყისვე დასაჭერად მისცვივდნენ, მაგრამ რაკი შეატყვეს, თავში სხვა რამე უტრიალებდა, მოეშვნენ. გულამღვრეული გარეთ გავარდა, კარი გაიჯახუნა და უკან მოუბრუნებლად გაალაჯა. ირგვლივ შემოდგომის ნესტიანი ღამის წყვდიადი იყო ჩამოწოლილი. –

სიკეთე გინდა გაუკეთო, ესენი კი მზად არიან ფერდში დანა გაგიყარონ, – ბუზღუნებდა და საით ან რისთვის მიეშურებოდა, თავადაც არ იცოდა.

ეს გაფუჭებული და გათახსირებული სამყარო, სადაც მაძღარი ქალ-ბატონი ჩერჩეტ მშრომელებს ასე უყურებს, სასმელით გამტყვრალი ამ-გვარი წეს-წყობილების მსხვერპლი კი გულს თავისივე თანამოძმეთა აბუჩად აგდებით იოხებს, ეს სამყარო ახლა უფრო მეტად სძულდა, ვიდ-რე ოდესმე. გამალებით მიდიოდა, თითქოს მის აჩქარებულ ნაბიჯს შეეძ-ლო მოეახლოებინა ის დრო, როცა ამქვეყნად ყოველივე, მისი გახურებუ-ლი თავივით, გონივრულად და მწყობრად იქნებოდა მოწყობილი. იცო-და, რომ ბოლო დღეებში მათი მისწრაფება, უწესრიგობა გზებზე, კრებებ-ზე წარმოთქმული სიტყვები და მათი გადაწყვეტილება გაფიცვის თაობა-ზე, რომელსაც ჯერჯერობით არც მოწონებული ეთქმოდა და არც დაწუ-ნებული, – ეს ყველაფერი იმ დიდი, გასავლელი გზის ცალკეულ ნაწილებს წარმოადგენდა.

მაგრამ ამჟამად იმ ზომამდე იყო აღელვებული, ამოდენა მანძილის ეგრერიგად სულმოუთქმელად გავლა არაფრით შეეძლო. ღონივრად მი-ალაჯებდა და თავადაც ვერ გაეგო, სად მიდიოდა, თუმცა ფეხებმა მშვე-ნივრად იცოდნენ, საითაც მიჰყავდათ.

ტივერზინს დიდხანს ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ მიწურიდან მისი და ანტიპოვის წამოსვლის მერე სხდომაზე იმავე საღამოს გაფიცვის დაწყება დაამტკიცეს. კომიტეტის წევრები იქვე მორიგდნენ, ვინ სად წასულიყო და ვის ვინ მოეხსნა. როცა ორთქლმავალ-სარემონტოდან, ვითარცა ტი-ვერზინის სულის ფსკერიდან, ხრინწიანი სიგნალი აღმოხდა, რომელიც თანდათან იწმინდებოდა, შემოსასვლელი შუქნიშნის მხრიდან, დეპოდან და საბარგო სადგურიდან ქალაქისაკენ უკვე მიემართებოდა ბრბო და საქვაბიდან ტივერზინის მიერ მიცემულ ნიშანზე სამუშაომიტოვებულ ახალ ბრბოს ერთვოდა.

ტივერზინი მრავალი წლის განმავლობაში ფიქრობდა, იმ ღამით მუ-შაობა და გზაზე მოძრაობა მარტო მე შევაჩერეო. ამ დაბნეულობიდან

მხოლოდ გვიანდელმა სასამართლო პროცესებმა გამოიყვანეს, რომლებზეც მას ერთიანად ასამართლებდნენ, მაგრამ გაფიცვისათვის წამქეზებლობა მისთვის საბრალდებო პუნქტად არ წაუყენებიათ.

აქეთ-იქიდან გამორბოდნენ და კითხულობდნენ: – ხალხს საით უსტვენენო? სიბნელიდან ჰპასუხობდნენ: – ხომ არ დაყრუვდი? გესმის, განგაშია. ხანძარი იქნებაო სადმე ჩასაქრობი. – იწვისო რამე? – რაკი უსტვენენ, ალბათ იწვისო.

კარებს აჯახუნებდნენ, ახლები გამოდიოდნენ. ისმოდა სხვა ხმები. – შენც იტყვი რაღა – ხანძარიაო! საიდან ჩამოხვედი! ამ ვიგინდარას რა ყურს უგდებთ. ეს შაბაშია, გესმის? აჰა, ცალუღი, აჰა, უღელი, ვეღარ ვიქნები შენი კურდღელი. აბა, ბიჭებო, შინისაკენ!

ხალხი სულ უფრო და უფრო მატულობდა. რკინიგზა გაიფიცა.

7

გათოშილი, ღამენათევი და წვერგაუპარსავი ტივერზინი შინ მესამე დღესღა მივიდა. წინა ღამით წლის იმ დროისათვის არნახულმა ყინვამ დაჰკრა, ტივერზინს კი საშემოდგომო ტანისამოსი ეცვა. ჭიშკართან მეეზოვე გიმაზეტდინი შეხვდა.

– მადლობთ, ბატონო ტივერზინო, – გააბა მან. – უსუფსა წყენა არ მიეცი, შენთვის ილოცებ საუკუნოთ.

– ხომ არ გადაირიე, გიმაზეტდინ, რომელი ბატონი მნახე? კარგი ერთი, თუ კაცი ხარ. თუ სათქმელი გაქვს, თქვი და გაათავე, ვერ უყურებ, როგორი ყინვაა?

– რათა ყინვა, შენ გთბილა, საველიჩ. გუშინა შენი დედილო მართა გავრილოვნასა ჩვენა მოსკოვი-საბარგულით ერთი სარდაფი შეშა მოიტანეთ. არყია სულა, კარგი შეშა, ხმელი შეშა.

– გმადლობთ, გიმაზეტდინ. შენ კიდევ რაღაცის თქმას აპირებ, ოღონდ ჩქარა, თორემ ერთიანად გავიყინე.

– უნდა გითხრა, რომ შინ არ დაიძინო, საველიჩ, უნდა დაიმარხო მაშა! უბნის პოლიცია იკითხა, ზედამხედველი იკითხა, აქაო ვინ დადისო. მე უთხარი, არავინ დადისო. თანაშემწე, უთხარი, დადის, ორთქლმავალი ბრიგადა დადის, რკინიგზა დადის, მაგრამა უსხო კასი? აბა-ბა-ბა! სახლი, რომელშიც მარტოხელა ტივერზინი დედასთან და ცოლშვილიან ძმასთან ერთად ცხოვრობდა, მეზობლად მდებარე წმინდა სამების ეკლესიას ეკუთვნოდა. ამ სახლის ერთ ნაწილში მოთავსებული იყო ქალაქში ხილისა და ხორცის ხონჩებით დამტარებელ მოვაჭრეთა ორი არტელი, მეტწილად კი მოსკოვი-ბრესტის რკინიგზის წვრილი მოსამსახურენი სახლობდნენ.

სახლი ქვით იყო ნაშენი და ხის შუშაბანდი ჰქონდა მიდგმული, რომელიც ჭუჭყიან, მოუკირწყლავ ეზოს ოთხივე მხრიდან გარს ერტყმოდა. ზევით შუშაბანდებში ბინძური, გასიპული კიბეებით შეიძლებოდა ასვლა. ირგვლივ კატებისა და კომბოსტოს მწნილის სუნი ტრიალებდა. კიბის ბაქნებზე საჭირო ოთახები და დაკიდულ ბოქლომიანი საკუჭნაოები იყო მიქოხილი.

ტივერზინის ძმა ომში რიგით ჯარისკაცად იყო გაწვეული და ვაფანგოუსთან[18] დაიჭრა. იგი კრასნოიარსკის ჰოსპიტალში იწვა, სადაც მასთან შესახვედრად და მოსავლელად მისი ცოლი გაემგზავრა თავის ორ გოგონასთან ერთად. ტავერზინები შთამომავლობითი რკინიგზელები იყვნენ. მათთვის მიმოსვლა იოლი საქმე იყო. სამსახურის უფასო მოწმობებით მთელ რუსეთში აღმა-დაღმა დადიოდნენ. იმათი ბინა მთლად მიყუჩებული და უკაცრიელი იყო. იქ ახლა მხოლოდ დედა-შვილი ცხოვრობდა.

ბინა მეორე სართულზე იყო. დერეფანში, შესასვლელ კართან კასრი იდგა, რომელსაც დროდადრო მეთულუხე წყლით ავსებდა. იქ რომ ავიდა,

---

[18] ვაფანგოუ – პორტ-არტური, მუკდენის რკინიგზაზე მდებარე სადგური, სადაც 1904 წლის 1-2 ივნისს იაპონიის არმიამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა რუსეთის არმიას.

კიპრიან საველევიჩმა შეამჩნია, რომ კასრის სახურავი გვერდზე იყო გაწეული და ყინულის ნატეხზე მიყინული რკინის ტოლჩა იდო. – ნამდვილად პროვის ოინებია, – გაეცინა გულში ტივერზინს. – ეგ ღორმუცელა თავისი დღე და მოსწრება სულ სვამს და ჯერაც არ დარწყულებულა, თითქოს გულ-მუცელში ცეცხლის გეენა მოსდებიაო.

პროვ სოკოლოვი, მედავითნე, კარგი შესახედაობის ჭარმაგი კაცი, მართა გავრილოვნას შორეული ნათესავი იყო.

– კიპრიანმა ტოლჩა ყინულს ააძრო, კასრის საფარებელი გაასწორა და კარის ზარის ზონარი მოქაჩა, ოთახში სასიამოვნო სითბო და სიმყუდროვე შეეგება.

– რა მაგრად გაგიხურებია, დედილო. საამურად თბილა ჩვენთან. დედა კისერზე მოეხვია, გულში ჩაიკრა და ატირდა. შვილმა თავზე ხელი მოუთათუნა, ერთხანს იყუჩა და თავი ფრთხილად გაითავისუფლა. – გამბედაობა ციხე-ქალაქებს იღებს, დედილო, – ხმადაბლა უთხრა კიპრიანმა, – ღირს საამისოდ ჩემი წვალება მოსკოვიდან თვით ვარშავამდე.

– ვიცი და სწორედ ეგ მატირებს. გული ცუდს მიგრძნობს. ნეტა გასცლოდი აქაურობას, კუპრინკა, სადმე შორს წასულიყავი.

– კინაღამ თავ-პირი არ დამალეწა იმ შენმა კეთილმა მეგობარმა, ველად გაჭრილმა მიჯნურმა პიოტრ პეტროვმა!...

ეგონა გააცინებდა. დედამ კი ხუმრობა ვერ გაუგო და სერიოზულად უპასუხა:

– მისი დაცინვა ცოდვაა, კუპრინკა, უნდა გებრალებოდეს. მთლად ხელიდანაა წასული ის უბედური, სულით ხორცამდე განწირულია. – პაშკა ანტიპოვი დაიჭირეს. პაველ თერაპონტოვიჩიც მის გზას გაუყენეს. ღამით მივიდნენ, გაჩხრიკეს, ყველაფერი ყირამალა დააყენეს. დილით წაიყვანეს. მითუმეტეს, მის დარიას ტიფი აქვს, საავადმყოფოშია. პატარა პავლუშა, რეალურში რომ სწავლობს, ყრუ დეიდასთან ერთად მარტო დარჩა ოჯახში. თანაც ბინიდან ერეკებიან. მგონი ბიჭი ჩვენთან უნდა გადმოვიყვანოთ. პროვს რაღა უნდოდა?

– საიდან იცი, აქ რომ იყო?

– ვხედავ, კასრი პირღიაა და ტოლჩაც იქვეა. მაშინვე ვიფიქრე, იმ ძირგავარდნილს უყლურწია-მეთქი.

– რა ეშმაკი ხარ, კუპრინკა. მართლაც ასე იყო. პროვი, პროვი იყო, პროვ აფანასიევიჩი. შემოირბინა, შეშა მასესხეო და მივეცი. შეშა კი არა და მე ჩერჩეტს სულ გადამავიწყდა მეთქვა, რა ამბავი მოიტანა. ხელმწიფეს, გესმის, მანიფესტზე[19] მოუწერია ხელი, ისაო, ყველაფერს ახლებურად შევატრიალებ, არავის ვაწყენინებო, მუჟიკებს მიწებს დავურიგებ და ყველას მემამულეებს გავუთანაბრებო. ბრძანება უკვე ხელმოწერილი ყოფილა, მაშა! გამოქვეყნებაღა აკლია. სინოდიდანაც თხოვნა გამოუგზავნიათ, ექტინიისა თუ რაღაც სულის სახსენებელი ლოცვის დამატება უნდათ. რა ვიცი, პროვუშკა რაღაც-რაღაცეებს ბჟუტურებდა და ეგ არის, რაც დამახსომდა.

8

პატულია ანტიპოვი, დაპატიმრებული პაველ თერაპონტოვიჩისა და საავადმყოფოს საწოლს მიჯაჭვული დარია ფილიმონოვნას ვაჟი, ტივერზინებთან დასახლდა. კოხტა ბიჭი იყო, სწორნაკვთებიანი სახე და შუაზე გაყოფილი ქერა თმა ჰქონდა, რომელსაც წამდაუწუმ ივარცხნიდა, თანაც წარამარა ქურთუკს და რეალური სასწავლებლის საფორმე ბალთიან ქამარს ისწორებდა. პატულია ერთობ დაკვირვებული ბიჭიც იყო და ცრემლებამდე იცოდა ჩაბჟირება. რასაც კი მისი თვალი და ყური მისწვდებოდა, ყველას და ყველაფერს უაღრესად ზუსტად და სასაცილოდ აჯავრებდა.

[19] ლაპარაკია რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ მიერ 1905 წლის 17 ოქტომბერს ხელმოწერილ მანიფესტზე, რომლითაც იგი ხალხს „სამოქალაქო თავისუფლების ურყევ საფუძვლებს“ სთავაზობდა.

ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ მალე დიდი დემონსტრაცია იქნა ჩაფიქრებული ტვერის კარიბჭიდან კალუგის ჭიშკრის მიმართულებით. ისეთი წამოწყება გამოვიდა, უნებურად ეს ანდაზა გაგახსენდებოდათ: „შვიდ ძიძას ბავშვი უძუძურად დარჩაო". აქციის წამომწყები რამდენიმე რევოლუციური ორგანიზაცია ერთმანეთს დაერია და ერთიმეორის მიყოლებით მომხდარისაგან ყველამ თავი შორს დაიჭირა, მერე კი, რაკი შეიტყვეს, დანიშნულ დილას ხალხი ქუჩაში მაინც გამოვიდაო, მანიფესტანტებთან თავთავიანთი წარმომადგენლები აფრინეს.

კიპრიან საველიჩის ჩიჩინისა და ხვეწნა-მუდარის მიუხედავად მართა გავრილოვნა მაინც წავიდა დემონსტრაციაზე, წავიდა და თან მხიარული და გულღია პატულიაც გაიყოლა.

ნოემბრის დასაწყისის მშრალი, სუსხიანი დღე იდგა. ტყვიისფრად მოქურუხებულ გათოშილ ცაში აქა-იქ თითო-ოროლა გზააბნეული ფიფქი ფარფატებდა, ვიდრე მიწაზე დაეცემოდა და ოღროჩოღრო გზის ნაცრისფერ ფაფუკ მტვერს შეერეოდა.

ქუჩას თავდაღმა უამრავი ხალხი მიუყვებოდა. იყო ერთი ალიაქოთი. კაცს საითაც არ უნდა გაეხედა, სახეები, სახეები და სახეები, ზამთრის დაბამბული პალტოები და ცხვრის ტყავის ქუდები, მოხუცები, მოწაფეები და ბავშვები, გზათა ფორმიანი მუშაკები, მაღალყელიან ჩექმებსა და ტყავის ქურთუკებში გამოწყობილი ტრამვაის პარკისა და სატელეფონო სადგურის მუშები, გიმნაზიელები და სტუდენტები ირეოდნენ.

ერთხანს „ვარშავულას", „თქვენ მსხვერპლად დაეცით" და „მარსელიოზას" მღეროდნენ, მაგრამ უეცრად იმ კაცმა, მსვლელობას უკუსვლით წინ რომ მიუძღოდა და ხელში ჩაბღუჯული ყუბანური ქუდის ქნევით სიმღერას დირიჟორობდა, ქუდი დაიხურა, სიმღერა შეწყვიტა, პროცესიას ზურგი შეაქცია, წინ წავიდა და გვერდით მიმავალი დანარჩენი მოთავეების საუბარს ყური მიუგდო. გაყინულ ქვაფენილზე ურიცხვი ბრბოს ფეხის ხმა გაისმა.

კეთილმოსურნეებმა მსვლელობის მოთავეებს შეატყობინეს, წინ კაზაკები არიანო ჩასაფრებული. მოსალოდნელ საფრთხეზე უახლოეს აფთიაქში დარეკეს ტელეფონით.

– თუ ასეა, – ამბობდნენ ხელმძღვანელები, – მაშინ მთავარია დინჯად ვიყოთ და არ დავიბნეთ. დაუყოვნებლივ უნდა დავიკავოთ პირველივე საზოგადოებრივი შენობა, რომელიც გზად შეგვხვდება, ვაცნობოთ ხალხს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და თითო-თითოდ დავიშალოთ.

დაიწყეს კამათი იმაზე, თუ საით გაეწიათ. ერთნი ვაჭართა ნოქრების საზოგადოებას სთავაზობდნენ, მეორენი უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელს, ხოლო მესამენი – უცხოელ კორესპონდენტთა სკოლას.

ამასობაში წინ სახაზინო შენობის კუთხე გამოჩნდა. მასშიც სასწავლებელი იყო მოთავსებული და თავშესაფრად არც ერთს არ ჩამორჩებოდა.

გზად მიმავალნი მას რომ გაუსწორდნენ, მოთავეები მყისვე სადარბაზოს ნახევრად მრგვალ ბაქანზე შეხტნენ და პროცესიის მეწინავე ნაწილს ანიშნეს, შეჩერდითო. შენობის ფართო კარები გააღეს. მსვლელობა სრული შემადგენლობით, ქურქებიან-ქუდებიანად სკოლის ვესტიბიულში შევიდა და საპარადო კიბეს აუყვა.

– სააქტო დარბაზისაკენ, სააქტო დარბაზისაკენ! – ყვიროდნენ უკნიდან, მაგრამ ბრბო წინსვლას განაგრძობდა და სიღრმეში ცალკეულ დერეფნებსა და კლასებში იფანტებოდა.

როცა ბოლოს და ბოლოს მაინც მოხერხდა ხალხის მობრუნება და ყველანი სკამებზე დასხდნენ, ხელმძღვანელებმა რამდენჯერმე სცადეს გამოეცხადებინათ კრებისათვის დაგებული ხაფანგის შესახებ, მაგრამ მათ უკვე აღარავინ უსმენდა. შეჩერება და დახურულ შენობაში შემოსვლა იმპროვიზებულ მიტინგზე მიწვევად ჩათვალეს და ისიც მყისვე დაიწყო. ეგზომ ხანგრძლივი სიარულისა და სიმღერის შემდეგ ხალხს მცირე ხნით მუხლის ჩახრა და გაყუჩება მონატრებოდა, რათა ყველას ნაცვლად

რომელიმეს ხმის ჩახლეჩამდე ელაპარაკნა და ყველასთვის გული მოეოხებინა. დასვენების უმთავრეს სიამოვნებასთან შედარებით შეუმჩნეველი იყო მოყაყანეთა მცირეოდენი წინააღმდეგობანი, თითქმის ყველაფერში ერთსულოვნებას რომ იჩენდნენ.

სწორედ ამიტომ ყველაზე მეტი წარმატება ყველაზე უვარგის ორატორს ხვდა წილად, რაკი მსმენელებს გულს არ უწყალებდა, გინდათ თუ არა, მომისმინეთო. მის თითოეულ სიტყვას ხალხის მხრიდან კმაყოფილების გამომხატველი გმინვა მოსდევდა. არავინ დაგიდევდათ, მისი სიტყვა მოწონების ხმაურში რომ იკარგებოდა. მოუთმენლობის გამო წამდაუწუმ ეთანხმებოდნენ, „სირცხვილიაო", გაიძახოდნენ, საპროტესტო დეპეშას ადგენდნენ, მერე ერთბაშად მისი ხმის ერთფეროვნებაც მობეზრდათ, ერთიანად წამოიშალნენ, ის ორატორი სულ გადაავიწყდათ, ერთიმეორის მიყოლებით კიბეზე დაეშვნენ და ქუჩაში გაცვივდნენ. მსვლელობა გრძელდებოდა.

სანამ მიტინგობდნენ, ქუჩაში თოვლი წამოსულიყო. ქვაფენილი თეთრად გადაიპენტა. თოვლი სულ უფრო და უფრო მატულობდა.

დრაგუნები რომ ეკვეთნენ, თავდაპირველად ამის თაობაზე უკანა რიგებში ბაიბურშიც არ იყვნენ. უეცრად წინიდან მზარდი გუგუნი აგორდა, თითქოს ერთიანად „ვაშას" ყვირიანო. შეძახილები „გვიშველეთ", „მოკლეს" და მრავალი სხვა ერთმანეთში რაღაც გაურკვეველ ხმად აირია. თითქმის იმავე წუთში ამ ხმათა ტალღაზე გულგახეთქილ ბრბოში გაჩენილ ვიწრო გასასვლელში გამალებით და უხმოდ ჩაიქროლეს ცხენების დრუნჩებმა, ფაფრებმა და ხმალშემართულმა მხედრებმა.

გავეშებულმა ათეულმა თავი ვეღარ შეიმაგრა, ხალხს გასცდა, კვლავ პირი იბრუნა, წყობა იცვალა და მსვლელობის ბოლო ნაწილს დაერია. დაიწყო ცემა-ტყეპა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქუჩა თითქმის მთლიანად დაცარიელდა. ხალხმა თავი სტუცა და შესახვევებს შეეფარა. თოვლმა იკლო. საღამო ნახშირის ნახატივით კუშტი იყო. უცებ სახლების მიღმა ჩამავალმა მზემ

კუთხიდან თითქოს ქუჩის სიწითლეზე მიუთითა: დრაგუნთა წითელთავიან ქუდებზე, ძირს დავარდნილ წითელ დროშაზე, თოვლზე წითელ ძაფებად და წერტილებად აღბეჭდილ სისხლზე.

ქვაფენილის კიდეებზე კვნესით მიხოხავდა თავგაჩეხილი ადამიანი. ქვევიდან მწყობრად მოდიოდა რამდენიმე მხედარი. ქუჩის ბოლოდან ბრუნდებოდნენ, საითაც ხალხის დევნას გაეტაცნათ. კეფაზე თავსაფარჩამოცურებული მართა გავრილოვნა თითქმის მათ ფეხებთან აქეთ-იქით აწყდებოდა და არაადამიანური ხმით მთელი ქუჩის გასაგონად გაჰყვიროდა: „პაშა! პატულია!“

ბიჭი სულ გვერდით მოსდევდა, ბოლო ორატორს ოსტატურად აჯავრებდა და ქალს ართობდა, მაგრამ დრაგუნები რომ თავს დაესხნენ, ალიაქოთში სადღაც დაიკარგა.

შეხლა-შემოხლაში მართა გავრილოვნამ თავად იგემა ზურგში მათრახი, და თუმცა სქლად დაბამბული შუშუნის წყალობით დარტყმის სიმწვავე არც კი უგრძვნია, გვერდით ჩაქროლილ კავალერიას მაინც მიაწყევლა და მუშტი დაუქნია, აქაოდა ამ პატიოსან ხალხში როგორ გამიბედეთ და ხნიერ დედაკაცს ცემა დამიწყეთო.

აღელვებული მართა გავრილოვნა ქვაფენილის ორივე მხარეს შეშფოთებულ მზერას ავლებდა. საბედნიეროდ, ერთბაშად მეორე ტროტუარზე ბიჭი დაინახა. იქ, რომელიღაც დუქანსა და ქვის შენობას შორის, პაწია ფოლორცში, შემთხვევით შეყრილ დოყლაპიებს მოეყარათ თავი. ტროტუარზე გაჭრილ დრაგუნს თავისი ცხენის გავით და გვერდით ყველანი იქ მიეხორხლა. ლაზღანდარობის ეშხზე მოსული, იმათი შიშით თავს ირთობდა, გამოსავალ გზას უღობავდა და ცხვირწინ სამანეჟო ილეთებს – ვოლტებსა და პირუეტებს უტარებდა, ცხენს უკან-უკან ატარებდა და, როგორც ცირკში, ნელ-ნელა ყალყზე აყენებდა. უცებ წინიდან მომავალი ამხანაგები დაინახა, ცხენს დეზი ჰკრა და ორი-სამი ნახტომით მწყობრში თავისი ადგილი დაიკავა.

კუთხეში მიმწყვდეული ხალხი აქეთ-იქით გაიფანტა. აქამდე შიშით

ხმაგაკმენდილმა პაშამაც დრო იხელთა და ბებიისაკენ გაექანა. ისინი შინისაკენ ბრუნდებოდნენ. მართა გავრილოვნა გაუთავებლად ბუზღუნებდა:

– წყეული მკვლელები, შეჩვენებული სულთამხუთავები! მეფემ ხალხს თავისუფლება, სიხარული უწყალობა, ესენი კი ყველაფერს აოხრებენ. ყველაფერს რყვნიან, სათითაოდ ყოველ სიტყვას უკუღმა ატრიალებენ. იმ წუთებში დრაგუნებზეც იყო გაჯავრებული, საკუთარ შვილზეც და მთელ ქვეყნიერებაზეც. გულზე ცეცხლმოდებულს ეჩვენებოდა, რაც ახლა ხდებოდა, სულ კუპრინკასთანა უთავბოლო ადამიანების ოინები იყო, რომელთაც გზააბნეულებს და თავქარიანებს ეძახდა.

– ცოფიანი ასპიტები! მაინც რა ჭირი უნდათ, მაგ დამთხვეულებს? მაგათი არაფერი მეყურება. ეგენი მარტო აყეფე და აბლაყუნე. იმ ენაგატლეკილმა რაღაო, პაშენკა, რა მინდაო? მიდი, საყვარელო, ერთი გაიმეორე. უჰ, აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია! პირდაპირ ალი-კვალი ის არის, ხალხო. ტრა-ლა-ლა-ლა-ლა. ახ, ეგ ჩახჩახა, მოშლილი წისქვილები!

შინ შვილი საყვედურებით აიკლო, არა, შვილოსა, მე იმ ასაკში აღარა ვარ, ცხვირმოუხოცავმა ვიგინდარებმა ცხენიდან ზურგში მათრახის შხუილით ჭკუა მასწავლონო.

– რას ამბობ, დედილო? ღმერთო კი მომკალი! რომელი კაზაკთა ასისთავი ან ჟანდარმთა შეიხი მე მნახე!

9

გაქცეულები რომ გამოჩნდნენ, ნიკოლაი ნიკოლაევიჩი ფანჯარასთან იდგა. მიხვდა, რომ დემონსტრაციიდან გამორბოდნენ, და ერთხანს გაფაციცებით გაჰყურებდა შორს, იქნებ დაშლილ ხალხში იურა ან სხვა ვინმე შევამჩნიოო. თუმცა ნაცნობი არავინ გამოჩენილა, მხოლოდ ერთხელ მო-

ეჩვენა, რომ სწრაფად ჩაიარა... (ნიკოლაი ნიკოლაევიჩს მისი სახელი დაავიწყდა), დუდოროვის თავზეხელაღებულმა ვაჟმა, რომელსაც ახლახან ამოუღეს ტყვია მარცხენა მხრიდან, ის კი თავისას მაინც არ იშლიდა და კვლავ უთავბოლოდ დახეტიალობდა.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩი შემოდგომაზე ჩამოვიდა პეტერბურგიდან. მოსკოვში თავისი კუთხე არ გააჩნდა, სასტუმროში ცხოვრება კი არასდიდებით არ უნდოდა. თავის შორეულ ნათესავებთან – სვენტიცკებთან გაჩერდა, რომელთაც მეზონინში კუთხის ზედა კაბინეტი დაუთმეს. ეს ორსართულიანი, სვენტიცკების უშვილძირო ოჯახისათვის მეტისმეტად ფართო ფლიგელი განსვენებულ მოხუც სვენტიცკებს უხსოვარი დროიდან ჰქონდათ დაქირავებული თავადი დოლგორუკებისაგან.

დოლგორუკების სამფლობელო სამ ეზოს, ბაღსა და უწესრიგოდ მიმოფანტულ უამრავ სხვადასხვა ჯურის შენობას ითვლიდა, სამი შესახვევისაგან შედგებოდა და ძველებურად ფქვილის დასახლება ერქვა.

თავისი ოთხი ფანჯრის მიუხედავად კაბინეტი სანახევროდ მაინც დაბინდული იყო. წიგნებში, ქაღალდებში, ხალიჩებსა და გრავიურებში სინათლის სხივი წესიერად ვერც კი აღწევდა. კაბინეტს გარედან შენობის ამ კუთხეზე ნახევარ წრედ შემოვლებული აივანი ჰქონდა მიშენებული. ზამთრობით აივანზე გამავალი შუშის ორმაგი კარები ყრუდ იყო დაგმანული.

კაბინეტის ორ ფანჯარაში და შუშის კარებში მთელ სიგრძეზე მოჩანდა შესახვევი – შორს გატყორცნილი სამარხილო გზა, ოკრობოკროდ ჩადგმული სახლები, მიბრეცილ-მობრეცილი ღობეები.

ბაღიდან კაბინეტში იისფერი ჩრდილები შემოდიოდნენ. ოთახში ხეები იმგვარად იხედებოდნენ, თითქოს უნდათ გაყინული სტეარინის იასამნისფერი ჭავლის მსგავსი, ჭირხლით დამძიმებული ტოტები პირდაპირ იატაკზე დაალაგონო.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩი შესახვევს გაჰყურებდა და აგონდებოდა შარ-

შანდელი პეტერბურგული ზამთარი, გაპონი[20], გორკი, ვიტესთან[21] შეხვედრა, მოდური თანამედროვე მწერლები. იმ ალიაქოთს ზურგი აქცია და ჩაფიქრებული წიგნის დასაწერად პირველსატახტო ქალაქის მყუდრო სავანეს მოაშურა. მაგრამ გაგიგონიათ?!. „ვაის" გაეყარა და „ვუის" გადაეყარა. ყოველდღიური ლექციები და მოხსენებები სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა. ხან ქალთა უმაღლეს კურსებზე იყო, ხან რელიგიურ-ფილოსოფიურ[22] სასწავლებელში, ხან წითელ ჯვარში ამოჰყოფდა თავს, ხანაც საგაფიცვო კომიტეტის ფონდში. ნეტავი ახლა შვეიცარიაში, მივარდნილ ტყიან კანტონში გააჩინა! ახლა იქ ალბათ ლურჯად მოლივლივე ტბის ზედაპირზე სიმშვიდე და სიკამკამეა, ზეცა და მთები, დაყურსული წმინდა ჰაერი.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა ფანჯარას ზურგი აქცია. ვინმესთან სტუმრად შევლა ან ისე, უბრალოდ ქუჩაში გასვლა და უმიზნოდ ყიალი მოენატრა. მაგრამ უეცრად გაახსენდა, ტოლსტოველ ვივოლოჩნოვს საქმეზე უნდა შემოევლო და უმისობა არ იქნებოდა. ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. მისი აზრები ახლა დისწულს დასტრიალებდნენ.

მიყრუებული ვოლგისპირეთიდან პეტერბურგში რომ გადავიდა, იურა

---

[20] მღვდელი გ. ა. გაპონი (1870-1906), რომელმაც პოლიციის დასტურით შექმნა მუშათა საკრებულო. 1905 წლის 9 იანვარს მისი წინამძღოლობით მოეწყო მუშათა დემონსტრაცია, რასაც მეფის ხელისუფლება ტყვიით და ხიშტებით შეხვდა. „სიახლიანი კვირადღის" სახელით ცნობილი ამ აქციის შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა და ესერებმა გაპონს ბრალი დასდეს წინასწარ განზრახულ პროვოკაციაში. იგი იძულებული გახდა საზღვარგარეთ გაქცეულიყო, მაგრამ ე. წ. „მებრძოლი" ესერების შურისგებას მაინც ვერ გადაურჩა და მათივე ხელით იქნა მოკლული 1906 წელს.

[21] რუსეთის მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. ი. ვიტე (1849-1915), რომელმაც გასცა ბრძანება მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის შესახებ. – ქალთა უმაღლესი კურსები მოსკოვში 1872 წლიდან არსებობდა და უნივერსიტეტის მოცულობის განათლებას იძლეოდა.

[22] მოსკოვის რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოება 1904 წლიდან არსებობღა და პერიოდულად მდიდარი ქველმოქმედის მ. კ. მოროზოვას (1873-1958) სახლში იკრიბებოდა.

მოსკოვში ჩაიყვანა, ვედენიაპინების, ოსტრომისლენსკების, სელიავინების, მიხაელისების, სვენტიცკების და გრომეკოების ნათესაურ გარემოცვაში. თავდაპირველად იურა დაუდევარ, ენატარტალა მოხუც ოსტრომისლენსკის მიაბარა, რომელსაც ახლობლები უბრალოდ ფედკას ეძახდნენ.

ფედკა ფარულად ცხოვრობდა თავის აღზრდილ მოტიასთან და ამის გამო. თავისთავს. ძველი სამყაროს საფუძველთა შემარყევლად, იდეების შემრყვნელად თვლიდა. მან ნდობა ვერ გაამართლა, ის კი არა და ხელმრუდიც აღმოჩნდა და იურას შესანახ ფულს საკუთარი საჭიროებისათვის ხარჯვა დაუწყო. იურა პროფესორ გრომეკოს ოჯახში გადაიყვანეს და ახლაც იქ იმყოფებოდა.

გრომეკოებთან იურა შესაშურ გარემოცვაში აღმოაჩნდა.

– მერედა რა დიდებული ტრიუმვირატი აქვთ, – ფიქრობდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი. – იურა, მისი ამხანაგი და გიმნაზიის თანაკლასელი გორდონი და მასპინძელთა ქალიშვილი ტონია გრომეკო ამ საიდუმლო სამთა კავშირმა უთვალავჯერ გადაიკითხა „აზრი სიყვარულისა”[23], „კრეიცერის სონატა” და პირდაპირ ჭკუას ჰკარგავს უბიწოების ქადაგებაზე. სიყრმემ უმანკოების ყველა სიშმაგე უნდა გადალახოს. მაგრამ ისინი ამლაშებენ, იმათი ჭკუა გონიერების სამანებს სცდება.

მართლაცდა, საშინლად ახირებული ბავშვები არიან. გრძნობიერების სფეროს, რაც ასე აღელვებთ, რატომღაც „უხამსობას” უწოდებენ და წარამარა ხმარობენ ამ სიტყვას. ფრიად უხეირო არჩევანია! მათთვის „უხამსობა” ინსტინქტის ყივილიცაა და პორნოგრაფიული ლიტერატურაც, ქალის ჩაგვრაც და ლამის მთელი ფიზიკური სამყაროც. მერე როგორი ალმური ასდით ამ სიტყვის წარმოთქმისას!

---

[23] ს. სოლოვიოვის ტრაქტატმა („აზრი სიყვარულისა“) XIX ს-ის ბოლოს დიდი გავლენა იქონია რუსულ სიმბოლისტურ პოეზიაში „მარადიული ქალწულობის“ მისტიკური კულტის ჩამოყალიბების საქმეში. XX კრეიცერის სონატა“ ლევ ტოლსტოის მოთხრობაა.

მე რომ მოსკოვში ვყოფილიყავი, – ფიქრობდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, – ეგრე ღრმად აღარ შევატოპინებდი. სირცხვილის გრძნობა კარგი რამ არის, მაგრამ იმასაც თავისი საზღვარი აქვს...

– ახლავე, ნილ ფეოქტისტოვიჩ! მობრძანდით, გეთაყვა, – გაეპასუხა იგი და სტუმრის შესახვედრად გაეშურა.

10

ოთახში ფართო ქამარში ჩატანებულ ნაცრისფერ პერანგიანი ჩასუქებული მამაკაცი შემოვიდა. ნაბდის ჩექმებიანს შარვალი მუხლებთან ებერებოდა. ერთი შეხედვით ღრუბლებში მონანავე კეთილი კაცის სახე ჰქონდა. ცხვირზე მრისხანედ მოუჩანდა ფართო შავზონარიანი პატარა პენსნე.

შემოსასვლელში ტანთ გაიხადა, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიუყვანია. აღარ მოიხსნა შარფი, რომლის ბოლოც იატაკზე დასთრევდა, იდგა და ხელში თავისი მრგვალი ნაბდის ქუდი ეჭირა. ეს ყველაფერი ვივოლოჩნოვს ხელ-ფეხს უბორკავდა და ნიკოლაი ნიკოლაევიჩისათვის ხელის ჩამორთმევაზეც რომ აღარაფერი ვთქვათ, სალმის თქმაც ვეღარ მოეხერხებინა.

– მნა-ა, – დაბნეული ლუღლუღებდა და აქეთ-იქით იხედებოდა. – სადაც გენებოთ, იქ ჩამოდეთ, – უთხრა ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა და ვივოლოჩნოვს მეტყველების უნარი და გამბედაობა დაუბრუნა. ეს კაცი ლევ ტოლსტოის მიმდევართა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა თავებშიც გენიოსის მარად მშფოთვარე აზრებმა ერთხელ და სამუდამოდ სამარადჟამო, აუმღვრეველი განსასვენებელი ჰპოვეს და დღენიადაგ უმოწყალოდ ქუცმაცდებოდნენ.

ვივოლოჩნოვი იმის სათხოვნელად იყო მოსული, რომ ნიკოლაი ნიკოლაევიჩი პოლიტიკურ გადასახლებაში მყოფთა სასარგებლოდ რომელიღაც სკოლაში გამოსულიყო.

– მე იქ ერთხელ უკვე გამოვედი.

– პოლიტიკურთა სასარგებლოდ?

– დიახ.

– კიდევ ერთხელ მოგიწევთ.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა მცირე ხანს იუარა და ბოლოს მაინც დასთანხმდა.

სტუმრობის მიზეზი ამოიწურა. ნიკოლაი ნიკოლაევიჩი ნილ ფეოქტისტოვიჩს არ აკავებდა. მას შეეძლო წამომდგარიყო და წასულიყო, მაგრამ ვივოლოჩნოვს ეგზომ ნაადრევად წასვლა უხერხულად ეჩვენებოდა. გამოთხოვებისას რაღაც ცოცხალი, ბუნებრივი სიტყვა უნდა ეთქვა. ნაძალადევი და უსიამო საუბარი გაიბა.

– დეკადენტობთ? დანებდით მისტიკას?

– ვითომ მაგას რად მეუბნებით?

– დაიღუპა ადამიანი. ერობა გახსოვთ?

– რაღა თქმა უნდა. არჩევნებში ერთად არ ვმუშაობდით?

– სასოფლო სკოლებისა და სამასწავლებლო სემინარიებისათვის ვიბრძოდით. გახსოვთ?

– როგორ არა. ცხარე ბრძოლები იყო. თქვენ მერე, მგონი, სახალხო ჯანმრთელობისა და საქველმოქმედო ასპარეზზე მოღვაწეობდით. ასე არ არის?

– დიახ, ერთხანს ასე იყო.

– ნდა. მაშ ახლა რაღა დაგემართათ? რა შუაშია ეს ფავნები და ნენუფარები[24], ეფები და „მზესავით ვიყოთ”? მომკალით, მაგრამ ვერ დავიჯერებ. ეგრერიგად ჭკვიანმა, ენაწყლიანმა და სახალხო ჭირ-ვარამის მცოდ-

[24] „ნენუფარი“ ფრანგულად „დუმფარას“ ნიშნავს, რომლის გამოსახულებით ხშირად ამკობდნენ სიმბოლისტურ გამოცემებს. „მზესავით ვიყოთ” კ. დ. ბალმონტის ლექსთა კრებულის სახელწოდებაა. იგი 1903 წელს გამოიცა და ლიტერატურულ წრეებში ფართო აღიარება ჰპოვა.

ნე ადამიანმა რომ... დაიცათ ერთი, თუ ღმერთი გწამთ... ან იქნებ მეშლება რამე?.. იქნებ არსებობს მიზეზი და მე კი არ ვიცი? – ეგრე იოლად სიტყვებს რად ხარჯავთ? ან რაზე ვდავობთ? თქვენ ხომ არ იცით ჩემი აზრები.

– რუსეთს სკოლები, საავადმყოფოები სჭირდება და არა სხვადასხვა ოხრობა თუ დარდუბალა.

– არავინ გედავებათ.

– გლეხკაცი შიშველ-ტიტველია, შიმშილისაგან სული სძვრება... საუბარი ამგვარი ნახტომებით გრძელდებოდა. ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა იმთავითვე გაითვალისწინა ამგვარი ცდების უნაყოფობა და იმის ახსნა დაუწყო ზოგიერთ სიმბოლისტ მწერალთან რა აახლოებდა ბოლოს ტოლსტოისაც გადასწვდა.

– რომელიღაც მიჯნამდე მეც თქვენთანა ვარ. მაგრამ ლევ ნიკოლაევიჩი იმასაც ამბობს, ადამიანი რაც უფრო მეტად მიისწრაფის სილამაზისკენ, მით უფრო შორდებაო სიკეთეს.

– თქვენ კი ფიქრობთ, რომ პირიქითაა? განა ქვეყანას სილამაზე, მისტერიები და მათნი მსგავსნი, როზანოვი ან დოსტოევსკი უშველიან? – ყური დამიგდეთ, თავადვე გეტყვით, რასაც ვფიქრობ. ასე მგონია, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ადამიანში მთვლემარე მხეცის შეკავება მუქარით, სულ ერთია, საპყრობილე იქნებოდა ეს თუ საიქიოს წარსაგებელი, კაცობრიობის უზეშთაესი ხატება თავშეწირული მოძღვარი კი არა, მათრახიანი საცირკო მომთვინიერებელი იქნებოდა. მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ადამიანის ცხოველთან შედარებით აღამაღლებდა მუსიკა და არა კეტი: უიარაღო ჭეშმარიტების უცილობლობა, მისი მაგალითის მიმზიდველობა. აქამდე ითვლებოდა, რომ სახარებაში ყველაზე მთავარი მცნებებში არსებული ზნეობრივი გამონათქვამები და წესებია, ჩემთვის კი უმთავრესი ის არის, რომ ქრისტე ცხოვრებისეული იგავებით ლაპარაკობს და ჭეშმარიტებას ყოველდღიურობის

შუქით ასხივოსნებს. ამას ის აზრი ეფუძნება, რომ ურთიერთობა მოკვდავთა შორის უკვდავია და თვით სიცოცხლე სიმბოლურია, რამეთუ იგი მნიშვნელოვანია.

– ვერაფერი გავიგე. იქნებ ამაზე წიგნი დაგეწერათ.

ვივოლოჩნოვი რომ წავიდა, ნიკოლაი ნიკოლაევიჩი საშინელმა გაღიზიანებამ შეიპყრო. საკუთარ თავზე მოსდიოდა გული, იმ ბენტერასთან თავის სანუკვარ აზრთა ნაწილი რომ წამოროშა, მასზე კი იოტისოდენა შთაბეჭდილებაც კი ვერ მოახდინა. როგორც ხანდახან ხდება ხოლმე, ნიკოლაი ნიკოლაევიჩის წყენამ უეცრად მიმართულება შეიცვალა. ვივოლოჩნოვი სულ გადაავიწყდა, თითქოსდა იმას არც არასოდეს ებოგინა ამ ქვეყანაზე. სულ სხვა შემთხვევა გაახსენდა. დღიურებს არ წერდა, მაგრამ წელიწადში ორ-სამჯერ თავისთვის განსაცვიფრებელ აზრებს სქელ საერთო რვეულში იწერდა. ახლაც რვეული ამოიღო და მსხვილი, ადვილად გასარჩევი ასოებით წერას შეუდგა. აი, რა ჩაიწერა:

„მთელი დღე აწეწილი ვარ ამ ტუტუცი შლეზინგერის გამო. დილაადრიან მოდის, სადილობამდე ფეხს არ იცვლის და სულსა მხდის თავისი აბდაუბდით. ესაო, სიმბოლისტ ა-ს სალექსო ტექსტიაო კომპოზიტორ ბ-ს კოსმოგონიური სიმფონიისთვის პლანეტების სულებთან, ოთხი სტიქიის ხმებთან ერთადო, სხვანი და სხვანი. ვითმინე, ვითმინე, ბოლოს ვეღარ მოვითმინე, ამის მეტი აღარ შემიძლია, დამეხსენ-მეთქი, შევევედრე.

– მერე უეცრად ყველაფერს მივხვდი. მივხვდი, თვით ფაუსტშიც კი რატომაა ეს ყოველივე ესოდენ მომაკვდინებლად ცრუ და აუტანელი. ეს ხელოვნური, მოჩვენებითი ინტერესია. ამგვარი მოთხოვნილებანი თანამედროვე ადამიანს არ გააჩნია. როცა სამყაროს გამოცანები მოიცავენ, იგი ფიზიკას უღრმავდება და არა ჰესიოდეს ჰეგზამეტრებს.

თუმცა საქმე ამ ფორმების მოძველებაში, მათ ანაქრონიზმში როდია. არც თუ ისაა დიდი ბედენა, რომ ეს სულები წყლისა და ცეცხლის ისევ და ისევ ბინდავენ იმას, რაც მეცნიერების მიერ ნათლადაა გარკვეული. საქმე ის არის, რომ ეს ჟანრი ამჟამინდელი ხელოვნების მთელ მიმართებას, მის

არსს, მის აღმძვრელ მოტივებს ეწინააღმდეგება.

ეს კოსმოგონიები ბუნებრივი იყო ძველ მიწაზე, რომელიც ადამიანით იმდენად თხლად იყო დასახლებული, გარემომცველ ბუნებას ჯერ არ ჩრდილავდა. მაშინ ჯერ კიდევ მამონტები ეხეტებოდნენ, დინოზავრებზე და დრაკონებზე მოგონებებიც ისევ ცოცხლობდნენ. ბუნება ისე აშკარად ხვდებოდა თვალში ადამიანს, ისე მტაცებლურად და საგრძნობლად პირდაპირ ქეჩოში, რომ არემარე იქნებ მართლაც ღმერთებით იყო აღსავსე. ეს მხოლოდ პირველი გვერდები გახლდათ კაცობრიობის ისტორიისა, იგი ის იყო, იწყებოდა.

ეს ძველთაძველი სამყარო რომში დამთავრდა ხალხის სიჭარბის გამოისობით.

რომი ნასესხები ღმერთებისა და დაპყრობილ ხალხთა ბაზარი იყო, ორიარუსიანი ზედაჟლეტა – დედამიწაზე და ზეცაში, თავის გარშემო მან თავადვე გამოიფსკვნა სამმაგი ყულფი, ვით გადახლართვა ნაწლავებისა. ერთურთში იყვნენ აღრეულნი დაკ-ჰერულები, სკვითნი, სარმატნი, ჰიპერბორელნი, მძიმეთვლიანი ტლანქი ეტლები, ქონში ჩამხრჩვალი წვრილი თვალები, პირუტყვთმავლობა, ორმაგი ნიკაპები, განათლებული მონების ხორცით გასუქებული თევზები და გონებაჩლუნგი იმპერატორნი. ადამიანები ქვეყნად იმაზე მეტნი იყვნენ, ვიდრე ოდესმე, ისინი კოლიზეუმის გასასვლელებში იჭეჭყებოდნენ და იტანჯებოდნენ.

და აი, მარმარილოს და ოქრო-ვერცხლის ამ უგემოვნო ნაყარნუყარში მოვიდა იგი, მსუბუქი და შუქით მოსილი, უაღრესად ადამიანური, საგანგებოდ პროვინციელი, გალილეელი, და ამ წუთიდან წარიშალნენ ხალხებიც და ღმერთებიც, და გზა გაეხსნა ადამიანს – ხუროს, გუთნის დედას და ჩამავალი მზის სხივებში გახვეული ცხვრის ფარის მწყემსს. ადამიანს, რომლის სახელიც იოტისოდენადაც არ ჟღერდა ამაყად, ვისი სათნოებაც კიდით კიდემდე მადლიერებით შეიმოსა ყოველი დედის იავნანაში, მთელი მსოფლიოს სურათების გალერეებში”.

მოსკოვის პეტრეს რიგები[25] პეტერბურგული კუთხე-კუნჭულის შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ. ქუჩის ორივე მხარეს თვალს იტაცებდნენ ლამაზად ჩამწკრივებული შენობები, მშვენიერი გემოვნებით ნაძერწი სადარბაზო შესასვლელები, წიგნის მაღაზია, სამკითხველო, კარტოგრაფიული დაწესებულება, საუკეთესო თამბაქოს მაღაზია, საუკეთესო რესტორანი, რესტორნის წინ – დიდრონ ბოძებზე დაკიდებული მქრქალ ბურთულებიანი გაზის ლამპიონები.

ზამთრობით ეს ადგილი მიუდგომლად იღუშებოდა. აქ სახლობდნენ სერიოზული, საკუთარი თავის ყადრის მცოდნე, კარგი შემოსავლის მქონე თავისუფალი მოსაქმეები.

სწორედ აქ, მეორე სართულზე ჰქონდა დაქირავებული ფართო, მუხის განიერი მოაჯირებით დამშვენებულ კიბიანი მდიდრული ბინა მარტოხელა ვიქტორ კომაროვსკის. მის საოჯახო მეურნეობას წარმართავდა მისი მნე ქალი, არა – მეთეთრეულე, მარად წყნარი და უჩინარი ემა ერნესტოვნა, ყოველ წვრილმანში მზრუნველად რომ ერკვეოდა და ამავე დროს არაფერში ეჩრებოდა, კომაროვსკიც, მისებრ ჯენტლმენს რომ შეეფერებოდა, იმგვარივე რაინდული მადლიერებით უხდიდა სიკეთეს და გაურბოდა სტუმრებსა და წამსვლელ-მომსვლელებს, რაც ეგრერიგად შეესაბამებოდა ქალის შინაბერულად აუმღვრეველ ბუნებას. მათთან ნიადაგ მონაზონთა სავანის მყუდროება სუფევდა – ფარდები მუდამ ჩამოშვებული იყო და საოპერაციო პალატის მსგავსად ვერც მტვრის ნასახს ნახავდით სადმე და ვერც ლაქისას.

„კვირადღით, სადილობის წინ ვიქტორ იპოლიტოვიჩს წესად ჰქონდა პეტროვკაზე და კუზნეცკის ხიდზე თავის ბულდოგთან ერთად ხეტიალი.

[25] პეტრეს რიგები – აშენებულია 174 წელს და წარმოადგენს შიდა გასასვლელით დაკავშირებულ ორ უზარმაზარ შენობას. მასში ამჟამად მოთავსებულა სასტუმრო „ბუდაპეშტი“.

ერთ-ერთი კუთხიდან გამოდიოდა და მათ უერთდებოდა ხოლმე მსახიო-ბი და ბანქოს მოყვარული კონსტანტინ ილარიონოვიჩ სატანიდი.

ისინი ერთად ტკეპნიდნენ ქუჩებს და ჟამიდან ჟამად იმგვარ მოკლე-მოკლე, უმნიშვნელო და მთელი ქვეყნიერების მიმართ ზიზღით აღსავსე ანეკდოტებს და შენიშვნებს გადაუგდებდნენ ხოლმე ერთმანეთს, თამა-მად შეეძლოთ ეს სიტყვები ღრენით შეეცვალათ, ოღონდ კი კუზნეცკის ხიდის ორივე ტროტუარი თავიანთი ხმამაღალი, ურცხვად მოდადღანე და საკუთარი ვიბრაციით მოგუდული დვრინით აევსოთ.

12

ამინდი ჭირვეულობდა. „წკაპ-წკაპ-წკაპ", – წკაპუნობდნენ წვეთები სახურავების თუნუქის მილებში და ლავგარდანებზე. სახურავი სახუ-რავს ეხმიანებოდა, როგორც გაზაფხულზე. ჩამოთბა.

მთელი გზა უგონოდ მოდიოდა, და მხოლოდ სახლში მიხვდა, რაც მოხდა.

შინ ყველას ეძინა. იგი კვლავ წაბარბაცდა და გაოგნებული სახელოს-ნოში თითქოსდა სამასკარადოდ ერთადერთი დღით ნათხოვარი ღია იის-ფერი, თითქმის თეთრი, მაქმანებით გაწყობილი კაბით დედის სარკიანი მაგიდის წინ დაეშვა. სარკის წინაშე, თავისი გამოსახულების პირისპირ იჯდა და ვერაფერს ხედავდა. მერე გადაჯვარედინებული ხელები მაგი-დაზე ჩამოდო და ზედ დაემხო.

დედამ რომ გაიგოს, მოჰკლავს. მოჰკლავს და თავსაც აღარ იცოც-ხლებს.

როგორ მოხდა ეს ყველაფერი? როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო? ახლა გვიანღაა, ამაზე ადრე უნდა ეფიქრა.

ახლა იგი, – რას ეძახიან? – ახლა იგი – გარყვნილია. იგი – ფრანგული რომანის ქალია, ხვალ კი წავა გიმნაზიაში და იმ გოგონებს მიუჯდება გვერდით, რომლებიც მასთან შედარებით ძუძუთა ბავშვები არიან. ო,

ღმერთო, ღმერთო, ეს ყოველივე რად უნდა მომხდარიყო! ოდესმე, მრავალი-მრავალი წლის მერე, როცა ამის შესაძლებლობა იქნება, ლარა ყველაფერს ოლია დიომინას მოუყვება. ოლია მის თავს გულში ჩაიკრავს და აქვითინდება.

ფანჯრის მიღმა კი ღაპაღუპით ცვიოდნენ წვეთები, და მოძალებული სითბოც თავისას გაიძახოდა. მეზობლის ჭიშკარს ქუჩიდან ვიღაც უბრახუნებდა. ლარას თავი არ აუწევია. მხრები უცახცახებდა. იგი ტიროდა.

13

– აჰ, ემა ერნესტოვნა, ესა, ჩემო კარგო, არაფრად ვარგა. ეს უკვე მომწყინდა.

იგი ნაირ-ნაირ ნივთებს, მანჟეტებსა და გულისპირებს ხალიჩაზე და ტახტზე ჰყრიდა, კომოდის უჯრებს აქოთებდა და თავადაც არ იცოდა, რა უნდოდა.

როგორ ენატრებოდა ახლა მასთან ყოფნა, მაგრამ ამ კვირადღეს მისი ნახვა შეუძლებელი იყო. ოთახში მხეცივით ბორგავდა და ადგილს ვერ პოულობდა.

გოგონა შეუდარებელი იყო აღფრთოვანების ზეშთაგონებით. მისი ხელები აჯადოებდა, როგორც კაცს ხიბლავს მწყობრი აზრები. ნომრის შპალერზე მისი აჩრდილი მისივე შეურყვნელობის დასტური იყო. მკერდზე პერანგი ისე ჰქონდა შემოტმასნილი, როგორც თითებზე შემოჭერილი ტილოს ნაჭერი.

ქვევით, ასფალტზე დინჯად მიმავალი ცხენების ფეხის ხმას კომაროვსკი ფანჯრის მინებზე თითების კაკუნს აყოლებდა. „ლარა", – თვალდახუჭული ჩურჩულებდა იგი და ოცნებაში მისი თავი კაცის მკლავებში ექცეოდა, ქალს კი ეძინა, წამწამები დაეხარა, არც კი იცოდა, რომ საათობით მისჩერებოდნენ უძილო და ხარბი თვალებით. ბალიშზე უწესრიგოდ

მიმობნეული მისი თმები კი თავიანთი მშვენიერების ცეცხლოვანი ელვარებით კომაროვსკის თვალებსა სჭრიდა, სულს უშფოთებდა. არც საკვირაო სეირნობა გამოუვიდა. ჯეკთან ერთად ტროტუარზე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შედგა. თვალწინ წარმოუდგა კუზნეცკის ხიდი, სატანიდის ლაზღანდარობა, ნაცნობთა შემხვედრი ნაკადი. არა, ეს მის ძალებს აღემატება, ყველაფერი ყელში ამოუვიდა! კომაროვსკი უკან შებრუნდა. ძაღლს გაუკვირდა, ქვევიდან საყვედურიანი თვალებით ახედა და უხალისოდ გაჰყვა.

– რა ცდუნებაა! – ფიქრობდა იგი. – ნეტავ რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რა უნდა იყოს – გაღვიძებული სინდისი, სიბრალული თუ მონანიება? ან იქნებ მღელვარებაა? არა, იცის, რომ ლარა შინ არის, თავის სახლში, და არაფერი ემუქრება. მაშ მისი სახე თავიდან რატომ აღარ ამოსდის?

კომაროვსკი სადარბაზოში შევიდა, ბაქნამდე აჰყვა კიბეს და მოუხვია. კიბის თავზე ვენეციური ფანჯარა იყო დატანებული და შუშის კუთხეებს ჩუქურთმიანი გერბები ამშვენებდა. ფერად-ფერადი ათინათი იფრქვეოდა იქიდან იატაკზე და ფანჯრის რაფაზე. მეორე კიბის შუამდე მიაღწია და შეჩერდა.

არა, ამ მტანჯველ, გულისწამღებ სევდას არ უნდა დანებდეს! პატარა ბიჭი აღარ არის და უნდა ესმოდეს, რა მოელის, ეს გოგონა, მისი მეგობრის ქალიშვილი, ჯერ სულ მთლად ბავშვი, მისი გართობის საშუალება მისივე შერყევის საგნად თუ იქცა. გონს უნდა მოეგოს, თავს მოერიოს და საკუთარ ჩვეულებებს არ უღალატოს, თორემ ყოველივე ფერფლად იქცევა.

განიერ მოაჯირს ტკივილამდე მოუჭირა ხელი, წუთით თვალები მიელულა, მერე მკვეთრად შეტრიალდა და კიბეზე დაშვება დაიწყო. ათინათიან ბაქანზე ბულდოგის მაღმერთებელი მზერა დაიჭირა. ჯეკს თავი აეწია და ქვევიდან ბებერი, დორბლიანი, ლოყებმომჩვარული ქონდრის კაცივით შესციცინებდა.

ძაღლს ის გოგონა არ უყვარდა, წინდებს უხევდა, ეღრინებოდა და

კბილებს უკრეჭდა. იგი ლარაზე ეჭვიანობდა, თითქოს ეშინოდა, ჩემი პატრონი მისგან რაიმე ადამიანურით არ მოიწამლოსო.

– აა, აი თურმე რაში ყოფილა საქმე! შენ გადაწყვიტე, რომ ყველაფერი ძველებურად იქნება – სატანიდიც, საძაგლობაც და ანეკდოტებიც, არა? აი, შენ ამისათვის, აი შენ, აი შენ, აი შენ!

ბულდოგს ხელჯოხი და წიხლები დაუშინა. ჯეკი ყმუილით და წკავწკავით გაუსხლტა ხელიდან, კუდამოძუებულმა კიბეზე აძიგძიგებული უკანალით აირბინა, რათა კარს მისდგომოდა და ემა ერნესტოვნასთვის შეეჩივლა.

დღე დღეს მისდევდა და კვირა კვირას.

14

ო, რა მოჯადოებული წრე იყო! ლარას ცხოვრებაში კომაროვსკის შემოჭრას გოგონას მხრივ მარტოოდენ ზიზღი რომ გამოეწვია, იგი აუჯანყდებოდა და თავს უშველიდა. მაგრამ საქმე არც ისე უბრალოდ იყო, გოგონას თავბრუ ეხვეოდა, რომ ეს მოხდენილი, ჭაღარაშერეული მამის ტოლი კაცი, რომელსაც თავყრილობებზე ტაშით ეგებებოდნენ და გაზეთები იხსენიებდნენ, მისი გულისთვის არც ფულს იშურებდა და არც დროს, ღვთაებას უწოდებდა, თეატრებსა და კონცერტებზე დაჰყავდა, როგორც იტყვიან, „გონებრივად ავითარებდა".

ის ხომ ჯერ კიდევ უასაკო, ყავისფერკაბიანი გიმნაზიელი იყო, მიამიტი სასკოლო შეთქმულებებისა და ეშმაკობების საიდუმლო მონაწილე. კომაროვსკის არშიყობა სადღაც კარეტაში, მეეტლის ცხვირწინ ან მიყუჩებულ ავანლოჟაში, მთელი თეატრის თვალწინ თავისი გამოუაშკარავებელი კადნიერებით ატყვევებდა და მის არსებაში მიმბაძველობის ახალგამოღვიძებულ ეშმაკუნას აფრთიანებდა.

მაგრამ ეს ლაღი, ბავშვური ანცობაც თვალდათვალ ჰქრებოდა. სუ-

ლის წამღებმა გულგატეხილობამ და საკუთარი თავის წინაშე შიშმა მასში დიდი ხნით გაიდგა ფესვი. თეთრად გათენებული ღამეების, ცრემლების და გაუთავებელი თავის ტკივილების, გაკვეთილების სწავლისა და საერთო ფიზიკური მოთენთილობის გამო ერთთავად ძილი ეძალებოდა.

15

ის კაცი მისი წყევლა იყო. ეზიზღებოდა. ყოველ ცისმარე სულ ეს აზრი უტრიალებდა და მოსვენებას არ აძლევდა.

ახლა მთელი ცხოვრება მისი მხევალი უნდა იყოს. არა და, რითი დაიმონა? რითი აიძულებს მორჩილებას და ლარაც რატომ ნებდება ასე, რად უსრულებს სურვილებს ან რატომ ატკბობს შეუფარავი სირცხვილის ძრწოლით? ასაკობრივი განსხვავებით, დედამისის ფინანსური ხელმოკლეობით თუ მისი, ლარას დაშინების უნარით? არა, არა და არა. ეს ყველაფერი სისულელეა.

ლარა კი არაა მასზე დამოკიდებული, საქმე პირიქითაა. განა ვერ ხედავს, მისი გულისთვის როგორ იტანჯება? თვითონ ლარას კი არაფრისაც არ ეშინია, მისი სინდისი სუფთაა. თავად იმ კაცს უნდა რცხვენოდეს და ეშინოდეს, ლარა თუ ყველაფერს გაამჟღავნებს. მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, ამას არასოდეს ჩაიდენს. მას საამისოდ არ ეყოფა სულის სიმდაბლე, რაც კომაროვსკის მთავარი იარაღია ხელქვეითებთან და სუსტებთან ურთიერთობაში.

აი, რაშია მათ შორის სხვაობა. სწორედ ამითაა ცხოვრება ასე საშინელი. რითი დააყრუებს, ჭექა-ქუხილით? არა, ირიბი მზერით და ზიზღნარევი ჩუმი ქირქილით. სწორედ მასშია მთელი ღვარძლი და ორაზროვნება. ობობას ქსელის რომელიმე ცალკეულ ძაფს გამოსწევ – და ჭირი მოგჭამა, მაგრამ აბა გაბედე და თავის დაღწევა დააპირე – შიგ უარესად გაიხლართები.

და ძალმოსილზე უღირსი და სუსტი ბატონობს.

16

– გათხოვილი რომ ვყოფილიყავი? – ფიქრობდა ლარა. – რა განსხვავება იქნებოდა?

იგი სოფიზმის გზას დაადგა, მაგრამ ხანდახან გამოუვალი სევდა იპყრობდა.

როგორ არა რცხვენია იმ კაცს მის ფერხთა ქვეშ ყოფნა და ვედრება: „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. აბა დაფიქრდი, რა დაგატეხე. შენ მოლიპული თავდაღმართით მიექანები. მოდი, დედაშენს გამოვუტყდეთ. ცოლად შეგირთავ".

იგი ტიროდა და დაჟინებით ეეედრებოდა, თითქოს ლარა ეურჩებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები იყო და ლარა ამ ტრაგიკულ ფუყე ლაყბობას არც კი ისმენდა.

კაცი ძველებურად იმ საშინელი რესტორნის განცალკევებულ კაბინეტებში გრძელი პირბადით ლარას ტარებას განაგრძობდა, ლაქიები და მოქეიფენი კი ლირწი მზერით აცილებდნენ, თითქოს თვალდათვალ აშიშვლებდნენ კიდეც. ის კი თავის თავს ეკითხებოდა: როდესაც უყვართ, განა ასე ამცირებენო?

ერთხელ ესიზმრა: ქვესკნელში იყო. მარცხენა მხარი და მარჯვენა ტერფიღა შერჩენოდა. მარცხენა კერტიდან ბღუჯა-ბღუჯა ბალახი ეზრდებოდა, ზევით, მიწაზე კი მღეროდნენ: „შავო თვალებო, ქათქათა მკერდო", და „მაშას წყაროზე აღარ უშვებენო".

17

ლარა არ გახლდათ დიდად მორწმუნე. რელიგიური წეს-ჩვეულებისაც არა სწამდა რა. მაგრამ ხანდახან, ცხოვრებისეული სიმძიმილიც დასაძლევად, ერთგვარი შინაგანი მუსიკის თანხლებით უხდებოდა სიარული. თითოეული შემთხვევისათვის ამგვარი მუსიკის შეთხზვა შეუძლებელი

იყო. ეს მუსიკა ღვთიური სიტყვა იყო ცხოვრების ავანჩავანზე და მასზე სატირლად ლარა ეკლესიაში დაიარებოდა.

ერთხელ, დეკემბრის დასაწყისში, როცა ლარაც ისეთივე გუნებაზე იყო, როგორც „ჭექა-ქუხილის" კატერინა[26], იგი ეკლესიაში წავიდა საlოცავად, თან გული ისე ჰქონდა გასიებული, ეგონა, საცაა ფეხქვეშ მიწა გამისკდება და ეკლესიის თაღებსაც თან ჩაიტანსო. არა და, მიწა რომ გახეთქოდა, ახიც იქნებოდა. ყველაფერს ერთბაშად ეშველებოდა. ოღონდ ეგ იყო დასანანი, ის ენაჭარტალა ოლია დიომინაც ახლდა. – პროვ აფანასიევიჩი, – ყურში წასჩურჩულა ოლიამ.

– სსს, მაცალე ერთი. ეგ რომელიღა პროვ აფანასიევიჩია?

– პროვ სოკოლოვი. ჩვენი გარებიძაა. ვინც კითხულობს.

– აჰ, მედავითნეზე ამბობ, ტივერზინის ნათესავზე? სსს, ჩუმად, თუ შეიძლება, ხელს ნუ მიშლი.

წირვა იწყებოდა, როცა მივიდნენ. ფსალმუნს გალობდნენ: „აკურთხევს სული ჩემი უფალსა და ყოველი გონებან ჩემი სახელსა წმიდასა მისსა"[27].

ეკლესიაში ხალვათობა იყო. მლოცველთა სიმჭიდროვე მარტოოდენ წინა რიგებში იგრძნობოდა. ტაძარი ახალ ყაიდაზე იყო ნაშენი. ფანჯრის უფერო მინაში რუხი, დათოვლილი შესახვევი და აღმა-დაღმა მოფუსფუსე ხალხი მოჩანდა. იმავე ფანჯარასთან დაყუდებული მნათე წირვას აინუნშიც არ აგდებდა და რომელიღაც აბრანძულ-ჩამობრანძულ, გადაყრუებულ სალოს ქალს რაღაცას მთელი იმოდენა მრევლის გასაგონად ჩაჰყვიროდა. მისი ხმაც ისეთივე უსულგულო და გაცვეთილი იყო, როგორც ის ფანჯარა და შესახვევი.

---

[26] იგულისხმება ცნობილი რუსი დრამატურგის ა. ნ. ოსტროვსკის (1923 1386) პიესის მთავარი გმირი კატერინა. პიესის მეხუთე მოქმედებაში იგი ამბობს: „საით წავიდე? სახლისაკენ? არა, ვერ წავალ. სახლში წავალ თუ სამარეში – ეს სულ ერთია".

[27] ფსალმუნნი, 102, 1

ვიდრე ლარა ხელში ჩაბღუჯული ხურდა ფულით თავისთვის და ოლიასათვის სანთლების საყიდლად მლოცველებში კარისაკენ გზას მიიკვლევდა და უკანაც ასევე ფეხაკრეფით ბრუნდებოდა, რომ არავის დასჯახებოდა, პროვ აფანასიევიჩმა ცხრა ნეტარება ჩააბულბულა, რომლებიც უმისოდაც ყველამ მშვენივრად უწყოდა.

ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა...[28] ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გულითა... ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდის და სწყუროდის სიმართლისათვის...

გზად მიმავალი ლარა ანაზდად შეკრთა და შეჩერდა. ამას მასზე ამბობდნენ. პროვი ღაღადებდა: „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყუედრიდნენ და გდევნიდნენ[29], და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის: გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდ არს ცათა შინა”. ეს თავად მისი აზრი იყო. ქრისტეს აზრი.

18

პრესნიას დღეები[30] იდგა. ჰაერში აჯანყების სუნი ტრიალებდა. რამდენიმე ნაბიჯზე, ტვერის კარიბჭესთან ბარიკადებს აგებდნენ. ეს ყველაფერი სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან მოჩანდა. მათი ეზოდან ვედროებით მიჰქონდათ წყალი. ბარიკადის ქვები და ხარახურა ყინულის ჯავშნით რომ შეედუღაბებინათ, ზედ ასხამდნენ.

მეზობელ ეზოში რაზმელების საკრებულო იყო, რაღაც საექიმო თუ საკვები პუნქტის მსგავსი.

---

[28] ციტატა სახარებიდან (მათე, 5: 3, 4, 6).

[29] ციტატა სახარებიდან (მათე, 5: 11).

[30] რომანის ამ ნაწილში აღწერილია 1905 წლის შემოდგომით მოსკოვში მუშათა გაფიცვის შეიარაღებულ აჯანყებაში გადაზრდის ისტორიული ამბები.

ორი ბიჭი მიდიოდა იქით. ლარა ორივეს იცნობდა. ერთი მათგანი ნადიას მეგობარი ნიკა დუდოროვი იყო. მათთან დაიარებოდა და ლარამაც იქ გაიცნო. ისიც ლარასავით პირდაპირი, ამაყი და სიტყვაძვირი იყო. ლარას ძალიან ჰგავდა და გოგოს იგი მაინცდამაინც არ აინტერესებდა.

– მეორე ოლია დიომინას ბებიასთან, მოხუც ტივერზინასთან მცხოვრები რეალური სასწავლებლის მოწაფე ანტიპოვი გახლდათ. მართა გავრილოვნასთან ყოფნისას ლარამ შენიშნა, ბიჭზე რა შთაბეჭდილებას ახდენდა. პაშა ანტიპოვი ბალღური მიამიტობით იყო აღსავსე და ვერც კი მალავდა ნეტარებას, გოგოს სტუმრობა რომ ანიჭებდა. თითქოს ლარა არდადეგების დროინდელი, ხასხასა ბალახითა და ღრუბლებით დამშვენებული არყნალი იყო, დაუბრკოლებლივ შეეძლო მის მიმართ ხბოს აღტაცება გამოეხატა და ქილიკისა არ ეშინოდა.

შენიშნა თუ არა, ბიჭზე გავლენა მოვახდინეო, ლარამ უნებურად ამის გამოყენება დაიწყო. თუმცა მისი რბილი და დამყოლი ბუნების სერიოზულ მოთვინიერებას იგი რამდენიმე წლის შემდეგ, მასთან საკმაო ხნის მეგობრობის მერე შეუდგა, როცა პატულია უკვე ყურებამდე იყო შეყვარებული და ისიც იცოდა, რომ ლარას იქით გზა აღარ ჰქონდა. ბიჭები ყველაზე საზარელ და დიდურ თამაშში, ომობანაში იყვნენ ჩარეულნი, თანაც ისეთში, მონაწილეობისათვის სახრჩობელაზე რომ აჰყავდათ ან გადასახლებაში აგზავნიდნენ. მაგრამ უკნიდან ბაშლიყები იმგვარად ჰქონდათ გამონასკვული, აშკარა იყო, ბავშვები იყვნენ, ჯერ კიდევ ჰყავდათ დედიკოები და მამიკოები. ლარა მათ დიდის თვალებით უყურებდა. მათ სახიფათო ონავრობაში მიამიტობის მოძალება გამოსჭვივოდა. იმათ გარშემო ყველაფერი იმავე ბეჭდის კვალს ატარებდა: ყინვიანი საღამო, რომელსაც არემარე ისე სქლად დაეჭირხლა ირგვლივ ყველაფერი თეთრი კი არა, შავი გეგონებოდათ, ლურჯი ეზო, მოპირდაპირე სახლი, სადაც ბიჭები იმალებოდნენ, და მთავარი, მთავარი – რევოლვერების სროლის ხმა, რაც იქიდან ერთთავად ისმოდა. „ბიჭები ისვრიან” – ფიქრობდა ლა-

რა. ასე ნიკაზე და პატულიაზე კი არა, სროლაში გართულ მთელ ქალაქზე ფიქრობდა. „კარგი, პატიოსანი ბიჭები არიან, – ფიქრობდა იგი, – კარგები არიან და იმიტომაც ისვრიან”.

19

როგორც შეიტყვეს, შესაძლო იყო ბარიკადებისთვის ქვემეხები დაეშინათ და მათ სახლს საფრთხე ემუქრებოდა. სადმე მოსკოვის სხვა ნაწილში გადასვლაზე ფიქრი უკვე გვიანღა იყო, რადგან მათი რაიონი ალყაში იყო მოქცეული. სადმე ახლო, ალყის შიგნით უნდა გამოენახათ მყუდრო ადგილი. „ჩერნოგორია” გაახსენდათ.

მერე გაირკვა, რომ პირველები არა ყოფილან. ყოველი კუთხე-კუნჭული სასტუმროში უკვე კარგახნის დაკავებული იყო. ბევრი აღმოჩნდა მათ მდგომარეობაში. ძველი ნაცნობობა გაახსენდათ და სამრეცხაოში მოთავსება აღუთქვეს.

ჩემოდნებით თვალში რომ არავის გასჩხეროდნენ, ბარგი სამ ბოხჩაში მოაქციეს და სასტუმროში გადასასვლელად ხელსაყრელ შემთხვევას დაუწყეს ლოდინი.

სახელოსნოში გაბატონებული მამაპაპური ადათების გამოისობით გაფიცვას არაფრად აგდებდნენ და ბოლო ხანებამდე ძველებურად მუშაობდნენ. ერთხელ კი, დაბინდებისას, ქუჩიდან დარეკეს. ვიღაც მოვიდა და იქაურობა ბუზღუნითა და საყვედურებით აიკლო. მეპატრონე იხმეს გასასვლელში. ხალხის დასაშოშმინებლად ფაინა სილანტიევნა გავიდა.

– აქეთ, ქალებო! – დაუძახა ცოტა ხნის შემდეგ მკერავებს და ახალმოსულს რიგრიგობით წარუდგინა.

უცნობი ყველას სათითაოდ მიესალმა, გრძნობამორევით, ტლანქად ჩამოართვა ხელი, ფეტისოვა რაღაცაზე დაიყოლია და წავიდა.

დარბაზში დაბრუნებულმა ქალებმა თავზე შალები მოიხვიეს და თავს ზემოთ აწეული ვიწრო ქურქების სახელოებში მკლავების გაყრას

შეუდგნენ.

– რა მოხდა? – იკითხა შემოსწრებულმა ამალია კარლოვნამ.

– გარეთ გვეძახიან, მადამ, გავიფიცეთ.

– განა ისეთი... რა დაგიშავეთ? – მადამ გიშარი გაშრა და აქვითინდა. – ნუ სტირით, ამალია კარლოვნა. თქვენზე როდი ვჯავრობთ, ძალიანაც მადლობლები ვართ. განა საქმე თქვენზე ან ჩვენზეა. ასეა ახლა ყველგან, მთელ დუნიაზე. ქვეყანას კიდევ რას მოუხერხებ? ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, ასე გასინჯეთ, ოლია დიომინა და ფაინა სილანტიევაც კი არ დარჩენილან. ფეტისოვამ დამშვიდობებისას სახელოსნოს პატრონს უჩურჩულა, თქვენთვის და საქმისთვის ასე აჯობებსო. ის კი არ ცხრებოდა.

– რა ბრმა უმადურობაა. წარმოგიდგენია, როგორ შეიძლება შეცდეს კაცი ხალხის შეფასებაში! თან გადავყევი ამ გოგოს! კარგი, ვთქვათ, ის ბავშვია, ამ ბებერ ალქაჯს რაღა დაემართა!

– გაიგე, დედიკო, მაგათ არ შეუძლიათ თქვენთვის გამონაკლისი დაუშვან, – აწყნარებდა ლარა. – თქვენ როდი გემდურიან. პირიქით. რაც ირგვლივ ხდება, ადამიანის სასიკეთოდ, სუსტების დასაცავად, ქალებისა და ბავშვებისთვის ხდება. დიახ, დიახ, ნუ აქნევ თავს ეგრე უნდობლად. მეც და თქვენც ამით ოდესღაც უკეთ ვიქნებით.

მაგრამ დედას არაფრის გაგონება არ უნდოდა.

– ყოველთვის ასეა, – ამბობდა სლუკუნით, – როცა უიმისოდაც ტვინი მაქვს არეული, ისეთ რამეს დაათხლიშავ, გამაგიჟებ ხოლმე. პირიდან ლუკმას მაცლიან და თურმე ნუ იტყვი, ჩემს სასიკეთოდ შვრებიან ამას, არა, მე მგონი მართლაც ჭკუაზე ვეღარა ვარ.

როდია კადეტთა კორპუსში იყო. ლარა და დედამისი ცარიელ სახლში დაბორიალებდნენ. ჩაბნელებული ქუჩა ოთახებში ცარიელი თვალებით იხედებოდა. ოთახებიც იგივე მზერით ჰპასუხობდნენ. – წავიდეთ ნომრებში, სანამ არ დაღამებულა. გესმის, დედიკო? ნუ გადავდებთ, ახლავე წავიდეთ.

– ფილატ, ფილატ! – დაუძახეს მათ მეეზოვეს. – ფილატ „ჩერნოგორიაში” გაგვაცილე, ძვირფასო.

– მესმის, ქალბატონო.

– ეს ბოხჩები წამოიღე და იცი რა, ფილატ, სანამ საქმე ძველებურად კალაპოტში დაბრუნდებოდეს, აქაურობას მიგვიხედე, გეთაყვა. კირილ მოდესტოვიჩსაც საკენკი და წყალი არ მოაკლო. ყველაფერი საგულდაგულოდ დაკეტე. ჰო, თუ შეიძლება, ხანდახან იქაც შემოგვიარე ხოლმე.

– მესმის, ქალბატონო.

– გმადლობთ, ფილატ. ღმერთი გიშველის. აბა, ჩამოვსხდეთ წასვლის წინ და ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ქუჩაში გამოვიდნენ და დიდი ხნის ნაავადმყოფარებივით ჰაერი ეუცხოვათ. გათოშილი, კაკლის ნაჭუჭივით ორად გაყოფილი სივრცე ყოველი მიმართულებით იოლად აგორებდა მრგვალ, თითქოსდა სახარატოში გაჩარხულ-გაკრიალებულ ხმებს. ირგვლივ გამაყრუებელი ბათქაბუთქი იყო. ცალკეულ სროლებს შიგადაშიგ ზალპების გუგუნი ენაცვლებოდა და მათი ხმები შორეულ სივრცეს ლავაშებივით ხევდა და ფხრეწდა. ბევრი არწმუნა ფილატმა, მაგრამ ლარას და ამალია კარლოვნას მაინც არაფრით სჯეროდათ, რომ ფუჭ პატრონებს არ ისროდნენ.

– რამ გაგაბრიყვა, ფილატ. თავად დაფიქრდი, როგორ არ ისვრიან ფუჭ პატრონებს, როცა მსროლელი საერთოდ არ ჩანს. მაშ ეს ვინაა, შენი აზრით, სული წმინდა ხომ არ ისვრის? რაღა თქმა უნდა, ფუჭი პატრონებია.

ერთ გზაჯვარედინზე ლტოლვილები საყარაულო პატრულმა შეაჩერა. კაზაკებმა გამქირდავი ღიმილით გაჩხრიკეს, თან თავით ფეხამდე ხელებს უდიერად უფათურებდნენ. უწინაფრო ქუდები დარდიმანდულად გვერდზე დაეხურათ და ყველანი ცალთვალებს ჰგავდნენ.

რა ბედნიერებაა! – ფიქრობდა ლარა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე დანარჩენი ქალაქიდან მოწყვეტილნი იქნებიან, კომაროვსკის არ დაინახავს! დედის გამოისობით მისი თავიდან მოშორება არასდიდებით

არ შეუძლია. არა და, ხომ ვერ ეტყვის: დედა, მაგ კაცს ნუღარ მიიღებო. ხომ ყოველივე გამოაშკარავდება?! თუმცა რა ბედენაა? რისი უნდა ეშინოდეს? ოჰ, ღმერთო, ჯანდაბას ყველაფერი, ოღონდ მალე გათავდეს ეს სატანჯველი. ღმერთო, ღმერთო, ღმერთო! ზიზღისაგან კინაღამ ზედ შუა ქუჩაზე დაეცეს. რა გაახსენდა ახლა?! რა ერქვა გასიებული რომაელის ამაზრზენ სურათს იმ პირველ ცალკე კაბინეტში, სადაც ყველაფერი დაიწყო? „ქალი თუ ვაზა"[31]. ჰო, რა თქმა უნდა, ცნობილი სურათია. „ქალი თუ ვაზა". მაშინ ის ჯერ ქალი არ გამხდარიყო, ამგვარი ძვირფასეულობისათვის თავი რომ შეედარებინა. ეს მერე მოვიდა. მერედა, რა მდიდრული ჭურჭლით იყო გაწყობილი მაგიდა.

– ეგრე დამთხვეულივით სად გარბიხარ? ვერ გეწევი. – ტიროდა უკან ამალია კარლოვნა, მძიმედ ქოშინებდა და ცდილობდა არ ჩამორჩენოდა.

ლარა სწრაფად მიდიოდა. რომელიღაც ძალა მიაქანებდა, თითქოს ჰაერში მიაბიჯებსო, ზვიადი, აღმაფრთოვანებელი ძალა.

„ო, რა დიდებულად ისვრიან, – ფიქრობდა იგი. – ნეტარ არიან დამდაბლებულნი, ნეტარ არიან შეურაცხყოფილნი. ღმერთმა გადღეგრძელოთ, თოფებო! თქვენც მაგ აზრისანი ხართ, თოფებო, თოფებო!"

---

[31] იგულისხმება გ. ი, სემირადსკის (1843–1902) სურათი „არჩევანი მონა ქალსა და ვაზას შორის". მასზე გამოსახულია ძველი რომის მონათა ბაზარზე საგონებელში მყოფი მყიდველი, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია რა შეძინოს – ქალი თუ ვაზა.

ძმები გრომეკოების სახლი სივცევა ვრაჟკას და მეორე შესახვევის კუთხეში იდგა. ალექსანდრ და ნიკოლაი გრომეკოები ქიმიის პროფესორები იყვნენ, პირველი პეტრეს აკადემიაში[32] მუშაობდა, მეორე კი – უნივერსიტეტში. ნიკოლაი ალექსანდროვიჩი უცოლო იყო, ხოლო ალექსანდრ ალექსანდროვიჩი – ცოლიანი. მისი მეუღლის, ანა ივანოვნას ქალიშვილობის გვარი კრიუგერი გახლდათ. მამამისს, რკინეულის მწარმოებელ მეფაბრიკეს, ურალში, იურიატინის მახლობლად უზარმაზარ, ტყიან აგარაკზე მიტოვებული, გაუქმებული მაღაროები ჰქონდა. სახლი ორსართულიანი იყო. ზევით, საცხოვრებელ ნაწილში მოთავსებული იყო საძინებელი და საკლასო ოთახები, ალექსანდრ ალექსანდროვიჩის კაბინეტი და ბიბლიოთეკა, ანა ივანოვნას ბუდუარი და ტონიას და იურას ოთახები, ქვედა სართულს კი მისაღებად იყენებდნენ. ღია მწვანე ფერის ფარდების, როიალის სახურავზე დაფრქვეული სარკის ათინათის, აკვარიუმის, ზეთისხილისფერი ავეჯისა და წყალმცენარეების მსგავსი ოთახის მცენარეების წყალობით ქვედა სართული მწვანე, ზანტად მოტორტმანე ზღვის ფსკერის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა.

გრომეკოები განათლებული, პურმარილიანი, მუსიკის დიდი მცოდნე და მოყვარული ხალხი იყო. ისინი მართავდნენ წვეულებებს, იწვევდნენ საზოგადოებას და აწყობდნენ კამერული მუსიკის საღამოებს, რომლებზეც საფორტეპიანო ტრიოები, სავიოლინო სონატები და სიმებიანი კვარტეტები სრულდებოდა.

ათას ცხრაას ექვსი წლის იანვარში, ნიკოლაი ნიკოლაევიჩის საზ-

[32] პეტრეს აკადემია – დაარსდა 1865 წელს. 1894 წლიდან გადაკეთდა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად, ხოლო შემდგომში – კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიად.

ღვარგარეთ გამგზავრებიდან მცირე ხნის შემდეგ, სივცევში მორიგი კამერული წარმოდგენა უნდა გამართულიყო. ტანეევის[33] სკოლის ერთი დამწყები კომპოზიტორის ახალი სავიოლინო სონატა და ჩაიკოვსკის ტრიო უნდა მოესმინათ.

სამზადისს წინა დღესვე შეუდგნენ. დარბაზის მოსახალვათებლად ავეჯი მისწი-მოსწიეს. კუთხეში ამწყობი ერთი და იგივე ნოტს ასჯერ აჟღერებდა და მძივისებრ არპეჯიოებს აწიკწიკებდა. სამზარეულოში ფრინველს პუტავდნენ, მწვანილს ასუფთავებდნენ, საწებლებისა და სალათებისთვის მდოგვს პროვანსული ზეთით აზავებდნენ.

ანა ივანოვნას გასაბეზრებლად დილიდანვე მოვიდა მისი გულითადი მეგობარი და მესაიდუმლე შურა შლეზინგერი.

მაღალი, გამხდარი ქალი იყო. სწორნაკვთებიანი, მამაკაცური სახით, ცოტა არ იყოს, ხელმწიფეს მოგაგონებდათ, განსაკუთრებით გვერდზე დახურული ნაცრისფერი კრაველის ქუდით, რომელსაც სტუმრად ყოფნისასაც არ იშორებდა, ოღონდ ეგ იყო, მასზე მიბნეულ პირბადეს ოდნავ მაღლა იწევდა.

დარდს და საბრუნავს მეგობრები საუბრით იქარვებდნენ. ეს გაქარვება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ შურა შლეზინგერი და ანა ივანოვნა სულ უფრო მეტად ქირდავდნენ ერთმანეთს. ბობოქარ სცენას მალე ცრემლები და შერიგება მოსდევდა. ეს გაუთავებელი კინკლაობა ორივეს თავში სისხლის ავარდნისას წურბელების მოკიდებასავით ამშვიდებდა. შურა შლეზინგერი რამდენჯერმე იყო გათხოვილი, მაგრამ ნაქმრევებს გაყრისთანავე ივიწყებდა და მათ იმდენად მცირე მნიშვნელობას ანიჭებ-

[33] ს. ნ. ტანეევი (1856-1915) – რუსი კომპოზიტორი. მისი მოწაფეები იყვნენ პასტერნაკის მუსიკის მასწავლებლები ი. დ. ენგელი და რ. მ. გლიერი, აგრეთვე კომპოზიტორი ა. ნ. სკრიაბინი. რომელსაც თაყვანს სცემდა ბ. პასტერნაკი. „ჩაიკოვსკის ტრიოში“ იგულისხმება პ. ი. ჩაიკოვსკის „დიდი მხატვრის სახსოვარი”. როგორც გადმოგვცემენ, 1894 წლის 23 ნოემბერს პასტერნაკების სახლში გამართულ წვეულებაზე მას თავად ლევ ტოლსტოი უსმენდა.

და, რომ ყველა საქციელში მარტოხელა ქალის ცივ სიცქვიტეს ინარჩუნებდა.

იგი თეოსოფოსი[34] გახლდათ, მაგრამ ამასთანავე მართლმადიდებლური ღვთისმსახურება იმდენად ზედმიწევნით იცოდა, რომ toute transportée-ის – სრული ექსტაზის მდგომარეობაშიც კი ვერ ითმენდა ღვთისმსახურებს, წარამარა უთავთიშებდა, თუ რა უნდა ეთქვათ ან ეგალობათ.

„უფალო, შეგვიწყალე", „ყოველთა დროთა", „უსათნოესი ქერუბიმი", – ერთთავად ისმოდა მისი ხრინწიანი, ნაჩქარევი და წყვეტილი საუბარი. შურა შლეზინგერმა იცოდა მათემატიკა, ინდური საიდუმლოებათმცოდნეობა, მოსკოვის კონსერვატორიის უწარჩინებულეს პროფესორთა მისამართები, ისიც, თუ ვინ ვისთან ცხოვრობდა და, საერთოდ, ღმერთო დიდებულო, მთელ დუნიაზე მისი უცოდინარი არაფერი რჩებოდა. ამიტომ იყო, რომ ყოველ მეტ-ნაკლებად სერიოზულ შემთხვევაში მოსამართლედ და საქმის გამრჩევად იწვევდნენ.

დათქმულ საათზე სტუმრებმა მოდენა იწყეს. მოვიდნენ ადელაიდა ფილიპოვნა, გინცი, ფუფკოვები, ქალბატონი და ბატონი ბასურმანები, ვერჟიცკები, პოლკოვნიკი კავკაზცევი. თოვდა, და როცა სადარბაზო კარებს აღებდნენ, წვრილი და დიდრონი ფიფქების ციალისაგან თითქოსდა მარყუჟებში მოქცეული ჰაერი უთავბოლოდ ბორიალობდა. გარედან შემოსულ, ფეხზე აფრატუნებულ, ღრმა ბოტებში გამოწყობილ მამაკაცებს დაბნეულ, დონდლო ადამიანებად მოჰქონდათ თავი, ხოლო ყინვით გახალისებული მათი ცოლები, რომელთაც ქურქების ზედა ორ-ორი ღილი შეეხსნათ და შეჭირხლულ თმებზე თივთიკის თავშლები უკან გადაეგდოთ, პირწავარდნილი ონავრები, ხორცშესხმული ცბიერების განსახიერებანი იყვნენ. „კიუის ნათესავი", – გაისმა ირგვლივ ჩურჩული, როცა ამ

[34] თეოსოფია ე. პ. ბლავატსკაიას (1831-1891) რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება. 1875 წელს მან ნიუ-იორკში შექმნა თეოსოფიური საზოგადოება, რომელსაც მიმდევრები გამოუჩნდნენ ევროპასა და ამერიკაში.

სახლში პირველად მოპატიჟებულმა პიანისტმა შემოაბიჯა. დარბაზის ორივე ბოლოში გამოღებული ორი გვერდითი კარიდან სასადილოში ზამთრის გზაზე უგრძესი, გაწყობილი მაგიდა მოჩანდა. თვალში გეცემოდათ მარცვლოვან წახნაგებიან ბოთლებში აცინცხალებული ცირცელის ნაყენი. თვალ-გულს იტაცებდნენ ვერცხლის სადგარებიანი პაწია სურებით მორთმეული, ზეთით და ძმრით შეზავებული ნუგბარები, ლამაზად მორთულ-მოკაზმული ფრინველი და ნაირ-ნაირი ჩაროზი. სტუმრებისათვის სათითაოდ გაწყობილ ჭურჭელთან პირამიდებად აღმართული ხელსახოცები და კალათებში ჩალაგებული, ნუშის სურნელოვანი, ლურჯად და იისფრად ჩამუქებული ცინერარიაც კი მადას აღძრავდა. მიწიერი სასუსნავებით პირის ჩაგემრიელების სანეტარო წამი რომ მოეახლოებინათ, საჩქაროდ სულიერი საზრდოს მისაღებად გაემზადნენ. დარბაზში რიგებად დასხდნენ. „კიუის ნათესავი", – განახლდა ჩურჩული, როცა პიანისტი საკრავს მიუჯდა. კონცერტი დაიწყო. რაიც სონატას შეეხებოდა, ყველამ იცოდა, რომ მოსაწყენი, ნაცოდვილარი და თავის ტკივილის მომგვრელი იყო. მართლაც, მოლოდინი არ გამტყუნებიათ. ამასთანავე, ყველა სიკეთესთან ერთად, იგი საშინლად გაჭიანურებულიც გამოდგა. ირგვლივ თამბაქოს აბოლებდნენ, ხმაურობდნენ და სკამებს ერთი ადგილიდან მეორეზე დაატარებდნენ. თუმცა სულ მალე სტუმართა მზერა კვლავ მეზობელ ოთახში გაბრწყინებულ გაშლილ სუფრაზე გადავიდა. ყველამ ერთხმად მოითხოვა, დაუყოვნებლივ განეგრძოთ კონცერტი.

პიანისტმა საზოგადოებას ცერად გახედა და პარტნიორებს დაწყების ნიშანი მისცა. მევიოლინემ და ტიშკევიჩმა ხემები დაიქნიეს. ტრიო აკვნესდა.

იურა, ტონია და მიშა გორდონი, რომელიც ახლა დროს სანახევროდ გრომეკოებთან ატარებდა, მესამე რიგში ისხდნენ.

– ეგოროვნა რაღაცას განიშნებთ, – წასჩურჩულა იურამ პირდაპირ მის წინ მჯდომ ალექსანდრ ალექსანდროვიჩს.

დარბაზის კარის ზღურბლზე გრომეკოების ოჯახის ჭაღარა, მოხუცი

მოახლე აგრაფენა ეგოროვნა იდგა. სასოწარკვეთილი იურასკენ იყურებოდა და თავით ანიშნებდა, სასწრაფოდ ოჯახის პატრონს დამიძახეო. ალექსანდრ ალექსანდროვიჩმა თავი მოაბრუნა, ეგოროვნას მწყრალად გადახედა და მხრები აიჩეჩა. ეგოროვნა მაინც არ ცხრებოდა. მალე მათ შორის დარბაზის ერთი კუთხიდან მეორეში მუნჯური საუბარი გაიმართა. ყველანი მათ უყურებდნენ. ანა ივანოვნამ ქმარს გამანადგურებელი მზერა ესროლა.

ალექსანდრ ალექსანდროვიჩი წამოდგა. რაღაც უნდა ეღონა. იგი გაწითლდა, დარბაზს წყნარად შემოუარა და ეგოროვნას მიუახლოვდა. – როგორ არ გრცხვენიათ, ეგოროვნა! რა ეშმაკი დაგემართათ? რაღას აყოვნებთ, მითხარით, რა მოხდა?

ეგოროვნამ რაღაც წასჩურჩულა.

– ეგ რომელი ჩერნოგორიაა?

– ნომრები რომაა, ისა.

– მერე რა მოხდა?

– ახლავე ეძახიან. ვიღაც იქაური კვდებაო, ამბობენ.

– იტყვი შენც რაღაცას! წარმოგიდგენია! ეგ შეუძლებელია, ეგოროვნა. ცოტა ხანს მაცალე, ჩაამთავრონ დაკვრა და ვეტყვი. მანამდე არ შემიძლია.

– ნომრის კაცი იცდის, მეეტლეც. ადამიანი კვდება-მეთქი, გესმით? კეთილშობილი ქალბატონი ყოფილა.

– არა და არა. დიდი ამბავი, ხუთიოდე წუთს თუ მოიცდიან!

ალექსანდრ ალექსანდროვიჩი კვლავ ფეხაკრეფით დაბრუნდა კედელ-კედელ და თავის ადგილზე დაჯდა, თან იღუშებოდა და ცხვირს იზელდა.

პირველი ნაწილის შემდეგ იგი შემსრულებლებს მიუახლოვდა და ვიდრე ტაში გუგუნებდა, ფადეი კაზიმიროვიჩს უთხრა, თქვენთან მოვიდნენ, ეტყობა, რაღაც უსიამოვნება მოხდა და ცოტა ხნით მუსიკის შეჩერე-

ბა მოგვიწევსო. მერე დარბაზისაკენ იბრუნა პირი, ხელისგულების მოძრაობით ტაშის ხმა მიანელა და ხმამაღლა გამოაცხადა:

– ბატონებო, მცირე ხნით ტრიოს შეჩერება მოგვიწევს. ფადეი კაზიმიროვიჩს თანაგრძნობა უნდა გამოვუცხადოთ. ეტყობა რაღაც მოუხდა, იძულებულია დაგვტოვოს. თანაც ასეთ წუთებში მარტო ვერ გავუშვებ. შესაძლოა, დასჭირდეს ჩემი ხლება. მეც თან გავყვები. იუროჩკა, წადი, ძვირფასო, უთხარი, სემიონმა ეტლი სადარბაზოს მოაყენოს, კარგა ხანია ცხენები შებმული ჰყავს. ბატონებო, არ გემშვიდობებით. ყველას გთხოვთ, დარჩეთ. მცირე ხნით დაგეთხოვებით.

ბიჭებმა ალექსანდრ ალექსანდროვიჩს სთხოვეს, ნება მოგვეცით, თქვენთან ერთად ღამით ყინვაში გამოვისეირნოთო.

21

თუმცა თანდათანობით ცხოვრება განახლდა და ყველაფერი ძველებურ კალაპოტში ჩადგა, დეკემბრის შემდეგ აქა-იქ კანტიკუნტად მაინც ისროდნენ და ახალი ხანძრებიც, უიმისოდაც რომ ჩნდება ხოლმე, ძველის ნარჩენებს მიაგავდნენ.

არასოდეს ასე დიდხანს და შორს არ უვლიათ, როგორც იმ ღამით. სმოლენსკის, ნევისა და სადოვაიას ქუჩები ერთი ხელის გაწვდენაზე იყო, მაგრამ გამძვინვარებული ბურუსიანი ყინვა გათოშილ სივრცეს ნაწილ-ნაწილ გლეჯდა, თითქოს ეს სივრცე მთელ ქვეყანაზე ერთნაირი არ ყოფილიყოს. კოცონების აწეწილი, ნაფლეთებად ქცეული კვამლი, ფეხქვეშ მოჭრაჭუნე თოვლი და მარხილის კავთა წივილი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს ღმერთმა უწყოდა, რა ხანი იყო, რაც ამ შემზარავ შორეთში მიდიოდნენ.

სასტუმროს წინ ვიწრო, ლამაზ მარხილში შებმული, ზურგზე ჩულგადაფარებული, შებანდულ საოლავებიანი ცხენი იდგა. მგზავრის ადგილზე ვიღაც მეეტლე იჯდა და ხელთათმანიანი ხელები გასათბობად

თავზე შემოეწყო.

დერეფანში თბილოდა. ტანსაცმლის საკიდისა და შესასვლელის გამ-ყოფი თეჯირის მიღმა ვენტილატორის ზუზუნში, გახურებული ღუმელის გუგუნსა და ათუხთუხებული სამოვრის სტვენაში მთვლემარე შვეიცარი ბარაქიანად ხვრინავდა და ამ ხმაურზე დროდადრო თავადვე ეღვიძებო-და.

დერეფნის მარცხნივ, სარკის წინ იდგა ფერ-უმარილიანი, სახეშეშუ-პებული, უხვად გაპუდრული მანდილოსანი. ამგვარი ამინდისათვის შე-უფერებლად თხელი ჟაკეტი ეცვა. მანდილოსანი ზევიდან ვიღაცას ელო-დებოდა, სარკესთან ზურგშექცევით იდგა და საკუთარ გამოსახულებას ხან მარჯვენა მხრის ზემოდან უყურებდა, ხან მარცხენიდან, აქაოდა, უკ-ნიდან ლამაზი ვარ თუ არაო.

ქუჩიდან შემომავალ კარებში იმ გათოშილმა მეეტლემ შემოყო თავი. თავისი ხიფთანის მოყვანილობით იგი აბრაზე დახატულ კრენდელსა ჰგავდა, მისგან ბოლქვებად გამოშვებული ორთქლი კი ამ მსგავსებას უფ-რო აძლიერებდა.

– მალე მორჩებიან იქ საქმეს, მამზელ? – ჰკითხა მან სარკის წინ მო-კეკლუცე მანდილოსანს. – თქვენი ძმის გადამკიდეს ამ სიცივეში ცხენი გაეყინება.

ოცდამეოთხე ნომერში მომხდარი ამბავი მსახურთა ყოველდღიურ გაბოროტებულ ცხოვრებაში ჩვეულებრივი წვრილმანი იყო. ყოველ წუთს რეკავდნენ ზარები და კედელზე, გრძელ მინის ყუთში სულ ახალ-ახალი ნომრები ჩნდებოდა, რომლებზეც აღნიშნული იყო, თუ სად და რომელი ნომრები გადადიოდნენ ჭკუიდან და, თავად რომ არ იცოდნენ, რა უნდოდათ, დერეფნის მორიგეებს არ ასვენებდნენ.

ახლა იმ ტუტუც დედაკაცს – გიშარს სჭყიპავდნენ ოცდამეოთხეში, სასაქმებელს აძალებდნენ და კუჭ-ნაწლავს ურეცხავდნენ. მოახლე გლა-შა პირდაპირ წელში გაწყდა იატაკის რეცხვით, მოსვრილი ვედროების გამოტანით და სუფთების შეტანით. მაგრამ საფარეშოში ეს ქარიშხალი

იმ ალიაქოთამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო, როცა ჯერ კიდევ ჩამიჩუმი არ ისმოდა და ჯერჯერობით ტერეშკაც არ გაეგზავნათ ეტლით ექიმისა და ამ საცოდავი წრიპინას მოსაყვანად, როცა ჯერ არც კომაროვსკი მოსულიყო და დერეფანში, იმ კართანაც იმდენი ხალხი არ ირეოდა, გამ-ვლელ-გამომვლელს ფეხებში რომ ებლანდებოდა.

დღევანდელი წეწვა-გლეჯა საფარეშოში იმის გამო ატყდა, რომ დღისით ბუფეტის ვიწრო გასასვლელში ვიღაცა უშნოდ შემოტრიალდა და ოფიციანტ სისოის უნებურად სწორედ მაშინ დაეჯახა, როცა მას ზევით აწეულ მარჯვენა ხელში სავსე ლანგარი ეჭირა, კარიდან დერეფანში გამოდიოდა და წელში მოხრილი ქანის აღებას აპირებდა. სისოის ლანგარი ხელიდან გაუვარდა, წვნიანი დაეღვარა და სამი ლამბაქი და ერთი პატარა თეფში დაემსხვრა.

სისოი ამტკიცებდა, ჭურჭლის საფასური მრეცხავმა ქალმა უნდა ზღოს, იმას მოსთხოვეთო. ახლა ღამე იყო, მეთერთმეტე საათი, მათი ნახევარი მალე შინ უნდა წასულიყო, ისინი კი იდგნენ და ამ ამბის გამო ერთმანეთს დედ-მამის სულს უტრიალებდნენ.

– ხელ-ფეხი უკანკალებს, სხვა არაფერზე ფიქრობს, დღე და ღამე იმ ბრუციანს ებღლარძუნება, თითქოს ცოლიაო, მამალი იხვივით ნისკარტი გაიპრიალა, თან იმას ჩივის, რად დამეტაკნენ, ჭურჭელი რატომ დამილეწეს, უხა რად დამიღვარესო! აღარ იტყვი, ვინ ეშმაკი დაგეტაკა, შე უწმინდურო? ვინ დაგეჯახა, შე ასტრახანულო თიაქარო, მე წუნკალო, შენა!

– ხომ გითხარით, მატრონა სტეპანოვნა-მეთქი. ისა სჯობია, გამოთქმები შეარჩიოთ.

– ღირდეს მაინც რამედ, ამ წიოკობას და ჭურჭლის მტვრევას რომ იმსახურებდეს ის ქუჩის ქალი, ის მუდამ-მადამი, კეთილ საქმეებს დარიშხანი რომ ურჩევნია. ჩერნოგორიის ნომრებში ჩვენც გვიცხოვრია, მაგრამ ასეთი ძუკნები და მათ კუდში მოტუსტუსე მუსუსები ჯერ არ გვინახავს.

მიშა და იურა ნომრის კარებთან, დერეფანში ბოლთას სცემდნენ. საქმე ისე როდი იყო, როგორც ალექსანდრ ალექსადროვიჩი ვარაუდობდა. იგი ფიქრობდა, კაცი ვიოლონჩელისტია, რაიმე ტრაგედია, ღირსეული და ამაღლებული ამბავი დაგვხვდებაო. ეს კი, ეშმაკმა იცის, რასა ჰგავს. რაღაც ბინძური სკანდალია და ბავშვებს სულაც არ შეეფერება.

ბიჭები დერეფანში იტკეპნებოდნენ.

– შედით დეიდასთან, ახალგაზრდა ბატონებო, – დაბეჯითებით ეჩურჩულებოდა ბიჭებს დერეფნის მორიგე. – შედით, ნუ გეშინიათ. იმათ არაფერი მოსვლიათ. ახლა მაგათ აღარაფერი უჭირთ. აქ დგომა კი არ შეიძლება. აქ სხვა უბედურება დატრიალდა, ძვირფასი ჭურჭელი დაამტვრიეს. ვერ უყურებთ – ვმუშაობთ, დავრბივართ, თაგვს კუდი ვერ მოუქნევია. შედით.

ბიჭებმა დაუჯერეს.

ნომერში სასადილო მაგიდის თავზე დაკიდებული რეზერვუარითაც ანთებული ნავთის ლამფა გამოიღეს და ნომრის მეორე ნახევარში, ბაღლინჯოებით აყროლებული ფიცრის ტიხრის იქით გადაიტანეს.

იქ წინა ნაწილისაგან და უცხო თვალისაგან მტვრიანი, ასაწევი ფარდით გამოყოფილი საძილე კუთხე იყო. ამ აურზაურში ფარდის დაშვება დავიწყნოდათ და მისი კალთები ტიხრის თავზე გადმოეკიდათ.

ლამფა საწოლთან, სკამზე იდგა. ეს კუთხე ქვემოდან მკვეთრად იყო განათებული, თითქოს ზედ თეატრის რამპის შუქი ეფრქვევაო.

ისე კი იოდით მოეწამლათ თავი და არა დარიშხანით, როგორც ამას ჭურჭლის მრეცხავი ქალი ენამწარობდა. ნომერში კაკლის წენგოს მობლანტო-მომწკლარტო სუნი იდგა.

ტიხრის იქით გოგონა იატაკს წმენდდა, იქვე ტაშტზე კი ერთიმეორეზე მინებებულ კულულებიანი, წყლით, ცრემლებით და ოფლით ერთიანად დასველებული, საწოლში მწოლი ნახევრად შიშველი ქალი გადახრილიყო და ხმამაღლა ტიროდა. იქით ყურება იმდენად უხერხული იყო, ბიჭებმა წამსვე თავები გვერდზე მიაბრუნეს. მაგრამ იურა უნებურად

გააოცა იმ აზრმა, რომ ზოგიერთ უხერხულ, ამაზრზენ პოზაში, დაძაბულობის ზეგავლენით ქალი ისეთი აღარაა, როგორსაც ქანდაკება წარმოსახავს და უფრო შეჯიბრებაზე მოკლე შარვლით გამოსულ, დაბურთულ კუნთებიან შიშველ მოჭიდავეს ემსგავსება.

ბოლოს, როგორც იქნა, ტიხრის იქით ფარდის დაშვება მოიფიქრეს. – ფადეი კაზიმიროვიჩ, საყვარელო, სად არის თქვენი ხელი? მომეცით თქვენი ხელი, – ამბობდა ქალი და ცრემლები და პირღებინება ერთად ახრჩობდა – ო, რა საშინელება გადავიტანე! რა ეჭვი მტანჯავდა! ფადეი კაზიმიროვიჩ... მე მომეჩვენა... მაგრამ საბედნიეროდ აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი სისულელე, ჩემი მოშლილი ფანტაზიის ნაყოფია ფადეი კაზიმიროვიჩ, წარმოიდგინეთ, როგორ მომეშვა გულზე! და ამის შედეგად... აი... აი, ცოცხალი ვარ.

– დამშვიდდით, ამალია კარლოვნა, გემუდარებით, დამშვიდდით რა უხეიროდ გამოვიდა ყველაფერი, რა უხეიროდ.

– ახლავე წავალთ სახლში, – წაიბურტყუნა ალექსანდრ ალექსანდროვიჩმა და ბავშვებს მიუბრუნდა.

უხერხულობისაგან გაოგნებული ბიჭები ჩაბნელებულ შესასვლელში, ნომრის გადაუტიხრავი ნაწილის ზღურბლზე იდგნენ და, რაკი თვალები ვერსად წაეღოთ, მის სიღრმეში იყურებოდნენ, საიდანაც ლამფა წაიღეს. იქ კედლებზე ფოტოსურათები ეკიდა, ნოტებიანი ეტაჟერი იდგა, საწერ მაგიდაზე ქაღალდები და ალბომები ეყარა, მოქსოვილ სუფრაგადაფარებული სასადილო მაგიდის მეორე მხარეს კი სავარძელში მჯდარ გოგონას ეძინა. ხელები საზურგისათვის შემოეხვია და ლოყითაც მასვე მიჰყრდნობოდა. ეტყობოდა, საშინლად დაღლილიყო, რადგან ირგვლივ ატეხილი ხმაური და მოძრაობა ძილში ხელს არ უშლიდა.

მათი მოსვლა უაზრობა იყო, დარჩენა კი – უხერხული.

– ახლავე წავალთ, – კიდევ ერთხელ გაიმეორა ალექსანდრ ალექსანდროვიჩმა. – ოღონდ ჯერ ფადეი კაზიმიროვიჩი გამოვიდეს. დავემშვიდობები.

მაგრამ ფადეი კაზიმიროვიჩის ნაცვლად ტიხრის იქიდან ვიღაც სხვა გამოვიდა. ეს იყო ჩაფსკვნილი, გაპარსული, წარმოსადეგი და საკუთარ თავში დაჯერებული ადამიანი. თავს ზევით რეზერვუარიდან გამოღებული ლამფა ეჭირა. იგი მივიდა მაგიდასთან, სადაც გოგონას ეძინა, და ლამფა რეზერვუარში შედგა. შუქმა გოგონა გააღვიძა. მან შესულს გაუღიმა, თვალები მოიფშვნიტა და გაიზმორა.

უცნობის დანახვაზე მიშა ერთიანად შეტოკდა და დაჟინებით დააშტერდა. იურას სახელოზე მოქაჩა, შეეცადა რაღაც ეთქვა. – როგორ არ გრცხვენია, უცხო ხალხში რომ მეჩურჩულები? რას იფიქრებენ? – აჩერებდა იურა და მოსმენას არ აპირებდა.

ამასობაში გოგონასა და მამაკაცს შორის მუნჯი სცენა გრძელდებოდა. ერთმანეთისთვის სიტყვა არ უთქვამთ, მხოლოდ თვალებით საუბრობდნენ. მაგრამ თავზარდამცემად ჯადოსნური იყო მათი ურთიერთგაგება, თითქოს ის კაცი თოჯინების ოსტატი იყო, ხოლო გოგონა – მისი ხელების მოძრაობის მორჩილად ამყოლი მარიონეტი.

სახეზე აღბეჭდილი დაღლილი ღიმილი გოგონას აიძულებდა თვალები მიელულა და ბაგეები სანახევროდ გაეწია. მაგრამ მამაკაცის დამცინავ მზერას თანამზრახველის მზაკვრულ თვალის ჩაკვრას აგებებდა. ორივენი კმაყოფილნი იყვნენ, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, საიდუმლო არ გაუმჟღავნდათ და თავმოწამლულიც ცოცხალი დარჩა.

იურა ორივეს თვალებით ბურღავდა. ბინდბუნდიდან, სადაც ვერავინ შეამჩნევდა, ლამფით განათებულ წრეს თვალს არ აშორებდა. გოგონას დამონების სანახაობა იგავმიუწვდომლად იდუმალი და უსირცხვილოდ აშკარა იყო. გულში ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები უტრიალებდა. მათი აქამდე გამოუცდელი ძალისაგან გული ეკუმშებოდა.

ეს ყოველივე სწორედ ის გახლდათ, რასაც ისინი, მიშა და ტონია არაფრისმთქმელ სახელს – „უხამსობას" უწოდებდნენ და მთელი წლის განმავლობაში ესოდენ ცხარედ კამათობდნენ, ის საშიში და მიმზიდველი

რამ, რასაც ისინი სიტყვიერად, უხიფათო მანძილზე ასე იოლად ართმევ-დნენ თავს. და აი, ახლა ეს ძალა იურას თვალწინ იყო, ზედმიწევნით ნივ-თიერი, მღვრიე, სიზმრად ნანახი, შეუბრალებლად დამანგრეველი, მომ-ჩივანი, შველის მთხოვნელი... ნეტავ სად არის მათი ბავშვური ფილოსო-ფია ან ახლა იურამ რაღა უნდა ქნას?

– იცი, ვინ არის ეგ კაცი? – ჰკითხა მიშამ, როცა ქუჩაში გამოვიდნენ. იურა საკუთარ ფიქრებში იყო ჩაძირული და არ ჰპასუხობდა.

– ეს ის კაცია, რომელიც მამაშენს სასმელს აძალებდა და ბოლოს და-ღუპა კიდეც. გახსოვს, ვაგონში, – ამაზე ხომ მოგიყევი.

იურა გოგონაზე და მომავალზე ფიქრობდა და არა მამაზე და წარ-სულზე. თავდაპირველად ვერც კი გაიგო, რას ეუბნებოდა მიშა. ყინვაში ჭირდა ლაპარაკი.

– გაიყინე, სემიონ? – ჰკითხა ალექსანდრ ალექსანდროვიჩმა. მარხი-ლი დაიძრა.

ნაწილი მესამე

ნაძვის ხე სვენტიცკებთან

1

ერთხელ, ზამთარში, ალექსანდრ ალექსანდროვიჩმა ანა ივანოვნას საგანგებოდ ნაყიდი ძველებური გარდერობი აჩუქა. ეს უშველებელი, შავი ხის გარდერობი დაუშლელად ვერც ერთ კარში ვერ შეეტეოდა. ამიტომ იგი დაშლილი მოიტანეს, სახლში ნაწილ-ნაწილ შეიტანეს და ახლა იმაზე დაიწყეს ფიქრი, სად დაედგათ. ქვედა სართულის საერთო ოთახებში მისი დადგმა არ ივარგებდა, ხოლო ზემოთ სივიწროვე იყო და არსად ეტეოდა. ბოლოს და ბოლოს, შიდა კიბის ზედა ბაქანზე, სახლის პატრონების საწოლ ოთახში შემავალ კართან მოახალვათეს მისთვის ადგილი.

გარდერობის ასაწყობად მეეზოვე მარკელი მოვიდა, თან თავისი ექვსი წლის გოგონა მარინკა მოიყვანა. მარინკას ქერის შაქრის ღერი მისცეს, ისიც ქოშინებდა, შაქარყინულს და ჩამოწუწულ თითებს გამწარებით ილოკავდა, თან მომუშავე მამას კოპებშეკრული ათვალიერებდა.

ერთხანს საქმე კარგად მიდიოდა. ანა ივანოვნას თვალწინ კარადა თანდათან იზრდებოდა. როცა საქმის დამთავრებას სახურავის დამაგრებაღა აკლდა, ანა ივანოვნამ გადაწყვიტა მარკელს მიხმარებოდა. ქალი გარდერობის მაღალ ფსკერზე შედგა, მაგრამ უცაბედად შეტორტმანდა და გვერდით კედელს დაეჯახა. გასაშლელი კვანძი, რომლითაც მარკელს გვერდები სახელდახელოდ ჰქონდა შეკრული, მყისვე გაიხსნა. ოლგა ივანოვნა დაბლა ჩამოცვენილ ფიცრებთან ერთად იატაკზე ზურგით დაეცა და ძლიერ დაშავდა.

– ეჰ, დედილო-ქალბატონო, – ვიშვიშებდა საშველად მივარდნილი მარკელი, – ნეტა ეს საქმე რამ გაფიქრებინათ. ძვალი მთელია? ძვალი ნახეთ. მთავარი ძვალია, თორემ რბილი ჯანდაბას, რბილი მოგირჩებათ და, როგორც იტყვიან, ის მარტო დედაკაცის რიგიანობისთვინაა საჭირო. შენ რაღა გაჩხავლებს, შე მამაძაღლო, – მიუბრუნდა იგი ატირებულ მარინკას. – აბა, ახლავე მოიწმინდე ეგ დორბლები და მოუსვი დედაშენთან.

ეჰ, დედილო-ქალბატონო, ვაითუ იფიქრეთ, ამ ჯაბახანას უჩემოთ ფეხზე ვერ დააყენებსო? აი, თქვენა, სწორათ ფიქრობთ, თითქოსდა ერთი შეხედვით მართლაც დამგველი ვიყოთ, მაგრამ თუ კარგათ დაგვაკვირდებით, ნახამთ, რომ უფრო დურგლობა შეგვეფერება. ადრე ვდურგლობდით. არ დამიჯერებთ, მაგრამ ამ ავეჯს, ამ შკაფ-ბუფეტებსა ჩვენ ხელში ბევრს გაუვლია. სუ ზეპირათ ვიცით, რომელია წითელი ხე და რომელი კიდევ კაკალი. ან კიდევ, რომელ შეძლებულ ქალს მზითვათ რა წაუღია. ბოდიში და, ახლაც თითქოს ჩვენს ცხვირწინ მიაქვთ და მოაქვთ. ყველაფერი კი დალევისა და მაგარ-მაგარი სასმელების ბრალია.

მარკელის დახმარებით ანა ივანოვნა მისგანვე მიჩოჩებულ სავარძლამდე რის ვაი-ვაგლახით მივიდა და შიგ ჩაჯდა, თან კვნესოდა და დაშავებულ ადგილს იხელდა. მარკელი დაშლილის აღდგენას შეუდგა. ბოლოს, სახურავის დადგმასაც რომ მორჩა, ქალბატონს უთხრა: – ახლა კარებიღა დარჩა და მერე თუ გინდათ, გამოფენაზე წაიღეთ. ანა ივანოვნას ის გარდერობი არ უყვარდა. გარეგნობით და ზომით იგი ბალდახინს თუ სამეფო აკლდამას აგონებდა და იდუმალ შიშს უნერგავდა. გარდერობს „ასკოლდის საფლავიც”[35] კი შეარქვა. რაღა თქმა უნდა, ანა ივანოვნა ოლეგის ცხენს გულისხმობდა, რომელსაც თავისი პატრონისათვის სიკვდილი მოჰქონდა. როგორც უთავბოლოდ ნაკითხი ქალი, მომიჯნავე ცნებებს ანა ივანოვნაც ერთმანეთში ურევდა. ამ ამბის შემდეგ ანა ივანოვნა ფილტვების სისუსტეს უჩიოდა და ხშირად ავადმყოფობდა[36].

---

[35] თქმულების მიხედვით. მთავარმა იგორმა 882 წელს განგმირა მთავარი ასკოლდი და იგი კიევში განისვენებს. 1935 წელს კომპოზიტორმა ა. ნ. ვერსტოვსკიმ მ. ნ. ზაგორკინის ამავე სახელწოდების რომანის სიუჟეტზე შექმნა ოპერა და ამის შემდეგ „ასკოლდის საფლავი” მოარულ გამოთქმად იქცა.

[36] როგორც გადმოგვცემენ, ანა ივანოვნას კარადის ისტორია ბ. პასტერნაკს ნამდვილი ამბის საფუძველზე შეუქმნია. 1924 წელს მისი სიდედრი ა. ვ. ლურიე კარადიდან რომელიღაც ნივთის გადმოღებისას დაცემულა იატაკზე და 1928 წელს ამ მიზეზით გარდაცვლილა.

ათას ცხრაას თერთმეტი წლის მთელი ნოემბერი ანა ივანოვნა ლოგინად იყო ჩავარდნილი. ფილტვების ანთება ჰქონდა.

იურას, მიშა გორდონს და ტონიას მომავალი წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტი და ქალთა უმაღლესი კურსები უნდა დაემთავრებინათ. იურა მედიკოსი ხდებოდა, ტონია – იურისტი, ხოლო მიშა – ფილოსოფიური განხრის ფილოლოგი[37].

იურას სულში ყოველივე შეძრულიყო და აწეწილიყო. ყველაფრით – შეხედულებებით, ჩვევებით და მიდრეკილებებით მეტისმეტი თვითმყოფადობით გამოირჩეოდა. იგი უბადლოდ მგრძნობიარე ჭაბუკი გახლდათ და მისეული აღქმის სიცხადეც იგავმიუწვდომელი იყო.

ხელოვნებისა და ისტორიისადმი მომეტებული მიდრეკილების მიუხედავად, იურას ასპარეზის არჩევა არ გასძნელებია. უბრალოდ, თვლიდა, რომ ხელოვნება ვერ გამოდგება მოწოდებად, ისევე, როგორც არ შეიძლება გაიხადოს კაცმა ხელობად თანდაყოლილი სიკისკასე ან გულის ბოღმა. იგი ფიზიკას, ბუნებისმეტყველებას უკირკიტებდა და სწამდა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში რაიმე საყოველთაოდ სასარგებლო საქმიანობისათვის უნდა მოეკიდა ხელი. მედიცინასაც ამიტომ გაჰყვა.

ოთხი წლის წინათ, პირველ კურსზე ყოფნისას, უნივერსიტეტის მიწისქვეშეთში მთელი სემესტრი მიუძღვნა ანატომიის შესწავლას გვამთა მეოხებით. სარდაფში ასაკეცი კიბით ჩადიოდა. ანატომიური თეატრის სიღრმეში ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე იდგნენ თმააბურძგნული სტუდენტები. ერთნი გაქექილ, ფურცლებშემომდნარ სახელმძღვანელოებს იზუთხავდნენ და გარშემო ძვლები შემოერიგებინათ, მეორენი კუთხეებში გვამებს მდუმარედ ჰკვეთდნენ, ხოლო მესამენი ლაზღანდარობდნენ,

[37] თავდაპირველად მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი ფილოსოფიურ განყოფილებასაც მოიცავდა, სწორედ ეს გაყოფილება დაამთავრა ბ. პასტერნაკმა 1913 წელს.

ოხუნჯობდნენ და საცხედრის ქვის იატაკზე შემოსეული ვირთხების ხროვებს დასდევდნენ. ნახევრად ჩაბნელებულ ქვესკნელში ფოსფორივით ანათებდნენ თავიანთი სიშიშვლით თვალში საცემი უცნობთა გვამები, დაუდგენელი ვინაობის ახალგაზრდა თვითმკვლელები, კარგად შენახული და ჯერ კიდევ ხელუხლებელი წყალში დამხრჩვალი ქალები. თიხამიწის მარილი მათ უფრო აახალგაზრდავებდა და მატყუარა სიმრგვალეს ანიჭებდა. მიცვალებულებს ჰკვეთდნენ, ასო-ასო აცალკევებდნენ, პრეპარატებს ამზადებდნენ, და ნებისმიერი, რაგინდარა წვრილი დაყოფისას ადამიანის სხეულის სილამაზე უცვლელად რჩებოდა, ისე რომ, მოთუთიავებულ მაგიდაზე მთლიანად უხეშად მიგდებული ფერიის მიმართ გაოცება არა ჰქრებოდა, როცა ადამიანის მზერა მისგან მოცილებულ მკლავზე ან მოკვეთილ მტევანზე გადადიოდა. სარდაფში ფორმალინის და კარბოლმჟავას სუნი ტრიალებდა და იდუმალების არსებობა ყველაფერში იგრძნობოდა, ამ გაშოტილი სხეულების უცნობი ბედით დაწყებული და ამ სარდაფში, როგორც საკუთარ სახლსა თუ შტაბ-ბინაში გამეფებული თვით სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოთი გათავებული. ამ საიდუმლოს ყოველივე დანარჩენის დამხშობი ძახილი იურას ყველგან დასდევდა და გვამის გაკვეთისას ხელს უშლიდა. თუმცა ცხოვრებაშიც ბევრი რამ იყო ხელისშემშლელი. ამას იგი მიეჩვია და არანაირი დაბრკოლება აღარ აწუხებდა.

იურა კარგად ფიქრობდა და უკეთესად წერდა. იგი ჯერ კიდევ გიმნაზიის წლებიდან ოცნებობდა პროზაზე, ცხოვრების ამსახველ წიგნზე, სადაც ფარული ფეთქებადი ბუდეებივით ჩააწყობდა იმ საოცრებებს, რაც კი ოდესმე ენახა და გადაეხარშა. მაგრამ ასეთი წიგნისათვის ჯერჯერობით მეტისმეტად ახალგაზრდა იყო და აი, მის მაგიერ ლექსების წერით გადიოდა იოლად, როგორც მხატვარი ხატავს ეტიუდებს მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩაფიქრებული სურათისათვის. მათი ამქვეყნად გაჩენის ცოდვას ამ ლექსებს იურა მათივე ენერგიისა და ორიგინალურობისათვის მიუტევებდა. ამ ორ თვისებას, ენერგიას და ორიგინალურობას,

რეალურობის წარმომადგენლებად მიიჩნევდა ხელოვნებათა მრავალსახეობაში, რომელნიც უამისოდ უსაგნო, უქმ და უსარგებლო საგნებად ესახებოდა.

იურას ესმოდა, რაოდენ იყო დავალებული ბიძისაგან თავისი ხასიათის ზოგადი თვისებებით.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩი ლოზანაში ცხოვრობდა. იქ გამოცემულ რუსულ და თარგმნილ წიგნებში თავის დიდი ხნის წინანდელ აზრს ავითარებდა ისტორიის, ვითარცა კაცობრიობის მიერ სიკვდილის მოვლენის პასუხად დროისა და ხსოვნის მოვლენათა დახმარებით აგებულ მეორე სამყაროზე. ამ წიგნების სული და გული იყო ახლებურად გაგებული ქრისტიანობა, მათი პირდაპირი შედეგი კი – ხელოვნების ახალი იდეა.

ამ აზრთა არეალი იურაზე მეტად მის მეგობარზე მოქმედებდა. მათი ზეგავლენით მიშა გორდონმა სპეციალობად ფილოსოფია აირჩია. თავის ფაკულტეტზე იგი ისმენდა ლექციებს ღვთისმეტყველებაში და შემდგომში სასულიერო აკადემიაში გადასვლასაც კი აპირებდა.

იურას ბიძის ზეგავლენა წინ უბიძგებდა და ათავისუფლებდა, მიშას კი – ჰბორკავდა. იურას ესმოდა, მიშას გატაცებათა უკიდურესობებში რა როლს ასრულებდა მისი წარმომავლობა. სათუთი თავდაჭერილობის გამო იგი არ ეკამათებოდა მიშას მისი უცნაური გეგმების თაობაზე. მაგრამ ხშირად უნდოდა მიშა ემპირიკოსად, ცხოვრებასთან უფრო ახლო მდგომ ადამიანად ეხილა.

3

ერთ საღამოს, ნოემბრის ბოლოს, იურა უნივერსიტეტიდან გვიან დაბრუნდა. მეტად დაღლილი იყო და მთელი დღე არაფერი ეჭამა. ამბავი დაახვედრეს, დღეს საშინელი განგაში იყო, ანა ივანოვნას კრუნჩხვები დაემართა, რამდენიმე ექიმი იყო მოწვეული, გვირჩიეს, მღვდელი მოიყვანეთო, მაგრამ მერე აზრი შეიცვალესო. ახლა უკეთესადაა, ცნობაზე

მოვიდა და გვიბრძანა, როგორც კი იურა მოვა, დაუყოვნებლივ ჩემთან შემოიყვანეთო.

იურა დაჰყაბულდა და ტანსაცმელი არც კი გამოუცვლია, საწოლ ოთახში ისე შევიდა.

ოთახს მცირე ხნის წინათ გადატანილი ალიაქოთის კვალი აჩნდა. მესასთუმლე ქალი ტუმბზე რაღაცას უხმოდ ალაგებდა. ირგვლივ დაჭმუჭნული ხელსახოცები და კომპრესებად გამოყენებული ნესტიანი ტილოები იყო მიმობნეული. ამოღებული სისხლისაგან ჯამში ოდნავ მოვარდისფრო წყალი იდგა. მასში შუშის ამპულების თავწამტვრეული ნატეხები და წყლით გაჟღენთილი ბამბის ნაგლეჯები ეყარა.

ავადმყოფი ოფლში ცურავდა და გამშრალ ბაგეებს ენის წვერით ილოკავდა. დილის აქეთ, რაც იურამ უკანასკნელად ნახა, თვალში საცემად ჩამომჭკნარიყო.

– შეცდომა ხომ არ არის დიაგნოზში? – გაიფიქრა მან. – ყველა ნიშანი კრუპოზულ ანთებაზე მეტყველებს. მგონი კრიზისია.

ანა ივანოვნას მიესალმა, რაღაც ფუჭი, გამამხნევებელი სიტყვა უთხრა, რასაც ასეთ შემთხვევებში მუდამ ამბობენ ხოლმე, და მესასთუმლე ოთახიდან დაითხოვა. ავადმყოფს ცალი ხელი მაჯაზე მოჰკიდა, მეორე კი სტეტოსკოპის ამოსაღებად ქურთუკში ჩაიყო. ანა ივანოვნამ თავით ანიშნა, ამაოდ ირჯებიო. იურა მიხვდა, ქალს მისგან სხვა რამ უნდოდა. ანა ივანოვნამ ძალა მოიკრიბა და უთხრა:

– ხედავ, უნდოდათ, აღსარება მეთქვა... სიკვდილი მემუქრება... შესაძლოა, ყოველ წუთში... კბილის ამოსაღებად რომ მიდის კაცი, ეშინია, ემზადება... აქ კი, კბილი კი არა, მთლიანად, მთლიანად, მთელი სიცოცხლე... ლან, და მორჩა, როგორც მაშით... რა არის ეს?.. არავინ იცის.... მეც სევდა მიპყრობს და მეშინია.

ანაზდად გაჩუმდა. ლოყებზე ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა. იურა არაფერს ამბობდა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ ანა ივანოვნა განაგრძობდა:

– შენ ნიჭიერი ხარ... ეს ნიჭი კი... ყველას არა აქვს... შენ ალბათ რაღაცას ხვდები... მითხარი რამე... დამამშვიდე.

– აბა რა გითხრათ, – უთხრა იურამ, მოუსვენრად აცქმუტდა სკამზე, ადგა, გაიარ-გამოიარა და ისევ დაჯდა. – ჯერ ერთი, ხვალ უკეთესად იქნებით – არის საამისო ნიშნები და თავს მოვიჭრი, ასე თუ არ იქნება. მეორეც – სიკვდილი, ცნობიერება, მეორედ მოსვლის რწმენა... თქვენ ჩემი, ბუნებისმეტყველის აზრის გაგება გნებავთ? იქნებ სხვა დროც იყოს? არა? დაუყოვნებლივ? თქვენი ნებაა. ოღონდ ასე, ერთბაშად, გამიჭირდება.

და იურამ ავადმყოფს ექსპრომტად მთელი ლექცია წაუკითხა, ისე რომ, თვითონვე უკვირდა, როგორ გამოუვიდა.

– მეორედ მოსვლა იმ ტლანქი ფორმით, როგორც ამას უმწეოთა დასაშოშმინებლად ამტკიცებენ, ჩემთვის უცხოა. ქრისტეს სიტყვები ცოცხალთა და მკვდართა შესახებ ყოველთვის სხვანაირად მესმოდა. სად მოათავსებთ ამდენ ურდოებს, ათასწლეულებში რომ შეიკრიბება? მათ მთელი სამყაროც არ ეყოფათ და ეგრე რომ იყოს, მაშინ ღმერთმა, სიკეთემ და აზრმა ამიერ სოფლით გუდა-ნაბადი უნდა აიკრან, რადგან ამ ხარბ, ცხოველურ ჯგლეთაში მათ მაინც ფეხქვეშ გასთელავდნენ. მაგრამ სამყარო სამარადისოდ უკიდეგანოდ ურთიერთმსგავსი სიცოცხლითაა აღსავსე და ყოველ წამს განიცდის განახლებას უსასრულო ურთიერთშეხამებასა და გარდასახვაში. აი, თქვენ შიშობთ, მეორედ მოხვალთ თუ არა. თქვენ უკვე მოხვედით მეორედ, როცა დაიბადეთ, თქვენ კი ეს არც გიგრძვნიათ.

განიცდით ტკივილს ან ქსოვილი შეიგრძნობს თავის დაშლას? ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა მოუვა თქვენს ცნობიერებას? მაგრამ რა არის ცნობიერება? მოდით განვიხილოთ. შეგნებულად თუ გსურთ დაიძინოთ – უეჭველად უძილობა დაგჩემდებათ, შეგნებულად თუ შეეცდებით ღრმად შეიგრძნოთ საკუთარ თავში საჭმლის მონელების მიმდინარეობა – უცილობლად დაგერღვევათ მისი ინერგაცია. ცნობიერება საკუ-

თარ თავზე გამომცდელი სუბიექტისათვის შხამია, თავის მოწამვლის საშუალებაა. ცნობიერება – სინათლეა გარეთ გამკრთალი, ცნობიერება გზას გვინათებს, რომ არაფერზე წავიფორხილოთ. ცნობიერება წინ მიმავალი ორთქლმავლის ანთებული ფარებია. მიმართეთ მათი სინათლე შიგნით და კატასტროფა გარდაუვალი იქნება.

ამრიგად, რა დაემართება თქვენს ცნობიერებას? დიახ, თქვენსას, თქვენსას. თქვენ ვინღა ხართ? საქმეც სწორედ მაგაშია. მოდით, გავარჩიოთ. რითი გახსოვთ საკუთარი თავი, თქვენივე არსებიდან რომელ ნაწილს შეიცნობდით? საკუთარ თირკმელებს, ღვიძლს, სისხლძარღვებს? არა, რაც თავი გახსოვთ, საკუთარ თავს ყოველთვის გარეგნულ, მოქმედ გამოვლინებაში, თქვენი ხელით ნაკეთებ საქმეებში, ოჯახში, სხვებში ვიცნობდით. ახლა კი უფრო ყურადღებით მომისმინეთ. პიროვნება სხვა ადამიანებში – სწორედ ეს არის ადამიანის სული. აი, ვინა ხართ, კი, რითი სუნთქავდა, რითი იკვებებოდა, რითი თვრებოდა მთელი ცხოვრების განმავლობაში თქვენი ცნობიერება. თქვენივე სულით, თქვენი უკვდავებით თქვენი სიცოცხლით სხვებში. მერედა, იცით, რაშია საქმე? სხვებში იყავით და სხვებშივე დარჩებით. და განა თქვენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შემდგომში ამას ხსოვნა დაერქმევა? ეს თქვენ იქნებით, მომავლის ნაწილად გადაქცეული.

და ბოლოს, უკანასკნელი. ნურაფერზე ინაღვლებთ, სიკვდილი არ არსებობს. სიკვდილი თქვენ არ გეხებათ. აი, ის კი, ნიჭი რომ ახსენეთ, სულ სხვა საქმეა. ეს ჩვენია, ჩვენს წინაშეა გადაშლილი. ნიჭი უმაღლესი, უფართოესი გაგებით ცხოვრებისეული განძია.

სიკვდილი არ იქნებაო[38], ბრძანებს იოანე ღვთისმეტყველი, და ყური

---

[38] შდრ. „...და შეაშრობს ღმერთი მათ თვალებზე ყოველგვარ ცრემლს, და აღარ იქნება სიკვდილი; და აღარც გლოვა, აღარც ტირილი და აღარც ტანჯვა აღარ იქნება, რადგანაც გადაეგო ყოველივე უწინდელი". (იოანე ღვთისმეტყველი გამოცხადება, 21. 4). აღსანიშნავია, რომ თავიდან ბ. პასტერნაკს გადაწყვეტილი ჰქონია, რომანისათვის „სიკვდილი არ იქნება" ეწოდებინა და ეპიგრაფად იოანე ღვთისმეტყველის ზევით მოხმობილი ნაწყვეტი წაემძღვარებინა.

უგდეთ, რა უბრალოდ ასაბუთებს. სიკვდილი არ იქნება, რამეთუ ნამყო წავიდა. ეს თითქმის იგივეა: სიკვდილი არ იქნება, რადგან ის უკვე ვნახეთ, ის ძველია და უკვე მოგვწყინდა, ახლა კი ახალი რამ გვჭირდება, ეს ახალი კი სიცოცხლეა მარადიული.

ამას რომ ამბობდა, ოთახში ბოლთასა სცემდა. მერე საწოლთან მივიდა, ანა ივანოვნას თავზე ხელი დაადო და უთხრა: „დაიძინეთ". რამდენიმე წუთი გავიდა. ანა ივანოვნას ძილი მოერია.

იურა ოთახიდან ფრთხილად გამოვიდა და ეგოროვნას უთხრა, საწოლ ოთახში მესასთუმლე ქალი გაეგზავნა. – ეშმაკმა იცის, რა ხდება, – ფიქრობდა იგი, – მგონი თაღლითობას ვიწყებ. ამდენს ვლაპარაკობ, ხელის შეხებით ვმკურნალობ.

მეორე დღეს ანა ივანოვნამ მოიკეთა.

4

ანა ივანოვნას მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდებოდა. დეკემბრის შუა რიცხვებში წამოდგომა სცადა, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტად იყო. ჯერ კარგად გამოშუშდიო, ურჩევდნენ.

იგი ხშირად უხმობდა იურას და ტონიას და საათობით უყვებოდა ურალის მდინარე რინვაზე, პაპისეულ მამულ ვარიკინოში გატარებულ თავის ბავშვობაზე. იურას და ტონიას იქაურობა თვალით არ ენახათ, მაზრამ ანა ივანოვნას მონაყოლით იურას ადვილად შეეძლო წარმოედგინა ეს ხუთიათას დესეტინიანი საუკუნოვანი, გაუვალი, უკუნ ღამესავით ჩაბნელებული ტყე, სადაც ორ-სამ ადგილას, თითქოს დანა ჩაუციათო, დაკლაკნილი, სწრაფი, ფსკერზე ქვა-ღორღით მოფენილი მდინარე მიედინებოდა და კრიუგერის ნაპირებთან ციცაბო ხრამს ჰქმნიდა. იურას და ტონიას მათ ცხოვრებაში პირველად უკერავდნენ სადღესასწაულო ტანისამოსს: იურას – შავი სერთუკის ორეულს, ხოლო ტონიას –

კისერთან ოდნავ მოღეღილ ღია ფერის ატლასის კაბას. თავიანთი სამოსის ჩაცმას ისინი ოცდაშვიდისათვის, სვენტიცკების ყოველწლიურ ნაძვისხეზე აპირებდნენ.

შეკვეთილი ტანისამოსი მამაკაცთა სამკერვალოდან და ქალთა მკერავისაგან ერთ დღეს მოიტანეს. იურამ და ტონიამ მოიზომეს, მოეწონათ და ჯერ ისევ ახლები ეცვათ, როცა ანა ივანოვნასაგან ეგოროვნა მოვიდა და უთხრა, ქალბატონი გიბარებთო. იურას და ტონიას საზეიმო სამოსი არც კი გამოუცვლიათ, ანა ივანოვნას ისე გამოეცხადნენ.

ქალ-ვაჟის გამოჩენისთანავე ავადმყოფმა იდაყვზე წამოიწია, ორივენი გვერდიდან შეათვალიერა, შეატრიალ-შემოატრიალა და უთხრა:

– ძალიან კარგია. უბრალოდ, გადასარევია. არც კი ვიცოდი, მზად თუ იყო. აბა, ტონია, კიდევ დამენახვე. არა, ურიგო არ არის. ერთი პირობა მომეჩვენა, თითქოს ბოლოში იხვევდა. იცით, რისთვის დაგიძახეთ? ორიოდე სიტყვას ჯერ შენ გეტყვი, იურა.

– ვიცი, ანა ივანოვნა. თავად ვუთხარი, თქვენთვის ეს წერილი ეჩვენებინათ. ნიკოლაი ნიკოლაევიჩივით თქვენც იმ აზრზე ხართ, რომ უარი არ უნდა მეთქვა. მოითმინეთ, თქვენთვის მავნეა ლაპარაკი. ახლავე ყველაფერს აგიხსნით. თუმცა ისედაც ყველაფერი მშვენივრად მოგეხსენებათ.

მაშ ასე, ჯერ ერთი, არსებობს ჟივაგოების მემკვიდრეობა ადვოკატების გამოსაკვებად და სასამართლოს ხარჯების გადასახდელად, სინამდვილეში კი არავითარი მემკვიდრეობა არ არსებობს, მხოლოდ ვალები და ჩახლართული საქმეებია, და კიდევ სიბინძურე, რომელიც ხშირად თავს იჩენს ხოლმე. რაიმეს ფულად ქცევა რომ შეიძლებოდეს, განა სასამართლოს ვაჩუქებდი და არ ვისარგებლებდი? მაგრამ საქმეც სწორედ ის არის, რომ წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი. სჯობდა არარსებულ ქონებაზე უარი მეთქვა და რამდენიმე მეტოქისა თუ შურიანი თვითმარქვიასათვის დამეთმო. ბავშვებთან ერთად პარიზში ჟივაგოს გვარით მცხოვრები ვინმე Madame Alice-ს მოდავეობის ამბავი დიდი ხანია შევიტყვე.

ახალი მეტოქეებიც დამემატნენ. თქვენი არ ვიცი და მე კი ეს ყველაფერი ცოტა ხნის ნინათ მითხრეს.

თურმე ჯერ კიდევ დედაჩემის სიცოცხლეში მამა ერთი თავქარიანი მეოცნებით, კნეინა სტოლბუნოვა-ენრიცით იყო გატაცებული ამ ქალს ახლა მამაჩემისაგან ათი წლის ბიჭი ჰყავს, სახელად ევგრაფი.

კნეინა განდეგილია. კაცმა არ იცის, რა სახსრებით ცხოვრობს იგი საკუთარ სახლში ბიჭთან ერთად ფეხმოუცვლელად ომსკის ერთ გარეუბანში. იმ სახლის სურათი ნანახი მაქვს. ლამაზი, ხუთფანჯრიანი სახლია, მთლიანი ფანჯრებით და ლავგარდანზე დაყოლებული ნაძერწი მედალიონებით და აი, უკანასკნელ ხანს სულ ის გრძნობა მაქვს, თითქოს ის სახლი თავისი ხუთი ფანჯრით ათასობით ვერსიდან, რაც ევროპულ რუსეთს ციმბირიდან აშორებს, ავი თვალით მიყურებს და ადრე თუ გვიან გამთვალავს კიდეც. ასე რომ, რაში მჭირდება ეს გამოგონილი სიმდიდრეები, ხელოვნურად თავწამოყოფილი მოდავეები, მათი შური და გაუტანლობა? თანაც ვექილებს აღარ იკითხავთ?

– უარი მაინც არ უნდა გეთქვა, – მოუჭრა ანა ივანოვნამ. – იცი, რად დაგიძახეთ? იმის სახელი გამახსენდა. გახსოვთ, გუშინ რომ მეტყეველზე გიყვებოდით? ვაკხს ეძახდნენ. უბადლო სახელია, არა? შავი, წარბებამდე წვერში ჩაფლული ტყის საფრთხობელა, და – ვაკხი! დასახიჩრებული სახე ჰქონდა, დათვმა დატორა, მაგრამ მაინც მოიგერია. იქ სულ ეგრეთი ხალხი იყო, ეგრეთი თითო-ოროლა მარცვლიანი სახელები ერქვათ, ყურში საცემი და მჟღერი რომ ყოფილიყო. ვაკხი, ან ლუპი. ან კიდევ, დავუშვათ, ფავსტი. მისმინეთ, მისმინეთ. ხანდახან ისე ხდებოდა ხოლმე, რომელიმე ავქტი ან ფროლი, რაღაცას მოგვახსენებდნენ, ისე მჭექარედ, თითქოსდა პაპის სანადირო თოფის ორივე ლულა ერთდროულად დააქუხესო, და ჩვენც ჯგროდ გავრბოდით ბავშვთა ოთახიდან სამზარეულოში. იქ კი, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ცოცხალი დათვის ბელიან მეტყეველმენახშირეს ან შორეული კორდონიდან ჩამოსულ, წიაღისეულის ნიმუშებით ხელდამშვენებულ შემომვლელს წავაწყდებოდით ხოლმე. პაპაც

კანტორაში სიის მიხედვით ურიგებდა, ვის ფულს, ვის ბურღულეულს და ვის კიდევ საიარაღო მარაგს. ფანჯრებს იქით კი ტყე იწყებოდა. თოვლს ხომ ნულარ იტყვით, სახლზე მაღალი იყო! – ანა ივანოვნას ხველება აუტყდა.

– კარგი, დედა, შენთვის არ შეიძლება, – გააფრთხილა ტონიამ. იურამაც მხარი აუბა.

– არაფერია. სისულელეა. ჰო, მართლა. ეგოროვნა წამეჭორავა, თითქოს ყოყმანობდეთ, წახვიდეთ თუ არა ზეგ ნაძვის ზეზე. ეგრეთი სისულელე აღარ გამაგონოთ! როგორ არ გრცხვენიათ. შენ კი, იურა, ამის მერე რაღა ექიმი იქნები? ასე რომ, გადაწყვეტილია, უსიტყვოდ წახვალთ. მაგრამ ისევ ვაკხს დავუბრუნდეთ. ეს ვაკხი ახალგაზრდობაში მჭედელი ყოფილა. თურმე ჩხუბში მუცელი გაუფატრეს. ისიც ამდგარა და მთელი შიგნეული შეუცვლია, რკინისა ჩაუყენებია. რა უცნაური ხარ, იურა! განა არ მესმის? რა თქმა უნდა, სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ. მაგრამ ხალხი ასე ამბობდა.

ანა ივანოვნას ისევ აუვარდა ხველება, ამჯერად უფრო ხანგრძლივად. შემოტევა საშველს აღარ აძლევდა. სული ვერა და ვეღარ მოითქვა, იურამ და ტონიამ ერთად მიირბინეს მასთან. მის საწოლთან მხარდამხარ იდგნენ. ანა ივანოვნამ, რომელიც ხველებას განაგრძობდა, ერთურთზე მიდებულ ხელებზე ხელი მოჰკიდა, ერთმანეთთან შეაერთა და ერთხანს ასე ეჭირა. მერე ხველებას მოერია, ხმაც დაუბრუნდა და ორივეს უთხრა:

– თუ მოვკვდი, ერთმანეთს არ დაშორდეთ. ერთმანეთისთვისა ხართ გაჩენილები. დაქორწინდით. აი, ხომ ხედავთ, დაგნიშნეთ კიდეც, – დაუმატა და ატირდა.

5

უკვე ათას ცხრაას ექვსი წლის გაზაფხულზე, გიმნაზიის უკანასკნელ კლასში გადასვლის წინ, კომაროვსკისთან კავშირის ექვსმა თვემ ლარას

მოთმინების ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. კაცი ფრიად მარჯვედ სარგებლობდა ლარას დათრგუნულობით და როცა დასჭირდებოდა, ვითომდა უნებურად, გათელილ ღირსებაზე სიტყვას გადაუკრავდა ხოლმე. ამგვარი ნართაულები ლარას საზარელ ძრწოლას ჰგვრიდა, რაც ეგრერიგად სიამეს ჰფენდა კაცის ავხორცულ ვნებათა ღელვას. ეს ძრწოლა ლარას სულ უფრო მეტად ითრევდა საშინელ გრძნობათა ტყვეობაში და გამოფხიზლებისას ამის გამო თმები ყალყზე უდგებოდა. ღამეულ შეშლილობათა წინააღმდეგობანი აუხსნელი იყო, როგორც მისნობა. აქ ყველაფერი ყირამალა იყო და ულოგიკო, მწვავე ტკივილი თავს იჩენდა ვერცხლის სიცილში, ბრძოლა, უარი დათანხმებას მოასწავებდა, მტანჯველის ხელს კი მადლიერი კოცნა ავსებდა.

ყოველივე ამას დასასრული არ უჩანდა, მაგრამ სასწავლო წლის ერთ-ერთ ბოლო გაკვეთილზე, იმის შიშით, რომ ზაფხულში, როცა კომაროვსკისთან ხშირი შეხვედრებისაგან ლარას უკანასკნელ თავშესაფარში – გიმნაზიაში მეცადინეობა აღარ იქნებოდა და ეს ჩაციება უფრო გახშირდებოდა, ლარამ სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება, რამაც დიდი ხნით შეცვალა მისი ცხოვრება.

დახუთული დილა იყო, ცა საწვიმრად ემზადებოდა. კლასში მეცადინეობისას ფანჯრები ღიად ჰქონდათ დატოვებული. შორიდან ქალაქი სკას შესეული ფუტკარივით ერთფეროვნად ზუზუნებდა. ეზოში ბავშვების ჟრიამული ისმოდა. ჰაერში მიწის, ნორჩი ბალახის სურნელება ტრიალებდა და ყველიერის არყისა თუ ბლინის ოხშივრის მსგავსად თავს აბრუებდა.

ისტორიის მასწავლებელი ნაპოლეონის ეგვიპტურ ექსპედიციაზე საუბრობდა. ფრეჟიუსში[39] ჯარების გადასხმამდე რომ მივიდა, ცა მოიქუფრა, ჭექა-ქუხილმა დაიგრგვინა და ფანჯრებიდან საამო სურნელებასთან

[39] ნაპოლეონის ექსპედიცია ეგვიპტის დაპყრობის მიზნით 1798-1801 წლებში განხორციელდა. 1799 წლის 9 ოქტომბერს ნაპოლეონი დაბრუნდა საფრან-

ერთად ქვიშა და მტვერი შემოიჭრა. მასწავლებლის ორი მაამებელი მოწაფე დარაჯის მოსაყვანად მყისვე მორჩილად გაიჭრა დერეფანში. კარების გაღებისთანავე ოთახში ორპირმა ქარმა დაუბერა და კლასის ყველა მერხიდან რვეულის საშრობები ააფრიალა.

ფანჯრები დახურეს თუ არა, მტვერში არეული ჭუჭყიანი, ქალაქური თავსხმა წამოვიდა. ლარამ რვეულიდან ფურცელი ამოხია და მერხზე გვერდით მჯდომ ნადია კოლოგრივოვას დაუწერა:

„ნადია, დედაჩემისაგან უნდა წამოვიდე და ცალკე ვიცხოვრო. მოწაფის შოვნაში დამეხმარე. თქვენ ხომ მდიდრებში ბევრი ნაცნობები გყავთ!"

ნადიამ იმავე ხერხით უპასუხა:

„ლიპასთვის აღმზრდელს ეძებენ. ჩვენთან წამოდი. დიდებული საქმე იქნება! ხომ იცი, მამას და დედას როგორ უყვარხარ".

6

კოლოგრივოვებთან ლარამ სამი წელიწადი ისე გაატარა, თითქოს ქვიტკირის კედლის მიღმა ცხოვრობდა თავს აღარავინ ესხმოდა. დედაც და ძმაც, რომელთაც მთლად გადაეჩვია, თავს აღარ აბეზრებდნენ ლავრენტი მიხაილოვიჩ კოლოგრივოვი უახლესი ყაიდის ნიჭიერი და ჭკვიანი მახვილი მეწარმე-პრაქტიკოსი იყო. მომაკვდავი წყობილება ორმაგად სძულდა: როგორც ზღაპრული სიმდიდრის პატრონს, რომელსაც, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, სახელმწიფო ხაზინის ყიდვაც კი შეეძლო, და როგორც უბრალო ხალხის საოცრად წარმატებულ წარმომადგენელს იგი თავის სახლში მალავდა იატაკქვეშელებს, პოლიტიკურ პროცესებზე ბრალდებულთათვის დამცველებს ქირაობდა და, როგორც ხუმრობით

გეთში, ქალაქ ფრეჟიუსის მახლობლდ გადავიდა ხმელეთზე, იმავე წლის ნოემბერში განახორციელა სახელმწიფო გადატრიალება და ჯერ პირველი კონსული გახდა, 1804 წელს კი – იმპერატორი.

ამბობდნენ, რევოლუციის დაფინანსებით, ვითარცა მესაკუთრე, თავისი თავის ჩამოგდებას ცდილობდა და საკუთარ ფაბრიკაში გაფიცვებს აწყობდა. ლავრენტი მიხაილოვიჩი მარჯვე მსროლელი და თავგადაკლული მონადირეც გახლდათ და ათას ცხრაას ხუთი წლის ზამთარში რაზმელებისათვის სროლის სასწავლებლად სერებრიანი ბორსა და ლოსის კუნძულზე დადიოდა.

დიდებული ადამიანი იყო და მისი ცოლი, სერაფიმა ფილიპოვნაც ღირსეულ თანამეცხედრეობას უწევდა. აღტაცებული ლარა ორივეს მოწიწებით ეპყრობოდა. სამაგიეროდ, ოჯახის წევრებსაც უყვარდათ იგი და ახლობლებში არ არჩევდნენ.

ლარას უზრუნველი ცხოვრების მეოთხე წელი იყო, მისი ძმა როდია რომ ესტუმრა. თითქოს ოჩოფეხებზე შემდგარაო, გრძელი კანჭებით ქარაფშუტული ამპარტავნობით მოირწეოდა და ცხვირში დუდღუნით ნათქვამ სიტყვებს არაბუნებრივად აჭიანურებდა. მისი გამოშვების იუნკრებს სასწავლებლის უფროსისათვის გამოსათხოვარი საჩუქრის საყიდლად ფული შეეგროვებინათ, როდიასთვის მიეცათ და საჩუქრის შერჩევა და ყიდვა დაევალებინათ. და აი, მესამე დღე იყო, ის ფული ბოლო კაპიკამდე წაეგო. როდიამ სათქმელი დაასრულა, აწოწილი ტანით სავარძელში მოადინა ზღართანი და ტირილი წასკდა.

ამის გამგონე ლარას ცივად გააჟრჟოლა. როდია კი სლუკუნით განაგრძობდა:

– გუშინ ვიყავი ვიქტორ იპოლიტოვიჩთან. ამ თემაზე ლაპარაკიც კი ამიკრძალა, მაგრამ მითხრა, რომ შენ თუ მოისურვებ... ასე მითხრა, მართალია, აღარავინ ვუყვარვართო, მაგრამ ჩემთვის მის სიტყვას მაინც არაფერი შეედრებაო... ლაროჩკა... შენი ერთი სიტყვაც კი საკმარისია... გესმის, რა სირცხვილში ვარ და ეს ამბავი იუნკრის მუნდირის ღირსებას რა ლაფში ამოსვრის?... შენთვის ხომ არაფერია, მიდი, სთხოვე... განა შენ დაუშვებ, რომ ეს ლაქა საკუთარი სისხლით ვზღო?

– სისხლით ვზღო იუნკრის მუნდირის ღირსება, – აღშფოთებით იმეორებდა ლარა და აღელვებული დადიოდა ოთახში. – მე რაკი მუნდირი არა ვარ, ღირსება არა მაქვს და ვისაც რა უნდა, იმას მიზამს, არა? გესმის, რასა მთხოვ, ანკი მიხვდი, რას გთავაზობს? ადამიანი წლითიწლობით სიზიფეს ჯაფას ეწევი, წვალობ, ძილი და მოსვენება აღარა გაქვს, ეს კი მოდის და ხელის ერთი მოსმით ყველაფერს წყალში გიყრის! ეშმაკსაც წაულიხარ! კისერიმც მოგიტეხია, რაც გენებოს, ისა ჰქენი. მაინც რამდენი გინდა?

– ექვსას ოთხმოცდაათი მანეთი და ცოტა მეტიც. თუ დავამრგვალებთ, შვიდასი. – ცოტა არ იყოს, ყოყმანით უთხრა როდიამ.

– ხომ არ გაგიჟდი, როდია! გესმის, რას ამბობ? შვიდასი მანეთი წააგე? როდია! როდია! მერედა იცი, ჩემისთანა უბრალო ადამიანი პატიოსანი შრომით მაგ თანხას რამდენ ხანში შეაკოწიწებს?

მცირე ხნის დუმილის შემდეგ ცივი, გაუცხოებული ხმით დაუმატა: – კარგი, შევეცდები. ხვალ მოდი. თან ის რევოლვერიც მომიტანე, რომლითაც სირცხვილის ჩამოწმენდას აპირებ. მე დამიტოვებ, საკუთრად. თან არ დაგავიწყდეს, ბლომად პატრონებიც გამოაყოლე.

ლარამ ის ფული კოლოგრივოვს გამოართვა.

7

კოლოგრივოვებთან სამსახურს ლარასთვის ხელი არ შეუშლია გიმნაზიის დამთავრებაში, კურსებზე ჩარიცხვაში, წარმატებით სწავლასა და მის ბოლომდე გასრულებაში, რაც მომავალი, ათას ცხრაას თორმეტი წლისათვის იყო გათვალისწინებული.

თერთმეტი წლის გაზაფხულზე მისმა აღსაზრდელმა ლიპოჩკამ გიმნაზია დაამთავრა. მას უკვე საქმროც ჰყავდა, ახალგაზრდა ინჟინერი ფრიზენდანკი, კარგი, შეძლებული ოჯახიშვილი. მშობლებს ლიპოჩკას არჩევანი მოსწონდათ, მაგრამ მისი ნაადრევი გათხოვების წინააღმდეგნი

იყვნენ და დაცდას ურჩევდნენ. ამის გამო ხშირად იყო შეხლა-შემოხლა. ოჯახის კერპი, ნებიერი და თავნება ლიპოჩკა დედ-მამას უყვიროდა, ტიროდა და ფეხებს უტყაპუნებდა.

მდიდარ ოჯახში ლარას თავისიანად თვლიდნენ, როდიას სახელზე გასესხებული ფული დავიწყებული ჰქონდათ და არც კი ახსენებდნენ. ის ვალი ლარას კარგა ხნის წინათ ექნებოდა გადახდილი, რომ არა მუდმივი ხარჯები, რომელთა ასავალ-დასავალს არავის უმხელდა.

იგი პაშასგან მალულად უგზავნიდა ფულს მამამისს, გადასახლებაში მყოფ ანტიპოვს, თან მის ავადმყოფ, ჭირვეულ დედასაც ეხმარებოდა, გარდა ამისა, საიდუმლოდ იგი თავად პაშასაც უმსუბუქებდა ხარჯებს, სახლის პატრონებს ოთახისა და კვების ქირის ნაწილსაც უხდიდა. – პაშა ლარაზე ცოტა ხნით უმცროსი იყო, გაგიჟებით უყვარდა იგი და ყველაფერს უჯერებდა. ლარას დაჟინებული თხოვნით, რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვაჟი დამატებით ლათინურსა და ბერძნულს ჩაუჯდა, უნივერსიტეტში ფილოლოგიურზე რომ ჩაებარებინა. ლარა ოცნებობდა, სახელმწიფო გამოცდებს რომ ჩავაბარებთ, მე და პაშა ჯვარს დავიწერთ და ურალის რომელიმე საგუბერნიო ქალაქში წავალთ, ის ვაჟთა გიმნაზიაში იმასწავლებლებს, მე კი ქალთაშიო. პაშა იმ ოთახში ცხოვრობდა, რომელიც ლარამ მოუძებნა და უქირავა დარბაისელ სახლის პატრონებთან კამერჰერის შესახვევში, მხატვრული თეატრის მახლობლად მდებარე ახალ შენობაში.

თერთმეტი წლის ზაფხულში ლარა უკანასკნელად იყო კოლოგრივოვებთან ერთად დუპლიანკაში. მას თავდავიწყებით, თვით პატრონებზე მეტად უყვარდა ეს ადგილი. კოლოგრივოვებმა ყოველივე ეს კარგად იცოდნენ და საზაფხულო მოგზაურობისას ამგვარი დაუწერელი შეთანხმებაც სწორედ ლარასთვის არსებობდა. როცა მათი ცხელი, შავტუხა მატარებელი გზას განაგრძობდა და ირგვლივ გამეფებულ უკიდეგანოდ გარინდებულ, სურნელოვან სიჩუმეში აღელვებული ლარა მუნჯდებოდა, მამულში მას მარტოდმარტოს ფეხით უშვებდნენ, ამასობაში კი პაწია

სადგურიდან ბარგი გამოჰქონდათ და ოთხთვალაში ალაგებდნენ, უსახელოებო კაზაკურასა და წითელ პერანგში გამოწყობილი დუპლიანკელი მეეტლე კი ეტლში მსხდომ ბატონებს წინა სეზონის იქაურ ამბებს უკენჭავდა.

ლარა რკინიგზის გასწვრივ, მოგზაურთა და მომლოცველთა მიერ გატკეპნილ ბილიკს მიუყვებოდა, მერე კი მინდორ-მინდორ ტყისკენ უხვევდა. აქ იგი ჩერდებოდა, თვალებს ნაბავდა და ირგვლივ გადაშლილი სივრცეების ნაირ-ნაირი სურნელებით აღსავსე ჰაერს ღრმად ისუნთქავდა. ის ჰაერი დედ-მამაზე მშობლიური, სატრფოზე საყვარელი, წიგნზე ჭკვიანი იყო. ლარას წამიერად არსებობის აზრი კვლავ უბრუნდებოდა. „აქ იმიტომ ვარ, – ფიქრობდა იგი, – რომ დედამიწის ეს შეშლილი მშვენიერება შევიგრძნო, ყველაფერს სახელი დავარქვა, და თუ ეს ჩემს ძალებს აღემატება, სიცოცხლის სიყვარულით მემკვიდრეები გავაჩინო, რომლებიც ამას ჩემს ნაცვლად განახორციელებენ.“

ამ ზაფხულს ლარა მის მიერვე გამოჩხრეკილი უამრავი საზრუნავისაგან დაღლილ-დაქანცული ჩამოვიდა. გუნება იოლად უფუჭდებოდა.

ბოლო ხანებში უნდობლობის ჭია შეუჩნდა, რაც ადრე მისთვის უცხო რამ იყო. წინათ თუ გულსავსე იყო და წვრილმანებს ეგრერიგად არ დაგიდევდათ, ახლა ეჭვი და უნდობლობა გულს უწვრილებდა.

კოლოგრივოვები არსად უშვებდნენ, ძველებურად კვლავ მათი ალერსით იყო გარემოსილი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ლიპა ფეხზე დადგა, ლარა ამ სახლში თავს ზედმეტ ბარგად თვლიდა. გასამრჯელოზე უარს ამბობდა. ძალისძალად აჩეჩებდნენ. ამასთანავე, ფული სჭირდებოდა, მაგრამ ხელფასიან სტუმრად ყოფნა უხერხულიც იყო და პრაქტიკულად შეუსრულებელიც.

ლარას თავისი მდგომარეობა სულს უხეთქავდა. ეჩვენებოდა, ყველას თვალში ვეჩხირები, მაგრამ ეგ არის, არ იმჩნევენო. იტანჯებოდა. უნდოდა თავსაც გაჰქცეოდა, კოლოგრივოვებსაც და სადმე შორს გადაკარგულიყო, მაგრამ მისი აზრით მანამდე კოლოგრივოვებისათვის ფული უნდა

დაებრუნებინა, ამჟამად კი გროში-კაპიკი არსად ეშოვებოდა. როდიას მიერ ფულის ქარაფშუტულად გაფლანგვის გამო თავს მძევლად თვლიდა და უმწეოდ აღშფოთებულს ადგილი ვერ ეპოვა.

ყოველ ნაბიჯზე აგდებული მოპყრობა ელანდებოდა. რაღა თქმა უნდა, კოლოგრივოვებთან სტუმრად მოსული ნაცნობების გამორჩეული ყურადღება ადასტურებდა, რომ იგი საცოდავ „აღმზრდელად" და იოლ საკბილოდ ჰყავდათ დაგულებული. მაშინ კი, როცა არ აწუხებდნენ, აშკარა იყო, არარაობად თვლიდნენ და ვერ ამჩნევდნენ.

იპოქონდრიის შემოტევები მაინც არ უშლიდა ხელს დუპლიანკაში სტუმრად მყოფი მრავალრიცხოვანი საზოგადოების მხიარულება გაეზიარებინა. ისიც ბანაობდა და ცურავდა, ნავით სეირნობდა, მდინარის გადაღმა ღამის პიკნიკებში მონაწილეობდა, ყველასთან ერთად შუშხუნებს უშვებდა და ცეკვავდა. იგი მოყვარულთა წარმოდგენებში მონაწილეობდა და განსაკუთრებული გატაცებით ასპარეზობდა მოკლე, მაუზერული თოფებით მიზანში სროლაში, თუმცა მათ მაინც როდიას მსუბუქი რევოლვერი ერჩია. ამ რევოლვერით ტყვიას ტყვიაში სვამდა. ხუმრობით ნანობდა კიდეც, აფსუს, ქალი ვარ და დუელის გზა გადაკეტილი მაქვსო. მაგრამ რაც მეტს მხიარულობდა, უფრო უარეს გუნებაზე დგებოდა. თავადაც არ იცოდა, რა უნდოდა.

ეს განწყობილება განსაკუთრებით ქალაქში დაბრუნების შემდეგ გაუძლიერდა. აქ ლარას უსიამოვნებას პაშასთან კინკლაობაც დაერთო (მასთან სერიოზულ ჩხუბს ერიდებოდა, რადგან თავის უკანასკნელ დამცველად თვლიდა). ბოლო ხანებში პაშას რაღაც თავდაჯერებულობა დასჩემდა. მისი საუბრის დამრიგებლური კილო ლარას თან აცინებდა და თან გულსა სწყვეტდა.

პაშა, ლიპა, კოლოგრივოვები, ფული – ყველაფერი თავში აერია. ცხოვრება მობეზრდა. თანდათან ჭკუაზე იშლებოდა. გული სულ იქით მიუწევდა, რაც ირგვლივ ნაცნობი და განცდილი იყო, ყველაფრისათვის ზურგი ექცია და რაღაც ახალი დაეწყო. ამგვარ გუნებაზე მყოფი ცხრაას

თერთმეტი წლის საშობაოდ საბედისწერო დასკვნამდე მივიდა. გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ განშორებოდა კოლოგრივოვებს და თავისი ცხოვრება როგორმე მარტო, დამოუკიდებლად მოეწყო, საამისოდ საჭირო ფული კი კომაროვსკისათვის ეთხოვნა. ლარა ფიქრობდა, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, და რაც ამდენი წლის მერე თავისუფლება მოვიპოვე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე რაინდულად, უანგაროდ, რაიმე სიბინძურის გარეშე უნდა დამეხმაროსო.

ამ მიზნით ოცდაშვიდი დეკემბრის საღამოს პეტრეს რიგებისკენ გაემართა. წასვლის წინ როდიას გატენილი, ჩახმახშემართული რევოლვერი ხელსათბურში ჩაიდო. განზრახული ჰქონდა ესროლა, თუ უარს ეტყოდა, არასწორად გაუგებდა ან რამენაირად დაამცირებდა.

სადღესასწაულო ქუჩებში საშინლად გონებაარეული მიდიოდა. ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. ჩაფიქრებულმა გასროლამ მის სულში უკვე დაიქუხა და მისთვის ახლა უკვე სულ ერთი იყო, ვისკენ იყო იგი მიმართული. ერთადერთი, რასაც ანგარიშს უწევდა, ეს გასროლა იყო. მთელი გზა ყურში მისი ხმა ჩაესმოდა, და ეს იყო გასროლა კომაროვსკის, თავისი თავის, საკუთარი ბედისა და დუპლიანკის მდელოზე მდგარი იმ მუხის მიმართულებით, რომლის ტანზეც სასროლი სამიზნე იყო ამოკვეთილი.

8

– ხელსათბურს ხელი არ ახლოთ, – უთხრა ავიშვიშებულ ემა ერნესტოვნას, როცა მან გახდაში მოსახმარებლად ლარას ხელები გაუწოდა.

ვიქტორ იპოლიტოვიჩი შინ არ აღმოჩნდა. ემა ერნესტოვნა კვლავ ლარას დაყოლიებას ცდილობდა: შემოდი, ქურქი გაიხადეო.

– არ შემიძლია. მეჩქარება. სად არის?

ემა ერნესტოვნამ უთხრა, ნაძვის ხის ზეიმზე სტუმრადაააო წასული. ხელში მისამართმომარჯვებულმა ლარამ ფერადგერბიან ფანჯრებიანი, პირქუში კიბე ჩაირბინა, რომელიც ყველაფერს ცხადად ახსენებდა, და

სვენტიცკების სახლისაკენ გაეშურა.

მხოლოდ ახლა, ქუჩაში მეორედ გამოსვლისას მიმოიხედა აქეთ-იქით. ზამთარი იყო. ქალაქი იყო. საღამო იყო.

ყინავდა. ქუჩები შავი, სქელი, ლუდის დამსხვრეული ბოთლების ძირების მსგავსი ყინულით იყო მოფენილი. სუნთქვა ჭირდა. ჰაერი რუხი ჭირხლით იყო გაჭექილი და ლარას ეჩვენებოდა, რომ თავისი აწეწილი ჯაგრით იგი სწორედ ისევე სჩხვლეტდა და უღიტინებდა, როგორც მისი გაყინული ბეწვის ყელსახვევის ვერცხლისფერი ბურძგლები ჰკბენდა და პირში ეჩრებოდა. უდაბურ ქუჩებში მიდიოდა და გული ამოვარდნაზე ჰქონდა. გზადაგზა ჩაიხანებისა და სასაუზმეების კარებიდან ბუღი გამოდიოდა. ბურუსიდან დროდადრო გამოკრთებოდა ხოლმე ძეხვივით გაწითლებულ გამვლელთა გათოშილი სახეები, დრუნჩებზე ყინულის ლოლუებჩამოკონწიალებული ცხენები და ძაღლები. სახლების ყინულისა და თოვლის სქელი ფენით დაფარული ფანჯრები თითქოს ცარცით გაეთეთრებინათ. მათ გაუმჭვირვალე ზედაპირებზე ანთებული ნაძვის ხეების ფერადი გამონაშუქი და მოზეიმეთა ლანდები მოძრაობდნენ, თითქოს ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთ სახლებიდან თეთრ, ჯადოსნური ფარნების წინ გაფენილ ზეწრებზე დახატულ ნისლიან სურათებს უჩვენებდნენ. კამერჰერთა ოთახში ლარა შეჩერდა. „მეტი აღარ შემიძლია, მეტს ვეღარ ავიტან, – თითქმის ხმამაღლა წამოსცდა, – ავალ და ყველაფერს მოვუყვებიო," – გაიფიქრა, მაგრამ უმალვე თავს მოერია და სადარბაზოს მძიმე კარი შეაღო.

9

დაძაბულობისაგან სახეწამოჭარხლებული პაშა ლოყას შიგნიდან ენით იბერავდა, სარკის წინ ცოდვილობდა, პერანგის საყელოს იმაგრებდა და ცდილობდა გახამებული გულისპირის კილოებში მოღრეცილი სა-

კინძე როგორმე დაემაგრებინა. იგი სტუმრად წასასვლელად ემზადებოდა. ჯერ კიდევ იმდენად ალალი და გაუწაფავი იყო, როდესაც ლარა დაუკაკუნებლად შევიდა და შილიფად ჩაცმულს თავს წაადგა, თავგზა დაებნა. პაშამ მყისვე შენიშნა მისი მღელვარება. ლარას მუხლები ეკვეთებოდა, კაბის ქვეშ ისე მოაბიჯებდა, თითქოს ფონს გადისო.

– რა მოგივიდა? რა მოხდა? – შეშფოთებით ჰკითხა პაშამ და მასთან მიირბინა.

– გვერდით მომიჯექი. როგორიცა ხარ, ეგრევე დაჯექი, ნუ იპრანჭები. მეჩქარება. მალე უნდა წავიდე. მოეშვი ხელსათბურებს. მაცალე. ერთი წუთით იქით მიბრუნდი.

პაშამ დაუჯერა. ლარას ინგლისური კოსტუმი ეცვა. მან ჟაკეტი გაიხადა, ლურსმანზე დაჰკიდა და როდიას რევოლვერი ხელსათბურიდან ჟაკეტის ჯიბეში გადაიტანა. მერე კვლავ ტახტზე დაბრუნდა და უთხრა: – ახლა შეგიძლია შემომხედო. სანთელი აანთე და ნათურა ჩააქრე, ლარას ბინდბუნდში ანთებული სანთლების შუქზე უყვარდა ლაპარაკი. პაშას მუდამ ჰქონდა მისთვის შემონახული გაუხსნელი შეკვრა. ვაჟმა შანდალში ნამწვის ნაცვლად ახალი სანთელი ჩადო, რაფაზე დადგა და აანთო. ალს ერთი წამით სტეარინი მოეძალა, მერე იმძლავრა, აქეთ-იქით ტკაცუნა ვარსკვლავები მიმოაფრქვია და წვერი ისარივით წაემახა. ოთახი მსუბუქი შუქით აივსო. ფანჯრის მინაში, სანთლის თავთან შავად გამლღვალი ჭუჭრუტანა გამოიკვეთა.

– მისმინე, პატულია, – უთხრა ლარამ. – დიდ გასაჭირში ვარ. მის დაძლევაში უნდა დამეხმარო. ნუ გეშინია და ნურაფერს მკითხავ, ოღონდ ის აზრი მოიშორე, რომ ისეთივენი ვართ, როგორიც ყველა. დამშვიდებას ნუ მიეცემი. მე მუდამ საფრთხეში ვარ. თუ გიყვარვარ და გსურს დაღუპვისაგან მიხსნა, ნუღარ გადასდებ, მოდი სასწრაფოდ ჯვარი დავიწეროთ.

– ჩემი სურვილიც ხომ ეგ არის, – მიუგო ვაჟმა. – სასწრაფოდ დანიშნე დღე. ნება შენია, როცა იტყვი, მე სულ მზადა ვარ. მაგრამ უბრალოდ და გასაგებად მითხარი, რა მოგივიდა, გამოცანებით ნუ მაწვალებ.

ლარამ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა. ისინი კიდევ დიდხანს ისხდნენ და ისეთ თემებზე მუსაიფობდნენ, რომელთაც ლარას სადარდებელთან არაფერი ჰქონდათ საერთო.

10

ზამთარს იურა უნივერსიტეტის ოქროს მედლის მოსაპოვებლად სამეცნიერო თხზულებას წერდა თვალის ბადურის ნერვული ელემენტების თაობაზე. თუმცა სასწავლებელს ზოგადი თერაპიის განხრით ამთავრებდა, თვალი მომავალი ოკულისტის ზედმიწევნილობით იცოდა. მხედველობის ფიზიოლოგიისადმი ამ ინტერესში თავი იჩინეს იურას ბუნების სხვა მხარეებმა – მისმა შემოქმედებითმა მონაცემებმა და მოსაზრებებმა მხატვრული სახის არსისა და ლოგიკური იდეის აგებულების შესახებ.

ტონია და იურა სვენტიცკების ნაძვის ხეზე ცხენშებმული მარხილით მიდიოდნენ. სიყრმის დასაწყისისა და ბავშვობის დასასრულის ექვსი წელი ერთად გაატარეს და ერთურთს უმნიშვნელო წვრილმანებამდე იცნობდნენ. ბევრი საერთო ჩვევა ჰქონდათ, თავიანთებურად მოკლე-მოკლე ნართაულებს გადაუგდებდნენ ხოლმე ერთმანეთს და საპასუხოდაც თავიანთებურად ფრუტუნებდნენ. ახლაც ასე მიდიოდნენ, ყინვაში პირი მოეკუმათ, სდუმდნენ და ხანდახან თუ ეპასუხებოდნენ ერთმანეთს. თითოეულს თავისი საფიქრალი ჰქონდა.

იურას გაახსენდა, რომ კონკურსის ვადა ახლოვდებოდა, თხზულების წერა უნდა დაეჩქარებინა, და მიწურული წლის საზეიმო ალიაქოთში, რაც ქუჩაშიც კარგად იგრძნობოდა, ფიქრს ფიქრი ცვლიდა.

მიშა გორდონის ფაკულტეტზე სტუდენტურ ჰექტოგრაფიულ[40] ჟურნალს სცემდნენ. მას გორდონი რედაქტორობდა. იურა კარგა ხნის წინათ

[40] ჰექტოგრაფი უმარტივესი საბეჭდი მოწყობილობაა. მისი საშუალებით დამზადებული საბეჭდი ფორმიდან შესაძლებელია ასამდე ანაბეჭდის მიღება.

დაჰპირდა ბლოკზე სტატიის დაწერას. ორივე დედაქალაქის ახალგაზრდობას ბლოკზე აბოდებდა, ხოლო მათ შორის მიშას და იურას – ყველაზე მეტად.

თუმცა დიდი ხნით არც ამ აზრებს მიუპყრიათ იურას გონება. ამ ყიამეთში ნიკაპები საყელოებში ჩაერგოთ, მალიმალ გათოშილ ყურებს იხელდნენ და თავ-თავიანთ ფიქრებში ჩაძირულიყვნენ. ერთ რამეში კი მათი აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა.

ცოტა ხნის წინათ ანა ივანოვნასთან გამართულმა სცენამ ორივე გადაასხვაფერა. თითქოს თვალი აეხილათ და ერთმანეთს ახლებურად შეხედეს.

– ტონია, ეს ძველისძველი ამხანაგი, აუხსნელადაც გასაგები ეს სიცხადე, ყველაზე მიუწვდომელი და რთული რამ გამოდგა, რისი წარმოდგენაც იურას შეეძლო – ქალი აღმოჩნდა. ფანტაზიის გარკვეული დაძაბვით იურას შეეძლო წარმოედგინა თავისი თავი არარატზე ასულ გმირად, წინასწარმეტყველად, გამარჯვებულად, ნებისმიერ არსებად, მაგრამ ქალად კი – არასოდეს.

და აი, ეს ურთულესი ამოცანა ტონიამ იტვირთა თავის გამხდარსა და სუსტ, მხრებზე (იგი ამის შემდეგ ეჩვენებოდა იურას სუსტ და ფერმკრთალ ადამიანად, თუმცა საკმაოდ ჯანიანი გოგო იყო). და ვაჟი იმ მხურვალე თანაგრძნობით და ნაზი გაოცებით აღივსო, რასაც გატაცების სათავე ჰქვია.

სათანადო ცვლილებებით ტონიას არსებაშიც იგივე მოხდა იურას მიმართ.

იურა ფიქრობდა, შინიდან ტყუილად წამოვედით, ჩვენს არყოფნაში ემანდ არაფერი მოხდესო. გაახსენდა, ჩაცმულებმა და წამოსასვლელად გამზადებულებმა ანა ივანოვნას უქეიფობის ამბავი რომ შეიტყვეს, მივიდნენ მასთან და შესთავაზეს, დავრჩებითო. ავადმყოფმა ძველებურად გაატატანა ხელები: დარჩენაზე არაფერი გამაგონოთ, ნაძვის ხეზე კი უთუოდ უნდა წახვიდეთო. იურა და ტონია ფარდის უკან, ფანჯრის ღრმა

ნიშში შევიდნენ, რომ დაენახათ, გარეთ როგორი ამინდი იყო. უკან გამოსვლისას ტიულის ფარდის ორივე კალთა სათითაოდ ახალთახალ ტანისამოსზე აჰყვათ. მსუბუქი სელისმაგვარი ქსოვილი ტონიას რამდენიმე ნაბიჯზე დედოფლის საქორწილო ლეჩაქივით გამოჰყვა. საწოლ ოთახში ეს მსგავსება ყველამ შეამჩნია და ერთხმად გადაიხარხარეს. იურა აქეთ-იქით იყურებოდა და იმასვე ხედავდა, რაც ცოტა ხნით ადრე ლარას ხვდებოდა თვალში. მათი მარხილი უჩვეულო ხმას გამოსცემდა და ბაღებსა და ხეივნებში გაყინულ ხეებქვეშ უჩვეულოდ დიდხანს ისმოდა მისი გამოძახილი. სახლების შიგნიდან განათებული, შეჭირხლული ფანჯრები კვამლისფერი ფენოვანი ტოპაზის ძვირფას ზარდახშებს წააგავდნენ. მათ შიგნით მოსკოვის საშობაო ცხოვრება დუღდა, ნაძვის ზეები ჩახჩახებდნენ, სტუმრები ზიმზიმებდნენ და თავმოგიჟიანებული ნიღბოსნები დამალობანას თუ რგოლობანას თამაშობდნენ.

იურას უეცრად თავში გაუელვა, ბლოკი[41] საშობაო მოვლენაო რუსული ცხოვრების ყველა სფეროში, ჩრდილოეთის ქალაქურ ყოფაში და უახლეს ლიტერატურაში, თანამედროვე ქუჩის ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ და ამ საუკუნის სასტუმრო ოთახის გაბრწყინებული ნაძვის ხის გარშემო. ისიც გაიფიქრა, არავითარი სტატია ბლოკს არ სჭირდება, ისე, უბრალოდ, ჰოლანდიელთა წამხედურობით, გრძნეულთა შელოცვა უნდა დაეწერა რუსულ ენაზე და ყინვაც, მგლებიც და შავი ნაძვის ტყეც ეხსენებინა.

კამერჰერის შესახვევიც ჩაიქროლეს. იურას ყურადღება ერთ-ერთი ფანჯრის ყინულის ჯავშანში შავად შემდნარმა ჭრილმა მიიპყრო. ამ ჭრილში სანთლის შუქი ციაგებდა და გარედან ისე მოჩანდა, თითქოს ქუჩას უთვალთვალებს, ვიღაცას ელისო.

---

[41] ალექსანდრ ბლოკი (1880-1921) – გამოჩენილი რუსი პოეტი, რომლის შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა მის თანამედროვე და შემდგომი პერიოდის რუსულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზრზე.

„სანთელი ენთო მაგიდაზე, სანთელი ენთო...”[42] – რაღაც ბუნდოვანის, ჩამოუყალიბებლის დასაწყისს თავისთვის ბუტბუტებდა იურა იმ იმედით, რომ გაგრძელება ძალდაუტანებლად, თავისით მოვიდოდა ის კი არა და არ მოდიოდა.

11

სვენტიცკებთან ნაძვის ხეებს უხსოვარი დროიდან ამგვარი წესით აწყობდნენ. ათ საათზე, ბავშვები რომ წავიდ-წამოვიდოდნენ, ახალგაზრდებისა და მოზრდილებისთვის მეორეს ანთებდნენ და დილამდე მხიარულობდნენ, უფრო ხანში შესულნი კი მთელი ღამის განმავლობაში კარტს თამაშობდნენ სამკედლიან სადღესასწაულო მისაღებში, რომელიც დარბაზის გაგრძელება იყო და მისგან ბრინჯაოს დიდ რგოლებზე დაკიდებული მძიმე, სქელი ფარდა ჰყოფდა. განთიადისას ყველანი ერთად საუზმობდნენ.

– ასე რატომ დაიგვიანეთ? – მიაძახა მათ სვენტიცკების ნათესავმა ჟორჟმა, რომელმაც გვერდით ჩაიქროლა, ბინის წინა ნაწილი გადასჭრა და ბიძისა და ბიცოლასაკენ გაეშურა. იურამ და ტონიამაც გადაწყვიტეს, მასპინძლებთან მისასალმებლად იქით წასულიყვნენ. გზადაგზა პალტოებს იხდიდნენ და დარბაზს ათვალიერებდნენ.

შუშხუნების რამდენიმე რიგით გარშემორტყმული, გაჩირაღდნებული

---

[42] როგორც ცნობილია, ქრისტიანულ სიმბოლიკაში სანთელს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თავის მოწაფეებს ქრისტე ამგვარად მიმართავს: „თქუენ ხართ ნათელი სოფლისა; ვერ ხელეწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა არცა აღანთიან სანთელი და დაჰსდგიან ქუეშე ხვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყუნინ სახლსა შინა. ესრეთ ჰბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“. (მათე, 5. 14-16). სანთლის სიმბოლოს ცენტრალური ადგილი უჭირავს ბ. პასტერნაკის რომანში. საგულისხმოა ისიც, რომ თავდაპირველად ნაწარმოების ერთ სავარაუდო სათაურად მწერალს „სანთელი ენთო“ ჰქონია ჩაფიქრებული.

ნაძვის ხის მახლობლად კაბების შარიშურით და ჯგლეთა-ყაყანით მოძრაობდა მოსეირეთა, მოსაუბრეთა და ცეკვას შემომწყრალთა შავი კედელი.

წრის შიგნით კი შეშლილებივით ბზრიალებდნენ მოცეკვავენი. მათ ატრიალებდა, აწყვილებდა და ერთმანეთთან ჯაჭვისებურად აერთებდა პროკურორის ამხანაგის ვაჟი, ლიცეუმის მოწაფე კოკა კორნაკოვი. იგი ცეკვებს დირიჟორობდა და დარბაზის ერთი ბოლოდან მეორეში მთელი ხმით გაჰყვიროდა: „Grand rond! Chaine chinoise“[43] – და ყველაფერი მისი სიტყვის შესაფერისად ხდებოდა. „Une valse s'il vous plaît”[44] – გაჰკიოდა იგი და პირველი შემოვლის დასაწყისში თავისი მანდილოსანი „à trois temps, à deux temps”[45] მიჰყავდა, ნაბიჯს თანდათან ანელებდა და ამცირებდა ერთ ადგილზე ოდნავ შესამჩნევ მოძრაობამდე, რაც ვალსს სულ აღარ ჰგავდა, მხოლოდ მისი მინელებული გამოძახილი თუ ეთქმოდა. მერე ყველანი ტაშს უკრავდნენ და ამ ფეხად ამდგარ, აყაყანებულ-ატკარცალებულ ბრბოს ნაყინს და გამაგრილებელ სასმელებს ურიგებდნენ.

გახურებული ჭაბუკები და ქალიშვილები წუთით წყვეტდნენ შეძახილებს, სიცილ-კისკისს, ცივ-ცივ მორსსა თუ ლიმონათს ნაჩქარევად, ხარბად ყლაპავდნენ და როგორც კი სასმისს ლანგარზე დგამდნენ, ჟივილ-ხივილს აათმაგებდნენ.

ტონია და იურა დარბაზში არც კი შესულან, ბინის სიღრმეში მასპინძლებისკენ გაემართნენ.

---

[43] დიდი წრე! ჩინური ჯაჭვი! (ფრ.)
[44] იცეკვეთ ვალსი, გეთაყვა! (ფრ.)
[45] სამ თვლაზე, ორ თვლაზე. (ფრ.)

12

სვენცკების შიდა ოთახები სასტუმროდან და დარბაზიდან გამოტანილი ზედმეტი ნივთებით იყო გადაჭედილი. აქ იყო მასპინძელთა ჯადოსნური სამზარეულო, მათი საშობაო საწყობი. ირგვლივ საღებავის და წებოს სუნი ტრიალებდა, აქა-იქ ფერად-ფერადი ქაღალდების შეკვრები ეწყო. კოტილიონის ვარსკვლავების და ნაძვის ხის სამარაგო სანთლების კოლოფებიც ერთიმეორეზე დაეხორებინათ.

ხანში შესული სვენტიცკები საჩუქრებზე ნომრებს აწერდნენ, ვახშმად მოსაწვევ ბარათებზე ადგილების ნომრებს აღნიშნავდნენ და გასათამაშებელი ლატარიის ბილეთებს ამზადებდნენ. ამ საქმეში ჟორჟიც ეხმარებოდათ, მას კი ნომრები წარამარა ერთმანეთში ერეოდა და გაჯავრებული ცოლ-ქმრისაგან დატუქსვა არ აკლდა. იურას და ტონიას დანახვაზე სვეენტიცკებმა გაიხარეს. ქალ-ვაჟი პატარები ახსოვდათ, არ ებოდიშებოდნენ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ეს სამუშაო მათ მიაბარეს.

– ფელიცატა სემიონოვნას ვერა და ვერ გაუგია, რომ ამაზე იმთავითვე უნდა ეფიქრა და არა ახლა, როცა თავზე ამდენი სტუმარი გვახვევია. ოჰ, შე თავგზააბნეულო აპრაკუნე, რა მოგივიდა, ჟორჟ, ისევ აურიე ნომრები? კამფეტებით სავსე კოლოფები მაგიდაზე უნდა დაგეწყო, ცარიელები კი – დივანზე, შენ კი ყველაფერი თავდაყირა დააყენე. – ძალიან მიხარია, ანეტა რომ თავს კარგად გრძნობს. მე და პიერი ძალიან ვწუხდით.

– დიახ, ძვირფასო, მისთვის უარესია, უარესი, გესმის, შენ კი ყველაფერს devant-derrière[46] აკეთებ.

იურამ და ტონიამ ჟორჟთან და მოხუცებთან ნახევარი საღამო გაატარეს ნაძვის ხის კულისებში.

---

[46] უკუღმად (ფრ.)

13

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ისინი სვენტიცკებთან ისხდნენ, ლარა დარბაზში იყო. მართალია, სამეჯლისოდ არ იყო გამოწყობილი და არც არავის იცნობდა, მაგრამ უნებურად ხან კოკა კორნაკოვს აძლევდა ნებას, ისე ეტრიალებინა, როგორც სიზმარში, ხან კი თითქოს წყალში ტივტივებსო, მთელ დარბაზში უსაქმოდ დაყიალობდა.

ერთი-ორჯერ სასტუმრო ოთახის ზღურბლთანაც იტორტმანა გაუბედავად, დარბაზისაკენ პირშექცეულმა კომაროვსკიმ იქნებ როგორმე შემნიშნოსო. მაგრამ იგი მარცხენა ხელში გაშლილ კარტებს ჩაშტერებოდა და ან ვერ ამჩნევდა, ან თვალთმაქცობდა. განაწყენებულ ლარას ყელში ბოღმა მოებჯინა. ამასობაში დარბაზიდან სასტუმრო ოთახში უცნობი გოგონა შემოვიდა. კომაროვსკიმ ახალშემოსულს ლარასათვის ესოდენ ნაცნობი მზერა შეავლო. ნასიამოვნებმა გოგონამ კომაროვსკის გაუღიმა, გაბრწყინდა და გაიბადრა. ამის დანახვაზე ლარამ კინაღამ შეჰკივლა. სახეზე სირცხვილის ალმური მოეძალა, შუბლი და კისერი გაუწითლდა. „ახალი მსხვერპლი", – გაიფიქრა მან. თითქოს სარკეში მთელი სიგრძე-სიგანით დაინახა საკუთარი თავი და თავგადასავალი, მაგრამ კომაროვსკისთან მოლაპარაკების ცდაზე ხელი ჯერაც არ აეღო, გადაწყვიტა, ხელსაყრელ წუთს დალოდებოდა, თავი მოთოკა და დარბაზში დაბრუნდა.

კომაროვსკის მაგიდასთან კიდევ სამი კაცი თამაშობდა. ერთი მათგანი სწორედ იმ კოხტაპრუწა ლიცეისტის მამა იყო, რომელმაც ლარა ვალსის საცეკვაოდ გაიწვია. ლარამ ეს დასკვნა დარბაზში თავის კავალერთან ტრიალისას გადაკრული ორიოდე სიტყვიდან გამოიტანა. შავებში გამოწყობილი შეშლილ თვალებიანი, გველივით უსიამოდ დაძაგრულ კისრიანი მაღალი შავგვრემანი ქალი კი, რომელიც ხან დარბაზს უთვალთვალებდა, ხანაც სასტუმრო ოთახში მოთამაშე ქმარს, კოკა კორნაკოვის დედა გამოდგა. ბოლოს შემთხვევით ისიც გაირკვა, რომ ის გოგონა, წეღან

ლარას გუნება რომ წაუხდინა, კოკას და ყოფილიყო და ლარას ეჭვიც სრულიად უნიადაგო აღმოჩნდა.

– კორნაკოვი, – თავი გააცნო კოკამ დასაწყისში. – კორნაკოვი, გაიმეორა მან, როცა ბოლო შემოვლის შემდეგ სავარძელთან მიიყვანა, და თავი დაუკრა.

ლარამ ამჯერად გაიგონა. – კორნაკოვი, კორნაკოვი, – გაიმეორა თავისთვის, – რაღაც ნაცნობი გვარია, თანაც უამური. მერე გაახსენდა: კორნაკოვი მოსკოვის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგია. სწორედ ის იყო ბრალმდებელი რკინიგზელთა ჯგუფისა, რომელთან ერთად ტივერზინსაც ასამართლებდნენ. ლარას თხოვნით და მისი გულის მოსალბობად მაშინ მას ლავრენტი მიხაილოვიჩიც ეახლა, რომ იმ პროცესზე შეუბრალებლად არ ებობოქრა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. – აი, თურმე რაშია საქმე! მაშ ასე, საინტერესოა. კორნაკოვი. კორნაკოვი.

14

ღამის პირველი თუ ორი საათი იყო. იურას ყურები უგუგუნებდა. შესვენების შემდეგ, როცა სასადილოში ჩაის სვამდნენ, ცეკვები განახლდა. ნაძვის ხეზე ჩამწვარ სანთლებს აღარ ცვლიდნენ.

დაბნეული იურა დარბაზის შუაგულში იდგა და ვიღაც უცნობთან მოცეკვავე ტონიას შესცქეროდა. როცა იურას უსწორდებოდა, ტონია ფეხის მოძრაობით უსაშველოდ გრძელი ატლასის კაბის კუდს გვერდზე ისროდა და მოცეკვავეთა გუნდში თევზივით უჩინარდებოდა.

მეტისმეტად აღგზნებული იყო. შესვენებისას, სასადილოში რომ ისხდნენ, ტონიამ ჩაიხე უარი თქვა და წყურვილს მანდარინით იკლავდა, რომელსაც უსასრულოდ აცლიდა სურნელოვან, ადვილად გასაფცქვნელ კანს. სარტყელიდან თუ სახელოდან ყოველწამს იღებდა ხეხილის ყვავილივით ნამცეცა ბატისტის ცხვირსახოცს და ბაგეების ირგვლივ თუ წე-

ბოვან თითებს შორის ოფლს იწმენდდა. სიცილსა და განუწყვეტელ ცოცხალ საუბარში ცხვირსახოცს ანგარიშმიუცემლად ინახავდა ისევ სარტყელში ან ლიფის კუნჭულში.

ახლა, უცნობ კავალერთან ცეკვისას, შემობრუნების დროს ტონია განზე გამდგარ, მოღუშულ იურას რომ ეხებოდა, ანცურად ართმევდა ხელს და ნიშნის მოგებით უღიმოდა. ერთ-ერთი ასეთი ხელის ჩამორთმევისას თავისი ცხვირსახოცი იურას ხელისგულზე შეატოვა. იურა ზედ ბაგეებით დაეწაფა და თვალები მილულა. ცხვირსახოცს ერთმანეთში არეული და ერთიანად მომაჯადოებელი მანდარინის ქერქისა და ტონიას მხურვალე ხელის სუნი უდიოდა. იურას ცხოვრებაში ეს რაღაც ახალი, აქამდე განუცდელი და თხემით ტერფამდე შემძვრელი გრძნობა იყო. ბავშვურად გულუბრყვილო სურნელება სიბნელეში ჩურჩულით ნათქვამი სიტყვასავით გულწრფელი იყო და ვნებიანი. იურა იდგა, თვალებზე და ბაგეებზე ცხვირსახოციანი ხელისგული ჰქონდა აფარებული და ხარბად ყნოსავდა. უეცრად იქაურობა სროლის ხმამ გააყრუა.

ყველანი სასტუმრო ოთახისა და დარბაზის გამყოფი ფარდისაკენ შემობრუნდნენ. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია. ხალხი აფუსფუსდა და ახმაურდა. ნაწილი კოკა კორნაკოვს მიაწყდა, სადაც სროლის ხმა გაისმა. იქიდან აქეთ გამორბოდნენ, თან ქვითინებდნენ, იმუქრებოდნენ, ყაყანებდნენ და ერთიმეორეს არ აცლიდნენ.

– ეს რა ჩაიდინა, რა ჩაიდინა, – სასოწარკვეთით იმეორებდა კომაროვსკი.

– ბორია, ცოცხალი ხარ? ბორია, ცოცხალი ხარ? – ისტერიულად კიოდა ქალბატონი კორნაკოვა. – აკი ამბობდნენ, სტუმართა შორის ექიმი დროკოვიცაა. კი, მაგრამ სად არის, სად არის? ოჰ, შემეშვით ერთი, თუ ღმერთი გწამთ! თქვენთვის ნაკაწრია, ჩემთვის კი ყოფნა-არყოფნის საკითხია. ო, ჩემო საბრალო წამებულო, დამნაშავეთა მამხილებელო! აი ისიც, ის არამზადა, ახლავე თვალებს ამოგჩიჩქნი, შე გველის წიწილო, შენა! ახლა კი ვეღარსად წაგვივა! რაო, რა თქვით, ბატონო კომაროვსკი?

თქვენ გესროლათ? აღარ შემიძლია. გული გასკდომაზე მაქვს, ბატონო კომაროვსკი, სახუმაროდ არა მცალია. კოკა, კოკლიკო, მითხარი რამე! მამაშენს... დიახ... მაგრამ ქრისტეს მარჯვენამ... კოკა! კოკა!

სასტუმრო ოთახიდან ხალხი დარბაზში გამოცვივდა. შუაგულში მომავალი კორნაკოვი ხმამაღლა ხუმრობდა, გარშემო მყოფთ თავის უვნებლად გადარჩენაში არწმუნებდა და მსუბუქად დაშავებულ მარცხენა მკლავზე სუფთა ხელსახოცით განაკაწრიდან წამოსულ სისხლს აკავებდა. ოდნავ უკან და გვერდით კი შებოჭილი ლარა მოჰყავდათ.

მის დანახვაზე იურა გაშეშდა. – სწორედ ის იყო! და კვლავ რა უჩვეულო გარემოში! და ისევ ეს ჭაღარა კაცი... ახლა კი იცნობდა მას იურა. ეს კაცი ცნობილი ვექილი კომაროვსკი გახლდათ, რომელიც მისი მამის მემკვიდრეობის საქმეში იყო გარეული. თავის დაკვრა სულაც არ იყო საჭირო, იურაც და ისიც გარეგნულად ისე იქცეოდნენ, თითქოს ერთმანეთს არც იცნობენო. ის გოგონა კი... მაშ მან ესროლა? პროკურორს? ალბათ პოლიტიკურია. საცოდავი. ახლა ლოლიაობას აღარ დაუწყებენ. მაინც რა ამაყად უჭირავს თავი! ესენი კი... ეს არამზადები ისე მოათრევენ, ხელებიც ისე გადაუგრეხიათ, თითქოს ვიღაც ქურდბაცაცა დაეჭიროთ.

თუმცა იურა მყისვე მიხვდა, რომ ცდებოდა. ლარას ფეხები აღარ ემორჩილებოდა. ხელითაც იმიტომ ეჭირათ, ძირს რომ არ დაცემულიყო. რის ყოფით მიათრიეს უახლოეს სავარძლამდე, რომელშიც მოწყვეტით ჩაეცა.

გონებაზე რომ მოეყვანა, იურამ მასთან მიირბინა, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის გადაწყვიტა ჯერ ეგრეთწოდებული მსხვერპლისათვის მიეხედა. ამიტომ კორნაკოვთან მივიდა და უთხრა:

– აქ ექიმს კითხულობდნენ. შემიძლია დაგეხმაროთ. მიჩვენეთ მკლავი... ქუდბედიანი კაცი ყოფილხართ. ისეთი წვრილმანია, შეხვევად არც ღირს. თუმცა მცირეოდენი იოდი არ აწყენდა. აი ფელიცატა სემიონოვნაც, მას ვთხოვოთ.

მოახლოებულ ქალბატონ სვენტიცკაიას და ტონიას სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედოთ. იურას უთხრეს, ყველაფერს თავი ანებე და სასწრაფოდ ჩაიცვი. სახლში საქმე კარგად არ ყოფილა, დასაძახებლად მოვიდნენო. იურა შეშინდა. თვალწინ ყველაზე უარესი რამ წარმოუდგა, ამქვეყნად ყველაფერი გადაავიწყდა და ჩასაცმელად გაიქცა.

15

სივცევზე სადარბაზოში კისრისტეხით შეცვივდნენ, მაგრამ ანა ივანოვნას ცოცხალს ვეღარ მიუსწრეს. მათ მისვლამდე ათი წუთით ადრე დაელია სული. სიკვდილის მიზეზად ფილტვების მწვავე, დროულად ამოუცნობი შეშუპების შედეგად გამოწვეული შეტევა ქცეულიყო. პირველ ხანებში ტონია გულსაკლავად მოთქვამდა, აქეთ-იქით აწყდებოდა და ვერავის სცნობდა. მეორე დღეს ოდნავ გაყუჩდა, მამის და იურას ნალაპარაკევს მორჩილად ისმენდა, მაგრამ პასუხს მარტოოდენ თავის დაქნევით იძლეოდა, რადგან საკმარისი იყო, ბაგე გაეხსნა, დარდი და ვარამი ისევ ეძალებოდა, გაუთავებლად მოსთქვამდა და თავში იცემდა.

მიცვალებულთან საათობით იდგა მუხლებზე, პანაშვიდებს შორის შუალედებში დიდი, ლამაზი ხელებით ეხვეოდა კუბოს კუთხეს და გვირგვინებით დაფარულ ფიცარნაგს. ირგვლივ ვეღარავის ამჩნევდა, მაგრამ როგორც კი ახლობელთა თვალებს წააწყდებოდა, იატაკიდან სასწრაფოდ დგებოდა, დარბაზიდან ჩქარი ნაბიჯით გამოდიოდა, გზადაგზა ქვითინს ძლივს იკავებდა, პაწია კიბეზე არბოდა, თავის ოთახში შეიჭრებოდა, საწოლზე ემხობოდა და მთელ არსებაში აბობოქრებულ სასოწარკვეთილებას ბალიშებს აფრქვევდა.

დარდის, ხანგრძლივად ფეხზე დგომისა და უძილობისაგან, ხშირი გალობის, დღისით თუ ღამით მოჩახჩახე, დამაბრმავებელი სანთლის შუქისა და ამ დღეებში შეყრილი სურდოსაგან იურას სულშიც ტკბილი, სანეტარო-ბოდვიანი და სამგლოვიარო-საზეიმო აღრევა სუფევდა. ათი

წლის წინათ, დედამისს რომ ასაფლავებდნენ, იურა სულ პატარა ბიჭუნა იყო. ახლაც ახსოვდა, დარდით და შიშით გათანგული, გულამომჯდარი, უნუგეშოდ როგორ ტიროდა. მაშინ მთავარი მასში არ იყო. მაშინ ალბათ ვერც იფიქრებდა, რომ არსებობდა იგი, რომელიღაც იურა, ცალკე მყოფი, რაღაც მისწრაფებას ან ფასეულობას რომ წარმოადგენდა. მაშინ მთავარი ის იყო, რაც ირგვლივ, მის გარეთ არსებობდა. გარესამყარო ყოველის მხრივ გარს ერტყა იურას, ტყესავით ხელშესახები, გაუვალი და უცილობელი, სწორედ ამიტომ იყო იგი დედის სიკვდილით ესოდენ შეძრწუნებული, სწორედ იმ ტყეში გზა დაებნა დედასთან ერთად, მერე უეცრად მარტო დარჩა, დედის გარეშე ამ ტყეს შეადგენდა ირგვლივ ყველაფერი – ღრუბლები, ქალაქის აბრები, სახანძრო კოშკურები და ის მსახურნიც, ღვთისმშობლის ხატდასვენებული კარეტის წინ ცხენებს რომ მიაჩაქჩაქებდნენ, წმინდანის წინაშე ქუდები მოეშვლიპათ და ყურსაფრების ამარაღა დარჩენილიყვნენ. ამ ტყეს შეადგენდნენ პასაჟების მაღაზიათა ვიტრინები და მიუწვდომლად მაღალი ღამეული ცის ვარსკვლავები, მამაზეციერი და წმინდანები. ეს მიუწვდომლად მაღალი ზეცა სულ დაბლადაბლა ეშვებოდა, ძიძის კალთამდე ჩამოდიოდა, როდესაც იგი რაიმე ღვთიურს უყვებოდა, და ისეთივე მახლობელი და ხელმისაწვდომი ხდებოდა, როგორც თხილნარის კენწეროები, როცა ხევხუვებში ტოტებს იწევენ და თხილსა ჰკრეფენ. ის თითქოს მათთან, საბავშვო ოთახში, ოქროსფერ ტაშტში ჰყუმპალაობდა, ცეცხლსა და ოქროში განბანილი, გზაჯვარედინზე წამომართულ პაწია ეკლესიაში, სადაც ძიძას დაჰყავდა, ცისკრის ლოცვად და წირვად გადაიქცეოდა ხოლმე. ციური ვარსკვლავები იქ კანდელად ესახებოდა, ღმერთი – ხუცესად, დანარჩენებიც საკუთარი ნიჭისა და უნარის მიხედვით თავ-თავიანთ ადგილებს იკავებდნენ. მაგრამ მთავარი მოზრდილების სამყარო იყო და ირგვლივ ტყესავით შემოჯარული ბნელი ქალაქი. მაშინ იურას მთელი თავისი სანახევროდ ველური რწმენით სწამდა ამ ტყის ღმერთი, როგორც ტყისმცველი.

ახლა კი საქმე სხვაგვარად იყო. საშუალო და უმაღლეს სკოლაში

ყოფნის მთელი ამ თორმეტი წლის განმავლობაში იურა სწავლობდა ძველ სამყაროს და საღვთო რჯულს, თქმულებებს და პოეტებს, წარსულისა და ბუნების შემსწავლელ მეცნიერებებს, როგორც მშობლიური სახლის საოჯახო ქრონიკას, როგორც საკუთარ საგვარეულო ნუსხას. ახლა აღარაფრისა ეშინოდა, არც სიცოცხლისა და აღარც სიკვდილისა, ამქვეყნად ყველაფერს, ყოველ ნივთსა თუ არსს მის ლექსიკონში თავისი სახელი ეძებნებოდა თავის თავს სამყაროს სრულუფლებიან წევრად თვლიდა და ანა ივანოვნას პანაშვიდებზე დგომასაც სხვანაირად იტანდა, ვიდრე მაშინ, თავისი დედისას. მაშინ ტკივილით გონება ებინდებოდა, გული უკრთოდა და ლოცულობდა. ახლა კი სულის მოსახსენიებელ ლოცვას ისე ისმენდა, როგორც უშუალოდ მისკენ მიმართულ და მისთვის მოთხრობილ ამბავს. იგი ამ სიტყვებს უღრმავდებოდა და მათგან ნათლად გამოხატულ აზრს მოითხოვდა, როგორც ყოველგვარ საქმეს მოეთხოვება, ცისა და მიწის უმაღლესი ძალების მიმართ მემკვიდრეობითობის მისეულ გრძნობაში, რომელთაც იგი დიად წინაპართა დარად ეთაყვანებოდა და ღვთისმოსაობასთან აღარაფერი ჰქონდათ საერთო.

16

„წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ". რა არის ეს? ან თავად სად იმყოფება? გამოსვენებაა. მიასვენებენ. უნდა გაიღვიძოს. დილის ექვს საათზე გაუხდელად მიეგდო ამ დივანზე. უთუოდ სიცხე აქვს. ახლა მთელ სახლში ეძებენ და ვერავინ ხვდება, ბიბლიოთეკის შორეულ კუთხეში, ჭერამდე ასული წიგნების თაროების უკან რომ წევს და ძილისთვის თავი ვეღარაფრით წაურთმევია.

„იურა, იურა!" – სადღაც ორიოდე ნაბიჯიდან ეძახის მეეზოვე მარკელი. გამოსვენება დაიწყო. მარკელმა ქუჩაში გვირგვინები უნდა ატაროს, მან კი იურას ვეღარ მიაკვლია, თანაც საწოლ ოთახში გაიჩხირა, სადაც

გვირგვინების მთა აღმართულა, რადგან მისი კარი გარდერობის გამოღებულ კარს ედება და მარკელს გამოსვლის საშუალებას არ აძლევს. – მარკელ! მარკელ! იურა! – უყვირიან ქვევიდან.

წარმოქმნილ დაბრკოლებას მარკელი ერთი დარტყმით უსწორდება და რამდენიმე გვირგვინით კიბეზე ჩარბის.

„წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო", – წყნარად ეფინება შესახვევს და იქვე რჩება, თითქოს ჰაერში სირაქლემის რბილი ბუმბულით გამოეყვანოთ, და ირგვლივ ყოველივე ირწევა: გვირგვინები და შემხვედრი ხალხი, ჯიღადადგმული ცხენის თავები, ხუცესის ხელში ძეწკვზე მოკონწიალე საცეცხლური, თოვლის საფარველით თეთრად შესუდრული დედამიწა.

– იურა! ღმერთო, როგორც იქნა. გაიღვიძე, გეთაყვა, მხრებში ანჯღრევს შურა შლეზინგერი. – რა მოგივიდა? მიასვენებენ, არ წამოხვალ?

– რა საკითხავია.

17

წესის აგება დასრულდა. გათოშილი მათხოვრები ორ რიგად ჩამწკრივდნენ. სამგლოვიარო ფორნები, გვირგვინებით დატვირთული ორთვალა და კრიუგერების კარეტა შეირხნენ და ოდნავ წინ წაიწიეს. ტაძრიდან ნამტირალევი შურა შლეზინგერი გამოვიდა, ცრემლით დასველებული პირბადე ზევით აიწია და მეეტლეთა მწკრივს გამომცდელი მზერა შეავლო. მათ შორის დამკრძალავი ბიუროს მებარგულები მოძებნა, თავით ანიშნა, აქეთ მოდითო, და მათთან ერთად ეკლესიაში გაუჩინარდა. ეკლესიიდან სულ უფრო მეტი ხალხი გამოდიოდა.

– ხედავთ, ანა ივანოვნას ზარმაც ჩამოჰკრა. ჩვენი ჭირი წაიღო. – ჰო, ბევრი იწვალა საცოდავმა. სამუდამოდ დაისვენა.

– მეეტლე გყავთ თუ თერთმეტი ნომრითა ხართ?

– დგომით დავიღალე. ცოტა გავიაროთ და წავიდეთ.

– ნახე, ფუფკოვი როგორი მოწყენილია? მიცვალებულს თვალს ვერ აცილებდა, ცრემლები ღვარღვარად ჩამოსდიოდა. თვალებით სჭამდა. გვერდით კი ქმარი ედგა.

– ახლა კი არა, მთელი სიცოცხლე თვალს არ აშორებდა.

ამგვარი საუბრით ტაატით მიუყვებოდნენ გზას ქალაქის მეორე ბოლოში მდებარე სასაფლაოსკენ. იმ დღეს სასტიკი ყინვების შემდეგ ოდნავ ჩამოთბა. ეს იყო უძრავი სიმძიმითა და სიმძიმილით აღსავსე დღე, ჩავლილი ყინვებისა და ჩავლილი სიცოცხლის დღე, ბუნებისაგან თითქოსდა საგანგებოდ დასაფლავებისათვის შექმნილი დღე. ჭუჭყიანი თოვლი აქა-იქ მტვრის ქვეშიდან თეთრად აშუქებდა. ღობის იქიდან სევადიანი ვერცხლივით ჩაშავებული, სველი ნაძვები სულის შემძვრელი ძაძებივით სევდიანად იმზირებოდნენ.

ეს სწორედ ის ღირსსახსოვარი სასაფლაო გახლდათ, სადაც მარია ნიკოლაევნა განისვენებდა. უკანასკნელი წლების მანძილზე იურა დედის საფლავზე აღარ მისულა. შორიდან იქით გაიხედა და უნებურად, თითქოს იმავე ხმით წარმოთქვეს მისმა ბაგეებმა – „დედილო”.

უკან საზეიმოდ და ერთგვარი თავმოწონებითაც კი ბრუნდებოდნენ მოსუფთავებული ბილიკებით, რომელთა მოხდენილი მიმოხრილობა მათ სამგლოვიარო ნაბიჯს სულ არ შეეფერებოდა, ალექსანდრ ალექსანდროვიჩს ტონია ხელკავით მოჰყავდა, მათ კვალდაკვალ მოსდევდნენ კრიუგერები. ტონიას ძლიერ უხდებოდა შავი სამოსი.

გუმბათების ჯვრების ჯაჭვებს და მონასტრის ვარდისფერ კედლებს ობივით გაბურძგნული ჭირხლი შესეოდა. მონასტრის ეზოს შორეულ კუთხეში კედლიდან კედლამდე გაბმულ თოკებზე გასაშრობად გაეფინათ სარეცხი – დამძიმებულ, გაშეშებულ სახელოებიანი პერანგები, ატმისფერი სუფრები, დაღრეცილი, უხეიროდ გაწურული ზეწრები. იურა იმ ადგილს დააკვირდა და მიხვდა, რომ ეს სამონასტრო მიწის ის ნაწილი იყო, სადაც ოდესღაც გრიგალი გუგუნებდა, ოღონდ ეგ იყო, იქაურობა ახალშენებს შეეცვალათ.

იურა მარტოდმარტო მიდიოდა ფეხაჩქარებით, იშვიათად ჩერდებოდა და დანარჩენებს უცდიდა. სიკვდილის მიერ მის უკან ზანტად მიმავალ საზოგადოებაზე მოხდენილი გამანადგურებელი შთაბეჭდილების პასუხად ძაბრულაში ჩამავალი წყალივით დაუოკებელი სურვილით აღივსო ეოცნება და ეფიქრა, ემუშავა ფორმებზე, შეექმნა სილამაზე. ახლა, როგორც არასოდეს, მისთვის ნათელი იყო, რომ ხელოვნება მარად და მარად თავს დასტრიალებს ორად-ორ საგანს. იგი დაჟინებით ჩაჰკირკიტებს სიკვდილს და ამით დაჟინებით ჰქმნის სიცოცხლეს. დიადი, ჭეშმარიტი ხელოვნება, რომელსაც „იოანეს გამოცხადება"[47] ჰქვია და ისიც, მას რომ განასრულებს.

გულისთქმას აყოლილი იურა წინასწარ ტკბებოდა იმის განცდით, თუ როგორ გაჰქრებოდა ორიოდე დღით ოჯახისა და უნივერსიტეტის თვალთახედვიდან, ჩაჯდებოდა და ანა ივანოვნას სულის მოსახსენიებელ სტრიქონებში გადმოღვრიდა ყოველივეს, რაც იმ წუთებში ხელეწიფებოდა, ყველაფერ იმას, რასაც ცხოვრება შესთავაზებდა; განსვენებულის ორიოდე განმასხვავებელ ნიშანს, ძაძით მოსილი ტონიას სახეს, სასაფლაოდან უკან მომავალ გზაზე შენიშნულ რამდენიმე დაკვირვებას: გაფენილ სარეცხს იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ბღაოდა ქარიშხალი, ის კი, პატარა, ქვითინებდა.

[47] იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადება" (აპოკალიფსისი) „ახალი აღთქმის" უკანასკნელი წიგნია და საყოველთაო აღიარებით მან უდიდესი წვლილი შეიტანა ევროპული ხელოვნების განვითარებაში.

ნაწილი მეოთხე

მომწიფებული აუცილებლობანი

1

გულშემოყრილი ლარა საწოლ ოთახში, ფელიცატა სემიონოვნას საწოლზე იყო მისვენებული. სვენტიცკები, ექიმი დროკოვი და მოახლე მის გარშემო ჩურჩულებდნენ.

სვენტიცკების უკაცრიელი სახლი სიბნელეში იყო ჩაძირული და მხოლოდ ოთახების გრძელი რიგის შუაგულში, პატარა სასტუმრო ოთახის კედელზე ბჟუტავდა ლამფა და ვიწრო დერეფანს მქრქალად ანათებდა.

ამ დერეფანში, თითქოს საკუთარ სახლშიაო, მკვეთრი, გაგულისებული ნაბიჯებით მიმოდიოდა ვიქტორ იპოლიტოვიჩი. ამბის გასაგებად იგი ხან საწოლ ოთახში იხედებოდა, ხან მოპირდაპირე მხარეს, სახლის ბოლოსაკენ მიემართებოდა და ვერცხლისფერი მძივებით მორთული ნაძვის ხის გვერდის ავლით სასადილომდე მიდიოდა, სადაც ხელუხლებელი საჭმელ-სასმელით მაგიდა იყო დაზნექილი და ღვინის მწვანე სასმისები წკარუნობდნენ, როცა ფანჯრის მიღმა, ქუჩაში კარეტა გაიგრიალებდა ან სუფრაზე, თეფშებს შორის თაგვი გაირბენდა.

კომაროვსკი ცოფებს ჰყრიდა. თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. ვაი სირცხვილო, ეს რა უმსგავსობაა! ბოღმა ახრჩობდა. მისი სახელი საფრთხეში იყო. ეს შემთხვევა ყველაფერს წყალში უყრიდა. ვიდრე გვიან არ იყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა დაესწრო, ჭორებისათვის გზა გადაეკეტნა, და თუ ეს საქმე უკვე გახმიანდა, ამთავითვე მიეჩქმალა და მიეფუჩეჩებინა. ამას გარდა, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რა უჯიათი ვინმე ყოფილა ეს თავზეხელაღებული, შეშლილი გოგო. აშკარა იყო, სხვას არა ჰგავდა. მასში ყოველთვის იყო რაღაც უცნაური. თანაც, როგორც ჩანს, გამოუსწორებლად დაუმახინჯა ცხოვრება. როგორ ერთთავად წრიალებს, დუღს და ქოთქოთებს, ეტყობა ბედს ვერ შერიგებია და ყველაფრის თავიდან დაწყება უნდა.

როგორმე უნდა დაეხმაროს ყოველი ღონით, იქნებ ოთახიც უქირაოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა ახლოს, პირიქით, მთლად

უნდა გაეცალოს, გვერდზე გადგეს, ჩრდილი რომ არ მიადგეს, თორემ ხომ ხედავ, როგორია, ადგება და ისეთ ამბავში გაგხვევს, მამაზეციერიც ვერ გიშველის!

წინ კი რამდენი ხათაბალაა! ამისათვის ხომ თავზე ხელს არ გადაგისვამენ. კანონს არ სძინავს. ჯერ არ გათენებულა, იმ ამბის მერე ორი საათი ძლივს გავიდა და პოლიციიდან უკვე ორჯერ მოვიდნენ კომაროვსკი ორჯერვე გავიდა სამზარეულოში და უბნის რწმუნებულთან ყველაფერი მოაგვარა.

რაც მეტს გაქექავენ, საქმე სულ უფრო მეტად აყროლდება. საჭირო გახდება დასაბუთება, რომ ლარა მას უმიზნებდა და არა კორნაკოვს. მაგრამ ამასაც არ იკმარებენ. მართალია, პასუხისმგებლობის ნაწილს ლარას მოუხსნიან, მაგრამ დარჩენილი ნაწილისათვის სასამართლო დევნას კვლავ დაექვემდებარება.

რაღა თქმა უნდა, ამას ყოველი ღონით წინ აღუდგება, და თუ საქმეს მაინც აღძრავენ, თავდასხმის მომენტში ლარას შეურაცხადობაზე ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნას გააჩალიჩებს და საქმეს შეაწყვეტინებს.

ამ აზრმა კომაროვსკი დაამშვიდა. გათენდა. სინათლის სვეტებმა ოთახიდან ოთახში დაიწყეს ბორიალი, მაგიდების და ტახტების ქვეშ იჭყიტებოდნენ, როგორც ქურდები ან ლომბარდის შემფასებლები. კომაროვსკიმ საწოლ ოთახში შეიარა, დარწმუნდა, ლარა თავს უკეთესად არა გრძნობსო და სვენტიცკებისაგან თავისი ნაცნობისაკენ, იურისტისა და პოლიტიკური ემიგრანტის ცოლის – რუფინა ონისიმოვნა ვოიტკოვსკაიასაკენ გასწია. რვაოთახიანი ბინა იმ ქალს აღარ ესაჭიროებოდა და ხარჯსაც ვეღარ აუდიოდა. ორი ოთახი გაქირავებული ჰქონდა. ერთი მათგანი ამასწინათ განთავისუფლდა და კომაროვსკიმაც სწორედ ის იქირავა ლარასათვის. რამდენიმე საათის შემდეგ სიცხიანი და სანახევროდ გულშეღონებული ლარა იქ გადაიყვანეს. იგი ნერვული ციებცხელებით იყო შეპყრობილი.

2

რუფინა ონისიმოვნა მოწინავე ქალი, ცრურწმენების მტერი და, როგორც თავად ფიქრობდა და ხშირ-ხშირად იმეორებდა, ყოველივე „დადებითის და ცხოველუნარიანის“ მიმართ კეთილმოსურნე იყო. კომოდზე ერფურტის პროგრამის[48] შემდგენლის წარწერიანი ცალი ედო. კედელზე ჩამოკიდებულ ერთ ფოტოგრაფიაზე მისი ქმარი, „ჩემი კეთილი ვოიტი” პლეხანოვთან ერთად იყო გადაღებული შვეიცარიაში, სახალხო სეირნობისას. ორივეს ლუსტრინის პიჯაკები ეცვათ და პანამური ქუდები ეხურათ.

რუფინა ონისიმოვნამ თავისი ავადმყოფი მდგმური პირველი შეხედვისთანავე შეიძულა. ლარას ბოროტ თვალთმაქცად თვლიდა. მისი ბოდვიანი შემოტევები წმინდა წყლის ფარისევლობად მიაჩნდა და მზად იყო დაეფიცნა, ეგ გოგო საპყრობილეში შეშლილ მარგარიტას[49] თამაშობსო, რუფინა ონისიმოვნა თავის ზიზღს ლარას საგანგებო თავგამოდებით აგრძნობინებდა. კარებს გამეტებით უხათქუნებდა და ხმამაღლა მღეროდა, თავის ოთახებში ქარაშოტივით დაგლიჯინობდა და დილიდან საღამომდე ერთიანად ანიავებდა.

მისი ბინა არბატზე, ერთი მაღალი სახლის ზედა სართულზე იყო მოთავსებული. ამ სართულის ფანჯრები, ზამთრიდან მოკიდებული, ადიდებული მდინარესავით უკიდეგანო, ნათელი, ლურჯი ცით ივსებოდა. მთელი ნახევარი ზამთარი ბინა მომავალი გაზაფხულის მაუწყებელი ნიშნებით იყო აღსავსე.

სარკმელში სამხრეთიდან თბილი ქარი ქროდა, სადგურებში თავგადაკლულად კიოდნენ ორთქლმავლები და თავისუფალ დროს საწოლში

---

[48] იგულისხმება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა და მისი ერთ-ერთი ავტორი კარლ კაუცკი (1854-1938).

[49] რუფინა ონისიმოვნა აქ გოეთეს „ფაუსტის“ პირველი ნაწილის დასკვნით სცენას გულისხმობს.

მწოლი ლარა შორეულ მოგონებებს ეძლეოდა.

ძალიან ხშირად ახსენდებოდა შვიდი-რვა წლის წინათ, იმ დაუვიწყარ ბავშვობაში, ურალიდან მოსკოვში მათი ჩამოსვლის პირველი საღამო.

სადგურიდან სასტუმრომდე, მოსკოვის სანახევროდ ჩაბნელებულ შესახვევებში ორთვლიანი ღია ეტლით მიდიოდნენ. მოახლოებული და უკან დარჩენილი ფარნები მათი წინ წახრილი მეეტლის ჩრდილს შენობების კედლებზე აღბეჭდავდნენ. ჩრდილი იზრდებოდა, იზრდებოდა, არაბუნებრივ ზომებს აღწევდა, ქვაფენილსა და სახურავებს ფარავდა და უკვალოდ ქრებოდა. მერე ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა. ღამეულ ცაში გუგუნებდნენ მოსკოვის უთვალავ ტაძართა სამრეკლოები, ზარის წკრიალით მიმოქროდნენ ირგვლივ კონკებიც, თავად ლარას კი მყვირალა ვიტრინები და ჩირაღდნებიც კი აყრუებდნენ, ზარებისა და ბორბლების მსგავსად თითქოს ისინიც გამოსცემდნენ თავისებურ ხმას.

ნომერში ლარა უზარმაზარმა საზამთრომ და მათი ჩამოსვლის აღსანიშნავად კომაროვსკის მიერ გაშლილმა პურ-მარილმა გააოცა. ის საზამთრო კომაროვსკის ძლიერების და სიმდიდრის განსახიერებად ეჩვენებოდა. როცა ვიქტორ იპოლიტოვიჩმა დანის დარტყმით ხრაშუნა, მუქი მწვანე, მრგვალი, ყინულოვანი და შაქრის გულიანი გოლიათი ორად გააპო, შეშინებულ ლარას სუნთქვა შეეკრა, მაგრამ უარის თქმა ვეღარ გაბედა. სურნელოვანი ვარდისფერი ნაჭრები მღელვარებისაგან ყელში აღარ გადასდიოდა და ძალისძალად ყლაპავდა.

ამგვარი რიდი ნუგბარი საჭმლისა და ღამეული დედაქალაქის მიმართ მერე და მერე ეგრერიგად განმეორდა კომაროვსკისადმი შიშში, რაც მომხდარი ამბის უმთავრესი მიზეზი იყო. თუმცა ახლა კომაროვსკის ვეღარც კი იცნობდით. აღარაფერს მოითხოვდა, თავის თავს აღარ ახსენებდა და სააშკარაოდ არც კი ჩნდებოდა. თავი მუდმივად შორს ეჭირა და კეთილშობილურად სთავაზობდა დახმარებას.

სულ სხვანაირი იყო კოლოგრივოვის მოსვლა. ლავრენტი მიხაილოვიჩის გამოჩენამ ლარა ძალიან გაახარა. მართალია, სტუმარი მაღალიც იყო და მოხდენილიც, მაგრამ ამით როდი დაუპყრია ოთახის სივრცე... არა, თავისი ნიჭით და სიმკვირცხლით, ნაპერწკლიანი გამოხედვით და ჭკვიანური ჩაცინებით აავსო იქაურობა. ოთახი თითქოს დაპატარავდა. ახლა იგი ლარას საწოლთან იჯდა და ხელებს იფშვნეტდა. პეტერბურგში, მინისტრთა საბჭოში რომ გამოიძახებდნენ, წარჩინებულ დარბაისელთ ისე ელაპარაკებოდა, გეგონებოდათ, მოსამზადებელი კლასის ანც ყმაწვილებს გაკვეთილს უტარებსო. აქ კი, მის წინ, მისი კერიის ამასწინანდელი წევრი, მისი გოგონას ტოლ-სწორი იწვა, რომელსაც ოჯახის სხვა წევრთა მსგავსად მარტო შინაურულად თუ შეხედავდა ან გამოელაპარაკებოდა (სწორედ ეს იყო მათი ურთიერთობის გამორჩეული ხიბლი და ეს ორივე მხარემ იცოდა). მას არ შეეძლო ლარას მძიმედ და განურჩევლად მოპყრობოდა, ვითარცა მოზრდილს. არც ის იცოდა, როგორ ესაუბრა, რომ არ გაენაწყენებინა. სწორედ ამიტომ როგორც ბავშვს, ისე გაუცინა და გაუთავისდა:

– ეს რა ჩაიდინე, ბიძიკო? ვის სჭირდება ასეთი მელოდრამები? – მერე დადუმდა, ჭერსა და შპალერზე გაჩენილ ნესტის ლაქებს დააკვირდა, თავი უკმაყოფილოდ გადააქნია და განაგრძო: – დიუსელდორფში საერთაშორისო გამოფენა იხსნება – ფერწერაში, ქანდაკებასა და მებაღეობაში. იქ წასვლას ვაპირებ. თქვენთან ნესტია. დიდხანს აპირებთ ყოფნას ასე, ცასა და ქვეყანას შორის? ღმერთმა უწყის, სად მოხვედრილხართ. ჩვენს შორის დარჩეს და ეს ვოიტესა დიდი საძაგელი ვინმეა. ვიცნობ. გუდანაბადი უნდა აიკრათ აქედან. გეყოთ ამდენი კოტრიალი, იავადმყოფეთ და გეყოთ. უნდა წამოდგეთ, ოთახი შეიცვალოთ, საგნებს მიხედოთ, კურსები დაამთავროთ. ერთი ნაცნობი მხატვარი მყავს. ორი წლით მიდის თურქესტანში. სახელოსნო აქვს გადატიხრული და, კაცმა რომ თქვას, ზედგამოჭრილი პატარა ბინაა. მგონი მზადაა, მთელი თავისი ავლადიდებით საიმედო კაცს გადააბაროს. გინდათ, ეს საქმე მოვაგვარო? და კიდევ აი

რა: ნება მიბოძეთ, საქმეზე გადავიდე. დიდი ხანია, მინდოდა, ეს ჩემი უწმინდესი მოვალეობაა... მას შემდეგ, რაც ლიპა... აი, აქ ცოტაოდენი თანხაა, მისი დამთავრების სამადლობელოდ... არა, მაცალეთ, მაცალეთ... არა, გთხოვთ, ნუ ჯიუტობთ... არა, მაპატიეთ გეთაყვა.

და წასვლისას ლარას წინააღმდეგობის, ცრემლებისა და რაღაც ჩხუბისმაგვარის მიუხედავად მაინც დატოვა ათიათასიანი საბანაკო ჩეკი, გამოჯანმრთელების შემდეგ ლარა კოლოგრივოვის ნაქებ ახალ კერაზე გადავიდა, რომელიც სმოლენსკის ბაზრის სიახლოვეს მდებარეობდა, ბინა ძველებური, ორსართულიანი ქვის სახლის მეორე სართულზე იყო. პირველ სართულზე სავაჭრო საწყობები იყო მოთავსებული. სახლში მეფორნეები ცხოვრობდნენ. ეზო ქვაფენილით იყო მოკირწყლული და შიგ ერთთავად შვრია და ფეხქვეშ გაქელილი თივა იყო მიმოფანტული. გარეთ მტრედები ღუღუნებდნენ. როდესაც ეზოში, ქვის სადინარში ვირთხის ჯოგები დარბოდნენ, მტრედის გუნდები ხმაურით იშლებოდნენ და მიწის პირას, ლარას ფანჯრის სიმაღლეზე ფრთხიალებდნენ.

3

– ბევრი დარდი ჰქონდა პაშას. სანამ ლარა ავად იყო, მასთან არ უშვებდნენ. რა უნდა ეგრძნო? ლარას ისეთი კაცის მოკვლა უნდოდა, რომელსაც მისთვის, პაშას აზრით, არაფერი დაუშავებია, მერე კი იმავე ადამიანის, თავისი წარუმატებელი მკვლელობის მცდელობის მსხვერპლის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა. და ეს ყველაფერი საშობაო ღამის სანთლის შუქზე გამართული მათი დაუვიწყარი საუბრის შემდეგ მოხდა! ის კაცი რომ არა, ლარას დააპატიმრებდნენ და გაასამართლებდნენ. სწორედ მან იხსნა მოსალოდნელი სასჯელისაგან. მისივე წყალობით დარჩა ლარა კურსებზე ხელუხლებლად და უვნებლად. პაშა თავს იმტვრევდა და ვერაფერი გაეგო.

– ცოტა რომ მოიკეთა, ლარამ პაშა იხმო და უთხრა:

– არა ვარ კარგი ადამიანი. შენ მე არ მიცნობ, ოდესმე ყველაფერს მოგიყვები. ხომ ხედავ, მიჭირს საუბარი, ცრემლები მახრჩობს, მაგრამ ნუ შემიცოდებ, დამივიწყე, არა ვარ შენი ღირსი.

ერთიმეორეზე აუტანელი, გულგამგმირავი სცენები გაიმართა. ვოიტ-კოვსკაია, – რაკი ეს ამბავი ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როცა ლარა არბატ-ზე იმყოფებოდა, – ვოიტკოვსკაია ატირებული პაშას დანახვაზე დერეფ-ნიდან წარამარა თავის ოთახში შერბოდა, დივანზე ეცემოდა, სიცილით იჭაჭებოდა და გაიძახოდა: „ვაიმე, აღარ შემიძლია, ვაიმე, აღარ შემიძ-ლია! აი, თუ გინდათ, ეს არის სეირი.. ხა-ხა-ხა-ხა! გოლიათს დამიხედეთ! ხა-ხა-ხა-ხა! ნამდვილი ერუსლან ლაზარევიჩია!“[50] მისი ღირსების შემ-ლახველი გატაცებისაგან რომ ეხსნა პაშა და ტანჯვისათვის ბოლო მო-ეღო, ლარამ მას გამოუცხადა, აღარ მიყვარხარ, შენზე სამუდამოდ უარს ვამბობო, მაგრამ ამავე დროს ისე გულამოსკვნით ქვითინებდა, დაჯერება არ შეიძლებოდა. პაშა მას ყოველგვარი მომაკვდინებელი ცოდვის ჩამდე-ნად თვლიდა, არც ერთი მისი სიტყვა არ სჯეროდა, მზად იყო დაეწყევლა და შესძულებოდა, თანაც ჯოჯოხეთურად უყვარდა და ეჭვიანობდა მის აზრებზე, ტოლჩაზე, რითაც იგი სვამდა, ბალიშზე, რომელზეც ეძინა. ჭკუაზე რომ არ გადასულიყვნენ, გაბედულად და სწრაფად უნდა ემოქ-მედნათ. გადაწყვიტეს, გამოცდების დამთავრებამდე აღარ დაეცადათ და ჯვარი დაეწერათ. ჯვრისწერას კრასნაია გორკაზე[51] აპირებდნენ. ლარას თხოვნით, ქორწილი კვლავ გადადეს.

მათი ჯვრისწერა სულთმოფენობას, სამებობის მეორე დღეს იყო, რო-ცა გამოცდების წარმატებით ჩაბარების თაობაზე ყოველგვარი ეჭვი სა-ბოლოოდ გაიფანტა. ყველაფერს ლარას თანაკურსელის, ტუსია ჩეპურ-კოს დედა, ლუდმილა ჩეპურკო მოთავეობდა. ლუდმილა კაპიტონოვნა

[50] ერუსლან ლაზარევიჩი – XVIII–XIX საუკუნეების რუსულ საბაზრო ლიტე-რატურაში გავრცელებული გმირის სახელია.

[51] „კრასნაია გორკა” აღდგომის შემდგომი მეორე კვირადღის რუსული ხალ-ხური სახელწოდებაა, როცა ეკლესიის მხრივ ჯვრისწერა ნებადართულია.

ლამაზი ქალი იყო, მაღალი მკერდი და დაბალი ხმა ჰქონდა, კარგი მომღერალიც გახლდათ და საშინელი ჭორიკანაც. თუ რამე იცოდა და სადმე გაეგო, თვალდათვალ ზედ ახალ კუდებსაც გამოაბამდა ხოლმე.

ქალაქში აუტანელი ხვატი ტრიალებდა, როცა ლარა „ოქროს გვირგვინის დასადგმელად გაარონინეს",. როგორც პანინას ბოშური ბანის[52] ყაიდაზე ღიღინებდა ცხვირში თავისთვის ლუდმილა კაპიტონოვნა გამგზავრების წინ ლარას მორთვისას. ეკლესიების ოქროს გუმბათები საოცრად ყვითლად ბრწყინავდნენ და სასეირნო ბილიკებზეც ახალი ქვიშა გაეშალათ. წინადღით, სამებობას დაკაფულ, მტვერში ამოგანგლულ არყის ხის მწვანე ტოტებს ტაძართა ღობეებზე თავი ჩაექინდრათ, და დამჭკნარიყვნენ და ჩათუთქულიყვნენ. სუნთქვა ჭირდა და კაშკაშა მზე, ადამიანს თვალებს უჭრელებდა. ირგვლივ თითქოს ათასი ქორწილი ერთად გაემართათ, ყველა გოგონა ლამაზად იყო თმადახვეული და პატარძალივით თეთრ კაბაში გამოწყობილი. ყმაწვილკაცებიც საზეიმოდ მორთულიყვნენ, პომადა წაესვათ და შავი წაღები ჩაეცვათ. ყველა ღელავდა, ყველას სცხელოდა.

ლარამ ხალიჩაზე ფეხი შედგა თუ არა, ლაგოდინამ, მისი მეორე დაქალის დედამ, სიმდიდრე რომ დაჰბედებოდა, ქვეშ ერთი მუჭა ვერცხლის ხურდა ფული დაუყარა, ლუდმილა კაპიტონოვნამ კი იმავე მიზნით ურჩია ლარას, გვირგვინის ქვეშ პირჯვარი სახელოდან გამოყოფილი ცარიელი ხელით კი არ დაეწერა, მუჭის კუთხეში დოლბანდის ნაჭერი ან მაქმანიც მოექცია. ისიც უთხრა, ქმარზე თუ გინდა იბატონო, სანთელი მაღლა დაიჭირეო. ლარამ თავისი პირველობა პაშას დაუთმო და ის სანთელი რაც შეეძლო, დაბლა დასწია, მაგრამ ამაოდ, რაც არ ეცადა, მისი სანთელი მაინც მუდამ პაშას სანთელზე მაღლა ბრწყინავდა.

ეკლესიიდან პირდაპირ ანტიპოვების მიერ განახლებული მხატვრის

[52] ვარია პანინა ბოშური რომანსების პოპულარული შემსრულებლის ვარვარა ვასილიევას (1872-1911) არტისტული ფსევდონიმი იყო.

სახელოსნოსაკენ გაეშურნენ და სუფრას მიუსხდნენ. სტუმრები გაჰყვიროდნენ: „აკოცეთ ერთმანეთს, მწარედ, თორემ სასმელი ყელში არ გადადისო". „უფრო ტკბილად", – შეწყობილი გუგუნით ეხმიანებოდნენ მეორე ბოლოდან. ახალშეუღლებულნიც მორცხვად კისკისებდნენ და ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. ლუდმილა კაპიტონოვნამ „ვაზი" იმღერა ორმაგი მისამღერით: „ღმერთო, მოგვმადლე სიყვარული და რჩევა შენი" და „გაიშალეთ, ნაწნავებო, გაიფანტეთ, ქერა თმებო".

როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და მარტონი დარჩნენ, უეცრად ჩამოვარდნილმა სიჩუმემ პაშა დააბნია. ეზოში, ლარას ფანჯრის წინ, ბოძზე ფარანი ეკიდა. ლარა ბევრს ეცადა, მაგრამ ფარდის ორ კალთას ვერაფერი მოუხერხა და ახლა იქიდან მათ ოთახში გახერხილი ფიცარივით ვიწრო სინათლის ზოლი მაინც აღწევდა. ეს ზოლი პაშას მოსვენებას აღარ აძლევდა, თითქოს მათ ვიღაც უთვალთვალებდა. შეშინებული პაშა ფიქრობდა, ამ ფარანს უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევ, ვიდრე საკუთარ თავს, ლარას და ჩვენს სიყვარულსო.

ამ მარადისობასავით უსასრულო ღამეს გუშინდელმა სტუდენტზე ანტიპოვმა, ამხანაგები „სტეპანიდას" და „მზეთუნახავს" რომ ეძახდნენ ნეტარების მწვერვალზე ფრენაც მოასწრო და სასოწარკვეთილების უფსკრულში ღოღიალიც. მის ეჭვიან ვარაუდებს ლარას გულწრფელი აღსარებები და პაშა ეკითხებოდა და ლარას თითოეულ პასუხზე გული ეკუმშებოდა, თითქოს უფსკრულში იჩეხებაო. მისი დაკოდილი წარმოსახვა აღმოჩენებს ვერ აუდიოდა.

განთიადამდე ასე საუბრობდნენ. ანტიპოვის სიცოცხლეში იმ ღამეზე უფრო უეცარი და განსაცვიფრებელი ცვლილება არასოდეს მომხდარა. დილით საწოლიდან სულ სხვა ადამიანად ადგა, თითქოს კიდეც უკვირდა, ისევ ძველ სახელს რომ ეძახდნენ.

4

ათი დღის შემდეგ მეგობრებმა იმავე ოთახში მოუწყეს გაცილება. პაშამ და ლარამ სასწავლებლები ბრწყინვალედ დაამთავრეს, ორივეს ერთი და იგივე ქალაქში შესთავაზეს მუშაობა და მეორე დილით სწორედ იქით მიემგზავრებოდნენ.

ისევ სვამდნენ, მღეროდნენ და ხმაურობდნენ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ახალგაზრდობა იყო, უფროსების გარეშე.

სტუმრებმა დიდ სახელოსნოში მოიყარეს თავი. სახელოსნოს და საცხოვრებელი ნაწილის გამყოფი ტიხრის იქით კი ლარას დიდი და საშუალო კალათები, ჩემოდანი და ჭურჭლის ყუთი ეწყო. კუთხეშიც რამდენიმე ტომარა მოჩანდა. ბარგი ბლომად იყო. მისი ნაწილი მეორე დღეს უფრო ნაკლები სიჩქარით მიმავალი საბარგო მატარებლით უნდა გაეგზავნათ. თითქმის ყველაფერი ჩალაგებული იყო, მაგრამ ყველაფერი მაინც არ ეთქმოდა. ყუთიც და კალათებიც ჯერჯერობით თავდაუხურავი იყო. ლარა დროდადრო რაღაცას იხსენებდა, დავიწყებულ ნივთს ტიხრის იქით მიარბენინებდა, კალათში სდებდა და უსწორმასწორო ბარგს ასწორებდა.

პაშა სტუმრებთან ერთად უკვე შინ იყო, კურსების კანცელარიაში მეტრიკისა და საჭირო ქაღალდების წამოსაღებად წასული ლარა მეეზოვის თანხლებით რომ დაბრუნდა და თან ჭილობი და სახვალიო ბარგის შესაკრავი მსხვილი თოკის გორგალი მოიტანა. ლარამ მეეზოვე გაუშვა, მერე სტუმრებს სათითაოდ ჩამოუარა, ზოგს ხელი ჩამოართვა, ზოგი გადაჰკოცნა და ტანსაცმლის გამოსაცვლელად ტიხრის უკან გავიდა. იქიდან რომ დაბრუნდა, ტაში შემოჰკრეს, აყაყანდნენ, თავ-თავიანთ ადგილებს მიაშურეს და რამდენიმე დღის წინ გამართული ქორწილის მსგავსად ხმაურიანი ლხინი გააჩაღეს. ვინც უფრო თადარიგიანი იყო, გვერდით მსხდომთათვის არყის დასხმას შეუდგა, ხოლო დანარჩენები ჩანგლებით შეიარაღდნენ და პურისა თუ მისაყოლებლის გადმოსაღებად

ერთსულოვნად გაიწვდინეს ხელები მაგიდის შუაგულისაკენ.

– საშინლად დავიქანცე, – გადაულაპარაკა ქმარს ლარამ. – შენ რაღა ქენი, რასაც აპირებდი, მოასწარი?

– და მაინც თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მე ბედნიერი ვარ. შენა? – მეც ეგრე. არა მიშავს რა. თუმცა ეს ცალკეა სალაპარაკო. საღამოზე ახალგაზრდების თავყრილობაზე გამონაკლისის სახით კომაროვსკიც იყო მოწვეული. საღამოს ბოლოს მას სურდა ეთქვა, ჩემი ნორჩი მეგობრების გამგზავრების შემდეგ ჩემი სიცოცხლე რაღა იქნება, დავობლდები, ჩემთვის მოსკოვი გაუდაბურდება, საჰარის უდაბნოს დაემსგავსებაო, მაგრამ აღელვებულს ენა დაება, აზლუქუნდა და შეწყვეტილი სიტყვის ხელახლა თქმას აპირებდა. ანტიპოვებს სთხოვა, თუ ნებას მომცემთ, წერილებს მოგწერთ, თუ განშორებას ვეღარ გავუძელი, იურიატინში, თქვენი ახალსახლობის ადგილზე გეახლებითო.

– ეგ ყველაფერი სრულიად ზედმეტია, – ხმამაღლა, დაუფიქრებლად მიახალა ლარამ. – და, საერთოდ, რა საჭიროა ეს მიწერ-მოწერა, საჰარა და მისთანები. იქ ჩამოსვლაზე არც იფიქროთ. ღვთის შეწევნით, უჩვენოდაც გასძლებთ როგორმე, არც ისეთი იშვიათი ხალხი ვართ, არა პაშა? ისე, არც ნორჩი მეგობრების შემცვლელთა პოვნა გაგიჭირდებათ. მერე სულ გადაავიწყდა, ვისთან და რაზე ლაპარაკობდა, რაღაც გაახსენდა, ნაჩქარევად წამოდგა, სამზარეულოში გავიდა, ხორცსაკეპი დაშალა, მისი ნაწილები ჭურჭლის ყუთის კუთხეებში ჩაჭედა და აქეთ-იქიდან თივის ბუწები ჩაუჩურთა. საქმეში გართულმა კუთხეში გამოჩრილი წვეტიანი რკინით კინაღამ ხელი დაისერა.

ამასობაში სულ გადაავიწყდა, რომ სტუმრები ჰყავდა, მათი ხმაურიც აღარ ესმოდა, მაგრამ მათ უეცარი ღრიანცელით შეახსენეს თავი და ლარამ გაიფიქრა, მთვრალები მუდამ თავგამოდებით ცდილობენ სიმთვრალის გამოჩენას, მაგრამ რაც უფრო მეტად არიან შეზარხოშებულნი, ამას მით უფრო უნიჭოდ აკეთებენო.

ამ დროს მისი ყურადღება ეზოდან ღია ფანჯარაში შემოსულმა სულ

სხვა, განსაკუთრებულმა ხმაურმა მიიპყრო ფარდა გაწია და გაიხედა.

ეზოში კოჭლი ნახტომებით მოძრაობდა დაბორკილი ცხენი. არავინ იცოდა, ვისი იყო და, როგორც ჩანდა, ჭიშკარში შეცდომით შემოვიდა უკვე ინათა, მაგრამ მზის ამოსვლამდე ჯერ ადრე იყო. ჩაძინებული და თითქოს მთლიანად მკვდარი ქალაქი დილაბნელის ლურჯ-მონაცრისფრო სუსხში იყო ჩაძირული. ლარამ თვალები დახუჭა. ღმერთმა უწყის, ცხენის ამ მოულოდნელმა და ყოვლად უცნაურმა შემოხეტებამ რა ფიქრი აღუძრა, აუმღვრეველი სოფლური მყუდროებისა და მშვენიერების რა სურათები გაუცოცხლა თვალწინ.

კიბიდან დარეკეს. ლარამ ყურები ცქვიტა. მაგიდიდან ვიღაც ადგა და კარი გააღო. ნადია იყო! ლარა შემოსულისკენ გაექანა ნადი, პირდაპირ მატარებლიდან მოდიოდა. ისეთი ქორფა იყო, ისე მომხიბლავი, თითქოს დუპლიანკის შროშანებს თავიანთი სურნელება ზედ დაუფრქვევიათო. მეგობრები პირისპირ იდგნენ, სიტყვა ვერ დაეძრათ, მხოლოდ ტიროდნენ, ერთურთს ეხვეოდნენ და კინაღამ დაახრჩვეს ერთმანეთი.

ნადიამ თავისიანებისაგან მილოცვა, კეთილი სურვილები და დედმამისაგან გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქარი ჩამოუტანა. ხელჩანთიდან ქაღალდში შეხვეული კოლოფი ამოიღო, ქაღალდი შემოაცალა, სარქველი გააწკაპუნა და ლარას იშვიათი სილამაზის ყელსაბამი გაუწოდა „ოჰებს" და „აჰებს" ბოლო არ უჩანდა. ოდნავ გამოფხიზლებულმა ერთმა მთვრალმა განაცხადა:

– ვარდისფერი იაგუნდია. დიახ, დიახ, ვარდისფერი, აბა რა გეგონათ. ალმასს არ ჩამოუვარდება.

ნადია კი ეკამათებოდა, ყვითელი საფირონიაო.

ლარამ იგი გვერდით მოისვა, საჭმელი შესთავაზა, ყელსაბამი წინ დაიდო და დიდხანს თვალს არ აშორებდა. იგი კოლოფის პაწია იისფერ ბალიშზე იდო, ბზინავდა, ციმციმებდა, ხან ცინცხალი წვეთების გროვას წაგავდა, ხან კი წვრილმარცვლიანი ყურძნის მტევანს.

ამასობაში მაგიდასთან ზოგმა გამოფხიზლებაც მოასწრო. ნადიას

მოსვლის აღსანიშნავად თითო ჭიქა გადახუხეს. მალე ნადიაც შეაზარ-ხოშეს.

ცოტა ხნის შემდეგ მთელი სახლი ძილის სამეფოს დაემსგავსა. სტუ-მართა უმეტესობა მეორე დღისთვის მასპინძელთა სადგურში გაცილების მიზნით ღამის გასათევად იქვე დარჩა კარგა ხანი იყო, ხალხის ნახევარი აქა-იქ კუთხეებში ჭერეხივით ეყარა და ხროტინებდა. ლარას თვითონაც არ ახსოვდა, როგორ აღმოჩნდა ტანსაცმლიანი დივანზე, მძინარე ირა ლაგოდინას გვერდით.

ლარა ზედ ყურთან ხმამაღალმა საუბარმა გამოაღვიძა. უცხო ხალხის ხმები იყო, დაკარგული ცხენის კვალდაკვალ ქუჩიდან ეზოში შემოსუ-ლიყვნენ. ლარამ თვალები გაახილა და გაუკვირდა „მართლაც, რა მოუს-ვენარია ეს პაშა, ოთახის შუაგულში აყუდებულა და გაუთავებლად იქე-ქება ყველაფერში." ამ დროს ბნელში მობორიალე სახით მისკენ შემობ-რუნდა და ლარამ აშკარად დაინახა, რომ ის კაცი პაშა კი არა, ვიღაც ჩოფურა, საფეთქლიდან ნიკაპამდე სახენაიარევი საფრთხობელა იყო. მაშინღა მიხვდა, მათთან ქურდი, მძარცველი რომ შემოჭრილიყო, უნ-დოდა ეყვირა, მაგრამ გახევებულმა კრინტის დაძვრაც ვერ მოახერხა. – ანაზდად ყელსაბამი გაახსენდა, მალულად იდაყვზე წამოიწია და სასა-დილო მაგიდას ცერად გახედა.

ყელსაბამი ადგილზე იდო, პურის ნამცეცებსა და კამფეტების ნარჩე-ნებს შორის. მიუხვედრელი ბოროტმოქმედი ნასუფრალის გროვაში მას ვერ ამჩნევდა, მხოლოდ ჩალაგებულ თეთრეულს ურევდა და ლარას შეკ-ვრას ყირაზე აყენებდა. ნამთვრალევსა და ნამძინარევ ლარას ჯერ მთლად ვერ გაეცნობიერებინა, რა ხდებოდა, და იმ წუთში თავისი შრომა დაენანა. გულმოსულმა კვლავ დაყვირება დააპირა, მაგრამ პირის გაღება და ენის დაძვრა ვერც ამჯერად მოახერხა. ადგა და მთელი ძალით ჰკრა მუხლი გულის კოვზში გვერდით მძინარე ირა ლაგოდინას, და როცა მან ტკივილისაგან არაადამიანური ხმით შეჰკივლა, ლარაც მას აჰყვა.

ქურდს ნაპარავი შეკვრა ხელიდან გაუვარდა და ოთახიდან თავქუდმოგ-ლეჯილი გავარდა. ფეხზე წამოცვენილი კაცებიდან ვინც მიხვდა, რაში იყო საქმე, უკან გამოუდგა, მაგრამ მძარცველი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო.

ატეხილ ალიაქოთზე და მითქმა მოთქმაზე დანარჩენებიც წამოიშალნენ ლარას სიმთვრალემ ერთბაშად გაუარა. სტუმრების ხვეწნა-ვედრებას, გვაცალე, ცოტა თვალს კიდევ მოვატყუებთო, ყურიც არ უგდო, ყველანი ფეხზე წამოყარა, ნაჩქარევად დაალევინა ყავა, სახლებში გარეკა და დაუბარა, გასაცილებლად მატარებლის გასვლისას, პირდაპირ სადგურში მოდითო.

როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, გახურდა მუშაობა. ლარა ჩვეული სისწრაფით დაჰქროდა ერთი შეკვრიდან მეორემდე, ბალიშებს ტენიდა, თოკებს ჭიმავდა და ხელი რომ არ შეეშალათ, პაშას და მეეზოვე ქალს იმასღა ემუდარებოდა, თუ ღმერთი გწამთ, თავი დამანებეთ, თქვენი დახმარება საჭირო არ არისო.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც წესი და რიგია. ანტიპოვებმა არ დაიგვიანეს. მატარებელი რბილად დაიძრა, თითქოს იმ ქუდებს ჰბაძავდა, რომლებსაც გამოსამშვიდობებლად უქნევდნენ. როცა ხელის ქნევას მორჩნენ და შორიდან სამჯერ რაღაც დასჭექეს (ეტყობა, „ვაშა”), მატარებელმა სვლას აუჩქარა.

5

მესამე დღე იყო, ამინდი ჭირვეულობდა. ომის მეორე შემოდგომა იდგა. ბრძოლის ველზე პირველი წლის წარმატებებს ხელის მოცარვა მოჰყვა. კარპატებში მდგარი ბრუსილოვის არმია მზად იყო უღელტეხილებიდან დაშვებულიყო და უნგრეთში შეჭრილიყო, მაგრამ ამის ნაცვლად, საერთო უკუქცევის გამოისობით, ისიც უკან იხევდა. რუსის ჯარი ტოვებდა გალიციას, რომელიც საომარ მოქმედებათა პირველ თვეებში დაიკავა.

ექიმი ჟივაგო, რომელსაც წინათ იურას ეძახდნენ, ახლა კი ერთიანად სახელითა და მამის სახელით იხსენიებდნენ, გინეკოლოგიური კლინიკის სამეანო კორპუსის დერეფანში იდგა, იმ პალატის კართან, სადაც ცოტა ხნის წინათ მის მიერ მიყვანილი მისივე ცოლი ანტონინა ალექსანდროვნა მოათავსეს. იგი ცოლს დაემშვიდობა და მეანსღა ელოდებოდა, რათა მოლაპარაკებოდა, თუ როგორ უნდა შეეტყობინებინათ მისთვის საჭიროების შემთხვევაში ან თავად როგორ გაეგო ტონიას ჯანმრთელობის ამბავი.

დრო აღარ ჰქონდა, თავის საავადმყოფოში ეჩქარებოდა. მანამდე კიდევ ორი ავადმყოფისთვისაც უნდა შეევლო სახლში, ის კი ძვირფას წუთებს ტყუილუბრალოდ ჰკარგავდა და ფანჯარაში ალმაცერად წამოსულ წვიმას გაჰყურებდა, რომლის შხეფებსაც შემოდგომის მძაფრი ქარი ისე ამსხვრევდა და აცერებდა, როგორც ჰქელავს და გვერდზე აწვენს ქარიშხალი მინდვრის თავთავებს.

ჯერ არ ბნელოდა. იური ანდრეევიჩის თვალწინ იშლებოდა კლინიკის შიდა ეზო, კერძო სახლების შუშაბანდები დევიჩის მინდორზე[53], საავადმყოფოს ერთ-ერთი კორპუსის უკანა კარამდე გაჭიმული ელექტრული ტრამვაის ხაზი.

მიუხედავად ქარის სიშმაგისა, რომელსაც თითქოს ფეხად ჩამოსული ცის სიმშვიდე ახელებდა, არხეინად წვიმდა, არც მატულობდა და არც იკლებდა. აბეზარი ქარი ერთ-ერთი სახლის შუშაბანდზე აყვანილი კრიკინას ნერგს აწვალებდა. თითქოს მცენარის ძირფესვიანად ამოგლეჯა უნდაო, ყალყზე აყენებდა, ჰაერში ფერთხავდა და დაფლეთილი ძონძივით ძირს ანარცხებდა.

შუშაბანდის მხრიდან კლინიკას ორ მისაბმელიანი მოტორიანი ვაგონი მოადგა. იქიდან დაჭრილების გადმოყვანა დაიწყეს.

---

[53] დევიჩის მინდორი – ოდესღაც ვრცელი, დაუსახლებელი მინდორი დღევანდელი მოსკოვის ტერიტორიაზე, ნოვოდევიჩის მონასტრის მახლობლად.

მოსკოვის ჰოსპიტალებში, რომლებიც განსაკუთრებით ლუცკის ოპერაციის[54] შემდეგ უკიდურესად იყვნენ გადაჭედილნი, დაჭრილებს უკვე კიბის ბაქნებსა და დერეფნებშიც კი აწვენდნენ. ქალაქის საავადმყოფოების საერთო ყოფამ ქალთა განყოფილებების მდგომარეობაზეც მოახდინა გავლენა.

იური ანდრეევიჩმა ფანჯარას ზურგი შეაქცია და დაღლილობისაგან მთქნარება მოეძალა. ვერაფერზე ფიქრობდა. უცებ გაახსენდა. ჯვართამაღლების საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, სადაც მსახურობდა, ავადმყოფი ქალი გარდაიცვალა, იური ანდრეევიჩი ამტკიცებდა, ღვიძლის ექინოკოკი აქვსო, მაგრამ არავინ დაუჯერა. დღეს გაკვეთეს. გაკვეთა დაადგენს ჭეშმარიტებას თუმცა მათი საავადმყოფოს პროზექტორი დიდი ლოთბაზარა ვინმეა. ღმერთმა იცის, ამ საქმეს თავს როგორ მოაბამს.

ერთბაშად ჩამობნელდა. ფანჯრის მიღმა აღარაფერი ჩანდა. თითქოს ჯადოსნური კვერთხი დაიქნიესო, ყველა ფანჯარაში ელექტრონათურები აციმციმდა.

დერეფნისაგან ტონიას პალატის გამყოფი ტამბურიდან გამოვიდა განყოფილების მთავარი ექიმი, მასტოდონტ-გინეკოლოგი, რომელიც ყოველ კითხვაზე თვალებს ჭერში აპყრობდა და მხრებს იჩეჩავდა. ეს მოძრაობები მისი მიმიკის ენაზე იმას ნიშნავდა, რაგინდ დიადიც არ უნდა იყოს მეცნიერების მიღწევები, ბევრი რამ არის, ჰორაციო, ქვეყნად ისეთი, რაც მეცნიერებს სიზმრად არც კი მოელანდებათო[55].

მან იური ანდრეევიჩს გვერდით ჩაუარა, გაულიმა, თავი დაუკრა და ფუნჩულა ხელები მოცურავესავით რამდენჯერმე გააქან-გამოაქანა,

---

[54] ე. წ. „ლუცკის გარღვევა" სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, როცა რუსეთის მე-8 არმიამ გენერალ ბრუსილოვის მეთაურობით 1916 წლის ზაფხულში ქ. ლუცკი აიღო.

[55] ჰამლეტის ირონიზებული სიტყვებია შექსპირის განთქმული ტრაგედიიდან, რომელიც რუსულად თავად ბ. პასტერნაკმა თარგნა.

აქაოდა, მეტი რა გზაა, დაცდა და ბედთან შერიგება მოგიწევსო, და მისაღებში გასაბოლებლად დერეფანს გაუყვა.

მალე იური ანდრეევიჩთან სიტყვაძვირი გინეკოლოგის ენად გაკრეფილი ასისტენტი ქალი გამოვიდა.

– თქვენს ადგილას შინ წავიდოდი. ხვალ დაგირეკავთ ჯვართამაღლების თემში. არა მგონია, ამაზე ადრე დაეწყოს. დარწმუნებული ვარ, ბუნებრივი მშობიარობა ექნება, ხელოვნური ჩარევის გარეშე, მაგრამ მეორე მხრივ, მენჯის ერთგვარი სივიწროვე, კეფის მეორე მდგომარეობა, რომელშიც ნაყოფი იმყოფება, მშობიარობის ტკივილების არარსებობა და კუმშვის სისუსტე გარკვეულ შიშს იწვევს. თუმცა წინასწარ თქმა ნაადრევია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მშობიარობის დაწყებისას როგორ ჭინთვებს გამოიმუშავებს, ამას კი დრო გვიჩვენებს.

მეორე დღეს მისი ტელეფონის ზარის პასუხად აპარატთან მისულმა საავადმყოფოს დარაჯმა უთხრა, ყურმილი არ დაკიდოთო, თვითონ კი ამბის გასაგებად წავიდა. ათი წუთი აყურყუტა, ბოლოს კი ტლანქად და შეუფერებლად უპასუხა: „ეგრე მითხრეს, უთხარიო, მეუბნებიან, რომ ძალიან ადრე მოუყვანია ცოლიო, ახლავე უკან წაიყვანოსო.” გაცოფებულმა იური ანდრეევიჩმა უბრძანა, ტელეფონთან ვინმე საქმის მცოდნე მისულიყო. – „მაცდუნებელი სიმპტომებია, – მიუგო მედდამ, – დაე, ექიმი ნუ შეწუხდება, ორიოდე დღით დაცდა მოგვიწევს.“

მესამე დღეს შეიტყო, რომ მშობიარობა დილით დაწყებულიყო.

განთიადისას წყლის დენა დასწყებოდა და დილიდანვე მწვავე შეტევები არ უწყდებოდა.

კისრისტეხით გავარდა კლინიკაში. დერეფანში ჩავლისას უნებურად ნახევრად ღიად დატოვებული კარიდან ტონიას გულგამგმირავი კივილი ისმოდა. ასე კივიან ვაგონის ბორბლებქვეშ ჩავარდნილი, კიდურებმოგლეჯილი ადამიანები.

პალატაში შესვლა არ შეიძლებოდა. იური ანდრეევიჩმა სიმწრისაგან

სახსარში მოხრილ სალოკ თითზე ისე იკბინა, კინაღამ სისხლი წამოუვიდა. ფანჯარასთან მივიდა, რომლის მიღმა, ისევე, როგორც გუშინ და გუშინწინ, ალმაცერად წვიმდა.

პალატიდან საავადმყოფოს მესასთუმლე ქალი გამოვიდა. შიგნიდან ახალშობილის ჭყივილი ისმოდა.

– გადარჩა, გადარჩა, – სიხარულით იმეორებდა თავისთვის იური ანდრეევიჩი.

– ბიჭია, ბიჭი! გილოცავთ მშობიარობის კეთილად დამთავრებას, – წამღერებით ამბობდა მესასთუმლე. – ახლა არ შეიძლება. დრო მოვა და გაჩვენებთ. მაშინ მელოგინისთვისაც უნდა მოიქექო ჯიბე. დაიტანჯა, პირველია. პირველი მუდამ სატანჯველია.

– გადარჩა, გადარჩა, – უხაროდა იური ანდრეევიჩს და არც მესასთუმლის ნათქვამი ესმოდა და არც ის, რომ ქალი მას მომხდარის მონაწილედ მიიჩნევდა. კაცმა რომ თქვას, თვითონ რა შუაში იყო? ეს მამაო, ეს შვილიო, – სულაც არ განიცდიდა სიამაყეს ამ მუქთად ნაშოვნი მამობით, არაფერს გრძნობდა ციდან ჩამოვარდნილი მამა-შვილობის გამო. ყოველივე ეს მისი ცნობიერების გარეთ ხდებოდა. მთავარი ტონია იყო, ტონია, რომელსაც სასიკვდილო საფრთხე დაატყდა და ბედნიერად აიცილა იგი თავიდან.

კლინიკის მახლობლად ავადმყოფი ჰყავდა. მასთან შეიარა და ნახევარ საათში დაბრუნდა. დერეფნიდან ტამბურში და იქიდან პალატაში გამავალი ორივე კარი კვლავ ღიად დარჩენოდათ. იური ანდრეევიჩი არც კი დაფიქრებულა, რას სჩადიოდა, თავი სტუცა და ტამბურში შეეხეტა.

მის წინაშე თითქოს მიწიდან ამოიზარდა ხელებგაფარჩხული მასტოდონტ-გინეკოლოგი.

– საით? – მშობიარეს რომ არ გაეგო, მოგუდული ხმით შეაჩერა. – თქვენ რა, გაგიჟდით? ჭრილობები, სისხლი, ანტისეპტიკა, ფსიქიკურ შერყევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ... ექიმი მაინც არ იყოთ! – მე ხომ...

მხოლოდ ცალი თვალით... აქედანვე... ჭუჭრუტანიდან. – აჰა, ეგ სხვა საქმეა. თავიდანვე გეთქვათ ეგრე. კარგი, შეიხედეთ! ოღონდ თუ შეგამჩნიათ, იცოდეთ, ცოცხალი ვერ გადამირჩებით! პალატაში ორი ხალათიანი ქალი იდგა კარებისაკენ ზურგშექცევით, მეანი და ძიძა. ძიძის ხელში ადამიანის პაწაწინა, მჩხავანა, ნაზი ნაშიერი იჭაჭებოდა და მუქი წითელი რეზინის ნაჭერივით ხან იკუმშებოდა, ხანაც იშლებოდა. მეანი ჭიპლარზე ლიგატურებს ადებდა, ბავშვისაგან მომყოლი რომ მოეცილებინა. ტონია პალატის შუაგულში ქირურგიულ საწოლზე იწვა. საწოლი საკმაოდ მაღალი იყო. იური ანდრეევიჩს, რომელიც მღელვარებისაგან ყველაფერს გადაჭარბებით აფასებდა, მოეჩვენა, რომ ქალი, სულ ცოტა, კანტორის მაგიდის სიმაღლეზე მაინც იწვა, რომელზეც ფეხზე მდგომნი წერენ.

ჩვეულებრივ მოკვდავებზე უფრო მაღლა, ჭერთან ახლო მწოლი ტონია გადატანილი მწუხარების ნისლში იძირებოდა. დაუძლურებულს თითქოს კვამლი ასდიოდა, პალატის შუაგულში იგი ისე მაღლა იწვა, როგორც წყლის ზედაპირზე აიწევს ხოლმე ყურეში ახლად შესული და გადმოტვირთული ხომალდი, სიკვდილის ზღვაზე, ღმერთმა უწყის, რომელი მხრიდან, სიცოცხლის ნაპირებისაკენ გადმოსახლებულ ახალმოვლენილ სულებს რომ ეზიდება. მან სულ ახლახან გადმოსვა ნაპირზე კიდევ ერთი ასეთი სული, ახლა კი იდგა, ღუზა ჩაეშვა და თავის ცარიელ, შემსუბუქებულ სხეულს ასვენებდა. მასთან ერთად ისვენებდნენ მისი შემუსრული, დაღლილ-დაქანცული გემსართავი და გარსამოსი, მისი თავდავიწყება, მისი ჩამქრალი ხსოვნა იმაზე, მცირე ხნის წინათ სად იყო, რა გადმოცურა და ნავსადგურში როგორ დაივანა.

და რაკი იმ ქვეყნის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, ვისი ალმითაც შემოვიდა ნავსაყუდელში, არც ის უწყოდნენ, რომელ ენაზე მიემართათ. სამსახურში ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე ულოცავდნენ. – რა მალე გაუგიათ! – უკვირდა იური ანდრეევიჩს.

საორდინატოროში შევიდა, რომელსაც სამიკიტნოს და სანარცხე ორ-

მოს უწოდებდნენ, რადგან საავადმყოფოს გადატვირთულობის გამო ახლა იმ ოთახში ისხდნენ, ქუჩიდან მოსულნი კალოშებით იქ შედიოდნენ, სხვა ოთახებიდან წამოღებულ ზედმეტ საგნებსაც იქ ტოვებდნენ, ქაღალდებით და ნამწვავებით ანაგვიანებდნენ.

საორდინატოროს ფანჯარასთან სახედაჯირჯვებული პროზექტორი იდგა, მაღლა აწეულ ხელში რაღაც მღვრიე სითხით სავსე შუშა ეჭირა და სინათლეზე სათვალეების ზემოდან გაჰყურებდა.

– გილოცავთ, – უთხრა მან, თან ისევ იქით იყურებოდა და იური ანდრეევიჩს შეხედვაც არ აღირსა.

– გმადლობთ.

– მადლობად არ ღირს. მე აქ არაფერ შუაში ვარ. პიჩუჟკინმა გაკვეთა. მაგრამ ყველა გაოცებულია. ექინოკოკიაა. აი, დიაგნოსტიც ამასა ჰქვიანო, გაიძახიან. ყველანი ამაზე ლაპარაკობენ.

ამ დროს ოთახში საავადმყოფოს მთავარი ექიმი შემოვიდა. ორივეს მიესალმა და თქვა:

– ეშმაკმა იცის, რა ხდება, საორდინატორო კი არა, ბაზარია. რა უბედურებაა ჰო, ჟივაგო, წარმოიდგინე – ექინოკოკიაა! ჩვენ შევცდით – გილოცავთ. თუმცა თქვენთვის უსიამო ამბავიცა მაქვს, ისევ თქვენი კატეგორიის გადასინჯვა იყო. ამჯერად ვეღარ დაგიცავთ. სამხედრო-სამედიცინო პერსონალის საშინელი ნაკლებობაა. დენთის ყნოსვა მოგიწევთ.

6

ანტიპოვები არც კი ელოდნენ, ისე კარგად მოეწყვნენ იურიატინში, გიშარებს აქ გულთბილად იგონებდნენ, რაც ლარას ახალ ადგილზე დამკვიდრების სიძნელეებს უადვილებდა.

– დღე ერთი იყო და ლარას საზრუნავი – ათასი. სახლიც და მისი სამი წლის გოგონას – კატენკას მოვლაც მის კისერზე გადადიოდა. ანტიპოვე-

ბის მოსამსახურე ქერა მარფუტკა ბევრს ცდილობდა, მაგრამ მისი დახმარება მაინც არ იყო საკმარისი. ლარისა ფეოდოროვნა პაველ პავლოვიჩს ყველა საქმეში მხარში ედგა. თავადაც მუშაობდა, ქალთა გიმნაზიაში ასწავლიდა. ლარას დილიდან საღამომდე ჯაფა არ ელეოდა და მაინც ბედნიერი იყო. ეს სწორედ ისეთი ცხოვრება იყო, რომელზეც ოცნებობდა.

იურიატინში ყოფნა მოსწონდა. ეს მისი მშობლიური ქალაქი გახლდათ იგი დიდი მდინარის – რინვას ნაპირზე იყო გაშენებული, რომელიც შუა და ქვემო წელში სანაოსნოდ გამოიყენებოდა. გარდა ამისა, ქალაქი ურალის რკინიგზის ერთ-ერთ ხაზე მდებარეობდა.

ზამთრის მოახლოება იურიატინში იმით იგრძნობოდა, რომ პატრონები ნავებს მდინარიდან იღებდნენ და ოთხთვალებით ქალაქისაკენ მიაჭრიალებდნენ. იქ თავ-თავიან ეზოებში შეჰქონდათ, სადაც ნავები გაზაფხულამდე იზამთრებდნენ. ეზოების სიღრმეებში მიწაზე დაპირქვავებული ქათქათა ნავები იურიატინში იმასვე ნიშნავდა, რასაც სხვა ადგილებში წეროების საშემოდგომო გადაფრენა ან პირველი თოვლი. ასეთივე თეთრად ძირშეღებილი ნავი იდო პირქვე ანტიპოვების მიერ ნაქირავები სახლის ეზოში, კატენკა მას ბაღის სახურავამობურცულ პავილიონად თვლიდა და მის ქვეშ თამაშობდა.

ლარისა ფეოდოროვნას მოსწონდა მივარდნილი კუთხის ზნეჩვეულებანი, ნაბდის ჩექმებსა და ლეგა ფლანელის თბილ ჯუბებში გამოწყობილი, ჩრდილოურ კილოზე მოლაპარაკე ადგილობრივი ინტელიგენცია, გულუბრყვილო სიალალე. ლარას მიწა და უბრალო ხალხი უყვარდ.

უცნაური იყო, მაგრამ სწორედ მოსკოველი რკინიგზელი მუშის შვილი პაველ პავლოვიჩი გამოდგა გამოუსწორებელი დედაქალაქელი. იგი ცოლზე გაცილებით მკაცრად ეპყრობოდა იურიატინელებს იმათი ველურობა და სიბნელე აღიზიანებდა.

ახლაღა გაირკვა, რომ მას ზერელე კითხვის მეოხებით ცოდნის შეძენის და გამყარების უჩვეულო ნიჭი ჰქონოდა. ნაწილობრივ ლარას დახ-

მარებით მან ადრეც ძალიან ბევრი წაიკითხა, პროვინციაში განმარტოების წლებში კი კითხვამ ისე გაიტაცა, რომ უკვე ლარაც არასაკმარისად მცოდნედ მიაჩნდა. ანტიპოვი თავის თანამშრომელთა პედაგოგიურ გარემოცვაზე მთელი თავით მაღლა იდგა და ჩიოდა, მათ შორის სული მეხუთებაო. ომიანობის წლებში მათი იაფფასიანი, ყავლგასული და დამჟავებული პატრიოტიზმი აღარ შეესაბამებოდა იმავე გრძნობის უფრო რთულ ფორმებს, რასაც იგი განიცდიდა.

პაველ პავლოვიჩმა სასწავლებელი კლასიკური განხრით დაამთავრა. გიმნაზიაში ლათინურსა და ძველ ისტორიას ასწავლიდა. მაგრამ მასში, რეალური სასწავლებლის ყოფილ მოსწავლეში, უეცრად მათემატიკის, ფიზიკისა და ზუსტ მეცნიერებათა მიმართ მისწრაფებამ კვლავ გაიღვიძა. თვითგანათლების გზით ყველა ამ საგანს საუნივერსიტეტო მოცულობით დაეუფლა. ოცნებობდა, პირველი შესაძლებლობისთანავე სასწავლო ოლქში ის საგნები გადაებარებინა, რომელიმე მათემატიკური სპეციალობა შეერჩია და ოჯახიანად პეტერბურგში გადასულიყო. ამასობაში ღამღამობით თავგამეტებულმა მეცადინეობამ მისი ჯანმრთელობა შეარყია და უძილობა დასჩემდა.

ცოლთან კარგი, მაგრამ მეტისმეტად რთული ურთიერთობა ჰქონდა. ქალი თავისი სიკეთით და საზრუნავით ხიბლავდა და კაციც ცდილობდა, მის მიმართ ძვირი სიტყვა არ დასცდენოდა. ფრთხილობდა, რომელიმე მიამიტურ შენიშვნაში ყალბად შეფარული საყვედური არ გამჟღავნებულიყო, თუნდაც ის, რომ ქალი კეთილშობილი იყო, თვითონ კი – მდაბიო, ან ის, რომ, ვიდრე მისი ცოლი გახდებოდა, სხვას ეკუთვნოდა. იმის შიშს, ემანდ რაიმე უსამართლო და საწყენ უაზრობაში არ დავაეჭვოო მათ ცხოვრებაში ხელოვნურობის ელფერი შეჰქონდა. ცდილობდნენ, სულგრძელობაში ერთმანეთისთვის ეჯობნათ და ამით ყველაფერს ართულებდნენ.

ანტიპოვებს სტუმრები ჰყავდათ პაველ პავლოვიჩის რამდენიმე ამხა-

ნაგი, ლარას გიმნაზიის უფროსი, ერთი წევრი სამედიატორო სასამართლოსი, სადაც ერთხელ პაველ პავლოვიჩი მომრიგებლად გამოვიდა, და სხვები. პაველ პავლოვიჩის აზრით, ისინი ყველანი ყურპანტურა ბრიყვები იყვნენ. პირდაპირ გაოცებული იყო ლარაზე, ყველას ეგრეთი მოწიწებით როგორ ეპყრობაო, არა სჯეროდა, თუ რომელიმე მართლა მოსწონდა.

სტუმრები რომ წავიდნენ, ლარამ ოთახი გაანიავა, იატაკი მორეცხა, ერთად სამზარეულოში ჭურჭელი დარეცხა. მერე რაკი დარწმუნდა, კატენკას კარგად აფარია და პაველსაც სძინავსო, სწრაფად გაიხადა და იმ ბავშვის ბუნებრივობით, დედას ლოგინში რომ ჩაუწვება, ქმარს გვერდით მიუწვა.

მაგრამ ანტიპოვი თავს იმძინარებდა, სინამდვილეში კი არ ეძინა. ბოლო ხანებში შემოჩვეული უძილობა აწვალებდა. იცოდა, კიდევ სამ-ოთხ საათს იწრიალებდა და თვალზე რულიც არ მიეკარებოდა. ძილი რომ მორეოდა და სტუმრების დანატოვარი თამბაქოს კვამლისგანაც განთავისუფლებულიყო, ჩუმად წამოდგა, ქუდი დაიხურა, ქურქი წამოისხა და საცვლების ამარა გარეთ გავიდა.

შემოდგომის ნათელი, ყინვიანი ღამე იყო. ანტიპოვის ფეხქვეშ ხრაშუნით იმსხვრეოდა ყინულის თხელი ფირფიტები. ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა სპირტის ალივით ცისფერი, მოციაგე შუქით ანათებდა გაყინული ტალახის ოკრობოკრო გორახებიან მიწას.

ქალაქის ის ნაწილი, სადაც ანტიპოვების სახლი იდგა, ნავსაყუდელს გადაჰყურებდა. სახლი ქუჩის ბოლოში იყო აღმართული. მერე მინდორი იწყებოდა, რომელსაც რკინიგზა ჰკვეთდა. რკინიგზის მახლობლად საყარაულო ქოხი იდგა. ლიანდაგებზე გადასასვლელი იყო მოწყობილი.

ანტიპოვი დაპირქვავებულ ნავზე ჩამოჯდა და ვარსკვლავებს გახედა. ფიქრებმა, რომელთაც ბოლო წლებში ასე მიეჩვია, შემაშფოთებელი ძალით მოიცვეს. სულ ერთი იყო, ადრე თუ გვიან გადასაწყვეტი უნდა გადაეწყვიტა, და სჯობდა ყველაფერი დღესვე მოეთავებინა.

ამის ატანა აღარ შეიძლება, – ფიქრობდა იგი. – მაგრამ ადრეც ხომ ყოველივე ამის გათვალისწინება? გონს გვიან მოეგო. რატომ მისცა ნება ქალს, ბავშვად ჩაეთვალა და მისგან სწორედ ის გამოეძერწა, რაც თავად სურდა? რატომ არ ეყო ჭკუა, უარი ეთქვა მასზე, როცა ზამთარში, ქორწილის წინ ამას თვითონვე მოითხოვდა? ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ ქალს ის კი არა, მის მიმართ თავისი კეთილშობილური ამოცანა, თავისი განსახიერებული გმირობა უყვარს და ელამაზება? რა საერთოა ამ შთაგონებულ, საქებარ მისიასა და ნამდვილ ოჯახურ ცხოვრებას შორის? ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ეს ქალი ძველებურად უყვარს. ისეთი კარგია, გაგიჟდება კაცი. ან იქნებ არც თავად უყვარს და ყოველივე მარტოოდენ კეთილშობილური დაბნეულობაა მისი სილამაზისა და დიდსულოვნების წინაშე? ჯანდაბას, რას გაიგებს ადამიანი! ყველაფერი ისეა აბურდულ-დაბურდული, თვით ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხავს.

მაშ რა იღონოს ასეთ შემთხვევაში? გაათავისუფლოს ლარა და კატენკა ამგვარი სიყალბისაგან? ეს უფრო მნიშვნელოვანიცაა, ვიდრე თავისი თავისუფლება.

კი, მაგრამ როგორ? გაეყაროს? თავი დაიხრჩოს? – ფუ, რა სისაძაგლეა, – აღშფოთდა იგი, – მე ხომ ამაზე არასდროს წავალ. მაშ თუნდაც ფიქრად რაღად გავივლე ეს ეფექტური გულნამცეცობა?

ვარსკვლავებს შეხედა, თითქოს რჩევას ეკითხებაო. ისინი კი ციმციმებდნენ, გუნდ-გუნდად და აქა-იქ, დიდრონები და წრიოკები, მიბნედილნი და მოკაშკაშენი. მოულოდნელად მათი ციმციმი დაიჩრდილა, და ეზო, სახლი, ნავი და ზედ მჯდომი ანტიპოვი მკვეთრად განათდა, თითქოს მინდვრიდან ჭიშკრისაკენ ვიღაც მორბოდა ანთებული ჩირაღდნის ქნევით. ეს მოჩვენება, ცაში ცეცხლოვანი ყვითელი კვამლის ბოლქვებს რომ ისროდა და არემარეს ქშენით იკლებდა, დასავლეთისაკენ მიმავალი სამხედრო მატარებელი იყო. შარშანდელს აქეთ დღისით თუ ღამით აქ ჩავლილ სამხედრო მატარებლებს თვლა არა ჰქონდათ. პაველ პავლოვიჩს

გაეღიმა, წავიდან წამოდგა და დასაძინებლად გაემართა. სასურველი გამოსავალი ნაპოვნი იყო.

7

ლარისა ფეოდოროვნა გახევდა. თავიდან საკუთარ ყურებს არ დაუჯერა, როცა პაშას გადაწყვეტილება მოისმინა. – სისულელეა, ახალი ახირებააო, – გაიფიქრა. – ყურადღება არ უნდა მივაქციო და ყველაფერი დაავიწყდებაო.

თურმე ორი კვირა იყო, რაც მისი ქმარი საამისოდ ემზადებოდა, საბუთები უკვე სამხედრო უწყებაში ჰქონოდა გაგზავნილი, გიმნაზიაში შემცვლელი გამოსჩენოდა და ომსკიდანაც იქაურ სამხედრო სასწავლებელში მისი მიღების უწყისი მოსულიყო. მალე მისი წასვლის დრომ მოაღწია.

ლარა უბირი დედაკაცივით აბღავლდა. ანტიპოვს ხელებში ჩააფრინდა, მუხლებში ჩაუვარდა.

– პაშა, პაშენკა, – მოთქვამდა იგი, – მე და კატენკას ვის ამარა გვტოვებ? ნუ იზამ მაგას, ნუ იზამ! ჯერ გვიან არ არის. ყველაფერს გამოვასწორებ. მაგ შენი გულის პატრონი ჯერ ხომ ხეირიანად ექიმსაც არ სჩვენებიხარ. რაო, სირცხვილიაო? ის კი არ არის სირცხვილი, ოჯახს რაღაცა სიგიჟეს რომ ანაცვალებ? მოხალისედ! მთელი სიცოცხლე იმ უმაქნის როდიას დასცინოდი და ერთბაშად შეგშურდა იმისი ბედი! თავად მოგენატრა ხმლის ტრიალი და ოფიცრობა? რა დაგემართა პაშა, ვეღარა გცნობ! გამოგცვალეს თუ ლენცოფა გაჭამეს? მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ქრისტეს გულისათვის, პატიოსნად მითხარი, ოღონდ გაზეპირებული სიტყვების გარეშე, განა ეს სჭირდება რუსეთს? ანაზდად მიხვდა, რომ საქმე ამაში სულაც არ იყო. წვრილმანების გააზრება რომ არ შეეძლო, მისი გონება უმთავრესს მისწვდა. მიხვდა, – პატულია მის მიმართ ცოლის ურთიერთობაში ვერ გარკვეულიყო. ვერ დაეფასებინა ის დედური გრძნობა,

რომელსაც ქალი მის მიმართ სინაზეში მუდამ აქსოვდა და ვერ ხვდებოდა, რომ ამგვარი გრძნობა ჩვეულებრივ, ქალურ სიყვარულზე მეტი იყო.

ტუჩები ჩაიკვნიტა, გულ-მუცელი ჩაეთუთქა. აღარაფერი უთქვამს. ხმაგაკმენდილი ცრემლებს ყლაპავდა და ნაცემივით ხელებჩამოყრილი ქმარს საგზაოდ ამზადებდა.

მისი გამგზავრების შემდეგ ქალს მოეჩვენა, მთელი ქალაქი გაირინდა და ყვავებიც კი ცაში ეგრერიგად აღარ დაფრინავენო. „ქალბატონო, ქალბატონო", – ამაოდ უხმობდა მარფუტკა. „დედა, დედიკო", – ეტიტინებოდა კატენკა და სახელოზე ექაჩებოდა. მის ცხოვრებაში ეს ყველაზე მძიმე დამარცხება იყო. საუკეთესო, უნეტარესი იმედები დაემსხვრა.

ციმბირიდან გამოგზავნილი წერილებიდან ლარამ ყველაფერი იცოდა ქმრის შესახებ. მას გული მალე მოუბრუნდა, ცოლ-შვილი მოენატრა. რამდენიმე თვეში პაველ პავლოვიჩს ვადამდე მიანიჭეს პრაპორშჩიკის ჩინი და მოქმედ არმიაშიც ასევე მოულოდნელად გაამწესეს. უკიდურესად აფორიაქებულმა იურიატინს შორ მანძილზე ჩაუარა და მოსკოვშიც კი ვერ გამონახა საშუალება, ვინმეს შეხვედროდა.

ფრონტიდან უფრო გულითად წერილებს იწერებოდა და მათში ომსკის სასწავლებლის დარდიანი კილო აღარ იგრძნობოდა. ანტიპოვი ცდილობდა თავი გამოეჩინა, რათა რაიმე სამხედრო დამსახურების ან მსუბუქი ჭრილობის ფასად ოჯახთან შესახვედრად შვებულებით გამოეშვათ. შესაფერისმა შესაძლებლობამაც არ დააყოვნა. მცირე ხნის წინათ მომხდარი გარღვევის წყალობით, რომელიც შემდგომში ბრუსილოვის[56] სახელით გახდა ცნობილი, არმია შეტევაზე გადავიდა. ანტიპოვის წერილები შეწყდა. თავიდან ლარას ეს ამბავი არ აწუხებდა. პაშას სიჩუმე საომარ მოქმედებათა გართულებით და ლაშქრობისას საწერად დროის უკმარისობით ახსნა.

---

[56] გენერალი ა. ა. ბრუსილოვი (1853-1926) პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მე-3 არმიას მეთაურობდა.

შემოდგომით არმიის წინსვლა შეჩერდა. ჯარები სანგრებში სხდებოდნენ. თუმცა ანტიპოვისაგან მაინც არაფერი ისმოდა. ლარისა ფეოდოროვნას შიში შეეპარა და ცნობების შეგროვება დაიწყო, ჯერ იურიატინში, მერე კი ფოსტით, მოსკოვსა და ფრონტზე, პაშას ნაწილის წინანდელი საველე მისამართით. არსად არაფერი იცოდნენ, პასუხი არსაიდან მოდიოდა.

მაზრის მრავალი ქველმოქმედი მანდილოსნის მსგავსად ლარისა ფეოდოროვნაც იურიატინის საერობო საავადმყოფოსთან არსებულ ჰოსპიტალს ომის დაწყებიდანვე როგორც შეეძლო, ისე ეხმარებოდა.

ახლა კი მედიცინის ანაბანას სერიოზულად ჩაუჯდა და მოწყალების დის წოდების მოსაპოვებლად საავადმყოფოში გამოცდა ჩააბარა. მერე ის იყო, გიმნაზიაში ექვსი თვით დაეთხოვა, იურიატინში ბინა მარფუტკას მიაბარა, კატენკას ხელი დაავლო და მოსკოვს ჩავიდა. იქ თავისი გოგონა ლიპოჩკას მიაბარა, რომლის ქმარი, გერმანიის ქვეშევრდომი ფრიზენდანკი, სხვა სამოქალაქო ტყვეებთან ერთად უფაში იყო გადასახლებული.

რაკი შორიდან ძებნით მეუღლის პოვნის იმედი გადაუწყდა, ლარისა ფეოდოროვნამ გადაწყვიტა, ამასწინანდელი საომარი მოქმედები ადგილზე ჩასულიყო. ამ მიზნით იგი მედდად მოეწყო სანიტარულ მატარებელზე, რომელიც ქალაქ ლისკის გავლით უნგრეთის საზღვარზე მდებარე მეზო-ლაბორჩისაკენ მიემართებოდა. ასე ეწოდებოდა იმ ადგილს, საიდანაც პაშამ თავისი უკანასკნელი წერილი მოიწერა.

8

ფრონტზე, დივიზიის შტაბში, დაჭრილთათვის დახმარების აღმოჩენის ტატიანას სახელობის კომიტეტის[57] ქველმოქმედთა სახსრებით მოწყობილი აბანო-მატარებელი[58] ჩამოვიდა. მოკლე-მოკლე, ულამაზო თბილანებისაგან შემდგარი გრძელი მატარებლის მაღალი კლასის ვაგონით სტუმრები – მოსკოველი საზოგადო მოღვაწეები ჩამოვიდნენ და ჯარისკაცებს და ოფიცრებს საჩუქრები ჩამოუტანეს. მათ შორის გორდონიც იყო. მან გაიკითხ-გამოიკითხა და შეიტყო, რომ დივიზიის ლაზარეთი, რომელშიც, მისი მონაცემებით, მისი ბავშვობის მეგობარი ჟივაგო მუშაობდა, ახლომდებარე სოფელში იყო.

გორდონმა ფრონტისპირა ზონაში მოძრაობისათვის საჭირო ნებართვა აიღო და, საშვით ხელდამშვენებული, მეგობრის სანახავად იქით მიმავალ პატარა ფურგონს დაემგზავრა.

ბელორუსი თუ ლიტველი მეეტლე უხეირო რუსულით ლაპარაკობდა. ჯაშუშომანიის შიში თითოეულ სიტყვას წინასწარ ცნობილი, გაცვეთილი კალაპოტისაკენ მიაქანებდა, საუბრის მოჩვენებითი კეთილგანწყობა კაცს ადამიანური მუსაიფის ხალისს უკარგავდა. ამიტომ იყო, რომ მგზავრიც და მეეტლეც მეტწილად დუმდნენ.

შტაბში, სადაც მთელი არმიების აქეთ-იქით ტრიალს მიეჩვივნენ და მანძილს ასვერსიანი ლაშქრობებით: ზომავდნენ, ირწმუნებოდნენ, ის სოფელი სადღაც აქვე, ოც თუ ოცდახუთ ვერსზე მდებარეობსო. სინამდვილეში იქამდე ოთხმოც ვერსზე მეტი აღმოჩნდა.

---

[57] ტატიანას კომიტეტი – დაჭრილთა და დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად 1914 წელს ჩამოყალიბებული მოსკოვის საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც დედოფალ ტატიანას სახელს ატარებდა.

[58] აბანო-მატარებელი – მოსკოვის ტატიანას სახელობის საქველმოქმედო კომიტეტის სახსრებით დაჭრილთა დასახმარებლად აღჭურვილი მატარებელი

მთელი გზა ცისკიდურზე, მათი მოძრაობის მარცხენა მხარეს, მტრული ღრენისა და ქუხილის ხმები ისმოდა. გორდონი თავის დღეში მიწისძვრას არ შესწრებოდა, მაგრამ სწორად განსაჯა, რომ მტრის არტილერიის ეს პირქუში, სიშორის გამო ოდნავ გასაგონი ბუზღუნი ყველაზე მეტად მიწისქვეშა ბიძგებს და ვულკანური წარმონაქმნის გუგუნს მიაგავდა. მწუხრის ჟამს ცის კალთამ იქით ვარდისფერი, მოცახცახე ცეცხლით იფეთქა რომელიც დილამდე არ ჩამქრალა.

მეეტლეს გორდონი დანგრეული სოფლების გასწვრივ მიჰყავდა.

სოფლელების ნაწილი იქაურობას გასცლოდა, მეორე ნაწილი კი თავს ღრმა მიწურებსა და სარდაფებს აფარებდა. ასეთი სოფლები ადამიანს ახლა ნაგვისა და ღორღის გროვასღა აგონებდნენ, ოდესღაც ჩამწკრივებული სახლების ნაოხარზე რომ იყო დახორებული. ამ გადამწვარი სოფლების თავს რომ გახედავდით, ბოლოც ტიალი უდაბნოსავით მოუჩანდათ. მათ ზედაპირზე დედაბრები დაფუსფუსებდნენ. თითოეული თავის ნახანძრალს დასტრიალებდა. ნაცარს ქექავდნენ, შიგადაშიგ რაღაც-რაღაცეებს პოულობდნენ და სადღაც მალავდნენ, თან გულს იკეთებდნენ, ვერავინ გვხედავსო, თითქოს გარშემო ძველებურად ერტყათ კედლები. ისინი გორდონს იმგვარი სახით ხვდებოდნენ და აცილებდნენ, გეგონებოდათ ეკითხებოდნენ, მალე თუ მოეგებიან გონს ქვეყანაზე და დაუბრუნდება თუ არა ცხოვრებას მყუდროება და წესრიგიო.

ღამით საპირისპიროდ მომავალ ცხენოსან პატრულს გადაეყარნენ. უბრძანეს, შავ გზას უკან გაჰყევით და ამ ადგილებს შემოსავლელი შარაგზით მოუარეთო. საუბედუროდ, მეეტლემ სხვა გზა არ იცოდა და ორიოდე საათი უგზო-უკვლოდ იხეტიალეს. გამთენიისას ძლივს მიადგნენ ვითომდა სასურველ სოფელს, მაგრამ იქ ლაზარეთის შესახებ არაფერი სმენოდათ. მალე გამოირკვა, რომ იმ მიდამოებში ერთნაირი სახელწოდების ორი სოფელი იყო, ეს და მეორე. გათენებული იყო, საბოლოოდ მიზანს რომ მიაღწიეს. სააფთიაქო გვირილისა და იოდოფორმის

სურნელებით აღსავსე ორღობეში მიმავალი გორდონი ფიქრობდა, ჟივაგოსთან ღამის გათევა აღარ მომიწევს, საღამომდე დავრჩები მასთან, მერე კი რკინიგზის სადგურზე დარჩენილ ამხანაგებთან დავბრუნდებიო, მაგრამ მოულოდნელად ისეთი ამბები დატრიალდა, რომ კვირაზე მეტ ხანს შერჩა იქაურობას.

9

იმ დღეებში ფრონტი ერთიანად ამოძრავდა. ირგვლივ უეცარი ცვლილებები ხდებოდა. გორდონი რომ ჩავიდა, იქიდან სამხრეთით რუსეთის ჯარის ერთმა შენაერთმა მოწინააღმდეგის გამაგრებული პოზიციები გაარღვია. შეტევაზე გადასული რაზმი გამეტებით იბრძოდა და მტრის განლაგებაში სულ უფრო ღრმად იჭრებოდა. გარღვევის გასაფართოებლად მას დამხმარე ნაწილები მიჰყვებოდნენ, მაგრამ თანდათან ჩამორჩნენ და მეწინავე ჯგუფს მოსწყდნენ, რამაც დაწინაურებულთა დატყვევება გამოიწვია. ამ პირობებში პრაპორშჩიკ ანტიპოვის ასეულის ნახევარი დაატყვევეს და თავად ისიც იძულებული გახდა დანებებულიყო.

ამაზე ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ხმა დაირხა, ყუმბარის თხრილში ჩაიმარხაო. მის ნაცნობ და თანაპოლკელ პოდპორუჩიკ გალიულინს თავისი თვალით ენახა. ანტიპოვი თავისი ჯარისკაცებით შეტევაზე რომ გადავიდა, თურმე სათვალთვალო პუნქტიდან ბინოკლით უყურებდა.

გალიულინის თვალწინ შეტევაზე გადასული ნაწილის ჩვეული სურათი იყო გადაშლილი. მას ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით უნდა გადაეჭრა შემოდგომის ქარში მოცახცახე ხმელი აბზინდებითა და უძრავად გარინდებული ეკლიანი შვიით დაფარული მინდორი. თავიანთი წრეგადასული სიმამაცით შეტევაზე გადასულთ საპირისპირო მხარეს სანგრებში ჩამსხდარი ავსტრიელები ხიშტებით ხელჩართულ ბრძოლაში უნდა გამოეტყუებინათ ან ხელყუმბარები დაეშინათ და ამოეწყვიტათ.

მინდორი თითქოს უსასრულოდ სადღაც გარბოდა. ჭაობიანი ნიადაგივით მობარბაცე დედამიწა ფეხქვეშ ტორტმანებდა. მათი პრაპორშჩიკი თავდაპირველად სულ წინ გარბოდა, მერე და მერე კი ხან ჯარისკაცთა რიგებს ერეოდა და ხან წინ უსწრებდა, რევოლვერს გამწარებით მაღლა იქნევდა და ყურიდან ყურამდე დაღებული პირით „ვაშას" გაჰკიოდა, რაც არც თავად ესმოდა და არც მის ირგვლივ მყოფ ჯარისკაცებს. შიგადაშიგ სირბილით მიმავალნი მიწაზე წვებოდნენ, ისევ მკვირცხლად დგებოდნენ ფეხზე და კვლავ წინ გარბოდნენ. ყოველი ასეთი დაწოლისას მათთან ერთად, მაგრამ სულ სხვანაირად, მოჭრილი ხეებივით მთელი ტანით ეცემოდნენ და აღარასოდეს თავს აღარ სწევდნენ დახოცილები.

– ჩვენი ჭურვები მტრის ზურგში ცვივა. ტელეფონით შეატყობინეთ ბატარეას, – შეშფოთებით უთხრა გალიულინმა გვერდით მდგომ არტილერიის ოფიცერს! – თუმცა არა, სწორად იქცევიან, ცეცხლი სიღრმეში რომ გადაიტანეს.

ამასობაში შეტევაზე გადასულნი მოწინააღმდეგეს მიუახლოვდნენ, ცეცხლი შეწყვიტეს. ჩამოწოლილ სიჩუმეში სათვალთვალო პუნქტზე მდგომთ გულები აშკარად აუძგერდათ, თითქოს ანტიპოვის ადგილას იყვნენ, თითქოს მის მსგავსად მეომრები ავსტრიელთა თხრილებს მიაყენეს და სადაც იყო, სიმამაცის და საზრიანობის სასწაულებს ჩაიდენდნენ. იმ წამსვე წინ ერთიმეორის მიყოლებით ორი გერმანული თექვსმეტდიუმიანი ჭურვი აფეთქდა. მიწის და კვამლის შავმა სვეტებმა არემარე დააბნელეს.

– იალლაჰ! მორჩა! გაათავა ბაზარი! – გაფითრებული ბაგეებით წაიჩურჩულა გალიულინმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ პრაპორშჩიკიც და ჯარისკაცებიც დაიღუპნენ.

მესამე ჭურვი სათვალთვალოდან სულ ახლო გასკდა. ყველანი მიწას გაეკვრნენ და იქაურობას სწრაფად გაეცალნენ.

გალიულინს და ანტიპოვს ერთ ბლინდაჟში ეძინათ. როდესაც პოლ-

კში იმ აზრს შეურიგდნენ, რომ ანტიპოვი მოკლულია და აღარ დაბრუნ-დებაო, გალიულინს, რომელიც პრაპორშჩიკს კარგად იცნობდა, დაავა-ლეს მისი ავლადიდება შეენახა და მომავალში მისი ცოლისათვის დაებ-რუნებინა, ვისი ფოტოსურათებიც ანტიპოვის ნივთებში მრავლად იყო.

ამასწინანდელი ნებითგანწესებული პრაპორშჩიკი, მექანიკოსი გა-ლიულინი ტივერზინის ეზოს დამგველი გიმაზეტდინის ვაჟი გახლდათ.

ოდესღაც ზეინკლის შეგირდი იყო და თავისი ოსტატის, ხუდოლეე-ვისგანაც ბლომად ხვდებოდა. ახლა კი თავისი მწვალებლის წყალობით დაწინაურდა.

პრაპორშჩიკი რომ გახდა, გალიულინი როგორღაც, თავისი სურვი-ლის საწინააღმდეგოდ თბილ, მყუდრო ადგილზე მოხვდა ზურგის ერთ მივარდნილ გარნიზონში. იქ იგი სანახევროდ ხეიბართა რაზმს მეთაუ-რობდა. მათთან ერთად ისეთივე დაფეხვილი ინსტრუქტორი-ვეტერანე-ბი დილდილაობით კარგა ხნის წინათ დავიწყებულ მწყობრს გადიოდნენ. გარდა ამისა, გალიულინი ამოწმებდა, სწორად აყენებდნენ თუ არა გუ-შაგებს საინტენდანტო საწყობებთან. უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა – სხვა არაფერი მოეთხოვებოდა. ერთხელ კი მის განკარგულებაში მოსკო-ვიდან ჩამოსული ძველი მოლაშქრეებისაგან შედგენილ შევსებასთან ერ-თად მეტისმეტად კარგად ნაცნობი პეტრე ხუდოლეევიც გაეჯგიმა.

– აჰა, ჩვენ მგონი ძველი ნაცნობები ვართ, არა? – ჩაიცინა მოღუშულ-მა გალიულინმა.

– დიახ, თქვენო კეთილშობილებავ, – უპასუხა ხუდოლეევმა. გაიჭიმა და ქუდთან მიიდო ხელი.

რაღა თქმა უნდა, საქმე ეგრე ადვილად არ გათავდებოდა. პირველივე სამწყობრო შეცდომისას პრაპორშჩიკმა ჩინით უმცროსს ლაზათიანად დაუღრიალა და როცა შეატყო, თვალებში კი არ შემომციცინებს, რო-გორღაც გვერდზე იყურებაო, მთელი ძალით სთხლიშა კბილებში და ცა-რიელ პურ-წყალზე ორი დღით ჩააყუდა ჰაუპტვახტში.

ახლა გალიულინის ყოველ მოძრაობას შურისგების ელფერი დაჰკრავდა, კეტის სუბორდინაციის პირობებში ამგვარი სახით ანგარიშის გასწორება კი მეტისმეტად წაუგებელი და არაკეთილშობილური თამაში იყო. რა უნდა ექნა? ორივეს ერთად დარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. მაგრამ რა საბაბით და სად უნდა გაეგზავნა ოფიცერს ჯარისკაცი დანიშნულების ადგილიდან სადისციპლინო ნაწილის გარდა? მეორე მხრივ, რა მიზეზი უნდა მოეგონებინა გალიულინს თავისი გადაყვანის მოთხოვნის გასამართლებლად? იფიქრა, იფიქრა და საგარნიზონო სამსახურის მოსაწყენობისა და უსარგებლობის მომიზეზებით ფრონტზე გაგზავნა ითხოვა. ხალხის თვალში ამან ფასი მოუმატა, მაგრამ როგორც კი უახლოეს საქმეში თავისი სხვა თვისებებიც გამოამჟღავნა, დარწმუნდნენ, კარგი ოფიცერი ყოფილაო და პრაპორშჩიკობიდან მალე პოდპორუჩიკად დააწინაურეს.

გალიულინი ანტიპოვს ტივერზინების დროიდან იცნობდა. ცხრაას ხუთში, როცა პაშა ანტიპოვი ნახევარი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ტივერზინებთან, დღესასწაულებზე იუსუფკა მასთან სტუმრად დადიოდა და ეთამაშებოდა ხოლმე. ლარაც სწორედ მაშინ ნახა მათთან ერთხელ თუ ორჯერ. მას მერე მათზე აღარაფერი სმენია. პაველ პავლოვიჩი იურიატინიდან მათ პოლკში რომ მოხვდა, გალიულინი გაოცებული იყო ძველ ნაცნობში მომხდარი ცვლილებით. ქალიშვილივით მორცხვი, სასაცილოდ ანცი და კუდრაჭა ბიჭისაგან ნერვებაწეწილი, ყოვლისმცოდნე, ამრეზილი იპოქონდრიკი დამდგარიყო. იგი ჭკვიანი, ერთობ მამაცი, უთქმელი და დამცინავი იყო. ხანდახან, მას რომ უყურებდა, გალიულინი მზად იყო დაეფიცა, რომ ანტიპოვის მძიმე გამოხედვაში, როგორც ფანჯრის სიღრმეში, ისე ხედავდა მასში მტკიცედ ჩაბუდებულ ვიღაც მეორეს, რაღაც სხვა აზრს, თავის გოგონაზე დარდს ან ცოლის სახეს. ანტიპოვიც, როგორც ზღაპარშია ხოლმე, მოჯადოებულსა ჰგავდა. და აი, ცოცხალი აღარ არის, და გალიულინს ხელთ შერჩა მისი ქაღალდები და ფოტოსურათები, მისი გარდასახვის საიდუმლო.

ადრე იყო თუ გვიან, გალიულინს ლარას შეკითხვა მაინც მისწვდა. უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ არეული დრო იყო და ნამდვილი პასუხის გაცემა არ შეეძლო. თანაც მოსალოდნელი დარტყმისათვის ქალის შემზადება უნდოდა. დიდი, დალაგებული წერილის მიწერასაც ერთთავად სამომავლოდ სდებდა, ვიდრე შეიტყო, ლარაც აქ, სადღაც ფრონტზე, მედდად ყოფილაო. და აღარ იცოდა, ახლა ის წერილი სად მიეწერა.

10

– როგორაა საქმე? გვეყოლება დღეს ცხენები? – ეკითხებოდა გორდონი ჟივაგოს, როცა იგი სახლში სადილად მოდიოდა გალიციურ ქოხში, სადაც ცხოვრობდნენ.

– რა დროს ცხენებია! თანაც სად წახვალ, როცა საით თავია და საით ბოლო, ვერ გაიგებ. ირგვლივ საშინელი არევ-დარევაა. ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს. სამხრეთში რამდენიმე ადგილას გერმანელთა რიგები გავარღვიეთ თუ ზურგიდან შემოვუარეთ. იმასაც ამბობენ, ჩვენი რამდენიმე მიმოფანტული ერთეული მტრის ტომარაში მოექცაო. ჩრდილოეთში კი გერმანელები სვენტაზე[59] გადმოსულან, რომელიც ამ ადგილებში გაუვალად ითვლებოდა. რაოდენობით ეს კორპუსისოდენა კავალერიაა. რკინიგზას აფუჭებენ, საწყობებს სპობენ და, ჩემი აზრით, ალყას გვარტყამენ. ხედავ, რა სურათია? შენ კი გაიძახი, ცხენებიო. ცოცხლად, კარპენკო, რაღას უყურებ, გაგვიშალე სუფრა და საქმეს მიხედე. დღეს რა გვაქვს სადილად? აჰა, ხბოს ფეხები? დიდებულია. სანიტარული ნაწილი, ლაზარეთი და ყველა დაქვემდებარებული განყოფილება სასწაულებრივად გადარჩენილ სოფელში იყო გაბნეული. მთლიან კედლებზე ჩარიგებული ვიწრო, მრავალსაგდულიანი ფანჯრებით დასავლურ ყაიდაზე გაბრწყინებული მისი სახლები ერთიანად გადარჩენილიყვნენ.

---

[59] „სვენტა” მდინარეა ლიტვაში, ვილნის მარჯვენა შენაკადი.

ცხელი ოქროსფერი შემოდგომის უკანასკნელი ნათელი დღეები იდგა, დედაბრის ყვავილობას რომ ეძახიან. დღისით ექიმები და ოფიცრები ფანჯრებს აღებდნენ, ფანჯრის რაფებსა და თეთრად შეფეთქილ დაბალ ჭერებზე შავ-შავ გუნდებად შემოსეულ ბუზებს ხოცავდნენ, გაღეღილ კიტელებსა და გიმნასტურებში ოფლი წურწურით ჩასდიოდათ და ცხელი წვნიანითა თუ ჩაით გულ-მუცელს იფუფქავდნენ, ხოლო ღამ-ღამობით ღუმელების გამოღებულ კარებთან ჩაცუცქულნი გაჯიუტებული ნესტიან, შეშის ქვეშ მიმქრალ ნაღვერდლებს სულს უბერავდნენ, ახრჩოლებული კვამლი თვალებსა სწვავდათ და დედ-მამის სულს უტრიალებდნენ დენშჩიკებს, ადამიანურად ცეცხლის დანთება რომ არ შეეძლოთ.

წყნარი ღამე იყო. გორდონი და ჟივაგო ერთმანეთის პირისპირ კედლებთან მდგარ მერხებზე იწვნენ. მათ შორის იდგა სასადილო მაგიდა, კედლიდან კედლამდე კი ვიწრო ფანჯარა იყო დატანებული. ოთახში ცხელოდა და თამბაქოს სუნი ტრიალებდა. ფანჯრის თავ-ბოლოში თითო სარკმელი გამოაღეს და ოთახში შემოჭრილი შემოდგომის ღამის სიგრილე ჩაისუნთქეს, ფანჯრის მინებზე ცრემლად რომ იღვრებოდა, ჩვეულებისამებრ ახლაც საუბრობდნენ, როგორც მთელი ის დღეები და ღამეები. როგორც ყოველთვის, ფრონტის მხარეს ცისკიდური ვარდისფრად ელავდა და როცა სროლის თანაბარ, უწყვეტ გუგუნში უფრო დაბალი, მძიმე და გამოკვეთილი ქუხილი გამოერეოდა, დედამიწას რომ აზანზარებდა, ამ ხმის რიდით ჟივაგო საუბარს წყვეტდა, მცირე ხნით დუმდა და მერე ამბობდა: – ეს ბერტაა, გერმანული თექვსმეტდუიმიანი, თითო სამოც ფუთს იწონის. – ბოლოს კვლავ საუბარს განაგრძობდა და ავიწყდებოდა, რაზე გაჩერდნენ.

– რისი სუნია, სოფელში ერთთავად რომ ტრიალებს? – ეკითხებოდა გორდონი. – პირველივე დღეს შევნიშნე, რაღაც მოტკბო-მობლანტოა და გულის ამრევი. თითქოს თაგვებიაო.

– მიგიხვდი, რასაც მეკითხები. ეგ კანაფია. აქ ბლომადაა. კანაფი თავად მძორის მძიმე, გულისამრევ სუნს გამოსცემს. გარდა ამისა, საომარ

მოქმედებათა ადგილებში, როცა კანაფებში დახოცილები ეცემიან, კაცი არაა იმათი დამმარხავი და ისინიც იხრწნებიან. აქ მძორის სუნი ძალიანაა გავრცელებული, ეს ბუნებრივია. ისევ ბერტაა, გესმის?

იმ დღეებში ქვეყნად რაღაზე აღარ იმუსაიფეს. გორდონმა იცოდა მეგობრის აზრები ომზე და დროის სულისკვეთებაზე. იური ანდრეევიჩმა უამბო, როგორ უჭირდა შესჩვეოდა ურთიერთჟლეტის სისხლიან ლოგიკას, დაჭრილთა ყურებას. განსაკუთრებით გულშემზარავი იყო ზოგი თანამედროვე ჭრილობა. კაცს გულს უკლავდა დასახიჩრებულ გადარჩენილთა თვალის შევლება, რომელნიც ახლანდელ საბრძოლო ტექნიკას დამახინჯებულ ხორცის ნაფლეთებად ექცია.

ჟივაგოსთან ერთად გორდონიც ყოველდღე სადღაც მიდიოდა და მისივე წყალობით რაღაც-რაღაცეებს ხედავდა. რაღა თქმა უნდა, სხვისი სიმამაცის ზერელედ ცქერა, იმისი ხილვა, თუ ნებისყოფის რა არაადამიანური დაძაბვის ფასად უხდებოდათ სიკვდილის შიშის დამარცხება, რასა სწირავდნენ საამისოდ და რა რისკს ეწეოდნენ, უზნეობად მიაჩნდა. მაგრამ ამის გამო ყოვლად უმაქნის კვნესა-წუწუნს იმაზე მეტ სიქველედ როდი თვლიდა. „იმ მდგომარეობის შესაფერისად უნდა გეჭიროს თავი, რომელშიც ცხოვრებამ ჩაგაყენა, პატიოსნად და ბუნებრივადო", – ფიქრობდა იგი.

დაჭრილთა დანახვით გულისწასვლა რომ იყო შესაძლებელი, საკუთარ თავზე წითელი ჯვრის მფრინავ რაზმში გამოსცადა, რაზმში, რომელიც მათგან დასავლეთით, თითქმის საბრძოლო პოზიციებზე საველე შემხვევ პუნქტში მუშაობდა.

ისინი არტილერიის ცეცხლით სანახევროდ მოცელილი დიდი ტყის პირას მივიდნენ. დალეწილ და გაქელილ ბუჩქნარში თავდაყირა ეყარა დამტვრეულ-დაღრეცილი ქვემეხების სათრევი ორთვალები. ხეზე საჯდომი ცხენი მიებათ. სიღრმეში მოჩანდა სატყეოს ხის შენობა, რომელსაც სახურავი სანახევროდ წაცლილი ჰქონდა. შესახვევი პუნქტი სატყეოს

კანტორასა და გზის გადაღმა, შუაგულ ტყეში დადგმულ ორ დიდ ნაცრისფერ კარავში იყო მოთავსებული.

– ტყუილად წამოგიყვანე, – უთხრა ჟივაგომ. – სანგრები სულ ახლოსაა, ასე, ორი-ორნახევარი კილომეტრი თუ იქნება, ჩვენი ბატარეები კი აგერ იქ არის, ამ ტყის გადაღმა. გესმის, რა ხდება? თუ ძმა ხარ, გმირობაზე თავს ნუ დასდებ, სულ ერთია, არ დაგიჯერებ, შენ ახლა სული კოჭებში გაქვს გაპარული და ეს ბუნებრივიცაა. მდგომარეობა ყოველ წუთს შეიძლება შეიცვალოს. ამ ადგილებში ჭურვები ჩამოცვივა.

ტყეში, გზის პირას, პირქვე და გულაღმა ეყარნენ მძიმე ჩექმებიანი, დაღლილ-დაქანცული და მტვერში ამოგანგლული, მკერდზე და ბეჭებზე გაოფლილ გიმნასტურებიანი ახალგაზრდა ჯარისკაცები – გვარიანად შეთხელებული ნაწილის ნარჩენი. ისინი ოთხი დღე-ღამის განმავლობაში გახურებული ბრძოლიდან გამოიყვანეს და ხანმოკლე შესვენებისათვის ზურგში გზავნიდნენ. ჯარისკაცები გაქვავებულებივით იწვნენ, ღიმილისა და ყიამყრალობის ილაჯიც აღარ შერჩენოდათ და თავიც კი არ აუწევიათ, როცა გზაზე ტყის სიღრმიდან ჩამოქროლილმა ორთვალებმა ჩაირახრახეს. ურესორო საზიდრებით ჭენებ-ჭენებით მოჰყავდათ დაჭრილები შესახვევ პუნქტში. ოღროჩოღრო გზაზე საზიდრები უმოწყალოდ ეხეთქებოდნენ აქეთ-იქით, საცოდავ დაჭრილებს უარესად ენაყებოდათ ძვლები და უტრიალდებოდათ გულ-ღვიძლი. შესახვევ პუნქტში ნაჩქარევად ადებდნენ ბანდებს, ხანდახან კი, საგანგებო შემთხვევებში, ჰაიჰარად უკეთებდნენ ოპერაციებს. ნახევარი საათის წინ, როცა მცირე ხნით მიყუჩდა სროლა, ისინი აურაცხელი რაოდენობით გამოიყვანეს სანგრების წინ გადაშლილი ველიდან. მათი ნახევარი უგონოდ იყო.

დაჭრილები კანტორის პარმაღთან მიიყვანეს, იქიდან კი საკაციანმა სანიტრებმა ჩამოირბინეს და საზიდრის გადმოტვირთვას შეუდგნენ კარვიდან მოწყალების დამ გამოიხედა. კარვის კალთა აეწია და ქვევიდან ხელით ეჭირა. ეტყობოდა, მისი ცვლა არ იყო და ისვენებდა კარვის იქით,

ტყეში, ორნი ხმამაღლა ყაყანებდნენ. ნორჩ, ტანაყრილ ტყეს მათი კამათი კიდით კიდემდე ეფინებოდა, მაგრამ სიტყვები მთლად გარკვევით როდი ისმოდა. დაჭრილები რომ მოიყვანეს, მოკამათენი გზაზე გამოვიდნენ და კანტორისაკენ გაემართნენ. გაცხარებული ოფიცერი მფრინავი რაზმის ექიმს უყვიროდა, ცდილობდა გაეგო, საით წავიდა ადრე აქ, ტყეში მდგარი საარტილერიო პარკი. ექიმმა არაფერი იცოდა, ბაიბურში არ იყო. იგი ოფიცერს სთხოვდა, თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, ხომ ხედავ, დაჭრილები მოიყვანეს, შენთვის არა მცალიაო, მაგრამ ოფიცერი არა და არ ცხრებოდა, ლანძღვა-გინებას უთვლიდა წითელ ჯვარსაც, საარტილერიო უწყებასაც და მთელ დუნიასაც. ექიმს ჟივაგო მიუახლოვდა. ერთმანეთს მიესალმნენ და სატყეოში ავიდნენ. ოფიცერი თათრულ კილოზე გინებას მაინც განაგრძობდა, მერე შებრუნდა, ხიდან აუშვა ცხენი, მოახტა და ტყის სიღრმისაკენ გზა-გზა გააჭენა. მოწყალების და კი სულ უყურებდა და უყურებდა.

უცებ ქალს შიშისაგან სახე მოეღრიცა.

– რას სჩადიხართ, ხომ არ გაგიჟდით? – დაუყვირა მან ორ მსუბუქად დაჭრილს, რომლებიც დახმარების გარეშე საკაცეებს შორის მოაბიჯებდნენ, კარვიდან გამოვარდა და მათკენ გაეშურა.

საკაცით ვიღაც საზარლად დამახინჯებული უბედური მოჰყავდათ. გამსკდარი ჭურვის ნამსხვრევს მისთვის სახე დაეფლითა, ენა და კბილები სისხლიან ფაფად ექცია, მაგრამ არ მოეკლა, ყბის ძვლებში, ამოგლეჯილი ლოყის ადგილას გასჩხეროდა. მისუსტებული კნავილით, რომელიც ადამიანურს არაფრით ჰგავდა, დასახიჩრებული მოკლე-მოკლე კვნესას გამოსცემდა, რაც თითოეულს იმის მუდარად უნდა გაეგო, დროზე მოეკლათ და ეგრე უაზროდ გაჭიანურებული მისი წამებაც გაეთავებინათ. მოწყალების დას მოეჩვენა, რომ მისი კვნესის ზეგავლენით გვერდით მიმავალი მსუბუქად დაჭრილები შიშველი ხელით მისი ლოყიდან იმ საშინელი რკინის ხიჭვის ამოღებას აპირებდნენ.

– აბა, რას შვრებით, როგორ შეიძლება? ეს ხომ ქირურგმა უნდა გააკეთოს, განსაკუთრებული იარაღით, ისიც, თუ შესძლებს. (ღმერთო, ღმერთო, მიიბარე მისი სული, ნუ მაიძულებ ეჭვი შევიტანო შენს არსებობაში!).

წუთიც არ გასულა, რომ პარმაღზე აყვანისას დამახინჯებულს ყვირილი აღმოხდა, მთელი სხეული აუცახცახდა და სული განუტევა.

გარდაცვლილი სახიჩარი თადარიგის რიგითი ჯარისკაცი გიმაზეტდინი იყო, ტყეში მყვირალი ოფიცერი – მისი ვაჟი, პოდპორუჩიკი გალიულინი, მოწყალების და ლარა გახლდათ, გორდონი და ჟივაგო – მოწმეები. ყველანი ერთად, ერთმანეთის გვერდიგვერდ იყვნენ. ზოგმა ვერ იცნო დანარჩენნი, სხვები არც არასოდეს იცნობდნენ ერთმანეთს. ზოგი რამ სამუდამოდ გაურკვევლად დარჩა, სხვამ კი მორიგ შემთხვევამდე, ახალ შეხვედრამდე დაუწყო ლოდინი დაფარულის გამომჟღავნებას.

11

ამ ზოლში სოფლები სასწაულებრივად გადარჩენილიყვნენ. უკიდეგანო ნგრევის ზღვაში ისინი რაღაც მანქანებით გადარჩენილ კუნძულსა ჰქმნიდნენ. გორდონი და ჟივაგო საღამოხანს შინ ბრუნდებოდნენ. მზე ჩადიოდა. ერთ-ერთ სოფელში, რომელსაც გვერდით ჩაუქროლეს, გარშემო მყოფთა საერთო სიცილ-ხარხარში რომელიღაც ახალწამოჩიტული კაზაკი სპილენძის შაურიანს მაღლა ისროდა და გრძელ სერთუკიან, ჭაღარა წვერიან მოხუც ებრაელს აიძულებდა, ჰაერში დაეჭირა. მოხუცს ფული ერთთავად უვარდებოდა. შაურიანი მის საცოდავად გაფარჩხულ ხელებს სცდებოდა და ტალახში ეცემოდა. მოხუცი მის ასაღებად იხრებოდა, ხოლო კაზაკი წამსვე დროს იხელთებდა და უკანალში უტყაპუნებდა სასეიროდ შეყრილნი ხელებს მუცელზე იკიდებდნენ და სიცილით, იჭაჭებოდნენ. მთელი გართობაც ამაში იყო. ეს ოინბაზობა ჯერჯერობით

უწყინარ თამაშობად გამოიყურებოდა, მაგრამ არავის შეეძლო იმის თავ-დებობა, რომ საბოლოოდ ცუდ ამბავში არ გადაიზრდებოდა. მოპირდა-პირე ქოხიდან დროდადრო წივილ-კივილით გამორბოდა იმ კაცის დედა-ბერი, მოხუცისაკენ ხელებს იწვდიდა და რაღაცას გაჰკიოდა, მაგრამ დამ-ფრთხალი და შეშინებული ისევ უკან იმალებოდა. ქოხის ფანჯრიდან ორი ატირებული გოგონა იყურებოდა.

მესაზიდრეს ყოველივე ეს სასაცილოდ მოეჩვენა და, ბატონებს თავი რომ შეექციათ, ცხენებს ფეხი შეანელებინა, მაგრამ ჟივაგომ კაზაკი იხმო, მაგრად შეახურა და უბრძანა, ეს უხამსობა შეეწყვიტა.

– მესმის, თქვენო კეთილშობილებავ, – მორჩილად მიუგო კაზაკმა. – განა თუ დავცინით, ვეხუმრებით.

დანარჩენ გზაზე გორდონი და ჟივაგო დუმდნენ.

– საშინელებაა, – დაიწყო იური ანდრეევიჩმა, როცა მათი სოფელი გამოჩნდა. – ვერც კი წარმოიდგენ, რა ბალღამი იწვნია ამ ომში საცო-დავმა ებრაელობამ. თანაც ბრძოლები სწორედ მისი იძულებითი დასახ-ლების ზოლშია გაჩაღებული. განცდილი და გადატანილი ტანჯვა-ვაების, გადასახადებისა და გაღატაკების გარდა კიდეც აწიოკებენ, დას-ცინიან და ბრალსა სდებენ, რომ ამ ადამიანებს არასაკმარისი პატრიო-ტიზმი ახასიათებთ. ერთი მითხარი, საიდან უნდა ჰქონდეთ ეს გრძნობა, როცა მტერთან ყველანაირი უფლებები აქვთ, ჩვენთან კი მათი ხვედრი მხოლოდ დევნაა. არადა, სწორედ მათ მიმართ სიძულვილის საფუძვე-ლია წინააღმდეგობრივი. გაღიზიანებას სწორედ ის იწვევს, რაც თავის-თავად თანაგრძნობის და თანალმობის საფუძვლად უნდა ქცეულიყო: მათი სიღარიბე და ერთად თავმოყრა, მათი სისუსტე და დარტყმების აცილების უუნარობა. გაუგებარია, რაღაც საბედისწეროა ამ საქმეში.

გორდონი დუმდა.

და აი, ისინი კვლავ გრძელი, ვიწრო ფანჯრის ორივე მხარეს იწვნენ. ღამე იყო და საუბრობდნენ.

ჟივაგო უამბობდა გორდონს, როგორ ნახა ხელმწიფე ფრონტზე. კარგად ჰყვებოდა.

ეს ამბავი ფრონტზე მისი ყოფნის პირველივე გაზაფხულზე მოხდა. ნაწილის შტაბი, სადაც იგი იყო გაგზავნილი, კარპატებში იდგა, ერთ ქვაბურში, რომლის შემოსასვლელსაც უნგრეთის ველის მხრიდან ის სამხედრო ნაწილი ჰკეტავდა.

ქვაბურის ძირში რკინიგზის სადგური იყო. ჟივაგო უხატავდა გორდონს იმ ადგილების გარეგნულ სახეს, ვეებერთელა ნაძვებით და ფიჭვებით შემოსილ მთებს, მათ მწვერვალებზე შემორჩენილი თეთრი ღრუბლების ნაფლეთებს და ნაცრისფერი შიფერისა თუ გრაფიტის კლდეების ფრიალოებს, რომლებიც უღრან ტყეებში აქა-იქ ბებერი ბარის ქედივით ჩანდა. იმ ფრიალოებივით ნაცრისფერი და ნესტიანი აპრილის ღრუბლიანი დილა იყო, ყოველი მხრიდან შემოჯარული მწვერვალებისაგან ჩაჟამებული და ჩამოქურუხებული. ცხელოდა. ქვაბურს ბუღი ასდიოდა. ყველაფერი ორთქლის ოხშივარში იყო გახვეული – სადგურის ორთქლმავლები, მდელოები, ნაცრისფერი მთები, ჩაღამებული ტყეები თუ ლეგა ღრუბლები.

იმ დღეებში ხელმწიფე გალიციაში მოგზაურობდა. უეცრად ხმა დაირხა, ამ ნაწილშიც ჩამოვა, მის შეფად ხომ თავად ითვლებაო. წუთიწუთზე ელოდებოდნენ. მასთან შესახვედრად ბაქანზე საპატიო ყარაული ჩაამწკრივეს. გავიდა მომქანცველი ლოდინის რამდენიმე საათი. მერე ერთიმეორის მიყოლებით ჩაიქროლა სამეფო ამალის ორმა მატარებელმა. მცირე ხნის შემდეგ თავად ხელმწიფეც შემობრძანდა. გრენადერთა მწკრივებს დიდი მთავრის – ნიკოლაი ნიკოლაევიჩის თანხლებით ჩამოუარა. თავისი ჩუმი მისალმების ყოველი სიტყვით იგი დამხვდურთა ჭექა-

ქუხილივით აგორებულ ვაშას იწვევდა.

ქვეყნის შეცბუნებული და მომღიმარე მესვეური უფრო მობერებული და მოფორჩოტებული ჩანდა, ვიდრე ფულზე და მედლებზე იყო გამოსახული. ჩამომჭკნარი, ოდნავ შეშუპებული სახე ჰქონდა. დამნაშავესავით წარამარა ნიკოლაი ნიკოლაევიჩს აპყრობდა მზერას, არ იცოდა, ამა თუ იმ შემთხვევაში რა მოეთხოვებოდა. ნიკოლაი ნიკოლაევიჩიც მოწიწებით იხრებოდა მის ყურთან და, ასე გასინჯეთ, შექმნილი მდგომარეობიდან სიტყვით კი არა, წარბის ან მხრის მოძრაობით გამოჰყავდა, იმ ნაცრისფერი, თბილი დილით მეფე ნამდვილად შეგეცოდებოდათ და იმის გაფიქრებაც კი შეგზარავდათ, რომ ასეთ მშიშარა თავშეკავებას და მორცხვობას შეუძლია იყოს მჩაგვრელის არსი, რომ ამ სისუსტით ხდება სიკვდილით დასჯა და შეწყალება, ბორკილის დადება თუ მისი ახსნა.

– რაღაც ამგვარი უნდა წარმოეთქვა: „მე, ჩემი მახვილი და ჩემი ხალხი, – როგორც ამას ვილჰელმი შვრება, ან რაღაც მსგავსი რამ, მაგრამ უთუოდ ხალხზე უნდა ეთქვა, ეს აუცილებელი იყო. თუმცა, ხომ გესმის, ის რუსულად ბუნებრივი იყო და ტრაგიკულად მაღლა იდგა ამ სიმდაბლეზე. რუსეთში ხომ წარმოუდგენელია ეს თეატრალობა. იმიტომ რომ თეატრალობაა, ხომ მართალია? მე კიდევ მესმის, როგორ იყვნენ ხალხები ცეზარის დროს, რომელიმე გალები, სვევები ან ილირიელები, მაგრამ მას შემდეგ ეს ხომ მარტოოდენ გამონაგონია, რომელიც იმისათვის არსებობს, რომ მის თაობაზე მეფეებმა, მოღვაწეებმა და მმართველებმა წარმოთქვან სიტყვები: ხალხი, ჩემი ხალხი... ახლა ფრონტი კორესპონდენტებით და ჟურნალისტებითაა სავსე. იწერენ „დაკვირვებებს", ბრძნულ ხალხურ გამონათქვამებს, ათვალიერებენ დაჭრილებს, ხალხური სულის ახალ თეორიას აშენებენ. ეს თავისებური ახალი დალია, ისეთივე გამოგონილი, ენაჭარტალობის ლინგვისტური გრაფომანია. ეს ერთი ტიპია. არის მეორეც. ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი, „შტრიხები და სურათები", სკეპტიციზმი, მიზანთროპია. მაგალითად, ერთს ასეთი სენტენ-

ციები აქვს (თავად წავიკითხე): „გუშინდელივით ნაცრისფერი დღეა. დილიდან წვიმს, ჭყაპია. ფანჯრიდან გავყურებ გზას. მასზე უსასრულო მწკრივად მიემართებიან ტყვეები. მიჰყავთ დაჭრილები. ისვრის ქვემეხი. ისევ ისვრის, დღეს, როგორც გუშინ, ხვალ, როგორც დღეს, და ასე ყოველდღე და ყოველ საათს...” წარმოგიდგენია, რა გამჭრიახი, რა გონებამახვილური აზრებია! ვითომდა, ქვემეხმა რა დააშავა? უცნაურია, ღმერთმანი, ქვემეხს მრავალფეროვნება მოსთხოვოს კაცმა. ქვემეხის ნაცვლად რატომ თავისი თავისა არ უკვირს, ყოველდღე რომ ისვრის რიცხვებს, მძიმეებს და ფრაზებს, საჟურნალო კაცთმოყვარეობის რწყილის ნახტომებივით ნაჩქარევ სროლას რატომ არა წყვეტს? როგორ ვერ გაუგია, რომ ქვემეხი კი არა, ის უნდა ახლდებოდეს და არ მეორდებოდეს, რომ ბლოკნოტში დაგროვებული დიდძალი უაზრობა აზრს არასოდეს შეიძენს, რომ არ არსებობს ფაქტები, ვიდრე ადამიანი მათში რაღაც თავისას, თავისთავადი ადამიანური გენიის რაღაც ნაწილს, რაღაც ზღაპარს არ შეიტანს.

– საოცრად მართალი ხარ, – გააწყვეტინა გორდონმა. – ახლა კი გიპასუხებ იმ სცენის თაობაზე, რომელიც დღეს ვნახეთ. ის კაზაკიც, საცოდავ მოხუცს რომ ამასხარავებდა, ისევე, როგორც ათასობით მსგავსი შემთხვევა, რაღა თქმა უნდა, იმ უმარტივეს სიმდაბლეთა მაგალითია, რომელთა შესახებ კი არ ფილოსოფოსობენ, პირდაპირ სიფათში უბრახუნებენ. რაც შეეხება საერთოდ ებრაელობას, მთლიანობაში მას ფილოსოფია მიესადაგება, და მაშინ იგი მოულოდნელი კუთხით წარმოგვიდგება. თუმცა, ხომ იცი, ახალს ვერაფერს გეტყვი. ეს აზრები მეც შენსავით ბიძაშენისგან მაქვს ნასესხები.

რა არის ხალხიო, – მეკითხები. საჭიროა თუ არა მასთან ლოლიაობა და განა მისთვის ის უფრო მეტს არ აკეთებს, ვინც მასზე არ ფიქრობს, თავისი საქმის სილამაზით და დიდებულებით გაიყოლიებს, განადიდებს და უკვდავჰყოფს? რასაკვირველია, რასაკვირველია. ან რომელ ხალხებ-

ზე შეიძლება ლაპარაკი ქრისტიანულ დროში? ეს ხომ უბრალოდ ხალხები კი არა, მოქცეული, სახეცვლილი ხალხებია, და საქმეც სწორედ გარდაქმნაშია და არა ძველისძველი საფუძვლების ერთგულებაში. სახარება გავიხსენოთ. რას ამბობდა იგი ამის თაობაზე? პირველ რიგში, იგი არ იყო მტკიცება: გინდათ თუ არა, ასე და ასეაო. ეს იყო გულუბრყვილო და გაუბედავი წინადადება. იგი გვთავაზობდა: გინდათ თუ არა ახლებურად არსებობა, დღეს აქამომდე რომ არ ყოფილა, ან თუ სურს თქვენს სულს ნეტარებაო? ყველამ მიიღო ეს წინადადება და ათასწლობით დაპყრობილებიც აღმოჩნდნენ.

როცა იგი ჰქადაგებდა, ღვთის საუფლოში არა არს ელინი, არცა ურიაო[60], განა მარტო იმის თქმა სურდა, ღვთის წინაშე ყველა თანასწორიაო? არა, ეს საამისოდ არა თქმულა. მანამდე ეს იცოდნენ ბერძენმა ფილოსოფოსებმა, რომაელმა მორალისტებმა, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმა. ის კი ამბობდა: არსებობის იმ სანუკვარ ახალ წესში, ურთიერთობის ახალ სახეში, საუფლო ღვთისა რომ ეწოდება, არ არიან ხალხები, არიან პიროვნებებიო.

აი, შენ ამბობდი, ფაქტი უაზროა, თუ მასში აზრს არ შევიტანთო. ქრისტიანობა, პიროვნების მისტერია სწორედ ის არის, რაც ფაქტში უნდა შევიტანოთ, რომ მან ადამიანისათვის მნიშვნელობა შეიძინოს.

ჩვენ ვსაუბრობდით საშუალო მოღვაწეებზე, რომელთაც ცხოვრებისა და სამყაროსათვის სათქმელი არაფერი აქვთ, მეორეხარისხოვან ძალებზე, რომლებიც საკითხის დამცრობას ესწრაფვიან, რომ გაუთავებლად იყოს ლაპარაკი რომელიღაც ხალხზე, უმჯობესია მცირეზე, რათა იგი იტანჯებოდეს, იმისათვის, რომ მათ განსაჯონ, მათვე განაგონ და სიბრალულზე ხელი მოითბონ. ამ სტიქიის სრული და განუყოფელი მსხვერპლი ებრაელობაა. ეროვნული აზრით მას უსიკვდილოდ აქვს დაკისრებული

[60] იხ. პავლე მოციქულის ეპისტოლენი რომაელთა მიმართ (10.12) „ვინაიდან არ არის განსხვავება იუდეველსა და ელინს შორის, რამეთუ ერთია ყველას უფალი, გულუხვი ყველას მიმართ, ვინც უხმობს მას”.

იყოს და დარჩეს ხალხად და მხოლოდ ხალხად საუკუნეების მანძილზე, რომლის განმავლობაშიც ოდესღაც მისი რიგებიდან გამოსული ძალით მთელი მსოფლიო განთავისუფლებულია ამ დამამცირებელი ამოცანისაგან. რა საოცარია! როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? ეს დღესასწაული, უფერულობის მაჯლაჯუნისაგან განთავისუფლება, ყოველდღიურობის ჭკუათხელობაზე ეს გამარჯვება, ყოველივე ეს მათ მიწაზე გაჩნდა, მათ ენაზე ლაპარაკობდა და მათივე ტომს ეკუთვნოდა, ნუთუ ისინი ხედავდნენ ამას, ესმოდათ მისი, ბოლოს კი მაინც ზურგი აქციეს? ხელიდან გაუშვეს? როგორ შეეძლოთ ეულად მიეტოვებინათ ასეთი სილამაზისა და ძალის სული, როგორ შეეძლოთ ეფიქრათ, რომ მის ზეიმთან და ზეობასთან ერთად ისინი ამ სასწაულის ცარიელ გარსად დარჩებოდნენ, რომელიც ერთ დროს შორს მოისროლეს. ვის აწყობს ამგვარი ნებითი მოწამეობა, ვის სჭირდება, რომ ამდენი უდანაშაულო მოხუცი, ქალი და ბავშვი საუკუნეობით დაცინვასა და დამცირებაში იმყოფებოდეს, სისხლიდან იცლებოდეს, ეს დახვეწილი, სიკეთისა და გულითადი ურთიერთობისაკენ მიდრეკილი ხალხი! რატომ არიან ყველა ეროვნების ხალხის ქომაგი მწერლები ესოდენ უნდილნი და უნიჭონი? ამ ხალხის ფიქრთა მპყრობელნი მსოფლიო ჭმუნვის ეგზომ ადვილად მისაღწევ ფორმებსა და დამცინავ სიბრძნეს რატომ ვერ გასცდნენ? თავისი მარად მოუშორებელი ვალისაგან ორთქლის ქვაბივით გასკდომის რისკს რომ ეწევიან, იმთავითვე რატომ არ გაათავისუფლეს ეს რაზმი, რომელიც, უფალმა უწყის, რისთვის იბრძვის და რისთვის განიცდის ტანჯვა-გვემას? რატომ არ უთხრეს: „გონს მოდით. კმარა. მეტი აღარაა საჭირო. ძველი სახელი გამოიცვალეთ. გუნდად ნუ იკვრებით, დაიშალენით. ყველასთან იყავით. თქვენ მსოფლიოში პირველი და საუკეთესო, ქრისტიანები ზართ. თქვენ სწორედ ის ხართ, ვისაც გიპირისპირებდნენ ყველაზე სუსტი და უარესი თვისტომნი”.

13

მეორე დღეს სადილად მოსულმა ჟივაგომ გორდონს უთხრა:

– ხომ ხედავ, სულ იმას გაიძახოდი, ნეტავ აქედან როდის გავაღწევო და ენამ გიყივლა. საბედნიეროდ-მეთქი, ვერ გეტყვი, რადგან ეს რა ბედნიერებაა, როცა კვლავ გვავიწროვებენ და ვინ იცის, იქნებ კუთხეშიც მიგვიმწყვდიეს. გზა აღმოსავლეთისაკენ თავისუფალია, დასავლეთიდან კი გვაწვებიან. ყველა სამხედრო-სანიტარულ დაწესებულებას ნაბრძანები აქვს ბარგი შეკრას. ხვალ ან ზეგ ავიყრებით. საით წავალთ, არავინ იცის. მიხეილ გრიგორევიჩის, კარპენკოს სარეცხი კი, რასაკვირველია, გასარეცხია. სულ ასეა. კაცმა რომ ჰკითხოს, პეწენიკობაზე სდებს თავს, მაგრამ ეს რა პეწენიკობაა, თვითონაც არ იცის ამ ბრიყვმა.

ჟივაგო არც კი უსმენდა, დენშჩიკი-სანიტარი თავის გასამართლებლად რას ლუღლუღებდა და არც გორდონს აქცევდა ყურადღებას, რომელიც ნაწყენი იყო, რომ ამდენ ხანს მის პერანგს ატარებდა და ახლაც იმითვე უნდა წასულიყო. იური ანდრეევიჩი კი განაგრძობდა: – ეჰ, ჩვენი ლაშქრული ცხოვრება ბოშების წანწალსა ჰგავს. აქ რომ ჩამოვედით, არაფერი მეჩემებოდა – მეგონა, არც ღუმელი იდგა თავის ადგილზე და არც ჭერსა ჰქონდა საკმაო სიმაღლე, ტალახიც იყო და დახუთული ჰაერიც. ახლა კი მომკალი და აღარ მახსოვს, აქამდე სად ვიდექით. ახლა ღუმელის ამ კუთხის შორენკეცებზე გამოხატულ მზესა და მასზე გზის პირას მდგარი ხის მოძრავ ჩრდილს რომ ვუყურებ, ასე მგონია, აქ მთელ საუკუნეს ვიცხოვრებდი.

აუჩქარებლად შეუდგნენ ბარგის ჩალაგებას.

ღამით სამივენი ხმაურმა, ყვირილმა, სროლამ და სირბილმა გამოაღვიძა. სოფელი ავბედითად იყო განათებული. ფანჯრის მიღმა ლანდები დაბორიალობდნენ. კედელს იქით სახლის პატრონებსაც გაეღვიძათ და აჩოჩქოლდნენ.

– აბა, ერთი ქუჩაში გავარდი, კარპენკო, იკითხე, რა ალიაქოთია. –

უთხრა იური ანდრეევიჩმა.

მალე ყველაფერი ნათელი გახდა. ჰაიჰარად ჩაცმული ჟივაგო დარხეული ხმების შესამოწმებლად უკვე ლაზარეთში იყო. რასაც ამბობდნენ, გამართლდა. ამ უბანზე გერმანელებს წინააღმდეგობა გაეტეხათ. თურმე ნუ იტყვით, თავდაცვის ხაზმა სოფლისკენ გადმოინაცვლა და სულ უფრო ახლოვდებოდა. სოფელი სროლის არეში მოქცეულიყო. ევაკუაციის ბრძანებას არც კი დალოდებიან, ლაზარეთი და სხვა დანარჩენი დაწესებულებანი სასწრაფოდ გაჰქონდათ. თანაც ყველაფრის მოთავებას განთიადამდე ვარაუდობდნენ.

– შენ პირველივე ეშელონით წახვალ, ლინეიკა ახლავე გადის, მაგრამ ვუთხარი, დაგლოდებოდნენ. აბა, მშვიდობით. გაგაცილებ და ვნახავ, როგორ დაგსვამენ.

სოფლის მეორე ნაპირისაკენ ეშურებოდნენ, სადაც რაზმს ამზადებდნენ. სახლების კედელ-კედელ გარბოდნენ, თავებს დაბლა ხრიდნენ და მათ შვერილებს ეფარებოდნენ. ქუჩაში ტყვიები მღეროდნენ და ზუზუნებდნენ. მინდორში გზათა გასაყარიდან მოჩანდა, გამსკდარი შრაპნელის ალი თავს ზემოთ ქოლგებივით როგორ ეკიდათ.

– შენ რაღას იზამ? – სირბილ-სირბილით ეკითხებოდა გორდონი, – მერე წამოვალ. ისევ მომიწევს სახლში დაბრუნება ნივთების წამოსაღებად. მეორე ჯგუფს გამოვყვები.

ერთმანეთს სოფლის პირას დაემშვიდობნენ. აღალში რამდენიმე ფორანი და ლინეიკა იყო. დაძვრისას ერთურთს მიაწყდნენ, მაგრამ თანდათან ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. იური ანდრეევიჩმა ადგილიდან დაძრულ ამხანაგს ხელი დაუქნია იქაურობას ცეცხლმოდებული ფარდული ანათებდა.

უკან მიბრუნებული იური ანდრეევიჩი კვლავ ქოხების გასწვრივ გარბოდა და თან ცდილობდა, მათ კუთხეებს აჰფარებოდა. მის პარმაღამდე ორიოდე სახლიღა იყო დარჩენილი, როცა აფეთქების ტალღამ ძირს დასცა. შრაპნელის ტყვიაც მოხვდა. სისხლში ამოსვრილი იური ანდრეევიჩი

ზედ შუა გზაზე გაიშხლართა და გონება დაკარგა.

14

საევაკუაციო ჰოსპიტალი დასავლეთის მხარის ერთ პატარა ქალაქში, რკინიგზის პირას, ბანაკის მახლობლად იყო მოთავსებული. თებერვლის მიწურულის თბილი დღეები იდგა. მომჯობინებულთა საოფიცრო პალატაში სამკურნალოდ მყოფი იური ანდრეევიჩის თხოვნით მისი საწოლის სიახლოვეს ფანჯარა იყო გამოღებული.

სადილობა ახლოვდებოდა. ავადმყოფები თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებულნი. ამასობაში გამოაცხადეს, ჰოსპიტალში ახალი მოწყალების და ჩამოვიდა და დღეს პირველად ჩამოგივლითო. იური ანდრეევიჩის პირდაპირ მწოლი გალიულინი ახლად მიღებულ „რეჩს"[61] და „რუსსკოე სლოვოს" ათვალიერებდა, თან ცენზურის მიერ ამოღებული ადგილების გამო აღშფოთებას ვერ მალავდა. იური ანდრეევიჩი საველე ფოსტაში დაგროვილ და ახლახან მოტანილ ტონიას წერილებს კითხულობდა. ქარი აშრიალებდა წერილებს და გაზეთის ფურცლებს. ანაზდად მსუბუქი ნაბიჯის ხმა მოისმა. იური ანდრეევიჩმა წერილიდან თავი ასწია. პალატაში ლარა შემოვიდა.

იური ანდრეევიჩმა და პოდპორუჩიკმა ერთმანეთის შეუმჩნევლად იცნეს იგი. ლარა კი არც ერთს იცნობდა და არც მეორეს.

– გამარჯობათ. ფანჯარა რატომ გაგიღიათ? არა გცივათ? – თქვა და გალიულინთან მივიდა.

– რას უჩივით? – ჰკითხა და მაჯის გასასინჯად დაიხარა, მაგრამ შემკრთალმა მყისვე გაუშვა ხელი და, საგონებელში ჩავარდნილი, კაცის საწოლთან მიდგმულ სკამზე ჩამოჯდა.

---

[61] „რეჩი" – ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1906-1917 წლებში.

– რა მოულოდნელობაა, ლარისა ფეოდოროვნა, – უთხრა გალიულინმა. – მე და თქვენი ქმარი ერთ პოლკში ვმსახურობდით და ვიცნობდი პაველ პავლოვიჩს. მისი ნივთები უნდა გადმოგცეთ.

– შეუძლებელია, შეუძლებელი, – იმეორებდა ლარა, – რა საოცარი დამთხვევაა. მაშ იცნობდით? ჩქარა მომიყევით, როგორ მოხდა ეს ყველაფერი? განა არ დაიღუპა, მიწაში არ ჩაიმარხა? ნურაფერს დამიმალავთ, ნუ გეშინიათ. მე ხომ ყველაფერი ვიცი.

გალიულინს გამბედაობა არ ეყო, ქალის მიერ ყურმოკრული ამბავი დაედასტურებინა. მის დასამშვიდებლად გადაწყვიტა ეცრუა.

– ანტიპოვი ტყვედ ჩავარდა. – უთხრა მან. – შეტევის დროს თავისი ნაწილით მეტისმეტად წინ გაიჭრა და მარტოდმარტო დარჩა. ალყა შემოარტყეს და, იმასაც მეტი რა ჩარა ჰქონდა, იძულებული იყო დანებებოდა.

მაგრამ ლარამ გალიულინს არ დაუჯერა. საუბრის თავზარდამცემმა უცაბედობამ ააღელვა. ღაპაღუპით წამოსულ ცრემლებს ვეღარ იკავებდა, თან უცხო ხალხთან ტირილიც არ უნდოდა. თავს რომ მორეოდა, საჩქაროდ წამოდგა და პალატიდან დერეფანში გავიდა.

ერთი წუთის შემდეგ პალატაში გარეგნულად დამშვიდებული დაბრუნდა, კვლავ რომ არ აქვითინებულიყო, გალიულინის კუთხისკენ აღარ იხედებოდა. პირდაპირ იური ანდრეევიჩის საწოლთან მივიდა და დაბნეულად უთხრა გაზეპირებული სიტყვები:

– გამარჯობათ. რას უჩივით?

იური ანდრეევიჩმა მისი მღელვარება და ცრემლები შენიშნა. უნდოდა ეკითხა, რა მოგივიდათო, იმისი მოყოლაც სურდა, თუ როგორ ნახა სიცოცხლეში ორჯერ, გიმნაზიელობისა და სტუდენტობისას, მაგრამ იფიქრა, კადნიერებაში ჩამომართმევს და არასწორად გამიგებსო. მერე უეცრად სივცევში კუბოში მწოლი მიცვალებული ანა ივანოვნა და ტონიას კივილი გაახსენდა, თავი შეიკავა და ყოველივე ამის სანაცვლოდ მიუგო:

– გმადლობთ. მე თვითონ ექიმი გახლავართ და თავს საკუთარი ძალებით ვმკურნალობ. ნუ შეწუხდებით.

– რა ეწყინა ამ კაცს ჩემგან? – გაიფიქრა ლარამ და გაკვირვებით შეხედა ამ პაჭუა ცხვირიან, სხვისგან არაფრით გამორჩეულ უცნობს, რამდენიმე დღე ცვალებადი ამინდი იდგა, ღამ-ღამობით თბილი ქარი ქროდა და სველი მიწის სუნი მოჰქონდა.

მთელი ის დღეები ბანაკიდან უცნაური ცნობები მოდიოდა, სახლიდან და ქვეყნის შიგნიდანაც საგანგაშო ხმები აღწევდა. პეტერბურგთან სატელეგრაფო ხაზი წყდებოდა. ყველგან, ყველა კუთხე-კუნჭულში პოლიტიკაზე საუბრობდნენ.

მორიგეობისას მოწყალების დას – ანტიპოვას ორი შემოვლა ჰქონდა – დილით და საღამოთი. ავადმყოფებს სათითაოდ ჩამოუვლიდა ხოლმე და თითო-ოროლა უმნიშვნელო შენიშვნას აძლევდა სხვა პალატებშიც, გალიულინსაც და იური ანდრეევიჩსაც. – რა უცნაური, რა თავისებური ადამიანია, – ფიქრობდა ქალი. – ახალგაზრდაა, მაგრამ თავაზიანობის ნიშანწყალიც არ ეტყობა. პაჭუა ცხვირის პატრონია, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ცოცხალი, მიმზიდველი გონება აქვს. თუმცა საქმე ამაში როდია. რაც შეიძლება, მალე უნდა მოვითავო აქაური საქმეები და მოსკოვში, კატენკასთან უფრო ახლო გადავიდე. იქ კი მოწყალების დობას უნდა გამოვეთხოვო და შინ, იურიატინში, გიმნაზიას დავუბრუნდე. საცოდავი პატულიკოს საქმე ხომ ცხადზე ცხადია, იმედის ნასახიც აღარ დამრჩენია, მაშ ბრძოლის ველზე ამ მატრაკვეცობას რაღა თავში ვიხლი, ეს ყველაფერი ხომ მისი კვალის მისაგნებად იყო შეთხზული.

ნეტავი ახლა კატენკა როგორღაა? საბრალო ობოლი (აქ ცრემლი მოერია) ბოლო ხანებში მკვეთრი ცვლილებები შეინიშნება. სულ ახლახან იყო, სამშობლოს წინაშე მოვალეობა, მხედრული ღირსება, ამაღლებული საზოგადოებრივი გრძნობები წმიდათა წმიდად რომ ითვლებოდა. მაგრამ ომი წაგებულია, – ეს არის მთავარი უბედურება და ყველაფერი აქედან გამომდინარეობს, ყოველივე გაჰქრა და განქარდა, აღარაფერი არ არის

წმინდა.

უეცრად ყველაფერი შეიცვალა, კილოც, ჰაერიც, კაცმა არ იცის, რა იფიქროს და ყური ვის უგდოს. თითქოს მთელი ცხოვრება პატარასავით დაატარებდნენ და უცებ შემოეცალნენ, წადი და სიარული თავად ისწავლეო. თანაც გარშემო არავინაა, არც ახლობელი, არც სანდო კაცი. ამგვარ ყოფაში ყველაზე მთავარს გინდა ენდო, ძალს ცხოვრებისას, სილამაზეს ანდა სიმართლეს, რომ მარტოოდენ ისინი და არა ადამიანის მიერ ხელდასხმული, ყავლგადასული მითითებები წარმართავდნენ სრულად და დაუნანებლად, უფრო სრულად, ვიდრე მზედაწვერილი და დაუქმებული, ჩვეულებრივი მშვიდი ცხოვრებისას იყო. მაგრამ მის შემთხვევაში, – დროულად იაზრა ლარამ, – ამგვარი მიზანი და უცილობლობა კატენკა იქნება. ახლა, პატულიას გარეშე ლარა მხოლოდ დედაა და მთელ ძალებს კატენკას – საბრალო ობოლ გოგონას შესწირავს.

იური ანდრეევიჩს სწერდნენ, გორდონმა და დუდოროვმა შენი ნებართვის გარეშე დასტამბესო შენი წიგნი. ფრიად გაქებენ და დიდ ლიტერატურულ მომავალსაც გიწინასწარმეტყველებენო. მოსკოვში ახლა საინტერესო და საგანგაშო ჟამია, დღითიდღე იზრდება საზოგადოების დაბალი ფენების დრტვინვა და რაღაც დიდმნიშვნელოვანის კარიბჭესთან ვდგავართ, სერიოზული პოლიტიკური მოვლენები ახლოვდებაო, გვიანი ღამე იყო. იური ანდრეევიჩს ძილი საშინლად მოსძალებოდა. წარამარა თვლემა ერეოდა და ეჩვენებოდა, დღისით გადატანილი მღელვარების მერე არ შემიძლია დაძინება და არცა მძინავსო, ფანჯრის იქით კი ამთქნარებდა და ფუთფუთებდა ნამძინარევი, ძილმორეული ქარი, ქარი ქვითინებდა და ტიტინებდა: „ტონია, შურაჩკა, როგორ მომენატრეთ, როგორ მენატრება სახლი, სამუშაო!” და ქარის ბუტბუტში იური ანდრეევიჩს ეძინა, იღვიძებდა და კვლავ იძინებდა ბედნიერებისა და ტანჯვის ამ ცვალებადი ამინდივით, ამ მერყევი ღამესავით მსწრაფლ ცვალებადობაში.

ლარამ იფიქრა: „იმ კაცმა ამდენი მზრუნველობა გამოიჩინა, ეს სახსოვარი, პატულიკოს ეს საცოდავი ნივთები რომ შემინახა, მე კი რა ღორი

ვარ, არც კი ვკითხე, ვინ არის და საიდანაარ". მეორე დილის შემოვლისთანავე შეცდომა გამოასწორა და თავისი უმადურობის კვალის წასაშლელად გალიულინს ამ მთისა და იმ ბარისა გამოჰკითხა, შესაცხადებელი შეიცხადა და სავიშვიშოც ივიშვიშა. „დიდება, ღმერთო, შენს განგებას! ბრესტის ოცდარვა, ტივერზინები, ათას ცხრაას ხუთი წლის რევოლუციური ზამთარი! იუსუფკა? არა, იუსუფკას არც ვიცნობდი და არც მახსოვს, მომიტევეთ. მაგრამ ის წელი, ის წელი და ეზო! ეს ხომ მართალია, ასეთი ეზო და ამგვარი წელი ხომ ნამდვილად არსებობდა. ო, რა აშკარად განიცადა კიდევ ერთხელ ეს ყოველივე! მაშინდელი სროლაც და (რა ერქვა, ღმერთო, გამახსენე) „ქრისტესმიერი აზრი"! ო, რა ძლიერად, რა გამჭრიახად განიცდიან ბავშვობაში, პირველად! მაპატიეთ, მაპატიეთ, თქვენი სახელი მიბრძანეთ, პოდპორუჩიკ! დიახ, დიახ, ერთხელ უკვე მითხარით. გმადლობთ. ო, რომ იცოდეთ, როგორი მადლობელი ვარ თქვენი, ოსიპ გიმაზეტდინოვიჩ, ეს რა მოგონებები, რა აზრები ამიშალეთ!

მთელი დღე „ის ეზო" გონებიდან არ შორდებოდა, ერთთავად ოხრავდა და საკუთარ თავს თითქმის ხმამაღლა ესაუბრებოდა.

წარმოგიდგენიათ, ბრესტის ოცდარვა! და აი, ახლაც სროლაა, მაგრამ რამდენად უფრო საშინელი! ეს იმ „ბიჭების სროლა" არ გეგონოთ. ბიჭები წამოიზარდნენ და ყველანი აქ არიან, ჯარისკაცებში, მთელი უბრალო ხალხი იმ ეზოებიდან და იმგვარივე სოფლებიდან არიან. საოცარია! საოცარია!

ოთახში, მეზობელი პალატებიდან ჯოხებისა და ყავარჯნების ბრახუნით შემოვიდნენ, შემოცვივდნენ და შემოჩლახუნდნენ ხეიბრები და მოსიარულე ავადმყოფები, ერთმანეთს არ აცდიდნენ, ისე გაჰყვიროდნენ: – განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენები. პეტერბურგის ქუჩებში არეულობაა. პეტერბურგის გარნიზონის ჯარები აჯანყებულთა მხარზე გადავიდნენ. რევოლუციაა!

ნაწილი მეხუთე

გამოთხოვება ძველთან

1

ქალაქს მელიუზეევი ერქვა. იგი შავმიწანიადაგიან ზოლში იყო გაშენებული. უსასრულო ნაკადად მოზღვავებული ჯარებისა და აღალებისაგან ამდგარი შავი მტვერი სახურავების თავზე კალიების ღრუბელივით ჩამოწოლილიყო. დილიდან საღამომდე ორივე მხრიდან გაუთავებლად მოდიოდნენ, ზოგი ომში მიეშურებოდა, ზოგიც იქიდან ბრუნდებოდა და კაცი ვერ გაიგებდა, დამთავრდა იგი თუ კვლავ გრძელდებოდა. ყოველდღე გაუთავებლად, სოკოებივით ჩნდებოდნენ ახალ-ახალი თანამდებობანი. ყველგან არჩევნები იყო გაჩაღებული. პორუჩიკი გალიულინიც აირჩიეს, მოწყალების და ანტიპოვაც და კიდევ რამდენიმე სხვაც მათი ამქრიდან, უკლებლივ ყველანი დიდ-დიდი ქალაქებიდან იყვნენ, წუთისოფლის ავ-კარგის მცოდნენი, გამოცდილნი და გამოჯეგილნი.

რიგრიგობით ისხდნენ ქალაქის თვითმმართველობაში, წვრილწვრილ ადგილებზე არმიასა თუ სანიტარულ ნაწილში კომისრებად მსახურობდნენ და ამგვარი საქმიანობის მონაცვლეობას სუფთა ჰაერზე გართობასავით, დაჭერობანას თამაშივით უყურებდნენ. მაგრამ სულ უფრო ხშირად ბეზრდებოდათ ეს დაჭერობანა, თავ-თავიანთი სახლები და მუდმივი საქმეები ენატრებოდათ.

მუშაობისას ჟივაგო ხშირად ხვდებოდა ანტიპოვას.

2

წვიმის დროს ქალაქის შავი მტვერი მუქ ყავისფერ ტლაპოდ იქცეოდა ხოლმე და მოუკირწყლავ ქუჩებს ატალახებდა.

ქალაქი არც ისე დიდი იყო. ნებისმიერი ადგილიდან ორიოდე ნაბიჯზე, მოსახვევს იქით პირქუში ველი, ჩაშავბნელებული ცა, ომის სივრცეები, რევოლუციის სივრცეები იშლებოდა.

იური ანდრეევიჩი ცოლს სწერდა:

„არმიაში რღვევა და ანარქია გრძელდება. ცდილობენ ჯარისკაცებში დისციპლინა და მებრძოლი სული გააძლიერონ. ამასწინათ ახლომახლო განლაგებული ნაწილები მოვიარე.

ბოლოს ერთი რამეც უნდა შეგატყობინო, თუმცა ამაზე შემეძლო გაცილებით ადრეც მომეწერა, – მე აქ ყოველ წუთს გვერდში მიდგას ვინმე ანტიპოვა, ურალში დაბადებული მოსკოველი მოწყალების და. გახსოვს, ნაძვის ხეზე, დედაშენის სიკვდილის იმ საშინელ ღამეს ერთმა გოგონამ პროკურორს რომ ესროლა? მგონი მერე გაასამართლეს კიდეც. ახლა მახსენდება, მაშინვე გითხარი, ეს მოწაფე, იმხანად იგი გიმნაზიელი იყო, მიშასთან ერთად რომელიღაც დაფხავებულ ნომრებში ვნახე-მეთქი, სადაც ერთ ყინვიან ღამეს, აღარ მახსოვს, რამ მიგვიყვანა. ახლა რომ ვუფიქრდები, მგონი ეს ამბავი პრესნიაზე დატრიალებული აჯანყების დროს მოხდა. ეს ანტიპოვა სწორედ ის არის.

რამდენჯერმე დავაპირე სახლში წამოსვლა. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე გამოდგა. მთავარი სირთულე საქმე როდია, მას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე სხვას გადავცემდი. თავი და თავი წამოსვლაა. მატარებლები ხან საერთოდ არ დადიან, ხან კი, თუ ჩამოიარეს, ისე არიან გატენილები, სათოფეზე ვერ მიეკარები.

თუმცა, რასაკვირველია, ასე უსასრულოდ არ გაგრძელდება და ამის გამო რამდენიმე განკურნებულმა, სამსახურიდან დათხოვნილმა თუ განთავისუფლებულმა კაცმა, მათ შორის მე, გალიულინმა და ანტიპოვამ, გადავწყვიტეთ მომავალი კვირიდან, რადაც უნდა დაგვიჯდეს, გუდანაბადი ავიკრათ და მატარებელში ჩაჯდომის გასაადვილებლად სხვადასხვა დღეს სათითაოდ წამოვიდეთ.

ნებისმიერ დღეს შემიძლია თავს დაგატყდეთ, თუმცა შევეცდები წინასწარ დეპეშა გამოგიგზავნოთ”.

მაგრამ გამგზავრებამდე იური ანდრეევიჩმა ანტონინა ალექსანდროვნასაგან საპასუხო წერილის მიღება მოასწრო.

ამ წერილში აზრთა მდინარებას ქვითინი არღვევდა, წერტილების მაგივრობას კი ცრემლებისა და მელნის ნაღვენთის ნაკვალევი ეწეოდა. ანტონინა ალექსანდროვნა ქმარს არწმუნებდა, მოსკოვში ნუღარ დაბრუნდები, ბარემ ადექი და მაგ შენს მომხიბლავ მოწყალების დას, ამ სოფელ-ქვეყანაში ეგრე ქუდბედიანად რომ უვლია და მე ჩემი მოკრძალებული ბედით გვერდით დადგომასაც ვერ შევკადრებ, პირდაპირ ურალში გაჰყევიო.

„საშენკაზე და მის მომავალზე ნუ ინაღვლებ, – იწერებოდა ქალი, – არასოდეს შეგარცხვენს. სიტყვას გაძლევ, იმავე წესით გავზრდი, რომლის ნიმუშიც ბავშვობაში ჩვენს სახლში თავად იხილეო".

„ხომ არ გადაირიე, ტონია, – იმწამსვე მისწერა იური ანდრეევიჩმა, – რა ეჭვიანი ხარ! ნუთუ არ იცი, ან იქნებ საკმარისად არც კი მიცნობ, რომ შენზე ფიქრმა, შენი და ოჯახის ერთგულებამ ომიანობის ამ საშინელი და გამანადგურებელი ორი წლის განმავლობაში სიკვდილისა და დაღუპვის ყოველგვარი საფრთხისაგან გადამარჩინა? თუმცა, სიტყვები რა საჭიროა. მალე შევხვდებით, ძველებურ ცხოვრებას შევუდგებით და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.

მაგრამ ის, რომ ამგვარ რამეებსა მწერ, სულ სხვანაირად მაშინებს. რაკი ასეთი პასუხის საბაბი მოგეცი, იქნებ მართლაც ორაზროვნად ვიქცევი და მაშინ ამ ქალის წინაშეც ვტყუებულვარ. ვაითუ შეცდომაში შევიყვანე და მასთან ბოდიშის მოხდა დამჭირდეს. ამას უმალვე გავაკეთებ, როგორც კი ახლომდებარე სოფლების შემოვლიდან დაბრუნდება.

ადრე ერობა მარტო გუბერნიებსა და მაზრებში რომ იყო, ახლა უფრო წვრილ-წვრილ ერთეულებში, თემებშიც შემოიღეს. ანტიპოვა თავისი ერთი ნაცნობი ქალის დასახმარებლადაა წასული, რომელიც სწორედ ამ საკანონმდებლო სიახლეებზე მუშაობს.

სხვათაშორის, ანტიპოვასთან ერთ სახლში ცხოვრების მიუხედავად, დღემდე არ ვიცი, რომელ ოთახში ცხოვრობს და არც არასოდეს მიფიქრია ამაზე".

3

მელიუზეევიდან აღმოსავლეთით და დასავლეთით ორი დიდი გზა მიდიოდა. ერთი მათგანი, მოუკირწყლავი, ტყე-ტყე მიემართებოდა პურით მოვაჭრე ზიბუშინოს სანახებისაკენ, რომელიც ადმინისტრაციულად მას ექვემდებარებოდა, მაგრამ ყოველმხრივ კი სჯაბნიდა. მეორე, მოხრეშილი გზა, ჭანჭრობ მდელოებზე გადიოდა, ზაფხულობით რომ შრებოდნენ, და მელიუზეევის შორიახლო მდებარე, ორი ურთიერთგადამკვეთი რკინიგზის შესაყარზე გაშენებულ საკვანძო სადგურ ბირიუჩის უერთდებოდა.

ივნისში ზიბუშინოში ორ კვირას არსებობდა იქაური მეწისქვილე ბლაჟეიკოს მიერ გამოცხადებული ზიბუშინოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

რესპუბლიკა ორას მეთორმეტე ქვეითთა პოლკის დეზერტირებს ემყარებოდა, რომელთაც შეიარაღებულებმა მიატოვეს პოზიციები და. გადატრიალების ჟამს ბირიუჩის გავლით ზიბუშინოში ჩამოვიდნენ. რესპუბლიკა არ სცნობდა დროებითი მთავრობის ხელისუფლებას და დანარჩენ რუსეთს გამოეყო. სექტანტმა ბლაჟეიკომ, რომელსაც ჭაბუკობისას ტოლსტოისთან ჰქონდა მიმოწერა, ზიბუშინოს ახალი ათასწლოვანი სამეფო, შრომისა და ქონების ერთობა გამოაცხადა და სათემო მმართველობაც სამოციქულოდ მონათლა.

ზიბუმინო ერთთავად ლეგენდების და გადამლაშების ბუდედ ითვლებოდა, ირგვლივ უღრანი ტყეებით იყო გარშემორტყმული, საბუთებში ჯერ კიდევ არეულობის ხანაში იხსენიებოდა, უფრო მოგვიანებით კი მის ირგვლივ ყაჩაღები მძვინვარებდნენ. დიდსა და პატარას ნიადაგ იქაური ვაჭრების შეძლება და მისი მიწის საარაკო ნაყოფიერება ეკერა პირზე. ამ დასავლური, ფრონტისპირა ზოლისათვის ეგრერიგად დამახასიათებელი ზოგიერთი თქმულება, წეს-ჩვეულება და მეტყველების თავისებურებაც

სწორედ ზიბუშინოდან მოდიოდა.

ახლა ბლაჟეიკოს მთავარ თანაშემწეზეც ასეთივე გაუგონარ ამბებს ჰყვებოდნენ. დედის მუცლიდან ყრუ-მუნჯად მოევლინაო ქვეყანას, ამბობდნენ და ირწმუნებოდნენ, შთაგონების გავლენით სიტყვის მადლი უბრუნდება და მისი ნათელი რომ ჩაუქრება, ეს ნიჭი ისევ ეკარგებაო. ივლისში ზიბუშინოს რესპუბლიკა დაემხო. იმ ადგილებში დროებითი მთავრობის ერთგული ნაწილი შევიდა. დეზერტირები ზიბუშინოდან გამორეკეს და იმათაც ბირიუჩისაკენ დაიხიეს.

აქ, გზებიდან რამდენიმე ვერსის მოშორებით, ირგვლივ მარწყვით გადაბარდნილი, ჯირკებით მოფენილი ტყის განაკაფები იყო გადაჭიმული. აქა-იქ სანახევროდ გაზიდული ძველი შეშის უპატრონო გროვები ეყარა. აქვე იყო ოდესღაც ამ ადგილებში სეზონურად მომუშავე ტყისმჭრელთა ფარღალალა მიწურები. დეზერტირებმაც სწორედ აქ მოიკიდეს ფეხი.

4

ჰოსპიტალი, სადაც ექიმი ჯერ იწვა, მერე კი მსახურობდა და რომლის დატოვებასაც ახლა აპირებდა, გრაფის ასულ ჟაბრინსკაიას სახლში იყო მოთავსებული. ომის დაწყებისთანავე პატრონმა იგი დაჭრილებს დაუთმო.

ორსართულიანი სახლი მელიუზეევის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილზე იდგა. იგი მთავარი ქუჩისა და მოედნის, ეგრეთწოდებული პლაცის გადაკვეთაზე მდებარეობდა, სადაც უწინ ჯარისკაცებს ავარჯიშებდნენ, ახლა კი საღამოობით მიტინგები იმართებოდა.

სახლის რამდენიმე მხარეს მშვენიერი ხედები იშლებოდა. მთავარი ქუჩისა და მოედნის გარდა იქიდან მოჩანდა მეზობლების ეზო, რომელსაც თავად ესაზღვრებოდა, – სოფლურისაგან არცთუ დიდად განსხვავებული ღარიბული პროვინციული მეურნეობა. მოჩანდა აგრეთვე გრაფის ასულის ძველისძველი ბაღი, რომელსაც სახლი უკანა კედლით ეკვროდა.

ჟაბრინსკაიასათვის სახლს დამოუკიდებელი ღირებულება არასოდეს ჰქონია. მაზრაში დიდი მამული „რაზდოლნოე” ჰქონდა და ქალაქურ სახლს საქმეებზე ქალაქად ჩასვლისას ან ზაფხულობით მამულში ყოველი მხრიდან შემოსეული სტუმრების თავშესაყარ ადგილად თუ იყენებდა.

ახლა ამ სახლში ჰოსპიტალი იყო გამართული, მისი მფლობელი კი თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, პეტერბურგში იყო დატუსაღებული.

ძველ შინამოსამსახურეთაგან სახლში ორად-ორი საყურადღებო ქალიღა დარჩენილიყო, გრაფის ასულის ამჟამად უკვე გათხოვილი ქალიშვილების მოხუცი აღმზრდელი მადემუაზელ ფლერი და ჟაბრინსკაიას ყოფილი მზარეული უსტინია.

ჭაღარა, ლოყებღაჟღაჟა დედაბერი, ძველ, უშველებელ ზედატანიანი, ფეთხუმურად აჩაჩულ-დაჩაჩული მადემუაზელ ფლერი ფეხსაცმლის ფრატუნით დაბორიალობდა მთელ ჰოსპიტალში, რომელსაც, ჟაბრინსკების ოჯახისა არ იყოს, სულ წითელ კვერცხებს უგორებდა, თან დამტვრეული რუსულით ამ მთისას თუ იმ ბარისას ჰყვებოდა და სიტყვის დაბოლოებებს ფრანგულ ყაიდაზე ამოკლებდა. საქმიანი სახით ხელებს იქნევდა და ლაყბობის ბოლოს გაღიზიანებული, ხრინწიანი ხმით ხითხითებდა, ბოლოს კი ხველა უვარდებოდა და სულს ძლივს ითქვამდა.

მადემუაზელმა იცოდა ანტიპოვას გულისნადები. ეჩვენებოდა, ექიმს და მოწყალების დას ერთმანეთი უნდა მოსწონდეთო. რომანულ ხასიათში ღრმად ფესვგადგმულ მაჭანკლობის ჟინს ვერ იოკებდა, ერთად რომ ნახავდა, უხაროდა, თითს მრავალმნიშვნელოვნად უქნევდა და თვალს ეშმაკურად უკრავდა. ანტიპოვა მხრებს იჩეჩავდა, ექიმი ჯავრობდა, მადემუაზელი კი, ყველა ახირებული ადამიანის მსგავსად, თავის შეცდომებს ელოლიავებოდა და ვერაფრით ელეოდა.

უცნაურობით მას არც უსტინია ჩამორჩებოდა, რომელსაც წელს ზევით უშნო, წოპწოპა ტანი ჰქონდა და ერთი შეხედვით კრუხს ჩამოჰგავდა.

უსტინია გულცივი, ფხიზელი გონების ქალი იყო. მისთვის არც გესლი და ღვარძლი იყო უცხო ხილი, მაგრამ ამასთანავე მის არსებაში წინდახედულებას ფანტაზიაც ენაცვლებოდა, რაც განსაკუთრებით ცრურწმენებში მჟღავნდებოდა მთელი სისრულით.

უსტინიამ ბევრი ხალხური შელოცვა იცოდა და ნაბიჯს ისე არ გადადგამდა, ღუმელში მოღუღუნე ცეცხლისათვის კრძალვით არ შეეხედნა ან სახლიდან გასვლისას გასაღების ჭრილიდან ეშმას და ავსულის მოსანუსხავად რაიმე არ დაეჩურჩულებინა. წარმოშობით ზიბუშინოდან იყო.

ჩუმ-ჩუმად იმასაც ამბობდნენ, მამამისი სოფლის კუდიანი ჯადოქარი იყოო.

უსტინიას შეეძლო წლობით მდუმარედ ევლო, ვიდრე მოთმინების ფიალა აევსებოდა და გუდას პირს მოხსნიდა. მაშინ კი ვეღარაფერი შეაჩერებდა. სიმართლისათვის თავგამოდება ყველაფერს ერჩია. ზიბუშინოს რესპუბლიკის დამხობის შემდეგ მელიუზეევის აღმასკომმა იქიდან წამოსული ანარქიული ლათაიების წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა. ყოველ საღამოს მოედანზე თავისთავად იმართებოდა მცირერიცხოვანი მშვიდობიანი მიტინგები, რომლებზეც მოცლილი მელიუზეეველები ისევე იკრიბებოდნენ, როგორც ოდესღაც, ზაფხულობით, სახანძრო ნაწილის ჭიშკართან ღია ცის ქვეშ, მარაქაში. მელიუზეევის კულტსაგანმანათლებლო განყოფილება ამგვარ ჯარობას ხელს უწყობდა, საუბრების წარმართვის მიზნით დროდადრო იქ თავის წარმომადგენლებს ან ახალჩამოსულ მოღვაწეებს აგზავნიდა. ისინიც თავიანთ ცეცხლსა და მახვილს უპირველესად ზიბუშინოელი მოლაპარაკე ყრუ-მუნჯის მონაჩმახის გასანიორწყლებლად მიმართავდნენ, მის აღმაშფოთებელ უაზრობას ამხელდნენ და სააშკარაოზე გამოჰქონდათ. თუმცა წვრილ-წვრილი მელიუზეეველი ხელოსნები, ჯარისკაცები და ბატონების ყოფილი მსახურები ამაზე სულ სხვა აზრისანი იყვნენ. არც თუ მოლაპარაკე ყრუ-მუნჯის ნათქვამი მიაჩნდათ წმინდა წყლის სისულელედ. ასე გასინჯეთ, იცავდნენ კიდეც.

მის დასაცავად ბრბოდან აქა-იქ გამოსროლილ შეძახილებს შორის უსტინიას ხმაც ხშირად ისმოდა. თავდაპირველად საქვეყნოდ გამოსვლას ვერ ბედავდა, ქალური რიდი საამისო ნებას არ აძლევდა. მერე თანდათან მოიკრიბა გამბედაობა, სულ უფრო და უფრო თამამად შეუტია ორატორებს, მელიუზეეველთათვის არასასურველ აზრებს რომ ღაღადებდნენ. ასე შეუმჩნევლად გადაიქცა იგი ტრიბუნაზე სიმართლის დამცველად.

სახლის ღია ფანჯრებიდან კარგად ისმოდა მოედანზე ერთად შედუღაბებული ხმების გუგუნი, საღამოს სიწყნარეში კი ცალკეულ გამომსვლელთა ნაწყვეტების მიყურადებაც შეიძლებოდა. უსტინია რომ ლაპარაკობდა, ოთახში ხშირად შემორბოდა მადემუაზელი, იქ მყოფებს ემუდარებოდა, ყური მიუგდეთო, სიტყვებს ამახინჯებდა და მოლაპარაკეს კეთილი გულით აჯავრებდა:

– გაფუჩ! გაფუჩ! მეფის ბრიანტ! ზიბუშ! გრუმონჟ! გალატ! გალატ! მადემუაზელი გულში ამაყობდა ამ ენაპილპილიანი პირგამეხებული დედაკაცით. ქალებს უერთმანეთოდ ვერ გაეძლოთ და მაინც ერთურთს გაუთავებლად ებუზღუნებოდნენ.

5

ამასობაში იური ანდრეევიჩი საგზაო სამზადისს შეუდგა, დადიოდა სახლებსა და დაწესებულებებში, ემშვიდობებოდა ხალხს და აფორმებდა საჭირო ქაღალდებს.

ის-ის იყო, ქალაქში ფრონტის ამ ნაწილის ახალი კომისარი[62] შეჩერდა, რომელიც არმიაში მიდიოდა. მასზე ამბობდნენ, ჯერ ისევ ბალღია, ტუჩზე დედის რძე არ შეშრობიაო.

იმხანად ახალი დიდი შეტევა მზადდებოდა. ცდილობდნენ, ჯარის-

[62] დროებითმა მთავრობამ მოქმედ არმიაში თავისი გავლენის გაზრდის მიზნით 1917 წლის 15(28) ივლისიდან კომისრის თანამდებობები შემოიღო.

კაცთა მასების განწყობილებაში გარდატეხა შეეტანათ. ჯარებს თავს უყრიდნენ. შემოღებული იქნა სამხედრო-რევოლუციური სასამართლოები[63], აღადგინეს მცირე ხნის წინათ გაუქმებული სიკვდილით დასჯა.

გამგზავრების წინ ექიმს აღრიცხვა უნდა გაევლო კომენდანტთან. ეს თანამდებობა მელიუზეევში ერთ სამხედრო პირს ეკავა, რომელსაც მოკლედ „სამაზროს" ეძახდნენ.

ჩვეულებისამებრ, მასთან საშინელი ჯგლეთა იყო გამართული. მოზღვავებულ ხალხს, წინკარში და ეზოში რომ ვეღარ ეტეოდა, ქუჩა სანახევროდ აევსო და შენობის ფანჯრებს ჯგროდ მისეოდა. მაგიდებთან მისვლა შეუძლებელი იყო. ერთდროულად აყაყანებულ ასობით ხმაში ყურთასმენა აღარ იყო.

იმ დღეს მიღება არ იყო. ცარიელ, მყუდრო კანცელარიაში გართულებული საქმისწარმოებით უკმაყოფილო გადამწერები უხმოდ მუშაობდნენ, თან შიგადაშიგ ერთმანეთს ირონიულ მზერას ესროდნენ. უფროსის კაბინეტიდან მხიარული ხმები გამოდიოდა, ეტყობა, კიტელების გულები გადაიღეღეს და რომელიმე გამაგრილებელ სასმელს შეექცეოდნენ. იქიდან საერთო ნაწილში გამოვიდა გალიულინი, ჟივაგო დაინახა და მთელი ტანის მოძრაობით, თითქოს ნახტომისათვის ემზადებაო, ექიმი ოთახში გამეფებული მხიარულების გასაზიარებლად მიიწვია.

იური ანდრეევიჩი უფროსთან ხელის მოსაწერად მაინც უნდა შესულიყო. კაბინეტში შევიდა და თვალწინ უაღრესად მხატვრული არევდარევის სურათი გადაემალა.

მთელი ქალაქის სალაპარაკო და იმ დღეების მთავარი გმირი, ახალი კომისარი, დანიშნულების ადგილზე გამგზავრების ნაცვლად იქ, კაბინეტში იმყოფებოდა, რომელსაც შტაბის სასიცოცხლო ქვედანაყოფებთან და ოპერატიულ საკითხებთან იოტისოდენა ურთიერთობაც კი არ ჰქონდა, სამხედრო-საქაღალდო სამეფოს ადმინისტრატორთა წინაშე იდგა

[63] შესაბამისი დადგენილება დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 12(25) ივლისს მიიღო.

და ოქროპირობდა.

– აი, ჩვენი კიდევ ერთი ვარსკვლავი, – თქვა სამაზრომ და კომისარს ექიმი წარუდგინა, მაგრამ იგი იმდენად იყო გატაცებული საკუთარი თავით, რომ ჟივაგოსთვის არც კი შეუხედავს. სამაზრომ კი მარტო იმისთვის შეიცვალა პოზა, გამოწვდილ ქაღალდზე ხელი მოეწერა. მერე კვლავ ადრინდელ მდგომარეობას დაუბრუნდა და ხელის მოწყალე მოძრაობით მიანიშნა ექიმს ოთახის შუაგულში მდგარ დაბალ რბილ სკამზე.

იქ მყოფთაგან მხოლოდ ჟივაგო ჩამოჯდა ადამიანურად. დანარჩენები ერთიმეორეზე უცნაურად და კადნიერად ისხდნენ. სამაზროს თავი ხელზე დაეყრდნო და საწერ მაგიდასთან პეჩორინისებურად სანახევროდ მხართეძოზე იყო წამოწოლილი. მისი თანაშემწე პირდაპირ, დივანის გვერდით მუთაქაზე გადამჯდარიყო და ფეხებს ისე აკონწიალებდა, თითქოს ქალის უნაგირზე შესკუპებულაო, გალიულინს სკამის საზურგე წინ მოექცია, ზედ ამხედრებულიყო, ხელები საზურგისათვის შემოეხვია და თავიც ზედ ჩამოედო, ხოლო ახალმოჩიტული კომისარი ხან ფანჯრის რაფაზე შეხტებოდა, ხან კი იქიდან ჩამოხტებოდა და გალაღებული მგლის ლეკვივით აქეთ-იქით აწყდებოდა, წუთით არ ჩერდებოდა, მოკლე-მოკლე, ჩქარი ნაბიჯებით კაბინეტში ბოლთასა სცემდა. ლაპარაკობდა გაუჩერებლად. საუბარი ბირიუჩელ დეზერტირებს შეეხებოდა.

კომისარზე გავრცელებული ხმები გამართლდა. კაფანდარა, თხელთხელი, უწვერული ჭაბუკი სანთელივით იყო ანთებული უმაღლესი იდეალებით. ამბობდნენ, კარგი ოჯახის შვილია, მამამისი ლამის სენატორი ყოფილა, თებერვალში ერთ-ერთმა პირველთაგანმა წაიყვანა თავისი ასეული სახელმწიფო სათათბიროზეო. გვარად გინცე თუ გინცი იყო. როცა აცნობდნენ, ექიმს გაურკვევლად უთხრეს. კომისარი სწორ, აშკარად გამოკვეთილ პეტერბურგულ, ოდნავ ოსტზეურ კილოზე ლაპარაკობდა. ვიწრო ფრენჩი ეცვა. თავისი სინორჩე, ეტყობა, ეუხერხულებოდა. უფრო ასაკოვნად რომ გამოჩენილიყო, სახეს ამრეზით მანჭავდა, ცდი-

ლობდა, წელში დარბაისლურად წახრილიყო. საამისოდ ხელებს გალიფეს ჯიბეებში ღრმად იტენიდა და ახალი, მაგარი სამხრეებით დამშვენებული მხრების ნაწიბურებს მაღლა იწურავდა, რის გამოც მისი ტანი მართლაც მხედრული უბრალოებით იყო აღბეჭდილი, ისე რომ, შესაძლო იყო მხრებიდან ფეხებამდე დაბლა დაქანებული ორი ხაზით გამოგესახათ.

– აქედან რამდენიმე გადასარბენის იქით, რკინიგზაზე, კაზაკთა პოლკი დგას. წითლები არიან, ერთგულები. გამოიძახებენ, მეამბოხეებს ალყას შემოარტყამენ და გათავებულია მაგათი საქმე. კორპუსის მეთაური მოითხოვს, სასწრაფოდ განაიარაღეთო. – აუწყებდა სამაზრო კომისარს.

– რაო, კაზაკებიო? არამც და არამც! – იფეთქა კომისარმა. – მაგას რაღაც ცხრაას ხუთის სუნი უდის, რევოლუციამდელი რემინისცენციაა! აქ მე და თქვენ სრულიად სხვადასხვა პოლუსებზე ვდგავართ. იმ თქვენს გენერლებს გადაუმლაშებიათ.

– ჯერ არაფერი გაკეთებულა. ეს მხოლოდ გეგმაა, ვარაუდი.

– სამხედრო სარდლობასთან შეთანხმებაა დადებული, ოპერატიულ განკარგულებებში არ ჩაერიონ. მე კაზაკებზე უარს არ ვამბობ. დავუშვათ. მაგრამ ჩემის მხრივ კეთილგონიერებით ნაკარნახევ ნაბიჯებს გადავდგამ. იმათ იქ ბანაკი აქვთ?

– როგორ გითხრათ. ყოველ შემთხვევაში, რაღაც მაგისი მსგავსი კი უნდა ჰქონდეთ, გამაგრებული.

– შესანიშნავია. მე მათთან წასვლა მსურს. ერთი ეგ ბაქიები მაჩვენეთ, ეგ ტყის ყაჩაღები. გნებავთ მეამბოხეები უწოდეთ და გნებავთ დეზერტირები, ეს ხომ ხალხია, ბატონებო, აი, რა გავიწყდებათ. ხალხი კი ბავშვია, მას უნდა იცნობდეთ, მისი ფსიქიკა უნდა იცოდეთ. აქ განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო. მის საუკეთესო, ყველაზე მგრძნობიარე სიმებზე უნდა შეგეძლოთ ხელის შეხება ისე, რომ ააჟღეროთ. მე წავალ მათთან განაკაფში, სულით და გულით დაველაპარაკები. თქვენ ნახავთ, როგორი სანიმუშო წესრიგით დაუბრუნდებიან მიტოვებულ პოზიციებს. გნებავთ დავნაძლევდეთ? არ გჯერათ?

– საეჭვოა. მაგრამ ღმერთმა ქნას.

– მე იმათ ვეტყვი: „ძმებო, შემომხედეთ. აი, მე, დედისერთამ, ოჯახის იმედმა, არაფერი დავინანე, ზურგი ვაქციე სახელს, დიდებას, მშობლების სიყვარულს, თავისუფლება რომ მოგიპოვოთ, ისეთი თავისუფლება, რომლის მსგავსი მთელ მსოფლიოში ჯერ არც ერთ ხალხს არ ღირსებია. ეს მე და მრავალმა ჩემისთანა ახალგაზრდა ადამიანმა ჩავიდინეთ, იმ ჩვენს დიდებულ წინამორბედთა ძველ გვარდიაზე, კატორღელ-ხალხოსნებსა და ნაროდოვოლეც-შლისელბურგელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. და განა ჩვენთვის ვცდილობდით? ყოველივე ეს ჩვენ გვჭირდებოდა? ამიერიდან რიგითი ჯარისკაცები აღარა ხართ წინანდებურად, თქვენ ახლა მსოფლიოს პირველი რევოლუციური არმიის მეომრები ხართ. აბა, საკუთარ გულებში ჩაიხედეთ, გაამართლეთ თუ არა ეს მაღალი წოდება? მაშინ, როდესაც ჩვენი სამშობლო სისხლისაგან იცლება და უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს გველეშაპივით გარს შემოხვეული მტრის გასანადგურებლად, ვიღაც გზააბნეული ვიგინდარების ხროვას ნება მიეცით გაებრიყვებინეთ და შეუგნებელ ნაძირალებად, თავისუფლებით გაზულუქებული, თავაშვებული არამზადების ჯოგად იქეცით, რომელთაც, რაც უნდა მისცე, სულ ერთია, მაინც არ ჰყოფნით. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ღორის ტილი ფეხზე დაისვი და თავზე აგაცოცდებაო”. – ო, რას გამოვაჭენებ, რა ლაფს დავასხამ!

– არა, არა, ეგ სარისკოა, – ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია სამაზროს, თან თავის თანაშემწეს ჩუმ-ჩუმად მრავალმნიშვნელოვნად უყურებდა.

გალიულინიც როგორ არ ეცადა, კომისარს თავის უგუნურ განზრახვაზე ხელი აეღო. ორას მეთორმეტე პოლკიც იმ დივიზიაში შედიოდა, სადაც იგი ადრე მსახურობდა და იმ თავზეხელაღებულებს კარგად იცნობდა, მაგრამ არაფერმა გასჭრა, კომისარმა ყურიც არ ათხოვა. იური ანდრეევიჩს ერთი სული ჰქონდა, ამდგარიყო და წამოსულიყო. კომისრის გულუბრყვილობამ თავზარი დასცა. თუმცა არც სამაზროს უფროსისა

და მისი თანაშემწის, ამ ორი ჩუმჩუმელა გაიძვერას მზაკვრულმა გამოხედვამ მოახდინა მასზე ნაკლები შთაბეჭდილება. ის სიბრიყვეც და ცბიერებაც ერთმანეთს არ წაუვიდოდნენ. და ყველაფერი სიტყვის ნაკადად იღვრებოდა, ზედმეტ, არაარსებით, უღიმღამო ნაკადად, რასაც თვით ცხოვრება ეგრერიგად ერიდება.

ო, როგორ გინდა ხანდახან მაინც განერიდო ადამიანის უნიჭო ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების უთავბოლო რახარუხს და დედაბუნების მოჩვენებით მდუმარებას, ხანგრძლივი, შეუპოვარი შრომის კატორღულ მყუდროებას, ღრმა ძილისა თუ ჭეშმარიტი მუსიკის უსიტყვო საუფლოს და სულის სიანკარეში გარინდებული გულის თრთოლვას მიეახლო! ექიმს გაახსენდა, რომ ანტიპოვასთან, ასე თუ ისე, უსიამო საუბარი ელოდა. გულისგულში უხაროდა კიდეც, თუნდაც ამ ფასად რომ ნახავდა. თუმცა ჯერ მოსული არც იქნებოდა. პირველივე ხელსაყრელი წუთით ისარგებლა, ადგა და კაბინეტიდან შეუმჩნევლად გამოილალა.

6

თურმე ქალი უკვე შინ ყოფილიყო. მისი ჩამოსვლის ამბავი ექიმს მადემუაზელმა შეატყობინა და დაუმატა, ლარისა ფეოდოროვნა დაღლილი დაბრუნდა, ნაჩქარევად ივახშმა, თავის ოთახში წავიდა და დაიბარა, არავინ შემაწუხოსო.

– თუმცა თქვენ მაინც დაუკაკუნეთ, – ურჩია მადემუაზელმა, – ჯერ ისევ ეღვიძება.

– რომელ ოთახში ცხოვრობს? – იკითხა ექიმმა, რამაც მადემუაზელი დიდად გააოცა.

როგორც გამოირკვა, ანტიპოვას ბინა მეორე სართულზე, დერეფნის ბოლოს, იმ ოთახების გვერდით დაედო, სადაც ჟაბრინსკაიას მთელი აქაური ავლადიდება იყო შეყრილ-გამოკეტილი და სადაც ექიმს აქამდე არასოდეს შეეხედნა.

ამასობაში თვალდათვალ ბინდდებოდა. თითქოს ქუჩები უფრო დავიწროვდა. საღამოს ბინდბუნდში სახლი და მესერი ერთად შეიკრა, ეზოების სიღრმიდან ხეები ფანჯრებს, ანთებულ ლამპებს მიუახლოვდნენ. ცხელი, დახუთული ღამე იყო. სულ მცირე განძრევაზეც კი ადამიანი ოფლად იღვრებოდა. ეზოში გამოსული შუქის ზოლები ხეთა ღეროებს ოფლის მღვრიე ნაკადად დასდიოდა.

ბოლო საფეხურზე ექიმი შედგა. ნამგზავრ, დაღლილ-დაქანცულ ადამიანთან დაკაკუნებით შესვლა და მონახულებაც კი უხერხული და მოსაბეზრებელი იქნებაო, გაიფიქრა. უმჯობესია საუბარი სახვალიოდ გადასდოს. შეცვლილ გადაწყვეტილებას რომ ახლავს ხოლმე, იმგვარი დაბნეულობით გაჰყვა დერეფანს მეორე ბოლომდე. იქ, კედელში ფანჯარა იყო დატანებული, საიდანაც მეზობელი ეზო მოჩანდა. ექიმი გამოღებული ფანჯრის რაფას დაეყრდნო და გადაიხედა.

ღამე ათასგვარი ჩუმი, იდუმალი ხმებით იყო დაუნჯებული. იქვე, დერეფანში პირსაბანიდან გამოზომილად, ნება-ნება წვეთავდა წყალი. სადღაც, ფანჯრის მიღმა ჩურჩულებდნენ. ცოტაოდენი მოშორებით კი, სადაც ბოსტნები იწყებოდა, კიტრის კვლებს რწყავდნენ. წყალს ჭიდან იღებდნენ, სათლიდან სათლში ასხამდნენ, იყო ჯაჭვის ჩხარაჩხური და ერთი ამბავი.

რაც კი ამქვეყნად ყვავილთა სურნელი იყო, სულ ერთიანად ტრიალებდა, თითქოს დედამიწა მთელი დღე უგრძნობლად იყო და გონს ახლაღა მოდიოდა ამ სურნელებით. გრაფის ასულის საუკუნოვანი ბაღიდან კი, ჩინჩხვრის ნამუსრევებით ყელამდე რომ იყო სავსე და გავლა ჭირდა, ხეების მთელ სიმაღლეზე აყვავებული ბებერი ცაცხვის უსაშველოდ მძლავრი, ყოვლის მომნუსხველი სურნელი იფრქვეოდა.

მარჯვნივ, მესრის გადაღმა, ქუჩიდან ყვირილი ისმოდა. ეტყობოდა, შვებულებაში წამსვლელი ილხენდა, კარების ჯახუნისა და რომელიღაც სიმღერის ნაფლეთების ხმა მოდიოდა.

გრაფის ასულის ბაღის ყვავის ბუდეების იქით უზარმაზარი მოშავო-

მეწამული მთვარე გამოჩნდა. თავდაპირველად ზიბუშინოს აგურით ნაშენ ორთქლის წისქვილს წააგავდა, მერე გაყვითლდა და ბირიუჩის რკინიგზის წყალსაქაჩს დაემგვანა.

ქვევით, ფანჯრის ძირში კი მზეთუნახავი ღამის სურნელებას ყვავილოვანი ჩაის სუნივით თავბრუდამხვევი თივის სურნელი ემატებოდა. ცოტა ხნის წინათ აქ შორეულ სოფელში ნაყიდი ძროხა მოიყვანეს. მთელი დღე აქეთ-იქით დაატარებდნენ. საცოდავ პირუტყვს ბოლოს და ბოლოს ქანცი გამოელია და მაინც მიტოვებული ნახირი ენატრებოდა, ახალ დიასახლისს ვერა ჰგუობდა, მისი ხელით გამოწვდილ საკვებს სათოფეზე არ ეკარებოდა.

– აბა-აბა, თავს ნუ გახვედი, შე სამგლე, შენა, მე შენ გასწავლი, როგორ უნდა რქენა და რჩოლა, – ჩურჩულით ცდილობდა მის მოთვინიერებას დიასახლისი. ძროხა კი ხან გაჯავრებით იქნევდა თავს, ხან კისერს წაიგრძელებდა და გაბმით, საცოდავად ზმუოდა. მელიუზეევის რუხ გომურებს თავს დასციმციმებდნენ ვარსკვლავები, საიდანაც ძროხისაკენ უხილავი თანაგრძნობის ძაფები იბმებოდა, თითქოს სხვა სამყაროთა არხაჯებიდან სიბრალულის თვალით უყურებენო.

არსებობის ჯადოსნური დვრიტის წყალობით ირგვლივ ყოველივე დუღდა, ფუოდა, იზრდებოდა და ნაპირებიდან გადმოდიოდა. სიცოცხლის მადლი ჩუმი სიოსავით უვრცეს ტალღად მოდიოდა, განურჩევლად ეფინებოდა მიწას და ქალაქს, კედლებს და მესრებს, შეშას და სხეულს, და თავის გზაზე ყველაფერს თრთოლვად ედებოდა. მისი მოძალება რომ დაეცხრო, ექიმი მიტინგზე გამართული მასლაათის მოსასმენად მოედნისაკენ გაემართა.

7

მთვარემ ცაზე უკვე ბარაქიანად შეიმაღლა. მისი ნათელი ირგვლივ ყველაფერს უმარილივით ეფინებოდა.

მოედნის ირგვლივ მდგარი სვეტებიანი ქვის სახაზინო შენობების წინ დედამიწაზე ფართო, შავი ხალიჩებივით იყვნენ განრთხმული მათი ჩრდილები.

მიტინგი მოედნის მოპირდაპირე მხარეს გაემართათ. პლაცის იქიდან ყველაფერი გარკვევით ისმოდა. მაგრამ ექიმი სანახაობის მშვენიერებამ შეიპყრო. სახანძრო ნაწილის წინ მერხზე ჩამოჯდა, გზის მეორე მხრიდან დარხეულ ხმებს ყური არ ათხოვა და აქეთ-იქით ცქერა დაიწყო. მოედანს გვერდებიდან წვრილ-წვრილი მიყრუებული ქუჩები უერთდებოდა. მათ სიღრმეში ძველისძველი, წაფერდებული სახლები მოჩანდა. იმ ქუჩებზე, როგორც სოფელში, გაუვალი ტალახი იყო, ტალახში ტირიფის წნელით დაწნული გრძელი ღობეები ჩაფლულიყვნენ, გეგონებოდათ, მეთევზეებს გუბურებში გოდორყურები ან კიბორჩხალების დასაჭერი კალათები ჩა-უკიდიათო.

სახლებში დაელმებულად ბრჭყვიალებდნენ გამოღებული ფანჯრის მინები. ოთახებში ბაღჩებიდან თავებსა ჰყოფდნენ ოფლიანი, ქერათმი-ანი, თითქოსდა ზეთში გაბზინებული ულვაშებიანი და ფოჩებიანი სიმინ-დები. ჩაზნექილი წნული ღობეებიდან შორეთს ეულად გაჰყურებდნენ გაცრეცილი, კაფანდარა ბალბები, თითქოს პერანგის ამარა სოფლელი გოგოები დახუთული ქოხმახებიდან სუფთა ჰაერზე გამოსულანო.

ბადრი მთვარით გაცისკროვნებული ღამე საოცარი იყო, როგორც გულმოწყალება ანდა ნიჭი ნათელმხილველობისა, და უეცრად ამ კამკა-მა, ციმციმა ზღაპრის მყუდროებაში ვიღაცის ნაცნობმა, თითქოს ახლა-ხან მოსმენილმა ხმამ გამოზომილად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაიჟღერა. ლა-მაზი იყო ეს ხმა, მხურვალე და რწმენით გამთბარი. ექიმმა ყური მიუგდო და უმალვე იცნო. კომისარი გინცი იყო. იგი მოედანზე ლაპარაკობდა.

ეტყობოდა, ხელისუფალთ ეთხოვნათ, თავისი ავტორიტეტით მხარი დაეჭირა მათთვის და ისიც გრძნობამორევით საყვედურობდა მელიუზეე-ველებს არევ-დარევის გამო, იმის გამო რომ ისინი ასე იოლად მოექცნენ

ბოლშევიკების, როგორც იგი ირწმუნებოდა, ზიბუშინოს ამბების ჭეშმარიტს დამნაშავეთა გამხრწნელ ზეგავლენაში. როგორც სამხედრო მეთაურთან, თავის მსმენელებს გინცი ახლაც მოაგონებდა, რომ მათ წინაშე სასტიკი, ძლევამოსილი მტერი იდგა და სამშობლოსათვის მკაცრი გამოცდის ჟამმა ჩამოჰკრა. შუა საუბარში იყო, აქეთ-იქიდან წამოძახილები რომ გაისმა და რამდენჯერმე სიტყვა გააწყვეტინეს.

დამსწრეთა თხოვნას, მოლაპარაკეს ხელს ნუ უშლითო, უკმაყოფილოთა შეძახილები ენაცვლებოდა. საპროტესტო განცხადებები სულ უფრო ხშირად და ხმამაღლა გაისმოდა. გინცის რომელიღაც მხლებელმა იმ წუთებში თავმჯდომარის სადავეები ჩაიგდო ხელში, გაჰყვიროდა, ადგილებიდან შენიშვნები დაუშვებელიაო, და ხალხს წესრიგისაკენ მოუწოდებდა. ერთნი მოითხოვდნენ, ამა და ამ ქალს მიეცითო სიტყვა, მეორენი პირზე ხელს აფარებდნენ და სთხოვდნენ, აცალეთო.

ვიღაც ქალი ბრბოში გზას მიიკვლევდა და ტრიბუნის შემცვლელ დაპირქვავებულ ყუთს უახლოვდებოდა. როგორც მერე გაირკვა, მას სულაც არ უნდოდა ყუთზე შედგომა, რის ყოფით მიაღწია იქამდე და მოსაუბრეს გვერდით დაუდგა. ქალს ყველა იცნობდა. წამსვე სიჩუმე ჩამოვარდა. იგი უმალვე გარშემო მყოფთა ყურადღების არეში მოექცა. რაღა თქმა უნდა, უსტინია იყო.

– აი, თქვენ ამბობთ, ზიბუშინოო, ამხანაგო კომისარო, და კიდევ თვალებიო ამბობთ. თვალები უნდა გქონდეთ და თავი არავის მოატყუებინოთო. თქვენ კი, სხვათაშორის, წარამარა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს გვჩრით თვალებში, ესაო, ბოლშევიკებიო, ისაო, მენშევიკებიო. კაცი თქვენგან მეტს ვერაფერს გაიგებს. აი იმას კი, რომ აღარ ვიომოთ და ისე ვიყოთ, როგორც ძმები, ამას ქრისტიანული ეწოდება და არა მენშევიკები, და კიდევ იმას, რომ ფაბრიკები და ქარხნები ღარიბებს დარჩეთ, ამას ბოლშევიკებს კი არა, ადამიანურ სიბრალულს ეტყვიან. ჩვენ კი, ყრუმუნჯებს, უთქვენოდაც თვალებსა გვთხრიდნენ, პირდაპირ მოგვბეზრდა ყურის გდება. ისე თქვენც კარგი ვინმე ხართ! მერედა ხალხმა რით ვერ

მოიგო ეგ თქვენი გული? იმითა, რომ მუნჯად დადიოდა, დადიოდა და ერთბაშად, ისე, რომ არც უკითხია, ალაპარაკდა განა? წარმოგიდგენიათ, როგორ აწყენინეს. განა თუ ეგეთი რამეები ხდება ქვეყნად! აი, თუ გინდათ, იმ ჭაკი ვირისა[64] არ იყოს. „ბალაამ, ბალაამ, ეუბნება, გულითა გთხოვ, იქით ნუ წახვალ, ინანებო“. რათა თქმა უნდა, არ დაუჯერა, წავიდა. სწორედ ეს იყო, როგორც თქვენ გამოგივიდათ: „ყრუ-მუნჯი“, აბა, რად დავუჯეროო, ფიქრობს, – პირუტყვია, ვირი და თანაც ჭაკიო. იუკადრისა ცხოველისგანა. მერე კი როგორ ინანა. თქვენ თვითონ იცოდეთ იქნება, ეს ამბავი როგორ დამთავრდა.

– როგორაო? – დაინტერესდნენ ხალხში.

– გეყოფა ერთი, – შეუღრინა უსტინიამ, – ბევრის ცოდნა მალე დაგაბერებს.

– არა, ეგრე არ ივარგებს. გვითხარი, როგორ იყო, – იხტიბარს არ იტეხდა იგივე ხმა.

– როგორ და როგორ, ადამიანს საშველს აღარ მისცემ, შე მოუშორებელო ბირკავ, შენა! მარილის სვეტად გადაიქცა, მაშა!

– ხუმრობ, ნათლიდედ. ეგ ლოტზეა ნათქვამი, ლოტის ცოლზე – გაისმა აქეთ-იქიდან შეძახილები.

ყველამ გადაიხარხარა. თავმჯდომარე კრებულს წესრიგისაკენ მოუწოდებდა. ექიმი დასაძინებლად წავიდა.

---

[64] უსტინია დამახინჯებით გადმოსცემს ცნობილ ბიბლიურ ეპიზოდს ბალაამისა და მისი სახედრის თაობაზე, რომელიც არ დაემორჩილა პატრონს და შედგა შუა გზაზე, რადგან ბალაამისათვის უხილავმა ანგელოზმა გადაუღობა იგი (რიცხვნი, 22 22-25) მთხრობელი ამ ეპიზოდს ერევს გულმართალი ლოთის ამბავში, რომელმაც უფლის ბრძანებით მიატოვა თავისი განწირული ქალაქი სოდომი და ოჯახის წევრებთან ერთად უკან მიუხედავად გაემართა სეგორისაკენ ლოთის ცოლი კი, რომელმაც არ შეისმინა ღვთის ნება და უკან გაიხედა, მარილის სვეტად გადაიქცა. (დაბადება, 13, 1-26).

8

ანტიპოვას მეორე დღეს, საღამოხანს შეხვდა. საბუფეტე ოთახში იპოვა. ლარისა ფეოდოროვნას წინ თეთრეულის გროვა დაეყენებინა, აუთოებდა.

საბუფეტე მეორე სართულის ერთ-ერთი ოთახი იყო და ბაღს გადაჰყურებდა. იქ დგამდნენ სამოვრებს, თეფშებზე აწყობდნენ სამზარეულოდან ხელის ასაწევი მოწყობილობით ამოზიდულ საჭმელს, ჭუჭყიან ჭურჭელს მრეცხავთან უშვებდნენ. საბუფეტეში აწარმოებდნენ ჰოსპიტალის მატერიალურ აღრიცხვიანობას. იქვე სიებით ამოწმებდნენ ჭურჭელს და თეთრეულს, მოცალეობის ჟამს ისვენებდნენ და ერთმანეთს პაემანებს უნიშნავდნენ.

ბაღის მხარეს ფანჯრები გამოღებული იყო. საბუფეტეში, როგორც ძველ პარკებში, ცაცხვის ყვავილისა და ხმელი ტოტების კვლიავივით მომწარო სუნი და ორი გასახურებელი უთოს ოხშივარი ტრიალებდა. ლარისა ფეოდოროვნა გასაცხელებლად მათ რიგ-რიგობით ალაგებდა – გამწოვ მილში.

– გუშინ რატომ აღარ დამიკაკუნეთ? მადემუაზელმა მიამბო ყველაფერი. თუმცა სწორად მოიქეცით. მე უკვე ჩაწოლილი ვიყავი და ვეღარ მიგიღებდით დიახ, როგორ არა. ფრთხილად, არ დაისვაროთ. მანდ ნახშირი ჰყრია.

– როგორც ჩანს, მთელი ჰოსპიტალის თეთრეულის დაუთოება გადაგიწყვეტიათ.

– არა, ამათში ბევრი რამაა ჩემი. აი, თქვენ სულ მაბრაზებდით, აქედან ვეღარასოდეს გააღწევთო. ამჯერად კი აღარა ვხუმრობ. ხომ ხედავთ, წასასვლელად ვემზადები, ბარგს ვალაგებ. ყველაფერს შევკრავ და – ჰაიდა. მე ურალში წავალ, თქვენ კი მოსკოვში. მერე ოდესმე ჰკითხავენ იური ანდრეევიჩს: „თქვენ ესა და ეს ქალაქი მელიუზეევი თუ გსმენიათო?” – „რაღაც არ მახსოვსო”. – „ანტიპოვაზე რაღას იტყვითო?” –

„წარმოდგენაც კი არა მაქვსო”.

– ეგ იქით იყოს. – თემებში როგორ იმგზავრეთ? კარგია სოფელში? – ორიოდე სიტყვით ვერ იტყვის კაცი. – ეს უთოები რა მალ-მალე ცივდება! მეორე უთო მომაწოდეთ, გეთაყვა, თუ არ შეწუხდებით. ემანდ, ამწოვ მილში დევს. ეს კი იქ დადეთ. სწორედ ეგრე. გმადლობთ. – სოფელიც არის და სოფელიც. ყველაფერი მცხოვრებლებზეა დამოკიდებული. ზოგში მოსახლეობა გამრჯეა, შრომა არ ეზარება. იქაურობას არა უჭირს რა. ზოგში კი, რა მოგახსენოთ, დიდ-პატარა ლოთბაზარაა. იქ ყველაფერი მიტოვებული გეგონებათ. შეხედვაც კი შეგეზარებათ. – სისულელეა, ლოთობა რა შუაშია. თქვენც იტყვით რაღა! უბრალოდ, იქ აღარავინაა, მამაკაცები ყველანი ჯარში არიან გაწვეულები. კეთილი, ერობა როგორიღაა, რევოლუციურია?

– ლოთბაზარებზე მართალი არ ხართ, თუ გინდათ, დავნაძლევდეთ. აი, ერობა კი დიდხანს გაჯანჯლდება. უხეირო ინსტრუქციებია, თემში მომუშავე კი არსადა ჩანს. გლეხობას ახლა ერთადერთი მიწის საკითხი თუ აინტერესებს. რაზდოლნოეში შევიარე. რა სილამაზეა! ნეტა ნახოთ, გაზაფხულზე ცოტა დაწვეს, გაძარცვეს. დაიწვა ფარდული, ხეხილი დანახშირებულია, ფასადის ნაწილი გამჭვარტლულია. ზიბუშინოში კი არ ვყოფილვარ, ვერ მოვახერხე. თუმცა ყველგან ირწმუნებიან, თითქოს ყრუ-მუნჯის ამბავი გამონაგონი არ ყოფილიყოს. გარეგნობასაც აღწერენ. ახალგაზრდააო, ამბობენ, განათლებული.

– გუშინ იმისი გულისათვის გამოიდო თავი პლაცზე უსტინიამ. – ჩამოვედი თუ არა, რაზდოლნოედან ჩამოტანილი მთელი ურემი ხარახურა დამხვდა. რამდენჯერ ვთხოვე, თავი დაენებებინათ. ვითომ ჩვენი არ გვყოფნის! დღეს დილით კი საკომენდანტოდან ყარაული მოგვადგა სამაზროს ბარათით. გრაფის ასულის ჩაის ვერცხლი და ღვინის ბროლი გვჭირდებაო. მხოლოდ ერთი ღამით გვინდა და უკან დაგიბრუნებთო. ვიცით, მაგათი დაბრუნება რასაცა ნიშნავს. ნივთების ნახევარსაც ვეღარ იპოვით. საღამო აქვთო, ამბობენ. ვიღაც ჩამოსულა.

– ჰო, ვხვდები ვინცაა. ფრონტის ახალი კომისარი ჩამოვიდა. შემთხვევით ვნახე. დეზერტირების მოვლას აპირებს, ალყაში მოვაქცევ და იარაღს ავყრიო. კომისარს ჯერ ტუჩზე დედის რძე არ შეშრობია, მთლად ბავშვია, საქმეში ჩაუხედავი. აქაურები კაზაკებს სთავაზობენ, ის კი საქმის თავის მობმას ცრემლით აპირებს. ხალხიო, ამბობს, ბავშვიაო, და ასე შემდეგ. მაგას ჰგონია, ყველაფერი ბალღური თამაშია და მეტი არაფერი. გალიულინი ცდილობს დაიყოლიოს, მთვლემარე მხეცს ნუ გააღვიძებო, ეუბნება, ეგ საქმე ჩვენ მოგვანდეო, მაგრამ ასეთებს შეასმენ რამეს? ოღონდ რაიმე დაიჟინონ და მერე ვეღარ გადაათქმევინებ, მისმინეთ, ერთი წუთით თავი დაანებეთ მაგ უთოებს და ყური მიგდეთ. მალე აქ წარმოუდგენელი შეხლა-შემოხლა გაიმართება, მისი თავიდან აცილება ჩვენს ხელთ არ არის. როგორ მინდოდა, სანამ განკითხვის ჟამი დადგებოდა, გასცლოდით აქაურობას.

– არაფერიც არ მოხდება, აჭარბებთ. მე ხომ ისედაც მივემგზავრები, მაგრამ ისეც ხომ არ იქნება: ერთი, ორი და – კარგად მეყოლე. ინვენტარი სიით უნდა ჩავაბარო, თორემ ისე გამოვა, თითქოს მოვიპარე, არადა, ვის ჩავაბარო? საქმეც სწორედ ეგ არის. ამ ინვენტარის გადამკიდემ რა ტანჯვა აღარ გადავიტანე, ჯილდოდ კი მხოლოდ საყვედურები მივიღე. მე ჟაბრინსკაიას ქონება ჰოსპიტალს დავაწერე, რაკი დეკრეტი, აზრი ასეთი იყო. ახლა კი ისე გამოდის, თითქოს ყველაფერი თვალთმაქცურად გავაკეთე, ამ გზით ნივთები მათი მფლობელისათვის რომ შემენახა. რა საძაგლობაა!

– ჯანდაბას ეს ხალიჩები და ფაიფური, ეშმაკსაც წაუღია. თქვენც ნახეთ რაღა სადარდებელი! დიახ, დიახ, მეტისმეტად დასანანია, გუშინ ერთმანეთი რომ ვერა ვნახეთ. მე ისეთ ეშხზე ვიყავი! მთელ ციურ მექანიკას აგიხსნიდით, ყველა წყეულ კითხვაზე გიპასუხებდით! არა, არ ვხუმრობ, მართლა მინდოდა ხვაშიადი გამემხილა. მინდოდა ჩემს ცოლზე მეამბნა, ჩემს ვაჟზე და ცხოვრებაზე. დალახვროს ეშმაკმა, ნუთუ არ შეიძლება, მოწიფული კაცი მოწიფულ ქალს ელაპარაკოს ისე, რომ იმ წამსვე რაღაც

სხვა „სარჩულზე” არ დაეჭვდნენ? ოჰ! ეშმაკსაც წაუღია ყველა ეს ნაჭერიც და სარჩულიც!

დააუთოეთ, დააუთოეთ, გეთაყვა, მაგ თეთრეულს მიხედეთ და ყურადღებას ნუ მომაქცევთ, მე კი ვილაპარაკებ. დიდხანს ვილაპარაკებ. აბა დაფიქრდით, რა დროა ახლა! და ჩვენ, მე და თქვენ ამ დროში ვცხოვრობთ!! მარადისობაში ხომ ერთადერთხელ ხდება ასეთი დაუჯერებელი რამ. აბა დაფიქრდით: თითქოს მთელ რუსეთს სახურავი გადაეხადა და ჩვენ მთელ ხალხთან ერთად ღია ცის ქვეშ ვცხოვრობთ. და ჩვენი მომხედავი კაცი არ არის. თავისუფლებაა! ნამდვილი, სიტყვით და მოთხოვნით კი არა, ციდან ჩამოვარდნილი, მოულოდნელად, უეცარი, გაუგებრობის შედეგად გამომტყვრალი თავისუფლება.

მერედა ყველა რა დაბნეულია და გულგოროზი! შეამჩნიეთ? თითქოს თითოეული საკუთარი თავითაო გაოცებული, მზის შუქზე გამობრწყინებული თავისი გოლიათობით.

თქვენ აუთოეთ, ლაპარაკით კი მე ვილაპარაკებ. თავი ხომ არ მოგაბეზრეთ? ახლავე უთოს გამოგიცვლით.

წუხელ ღამეულ მიტინგა ვაყურადებდი. გასაოცარი სანახაობაა. დაიძრა დედა-რუსეთი, ადგილზე ვეღარ გაჩერებულა, დადის და ადგილი ვეღარ უპოვია, ლაპარაკობს და სათქმელი ვერ მოუხელთებია და განა მარტო ადამიანები ლაპარაკობენ. მუსაიფობენ ვარსკვლავები და ხეები, ფილოსოფოსობენ ღამის ყვავილები და მიტინგობენ ქვის შენობები. რაღაც სახარების მსგავსი რამ ხდება, ასე არ არის? როგორც მოციქულთა დროს იყო. გახსოვთ, პავლე რას ღაღადებს? „იუბნეთ ენით და წინასწარმეტყველ იქმენით. ილოცეთ მადლისა მის განმარტებისათვის.“ – მომიტინგე ხეებისა და ვარსკვლავების თაობაზე მესმის. ვიცი, რისი თქმაცა გსურთ. ეგეთი რამ მეც დამმართნია.

– სანახევრო საქმე ომმა იტვირთა, დანარჩენი კი რევოლუციამ დააგვირგვინა. ომი ცხოვრების ხელოვნური შეყოვნება იყო, თითქოს შესაძ-

ლებელი იყოს არსებობის დროებითი გადავადება (რა უაზრობაა!). რევოლუცია უნებურად შემოიჭრა, ვითარცა დიდხანს შეგუბებული სული. სათითაოდ ყველა გამოცოცხლდა, გარდაიქმნა, ყველა ფერისცვალებას და გადატრიალებას განიცდის. შეიძლება ითქვას, თითოეულისათვის ორ-ორი რევოლუცია მოხდა, ერთი თავისი, პირადი, ხოლო მეორე – საერთო. მე მეჩვენება, სოციალიზმი – ეს ის ზღვა არის, რომელსაც ნაკადულებად უნდა შეერთონ ეს საკუთარი, ცალკეული რევოლუციები, ცხოვრების ზღვაა, თვითმყოფადობის ზღვა. ცხოვრების ზღვაა-მეთქი, იმ ცხოვრებისა, რომლის ნახვაც სურათებში შეიძლება, გადიადებული ცხოვრებისა, შემოქმედებითად გამდიდრებული ცხოვრებისა. მაგრამ ამჯერად ადამიანებმა გადაწყვიტეს წიგნებში კი აღარ გამოსცადონ იგი, არამედ საკუთარ თავზე, პრაქტიკაში და არა განყენებულობაში. ხმაში უეცრად შეპარულმა ცახცახმა გასცა ექიმის მღელვარების დასაწყისი. ლარისა ფეოდოროვნამ წუთით შეწყვიტა დაუთოება, სერიოზულად და გაკვირვებით დააცქერდა. კაცი მთლად აირია. გადაავიწყდა, რაზე საუბრობდა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ კვლავ ალაპარაკდა. თავს ნება მისცა და უფალმა უწყის, საით გარეკა. მან თქვა: – ამ დღეებში როგორ მწყურია პატიოსნად და ნაყოფიერად ვიცხოვრო! როგორ მინდა, საერთო აღმაფრენის ნაწილად ვიქცე! და აი, ამ საყოველთაო სიხარულში ვხვდები თქვენს იდუმალ, სევდიან მზერას, რომელიც, ვინ იცის, საით მიისწრაფის, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით. რას არ მივცემდი, რომ ეს სევდა არ ყოფილიყო, რომ თქვენს სახეზე ბედით კმაყოფილება აღბეჭდილიყო, რომ არავისი არაფერი შეგხარბებოდათ. რომ რომელიმე თქვენთვის ახლობელ ადამიანს, თქვენს მეგობარს ან ქმარს (უმჯობესია, თუ იგი სამხედრო პირი იქნებოდა) ხელი მოეკიდნა ჩემთვის და ეთხოვნა, თქვენს ბედზე არ მენაღვლა და ჩემი ყურადღებით არ შემეწუხებინეთ. მე კი ხელიდან ხელს გამოვგლეჯდი, ჩავიქნევდი და... აჰ, დავიბენი! მაპატიეთ, თუ შეიძლება.

ექიმს ხმამ ისევ უღალატა. უხერხულობა მოეძალა. ხელი ჩაიქნია,

ადგა და ფანჯარასთან მივიდა. ოთახისაკენ ზურგშექცეულმა ფანჯრის რაფაზე იდაყვი შემოდო, ლოყით დაეყრდნო ხელისგულს და ბნელით მოცულ ბაღს დაბნეული, დამშვიდების მაძიებელი, არაფრის მხედველი მზერა მოავლო.

ლარისა ფეოდოროვნამ მაგიდასა და მეორე ფანჯრის რაფაზე გადებულ საუთოებელ მაგიდას შემოუარა და ექიმის უკან რამდენიმე ნაბიჯზე, ოთახის შუაგულში შედგა.

– ოჰ, როგორ მეშინოდა მუდამ ამისი! – თქვა მან ჩუმად, თითქოს თავის თავს ესაუბრებაო. – რა საბედისწერო გაუგებრობაა! კმარა, იური ანდრეევიჩ, საჭირო არ არის. ოჰ, ხედავთ, თქვენს გამო რა ჩავიდინე! – ხმამაღლა შესძახა მან და ფიცართან მიირბინა, სადაც თეთრეულზე დავიწყებული უთოს ქვეშიდან დამწვარ ზედატანს წვრილ ნაკადად ასდიოდა კვამლი. – იური ანდრეევიჩ, – განაგრძო მან და უთო გაგულისებით დადო სადგამზე. – იური ანდრეევიჩ, გონს მოუხმეთ, ერთი წუთით გადით მადემუაზელთან, წყალი დალიეთ, საყვარელო, და ისეთივე დამიბრუნდით, როგორსაც მიგეჩვიეთ და მუდამ მოხარული ვარ გიხილოთ.

გესმით, იური ანდრეევიჩ? ვიცი, რომ შეგწევთ ამის ღონე. ასე მოიქეცით, გთხოვთ.

ამგვარი საუბარი მათ შორის აღარ განმეორებულა. ერთი კვირის შემდეგ ლარისა ფეოდოროვნა გაემგზავრა.

9

მცირე ხნის შემდეგ ჟივაგოც საგზაოდ გაემზადა. მისი გამგზავრების წინა ღამით მელიუზეევში საშინელი ქარიშხალი იყო.

გრიგალის გუგუნი კოკისპირული თავსხმის შხაპუნს ერთვოდა. იგი ხან შვეულად უშენდა სახურავებს, ხანაც მხარშეცვლილი ქარის გამოისობით ქუჩის გასწვრივ მიშლიგინობდა და მათრახივით მოქნეული ნიაღვრებით ნაბიჯ-ნაბიჯ იპყრობდა სივრცეს.

ერთ დაქუხებას მყისვე სდევდა მეორე გრგვინვა და არემარე განუწყვეტელ ბორგვას შეეპყრო. ხშირ-ხშირი გაელვებისას მოჩანდა ქუჩა, რომელიც ფეხად ამდგარ და წინ გადახრილ ხეებთან ერთად ქარის კვალდაკვალ სულმოუთქმელად სადღაც გარბოდა.

ღამით მადემუაზელ ფლერი სადარბაზოზე საგანგაშო კაკუნმა გამოაღვიძა. შეშინებული წამოჯდა საწოლში და მიაყურადა. კაკუნი არ ცხრებოდა.

ნუთუ მთელ ჰოსპიტალში არავინაა, რომ გავიდეს და კარი გააღოსო, ფიქრობდა იგი, ყველას მაგიერ რატომ უნდა ვიფრატუნო მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი საცოდავი, ბუნებით პატიოსანი და მოვალეობის ერთგული დედაბერი ვარო?

კარგი, ჟაბრინსკები მდიდრები იყვნენ, არისტოკრატები. მაგრამ ჰოსპიტალი ხომ მათია, სახალხო. ვის ამარა მიატოვეს? თუნდაც სანიტრები სად ჯანდაბაში არიან? ყველანი აქეთ-იქით დაიქსაქსნენ, აღარც უფროსია, აღარც მოწყალების დები და ექიმები. ზევით, მეორე სართულზე, ქირურგიულში, ადრე რომ სასტუმრო ოთახი იყო, ორი უფეხო დაჭრილიღაა, ქვევით კი, სამრეცხაოს გვერდით მდებარე საკუჭნაო დიზენტერიანების ხარახურითაა გამოტენილი. ის ეშმაკის ფეხი უსტინიაც სადღაც სტუმრად წატუნტულდა. უყურებს ეგ ტუტუცი, წვიმას რომ აპირებს, არა და, აიღო ლაჯი და მაინც შარა-შარა დაეხეტება. ახლა კარგი საბაბი მიეცა, ღამე სხვის კარად გაითენოს.

მადლობა უფალს, კაკუნი შეწყვიტეს, ბედს დამორჩილდნენ. ხედავენ, კაციშვილი არაა კარის გამღები, ხელი ჩაიქნიეს და გზას ბარაქა დააყარეს. ეგენიც რაღას დაწანწალებენ ასეთ ამინდში, როცა გარეთ ძაღლიც არ გაიგდება? არა და, იქნებ უსტინიაა? არა, იმას თავისი გასაღები აქვს. ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა, ისევ აკაკუნებენ! მაინც რა ღორობაა! გასაგებია, ჟივაგოს ახლა არაფერი მოეკითხება. ხვალ მიემგზავრება და სულით და გულით მოსკოვშია, ან სადმე გზაში. მაგრამ გალიულინს რა-

ღა დაემართა! რა ძილქუში დააწვა, ან თუ ღვიძავს და არხეინად გადაშ-ხლართულა, რა გული უძლებს, მაინცდამაინც იმის იმედზეა, ეს უმწეო, დაუძლურებული დედაკაცი წამოფარფატდება და ამ საშინელ ღამეში, ამ წყეულ ქვეყანაში ეშმაკმა იცის, კარს ვის გაუღებს? გალიულინი! – უცებ შეიცხადა ქალმა. – რისი გალიულინი! ასეთი სისულელე მხოლოდ ნამძინარევს თუ მოუვიდოდა თავში! სადღაა გალიულინი, როცა მისი კვალიც აღარსადაა? განა თვითონვე არ იყო, ჟივაგოსთან ერთად რომ დამალა და სამოქალაქო ტანისამოსი გადააცვა, მერე კი აუხსნა, ოლქში რა გზები და სოფლებია, რათა სცოდნოდა, საით გაქცეულიყო, როცა სადგურში ის საშინელი თვითგასამართლება მოხდა და კომისარი გინცი მოკლეს[65], გალიულინს კი ბირიუჩიდან მელიუზეევამდე ფეხდაფეხ სდიეს ბათქაბუთქით, მერე კი მთელ ქალაქში დაეძებდნენ. გალიულინი!

მაშინ ის თვითგორიები რომ არ გამოჩენილიყვნენ, ქალაქში ქვას ქვაზე აღარ დატოვებდნენ. შემთხვევით ქალაქზე ჯავშნიანმა დივიზიონმა გაიარა. იმათ გამოიდეს თავი, მცხოვრებლები დაიცვეს და ალაგმეს არამზადები.

ჭექა-ქუხილმა იკლო. ცა სულ უფრო და უფრო იშვიათად და ყრუდ გრუხუნებდა, ისიც შორიდან. დროდადრო წვიმა წყდებოდა, წყალი ფოთლებზე და საწვიმარ ღარში ჩუმი თქაფუნით მოჩხრიალებდა. ელვის უხმო გამონაკრთომი ხანგამოშვებით მადემუაზელის ოთახში აღწევდა, იქაურობას ანათებდა და რამდენიმე წამს იქვე რჩებოდა, თითქოს რაღაცას დაეძებსო.

უცებ კარგახნის წინათ შეწყვეტილი კაკუნი კარზე ისევ განახლდა. ვიღაცას შველა სჭირდებოდა, სახლის კარებზე სასოწარკვეთით და გამალებით აკაკუნებდა. ქარმა კვლავ იძალა. წვიმამაც ისევ წამოუშინა. –

---

[65] გინცის მკვლელობის ეპიზოდს საფუძვლად უდევს კაზაკთა გენერლის, შემდგომში ღონის ატამანის პ. ნ. კრასნოვის (1869-1947) მონაყოლი 1917 წლის 25 აგვისტოს სოფელ დუხჩეში მესამე დივიზიის ჯარის კაცთა მიერ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომისრის ფ. ფ. ლინდეს მკვლელობის შესახებ.

ახლავე! – კაცმა არ იცის, ვის გასძახა მადემუაზელმა და თავისი ხმისა თვითონვე შეეშინდა.

მოულოდნელმა ვარაუდმა თავზარი დასცა. საწოლიდან ფეხები ძირს ჩააცურა, ფეხსაცმელში წაყო, ხალათი მოიგდო და მარტოდმარტოს რომ არ შეშინებოდა, ჟივაგოს გასაღვიძებლად გაეშურა. მაგრამ ხმაური იმასაც გაეგო და სანთლით ხელში კიბეზე ჩამოდიოდა. ორივეს ერთი გულისთქმა ჰქონდათ.

– ჟივაგო, ჟივაგო! გარედან აკაკუნებენ, მეშინია, მარტომ გავუღო კარი, – შესძახა ფრანგულად და მერე რუსულად დაუმატა: – თქვენ ნახა. ეს ლარ ან პორუჩიკ გაიულია.

კაკუნმა იური ანდრეევიჩიც გააღვიძა და გაიფიქრა, ვიღაც ჩვენიანია, ან გალიულინი გადაეყარა რაიმე დაბრკოლებას, პირი იბრუნა, რომ სადმე დავმალოთ, ანდა მოწყალების და ანტიპოვა რაღაც სიძნელემ მგზავრობიდან მოაბრუნაო.

წინკარში ექიმმა სანთელი მადემუაზელს გადასცა, თვითონ კი კარის გასაღები გადაატრიალა და ურდული გამოსწია. ქარის ნაკადმა კარი ხელიდან გამოჰგლიჯა, სანთელი ჩააქრო და ორივეს ქუჩიდან წვიმის ცივი შხეფები შეაყარა.

– ვინ არის? ვინ არის? არის მანდ ვინმე? – ერთმანეთს არ აცდიდნენ და წკვარამ ღამეში გაჰკიოდნენ მადემუაზელი და ექიმი, მაგრამ პასუხი არსაიდან ისმოდა.

უეცრად წინანდელი კაკუნი ახლა სხვა მხრიდან შემოესმათ, კუტი კარიდან თუ, როგორც ახლა მოეჩვენათ, ბაღში გამავალი ფანჯრიდან. – როგორც ჩანს, ქარია, – თქვა ექიმმა. – მაგრამ სინდისი რომ დავიმშვიდოთ, ყოველი შემთხვევისათვის კუტ კართან მიდით, შეამოწმეთ, მე კი აქ დავიცდი. ვაითუ მართლა ვიღაცაა და ერთმანეთს არ ავცდეთ.

მადემუაზელი სახლის სიღრმეში გაუჩინარდა, ექიმი კი სადარბაზოს წინ მოჩარდახულში გავიდა. თვალი სიბნელეს შეაჩვია და განთიადის იალკიალი გაარჩია.

ქალაქის თავზე, თითქოს მდევარს გაურბიანო, ერთიმეორის მიყოლებით შეშლილებივით გამალებით მიჰქროდნენ ღრუბლები. მათი ნაფლეთები იმდენად დაბლა მიცურავდნენ, იმავე მხარეს მიდრეკილ ხეებს თითქმის ეხებოდნენ. ერთი შეხედვით კაცს მოეჩვენებოდა, მოღუნული ცოცხებით ცასა ჰგვიანო. წვიმა სახლის ხის ნაცრისფერ კედელს ეხეთქებოდა და აშავებდა.

– როგორაა საქმე? – ჰკითხა ექიმმა დაბრუნებულ მადემუაზელს. – თქვენ მართალ. არავინ. – და მოუყვა, რომ მთელი სახლი დაალაწლაწა. საბუფეტეში ცაცხვის ტოტს ფანჯრის მინა შეუმტვრევია და იატაკზე უშველებელი გუბეებია, ლარას ოთახშიც იგივე სურათია, ზღვაა, უშველებელი ზღვა, მთელი ოკეანეო.

– იქ ფანჯრის დარაბაა მოგლეჯილი და ჩარჩოს ეხეთქება. ხედავთ? ეს არის და ეს.

ერთხანს კიდევ ლაპარაკობდნენ, მერე კარი მიკეტეს და დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ. ორივე წუხდა, რომ განგაში ტყუილუბრალო გამოდგა.

დარწმუნებული იყვნენ, სადარბაზოს გაღებისთანავე სახლში თავით ფეხამდე გაწუწული და გათოშილი, მათთვის ესოდენ კარგად ნაცნობი ქალი შემოვიდოდა. ვიდრე ტანისამოსს ჩამოიფერთხავდა, ათასნაირ კითხვას დააყრიდნენ. მერე სხვა კაბას გადაიცვამდა და გასაშრობად სამზარეულოში, გუშინდელს აქეთ ჯერ კიდევ თბილ ღუმელთან გამოვიდოდა, თავს გადახდენილ ათასგვარ ფათერაკზე მოუყვებოდა, თან წარამარა გაურჩებულ თმას შეისწორებდა და იკისკისებდა.

ყოველივე ეს იმდენად მტკიცედ სწამდათ, კარი რომ ჩარაზეს, ამ რწმენის ნაკვალევი ქუჩაში, სახლის კუთხის იქით დარჩა, იმ ქალის სახით, მოსახვევს იქით რომ ეგულებოდათ.

10

ჯარისკაცთა მღელვარების არაპირდაპირ დამნაშავედ სადგურში ბირიუჩევსკელ ტელეგრაფისტ კოლია ფროლენკოს თვლიდნენ.

კოლია ცნობილი მელიუზეეველი მესაათის ვაჟი გახლდათ. მელიუზეევში მას აკვნიდანვე იცნობდნენ. ბალღობაში რომელიღაც რაზდოლნოელ მოჯალაბესთან იყო სტუმრად და მადემუაზელის მეთვალყურეობით მის ორ აღსაზრდელთან, გრაფის ასულის ორ გოგონასთან თამაშობდა. მადემუაზელი კარგად იცნობდა კოლიას. სწორედ იმხანებში იყო, ბიჭმა ცოტაოდენი ფრანგული რომ ისწავლა.

მელიუზეევში თვალი შეაჩვიეს, რომ ნებისმიერ ამინდში შილიფად ჩაცმული კოლია უქუდოდ, საზაფხულო ტილოს ფეხსაცმელებით და ველოსიპედით დადიოდა. საჭე ყოველთვის ნებაზე ჰქონდა მიშვებული, უნაგირზე უკან იყო გადაწოლილი, გულხელდაკრეფილი დაჰქროდა შარაგზაზე თუ ქალაქში, ერთთავად სატელეფონო ბოძებს და მავთულებს შეჰყურებდა და ქსელის მდგომარეობას ამოწმებდა.

სარკინიგზო ტელეფონის განშტოებით ქალაქის ზოგიერთი სახლი სადგურთან იყო დაკავშირებული. განშტოების ბედ-იღბალი სადგურის სააპარატოში კოლიას ხელში იყო.

იქ მას ყელამდე ჰქონდა სამუშაო: სარკინიგზო ტელეგრაფიც იმას ებარა და ტელეფონიც, ზოგჯერ კი, სადგურის უფროსი პოვარიხინი ხანმოკლე დროით სადმე თუ წავიდოდა, სააპარატოში მოთავსებული სიგნალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობაც მის კისერზე გადადიოდა.

ერთდროულად რამდენიმე მექანიზმის თვალყურის დევნების აუცილებლობამ კოლიას განსაკუთრებული საუბრის კილო გამოუმუშავა, ბნელი, წყვეტილი და გამოცანებით აღსავსე, რომელსაც მაშინ მიმართავდა, როცა არ სურდა ვინმესთვის ეპასუხნა ანდა ხანგრძლივი ლათაიები გაება. ამბობდნენ, არეულობის დღეს ამ უფლებით მეტისმეტად უხვად სარგებლობდაო.

თავისი დუმილით მან მართლაც ყოველგვარი კეთილი განზრახვის ხალისი დააკარგვინა გალიულინს, რომელიც ქალაქიდან რეკავდა და, შესაძლოა, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მომდევნო მოვლენებს საბედისწერო მსვლელობა მისცა.

გალიულინი სთხოვდა, აპარატთან სადღაც სადგურზე თუ მის მახლობლად მყოფი კომისრისათვის დაეძახნათ, რათა ეთქვა, განაკაფში მოვდივარო, და ეთხოვნა, დაეცადა და მის გარეშე არაფერი ჩაედინა. კოლიამ უარი უთხრა გალიულინს გინცის დაძახებაზე იმ მიზეზით, აქაოდა ხაზი ბირიუჩიში მიმავალი მატარებლისთვის სიგნალების გადასაცემად მაქვსო დაბეებული, თავად კი ამ დროს იმ მატარებელს, ბირიუჩიში გამოძახებული კაზაკები რომ უნდა წაეყვანა, ათასი ტყუილითა და მართლით აკავებდა მეზობელ ასაქცევზე.

როცა ეშელონი მაინც მოვიდა, კოლიამ უკმაყოფილება ვერ დაფარა.

ორთქლმავალი ნელ-ნელა შებობღდა დებარკადერის შავი სახურავის ქვეშ და სწორედ სააპარატოს უზარმაზარი ფანჯრის პირდაპირ შეჩერდა. კოლიამ კიდეებში რკინიგზის სახელწოდების ინიციალებიანი სადგურის მუქი ლურჯი მაუდის მძიმე ფარდა ფართოდ გადასწია. ქვის რაფაზე, უშველებელ ლანგარზე, წყლით სავსე ვეებერთელა სურა და სქელი შუშის ნათალი ჭიქა იდგა. კოლიამ წყალი დაისხა, რამდენიმე ყლუპი მოსვა და ფანჯარაში გაიხედა.

მემანქანემ შენიშნა და ჯიხურიდან მეგობრულად დაუკრა თავი. „უჰ, შე მყრალო დამპალო, შეშის ბაღლინჯოვ"! – ზიზღით გაიფიქრა კოლიამ, ენა გამოუყო და მუშტით დაემუქრა. მემანქანე არა მარტო მიუხვდა, თვითონაც მხრები აიჩეჩა და თავით ვაგონებზე ანიშნა: „რა ვქნა, ძამიავ, მიდი და სინჯე, თუ ბიჭი ხარ. ძალა აღმართსა ხნავსო". „სულ ერთია, საზიზღარი და დამპალი ხარო," – იმავე წესით უპასუხა კოლიამ. ვაგონებიდან ცხენების გამოყვანა დაიწყეს. ოჩანი პირუტყვები ჯიუტობდნენ, არ გამოდიოდნენ. ხის საბიჯელზე ფლოქვების ყრუ თქარათქური ქვის

ბაქანზე ნალების წკრიალმა შეცვალა. ყალყზე შემდგარი ცხენები რამდენიმე გზის ლიანდაგებზე გადაატარეს.

სულ ბოლოს, ბალახგადავლილ, ჟანგით შეჭმულ ორ ხაზზე ყავლგადასული ვაგონები ჩაემწკრივებინათ. გარედან მათი ხის საფარის საღებავი წვიმას წაერეცხა, ჭიას დაეხრა და ნესტს დაელპო. ყოველივე ეს ჩამოძენძილ თბილანა ვაგონებს თავიანთი აბედის სოკოებით, რითაც არყის ხეებიც იყვნენ დაავადებული, და ზევიდან ჩამომხობილი ღრუბლიანი ცით მატარებლების შემადგენლობათა იქით აშრიალებულ ნოტიო ტყეს ამსგავსებდა.

ტყის პირას მეთაურის ბრძანებაზე კაზაკები ცხენებს მოახტნენ და განაკაფისკენ გააჭენეს.

ორას მეთორმეტე პოლკის გაურჩებულ მეომრებს ალყა შემოარტყეს, ხეებს შორის მხედრებს უფრო ვეება და თავზარდამცემი გარეგნობა აქვთ, ვიდრე გაშლილ ადგილებში. მათ ამჯერადაც შეაკრთეს ჯარისკაცები, თუმცა თავიანთ მიწურებში მათ თავად ჰქონდათ შაშხანები. კაზაკებმა ხმლები იშიშვლეს.

ცხენოსანთა მწკრივის შიგნით დახორებულ შეშის გროვაზე შეხტა გინცი და ალყაში მოქცეულთ სიტყვით მიმართა.

ჩვეულებისამებრ იგი ახლაც ლაპარაკობდა მხედრულ ვალზე, სამშობლოს მნიშვნელობაზე და მრავალ სხვა მაღალ საგანზე, თუმცა ახლა ეს ცნებები აქ თანაგრძნობას ვერ პოულობდნენ. თავყრილობა მეტისმეტად მრავალრიცხოვანი იყო. მისმა შემადგენელმა ადამიანებმა ომში ბევრი რამ გადაიტანეს, არაქათი გამოელიათ, ქანცი გაუწყდათ და გაუხეშდნენ. ის სიტყვები, რომელთაც გინცი წარმოთქვამდა, დიდი ხანია ყურსა სჭრიდათ. ოთხი თვის განმავლობაში მარჯვნიდან თუ მარცხნიდან ლაქუცმა ეს ბრბო მთლად გადააგვარა. თანაც ორატორის არარუსულმა გვარმა და ოსტზეურმა კილომ ამბოხებული უბრალო ხალხი უფრო მეტად გააღიზიანა.

გინცი გრძნობდა, ბევრს ლაპარაკობდა, და თავის თავზე გული მოსდიოდა, მაგრამ ფიქრობდა, ამას მსმენელთათვის საქმის ვითარების ხელმისაწვდომი ახსნისათვის ჩავდივარ, ესენი კი მადლიერების ნაცვლად გულგრილობით და აგდებული გამოხედვით მიხდიანო. ბოღმამორეულმა გადაწყვიტა, ამ საზოგადოებასთან უფრო მკვახე კილოზე გადასულიყო და ხმაში სამარქაფოდ შემონახული მუქარა გაერია. ხალხის დრტვინვა ვერ შეამჩნია და ჯარისკაცებს შეახსენა, სამხედრო-რევოლუციური სასამართლოებია შემოღებული და მოქმედებენო. ისიც დაიქადნა, გაურჩებულებს სიკვდილი არ ასცდებათო და იარაღის დაყრა და მოთავეთა ჩაბარება მოსთხოვა. ამაზე თუ უარს იტყვითო, ამბობდა გინცი, დაამტკიცებთ, რომ ყოვლად გათახსირებული მოღალატენი, შეუგნებელი არამზადები, თავგასული უტიფრები ხართო. ამგვარ კილოზე ლაპარაკს კი ეს ადამიანები გადაჩვეულები იყვნენ.

ერთბაშად რამდენიმე ასეული ხმა აგუგუნდა. „რაცა თქვი, შეგრჩეს. გეყოფა", – თითქმის უბოროტო ბანით გაჰყვიროდნენ ერთნი. მაგრამ იქვე გაისმა მძაფრი სიძულვილით აღსავსე შეძახილებიც. ხალხი მათ გაფაციცებით უსმენდა. ისინი გაჰკიოდნენ:

– გესმით, ამხანაგებო, საით ერეკება? ისევ ძველებურად ახურებს. ოფიცრული ჩვევები აღარ დაიშალეს! მაშ ჩვენა ვართ, არა, მოღალატენი? თქვენ თვითონ ვისი ტიკი-ტომარა გვიგდიხართ, თქვენო კეთილშობილებავ? რაღას ვებოდიშებით ამ ნაბიჭვარს?! ვერ უყურებთ, მოგზავნილი გერმანელია. შენ ეი, ცისფერსისხლიანო, აბა, დაყაჭე დოკუმენტი! თქვენ კი, დამსჯელებო, რა პირები დაგიღიათ? ბარემ გაგვკოჭეთ, შეგეჭამეთ და გაათავეთ!

თავის მხრივ, გინცის სიტყვები კაზაკებსაც სულ უფრო და უფრო ნაკლებად მოსდიოდათ ჭკუაში. „თურმე ნუ იტყვით, ყველანი თავხედები და ღორები ყოფილან. ამ ვაჟბატონს ვერ უყურებთ!" – ჩურჩულებდნენ ისინი. ჯერ თითო-ოროლამ ჩააგო ხმალი ქარქაშში, მერე მათ მაგალითს

სხვებმაც მიჰბაძეს. ერთიმეორის მიყოლებით დაიქვეითეს. საკუთარი ძალა რომ იგრძნეს, ერთიანად იხუვლეს და მოედნის შუაგულისაკენ ორას მეთორმეტესთან შესახვედრად გაექანნენ. ყველაფერი ერთმანეთში აირია. დაიწყო დაძმობილება.

„რაც შეიძლება, შეუმჩნევლად უნდა გაჰქრეთ აქედან, – ეუბნებოდნენ გინცს შეშფოთებული ოფიცრები. – თქვენი მანქანა გადასასვლელთანა დგას. კაცს გავაგზავნით, რომ უფრო ახლო მოიყვანონ, თქვენ კი იჩქარეთ.”

გინცი ასეც მოიქცა, მაგრამ რაკი ჩუმად გაპარვა ეგრერიგად უღირსად მიაჩნდა, საჭირო სიფრთხილის გარეშე, თითქმის აშკარად გაემართა სადგურისაკენ. მიდიოდა და საშინლად ღელავდა, სიამაყე აიძულებდა, დინჯად და აუჩქარებლად ევლო.

სადგურამდე შორს აღარ იყო, ტყე გათავდებოდა და ისიც გამოჩნდებოდა. ტყის პირას, ლიანდაგების დანახვისას პირველად მიიხედა უკან. თოფიანი ჯარისკაცები მოსდევდნენ. „ნეტავ რა უნდათ?” – გაიფიქრა გინცმა და ნაბიჯს აუჩქარა.

მდევრებმაც იგივე გაიმეორეს. მათ შორის მანძილი არ შეცვლილა. წინ დამტვრეული ვაგონების ორმაგი კედელი აესვეტა. გინცმა მათ შემოუარა და მოკურცხლა. კაზაკების მომყვანი მატარებელი პარკში გაეშვათ. ლიანდაგები ცარიელი იყო. გინცმა ისინი სირბილით გადაკვეთა. გაქანებული შეხტა მაღალ ბაქანზე. ამასობაში მის კვალდაკვალ დადევნებული ჯარისკაცები დამტვრეული ვაგონების უკნიდან გამოცვივდნენ პოვარიხინი და კოლია რაღაცას უყვიროდნენ გინცს, ანიშნებდნენ შიგნით შემოდიო, სადაც უთუოდ გადაარჩენდნენ.

მაგრამ თაობებში გამჯდარმა ღირსების გრძნობამ, ქალაქურმა დარდიმანდულმა, აქ კი ყოვლად გამოუსადეგარმა, სამშვიდობო გზა გადაუკეტა. ნებისყოფის არაადამიანური დაძაბვით ცდილობდა იგი აფართქალებული გულის ცახცახი შეეკავებინა. – უნდა დავუძახო: „გონს მოდით,

ძმებო, მე რომელი ჯაშუში მნახეთო? – გაიფიქრა. – ან სხვა რაიმე გამომაფხიზლებელი, გულითადი, რაც მათ შეაჩერებს.“

ბოლო თვეების განმავლობაში გმირობის გრძნობა, სულის კივილი მის შეგნებაში შეუცნობლად გადაეჯაჭვა ფიცარნაგებს და ტრიბუნებს, სკამებს, რომლებზე შეხტომითაც შესაძლებელი იყო რაიმე მოწოდება, რომელიმე აღმგზნები სიტყვა ესროლა ბრბოში.

სადგურის კარებთან, ზარის ქვეშ მაღალი სახანძრო კასრი იდგა. თავი მჭიდროდ ჰქონდა დახურული. გინცი მის სახურავზე შეხტა და მოახლოებულთ რამდენიმე სულის შემძვრელი, არაადამიანური და ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვით მიმართა. მისი მიმართვის უგუნურმა სითამამემ, ისიც ორიოდე ნაბიჯზე, ფართოდ გამოღებული სადგურის კარებთან, სადაც ეგრე ადვილად შეეძლო შეერბინა, მდევრები ადგილზევე გააშეშა. გაოგნებულებმა თოფები დაუშვეს.

მაგრამ გინცმა ვეღარ მოზომა, კასრის სახურავის ნაპირს დააბიჯა და გადაუბრუნდა. ერთი ფეხი წყალში ჩაუვარდა, ხოლო მეორეთი კასრის კიდეს ჩამოეკიდა და მის ნაწიბურზე გადამჯდარი აღმოჩნდა.

ამ უხერხულობამ ჯარისკაცები ერთიანად აახარხარა. წინამავალმა ესროლა, ყელში მოარტყა და უბედურს სული იქვე გააფრთხობინა, დანარჩენები კი მიესივნენ და მიცვალებულის უსულო სხეულს ხიშტები აძგერეს.

11

მადემუაზელი ტელეფონით ურეკავდა კოლიას, რათა ექიმი მატარებელში კარგად მოეწყო, თან ემუქრებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქვეყნოდ თავს მოგჭრიო.

მადემუაზელს რომ ჰპასუხობდა, კოლიას ჩვეულებისამებრ რაღაც სხვა სატელეფონო საუბარი ჰქონდა და თუ იმ ათწილადებით ვიმსჯე-

ლებთ, რომლებითაც მისი სიტყვა იყო გაჯერებული, მესამე ადგილზე ტელეგრაფით რაღაც დაშიფრულ ტექსტს გადასცემდა.

– ფსკოვი, კომოსევი, მისმენ? რომელი მეამბოხეები? რა ხელი? რა მოგივიდათ, მამზელ? სულ ტყუილია, ქირომანტიაა. თავი დამანებეთ, დადეთ ყურმილი, ხელს მიშლით. ფსკოვი, კომოსევი, ფსკოვი. ოცდათექვსმეტი, მძიმე, ნოლი, ნოლი, თხუთმეტი. ოჰ, ძაღლებმა შეგჭამონ, ლენტი გაწყდა. რა? რა? არ მესმის. ისევ თქვენა ხართ, მამზელ? მე თქვენ რუსულად გითხარით, არ შეიძლება, არ შემიძლია. პოვარიხინს მიმართეთ. სულ ტყუილია, ქირომანტიაა. ოცდათექვსმეტი... აჰ, ეშმაკმა დაგლახვროს... თავი დამანებეთ, ნუ მიშლით, მამზელ.

მადემუაზელი კი ეუბნებოდა:

– შენ მე თვალებში ნაცარი ნუ მაყრი, ქირომანო. ფსკოვი, ფსკოვი, ქირომანო, მე შენ ქვესკნელშიც მოგძებნო, იცოდე. ხვალ ექიმი ვაგონში ჩასვამ, და მეტი მე აღარ ველაპარაკები ყოველგვარი მკვლელი და პატარა იუდა გამყიდველი.

12

იური ანდრეევიჩი რომ მიემგზავრებოდა, დახუთული ჰაერი იყო. მესამე დღე იყო, წვიმას აპირებდა.

მზესუმზირას ჩენჩოთი მოდებულ სადგურისპირა უბანში თიხით შელესილი, თეთრად მზირალი ქოხმახები და ბატები ავად და შავად გალურსულ-გაყურსული ცის ქვეშ განაბულიყვნენ.

სადგურის შენობას ორივე მხარეს ფართოდ გაშლილი მინდორი აკრავდა. მასზე ბალახი ერთიანად გათელილი იყო. ირგვლივ აურაცხელ ხალხს მოეყარა თავი, რომელიც კვირიდან კვირამდე ელოდა სხვადასხვა მიმართულებით მიმავალ მატარებლებს.

ლეგა, უხეში მაუდის ხიფთანებში გამოწყობილი მოხუცები მცხუნვა-

რე მზის ქვეშ ბრბოში უთავბოლოდ დაეხეტებოდნენ და ახალ-ახალი ჭორებისა თუ ცნობების მოსასმენად ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიოდნენ. თოთხმეტიოდე წლის მოზარდები იდაყვდაყრდნობით მხართეძოზე წამოწოლილიყვნენ და ხელში გასხეპილი წკეპლები ეჭირათ, თითქოს საქონელს აძოვებენო. იმათ ფეხებთან პერანგებაწეული, წითელდუნდულებიანი მათი უმცროსი დაიკოები და ძამიკოები დაბანცალებდნენ. იქვე, მიწაზე კი მჭიდროდ ფეხებმიტყუპებული მათი დედები ისხდნენ და იღლიებში ყავისფერ ზუბუნებში ირიბად გახვეული ჩვილი ყრმები ეჭირათ.

– სროლა რომ დაიწყო, ცხვრებივით აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. არ მოეწონათ! – ამრეზით ამბობდა სადგურის უფროსი პოვარიხინი და ექიმთან ერთად სადგურის კარებწინ და შიგნით, იატაკზე ჭერეხივით მიყრილ ხალხში გზას გაჭირვებით მიიკვლევდა.

– ერთბაშად გაზონი დაცარიელდა ძლივს დავინახეთ, მიწა რა ფერისაა. გაგვიხარდა! ოთხი თვე იყო, ამ მოხეტიალე ბანაკის გამოისობით თვალით არ გვენახა, – დაგვავიწყდა. – ის აი, აქ იწვა. საკვირველი საქმეა ღმერთმანი, ყველანაირი საშინელება ვნახე ამ ომის გადამკიდემ, დროა შეეჩვიოს კაცი. აქ კი სიბრალულით გული შემეკუმშა! მთავარი ის არის, რომ ყოველივე ეს უაზრობაა. მერედა, რისთვის? რა დაუშავა? განა ესენი ადამიანები არიან? ოჯახის თვალი იყოო, ამბობენ. ახლა კი მარჯვნივ, ასე, ასე, აქეთ, გეთაყვა, ჩემს კაბინეტში. ამ მატარებელზე ნურც იფიქრებთ, ჯგლეთაში გაგსრესენ. სხვაზე დაგსვამთ, ადგილობრივზე. ჩვენ თვითონ ვადგენთ, საქმეს ახლავე შევუდგებით. ოღონდ ჩაჯდომამდე სიტყვა არ დასძრათ, არავისთან! თორემ სანამ ვაგონებს გადავაბამდეთ, თუ წამოგცდათ, ნაფლეთებად გაქცევენ. ღამით სუხინიჩში[66] გადაჯდებით.

[66] სუხინიჩი – მსხვილი სარკინიგზო კვანძი, ამჟამად – კალუგის ოლქის რაიონული ცენტრი.

13

გასაიდუმლოებული მატარებელი რომ შეადგინეს და დეპოს შენობის იქიდან სადგურისაკენ უკუსვლით წამოიყვანეს, რაც ახლომახლო ხალხი იყო, თვალის დახამხამებაში წამოიშალა და ჯგროდ მიესია მძიმედ მომავალ შემადგენლობას. წვრილ-წვრილი ბორცვებიდან ადამიანები ცერცვის მარცვლებივით ცვიოდნენ და რკინიგზის ყრილზე გამორბოდნენ. ხელისკვრით და ჯიკავ-ჯიკავით ერთმანეთზე გადადიოდნენ, ერთნი ბუფერებსა და საფეხურებს ახტებოდნენ, მეორენი ვაგონების ფანჯრებსა და სახურავებზე ძვრებოდნენ. ჯერ კიდევ მოძრავი მატარებელი მყისვე გაიტენა, და როცა ბაქანს მიაყენეს, თავიდან ბოლომდე ხალხით ისე იყო გაჭექილ-დახუნძლული, ნემსი არ ჩავარდებოდა.

ექიმი სასწაულებრივად შეძვრა ვაგონის წინა კარებში, მერე კი თვითონაც გაუკვირდა, როგორ შეაღწია ვაგონის ტალანში.

მთელი დანარჩენი გზა სუხინიჩამდე იქვე დარჩა, თავის ბარგზე ჩამომჯდარი.

კარგა ხანი იყო, საავდრო ღრუბლებმა გადაიარეს. მზის მწველი სხივებით გაკაშკაშებულ მინდვრებზე კიდით კიდემდე ისმოდა კუტკალიების გაუთავებელი ჭრიჭინი და ამ ხმაურში მატარებლის გუგუნიც კი იკარგებოდა.

ფანჯარასთან მდგომი მგზავრები დანარჩენებამდე მზის სინათლეს გზას უღობავდნენ. მათგან იატაკზე, სკამებსა და ტიხრებზე გრძელი, გაორმაგებული და გასამმაგებული ჩრდილები ეცემოდნენ. ეს ჩრდილები ვაგონში ვერ ეტეოდნენ, მოპირდაპირე ფანჯრიდან გზის მეორე მხარეს ეფინებოდნენ და მოძრავი მატარებლის ერთიან ჩრდილთან ერთად გამალებული ხტუნვა-ხტუნვით წინ მიექანებოდნენ.

ირგვლივ ყაყანებდნენ, ხმის ჩახლეჩამდე გაჰყიოდნენ, იგინებოდნენ და კარტს თამაშობდნენ. გაჩერებებზე შიგნით ატეხილ ღრიანცელს მატარებლის გარედან შემოსული ბრბოს წივილ-კივილიც ემატებოდა.

ხალხის გუგუნი არემარეს ზღვაზე ამტყდარი ქარიშხალივით აყრუებდა. და როგორც ზღვაზე, გაჩერებების შუალედებში უეცრად აუხსნელი სიჩუმე ისადგურებდა. ბაქანზე, მთელი მატარებლის გასწვრივ გაისმოდა აჩქარებული ნაბიჯების, სირბილისა და საბარგო ვაგონთან თავშეყრილ მოკამათეთა ხმები, გამცილებელთა მიერ შორიდან ნასროლი ცალკეული სიტყვები, ქათმების წყნარი კუტკუტი და სადგურის ბაღის ხეთა შრიალი.

მაშინ გზაში დაწეული დეპეშასავით ან მელიუზეევიდან შემოთვლილი სალამივით იფრქვეოდა ფანჯრიდან ნაცნობი, სწორედ იური ანდრეევიჩისათვის მოვლენილი კეთილსურნელება. იგი იდუმალი თავმოწონებით იჩენდა თავს სადმე შორს და ზეციურ წყალობად ეფინებოდა ზევიდან მინდვრის ყვავილებს და ყვავილნარებს.

ყოველივე ეს მთელ გზაზე მეორდებოდა. ყველგან ქოთქოთებდა ბრბო. ყველგან ჰყვაოდნენ ცაცხვები.

ეს სურნელება ყველგან სუფევდა, ჩრდილოეთისაკენ მიმავალ მატარებელს წინ უსწრებდა, თითქოს ყველა ასაქცევზე, საყარაულო ჯიხურსა თუ წვრილ-წვრილ სადგურებში მოფენილი ჭორი იყო, რომელიც მგზავრებს ყველგან ხვდებოდათ გავრცელებული და დამტკიცებული.

14

ღამით სიუხინიჩში ძველი ყაიდის თავაზიანმა მებარგულმა ექიმი ჩაბნელებულ ლიანდაგებზე გადაატარა და ახალშემოსული, მიმოსვლის განრიგით გაუთვალისწინებელი რომელიღაც მატარებლის მეორე კლასის ვაგონში უკანა მხრიდან ჩასვა.

ის იყო, მებარგულმა კონდუქტორის გასაღებით უკანა კარი გამოაღო და ვაგონის წინა ბაქანზე ექიმის ბარგი-ბარხანა შეყარა, რომ გამცილებელთან პატარა ბრძოლის გადახდა მოუწია. გამცილებელმა დაუყოვნებლივ უკან ჩასმა მოუნდომა, მაგრამ იური ანდრეევიჩმა გული მოულბო და ისიც გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

ეს იდუმალი მატარებელი საგანგებო დანიშნულებისა აღმოჩნდა და საკმაოდ სწრაფად, ხანმოკლე შეჩერებებით და რომელიღაც დაცვის თანხლებით მიდიოდა. ვაგონში ხალვათობა იყო.

კუპე, რომელშიც ჟივაგო შევიდა, გაჩახჩახებული იყო მაგიდაზე დადგმული ჩამოღვენთილი სანთლით და მისი ალი ოდნავ დაშვებული სარკმლიდან შემოჭრილი ჰაერის ნაკადზე ლიცლიცებდა.

სანთელი კუპის ერთადერთი მგზავრისა იყო. იგი ქერათმიანი ჭაბუკი გახლდათ და, როგორც მისი გრძელი ხელ-ფეხი მოწმობდა, მეტისმეტად მაღალი უნდა ყოფილიყო. დასაკეცი ნივთების ერთმანეთზე უხეიროდ დამაგრებული ნაწილებისა არ იყოს, სადრეკებში კიდურებს მეტისმეტად თავისუფლად ამოძრავებდა. ახალგაზრდა ფანჯრის პირას დივანზე თავისუფლად მიწოლილიყო. ჟივაგოს დანახვაზე ზრდილობიანად წამოიწია და როგორც წესი და რიგია, ისე დაჯდა.

დამხვდურს დივანქვეშ იატაკის საწმენდი ტილოს მსგავსი რაღაცა ეგდო. უცებ იმ ძონძის ერთი ბოლო შეინძრა და დივანის ქვეშიდან მოუსვენარი ფუსფუსით გამოძვრა გრძელყურა მეძებარი ძაღლი. მან იური ანდრეევიჩი დაყნოსა, შეათვალიერა და კუპის კუთხიდან კუთხეში სირბილს მოჰყვა, თან თათებს ისე მარდად და მოქნილად ამოძრავებდა, როგორც მისი აყლაყუდა პატრონი ფეხზე გადადებულ ფეხს. მალე პატრონმა დაუტატანა, ისიც ფუსფუსით შეძვრა დივანქვეშ და ძველებურად იატაკის დაჭმუჭნულ ტილოს დაემგვანა.

იური ანდრეევიჩმა ახლაღა შეამჩნია კუპეში კავზე დაკიდებული შალითიანი ორლულიანი თოფი, ტყავის პატრონტაში და ნანადირევი ფრინველით პირთამდე სავსე სანადირო ჩანთა.

ახალგაზრდა კაცი მონადირე იყო.

იგი მეტისმეტად ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა, იმთავითვე პირზე ღიმილი გადაეფინა და მუსაიფი გაუბა. ამასთანავე, გადატანითი კი არა, პირდაპირი მნიშვნელობით, ექიმს ერთთავად პირში შეჰყურებდა. ახალ-

გაზრდა კაცს უსიამოდ მაღალი ხმა აღმოაჩნდა, რომელიც ხანდახან ლი-თონისებურ ფალცეტში გადადიოდა. კიდევ ერთი უცნაურობა სჭირდა: სულით ხორცამდე რუსი იყო, მაგრამ ერთ ხმოვანს, სახელდობრ „უ"–ს ერთობ ახირებულად წარმოთქვამდა. ფრანგული „ს"–ს თუ გერმანული „ü umlaut"-ის მსგავსად არბილებდა. უფრო მეტიც, ამ გაფუჭებული „უ"–ს წარმოთქმას დიდი ჯაფის ფასად ახერხებდა და ამ ბგერას ყველა დანარჩენზე უფრო ხმამაღლა, საშინლად დაძაბულად, ლამის ჭყივილით გამოსცემდა. თითქოს თავიდანვე იური ანდრეევიჩი ამგვარი ფრაზით შე-აცბუნა:

„ჯერ კიდევ გუშინ, დილა-ü-თენია იხვებს ვ-ü-ყ-ü-რებდი".

იმ წუთებში, როცა თავს ძალას ატანდა, სწორად მეტყველებდა, მაგ-რამ საკმარისი იყო, ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა, ძველი შეცდო-მა კვლავ გაეპარებოდა ხოლმე.

„ნეტა ეს რაღა ეშმაკია? – გაიფიქრა ჟივაგომ, – ცნობილი ამბავია, სადღაც წამიკითხავს. როგორც ექიმმა, უნდა ვიცოდე, მაგრამ თავიდან გამიფრინდა. ტვინის რომელიღაც მოვლენაა, რომელიც არტიკულაციის დეფექტს იწვევს. მაგრამ ეს შეღმუვლება ისე სასაცილოდ გამოუდის, სი-ცილისაგან თავის შეკავება გამიჭირდება. სულ არ შემიძლია საუბარი. უმჯობესია, ზევით ავძვრე და წამოვწვე".

ასეც მოიქცა. ზედა საწოლზე რომ ეწყობოდა, ახალგაზრდამ ჰკითხა, სანთელი ხომ არ ჩავაქრო, მგონი ხელს შეგიშლითო. ამ წინადადებაზე ექიმი მადლობით დათანხმდა. მეზობელმა სინათლე ჩააქრო.

ჩამობნელდა.

ფანჯრის ჩარჩო სანახევროდ ჩამოშვებული იყო.

– ფანჯარა ხომ არ დავკეტოთ? – ჰკითხა იური ანდრეევიჩმა. – ქურ-დებისა არ გეშინიათ?

მეზობელმა არაფერი უპასუხა. იური ანდრეევიჩმა მეტისმეტად ხმა-მაღლა გაუმეორა კითხვა, მაგრამ პასუხი კვლავ არ ისმოდა.

მაშინ იური ანდრეევიჩმა ასანთი გაჰკრა, იმის შესატყობად, თუ მის

მეზობელს რა მოუვიდა, ამ ორიოდე წამში კუპედან ხომ არ გავიდა ან, რაც უფრო დაუჯერებელი იქნებოდა, ხომ არ ჩაეძინა.

მაგრამ არა, იგი თავისივე ადგილზე იჯდა თვალღიად და თავდაღმა; დაკიდებულ ექიმს უღიმოდა.

ასანთი ჩაქრა. იური ანდრეევიჩმა ახალი ღერი გაჰკრა და მის სინათლეზე მესამედ გაუმეორა, რისი გარკვევაც ეწადა.

– როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით, – დაუყოვნებლივ უპასუხა მონადირემ. – მოსაპარავი არაფერი მაქვს. თუმცა, აჯობებდა არ დაგეხურათ. ცხელა.

„გადამრევს ეს კაცი! – გაიფიქრა ჟივაგომ. – ახირებული ვიღაცაა ეტყობა, ეგრეა მიჩვეული, მხოლოდ სინათლეში ლაპარაკობს. თანაც ამჯერად ყველაფერი რა სწორად წარმოთქვა, დაუმახინჯებლად! გადასარევი ამბავია!“

15

ექიმი გასული კვირის მოვლენებით, გამომგზავრებისწინა მღელვარებით, საგზაო სამზადისით და იმ დილით მატარებელში ჩაჯდომით თავს დაქანცულად გრძნობდა. ეგონა, როგორც კი მოხერხებულ ადგილზე გავიშოტები, საღათას ძილით დამეძინებაო. მაგრამ მოტყუვდა. მეტისმეტმა გადაღლილობამ უძილობა დამართა. მხოლოდ განთიადისას ჩაეძინა.

ამ უსაშველოდ გრძელი საათების განმავლობაში მის თავში დატრიალებულ ფიქრთა გრიგალი რა ქაოსურიც არ უნდა ყოფილიყო, კაცმა რომ თქვას, ორ წრედ, ორ განუშორებელ გორგლად იყოფოდა, რომლებიც ხან ეხვეოდნენ და ხან იშლებოდნენ.

ერთი წრე იყო ფიქრები ტონიაზე, სახლსა და ადრინდელ აწყობილ ცხოვრებაზე, რომელშიც უმცირეს წვრილმანებამდეც კი ყოველივე პოეზიით იყო გარემოსილი, გულითადობით და სიწმინდით განმსჭვალული.

ექიმი შეშფოთებული იყო ამ ცხოვრების ბედით, მისი სიმრთელე და შენარჩუნება სურდა, და ახლა, ღამეული ჩქარი მატარებლით რომ მიფრინავდა, მოუთმენლად ისწრაფოდა ამ ცხოვრებისკენ უკან, ორ წელიწადზე მეტი ხნის განშორების შემდეგ.

რევოლუციის ერთგულება და აღფრთოვანებაც ამ წრეში იყო. ეს იყო რევოლუცია იმ აზრით, რომლითაც იგი საშუალო კლასებს ესმოდათ, და იმ გაგებით, რომელსაც მას ალექსანდრ ბლოკის თაყვანისმცემელი ცხრაას ხუთი წლის მოსწავლე ახალგაზრდობა ანიჭებდა.

ეს წრე, ესოდენ მშობლიური და ახლობელი, მოიცავდა აგრეთვე სიახლის იმ ნიშნებს, იმ დაპირებებს და მისწრაფებებს, რომლებიც ჰორიზონტზე ომის წინ, თორმეტ და თოთხმეტ წლებს შორის გამოჩნდა რუსულ აზრში, რუსულ ხელოვნებასა და რუსულ ბედში, სრულიად რუსეთისა და მის, ჟივაგოს პირად ბედ-იღბალში.

ომის შემდეგ გული კვლავ უკან, იმ სიახლეებისაკენ, მათი განახლებისა და გაგრძელებისაკენ ისწრაფოდა, ისევე, როგორც განშორების შემდეგ საკუთარი სახლი უხმობდა და იზიდავდა.

სიახლე იყო აგრეთვე მეორე წრის აზრთა საგანიც, მაგრამ რაოდენ განსხვავებული, რაოდენ სახეშეცვლილი სიახლე! ეს იყო არა საკუთარი, ახლობელი, ძველით შემზადებული სიახლე, არამედ თავსმოხვეული, შეუვალი, რეალობიდან გამომდინარე, შეძრწუნებასავით უეცარი სიახლე.

ამგვარი სიახლე იყო ომი, მისი სისხლი და საშინელებანი, უსახლკარობა და გაველურება. ამგვარი სიახლე იყო მისი გამოცდაც და ცხოვრებისეული სიბრძნეც, რომელსაც ომი ასწავლიდა. ამგვარი სიახლე იყო ის მივარდნილი ქალაქები, სადაც ომმა გადაისროლა, ადამიანები, რომელთაც შეახვედრა. ამგვარი სიახლე იყო რევოლუცია, არა ისეთი, საუნივერსიტეტო შარავანდედით მოსილი, როგორც ცხრაას ხუთ წელს, არამედ ახლანდელი, ომით შობილი, სისხლიანი, არაფრის მცნობი ჯარისკაცული რევოლუცია, ამ სტიქიის მცოდნე ბოლშევიკები რომ წარმართავდნენ.

ამგვარი სიახლე იყო მოწყალების და ანტიპოვა, რომელიც ომმა, ღმერთმა უწყის, საიდან გადმოაგდო, ჟივაგოსათვის ყოვლად უცნობი თავისი ცხოვრებით, თავის დღეში რომ არავის ამუნათებდა და თითქმის ჩიოდა თავისი უთქმელობით, იდუმალებით მოცული სიტყვამწირობა სჩვეოდა და ეგზომ ძლიერი იყო თავისი დუმილით. ასეთივე სიახლე იყო იური ანდრეევიჩის გულწრფელი, თავგანწირული მცდელობა, არ ჰყვარებოდა იგი, ისევე, როგორც მთელი ცხოვრება სულ იმას ცდილობდა, სიყვარულით მოპყრობოდა ყოველ ადამიანს, ოჯახსა და ახლობლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მატარებელი მთელი ძალით მიაქროლებდა. დაშვებული ფანჯრიდან შემოჭრილი შემხვედრი ქარი იური ანდრეევიჩს თმებს უწეწავდა და მტვერს აყრიდა. ღამ-ღამობით, გაჩერებებზე იგივე მეორდებოდა, რაც დღისით, ბრბო გუგუნებდა და ცაცხვები შარიშურობდნენ.

ხანდახან ღამის სიღრმიდან სადგურებში რახრახით მოაგორებდნენ ორთვალებსა და საზიდრებს. ხალხის ბუბუნი და ბორბლების ზუზუნი ხეთა შრიალს უერთდებოდა.

იმ წუთებში ცხადი ხდებოდა, ღამეულ ლანდებს რა აიძულებდათ ეშრიალათ და ერთმანეთისკენ გადახრილიყვნენ, რას ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს ნამძინარევი, დამძიმებული ფოთლებით, როგორც ერთმანეთში ჩაწნულ-ჩაგრეხილი ჩლიფინა ენებით. ეს სწორედ ის გახლდათ, რაზეც ფიქრობდა ზემო საწოლზე აწრიალებული იური ანდრეევიჩი, ამბავი სულ უფრო მზარდი მღელვარებებით გარემოცული რუსეთისა, რევოლუციის, მისი საბედისწერო და მძიმე საათის, მისი მოსალოდნელი უკანასკნელი სიდიადის ამბავი.

16

მეორე დღეს ექიმს გვიან გაეღვიძა. მეთორმეტე საათი იყო. „მარკიზ, მარკიზ!" – ხმადაბლა აოკებდა თავის აწკმუტუნებულ ძაღლს მეზობელი.

იური ანდრეევიჩის გასაკვირად ის და მონადირე კუპეში კვლავ მარტონი იყვნენ, გზაში არავინ შემომატებოდათ. ბავშვობიდანვე ნაცნობი სადგურები ხვდებოდათ. მატარებელმა კალუგის გუბერნია უკან მოიტოვა და მოსკოვის გუბერნიის სიღრმეში შეიჭრა.

ექიმმა თავისი ომამდელი სიკეთით დამშვენებული საგზაო მორთვა-მოკაზმვა მოითავა და კუპეში დილის საუზმეს დაუბრუნდა, რომელიც მისმა საინტერესო თანამგზავრმა შესთავაზა. ამჯერად იგი იური ანდრეევიჩმა მეტი ყურადღებით შეათვალიერა.

ამ პიროვნების გამორჩეული თვისებანი უაღრესი ენაწყლიანობა და სიმარდე გახლდათ. უცნობს უყვარდა მასლაათი, ამასთანავე, მისთვის მთავარი ურთიერთობა და აზრთა გაზიარება კი არ იყო, არამედ თვით მეტყველების ცხოველმოქმედება, სიტყვის წარმოთქმა და ბგერის გამოცემა. ლაპარაკისას დივანზე ისე დახტოდა, გეგონებოდათ, ზამბარებზე ზისო, უმიზეზოდ და გამაყრუებლად ხარხარებდა, ხელებს ნაჩქარევად იფშვნეტდა, და როცა თავისი აღფრთოვანების გამოსახატავად ესეც უკმარისად ეჩვენებოდა, ხელისგულებს მუხლებში იცემდა და ცრემლების ღვრამდე იჭაჭებოდა.

საუბარი მთელი გუშინდელი უცნაურობებით განახლდა. უცნობი საოცრად უთავბოლო კაცი იყო. ხან ისეთ რამეში გამოტყდებოდა, რასაც არავინ აძალებდა, ხან კი, ყურს არ დაუჯერებდით, ყველაზე უცოდველ კითხვებს ტოვებდა უპასუხოდ.

თავის თავზე უამრავი, მეტისმეტად ფანტასტიკური და უთავბოლო რამ დაყაჭა. სულო ცოდვილო, ეტყობოდა, მართალში ტყუილსაც ბლომად ურევდა. არც ის იყო საეჭვო, რომ უკიდურესი შეხედულებებით მოჰქონდა თავი და საყოველთაოდ აღიარებულს უარყოფდა.

ყოველივე ეს ჟივაგოს რაღაც დიდი ხნის წინათ ნაცნობს ახსენებდა. ამგვარი რადიკალიზმის კილოზე ლაპარაკობდნენ წარსული საუკუნის ნიჰილისტები და, მცირე ხნის შემდეგ, დოსტოევსკის გმირები, მერე კი,

სულ ახლახან, მათი პირდაპირი გაგრძელებები, ანუ მთელი განათლებული რუსული პროვინცია, რომელიც ხშირად უსწრებდა დედაქალაქებს მიყრუებულ ადგილებში შემონახული საფუძვლიანობის წყალობით, დედაქალაქებში რომ მოძველდა და მოდიდან გადავიდა.

ახალგაზრდამ უთხრა, რომ იგი ერთი ცნობილი რევოლუციონერის ძმისწული იყო, მისი მშობლები კი, პირიქით, გამოუსწორებელი რეტროგრადები, როგორც თვითონ თქვა, დომბებად ანუ შავრაზმელებად ითვლებოდნენ. ერთ-ერთ ფრონტისპირა ადგილას საკმაოდ კარგი მამული ჰქონოდათ. ეს ახალგაზრდაც იქ გაზრდილიყო. მშობლები მთელი ცხოვრება ბიძამისთან დანასისხლად ყოფილიყვნენ გადაკიდებულნი, მაგრამ იგი გულღვარძლიანი არ გამომდგარა და ახლა თავისი სახელითა და გავლენით მრავალ უსიამოვნებას აცილებდა.

ჩემი რწმენით მეც ალი-კვალი ბიძაჩემი ვარო, განაცხადა სიტყვამრავალმა მეინახემ, – თავით ფეხამდე ექსტრემისტი-მაქსიმალისტი გახლავართ: ცხოვრების, პოლიტიკის და ხელოვნების საკითხებშიო. ისევ პეტენკა ვერხოვენსკის სუნი დატრიალდა, ოღონდ მემარცხენეობის კი არა, ავყიაობის და ფუჭსიტყვაობის თვალსაზრისით. „ახლავე ფუტურისტად გამაცნობს თავს", – გაიფიქრა იური ანდრეევიჩმა, და მართლაც, სიტყვა ფუტურისტებზე ჩამოვარდა. „ახლა კი სპორტზე ალაპარაკდება, – მკითხაობა განაგრძო ექიმმა, – ჩორთით მოსიარულე ცხენებზე. საციგურაო მოედნებზე ან ფრანგულ ჭიდაობაზე დაიწყებს ჭიკჭიკს". და მართლაც, საუბარი ნადირობაზე გაგრძელდა.

ახალგაზრდამ თქვა, მშობლიურ ადგილებში ვნადირობდი კიდეცო, და წაიტრაბახა, სწორუპოვარი მსროლელი ვარო, ფიზიკური ნაკლი რომ არა, ჯარისკაცად წავიდოდი და ომში ტყვიას ტყვიაში ჩავაჯენდიო.

ჟივაგოს გაოცებული მზერა რომ შენიშნა, შესძახა; – როგორ? ნუთუ ვერაფერი შემამჩნიეთ? თანდაყოლილ ნაკლს მიმიხვდით, მეგონა.

ამ სიტყვებზე ჯიბიდან ორი ბარათი ამოიღო და იური ანდრეევიჩს გაუწოდა. ერთი მისი სავიზიტო იყო. ორმაგი გვარი ჰქონოდა, მაქსიმ

არისტარხის ძე კლინცოვ-პოგორევშიხი, ანუ უბრალოდ პოგორევშიხი ყოფილიყო. ექიმს სთხოვა, ეგრე დამიძახე, ბიძაჩემიც თავს ეგრე უწოდებსო.

მეორე ბარათზე, უჯრებად დაყოფილ ცხრილში, სხვადასხვანაირად გაშლილ თითებიანი, ნაირ-ნაირად შეერთებული ხელები იყო გამოსახული. ყრუ-მუნჯთა ხელის ანბანი იყო. უცებ ყველაფერს ნათელი მოეფინა. პოგორევშიხი ჰარტმანისა თუ ოსტროგრადსკის სკოლის უნიჭიერესი აღზრდილი, ესე იგი ყრუ-მუნჯი იყო, საარაკო სრულყოფილებით ესწავლა ლაპარაკი სმენით კი არა, თვალით, მასწავლებლის ყელის კუნთების მოძრაობით, და მოსაუბრის საუბარიც ასევე ესმოდა.

ექიმმა გონებაში შეაჯერა, საიდან იყო, რომელ ადგილებში ნადირობდა, და ჰკითხა:

– კადნიერებისათვის მომიტევეთ, მაგრამ შეგიძლიათ არ მიპასუხოთ, – მითხარით, ზიბუშინოს რესპუბლიკასთან და მის შექმნასთან გქონდათ რაიმე ურთიერთობა?

– თქვენ საიდან... მაპატიეთ... მაშ თქვენ იცნობდით ბლაჟეიკოს?.. მქონდა, მქონდა! რაღა თქმა უნდა, მქონდა, – აატარტალა ენა გახარებულმა პოგორევშიხმა, თან ხარხარებდა, მთელი ტანით აქეთ-იქით იზნიქებოდა და გაშმაგებით იშენდა ხელებს მუხლებში. ისევ დაიწყო ფანტასმაგორია.

პოგორევშიხმა განაცხადა, ბლაჟეიკო ჩემთვის მხოლოდ საბაბი იყო, ხოლო ზიბუშინო – ჩემი საკუთარი იდეების განხორციელების განურჩეველი წერტილიო. იური ანდრეევიჩს გაუჭირდა გონების თვალი მიედევნებინა მათი გადმოცემისათვის. პოგორევშიხის ფილოსოფია სანახევროდ ანარქიზმის დებულებებისა და სანახევროდ წმინდა წყლის მონადირული ტრაბახისაგან შედგებოდა.

პოგორევშიხი ორაკულის აუმღვრეველ კილოზე წინასწარმეტყველებდა უახლოეს დროში დამღუპველი შეხლა-შემოხლის თაობაზე. იუ-

რი ანდრეევიჩი შინაგანად ეთანხმებოდა, შესაძლოა, ეს გარდაუვალიცააო, მაგრამ თან გულსაც ასკდებოდა იმ ავტორიტეტული სიდინჯის გამო, რითაც ის ცხვირმოუხოცავი ლაწირაკი თავის წინასწარმეტყველებას იღეჭებოდა.

– დაიცა, დაიცა, – გაუბედავად უწევდა იგი წინააღმდეგობას. – შესაძლოა, ყველაფერი ეგრეა. მაგრამ, მე მგონია, ჩვენი ქაოსისა და რღვევის პირობებში, მომძლავრებული მტრის წინაშე, ეგრეთი სარისკო ექსპერიმენტების დრო არ არის. ქვეყანას უნდა მივცეთ საშუალება, გონს მოვიდეს, სული მოითქვას ერთი გადატრიალებისაგან, ვიდრე მეორეს შევუდგებოდეთ. უნდა დავუცადოთ რომელიმე, თუნდაც მცირეოდენ სიმშვიდეს და წესრიგს.

– ეგ გულუბრყვილობაა, – ამბობდა პოგორევშიხი. – ის, რასაც თქვენ რღვევას უწოდებთ, ისეთივე ნორმალური მოვლენაა, როგორც თქვენი სანაქებო და სანატრელი წესრიგი. ეს ნგრევაც უფრო ვრცელი აღმშენებლობითი გეგმის კანონზომიერი და წინასწარი ნაწილია. საზოგადოება ჯერ საკმარისად არ დაშლილა. საჭიროა მისი ბოლომდე დაქუცმაცება, და მაშინ ნამდვილი რევოლუციური ხელისუფლება სულ სხვა საფუძველზე ააწყობს მას ნაწილ-ნაწილად.

იური ანდრეევიჩმა მეტის მოთმენა ვეღარ შეძლო. ტალანში გავიდა. მატარებელი სვლას უმატებდა და მოსკოვის გარეუბნებს უახლოვდებოდა. ყოველ წუთს ფანჯრებთან შესახვედრად გამორბოდნენ და გვერდით ჩაიქროლებდნენ ხოლმე მიჯრით მიწყობილ აგარაკებიანი არყის ხის კორომები. მიჰქროდნენ მოაგარაკეებით სავსე, მოუჩარდახავი ვიწრო ბაქნები, მატარებლისაგან დაყენებულ მტვრის ღრუბელში გახვეულნი სადღაც შორს მიფრინავდნენ და კარუსელებზე შემომსხდარებივით ტრიალებდნენ. მატარებელი ზედიზედ კიოდა და მის კივილს ეხმიანებოდა გულგამოხრული, ფუტურო და ფუღუროვანი ტყის ექო.

უეცრად იური ანდრეევიჩი ამ დღეების განმავლობაში მთელი სიცხადით პირველად მიხვდა, სად იყო, რა ემართებოდა და ორიოდე საათში

რა დახვდებოდა.

ცვლილებების, გაურკვევლობის, გადაადგილებების სამი წელი, ომი, რევოლუცია, ელდა, თავზარი, სროლა, დაღუპვის სურათები, სიკვდილის სურათები, აფეთქებული ხიდები, ნგრევა, ხანძრები – ყოველივე ეს უზარმაზარ, უშინაარსო, ცარიელ ადგილს დაემსგავსა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ უპირველესი ჭეშმარიტი მოვლენა სწორედ ეს თავბრუდამხვევი მიახლოება იყო სახლთან, რომელიც მთელია და კიდევ არსებობს ამქვეყნად, და სადაც ყოველი კენჭი ძვირფასია. აი, რა იყო სიცოცხლე, აი, რა იყო განცდა, აი, რას დასდევდნენ თავგადასავლების მაძიებელნი, აი, რას გულისხმობდა ხელოვნება – ახლობლებთან ჩამოსვლა, შინ დაბრუნება, არსებობის განახლება.

კორომები დამთავრდა. ფოთლოვანი ვიწროებიდან მატარებელი ველად გაიჭრა. ხევიდან ამოსული დამრეცი მინდორი უვრცესი ბორცვით შორეთში იკარგებოდა. გარდიგარდმო იგი მთლიანად კარტოფილის მუქი მწვანე კვლებით იყო დაფარული. მინდვრის თავში, კარტოფილის ნათესის ბოლოში, მიწაზე სათბურებიდან ამოღებული შემინული ჩარჩოები ეწყო. მინდვრის პირისპირ, მომავალი მატარებლის კუდის იქით, ცის ნახევარი უზარმაზარ, შავ-მოლურჯო ღრუბელს დაეფარა. იქიდან მზის სხივები იფრქვეოდნენ, ყოველი მიმართულებით იშლებოდნენ, გზად სათბურის ჩარჩოებსაც ეხებოდნენ და მათ შუშებზე თვალისმომჭრელად კაშკაშებდნენ.

უცებ ღრუბლიდან ალმაცერად წამოვიდა მსხვილი, მზეზე მოელვარე „სოკოს წვიმა". მისი ხმაური მატარებლის ბორბლების გუგუნს აჰყვა, თითქოს ცდილობს დაეწიოს და ეშინია, არ ჩამორჩესო.

ექიმმა მისთვის თვალყურის მიდევნებაც ვეღარ მოასწრო, ისე ამოცურდა მთის იქიდან მაცხოვრის ტაძარი, წუთის შემდეგ კი – მთელი ქალაქის გუმბათები, სახურავები, სახლები და მილები.

– მოსკოვში ჩამოვედით, – თქვა მან კუპეში დაბრუნების შემდეგ. – დროა, ჩასასვლელად მოვემზადოთ.

პოგორევშიხი წამოხტა, სანადირო ჩანთას დაუწყო ქექვა და ყველაზე დიდი იხვი შეარჩია.

– აიღეთ, – თქვა მან. – სახსოვრად გქონდეთ. მთელი დღე ასეთ სასიამოვნო საზოგადოებაში გავატარე.

ექიმმა ბევრი იუარა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

– მაშ კარგი, – ბედს შეურიგდა იგი. – ცოლს მივართმევ თქვენი სახელით.

– ცოლი! ცოლი! ცოლს მიართვი, – სიხარულით იმეორებდა პოგორევშიხი, თითქოს ეს სიტყვა პირველად ესმისო, და მთელი სხეულით ისეთი ხტუნვა და ხარხარი ატეხა, მარკიზიც გარეთ გამოიჭრა და მისი სიხარული გაიზიარა.

მატარებელი დებარკადერს უახლოვდებოდა. თითქოს დაღამდაო, ვაგონში ჩამობნელდა. ყრუ-მუნჯი ექიმს რომელიღაც ნაბეჭდ მოწოდებაში გახვეულ მამალ იხვს უწვდიდა.

ნაწილი მეექვსე

მოსკოვში

1

გზაში, ვიწრო კუპეში გაუნძრევლად ჯდომისას, ეჩვენებოდა, თითქოს მარტოოდენ მატარებელი მოძრაობდა, დრო კი უძრავად გაიყინა და ჯერ ისევ შუადღე იყო.

მაგრამ უკვე საღამოს ბინდი ეშვებოდა, როცა მეეტლემ ექიმთან და მის ბარგთან ერთად სმოლენსკის სადგურში მოზიმზიმე უამრავ ხალხში ნაბიჯ-ნაბიჯ რის ვაი-ვაგლახით გამოაღწია.

შესაძლოა, ასეც იყო, ან იქნებ ექიმის მაშინდელ შთაბეჭდილებებს მომდევნო წლების დანაშრევებიც დაემატა, მაგრამ შემდგომში ყველაფერი იმგვარად ჩარჩა მეხსიერებაში, ეჩვენებოდა, რომ უკვე მაშინ ბაზარში ხალხი ადრინდელი ჩვეულების გამოისობით ირეოდა, საამისო მიზეზი კი არა ჰქონდა, რადგან ცარიელი დუქნების დარაბები ჩამოეშვათ, ბოქლომები არც კი დაედოთ და, კაცმა რომ თქვას, ტურტლიან მოედანზე, სადაც სიბინძურეს და ნაყარ-ნუყარს ზედაც არავინ უყურებდა, სავაჭრო საქონელი აღარსად ჩანდა.

ეჩვენებოდა, რომ უკვე მაშინ ხედავდა ტროტუარზე ატუზულ გაძვალტყავებულ, რიგიანად ჩაცმულ მოხუცებს, რომლებიც გამვლელ-გამომვლელთ საყვედურით აღსავსე მზერას აყოლებდნენ და უსიტყვოდ სთავაზობდნენ ისეთ საგნებს, რასაც არავინ ყიდულობდა და არც არავის სჭირდებოდა: ხელოვნურ ყვავილებს, მინის სარქველიან და სასტვენიან, სპირტზე მომუშავე მრგვალ ყავის მადუღარებს, შავი გაზის ქსოვილის ღამის პერანგებს, გაუქმებული უწყებების მუნდირებს.

უბრალო ხალხი შედარებით იოლად ვაჭრობდა უფრო საარსებო საქონლით: შავი, საულუფო პურის ხორკლიანი, დაფაშრებული ნატეხებით, ჭუჭყიანი, დანესტიანებული შაქრის კვნიწებით და შუაზე გადაჭრილი წეკოს პაკეტებით.

და მთელ ბაზარში ტრიალებდა რაღაც უცნაური ხარახურა, რომლის

ფასიც იმის მიხედვით იზრდებოდა, თუ მერამდენედ გადადიოდა ხელიდან ხელში.

მეეტლემ მოედნის მიმდებარე რომელიღაც ვიწრო ქუჩაზე შეუხვია. უკან მზე ჩადიოდა და მგზავრებს ზურგში უცხუნებდა. წინ კოფოზე შესკუპებული მეფორნე ცარიელ საზიდარს მიარახრახებდა. მის კვალდაკვალ მტვერი სვეტებად ადიოდა ჰაერში და ჩამავალი მზის სხივებზე ბრინჯაოსფრად ელვარებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, საზიდარს გაუსწრეს. სიჩქარეს უმატეს. ექიმი სახლების კედლებიდან და მესრებიდან აგლეჯილი, ქვაფენილზე და ტროტუარებზე მიმოფანტული გაზეთებისა და აფიშების ნახევების სიმრავლემ გააოცა. ქარი მათ ერთ მხარეს მიაქანებდა, შემხვედრთა ფლოქვები, ბორბლები და ფეხები კი სულ სხვა მხარეს მიემართებოდნენ, მალე, რამდენიმე გზაჯვარედინის გავლის შემდეგ, ორი შესახვევის გადაკვეთაზე მდგარი მშობლიური სახლიც გამოჩნდა. მეეტლე შედგა. იური ანდრეევიჩს სუნთქვა შეეკრა. გული ძალუმად აუძგერდა, ეტლიდან გადმოვიდა, სადარბაზოსთან მივიდა და ზარი დარეკა. შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. იური ანდრეევიჩმა მეორედ დარეკა. რაკი ცდა ამჯერადაც გაუცუდდა, შეშფოთებულმა მცირედი შესვენებებით დაიწყო რეკვა. მხოლოდ მეოთხე ზარზე გაიხმიანა კარის ჯაჭვმა და კაუჭმა და კარის ღიობში ანტონინა ალექსანდროვნა აისვეტა. მოულოდნელობისაგან წამით ორივენი გაშეშდნენ, აღარ ესმოდათ, რას გაიძახოდნენ. მაგრამ რაკი ანტონინა ალექსანდროვნას ცალ ხელში ყურთამდე გამოღებული კარი ეჭირა და სანახევროდ ქმართან ჩასახვევნად იყო გამზადებული, ორივენი გონს მოვიდნენ და ერთმანეთს თავდავიწყებით გადაეხვივნენ. წუთიც და ერთად ალაპარაკდნენ, ერთიმეორეს აღარ აცდიდნენ – რაც მთავარია, ყველანი ხომ კარგადა ხართ?

– კარგად, კარგად, დამშვიდდი. ყველაფერი რიგზეა. სისულელეები მოგწერე. მაპატიე. მაგრამ მაინც მოგელაპარაკები. დეპეშა რატომ არ გა-

მომიგზავნე? ახლავე მარკელს დავუძახებ, ბარგს შემოიტანს. აჰა, მივ-ხვდი, იმან შეგაშინა, კარი ეგოროვნამ რომ არ გაგიღო? ეგოროვნა სო-ფელშია.

– როგორ გამხდარხარ. მაინც რა ახალგაზრდა და ტანკენარი ხარ! ახ-ლავე გავუშვებ მეეტლეს.

– ეგოროვნა ფქვილზე წავიდა. დანარჩენებს შეველიეთ. ერთადერთი გოგონაღა გვყავს ახალი, ნიუშა, საშენკას უვლის, ეს არის და ეს. ყველა გავაფრთხილეთ, რომ ჩამოდიოდი, ყველანი მოუთმენლად გელოდებიან, გორდონი, დუდოროვი, ყველანი.

– საშენკა როგორღაა?

– არაფერი უჭირს, ღვთის მადლით. ახლახან გაიღვიძა. ნამგზავრი რომ არ იყო, შეიძლებოდა ახლავე გენახა.

– მამა სახლშია?

– ხომ მოგწერეთ, გამთენიიდან შუაღამემდე რაიონულ სათათბირო-შია. თავმჯდომარეა. აბა, ხომ წარმოგიდგენია... მეეტლეს გაუსწორდი? მარკელ! მარკელ!

შუა ტროტუარზე იდგნენ კალათით და ჩემოდნით ხელში და გამ-ვლელ-გამომვლელს ეღობებოდნენ, ისინი კი განზე უვლიდნენ, თავით ფეხამდე ათვალიერებდნენ, მიმავალ ეტლს მზერას აყოლებდნენ, ცალი თვალით ფართოდ გამოღებულ სადარბაზოში იჭვრიტებოდნენ და ელოდნენ, რა მოხდებოდა.

ამასობაში ჭიშკრიდან მარკელი გამოიჭრა. ჩითის პერანგზე ჟილეტი ეცვა. ხელში მეეზოვის კარტუზი ეჭირა, ახალგაზრდა ბატონებისაკენ მორბოდა და ყვიროდა:

– ღმერთო დიდებულო, იურიჩკა არ არის? ის არის, მაშა! ის არის, ჩემი შევარდნის მართვე! იური ანდრეევიჩ, ჩვენო თვალის სინათლევ, არ დაგვივიწყე განა, შენზე მლოცველები, ჩამოხვედი განა, შენს კერიაზე! თქვენ კი რას უდგეხართ? – შეუღრინა ცნობისმოყვარეებს. – მიბრძან-დით, პატივცემულნო. ბიჭოს, არ დაუჭყეტიათ თვალები?! – გამარჯობა,

მარკელ, მოდი ერთი გადაგეხვიო. დაიხურე, კაცო, კარტუზი. სხვა რა ამ-ბავია, ცოლი, ქალიშვილები ხომ კარგადა გყავს? – როგორ იქნებიან, იზ-რდებიან რაღა. მადლობთ. ახალი ის არის, რომა სანამ შენ იქ გარდან-ქეშნობდი, როგორცა ხედავ, გულხელდაკრეფილები არც ჩვენ ვისხედით. აქ ისეთი დომხალია, ეშმაკი ვერ გაუგებს თავსა და ბოლოს. ქუჩები ნაგ-ვითაა სავსე, მიმხედავი არც სახლებს ჰყავთ და არც სახურავებს. მუც-ლებშიც, მარხვისას რო გინახია, ისეთი სიცარიელეა, ანექციისა და კონ-ტრიბუციის გარეშე.

– იური ანდრეევიჩთან უნდა გიჩივლო, მარკელ. აი, სულ ასეთია, იუ-როჩკა. მაგის ავყია ლაპარაკს ვერ ვიტან. ეტყობა, ახლა შენი გულისთვის ცდილობს, უნდა, თავი მოგაწონოს. სათავისოდ კი არაფერი ეშლება. კარგი, კარგი, მარკელ, თავს ნუ იმართლებ. ბნელი პიროვნება ხარ, მარ-კელ. დროა, ჭკუას უხმო. ჩაის მიხედე, ფქვილის მედუქნესთან ხომ არა ცხოვრობ.

მარკელმა ბარგი წინკარში შეიტანა, სადარბაზოს კარი მიხურა და ხმადაბლა, დაყვავებით განაგრძო:

– ანტონინა ალექსანდროვნა მიწყრება, ხო გესმის. სუ მუდამ ეგრეა, ეგრე იძახის, რომაო, შენაო, მარკელ, შიგნიდან სუ მთლად შავი ხარო. რაღა შენა და რაღა საკვამური მილი, სუ ჭვარტლითა ხარ გამოტენილიო ეხლაო, იძახის, უწლოვანი ბავშვი კი არაო, მოპსები რო არიანო, ოთახის გოშიები, იმათაც ადამიანისა ეყურებათო. ეგა, რა თქმა უნდა, მაგაზე ვი-ნა კამათობს, მაგრამა, იუროჩკა, გინდ დაიჯერე, გინდ არა, ჭკვიან კაცებ-სა ერთი წიგნი უნახავთ, ას ორმოცი წელი ქვის ქვეშ დებულაო. და ეხლა იმას ვფიქრობ, რომა, გაგვყიდეს, იუროჩკა, გესმის, გაგვყიდეს, გაგვყიდეს მუქთად, ისე, რომა, გროში – კაპეიკი რო გროში-კაპეიკია, ისაც არავის უნახავს. უყურე, ანტონინა ალექსანდროვნა ისევ მაჩუმებს, ხედავ, ხელს მიქნევს.

– როგორ არ დაგიქნიო. კარგი. ბარგი იატაკზე დადე და გმადლობთ, გადი, მარკელ. თუ დასჭირდი, იური ანდრეევიჩი ისევ დაგიძახებს.

2

– წავიდა, როგორც იქნა, თავი დაგვანება. დაუჯერე, დაუჯერე. წმინდა წყლის ტაკიმასხარაა და სხვა არაფერი. ხალხში თავს ისულელებს, ისე კი, ყოველი შემთხვევისათვის დანას ლესავს. მარტო ეგაა, ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის გამოღადროს ყელი, მაგ ყაზანელმა არამზადამ.

– შენ კი აჭარბებ! მგონი, სადღაც გადაუყლურწავს და იმიტომ ლაქლაქებს, მეტი არაფერი.

– შენ ის მითხარი, ფხიზელი როდისღაა? ჯანდაბას მაგისი თავი და ტანი! მე იმას ვშიშობ, ემანდ საშენკამ ისევ არ დაიძინოს. ეჰ, ეს სარკინიგზო ტიფი რომ არა... მკბენარი ხომ არ გყავს?

– არა მგონია. ისე კომფორტულად მოვდიოდი, როგორც ომამდე. ხელ-პირის დაბანა საკმარისი არ არის? ისე, სახელდახელოდ. საგულდაგულოდ მერე დავიბან. საით მიდიხარ? სასტუმრო ოთახის გავლით არ უნდა წავიდეთ? ახლა უკვე სხვა გზით ადიხართ?

– ჰო, მართლა! შენ ხომ არაფერი იცი. მე და მამამ ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ, მერე ავდექით და ქვედა სართულის ნაწილი სასოფლო–სამეურნეო აკადემიას დავუთმეთ. ზამთარში მაინც ვერ გავათბობდით. ისე, მეორე სართულიც მეტისმეტად ფართოა. იმასაც ვთავაზობთ. ჯერჯერობით უარზე არიან. სამეცნიერო კაბინეტები აქვთ, ჰერბარიუმები, თესლეულის კოლექცია. ერთადერთი ვირთხებისა გვეშინია, რაც არ უნდა იყოს – მარცვლეულია. ჯერჯერობით კი ოთახებს სუფთად ინახავენ. ახლა ეს არის საცხოვრებელი ფართობი. აქეთ, აქეთ. რა მიუხვედრელი ხარ! უკანა კიბით უნდა ავიდეთ, გასაგებია? მომყევი, გზას გიჩვენებ.

– ძალიან კარგი გიქნიათ, ოთახები რომ დაგითმიათ. მე რომ ჰოსპიტალში ვმუშაობდი, ისიც საბატონო სახლში იყო მოთავსებული. უსასრულო დერეფნები ჰქონდა, აქა-იქ პარკეტიც იყო შემორჩენილი. კასრებში ჩადგმული პალმები ღამ-ღამობით თავებზე მოჩვენებებივით გაფარჩხულ თითებს ათამაშებდნენ. ომგადახდილი მეომრები წიოკდებოდნენ

და ძილში კიოდნენ. თუმცა არც ისეთი დალაგებულები იყვნენ, კონტუ-ზია ჰქონდათ. იძულებული გავხდით, ის პალმები გარეთ გაგვეტანა. იმის თქმა მინდა, რომ შეძლებულთა ცხოვრებაში, მართლაც, ზოგი რამ უკუღმართული იყო. უამრავი ზედმეტი საგანი ჰქონდათ დახორებული, ზედმეტი ავეჯი და ზედმეტი ოთახები სახლში, გრძნობათა ზედმეტი წვრილმანები, ზედმეტი გამონათქვამები. ძალიან კარგად მოქცეულ-ხართ, რომ შევიწროებულხართ. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, მეტია საჭირო.

– მაგ შეკვრიდან რაა გამოჩრილი? ფრინველის ნისკარტს, იხვის თავ-სა ჰგავს. რა მშვენიერია! გარეული იხვია! საიდან? თვალს არ ვუჯერებ! ჩვენს დროში ეს ხომ მთელი სიმდიდრეა!

– ვაგონში მაჩუქეს. გრძელი ამბავია, მერე მოგიყვები. რას იტყვი, გავ-ხსნათ და სამზარეულოში დავტოვოთ?

– ჰო, რა თქმა უნდა. ახლავე ვეტყვი ნიუშას, გაპუტოს და გამოშიგ-ნოს. ამბობენ, ზამთარში დიდი საშინელება დატრიალდებაო, ეს შიმში-ლიო, ეს სიცივეო.

– კი, ყველგან ეგრე ლაპარაკობენ. ცოტა ხნის წინათ ვაგონის ფან-ჯრიდან ვიყურებოდი და ვფიქრობდი. ოჯახურ სიმყუდროვეს და შრომას რა შეედრება? დანარჩენი ჩვენს ხელთ არ არის. როგორც ეტყობა, დიდ-ძალი ხალხი გაუბედურდება. თავის საშველად ზოგი სამხრეთში გარბის, კავკასიაში, სადღაც შორს უნდათ შეეფარონ. მე მაგ ჭკუაზე არა ვარ. მო-წიფულმა კაცმა კბილს კბილი უნდა დააჭიროს და მშობლიური კუთხის ბედი გაიზიაროს. მგონი, ამაზე კამათი არცა ღირს. თქვენ კი სულ სხვა ხართ. როგორ მინდა, უბედურებას გაგარიდოთ, სადმე საიმედო ადგილ-ზე გაგაგზავნოთ, თუნდაც ფინეთში. მაგრამ თითოეულ საფეხურზე ასე საათობით თუ გავჩერდებით, ზევით ვერასოდეს ავაღწევთ, – დაიცა, მო-მისმინე. ახალი ამბავია, თანაც როგორი! კინაღამ დამავიწყდა. ნიკოლაი ნიკოლაევიჩი ჩამოვიდა.

– რომელი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი?

– ძია კოლია.

– ტონია! ეგ შეუძლებელია! რა ქარმა გადმოაგდო?

– შვეიცარიიდან ჩამოვიდა. წრიული გზით უვლია. ჯერ ლონდონს ჩასულა, მერე ფინეთი გამოუვლია.

– ტონია! არ ხუმრობ? უკვე ნახეთ? სად არის? არ შეიძლება ახლავე მოვნახოთ, ამ წამსვე?

– რა მოუთმენლობაა! ქალაქგარეთაა, ვიღაცის აგარაკზე. ზეგ დავბრუნდებიო, დაგვპირდა. ისე შეცვლილა, გული დაგწყდება. გზად პეტერბურგში შეჩერებულა, გაბოლშევიკებულა. მამა ხმის ჩახლეჩამდე ეკამათება. თუმცა რა ყოველ ნაბიჯზე ვჩერდებით? წავიდეთ. ესე იგი, შენც მოჰკარი ყური, წინ ბევრი ვერაფერი სიკეთე გველისო, მარტო სიძნელეები, სახიფათო, გამოუცნობი ამბებიო?

– თავად მეც ეგრე ვფიქრობ. მაგრამ რას იზამ, შევებრძოლებით. ბოლოს და ბოლოს, უსაშველო არაფერია. ვნახოთ, რა იქნება, საცა სხვები, ჩვენც იქ.

– აგრე ამბობენ, არც შეშა იქნება, არც წყალი, არც სინათლეო. ფულსაც გამოცვლიანო. ყველაფრის მოწოდება შეწყდებაო. ისევ შევჩერდით, წავიდეთ. მისმინე. არბატის სახელოსნოს თუნუქის ბრტყელ ღუმელებს აქებენ. გაზეთის ცეცხლზე სადილს გააკეთებო, ამბობენ. მისამართი მომცეს. სანამ არ დაუტაცნიათ, უნდა ვიყიდოთ.

– სწორია. ვიყიდოთ. რა ჭკვიანი ხარ, ტონია! მაგრამ ძია კოლია, ძია კოლია! წარმოგიდგენია? გონს ვერ მოვსულვარ!

– ასეთი გეგმა მაქვს. ზედა სართულზე ერთი კუთხე გამოვძებნოთ, მამასთან, საშენკასთან და ნიუშასთან ერთად დავსახლდეთ, ორ-სამ ოთახში, აუცილებლად გვერდი-გვერდ რომ იქნებიან, ისეთებში, დანარჩენ სახლზე კი ხელი ავიღოთ. როგორც ქუჩას, ისე გავემიჯნოთ. ერთი ისეთი თუნუქის ღუმელი დავდგათ შუა ოთახში, საკვამური მილი სარკმელში გავაყოფინოთ, სარეცხიც იქა გვქონდეს, სახარშავიც, საჭმელები, სადილები, სტუმართა მიღებაც, ყველაფერი იქ იყოს, ტყუილუბრალოდ რომ

არ გავათბოთ, და ვინ იცის, იქნებ ღვთის შეწევნით გაზაფხულამდეც გავაღწიოთ.

– მაშ როგორ? რაღა თქმა უნდა, გავაღწევთ. უეჭველია. ყველაფერი დიდებულად მოგიფიქრებია, ყოჩაღ. და იცი რა? მოდი მაგ შენი გეგმის მიღება ვიზეიმოთ. შევწვათ ეს ჩემი იხვი და ახალსახლობაზე ძია კოლიასაც დავუძახოთ.

– დიდებულია. გორდონს კი ვთხოვ, სპირტი მოიტანოს. რომელიღაც ლაბორატორიაში შოულობს. ახლა კი შეხედე, აი ის ოთახი, რომელზეც გელაპარაკებოდი. აი, რა ამოვიტანე. მოგწონს? ჩემოდანი იატაკზე დადე და ჩადი კალათის ამოსატანად. ბიძიას და გორდონის გარდა შეიძლება ინოკენტის და შურა შლეზინგერსაც დავუძახოთ, კარგი? ხომ არ დაგავიწყდა, სად არის ჩვენი პირსაბანი? დეზინფექციისათვის რაიმე შეისხურე. მე კი საშენკასთან წავალ, ნიუშას ქვევით გავაგზავნი და როცა ყველაფერი რიგზე იქნება, დაგიძახებ.

3

მისთვის ყველაზე მთავარი სიახლე მოსკოვში ეს ბიჭუნა იყო. საშენკას დაბადებისთანავე იური ანდრეევიჩი ჯარში გაიწვიეს. რა იცოდა შვილზე?

ერთხელ, როცა უკვე გაწვეული იყო, გამგზავრების წინ იური ანდრეევიჩი კლინიკაში მივიდა ტონიას სანახავად. სწორედ მაშინ მივიდა, როცა ბავშვებს აჭმევდნენ. ცოლთან არ შეუშვეს.

მოსაცდელად წინკარში ჩამოჯდა. ამ დროს ბავშვთა შორეულ დერეფანში, სამეანოშიც რომ გადიოდა, რომლის გასწვრივ დედები იწვნენ, ათი-თორმეტი ჩვილის ტირილის ხმა მწყობრად გაისმა. ჩვრებში გამოკრული ახალშობილები რომ არ გაციებულიყვნენ, ძიძებმა ორ-ორი ბავშვი ნავაჭრი ბოხჩებივით აქეთ-იქიდან იღლიებში ამოიჩარეს და დედებთან საჭმელად გაიყვანეს.

– ვაა, ვაა, – თითქმის უგრძნობლად, თითქოსდა სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენო, ერთი და იგივე კილოზე ტიროდნენ პატარები, და ამ საერთო მოძახილიდან მხოლოდ ერთი ხმა გამოირჩეოდა.

მართალია, სხვებივით ისიც „ვაა, ვაას" გაიძახოდა და განცდის ნიშანწყალი მაინცდამაინც არც იმას ეტყობოდა, მაგრამ როგორც ექიმს ეჩვენებოდა, ამას მოვალეობის გულისთვის კი არ შვრებოდა, როგორღაც შერეული ბანით, განზრახ პირქუშად ბუბუნებდა.

იური ანდრეევიჩს მაშინ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა სიმამრის პატივსაცემად შვილისათვის ალექსანდრე დაერქმია. არავინ იცის, რატომ მოეჩვენა, მისი ბიჭუნა ასე იმიტომ ტიროდა, რომ ეს იყო გამომეტყველებითი, ადამიანის მომავალი ხასიათისა და ბედის გამომხატველი ტირილი, ბგერითი შეფერილობის მქონე ტირილი, რომელიც, იური ანდრეევიჩის წარმოდგენით, ბიჭუნას სახელს, ალექსანდრესაც მოიცავდა.

იური ანდრეევიჩი არ შემცდარა. როგორც მერე გამოირკვა, მართლაც საშენკა ტიროდა. აი, ის პირველი და უპირველესი, რაც შვილზე იცოდა.

შემდგომში იური ანდრეევიჩმა მასთან თავისი ნაცნობობა ფრონტზე წერილებით გამოგზავნილი სურათებით გაასრულა. მათზე გამოსახულ მხიარულ დიდთავა, სქელტუჩება, სანდომიანი სახის ბუთხუზა ბაიას გაშლილ საბანზე ფეხები გაეჩაჩხა და ორივე ხელი მაღლა აეწია, თითქოს სკუპით ცეკვავსო. მაშინ წლისა იყო, სიარულს სწავლობდა, ახლა კი ორისა სრულდებოდა და ენას იდგამდა.

იური ანდრეევიჩმა იატაკიდან ჩემოდანი აიღო, თასმები მოუშვა და ფანჯარასთან, ბანქოს მაგიდაზე დადო. რა იყო წინათ ამ ოთახში? ექიმი ვერა და ვერ იხსენებდა. ეტყობა, ტონიამ აქედან ავეჯი გაიტანა, ან ახლებურად უცვალა სახე.

ექიმმა ჩემოდანი გახსნა და პირის საპარსი მოწყობილობა ამოიღო. ფანჯრის პირდაპირ მდგარი ეკლესიის სამრეკლოს სვეტებს შორის ქათქათა, ბადრი მთვარე ამოცურდა. მისი ნათელი ჩემოდანში ჩალაგებულ თეთრეულს, წიგნებს და პირად ნივთებს დაადგა. ოთახი როგორღაც

სხვანაირად გაცისკროვნდა და ექიმმა იცნო იგი.

ეს ანა ივანოვნას განთავისუფლებული საკუჭნაო იყო. ოდესღაც დამტვრეულ მაგიდებსა და სკამებს, უვარგის საკანცელარიო ხარახურას აქ ინახავდა. აქ იყო მისი საოჯახო არქივი, აქვე ეწყო ზანდუკებიც, რომლებშიც ზაფხულობით საზამთრო ნივთებს ინახავდნენ. განსვენებულის სიცოცხლეში ოთახის კუთხე-კუნჭული ჭერამდე იყო გამოტენილი და ჩვეულებისამებრ შიგ არავის უშვებდნენ. მაგრამ დიდ-დიდი დღესასწაულების ჟამს, ბავშვების თავშეყრისას, როცა ნებას რთავდნენ, მთელ მეორე სართულზე ეხტუნავათ და ეთამაშნათ, ამ ოთახის კარსაც უღებდნენ. ისინიც აქ დამალობანას თამაშობდნენ, მაგიდებქვეშ დაძვრებოდნენ, დამწვარი საცობით ითხუპნებოდნენ და სამასკარადოდ ეწყობოდნენ.

ექიმი ერთხანს უძრავად იდგა, გარდასულ ამბებს იხსენებდა, მერე კალათის ამოსატანად წინკარში ჩავიდა.

ქვევით, სამზარეულოში, ნიუშა, მორცხვი და გაუბედავი გოგონა, ჩაცუცქულიყო და ქურის წინ გაშლილ გაზეთზე იხვს ასუფთავებდა. იური ანდრეევიჩის დანახვისთანავე ღაწვები ყაყაჩოსავით შეეფაკლა, ტვირთიანად მკვირცხლად წამოხტა, წინსაფრიდან ბუმბული ჩამოიფერთხა, მიესალმა და დახმარება შესთავაზა. მაგრამ ექიმმა მადლობა უთხრა, კალთას თავად ავიტანო.

ის იყო, ანა ივანოვნას ყოფილ საკუჭნაოში შევიდა და მეორე თუ მესამე ოთახის სიღრმიდან ცოლის ხმა შემოესმა:

– შეიძლება, იურა!

იური ანდრეევიჩი საშენკას სანახავად გაემართა.

ახლანდელი საბავშვო ოთახი მის და ტონიას სამეცადინო ოთახში იყო მოთავსებული. საწოლში მყოფი ბავშვი არც თუ ისე მოხდენილად გამოიყურებოდა, როგორც სურათებში ჩანდა, სამაგიეროდ გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა იური ანდრეევიჩის დედას, განსვენებულ მარია ნიკოლაევნას. მსგავსება იმდენად დიდი იყო, ცხონებულის გარდაცვალების

შემდეგ შემონახული ვერც ერთი სურათი გვერდით ვერ დაუდგებოდა.

– ეს მამიკოა, შენი მამიკო, ხელი გაუწოდე, – ეუბნებოდა ანტონინა ალექსანდროვნა, თან საწოლის ბადეს დაბლა სწევდა, მამას უფრო მოხერხებულად რომ ჩაეკრა გულში შვილი და ხელში აეყვანა.

საშენკამ ახლო მიუშვა უცნობი, წვერგაუპარსავი მამაკაცი, რომელიც იქნებ აშინებდა კიდეც, და როცა იგი დაიხარა, ბავშვი წამოხტა, დედის ზედატანს ჩააფრინდა და სახეში გაგულისებით გაუტკაცუნა სილა. მერე საკუთარმა სითამამემ ისე დააფრთხო, დედას მკერდზე აეკრა, სახე მის კაბაში ჩარგო და მწარედ, ბავშვური გულამოსკვნით აქვითინდა, – ფუ, შენა, ფუ, – ტუქსავდა ანტონინა ალექსანდროვნა – როგორ იქნება ასე, საშენკა. მამიკო იფიქრებს, საშენკა ცუდიაო, საშა ა-ა-არ. აბა აჩვენე, როგორი კოცნა იცი, მამიკოს აკოცე. ნუ ტირი, აბა რა გატირებს, მე სულელო.

– თავი დაანებე, ტონია, – სთხოვა ექიმმა. – ნურც მაგას აწვალებ და ნურც შენ დაღონდები. ვიცი, რაც არ გასვენებს, გგონია, ეს უბრალო საქმე არაა, უკეთური ნიშანიაო. აბა, რა სისულელეა. ასეც უნდა ყოფილიყო. ბიჭს არასოდეს ვუნახივარ. ხვალვე ისე მომეჩვევა, გვერდიდან აღარ მომცილდება.

მაგრამ ოთახიდან თავადაც ისე გამოვიდა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. ეს ყველაფერი ავად ენიშნა.

4

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში აშკარა გახდა, რაოდენ მარტოსული იყო. არავის ამტყუნებდა. ეტყობა, თვითონ უნდოდა ასე და საწადელს ეწია.

მეგობრები უჩვეულოდ ფერმკრთალად და უფერულად გამოიყურებოდნენ. თავისი სამყარო, თავისი აზრი აღარავის შერჩენოდა. ექიმის მოგონებებში ისინი გაცილებით ელვარედ იყვნენ აღბეჭდილნი. როგორც

ჩანს, მათ შეფასებაში წინათ აჭარბებდა.

ვიდრე ცხოვრების წესი და რიგი ბედის ნებიერთ საშუალებას აძლევდა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა ხარჯზე საკუთარი ჭია გაეხარებინათ, რა ადვილი იყო მათ ნამდვილ სახედ და ღვთივ მომადლებულ განძად ჩაგეთვალათ ის ჭირვეული დარდიმანდობა და მუქთახორობის უფლება, რაიც უმცირესობის ხვედრი იყო, სანამ უმრავლესობა ჭირთათმენაში იყო ჩაფლული!

მაგრამ როგორც კი დამდაბლებულთ თავი ასწიეს, განდიდებულთა ჩინები კი ქარმა წაიღო, ყველანი ერთბაშად გახუნდნენ, უყოყმანოდ აიღეს ხელი დამოუკიდებელ აზრებზე, რომლებიც, ალბათ, არცა ჰქონდათ!

ახლა იური ანდრეევიჩის გარშემო მხოლოდ უგერგილო ხალხი ტრიალებდა, რომელთაც აღარც სიტყვა მოუდიოდათ და არც აღმაფრენა იტაცებდათ. აქვე იყვნენ ცოლი, სიმამრი, ორიოდე თანამშრომელი ექიმი, უბრალო მშრომელები, რიგითი ადამიანები.

იხვით და სპირტით დამშვენებული საღამო, როგორც ნავარაუდევი იყო, მისი ჩამოსვლის მეორე თუ მესამე დღეს გაიმართა. მანამდე კი სათითაოდ ყველა წვეულის ნახვა მოასწრო, ასე რომ, მათი შეხვედრა იმ დღეს პირველი არ ყოფილა.

იმ დროისათვის, როცა შიმშილი თანდათანობით ყველას უშინაურდებოდა, მსუქანი იხვი არნახული ფუფუნება იყო, მაგრამ სუფრაზე პურის ნაკლებობა იგრძნობოდა, რაც იმ დიდებულ ტრაპეზს აზრს უკარგავდა და, ასე გასინჯეთ, გარშემო მყოფთაც აღიზიანებდა.

გორდონმა სპირტი მიზეზილ საცობიანი სააფთიაქო წამლის შუშით მოიტანა. სპირტი მეტომრე სპეკულანტთა საყვარელი საცვლელი იყო. ანტონინა ალექსანდროვნა ბოთლს ხელიდან არ უშვებდა და საჭიროების მიხედვით ცოტ-ცოტას აზავებდა, ამას ალალბედზე აკეთებდა, ხან მეტისმეტად მაგარი გამოუდიოდა და ხან – წყალწყალა. ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ უთანაბროდ გაზავებული ხსნარით მოგვრილი თრობა თანაბარ, მაგარ სასმელზე გაცილებით მძიმე და აუტანელი იყო. მეინახეებს

ესეც აგულისებდათ.

ყველაზე მეტად სევდისმომგვრელი კი ის გახლდათ, რომ ის საღამო დროებას არ შეეფერებოდა. არვის შეეძლო ემტკიცებინა, ამ წუთებში ამ შესახვევში, მოპირდაპირე სახლებშიც ასევე სვამენ, მისაყოლებელსაც მიირთმევენ და გულით ილხენენო. ფანჯრის მიღმა დამუნჯებული, ჩაბნელებული და დამშეული მოსკოვი ეგულებოდათ. მისი დახლები კარგა ხნის წინათ გამოცარიელებულიყო და ისეთ საგნებზე, როგორიც ფრინველის ხორცი და არაყი იყო, ფიქრსაც კი გადასჩვეოდნენ.

და აი, აღმოჩნდა, რომ ნამდვილია მხოლოდ ის ცხოვრება, გარშემო მყოფთა ცხოვრებას რომ ჰგავს და იძირება მასში უკვალოდ. განკერძოებულ სიხარულს კი არა აქვს ფასი. ასე რომ, იხვი და სპირტი, მთელ ქალაქში ერთადერთად რომ გეჩვენება, სულაც არ არის სპირტი და იხვი. ყველაზე მეტად გულს ეს უკლავდა.

ისე, სტუმრებიც უსიხარულო ფიქრებს უშლიდნენ. გორდონი მანამდე იყო კარგი, ვიდრე მძიმედ ფიქრობდა, დუნედ და გაფანტულად მეტყველებდა. იგი იური ანდრეევიჩის საუკეთესო მეგობარი იყო. გიმნაზიაშიც უყვარდათ.

მაგრამ აი, საკუთარი სახე დაკარგა და ზნეშიც უხეირო ცვლილებები შეეპარა. ცდილობდა თავი ყინჩად სჭეროდა, ვითომ დარდიმანდობდა კიდეც, სულ რაღაც-რაღაცეებს ჰყვებოდა და მახვილგონიერებით მოჰქონდა თავი, ვითომ „სასაცილოდ" და „თავშესაქცევად" ლაპარაკობდა, მაგრამ აშკარად ნასესხები სიტყვები გამოუდიოდა, რამეთუ გორდონს ცხოვრება არასოდეს მიაჩნდა გასართობად.

დუდოროვის მოსვლამდე ამხანაგებში მოარული, თავისი ჭკუით, სასაცილო თავგადასავალი უამბო მისი ჯვრისწერის თაობაზე. იური ანდრეევიჩმა ეს ამბავი ჯერ არ იცოდა.

თურმე ნუ იტყვით, დუდოროვი დაახლოებით ერთ წელიწადს ყოფილიყო ჯვარდაწერილი, მერე კი ცოლს გაჰყოდა. ამ თავგადასავლის ნაკლებად სარწმუნო მარილი კი აი, თურმე რაში იყო.

დუდოროვი ჯარში შეცდომით წაეყვანათ. სანამ მსახურობდა და გაუგებრობას არკვევდნენ, დოყლაპიობისა და ქუჩაში მეთაურებისათვის გაწკეპილად სალმის მიუცემლობისათვის ყველაზე მეტი საჯარიმო განწესება მიეღო. როცა გაათავისუფლეს, ოფიცერთა დანახვაზე ხელი თურმე სულ მაღლა მიურბოდა, თვალები უჭრელდებოდა და ერთთავად სამხრეები ელანდებოდა.

თურმე იმხანად ყველაფერს ჰაიჰარად აკეთებდა, წინდაუხედაობით ათასი შეცდომა და მარცხი მოსდიოდა. სწორედ იმ დროს ვოლგის რომელიღაც ნავმისადგომში იმავე გემის მომლოდინე ორ დას გაეცნო. ირგვლივ ბლომად მოფუთფუთე ოფიცრებისა და თავისი სალდათური გაფაციცების გამო თვალს გონება ვეღარ მიადევნა, ერთი მათგანი შეუყვარდა და სიჩქარეში უმცროსს ცოლობა სთხოვა. „სასაცილოა, არა?" – ეკითხებოდა გორდონი. მაგრამ უნებურად სიტყვა უნდა შეემოკლებინა. კარს იქიდან მისი მოთხრობის გმირის ხმა გაისმა. ოთახში დუდოროვი შემოვიდა.

იგი სულ სხვანაირად შეცვლილიყო. ადრინდელი აცეტებულ-ახირებული ქარაფშუტისაგან დარბაისელი მეცნიერი დამდგარიყო.

მას შემდეგ, რაც სიჭაბუკეში პოლიტიკური გაქცევის მოწყობაში მონაწილეობისათვის გიმნაზიიდან გარიცხეს, ერთხანს ნაირ-ნაირი სამხატვრო სასწავლებლების კარებს ატალახებდა, მერე კი ბედმა კლასიკური განათლების ნაპირზე გარიყა. ამხანაგებისაგან განსხვავებით, დუდოროვმა უნივერსიტეტი მოგვიანებით, ომის წლებში დაამთავრა და ერთბაშად ორ კათედრაზე, რუსეთისა და საყოველთაო ისტორიის კათედრებზე იქნა დატოვებული. პირველზე ივანე მრისხანის მიწის პოლიტიკაზე წერდა რაღაცას, მეორეზე – გამოკვლევას სენ-ჟუსტის თაობაზე.

ახლა იგი თავაზიანად, ხმადაბლა და თითქოსდა გაციებული ხმით მსჯელობდა ყველაფერზე, თან მეოცნებე თვალებით ერთ წერტილს მისჩერებოდა, როგორც ლექციის კითხვისას, თავს არც მაღლა სწევდა და არც დაბლა.

საღამოს ბოლოს, როცა ოთახში შურა შლეზინგერი შემოიჭრა თავისი თავდასხმებით, დანარჩენნი კი, უიმისოდაც გაცხარებულნი, ერთმანეთს აღარ აცდიდნენ, სხვადასხვა ხმაზე გაჰყვიროდნენ, ინოკენტიმ, რომელსაც იური ანდრეევიჩი სკოლის წლებიდან „თქვენობით ელაპარაკებოდა, რამდენჯერმე ჰკითხა:

– „ომი და მშვიდობა" და „ხერხემლის ფლეიტა" წაკითხული გაქვთ? იური ანდრეევიჩმა კარგა ხანია უთხრა, რას ფიქრობდა ამის თაობაზე, მაგრამ საერთო ყაყანში დუდოროვმა ვერაფერი გაიგო და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჰკითხა:

– „ხერხემლის ფლეიტა" და „ადამიანი" წაგიკითხავთ?

– ხომ გიპასუხეთ, ინოკენტი. თქვენი ბრალია, რომ ვერ გაიგეთ. მაგრამ ნება თქვენია, კვლავ გავიმეორებ. მაიაკოვსკი მუდამ მომწონდა. იგი დოსტოევსკის რაღაცნაირი გაგრძელებაა. ან, უფრო სწორედ, ეს მისი რომელიმე, თუნდაც იპოლიტეს, რასკოლნიკოვის ან „მოზარდის" გმირის მსგავსი უმცროსი მეამბოხე პერსონაჟის დაწერილი ლირიკაა.

ნიჭიერების რა ყოვლისმომცველი ძალაა! ერთხელ და სამუდამოდ რა შეურიგებლად და ცალსახადაა ნათქვამი! და, რაც მთავარია, რა თამამად მიახალა პირში ყველაფერი საზოგადოებას და კიდევ სადღაც, შორეულ სივრცეს!

მაგრამ საღამოს სული და გული, რაღა თქმა უნდა, ბიძია იყო. ანტონინა ალექსანდროვნა შეცდა, როცა თქვა, ნიკოლაი ნიკოლაევიჩი აგარაკზეაო. იგი დისწულის ჩამოსვლის დღესვე დაბრუნდა და ქალაქში იყო. იური ანდრეევიჩმა ორჯერ-სამჯერ უკვე მოინახულა იგი, მასთან საუბრითაც იჯერა გული, წუწუნითაც და სიცილ-ხარხარითაც.

მათი პირველი შეხვედრა მოღუშული, ღრუბლიანი დღის საღამოს მოხდა. წვრილად ცრიდა. იური ანდრეევიჩი ნიკოლაი ნიკოლაევიჩთან სასტუმროში მივიდა. სასტუმროში სტუმრებს უკვე მარტოოდენ ქალაქის ხელისუფალთა დაჟინებული მოთხოვნით იღებდნენ. მაგრამ ნიკო-

ლაი ნიკოლაევიჩს ყველგან იცნობდნენ. ძველი ნაცნობები შემორჩა. სასტუმრო გაქცეული ადმინისტრაციის მიერ მიტოვებულ ყვითელ სახლს ჰგავდა. კიბეებზე და დერეფნებში სიცარიელე, ქაოსი და არევ-დარევა სუფევდა.

დაულაგებელი ნომრის ფართო ფანჯრიდან იმ გადარეული დღეების ვრცელი, უკაცრიელი მოედანი მოჩანდა და მნახველს რაღაცით შიშის ზარს სცემდა, თითქოს სინამდვილეში სასტუმროს ფანჯრის წინ კი არ იყო გადაშლილი, უკუნი ღამის სიზმარეული ჩვენება გახლდათ. ეს საოცარი, დაუვიწყარი, უმნიშვნელოვანესი შეხვედრა იყო! მისი ბავშვობის კერპი, ჭაბუკურ ფიქრთა მპყრობელი მის წინაშე ცოცხალი იდგა.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩს ჭაღარა მეტად უხდებოდა. უცხოური ფართო კოსტუმი ლამაზად ჰქონდა ტანზე მორგებული. თვალტანადი და წარმოსადეგი, თავის ასაკთან შედარებით ჩაუქად გამოიყურებოდა, რასაკვირველია, მომხდარი ამბის გრანდიოზულობის გვერდით ბევრსა ჰკარგავდა. მოვლენები ჩრდილავდნენ, მაგრამ იური ანდრეევიჩს აზრადაც არ მოსვლია, იგი ამგვარი საზომით შეეფასებინა.

მას აოცებდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩის სიმშვიდე, ის გულგრილი და ხუმრობანარევი კილო, რითაც პოლიტიკურ თემებზე ლაპარაკობდა. მისი თავდაჭერილობა ამჟამინდელ რუსულ შესაძლებლობებს აშკარად აღემატებოდა. ამ თვისებაში ჩამოსული კაცის ავანჩავანი მჟღავნდებოდა. ეს თვისება კაცს იმთავითვე თვალში ხვდებოდა, ძველმოდურად ეჩვენებოდა და უხერხულობას აგრძნობინებდა.

და მაინც, სულ სხვა, სულ სხვა იყო მათი შეხვედრის პირველი საათები, ერთმანეთს გადაეხვივნენ, ატირდნენ, მღელვარებისგან სუნთქვა შეეკრათ. პირველი საუბრის მოუთმენლობას და გულმხურვალებას შიგადაშიგ დუმილი ენაცვლებოდა.

ერთმანეთს შეხვდა ნათესაური კავშირით შეკრული ორი შემოქმედებითი ხასიათი. და თუმცა წარსული თვალდათვალ აღსდგა, მეორეული

სიცოცხლით სუნთქვა დაიწყო, მოგონებები წამოიშალნენ და განშორების დროინდელი მოვლენებიც ზედაპირზე ამოტივტივდნენ, როგორც კი საუბარი მთავარს, შემოქმედებითი ბუნების მქონე ადამიანებისათვის ნაცნობ საგნებს შეეხო, ამ ერთადერთის გარდა ყველა კავშირი გაქრა, იქ აღარც ბიძა იყო, აღარც დისწული, აღარც ასაკობრივი სხვაობა, მარტოოდენ დარჩა სიახლოვე სტიქიისა სტიქიასთან, ენერგიისა ენერგიასთან და საწყისისა საწყისთან.

– უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ნიკოლაი ნიკოლაევიჩს შესაძლებლობა არ ჰქონია ელაპარაკნა ავტორობის ხიბლზე და შემოქმედებითი დანიშნულების არსზე საკუთარ აზრებთან ისეთი შესატყვისობით და რამდენად შესაფერისად, როგორც ამჟამად. მეორე მხრივ, არც იური ანდრეევიჩს სმენია ოდესმე ამგვარი გამოხმაურებანი, რომელნიც ასე გამჭრიახად ზუსტნი და აღმაფრთოვანებლად მიმზიდველნი იქნებოდნენ, როგორც ამ საუბრისას.

ურთიერთსაზიარო მოსაზრებათა უტყუარობით გაოცებულნი, ორივენი წამდაუწუმ შეჰყვირებდნენ, თავში ხელს შემოიკრავდნენ და ნომერში დარბოდნენ ან ურთიერთგაგების ნიშნებით შეძრწუნებულნი რიგრიგობით ფანჯარასთან მიდიოდნენ და მინაზე მდუმარედ აკაკუნებდნენ. პირველ შეხვედრაზე ასე იყო, მაგრამ შემდგომში ექიმმა რამდენ– ჯერმე ნახა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი საზოგადოებაში და ხალხში იგი სრულიად სხვა, შეუცნობელი იყო.

იგი მოსკოვში თავს სტუმრად თვლიდა და ამ აზრთან განშორებას არ აპირებდა. ამასთანავე, ბუნდოვანი იყო, საკუთარ სახლად პეტერბურგს მიიჩნევდა თუ რომელიმე სხვა ადგილს. აშკარა იყო, პოლიტიკური მჭევრმეტყველის და საზოგადოების მომაჯადოებლის როლი მოსწონდა. იე-

ნებ ისიც ეჩვენებოდა, როგორც პარიზში, კონვენტის წინ, მადამ როლანთან[67], მოსკოვშიც პოლიტიკური სალონები გაიხსნებოდა.

მოსკოვის მყუდრო ქუჩებში თავის პურმარილიან მეგობარ ქალებთან დადიოდა, მათ და მათ ქმრებს სულგრძელად დასცინოდა მშიშარობისა და ჩამორჩენილობის გამო, იმის გამო, რომ საკუთარი სამრეკლოებიდან სჩვეოდათ განსჯა. ახლა გაზეთის ნაკითხობით მოჰქონდა თავი, როგორც ოდესღაც შერისხული წიგნებითა[68] და ორფიკული ტექსტებით[69].

იმასაც ამბობდნენ, შვეიცარიაში ახალგაზრდა სატრფო, დაუმთავრებელი საქმეები, დაუსრულებელი წიგნი დატოვა, მშობლიურ მორევში ერთს ჩაიყურყუმელავებს და, თუ უვნებლად ამოყვინთა, ისე გაქუსლავს თავისი ალპებისაკენ, მის კვალსაც ვერ მიაგნებენო.

იგი ბოლშევიკთა მომხრე იყო და თავის თანამოაზრეებად ხშირად ასახელებდა ორ მემარცხენე ესერს: ჟურნალისტს, რომელიც მიროშკა პომორის ფსევდონიმით წერდა, და პუბლიცისტ ქალს სილვია კოტერის.

ალექსანდრ ალექსანდროვიჩი ბუზღუნით საყვედურობდა:

– პირდაპირ საშინელებაა, ვის გვერდით აღმოჩნდით, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ! ეს რა მიროშკები გყავთ, რა წუმპეა! მერე კიდევ ის თქვენი ლიდია პოკორი.

– კოტერი, – უსწორებდა, ნიკოლაი ნიკოლაევიჩი – და – სილვია. – ეგ

---

[67] საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში ჟირონდისტული მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის ჟ. მ. როლანის (1734-1793) მეუღლის ჟანა მარი როლანის მოთავეობით პარიზში მოქმედებდა პოლიტიკური სალონი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ჟირონდისტების ბელადები. იაკობინელთა გამარჯვების შემდეგ იგი ქმართან ერთად სიკვდილით დასაჯეს.

[68] „შერისხული წიგნები“ – აპოკრიფები (ბერძნ. დაფარული, საიდუმლო), ანუ იუდაისტური და ადრინდელი ქრისტიანული ლიტერატურის ზოგი ძეგლი, რომლებიც ძველ და ახალ აღთქმაში არ შეიტანეს.

[69] ორფიკები დიონისეს კულტის მიმდევრები იყვნენ და თავიანთ მასწავლებლად მითოლოგიურ მომღერალ ორფეოსს თვლიდნენ აღიარებდნენ მოძღვრებას სულთა გადასახლების შესახებ. დღემდე მოღწეული ორფიკული ტექსტები ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეს მიეკუთვნება.

სულ ერთია, პოკორი თუ პოპური სიტყვის კირკიტი საქმეს რას არგებს.

– და მაინც, მომიტევეთ, კოტერი, – თავისას არ იშლიდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი. მას და ალექსანდრ ალექსანდროვიჩს შორის ხშირად ამგვარი საუბარი იმართებოდა:

– რაზე ვკამათობთ? ასეთი ჭეშმარიტების დასაბუთება სირცხვილიც კია. ეს ანაბანაა. ხალხის ძირითადი ნაწილი საუკუნეობით უაზროდ არსებობდა. ისტორიის ნებისმიერი სახელმძღვანელო ავიღოთ, რაც გინდათ, ის უწოდეთ, ფეოდალიზმი და ბატონყმობა იქნება თუ კაპიტალიზმი და საფაბრიკო წარმოება, სულ ერთია, ამგვარი წყობის არაბუნებრიობა და უსამართლობა დიდი ხანია შენიშნულია, დიდი ხანია მომზადებულია გადატრიალება, რომელიც ხალხს მზის სინათლეზე გამოიყვანს და ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს.

თქვენ ისიც იცით, რომ ძველის ნაწილობრივი განახლება აქ არ გამოდგება, საჭიროა მისი ძირეული მსხვრევა. შესაძლოა, მას მთელი შენობის ჩამოქცევა მოჰყვეს. მერედა, რაო? იმის გამო, რომ საშიშია, ხომ ვერ დავასკვნით, არ მოხდებაო? ეს ყველაფერი დროის საკითხია, როგორ შეიძლება ამაზე კამათი?

– მე ხომ მაგაზე არ გეუბნებით. განა მაგაზე გეკამათებით? იცით, რას ვამბობ? – ჯავრობდა ალექსანდრ ალექსანდროვიჩი და კამათი თავიდან იწყებოდა.

– თქვენი პოპურები და მიროშკები უსინდისო ადამიანები არიან. ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ. და მერე, სად არის აქ ლოგიკა? არავითარი შესაბამისობა არ არსებობს. არა, დამაცადეთ, ახლავე ყველაფერს გიჩვენებთ.

და იგი იწყებდა რომელიმე ჟურნალის ძებნას, სადაც საწინააღმდეგო სტატია იყო დაბეჭდილი, ბრახუნით სწევდა საწერი მაგიდის უჯრებს და ამ ხმაურიანი ფუსფუსით თავის სიტყვებს სიფიცხეს ჰმატებდა.

ალექსანდრ ალექსანდროვიჩს უყვარდა, როცა საუბარში რაიმე უშ-

ლიდა ხელს, როცა წინააღმდეგობანი მის ლუღლუღა პაუზებს, მის ბორ-ძიკს ამართლებდნენ. ლაპარაკის საღერღელი მაშინ ეშლებოდა, როცა რაიმე დაკარგულს დაეძებდა, მაგალითად, როცა ჩაბნელებულ წინკარში მეორე კალოშს ეძებდა, მხარზე ტილოგადაკიდებული სააბაზანოს ზღურბლთან იდგა, მაგიდის მეორე მხარეს მძიმე ლანგარს აწოდებდა, ან სტუმრებს სასმისებში ღვინოს უსხამდა.

იური ანდრეევიჩი სიმამრს გატაცებით უსმენდა. იგი აღმერთებდა მისთვის ესოდენ კარგად ნაცნობ მოღიღინე, რბილ, გრომეკოსებურ ენა-მოჩლექილ ძველმოსკოვურ მეტყველებას.

შეკრეჭილ ულვაშიანი ზედა ტუჩი ალექსანდრ ალექსანდროვიჩს ქვე-დაზე ოდნავ წინ ჰქონდა გამობურცული. მკერდზეც ზუსტად ისევე ჰქონ-და გამობერილი პეპელასავით გამონასკვული ყელსახვევი. ამ ტუჩსა და ყელსახვევს შორის რაღაც იყო საერთო, რაც ალექსანდრ ალექსანდრო-ვიჩს რაღაც გულში ჩამწვდომ, ბავშვურად მიმნდობ იერს ანიჭებდა. გვი-ან ღამით, როცა სტუმრები წასასვლელად ემზადებოდნენ, გამოცხადდა შურა შლეზინგერი. პირდაპირ რომელიღაც კრებიდან მოვიდა ზედატან-სა და სამუშაო კარტუზში გამოწყობილი, ოთახში თამამად შეალაჯა, ყველას სათითაოდ ხელის ჩამორთმევით მიესალმა, მერე არც აცია, არც აცხელა და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე იქაურობა წუწუნით და საყვედურებით აავსო.

– გამარჯობა, ტონია. გამარჯობა, სანეჩკა. მაინც ღორობაა, დამეთან-ხმებით. ყველგან შეიტყვეს, ჩამოვიდაო, მთელი მოსკოვი ამაზე ლაპარა-კობს, თქვენგან კი სულ ბოლოს მესმის. თუმცა ეშმაკსაც წაუღიხართ. როგორც ვატყობ, არ დამიმსახურებია. სადა გყავთ ის მზეთუნახავი? გა-მატარეთ. რა კედელივით აყუდებულხართ. გამარჯობა შენი! ყოჩაღ, ყო-ჩაღ. წავიკითხე. ვერაფერი გავუგე, მაგრამ გენიალურია. პირველივე შე-ხედვისთანავე იგრძნობა. გამარჯობათ, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ. ახლავე დავბრუნდები შენთან, იუროჩკა. შენთან დიდი, განსაკუთრებული სალა-პარაკო მაქვს. გამარჯობათ, ახალგაზრდებო. ო, შენც აქა ხარ, გოგოჩკა?

ბატებო, ბატებო! ყი-ყი-ყი! ხომ არ მოგშივდათ? კი-კი-კი?

უკანასკნელი შეძახილი გრომეკოების ოჯახის თვალსა და სიამაყეს, ყოველგვარი აღმავალი ძალის თავგადაკლულ მოტრფიალე გოგოჩკას ეხებოდა, რომელსაც ტუტუცობისა და სასაცილო საქციელის გამო აკულკას ეძახდნენ, სიმაღლისა და სიგამხდრის გამო კი – მუცლის ჭიას. – თქვენ აქ თურმე საჭმელ-სასმელს მიირთმევთ! ახლავე დაგეწევით. ეჰ, ბატონებო, ბატონებო! არაფერიც არ იცით, არაფერი გაგიგიათ! იცით, რა ხდება ქვეყნად! რა ამბები ტრიალებს! წადით რომელიმე პირველად კრებაზე, სადაც ნამდვილი მუშები, ნამდვილი ჯარისკაცებია და არა ისეთები, წიგნებში რომ წაგიკითხავთ. აბა გაბედეთ და ომში საბოლოო გამარჯვებაზე კრინტი დასძარით. თქვენ იქ მოგცემენ საბოლოო გამარჯვებას! ცოტა ხნის წინათ ისეთ მატროსს მოვუსმინე!

გაგიჟდებოდი, იუროჩკა! რა გზნებაა, რა ერთიანობა!

შურა შლეზინგერს სიტყვას აწყვეტინებდნენ. ყველანი თავ-თავიანთ ხმაზე გაჰკიოდნენ, ზოგი ალთას იყო და ზოგი – ბალთას. ქალი იური ანდრეევიჩს მიუჯდა, ხელი მოჰკიდა, თავი სახესთან მიუტანა და, ყველას ხმა რომ დაეფარა, თითქოს ყურმილში ლაპარაკობსო, ერთნაირ კილოზე მოჰყვა ყვირილს:

– ერთხელ როგორმე გამომყევი, იუროჩკა. ხალხს გაჩვენებ. შენ მოვალე ხარ, გესმის, მოვალე ხარ, ანთეოსივით მიწას შეეხო. რას დააჭყიტე თვალები? ჩემგან გიკვირს, არა? არ იცი განა, რომ მე ბებერი თოხარიკი ცხენი, ბებერი ბესტუჟეველი ვარ, იუროჩკა? წინასწარ მოწოდებას გავეცანი, ბარიკადებზე ვიბრძოდი. რასაკვირველია! მაშ რა გეგონა! ო, ხალხს არ ვიცნობთ! ახლა იქიდან მოვდივარ, მათი წიაღიდან. ბიბლიოთეკას ვუწესრიგებ.

უკვე გადაჰკრა და სიმთვრალე თვალდათვალ ედებოდა. თუმცა თავი იური ანდრეევიჩსაც უგუგუნებდა. ვერც კი შენიშნა, როგორ აღმოჩნდა შურა შლეზინგერი ოთახის ერთ კუთხეში, ის კი მეორეში, მაგიდის ბო-

ლოში. იდგა და, როგორც ჩანდა, თავისდა მოულოდნელად, ლაპარაკობდა. თავდაპირველად ხალხის გაჩუმება ვერ შეძლო.

– ბატონებო... მე მინდა... მიშა! გოგოჩკა!... სხვა რა გზა მაქვს, ტონია, როცა არ მისმენენ? ბატონებო, ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვით მოგმართოთ. გაუგონარი, არნახული რამ გვიახლოვდება. სანამ იგი თავს დაგვატყდება, აი, რას ვისურვებდი თქვენთვის. როცა იგი დადგება, ღმერთმა ქნას, ერთმანეთი არ დავკარგოთ და ყველა საღ-სალამათად გვყავდეს. გოგოჩკა, ვაშა მერე იყვირე. არ დამიმთავრებია. მანდ, კუთხეში, შეწყვიტეთ ლაპარაკი და ყურადღებით მომისმინეთ.

ომის მესამე დღესვე ხალხში ისეთი რწმენა გაჩნდა, რომ ადრე თუ გვიან ფრონტსა და ზურგს შორის საზღვარი წაიშლება, ზღვა სისხლი მიადგება თითოეულს და სანგარში მჯდარს თუ გულხელდაკრეფილს წალეკავსო. რევოლუცია სწორედ ეს წყალდიდობაა.

მის მაყურებელთ მოგეჩვენებათ, როგორც ჩვენ იქ, ომში გვემართებოდა, თითქოს სიცოცხლე შეწყდა, ყოველივე პირადული დამთავრდა, თითქოს ქვეყანაზე სხვა არა ხდება რა, მხოლოდ ხოცავენ და იხოცებიანო, მაგრამ თუ ამ დროის თაობაზე ჩანაწერებს და მემუარებს მოვესწარით და წავიკითხავთ ამ მოგონებებს, დავრწმუნდებით, რომ ამ ხუთ თუ ათ წელიწადში გადავიტანეთ უფრო მეტი, ვიდრე სხვებმა მთელ საუკუნეში.

არ ვიცი, ხალხი თვითონ აღსდგება და ერთსულოვნად წავა, თუ ყველაფერს მისი სახელით გააკეთებენ. ამგვარ უზარმაზარ მოვლენას დრამატული დასაბუთება არ მოეთხოვება. მე მას უამისოდაც დავუჯერებ, ციკლოპურ მოვლენათა მიზეზების ქექვა მეწვრილმანეობაა და სხვა არაფერი. მათ ისინი არ გააჩნიათ. ეს მხოლოდ ოჯახურ კინკლაობასა აქვს თავი და ბოლო, და მას შემდეგ, რაც ერთმანეთს თმებით ათრევენ და ჭურჭელს დალეწავენ, ვერვინ მიხვდება, პირველმა ვინ დაიწყო. ყოველივე ჭეშმარიტად დიადს სამყაროსავით დასაბამი არ გააჩნია. იგი თავს უცაბედად იჩენს, აღმოცენების გარეშე, თითქოს ყოველთვის იყო ან

ციდან ჩამოვარდა.

მეც ასე ვფიქრობ, რომ რუსეთს სამყაროს არსებობაში პირველს უწერია სოციალიზმის საბრძანებლად გადაქცევა. როცა ეს მოხდება, იგი დიდი ხნით დაგვაყრუებს და გონს რომ მოვალთ, დაკარგულ ხსოვნას ვეღარ აღვიდგენთ. წარსულის ნაწილს დავივიწყებთ და იმ არნახულის ახსნის ძიებასაც აღარ დავიწყებთ. ნამდვილი წესრიგი გარს ისე ჩვეულად შემოგვერტყმება, როგორც ტყე ჰორიზონტზე ან ღრუბლები ზეცის თავანზე. იგი ყოველმხრივ შემოგვესევა და არ იქნება სხვა არაფერი. იგი ერთხანს კიდევ ლაპარაკობდა და ამასობაში სრულიად გამოფხიზლდა. მაგრამ ძველებურად ცუდად ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ ირგვლივ და ალალბედზე ჰპასუხობდა. იგი გრძნობდა, რომ ყველას უყვარდა, მაგრამ უძლური იყო გულს მოძალებული ნაღველის დათრგუნვაში, რომლის გადამკიდეც საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა. და აი, რა თქვა:

– მადლობელი ვარ, მადლობელი. მესმის, რასაც გრძნობთ, მე მას არ ვიმსახურებ. მაგრამ არ უნდა გიყვარდეთ კაცი ასე სავარაუდოდ და ნაჩქარევად, თითქოს შიშითაც, ვაითუ მერე უარესად შეგვიყვარდესო. ყველამ ერთად გადაიხარხარა და ტაში დასცხეს. ნათქვამი გონებამახვილობად ჩაუთვალეს, მან კი არ იცოდა, კარს მომდგარ უბედურებას, სამომავლოდ თავის უმწეობას სად დამალვოდა, მიუხედავად სიკეთის წყურვილისა და ბედნიერების ნიჭისა.

სტუმრები წამოიშალნენ დაღლილობისგან სახეები დაგრძელებოდათ მოძალებული მთქნარება ყველას სათითაოდ ცხენებივით პირებს აღებინებდა და უკუმავდა.

დამშვიდობებისას ფარდა გასწიეს, ფანჯარა გამოაღეს. გამოჩნდა მოყვითალო განთიადი, ჭუჭყიანი, მიწის თუ მუხუდოს ფერი ღრუბლებით მოქურუხებული ნესტიანი ცა.

– ხედავთ, უწვიმია, სანამ აქ ენას ვატარტალებდით, – თქვა ვიღაცამ – მე გზად მივდიოდი და თქვენთან წვიმამ შემომიყვანა. ძლივსძლივობით შემოვასწარი, – დაადასტურა შურა შლეზინგერმა.

უკაცრიელ და ჯერ კიდევ ჩაბნელებულ შესახვევში ხეებიდან ჩამოცვენილი წვეთების ხმაურს გაწუწული ბეღურების გაბმული ჟივჟივი ენაცვლებოდა.

უეცრად დაიქუხა, თითქოს ზეცაზე სახნისი გადაატარესო, და ყველაფერი ისევ მიყუჩდა. მერე კი ოთხი მჭექარე, დაგვიანებული ქუხილის ხმა გაისმა, სწორედ ისე, შემოდგომით ფხვიერი კვლიდან ბარს დიდრონი კარტოფილები რომ ამოჰყვება ხოლმე.

ჭექა-ქუხილმა მტვრიანი, თამბაქოს კვამლით სავსე ოთახი თითქოს გაწმინდა. უეცრად, როგორც ელექტრული ელემენტები, ისეთი საგრძნობები გახდნენ არსებობის შემადგენელი ნაწილები, წყალი და ჰაერი, სიხარულის სურვილი, მიწა და ზეცა.

შესახვევი წასულ სტუმართა ხმებით აივსო. ისინი ქუჩაში რაღაცაზე ხმამაღლა საუბრობდნენ, სწორედ ისე, როგორც ამაზე სულ ახლახან სახლში კინკლაობდნენ. ხმები სულ უფრო შორდებოდნენ იქაურობას, თანდათან სუსტდებოდნენ და ბოლოს სულაც მიყუჩდნენ.

– უკვე გვიანაა, – თქვა იური ანდრეევიჩმა. – წავიდეთ, დავიძინოთ. მთელ ქვეყანაზე ყველაზე მეტად შენ და მამა მიყვარხართ.

5

აგვისტო გავიდა, სექტემბერიც იწურებოდა. რაღაც გარდაუვალი მწიფდებოდა. ზამთარი ახლოვდებოდა, ადამიანთა სამყაროში კი დიდ-პატარას სწორედ ის ეკერა პირზე, ზამთრის გარინდებასავით წინასწარ გადაწყვეტილი რომ იყო და ირგვლივ ჰაერში ტრიალებდა.

სიცივეებთან შესახვედრად მომზადება იყო საჭირო, ხორაგისა და შეშის მომარაგება. მაგრამ მატერიალიზმის ზეიმის დღეებში მატერია ცნებად იქცა, საკვები და შეშა კი სასურსათო და სათბობის საკითხებმა შეცვალეს.

ქალაქებში ადამიანები ბავშვებივით უმწეონი იყვნენ მოახლოებული

გაურკვევლობის წინაშე, რომელიც თავის გზაზე ყოველგვარ დადგენილ ჩვევას გულაღმა სცემდა და გაუკაცრიელებას თესავდა, თუმცა თავადვე ქალაქის ნაშიერი და ქალაქელთა ქმნილება იყო.

ირგვლივ თავს იტყუებდნენ, ღობე-ყორეს ედებოდნენ. ყოველდღიურობა ისევ კოჭლობდა, ფართხალებდა, ძველი ჩვეულებისამებრ სადღაც მიჩლახუნობდა, მაგრამ ექიმი ცხოვრებას შეუფერადებლად უყურებდა და მის განწირულებასაც კარგად ხედავდა. თავის თავსაც და საკუთარ წრესაც განწირულად თვლიდა. წინ საბედისწერო გამოცდა, შესაძლოა, დაღუპვაც ელოდათ. მის თვალწინ დარჩენილი, თითებზე ჩამოსათვლელი დღეები თოვლივით დნებოდნენ.

ცხოვრებისეული წვრილმანები, შრომა და საზრუნავი რომ არა, ალბათ გაგიჟდებოდა. ცოლი, შვილი, ფულის მოპოვების აუცილებლობა მისი ხსნა იყო, – საარსებო, თვინიერი ცხოვრების წესი, სამსახური, ავადმყოფებთან სიარული.

ესმოდა, რომ მომავლის შემზარავი აჩრდილის წინაშე ჯუჯა არსება იყო, ეშინოდა მისი, უყვარდა ეს მომავალი, გულში ეამაყებოდა, და თითქოს ეთხოვებაო, აღფრთოვანების ხარბი თვალებით უკანასკნელად შეჰყურებდა ღრუბლებს და ხეებს, ქუჩაში მიმავალ ადამიანებს, უბედურებასთან გაძალიანებულ დიდ რუსულ ქალაქს, უკეთესობა რომ ყოფილიყო, მზად იყო თავიც გაეწირა, მაგრამ არაფერი შეეძლო. ამ ცას და გამვლელებს უფრო ხშირად ქვაფენილის შუაგულიდან ხედავდა, რუსეთის ექიმთა საზოგადოების აფთიაქთან, სტაროკონიუშენნის კუთხეში არბატს რომ გადაჭრიდა.

ისევ თავის ძველ საავადმყოფოში დაიწყო სამსახური. ძველებურად იგი კვლავ ჯვართამაღლების სახელს ატარებდა, თუმცა ამავე სახელწოდების თემი დაშალეს. საავადმყოფოსთვის კი შესაფერისი სახელი ჯერ არ მოეფიქრებინათ.

იქ უკვე დაიწყო გამიჯვნა. ზომიერებს, რომელთა გონებაჩლუნგობა

ექიმს ახელებდა, იგი საშიშ კაცად მიაჩნდათ, პოლიტიკურად შორს წასული ადამიანები კი არასაკმარის წითლად თვლიდნენ. ასე აღმოჩნდა შუაზე გაჩხირულად, ერთ ნაპირს ასცდა, მეორეს კი ვეღარ მიადგა. საავადმყოფოში, უშუალო მოვალეობასთან ერთად, დირექტორმა ზოგადი სტატისტიკური ანგარიშების თვალყურის დევნება დაავალა. რა და რა ანკეტებს, კითხვარებს და ბლანკებს აღარ ამოწმებდა, რა მკაცრ უწყისებს აღარ ავსებდა! სიკვდილიანობა, დაავადების ზრდა, მოსამსახურეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი მოქალაქეობრივი შეგნების ხარისხი და არჩევნებში მონაწილეობა, სათბობის, სურსათის, მედიკამენტების დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ყველაფერი აინტერესებდა, ყველაფერზე პასუხის გაცემა იყო საჭირო.

ყოველივე ამას ექიმი საორდინატოროს ფანჯარასთან მიდგმულ თავის ძველ მაგიდაზე აკეთებდა. გრაფებად დაყოფილი სხვადასხვა ფორმისა და ნიმუშის ქაღალდის დასტები მაგიდის კუთხეში ეწყო. თავისი სამედიცინო შრომებისათვის პერიოდული ჩანაწერების გარდა ხანდახან თავის „ადამიანებით თამაშის" წერასაც განაგრძობდა. ეს იყო იმ დღეთა პირქუში დღიური თუ ჟურნალი, პროზის, ლექსებისა თუ ათასნაირი რამე-რუმეებისაგან შედგებოდა და იმ აზრით იყო შთაგონებული, რომ ადამიანთა ნახევარმა საკუთარი თავი დაკარგა და კაცმა არ იცოდა, ვინ რას აკეთებდა.

ნათელი, მზიანი, თეთრად შეღებილ კედლებიანი საორდინატორო ოქროს შემოდგომის მზის კრემისფერი სინათლით იყო სავსე, რითაც ასე გამოირჩევიან მარიამობის მომდევნო დღეები[70], როცა დილაობით პირველი სუსხი იგრძნობა და შემოძარცული ხეივნების სიჭრელესა და სინათლეში ზამთრის წივწივები და კაჭკაჭები შეფრინდებიან ხოლმე. ასეთ დღეებში ცა მაღლა იწევს და გამჭვირვალე ჰაერში მას და დედამიწას

[70] იგულისხმება ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული, რომელიც 15(28) აგვისტოს აღინიშნება.

შორის ჩრდილოეთიდან ყინულოვანი მუქ-ლურჯი სინათლე მოიწევს. მთელ ქვეყნიერებაზე თუ რამ არსებობს, ყოველივე უკეთესად ჩანს და ისმის. სივრცეში ბგერა გაყინული ჟღერადობით, მკვეთრად და გარკვევით გადაიცემა. კრიალდება შორეთი, თითქოს ადამიანის მთელი ცხოვრება მრავალი წლით ადრე მოჩანსო. ჰაერის ამგვარი სიმეჩხრე აუტანელი იქნებოდა, ეგზომ ხანმოკლე რომ არ ყოფილიყო და სექტემბრის მომცრო დღის ბოლოს, ნაადრევი ბინდის წინ რომ არ ჩამომდგარიყო.

ამგვარი შუქი აცისკროვნებდა საორდინატოროს, ნაადრევად ჩამავალი შემოდგომის მზის შუქი, მსუყე, ბროლის და ცვარ-ნამის ფერებით მწიფე ვაშლივით გაჯერებული.

ექიმი მაგიდასთან იჯდა, კალამს მელანში აწობდა, ფიქრობდა და წერდა, საორდინატოროს ვეება ფანჯრების მიღმა კი სულ ახლო მიფრინავდნენ რომელიღაც მდუმარე ფრინველები და ოთახში უხმაურო ჩრდილებს ისროდნენ, რომლებიც ექიმის მოძრავ ხელებს, მაგიდაზე დახორეებულ ქაღალდებს, საორდინატოროს იატაკსა და კედლებს ეფინებოდნენ და ასევე უხმაუროდ იკარგებოდნენ.

– ნეკერჩხალს ფოთოლი სცვივა, – თქვა შემოსულმა პროზექტორმა, ბრგე მამაკაცმა, რომელსაც გახდომის გამო სახეზე კანი პარკებად ეკიდა. – თავსხმების ღვართქაფებმა, ქარების ქროლვამ ვერაფერი დააკლეს. ერთადერთხელ დაჰკრა დილის სუსხმა და ხედავთ, რა დღეში ჩააგდო!

ექიმმა თავი ასწია. ფანჯრის იქით ცას დადევნებული იდუმალი ფრინველები მართლაც ნეკერჩხლის ღვინისფერ-ცეცხლოვანი ფოთლები აღმოჩნდნენ, რომლებიც გვერდით მიფრინავდნენ, ჰაერში რბილად მისრიალებდნენ და ხეებს იქით, საავადმყოფოს გაზონის ბალახზე ნარინჯისფერი, ამობურცული ვარსკვლავებივით ცვიოდნენ.

– ფანჯრებს საგოზავი წაუსვეს? – ჰკითხა პროზექტორმა.

– არა, – უპასუხა იური ანდრეევიჩმა და წერა განაგრძო.

– რაღას უყურებენ? დროა.

იური ანდრეევიჩი წერაში იყო ჩაფლული და არაფერს ჰპასუხობდა.

– ეჰ, ტარასიუკი აღარა გვყავს, – განაგრძობდა პროზექტორი. – ოქრო კაცი იყო. ჩექმებსაც შეგიკეთებდა, საათსაც, არაფერში დაგზარდებოდა. იმისი მოუხერხებელი არაფერი იყო ქვეყნად. ისე კი შეგოზვის დროა. თავადვე უნდა გააკეთოთ.

– საგოზავი არ არის.

– თქვენც ადექით და თავადვე დაამზადეთ. აი, რეცეპტი. – და პროზექტორმა აუხსნა, ოლიფისა და ცარცისაგან საგოზავი როგორ დაემზადებინა. – თუმცა თქვენი ნებაა. მგონი ხელს გიშლით.

მეორე ფანჯარასთან მივიდა და თავის წამლის შუშებს და პრეპარატებს დაუწყო კირკიტი. ბინდი ეშვებოდა. ორიოდე წუთის შემდეგ ისევ შეეხმიანა:

– თვალები გაგიფუჭდებათ. ბნელა, სინათლეს კი არ აგინთებენ. წამო, სახლში წავიდეთ.

– ცოტას კიდევ წავიმუშავებ, ოციოდე წუთს.

– იმისი ცოლი საავადმყოფოს ძიძად მუშაობს.

– ვისი?

– ტარასიუკის.

– ვიცი.

– თვითონ კი, არავინ იცის, სად არის. ეგრე დაწანწალებს სოფელ-ქვეყანაზე. ზაფხულში ორჯერ მოგვინახულა. საავადმყოფოში შემოიარა, ახლა სადმე სოფელში იქნება. ახალ ცხოვრებას ამკვიდრებს. ის იმ ჯარისკაცი ბოლშევიკებიდანაა, ბულვარებსა და მატარებლებში რომ გინახავთ. გინდათ, იცოდეთ იმათი გამოცანა? ტარასიუკისა, მაგალითად, ყური მიგდეთ, ოქროს მარჯვენა აქვს. უხეიროდ არაფრის გაკეთება არ შეუძლია. რასაც ხელს მოჰკიდებს, საქმე ვერ უძლებს. ომშიც იგივე დაემართა. სხვა ხელობებივით ისიც შეისწავლა. მაგარი მსროლელი გამოდგა. სანგარში იჯდა, საიდუმლოდ. ხელი გინდა თუ თვალი – ტოლი არ ჰყავდა! თუ რამეს მიაღწია, სიმარდით კი არა, აუცდენელი სროლით მი-

აღწია, მაშა! ყოველი საქმე იტაცებს. სამხედრო საქმეც შეიყვარა. უყურებს, იარაღი ძალაა, ადგა და იმასაც ხელი მოჰკიდა. გადაწყვიტა, თვითონვე იქცეს ძალად. შეიარაღებული კაცი უბრალო კაცი არ გეგონოთ. უწინდელ დროში ეგეთები ჯარიდან ყაჩაღებად გადიოდნენ. აბა სცადე და ახლა შაშხანა წაართვი. იმ წუთში ყვირილს გაიგონებ: „შეაბრუნე ხიშტი" და ასე შემდეგ. მაგანაც ადგა და შეაბრუნა. ეს არის და ეს. მთელი მარქსიზმიც ეგ არის.

– თანაც ნამდვილზე ნამდვილი, ცხოვრების წიაღიდან. მაშ რა გეგონათ? პროზექტორი კვლავ თავის რაფას მიუბრუნდა, სინჯარებში ქექვა დაიწყო. მერე იკითხა:

– მეღუმელე როგორი კაცი გამოგადგათ?

– გმადლობთ, რომ მირჩიეთ. მეტისმეტად საინტერესო ადამიანია, დაახლოებით ერთ საათს ვსაუბრობდით ჰეგელზე და ბენედეტო კროჩეზე[71].

– ეგრეა, მაშა! ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის[72] ფილოსოფიის დოქტორია. ღუმელი?

– ნუ მკითხავთ.

– ბოლავს?

– საშინლად.

– ალბათ საკვამლე მილი სწორად არ დააყენა. საკვამურისთვის უნდა შეეერთებინა, იმან კი ალბათ სარკმელში გაუშვა.

– არა, ჰოლანდურაში ჩასვა. მაინც ბოლავს.

– მაშ კვამლსადენს ვერ იპოვიდა და სავენტილაციო არხში ან სულაც სასულეში გაუშვებდა. ეჰ, აფსუს, ტარასიუკი რომ არ არის! მეტი რა გზა გაქვთ, უნდა მოითმინოთ. მოსკოვი ერთ დღეს არ აშენებულა. ღუმელის

---

[71] ჰეგელი (1770–1831) – დიდი გერმანელი ფილოსოფოსი; ბ. კროჩე (1866-1952) – იტალიელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი.

[72] გერმანიის უძველესი უნივერსიტეტი (დაარსდა 1386 წელს).

დანთება როიალის დაკვრა არ გეგონოთ. მაგას თავისი სწავლა უნდა. შეშა მოიმარაგეთ?

– სად უნდა მეშოვა?

– ერთ ეკლესიის გუშაგს გამოგიგზავნით. შეშის ქურდია, მესრებს შლის და შეშად ჰყიდის, მაგრამ გაფრთხილებთ, უნდა ევაჭროთ. ბევრს ითხოვს. ანდა ბაღლინჯოს შემწამლავ ქალს ვეტყვი.

გასახდელში ჩავიდნენ, ჩაიცვეს და ქუჩაში გავიდნენ.

– ბაღლინჯოს შემწამლავი რაღად გვინდა? – გაოცდა ექიმი. – ბაღლინჯო არ გვყავს.

– რა შუაშია აქ ბაღლინჯო? სად თომა და სად ერიომა? ბაღლინჯოზე კი არა, შეშაზეა ლაპარაკი. იმ ქალს საქმე გაჩარხული აქვს. სახლებს და ქოხებს ყიდულობს სათბობის დასამზადებლად. საიმედო მოვაჭრეა. ფრთხილად, ფეხი არ დაგიცდეთ, ხომ ხედავთ, რა სიბნელეა. ერთ დროს თვალებახვეულს შემეძლო აქაურობის შემოვლა. კენჭი რა არის, კენჭი არ გამომეპარებოდა. აქა მაქვს ჭიპი მოჭრილი. მესრების ჩეხვა დაიწყეს და თითქოს სხვა ქალაქში ვარ, გზა თვალხილულსაც ვეღარ გამიგნია. სამაგიეროდ, რა კუთხე-კუნჭული გამოჩნდა! ბუჩქნარში ჩადგმული ამპირული სახლები, მრგვალი საბაღე მაგიდები, ნახევრად დამპალი სკამები. ამასწინათ სამი შესახვევის შესაყარზე გავიარე. ვხედავ, ერთი დედაბერი ყავარჯნით მიწასა ჩიჩქნის. „ღმერთი შეგეწიოს-მეთქი, ვეუბნები, ბებია. ჭიაყელებს რომ ეძებ, ეტყობა, მეთევზეობას ეწევი-მეთქი". გავემასხრე, რა თქმა უნდა. ის კი სერიოზულად მეუბნება: „არაო, ჩემო კეთილოო, სოკოზე ვარო". და მართლაც, ქალაქი ტყეს დაემსგავსა. ყველგან დამპალი ფოთლებისა და სოკოს სუნი ტრიალებს. – ვიცი ეგ ადგილი. სერებრიანისა და მოლჩანოვკას შორისაა, ხომ ასეა? იქ ყოველ ნაბიჯზე უცნაურობები ხვდება კაცს. ხან ისეთ ვინმეს გადავეყრები, ოცი წელია, არ მინახავს, ხან რამეს ვიპოვი. იმასაც ამბობენ, მივარდნილ კუთხეებში ხალხს ძარცვავენო. არცაა გასაკვირი. გამჭოლი ადგილია. სმოლენსკის ქუჩაზე შემორჩენილ ავაზაკთა ბუდეებთან დასაკავშირებლად უამრავი

გზების ქსელია. ყველაფერს წაგართმევენ, გაგატიტვლებენ და უყარე კაკალი, ეძებე მერე ქარი მინდორში. – ეს ფარნებიც როგორ ბჟუტავენ. ტყუილად კი არ ეძახიან ჩალურჯებულ თვალის უპეებს „ფარნებს". ამათი შემყურე სწორედ რომ ცხვირ-პირს დაილილავებს კაცი.

6

მართლაც, ხსენებულ ადგილზე ექიმს რა არ გადახდა. გვიანი შემოდგომით, ოქტომბრის ბრძოლებზე ცოტა ხნით ადრე, ერთ ბნელ, ცივ საღამოს იგი ამ კუთხეში ტროტუარზე გარდიგარდმო უგონოდ გაშხლართულ კაცს გადააწყდა. ხელები გაეშალა, თავი ბოძისთვის მიეყრდნო, ფეხებით კი ქვაფენილს სწვდებოდა. დროდადრო სუსტად კვნესოდა. მის გონზე მოსაყვანად დაფაცურებული ექიმის ხმამაღალ შეკითხვებზე რაღაც უაზროდ წაილუღლუღა და გონება კვლავ დაებინდა.

თავი გატეხილი და გასისხლიანებული ჰქონდა, მაგრამ სახელდახელო გასინჯვისას თავის ქალის ძვლები მთელი აღმოაჩნდა. უთუოდ შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლი იყო. „ჩანთა, ჩანთაო", – ორჯერ თუ სამჯერ წაიჩურჩულა.

ექიმმა არბატის აფთიაქის ტელეფონით ჯვართამაღლების საავადმყოფოზე მიმაგრებული მოხუცი მეეტლე გამოიძახა და უცნობი საავადმყოფოში წაიყვანა.

დაზარალებული ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გამოდგა. ექიმმა განკურნა და მისი სახით მრავალი წლით შეიძინა მფარველი, რომელმაც ეჭვებითა და უნდობლობით აღსავსე იმ მძიმე დროში მრავალი გაუგებრობისაგან იხსნა.

7

კვირადღე იყო. ექიმი ისვენებდა. სამსახურში არ მიდიოდა. სივცევში უკვე სამ ოთახში განლაგდნენ საზამთროდ, როგორც ანტონინა ალექსანდროვნა ვარაუდობდა.

შავი, უჟმური, ცივი და ქარიანი დღე იყო. ღრუბლები დაბლა ჩამოწოლილიყვნენ.

ღუმელი დილითვე აანთეს. საშინლად ბოლავდა. ანტონინა ალექსანდროვნას ცეცხლის დანთებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა და ნესტიან, მხრჩოლავ შეშასთან მოფუსფუსე თავგზააბნეულ ნიუშას ყოვლად უსუსურ, არაფრის მაქნის რჩევებს აძლევდა. ექიმი ყველაფერს ხედავდა, იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა და ცდილობდა საქმეში ჩარეულიყო; მაგრამ ცოლი მხრებში ხელს უხმოდ ჰკიდებდა, ოთახიდან აძევებდა და ეუბნებოდა:

– თავი დაგვანებე. როცა ადამიანს უიმისოდაც ტვინი აქვს არეული და არ იცის, რა იღონოს, სწორად მაშინ იცი ხოლმე თავის გამოდება. როგორ არ გესმის, რომ მაგ შენიშვნებით ცეცხლზე ნავთს გვისხამ.

– ოჰ, ნავთი, ტონეჩკა, მართლაც დიდებული რამ იქნებოდა! ღუმელი იმწამსვე აღუღუნდებოდა. მთელი უბედურებაც მაგაშია, რომ აღარც ნავთი ჩანს და აღარც ცეცხლი.

– სხვათაშორის, არც მაგ კალამბურების დროა, ხანდახან, გესმის, მაგის გულზე არ არის ადამიანი.

ღუმელის გაჯიუტება საკვირაო გეგმებს ერთიანად ჩაშლით ემუქრებოდა. ყველანი ცდილობდნენ, აუცილებელი საქმეები დაღამებამდე მოეთავებინათ, საღამო ხანისთვის განთავისუფლებულიყვნენ, ახლა კი ჯერჯერობით საქმე საქმეზე არ ეწყობოდა. სადილი ჭიანურდებოდა, ვიღაცას ხელი ეშლებოდა ცხელი წყლით თავის დაბანაში, სასიკეთო პირი არც სხვა განზრახვების აღსრულებას უჩანდა.

მალე ღუმელიდან ისეთი სქელი კვამლი წამოვიდა, სუნთქვა გაჭირდა. ძლიერი ქარი კვამლს უკლებლივ უკან აბრუნებდა. შავი ჭვარტლის ღრუბელი ოთახში ისე ტრიალებდა, როგორც უღრანი ფიჭვნარის შუაგულში ზღაპრული ურჩხული.

იური ანდრეევიჩმა ყველანი მეზობელ ოთახებში გარეკა და სარკმელი გამოაღო. ღუმელიდან შეშის ნახევარი გამოიღო და რაც დარჩა, იმათ შორისაც წვრილი ნაფოტი და არყის ხის ხმელი ჩინჩხვარი შეუკეთა სარკმლიდან სუფთა ჰაერი შემოიჭრა. ფანჯრის მოქანავე ფარდამ ზევით აიწია. საწერი მაგიდიდან რამდენიმე ფურცელი გადმოფრიალდა. ქარმა რომელიღაც შორეული კარი მიაბრახუნა, კუთხიდან კუთხეს ეცა და როგორც კატამ თაგვს, ისე დაუწყო დევნა კვამლის ნარჩენებს. ცეცხლმოდებული შეშა აგუგუნდა და ატკაცუნდა. ღუმელში ალი დატრიალდა. მის რკინის კორპუსში გავარვარებული წრეები ჭლექიანის წითელი ლაქებივით აღუდღუდდა. კვამლი თანდათან შეთხელდა და ბოლოს საერთოდ გაქრა.

ოთახი განათდა. ატირდნენ პროზექტორის დარიგებით იური ანდრეევიჩის მიერ ცოტა ხნის წინათ შეგოზილი ფანჯრები. ტალღად მოაწყდა საგოზავის თბილი, მსუყე სუნი. თავისებური სუნი ავარდა ღუმელის ახლოს გასაშრობად დალაგებულ წვრილად დახერხილ შეშასაც: ნაძვის ქერქის ყელის ამომხახავ მწარე სუნს ნედლი, ახალმოჭრილი ვერხვის ვარდის წყალივით საამური სურნელება ენაცვლებოდა. ამ დროს ოთახში სარკმლიდან შემოჭრილი ჰაერივით შემოვარდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი და განაცხადა:

– ქუჩებში ბრძოლაა გაჩაღებული. დროებითი მთავრობის მომხრე იუნკრები და ბოლშევიკების მიმდევარი გარნიზონის ჯარისკაცები ერთმანეთს შეებნენ. თითქმის ყოველ ნაბიჯზეა შეტაკებები, აჯანყების კერებს ხომ თვლა არა აქვთ. აქეთ მომავალ გზაზე ორჯერ თუ სამჯერ გავები ხათაბალაში, ჯერ დიდი დიმიტროვკის კუთხეში და მერე ნიკიტას

კარიბჭესთან. პირდაპირი გზა უკვე აღარაა, გზის გაგნება მხოლოდ შემოვლითაა შესაძლებელი. ცოცხლად, იურა! ჩაიცვი და წავიდეთ. ეს უნდა ნახო. ეს ისტორიაა. ასეთი რამ სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ხდება.

თუმცა თვითონვე იქაურობას ორიოდე საათით მაინც შერჩა, მერე სადილად დასხდნენ. შინ წასასვლელად რომ გაემზადა, ექიმის წაყვანაც უნდოდა, მაგრამ ამასობაში გორდონიც მოვიდა. ისიც ნიკოლაი ნიკოლაევიჩივით შემოიჭრა და იგივე ამბები მოიტანა.

ამ ხნის განმავლობაში საქმე წინ წასულიყო. იყო ახალი ამბებიც. გორდონი გახურებულ სროლაზე და მოხეტიალე ტყვიით შემთხვევით დახოცილ გამვლელებზე ლაპარაკობდა. მისი თქმით, ქალაქში მოძრაობა შეწყვეტილიყო. მათ შესახვევამდე სასწაულებრივად მოეღწია, მაგრამ უკან დასაბრუნებელი გზა მაშინვე გადაეკეტათ.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა მის საუბარს ყური არ უგდო და გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ წუთიც არ გასულა და კვლავ უკან დაბრუნდა. შესახვევში გასასვლელი არ არისო, თქვა მან, ირგვლივ ტყვიები ზუზუნებენ, კუთხეებში აგურისა და ბათქაშის ნამტვრევები ცვივა. ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებს, ტროტუარზე მიმოსვლა შეწყვეტილიაო. იმ დღეებში საშენკა გააციეს.

– ასჯერ გითხარით, ბავშვი გახურებულ ღუმელთან არ მიიყვანოთ-მეთქი, – ჯავრობდა იური ანდრეევიჩი. – გადახურება ორმოცჯერ უარესია გაციებაზე.

საშენკას ყელი ასტკივდა და დიდი სიცხე მისცა. გულისრევის და პირღებინების არაბუნებრივად, მისტიკურად ეშინოდა და მათი მოახლოება ყოველ წამს ელანდებოდა.

ბავშვი ხელსა ჰკრავდა ლარინგოსკოპიან იური ანდრეევიჩს, საშუალებას არ აძლევდა, მისთვის ხელსაწყო ყელში ჩაედო, პირს ჰკუმავდა, ყვიროდა და ყელში რაღაცა ეჩხირებოდა. არავითარი თხოვნა და მუქარა არა სჭრიდა. უეცრად საშენკამ ფართოდ და ტკბილად დაამთქნარა. ამით

ისარგებლა ექიმმა, ელვისებური მოძრაობით შვილს პირში კოვზი ჩაუდო, ენა დაუჭირა, მისი ჟოლოსფერი ხორხისა და ნადებით დაფარული გასიებული ნუშისებრი ჯირკვლების დანახვა მოასწრო. მათმა მდგომარეობამ იური ანდრეევიჩი შეაშფოთა.

მცირე ხნის შემდეგ ექიმმა იმავე მოქმედებით შეძლო საშენკას ნაცხის აღება. ალექსანდრ ალექსანდროვიჩს თავისი მიკროსკოპი ჰქონდა. იური ანდრეევიჩმა აიღო იგი და გამოკვლევა თვითონვე ჩაატარა. საბედნიეროდ, დიფტერიტი არ აღმოჩნდა.

მაგრამ მესამე ღამეს საშენკას ცრუ კრუპის შეტევა დაემართა. სიცხით იწვოდა და იხრჩობოდა. იური ანდრეევიჩს ძალა არ შესწევდა ტანჯვისაგან ეხსნა და თვალს ვერ უსწორებდა. ანტონინა ალექსანდროვნას ეგონა, ბავშვი მიკვდებაო. ოთახში ხელში აყვანილს დაატარებდნენ და ისიც თავს უკეთესად გრძნობდა.

ავადმყოფის მოსაბრუნებლად რძე, მინერალური წყალი ან სოდა უნდა ეშოვნათ. მაგრამ გარეთ გახურებული ბრძოლა იყო გაჩაღებული. თოფებისა და ქვემეხების სროლის ხმა წუთითაც კი არ წყდებოდა. იური ანდრეევიჩს თავიც რომ გაეწირა და სროლის ზოლიდან გაღწევა ეცადა, ცეცხლის ხაზს იქითაც ვერ ნახავდა სულიერს. მთელ ქალაქში სიცოცხლე ჩაკვდა და ვიდრე მდგომარეობა საბოლოოდ არ გაირკვეოდა, არავითარი ხსნის გზა არ ჩანდა.

თუმცა თანდათან ყველაფერს ნათელი ეფინებოდა. ყოველი მხრიდან მოდიოდა ხმები, ბრძოლის სასწორი მუშებისკენ გადაიხარაო. ერთმანეთისაგან დაშორიშორებული და სარდლობისაგან მოწყვეტილი იუნკრების ცალკეული ჯგუფები კი აქა-იქ ბრძოლას კვლავ განაგრძობდნენ. სივცევის რაიონი ჯარისკაცთა იმ ნაწილების მოქმედების არეში იყო მოქცეული, რომლებიც დოროგომილოვიდან ცენტრისაკენ ახდენდნენ დაწოლას. შესახვევში გათხრილ სანგარში მჯდარი გერმანიის ომის ჯარისკაცები და ჭაბუკი მუშები უკვე იცნობდნენ მეზობელი სახლების მოსახ-

ლეობას და იქაურებს შინაურულად ემასხრებოდნენ, როცა ისინი ჭიშ-კრებიდან ჰყოფდნენ თავებს ან ქუჩებში გამოდიოდნენ. ქალაქის ამ ნა-წილში მოძრაობა აღდგა.

ჟივაგოსთან სამდღიანი ტყვეობის შემდეგ გორდონმა და ნიკოლაი ნი-კოლაევიჩმაც იდროვეს და თავ-თავიანთ გზებს გაუდგნენ. საშენკას ავადმყოფობის ძნელ დღეებში იური ანდრეევიჩს უხაროდა მათი იქ ყოფ-ნა. აბეზარ სტუმრებს ანტონინა ალექსანდროვნაც მოწყალე თვალით უყურებდა და საერთო არევდარევაში მათი წვლილის გამო არ უწყრე-ბოდა. მაგრამ მასპინძელთა სტუმართმოყვარეობისათვის მადლიერების გამოსახატავად ისინი თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ ოჯახის წევრე-ბი მასლაათით შეექციათ და ენას წამითაც არ აჩერებდნენ. სამი დღე-ღამის განმავლობაში წყლის ნაყვით და ენის ტარტალით იური ანდრეე-ვიჩი ისე დაიღალა, მათი წასვლა კიდეც გაუხარდა.

8

როგორც შეიტყვეს, ისინი შინ მშვიდობით მისულიყვნენ, თუმცა სა-ერთო სიმშვიდეზე ლაპარაკი ნაადრევი გამოდგა. სხვადასხვა ადგილას სამხედრო მოქმედება ჯერ კიდევ გრძელდებოდა. ზოგიერთ რაიონში გავ-ლა შეუძლებელი იყო. ექიმმა ვერა და ვერ მოახერხა მისვლა თავის მო-ნატრებულ საავადმყოფოში, სადაც საორდინატოროს მაგიდის უჯრაში თავისი „თამაში” და მეცნიერული ჩანაწერები ეგულებოდა.

დილდილობით ზოგ-ზოგები მხოლოდ თავ-თავიანთ უბნებში გამო-დიოდნენ ორიოდე ნაბიჯზე პურის საყიდლად, რძით სავსე ბოთლებიან მგზავრებს აჩერებდნენ და სად იშოვეთო, ყველანი ერთად ეკითხებოდ-ნენ.

ხანდახან მთელ ქალაქში სროლა ახლდებოდა და ხალხიც კვლავ აქეთ-იქით აწყდებოდა. ყველანი ხვდებოდნენ, მხარეებს შორის რაღაც

მოლაპარაკება იყო გამართული, რომლის წარმატებას თუ წარუმატებლობას შრაპნელის სროლის გაძლიერება ან შესუსტება მოსდევდა.

ერთხელ, ძველი სტილით ოქტომბრის ბოლოს, ღამის ათ საათზე იური ანდრეევიჩი ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდა ქუჩას. შორიახლო თანამშრომელი ცხოვრობდა და მასთან შევლას აპირებდა. სხვა დროს ეს ხალხმრავალი ადგილები ახლა უკაცურად გამოიყურებოდნენ. თითქმის არავინ შეხვედრია.

იური ანდრეევიჩი ჩქარობდა. ჯერ გაუბედავად წამოთოვა. მერე ძლიერი ქარიც ამოვარდა. იგი იური ანდრეევიჩის თვალწინ სულ უფრო მეტად იკრებდა ძალას და მალე ქარბუქად იქცა.

იური ანდრეევიჩი ქუჩიდან ქუჩაზე უხვევდა და სათვალავიც კი აერია, მერამდენედ იბრუნა მხარი, უეცრად მსხვილმსხვილად წამობარდნა და ქარბუქმაც იმძლავრა, სწორედ ისეთმა, გაშლილ მინდორზე ღმუილით რომ წვება მიწაზე, აქ კი, ქალაქში, ჩიხში მოქცეული გზაარეულივით დაბორიალებდა.

რაღაც ამისი მსგავსი რამ ხდებოდა ზნეობრივსა თუ ფიზიკურ სამყაროში, ახლოს და შორსაც, დედამიწაზე თუ ჰაერში, სადღაც, აქა იქ, კანტიკუნტად ისმოდა იავარქმნილი წინააღმდეგობის ზალპები, სადღაც, ცისკიდურზე ბუშტულებივით იბურცებოდნენ და ისევ სკდებოდნენ ხანძრის უღონო დაფიონები. ასეთივე რგოლებს და ხლართებს ერეკებოდა და ახვევდა იური ანდრეევიჩის ფეხქვეშ სველ ქვაფენილსა და ტროტუარზე აბოლებული ქარბუქი.

ერთ-ერთ გზაჯვარედინზე იღლიაში ახალდაბეჭდილი გაზეთების ვეება დასტაამოჩრილმა ბიჭუნამ „უკანასკნელი ცნობების" ყვირილით გაუსწრო.

– ხურდა არ მინდა, – უთხრა ექიმმა. ბიჭმა ძლივს ააძრო დასტას ნესტიანი ფურცელი, ხელში ჩასჩარა ექიმს და ისევე უცაბედად გაჰქრა ქარბუქში, როგორც გამოჩნდა.

ექიმი ორიოდე ნაბიჯზე მოციაგე ქუჩის ფარანს მიუახლოვდა, რომ

აღარ დაეხანებინა და მთავარი ცნობებისათვის თვალი დაეკრა. მხოლოდ ცალ მხარეზე დაბეჭდილ საგანგებო გამოშვებაში გამოქვეყნებული იყო მთავრობის ცნობა პეტერბურგიდან სახალხო კომისართა საბჭოს შექმნის, რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და პროლეტარული დიქტატურის შემოღების შესახებ. ამას მოსდევდა ახალი ხელისუფლების პირველი დეკრეტები, დაბეჭდილი იყო ტელეგრაფით და ტელეფონით გადმოცემული ნაირ-ნაირი ახალი ამბები.

ექიმს ქარბუქი სახეში ეხლებოდა და გაზეთის ნაბეჭდ სტრიქონებს ნაცრისფერი და შრიალა თოვლის ხორხოშელით ფარავდა, თუმცა კითხვაში ხელს ვერ უშლიდა. წუთის სიდიადემ და მარადიულობამ თავზარი დასცა და გონს ვეღარ მოსულიყო.

ცნობა ბოლომდე მაინც რომ ჩაეკითხა, მიმოიხედა და თოვლისაგან დაცული განათებული ადგილის ძებნა დაიწყო. მიხვდა, ისევ თავის მოჯადოებულ გზაჯვარედინზე აღმოჩენილიყო, სერებრიანისა და მოლჩანოვკის კუთხეში, შემინულ კარიანი და ელექტრონით გაჩირაღდნებულ ვრცელ საპარადო შესასვლელიანი მაღალი ხუთსართულიანი სახლის სადარბაზოსთან იდგა.

ექიმი შენობაში შევიდა და წინკარის სიღრმეში, ელექტრონათურის ქვეშ, დეპეშების კითხვაში ჩაეფლო.

ზევით, მის თავს ზემოთ, ნაბიჯების ხმა მოისმა. კიბეზე ვიღაც ჩამოდიოდა, თან თითქოს ყოყმანობსო, ხშირად ჩერდებოდა. მართლაც, ეტყობა ჩამომსვლელმა საბოლოოდ მაინც გადაიფიქრა, უკან მიბრუნდა და ზევით აირბინა. სადღაც კარი გააღეს და გარეთ ტალღასავით გამოიჭრა ორი ხმა. იმდენად ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ძნელი იყო გარჩევა, ქალები იყვნენ თუ კაცები. ამის შემდეგ კარმა კიდევ ერთხელ გაიხმიანა და ის, ვინც ადრე ჩამოდიოდა, უფრო თამამად დაეშვა კიბეზე. იური ანდრეევიჩის ყურადღება ერთიანად კითხვას მოეცვა. თავის აღებას არც აპირებდა, მაგრამ უცნობმა კიბე ბოლომდე ჩამოირბინა და უეცრად შეჩერდა. იური ანდრეევიჩმა ახლაღა ასწია თავი და თვალი შეავლო.

მის წინ თვრამეტიოდე წლის ჭაბუკი იდგა. ტანთ ციმბირული ყაიდის გარეთმიანი ირმის ტყავის ქურქი ეცვა და იმგვარივე ქუდი ეხურა. შავგვრემანი სახე და ვიწრო ყირგიზული თვალები ჰქონდა. იყო ამ სახეში რაღაც არისტოკრატული, რაღაც ქედმაღლური ნაპერწკალი და ფარული სინატიფე, რასაც უცხო ელფერი დაჰკრავდა და რთული, შერეული სისხლის მქონე ადამიანებს ახასიათებთ.

ბიჭს იური ანდრეევიჩი აშკარად ვიღაცაში ეშლებოდა. იგი მორიდებული დაბნეულობით შესცქეროდა ექიმს, თითქოს იცის, ვინც არის, მაგრამ სიტყვის თქმას ვერა ბედავსო. გაუგებრობისათვის ბოლო რომ მოეღო, იური ანდრეევიჩმა ახირებულ უცნობს ცივი მზერა ესროლა და გამოლაპარაკების ხალისი დააკარგვინა.

ბიჭი შეკრთა, მიტრიალდა და უსიტყვოდ გაემართა გასასვლელისკენ. იქიდან კიდევ ერთხელ შემოხედა, მძიმე, მორყეული კარი გამოაღო, ჭრიალით გაიხურა და ქუჩაში გავიდა.

ათიოდე წუთის შემდეგ მას იური ანდრეევიჩიც მიჰყვა. ბიჭიც დაავიწყდა და ის თანამშრომელიც, ვისთანაც მიდიოდა. წაკითხულისგან გაოგნებული პირდაპირ სახლისაკენ გაემართა. გზად მისი ყურადღება სულ სხვა გარემოებამ, სხვა ცხოვრებისეულმა წვრილმანმა მიიპყრო, რომელსაც იმ დღეებში უსაზღვრო მნიშვნელობა ჰქონდა შეძენილი.

თავისი სახლის ახლოს სიბნელეში გზის გასწვრივ, ტროტუარზე, ქვაფენილზე გარდიგარდმო დაყრილი ფიცრებისა და მორების უზარმაზარ გროვას შეეჩეხა. იქვე, შესახვევში, რაღაც დაწესებულება იყო და ალბათ ეს სახაზინო სათბობი მისთვის მოიტანეს გარეუბანში დაშლილი რომელიღაც ხის სახლის სახით. მორები ეზოში არ ეტეოდა და მიმდებარე ქუჩის სავალ ნაწილზეც ეყარა. ამ გროვას თოფიანი გუშაგი სდარაჯობდა, რომელიც ეზოში ბოლთას სცემდა და დროდადრო შესახვევშიც გამოდიოდა.

იური ანდრეევიჩი არც კი დაფიქრებულა, ხელსაყრელი წუთი შეარ-

ჩია, როცა გუშაგი ეზოში შეტრიალდა და ამოვარდნილმა გრიგალმაც ჰაერში თოვლის უშველებელი ღრუბელი დააბზრიალა, კოჭების გროვას ჩრდილის მხრიდან მოუარა, სადაც ფარნის შუქი ვერ სწვდებოდა, და ფრთხილი მოძრაობით ძირში მდებარე მძიმე ნამორი დაითრია. გროვიდან რის ვაი-ვაგლახით გამოიღო, მხარზე გაიდო და ისე, რომ მისი სიმძიმე არც კი უგრძვნია (საკუთარ ტვირთს ხომ წონა არა აქვს!), ჩაბნელებული კედლების გასწვრივ ციმციმით მიიტანა შინ, სივცევში.

ის იყო, სახლში შეშა უთავდებოდა და იმ ნამორმა სულზე მოუსწრო. დახერხეს, დახეთქეს და საღუმელე ნაკოდალის გორა დააყენეს. იური ანდრეევიჩი ცეცხლის დასანთებად ღუმელთან ჩაცუცქდა. ალექსანდრ ალექსანდროვიჩმა სავარძელი მიაჩოჩა და გასათბობად იქვე ჩამოჯდა. იური ანდრეევიჩმა პიჯაკის გვერდითი ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, სიმამრს გაუწოდა და უთხრა:

– ხედავთ? აჰა, დატკბით, წაიკითხეთ.

იური ანდრეევიჩი ფეხზე არ ამდგარა. ჩაცუცქული იყო, პატარა საჩხრეკით ღუმელში შეშას ასწორებდა და თავისთვის ხმამაღლა ლაპარაკობდა.

– რა დიდებული ქირურგიაა! ადგე და ხელის ერთი დაკვრით არტისტულად ამოკვეთო ძველი, აყროლებული წყლულები! უბრალო, მიუკიბავ-მოუკიბავი განაჩენია საუკუნოვანი უსამართლობის მიმართ, რომლის წინაშე მუდამ ქედს იდრეკდნენ, ფეხქვეშ ეგებოდნენ და ჩოქვით ესალმებოდნენ.

იმაში, რომ საქმე ასე უშიშრად მიიყვანეს ბოლომდე, არის რაღაც ეროვნულად ახლობელი, ოდითგანვე ცნობილი, მასში რაღაც არის პუშკინის წარბშეუხრელი ნათელმოსილებიდან და ფაქტებისადმი ტოლსტოის პირუთვნელი ერთგულებიდან.

– რაო, პუშკინისაო? რა თქვი? მაცალე, ახლავე დავამთავრებ. ხომ არ შემიძლია ერთდროულად ვიკითხო და გისმინო კიდეც, – აწყვეტინებდა

სიძეს ალექსანდრ ალექსანდროვიჩი, რომელმაც იური ანდრეევიჩის მიერ თავისთვის, ცხვირში წარმოთქმული მონოლოგი შეცდომით თავის თავზე მიიღო.

– რაც მთავარია, რა არის გენიალური? ვინმესთვის ახალი სამყაროს შექმნა, ახალი წელთაღრიცხვის დაწყება რომ დაევალებინათ, აუცილებლად დასჭირდებოდათ, რომ მისთვის ჯერ შესაფერისი ადგილი გაეწმინდათ და ისიც, ვიდრე ახლის შექმნას შეუდგებოდა, დაჯდებოდა და დაელოდებოდა, რომ ჯერ ძველი საუკუნეები დამთავრებულიყო, დასჭირდებოდა მრგვალი რიცხვი, ოქროს სტრიქონი, სუფთა ფურცელი. აქ კი, ა, ბატონო. ეს არნახული რამაა, ისტორიის სასწაულია, ეს აღმოჩენა ყოველდღიურობის უღრმეს წიაღშია დაქუხებული, თანაც მისი მსვლელობის უგულებელყოფით. იგი თავიდან კი არა, შუიდანაა დაწყებული, წინასწარ შერჩეული ვადების გარეშე, პირველივე ხელსაყრელ სადაგ დღეს, ქალაქში მოძრავი ტრამვაების გახურებული მუშაობის დროს. ეს ყველაფერზე უფრო გენიალურია. ასე უადგილოდ და უდროო დროს მხოლოდ ყველაზე დიადი რამეები ხდება.

9

სწორედ ისეთი ზამთარი დადგა, როგორსაც ვარაუდობდნენ. იგი ჯერ კიდევ ისე არ აშინებდა ხალხს, როგორც მას შემდეგ ორი მომდევნო ზამთარი, მაგრამ უკვე მათი ჯილაგისა იყო, ბნელი, მშიერი და ცივი, თავით ფეხამდე შეჩვეულისა და არსებობის ყველა საფუძვლის მსხვრევაში ჩაფლული, მთლად არაადამიანურ ცდაში დახარჯული, რათა როგორმე მობღაუჭებოდა თვალსა და ხელს შუა გასხლეტილ ცხოვრებას.

ერთიმეორის მიყოლებით სამი ზამთარი იყო ასეთი საშინელი, და როგორც ახლა ჩანს, ყველაფერი ჩვიდმეტი-თვრამეტი წლების ზამთარში როდი მომხდარა, სინამდვილეში, შესაძლოა, მოგვიანებით იყო. ეს სამი ზამთარი ერთმანეთს შეერწყა და ერთურთისგან მათი გარჩევა ძნელი

საქმეა.

ძველი ცხოვრება და ახალი წესრიგი ჯერ კიდევ ვერ ეგუებოდნენ ერთიმეორეს. მათ შორის არ იყო შეურიგებელი მტრობა, როგორც ერთი წლის შემდეგ, სამოქალაქო ომის დროს, მაგრამ არც ურთიერთკავშირი იყო საკმარისი. ეს იყო ორი ცალ-ცალკე მდგარი, ურთიერთსაწინააღმდეგო მხარე, რომელთა შორის საერთო არა დარჩა რა.

ყველგან ეწეოდნენ გამგეობათა გადარჩევებს: სახლთა მფლობელობებში, ორგანიზაციებში, სამსახურში, მოსახლეობის მომსახურე დაწესებულებებში. მათი შემადგენლობა იცვლებოდა. ყველგან დაიწყეს განუსაზღვრელი უფლებამოსილების მქონე კომისრების დანიშვნა. ეს ადამიანები რკინისებური ნებისყოფით გამოირჩერდნენ, შავი ტყავის ქურთუკები ეცვათ, დაშინების ღონისძიებებით და ნაგანებით იყვნენ აღჭურვილნი, წვერს ათასში ერთხელ თუ იპარსავდნენ და უფრო იშვიათად ეძინათ.

ისინი კარგად იცნობდნენ მეშჩანობას, სახელმწიფო ქაღალდების საშუალო მპყრობელს, ქვემძრომ ობივატელს, არაფერში ზოგავდნენ და როგორც დაჭერილ ქურდბაცაცებს, მეფისტოფელისებური დაცინვით ელაპარაკებოდნენ.

ეს ადამიანები ყველაფერს ისე ატრიალებდნენ, როგორც პროგრამა უბრძანებდათ, და წამოწყება წამოწყების, გაერთიანება გაერთიანების კვალდაკვალ ბოლშევიკურნი ხდებოდნენ.

ჯვართამაღლების საავადმყოფო ახლა „მეორე გარდაქმნილად“ იწოდებოდა. მასში ცვლილებები მოხდა. პერსონალის ნაწილი გაათავისუფლეს, ბევრნი კი თვითონ წავიდნენ, რაკი დარწმუნდნენ, რომ სამსახური ხელს არ აძლევდათ. ესენი მოდური პრაქტიკით განებივრებული, დიდშემოსავლიანი, სიტყვამრავალი და ენამჭევრი ექიმები იყვნენ. თავიანთი ანგარებიანი ნაბიჯი მათ დემონსტრაციულად, მოქალაქეობრივი მოტივებით არ გაუმართლებიათ, სამსახურში დარჩენილებს კი აგდებულად დაუწყეს ყურება, ლამის ბოიკოტიც კი გამოუცხადეს. ძველ სამსახურში

დარჩენილ მოძულებულთა შორის ჟივაგოც იყო.

საღამოობით ცოლსა და ქმარს შორის ამგვარი საუბრები იმართებოდა: – ოთხშაბათს არ დაგავიწყდეს ექიმთა საზოგადოების სარდაფში გაყინულ კარტოფილზე მოსვლა. იქ ორი ტომარაა. დავაზუსტებ, რომელ საათზე გავთავისუფლდები, რომ დაგეხმარო. მარხილით უნდა წამოვიღოთ.

– კარგი, მოევლება, იურიჩკა. ცოტა ადრე დაწოლილიყავი. გვიანია, სულ ერთია, ყველა საქმეს მაინც ვერ აუთავდები. დასვენება გჭირდება, – საყოველთაო ეპიდემიაა. საერთო დაქანცულობა წინააღმდეგობის უნარს ასუსტებს. შენი და მამას შეხედვა საშინელებაა. რაღაც უნდა ვიღონოთ. კი, მაგრამ სახელდობრ რა? თავს ვერ ვუფრთხილდებით. უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ. ყური მიგდე. გძინავს?

– არა.

– საკუთარ თავზე არა ვდარდობ, ხარივითა ვარ, მაგრამ თუ მაინც წამოვიჩოქე, ძალიან გთხოვ, არ გასულელდე, სახლი არ მიატოვო. იმ წამსვე საავადმყოფოს მოაშურე.

– რას ამბობ, იურიჩკა! ღმერთმა დაგიფაროს. წინასწარ რატომ ითარსები?

– გახსოვდეს, ამიერიდან აღარც პატიოსნები არსებობენ და აღარც მეგობრები. საქმის მცოდნეებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. თუ რამე მოხდა, მარტო პიჩუჟკინს ენდე. რა თქმა უნდა, თუ თვითონ გადაურჩა. გძინავს?

– არა.

– ვირეშმაკებმა თვითონ მსუყე ულუფის ხათრით მოკურცხლეს, ახლა კი, თურმე ნუ იტყვი, მოქალაქეობრივი გრძნობები, პრინციპულობა ამოძრავებდათ. შეხვედრისას ხელის ჩამორთმევას ძლივს კადრულობენ, „თქვენ იმათ ემსახურებითო?" წარბებსა სწევენ მაღლა. „ვემსახურებიმეთქი, – ვეუბნები, – და გთხოვთ, ნუ შემომწყრებით-მეთქი: ჩვენი შეჭირვებით ვამაყობ, და იმ ადამიანებსაც, რომლებიც პატივს გვდებენ და

ამგვარ შეჭირვებაში გვამყოფებენ, პატივს ვცემ-მეთქი”.

10

დიდი ხნის განმავლობაში უმრავლესობის მუდმივ საკვებად წყალ-წყალა ფეტვის ბურღული და ქაშაყის თავების წვნიანი იქცა. ქაშაყის შემწვარი ტანი მეორე თავ კერძად მიდიოდა. იკვებებოდნენ დაუფქვავი ქვავით და ხორბლის მარცვლით. მათგან ფაფას ხარშავდნენ.

ნაცნობმა პროფესორის ცოლმა ანტონინა ალექსანდროვნას ოთახის ჰოლანდურას ქვედზე პურის გამოცხობა ასწავლა. ქალმა გადაწყვიტა, პურის ნაწილი გაეყიდა, რათა ცხობის ნამატისა და მოგების მეოხებით გაემართლებინა კაფელიანი ღუმელის ხმარება, როგორც წინა წლებში. ეს კი საშუალებას მისცემდათ უარი ეთქვათ ჯაბახანა, უვარგის ღუმელ-ზე, რომელიც ერთთავად ბოლავდა, ცუდად ათბობდა და სითბოს სულ ვერ ინახავდა.

ანტონინა ალექსანდროვნას კარგი პური გამოუდიოდა, მაგრამ ვაჭ-რობაში ხელი მოეცარა. იძულებულნი გახდნენ, აუხდენელ ოცნებებს შე-ლეოდნენ და კვლავ მოძულებული ღუმელისათვის მიეხედნათ. უჭირდათ ჟივაგოებს.

ერთხელ, დილაადრიან, იური ანდრეევიჩი ჩვეულებისამებრ საქმეებ-ზე წავიდა. სახლში ორიოდე წკირი შეშაღა დარჩათ. ანტონინა ალექსან-დროვნამ ქურქი ჩაიცვა, რომელშიც სისუსტის გამო თბილ ამინდშიც კი იყინებოდა, და „საშოვარზე” გავიდა.

ნახევარი საათი იყიალა ახლომახლო შესახვევებში, სადაც ხანდახან მახლობელი სოფლებიდან გლეხკაცებს ბოსტნეული და კარტოფილი მოჰქონდათ. მათი დაჭერა არც ისეთი ადვილი საქმე გახლდათ. ხელბარ-გიან გლეხებს აკავებდნენ.

მალე საწადელს ეწია. არმიაკიანმა ბრგე ახალგაზრდამ ანტონინა

ალექსანდროვნა კუთხის იქით, გრომეკოების ეზოში ფრთხილად შეიყვანა.

სათამაშოსავით მსუბუქ ლაფნის მარხილზე, ჭილობქვეშ არყის ხის პატარა შეკვრა იდო, რომელთაგან თითოეული სიმსხოთი გასული საუკუნის ფოტოებზე გამოსახული ძველმოდური სახლების მოაჯირების რიკულებს არ აღემატებოდა. ანტონინა ალექსანდროვნამ იცოდა მათი ფასი, – არყის ხისა მარტო სახელიღა ჰქონდათ, თორემ მთლად უხეირო შეშა იყო, სინედლისაგან წყალი გასდიოდა და საწვავად იმაზე უვარგის მასალას კაცის თვალი ძნელად თუ ნახავდა. მაგრამ საქმე სარჩევად არა ჰქონდა და არც დაფიქრებულა.

ახალგაზრდა გლეხმა შეშა საცხოვრებელ ოთახში ხუთ-ექვს გზად აუტანა, მის სანაცვლოდ თავისი თვალნაჭერისათვის საჩუქრად შერჩეული, ანტონინა ალექსანდროვნას პატარა სარკიანი კარადა ზურგზე მოიგდო, ქვევით ჩაიტანა და მარხილში ჩადო. ყოველი შემთხვევისათვის სამომავლოდ კარტოფილის ჩამოტანაზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი, ახლა კარებთან მდგარ პიანინოს დაადგა თვალი.

დაბრუნებულმა იური ანდრეევიჩმა ცოლის შენაძენის ავკარგიანობაზე სიტყვა აღარ გააგრძელა. გატანებული კარადა რომ დაეჭრათ, უფრო მეტი შეშა გამოუვიდოდათ, მაგრამ საამისოდ ხელი არ მოუბრუნდებოდათ.

– ნახე მაგიდაზე ბარათი? – ჰკითხა ცოლმა.

– საავადმყოფოს გამგისა? ვიცი, უკვე მითხრეს. ავადმყოფთან მეძახიან. უთუოდ ნავალ. აი, ცოტას დავისვენებ და წავალ. მაგრამ საკმაოდ შორს არის. სადღაც ტრიუმფალურ ჭიშკართან. მისამართი ჩაწერილი მაქვს.

– უცნაურ გასამრჯელოს კი გთავაზობენ. ნახე? მაინც წაიკითხე. თითო ვიზიტში გერმანული კონიაკის ბოთლს ან ერთ წყვილ ქალის წინდას. ხედავ, როგორ გიტყუებენ? ნეტავი ვინ უნდა იყოს? როგორღაც ტლანქი

ტონია და ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სრული უცოდინარობა. ახირებული ხალხია, ეტყობა.

– ჰო, ეს დამამზადებელთან მეძახიან.

იმხანად კონცესიონერებთან და რწმუნებულებთან ერთად ამგვარად იხსენიებდნენ წვრილ მეწარმეებს, რომელთაც კერძო ვაჭრობის მოსპობის შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლება სამეურნეო ცხოვრების გამწვავებისას მცირე შეღავათებს უწევდა და სხვადასხვა სახის საქონლით მომარაგების თაობაზე ხელშეკრულებებს და გარიგებებს უდებდა. მათ შორის უკვე აღარ იყვნენ ძველი ფირმების დამხობილი მეთაურები, მსხვილი წამოწყებების მესაკუთრენი. მიყენებული დარტყმის შემდეგ ისინი ვეღარასოდეს გაიმართნენ წელში. ამ კატეგორიას ეკუთვნოდნენ ერთი დღის საქმოსნები, საზოგადოების ფსკერიდან ომისა და რევოლუციის მიერ წამოტივტივებული, გუშინდელი შეხანხლული ახალუხლები.

ექიმმა რძით შეთეთრებული, საქარინიანი ადუღებული წყალი შეხვრიპა და ავადმყოფისაკენ გაეშურა.

ტროტუარები და ქვაფენილები ღრმად იყვნენ ჩამარხულნი თოვლში, რომელსაც სახლების ერთი მწკრივიდან მეორემდე ქუჩები ერთიანად გადაეთეთრებინა. თოვლის საფარი ზოგან პირველი სართულის ფანჯრებს სწვდებოდა. მთელ ამ სივრცეზე მდუმარე, ცოცხალმკვდარი აჩრდილები დალასლასებდნენ, რომელთაც ზურგით ან მარხილებით თავ-თავიანთი მწირი სანოვაგე მიჰქონდათ. არაქვეითად მოსიარულენი თითქმის არ ჩანდნენ.

სახლებზე აქა-იქ კიდევ შემორჩენილიყვნენ უწინდელი აბრები. მათ ქვეშ შეუფერებლად შეფარებული სამომხმარებლოები და კოოპერატივები მიეკეტ-მოეკეტათ, ფანჯრებზე ცხაურები აეკრათ ან სულაც აეჭედათ და შიგ კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

ისინი მარტო უსაქონლობით როდი იყვნენ კარმიკეტილნი და უკაცრიელნი. ცხოვრების ყოველმხრივი გარდაქმნა, რომელმაც ვაჭრობაც მოიცვა, ჯერ კიდევ მეტისმეტად ზოგად ფორმებში მიმდინარეობდა და ამ

აჭედილ დუქნებს, როგორც უმნიშვნელო კერძო საკითხებს, ჯერ არ შეხებოდა.

11

სახლი, სადაც ექიმი იყო მიწვეული, ბრესტის ქუჩის ბოლოში, ტვერის კარიბჭის ახლოს აღმოჩნდა.

ეს იყო ადამისჟამინდელი აგურის ყაზარმული შენობა. შიგნით, ეზოს მხრიდან, შიდა კედლების გასწვრივ, შენობას სამ იარუსად ჰქონდა მიდგმული ხის შუშაბანდები.

იქაური მოსახლეები რაისაბჭოს წარმომადგენელი ქალის მონაწილეობით, წინასწარ დანიშნულ საერთო კრებას ატარებდნენ, როცა უეცრად შემოვლაზე მყოფი სამხედრო კომისია გამოცხადდა. იგი იარაღის ტარების ნებართვებს ამოწმებდა და უნებართვოს იბარებდა. შემოვლის ხელმძღვანელი დელეგატ ქალს სთხოვდა, არსად წასულიყო, არწმუნებდა, ჩხრეკას ბევრი დრო არ დასჭირდება, განთავისუფლებული მდგმურები თანდათანობით დაბრუნდებიან და შეგეძლებათ, შეწყვეტილი კრება მალევე განაახლოთო.

შემოვლა დასასრულს უახლოვდებოდა და რიგში სწორედ ის ბინა იყო, სადაც ექიმს ელოდნენ, როდესაც იგი სახლის ჭიშკარს მიუახლოვდა. შუშაბანდების ერთ-ერთ კიბესთან მდგარმა, თოკშებმულ შაშხანიანმა ჯარისკაცმა იური ანდრეევიჩს შეშვებაზე სასტიკი უარი განუცხადა, მაგრამ კამათში რაზმის უფროსი ჩაერია. მან ბრძანა, ექიმისათვის ხელი არ შეეშალათ და დათანხმდა, ბინის გაჩხრეკა გადაედო, ვიდრე იგი ავადმყოფს გასინჯავდა.

ექიმს ბინის პატრონი, თავაზიანი ახალგაზრდა კაცი შეეგება, რომელიც ფერმკრთალი, მრგვალი სახე და შავი, სევდიანი თვალები ჰქონდა. მას უამრავი რამ აღელვებდა: ცოლის ავადმყოფობა, კარს მომდგარი

ჩხრეკა და ზებუნებრივი მოწიწება, რომელსაც მედიცინისა და მის წარ-მომადგენელთა მიმართ განიცდიდა.

ექიმის შრომა და დრო რომ დაეზოგა, იგი ცდილობდა, რაც შეიძლე-ბოდა, მოკლედ ელაპარაკნა, მაგრამ სწორედ ეს ნაჩქარევობა იყო, სიტ-ყვას რომ უგრძელებდა და არეულ-დარეულად ალაპარაკებდა. ბინაში ფუფუნება და უგემოვნობა ერთმანეთში იყო აღრეული. იგი სავსე იყო საიმედო საქმეში ფულის დაბანდების მიზნით ჰაიჰარად შეძენილი ნივ-თებით. დაკოჭლებული გარნიტურის ავეჯს ცალ-ცალი საგნები ავსებ-დნენ, მაგრამ თავის მხრივ მათ თავიანთი ცალები აკლდათ და ამის გამო მთლიან კომპლექტებს მაინც ვერ ქმნიდნენ.

ბინის პატრონის აზრით, მის ცოლს შიშის ნიადაგზე წარმოშობილი რომელიღაც ნერვული დაავადება სჭირდა. მრავალ უსაგნო წილადობი-ლასთან ერთად მან უამბო, რომ რაღაც გროშების ფასად ძველებური, მუსიკალური, მაგრამ მოშლილი კურანტები შეიძინეს, რომელიც კარგა ხანი იყო აღარ მუშაობდა. თურმე სასაათე ოსტატობის დამადასტურე-ბელი იშვიათი ნიმუშის სახით იყიდეს (ავადმყოფის ქმარმა მის საჩვე-ნებლად ექიმი მეზობელ ოთახში გაიყვანა). ეჭვიც კი ეპარებოდათ, ოდეს-მე თუ შეიძლებოდა მისი შეკეთება. და აი უცებ ის საათი, დაქოქვა წლო-ბით რომ არ ღირსებია, ამუშავდა, ზარებზე თავისი რთული მენუეტი ჩა-მორეკა და გაჩერდა. ცოლი კინაღამ შემეშალაო, ჰყვებოდა ახალ გაზ-რდა. დაიჟინა, გინდა თუ არა, ჩემი აღსასრულის ჟამმა დაჰკრაო, და აჰა, წევს ახლა, ბოდავს, არცა ჭამს, არცა სვამს და, სხვას აღარ ვჩივი, მეც ვეღარ მცნობსო.

– მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ ყველაფერი ნერვული შეკრთომის ბრა-ლია? – ჰკითხა დაეჭვებულმა იური ანდრეევიჩმა. – მიმიყვანეთ ავად-მყოფთან.

მეორე ოთახში გავიდნენ, რომელშიც ფაიფურის ჭაღი ეკიდა და ფარ-თო ორადგილიანი საწოლის აქეთ-იქით წითელი ხის ორი ტუმბი იდგა.

საწოლის კიდეზე ტანმორჩილი, დიდრონ, შავთვალებიანი ქალი მიკუნ-ჭულიყო და საბანი ნიკაპს ზემოთ აეფარებინა. შემოსულთა დანახვაზე საბანქვეშიდან ხელები გამოყო, რომლებზეც ხალათის ფართო სახელოე-ბი იღლიებისკენ დაუცურდა, და კივილი მორთო, არ მომეკაროთ, გადით აქედანო. ქმარს ვერა სცნობდა და, თითქოს ოთახში არავინ იყო, წყნარი ხმით წამოიწყო რომელიღაც სევდიანი სიმღერა. მერე გული აუჩუყდა, ატირდა, ბავშვივით აზლუქუნდა და იქ მყოფთ ხვეწნა დაუწყო, შინ წა-მიყვანეთო. ექიმმა საიდან აღარ მოუარა, მაგრამ ქალმა ზურგი აქცია, გასინჯვას არა და არ ანებებდა.

– უნდა გავსინჯო, – თქვა იური ანდრეევიჩმა. – მაგრამ სულ ერთია, უიმისოდაც ჩემთვის ყველაფერი ნათელია. პარტახტიანი ტიფია, თანაც საკმაოდ მძიმე ფორმით. ძალიან წვალობს საცოდავი. გირჩევდით, სა-ავადმყოფოში მიგეყვანათ. მთავარი ხელსაყრელი პირობები როდია, მთავარი ექიმის მუდმივი მეთვალყურეობაა, რაც ავადმყოფობის პირ-ველ კვირეებში აუცილებელია. არ შეგიძლიათ, მის წასაყვანად ეტლი ან, უკიდურეს შემთხვევაში, საბარგო მარხილი მაინც იშოვოთ? მანამდე კი, რაღა თქმა უნდა, ავადმყოფი კარგად უნდა შეფუთნოთ. ახლავე მიმარ-თვას გამოგიწერთ.

– შემიძლია. შევეცდები. მაგრამ დაიცადეთ. ნუთუ მართლა ტიფია? რა საშინელებაა!

– სამწუხაროდ.

– სხვაგან რომ წავიყვანო, მეშინია, ვაითუ მომიკვდეს. არ შეიძლება, სახლში დავტოვოთ, თქვენ კი აქ ხშირ-ხშირად იაროთ? მზად ვარ, რასაც მთხოვთ, გადაგიხადოთ.

– ხომ აგიხსენით. მთავარია განუწყვეტელი მეთვალყურეობა. ყური მიგდეთ. კარგ რჩევას გაძლევთ. თუნდაც მიწიდან გააჩინეთ მეეტლე, მე კი საჭირო წერილს დაგიწერთ. სჯობია, ყველაფერი თქვენი სახლის კო-მიტეტში გავაფორმოთ. მიმართვაზე სახლის ბეჭედი და კიდევ რაღაც-რაღაცეები დაგვჭირდება.

12

თბილ-თბილ კაბებსა და ქურქებში ჩათბუნებული მოსახლენი, რომელთაც დაკითხვა და ჩხრეკა მოითავეს, ერთიმეორის მიყოლებით ბრუნდებოდნენ გაუქმებული კვერცხის საწყობის გაყინულ შენობაში, რომელიც ახლა სახლკომს ეჭირა.

ოთახის ერთ ბოლოში კანტორის მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა, რომლებიც ამოდენა ხალხის დასაჯდომად საკმარისი არ იყო. ამიტომ მათთან ერთად ირგვლივ მერხებივით გრძელი, დაპირქვავებული კვერცხის ყუთები დაელაგებინათ. შენობის მეორე ბოლო ჭერამდე იყო გამოტენილი ასეთი ყუთებით. კუთხეში, კედელთან, დამტვრეული კვერცხებიდან გამოდენილი გულით გუნდ-გუნდად შეწებებული გაყინული ბურბუშელა მიეხვეტათ. ამ გროვაში ხმაურით მოფუთფუთე ვირთხები ხანგამოშვებით ქვის იატაკის თავისუფალ სივრცეზე გამორბოდნენ, მერე კი ისევ ბურბუშელაში იმალებოდნენ.

ასეთ დროს ერთ-ერთ ყუთზე ყოველთვის ჭყივილით შეხტებოდა ხოლმე ერთი მკივანა, ჩასუქებული ქალი. კალთის ბოლოს კეკლუცად გაფშეკილი თითებით იწევდა, მაღალყელიან, მოდურ ჩექმებს აბაკუნებდა და განგებ მთვრალივით ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა:

– ოლკა, ოლკა, შენ აქ ვირთხები გყოლია. ფუჰ, დამეკარგე, შე უწმინდურო! უი, უი, ესმის, ამ არამზადას! გაცოფდა. უი, უი, ყუთზე მოცოცავს! ემანდ კაბის ქვეშ არ შემომიძვრეს. უიმე, მეშინია, უიმე, მეშინია! იქით მიბრუნდით, ბატონო მამაკაცებო. თუმცა შემეშალა, დამავიწყდა, რომ ახლა მამაკაცები კი არა, ამხანაგი მოქალაქეები ხართ, აკივლებულ ქალს კრაველის ჩახსნილი საკი ეცვა. მის ქვეშ შედედებული კისელივით სამ ფენად უთიმთიმებდა ორმაგი ნიკაპი, გაჭექილი მკერდი და აბრეშუმის კაბით შემოტმასნილი მუცელი. ზედვე ეტყობოდა, ოდესღაც მესამე კატეგორიის ვაჭრებში და იმათ ნოქრებში მძვინვარე ძუ ლომის სახელი ექნებოდა გავარდნილი. შეშუპებულ ქუთუთოებიან, ღორივით წვრილ

თვალებს ძლივს ახელდა. უხსოვარ დროში ერთმა რაყიფმა წამლის შუშით მჟავა მიასხა, მაგრამ ააცდინა და მხოლოდ ორისამი წვეთი მოხვდა მარცხენა ლოყაზე. პირის მარცხენა კუთხეშიც ორი მსუბუქი ნაკვალევი დარჩა, თუმცა იგი იმდენად ნაკლებშესამჩნევი იყო, საცდუნებლადაც კი იყენებდა.

– ნუ ღრიალებ, ხრაპუგინა. პირდაპირ მუშაობასაც არ გაცლიან. – ბუზღუნებდა მაგიდასთან მჯდომი ქალი, რაისაბჭოს წარმომადგენელი, რომელიც კრების თავმჯდომარედ აერჩიათ.

სახლის ძველი ბინადარნი დიდი ხანი იყო იცნობდნენ და მანაც ყველას ასავალ-დასავალი კარგად იცოდა. კრების დაწყებამდე იგი არაოფიციალურად ხმადაბლა ესაუბრებოდა დეიდა ფატიმას, სახლის ძველ მეეზოვეს, რომელმაც ქმარ-შვილთან ერთად ოდესღაც ტურტლიან სარდაფს შეაფარა თავი, ახლა კი ქალიშვილთან ერთად მეორე სართულზე ორ ნათელ ოთახში იყო შესახლებული.

– აბა, რას იტყვი, ფატიმა? – ეკითხებოდა თავმჯდომარე.

ფატიმა ჩიოდა, ამოდენა სახლს, ამდენ ხალხს ვეღარ ავუდივარ, დახმარება კი არსაიდან ჩანს, რადგან ეზოს და ქუჩის დასუფთავების ბეგარას, სათითაოდ ყველა ბინაზე რომ არის განაწილებული, არავინ იცავსო.

– დარდი ნუ გაქვს, ფატიმა, ჩვენ ამათ რქებს მოვამტვრევთ, ჩაიჩუმქრე. რა კომიტეტია ესა? წარმოგიდგენიათ? დამნაშავე ელემენტი იმალება, საეჭვო ზნეობრიობა ჩაუწერლათა ცხოვრობს. ჩვენ ამათ დავცხებთ კინკრიხოებში, არჩევით კი სხვას ავირჩევთ. მე შენ სახლმმართველათ გაგიყვან, ოღონდაც ეგრე ნუ ტლინკაობ.

მეეზოვემ ხელები გაატაატანა, არამც და არამც ეგ არა ქნაო, მაგრამ იმან ყურიც არ ათხოვა. ოთახს თვალი მოავლო, საკმარისი ხალხი მოგროვდაო, დაასკვნა, წესრიგის დამყარება ითხოვა და კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა. ჯერ სახლის წინანდელი კომიტეტი თათხა უმოქ-

მედობისათვის, მერე წინადადება წამოაყენა, ახლის ასარჩევად კანდიდატები შეერჩიათ და სხვა საკითხებზე გადავიდა. ესეც რომ მოითავა, სხვათა შორის განაცხადა:

– ხომ ხედავთ, როგორაა საქმე, ამხანაგებო. გულახდილათ ვილაპარაკოთ. თქვენი შენობა ფართოა და საერთო საცხოვრებლისათვის პირდაპირ მისწრებაა. ხანდახან დელეგატები ჩამოდიან თათბირებზე და ხალხი ვერსად შეგვიტენია. არის გადაწყვეტილება რაისაბჭოს განკარგულებაში ჩავიბაროთ სახლი ჩამომსვლელებისათვის და მივანიჭოთ მას ამხანაგ ტივერზინის სახელი, როგორც გადასახლებამდე მოცემულ სახლში მცხოვრებისა. ეს ფაქტი ყველამ იცის. წინააღმდეგი ხომ არავინაა? ახლა კი სახლის განთავისუფლებაზე. ეს სასწრაფო ღონისძიება არ არის, დრო კიდევ ერთი წელი გაქვთ. მშრომელ მოსახლეობას ფართობს მივცემთ, უშრომელებს ვაფრთხილებთ, სამუშაო თვითონვე იშოვნონ და თორმეტი თვის ვადას ვაძლევთ.

– უშრომელი ვიღა გვყავს? უშრომელები არავინა გვყავს! ყველანი მშრომელები ვართ. – ყვიროდნენ ყოველი მხრიდან, ერთი კი იჭაჭებოდა:

– ეს დიდმპყრობელური შოვინიზმია! ახლა ყველა ეროვნება თანასწორია. ვიცი, გადაკრულად რაზეც მიგვანიშნებთ.

– ყველანი ერთათ ნუ ყაყანებთ! რომელს გიპასუხოთ, არც კი ვიცი. რაო, რომელი ეროვნებები? რა შუაშია ეროვნება, მოქალაქე ვალდირკინ? მაგალითათ, ხრაპუგინა სულაც არ არის ეროვნება და მაგასაც გავასახლებთ.

– გამომასახლეფთ, დიახ, როგორ არა! ვნახამთ ერთი, როგორ გამომასახლეფ, შე ჩამტვრეულო კუშეტკავ, შენა! შე ათი სკამის მათხოვარო! – ყვიროდა ხრაპუგინა უაზრო მეტსახელებს, რომლებსაც გახურებულ კამათში დელეგატ მანდილოსანს უგონებდა.

– რა გველია! რა შაითანია! უსირცხვილო ხარ! – შფოთავდა მეეზოვე.

– თავი დაანებე, ფატიმა. თავს არავის დავაჩაგვრინებ. მორჩი, ხრაპუგინა. ფეხზე თუ დაგისვა კაცმა, თავზე ააცოცდები. ხმა ჩაიწყვიტე-

მეთქი, თორემ აღარ დაველოდები, არყის ხდისა და გარყვნილების ბუნაგის გამოისობით როდის წაგბაწრავენ და შენს ქეციან თავს ახლავე ორგანოებს ჩავაბარებ.

წივილ-კივილმა ზღვარს მიაღწია. ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცდიდნენ. ამ დროს საწყობში ექიმი შემოვიდა. კარებთან მჯდომ პირველივე შემხვედრს სთხოვა, სახლის კომიტეტიდან დაუძახეთ ვისმეო. იმან კი ხელები პირზე შემოიწყო და მოყაყანეთა ჯიღჯიღი რომ დაეფარა, ჩამარცვლით იღრიალა:

– გა-ლი-უ-ლი-ნა! აქეთ მოდი, გკითხულობენ.

ექიმმა ყურებს არ დაუჯერა. გამხდარი, წელში ოდნავ მოხრილი მეეზოვე ქალი მიუახლოვდა. ექიმი გააოცა დედა-შვილის მსგავსებამ, მაგრამ ჯერჯერობით თავი არ გასცა. ქალს უთხრა:

– აქ თქვენთან ერთი მდგმური ტიფითაა დაავადებული (ქალის გვარი დაუსახელა). სიფრთხილეა საჭირო, დაავადება რომ არ გავრცელდეს. ამას გარდა, ავადმყოფი საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ. ქაღალდს შევუდგენ, რომელიც სახლკომმა უნდა დაამოწმოს. სად და როგორ გავაკეთოთ ეს საქმე?

მეეზოვემ ისე გაიგო, თითქოს საქმე ავადმყოფის გადაყვანას ეხებოდა, და არა თანმხლებ ქაღალდს.

– ამხანაგ დიომინას წასაყვანათ რაისაბჭოდან ეტლი მოვა, – თქვა გალიულინამ. – ამხანაგი დიომინა კეთილი ადამიანია, ვეტყვი და ეტლს დაგითმობთ. ნუ დარდობ, ამხანაგო ექიმო, გადავიყვანთ შენი ავანტყოფი.

– არა, მაგას კი არ გეუბნებით! მხოლოდ ერთი კუთხე მინდოდა მიმართვის დასაწერად. მაგრამ თუ ეტლიც იქნება... მაპატიეთ, თქვენ პორუჩიკ გალიულინის, ოსიპ გიმაზეტდინოვის დედა არა ხართ? მე მასთან ერთად ვმსახურობდი ფრონტზე.

მეეზოვე უეცრად შეკრთა და გაფითრდა. ექიმს ხელში ხელი ჩაავლო და უთხრა:

– გარეთ გავიდეთ. ეზოში ვილაპარაკოთ.

როგორც კი ზღურბლს გადააბიჯეს, ალაპარაკდა.

– ჩუმათ. ღმერთმა დაგიფაროს, გაიგონ. ნუ მღუპამ. იუსუფკა ფინთი გზა წავიდა. შენ თითონა თქვი, იუსუფკა ვინ არის? იუსუფკა მოწაფეებიდანაა, შეგირდი. იუსუფი უნდა გაიგოს, უბრალო ხალხი ეხლა ძალიან კარგი გახდა, ბრუციანიც ხედამს, რა ლაპარაკი უნდა. მე არ ვიცი, შენ რას ფიქრობ, შენ იქნებ შეგიძლია, იუსუფკა კი ცოდო ჩაიდინა. ღმერთი არ გაპატიებს. იუსუფის მამა ომში დაიკარგა, მოკლეს, თანაც ისე, არც სახე დაუტოვეს, არც ხელი, არც ფეხი.

მეტი ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა. ხელი ჩაიქნია და შეიცადა, ვიდრე გული საგულეს ჩაუდგებოდა. მერე კი განაგრძო:

– წავიდეთ. მე შენ ეხლა ეტლის ამბავი გაგიგო. ვიცი, ვინა ხარ. ორი დღე იყო აქა, მითხრა. შენაო, მეუბნება, ლარა გიმაროვასა იცნობო. კარგი გოგო იყო. აქ მოდიოდა ჩვენთანა, მახსოვს. ეხლა როგორი იქნება, ვინ იცის თქვენი საქმე. განა იქნება, ბატონები ბატონებთან იჩხუბონ? იუსუფკა კი ცოდო ჩაიდინა. წავიდეთ, ეტლი ვითხოვოთ. ამხანაგი დიომინა მოგვცემს. ამხანაგი დიომინა კი იცი ვინ არის? ოლია დიომინა, ლარა გიზაროვას დედასთან ხელოსანი იყო. აი, ვინ არის, აქედანაა ესეცა, ამ ეზოდანა. წავიდეთ.

13

უკვე მთლად ჩამობნელდა. ირგვლივ ღამე იყო. მხოლოდ დიომინას ჯიბის ფარნის თეთრი წრე დახტოდა ხუთიოდე ნაბიჯზე ნამქერიდან ნამქერზე და მიმავალთ უფრო დავთრებს ურევდა, ვიდრე გზას უნათებდა. ირგვლივ ღამე იყო, და უკან დარჩა ის სახლი, სადაც მას ამდენი ხალხი იცნობდა, სადაც ის გოგონა იყო, სადაც, როგორც ამბობდნენ, ბალღობაში იზრდებოდა მისი მომავალი ქმარი, ანტიპოვი.

დიომინა ვითომ მფარველობდა, ხუმრობით მიმართავდა:

– დანარჩენს მართლა უფარნოდ გაივლით? ჰა? თუ გინდათ, მოგცემთ, ამხანაგო ექიმო. ჰო. მე ოდესღაც მართლაც შეშლილი ვიყავი იმაზე, თავდავიწყებით მიყვარდა, როცა გოგოები ვიყავით. სამკერვალო ჰქონდათ, სახელოსნო. შეგირდად ვიყავი იმათთან. წელს ვნახეთ ერთმანეთი. ჩამოვიდა. მოსკოვში გავლით იყო. სად მიდიხარ-მეთქი, სულელო, ვეუბნები. დარჩენილიყავი-მეთქი, ერთად ვიქნებოდით, შენთვის სამუშაოც გამოჩნდებოდა-მეთქი ვინ დაგიჯერა. არ უნდა. თავისი საქმეა, პაშკას თავით გაჰყვა და არა გულით. მას მერე ეგრეა. წავიდა.

– რას ფიქრობთ მასზე?

– ფრთხილად. ლიპი ყინულია. რამდენჯერ ვუთხარი, კარებწინ ნარცხი არ გადმოღვაროთ-მეთქი, – ვინ გისმენს, გინდა ამათთან გილაპარაკნია და გინდა კედლისთვის ცერცვი შეგიყრია. იმაზე რას ვფიქრობ? როგორ თუ რას ვფიქრობ? რა უნდა ვიფიქრო. სადა მაქვს მაგისი დრო. აი, აქ ვცხოვრობ. იმას დავუმალე. იმისი ძმა, სამხედრო, მგონი დახვრიტეს. დედამისს კი, ჩემს წინანდელ ქალბატონს, ალბათ ვუშველი, საქმეს ვუწყობ. მე აქეთ მივდივარ, ნახვამდის.

და აი, ერთმანეთს დაშორდნენ. დიომინას ფარანი ვიწრო ქვის კიბეს ეტაკა, ჭუჭყიანი აღმართის მოთხუპნული კედლები გაანათა და წინ გაიჭრა, ხოლო ექიმი დარჩა წყვდიადში. მარჯვნივ სადოვაია ტრიუმფალნაია იყო, მარცხნივ კი სადოვაია კარეტნაია. შავბნელი შორეთის შავ თოვლში ჩაფლულნი, ისინი უკვე ქუჩები კი აღარ იყვნენ, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ჩამწკრივებული ქვის სახლებით ურალისა და ციმბირის უღრანი ტაიგის გაუვალ ტევრებში გაჭრილ განაკაფებს უფრო მიაგავდნენ.

სახლში სინათლე, სითბო სუფევდა.

– ასე რატომ დაიგვიანე? – ჰკითხა ანტონინა ალექსანდროვნამ და პასუხს აღარ დალოდებია, ისე განაგრძო:

– აქ კი უშენოდ კურიოზი მოხდა, აუხსნელი უცნაურობა. დამავიწყდა მეთქვა. გუშინ მამას მაღვიძარა გაუფუჭდა და გულს შემოეყარა. ბოლო

ხანს სახლშია. ვითომ შეკეთება დაუწყო, უჩხიკინა, უჩხიკინა, არაფერი გამოუვიდა. კუთხეში რომაა, იმ მესაათემ სამი ფუნტი პური მოსთხოვა, გაუგონარი საფასური. რა უნდა ექნა? მამამ მთლად მოიწყინა. და უეცრად, წარმოიდგინე, ერთი საათის წინ გამაყრუებელი რეკვა გაისმა. მაღვიძარა იყო! ადგა, გესმის, და ამუშავდა!

– ეს ჩემმა ტიფიანმა საათმა დაჰკრა, – იხუმრა იური ანდრეევიჩმა და თავისიანებს კურანტებიან ავადმყოფზე უამბო.

14

ტიფით კი გაცილებით გვიან დაავადდა. ამასობაში ჟივაგოების ოჯახის გაჭირვებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, უჭირდათ და იღუპებოდნენ. იური ანდრეევიჩმა ოდესღაც მის მიერ გადარჩენილი პარტიელი, გაძარცვის მსხვერპლი მონახა. მას რაც კი შეეძლო, ექიმისათვის არა დაუშურებია რა. მაგრამ დაიწყო სამოქალაქო ომი, მისი მფარველი სულ აქეთიქით დადიოდა. გარდა ამისა, თავისი მრწამსის შესაბამისად, ეს ადამიანი მაშინდელ სირთულეებს ბუნებრივად თვლიდა და არ ამხელდა, თვითონაც რომ შიმშილობდა.

იური ანდრეევიჩი შეეცადა ტვერის კარიბჭესთან მცხოვრები დამამზადებელი მოეძებნა, მაგრამ გასული თვეების განმავლობაში ისიც სადღაც გადაკარგულიყო და არც მისი გაჯანსაღებული ცოლის ასავალ-დასავალი იცოდა ვინმემ. იქაური მოსახლეებიც ზოგი სად წასულიყო და ზოგი სად. დიომინა ფრონტზე იყო, სახლმმართველი გალიულინა კი იური ანდრეევიჩმა ვეღარსად ნახა.

ერთხელ სახელმწიფო ფასში შეშის შესყიდვის ორდერი მიიღო. შეშა ვინდავის ვაგზლიდან[73] უნდა წამოეღო. მეშჩანსკაიას უსასრულო ქუჩაზე

[73] მოსკოვის ყოფილ „ვინდავის ვაგზალს” ამჟამად „რიგის ვაგზალი“ ეწოდება, ხოლო „მეშჩანსკაიას ქუჩას“ – მშვიდობის პროსპექტი.

მოჰყვებოდა მზიდავსა და ჯაგლაგ ცხენს, რომელთაც მისთვის ეს მოულოდნელი სიმდიდრე მოჰქონდათ. უეცრად ექიმმა იგრძნო, რომ ის ქუჩა ქუჩას აღარა ჰგავდა, თვითონ კი ბარბაცებდა და მუხლი ეკვეთებოდა. მიხვდა, მისი საქმე წასული იყო, ბედმა უმუხთლა და ტიფი შეხვდა. მზიდავმა ძირს დაცემული წამოაყენა და წამოიყვანა. ექიმს აღარ ახსოვდა, შეშაზე უსულოდ გადადებული სახლამდე როგორ მიიყვანეს.

15

ორი კვირა ბოდვაში გაატარა. ხანგამოშვებით მოიხედავდა, მერე ისევ აბოდებდა. ეჩვენებოდა, ვითომ ტონიამ მის საწერ მაგიდაზე ორი სადოვაია დადო, მარცხნივ სადოვაია კარეტნაია, ხოლო მარჯვნივ – სადოვაია ტრიუმფალნაია და მისი ცხელი, გამჭოლი, ნარინჯისფერი მაგიდის ლამფა ახლოს მიადგა. ქუჩები განათდა. შეიძლება იმუშაოს. და აი, იგი წერს.

იგი წერს მხურვალედ და არაჩვეულებრივი წარმატებით იმას, რისი დაწერაც ყოველთვის სწყუროდა და კარგა ხანია უნდა დაეწერა, მაგრამ არასოდეს შეეძლო, აი ახლა კი გამოუდიოდა. და მხოლოდ ხანდახან თუ უშლიდა ერთი ვიწრო ყირგიზულ თვალებიანი ბიჭი, რომელსაც ღილებჩახსნილი ირმის ქურქი ეცვა, სწორედ ისეთი, ციმბირსა და ურალში რომ ატარებენ.

სრულიად ნათელი იყო, ის ბიჭი მისი სიკვდილის ანგელოზი ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თავად მისი სიკვდილი იყო. თუმცა სიკვდილი როგორღა იქნებოდა, როცა პოემის წერაში ეხმარებოდა, განა შესაძლებელია, სიკვდილისაგან სარგებელი ნახოს კაცმა, განა სიკვდილი ოდესმე მხარში ამოგიდგება?

იგი წერს პოემას ქვეყნად მოვლენასა და კუბოში წოლაზე კი არა, ამ ორს შორის განვლილი დღეების თაობაზე. იგი წერს პოემას „არეულობა". მუდამ უნდოდა დაეწერა, როგორ გრგვინავდა ქარიშხალი, ბორგავდა სამ დღეს, როგორ ებრძოდა ჭიით დახრულ შავ დედამიწას. როგორ ეხლება

სიყვარულის უკვდავ სავანეს, ცოფმორეული ფეხქვეშ თელავს, ზედ ბელტებს აყრის, როგორც მშფოთვარე მოქცევისას მრუმე ტალღები ნაპირს ქვას და ლოდს უშენენ და ასამარებენ. როგორ ბორგავდა სამ დღეს მიწიერი შავი გრიგალი.

ორი გარითმული სტრიქონი აეკვიატა:

დრო არის ვიღვაწოთ

და

უნდა გავიღვიძოთ.

დიახ, არის ამქვეყნად ჯოჯოხეთიც და დაცემაც, გახრწნაც და სიკვდილიც, მაგრამ, ამასთანავე, არსებობს გაზაფხულიც, მაგდალინელიც და სიცოცხლეც და – უნდა გავიღვიძოთ. უნდა გავიღვიძოთ და ვიღვაწოთ. აღვსდგეთ და ავმაღლდეთ.

16

საამქვეყნოდ მოიხედა. თავდაპირველად ბურანში იყო, საგნებს შორის ურთიერთკავშირს არ ეძებდა, შეუძლებლად არაფერი მიაჩნდა, არაფერი ახსოვდა, არაფერი აკვირვებდა. ცოლი კარაქიან თეთრ პურს აჭმევდა, შაქრიან ჩაის და ყავას ასმევდა. მას კი დაავიწყდა, ამგვარი რამ ახლა მიუწვდომელი ფუფუნება რომ იყო, და უხაროდა გემრიელი ნუგბარები, როგორც ლექსი და ზღაპარი, რომლებიც გასაჯანსაღებლად ეგრერიგად საჭირო იყო. მაგრამ როგორც კი გონს მოვიდა, ცოლს ჰკითხა. – საიდანა გაქვს ეს ყველაფერი?

– შენმა გრანიამ მოგიტანა– – რომელმა გრანიამ?

– გრანია ჟივაგომ.

– გრანია ჟივაგომ?

– ჰო, შენმა ომსკელმა ძმამ, ევგრაფმა. შენმა გერმა ძმამ. უგრძნობლად იწექი და სანახავად მოდიოდა ხოლმე.

– ირმის ტყავის ქურქით?

– დიახ, დიახ. ესე იგი, გონდაკარგული იყავი და მაინც ამჩნევდი? თურმე რომელიღაც სახლში კიბეზე შეგხვედრია, თვითონ მიამბო. მიხვედრილა, შენ რომ იყავი, გამოცნაურება სდომებია, მაგრამ სულ დაგიფრთხია! პირდაპირ გაღმერთებს, შენზე ლოცულობს. კაცმა არ იცის, საიდან შოულობს ასეთ რამეებს – ბრინჯს, ქიშმიშს, შაქარს. ისევ შინ წავიდა. ჩვენც გვეპატიჟება. ისეთი უცნაურია, სწორედ რომ გამოცანაა. მგონი რაღაც რომანი აქვს ხელისუფლებასთან. ასე ამბობს, ერთი-ორი წლით ხალხმა დიდ ქალაქებს თავი უნდა ანებოს, „მიწას უნდა მიაშუროსო". კრიუგერების ადგილებზე ვეთათბირე. ძალიან მირჩევს. წავიდეთ, ბოსტანი გავაშენოთ, ტყეც ორ ნაბიჯზე გვექნება. ასე მორჩილად, ცხვრებივით ხომ არ ამოვწყდებით.

იმავე წლის აპრილში ჟივაგოების მთელი ოჯახი შორეულ ურალში, ქალაქ იურიატინის მახლობლად, ვარიკინოს ყოფილ მამულში გადასახლდა.

ნაწილი მეშვიდე

გზაში

1

დადგა მარტის უკანასკნელი დღეები, წლის პირველი თბილი დღეები, გაზაფხულის ცრუ მახარობლები, რომელთა შემდგომ ყოველწლიურად მკაცრი ყინვები ისადგურებენ ხოლმე.

გრომეკოების სახლში ნაჩქარევი საგზაო სამზადისი იყო გაჩაღებული, მრავალრიცხოვან მცხოვრებთა შორის, რომელნიც ახლა უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე ქუჩაში ბეღურები, ამ გაწამაწიას წინასააღდგომო მილაგ-მოლაგებად ასაღებდნენ.

იური ანდრეევიჩი გამგზავრების წინააღმდეგი იყო. იგი სამზადისს ხელს არ უშლიდა, რადგან თვლიდა, რომ ამ წამოწყებას აღსრულება არ ეწერა და იმედი ჰქონდა, გადამწყვეტ წუთში ყველაფერი ჩაიშლებოდა. მაგრამ საქმე წინ მიიწევდა და დასასრულს უახლოვდებოდა. სერიოზული მოლაპარაკების დროც დადგა.

საამისოდ გამართულ საოჯახო თათბირზე ცოლს და სიმამრს კიდევ ერთხელ გაანდო თავისი ეჭვები.

– მაშ ასე, თქვენი აზრით მე ვტყუივარ და მივდივართ არა? – თქვა ბოლოს დამყოლი ხმით. სიტყვა ცოლმა ჩამოართვა:

– შენ იმას ამბობ, ერთი-ორი წლით მოვიცადოთ, ამასობაში მიწის საკითხი ახლებურად მოწესრიგდება, სადმე მოსკოვის ახლო ნაკვეთს მოვითხოვთ, მოგვცემენ და ბოსტანს გავაშენებთო. იმას კი აღარ ფიქრობ, იქამდე რა გაგვაძლებინებს. არადა, ყველაზე საინტერესოც სწორედ ეგ არის, აი, რისი მოსმენაა სასურველი.

– სისულელეა, – მხარი აუბა შვილს ალექსანდრ ალექსანდროვიჩმა.

– კარგი, გნებდებით, – დათანხმდა ბოლოს იური ანდრეევიჩი. – თუ რამე მაიძულებს თავი შევიკავო, ეს სრული გაურკვევლობაა. თვალებსა ვხუჭავთ და ისე ვხტებით, იმ ადგილებზე ოდნავი წარმოდგენაც კი არა გვაქვს. ვარიკინოში მცხოვრები სამი ადამიანიდან ორნი, დედა და ბებია,

ცოცხლები აღარ არიან, ხოლო მესამე, პაპა კრიუგერი, ისიც თუ ცოცხალია, მძევლად იქნება აყვანილი და ოთხკედელშუა გამომწყვდეული.

ომის ბოლო წელს ტყეებს და ქარხანას რა მოუხერხა, სათვალფერისოდ რომელიღაც ცრუმაგიერ პირს ან ბანკს მიჰყიდა, თუ პირობით ვიღაცაზე გადაწერა? აბა რა ვიცით ამ გარიგებაზე? ვისია ეს მიწები, საკუთრების აზრით კი არა, ეშმაკსაც წაუღია, ვინ არის იქ პასუხისმგებელი? რომელ უწყებას ემორჩილებიან? სჭრიან თუ არა ხე-ტყეს?

მუშაობენ თუ არა ქარხნები? და ბოლოს, რა ხელისუფლებაა იქ ან რა იქნება, სანამ იქამდე ჩავაღწევთ?

თქვენთვის მყუდრო ნავსაყუდელი მიკულიცინია, რომლის სახელის გამეორებაც ეგრერიგად გიყვართ. მაგრამ ვინ გითხრათ, ის მოხუცი მოურავი ცოცხალია და ძველებურად ვარიკინოშიაო? მერედა, რა ვიცით მასზე იმის გარდა, რომ პაპა ძლივსძლივობით წარმოთქვამდა ამ გვარს, რამაც იგი დაგვამახსოვრა?

თუმცა საკამათო რაღაა? თქვენ წასვლა გადაგიწყვეტიათ. მეც თქვენთანა ვარ. უნდა გავიგოთ, ახლა ეს როგორ კეთდება გადასადები აღარაფერია.

2

ამბის გასაგებად იური ანდრეევიჩი იაროსლავლის სადგურში წავიდა. წამსვლელთა ნიაღვარს დარბაზებში ჩარიგებული მოაჯირებიანი ბოგურებით აკავებდნენ, ქვის იატაკებზე კი რუხ მაზარებში გამოხვეული ხალხი ეყარა. გამუდმებით გვერდიდან გვერდზე ტრიალებდნენ, ახველებდნენ და იფურთხებოდნენ. როცა ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, შეუფერებლად ხმამაღლა ყვიროდნენ და მათი ხმები შენობის თაღებქვეშ გუგუნებდა.

მეტწილად ავადმყოფები იყვნენ, პარტახტიანი ტიფი ჰქონდათ გადა-

ტანილი. საავადმყოფოები ერთიანად იყვნენ გადატენილი და ავადმყოფებს კრიზისის გავლისთანავე, მეორე დღესვე ერეკებოდნენ. როგორც ექიმი, იური ანდრეევიჩიც არაერთხელ აღმოჩენილა ამგვარი აუცილებლობის წინაშე, მაგრამ არ იცოდა, ეს უბედურები ამდენნი თუ იყვნენ და თავშესაფრად სადგურებს იყენებდნენ.

– მივლინების ფურცელი უნდა იშოვოთ, – უთხრა თეთრწინსაფრიანმა მებარგულმა. – ყოველდღე უნდა შემოიაროთ. მატარებელი ახლა იშვიათი ხილია. კანტიკუნტად თუ გამოჩნდებიან, და თავისთავად იგულისხმება... (მებარგულმა ცერა თითი სალოკ და შუა თითებს გაუსვ-გამოუსვა)... რაც გინდა, ისა ჰქენი. არ მისცემ – ვერ წახვალ. ეს ხომ (ყანყრატოზე წკიპურტი მიიკრა)... ყოვლად წმინდა საქმეა.

3

იმ ხანებში ალექსანდრ ალექსანდროვიჩი რამდენიმე ერთჯერად კონსულტაციაზე მიიწვიეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, ხოლო იური ანდრეევიჩი – მძიმედ დაავადებულ მთავრობის წევრთან. ორივეს იმ დროისათვის საუკეთესო ფორმის გასამრჯელო მისცეს – იმხანად ახალდაწესებული პირველი დახურული გამნაწილებლის ორდერები.

იგი სიმონოვის მონასტერთან მდებარე საგარნიზონო საწყობებში იყო მოთავსებული. სიძე-სიმამრმა ერთმანეთში გამავალი ეკლესიის და კაზარმის ეზოები გადაკვეთა და ზღურბლის გარეშე, პირდაპირ მიწის პირას წამომართული ღრმა, თანდათანობით ძირ-ძირ წასული სარდაფის ქვის კამარის ქვეშ აღმოჩნდა. შენობის გაფართოებული ბოლო ნაწილი გარდიგარდმო ჩადგმული გრძელი დახლით იყო გადატიხრული. დახლთან მდგარი დინჯი მეკუჭნავე დროდადრო საქონლის გამოსატანად საწყობში შედიოდა, სურსათი გამოჰქონდა, ზედ ალაგებდა, მიმსვლელებს ურიგებდა და ფანქრის თამამი მოძრაობით შლიდა სიიდან გაცემული სანოვაგის სახელწოდებებს.

მიმღებები ცოტანი იყვნენ.

– მომეცით თქვენი ტარა, – უთხრა მეკუჭნავემ პროფესორს და ექიმს და მათი ზედნადებები სახელდახელოდ გადაათვალიერა. გაკვირვებისაგან ორივეს თვალები შუბლზე აუვიდათ, როცა გაშვერილი ყურთბალიშისა და უფრო მოზრდილი ბალიშის პირებში ფქვილი, ბურღული, მაკარონი და შაქარი ჩაუყარეს, ლორი, საპონი, ასანთი ჩაუტენეს და ამას გარდა თითოეულს ქაღალდში შეხვეული თითო ნიჭიერი ჩაუჩურთეს, რაც მერე, სახლში კავკასიური ყველი აღმოჩნდა.

თავიანთი უმადური წრიალით უსაშველოდ დიდსულოვან მეკუჭნავეს თვალში ეკლად რომ არ გასჩხეროდნენ, სიძე-სიმამრმა უამრავი წვრილ-წვრილი ფუთა-ბოხჩისაგან მხარზე გადასაკიდად სასწრაფოდ ორი დიდი მანდიკური ტომარა შეკრა.

სარდაფიდან ჰაერზე სიხარულით გაბრუებულნი ამოვიდნენ. სახუმარო საქმე ხომ არ იყო, თუკი ამქვეყნად ხალხი დადიოდა, მთლად მაჩანჩალობა აღარც იმათ ეთქმოდათ, სახლშიც ახალგაზრდა დიასახლისის, ტონიას შექებასა და მადლიერებას დაიმსახურებდნენ.

4

სანამ კაცები ერთი დაწესებულებიდან მეორეში დადიოდნენ და მივლინებისა თუ დასატოვებელი ოთახების შესანარჩუნებელ ფურცლებს ავსებდნენ, ანტონინა ალექსანდროვნა წასაღები ბარგის შერჩევით იყო გართული.

იგი შეწუხებული სახით დადიოდა იმ სამ ოთახში, ახლა გრომეკოების ოჯახის სახელზე რომ ირიცხებოდა, და უსასრულოდ სწონიდა ხელში ყოველ წვრილმანს, ვიდრე წასაღები ნივთების გროვაში გზად მიმავალთა პირად ბარგში ნივთების უმნიშვნელო ნაწილი იდებდა ბინას, დანარჩენი კი საცვლელ საშუალებათა თადარიგში მიდიოდა, რაც გზაში და ადგილზე ჩასვლისას იყო საჭირო.

გამოღებულ სარკმელში ახალჩაკბეჩილი ფრანგული ფუნთუშასავით სურნელოვანი სიო უბერავდა. ეზოში მამლების ყივილი და მოთამაშე ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმოდა. რაც უფრო მეტად ანიავებდნენ ოთახს, მით უფრო მეტად იგრძნობოდა ზანდუკებიდან ამოყრილ ძველმანებს ამოყოლილი ნაფტალინის სუნი.

იმის თაობაზე, თუ რა უნდა წაეღოთ და რა დაეტოვებინათ, ადრე გამგზავრებულთა მიერ შემუშავებული მთელი თეორია არსებობდა და ეს დაკვირვებანი იმათ დარჩენილ ნაცნობ-მეგობრებში ვრცელდებოდა. მოკლე-მოკლე, უდავო მითითებებად გამოკვეთილი ეს დარიგებები ისე მკვეთრად ჰქონდა ანტონინა ალექსანდროვნას თავში ჩაჭედილი, ეჩვენებოდა, ეზოდან ბეღურების ჟივჟივთან და აურზაურით მოთამაშე ბავშვების ხმაურთან ერთად ეყურებოდა, თითქოს ქუჩიდან რომელიღაც იდუმალი ხმა ჰკარნახობსო.

„ქსოვილები, ქსოვილები, – ჩააგონებდნენ ეს მოსაზრებები, – ყველაფერს ის აჯობებდა, ნაჭრებად წამეღო, მაგრამ გზაში ხალხს ჩხრეკენ და ეს საქმე სახიფათოა. უფრო გონივრულია შეკერილი ნივთების სახით იყოს. საერთოდ, ნაჭერი, ფართლეულია საჭირო, ტანსაცმელსაც არა უშავს, ოღონდ ზედა ტანისამოსი აჯობებს, არცთუ იმდენად ნაცვამი. რაც შეიძლება, ნაკლები ნაყარნუყარი უნდა იყოს, არავითარი მძიმე სათრევი. ხელი ხელთ უნდა გვქონდეს, ჩანთებს და ჩემოდნებს მოვერიდოთ. ასჯერ გაზომილსა და აწონილ მცირეოდენ ბარგს ისეთ ფუთებად შევკრავ, ქალიც და ბავშვიც მოერიოს. როგორც საქმემ გვიჩვენა, არც მარილი და თამბაქო იქნება ურიგო. თუმცა საამისოდ მნიშვნელოვანი რისკიცაა საჭირო, მაგრამ ფული კერენკებად უნდა წავიღოთ. ყველაზე ძნელი კი საბუთებია”. და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

5

გამგზავრების წინადღით ქარბუქი ამოვარდა. მობორიალე თოვლის

ფიფქების ნაცრისფერ ღრუბლებს ქარი ცისკენ ერეკებოდა, მერე ისინი თეთრ გრიგალებად ბრუნდებოდნენ დედამიწაზე, ჩაბნელებული ქუჩის სიღრმეში მიფრინავდნენ და არემარეს თეთრი ზეწრებივით ეფინებოდნენ.

ყველაფერი ჩაალაგეს. ოთახებისა და მათში დარჩენილი ავლადიდების მეთვალყურეობა კი ეგოროვნას მოსკოველ ნათესავებს, მოხუც ცოლ-ქმარს დაუბარეს. ისინი ანტონინა ალექსანდროვნამ გასულ ზამთარში გაიცნო, როცა ძველმანებს, ჭინჭებს და უსარგებლო ავეჯს მათი დახმარებით შეშაზე და კარტოფილზე ცვლიდა.

მარკელის ნდობა არ ეგებოდა. მართალია, მილიციაში, რომელიც პოლიტიკურ კლუბად აირჩია, არ უჩიოდა სახლის ყოფილ მფლობელ გრომეკოებს, ჩემს სისხლს სვამენო, მაგრამ ხელზე ძველ დროს იხვევდა, ადრინდელ წლებში უმეცრების წყვდიადში მამყოფებდნენ და მაიმუნებიდან ქვეყნის წარმოშობის ამბავს განგებ მიმალავდნენო.

ანტონინა ალექსანდროვნა ეგოროვნას ნათესავ ცოლ-ქმარს, ყოფილ ნოქარს და მის მეუღლეს, უკანასკნელად დაატარებდა ოთახებში, სათითაოდ უჩვენებდა, რომელ კარს რომელი გასაღები ერგებოდა და სად რა იყო ჩალაგებული, მათთან ერთად კარადების კარებს აღებდა და ხურავდა, უჯრებს წინ და უკან სწევდა, ყველაფერს უხსნიდა და ასწავლიდა.

მაგიდები და სკამები ოთახებში კედლებთან იყო მიდგმული, ფიანდაზები გვერდზე იყო გაწეული. ყველა ფანჯარას ფარდა ჩამოხსნეს.

უკაცრიელი ოთახების შიშველ ფანჯრებში ქარბუქი უფრო დაუბრკოლებლივ იხედებოდა, ვიდრე ზამთრის სიმყუდროვეში, და თითოეულ თავის წილ ფიქრებს უშლიდა: იური ანდრეევიჩს – ბავშვობას და დედის გარდაცვალებას, ანტონინა ალექსანდროვნას და ალექსანდრ ალექსანდროვიჩს – ანა ივანოვნას სიკვდილს და დაკრძალვას, ყველას ეჩვენებოდა, უკანასკნელი ღამეა ამ სახლში, მეტს ვეღარ ვიხილავთო. ყველანი მწარე ფიქრებს მისცემოდნენ, მაგრამ ერთმანეთისთვის გული რომ არ დაეწყვიტათ, გონების თვალით ყველანი ცალ-ცალკე გაჰყურებდნენ ამ

ჭერქვეშ ჩავლილ საკუთარ სიცოცხლეს და მოძალებულ ცრემლებს ებრძოდნენ.

ყოველივე ეს ანტონინა ალექსანდროვნას ხელს არ უშლიდა, გარეშეთა თვალში კეთილშობილურად სჭეროდა თავი, ყურადღებით უსმენდა იმ დედაკაცის გაუთავებელ საუბარს, რომელსაც სახლ-კარს აბარებდა. მის მიერ გაწეულ სამსახურსაც გადაჭარბებით აფასებდა. მადლიერების ნიშნად წარამარა ბოდიშს უხდიდა, მეორე ოთახში გადიოდა და იქიდან მისთვის ხან თავსაფარი გამოჰქონდა, ხან ზედატანი, ხან კი ჩითის ან შიფონის ნაჭერი. და ყველა ნაჭერი მუქი იყო, თეთრად კუბოკრული და დაწინწკლული, როგორც ის ჩაღამებული, თოვლით შესუდრული ქუჩა, გამოსათხოვარ საღამოს შემოძარცულ, უფარდო ფანჯრებში რომ იმზირებიდა.

6

სადგურში დილაადრიან მიდიოდნენ. სახლის მცხოვრებნი ჯერ არ აშლილიყვნენ. ყოველგვარ საერთო ღონისძიებათა მოთავე ზევოროტკინამ კარდაკარ დაურბინა მძინარე მობინადრეებს, ყველას სათითაოდ მიუკაკუნა და მიაძახა:

– მისმინეთ, ამხანაგებო! უნდა დავემშვიდობოთ! ცოცხლად, ცოცხლად! ყოფილი გარუმეკოვები მიდიან.

რაკი საპარადო შესასვლელი მთელი წლის განმავლობაში აფიცრული იყო, გამოსამშვიდობებლად წინკარში და უკანა კიბის პარმაღზე გამოვიდნენ. საფეხურებზე ამფითეატრის მაყურებლებივით გადმომდგარიყვნენ, თითქოს ჯგუფურ სურათს იღებენო.

მთქნარებამორეული, აბუზული მობინადრენი წელში იხრებოდნენ, მხრებზე შილიფად მოგდებული თხელ-თხელი პალტოები რომ არ ჩამოსცურებოდათ, და შეცივნულები თექის ფართო ჩექმებში წაყოფილ შიშველ ფეხებს ინაცვლებდნენ.

ამ უალკოჰოლო დროში მარკელი სადღაც უზომოდ გამტყვრალიყო, მოცელილივით ეკიდა მოაჯირს და სადაც იყო, ერთიანად გადმოანგრევდა. ძალისძალად იქაჩებოდა, გინდათ თუ არა, ბარგი სადგურში მე უნდა წაგიღოთო, სწყინდა, უარს რომ ეუბნებოდნენ. თავი რის ყოფით დააღწიეს.

ეზოში ჯერ კიდევ ბნელოდა. უქარო ამინდში გუშინდელზე ბარაქიანად ბარდნიდა. დიდრონი ფიფქები მძიმედ მოფარფატებდნენ და მიწის სიახლოვეს ერთხანს აყოვნებდნენ, თითქოს ყოყმანობენ, ძირს დავეშვათ თუ არაო.

შესახვევიდან არბატზე რომ გამოვიდნენ, ოდნავ ინათა. თოვლის ქათქათა ფარდა ქუჩას თავით ბოლომდე ეფინებოდა, მისი ფოჩებიანი კალთები შარიშურობდა, მიმავალთ ფეხებში ედებოდათ და ეჩვენებოდათ, კი არ მივდივართ, ერთ ადგილზე ვიტკეპნებითო.

ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. სივცეველ მოგზაურთ გზად არვინ შეხვედრიათ. მალე თოვლში ამოგანგლული, ერთიანად გათეთრებული ცარიელ ეტლიანი მეეტლე შემოხვდათ, რომლის ჯაგლაგიც ასევე თოვლს დაეფარა. ზღაპრული თანხის საფასურად, რაც იმ წლებში გროშად არ ღირდა, ბარგი დაუდეს, თავადაც ზედ დასხდნენ და გზას გაუდგნენ. იური ანდრეევიჩმა კი ფეხით სიარული ირჩია და ბარგისაგან ხელდაცლილი სადგურისაკენ მიმავალ ქუჩას მსუბუქი ნაბიჯებით გაუყვა.

7

სადგურში ანტონინა ალექსანდროვნა მამასთან ერთად უკვე ხის ბოგურებში გამოჭყლეტილ უსასრულო რიგში იკავებდა ადგილს. ჩასხდომა ახლა ბაქნებზე კი არა, მათგან კარგაძალ მანძილზე, ნახევარი ვერსის იქით, გასასვლელ შუქნიშანთან წარმოებდა, რადგან დებარკადერის გასასუფთავებლად მუშახელი არ ჰყოფნიდათ, სადგურის ტერიტორიის ნა-

ხევარი ყინულითა და უწმინდურობით იყო დაფარული და ორთქლმავლები აქამდე ვერ აღწევდნენ.

ნიუშა და შურიჩკა დედასთან და პაპასთან ხალხში არ ჩანდნენ. ისინი გარედან შემოსასვლელის უზარმაზარი ჩარდახის ქვეშ სეირნობდნენ და ვესტიბიულიდან დროგამოშვებით იხედებოდნენ, უფროსებთან მისვლის დრო ხომ არ არისო. ტიფის მკბენარისაგან დასაცავად კოჭებზე, მაჯებსა და კისრებზე ნავთი ჰქონდათ წასმული და მძაფრი სუნი უდიოდათ.

ქმრის დანახვაზე ანტონინა ალექსანდროვნამ ხელით ანიშნა, აქ ვართო, თანაც მიაძახა, სამივლინებო მანდატები ამა და ამ სალაროში უნდა დაამოწმოო, და ისიც იქით გაემართა.

– აბა მაჩვენე, როგორი ბეჭდები დაგისვეს, – ჰკითხა ქალმა დაბრუნებულ ქმარს. ექიმმა მესრის იქით დაკეცილი ქაღალდების დასტა გადააწოდა.

– ეგ სადელეგატო ვაგონის ლიტერია, – უთხრა ანტონინა ალექსანდროვნას უკან მდგომმა მეზობელმა, რომელმაც მოწმობებზე დასმულ შტამპს თვალი მოჰკრა. წინა მეზობელმა კი, რომელიც ალბათ იმ ფორმალისტი კანონის კაცების რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ქვეყნად ნებისმიერი გარემოების შესაფერისი წესები იციან, უფრო დაწვრილებით აუხსნა:

– ამ ბეჭდით უფლება გაქვთ მოითხოვოთ ადგილები რიგიან ანუ სამგზავრო ვაგონებში, თუ მატარებელს ასეთი რამ აღმოაჩნდება.

საუბარში გარშემო მყოფნიც ჩაერივნენ. აქეთ-იქიდან გაისმა: – წადი და ეძებე ახლა ეგ შენი რიგიანი ვაგონები. მეტისმეტი არ მოგივიდეს. ისეთი დროა, სატვირთოს ბუფერიც თუ შეგხვდა, უფალს მადლობა უნდა შესწირო.

– ყური არ უგდოთ, მივლინებულო, აქეთ მომხედეთ და ყველაფერს აგიხსნით, საგანგებო მატარებლები ახლა გაუქმებულია და ყველაფერი ერთადაა მოქცეული. ერთი და იგივე შემადგენლობაში სამხედროებიც

არიან, პატიმრებიც, საქონელიც და ხალხიც. ენას ჭალი არ მოედება, რა გინდა, არ თქვას ადამიანმა. კაცს რატომ აბნევთ, ისე აუხსენით, ყველაფერი გაიგოს.

– შენც აუხსენი რაღა! ვერ უყურებთ, რა ჭკვიანია. სადელეგატო ვაგონის ლიტერის ქონა მხოლოდ საქმის ნახევარია. ჯერ კარგად შეხედე და მერე ილაპარაკე. განა ასე კარგად ჩაცმულ-დახურულ ხალხს სადელეგატოში ჩაეჯდომება? სადელეგატო ჩვენი ჯიგრების ადგილია. მეზღვაურს თვალი მახვილი აქვს, თანაც ზედ ნაგანი ჰკიდია. შეხედავს თუ არა, წამსვე მიხვდება – მქონებელთა კლასია და მით უფრო – ექიმი, ყოფილი ბატონებიდან. ის მეზღვაური ნაგანს დააძრობს, ბუხ! და ბუზივით მიაკლავს, მაშა!

ვინ იცის, ექიმისა და მისი ოჯახის სიბრალული სად მიიყვანდათ, მდგომარეობა თვალდათვალ რომ არ შეცვლილიყო.

დიდი ხანი იყო, რაც ბრბო სადგურის ფართო ფანჯრების სქელი, სასარკე მინებიდან შორს იყურებოდა. დებარკადერის გრძელი, შორს გაჭიმული საფარი რკინიგზაზე ხვავრიელი თოვის სანახაობას კიდევ უფრო შორეულს ხდიდა. ამ სიშორეზე ისე მოჩანდა, თითქოს ფიფქები უძრავად დგანან ჰაერში და თევზების საკვებად წყალში ჩაყრილი პურის ნამცეცებივით გაცრეცილ სივრცეში ნელ-ნელა იძირებიანო.

კარგა ხანი იყო, ამ სიღრმეში ვიღაც-ვიღაცეები ჯგუფ-ჯგუფად თუ ცალ-ცალკე მიემართებოდნენ. ვიდრე მცირე ჯგუფებად მიდიოდნენ, თოვლის მოცახცახე ბადის იქით ბუნდოვნად მოფუსფუსე ლანდები განძელებზე სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მოარული რკინიგზელები ეგონათ. მაგრამ აი, ერთიანად იხუვლეს. სიღრმეში, საითაც მიდიოდნენ, ორთქლმავლის კვამლი გამოჩნდა.

– კარი გააღეთ, თქვე თაღლითებო! – აბღავლდა რიგი. ბრბო შეიძრა და კარებს მიაწყდა. უკანები წინებს მიაწვნენ.

– ხედავ, რა ხდება! აქ ხალხს კარები გამოუკეტეს, იქ კი შემოვლით ურიგოდ მიდიან! ვაგონებს ჭერამდე გამოტენიან, ჩვენ კი აქ ცხვრებივით

უნდა ვიდგეთ! კარი გაგვიღეთ, თქვე არამზადებო, თორემ შემოვამტვრევთ! აბა, ბიჭებო, ერთი ლაზათიანად მივაწვეთ!

– ვისი შეშურდათ ამ სულელებს, – გაიძახოდა ყოვლისმცოდნე კანონის კაცი. – ეგენი პეტროგრადიდან წამოუსხამთ შრომით ბეგარაზე. ერთი პირობა ჩრდილოეთის ფრონტზე დაათრევდნენ, ვოლოგდაში, ახლა კი აღმოსავლეთის ფრონტზე მიერეკებიან, ძალისძალად, ბადრაგით, სანგრების სათხრელად.

8

სამი დღე იარეს და მოსკოვს მაინცდამაინც შორს არ გასცილებიან. ირგვლივ ზამთრის სურათი იყო: ლიანდაგები, მინდვრები, ტყეები, სოფლური სახურავები – ყველაფერი თოვლს ჩაეჩუმქრა.

ჟივაგოს ოჯახს გაუმართლა – ყველანი ერთად მოეწყვნენ წინა ზედა საწოლების მარცხენა კუთხეში, ზედ ჭერთან გამოჭრილ მქრქალ, მოგრძო სარკმელთან.

ანტონინა ალექსანდროვნა საბარგო მატარებლით პირველად მგზავრობდა. მოსკოვში ჩასხდომისას იური ანდრეევიჩმა ქალები ხელით ასვა ვაგონის იატაკის სიმაღლეზე, რომლის კიდეზე მძიმე გასაწევი კარი მიდი-მოდიოდა. მერე ქალები თვითონ მილაგ-მოლაგდნენ თბილანა ვაგონში.

თავდაპირველად ის ვაგონები ანტონინა ალექსანდროვნას ბორბლებზე შედგმულ ბოსლებად მოეჩვენა. ეს ხუხულები, მისი აზრით, პირველივე შერყევაზე უნდა დაშლილიყვნენ, მაგრამ აი, უკვე მესამე დღე იყო, წინ და უკან ინჯღრეოდნენ, მოსახვევებში გვერდზე იზნიქებოდნენ, მესამე დღე იყო, იატაკქვეშ ბორბლების ღერძები ხშირ-ხშირად ბრახუნობდნენ, როგორც დასაქოქი სათამაშო დოლი, მგზავრობა კი მშვიდობიანად გრძელდებოდა, ანტონინა ალექსანდროვნას ეჭვები არ მართლდებოდა.

მოკლე-მოკლე ბაქნებიანი სადგურების გასწვრივ ოცდასამ ვაგონიანი

გრძელი ეშელონი (ჟივაგოები მეთოთხმეტეში ისხდნენ) მხოლოდ ერთი ნაწილით – თავით, ბოლოთი ან შუა ნაწილით ჩერდებოდა.

წინა ვაგონები სამხედროებს ეჭირათ, შუანებში თავისუფალი საზოგადოება ისხდა, უკანებში კი – შრომით ბეგარაზე მობილიზებული ხალხი, ამ სახის მგზავრები ხუთას კაცამდე იყვნენ, სხვადასხვა ასაკის, ნაირნაირი წოდებისა და ხელობის ადამიანები.

ამგვარი ჭრელაჭრულა ხალხით გამოტენილი რვა ვაგონი უჩვეულო სანახავი იყო. კარგად ჩაცმული მდიდრების, პეტერბურგის ბირჟების მესვეურებისა და ადვოკატების გვერდით მჩაგვრელ კლასებს მიკუთვნებულ თავზეხელაღებულ მეეტლეებს, იატაკის მრეცხავებს, მექისეებს, მეძველმანე თათრებს, გაუქმებული ყვითელი სახლებიდან გამოქცეულ შეშლილებს, ქუჩის მოვაჭრეებს და ბერებსაც შეხვდებოდით.

პირველნი წითლად გავარვარებული ღუმელების გარშემო, ყირაზე დადგმულ მოკლე ნამორებზე ისხდნენ, პიჯაკები გაეძროთ, რიგ-რიგობით რაღაც-რაღაცეებს ჰყვებოდნენ და ხმამაღლა ხარხარებდნენ. ეტყობოდათ, არც ისეთი დაკარგულები იყვნენ და იხტიბარს არ იტეხდნენ.

მათ გამოსახსნელად შინ გავლენიანი ნათესავები დაჩალიჩობდნენ. უკიდურეს შემთხვევაში გზაში თავის გამოსყიდვა არ გაუჭირდებოდათ, მეორეებს ჩექმები, ჩახსნილი ხიფთანები ან შარვლებს ზემოთ გრძელი, ქამარშეხსნილი პერანგები ეცვათ და ფეხშიშველნი, წვერიანნი და უწვერულნი დახუთული თბილანა ვაგონების გვერდზე გაწეულ კარებთან იდგნენ, წირთხლებისათვის ან გარდიგარდმო მიმაგრებული კადონებისათვის ჩაევლოთ ხელი, გზის გასწვრივ სანახებს და მათ მცხოვრებთ პირქუშად გაჰყურებდნენ და კრინტს არა სძრავდნენ. მთელ ქვეყანაზე პატრონი და მოსარჩლე არავინ ჰყავდათ და არც არავისი იმედი ჰქონდათ.

საგანგებოდ გამოყოფილ ვაგონებში ყველანი ვერ ეტეოდნენ და მათი ნაწილი შუა ვაგონებში, თავისუფალ ხალხში მოათავსეს. ამგვარი მგზავრები მეთოთხმეტე ვაგონშიც იყვნენ.

9

ჩვეულებრივ, როცა მატარებელი რომელიმე სადგურს უახლოვდებოდა, ზედა საწოლზე მწოლი ანტონინა ალექსანდროვნა დაბალი, ზედ თავზე ჩამომხობილი ჭერის გამო, წელში გამართვის საშუალებას რომ არ აძლევდა, უხერხულად წამოიწეოდა, ფიცარნაგიდან თავს დაბლა ჩამოჰკიდებდა და ოდნავ გაწეული კარის ღიობიდან განსაზღვრავდა, იყო თუ არა ესა თუ ის ადგილი აღებ-მიცემობისათვის სარფიანი, ღირდა თუ არა დაბლა ჩამოსვლა და გარეთ გასვლა.

ახლაც ასე იყო. მატარებელმა სვლას უკლო და ისიც ბურანიდან გამოფხიზლდა. გადასაყვანი ისრების სიმრავლე, რომლებზეც თბილანა ვაგონი მოხშირებული კაკუნით გადადიოდა, სადგურის მნიშვნელობასა და მოსალოდნელი გაჩერების ხანგრძლივობაზე მეტყველებდა.

წელში მოხრილი ანტონინა ალექსანდროვნა წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა, თმები გაისწორა, ათასნაირი რამე-რუმეებით გამოტენილ ტომარაში ხელი ჩაჰყო, ძირამდე ურია და მამლებით, რკალებითა და ბორბლებით ამოქარგული პირსახოცი ამოაძვრინა.

ამასობაში ექიმმაც გაიღვიძა, ფიცარნაგიდან ძირს ჩამოხტა და ცოლს იატაკზე ჩამოსვლაში მიეხმარა.

ვაგონის გამოღებულ ფანჯარაში ჯიხურების და ფარნების კვალდაკვალ უკვე მიცურავდნენ თოვლით დამძიმებული სადგურის ხეები, რომლებიც შემხვედრ მატარებელს დახუნძლულ ტოტებს პურმარილივით სთავაზობდნენ. ბაქნის ჯერ კიდევ გაუკვალავ თოვლში გაქანებული მატარებლიდან პირველნი ხტებოდნენ მატროსები და სადგურის შენობის კუთხეში გარბოდნენ, სადაც, როგორც წესი, გვერდით კედელს შეფარებული, აკრძალული ნუგბარებით მოვაჭრე ქალები იმალებოდნენ.

მეზღვაურების შავი სამოსი, მრგვალი ქუდების აფრიალებული ლენტები და ტოტებგანიერი შარვლები მათ ნაბიჯს რიხს და ფახს ჰმატებდა

და გარშემო მყოფთ აიძულებდა, მათთვის გზა ეტიათ, როგორც გამოქანებულ მოთხილამურეებს ან მთელი ისწრაფით მქროლავ მოციგურავეებს ერიდებიან ხოლმე.

სადგურის უკან მახლობელი სოფლებიდან ჩამოსული დაწალიკებული გლეხის ქალები იდგნენ, ერთმანეთს ეფარებოდნენ და ისე ღელავდნენ, გეგონებოდათ, სულგანაბულნი მკითხავის წინასწარმეტყველებას ისმენენო. ხელში კიტრის მწნილი, ხაჭო, მოხარშული ძროხის ხორცი და ამგვარ ყინვაში დალიანდაგებულ სათბუნებელში თბილად შენახული ჭვავის კოკორები ეჭირათ. მოკლე ჯუბებში თავშალჩატანებულ დედაკაცებსა და გოგოებს მატროსების უხიაკ ხუმრობებზე ღაწვები ყაყაჩოებივით უწითლდებოდათ, თანაც ცეცხლზე მეტად უფრთხოდნენ, რადგან სპეკულაციასთან და აკრძალულ თავისუფალ ვაჭრობასთან მებრძოლ რაზმებს სწორედ მატროსებისაგან აყალიბებდნენ.

გლეხის ქალების შეცბუნება დიდხანს როდი გრძელდებოდა. მატარებელი ჩერდებოდა. დანარჩენი მგზავრებიც მოდიოდნენ. ხალხი ერთმანეთში ირეოდა და ხურდებოდა ვაჭრობა.

ანტონინა ალექსანდროვნას პირსახოცი მხარზე გადაეფინა და მოვაჭრეთა რიგებში ისე დადიოდა, თითქოს სადგურის უკანა მხარეს თოვლით პირის დაბანას აპირებსო. რიგებიდან რამდენჯერმე დაუძახეს: – შენ ეი, ქალაქელო, მაგ ჭრელ ტილოში რამდენს ითხოვ?

მაგრამ ანტონინა ალექსანდროვნა არ ჩერდებოდა და ქმართან ერთად გზას განაგრძობდა.

რიგის ბოლოში ალისფერ ზოლიან შავ თავსაფრიანი ქალი იდგა. მან მოქარგული პირსახოცი შეამჩნია და კადნიერი თვალები აენთო. მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, საფრთხე არსაიდან მემუქრებაო, ანტონინა ალექსანდროვნას ჯიქურ მიეჭრა, თავის საქონელს ნაჭერი გადახადა და სხაპასხუპით მიაყარა:

– იცი რა გითხრა? განა თუ ასეთი რამე გინახავს? არ მოგწონს განა?

ამასა ბევრი ფიქრი არ უნდა, თორემ ხელიდან გამომტაცებენ და დამრჩები ხახამშრალა. აჰა, გამიცვალე ეგ თავშალი ამ ნახმარშია.

ანტონინა ალექსანდროვნამ ბოლო სიტყვის მნიშვნელობა ვერ გაიგო. ნეტა რომელი თავშალი უნდაო, გაიფიქრა და კითხვა შეუბრუნა:

– რაო, რა გნებავთ, გენაცვალე?

თურმე გლეხის ქალი „ნახმარს" ნახევარ, თავიდან კუდამდე ორად გადაჭრილ შემწვარ კურდღელს ეძახდა, რომელიც ახლა ხელში ეჭირა თხოვნა გაუმეორა:

– მომე-მეთქი, ეგ პირსახოცი ამ ნახმარში გამიცვალე. რაღას მიყურებ? ვისი არის და ძაღლისა ხომ არ იქნება? კურდღელია ესა, კურდღელი.

გარიგება შედგა. თითოეულ მხარეს ეჩვენებოდა, მოგებაში ვარ, მოვატყუეო. ანტონინა ალექსანდროვნას რცხვენოდა, საცოდავი გლეხის ქალი ეგრე უსინდისოდ რომ გააცურა. ის კი სიხარულით იყო ატაცებული, იფიქრა, ემანდ არ გადაიფიქროს, სჯობია აქაურობას გავეცალოო, ხელდაცლილ მეზობლის ქალს გასძახა და მასთან ერთად შინისკენ მიმავალ, თოვლში გატკეპნილ, შორს გატყორცნილ ბილიკს მიაშურა.

ამასობაში ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. სადღაც დედაბერმა იყვირა: – საით, კავალერო? ფული? როდის მომეცი, შე უნამუსო? უხ, შე გაუმაძღარო ღორო, შენა! ამას უყვირიან და თითქოს არც კი ესმის, უკანაც არ იხედება. შესდექ, გეუბნები, შესდექ, ბატონო ამხანაგო! ხალხო, მიშველეთ! ყაჩაღობენ! გამძარცვეს! აგე, აგე, დაიჭი, არ გაუშვა! – რომელზე ამბობ?

– აგე ისა, თავგასიებული, რო იღრიჭება კიდეცა.

– ისა, იდაყვგამოგლეჯილი?

– ეგ არის, ეგა, დაიჭი ეგ ყურუმსაღი.

– სახელოზე საკერებელი რო ადევს, ისა?

– ეგ არის-მეთქი, ეგა. მიშველეთ ხალხო, დამაყაჩაღეს!

– რა მოხდა, რა ამბავია?

– დედაბერს ღვეზელი და რძე შეუთქვლიფა, მუცელი ამოიყორა და დაითესა. აგე, ტირის, თავს იკლავს.

– ამ საქმის ეგრე დატოვება არ იქნება. უნდა დაიჭიროთ.

– წადი და დაიჭირე. ვერ უყურებ, პატრონტაშებითაა აჯაგრული? დაჭერას მოგცემს, ისე დაგიჭიროს, რომა!

10

მეთოთხმეტე თბილანა ვაგონში შრომით არმიაში გაწვეული რამდენიმე მგზავრი იჯდა, რომელთაც მებადრაგე ვორონიუკი სდარაჯობდა. მათ შორის განსაკუთრებით სამნი გამოირჩეოდნენ. ესენი იყვნენ პეტროგრადის ღვინის სახელმწიფო დუქნის მოლარე პროხორ პრიტულევი, ანუ როგორც ვაგონში ეძახდნენ, კასტერი; რკინა-კავეულის მედუქნის შეგირდი, თექვსმეტი წლის ვასია ბრიკინი და ჭაღარა რევოლუციონერ-კოოპერატორი კოსტოედ-ამურსკი, რომელმაც ძველ დროში ყველა კატორღა მოიარა და ახალ დროშიც მათი შემოვლა თავიდან დაიწყო.

მანამდე ერთიმეორე თვალით არ ენახათ, აქა-იქ ჰაიჰარად იყვნენ წაბაწრულნი და ერთმანეთი მხოლოდ გზაში გაიცნეს. ვაგონში გამართული საუბრებიდან გამოირკვა, რომ მოლარე პრიტულევი და მედუქნის შეგირდი ვასია ბრიკინი ერთი კუთხიდან, ვიატკიდან იყვნენ, სწორედ იმ ადგილებიდან, რომლებიც მატარებელს ცოტა ხნის შემდეგ უნდა გაევლო.

ქალაქ მალმიჟის მეშჩანი პრიტულევი ჩაფსკვნილი, მოკლედ შეკრეჭილი, ჩოფურა, უშნო შესახედაობის კაცი იყო. ნაცრისფერი, იღლიებში ოფლისაგან ჩაშავებული კიტელი ტანზე ისე ჰქონდა შემოტმასნილი, როგორც ქალის ხორციან მკერდზე შემოჭერილი სარაფანის წანაკერი. იგი მეტისმეტად სიტყვაძვირი იყო, საათობით რაღაცაზე ფიქრობდა, ჭორფლიან მკლავებზე მეჭეჭებს იჩიჩქნიდა და სანამ არ დაიჩირქებდა, თავს არ ანებებდა.

ერთი წლის წინათ როგორღაც ნევის პროსპექტზე მიდიოდა. ლიტეინის ქუჩის კუთხეში ალყაში მოხვდა. საბუთები მოსთხოვეს. იგი მეოთხე კატეგორიის სასურსათო ბარათის მფლობელი აღმოჩნდა, რომელიც არაშრომითი ელემენტებისათვის იყო გათვალისწინებული და რომელზეც არასოდეს არაფერს იძლეოდნენ. ამის გამო შეიპყრეს და ამავე საფუძველზე ქუჩაში დაკავებული მრავალი მოქალაქის მსგავსად ყარაულის თანხლებით ყაზარმებში უკრეს თავი. ამგვარი წესით შეკრებილ პარტიას, ადრე შედგენილის მსგავსად, რომელიც სანგრების სათხრელად არხანგელსკის ფრონტზე იყო გაგზავნილი, თავდაპირველად ვოლოგდაში უპირებდნენ განწესებას, მაგრამ შუა გზიდან დააბრუნეს და მოსკოვის გავლით აღმოსავლეთის ფრონტზე გაამწესეს.

პრიტულევს ცოლი ჰყავდა ლუგაში, სადაც ომის წინა წლებში, პეტერბურგში სამსახურამდე მუშაობდა. ქმრის ავბედობის ამბავი შეიტყო თუ არა, ცოლმა მის საძებრად და შრომითი არმიიდან დასახსნელად ვოლოგდას მიაშურა. მაგრამ გზაში ერთმანეთს ასცდნენ. მთელი შრომა ქალს წყალში ჩაეყარა. ყველაფერი ერთმანეთში აირია.

პეტერბურგში პრიტულევი თავის საყვარელთან, პელაგია ნილოვნა ტიაგუნოვასთან ცხოვრობდა. ნევის პროსპექტის გზაჯვარედინზეც სწორედ მაშინ გააჩერეს, როცა ქალს კუთხეში ემშვიდობებოდა და საქმეზე ქალაქის მეორე მხარეს აპირებდა წასვლას. ლიტეინის ქუჩაზე მიმავალთა შორის ხედავდა მის ზურგს, რომელიც მალე გაუჩინარდა. ეს ტაიგუნოვა ახოვანი, ტანსრული, ლამაზხელებიანი ქალი იყო. ისე ამოიოხრებდა, გულსაც თან ამოაყოლებდა ხოლმე და მსხვილ ნაწნავს ხან ერთი მხრიდან გადმოიგდებდა მკერდზე და ხან მეორიდან. პრიტულევს იგი ეშელონში თავისი ნებით გამოჰყვა.

საოცარი იყო, რით იზიდავდა ქალებს ისეთი კერპი, როგორიც პრიტულევი იყო. ტიაგუნოვას გარდა ეშელონის მეორე თბილანა ვაგონში, ორთქლმავალთან რამდენიმე ვაგონით ახლოს, არავინ იცოდა, როგორ

გაჩნდა პრიტულევის მეორე ნაცნობი, ქერათმიანი, კაფანდარა გოგო ოგრიზკოვა, რომელსაც ამრეზილი ტიაგუნოვა „ნესტოს", „საშხეფს" და კიდევ სხვა მრავალ შეურაცხმყოფელ მეტსახელს ეძახდა.

რაყიფები დანასისხლად იყვნენ გადაკიდებულნი და ერთმანეთს სათოფეზე არ ეკარებოდნენ. ოგრიზკოვა თბილანაში არასოდეს ჩანდა. გამოცანად რჩებოდა, როგორ ახერხებდა თავისი კერპის მონახულებას. ვინ იცის, ეგებ მისი მზერით მაშინ ტკბებოდა, როცა მგზავრები ერთიანი ძალით ტვირთავდნენ მატარებელს შეშით და ქვანახშირით.

11

ვასიას ამბავი სულ სხვა იყო. მამა ომში მოუკლეს. დედამ სასწავლებლად სოფლიდან ბიძასთან გაგზავნა პიტერში.

ზამთარში ბიძამისი, აპრაქსინის რიგის რკინა-კავეულის დუქნის მეპატრონე, ახსნა-განმარტებისათვის საბჭოში გამოიძახეს. საუბედუროდ, ოთახი შეეშალა და უწყებაში მითითებულის ნაცვლად მეზობელი ოთახის კარი შეაღო. შემთხვევით, ის ოთახი შრომითი ბეგარის კომისიისა აღმოჩნდა. შიგ ხალხი ირეოდა. როცა ამ განყოფილებაში გამოძახებული ხალხი საკმარისად დაგროვდა, მოვიდნენ წითელარმიელები, შეკრებილთ ალყა შემოარტყეს და ღამის გასათევად სემიონოვის ყაზარმებში გაირეკეს, დილით კი ვოლოგდის მატარებელში ჩასასხდომად სადგურში წაასხეს. ამოდენა ხალხის დაკავების ამბავი მალე მთელ ქალაქს მოედო. მეორე დღეს ნათესავებთან გამოსამშვიდობებლად ხალხი სადგურს მოაწყდა. ბიძის გასაცილებლად ვასია და ბიცოლაც იქ მივიდნენ. სადგურში ბიძამისმა ყარაულს ხვეწნა დაუწყო, ერთი წუთით ღობი გარეთ ცოლთან გამიშვიო. ამჟამად მეთოთხმეტე ვაგონის ჯგუფს რომ აცილებდა, მაშინ ყარაულად სწორედ ის ვორონიუკი იყო. ნაღდი თავდების გარეშე ვორონიუკი ბიძის გაშვებაზე უარზე იდგა. ასეთ თავდებად ბიძამ და ბიცოლამ

ნათესავი დაუტოვეს. ვორონიუკი დათანხმდა. ვასია მესერს შიგნით შეუშვეს, ბიძა კი იქიდან გაიყვანეს. მას შემდეგ აღარც ბიძის კვალი უნახავს ვისმე და აღარც ბიცოლისა.

როცა სიყალბე გამომჟღავნდა, ვასია, რომელსაც იმათ თაღლითობაში მანამდე ეჭვიც არ შეჰპარვოდა, ატირდა. ვორონიუკს ფეხებში ჩაუვარდა, ხელებზე ჰკოცნიდა და ეხვეწებოდა, აქედან გამიშვიო, მაგრამ ვეღარაფერმა უშველა. მებადრაგეს ულმობელი სისასტიკით ვერავინ შეედრებოდა. დრო იყო სახიფათო, წესები – მკაცრი. მებადრაგე საკუთარი თავით აგებდა პასუხს ჩაბარებულთა რაოდენობაზე, რასაც გათვლით ადგენდნენ. ასე მოხვდა ვასია შრომით არმიაში.

კოოპერატორ კოსტოედ-ამურსკის, რომელსაც მეფის დროინდელი და ახლანდელი მთავრობების ყველა ციხის ზედამხედველი პატივით ეპყრობოდა და უსიტყვოდ უგებდა, არაერთხელ მიუმართავს ბადრაგის უფროსისათვის და ვასიას შეუწყნარებელ მდგომარეობაზე მიუთითებია, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. იგი აღიარებდა, აღმაშფოთებელი გაუგებრობაა, მაგრამ იქვე უმატებდა, საქმის ფორმალური მხარე ნებას არ მაძლევს ეს საკითხი გზაში გადავჭრა, ადგილზე ჩავალთ და ყოველივეს იქ გავარკვევო.

ვასია კოხტა ბიჭი იყო. სახის სწორი ნაკვთები ჰქონდა, სწორედ ისეთი, სამეფო რინდებს[74] და ღვთიურ ანგელოზებს რომ ხატავენ. უბადლოდ ალალი და შეურყვნელი ყმაწვილი გახლდათ. ყველაზე მეტად ის იტაცებდა, იატაკზე უფროსების ფეხებთან რომ დაჯდებოდა, მუხლებზე ერთმანეთზე გადაჭდობილ ხელებს შემოიჭერდა, თავს უკან გადააგდებდა და მათ ნაუბარს ხარბად ისმენდა. ასეთ დროს მისი სახის კუნთების მოძრაობით, რომელთა მეოხებითაც თვალებზე მომდგარ ცრემლს იკავებდა ან სულისშემხუთველ ხარხარს ებრძოდა, მთელი მონათხრობის აღდგენა შეიძლებოდა. საუბრის საგანი მგრძნობიარე ბიჭის სახეზე სარკესავით

[74] „რინდა" ძველ რუსეთში საჭურველთმტვირთველს, პირად მცველს ნიშნავდა.

ირეკლებოდა.

12

კოოპერატორი კოსტოედი ჟივაგოებთან სტუმრად იყო ზედა ბაქანზე და მირთმეული კურდღლის ბეჭს წრუპუნით ხრავდა. ორპირი ქარის და გაციებისა ეშინოდა. – „როგორ უბერავს! საიდანაა?" – წარამარა კითხულობდა, მყუდრო კუნჭულს ეძებდა და ადგილს ინაცვლებდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოეწყო ისე, რომ აღარ უბერავდა და შვებით ამოისუნთქა. „ახლა არა უშავსო", – ამოიხვნეშა, ბეჭის ღრღნას მორჩა, თითები გაილოკა, ცხვირსახოცით გაიწმინდა, მასპინძლებს მადლობა უთხრა და განაცხადა:

– ფანჯრიდან უბერავს. უნდა ამოიქოლოს. თუმცა კამათის საგანს დავუბრუნდეთ. თქვენ მართალი არ ხართ, ექიმო. შემწვარი კურდღელი დიდებული რამეა. მაგრამ აქედან იმის დასკვნა, რომ სოფელში კეთილდღეობააო, ეს, მაპატიეთ, სხვა არა იყოს რა, მეტისმეტია, ეს ნახტომი ერთობ სარისკოა.

– აჰ, თავი დამანებეთ, თუ ღმერთი გწამთ – თავისას არ იშლიდა იური ანდრეევიჩი. – შეხედეთ ერთი ამ სადგურებს. ხეები არ დაუჭრიათ. ღობეები მთელია. ბაზრებზე რაღას იტყვით? ახლა ეს სოფლელი დედაკაცები! აბა დაფიქრდით, რა სიამოვნებაა! სადღაც ცხოვრობენ. ვიღაცას უხარია. ყველანი არ კვნესიან. ამით ყველაფერი გამართლებულია.

– ეგრე რომ ყოფილიყო, რა უჭირდა. მაგრამ ეგ ხომ სწორი არ არის. საიდან აიღეთ ეს ყველაფერი? აბა, ერთი ასიოდე ვერსი გაიარეთ რკინიგზის იქით! ყველგან გაუთავებელი გლეხთა აჯანყებებია. ვის წინააღმდეგო, მკითხავთ. თეთრებისა და წითლების წინააღმდეგ, გააჩნია, ფეხს ვისი ხელისუფლება მოიკიდებს. მეტყვით, აჰა, გლეხკაცი ყოველგვარი წესრიგის მტერია, თავად არ იცის, რა უნდაო. მომიტევეთ, ნიშნის მოგება ჯერ ადრეა. მან ეს თქვენზე უკეთ იცის, მაგრამ სულ სხვა რამ უნდა, ვიდრე მე

და თქვენ.

როდესაც რევოლუციამ გამოაღვიძა, გადაწყვიტა, ეგ იყო და მისი საქმე, მართლდებოდა მისი საუკუნოვანი სიზმარი კერძო მეურნედ ცხოვრების, საკუთარი ხელით შრომაზე დამყარებული ანარქიული ხუტორული არსებობის შესახებ, ნებისმიერი კაცის წინაშე ყოველგვარი დამოკიდებულებისა და მოვალეობის გარეშე. ის კი ძველი, დამხობილი სახელმწიფოს მარწუხებიდან ახალი, რევოლუციური ზესახელმწიფოს კიდევ უფრო მძიმე უღელქვეშ აღმოჩნდა. და აი, სოფელი ღობე-ყორეს აწყდება, საშველი კი ვერსად უპოვია, თქვენ კი გაიძახით, გლეხობა თავს მშვენივრად გრძნობსო თქვენ ჩემო ძმაო, არაფერი გცოდნიათ და როგორც ვხედავ, არც არაფრის ცოდნა გწადიათ.

– რა მოგახსენოთ, მართლაც არ მინდა. სწორედ რომ ეგრეა. ეჰ, თავი დამანებეთ, თუ ხათრი გაქვთ. რაში მჭირდება ყველაფრის ცოდნა და ყველაფერზე თავის გამოდება? დრო ჩემს სურვილებს აინუნშიც არ აგდებს, რაც თვითონ უნდა, იმას მაჩეჩებს. ნება მიბოძეთ, არც მე გავუწიო ფაქტებს ანგარიში. მეუბნებით, რომ ჩემი სიტყვები სინამდვილეს არ შეეფერება. მაგრამ არის კი ახლა რუსეთში სინამდვილე?

მგონი ისე დააშინეს, რომ იგი იმალება. მინდა ვირწმუნო, რომ სოფელმა მოიგო და იფურჩქნება. მაგრამ თუ ესეც მცდარი აზრია, მაშინ რაღა ვქნა? რითი ვიცხოვრო, ვის მოვუსმინო? მე კი ცხოვრება მინდა, ოჯახის კაცი ვარ.

იური ანდრეევიჩმა ხელი ჩაიქნია, კოსტოედთან კამათის დასრულება ალექსანდრ ალექსანდროვიჩს მიანება, ფიცარნაგის კუთხეში გაჩოჩდა, თავდაღმა დაეკიდა და დაუწყო თვალიერება, ქვევით რა ხდებოდა. იქ პრიტულევს, ვორონიუკს, ტიაგუნოვას და ვასიას საერთო საუბარი გაემართათ. მშობლიურ ადგილებთან მიახლოების გამო პრიტულევი იხსენებდა, როგორ მიმოდიოდნენ ადრე, რომელ სადგურამდე მგზავრობდნენ მატარებლით, სად ჩადიოდნენ, როგორ აგრძელებდნენ გზას, ფეხით თუ

ცხენებით, ვასია კი ნაცნობი სოფლების ხსენებისას ცქმუტავდა, თვალები უციმციმებდა და მათ სახელებს აღფრთოვანებით იმეორებდა, რადგან მათი ჩამოთვლა ჯადოსნურ ზღაპრად ეჩვენებოდა.

– მშრალ ფონზე ჩადიხართ, ხომ? – ეკითხებოდა და გული გამალებით უცემდა. – ვიცი, როგორ არა! ეგ ხომ ჩვენი გზის გასაყარია! ჩვენი სადგურია! მერე კი, მგონი, ბუისკოესკენ უხვევთ, ასე არ არის? – მერე – ბუისკის თემშარით.

– მაგას არ ვამბობ? – ბუისკის შარაგზით. სოფელი ბუისკოე, როგორ არ ვიცი! ჩვენი გადასახვევია. იქიდან ჩვენი გზა სულ მარჯვნივ და მარჯვნივ მიდის. ვერეტენნიკისკენ. თქვენკენ კი, ძია ხარიტონიჩ, მარცხნივ უნდა იაროს კაცმა, არა? მდინარის ავლით. მდინარე პელგა ხომ გსმენიათ? მაშა, მაშა! ჩვენი მდინარეა. ჰო, ჩვენკენ ჩამოდის, ნაპირითაა მოქცეული და სწორედ ამ მდინარეზე, მდინარე პელგაზე, ზევით, ჩვენი ვერეტენნიკია, ჩვენი სოფელი! ზედ ხრამის პირას! ცი-ი-ი-ცაბო ნაპირია! ჩვენებურად – ქარაფი. ზედ გადაადგები და ქვევით ჩახედვის გეშინია, ისეთი ფრიალოა, ემანდ არ გადავვარდეო. ღმერთმანი, მართალს გეუბნები. ქვასა ჭრიან იქა. ჟერნოვას ეძახიან. იმ ვერეტენნიკში ჩემი დედილოა. და ორიც და. დაიკო ალიონკა. და დაიკო არიშკა ჩემი დედილო, დეიდა პალაშა, პელაგია ნილოვნა, ასე გითხრათ, თქვენსავით ახალგაზრდაა, ქერათმიანი. ძია ვორონიუკ! ძია ვორონიუკ! თქვენა და თქვენი ღმერთი, გეხვეწებით... ძია ვორონიუკ!

– რა იღო? რა თუთიღუშივით ადარდალდი: „ძია ვორონიუკ” და „ძია ვორონიუკ”? მითომ მე არ ვიცოდე, დეიდა რო არა ვარ! რა გინდა, რას თხოვ? გაგიშო, გაიქცე, არა? რა უთხარი? შენ გაიქცე და მერე მე კედელთან დააღენონ, არა?

პელაგია ტიაგუნოვა დაბნეულად იყურებოდა სადღაც შორს და დუმდა. ვასიას თავზე ხელს უსვამდა, ქერა თმებს უჩეჩავდა და რაღაცას ფიქრობდა. ხანდახან თავს ხრიდა და თვალებით თუ ღიმილით ბიჭს ანიშ-

ნებდა, ნუ სულელობ, ასეთ რამეებზე ვორონიუკს საქვეყნოდ ნუ ელაპარაკებიო. ცოტა ხნით იყუჩე, არხეინად იყავ, ყველაფერი თავისით აეწყობაო.

13

შუა რუსეთის ზოლს რომ გასცდნენ და აღმოსავლეთისაკენ ღრმად გაიჭრნენ, მოულოდნელობას მოულოდნელობა მოჰყვა. წინ ახალ-ახალი მღელვარე ადგილები, შეიარაღებული ბანდების სათარეშოები, ახალი დაშოშმინებული მხარეები ხვდებოდათ.

გახშირდა შუა მინდვრებში მატარებლის გაჩერებები, გადამღობი რაზმების მიერ ვაგონების ჩამოვლა, ბარგის გასინჯვა, საბუთების შემოწმება.

ერთხელ ღამით მატარებელი სადღაც გაჩერდა. ვაგონებში არავინ იხედებოდა, არც თუ ვინმე ამოსულა. რაიმე უბედურება ხომ არ მოხდაო, იფიქრა იური ანდრეევიჩმა და თბილანიდან ძირს ჩახტა.

ბნელი ღამე იყო. მატარებელი რომელიღაც შემთხვევით გადასარბენზე იყო გახირული. გზის გასწვრივ მინდორზე ნაძვნარი გაეშენებინათ. იური ანდრეევიჩზე ადრე ჩამომხტარმა მეზობლებმა, ვაგონის წინ რომ იტკეპნებოდნენ, უთხრეს, ჩვენი აზრით, ისეთი არაფერი მომხდარა, თურმე მემანქანეს მატარებელი თვითონ გაუჩერებია. ასე ამბობს, ეს ადგილები სახიფათოა. სანამ დრეზინით უსაფრთხოებაში არ დავრწმუნდებით, წინ წამსვლელი არა ვარო. ამბობენ, მგზავრთა წარმომადგენლები მის დასაყოლიებლად წავიდნენ და, თუ საჭირო გახდა, როგორმე დაითანხმებენო. ხმები დადის, საქმეში მატროსებიც ჩაერივნენ, ეგენი კი მოვლენ იმის ოხტშიო.

ვიდრე იური ანდრეევიჩს ამას უხსნიდნენ, ორთქლმავალთან, რკინიგზის გასწვრივ, თოვლის ზედაპირზე დროდადრო მილიდან და ორ-

თქლმავლის საქვაბიდან ცეცხლის ენები იფრქვეოდა და იქაურობას კოცონივით ანათებდა. უეცრად, ერთი ასეთი ამოქშენისას, დათოვლილი მინდვრის ნაწილი, ორთქლმავალი და მის ჩარჩოსთან სირბილით მიმავალი რამდენიმე ლანდი გამოკრთა.

ეტყობოდა, წინ მემანქანე გარბოდა. ფიცარნაგთან მიირბინა, ზედ შეხტა, საბუფერე ძელს გადაევლო და თვალს მიეფარა. მატროსებიც კვალდაკვალ მიჰყვნენ. მათაც მესრის ბოლომდე მიაღწიეს, გადახტნენ, ჰაერში გაიელვეს და თითქოს მიწამ უყოთ პირი.

იქ მყოფთა მსგავსად იური ანდრეევიჩსაც ცნობისწადილი მოეძალა და ორთქლმავლისკენ გაემართა.

მატარებლის წინ, თავისუფალ სივრცეზე, შემდეგი სანახაობა გადაეშალათ. რკინიგზის პირას, უკვალავ თოვლში წელამდე ჩაფლული მემანქანე ფართხალებდა. მატროსებიც წელამდე თოვლს მოარღვევდნენ და როგორც ნადირს მარეკები, ნახევარწრედ გარს ერტყმოდნენ.

მემანქანე ყვიროდა:

– გმადლობთ, რევოლუციის შევარდნებო! ამასაც მოვესწარი! ნაგანით მომდევენ თავიანთ ძმას, მუშას! მერედა, იცით, რატომა ვთქვი, მატარებელი წინ აღარ წავა-მეთქი? ამხანაგო მგზავრებო, თქვენ იყავით მოწმეები, რა მხარეა. ვინც არა მგონია, დაეთრევა, თავზე ხელი აქვთ აღებული. მე თქვენი დედა და ბებია ვატირე სანახევროდ, მე რა მეკითხება ან რა მენაღვლება? თქვე ოჯახქორებო, თქვენი დარდი მაქვს, ჩემი კი არა, ემანდ არაფერი ეტაკოთ-მეთქი. და აი, ამ ზრუნვის ფასად რა ამბავი დამაწიეს. მესროლე, რაღას უცდი, შე უდღეურო! ამხანაგო მგზავრებო, მოწმეები ხართ, აგე, რას მიშვრება, მე კი თავს არ ვიცავ, რკინიგზის მიწაყრილზე თავშეყრილი ჯგუფიდან ნაირ-ნაირი ხმები ისმოდა. ერთნი გაოგნებით გაიძახოდნენ:

– რას ამბობ?.. გონს მოდი... არაფერია... მაგის ნებას ვინ მისცემს მაგათ? მაგას ეგენი ისე... დასატუქსავად სჩადიან...

სხვები ხმამაღლა აგულიანებდნენ:

– მიდი, მაგათი რჯული რა ვთქვი, გავრილკა! არ დანებდე, შე ორთქლსაქაჩო!

მატროსი, რომელიც თოვლიდან პირველი ამოძვრა და ვეება თავით ისეთ ქერა გოლიათად ამოიზიდა, გეგონებოდათ, სახე მთლად ბრტყელი აქვსო, ბრბოს მიუბრუნდა და ვორონიუკივით უკრაინულ კილოზე დაბალი ბანით ღამის უჩვეულო გარემოში სასაცილო სიდინჯით გაეპასუხა: – კი მაგრამ, რა ღმაურია? რას როღროღებთ ამ ქარში? მოუსვით ვაგონებში!

როდესაც აყაყანებული ხალხი ვაგონებისკენ წავიდ-წამოვიდა, ქერა მატროსი მიუახლოვდა მემანქანეს, რომელიც გონს ჯერ მთლად არ მოსულიყო, და უთხრა:

– გეღო ისდერიგები, ამღანაგო მეღანიგოსო. ამოწვერი მაგ ორმოდან. ჰაიდა, ზავიდეთ.

14

მეორე დღეს, ქარბუქის მიერ თოვლწაყრილი და გაუწმენდავი ლიანდაგებიდან გადავარდნის შიშით გათანგული მატარებელი ნელ-ნელა, კუს ნაბიჯით სიარულის შემდეგ ერთ მიტოვებულ, უკაცრიელ ადგილს მიადგა. მგზავრები ერთხანს ვერ მიმხვდარიყვნენ, ხანძრისაგან გადაბუგული სადგურის ნარჩენებზე რომ იდგნენ. მის შეჭვარტლულ აბრაზე ძლივსძლივობით იკითხებოდა: „ნიჟნი კელმესი”.

ხანძრის კვალი მარტო სადგურს როდი შერჩენოდა. მის გადაღმა გაუდაბურებული და თოვლით გადალესილი ნასოფლარიც მოჩანდა. აშკარა იყო, მასაც სადგურის სავალალო ბედი გაეზიარებინა.

განაპირა სახლი ერთიანად დანახშირებულიყო. მეზობელ შენობაში კუთხის რამდენიმე მორი იყო დაზიანებული და ტორსებით შიგნით შეტრიალებული. ქუჩაში ყველგან ეყარა მარხილების, დაქცეული ღობეების,

დაფლეთილი რკინისა და საოჯახო ნივთების ნამსხვრევები. აქა-იქ, ძირისძირობამდე გადაბუგულ, მოტიტვლებულ ადგილებზე ჭვარტლით და მურით ჩაშავებული თოვლი მოჩანდა, რომელიც გაყინული ნარცხით, ჩაყინული მუგუზლებით, ნახანძრალებით და ცეცხლის ქრობის ნაკვალევით იყო მოფენილი.

თუმცა ნასოფლარი მთლად უსიცოცხლოდ როდი გამოიყურებოდა.

ალაგ-ალაგ ცოცხალი არსებებიც დაბორიალებდნენ.

– მთელი სოფელი ერთიანად იწვოდა? – თანაგრძნობით იკითხა ბაქანზე ჩამომხტარმა მატარებლის უფროსმა, როცა ნანგრევებიდან მის შესახვედრად სადგურის უფროსი გამოეშურა.

– გამარჯობათ. მშვიდობა თქვენს მოსვლას. წვით კი ვიწოდით, მაგრამ აწი ცეცხლზე უარესი რამ მოგველის.

– არ მესმის!

– უმჯობესია არც ჩაეძიოთ.

– ნუთუ სტრელნიკოვი იყო?

– სწორედ ის გახლდათ.

– რა დაუშავეთ?

– ჩვენ რა შუაში ვართ. გზა ვისი ტიკი-ტომარაა. მეზობლების ბრალია. ჩვენც ზედ მიგვაყოლეს. ხედავთ იქ სოფელს? მაგათი ბრალია. ეგ უსტ-ნემდინსკის თემის სოფელი ნიჟნი კელმესია. ყველაფრის თავი და თავი ეგენი არიან.

– განა ისეთი რა ჩაიდინეს?

– შვიდი მომაკვდინებელი ცოდვიდან ერთიც არ დაუკლიათ. სოფელში ღარიბთა კომიტეტი გარეკეს, ეს ერთი; წინააღმდეგობა გაუწიეს დეკრეტს წითელი არმიისათვის ცხენების ჩაბარების თაობაზე, თან ისიც არ დაგავიწყდეთ, დედაბუდიანად მეცხენე თათრებია, ეს ორი; და მობილიზაციის ბრძანებასაც არ დაემორჩილნენ, ესეც – სამი, როგორც ხედავთ. – მაშ ასე. ყველაფერი გასაგებია. და ამისათვის დასცხეს არტილერია.

– სწორედ ამიტომ.

– ჯავშნოსანი მატარებლიდან?

– რა თქმა უნდა.

– სამწუხაროა, სამწუხარო. თუმცა ეს ჩვენი საქმე არ არის. თანაც ჩავლილი საქმეა. ახლითაც ვერაფრით გაგახარებთ. ორიოდე დღეს დგომა მოგიწევთ ჩვენთან.

– ხუმრობას თავი დაანებეთ. სამაგისოდ არა მცალია, ფრონტზე სამარშო შევსება მიმყავს. დგომას და მოცდას ჩვეული არ ვარ. – რა დროს ხუმრობაა. ხომ ხედავთ, ნამქერებია. მთელი კვირაა გადასარბენზე ქარბუქი მძვინვარებს. ლიანდაგები აღარა ჩანს. თოვლის გამხვეტიც არავინაა. ნახევარი სოფელი აიყარა და გაიქცა. დანარჩენებს ვამუშავებ, მაგრამ საქმეს ვერ აუდიან.

– აჰ, ჯანდაბას თქვენი თავი! დავიღუპე, დავიღუპე! ახლა რაღა ვქნა?

– როგორმე გავწმენდთ, გაგატარებთ.

– დიდი ნამქერებია?

– არც ისე. ზოლ-ზოლადაა. ქარბუქი ცერად მოდიოდა, რკინიგზის ხაზს ცერად ურტყამდა. ყველაზე ძნელი უბანი შუაშია. სამი კილომეტრია ტაფობი. იქ მართლაც დავიტანჯებით. თოვლი ბლომადაა, მერე კი სუფთა გზაა, ტაიგა, – ტყემ დაიცვა. ტაფობამდეც ღია ზოლია, არა უჭირს რა. ქარმა გადარეკა.

– აჰ, ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი და ტანი. რა ცდუნებაა! მთელ მატარებელს ფეხზე დავაყენებ, დაე, დაგვეხმარონ.

– მეც ეგ ვიფიქრე.

– ოღონდ მატროსებს და წითელგვარდიელებს ხელი არ ახლოთ.

შრომითი არმიის მთელი ეშელონია. თავისუფალ მგზავრებთან ერთად შვიდას კაცამდე იქნება.

– საკმარისზე მეტიცაა. როგორც კი ნიჩბებს მოიტანენ, საქმეს შევუდგებით. ნიჩბები არ გვყოფნის. მეზობელ სოფლებში ხალხი გავაგზავნე. მოიტანენ.

– ხათაბალაა, ღმერთმანი! როგორ გგონიათ, მოვერევით საქმეს? –

მოვერევით, მაშა! როგორც იტყვიან, შეტევით ქალაქებს იღებენ. აქ კი რკინიგზაა, არტერია. მობრძანდით.

15

გზის გაწმენდას სამი დღე-ღამე დასჭირდა. ნიუშას ჩათვლით ყველა ჟივაგომ გულითადი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. ეს მათი მგზავრობის საუკეთესო დრო იყო.

როგორღაც თავის თავში ჩაკეტილი, პირქუში ადგილი იყო. მასში პუშკინისეული პუგაჩოველობა და აქსაკოვის აღწერების აზიურობა გამოსჭვიოდა.

ამ ადგილების იდუმალებას ნანგრევები და ნასოფლარში შემორჩენილი თითებზე ჩამოსათვლელი სოფლელების გულჩახვეულობა აგვირგვინებდა ისინი საოცრად დამფრთხალნი ჩანდნენ, მატარებლის მგზავრებს გაურბოდნენ და ბეზღობის შიშით ერთმანეთსაც პირს არიდებდნენ.

ხალხი სამუშაოდ ჯგუფ-ჯგუფად დაუდიოდათ. სამუშაო ადგილებს გარშემო გუშაგები იცავდნენ.

რკინიგზას სხვადასხვა ადგილებში განაწილებული ბრიგადებით ყოველი მხრიდან ერთდროულად წმენდდნენ. განთავისუფლებულ უბნებს შორის საქმის დამთავრებამდე მეზობელი ჯგუფების ერთიმეორისაგან გამყოფი ხელუხლებელი თოვლის მთები რჩებოდა. ეს მთები მხოლოდ ბოლო წუთში, საჭირო სიგრძის გასუფთავების დამთავრებისთანავე აიღეს.

მოწმენდილი, ყინვიანი დღეები იდგა. დილიდან საღამომდე ღია ცის ქვეშ იყვნენ და ვაგონში მარტო ღამის გასათევად ბრუნდებოდნენ. რაკი ნიჩბები არ ჰყოფნიდათ, ხალხი კი მეტისმეტად ბლომად იყო, ერთმანეთს ხშირად ენაცვლებოდნენ და დაღლილობას არა გრძნობდნენ.

დაუღალავი მუშაობა მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნებას ჰგვრიდათ. ჟივაგოები გაშლილ, თვალწარმტაც ადგილზე დადიოდნენ. ფერდობი

რკინიგზიდან ერთი პირობა აღმოსავლეთისაკენ დაბლა-დაბლა ეშვებოდა, მერე კი ცისკიდურამდე ტალღისებურად ადიოდა.

მთაზე განცალკევებული, ყოველი მხრიდან საჩინო და თვალ-გულის გასახარი სახლი იდგა. გარშემო ბაღი გაეშენებინათ. ეტყობოდა, ზაფხულობით სახლი მწვანეში იყო ჩაფლული, ახლა კი შეჭირხლულ ხეთა მეჩხერი მოხატულობა მას ვერსაიდან ვერ იფარავდა.

თოვლის საფარი ირგვლივ ყველაფერს ასწორებდა და ამრგვალებდა მაგრამ ფერდობის უსწორმასწორობა მას მთლიანად მაინც ვერ წაეშალა. აშკარა იყო, გაზაფხულობით ზევიდან ვიადუკის მილით ლიანდაგების მიწაყრილის ქვეშ თავის დაკლაკნილ სარეცელში ნაკადული მორაკრაკებდა, რომელიც ახლა ღრმა თოვლში თავზე ფუმფულა საბანწაფარებული ბავშვივით იმალებოდა.

ნეტავი ახლა იმ სახლში ცხოვრობდა ვინმე თუ მიტოვებული და გამოცარიელებული, მიწის სათემო თუ სამაზრო კომიტეტის აღრიცხვაზე აყვანილი, თანდათან ინგრეოდა? სად იყვნენ მისი ძველი მცხოვრებნი, რა მოუვიდათ? იქნებ უცხოეთს მიაშურეს? ვაითუ გლეხთა ხელით ამოწყდნენ? ან იქნებ კარგი სახელი შერჩათ და პატიოსნად მუშაობენ სადმე მაზრაში? და თუ ბოლომდე დედულ-მამულს ვერ შეელივნენ, ნეტავ სტრელნიკოვს თუ გადაურჩნენ? თუ კულაკებთან ერთად მოსრეს შეუბრალებლად?

სახლი ცნობისწადილს აღვივებდა, თვითონ კი იდგა სევდიანად დადუმებული. მაგრამ შეკითხვებს მაშინ არ იძლეოდნენ და არც თუ ვინმე იწუხებდა თავს პასუხებით. მზე კი ბრწყინავდა და უბიწო თოვლს დამაბრმავებლად აელვარებდა. რა სწორ ნაჭრებად კვეთდა ნიჩაბი მის ზედაპირს! როგორი მშრალი იყო და რა ალმასის ნაპერწკლებივით იფრქვეოდა ასეთ ჭრილებში! როგორ აგონებდა ყოველივე ეს შორეულ ბავშვობას, როცა მოსირმულ ბაშლიყიანი და შავი ცხვრის ტყაპუჭიანი პატარა იურა ასეთივე დამაბრმავებლად მოქათქათე თოვლისაგან ეზოში პირამიდებს, სახლებს, ნაღების ტორტებს, ციხე-სიმაგრეებს და კლდეში

ნაკვეთ ქალაქებს აგებდა. ო, რა საამური იყო მაშინ ქვეყნად ცხოვრება, რა წარმტაცი და მომხიბლავი იყო ირგვლივ ყველაფერი!

თუმცა ჰაერზე გატარებული ეს სამიოდე დღეც მაძღარი ცხოვრების შთაბეჭდილებას ტოვებდა. და არც თუ უმიზეზოდ. საღამოობით მომუშავეებს ახალგამომცხვარ ცხელ-ცხელ პურებს ურიგებდნენ, რომელიც, ვინ იცის, საიდან და როგორ მოჰქონდათ. პურს პრიალა, გვერდებზე ოდნავ დაშაშრული, გემრიელი ქერქი და სქელი, მშვენივრად გამომცხვარი, წვრილად დაკეჭნილი ძირი ჰქონდა.

16

სადგურის ნანგრევები შეუყვარდათ, რამდენადაც შესაძლებელი იყო დათოვლილ მთებზე ხეტიალში ხანმოკლე სადგომთან შეთვისება. დაამახსოვრდათ მისი მდებარეობა, შენობის გარეგნული სახე, ზოგიერთი დაზიანების თავისებურება.

სადგურში საღამოობით, მზის ჩასვლისას ბრუნდებოდნენ. თითქოსდა წარსულის ერთგულების გამოისობით იგი წინანდელ ადგილას, ტელეგრაფისტის სამორიგეო ოთახის ფანჯარასთან მდგარ ბებერ არყის ხესთან ჩადიოდა.

წინა კედელი ამ ადგილას შიგნით ჩაქცეულიყო და ოთახი ჩაეხერგა თუმცა ნანგრევებს შენობის უკანა კედლამდე, გადარჩენილი ფანჯრის იქით ვერ მიეღწიათ. იქ ყველაფერი ძველებურად შემორჩენილიყო: ყავისფერი შპალერი, შორენკეცის ღუმელი, რომელსაც მრგვალ სასულეზე ძეწკვით მიბმული სპილენძის სახურავი ეხურა, და კედელზე. გაკრული შავჩარჩოიანი საინვენტარო ნუსხა.

მიწის პირამდე დაშვებული მზე ზუსტად ისევე, როგორც უბედურების დადგომამდე, ღუმელის შორენკეცებამდე უწევდა, ყავისფერ შპალერს ყომრალად ეფინებოდა და არყის ხის ტოტების ჩრდილს კედელზე ქალის თავშალივით ჰფენდა.

შენობის მეორე ნაწილში, ქსენონის აფიცრულ კარზე, როგორც ჩანს, თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში თუ მცირე ხნით ადრე, ამ-გვარი წარწერა გაეკეთებინათ:

„მედიკამენტებისა და შესახვევ საშუალებათა გამო ბატონ ავადმყო-ფებს სთხოვენ დროებით ნუ შეწუხდებიან. არსებული მიზეზის გამო კარს ვლუქავ, რასაც გაუწყებთ უსტ-ნემდის ესა და ეს უფროსი ფერშალი".

როცა გასუფთავებულ უბნებს შორის ბორცვებად დაზვინული უკა-ნასკნელი თოვლი გახვეტეს, იქაურობა თითქოს განათდა და გამოჩნდა შორს ისარივით გატყორცნილი რკინიგზის ხაზი. აქეთ-იქიდან მას მიჰ-ყვებოდა გახვეტილი თოვლის თეთრი მთაგრეხილი, რომელსაც მთელ სიგრძეზე არშიასავით გასდევდა წიწვნარის ორი შავი კედელი.

სადამდეც თვალი მისწვდებოდა, ლიანდაგებზე სხვადასხვა ადგილას ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ნიჩბიანი ადამიანები. მათ ერთმანეთი მთლიანო-ბაში პირველად დაინახეს და გაოცებულნი იყვნენ თავიანთი სიმრავ-ლით.

17

ხმა დაირხა, თუმცა გვიანია და საცაა დაღამდება, მატარებელი რამ-დენიმე საათში დაიძვრებაო. მის გასვლამდე იური ანდრეევიჩმა და ან-ტონინა ალექსანდროვნამ იქაურობა დაათვალიერეს და უკანასკნელად დატკბნენ გაწმენდილი გზის ნახვით. ლიანდაგებზე აღარავინ იყო. ექიმი და მისი ცოლი ერთხანს იდგნენ, შორეთს გაჰყურებდნენ, მერე ორჯერ თუ სამჯერ ერთმანეთს გადაულაპარაკეს, პირი იბრუნეს და თავიანთ თბი-ლანა ვაგონში ავიდნენ.

გზაში ორი მოჩხუბარი ქალის აღგზნებული კივილი შემოესმათ, მა-შინვე იცნეს ოგრიზკოვა და ტიაგუნოვა. ორივენი იქითვე მიდიოდნენ, სა-ითაც ექიმი და მისი ცოლი, მატარებლის თავიდან კუდისაკენ, მაგრამ მის

მეორე, სადგურის მხარეს, იური ანდრეევიჩი და ანტონინა ალექსანდროვნა კი ტყის მხრიდან ბრუნდებოდნენ. ამ ორ წყვილს შორის ვაგონების უწყვეტი კედელი იყო აღმართული. ქალები თითქმის არასოდეს უსწორდებოდნენ ექიმს და ანტონინა ალექსანდროვნას, ხან წინ გაიჭრებოდნენ, ხან კი უკან რჩებოდნენ.

ორივენი მეტისმეტად აღელვებულნი ჩანდნენ. წამდაუწუმ ძალა ეცლებოდათ. ეტყობოდა, სიარულისას ფეხები თოვლში ეფლობოდათ ან მუხლები ეკვეთებოდათ, რადგან უთანაბრო სიარულის გამო ხან გაანჩხლებით გაჰყვიროდნენ, ხან კი ჩურჩულზე გადადიოდნენ. ალბათ ტიაგუნოვა მისდევდა ოგრიზკოვას და საცა ეწეოდა, მუშტებს უშენდა. იგი თავის მოცილეს ყიამყრალად ლანძღავდა და დიაცის პირიდან გადმოფრქვეული ეს უხამსობა კაცის გინებაზე ათასწილად ტლანქად და უამურად ჟღერდა.

– უჰ, შე ჩათლახო, შე ქვეყნის ნათრევო, შენა! – ჩხაოდა ტიაგუნოვა. – კაცს ფეხი ვერსად გადაუდგამს, წინ რომ არ გადაეჩაჩხოს და ბილწი თვალებით არ შეჭამოს. ის არ ეყოფოდა, ჩემი ჩერჩეტი რომ გააბრიყვა, ახლა იმ ბავშვსაც დაადგა თვალი, მცირეწლოვანის გათახსირებაც მოინდომა.

– აჰა, ესე იგი შენ ვასენკაც შეიტყაპუნე, არა?

– მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა შეტყაპუნება, შე გაოხრებულო წუნკალო, შენა! საბოლოოდ არ გამაგიჟო, თორემ ცოცხალი ვერ წამიხვალ.

– აბა, აბა, ხელები დაიმოკლე! იქით წაეთრიე, შე ცოფიანო ალქაჯო! რა გინდა ჩემგან?

– ის მინდა, რომ ზედ შუაზე გაგხლიჩო, შე უდღეურო ძუკნავ, შე მიმხრჩვალო კატავ, შე ურცხვო, შენა!

– ნეტა ვიცოდე, რა გაქვს ჩემზე სათქმელი! მე თუ ძუკნა და კატა ვარ, შენ ვიღა მიგდიხარ, შე ორმოში გაგდებულო, ღობის ძირას ჯვარდაწერილო, ვირთხის და ზღარბის ნათრევო... მიშველეთ, მიშველეთ, ხალხო! მომკლა ამ გაფუჭებულმა. მიეშველენით საცოდავ გოგოს, ობოლ-

ოხერს...

– წავიდეთ აქედან, არ შემიძლია ამის მოსმენა, მეზიზღება, – ააჩქარა ქმარი ანტონინა ალექსანდროვნამ. – არა მგონია, ეს ამბავი კეთილად დასრულდეს.

18

უეცრად ყველაფერი შეიცვალა, გარემოც და ამინდიც. ვაკე დამთავრდა, მატარებელი ბორცვებით, მაღლობებით და მთებით შემოჯარულ ხეობაში შეიჭრა. ჩრდილოეთის ქარი, ბოლო ხანებში გაუთავებლად რომ ჰქროდა, როგორც იქნა, ჩადგა. თითქოს ღუმელის კარი გამოაღესო, სამხრეთიდან სითბომ დაუბერა.

ტყეები აქ მთის კალთებზე იყო შეფენილი. როცა მათ რკინიგზა ჰკვეთდა, თავდაპირველად მატარებელს დიდი აღმართის ათავება უხდებოდა, რასაც შუაწელში დამრეცი დაღმართი სცვლიდა. მატარებელი ჭრაჭუნით მიიკვლევდა გზას უღრან ტევრებში, წინ გაჭირვებით მიიწევდა, თითქოს ბებერი მეტყევეა, იქაურობას ზვერავს, ყველაფერს ამჩნევ და ეს ამოდენა ხალხიც ფეხით მიუდისო.

თუმცა სანახავი ჯერ არაფერი იყო., ტყის სიღრმეში მყუდროებას და თვლემას დაესადგურებინა, როგორც ზამთარში. მხოლოდ ის იყო, ჟამიდან ჟამად ბუჩქებისა და ხეების ქვედა ტოტებიდან თანდათანობით ცვიოდა თოვლი და სიმძიმისაგან განთავისუფლებული რტოებიც თავს ლაღად გრძნობდნენ, თითქოს საყელურები შეხსნეს ანდა გული გაუღეღესო.

იური ანდრეევიჩს კარგა ხნით ძილქუში მოერია. მთელი ის დღეები ზევით იწვა, ეძინა, ეღვიძებოდა, ფიქრობდა და სმენას ძაბავდა. თუმცა მოსასმენი ჯერჯერობით არაფერი იყო.

19

ვიდრე იური ანდრეევიჩი ძილბურანში იყო, გაზაფხული ადნობდა იმ აურაცხელ თოვლს, გამომგზავრების დღეს მოსკოვში რომ მოვიდა, მერე კი მთელ გზაზე ბარდნიდა, იმ თოვლს, რომელსაც უსტ-ნემდში სამ დღეს ხვეტდნენ, და რომელიც სქელ ფენად იდო ათასვერსიან სივრცეებზე.

პირველ ხანებში თოვლი შიგნიდან ლღვებოდა, ჩუმად და ფარულად. როცა გოლიათური შრომა სანახევროდ უკვე მოთავებული იყო, მისი მიჩქმალვა შეუძლებელი შეიქნა. მერე და მერე სასწაულმა თავი იჩინა. თოვლის საფარქვეშ წყალმა გამოიმზიანა და გაიწკრიალა, ტყის გაუვალი ტევრები შეიშმუშნენ, სხეულში ჟრუანტელმა დაუარათ, წყალმა გზა მონახა. იგი თავქვე მიექანებოდა, ალაგ-ალაგ გუბდებოდა და გან-გან მიიწევდა. მალე უღრანები მისი ჩუხჩუხით, ბუღით და ოხშივარით გაივსო. ტყეში გველივით იკლაკნებოდნენ ნაკადულები, თოვლში იხლართებოდნენ, ყოვნდებოდნენ და ფეხი ერეოდათ, ვაკეებზე მიბუტბუტებდნენ, მერე უფსკრულებში თავდაყირა იჩეხებოდნენ და ბროლის მოციაგე მტვრად იქცეოდნენ. დედამიწა წყლით გაიჟღინთა. მას თავბრუდამხვევი სიმაღლიდან, თითქმის ღრუბლებიდან ეწაფებოდნენ თავიანთი ფესვებით ასწლოვანი ნაძვები და იმათ ძირში წყლის ქაფი ისე გროვდებოდა, თითქოს ლუდის მსმელს ბაგეებზე ქაფი დასდენიაო. გაზაფხული ცას აბრუებდა, ისიც ორთქლისგან იმღვრეოდა და ღრუბლებით იფარებოდა. ტყის თავზე ნაბდის დაბალი ღრუბლები მიცურავდნენ. დაფერდებული კიდეებიდან თბილი, მიწის და ოფლის სუნით გაჯერებული თქეში მოდიოდა და დედამიწას ყინულის შავი ჯავშნის უკანასკნელ ნამსხვრევებს აცლიდა.

იური ანდრეევიჩმა გამოიღვიძა, ჩარჩოამოცლილი სარკმლის ჭრილში თავი გაყო, იდაყვს დაეყრდნო და არემარეს ყური მიუგდო.

20

სამთამადნო და საქარხნო მხარის მოახლოებასთან ერთად მოსახლეობამ იმატა, გადასარბენების სიგრძემ იკლო, სადგურები კი გახშირდა. მგზავრები არც თუ იშვიათად იცვლებოდნენ. მათი უმეტესობა წვრილ-წვრილ, შუალედურ სადგურებში ამოდიოდა. მოკლე მანძილებზე მიმავალნი სახელდახელოდ ეწყობოდნენ და დასაძინებლად არ წვებოდნენ, ღამ-ღამობით თავს სადმე ვაგონის შუაგულში, კარებთან იყრიდნენ, ადგილობრივ, მხოლოდ მათთვის გასაგებ საქმეებზე ერთმანეთში ხმადაბლა მასლაათობდნენ და უახლოეს გზაგასაყარებზე ან პაწაწინა სადგურებში ჩადიოდნენ.

ბოლო სამი დღის განმავლობაში ვაგონს შემოკედლებულ ადგილობრივ მცხოვრებთა ლაპარაკიდან იური ანდრეევიჩმა დაასკვნა, რომ ჩრდილოეთში ძლევის სასწორი თეთრებისაკენ იხრებოდა. მათ იურიატინი უკვე აეღოთ ან სადაც იყო აიღებდნენ. გარდა ამისა, სმენა თუ არ ატყუებდა ან მისი მელიუზეევის ჰოსპიტალელი ამხანაგის სეხნია თუ არ იყო, ამ ადგილებში თეთრების ძალებს იური ანდრეევიჩის ძველი ნაცნობი გალიულინი მეთაურობდა.

ვიდრე ეს ხმები დადასტურდებოდა, თავისიანები რომ არ შეეშფოთებინა, იური ანდრეევიჩს მათთან ამის თაობაზე სიტყვა არ დაუძრავს.

21

იური ანდრეევიჩი შეღამებისას ბედნიერების მოძალებულმა ჟრუანტელმა გააღვიძა. მატარებელი საღამისოდ რომელიღაც გაჩერებაზე იდგა. სადგურს თეთრი ღამის ბინდ-ბუნდი ეპარებოდა. ამ ნათელ ბურუსს რაღაც ფაქიზი და მძლავრი შუქი აცისკროვნებდა. ეს იმ ადგილის გაშლილ სივრცეზე და გულგაშლილობაზე მეტყველებდა, ადასტურებდა,

რომ გზის გასაყარი მაღალ ადგილზე იმყოფებოდა და იქაურობას ზევიდან გადაჰყიოდა.

ბაქანზე, ვაგონის გასწვრივ რამდენიმე ლანდი ფეხაკრეფით მოიპარებოდა და ხმადაბლა მობაასობდა. იური ანდრეევიჩს ამ ამბავმაც ნეტარება გაუცხოველა. მორიდებულმა ნაბიჯებმა და საუბარმა დაარწმუნა, გვიანია და მატარებელში ჩაძინებული მგზავრების სიმშვიდეზე ზრუნავენო, როგორც ხალხს ადრე, ომამდე სჩვეოდა.

ექიმი ცდებოდა. ბაქანზე ისევე, როგორც ყველგან, მთელი ხმით მოყაყანებდნენ და ჩექმებს მოაბრახუნებდნენ. მაგრამ შორიახლო ჩანჩქერი ხმაურობდა. იგი თეთრ ღამეს ხალისითა და სიხარულით ავსებდა. მძინარე ექიმსაც ბედნიერების სხივი იმან მოჰფინა. გზის გასაყარზე წყლის ჩუხჩუხის მარადიული, უწყვეტი ხმაური ყველა სხვა ხმაზე ბატონობდა და იქაურობას სიმყუდროვის მაცდურ იერს ანიჭებდა.

ექიმმა ეს გამოცანა ვეღარ ამოხსნა და იქაური ჰაერის სიანკარით დაბანგულმა კვლავ ღრმა ძილს მისცა თავი.

ქვევით, ვაგონში ორნი საუბრობდნენ. ერთი მეორეს ეკითხებოდა: – რა ქენით, დააშოშმინეთ თქვენიანები? დააჭერით ძირში კუდები? – ვისა, მედუქნეებსა?

– ჰო, ფქვილით მოვაჭრეებს.

– დავამშვიდე და ეგრე?! ისე არიან გაყუჩებული, აბრეშუმისა გეგონება. სხვების დასაშინებლად ზოგ-ზოგებს სული გავაფრთხობინეთ, დანარჩენებმაც ხმა გაიკმინდეს. კონტრიბუცია წავართვით.

– ბევრი წაიღეთ თემიდან?

– ორმოცი ათასი.

– მიჰქარავ!

– ტყუილის თქმას რა მრჯის?

– დალახვროს ეშმაკმა, ორმოცი ათასი!

– ორმოცი ათასი ფუთი.

– ვერ უყურებ, ამ სალახანებს? ყოჩაღ, ყოჩაღ!

– ორმოცი ათასი ფუთი წმინდად დაფქვილი.

– კარგად ყოფილა საქმე. აქ ისეთი ადგილებია, ერთიმეორის უმჯობესი. ფქვილით ვაჭრობის გულისგულია. ახლა რინვის აყოლებით დაიწყება შეგროვება, სოფელ-სოფელ, ჩასატვირთავ პუნქტებს რა გამოლევს. ძმები შერსტობიტოვები, პერეკატჩიკოვი ვაჟიშვილებით, მებითუმეების მთელი წყებაა.

– ნუ ღრიალებ. ხალხს გააღვიძებ.

– კარგი.

მოლაპარაკემ დაამთქნარა. მეორემ შესთავაზა:

– ცოტა ხომ არ წაგვეძინა? მოდი, ვცადოთ.

ამ დროს უკნიდან გამაყრუებელი ხმა გაისმა, რომელიც თანდათან მატულობდა და მალე ჩანჩქერის ხმაურიც დაფარა. მეორე გზაზე, გაჩერებული ეშელონის გვერდით მთელი სისწრაფით ჩაიქროლა ძველი ყაიდის ჩქარმა მატარებელმა. ერთი კი იკივლა, აგრუხუნდა, უკანასკნელად ააციმციმა სინათლეები და მატარებლის წინა მხარეს გაუჩინარდა.

ქვევით საუბარი განახლდა.

– ახლა კი შაბაშ, კარგა ხანს ვიქნებით გაჩხირულები.

– ჰო, ეგრე მალე არაფერი გვეშველება.

– მგონი სტრელნიკოვია, განსაკუთრებული დანიშნულების ჯავშნოსანი.

– მეც ისა მგონია.

– კონტრების საკითხში პირდაპირ მხეცია.

– გალეევისკენ გაქუსლა.

– ვისკენ?

– ატამან გალეევისკენ. ეგრე ამბობენ, ჩეხთან ერთად დგასო იურიატინთან, აიღო ძაღლიშვილმა ნავმისადგომი და აღარავის ანებებს. ატამან გალეევზე გეუბნები.

– იქნებ თავადი გალილეევია, კარგად გახსოვს?

– ეგეთი თავადი არ არსებობს. ეტყობა ალი ყურბანაა. რაღაც გეშლება.

– ეგებ ყურბანაცაა.

– ეგ სხვა საქმეა.

22

გამთენიისას იური ანდრეევიჩს მეორედ გამოეღვიძა. კვლავ რაღაც სასიამოვნო ესიზმრებოდა. ნეტარების და სილაღის გრძნობა, რომელსაც ერთიანად მოეცვა, არ უნელდებოდა. მატარებელი ისევ იდგა, შესაძლოა, ახალ სადგურზე, ან იქნებ წინანდელიც იყო. ისევ ჩხრიალებდა ჩანჩქერი, უფრო ადრინდელს ჰგავდა, ანდა ვინ იცის, იქნებ სხვაც იყო. იური ანდრეევიჩს მყისვე ძილი მოერია და ბურანში სირბილი და ალიაქოთი ჩაესმა. კოსტოედი ბადრაგის უფროსს წაეკიდა და ორივენი ერთმანეთს უყვიროდნენ. გარეთ ადრინდელზე უკეთესი ამინდი იდგა. რაღაც ახალი სურნელება იფრქვეოდა, რაც წინათ არ ყოფილა. რაღაც ჯადოსნური, საგაზაფხულო, ჭრელ-ჭრელი, იშვიათი, ფუმფულა რამ იყო, როგორიც თოვლის შემოტევაა მაისში, როცა სველი, მდნარი ფიფქები ძირს დაცემისას მიწას თეთრით კი არ ჰმოსავენ, პირიქით, უფრო აშავებენ. რაღაც გამჭვირვალე იყო, მოთეთრო-მოშავო, სურნელოვანი.

„შოთხვია!” – გამოიცნო ძილში იური ანდრეევიჩმა.

23

დილით ანტონინა ალექსანდროვნა ეუბნებოდა:

– საოცარი ადამიანი ხარ, იურა. თავიდან ბოლომდე წინააღმდეგობებით ხარ აღსავსე. ხანდახან, ბუზიც თუ გადაიფრენს, გაგეღვიძება და დილამდე თვალს არა ხუჭავ, ახლა კი ხმაურიც იყო, კამათიც, გაწევ-გამოწევაც, შენ კი აინუნშიც არ ჩაგიგდია. ღამით მოლარე პრიტულევი და

ვასია ბრიკინი გაიქცნენ. ჰო, იფიქრებდი? ტიაგუნოვა და ოგრიზკოვაც იმათ კვალს გაჰყვნენ. მაცალე, ჯერ ყველაფერი არ მითქვამს. ვორონიუკიც, დიახ, დიახ, გაიქცა, გაიქცა. ჰო, წარმოგიდგენია?! ახლა მისმინე. როგორ გაიქცნენ, ერთად თუ ცალ-ცალკე, და ვინ ვის მისდევდა – აბსოლუტური გამოცანაა. ვთქვათ, ვორონიუკმა, გასაგებია, დანარჩენების გაქცევის ამბავი რომ შეიტყო, გადაწყვიტა, პასუხისმგებლობისათვის თავი აერიდებინა. დანარჩენები? ყველანი თავიანთი ნებით გაჰქრნენ თუ რომელიმე ძალით მოიშორეს თავიდან? მაგალითად, ქალების საქციელია დასაეჭვებელი. მაგრამ ვინ ვინ მოკლა, ტიაგუნოვამ ოგრიზკოვა თუ ოგრიზკოვამ ტიაგუნოვა, კაცმა არ იცის. ბადრაგის უფროსი გამწარებულია, ხან აღმა დარბის და ხან დაღმა. „როგორ ბედავთო, – გაიძახის, – მატარებლის გასვლის სიგნალს როგორ აძლევთო. კანონის სახელით მოვითხოვ, ეშელონი გაქცეულების დაჭერამდე გააჩეროთო”, ეშელონის უფროსი კი ყურსაც არ იბერტყავს. „თქვენაო, ეუბნება, ხომ არ გაგიჟდითო. ფრონტზე სამარშო შევსება მიმყავს, პირველხარისხოვანი სისწრაფეა საჭირო. დავდგე და შენს ქეციან ბრძანებას ველოდო, არა? ხედავთ, ეს რა მოიგონაო!” ორივემ კი საყვედურებით აიკლეს კოსტოედი. როგორ მოხდა, რომ კოოპერატორი კაცი, სხვადასხვა აზრებით თავგამოტენილი ადამიანი გვერდით იყავი და იმ სალდათს, ბნელ, შეუგნებელ არსებას საბედისწერო ნაბიჯზე ხელი არ ააღებინეო „მაშ რაღა ხალხოსანი ხარო”, – ეუბნებიან. რაღა თქმა უნდა, კოსტოედი ვალში არ დარჩებოდა. „საინტერესო საქმეაო, – ეუბნება, – ესე იგი, თქვენი აზრით, ტუსაღმა მებადრაგეს უნდა უთვალთვალოსო? ქათმისგან მამლის ყივილს მოითხოვთ და ეგ არისო”. ბევრი განჯღრიე, ხან გვერდში გაგკარი ხელი, ხან მხარში. „იურა-მეთქი, – გიყვირი, – ხალხი გაიქცა, ადექი-მეთქი!” მაგრამ გაგიგონია! ზარბაზანი რომ დაექუხებინათ შენს ყურთან, იმასაც ვერ გაიგებდი. თუმცა მაპატიე, ამაზე მერე მოგიყვები. ახლა კი... აღარ შემიძლია!.. მამა, იურა, შეხედეთ, რა მშვენიერებაა!

სარკმლის ჭრილში, საითაც კისერწაგრძელებულნი იყურებოდნენ,

წყლით დაფარული უკიდეგანო ადგილი გადაიშალა. ეტყობა, სადღაც მდინარემ გადმოლახა ნაპირები და მისი გვერდითი ტოტი რკინიგზის მიწაყრილს მოადგა. ზედა საწოლებიდან ისე მოჩანდა, თითქოს ნარნარად მიმავალი მატარებელი წყალს მიაპობდა მის ზედაპირს აქა-იქ რკინის სილურჯე გადაჰკრავდა, დანარჩენ სივრცეს კი მხურვალე დილის სარკისებური, ზეთოვანი ათინათი დასთამაშებდა, როგორც მზარეული ქალი უსვამს ხოლმე ზეთში ამოვლებულ ფრთას ცხელ-ცხელ ღვეზელებს. ამ უნაპირო ყურეში მდელოებთან, ორმოებთან და ბუჩქებთან ერთად ქათქათა ღრუბლის სვეტებსაც ხიმინჯები ჩაეშვათ წყალში და დაეყვინთათ.

მოდიდებული წყლის შუაგულში, მიწის წვრილ ზოლზე ცად ატყორცნილი და წყალში თავდაღმა ჩაკიდული, გაორებული ხეები მოჩანდა.

– იხვები! მთელი ბუდე წამოშლილა! – შეჰყვირა იმ მხარეს თავშექცეულმა ალექსანდრ ალექსანდროვიჩმა.

– აბა სად არიან?

– კუნძულზე. სხვა მხარეს იყურები. მარჯვნივ, მარჯვნივ. ეჰ, ეშმაკმა წაიღოს, გაფრინდნენ, დაფრთხნენ, – ჰო, ვხედავ. რაღაცაზე უნდა მოგელაპარაკოთ, ალექსანდრ ალექსანდროვიჩ სხვა დროს იყოს. – ჩვენი შრომითი არმიელები და ქალბატონები კი კარგად მოქცეულან, თავისთვის რომ უშველიათ. თანაც ასე მშვიდობიანად, კაციშვილისთვის არაფერი დაუშავებიათ. ამდგარან და გაქცეულან, როგორც წყალი გარბის.

24

ჩრდილოეთური თეთრი ღამე თავდებოდა. ყველაფერი აშკარად ჩანდა, მაგრამ თითქოს მთაც, კორომიც და ხრამიც საკუთარ თვალებს არ უჯერებენ, თავი სიზმარში ჰგონიათო.

კორომი ოდნავ ამწვანდა. აქვე შოთხვის რამდენიმე ბუჩქი ჰყვაოდა. კორომს მთის ციცაბო კალთის ძირში, პაწია მინდორზე აეყარა ტანი, რომლის კიდეზეც ქარაფი იწყებოდა.

შორიახლო ჩანჩქერი იყო. იგი ყოველი მხრიდან როდი ჩანდა, კორომის ბოლოს, ქარაფის პირას უნდა გასულიყავი და იქიდან შეგეხედნა. ვასია დაიღალა კიდეც იქ სიარულით, იმდენჯერ იყო ჩანჩქერის სანახავად, შიშის და აღფრთოვანების განსაცდელად.

ჩანჩქერს ირგვლივ არაფერი შეედრებოდა, გვერდით ვერაფერი დაუდგებოდა. იგი საშიში იყო ამ მარტოობაში, რამაც სიცოცხლითა და გონიერებით დაჯილდოებულ რაღაც არსებად, ამ ადგილების ზღაპრულ ურჩხულად თუ მცურავ გველად გადააქცია, რომელიც მათგან ხარკს იღებდა და იქაურობას აუკაცრიელებდა.

ზედ შუაწელში ჩანჩქერი ფრიალო კლდის გამოჩრილ ეშვს ეცემოდა და ორად იყოფოდა. წყლის ზედა სვეტი თითქმის უძრავად ეკიდა, გაორებულ ქვედა ბოლოში კი წუთით არ წყდებოდა ოდნავ შესამჩნევი მოძრაობა ერთი მხრიდან მეორე მხარეს, თითქოს ჩანჩქერს ერთთავად ფეხი უსხლტებოდა და კვლავ სწორდებოდა, უსხლტებოდა და სწორდებოდა, და რამდენიც არ უნდა ებარბაცა, წონასწორობას მაინც ინარჩუნებდა.

ვასიას ტყავკაბა გაეშალა და კორომის პირას იწვა. როცა განთიადმა იძალა, მთიდან დაბლა დიდი, ვეება ფრთებიანი ფრინველი ჩამოფრინდა, კორომის თავზე ირაო შეჰკრა და ვასიას ახლო მდგარი სოჭის კენწეროზე დაჯდა. ბიჭმა თავი ასნია, ფრინველის ლურჯ ყელს, ლეგა-ცისფერ გულს შეხედა და მოჯადოებულმა ხმამაღლა წაიჩურჩულა: ამას ფიგურალურად „რონჟას" ეძახიანო. მერე წამოდგა, ტყავკაბა აიღო, მხრებზე მოისხა, მინდორი გადაიარა, თავის თანამგზავრ ქალთან მივიდა და უთხრა:

– წავიდეთ, დეიდა. უყურე, როგორ გათოშილხართ, ერთიანად ცახცახებთ. რა შეშინებულივით მიყურებთ? წავიდეთ-მეთქი, გეუბნებით.

დამიჯერეთ, სოფელ-სოფელ სიარული სჯობია. სოფელი თავისიანს არ აწყენინებს, შეიფარებს. ორი დღეა, უნაწილოდ ვართ და თუ ასე გაგრძელდა, შიმშილით დავიხოცებით. ხომ ხედავთ, ძია ვორონიუკმაც ისეთი ალიაქოთი ატეხა, საძებნელად დაგვედევნენ. უნდა წავიდეთ, დეიდა

პალაშა, უბრალოდ, უნდა მოვუსვათ. რა ვქნა, რა გიყოთ, დეიდა, დღეში ერთი სიტყვა მაინც მითხარით! დარდმა დაგავიწყათ ლაპარაკი, ღმერთმანი. აბა მითხარით, რაზე დარდობთ? დეიდა კატია, კატია ოგრიზკოვა თქვენდა უნებურად გადმოაგდეთ ვაგონიდან, გვერდი გაჰკარით, ჩემი თვალითა ვნახე. ადგა მერე ბალახებში, არა უჭირდა რა, ადგა და გამოიქცა. ძია პროხორმა, პროხორ ხარიტონიჩმაც იგივე ჩაიდინა. დაგვეწევიან და ყველანი ისევ ერთად ვიქნებით, ასე არ არის? მთავარია არ იდარდოთ და ლაპარაკსაც მოახერხებთ.

ტიაგუნოვა წამოდგა, ვასიას ხელი გაუწოდა და წყნარად უთხრა: – წავიდეთ, გენაცვალე.

25

მაღალ მიწაყრილზე ერთიანად აჭრაჭუნებული ვაგონები მთისკენ მიემართებოდნენ. მიწაყრილის ძირში ახალგაზრდა შერეული ტყე იზრდებოდა. ხეთა კენწეროები ლიანდაგებს ვერც კი უსწორდებოდნენ, ქვევით მდელოები იყო გადაშლილი. აქედან წყალმა სულ ახლახან იბრუნა პირი. ქვიშანარევ ბალახზე უწესრიგოდ ეყარა საგანძელე მორები, ეტყობა, რომელიღაც უახლოეს ტყესაკაფში დაემზადებინათ დასაცურებლად, მოდიდებულ წყალს წამოეღო და აქ დარჩენოდა.

ახალგაზრდა ტყე ჯერ კიდევ თითქმის შიშველი იყო, როგორც ზამთარში. მხოლოდ ცვილის ცრემლებივით უხვად დაწინწკლულ კვირტებში შეიმჩნეოდა რაღაც ზედმეტი, ჭუჭყის თუ შეშუპების მსგავსი უწესრიგობა, და სწორედ ამ ზედმეტობაში, უწესრიგობასა და ჭუჭყში ფეთქავდა სიცოცხლე, რომელსაც ტყეში გაშლილი პირველი ზეები მწვანე ფოთლების ალით აეგიზგიზებინა.

აქა-იქ მოწამებრივად ასვეტილიყვნენ წყვილ-წყვილად გაშლილ ფოთლებასხმული არყის ხეები. თვალდათვალ იყო შესაძლებელი იმის განსაზღვრა, რა სურნელებაც დასტრიალებდათ. იგივე სუნი უდიოდათ,

რითაც ბრწყინავდნენ – იმ ხის სპირტისა, ნაირ-ნაირ ლაკს რომ ხარშავენ.

მალე გზა იმ ადგილს გაუსწორდა, საიდანაც ალბათ ის მორები იყო წამოღებული. მოსახვევში შეშის ნაყარ-ნუყარით და ნაფოტებით სავსე განაკაფი გამოჩნდა, რომლის შუაგულში სამ გოჯიანი ძელების გროვა ეყარა. ტყესაკაფთან მემანქანემ დაამუხრუჭა. მატარებელი შეძიგძიგდა და შეჩერდა.

ორთქლმავლიდან რამდენიმე მოკლე, მყეფარე სიგნალი მისცეს და რაღაც დაიყვირეს. მგზავრებმა უიმისოდაც იცოდნენ: მემანქანემ მატარებელი საწვავის მოსამარაგებლად გააჩერა.

ვაგონების კარები გაიღო. რკინიგზის ხაზე პატარა ქალაქის მოსახლეობისოდენა ხალხი გამოცვივდა, წინა ვაგონების მობილიზებულთა გარდა, რომლებიც საყოველთაო სამუშაოებიდან გათავისუფლებულნი იყვნენ და მასში მონაწილეობას არც ახლა იღებდნენ.

განაკაფში დახორებული თორმეტ გოჯიანი შეშა ტენდერის გასავსებად არ კმაროდა. საჭირო იყო დამატებით გრძელი სამ გოჯიანი შეშაც დაეხერხათ.

საორთქლმავლო ბრიგადას ხერხებიც ჰქონდა, რომლებიც შეწყვილებულ მოხალისეებს დაურიგეს. თავიანთი ხერხი პროფესორმა და მისმა სიძემაც მიიღეს.

სამხედრო ვაგონების გამოღებული კარებიდან მხიარული სახეები გამოჩნდა. ბიჭბუჭები, რომელთაც ცეცხლის წვიმები ჯერ არ ენახათ, საზღვაოსნო სასწავლებლის უფროსი კლასების მოსწავლეები, დაოჯახებულ, პირქუშ მუშებთან ვაგონებში ძალისძალად რომ შეეტენათ, რომელთაც თავის მხრივ დენთის სუნი ჯერ არ ეყნოსათ და სამხედრო მომზადება ჰაიჰარად ჰქონდათ გავლილი, მწარე ფიქრებისაგან თავის დასაღწევად უფრო მოზრდილ მატროსებთან ერთად განგებ ხმაურობდნენ და თავს ისულელებდნენ. ყველანი გრძნობდნენ, რომ განკითხვის ჟამი ახლოვდებოდა.

მოქილიკენი მხერხავ კაცებს და ქალებს ღრეჭით და ხარხარით აცილებდნენ:

– ეჰეი, პაპავ! უთხარი, – ძუძუთა ბავშვი ვარ, დედა არ მიშვებს, ხელით შრომას მიჩვეული არა ვარ-თქო. – ჰეი, მავრა! ფრთხილად იყავი, კაბის კალთა არ მოიხერხო, თორემ ორპირი ქარი დაგიბერავს და გაცივდები. – შენ ეი, ტურფავ! ტყეში რა გინდა, ისა სჯობია, ცოლად გამომყვე.

26

ტყეში რამდენიმე ჯოჯგინა იდგა. სარები ერთმანეთზე ჯვარედინად დაემაგრებინათ და ბოლოებით მიწაში ჩაერჭოთ. ერთი მათგანი თავისუფალი იყო. იური ანდრეევიჩი და ალექსანდრ ალექსანდროვიჩი ზედ მიადგნენ და ხერხვას შეუდგნენ.

გაზაფხულის ის დრო იყო, როდესაც მიწა იმ სახით თავისუფლდება თოვლისაგან, როგორც ნახევარი წლის წინათ თოვლით შეიმოსა. ნესტიანი ტყე შარშანდელი ფოთლით იყო სავსე დაულაგებელი ოთახივით, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ, ქვითრებს, წერილებს თუ უწყებებს ნაკუწ-ნაკუწ ხევდნენ, გამოგვა კი ვეღარ მოასწრეს. – ეგრე ჩქარ-ჩქარა ნუ ექაჩებით, დაიღლებით, – ეუბნებოდა ექიმი ალექსანდრ ალექსანდროვიჩს და ხერხს უფრო დინჯად და გამოზომილად ამუშავებდა. ბოლოს დასვენება შესთავაზა.

ტყეში სხვა ხერხების ხრიალიც ისმოდა, ისინი ხან შეწყობილად გადი-გამოდიოდნენ წინ და უკან, ხან კი ყველა თავის ჰანგზე უკრავდა. სადღაც შორს, შორს პირველი პირველი ბულბული ძალებს ისინჯავდა. თითქოს გაჭედილ ფლეიტაში უბერავსო, უფრო ხანგრძლივი სვენებ-სვენებით უსტვენდა შავი შაშვი. ასე გასინჯეთ, ორთქლმავლის სარქველიდანაც კი ორთქლი ამღერებული ბუტბუტით ადიოდა ცისკენ, თითქოს სპირტქურაზე ბავშვის რძე შიშინებსო.

– რაღაცაზე გინდოდა საუბარი, – გაახსენა ალექსანდრ ალექსანდროვიჩმა, – ხომ არ დაგავიწყდა? გახსოვს, ადიდებული მდინარე რომ გადმოვიარეთ, თავზე იხვები დასტრიალებდნენ, მაშინ ჩაფიქრდი მითხარი: „რაღაცაზე უნდა მოგელაპარაკოთო”.

– აჰ, დიახ. ოღონდ არ ვიცი, ორიოდე სიტყვით როგორ გამოვთქვა. იცით, სულ უფრო ღრმად ვეფლობით... აქ მთელი მხარე დუღს. მალე ჩავალთ. არავინ იცის, იქ რა დაგვხვდება. ყოველი შემთხვევისათვის უნდა შევთანხმდეთ. რწმენაზე არ მოგახსენებთ. უაზრობა იქნებოდა, გაგვერკვია ან ჩამოგვეყალიბებინა იგი გაზაფხულის ტყეში გამართული ხუთწუთიანი საუბრისას. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. სამივენი, თქვენ, მე და ტონია სხვა მრავალთან ერთად ჩვენს დროში ერთ სამყაროს წარმოვადგენთ და ერთმანეთისაგან მისი გაგების სიღრმით განვსხვავდებით. მაგრამ ამაზე როდი მოგახსენებთ. ეს ანაბანაა. სხვა რამეს მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება. ამთავითვე უნდა შევთანხმდეთ, თუ როგორ მოვიქცეთ გარკვეულ შემთხვევაში, ერთმანეთის მაგიერ რომ არ გავწითლდეთ და ერთიმეორეს სირცხვილის ჩრდილი არ მივაყენოთ.

– საკმარისია. მესმის. მომწონს საკითხის შენებური დაყენება. სწორედ რომ საჭირო სიტყვები შეარჩიე. აი, რას გეტყვი. გახსოვს, იმ ღამით პირველი დეკრეტების ფურცელი რომ მოიტანე, ზამთრის ქარბუქში. გახსოვს, რა გაუგონრად კატეგორიული იყო. მაშინ იმისი ცალსახოვნება კაცის გულს ინადირებდა. მაგრამ ამგვარი საგნები პირველყოფილი სიწმინდით მხოლოდ მათ შემქმნელთა თავში და თანაც მხოლოდ მათი გამოცხადების პირველ დღეს ცოცხლობენ. პოლიტიკის იეზუიტობა მეორე დღესვე ყველაფერს ყირამალა აყენებს. აბა, რა გითხრა? ეს ფილოსოფია ჩემთვის უცხოა. ეს ხელისუფლება ჩვენი წინააღმდეგია. ამ ლეწვამსხვრევისას ჩემთვის თანხმობა არ უკითხავთ. მაგრამ დამიჯერეს და ჩემი საქციელი, თუნდაც იგი იძულებით ჩამედინოს, მავალდებულებს. ტონია მეკითხება, ბოსტნის სამუშაოებს თუ მივუსწრებთ, დარგვაზე ხომ არ

დავიგვიანებთო. რა ვუპასუხო? აქაურ ნიადაგს არ ვიცნობ. რა კლიმატური პირობებია? ფრიად ხანმოკლე ზაფხულია. ნეტავი საერთოდ რაიმე თუ ასწრებს შემოსვლას?

კი, მაგრამ განა ამ დასაკარგავში ბოსტნის საჩიჩქნად მოვდივართ? აქ ეს ხუმრობაც უადგილოა: „შვიდი ვერსის იქით ჩაის სახვრეპად წავიდნენო", რადგან, სამწუხაროდ, ამ ვერსთა ოდენობა სამი თუ ოთხი ათასია. არა, გულახდილად რომ ვთქვათ, ასე შორს სულ სხვა მიზნით მივემგზავრებით. იმისთვის მივდივართ, რომ შევეცადოთ ახლებურად ვიღორძინოთ და როგორმე სხვებს მივეშველოთ პაპისეული ტყეების, მანქანების და მოწყობილობის განიავებაში. მისი საკუთრების აღდგენაში კი არა, განიავებაში, ათასების გაფლანგვაში, რათა კაპიკით ვიარსებოთ, და უცილობლად, როგორც ყველამ, თანამედროვე, ქაოსური ფორმით, რომელიც გონიერებას არა და არ ესადაგება. თუ გინდა ოქროში ჩამსვი, კიდეც რომ მაჩუქონ, ძველ საწყისებზე ქარხნის მიმღები მე აღარა ვარ. ეს ისეთივე ველურობა იქნებოდა, როგორც დედიშობილად სირბილი ან წერა-კითხვის დავიწყება. არა, რუსეთის საკუთრების ისტორია დამთავრდა. ჩვენ კი, გრომეკოები, მომხვეჭელობის მისწრაფებას წინა თაობის სიცოცხლეშივე გამოვეთხოვეთ.

27

ისე ცხელოდა და ჰაერიც ისეთი დახუთული იყო, თვალზე რული არ ეკარებოდა. ექიმს თავი ოფლით დასველებულ ბალიშზე ედო და თავადაც ოფლად იღვრებოდა.

ზედა საწოლიდან ფრთხილად ჩამოცოცდა, რომ არავინ გაეღვიძებინა, და ვაგონის კარი გვერდზე გასწია.

თითქოს მარანში სახით ობობის ქსელს შეეხოო, წებოვანი სინოტივე იგრძნო. „ნისლია. – გაიფიქრა მან. – ნისლია. ხვალ ალბათ საშინლად

ცხელი დღე იქნება. აი, თურმე რატომ ჭირს სუნთქვა და გულიც ლოდივით რად დამიმძიმდა”.

ვიდრე ძირს ჩავიდოდა, კართან დადგა და ყური მიუგდო. რომელიღაც დიდ, საკვანძოს მაგვარ სადგურში იდგნენ. სიჩუმისა და ნისლის გარდა მატარებელი კიდევ რაღაც არარსობასა და უკაცრიელობაში იყო ჩაძირული, თითქოს ისინი მიივიწყესო, მატარებელი მართლაც სადღაც კუთხეში იყო მიგდებული, მოშორებით მდგარი: სადგურის შენობამდე ლიანდაგების უსასრულო ქსელით დიდი მანძილი იყო დაფარული.

შორიდან ორი სახის ხმაური ისმოდა.

უკნიდან საიდანაც მოვიდნენ, თანაბარი ტკაცუნის ხმა მოდიოდა, თითქოს სარეცხს ავლებენ ან ქარი დროშას მისივე ტარს ახლისო. წინიდან კი გრგვინვა ისმოდა, რამაც ომგადახდილი ექიმი აიძულა, სვენა დაეძაბა.

„შორსმსროლელი ქვემეხებია” – დაასკვნა მან, როცა თანაბარ, დაბალ, მოგუდულ ხმაზე მოგრუხუნე გუგუნი შემოესმა.

„მაშ ასე. ზედ ფრონტს მივდგომივართ”. – გაიფიქრა ექიმმა, თავი გაიქნია და ვაგონიდან ძირს ჩახტა.

რამდენიმე ნაბიჯი გაიარა. ორი ვაგონის შემდეგ მატარებელი თავდებოდა. გადახსნილ წინა ვაგონებთან ერთად ორთქლმავალი სადღაც წასულიყო და შემადგენლობა მათ გარეშე იდგა.

„ამიტომაც იქადნებოდნენ გუშინ, – გაიფიქრა ექიმმა. – ეტყობა გრძნობდნენ, როგორც კი გამოიყვანდნენ, პირდაპირ ცეცხლში გადაისროდნენ”.

მატარებელს უკნიდან შემოუარა, რომ ლიანდაგები გადაეჭრა და სადგურისკენ მიმავალი გზა ეპოვა. თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, ვაგონის კუთხეში თოფიანი გუშაგი გადაუდგა და მკვეთრი, დაბალი ხმით უთხრა:

– საით? საშვი!

– რომელი სადგურია?

– რომელიც დაგიბარებია. შენ თვითონ ვინ ხარ?

– მოსკოველი ექიმი გახლავართ. ამ ეშელონით ოჯახთან ერთად მივდივარ. აი, ჩემი საბუთი.

– მაგ შენ საბუთებს რა თავში ვიხლი?! გიჟი კი არ ვარ, სიბნელეში ქაღალდების კითხვით თვალები გავიწყალო. ვერ ხედავ, რა ნისლია? რა ექიმიცა ხარ, ერთი ვერსიდან გეტყობა. ვერ უყურებ, იმ თორმეტდუიმიანით რომ აჭრელებენ? შენც ეგ დღე მოგელის, იცოდე. მოუსვი აქედან, სანამ მთელი ხარ.

„ვიღაცაში ვეშლები", – გაიფიქრა ექიმმა. გუშაგის აყოლა სისულელე იქნებოდა, მართლაც, სანამ გვიან არ იყო, იქაურობას უნდა გასცლოდა. შემოტრიალდა და გამობრუნდა.

ზურგს უკან ქვემეხების სროლა მიწყდა. იქით აღმოსავლეთი იყო, ამასობაში ნისლის ბინდბუნდში მზე ამოვიდა და წყვდიადის ნაფლეთებში მორცხვად გამოკრთა, როგორც აბანოს ოხშივარში შიშვლები ჩანან. ექიმი მატარებლის ვაგონების გასწვრივ მიდიოდა. იგი მათ გასცდა და გზას განაგრძობდა. ფეხები სულ უფრო მეტად ეფლობოდა ფხვიერ ქვიშაში.

თანაბარი ტყლაშუნის ხმა ახლოვდებოდა. გზა ერთბაშად დაბლა ეშვებოდა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ექიმი გამოუცნობი მოხაზულობის ლანდების წინ შეჩერდა, რომელთაც ნისლი განუზომლად ზრდიდა. კიდევ ერთი ნაბიჯი და მის წინაშე წყვდიადიდან ამოყვინთეს ნაპირზე გამოთრეული ნავების კიჩოებმა. იგი ფართო მდინარის ნაპირზე იდგა, რომლის ტალღები მეთევზეთა კარჭაპების ბორტებს და ნავმისადგომის ფიცარნაგს ზანტად ეხეთქებოდნენ.

– ვინ მოგცა ნება, აქ რომ დაყანყალებ? – ჰკითხა ნაპირიდან წამოსულმა სხვა გუშაგმა.

– რა მდინარეა ესა? – უნებურად წამოსცდა ექიმს, თუმცა მთელი ძალით ცდილობდა, ცოტა ხნის წინათ მიღებული გამოცდილების გამო აღარაფერი ეკითხა.

პასუხის ნაცვლად გუშაგმა პირში სასტვენი იტაცა, მაგრამ ჩაბერვა ვეღარ მოასწრო. პირველი გუშაგი, ვის დაძახებასაც სასტვენით აპირებდა და რომელიც თურმე იური ანდრეევიჩს შეუმჩნევლად ფეხდაფეხ ასდევნებოდა, თვითონვე გაჩნდა ამხანაგთან. ორივე ერთად ალაპარაკდა.

– საფიქრალი აქ არაფერია. ფრენაზე ეტყობა, რა ჩიტიცაა, „რომელი სადგურია, რომელი მდინარეა?" თვალის ახვევას გვიპირებს. როგორ სჯობია, პირდაპირ კონცხზე წავაბრძანოთ თუ წინ, ვაგონში?

– მგონი ვაგონში აჯობებს, როგორც უფროსი იტყვის. – შენი პირადობის მოწმობა, – შეუღრინა მეორე გუშაგმა და ექიმს მოწმობების დასტა ხელიდან გამოჰგლიჯა.

– უყარაულე, ჩვენებურო, – ეშმაკმა უწყოდა, ვის უთხრა მან და პირველ გუშაგთან ერთად ლიანდაგების სიღრმეში, სადგურისაკენ გაემართა.

ამასობაში იქვე, ქვიშაზე მწოლი ადამიანი როგორც ჩანს, მეთევზე, შეინძრა და ალაპარაკდა:

– შენი ბედი, რომ თავად უფროსთან უნდათ შენი წაყვანა. იქნებ მაგანაც გადაგარჩინა. შენ კი იმათ ნუ გაამტყუნებ, ეგეთი საქმე აბარიათ. დროა სახალხო. იქნებ ეგრეც სჯობდეს, მანამ კი ვინ იცის. ხომ ხედავ სხვაში შეეშალე. ეგენი ერთის კვალში დგანან, იმას დასდევენ. ჰოდა, ადგნენ და იფიქრეს, ესაო იფიქრეს, ეს არის მუშათა ხელისუფლების ავის მდომიო; – დაგიჭირეს შეცდომაა. ყოველ შემთხვევაში შენ მთავართან შესვლა მოითხოვე. ამათ კი ნუ დანებდები. ესენი – შეგნებულებია, ღმერთო, აგვაცილე. შენი ბედის გადაწყვეტა გახვრეტილ გროშადაც არ უღირთ. ისინი კი გეტყვიან, წამოდიო, მაგრამ არ წაჰყვე. შენ ის უთხარი – მთავარი მინდა-თქო.

მეთევზისაგან იური ანდრეევიჩმა შეიტყო, რომ ის მდინარე, რომლის

ნაპირზეც იდგა, – სახელგანთქმული სანაოსნო მდინარე რინვა[75] იყო, ხოლო მდინარის ახლო მდებარე სარკინიგზო სადგური – რაზვილიე, ქალაქ იურიატინის სამდინარო-საფაბრიკო გარეუბანი. ისიც გაიგო, რომ თვით იურიატინს, ორი თუ სამი ვერსის ზევით რომ მდებარეობდა, კარგა ხანია ეცილებოდნენ თეთრებს და, შესაძლოა, წაართვეს კიდეც. მეთევზემ უთხრა, რაზვილიეში არეულობაა, მგონი ისიც ჩაახშვეს და ირგვლივ ასეთი სიჩუმე იმიტომაა ჩამოწოლილი, სადგურის ახლო ზოლი სამოქალაქო მოსახლეობისაგან გაწმენდილია და უსასტიკესი კორდონითაა გარშემორტყმულიო. და ბოლოს, მოსაუბრემ შეატყობინა: სადგურში ჩამომდგარ მატარებლებს შორის, რომლებშიც სამხედრო დაწესებულებებია მოთავსებული, ამ მხარის სამხედრო მეთაურის, სტრელნიკოვის საგანგებო მატარებელიცაა და შენი ქაღალდები სწორედ მასთან წაიღესო.

ცოტა ხნის შემდეგ ექიმის წასაყვანად იქიდან ახალი გუშაგი მოვიდა, რომელიც თავისი წინამორბედებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მიწაზე თოფს კონდახით ისე დაათრევდა ან ადგილიდან ადგილზე ისე დგამდა, თითქოს გალეშილ ძმაკაცს იღლიაში ამოსდგომია და ეშინია, გამოვეცლები თუ არა, მაშინვე ძირს გაიშხლართებაო. მან ექიმი სამხედრო მეთაურის ვაგონისაკენ წაიყვანა.

28

გუშაგმა ექიმი ერთმანეთთან ტყავის დახურული გასასვლელით შეერთებული ორი სალონ-ვაგონიდან ერთ-ერთთან მიიყვანა, კართან მოდარაჯეს დათქმული სიტყვა უთხრა და ექიმთან ერთად კიბეზე ავიდა. ვაგონში ატეხილი ჩოჩქოლი და ხარხარი მათი გამოჩენისთანავე ერთბაშად შეწყდა.

[75] სხვა ურალური ტოპონიმების მსგავსად, რომანში ამ მდინარის სახელწოდებაც ავტორის მიერაა გამოგონილი, როგორც ვარაუდობენ, „რინვას“ სახით ადვილად შეიცნობა მდინარე კამა.

ვიწრო დერეფანი გაიარეს და ფართო შუა განყოფილებაში აღმოჩნდნენ. აქ სიწყნარე და წესრიგი სუფევდა. სუფთა ოთახში ფაქიზად, კარგად ჩაცმული ადამიანები მუშაობდნენ. ექიმს მცირე ხნის განმავლობაში მთელი ოლქის რისხვად და დიდებად ქცეული უპარტიო სამხედრო სპეცის შტაბ-ბინა სულ სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი.

თუმცა მისი სამოქმედო ცენტრი ალბათ აქ კი არა, სადმე წინ, ფრონტის შტაბში, საომარ მოქმედებასთან უფრო ახლო მდებარეობდა, აქ კი მისი პირადი ნაწილი, მისი პატარა საოჯახო კანცელარია და მოძრავი სალაშქრო საწოლი იყო.

აი, თურმე რატომ დაესადგურებინა აქ ისეთ სიმშვიდეს, როგორიც ფიანდაზებით მოფენილ ცხელ საზღვაო საბანაოს დერეფნებშია, სადაც მსახურნი რბილი ფაჩუჩებით დაიარებიან.

ვაგონის შუა განყოფილება ერთიანად მოფარდაგული წინანდელი სასადილო დარბაზი იყო, რომელიც ახლა საექსპედიტოროდ ექციათ. აქ რამდენიმე მაგიდა იდგა.

„ახლავე", – თქვა შესასვლელთან ყველაზე ახლო მჯდომმა ახალგაზრდა სამხედრომ. ამის შემდეგ მაგიდებთან მსხდომებმა თავს ნება მისცეს დაევიწყებინათ ექიმი და ზედაც აღარ უყურებდნენ. იმ სამხედრომ კი გუშაგი დაბნეული თავის კანტურით დაითხოვა და ისიც დერეფნის ლითონის გამირებზე თოფის კონდახის რახრახით გაეცალა იქაურობას.

ექიმმა კარის ზღურბლიდანვე მოჰკრა თვალი თავის ქაღალდებს. ისინი ძველებური პოლკოვნიკური აღნაგობის მქონე ჭარმაგი კაცის წინ ეწყო ბოლო მაგიდის კიდეზე. იგი რომელიღაც სამხედრო სტატისტიკოსი უნდა ყოფილიყო. ცხვირში რაღაცას დუდღუნებდა, ნაირ-ნაირ ცნობარებში იხედებოდა, სამხედრო რუკებს ათვალიერებდა, რაღაცას ადარებდა, უახლოვებდა, ჭრიდა და აწებებდა. ბოლოს ოთახის ყველა ფანჯარას ერთიმეორის მიყოლებით მზერა მოავლო და თქვა: „დღეს ეცხელებაო", თითქოს თითოეული ფანჯარა რომ არ მოეთვალიერებინა, ერთი მათგანის მიხედვით ამგვარი დასკვნის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა.

მაგიდებს შორის, იატაკზე, სამხედრო ტექნიკოსი ჩაცუცქულიყო და რომელიღაც დაზიანებული გაყვანილობის შეკეთებას ლამობდა. ამასობაში საქმეში გართული ტექნიკოსი ახალგაზრდა სამხედროს მაგიდის ქვეშ შეძვრა და ისიც, ხელი რომ არ შეეშალა, ფეხზე წამოდგა. იქვე, მათ გვერდით, კაცის ხაკისფერ ქურთუკში გამოწყობილი გადამწერი ქალი საბეჭდ მანქანას უკირკიტებდა. მოძრავი კარეტა მეტისმეტად ცერად მისდიოდა და ჩარჩოში იჭედებოდა. ქალს ახალგაზრდა თავზე დაადგა და მასთან ერთად ზევიდან უწესივრობის მიზეზის ძებნას შეუდგა. სამხედრო ტექნიკოსიც მემანქანესთან მიხოხდა და ქვეშიდან ბერკეტების და გადაცემის შემოწმება დაიწყო. სხვებს არც პოლკოვნიკური აღნაგობის მეთაური ჩამორჩა, ისიც წამოდგა და მათ შეუერთდა. ყველანი საბეჭდ მანქანას შემოეხვივნენ.

ექიმს ეს ამშვიდებდა. შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ეს ხალხი, ვისაც მისი მოსალოდნელი ხვედრი მასზე უკეთესად მოეხსენებოდა, განწირული ადამიანის თვალწინ ასეთ უმნიშვნელო წვრილმანში ეგზომ უზრუნველად ჩაფლულიყო.

„თუმცა ამათსას რას გაიგებ? – ფიქრობდა იგი. – საიდანაა მათი ამგვარი აუმღვრევლობა? გვერდით ზარბაზნები გრიალებენ, ხალხი იღუპება, ესენი კი ცხელ დღეს გახურებული ბრძოლებით კი არა, პაპანაქება სიცხით ვარაუდობენ. ან იქნებ იმდენი რამ ნახეს, რომ ყველა გრძნობა დაუჩლუნგდათ?“

და უსაქმურობის გამო ვაგონის მოპირდაპირე ფანჯრებს დაუწყო თვალიერება.

29

ამ მხრიდან მატარებლის წინ ლიანდაგების დანარჩენი ნაწილი იყო გაჭიმული და მთაზე რაზვილიეს გარეუბანში იმავე სახელწოდების სადგური მოჩანდა.

ლიანდაგებიდან სადგურისაკენ სამბაქნიანი, შეუღებავი ხის კიბე ადიოდა.

– ამ მხრიდან რკინიგზის ხაზები დიდ საორთქლმავლო სასაფლაოს წარმოადგენდა. ჯამურისა და ჩექმის ყელის მსგავსი მილებიანი უტენდერო ძველი ლოკომოტივები სავაგონო ჯართის გროვებს შორის ერთმანეთისკენ მიქცეული მილებით იდგნენ.

ქვევით საორთქლმავლო სასაფლაო და საგარეუბნო სასაფლაო, გზებზე მიმოფანტული დაჭყლეტილი რკინა და განაპირა მხარის ჟანგიანი სახურავები თუ აბრები ადრიანი დილის სიცხით გათანგული თეთრი ცის ქვებ სიძველისა და უკაცრიელობის ერთიან სანახაობად აღიქმებოდა, მოსკოვში იური ანდრეევიჩს დაავიწყდა კიდეც, რა ბევრი აბრა იყო ქალაქში და ფასადის რა დიდ ნაწილს ფარავდნენ ისინი. აქაურმა აბრებმა ყველაფერი ეს გაახსენა. წარწერების ნახევრის წაკითხვა მატარებლიდანვე შეიძლებოდა. დაფერდებული ერთსართულიანი შენობების მიბრეცილ-მობრეცილ ფანჯრებს ისინი ისე აბრმავებდნენ, დაბალ-დაბალი სახლები მათში ისე იკარგებოდნენ, როგორც გლეხის ბალღების თავები თვალებამდე ჩამოფხატულ ჩიხაქუდებში.

ამასობაში ნისლმა ერთიანად აიფელიკა. მისი ნაკვალევი შორს, აღმოსავლეთით, ცის დასალიერის მარცხენა მხარესღა შერჩა. მაგრამ აი, ისიც შეირხა, ამოძრავდა და სათეატრო ფარდის კალთებივით აქეთიქით გაიწია.

იქ, რაზვილიედან სამიოდე ვერსზე, გარეუბანზე უფრო მეტად შემაღლებულ მთაზე დიდი საგუბერნიო თუ საოლქო ქალაქი გამოჩნდა.

მზე მას ყვითლად ავარაყებდა, ხოლო მანძილი მის მოხაზულობას უფრო ამარტივებდა. ქალაქი ფერდობზე იარუსებად იყო შეფენილი, როგორც ათონის მთა ან მეუდაბნოეთა სავანე იაფფასიან, უხეირო სურათზე, სახლზე წამოსკუპებული სახლით და ქუჩაზე მიხატული ქუჩით, კენწეროზე კი, ზედ შუაგულში, ვეება ტაძრით.

„იურიატინია!” – მიხვდა გულაჩქროლებული ექიმი, – „განსვენებული

ანა ივანოვნას მოგონებების და მოწყალების დის, ანტიპოვას ხშირი ხსენების საგანი! რამდენჯერ მომისმენია მათგან ამ ქალაქის სახელწოდება და რა ყოფაში ვხედავ პირველად!“

ამ წუთებში საბეჭდ მანქანაზე დახრილ სამხედროთა ყურადღება ფანჯრის იქით რაღაცამ მიიპყრო. თავები იქით მიაბრუნეს. ექიმმაც იქით გაიხედა.

კიბეზე სადგურისაკენ რამდენიმე ტყვე თუ ტუსაღი და მათ შორის თავში დაჭრილი გიმნაზიელი მიჰყავდათ. მისთვის სადღაც უკვე შეეხვიათ თავი, მაგრამ სახვევის ქვეშიდან სისხლი უჟონავდა, რომელსაც ხელისგულით მზემოკიდებულ, ოფლიან სახეზე იგლესდა.

მიმავალთა ბოლოში, ორ წითელარმიელს შორის მოქცეული გიმნაზიელი მარტო ლამაზ სახეზე აღბეჭდილი გაბედულებით ან ასე ახალგაზრდა კაცის მეამბოხეობით გამოწვეული სიბრალულით კი არ იქცევდა ყურადღებას. ის და მისი ორი თანმხლები თავიანთი უაზრო მოქმედებით იპყრობდნენ მზერას ისინი იმას როდი აკეთებდნენ რისი გაკეთებაც იყო საჭირო.

გიმნაზიელს შეხვეული თავიდან წამდაუწუმ ქუდი უვარდებოდა. იმის ნაცვლად, რომ მოეხადა და ხელით წაეღო, შეხვეული ჭრილობის საზიანოდ ერთთავად ქუდს ისწორებდა და თვალებში იფხატავდა, რაშიც ორივე წითელარმიელი სიამოვნებით ეხმარებოდა.

იყო რაღაც სიმბოლური საღ აზრს მოკლებულ ამ უაზრობაში. ექიმს სურდა გადაელახა მისი მრავალმნიშვნელოვნება, გამოსულიყო ბაქანზე, შეეჩერებინა გიმნაზიელი და ეთქვა პირს მომდგარი სათქმელი. მას სწყუროდა ეყვირა ბიჭისთვისაც და ვაგონში მყოფი ადამიანებისთვისაც, რომ ხსნა ფორმების ერთგულებაში კი არა, მათგან განთავისუფლებაშია. იური ანდრეევიჩმა მზერა გვერდზე გადაიტანა. ოთახის შუაგულში სტრელნიკოვი იდგა, რომელიც ახლახან შემოვიდა მტკიცე, სწრაფი ნაბიჯებით.

როგორ შეეძლო ექიმს განუსაზღვრელ ნაცნობობათა იმ აურაცხელ

სიმრავლეში აქამდე არ სცოდნოდა ისეთი გამორჩეული პიროვნება, როგორიც ეს ადამიანი იყო? როგორ არ შეახვედრა ისინი ცხოვრებამ? ან მათი გზები აქამდე როგორ არ გადაიკვეთნენ?

არავინ იცოდა რატომ, მაგრამ იმთავითვე აშკარა იყო, რომ ეს ადამიანი ნებისყოფის სრული განსახიერება იყო. ის იმდენად იყო ისეთი, როგორიც უნდოდა ყოფილიყო, რომ ყველაფერი მასზე და მასში უთუოდ სანიმუშოდ ჩანდა. მისი ზომიერად ჩამოქნილი და მხრებზე ლამაზად მორგებული თავიც, მტკიცე ნაბიჯიც, მაღალ, შესაძლოა ჭუჭყიან, მაგრამ ერთი შეხედვით გაპრიალებულ ჩექმებიანი გრძელი ფეხებიც და ნაცრისფერი მაუდის გიმნასტურაც, რომელიც იქნებ დაჭმუჭნულიც იყო, მაგრამ ისე შთაბეჭდილებას ტოვებდა, კაცი იტყოდა, გაუთოებული-გახამებული ტილოსიაო.

ამგვარ ზემოქმედებას ახდენდა ბუნებრივი, ნაძალადეობას მოკლებული ნიჭიერების ხილვა, რომელიც მიწიერი ყოფის ნებისმიერ მდგომარეობაში თავს ისე გრძნობდა, თითქოს უნაგირზე ზისო.

ეს ადამიანი რაღაც უცხო ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ ეს ნიჭი უცილობლად თვითმყოფადი როდი იყო. მის თითოეულ მოძრაობაში გაცხადებული ნიჭიერება შესაძლოა მიმბაძველობის ნიჭიც ყოფილიყო. იმ ხანებში ყველანი ერთმანეთს ჰბაძავდნენ: ისტორიის სახელგანთქმულ გმირებს, ფრონტზე ან საქალაქო მღელვარებათა დღეებში ნანახ სულის შემძვრელ ვაჟკაცებს, ყველაზე მეტად აღიარებულ სახალხო მოღვაწეებს, პირველ რიგებში დაწინაურებულ ამხანაგებს ან, უბრალოდ, ერთიმეორეს.

თავაზიანობის გამო მან არც კი შეიმჩნია, უცხო კაცის დანახვამ რომ გააკვირვა ანდა შეაკრთო. პირიქით, ყველას ისე მიმართა, თითქოს ექიმსაც თავისი წრის კაცად თვლისო:

– მომილოცნია. როგორც იქნა, გავრეკეთ. ეს ყველაფერი სამხედრო თამაშობას უფრო მიაგავს, ვიდრე საქმეს, რადგან ისინიც ისეთივე რუსები არიან, როგორც ჩვენ, მაგრამ თავში სისულელე აქვთ ჩაჭედილი და

არაფრით უნდა მასთან განშორება. ჩვენ მოგვიხდება ძალით გამოვუბერტყოთ ის თავები. მათი მეთაური ჩემი მეგობარი იყო. ის უფრო პროლეტარული წარმოშობისაა, ვიდრე მე. ერთ ეზოში ვიზრდებოდით. ცხოვრებაში ბევრი რამ გამიკეთა, ვალში ვარ მის წინაშე. მე კი მოხარული ვარ, მდინარის იქით და იქნებ უფრო შორსაც რომ გავაძევე.

სასწრაფოდ დაამყარეთ კავშირი, გურიან. მარტო შიკრიკების და ტელეგრაფის იმედზე ყოფნა მეტი აღარ შეიძლება. ხედავთ, როგორ ცხელა? საათნახევრით მაინც წავუძინე. აჰ, დიახ... – უცებ გაახსენდა და ექიმისკენ შემობრუნდა. გაახსენდა, თუ რატომ გააღვიძეს. რაღაც სისულელის გულისთვის გააღვიძეს, რომლის გამოც დაკავებული იქ დაყუდებულიყო.

„ეს არის?" – გაიფიქრა სტრელნიკოვმა და ექიმი თავით ფეხამდე გამომცდელად ჩაათვალიერა. – „არაფრით ჰგავს. აი სულელები!" – მერე გაიცინა და იური ანდრეევიჩს მიუბრუნდა.

– გვაპატიეთ, ამხანაგო. სხვაში შეეშალეთ. ჩემმა გუშაგებმა აურიეს. თავისუფალი ხართ. სადაა მისი შრომის წიგნაკი, ამხანაგებო? აჰა, აი თქვენი საბუთები. მომიტევეთ სითამამისთვის, თავს ნებას მივცემ, ცალი თვალით მაინც ჩავხედო. ჟივაგო... ჟივაგო... ექიმი ჟივაგო... რაღაც მოსკოველს ჰგავხართ... იცით, მოდით ერთი წუთით მაინც წავიდეთ ჩემთან. ეს სამდივნოა, ჩემი ვაგონი კი გვერდითაა. წამობრძანდით. დიდხანს არ დაგაყოვნებთ.

30

მაინც ვინ იყო ეს ადამიანი? საოცარია, ასეთ პოსტებზე როგორ მოხვდა ანდა როგორ შეინარჩუნა ისინი უპარტიომ, რომელსაც არავინ იცნობდა, რადგან წარმოშობით მოსკოველმა უნივერსიტეტი დაამთავრა თუ არა, მასწავლებლად წავიდა პროვინციაში, ომში კი დიდი ხნით ჩავარდა ტყვედ, დიდხანს აღარ გამოჩენილა და დაღუპულად თვლიდნენ.

მოწინავე რკინიგზელმა ტივერზინმა, ვის ოჯახშიც იზრდებოდა

სტრელნიკოვი, უშუამდგომლა და თავდებად დაუდგა. ადამიანებმა, ვისზეც იმდროინდელი დანიშვნები იყო დამოკიდებული, დაუჯერეს. უსაზღვრო აღტკინებისა და უკიდურესი შეხედულებების დღეებში სტრელნიკოვის რევოლუციურობა, რომელიც თავის მხრივ არაფრის წინამე არ შეჩერებულა, თავისი სიალალით და ფანატიზმით გამოირჩეოდა, თანაც სხვის ჰანგზე კი არ მღეროდა, მთელი ცხოვრებით იყო საამისოდ მომზადებული და არც თუ შემთხვევით.

სტრელნიკოვმა ნდობა გაამართლა.

მისი უკანასკნელი ხანების ნამსახურობის ნუსხაში იხსენიებოდა უსტ-ნემდისა და ქვემო კელმესის საქმეები, სასურსათო რაზმისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გამწევი გუბასოველი გლეხების საქმე და საქმე სადგურ მედვეჟია პოიმაში მეთოთხმეტე ქვეითთა პოლკის მიერ სასურსათო მარშრუტის გაძარცვის თაობაზე. იგივე ნუსხა შეიცავდა რაზინელი ჯარისკაცების საქმეს, რომელთაც ქალაქ ტურკატუაში აჯანყება მოაწყვეს და იარაღით ხელში თეთრების მხარეს გადავიდნენ, აგრეთვე საქმე ჩირკინ უსის სამდინარო ნავსადგურში სამხედრო ამბოხებისა, როცა საბჭოთა ხელისუფლების ერთგული მეთაური მოკლეს.

თითოეულ ამ ადგილზე იგი ისე უცაბედად გამოჩნდებოდა ხოლმე, როგორც მეხი მოწმენდილ ცაზე, ასამართლებდა, უსჯიდა, განაჩენებს აღასრულებდა სწრაფად, მკაცრად და წარბშეუხრელად.

მისი მატარებლის მიმოსვლით ამ მხარეში საყოველთაო დეზერტირობას დაედო ზღვარი. გასაწვევი ორგანიზაციების რევიზიამ ყველაფერი შეცვალა. წითელი არმიის შევსება წარმატებით დაგვირგვინდა, მიმღები კომისიები გაცხარებით ამუშავდნენ.

ბოლოს, უკანასკნელ ხანს, როცა თეთრებმა ჩრდილოეთიდან შემოუტიეს და მდგომარეობა სახიფათოდ იქნა ცნობილი, სტრელნიკოვს ახალი, უშუალოდ სამხედრო, სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანები დააკისრეს. საქმეში მისი ჩარევის შედეგებმაც არ დააყოვნეს. სტრელ-

ნიკოვმა იცოდა, ხალხში მეტსახელად „რასსტრელნიკოვს” ანუ „დამხვრეტს” რომ ეძახდნენ. ესეც მშვიდად გადაიტანა, მას არაფრისა ეშინოდა.

წარმოშობით მოსკოველი იყო, მუშის შვილი. მამამისი ცხრაას ხუთი წლის რევოლუციაში მონაწილეობდა და ამის გამო დასაჯეს კიდეც. თვითონ იმ წლებში რევოლუციური მოძრაობისაგან განზე იდგა ჯერ იმ მიზეზით, რომ მცირეწლოვანი იყო, მომდევნო წლებში კი, როცა უნივერსიტეტში სწავლობდა, იმის გამოისობით, რომ უმაღლეს სკოლაში მოხვედრილი უბრალო ხალხის წრიდან გამოსული ახალგაზრდობა მას უფრო მეტად უფრთხილდება და სწავლითაც მეტი თავგამოდებით სწავლობს, ვიდრე მდიდართა შვილები. შეძლებული სტუდენტობის მღელვარება მას არ შეხებია. უნივერსიტეტიდან იგი უზარმაზარი ცოდნით გამოვიდა. თავის ისტორიულ-ფილოლოგიურ განათლებას დამოუკიდებლად იმდიდრებდა მათემატიკური მეცნიერების მიღწევებით.

კანონით, არმიაში სამსახური არ ეკუთვნოდა, მაგრამ ომში მოხალისედ წავიდა, პრაპორშჩიკის ჩინით დაატყვევეს და ჩვიდმეტი წლის ბოლოს, როცა გაიგო, რუსეთში რევოლუციაო, გამოიქცა.

ორი თვისებით, ორი გატაცებით გამოირჩეოდა.

არაჩვეულებრივად ნათლად და სწორად აზროვნებდა და ზნეობრივი სიწმინდის და სიმართლის იშვიათი ნიჭი ჰქონდა მომადლებული, გულმხურვალე და კეთილშობილური გრძნობებით იყო აღსავსე.

მაგრამ ახალი გზების გამკვალავი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მის გონებას აკლდა მოულოდნელობის ნიჭი, ძალა, რომელიც გაუთვალისწინებელი აღმოჩენებით ანგრევს ფუჭი წინასწარჭვრეტის უნაყოფო სისტემას.

ხოლო სიკეთის ქმნისათვის მის პრინციპულობას არ ჰყოფნიდა გულისმიერი უპრინციპობა, რომელმაც არ იცის ზოგადი შემთხვევები, მხოლოდ კერძოს სცნობს, და რომელიც უძლეველია იმით, რასაც მცირე ჰქმნის.

სტრელნიკოვი პატარაობიდანვე ყველაზე დიადს და ნათელს ესწრაფოდა. იგი ცხოვრებას უზარმაზარ ასპარეზად თვლიდა, რომელზეც ადამიანები წესების პატიოსნად დაცვით ერთმანეთს სრულყოფილების მიღწევაში ეჯიბრებიან.

როცა აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ იყო,, ფიქრადაც არ გაუვლია, სამყაროს წყობას რომ ამარტივებდა, თავად არ იყო მართალი. წყენა დიდი ხნით გულში ჩაიხვია და სანუკვარ მიზნად დაისახა, ოდესმე ცხოვრებასა და ბნელი საწყისებით მის გამაუკუღმართებლებს შორის მსაჯულად ჩამდგარიყო, დაეცვა იგი და მისი გულისთვის შური ეძია.

გულის გაცრუებამ სასტიკად აქცია. რევოლუციამ შეაიარაღა.

31

– ჟივაგო, ჟივაგო – იმეორებდა სტრელნიკოვი თავის ვაგონში, სადაც ისინი გადავიდნენ. – რაღაც ვაჭრული ან აზნაურული გვარია. აჰ, დიახ: მოსკოველი ექიმი ხართ, ვარიკინოში კი მიდიხართ. უცნაურია. მოსკოველი ხართ და ერთბაშად დათვების მხარეში კი ჩამოხვედით.

– სწორედ მაგ მიზნით, სიწყნარის საძებნელად. მივარდნილ ადგილებში, განუჭვრეტლობაში.

– ხედავთ, რა პოეზიაა. ვარიკინო? იქაურ ადგილებს ვიცნობ. ყოფილი კრიუგერების ქარხნებია. შემთხვევით მათი გულდათუთქული ნათესავები ან მემკვიდრეები ხომ არ ბრძანდებით?

– რა საჭიროა ასეთი დამცინავი კილო? რა შუაშია „მემკვიდრეები”? თუმცა ცოლი მართლაც...

– აჰა, ხომ ხედავთ. თეთრები მოგენატრათ? იმედებს გაგიცრუებთ. დაგაგვიანდათ. ოლქი უკვე გაწმენდილია.

– თქვენ ისევ დამცინით?

– თანაც – ექიმი ხართ, სამხედრო. ახლა ომიანობაა. ეს უკვე უშუა-

ლოდ მე მეხება. დეზერტირი ყოფილხართ. მწვანეებიც ტყეში განმარტოებისაკენ ისწრაფიან. სიწყნარეს ელტვიან. საფუძველი? – ორჯერ ვარ დაჭრილი და სამხედრო სამსახურთან შეუთავსებლობის გამო საერთოდ გამათავისუფლეს.

– ახლა ალბათ განსახკომის ან ჯანსახკომის ცნობას წარმოადგენთ, რომელშიც „სრულიად საბჭოთა ადამიანად", „თანამგრძნობად" გაცხადებენ და „ლოიალობასაც" გიდასტურებენ. დედამიწაზე ახლა განკითხვის დღეა, მოწყალეო ხელმწიფევ, აპოკალიფსის მახვილით აღჭურვილი, ფრთიანი მხეცები ბუდობენ და არა სრულად თანამგრძნობი და ლოიალური ექიმები. თუმცა გითხარით, თავისუფალი ბრძანდებით-მეთქი, და ჩემს სიტყვას აღარ გადავალ, მაგრამ მხოლოდ ამჯერად. გული მიგრძნობს, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს; მაშინ კი სხვანაირი საუბარი გვექნება და მიფრთხილდით.

მუქარამ და გამოწვევამ ექიმი ვერ შეაკრთო.

– ყველაფერი ვიცი, რასაც ჩემზე ფიქრობთ, – მიუგო მან. – თქვენის მხრივ სრულიად მართალი ბრძანდებით, მაგრამ იმ კამათს, რომელშიც ჩემი ჩათრევა გნებავთ, მთელი ცხოვრებაა ვეწევი წარმოსახვით ბრალმდებელთან და, ასე გასინჯეთ, რაღაც დასკვნის გამოტანის დროც მქონდა. ორიოდე სიტყვით ამას ვერ გამოხატავ. ნება მიბოძეთ, ახსნა-განმარტების გარეშე გაგშორდეთ, თუ ნამდვილად თავისუფალი ვარ, და თუ არა – რაც გნებავთ, ის მიყავით. მე თქვენთან თავის გასამართლებელი არაფერი მჭირს.

სიტყვა ყურმილის ხრიალმა შეაწყვეტინა. სატელეფონო კავშირი აღდგა.

სტრელნიკოვმა ყურმილი აიღო და რამდენჯერმე ჩაბერა.

– გმადლობთ, გურიან, – უთხრა მან თავის მექანიკოსს. – გამომიგზავნეთ ვინმე, გეთაყვა, ამხანაგ ჟივაგოს გასაცილებლად. ემანდ კიდევ არაფერი მოხდეს. და რაზვილიეს სატრანსპორტო ჩეკასთან შემაერთეთ, თუ შეიძლება.

მარტო რომ დარჩა, სტრელნიკოვმა სადგურში დარეკა:

– აქ ერთი ბიჭი გაატარეს, ქუდს ყურებამდე იფხატავს, თავი კი შეხვეული აქვს, საძაგლობაა. დიახ. სამედიცინო დახმარება მიაშველეთ, თუ საჭიროა. დიახ, თვალის ჩინივით გაუფრთხილდით, პირადად აგებთ პასუხს ჩემს წინაშე. ულუფა მიეცით, თუ საჭირო გახდეს. ასე. ახლა კი საქმეებზე ვილაპარაკოთ. მე ვლაპარაკობ, ჯერ არ დამიმთავრებია. ოჰ, ეშმაკმა წაგიღოთ, ვიღაცა მესამე ჩაგვეჩხირა. გურიან! გურიან! გაითიშა. „შესაძლოა, რომელიმე ჩემი ცინგლიანი მოწაფეთაგანია", – ფიქრობდა იგი და აღარ ცდილობდა სადგურთან საუბრის დამთავრებას, – „გაიზარდა და ჩვენს წინააღმდეგ ბუნტს თესავს". – სტრელნიკოვმა გონებაში გამოთვალა თავისი მასწავლებლობის, ომისა და ტყვეობის წლები იმის გასარკვევად, მათი ჯამი ბიჭის ასაკს შეესაბამებოდა თუ არა. მერე ვაგონის ფანჯრიდან ცისკიდურზე წამომართულ ქალაქში მდინარის პირას, იურიატინის გამოსასვლელთან მდებარე იმ რაიონს დაუწყო ძებნა, სადაც მათი ბინა იყო. ვინ იცის, იქნებ ცოლი და ქალიშვილი ახლაც იქ არიან? რა იქნებოდა, რომ ამდგარიყო და მათთან მისულიყო? ახლავე, ამ წუთში! კი, მაგრამ განა ეს შესაძლებელია? ეს ხომ სულ სხვა ცხოვრებიდან იქნებოდა. ვიდრე იმ ძველ, შეწყვეტილ ცხოვრებას დაუბრუნდება, ჯერ ეს, ახალი უნდა დაამთავროს. ეს ოდესმე იქნება, ოდესმე. კი, მაგრამ როდის, როდის?

მეორე წიგნი

ნაწილი მერვე

ჩასვლა

1

მატარებელი, რომელმაც ჟივაგოს ოჯახი ჩამოიყვანა, ჯერ კიდევ სადგურის უკანა ხაზზე, სხვა შემადგენლობებით ჩახერგილ ჩიხში იდგა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ მოსკოვთან მთელი გზის მანძილზე არსებული კავშირი ამ დილით გაწყდა, დამთავრდა.

აქედან მოკიდებული, სხვა ტერიტორიული სარტყელი, პროვინციის სხვანაირი სამყარო იშლებოდა, რომელიც მიზიდულობის სულ სხვა, თავისი ცენტრისაკენ იყო მიმართული.

აქაურები უფრო ახლო იცნობდნენ ერთმანეთს, ვიდრე დედაქალაქების მცხოვრებნი. თუმცა იურიატინ-რაზვილიეს სარკინიგზო ზონა უცხო პირთაგან გაწმენდილი და წითელი ჯარებით გარშემორტყმული იყო, ადგილობრივი გარეუბნელი მგზავრები გაუგებარი საშუალებით აღწევდნენ ლიანდაგებამდე, ანუ, როგორც ახლა იტყვიან, „გაჟონვას" ჰქონდა ადგილი. მათ უკვე შეაღწიეს ვაგონში, აავსეს თბილანების გასასვლელები, მატარებლების გასწვრივ გზებზე მიდი-მოდიოდნენ ან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ მიწაყრილებზე, ვაგონების შესასვლელებთან.

ეს ადამიანები სათითაოდ იცნობდნენ ერთმანეთს, შორიდანვე იწყებდნენ ბაასს და მხოლოდ მაშინ ამბობდნენ სალამს, როცა ერთიმეორეს უსწორდებოდნენ. ისინი ცოტა სხვანაირად იმოსებოდნენ და საუბრობდნენ, ვიდრე დედაქალაქებში, სხვანაირ საჭმელს ეტანებოდნენ, სხვა წეს-ჩვეულებები ჰქონდათ.

საინტერესო იყო იმის გაგება, თუ რითი ცხოვრობდნენ, როგორი ზნეობრივი და მატერიალური მარაგებით იკვებებოდნენ, როგორ ებრძოდნენ სიძნელეებს, როგორ უვლიდნენ გარს კანონებს?

პასუხმაც აღარ დააყოვნა და ერთობ ცოცხლად იჩინა თავი.

2

ექიმი თავის მატარებელში იმ გუშაგის თანხლებით ბრუნდებოდა, თოფს რომ გზადაგზა დაათრევდა და არგანივით ებჯინებოდა.

ჰაერში ბუღი ტრიალებდა. მზე ლიანდაგებს და ვაგონების სახურავებს ავარვარებდა. ნავთობისაგან ჩაშავებული დედამიწა ოქროცურვილი ალით იწვოდა.

გუშაგი კონდახით გზას ამტვერებდა და ქვიშაზე კვალს ტოვებდა. თოფი განძელებზე მირაკუნობდა. გუშაგს კი დარდი ალაპარაკებდა: – კარგი ამინდია. საგაზაფხულო თესვის დროა, შვრია გინდა თუ ფეტვი, პირდაპირ ოქროს დღეებია, აი, წიწიბურასთვინ კი ჯერ ადრეა. წიწიბურასა ჩვენში აკულინის დღეობაში[76] თესავენ. მორშანელები ვართ ჩვენა, ტამბოველები, აქაურები არ გეგონოთ. ეჰ, ამხანაგო ექიმო! ახლა ამ სამოქალაქოს ჯოჯო რო არ გამომტყვრალიყო, განა ისეთი ცხრა მთას აქეთ რა დამრჩენოდა? ამ სატიალემ შავ კატასავით ზედ შუა გზაზე გადაგვირბინა და აი, ხო ხედავ, რა დღეში ვყავართ!

3

– გმადლობთ. მე თვითონ. – უარს ამბობდა იური ანდრეევიჩი შემოთავაზებულ დახმარებაზე. თბილანა ვაგონიდან იკუზებოდნენ, მაღლა ასაყვანად ხელებს უწვდიდნენ. სახელურს ხელი ჩაავლო, ერთი ნახტომით ვაგონში გაჩნდა, წელში გაიმართა და ცოლს გადაეხვია.

– როგორც იქნა. მადლობა, მადლობა უფალს, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა, – ამბობდა ანტონინა ალექსანდროვნა. – იცი, ეს კეთილი დასასრული ჩვენთვის სიახლე სულაც არ არის.

– როგორ თუ არ არის?

– ყველაფერი ვიცოდით.

– საიდან?

---

[76] წმინდა მოწამის აკულინას (აკილინას) ხსენების დღე, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია 7(20) აპრილს აღნიშნავს.

– გუშაგებს მოჰქონდათ ამბავი. თორემ უამბობას რა გადაგვატანინებდა! მე და მამა ისედაც კინაღამ გადავირიეთ. ახლა მკვდარივით სძინავს. განცდილი მღელვარებისაგან მოცელილივით დაეცა და მას მერე ფეხი აღარ გაუნძრევია. ახალი მგზავრები შემოგვემატნენ. ზოგიერთს ახლავე გაგაცნობ. მანამდე კი ყური უგდე, გარშემო რას ლაპარაკობენ. მთელი ვაგონი გილოცავს მშვიდობით დაბრუნებას. – აი, როგორი მყავს! – მოულოდნელად შეიცვალა ქალმა საუბრის კილო, თავი მიაბრუნა და ვაგონის სიღრმეში მეზობლებს შორის გამოჭყლეტილ რომელიღაც ახალ თანამგზავრს წარუდგინა ქმარი.

– სამდევიატოვი, – მოისმა იქიდან, ერთად შეყრილ თავებს ზემოთ მსუბუქი შლაპა აღიმართა და იმ ხმის პატრონი გარს შემოჯარულ ხალხში წვალებ-წვალებით ექიმისაკენ გამოემართა.

„სამდევიატოვი", – ფიქრობდა ამასობაში იური ანდრეევიჩი, – „მეგონა, ვიღაც ძველი რუსული ბილინებიდან გადმოსული, ფართო წვერიანი, ტყაპუჭიან-თასმებიანი კაცი იქნებოდა, ეს კი, ეტყობა, ხელოვნების მოყვარულთა რომელიღაც საზოგადოებიდანაა თავისი ჭაღარა, ხუჭუჭა თმით, ულვაშებით და ნიკაპზე მოკლედ შეკრეჭილი ესპანიოლით.

– აბა, გამოტყდით, შეგაშინათ თუ არა სტრელნიკოვმა?

– არა, რატომ უნდა შევეშინებინე? სერიოზული საუბარი გვქონდა. ყოველ შემთხვევაში ძლიერი, მნიშვნელოვანი ადამიანია.

– რაღა თქმა უნდა, მაგაზე ჩემი წარმოდგენა მაქვს. აქაური არ არის. თქვენებურია, მოსკოველი. ისევე, როგორც ბოლო ხანების ჩვენებური სიახლეები, ისიც თქვენია, დედაქალაქური, შემოტანილი. ჩვენი ჭკუით ვერ მივხვდებოდით.

– ეს ანფიმ ეფიმოვიჩია, იუროჩკა, – ყველაფრის მცოდნე – ყოვლის გამგები. შენი ამბავიც იცის თურმე, მამაშენისაც, პაპაჩემისაც და, საერთოდ, ყველასი, ყველასი. გაიცანით. – და ანტონინა ალექსანდროვნამ სხვათა შორის, უგულოდ ჰკითხა: – თქვენ ალბათ აქაურ მასწავლებელ

ანტიპოვასაც იცნობთ? – რაზეც სამდევიატოვმა ასევე უგულოდ უპასუხა: – ანტიპოვა რაღაში გესაჭიროებათ? – იური ანდრეევიჩს ესმოდა ყოველივე, მაგრამ საუბარს მხარს არ უბამდა. ანტონინა ალექსანდროვნა კი განაგრძობდა:

– ანფიმ ეფიმოვიჩი ბოლშევიკია. ფრთხილად იყავი, იუროჩკა მასთან ლაპარაკისას ყური ხმაზე გეჭიროს.

– არა, მართლა? არასოდეს ვიფიქრებდი. გარეგნულად უფრო რაღაც არტისტულად გამოიყურება.

– მამაჩემს ბაკები ჰქონდა. შვიდი სამცხენიანი ეტლი დაუდიოდა. მე კი უმაღლესი განათლება მივიღე, და, მართლაც, სოციალ-დემოკრატი გახლავართ.

– ყური უგდე, იუროჩკა, რას ამბობს ანფიმ ეფიმოვიჩი. სხვათაშორის, საწყენად არ მიიღოთ, ისეთი სახელი და მამის სახელი გაქვთ, ადამიანი ენას მოიტეხს. – ჰო, მისმინე, იუროჩკა, აი, რას გეტყვი. ბედმა საშინლად გაგვიღიმა. იურიატინ-ქალაქი არ გვიღებს. ქალაქში ხანძრებია და ხიდიც აფეთქებულია, გავლა შეუძლებელია. მატარებელს შემოვლით წაიყვანენ, შემაერთებელი ხაზით, სწორედ იქით, რომელიც გვაწყობს, რომელზეც ტორფიანაია მდებარეობს. წარმოგიდგენია! გადასხდომა და ქალაქის გავლით ბარგი-ბარხანით სადგურ-სადგურ წოწიალი აღარ გვჭირდება. სამაგიეროდ, სანამ ხეირიანად დავიძვრებოდეთ, ნჯღრევა-ნჯღრევაში სულს ამოგვხდიან. ხან ერთ ჩიხში შეგვაგდებენ და ხან მეორეში. ეს ყველაფერი ანფიმ ეფიმოვიჩმა ამიხსნა.

4

ანტონინა ალექსანდროვნას წინასწარმეტყველება ახდა. მას შემდეგ, რაც მატარებელს თავისი ვაგონები ჩახსნეს და სხვები დაუმატეს, იგი დაუსრულებლად დაჯაყჯაყებდა წინ და უკან მივიწყებული გზებით, გვერ-

დით გზებზე კი სხვა შემადგენლობები მოძრაობდნენ და გაშლილ მინდორზე დიდხანს არ უშვებდნენ.

ბორცვებითა და გორაკებით შემოჯარული ქალაქი შორეთში ძლივსღა ილანდებოდა. იგი ცისკიდურზე იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ხოლმე სახლების სახურავებით, ქარხნის მილების კენწეროებით და სამრეკლოების ჯვრებით. ერთ-ერთი გარეუბანი იწვოდა. ქარს შორს მიჰქონდა ხანძრის კვამლი, რომელიც ცაზე ცხენის ფაფარივით ფრიალებდა. ექიმი და სამდევიატოვი ვაგონის იატაკზე ისხდნენ, ფეხები კარის ზღურბლზე ჰქონდათ გადაკიდებული. სამდევიატოვი ერთთავად ხელს შორს იშვერდა, იური ანდრეევიჩს რაღაცას უხსნიდა. დროდადრო ვაგონის გრუხუნი მის ხმას ჰფარავდა და არაფერი ისმოდა. იური ანდრეევიჩი კითხვას უნაცვლებდა. ანფიმ ეფიმოვიჩს სახე ექიმთან ახლო მიჰქონდა, იჭაჭებოდა და ნათქვამს შიგ ყურში უმეორებდა.

– ეგ ილუზიონი „გიგანტი" იწვის. შიგ იუნკრები იყვნენ გამაგრებული. თუმცა ისინი ადრე დანებდნენ. საერთოდ, ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ხედავთ სამრეკლოზე შავ წერტილებს? ჩვენები არიან. ჩეხსა ხსნიან.

– ვერაფერს ვხედავ. თქვენ როგორღა არჩევთ ყველაფერს?

– ეს კი ხოხრიკი იწვის, ხელოსნების გარეუბანი. კოლოდეევო კი, სადაც სავაჭრო რიგებია, გვერდითაა. იცით, რატომ მაინტერესებს? იმ რიგებში ჩვენი ბაკია. არც ისე დიდი ხანძარია. ჯერ ცენტრს არ შეხებია. – გაიმეორეთ, ვერ გავიგე.

– ცენტრზე გეუბნებით, ქალაქის ცენტრზე. იქ ტაძარია, ბიბლიოთეკა. ჩვენი გვარი, სამდევიატოვი, რუსულ ყაიდაზე გადაკეთებული სან დონატოა[77]. როგორც ამბობენ, დემიდოვებიდან ვყოფილვართ.

---

[77] დემიდოვების საგვარეულო იმთავითვე განთქმული ყოფილა რუსეთში თავისი სიმდიდრით და ქველმოქმედებით. ერთი მათგანი, ანატოლი დემიდოვი (1812-1870) 1841 წელს დაქორწინდა ნაპოლეონის დისწულზე, მატილდაზე და იტალიაში ფლორენციის მახლობლად შეიძინა სან-დონატოს მამული. მისმა

– მაინც ვერაფერი გავარჩიე.

– იმას გეუბნები, – სამდევიატოვი სახეცვლილი სან დონატოა-მეთქი. დემიდოვებიდან ვყოფილვართ. თავადი სან დონატო დემიდოვებიდან. ან იქნებ სულაც მონაჭორია, საგვარეულო გადმოცემა. ამ ადგილს კი „სპირკინ ნიზს" ეძახიან. აგარაკები და დასასვენებელი ადგილებია. უცნაური სახელწოდებაა, არა?

წინ მინდორი გადაეშალათ, რომელსაც სხვადასხვა მიმართულებით სერავდნენ ლიანდაგები. მინდორს გოლიათური ნაბიჯებით ჰკვეთდნენ ტელეგრაფის ბოძები და ცისკიდურს იქით მიემართებოდნენ. ფართო, მოკირწყლული გზა სილამაზით სარკინიგზო ხახს ეჯიბრებოდა. იგი ხან ცის დასალიერის იქით იმალებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა და მოსახვევების დატალღულ რკალებად მოჩანდა. მერე კვლავ იკარგებოდა.

– ჩვენი განთქმული შარაგზაა[78]. მთელ ციმბირზეა გადაჭიმული. კატორღელებმა ააშენეს. ამჟამად პარტიზანთა სათარეშოა. საერთოდ, არა გვიჭირს რა. დასახლდებით, შეეჩვევით. ქალაქური კურიოზები შეგიყვარდებათ. გზაჯვარედინებზე რომ უყურებთ, ეგენი ჩვენი წყალსადენის ჯიხურებია. აგერ იქ კიდევ ქალთა კლუბებია ღია ცის ქვეშ.

– ქალაქში არ ვაპირებთ ცხოვრებას, ვარიკინოში მივდივართ. – ვიცი. თქვენმა ცოლმა მითხრა. სულ ერთია. საქმეებზე ივლით ქალაქში. შევხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი. თვალები, ცხვირი, შუბლი – ზედგამოჭრილი კრიუგერია. ალი-კვალი პაპაა. კრიუგერი აქ ყველას ახსოვს.

მინდვრის ბოლოში წითლად მოჩანდა მაღალი, მრგვალი ნავთობსაცავები. მაღალ ბოძებზე სამრეწველო რეკლამები იყო გაკრული. ერთი

ძმისწულმა პ. დემიდოვმა მემკვიდრეობით მიიღო „სან-დონატოელი თავადის" წოდება. სავარაუდოდ, სამდევიატოვთან დაკავშირებით ბ. პასტერნაკი სწორედ ამ რეალიებზე მიანიშნებს.

[78] იგულისხმება ე. წ. ციმბირის დიდი ტრაქტი, რომელიც ყაზანიდან მალმიჟის, პერმის, ეკატერინბურგის, ტიუმენისა და ტობოლსკის გავლით აღმოსავლეთისაკენ მიემართება. XVIII ს-ის ბოლოდან მოსკოვიდან ციმბირისაკენ ძირითადად ამ გზით დადიოდნენ.

მათგანი ექიმს ორჯერ მოხვდა თვალში. იგი იუწყებოდა:

„მორო და ვეტჩინკინი. სათესი და სალეწი მანქანები".

– სოლიდური ფირმა იყო. ჩინებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს აწარმოებდა.

– ვერ გავიგე, რა თქვით?

– ფირმა-მეთქი, ფირმა. სასოფლო-სამეურნეო მანქანებს უშვებდა. წილობრივი ამხანაგობა იყო. მამაც აქციონერობდა.

– თქვენ კი ამბობდით, – ბაკებიო.

– ბაკები ბაკების ადგილზე გვქონდა. ერთი მეორეს როდი უშლის. უჭკუო კაცი არ იყო, ფულს საუკეთესო წარმოებებში აბანდებდა. ილუზიონ „გიგანტშიც" ჰქონდა თანხა შეტანილი.

– როგორც გატყობთ, გეამაყებათ.

– მამის ფხიანობა? რა საკითხავია!

– მერე თქვენს სოციალ-დემოკრატიას რაღას უშვრებით?

– ის რა შუაშია, თუ ღმერთი გწამთ? ვინ გითხრათ, რომ მარქსისტულად მოაზროვნე ადამიანი უგერგილო ლობიო უნდა იყოს, პირი დააღოს და დორბლი ჩამოსდიოდეს? მარქსიზმი – დადებითი მეცნიერებაა, მოძღვრებაა სინამდვილის შესახებ, ისტორიული ვითარების ფილოსოფიაა.

– რაო, მარქსიზმი და მეცნიერებაო? ამის თაობაზე ახალგაცნობილ ადამიანთან კამათი, მეტი რომ არ ვთქვათ, წინდაუხედაობაა. მაგრამ ჯანდაბას, რაც იყოს, იყოს. მარქსიზმი მეტისმეტად ფლობს საკუთარ თავს საიმისოდ, რომ მეცნიერება ვუწოდოთ. მეცნიერებები გაწონასწორებულნი არიან. მარქსიზმი და ობიექტურობა? მე არც ერთი სხვა მიმდინარეობა არ მეგულება, რომელიც თავის თავში ისე იყოს ჩაკეტილი და ფაქტებს იმდენად დაშორებოდეს, როგორც მარქსიზმი. თითოეული საკუთარ თავს ცდით ამოწმებს, ხოლო ძალაუფლების წერას ატანილი ადამიანები საკუთარ უცოდველობაზე ზღაპრებს ჰყვებიან და მთელი ძალით აქცევენ ზურგს სიმართლეს. პოლიტიკა მე არაფერს მეუბნება. არ

მიყვარს ადამიანები, რომლებიც განურჩევლად უყურებენ ჭეშმარიტებას.

სამდევიატოვმა ექიმის სიტყვები უცნაური, ენამახვილი კაცის გამოხდომად ჩათვალა. იგი მხოლოდ ქირქილებდა და საწინააღმდეგოს არას ეუბნებოდა.

ამასობაში მატარებელი წინ და უკან მიდი-მოდიოდა. ყოველთვის, როცა ნიშანსვეტის გასასვლელ ისრამდე მიდიოდა, სარტყელზე რძის ბიდონჩამოკიდებულ მოხუც მეისრე ქალს საქსოვი ერთი ხელიდან მეორეში გადაჰქონდა, დაბლა იხრებოდა, გადასაყვანი ისრის დისკოს სწევდა და მატარებელს უკუსვლით აბრუნებდა. სანამ იგი ნელ-ნელა უკან მიგორავდა, წელში სწორდებოდა და მუშტით ემუქრებოდა.

სამდევიატოვი ქალის მოძრაობას თავის თავზე იღებდა, „ნეტა ვის უჯავრდება?" – ფიქრობდა იგი. – „რაღაც მეცნობა, ტუნცევა ხომ არ არის? ის უნდა იყოს. თუმცა მე რა? გლაშასთვის მეტისმეტად ბებერია. ან მე რა შუაში ვარ? დედარუსეთში გადატრიალებებია, რკინიგზებზეც არევ-დარევაა, ამ საცოდავს უჭირს, და მუშტს კი მე მიქნევს, თითქოს დამნაშავე ვიყო. ჯანდაბას მაგისი თავი და ტანი, ეგღა მაკლია, ახლა მაგაზე ვიმტვრიო თავი!"

ბოლოს მეისრემ მატარებელს ალამი დაუქნია, რაღაც დაუყვირა მემანქანეს, ნიშანსვეტის იქით, თავის გზაზე გაატარა და როცა გვერდით მეთოთხმეტე ვაგონმა ჩაუქროლა, იატაკზე მსხდომ მოლაქლაქეებს, თვალში ეკალი რომ ამოუყვანეს, ენა გამოუყო. სამდევიატოვი კი ისევ ჩაფიქრდა.

5

როდესაც ცეცხლმოდებული ქალაქის მიდამოებმა, ცილინდრულმა ავზებმა, სატელეგრაფო ბოძებმა და სავაჭრო რეკლამებმა შორეთში

უკან დაიხიეს, თვალს მიეფარნენ და სულ სხვა ხედები, ჭალები და გორაკები გამოჩნდა, რომელთა შორის შარაგზის მოსახვევები ხშირად მოჩანდა, სამდევიატოვმა თქვა:

– დროა ავდგეთ და ჩვენ-ჩვენ საქმეებს მივხედოთ. მე მალე უნდა ჩავიდე. თქვენც იმის მერე ერთი გადასარბენიღა დაგრჩებათ. ფრთხილად იყავით, არ გამოგეპაროთ.

– აქაური ადგილები ალბათ კარგად იცით.

– გადასარევად. ასი ვერსის რადიუსით. მე ხომ იურისტი ვარ. ოცი წლის პრაქტიკა მაქვს, საქმეები, წასვლა-წამოსვლა...

– და დღევანდლამდე ასე აგრძელებთ?

– მაშ, როგორ.

– რა და რა საქმეების შესრულება შეიძლება ახლა?

– რანაირიც გნებავთ. ძველი, დაუმთავრებელი გარიგებები, ოპერაციები, შეუსრულებელი ვალდებულებები – საქმე ყელამდეა, გაგიჟდება კაცი.

– განა ასეთი საქმეები არ გააუქმეს?

– სიტყვით, რასაკვირველია. საქმით კი ერთი და იმავე დროს ისეთი რამეების გაკეთებაა საჭირო, რაც ერთმანეთს გამორიცხავს. საწარმოების ნაციონალიზაცია გნებავთ, ქალაქის საბჭოს სათბობი თუ საგუბერნიო სახალხო მეურნეობის საბჭოს გამწევი ძალა. თანაც ყველას ცხოვრება უნდა. აი, ეს არის გარდამავალი პერიოდის თავისებურება, როცა თეორია ჯერ კიდევ არ შეესაბამება პრაქტიკას. სწორედ ასეთ დროს არიან საჭირო ჩემისთანა საზრიანი, დაუზარელი ადამიანები. როგორც იტყვიან, კაცი უნდა კაცსა ჰგავდეს, რომ ქვეყანას შემწედ ჰყავდეს. ნახევარ გუბერნიას პურს მე ვაჭმევ. თქვენთანაც ჩამოვალ ხოლმე ხე-ტყით მომარაგების საქმეებზე რა თქმა უნდა, ცხენით მიხდება სიარული დამიკოჭლდა, თორემ კარგად რომ მყოლოდა, ამ ჯაბახანაზე რას ვირახრახებდი! ვერ უყურებთ? ძლივსძლივობით მიიბღოტება და მანქანა კი ჰქვია. ვარიკინოში ჩამოსვლისას გამოგადგებით. იმ თქვენს მიკულიცინებს ხუთი

თითივით ვიცნობ.

– ჩვენი მოგზაურობის მიზანი, ჩვენი განზრახვები თუ არის თქვენთვის ცნობილი?

– დაახლოებით ვხვდები, ზოგი რამ ნათელია. დასაბამიდან უყივის მიწა ადამიანს. თქვენც საკუთარი მარჯვენით ლუკმაპურის მოპოვება გადაგიწყვეტიათ.

– მერე? მგონი ჭკუაში არ მოგდით. რას იტყვით?

– გულუბრყვილო, იდილიური ოცნებაა. თუმცა რა? ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. მაგრამ არ მჯერა. უტოპიური ჩხირკედელაობაა.

– მიკულიცინი როგორღა შეგვხვდება?

– დირეზე ფეხს არ გადაგადგმევინებთ, სულ ცოცხით გამოგყრით და მართალიც იქნება. უთქვენოდაც შავ დღეშია, ათას ხათაბალაში აქვს თავი გაყოფილი, ეს უმოქმედო ქარხნებიო, ეს მიმოფანტული მუშებიო. ერთი სიტყვით, ცხოვრების სახსარი არ აბადია, ლუკმა ენატრება და თქვენი დანახვა, აბა, რა ხეირს დააყრის. რაღა დაგიმალოთ, სასიკვდილოდაც რომ გაგიმეტოთ, ვერ გავამტყუნებ.

– აი, ხომ ხედავთ, ბოლშევიკი ხართ და ვერც თქვენ უარყოფთ, რომ ეს ცხოვრება კი არა, რაღაც არნახული ფანტასმაგორია, უაზრობაა. – რასაკვირველია. მაგრამ ეს ხომ ისტორიული აუცილებლობაა. ეს ეტაპი მაინც უნდა გავიაროთ.

– აუცილებლობა რატომღაა?

– თქვენ რა, ბავშვი ხართ თუ თავს ისულელებთ? მთვარიდან ხომ არ ჩამოფრენილხართ? ღორმუცელა მუქთახორები მშიერ-მწყურვალ ხალხს, როგორც უნდოდათ, ისე დააჭენებდნენ, სულსა ხდიდნენ და ასე უნდა დარჩენილიყო? ახლა სხვა სახის ჩაგვრას და შეურაცხყოფას აღარ იკითხავთ? ნუთუ სახალხო რისხვის, სამართლიანი ცხოვრების სურვილისა და სიმართლის ძებნის კანონზომიერება არ გესმით? თუ გგონიათ, რომ ძირეული მსხვრევის მიღწევა სათათბიროს, პარლამენტარიზმის

გზით იყო შესაძლებელი და ფონს გასვლა დიქტატურის გარეშეც შეიძ-ლებოდა?

– ჩვენ სხვადასხვა რამეზე ვლაპარაკობთ და მთელი საუკუნე რომ ვი-კამათოთ ასე, ვერაფერზე შევთანხმდებით. მე მეტისმეტად რევოლუციუ-რად ვიყავი განწყობილი, ახლა კი მიმაჩნია, რომ ძალადობით ვერაფერს გახდები. სიკეთეს სიკეთით უნდა მიაღწიო. მაგრამ საქმე ამაში როდია. ისევ მიკულიცინებს დავუბრუნდეთ. თუ მართლა ეგ დღე გველის, რაღას მივდივართ? მაშინ უკან უნდა ვიბრუნოთ პირი და ეგ არის. – რა სისუ-ლელეა. ჯერ ერთი, ქვეყანა დიდია და მისი ავკარგიანობა მარტო მიკუ-ლიცინების ხელში როდია. მეორეც, მიკულიცინი საშინლად კეთილი, უკიდურესად კეთილი კაცია. ჯერ კი ახტება-დახტება, გადაირევა, ქვას ააგდებს და თავს შეუშვერს, მერე კი გული მოულბება, ერთადერთ პე-რანგს გაიხდის, უკანასკნელ ლუკმას გიწილადებთ. – და სამდევიატოვმა ასეთი რამ უამბო ექიმს.

6

ოცდახუთი წლის წინათ მიკულიცინი ტექნოლოგიური ინსტიტუტის[79] სტუდენტი იყო, პეტერბურგიდან აქ რომ ჩამოვიდა. პოლიციის მეთვალ-ყურეობით გადმოასახლეს. მიკულიცინი ჩამოვიდა, კრიუგერთან მმარ-თველად მოეწყო და ცოლი შეირთო. აქ, ჩვენთან, ტუნცევების ოთხი და ცხოვრობდა, ერთით მეტი, ვიდრე ჩეხოვთან, – მთელი ურიატინელი მოს-წავლეები იმათ ეტრფოდნენ, – აგრიფინა, ევდოკია, გლაფირა და სერა-ფიმა სევერინოვნები. მამის სახელი გადაუჭიკჭიკეს და ოთხივეს სევერი-ანკები ანუ ჩრდილოელები შეარქვეს. მიკულიცინიც სწორედ უფროს ჩრდილოელზე დაქორწინდა.

მალე ცოლ-ქმარს ვაჟი შეეძინათ. რაკი თავისუფლებას გუნდრუკს

[79] იგულისხმება პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, რუსეთის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებელი (დაარსდა 1828 წელს).

უკმევდა, სულელმა მამამ ბიჭს ლივერი დაარქვა. ლივერი ანუ უბრალოდ ლივკა გალაღებულად იზრდებოდა და არაჩვეულებრივად მრავალმხრივი ნიჭი აღმოაჩნდა. დაიწყო ომი. ლივკამ დაბადების მოწმობა გადაიკეთა და თხუთმეტი წლის ლაწირაკი ფრონტზე მოხალისედ გაიპარა. აგრიფინა სევერინოვნა ისედაც ხშირად ავადმყოფობდა. ეს დარტყმა ვეღარ გადაიტანა, ჩაწვა და ლოგინიდან აღარც ამდგარა. შარშანწინ მოკვდა, ზამთარში, რევოლუციის წინ.

დამთავრდა ომი. ლივერი დაბრუნდა. რა კაცად მოგვევლინა, თუ იცით? სამი ჯვრით დამშვენებულ გმირ პრაპორშჩიკად და, რა თქმა უნდა, ბოლშევიკური პროპაგანდით სულით ხორცამდე გაჟღენთილ ფრონტელ დელეგატად. „ტყის ძმებზე" გსმენიათ რამე?

– არა, მაპატიეთ.

– მაშინ მოყოლას აზრი არა აქვს. ნახევარი ეფექტი იკარგება. აღარც ვაგონიდან იმ შარაგზის ჭვრეტას აქვს აზრი. რით გამოირჩევა იგი? ამჟამად – პარტიზანობით. პარტიზანები ვინღა არიან? ისინი სამოქალაქო ომის მთავარი კადრები გახლავან. ორი საწყისი მონაწილეობდა ამ ძალის შექმნაში. პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც რევოლუციის ხელმძღვანელობა თავის თავზე აიღო, და უბრალო ჯარისკაცობა, წაგებული ომის შემდეგ ძველი ხელისუფლების მორჩილებაზე უარი რომ თქვა. ამ ორი რამის შეერთებით პარტიზანული ლაშქარი მივიღეთ. ჭრელია მისი შემადგენლობა. ძირითადად ესენი საშუალო გლეხები არიან. მაგრამ მათთან ერთად ვის არ ნახავთ. ღარიბები გნებავთ, გაკრეჭილი ბერები თუ კულაკ მამიკოებთან მეომარი შვილიკოები. აქვე არიან იდეური ანარქისტები, უპასპორტო უნიფხოები და გადაბერებული, საშუალო სასწავლებლებიდან გამოპანღურებული ქარიფანტია სასიძოები. არიან განთავისუფლებისა და სამშობლოში გაშვების დაპირებით ფრთაშესხმული ავსტრიელი და გერმანელი სამხედრო ტყვეებიც. და აი, „ტყის ძმებადწოდებული ამ მრავალათასიანი სახალხო არმიის ერთ ნაწილს

მეთაურობს ამხანაგი ლესნიხი, ლივკა, ლივერი ავერკიევიჩი, ავერკი მიკულიცინის ვაჟი.

– რას მეუბნებით!

– რაც გესმით. თუმცა გავაგრძელოთ. ცოლის სიკვდილის შემდეგ ავერკი სტეპანოვიჩმა მეორედ იქორწინა. მისი ახალი ცოლი, ელენე პროკლოვნა – გიმნაზიელია, გვირგვინი პირდაპირ სკოლის მერხიდან გამოიფსკვნა. ბუნებით გულუბრყვილოა, მაგრამ თავს უფრო მეტად იტუტუცებს, ახალგაზრდაა და თავს მთლად აღუობაზე სდებს. აი, სულ ასე იტანჯება და იკვლანჭება, ტიტინებს, ტიკტიკებს, ჭიკჭიკებს და თავს უცოდველ ტუტრუცანად, მინდვრის ტოროლად ასაღებს. დაგინახავთ თუ არა, გამოცდას გიწყობთ. „აბა, მითხარით, გეთაყვა რომელ წელს დაიბადა სუვოროვი?", „ჩამომითვალეთ სამკუთხედების ტოლობის ნიშნები". და თუ ჩაგჭრათ და გამოგიჭირათ, იმის სიხარულს საზღვარი არ აქვს. თუმცა რამდენიმე საათში ნახავთ და ჩემი სიტყვების სიმართლეში დარწმუნდებით.

„მთლად უფროსს" სხვა სისუსტეები აქვს: ჩიბუხი და სემინარიული სლავოფილობა. მისი ასპარეზი ზღვა უნდა ყოფილიყო. ინსტიტუტში გემთმშენებლობას სწავლობდა, და ეს მისწრაფება გარეგნობაში, ჩვევებში შემორჩა. წვერს იპარსავს, მთელ დღეებს ჩიბუხს პირიდან არ იცილებს, სიტყვებს მოწყალედ, აუჩქარებლად სცრის კბილებიდან. როგორც თავგადაკლულ მწეველებს სჩვევიათ, ქვედა ყბა წინ აქვს წამოწეული და ცივი, ნაცრისფერი თვალებით გიყურებთ. ჰო, კინაღამ დამავიწყდა ეს წვრილმანები: ესერია, ამ მხარიდან დამფუძნებელ კრებაშიც[80] აირჩიეს.

– ეს ხომ ძალიან მნიშვნელოვანია. ესე იგი, მამა-შვილი დანასისხლად

---

[80] დამფუძნებელი კრების არჩევნები უკვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის ნოემბერში ჩატარდა. იმის გამო, რომ ბოლშევიკები უმცირესობაში აღმოჩნდნენ (მათ ამომრჩეველთა მხოლოდ 23,9 პროცენტმა დაუჭირა მხარი), 1918 წლის 6(19) იანვარს საბჭოთა მთავრობამ იგი დაითხოვა. დეპუტატთა ნაწილმა თავი სამარას შეაფარა, სადაც 1918 წლის ივნისში ჩამოაყალიბეს დამფუძნებელი კრების კომიტეტი, ე. წ. „კომუჩი".

არიან გადაკიდებული? პოლიტიკური მოწინააღმდეგეები არიან? – ნომინალურად, რა თქმა უნდა. სინამდვილეში კი ტაიგა ვარიკინოს არაფერს ერჩის, თუმცა ისევ გავაგრძელოთ. დანარჩენი ტუნცევები, ავერკი სტეპანოვიჩის ცოლისდები, დღემდე იურიატინში არიან. შინაბერებად დარჩნენ. იცვალნენ დრონი და ის გოგოებიც შეიცვალნენ.

დარჩენილთა შორის უფროსი, ავდოტია სევერინოვნა, ქალაქის სამკითხველოში ბიბლიოთეკარად მუშაობს. სანდომიანი შავგვრემანი, მაგრამ მეტისმეტად მორცხვი ქალბატონია, საუბრისას წამდაუწუმ წითლდება. სამკითხველო დარბაზში დაძაბული, სამარისებური სიჩუმეა. შემოუტევს ქრონიკული სურდო, აუტყდება ცხვირის ცემინება და ბარე ოცჯერ მაინც დააცხიკვებს. სირცხვილისაგან ურჩევნია მიწა გაუსკდეს და თან ჩაიტანოს. არადა, რა ქნას? ნერვიულობისაგან დაემართა. შუათანა, გლაფირა სევერინოვნა, დების სიამაყეა. მართლაც, დიდი ახტაჯანა და შრომით გაუმაძღარი გოგოა. არც ერთ საქმეს არ თაკილობს. საერთო აზრია და ამ აზრს ყველანი ერთხმად იზიარებენ, რომ პარტიზანთა თავკაცი ლესნიხი პირწავარდნილი ეს დეიდაა. თვალს მოჰკრავ, საქსოვ არტელში ან წინდების საწარმოში მუშაობს. მიხედ-მოხედვას ვერ მოასწრებ და უკვე დალაქია. ალბათ შენიშნეთ, იურიატინის მისადგომებთან მეისრე ქალი მუშტით რომ გვემუქრებოდა? ამას არ უყურებ-მეთქი, ჩემთვის ვიფიქრე, გლაფირას ახლა საგზაო საქმისათვის მოუკიდნია-მეთქი ხელი. მაგრამ მგონი ის არ იყო, მეტისმეტად ჩამობერებულს ჰგავდა.

უმცროსი, სიმუშკა, ოჯახის თვალი და გული, განათლებული, ნაკითხი გოგოა. გატაცებული იყო ფილოსოფიით, უყვარდა ლექსები. და აი, რევოლუციის წლებში, საერთო აღმავლობის, ქუჩის მსვლელობების, მოედნებზე ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვების ზეგავლენით შეირყა, რელიგიაში გადავარდა. წავლენ დები სამსახურში, კარს გასაღებით გამოუკეტავენ, ის კი ფანჯრიდან ისკუპებს, ქუჩებში დადის ხელების ქნევით, ხალხს აგროვებს, მეორედ მოსვლას, ქვეყნის აღსასრულს ჰქადაგებს თუმცა ენად გავიკრიფე, ჩემს სადგურს ვუახლოვდები. თქვენ კი შემდეგ

გაჩერებაზე ჩამოხვალთ მოემზადენით.

როცა ანფიმ ეფიმოვიჩი მატარებლიდან ჩავიდა, ანტონინა ალექსანდროვნამ თქვა:

– არ ვიცი, ამ საქმეს როგორ უყურებ, მაგრამ ვფიქრობ, ეს კაცი ბედისწერამ გამოგვიგზავნა. მგონი ჩვენს არსებობაში რაღაცნაირად კეთილისმყოფელ როლს შეასრულებს.

– ადვილი შესაძლებელია, ტონეჩკა. მაგრამ მაინცდამაინც არ მეჭაშნიკება, ეგრერიგად რომ გამსგავსებენ, თანაც ეგრე კარგად ახსოვხართ. აგერ, სტრელნიკოვისა არ იყოს, ვახსენე თუ არა ვარიკინო, იმ წუთშივე ღვარძლიანად მომახალა: „ეს ვარიკინოო, ეს კრიუგერის ქარხნებიო. ნათესავები ხომ არა ხართ? ან იქნებ სულაც მემკვიდრეები ბრძანდებითო?“

ვაითუ უფრო სააშკარაოზე აღმოვჩნდეთ, ვიდრე მოსკოვში, საიდანაც სწორედ ამ მიზნით გამოვიქეცით.

რასაკვირველია, ახლა ვეღარაფერს ვიღონებთ. ვისაც თავს აჭრიან, თმებს არ მისტირის. მაგრამ უმჯობესია ხალხს თვალებში არ გავეჩხიროთ, ჩრდილში ვიყოთ და თავი უბრალოდ გვეჭიროს. საერთოდ, ცუდი წინათგრძნობა მაქვს. მოდი, ჩვენები გავაღვიძოთ, ბარგი ჩავალაგოთ, თასმებით შევკრათ და ჩასასვლელად გავემზადოთ.

7

ანტონინა ალექსანდროვნა ტორფიანაიაში ბაქანზე იდგა და მეათასედ ითვლიდა თავისიანებს და ბარგს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ვაგონში არაფერი დავიწყნოდათ. ფეხქვეშ გატკეპნილ სილას გრძნობდა, გულში დაბუდებული შიში კი, ვაითუ ჩვენს გაჩერებას გავცდეთო, არასდიდებით არა სტოვებდა. თუმცა თვალები არწმუნებდნენ, მატარებელი აქვე, ბაქანზე, შენს წინა დგასო, მისი ხმაური მაინც ყურებში უგუგუნებდა. ეს ხელს უშლიდა, რაიმე დაენახა, გაეგონა ან მოესაზრებინა.

გზად მიმავალი თანამგზავრები ზევიდან, ვაგონის სიმაღლიდან ემშვიდობებოდნენ. ის კი ვერავის ამჩნევდა. ვერც ის შენიშნა, როგორ წავიდა მატარებელი, და ყოველივეს მაშინღა მიხვდა, როცა ანაზდად თვალწინ მეორე ლიანდაგს იქით მწვანე მინდორი და კრიალა ზეცა გადაეშალა.

სადგურის შენობა ქვიტკირისა იყო. შესასვლელში ორივე მხარეს სკამები იყო ჩარიგებული. მოსკოველი მგზავრების, სივცეველების გარდა ტორფიანიაში არავინ ჩამოსულა. მათ ბარგი დაალაგეს და ერთ-ერთ სკამზე ჩამოსხდნენ.

ჩამოსულები გააოცა სადგურში გამეფებულმა სიწყნარემ, სისუფთავემ და უდაბურობამ. ეხამუშებოდათ, ირგვლივ ჯგრო ხალხი რომ არ ყაყანებდა. ცხოვრება აქ მივარდნილი ადგილის შესაფერისად ჩამორჩებოდა ისტორიას, იგვიანებდა. მას ჯერჯერობით დედაქალაქურ ველურობამდე არ მიეღწია.

სადგური არყის ხეების ხეივანში იყო ჩაფლული. ასე გასინჯეთ, აქეთობას რომ უახლოვდებოდნენ, მატარებელში, ცოტა არ იყოს, ჩამობნელდა კიდეც, ხელებს და სახეებს, ბაქნის სუფთა, მოყვითალო ნოტიო სილას, მიწას და სახურავებს მათი ოდნავ დარწეული კენწეროების მთრთოლვარე ჩრდილი ეფინებოდა. ეს ყველაფერი ისეთივე ცინცხალი იყო, როგორც ხეივნის ჩიტების სტვენა. მთელ ტყეში კიდით კიდემდე გაისმოდა უსაშველოდ წმინდა, უცოდველობასავით ალალი, წკრიალა ხმები. ორი გზა ჰკვეთდა ხეივანს, რკინიგზის ხაზი და სოფლის შარაგზა, და ორივე ფართოდ გაშლილი, გრძელი, ფრიალა სახელოებივით ძირს ჩამოწვდილი ხეთა ტოტებით იყო დაბურული.

უცებ ანტონინა ალექსანდროვნას თვალი აეხილა და ყურთასმენა გაუმახვილდა. ყველაფერი ერთად ჩასწვდა სულსა და გულში, ჩიტების გალობაც, ტყის სიმყუდროვეც და ირგვლივ დაღვრილი სიმშვიდის აუმღვრევლობაც. გონებაში სათქმელი ჰქონდა მომზადებული: „არც კი მჯეროდა, მშვიდობით თუ ჩამოვიდოდით. იმას, გესმის, შენს სტრელნიკოვს,

შეეძლო დიდსულოვნება გამოეჩინა და გამოეშვი, აქ კი ტელეგრაფით განკარგულება გამოეგზავნა, როგორც კი ჩამოვლენ, ყველანი სადგურშივე დააპატიმრეთო. არ მჯერა, ჩემო კარგო, მაგათი კეთილშობილებისა. ყველაფერს მხოლოდ სათვალფერისოდ აკეთებენ". წინასწარ გაზეპირებული ამ სიტყვების ნაცვლად სულ სხვა რამე თქვა. – რა მშვენიერებაა! – აღმოხდა იქაური ხიბლის ხილვისას. მეტი ვეღარაფერი თქვა. ყელში ცრემლები მოებჯინა. ხმამაღლა ატირდა.

მისი ზლუქუნის ხმაზე შენობიდან სადგურის მოხუცი უფროსი გამოვიდა. სკამს მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მიუახლოვდა, წითელთავა ფორმის ქუდთან თავაზიანად მიიდო ხელი და იკითხა:

– იქნებ ქალბატონმა დამაწყნარებელი წვეთები ინებოს? სადგურის აფთიაქიდან მოგართმევთ.

– არაფერია. გმადლობთ. გაუვლის.

– გზის საზრუნავის, შფოთვის ბრალია. ცნობილი ამბავია, გავრცელებული. თანაც აფრიკული სიცხეა, ჩვენს არემარეზე ასეთი რამ იშვიათია. ეტყობა, იურიატინის ამბებმაც იმოქმედა.

– აქეთ რომ მოვდიოდით, ვაგონიდან ხანძარს ვხედავდით.

– რუსეთიდან უნდა იყოთ, თუ არ ვცდები.

– ბელოკამენნაიადან.

– მოსკოველები ხართ? მაშ გასაკვირი აღარც არის, რომ ქალბატონს ნერვებმა უმტყუნა. ამბობენ, ქვა ქვაზე აღარ დატოვესო.

– აჭარბებენ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რას აღარ შევესწარით. ეს ჩემი ქალიშვილია, ეს – სიძე. ესეც ამათი პატარაა. ეს კი ჩვენი ახალგაზრდა ძიძაა, ნიუშა.

– გამარჯობათ, გამარჯობათ. ფრიად სასიამოვნოა. ნაწილობრივ გაფრთხილებული გახლავართ. სამდევიატოვმა, ანფიმ ეფიმოვიჩმა, საკმის გადასახვევიდან საგზაო ტელეფონით შემატყობინა. ექიმი ჟივაგო მოსკოვიდან ოჯახით მოდისო, მეუბნება, გთხოვთ, ყოველგვარი დახმა-

რება გაუწიოთო. სწორედ ის ექიმი, როგორც გატყობთ, თქვენა ბრძანდებით?

– არა, ექიმი ჟივაგო, აი, ეს გახლავთ, ჩემი სიძე, მე კი სხვა დარგში ვარ, სოფლის მეურნეობაში, აგრონომიის პროფესორი გრომეკო გახლავართ.

– შევცდი, შემეშალა. მაპატიეთ. მოხარული ვარ თქვენი გაცნობით. – ესე იგი, თქვენი სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, იცნობთ სამდევიატოვს? – მაგ ჯადოქარ კაცს ვინ არ იცნობს. ჩვენი იმედი და მარჩენალია. მაგის გარეშე კარგა ხანია ფეხებს გავფშეკდით. ჰო, იმას მეუბნება, ყოველგვარი დახმარება გაუწიეო. მესმის-მეთქი, ვეუბნები. შევპირდი. ასე რომ, ცხენი ან სხვა რამე საშუალება თუ დაგჭირდეთ, გვიმსახურეთ. საით აპირებთ გამგზავრებას?

– ვარიკინოში. რაო, შორს არის?

– ვარიკინოში? მეც არ გამიკვირდა, თქვენი ქალიშვილი ასე ძალიან ვის მაგონებდა. ვარიკინოში მიდიხართ, არა? მაშინ ყველაფერი გასაგებია. მე და ივან ერნესტოვიჩმა ეს გზა ხომ ერთად გავიყვანეთ! ახლავე დავტრიალდები, შევაბმევინებ. დავუძახებ ვისმე, საზიდარს მოვაყვანინებ, დონატ! დონატ! სანამ საქმეს თავს მოვაბამთ, ეს ბარგი მგზავრთა დარბაზში, მოსაცდელში შეუტანეთ. ჰო, მართლა, ცხენზე რაღას ფიქრობ?

მიდი, ძამია, საჩაიეში გადაირბინე, ჰკითხე, თუ შეიძლება? მგონი ამ დილით ვაკხი აქ დაბორიალებდა. იკითხე, იქნებ არ წასულა? უთხარი, ოთხ კაცს ვარიკინოში წაიყვან-თქო, ბარგი კი თითქმის არც არაფერი აქვთ, ეს-ეს არის ჩამოვიდნენ-თქო. აბა, ყოჩაღად! თქვენ კი მამაშვილურად გირჩევთ, ქალბატონო. მე საგანგებოდ არ გეკითხებით, თუ რა ნათესაობა გაკავშირებთ ივან ერნესტოვიჩთან, მაგრამ ამ მხრივ უფრო ფრთხილად იყავით. ყველას გულს ნუ გადაუშლით. ვერ უყურებთ, რა დროა?

ვაკხის ხსენებაზე შეძრწუნებულებმა ყველამ ერთმანეთს გადახედეს.

მათ ისევ ახსოვდათ განსვენებული ანა ივანოვნას მონაყოლი ამბები ზღაპრულ მჭედელზე, რომელმაც რკინით გამოიჭედა ყოვლისგამძლე შიგნეულობა, აგრეთვე სხვა თქმულებები და დაუჯერებელი ამბები.

8

საზიდარში კვიციანი თეთრი ფაშატი იყო შებმული და მეგზურადაც ერთი გამოლენჩებული, თმაგაბურძგნული, ძელქორივით გათეთრებული ბერიკაცი მიჰყვებოდათ. სხვადასხვა მიზეზით თავით ფეხებამდე თეთრებში იყო გამოწყობილი. ახალთახალი ქალამნები ჯერ ხმარებისგან არ გამუქებოდა, შარვალ-ხალათი კი დრო-ჟამს გვარიანად გაეხუნებინა. თეთრ ფაშატს უკან კუნტრუშით მისდევდა კაფანდარა, კუნაპეტი ღამესავით შავი, თავხუჭუჭა და ხელნაკეთი ჩუქურთმიანი სათამაშოსავით კოხტა კვიცი.

მგზავრები ოღროჩოღრო გზაზე რახრახით მიმავალი საზიდრის კიდეებზე ისხდნენ და, თავი რომ შეემაგრებინათ, ლატანს იყვნენ ჩაფრენილები. გული სიამით ჰქონდათ სავსე. ნაოცნებარი უცხადდებოდათ და საცა იყო, დასახულ მიზანს მიაღწევდნენ. დრო ზანტად მიზოზინებდა და ჯადოსნური, ნათელი დღის ნასამხრალიც მთელი თავისი სიუხვით და მშვენიერებით ჯერ არ დამდგარიყო.

გზა ხან ტყეში შედიოდა, ხან გაშლილ მინდვრებს მიუყვებოდა. ტყეში მგზავრები გზისპირებში ტოტებგაბარჯღულ ხეებს ერიდებოდნენ, იკუზებოდნენ, იღუშებოდნენ და ერთმანეთს ეკვროდნენ. გაშლილ ველზე კი, გაგიხარია, თავს ლაღად გრძნობდნენ. იქ თითქოს სივრცეც გულსავსე იყო. მგზავრებიც წელში იშლებოდნენ, იშმუშნებოდნენ და საზიდარშიც ლაღად, მხარგაშლით ისხდნენ.

მთიანი ადგილები იყო. მთები თავიანთ ჩვეულებას აქაც არ ღალატობდნენ. შორიდან მძლავრად, ქედმაღლურად ჰფენდნენ ჩრდილებს იმ

არემარეს და გულგოროზად სჭვრეტდნენ მიმავალთ. მგზავრებს კვალ-დაკვალ, მინდორ-მინდორ ვარდისფერი სხივი მისდევდა და გულებს შვე-ბით, სასოებით უცისკროვნებდა.

ყველაფერი მოსწონდათ, ყველაფერი აოცებდათ, ყველაზე მეტად კი თავიანთი უცნაური, ბებერი მეეტლის გაუთავებელი რატარუტი, რო-მელშიც აწ გარდასული ძველრუსული ფორმები, თათრული დანაშრევე-ბი და თავად მისი გამონაგონი გაუგებარი აბდაუბდა ერთმანეთში იყო აღრეული.

– როდესაც კვიცი კარგა მანძილით ჩამორჩებოდა, ფაშატი ჩერდებო-და და უცდიდა. ისიც ონავრული, ტალღისებური, თქაფუნა ნახტომებით ეწეოდა, ახლო-ახლო აწოწილი ფეხებით საზიდარს ბანცალ-ბანცალით გვერდიდან უვლიდა, გრძელ კისერს ხელნის იქით იწვდენდა და ნამცეცა თავით დედას ელამუნებოდა.

– მაინც არ მესმის, – უყვიროდა ქმარს ანტონინა ალექსანდროვნა, თან საზიდრის ჯაყჯაყში კბილს კბილზე აცემინებდა და შიშობდა, მო-ულოდნელი შეხტომისას ენის წვერი არ მოეკვნიტა. – ეს ის ვაკხია, რო-მელზეც დედა გვიყვებოდა, თუ არა. გახსოვს, ამაზე რამდენი რამ გვსმე-ნია? ისაო, მჭედელს ჩხუბში ნაწლავები დააყრევინეს, ისიც ადგა და ახ-ლები ჩაიდგაო. მესმის, ყველაფერი ზღაპარია. მაგრამ ნუთუ ის ზღაპარი ამაზეა? ნუთუ ეს ის კაცია?

– რა თქმა უნდა, არა. ჯერ ერთი, შენ თვითონ ამბობ, რომ ეს ზღაპა-რია, ზეპირსიტყვიერება. მეორეც, როგორც დედა ამბობდა, ეს ზღაპარი ხომ უკვე მის დროს ასი წლის იყო. თუმცა ასე რა გვაყვირებს. ბერიკაცი გაიგებს, ეწყინება.

– ვერაფერსაც ვერ გაიგებს, – მძიმედ ესმის. კიდეც რომ მოეყუროს, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს, – ვერ უყურებ, ცოტა აფრაკადაა. – შენ ეი, ფიოდორ ნეფედიჩ! – რატომღაც კაცის სახელით უწყრებოდა მოხუცი ცხენს, თუმცა დანარჩენ მგზავრებზე უკეთ მოეხსენებოდა, რომ საზი-დარში ფაშატი ება და არა ულაყი. – ე რა სიცხეა, კაცო, რა დარდუბალა.

რა ჯანდაბა და დოზანაა, შენ რაღა ეშმაკი დაგემართა, რა ფეხს ითრევ, არ ვიცი! გასწი, შე სამგლევ, შენა!

მერე უეცრად სიმღერის საღერღელი ეშლებოდა და იქაურ ქარხნებში ოდესღაც შეთხზული სიმღერებიდან რაც გაახსენდებოდა, იმას გაჰყვიროდა:

მშვიდობით, ძველო და მაგარო
კანტორავ, სახლო და მაღარო.
გუბურის წყალუკა დავლიე,
ცხოვრებაც ტკბილ-მწარედ გავლიე.
ნაპირ-ნაპირ გედი ცურავს,
ამ ჩემს გულს კი დარდი ჰბურავს.
მე განა ღვინისგან ვბარბაცებ,
ვანია მიუდით სალდათში.
მაშა, განა ტუტუცი ვარ,
მაშა, განა სულელი ვარ...
სელაბ-ქალაქს[81] მიმავალი
ჯამაგირის მსურველი ვარ.

– ჰეი, ფაშატო, ხომ არ დაგშანთო! შეხედეთ, ხალხო, ამ სამგლეს, ამასა, ფეხს როგორ მიითრევს! შენ ეუბნები, წადიო, ისა კიდენა: ჩადიო, ჰეი, ფედია-ნეფედია, გასწი, შე შარახვეტია. მაგ ტყეს რო უყურებთ, მაგას ტაიგას ეტყვიან, არც ბოლო აქვს და არც დასასრული. მანდ ხალხის ძალაა, გლეხისა, ო-ო-ო! მანდა ტყის ძმები არიან. ჰეი, ფედია-ნეფედია, ისევ გაჩერდი, შე მგლის არჩივო, შენა, ჰა?

ერთბაშად უკან შემოტრიალდა, ანტონინა ალექსანდროვნას თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

– ამდონი ხანია გიყურებ და ვფიქრობ, ვინ არი მეთქი ეს ახალგაზრდა? დამაცა ერთი, კიდენ შეგბედო. მიწა გამისკდეს და შიგ ჩამიტანოს,

[81] სელაბ-ქალაქი – ჩელიაბინსკი.

თუ ვტყუოდე, გიცანი! გიცანი! თულებს არ ვუჯერი, გამოცხადებული გრიგოვი ხარ! (თულებს ბერიკაცი თვალებს ეძახდა, ხოლო გრიგოვს – კრიუგერს). ისა, შემთხოვითა: შულიშული ხომ არა ხარ? რაო, გრიგოვს საიდან იცნობო? მე იმასთანა ჩემი დღენი მიტარებია, კბილები იმასთან შემიჭამია, მაშა! ყოლა ხელობა მიქნია იმასთანა, ხე-ტყეზე გინდა თუ თავლა-საჯანაბო, მაშა! გაინძერი, შე სამგლე, შენა! ამას ვერ უყურებთ, ისევ გაოჩნდა ეს სასიკვდილე. არ გესმის, შე ოხერო? შენ გეუბნებიან!

შენ იმას ამბობ, რომელი ვაკხია, ის მჭედელი ხომ არ არისო? რაებსა ბოდავ, დედავ, ასეთი კოხტა ქალბატონი ხარ, შტერი კი ყოფილხარ. იმ შენს ვაკხსა პოსტანოგოვს ეძახდნენ. რკინის ფაშვიანი პოსტანოგოვი ბარემ ნახევარი საუკუნეა, მიწაშია. ჩვენ კი ახლა, პირიქით, მეხონოშინებს გვეძახიან. სეხნიები ვართ, სახელები საერთო გვაქ, გვარები – სხვადასხვა. როგორც იტყვიან, ეგეც ზღვა არი, მაგრამ სხვა არი. ბერიკაცმა თავისი სიტყვებით მოუთხრო მგზავრებს მიკულიცინებზე ყოველივე, რაც მათ სამდევიატოვისაგან უკვე იცოდნენ. კაცს იგი მიკულიჩს უწოდებდა, ქალს კი – მიკულიშნას. მმართველის ახლანდელ ცოლს „მეორედ ნათხოვნს" ეძახდა, „პირველს", განსვენებულს კი – თაფლივით ქალად, თეთრ ქერუბიმად იხსენიებდა. როდესაც სიტყვა პარტიზანების მოთავე ლიევერზე ჩამოვარდა, როცა შეიტყო, მოსკოვამდე ჯერ მის დიდებას არ მიუღწევია და ტყის ძმებზეც ბევრი არაფერი სმენიათო, საკუთარ ყურებს არ დაუჯერა:

– არ გაგიგიათ? ამხანაგ ლესნიზე არაფერი გაგიგიათ? ნეტა ვიცოდე, მაშ რიღითვინ უნდა მოსკოვსა ყურები?

მოსაღამოვდა. მიმავალთა წინ მათივე ჩრდილები უფრო და უფრო გრძელდებოდნენ და ისევ წინ მიეშურებოდნენ. გზა ვრცელ, ცარიელ სივრცეს მიუყვებოდა. აქა-იქ მიწის გულიდან კონებად ამოწვდილიყვნენ თათაბოს, თავცეცხლას და თხაწართხალას კენწეროებში აყვავებული გაკაჭაჭებული მაღალი ღეროები. დაისის შუქით გაბრწყინებულნი ისე მოჩანდნენ, თითქოს მინდორში შიგადაშიგ საგუშაგოები ჩაუდგამთო.

მინდვრის ბოლოში, შორს, ვაკე ერთბაშად კედელივით აღმართულ მაღლობს ებჯინებოდა. იგი გზის გარდიგარდმო იყო გალაჯულ-გაჩაჩხული და ეტყობოდა, ძირში ხევი ან მდინარე გასდევდა. თითქოს ზეცა გადაუღობავთ და ეს თემშარაც საგანგებოდ მის ჭიშკართან მიუყვანიათო.

ქარაფის თავზე თეთრი, წაგრძელებული ერთსართულიანი სახლი იდგა. – ხედავ, იმ კოშკსა? – თქვა ვაკხმა. – შენი მიკულიჩი და მიკულიშნაა. – მაგის ქვეშა კიდენა ხევია, შუტმას ეძახიან.

იქიდან ზედიზედ ორჯერ გავარდა თოფი. მისმა ქუხილმა არემარეს გადაუარა და ხევხუვებში უამრავ წვრილ-წვრილ გამოძახილად დანაწილდა.

– რაშია საქმე? პარტიზანები ხომ არ არიან, პაპა? ჩვენ ხომ არ გვესვრიან?

– ღმერთი გფარავდეთ. რომელი პარტიზანები. სტეპანიჩი მგლებს აფრთხობს შუტმაში.

9

ჩამოსულების და მასპინძლების პირველი შეხვედრა პაწია სადირექტორო სახლის ეზოში გაიმართა. ჯერ ყველაფერი გულის გამაწვრილებელმა სიჩუმემ მოიცვა, მერე კი ყველა ერთად აყაყანდა, ყველაფერი ერთმანეთში აირ-დაირია.

ელენა პროკლოვნა ტყეში სასეირნოდ ყოფილიყო და იქიდან ბრუნდებოდა. თითქმის მისი თმის ფერი ჩამავალი მზის სხივები მისგან გავლილ ბილიკებზე მთელ ტყეში ხიდან ხემდე იყო გახლართული. ელენა პროკლოვნას ზაფხულის შესაფერისად, შილიფად ეცვა, ერთიანად აწითლებულიყო და გახურებულ სახეს ცხვირსახოცით იწმენდდა. შიშველ ყელზე უკან გადაგდებული ჭილის ქუდის რეზინი მოუჩანდა.

მოპირდაპირე მხრიდან დაბრუნებული მისი ქმარი მოდიოდა. ხელში თოფი ეჭირა. გასროლისას ხინჯი შენიშნა და ახლა კვამლიანი ლულების

გაწმენდას აპირებდა.

უეცრად, თითქოს ციდან ჩამოვარდაო, ეზოში ქვით მოკირწყლული შესასვლელიდან თავის საჩუქრებიანად ომახიანად შერახრახდა ვაკხის საზიდარი.

მცირე ხნის შემდეგ იქიდან სხვებთან ერთად გადმოსული ალექსანდრ ალექსანდროვიჩი მასპინძლის წინაშე იდგა, ქუდს ხან იხდიდა, ხან იხურავდა და ბორძიკ-ბორძიკით უხსნიდა მისი ოჯახის ჩამოსვლის ამბავს.

ჩიხში მიმწყვდეული მასპინძლების ნამდვილი და არა მოჩვენებითი შეცბუნება და სირცხვილის ალმურმოდებული საცოდავი სტუმრების გულწრფელი დაბნეულობა რამდენიმე წამს გრძელდებოდა. მდგომარეობის მთელი სირთულე მარტო მონაწილეებს კი არა, ვაკხს, ნიუშას და შურაჩკასაც კარგად ესმოდათ. თითქოსდა მძიმე დუმილის უხერხულობა გადაედო ფაშატს და მის კვიცს, მზის ოქროსფერ სხივებს და იმ კოღოებსაც, რომლებიც ელენა პროკლოვნას გარშემო ზუზუნებდნენ ყელზე და სახეზე ასხდებოდნენ.

– არ მესმის, – დაარღვია ბოლოს დუმილი ავერკი სტეპანოვიჩმა. – არ მესმის, არაფერი მესმის და ვერც ვერასოდეს გავიგებ. ჩვენთან რა, სამხრეთია, თეთრები თუ პურის გუბერნია? რაღა ჩვენზე შეაჩერეთ არჩევანი, რაღა ჩვენთან ინებეთ მობრძანება?

– საინტერესოა, იფიქრეთ თუ არა, რა პასუხისმგებლობას აკისრებდით ავერკი სტეპანოვიჩს?

– ხელს ნუ მიშლი, ლენოჩკა. თუმცა რა, მართალია, ცამდე მართალი. გიფიქრიათ იმაზე, რამოდენა ტვირთია ეს ჩემთვის?

– გფარავდეთ უფალი, ვერ გავიგეთ. განა რაზეა ლაპარაკი? ძალიან მცირეზე, ერთი ბეწო რამეზე. თქვენ და თქვენს სიმშვიდეს არავინ ერჩის. ერთი პატარა კუნჭული დაგვითმეთ რომელიმე დანგრეულ შენობაში. ერთი თაგვის კუდის მოქნევა, უპატრონოდ მიგდებული, მოცდენილი მიწის ნაჭერი გვიწილადეთ. იღლია შეშას მოვიტანთ ტყიდან, როცა ვერავინ დაგვინახავს. ნუთუ ეს ბევრია, განა თქვენ ამით დაგაკლდებათ რამე?

– კი მაგრამ, ქვეყანა დიდია. ჩვენ რა შუაში ვართ? ეს პატივი რაღა ჩვენ გვერგო და არა სხვას?

– ჩვენ გიცნობთ და იმედი გვქონდა, ცოტა რამ ჩვენზე თქვენცა გსმენოდათ. გვეგონა, უცხოები არ ვიყავით და ერთმანეთს უსიტყვოდაც გავუგებდით.

– აჰა, კრიუგერების ახლობლები ხართ და მაგის იმედზე იყავით, არა? ანკი ენა როგორ გიბრუნდებათ, ჩვენს დროში როგორ შეიძლება ამგვარი რამის გამჟღავნება?

ავერკი სტეპანოვიჩს სწორნაკვთებიანი სახე და უკან გადავარცხნილი თმები ჰქონდა. ფართოდ დააბიჯებდა და ზაფხულობით გვერდზე ჩაჭრილ, წელში ჩახსაკრავის ფუნჯიან სარტყელშემოჭერილ ხალათს იცვამდა. უწინ ასეთი ადამიანები მეკობრეობდნენ, ახალ დროებას კი მარადიულ სტუდენტებად, მეოცნებე მასწავლებლებად მოევლინენ.

მთელი თავისი ახალგაზრდობა ავერკი სტეპანოვიჩმა გამათავისუფლებელ მოძრაობას, რევოლუციას შეალია და მხოლოდ იმისი ეშინოდა, რომ მას ვეღარ მოესწრებოდა, ან თუ ბედი გაუღიმებდა, თავისი ზომიერებით იგი ვერ დააკმაყოფილებდა მის უკიდურეს, სისხლიან ვნებებს. და აი, ისიც მოვიდა, მისი ყველაზე გაბედული ვარაუდები გულდაღმა დასცა, ის კი, იმთავითვე თავგადაკლული მუშათმოყვარე, კაცი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შექმნა „სვიატოგორის გოლიათის" საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი და იქ მუშათა კონტროლი დააწესა, პირში ჩალაგამოვლებული დარჩა, საქმის სათავეში კი არა, გამოცარიელებულ დაბაში აღმოჩნდა, საიდანაც მიმოიფანტნენ მუშები, რომლებიც აქ უფრო მენშევიკებს მიჰყვებოდნენ. და აი, ახლა ეს უაზრობა, კრიუგერების დაუპატიჟებელი ნაშიერები ბედის დაცინვად, მის მორიგ ხრიკად ეჩვენებოდა და მოთმინების ფიალას უვსებდა.

– არა, ეს გაუგონარი სასწაულია, წარმოუდგენელია. გესმით თუ არა, რა საფრთხეს მიქმნით, რა მდგომარეობაში მაყენებთ? არა, ნამდვილად გავგიჟდები. არ მესმის, არაფერი მესმის და ვერც ვერასოდეს გავიგებ. –

საინტერესოა, ხვდებით თუ არა, უთქვენოდაც რა ვულკანზე ვართ? – დამაცა, ლენოჩკა. არადა, ეს ჩემი ცოლი მართალია. უთქვენოდაც არ გვაკლია ხათაბალა და დარდუბალა. პირდაპირ ძაღლური ცხოვრებაა, სახლი კი არა, საგიჟეთია. ორცეცხლშუა ვართ და გამოსავალი ვერ გვიპოვია. ერთნი ტაბიკებს ამტვრევენ, ასე წითელი შვილი რათა გყავსო, ბოლშევიკიო, ხალხის თვალის ჩინიო. სხვებს ის არ მოსწონთ, შენ თვითონ დამფუძნებელ კრებაში რად აგირჩიესო. ვერავის გულს ვერ მოიგებ, ადექი და იხტუნავე, რამდენიც გინდა. და აჰა, თქვენც ჩამოხვედით. კარგი რამ იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა, თქვენი გულისთვის დასახვრეტად რომ წამიყვანონ.

– რას ბრძანებთ! როგორ გეკადრებათ! ღმერთო კი მომკალი!

ცოტა ხნის შემდეგ მიკულიცინს გული მოუბრუნდა და რისხვა წყალობით შეეცვალა.

– კარგი, გვეყოფა, ვიჯაჯღანეთ ეზოში და საკმარისია. – ამბობდა იგი – ზოგიც სახლში ვთქვათ. კარგს, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ჯანდაბას, მოხდეს მოსახდენი. არც იანიჩრები ვართ ჩვენა და არც ბასურმანები. ტყეში დათვების შესაჭმელად ვერ გაგიმეტებთ. ლენოკ, მე მგონი კაბინეტის გვერდით, პალმებიან ოთახში წავიყვანოთ. იქ მოვიფიქროთ, სად დავასახლოთ. მგონი სჯობია, პარკში მივცეთ ბინა. სახლში მობრძანდით. უმორჩილესად გთხოვთ. შემოიტანე ბარგი, ვაკხ, მოემსახურე ჩამოსულებს.

ვაკხი ბრძანების შესრულებას შეუდგა, თან ოხრავდა:

– ეჰ, საცოდავები! ნეტა რა აბადიათ, რო! მარტო ბოხჩებია. ერთი ჩუმადალიც არა აქვთ წამლათა.

10

ცივი ღამე დაიჭირა. ჩამოსულებმა ხელ-პირი დაიბანეს. ქალებმა სასტუმრო ოთახში ლოგინი გაშალეს, შუროჩკა მიჩვეული იყო, რომ მისი

ბავშვური ტიტინი დიდებს ყოველთვის სიხარულს ჰგვრიდა, ამიტომ გემოვნებას ანგარიშს უწევდა და გატაცებით ტიკტიკებდა. თუმცა დღეს მისთვის არავის სცხელოდა, ყური არავინ ათხოვა. ისედაც უკმაყოფილო იყო, სახლში ყორანა კვიცი რომ არ შემოუშვეს, და როცა უყვირეს, დაწყნარდიო, ღრიალი მორთო. ეშინოდა, რაკი უხეირო ბავშვი ვარ, ისევ იმ მაღაზიაში არ გამაბრუნონ, სადაც მიყიდესო. თავის გულწრფელ შიშს ხმამაღლა გამოთქვამდა, მაგრამ მისი საყვარელი ჟღურტული ახლა აღარავიზე მოქმედებდა. სხვის სახლში ყოფნით შებოჭილი უფროსები ჩვეულებრივზე სწრაფად მოძრაობდნენ და თავ-თავიანთ საფიქრალს უხმოდ მისცემოდნენ. შურუჩკას სწყინდა და, როგორც ძიძები ამბობენ, ჭირვეულობდა. ბავშვი დააპურეს და რის ვაი-ვაგლახით დააწვინეს დასაძინებლად. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა. ნიუშა სავახშმოდ და სახლის ავან-ჩავანზე საჭორაოდ წაიყვანა მიკულიცინის უსტინიამ. ანტონინა ალექსანდროვნა და კაცები საღამოს ჩაიზე მიიწვიეს.

ალექსანდრ ალექსანდროვიჩმა და იური ანდრეევიჩმა წუთით გარეთ გასვლის ნება ითხოვეს და პარმაღზე გავიდნენ სუფთა ჰაერზე. – რამდენი ვარსკვლავია! – თქვა ალექსანდრ ალექსანდროვიჩმა. ბნელოდა. პარმაღზე ერთმანეთისაგან ორიოდე ნაბიჯზე მდგარი სიძე-სიმამრი ერთმანეთს ვერ ხედავდა. უკნიდან კი, სახლის კუთხიდან, ლამფის შუქი ფანჯრიდან ხევში ეცემოდა. მის გზაზე ნოტიო სიცივეში ბუნდოვნად მოჩანდა ბუჩქები, ხეები და კიდევ ძნელად გასარჩევი რაღაც საგნები. ნათელი ზოლი მოსაუბრეებს არ ეცემოდა და მათ ირგვლივ სიბნელეს უფრო აშავებდა.

– ხვალ დილითვე უნდა დავათვალიეროთ ის მინაშენი, რომელიც დაგვითმო, და თუ საცხოვრებლად ვარგისია, სასწრაფოდ შევაკეთოთ. ვიდრე ჩვენს კუთხეს მოვაწესრიგებთ, ამასობაში ნიადაგსაც ეშველება, მიწა გათბება. მაშინ წუთიც არ უნდა დავკარგოთ და კვლებში ჩავდგეთ. მგონი დაგვპირდა, სათესლე კარტოფილით დაგეხმარებითო. თუ მომეყურა? – დაგვპირდა, დაგვპირდა. სხვა თესლეულსაც მოგცემთო. ჩემი

ყურით გავიგონე. ის კუთხე კი, რომელსაც გვთავაზობს, აქეთ რომ მოვდიოდით, პარკში ვნახეთ. იცით სად? საბატონო სახლს უკან, ჭინჭარში იყო ჩაფლული. ხისაა, თავად სახლი კი ქვიტკირითაა ნაშენი. საზიდრიდან დაგანახეთ, გახსოვთ? მე რომ მკითხოს კაცმა, კვლებსაც იქვე გავაკეთებდი. მგონი იქ ადრე ყვავილნარი ყოფილა. შორიდან ისე მომეჩვენა. იქნებ ვცდებოდე. ბილიკებს უნდა მოვუაროთ, ძველი ყვავილნარის მიწა კი ალბათ კარგადაა გაპოხიერებული და ნეშომპალითაც მდიდარია.

– ხვალ ვნახავთ. ახლა ვერაფერს გეტყვი. ნიადაგზე ალბათ ბალახმა გადაიარა და ქვასავითაა. კარმიდამოში ბოსტანიც ექნებოდათ. იქნებ ნაკვეთი შემორჩა და ცარიელია. ყველაფერს ხვალ გავარკვევთ. დილდილობით ალბათ უკვე სუსხია. ღამით უთუოდ ყინვები იქნება. რა ბედნიერებაა, რომ უკვე აქ ვართ. შეგვიძლია ერთმანეთს მივულოცოთ, აქ კარგია. მომწონს.

– ძალიან კარგი ადამიანებია, განსაკუთრებით კაცი. ქალი კი ცოტა პრანჭიაა. ასე მგონია, რაღაცითაა უკმაყოფილო, რაღაც არ მოსწონს. მისი გაუთავებელი, სულელური ენაკაჭკაჭობაც აქედანაა. თითქოს ცდილობს, თავისი გარეგნობიდან ყურადღება სხვა რამეზე გადაგატანინოს, უხეირო შთაბეჭდილება გაგიფანტოსო. ქუდის მოხსნა რომ ავიწყდება და მხრებით დაათრევს, არც ეგ არის დაბნეულობის ბრალი. ეგეთი ქცევა სწორედ მაგისთანებზეა ზედგამოჭრილი.

– ოთახში დავბრუნდეთ. დიდხანს მოგვიხდა აქ ყოფნა, უხერხულია. გაჩახჩახებულ სასადილო ოთახში, სადაც მასპინძლები და ანტონინა ალექსანდროვნა დაკიდული ლამფის ქვეშ მდგარ მრგვალ მაგიდაზე დადგმულ სამოვარს მისხდომოდნენ და ჩაის სვამდნენ, სიძე-სიმამრი დირექტორის ჩაბნელებული კაბინეტის გავლით შევიდნენ.

კაბინეტის მთელი კედელი, უშველებელი შუშის ფანჯარა, ხევს გადაჰყურებდა. ვიდრე სინათლე იყო, ექიმმა შენიშნა, რომ ფანჯრიდან მთელი იმ გაღმა ვაკის ხედი მოჩანდა, რომელიც ვაკხმა გადმოატარა, ფანჯარასთან ასევე მთელი კედლის გაყოლებით იდგა საპროექტო თუ

სახაზავი ფართო მაგიდა. კედლის გასწვრივ სანადირო თოფი იდო, მარჯვნივ და მარცხნივ თავისუფალი კიდეები იყო და მისი ჩრდილი მაგიდას ეფინებოდა.

ახლა, კაბინეტის გავლისას, იური ანდრეევიჩმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა შურით ფართო ხედიანი ფანჯარა, ვრცელი მაგიდა, კარგად გაწყობილი დიდი ოთახი. როცა ალექსანდრ ალექსანდროვიჩთან ერთად სასადილოში, ჩაის მაგიდას მიუახლოვდა, ვერ მოითმინა და მასპინძელთან საუბარში აღმოხდა:

– რა დიდებული ადგილები გქონიათ. თანაც რა მშვენიერი კაბინეტი გაქვთ, კაცს პირდაპირ მუშაობის საღერღელს უშლის, ეძახის და აღაფრთოვანებს.

– ჭიქაში დაგისხათ თუ ფინჯანში? როგორი უფრო მოგწონთ, მუქი თუ ბაცი?

– შეხედე, იუროჩკა, ავერკი სტეპანოვიჩის შვილს პატარაობაში რა კარგი სტერეოსკოპი გაუკეთებია.

– ის ჯერ კიდევ პატარაა, ჯერ არ გაზრდილა, თუმცა კომუჩს ოლქს ოლქზე ართმევს და საბჭოთა ხელისუფლებას ამყარებს.

– როგორ თქვით?

– კომუჩს-მეთქი.

– ეგ რაღას ნიშნავს?

– ეს ციმბირის მთავრობის ჯარებია, რომლებიც დამფუძნებელი კრების ხელისუფლების აღდგენისათვის იბრძვიან.

– მთელი დღეა, თქვენი ვაჟის ქება გვესმის. შეგიძლიათ სამართლიანად იამაყოთ.

– ეს ურალის ორმაგი, სტერეოსკოპული ხედებიც მისი ნახელავია. თვითნაკეთი ობიექტივით გადაიღო.

– ლავაშები საქარინითაა გამომცხვარი? ჩინებული ნამცხვარია. – რას ბრძანებთ! ასეთი მიგდებული მხარე და საქარინი? ვინ მოგვცემს. ჩვეულებრივი შაქარია. შაქარი ხომ საშაქრიდან ჩაგიყარეთ. ნუთუ ვერ

შეამჩნიეთ?

– დიახ, მართლაც ეგრე ყოფილა. ფოტოებს ვათვალიერებდი. მგონი ჩაიც ბუნებრივია, არა?

– ყვავილოვანია, რაღა თქმა უნდა.

– საიდან?

– ეგრეთი ნატვრის სუფრა გვაქვს. ერთი ნაცნობი გვყავს, თანამედროვე მოღვაწეა, მეტისმეტად მემარცხენე შეხედულებების კაცი. საგუბერნიო სახალხო მეურნეობის საბჭოს ოფიციალური წარმომადგენელია.

ჩვენგან ხე-ტყე მიაქვს ქალაქში, აქეთ კი ნაცნობობით ბურღულით, კარაქით, ფქვილით გვამარაგებს. სივერკა (ასე ეძახდა ქალი თავის ავერკის), სივერკა, ეგ ორცხობილა მომიწიე აქეთ. ახლა კი, საინტერესოა, მიპასუხებთ თუ ვერა, რომელ წელს გარდაიცვალა გრიბოედოვი? – მგონი ათას შვიდას ოთხმოცდათხუთმეტ წელს დაიბადა, მაგრამ როდის მოკლეს, ზუსტად აღარ მახსოვს.

– ჩაის დაგისხამთ კიდევ.

– არა, გმადლობთ.

– ახლა მითხარით, როდის და რომელ ქვეყნებს შორის იქნა დადებული ნიმვეჰენის ზავი?[82]

– ნუ აწვალებ, ლენოჩკა, ნამგზავრი ხალხია. აცალე, დაისვენონ. – ახლა აი, რა მაინტერესებს. თუ შეგიძლიათ, ჩამომითვალეთ, რა და რა სახის გამადიდებელი შუშები იცით და რა შემთხვევებში მიიღება ნამდვილი, შებრუნებული, სწორი და წარმოსახვითი გამოსახულებები? – საიდან იცით ფიზიკა ასე კარგად?

– იურიატინში ერთი ბრწყინვალე მათემატიკოსი გვყავდა. ორ გიმნაზიაში ასწავლიდა ერთდროულად, ვაჟებთან და ჩვენთან. მერე როგორ

[82] დადებული იქნა ნიდერლანდების ამავე სახელწოდების ქალაქში 1679 წელს და ამით დასრულდა ე. წ. ჰოლანდიის ომი (1672-1678) საფრანგეთსა და ჰოლანდიის კოალიციებს შორის.

გვიხსნიდა, როგორ გვიხსნიდა! ღმერთივით! მთელ მასალას გადაგვიღეჭავდა და ისე გვაძლევდა. გვარად ანტიპოვი იყო და ცოლადაც აქაური მასწავლებელი ჰყავდა. გოგოები მასზე ჭკუას ჰკარგავდნენ, ყველას უყვარდა. ომში წავიდა მოხალისედ და აღარ დაბრუნებულა, მოკლეს. ზოგი ამტკიცებს, ჩვენი ღვთის რისხვა და ცით მოვლენილი დამსჯელი, კომისარი სტრელნიკოვი, გაცოცხლებული ანტიპოვიაო. რასაკვირველია, ზღაპარია. და არცა ჰგავს. თუმცა ვინ იცის. ყველაფერია შესაძლებელი, კიდევ ერთი ფინჯანი, თუ შეიძლება.

ნაწილი მეცხრე

ვარიკინო

1

ზამთარში, როცა დრო უფრო მეტი ჰქონდა, იური ანდრეევიჩმა სხვადასხვა სახის ჩანაწერების გაკეთება დაიწყო. მან ჩაიწერა: „რა ხშირად უნდა ადამიანს ტიუტჩევთან ერთად თქვას ზაფხულობით:

რა ზაფხულია, ო, რა ზაფხული!

ირგვლივ გრძნეული მადლი ტრიალებს.

და გეკითხებით: ეგზომ ზღაპრული

განძი ვინ გვიძღვნა ადამიანებს?

რა ბედნიერებაა, განთიადიდან განთიადამდე მუშაობდე შენთვის და ოჯახისათვის, დაადგა სახლს სახურავი, დაამუშაო მიწა შენიანების გამოსაკვებად, რობინზონის მსგავსად მოიწყო ირგვლივ გარემო, შემოქმედს მიბაძო სამყაროს შექმნაში და მშობელი დედის კვალად კვლავ და კვლავ მოავლინო თავი შენი ამ ქვეყანაზე.

რამდენი აზრი გაიელვებს გონებაში, რამდენ სიახლეს მოისაზრებ, ვიდრე ხელი გართულია მიწის მუშის თუ კირითხუროს კუნთოვანი სამუშაოთი; სანამ თავს გონივრულ, ფიზიკურად გადასაწყვეტ ამოცანებს უყენებ, რომელნიც შესრულებისათვის სიხარულით და წარმატებით გაჯილდოებენ; სანამ ექვსი საათის განმავლობაში თავაუღებლივ უკირკიტებ რაიმეს ნაჯახით ან მიწასა სთხრი ღია ცის ქვეშ, რომელიც კურთხეული სუნთქვითა გწვავს. და ის, რომ ეს აზრები, მიხვედრები და მიახლოებანი ქაღალდზე კი არ გადადის, მთელი თავისი წარმავლობით დავიწყებას ეძლევა, დანაკარგი კი არა, შენაძენია. ქალაქელო განდეგილო, მოთენთილი ნერვებისა და წარმოსახვის გაცოცხლებას მაგარი შავი ყავით ანდა თუთუნით რომ ლამობ, არაფერი გაგეგება ყველაზე მძლავრი ნარკოტიკისა, ჭეშმარიტ გაჭირვებასა და მტკიცე სიჯანსაღეში რომ მდგომარეობს.

რაც ვთქვი, იმაზე შორს აღარ წავალ, ტოლსტოისებურ გამარტივებას და მიწისაკენ მიბრუნებას არა ვქადაგებ, სულ არ ვეწევი სოციალიზმის

რევიზიას აგრარულ საკითხში. მხოლოდ ფაქტს ვადგენ და ჩვენს შემთხვევით წარმართულ ბედს სისტემად არ ვსახავ. ჩვენი მაგალითი საკამათოა და დასკვნისათვის არ გამოდგება. ჩვენი მეურნეობა მეტისმეტად სხვადასხვაგვარი შემადგენლობისაა. მის მხოლოდ მცირე ნაწილს, ბოსტნეულის და კარტოფილის მარაგს, ვუმადლით საკუთარ მარჯვენას, ყველა დანარჩენი სხვა წყაროდან მომდინარეობს.

ჩვენი მიწათსარგებლობა უკანონოა. იგი თვითნებურადაა დაფარული სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი აღრიცხვისაგან. ჩვენს მიერ ტყის კაფვა – ქურდობაა, რამეთუ საქმეს ვერც ისა შველის, რომ ჩვენ ახლა სახელმწიფოს ჯიბიდან ვიპარავთ იმას, რაც ადრე კრიუგერების საკუთრებას შეადგენდა. ჩვენ დაახლოებით იმავე წესით მცხოვრები მიკულიცინის თვალის მოხუჭვა გვიფარავს, გვშველის მანძილი, ქალაქიდან დაშორება, სადაც, საბედნიეროდ, ჩვენი ოინების თაობაზე ჯერ არაფერი იციან.

მედიცინაზე უარი ვთქვი. აღარსად ვამხელ, ექიმი რომ ვარ, რათა საკუთარი თავისუფლება არაფრით შევბორკო. მაგრამ რომელიღაც კეთილი სული ქვეყნის დასალიერამდე ატყობინებს ხალხს, რომ ვარიკინოში ექიმი დასახლდა. ოცდაათი ვერსის იქიდან ჩამოდიან რჩევის საკითხავად ზოგი ქათმით, ზოგი კვერცხებით, ზოგიც კარაქით ან სხვა რაიმეთი. როგორც არ უნდა ვატატანო ხელები ჰონორარის მიღებაზე, არაფერი გამოდის, რადგან ხალხს არა სჯერა უანგარო, მუქთად ნაშოვნი რჩევისა. ასე რომ, საექიმო პრაქტიკაც რაღაცას მაძლევს. მაგრამ ჩვენი და მიკულიცინის უმთავრესი დასაყრდენი სამდევიატოვია. გონებისათვის მიუწვდომელია, თუ რა წინააღმდეგობებს აერთიანებს თავის თავში ეს ადამიანი. იგი გულწრფელად ემხრობა რევოლუციას და სრულიად ღირსეულად იმსახურებს იმ ნდობას, რასაც იურიატინის ქალაქის საბჭო იჩენს მის მიმართ. თავისი ყოვლისშემძლე უფლებამოსილებით მას შეუძლია ვარიკინოს მთელი ტყის რეკვიზიცია მოახდინოს და გაზიდოს, ისე, რომ

ჩვენ და მიკულიცინს სიტყვას არ გვეტყვის, ჩვენ კი ბუზსაც ვერ ავუფრენთ. მეორე მხრივ, ხაზინის გაქურდვაც თუ მოინდომა, შეუძლია არხეინად ჩაილაგოს ჯიბეებში, რაც და რამდენიც მოესურვება, და, ასევე, კრინტსაც არავინ დასძრავს. არც გამყოფი ჰყავს ვინმე და არც მოზიარე. მაშ რაღა აიძულებს, ჩვენზე იზრუნოს, მიკულიცინს დაეხმაროს და მთელ ოლქს თავზე დაჰფოფინებდეს, მაგალითად, ტორფიანაიას სადგურის უფროსს მწედ და ბჭედ ედგეს? იგი ერთთავად დაიარება, რაღაცას შოულობს და მოაქვს, ერთნაირი გატაცებით არჩევს და განმარტავს დოსტოევსკის „ავსულებს" თუ კომუნისტური პარტიის მანიფესტს, და მეჩვენება, თავისი დღენი ასე აშკარად და უაზროდ რომ არ ეხარჯა, მოიწყენდა და უეჭველად სულს გააფრთხობდა."

2

მოგვიანებით ექიმმა ჩაიწერა:

„დავსახლდით ძველი საბატონო სახლის უკანა ნაწილში, ხის მინაშენის ორ ოთახში, რომლებიც ანა ივანოვნას ბავშვობაში კრიუგერის მიერ რჩეული მსახურებისათვის, შინაური მკერავის, მნე ქალისა და ვალმოხდილი ძიძისათვის იყო გათვალისწინებული.

ეს კუთხე გვარიანად მოძველებულა. საკმაოდ სწრაფად შევაკეთეთ. საქმის მცოდნეთა დახმარებით ორივე ოთახში გამავალი ღუმელი ახლებურად გადავაკეთეთ. ახლა იგი უფრო მეტ სითბოს გამოყოფს.

პარკის ამ ნაწილში ძველი დაგეგმარების კვალიც კი გაქრა და ახალი მცენარეულით შეიცვალა, რომელმაც ყველაფერი შეავსო. ახლა, ზამთარში, როცა ირგვლივ ყველაფერი ჩაკვდა და ცოცხალი დამჭკნარს აღარა ჰფარავს, თოვლით დაფარული ძველებური განლაგება უფრო გარკვევით იკვეთება.

ბედმა გაგვიღიმა. შემოდგომა მშრალი და თბილი გამოდგა. კარტო-

ფილის ამოყრა წვიმიანი ამინდებისა და სიცივეების დადგომამდე მოვასწარით. მიკულიცინებისაგან ვალად აღებულისა და უკან დაბრუნებულის გარდა ოც ტომარამდე კარტოფილი გვაქვს და მთელი ეს მარაგი სარდაფის მთავარ ხაროში გვაქვს მოთავსებული. ზევიდან, იატაკის დონეზე, თივა და საბნის ნაგლეჯები წავაყარეთ. იმავე იატაკქვეშეთში ჩავდგით ტონიას მიერ დამწნილებული კიტრით სავსე ორი კასრი და ამდენივე კომბოსტოს მწნილი. ნედლი კომბოსტო წყვილ-წყვილად დავკიდეთ ბოძებზე. მშრალ სილაში სტაფილოს მარაგი გვაქვს შენახული. იქვე საკმაო რაოდენობით გვაქვს ზამთრის ბოლოკი, ჭარხალი და თალგამი, ხოლო ზევით, სახლში მუხუდოს და პარკოსნებს ვინახავთ. სარდაფში დალაგებული შეშა გაზაფხულამდე გვეყოფა. მიყვარს ზამთარში მიწისქვეშეთის თბილი სუნთქვა, ცხვირში ფესვებით, მიწით და თოვლით რომ გიღიტინებს, როდესაც დილაადრიან, ზამთრის განთიადის შემონათებამდე, ძლივსძლივობით მბჟუტავი, ჩასაქრობად გამზადებული ჭრაქით ხელში სარდაფში ჩასასვლელ საფარებელს ოდნავ გადასწევ.

სარდაფიდან ამოხვალ. ჯერ არ მოდღევებულა. კარს გააჭრიალებ უნებურად ცხვირს დაგაცემინებს, ან უბრალოდ, ფეხქვეშ თოვლი გაიჭრაჭუნებს და ბოსტნის შორეული კვლიდან, სადაც თოვლში კომბოსტოს მურკებია ჩარჩენილი, წამოხტებიან და მოკურცხლავენ კურდღლები, რომელთა ფეხგაკრული ნაკვალევით სიგრძე-სიგანეზეა მოფენილი ირგვლივ თოვლი. აქა-იქ ძაღლები აყავყავდებიან. უკანასკნელმა მამლებმა კარგა ხანია იყივლეს. საცაა ირიჟრაჟებს.

კურდღლის ნაკვალევის გარდა უკიდეგანო დათოვლილ მინდვრებს თავით ბოლომდე ჰკვეთს ფოცხვერის ნაფეხურები. ნაჭდევს ნაჭდევი მიუყვება და ასე, წერტილ-წერტილად ფაქიზადაა გადასერილი აქაურობა. ფოცხვერი კატასავით დადის, თათს თათზე ადგამს და, როგორც ამტკიცებენ, ღამის განმავლობაში მრავალვერსიან გადასვლებს აწყობს, მის ნაკვალევზე ხაფანგებს, ანუ აქაურების თქმით, სლოპცებს აგებენ, ფოცხვერების ნაცვლად კი მახეში საცოდავი რუხი კურდღლები ებმებიან,

რომელთაც ხაფანგებიდან გაყინულ-გათოშილებს და სანახევროდ თოვ-ლწაყრილებს იღებენ.

თავდაპირველად, გაზაფხულზე და ზაფხულში, ძალიან გაგვიჭირდა. იმდენს ვშრომობდით, სავათება აღარა გვქონდა. ახლა, ზამთრის ღამე-ებში, ვისვენებთ. ანფიმის წყალობით, ნავთით რომ გვამარაგებს, ლამფის ირგვლივ ვიკრიბებით. ქალები ჰკერავენ ან ქსოვენ, მე ან ალექსანდრ ალექსანდროვიჩი ხმამაღლა ვკითხულობთ. ღუმელი ღუღუნებს და მე, როგორც დიდი ხნის წინათ აღიარებული ცეცხლფარეში, თვალყურს ვა-დევნებ, რათა ხუფი დროულად დავხურო და სითბო უქმად არ დაიკარ-გოს. თუ რომელიმე მუგუზალი გაჭირვეულდა და ღუმელი აახრჩოლა, ხელს დავავლებ, კვამლში გახვეული, ფრენა-ფრენით გარეთ გავრბივარ და თოვლში გადავუძახებ ხოლმე. აჩინჩხლული მუგუზალი ნაპერწკლე-ბის ყრით მიჰქრის ჰაერში, ჩაბნელებული, მიძინებული პარკის კუნჭულ-ში კორდის თეთრ ოთხკუთხედებს ანათებს და, ნამქერში ჩავარდნილი, შიშხინით ქრება.

გაუთავებლად ვკითხულობთ „ომს და მშვიდობას", „ევგენი ონეგინს" და ყველა პოემას, რუსულ თარგმანებში ვკითხულობთ სტენდალის „წი-თელს და შავს", დიკენსის „ორი ქალაქის ამბავს" და კლეისტის მოკლე-მოკლე მოთხრობებს".

3

გაზაფხულის პირას ექიმმა ჩაიწერა:

„მგონი ტონია ფეხმძიმედაა. ამის თაობაზე ვუთხარი კიდეც. არ და-მიჯერა, მე კი დარწმუნებული ვარ. უდავო ნიშნების გამოვლენამდე წი-ნამავალ, ნაკლებად თვალში საცემ ნიშნებში არასოდეს ვტყუვდები. ქალს სახე ეცვლება. არ შეიძლება ითქვას, რომ იგი უშნოვდება, მაგრამ მისი გარეგნობა, ადრე რომ მთლიანად თვალთახედვის არეში ჰქონდა მოქცეული, მის კონტროლს აღარ ექვემდებარება. უკვე მბრძანებლობს

მომავალი, რომელიც მისგან გამოდის და თავად იგი აღარ არის. ქალის გარეგნული იერსახის მისივე კონტროლიდან გამოსვლა ფიზიკური დაბნეულობის ბეჭედს ატარებს. ამ დროს სახე უფითრდება, კანი უუხეშდება და თვალებიც სულ სხვანაირად უბრწყინავს, ისე კი არა, თვითონ რომ უნდა, თითქოს ყოველივე ამას თვალი ვერ მიადევნა და საკუთარ გარეგნობას ხელი შეუშვაო.

მე და ტონია არასოდეს დავშორებივართ ერთმანეთა. მაგრამ ამ შრომითმა წელიწადმა უფრო მეტად დაგვაახლოვა. ვაკვირდებოდი, როგორი მარდი, ღონიერი და დაუღალავი მყოლია იგი, როგორი საზრიანია სამუშაოს შერჩევისას, ერთის მეორით შეცვლისას, რაც შეიძლება ნაკლები დრო რომ დაიკარგოს.

მუდამ მიმაჩნდა, რომ ყოველი ჩასახვა უმანკოა, და ამ დოგმაში, ღვთისმშობელს რომ ეხება, დედობის საერთო იდეაა გამოხატული. ყოველ მშობიარეს თავს მარტოობის, მიტოვებულობის, საკუთარი თავის ამარა დარჩენის შარავანდედი ადგას. ასეთ დროს მამაკაცი ბაიბურში არ არის, ეს ყველაფერი უმნიშვნელოვანესი გაელვებაა, რომლის მსგავსი ჩასახვისასაც არ ყოფილა, თითქოს ყოველივე ციდან ჩამოვარდაო.

ქალი თავის შთამომავლობას თვითონ აჩენს ქვეყანაზე, თვითონვე გადადის მასთან ერთად არსებობის უკანა პლანზე, სადაც მეტი სიწყნარეა და უშიშრად შეიძლება აკვნის დადგმა. იგი უსიტყვო მორჩილებით თვითონვე კვებავს და ზრდის პატარას.

ღვთისმშობელს ევედრებიან: „გულისხმიერად ილოცვიდე ძისა შენისა და უფლისა შენისა მიმართო". მის ბაგეებს ათქმევინებენ ფსალმუნთა ნაწყვეტებს: „ადიდებს სული ჩემი უფალსა. და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა, რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი". ამას იგი თავის ჩვილზე ამბობს, სწორედ განადიდებს მშობელს („რამეთუ ჰყო ჩემ თანა დიდებული ძლიერმან, და წმიდა არს სახელი მისი"), ის მისი დიდებაა. ამ სიტყვების წარმოთქმა ყოველ

ქალს შეუძლია. მისი ღმერთი ბავშვშია. დიდი ადამიანების დედებისათვის ნაცნობი უნდა იყოს ეს შეგრძნება. მაგრამ ყველა დედა – დიდი ადამიანის დედაა და მათი ბრალი როდია, მერე და მერე წუთისოფელი ზოგიერთ პირმშოს ხელს თუ მოუცარავს".

4

„ისევ და ისევ ვკითხულობთ ევგენი ონეგინს და პოემებს. გუშინ ანფიმი ჩამოვიდა, საჩუქრები ჩამოგვიტანა. პირს ვიტკბარუნებთ, ვნათლდებით. გაუთავებელი საუბრები გვაქვს ხელოვნებაზე.

დიდი ხანია ვფიქრობ, რომ ხელოვნება თვალუწვდენელი სიმრავლის ცნებებისა და განტოტვილი მოვლენების გამაერთიანებელი კატეგორიის თუ დარგის სახელწოდება კი არა, პირიქით, მხატვრული ნაწარმოების შემადგენლობაში მყოფი საწყისის აღმნიშვნელი რაღაც ვიწრო და შემოსაზღვრული რამაა, მასში გამოყენებული ძალის ან დამუშავებული ჭეშმარიტების სახელწოდებაა. ხელოვნება არასოდეს მეჩვენებოდა ფორმის საგნად ან მხარედ, არა, იგი უწინარესად შინაარსის იდუმალი და ფარული ნაწილია. ეს ყოველივე ჩემთვის დღესავით ნათელია, მთელი არსებით ვგრძნობ, მაგრამ ეს აზრი როგორ გამოვხატო ან ჩამოვაყალიბო?

ნაწარმოებები ბევრი რამით მეტყველებენ: თემებით, დებულებებით, სიუჟეტებით, გმირებით. მაგრამ ყველაზე მეტად ისინი მათში გაცხადებული ხელოვნებით ღაღადებენ. ასე განსაჯეთ, „დანაშაულის და სასჯელის" ფურცლებზე არსებული ხელოვნება უფრო მეტად გვაღელვებს, ვიდრე რასკოლნიკოვის დანაშაული.

პირველყოფილი, ეგვიპტური, ბერძნული, ჩვენი ხელოვნება ალბათ მრავალი ათასწლეულის განმავლობაში ერთი და იგივე, მხოლობით რიცხვში დარჩენილი ხელოვნებაა. ეს ცხოვრებაზე რაღაც აზრია, რაღაცნაირი მტკიცებაა, რომელიც თავისი ყოვლისმომცველი სივრცით ცალკეულ სიტყვებად არ დაიყოფა, და როცა ამ ძალის ნამცეცი რომელიღაც

უფრო რთული ნარევის შემადგენლობაში შედის, ხელოვნების მინარევი მთელი დანარჩენის მნიშვნელობას გადასწონის და წარმოსახულის არ-სად, სულად და საფუძვლად იქცევა”.

5

„ცოტა გავცივდი, მახველებს და, უეჭველია, მცირეოდენი სიცხეც მექ-ნება. მთელი დღე სადღაც ხორხში სუნთქვა მეკვრის, ყელში ბურთი მეჩ-რება. ცუდადა მაქვს საქმე. მემკვიდრეობითობის პირველი გაფრთხილე-ბაა ჩემი საცოდავი დედის მხრივ, მთელი ცხოვრება გულით მყოფობაში რომ გაატარა. ნუთუ მართალია? ასე ადრე? ასეთ შემთხვევაში დიდხანს აღარ დავამძიმებ დედამიწას.

ოთახში ნამწვისა და დაუთოებული თეთრეულის სუნი ტრიალებს. აუთოებენ და გაუხურებელი ღუმელიდან აბოლებულ ნახშირს კბილებ-დაფჩენილ უთოში ჰყრიან. ეს ყოველივე რაღაცას მაგონებს. მაინც რას? ვერ ვიგონებ. გულმავიწყი გავხდი ავადმყოფობის გამო. ანფიმის მიერ ჩა-მოტანილი გულა საპნის ეშხით ისეთი თავდავიწყებით ებდღვნენ სა-რეცხს, ორი დღეა, შუროჩკა ღვთის ანაბარაა მიტოვებული. როცა ვწერ, მაგიდის ქვეშ დაძვრება, მისი ფეხების შემაერთებელ სარტყელზე ჯდება. ანფიმს ჰბაძავს, რომელიც ყოველი ჩამოსვლისას ციგით ასეირნებს. თით-ქოს მეც მარხილში ვიჯდე, თავისი ჭკუით აქეთ-იქით დამატარებს.

როგორც კი გავჯანსაღდები, ქალაქში წასვლა დამჭირდება ამ მხარის ეთნოგრაფიასა და ისტორიაზე რაღაც-რაღაცეების წასაკითხად. მარ-წმუნებენ, აქ რამდენიმე მდიდრული შეწირულებით შედგენილი ჩინებუ-ლი საქალაქო ბიბლიოთეკააო. წერა მომენატრა. უნდა ვიჩქარო. კაცი მი-ხედ-მოხედვას ვერ მოასწრებ და გაზაფხულიც თავს წამოგადგება. მაშინ წერა-კითხვის დრო სადღა მექნება?

თავის ტკივილი მიძლიერდება. ცუდად მეძინა. არეულ-დარეული

სიზმარი ვნახე, სწორედ ისეთი, გაღვიძებისთანავე რომ გავიწყდება. სიზმარი თავიდან გამიფრინდა და გონებაში მხოლოდ გაღვიძების მიზეზიღა ჩამრჩა. ქალის ხმამ გამაღვიძა, რომელიც ძილში ჩამესმოდა. ის ხმა დავიმახსოვრე, მეხსიერებაში ვიმეორებდი, ნაცნობ ქალებს სათითაოდ ვიხსენებდი, ვცდილობდი გამერკვია, თუ ვის ჰქონდა მათ შორის ასეთი ღუღუნა, მოგუდული, ნოტიო ხმა. ვერაფერს გავხდი. ვიფიქრე, ეგებ ტონიას მეტისმეტად მივეჩვიე, მის მიმართ სმენა დამიჩლუნგდა და იმიტომ ვერ ვარჩევ-მეთქი. შევეცადე დამევიწყებინა, ჩემი ცოლი რომ იყო, და ჭეშმარიტების დასადგენად მისი სახისათვის გონების თვალი შორიდან შემევლო. არა, არც მისი ხმა იყო. ასე ბუნდოვნად დამრჩა ის კითხვა.

ცოტა რამ სიზმრების თაობაზე: როგორც ფიქრობენ, ჩვეულებრივად ღამით ის ესიზმრებათ, რაც დღისით, სიფხიზლისას უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენს. ჩემი დაკვირვებით კი სწორედ რომ პირიქითაა.

არაერთხელ დავრწმუნებულვარ, სწორედ ის საგნები, რომელთაც დღისით ოდნავ თუ ვამჩნევთ, ბოლომდე გაურკვეველი აზრები, უგულოდ ნათქვამი და უყურადღებოდ დარჩენილი სიტყვები ღამით ხორცშესხმულნი ბრუნდებიან და სიზმრის ფერებში ეხვევიან, თითქოსდა დღისით მათ მიმართ გამოჩენილ უგულებელყოფას ინაზღაურებენო".

6

„ცივი, მოწმენდილი ღამეა. ყოველივე თვალით ხილული მკვეთრი და მთლიანია. მიწა, ჰაერი, მთვარე, ვარსკვლავები ერთად არიან შედუღაბებულნი და ყინვით შეკრულნი. პარკში, ხეივნის გარდიგარდმო ხეთა მკაფიო ჩრდილებია დაფენილი, გამოჩარხული და ამობურცული გეგონება. გზაზე აქეთ-იქიდან თითქოს ერთთავად შავი ლანდები გადარბიანო. ტყეში, ხის ტოტებში მსხვილ-მსხვილი ვარსკვლავები ქარსის ცისფერი ფარნებივით ციმციმებენ. ზაფხულობით გვირილებით მოჩითული მდელოები რომ გინახავთ, წვრილ-წვრილი ვარსკვლავებით ისეა ზეცა

მოჭედილი.

საღამოობით ისევ გრძელდება საუბრები პუშკინზე. პირველი ტომის ლიცეუმის დროინდელი ლექსები გავარჩიეთ. რა ბევრი რამ იყო დამოკიდებული სალექსო ზომის შერჩევაზე!

გრძელსტრიქონიან ლექსებში ჭაბუკური პატივმოყვარეობის უკიდურესი ზღვარია „არზამასი", რომელშიც გამოსჭვივის ავტორის სურვილი – არ ჩამორჩეს უფროსებს, თვალებში ნაცარი შეაყაროს ბიძიკოებს მითოლოგიზმებით, ბრტყელსიტყვაობით, მოგონილი ლირფობით და ეპიკურელობით, ნაადრევი, მოჩვენებითი საღი მსჯელობით.

მაგრამ როგორც კი ახალგაზრდა კაცი ოსიანისა და პარნის მიბაძვებიდან ან „ცარსკოე სელოს მოგონებებიდან" „ქალაქისა" და „დასთან გაგზავნილი წერილის" ან მოგვიანებით კიშინიოვური „ჩემი სამელნის" მოკლე სტრიქონებზე ან კიდევ „იუდინთან მიწერილი ბარათის" რიტმებზე გადადიოდა, ყმაწვილში მომავალი პუშკინი იღვიძებდა.

ლექსში, როგორც ფანჯრიდან ოთახში, ისე იჭრებოდა ქუჩის სინათლე და ჰაერი, ცხოვრების ხმაური, საგნები, აზრები. გარესამყაროსათვის, ყოველდღიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი საგნები, არსებითი სახელები თანდათან იპყრობდნენ სტრიქონებს, აძევებდნენ იქიდან მეტყველების ნაკლებად გამომსახველ ნაწილებს, ლექსების კიდეებზე საგნები, საგნები და ისევ საგნები მწკრივდებოდნენ გარითმულ სვეტებად.

პუშკინის სწორედ ამ ოთხმუხლიანმა ლექსებმა გაითქვეს შემდგომში სახელი, სწორედ ისინი იქცნენ რუსული ცხოვრების სასინჯ ქვებად, მთელი რუსული ყოფის საზომად და საწყაოდ ისევე, როგორც ფეხსაცმლის თარგის გამოსაჭრელად ფეხის გარშემოწერილობას შემოხაზავენ, ანდა ხელთათმანის ხელზე მოსარგებად მხოლოდ მის ზომას იტყვიან ხოლმე.

სწორედ ამგვარად იქცა შემდგომში მოლაპარაკე რუსეთის რიტმების, მისი სალაპარაკო ენის ჟღერადობის გამომსახველად ნეკრასოვის სამმუხლიანი ლექსი და დაქტილური რითმა".

7

„როგორ მინდოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, გლეხურ შრომასთან ან საექიმო პრაქტიკასთან ერთად რაიმე ღირებული, კაპიტალურიც შემექმნა, სამეცნიერო ნაშრომი ან მხატვრული ნაწარმოები დამეწერა.

თითოეული ადამიანი ფაუსტად იბადება, რომ ყოველივეს მისწვდეს, ყოველივე გამოსცადოს, ყოველივე გამოხატოს. საიმისოდ, რათა ფაუსტი მეცნიერად ქცეულიყო, წინამორბედთა და თანამედროვეთა შეცდომებმა იზრუნეს. მეცნიერებაში წინგადადგმული ნაბიჯი უკუქმედების, გაბატონებული შეცდომების და მცდარი თეორიების უარყოფის შედეგია.

საიმისოდ, რომ ფაუსტი მხატვარი გამხდარიყო, მასწავლებელთა გადამდებმა მაგალითებმა იზრუნეს. ხელოვნებაში ნაბიჯის გადადგმა მიზიდულობის, მიმბაძველობის, საყვარელ წინამორბედთა კვალში ჩადგომისა და თაყვანისცემის კანონით ხდება.

მაშ რაღა მიშლის ზელს, რომ ვიმსახურო, ვუმკურნალო და ვწერო? ვფიქრობ, არც ხელმოკლეობა და ხეტიალი, არც არამდგრადობა და ხშირი ცვლილებები, არამედ ჩვენს დროში გაბატონებული ბრტყელ-ბრტყელი ფრაზების სულისკვეთება, რამაც ასეთი გაქანება ჰპოვა, – სწორედ ეს; მომავლის განთიადი, ახალი სამყაროს აშენება, კაცობრიობის ლამპრები. ამეების მოსმენისთანავე თავდაპირველად მოგეჩვენებათ, – ფანტაზიის რა გაქანება, რა სიმდიდრეაო! სინამდვილეში კი ეს მაღალფარდოვნება უნიჭობის დასტურია.

ზღაპრული მხოლოდ უბრალოებაა, როცა მას გენიოსის ხელი შეეხება. საუკეთესო გაკვეთილს ამ მხრივ პუშკინი გვაძლევს. რა დიდებულ ქებათა-ქებას უმღერის იგი პატიოსან შრომას, მოვალეობას, ყოველდღიურ წეს-ჩვეულებებს! მეშჩანი, ობივატელი ახლა ჩვენში უარყოფითად ჟღერს. ამის თაობაზე საყვედურია გამოთქმული „საგვარეულო ნუსხის“ სტრიქონებში.

„ეგრეა სწორედ, მეშჩანი ვარ, ჰო, მეშჩანი ვარ”.

იგივე ითქმის „ონეგინის მოგზაურობაზეც”:

ჩემი ნატვრაა – დიასახლისი,

ჩემი სურვილი – ცხოვრება მშვიდი,

შჩით სავსე ჯამი, ოღონდ კი დიდი.

ყველაფრიდან, რასაც რუსული ჰქვია, ყველაზე მეტად ახლა პუშკინისა და ჩეხოვის რუსული ბავშვობა, მათი მორცხვი უზრუნველობა მიყვარს ისეთი მაღალფარდოვანი ცნებების თაობაზე, როგორიცაა კაცობრიობის საბოლოო მიზნები და მათი ხსნის გზები. ამაში ისინიც მშვენივრად ერკვეოდნენ, მაგრამ ამგვარი კადნიერებისათვის სად ეცალათ, – არც ხელი მიუწვდებოდათ და არც ჩინი. გოგოლი, ტოლსტოი, დოსტოევსკი სიკვდილისათვის ემზადებოდნენ, შფოთავდნენ, აზრს ეძიებდნენ, შედეგებს აჯამებდნენ, ესენი კი ბოლომდე იყვნენ გატაცებული არტისტული მოწოდების მიმდინარე წვრილმანებით და მათ ცვალებადობაში შეუმჩნევლად ჩაათავეს სიცოცხლე, ისეთივე პირადი და კერძო, რომელიც სხვას არავის ეხებოდა, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ეს კერძო თურმე საერთო საფიქრალი ყოფილა, ხიდან მოკრეფილი მწიფობაში შესული ვაშლებივით სულ უფრო მეტად ივსება სიტკბოთი, აზრით და თვითონვე აღწევს მემკვიდრეობითობას”.

8

„გაზაფხულის პირველი მახარობელი გვეწვია – ჩამოთბა. ჰაერი ბლინებისა და არყის სუნითაა გაჟღენთილი, როგორც ყველიერის დღესასწაულზე, როცა კალენდარიც კი ხუმრობის ხასიათზე დგება. მზე ტყეში ნამძინარევ, ზეთოვან თვალებს ჭუტავს, ტყეც წიწვის წამწამებს ახამხამებს და შუადღისას გუბეებიც ზეთისფრად ბრწყინავენ. ბუნება ამთქნარებს, იზმორება, მეორე გვერდზე ბრუნდება და ისევ იძინებს. „ევგენი ონეგინის” მეშვიდე თავში აღწერილია გაზაფხული, ონეგინის გამგზავრების

შემდეგ გამოცარიელებული საბატონო სახლი, ქვევით კი, მთის ძირში, წყლის პირას ლენსკის საფლავია.

და გაზაფხულზე შეყვარებული
განთიადამდე გალობს ბულბული.[83]

რატომ – შეყვარებული? თუმცა დროულად ნახმარი, შესაფერისი ეპითეტია. მართლაც – შეყვარებული. თანაც თვით „ბულბულს" ერითმება. მაგრამ ბგერითი მიმართებით ხომ არ აისახა აქ ბილინების „ყაჩაღი ბულბული"?

ბილინაში მას ყაჩაღი ბულბული ეწოდება, ოდიხმანტის ვაჟი. რა კარგადაა მასზე ნათქვამი!

მისი ბრალია, თუ ბულბულის სტვენის ბრალია,[84]
მისი ბრალია, თუ მხეცთ კბილთა ღრჭენის ბრალია,
ბალახ-ბულახი, ჭიაღუა სადღაც გამქრალა,
ყველა ყვავილი ცისთვალება უღვთოდ დამჭკნარა.
გულდახურულ ტყეს დააფრქვიეს ცრემლი ღრუბელთა,
ავაჰმე, ურიცხვ ლომგულ ვაჟკაცს მზე დაუბნელდა!

ვარიკინოში ადრეულ გაზაფხულზე ჩამოვედით. მალე ირგვლივ ყველაფერი ამწვანდა, განსაკუთრებით შუტმაში, მიკულიცინის სახლის ძირში მდებარე ხევში, – შოთხვი, მურყანი, თხილნარი. რამდენიმე ღამეში ბულბულებიც ატკრციალდნენ.

თითქოს პირველად ვუსმენდი, კვლავ გამიკვირდა, როგორ გამოირჩეოდა ეს გალობა დანარჩენი ჩიტების ჟივჟივისაგან, თანდათანობითი გადასვლის გარეშე რამოდენა ნახტომს აკეთებს ბუნება ამ საოცარი ტკრციალის სიმდიდრემდე და განუმეორებლობამდე. რა მრავალფეროვნებაა მუხლების ცვალებადობაში და რა ძალაა ჩაქსოვილი ამ ესოდენ მკაფიო, შორს გატყორცნილ ხმაში! ტურგენევს სადღაც აქვს აღწერილი

---

[83] ციტატა ა. ს. პუშკინის „ევგენი ონეგინიდან".

[84] ციტატა ბილინიდან (თქმულებიდან) „ილია მურომეცისა და ყაჩაღი ბულბულის შესახებ".

ეს სტვენა-გალობა, ქაჯთა სალამური, ტყის ტოროლის რაკრაკი. განსაკუთრებით ორი მუხლი გამოირჩეოდა: გამალებულ-გახშირებული და მდიდრული „ტია-ტია-ტია", ხან სამმუხლიანი, ხან კი უთვალავჯერ ჩაგვირისტებული, ამის საპასუხოდ ტანზე ცვარ-ნამის მძივასხმული ეკალბარდები, თითქოს ანაზდად ჟრუანტელმა დაუარათო, კალთებს იფერთხავდნენ და ლამაზად ყელყელაობდნენ; და მეორე, ოთხ მუხლიანი, მომწოდებელი, გულში ჩამწვდომი, მავედრებელი, თხოვნისა თუ შეგონების მსგავსი: „გა-ი-ღვი-ძე! გა-ი-ღვი-ძე! გა-ი-ღვი-ძე!"

9

„გაზაფხულია. სასოფლო სამუშაოებისათვის ვემზადებით. დღიურისათვის აღარ მცალია, კარგი კი იყო, მეწერა. ამ საქმის საზამთროდ გადადება მომიწევს.

ამასწინათ, ამჯერად მართლაც ყველიერის დღესასწაულზე, უგზოობისას, ეზოში, წყალსა და ტალახში მარხილით მომადგა ავადმყოფი გლეხი. „ნუ დამძრახავ-მეთქი, ძვირფასო, იმ საქმეს აღარ მივდევ, – ხეირიანად აღარც წამლები მაქვს და აღარც მოწყობილობა". ვის ეტყვი! განა ეგრე ადვილად მოგეშვებიან? „მიშველეო, – მეუბნება, – კანის სენი მჭირს. ჯანი მტკივა. ქენი სიკეთეო".

რა მექნა? გული მაქვს, ქვა ხომ არა. უარი ვეღარ ვუთხარი. „გაიხადე-მეთქი". ვსინჯავ. „მჭამელა გჭირს-მეთქი". გარშემო ვუვლი და თან ფანჯარაში კარბოლმჟავიან ბოთლს ცერად ვუყურებ. (ღმერთო დიდებულო, ნუ მკითხავთ, ან ეს, ან სხვა, ყველაზე აუცილებელი რამ საიდანა მაქვს! ყველაფერი სამდევიატოვისგანაა). ვუყურებ, – ეზოში სხვა მარხილი შემოდის და, როგორც პირველ წუთს მომეჩვენა, ახალი ავადმყოფი მოჰყავს. და, თითქოს ღრუბლებიდან ჩამოვარდაო, თავს ჩემი ძმა ევგრაფი წამოგვადგა. ერთხანს ჩემი სახლეულების, ტონიას, შურიჩკას, ალექ-

სანდრ ალექსანდროვიჩის განკარგულებაშია. მერე კი როცა ვთავისუფლდები, მეც დანარჩენებს ვუერთდები. იწყება შეკითხვები, – როგორ, საიდან? ჩვეულებისამებრ, პირდაპირ პასუხს თავს არიდებს, იღიმება, სასწაულებს იგონებს, გადაკვრით გველაპარაკება.

ჩვენთან ორ კვირას დარჩა. იურიატინში ხშირად დაიარებოდა და უცებ გაქრა, თითქოს მიწამ უყო პირი. ამ ხნის განმავლობაში მოვასწარი შემემჩნია, რომ სამდევიატოვზე უფრო გავლენიანი იყო, მისი საქმეები და ნაცნობობა კი უფრო რთულად ასახსნელი გამოცანა გამოდგა. საიდან არის? საიდანა აქვს ამოდენა ძალა და გავლენა? რას საქმიანობს? ვიდრე გაუჩინარდებოდა, დაგვპირდა იმდენად გაეადვილებინა ჩვენთვის საქმიანობა, რომ ტონიას შურას აღსაზრდელად დარჩენოდა თავისუფალი დრო, მე კი – მედიცინისა და ლიტერატურისათვის. საამისოდ რის გაკეთებას აპირებო, ჩავეძიეთ. ისევ დუმილით და ღიმილით გვიპასუხა. მაგრამ არ მოვუტყუებივართ. არის იმის ნიშნები, რომ ცხოვრების პირობები უთუოდ შეგვეცვლება.

საკვირველი ამბავია! ჩემი გერი ძმაა. ჩემს გვარს ატარებს. მე კი, კაცმა რომ თქვას, ყველაზე ნაკლებად ვიცნობ.

აი, უკვე მეორედ იჭრება იგი ჩემს ცხოვრებაში კეთილ გენიად, მხსნელად, ყოველგვარი სიძნელის გადამლახავად. იქნებ თითოეულ ბიოგრაფიაში, მოქმედ პირებთან ერთად იდუმალი, გამოუცნობი ძალის, თითქმის სიმბოლური პირის მონაწილეობაცაა საჭირო, რომელიც დასახმარებლად დაძახების გარეშე მოდის და ჩემს ცხოვრებაში ამ კეთილისმყოფელისა თუ ფარული ზამბარის როლს ჩემი ძმა ევგრაფი ასრულებს?

იური ანდრეევიჩის ჩანაწერები აქ თავდებოდა. მეტად მას იგი აღარ გაუგრძელებია.

10

იური ანდრეევიჩი იურიატინის საქალაქო სამკითხველოს დარბაზში

შეკვეთილ წიგნებს ათვალიერებდა. მრავალფანჯრიან, ასკაციან სამკითხველო დარბაზში რამდენიმე რიგად ჩაემწკრივებინათ გრძელი მაგიდები, რომელთა ვიწრო მხარეები ფანჯრებისაკენ იყო მიქცეული. დაბინდებისას სამკითხველო იკეტებოდა. გაზაფხულზე საღამოობით ქალაქი არ ნათდებოდა. თუმცა იური ანდრეევიჩი უიმისოდაც არ რჩებოდა დაბინდებამდე და სადილობისას ქალაქიდან მიემგზავრებოდა. მიკულიცინებისაგან ნათხოვარ ცხენს სამდევიატოვის ბაკებში ტოვებდა, მთელ დილას კითხვაში ატარებდა და შუადღისას ვარიკინოში ცხენით მიდიოდა. ბიბლიოთეკაში სიარულის დაწყებამდე იური ანდრეევიჩს იურიატინში ყოფნა იშვიათად უხდებოდა. ქალაქში მაინცდამაინც დიდი საქმეები არასოდეს ჰქონია. ექიმიც ქალაქს ცუდად იცნობდა. როცა მის თვალწინ დარბაზი თანდათან ივსებოდა იურიატინელი მცხოვრებლებით, რომელთაგან ზოგი მოშორებით, ზოგი კი სულ ახლო ჯდებოდა მასთან, იური ანდრეევიჩს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ქალაქს ეცნობოდა, რომელიმე ხალხმრავალ გზაჯვარედინზე იდგა და დარბაზში იურიატინელი მკითხველები კი არა, მათი სახლები და ქუჩები შემოდიოდნენ. თუმცა ნამდვილი, ცოცხალი და ხელშესახები იურიატინიც დარბაზის ფანჯრებში მოჩანდა. შუაში, ყველაზე დიდ ფანჯარასთან, ანადუღარი წყლით სავსე ავზი იდგა. მკითხველები დასასვენებლად და მოსაწევად კიბესთან გამოდიოდნენ, ავზს გარს ეხვეოდნენ, წყალს სვამდნენ, მონარჩენს ჭურჭლის სარეცხში ღვრიდნენ, ფანჯარასთან იკრიბებოდნენ და ქალაქის მზერით ტკბებოდნენ.

ორი სახის მკითხველები მოდიოდნენ: ძველი მცხოვრებნი ადგილობრივი ინტელიგენციის წრიდან, – მეტწილად ისინი იყვნენ, – და უბრალო ადამიანები.

პირველებს, რომელთა შორის ღარიბულად ჩაცმული, საკუთარ გარეგნობაზე ხელჩაქნეული და მოშვებული ქალები სჭარბობდნენ, სხვადასხვა მიზეზით, – შიმშილით, ნაღვლის ჩაქცევით თუ წყალმანკით შე-

შუპებული ავადმყოფური, დაგრძელებული სახეები ჰქონდათ. ისინი სამკითხველოს ხშირი სტუმრები იყვნენ, ბიბლიოთეკის მუშაკებს პირადად იცნობდნენ და თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახპირგაბადრული, სუფთად, სადღესასწაულოდ გამოწყობილი უბრალო ხალხის შვილები, დარბაზში, როგორც ეკლესიაში, დარცხვენილნი და შეცბუნებულნი შემოდიოდნენ და ყველაფერი უფრო ხმაურიანად გამოუდიოდათ, ვიდრე მიღებული იყო. მართალია, წესების უცოდინარობას ვერ დასწამებდა კაცი, მაგრამ სრულიად უხმაუროდ უნდოდათ შემოსვლა, ღონიერი ნაბიჯებისა და ხმების მოზომვა კი არ შეეძლოთ. ფანჯრების მოპირდაპირე კედელი შეღრმავებული იყო. ამ ნიშში, შემაღლებულზე, დარბაზის დანარჩენი ნაწილისაგან გამყოფი თეჯირის იქით სამკითხველოს თანამშრომლები, უფროსი ბიბლიოთეკარი და მისი ორი თანაშემწე თავიანთი საქმით იყვნენ გართულნი. ერთი მათგანი, ბრაზიანი, შალიანი ქალი, პენსნეს წარამარა იხსნიდა და კვლავ ცხვირზე იკოსებდა. ეტყობოდა, ამას მხედველობის საჭიროებისათვის კი არ აკეთებდა, ხარკს უფრო თავის სულიერ განწყობილებას უხდიდა. მეორე, შავი აბრეშუმის კოფთაში გამოწყობილი მანდილოსანი გულით ავადმყოფი უნდა ყოფილიყო, რადგან ცხვირსახოცს სახიდან თითქმის არ იცილებდა, მასში სუნთქავდა და ლაპარაკობდა.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებსაც ისეთივე შესიებული, ჩამოგრძელებულ-ჩამომჭკნარი სახეები ჰქონდათ, როგორც მკითხველთა ნახევარს, ისეთივე მომჩვარული, ჩამოკიდებული კანი, ზედ მიწის, დამწნილებული კიტრის და ობის ფერი ედოთ. სამივენი რიგ-რიგობით ერთი და იგივე საქმეს აკეთებდნენ, ჩურჩულით უხსნიდნენ ახალბედებს წიგნით სარგებლობის წესებს, მოთხოვნებიან ბარათებს არჩევდნენ, წიგნებს ურიგებდნენ და იბარებდნენ, შუალედებში კი რაღაც წლიური ანგარიშის შედგენაზე მუშაობდნენ.

უცნაური იყო, რომ რატომღაც ფანჯრებს იქით არსებული ნამდვილი

ქალაქისა და დარბაზში მყოფი მისი წარმოსახვითი ნაწილის წინაშე, აგრეთვე იმ რაღაცნაირი მსგავსების გამო, რომელიც საყოველთაო, უსიცოცხლო შეშუპებით იყო გამოწვეული, თითქოს დედაბუდიანად ჩიყვით დაავადებულანო, იური ანდრეევიჩს იურიატინის რკინიგზაზე ნანახი უკმაყოფილო მეისრე ქალი, ქალაქის შორიდან დანახული საერთო ხედი, ვაგონის იატაკზე გვერდით მჯდომი სამდევიატოვი და მისი განმარტებები გაახსენდა. იური ანდრეევიჩს სურდა, ქალაქიდან დაშორებით, შორი მანძილიდან მიღებული ის განმარტებები როგორმე დაეკავშირებინა იმასთან, რასაც ახლა ახლოდან, სურათის შუაგულიდან ხედავდა. მაგრამ სამდევიატოვის ნაუბარი აღარ ახსოვდა და ამ საქმიდან არაფერი გამოსდიოდა.

11

წიგნებში ჩაფლული იური ანდრეევიჩი დარბაზის შორეულ კუთხეში იჯდა. წინ ადგილობრივი საერობო სტატისტიკის მონაცემებიანი ჟურნალები და მხარის ეთნოგრაფიის ამსახველი რამდენიმე ნაშრომი ეწყო. შეეცადა კიდევ ორი ნაშრომი მიეღო პუგაჩოვის ისტორიაზე, მაგრამ აბრეშუმის კოფთიანმა ბიბლიოთეკარმა პირზე აფარებული ცხვირსახოციდან შენიშნა, ერთ მკითხველს ერთბაშად ამდენ წიგნს არ ვაძლევთ და თქვენთვის საინტერესო გამოკვლევათა მისაღებად რამდენიმე ცნობარი და ჟურნალი უნდა დააბრუნოთო.

ამიტომ იური ანდრეევიჩი უფრო გულმოდგინედ და აჩქარებით შეუდგა დახვავებული წიგნების გაცნობას, რათა აუცილებელნი დაეტოვებინა, დანარჩენები კი ჩაებარებინა. სწრაფად შლიდა კრებულებს, სათაურებს ათვალიერებდა და ისე იყო საქმით გატაცებული, გვერდზე აღარ იხედებოდა. ხალხის სიმრავლე ხელს არ უშლიდა და არ აბნევდა. თავისი მეზობლები კარგად შეისწავლა. გონების თვალით, წიგნიდან თა-

ვის აუღებლად ხედავდა მათ მარჯვნივ და მარცხნივ. გრძნობდა მის წასვლამდე მათი შემადგენლობა არ შეიცვლებოდა, ისევე, როგორც არ დაიძვროდნენ ადგილიდან ფანჯრიდან მომზირალი ქალაქის შენობები და ეკლესიები.

ამასობაში არც მზეს ეძინა, თავის გზას მიუყვებოდა და ამ ხნის განმავლობაში ბიბლიოთეკის აღმოსავლეთის კუთხეს მიეფარა. ახლა იგი სამხრეთის ფანჯრებიდან იჭყიტებოდა, იმ მხარეს მსხდომებს თვალს სჭრიდა და კითხვაში ხელს უშლიდა.

გაციებული ბიბლიოთეკარი შემორაგვული შემაღლებიდან ჩამოვიდა და ფანჯრებისკენ გაემართა. ფანჯრის თავებზე ნაოჭებიანი თეთრი ფარდები იყო აკეცილი. ბიბლიოთეკარმა ყველა ფანჯრის ფარდა დაუშვა, გარდა ერთისა, ბოლო ფანჯარაზე დაკიდებული ზონარი მოქაჩა, სარკმელი გამოაღო და ცხვირი დააცემინა.

მეათე თუ მეთორმეტე დაცხიკვებაზე იური ანდრეევიჩი მიხვდა, რომ ეს ქალი მიკულიცინის ცოლისდა იყო, ერთ-ერთი ტუნცევა, რომლებზეც სამდევიატოვმა უამბო. სხვებთან ერთად იური ანდრეევიჩმაც ასწია თავი და მისკენ გაიხედა.

ახლაღა შეამჩნია დარბაზში მომხდარი ცვლილება. მეორე ბოლოში ახალი მკითხველი მოსულიყო. იური ანდრეევიჩმა მაშინვე იცნო ანტიპოვა. იგი ზურგშექცევით იჯდა წინა მაგიდებთან და ხმადაბლა ელაპარაკებოდა ბიბლიოთეკარს, რომელიც ლარისა ფეოდოროვნასთან დახრილიყო და ეჩურჩულებოდა. აშკარა იყო, ამ საუბარმა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ბიბლიოთეკარზე. საძულველი სურდოსაგან და ნერვული დაძაბულობისაგან იგი მყისვე განიკურნა. მერე ანტიპოვას თბილი, მადლიერი მზერა ესროლა, პირიდან თავისი განუყრელი ცხვირსახოცი მოიშორა, ჯიბეში ჩაიდო და ბედნიერი, თავდაჯერებული და სახეგაბრწყინებული დაბრუნდა თავის ადგილზე.

ეს გულისამაჩუყებელი წვრილმანი ზოგიერთ მკითხველს არ გამოჰ-

პარვია. აქეთ-იქიდან თანაგრძნობით შეჰყურებდნენ ანტიპოვას და ისინიც იღიმებოდნენ. იური ანდრეევიჩმა ამ მცირე ნიშნებითაც კი დაასკვნა, როგორ იცნობდნენ და უყვარდათ იგი ქალაქში.

12

თავდაპირველად იური ანდრეევიჩმა წამოდგომა და ლარისა ფეოდოროვნასთან მისვლა დააპირა. მერე კი თავისი ბუნებისათვის უცხო, მაგრამ მასთან ურთიერთობაში გაჩენილმა შებოჭილობამ და უბრალოების უქონლობამ სძლია. გადაწყვიტა, ხელი არ შეეშალა და არც საკუთარი საქმე მიეტოვებინა. მისკენ ცქერის ცდუნება რომ დაეთრგუნა, სკამი მაგიდის გვერდით მიიდგა, კითხვით გართულებს თითქმის მთლიანად აქცია ზურგი, ერთი წიგნი ხელში დაიჭირა, მეორე, გადაშლილი, მუხლებზე დაიდო და საქმეში ჩაიძირა.

მაგრამ გონებით სულ სხვა საგანს დასტრიალებდა. უეცრად მიხვდა, რომ ის ხმა, ვარიკინოში, ზამთრის ღამით, ძილში რომ ჩაესმა, ანტიპოვასი იყო. ამ აღმოჩენამ თავზარი დასცა და ისე, რომ ირგვლივ მყოფთა ყურადღება მიიქცია, ფიცხლად დააბრუნა სკამი წინანდელ ადგილზე, რათა ანტიპოვა კვლავ თვალთახედვის არეში ჰყოლოდა, დაჟინებით მიაშტერდა.

იგი ქალს ზურგში, სანახევროდ თავშექცეული, თითქმის უკნიდან უყურებდა. ანტიპოვას ღია ფერის კუბოკრული, სარტყელშემოჭერილი ბლუზი ეცვა, თავი ბავშვურად, ოდნავ მარჯვნივ გადაეწია და გატაცებით, თავდავიწყებით კითხულობდა. ხანდახან ჩაფიქრდებოდა, ჭერს მიაპყრობდა თვალებს, ან მოწკურავდა, სადღაც წინ იხედებოდა, მერე კი ისევ იდაყვს ეყრდნობოდა და სწრაფი, გაკრული მოძრაობით იწერდა რვეულში წიგნის ამონარიდებს.

იური ანდრეევიჩი თავის ძველ მელიუზეევურ დაკვირვებებს ამოწმებდა და ადასტურებდა. „არ უნდა, ვინმეს მოსწონდეს, – ფიქრობდა იგი,

– ლამაზი იყოს, მომაჯადოებელი. ქალური ყოფის ეს მხარე სძაგს და თითქოს სჯის კიდეც საკუთარ თავს, ასეთი მშვენიერი რომ არის. ის კი არ იცის, საკუთარ თავთან გულგოროზი შუღლი და ქიშპობა მის მომხიბვლელობას რომ აათკეცებს.

რა მიმზიდველად აკეთებს ყოველივეს. ისე კითხულობს, თითქოს ეს საქმე უმაღლესი ადამიანური გამოვლინება კი არა, რაღაც უმარტივესი, ცხოველებისთვისაც ხელმისაწვდომი რაიმე იყოს. გეგონებათ, წყალი მოაქვს ან კარტოფილს ფცქვნისო”.

ამ ფიქრებმა ექიმს შვება მოჰგვარა. მის სულში იშვიათმა მყუდროებამ დაისადგურა. აღარც აზრები დახტოდნენ ერთი საგნიდან მეორეზე. უნებურად გაეღიმა. ანტიპოვას სიახლოვე მასზე ისეთივე ზემოქმედებას ახდენდა, როგორც ნერვულ ბიბლიოთეკარზე.

უკვე აღარ დაგიდევდათ, მისი სკამი როგორ იდგა, აღარც დაბრკოლების ან დაბნეულობისა ეშინოდა. საათი თუ საათნახევარი იმუშავა უფრო მუყაითად და გულდადებით, ვიდრე ანტიპოვას მოსვლამდე მუშაობდა. წინ აღმართული წიგნების მთა ერთიანად გადაქექა, რაც სჭირდებოდა, გამოკრიბა და გზადაგზა ნაპოვნი ორი არსებითი სტატიის დამუშავებაც მოასწრო. მერე გადაწყვიტა, რაც გავაკეთე, საკმარისიაო და გასაცემ მაგიდაზე მისატანად წიგნების შეგროვება დაიწყო. ანაზდად ყველა გარეშე აზრისაგან განთავისუფლდა, რაც კი გონებას ჩრდილს მიაყენებდა. სუფთა სინდისით და ყოველგვარი ფარული აზრის გარეშე გაიფიქრა, პატიოსნად შესრულებული გაკვეთილით ძველ, კეთილ ნაცნობთან შეხვედრა დავიმსახურეო და კანონიერ საფუძველზე სურდა საკუთარი თავისათვის ამ სიხარულის უფლება მიეცა. მაგრამ როცა წამოდგა და სამკითხველოს თვალი მოავლო, ანტიპოვა ვეღარ იხილა. ქალი დარბაზში აღარ იყო.

მაგიდაზე, სადაც ექიმმა თავისი ტომები და ბროშურები მიიტანა, ისევ ეწყო ანტიპოვას მიერ ჩაბარებული ლიტერატურა. მარქსიზმის სა-

ხელმძღვანელოები იყო. ალბათ, როგორც ძველი მასწავლებელი, იგი დამოუკიდებლად გადიოდა პოლიტიკურ გადამზადებას.

წიგნებში ლარისა ფეოდოროვნას მიერ საკატალოგო განყოფილებაში გაგზავნილი მოთხოვნები ეწყო. ბილეთებს ბოლოები გარეთ ჰქონდათ გამოყოფილი. მათში ადვილად იკითხებოდა ლარისა ფეოდოროვნას მისამართი, იური ანდრეევიჩმა გადაიწერა იგი და თვითონვე გაოცდა მისი უცნაურობით: „სავაჭრო ქუჩა, ჩუქურთმიანი სახლის პირისპირ". იური ანდრეევიჩმა იქვე, ვიღაცასთან გაიკითხა და შეიტყო, რომ „ჩუქურთმიანი სახლი" იურიატინშიც ისეთივე მოარული ნათქვამია, როგორც მოსკოვში საეკლესიო მრევლთა მიხედვით უბნების დასახელება, ან პეტერბურგის „ხუთკუნჭულა".

ასე ეწოდებოდა დაფებით, ქნარებითა და ნიღბებით ხელდამშვენებული ანტიკური მუზების ქანდაკებებითა და კარიატიდებით მორთულ მუქ ნაცრისფერ სახლს, რომელიც გასულ საუკუნეში ერთმა ვაჭარმა თავისი საოჯახო თეატრისათვის ააშენა. ვაჭრის მემკვიდრეებმა სახლი სავაჭრო გამგეობას მიჰყიდეს, რომლის სახელსაც ქუჩა ატარებდა. ისიც იმ ქუჩის კუთხეში იდგა. მთელ ახლომდებარე ადგილებს სწორედ ამ ჩუქურთმიანი სახლის მეშვეობით იხსენიებდნენ. ახლა ჩუქურთმიან სახლში პარტიის ქალაქკომი იყო მოთავსებული და მთის შესატყვისად ალმაცერად დაშვებული მისი საძირკვლის კედელზე, სადაც წინანდელ დროში სათეატრო და საცირკო აფიშებს აკრავდნენ, ახლა მთავრობის დეკრეტები და დადგენილებები იყო გამოფენილი.

13

მაისის დამდეგის ცივი, ქარიანი დღე იყო. იური ანდრეევიჩმა საქმეებზე ქალაქი მიიარ-მოიარა, წუთით ბიბლიოთეკაშიც შეიხედა, მოულოდნელად ყველა თავისი გეგმა შეცვალა და ანტიპოვას საძებნელად

წავიდა, გზაში ქარი ხშირ-ხშირად აჩერებდა, მტვრისა და ქვიშის ღრუბ-ლებით გზას უღობავდა. ექიმი ქარს ზურგს აქცევდა, თვალებს ჭუტავდა, თავს დაბლა ხრიდა, ვიდრე ქარაშოტი ჩაივლიდა, და კვლავ წინ მიიწევ-და. ანტიპოვა სავაჭრო ქუჩისა და ნოვოსვალოჩნის შესახვევის კუთხეში, მუქი, სილურჯეში წასული ჩუქურთმიანი. სახლის პირდაპირ ცხოვრობ-და, რომელიც ექიმმა ახლა პირველად იხილა. სახლი მართლაც ამარ-თლებდა თავის სახელწოდებას და უცნაურ, შფოთიან შთაბეჭდილებას ახდენდა.

ზედა ნაწილში იგი ერთნახევარი ადამიანის სიმაღლის ქალის მითო-ლოგიური კარიატიდებით იყო გარშემორტყმული. ქარის ორ შემოტევას შორის, რომელთაც ფასადი ერთიანად დააბნელეს, ექიმს წამით მოეჩვე-ნა, რომ სახლიდან მთელი საქალეთი აივანზე გამოფენილიყო, მოაჯირე-ბიდან გადმოხრილიყო, მას და მის ქვევით გადაშლილ სავაჭრო ქუჩას გადმოჰყურებდა.

ანტიპოვას სახლს ორი შესასვლელი ჰქონდა, ქუჩის მხრიდან – საპა-რადო, და შესახვევის მხრიდან – ეზოდან. რაკი იური ანდრეევიჩმა პირ-ველის არსებობა არ იცოდა, შესასვლელად მეორე აირჩია.

შესახვევიდან ჭიშკარში რომ შედიოდა, ქარმა მთელი ეზოს მიწა და ნაგავი ჰაერში აიტაცა და ექიმს თვალწინ გაუვალ ფარდად აესვეტა. ეზოში შესულს ფეხებქვეშ აკრიახებულმა ქათმებმა გაუფრთხიალეს და უკან გამოდევნებული მამლისაგან თავის საშველად მტვრის ფარდას მი-აშურეს.

როცა ღრუბელი გაიფანტა, ექიმმა ჭასთან მდგარი ანტიპოვა დაინახა. მტვრის ბუქმა მაშინ მოუსწრო, როცა ორივე ვედრო წყლით ჰქონდა სავ-სე და მხარიხით მარცხენა მხარზე ჰქონდა შედგმული. თმები რომ არ გამ-ტვრიანებოდა, სახელდახელოდ თავსაფარი წაეკრა, ზედ შუბლზე გამოე-ნასკვა და აბურცული კაბის კალთებიც, აფრიალების შიშით, მუხლებს შორის მოექცია. ის იყო, სახლისაკენ წასვლა დააპირა, რომ ქარმა ისევ იძალა, თავსაფარი წაჰგლიჯა, თმები აუწეწა, ის თავსაფარი გააქანა და

ღობის ბოლოს, ჯერ ისევ მოკრიახე ქათმებისაკენ წაიღო.

იური ანდრეევიჩი თავსაფარს გამოუდგა, დაიჭირა და ჭასთან სახტად დარჩენილ ანტიპოვას მიუტანა. ბუნებრიობის მარად ერთგულ ქალს არც ერთი შეძახილით არ გაუმჟღავნებია, თუ როგორ იყო გაოცებულ და გაოგნებული. ესღა აღმოხდა:

– ჟივაგო!

– ლარისა ფეოდოროვნა!

– აქეთ რა ქარმა გადმოგაგდოთ?

– დაუშვით ვედროები. მე წამოვიღებ.

– შუა გზიდან უკან არასოდეს ვბრუნდები, დაწყებულ საქმეს თავს არ ვანებებ. თუ ჩემთანა ხართ, წავიდეთ.

– მაშ ვიღასთან ვიქნები?

– რას გაგიგებთ კაცი.

– მაინც ნება მომეცით, ეგ მხარიხე თქვენი მხრიდან ჩემსაზე გადმოვიტანო, არ შემიძლია უქმად ყოფნა, როცა თქვენ შრომობთ.

– ეს რა შრომაა. ვერ მოგცემთ. კიბეს წამოსდებთ. ისა სჯობია მითხრათ, აქ როგორ გაჩნდით? წელიწადზე მეტია აქა ხართ და აქამდე თავი ვერ მოაბით, ვერ მოიცალეთ.

– საიდან იცით?

– ქვეყნად არაფერი დაიმალება. თანაც გნახეთ უკვე, ბიბლიოთეკაში.

– მერე რატომ არ გამომელაპარაკეთ?

– განა თქვენ კი არ დამინახეთ? ვერაფრით დამაჯერებთ.

ექიმი მოქანავე ვედროების ქვეშ რწევა-რწევით მიმავალ ლარისა ფეოდოროვნას გაჰყვა და დაბალ თაღქვეშ შევიდა. ეს ქვედა სართულის კუტი წინკარი იყო. ლარისა ფეოდოროვნა სწრაფად დაიხარა, ვედროები მიწის იატაკზე დააწყო, მხარიხისაგან მხარი გაითავისუფლა, წელში გაიმართა და საიდანღაც გაჩენილი პაწაწინა ცხვირსახოცით ხელების შემშრალება დაიწყო.

– წამომყევით, შიდა გასასვლელით საპარადოში გაგიყვანთ, სინათლეზე. იქ დამიცდით. მე კი წყალს უკანა ასასვლელიდან ავიტან, ცოტას მივალაგებ, გადავიცვამ. ხედავთ, როგორი კიბე გვაქვს. ჩუქურთმიანი თუჯის საფეხურებია. ზევიდან მათში ყველაფერი ჩანს. ძველი სახლია. სროლის დროს ცოტა დაუბუთქუნეს. ზარბაზნებს გვიშენდნენ. ხედავთ, ქვებმა გან-განზე გაიწიეს. აგურებს შორისაც ხვრელები და ნაპრალებია. როცა სადმე მივდივართ, მე და კატენკა გასაღებს ამ ხვრელში ვმალავთ და შიგ აგურსა ვდებთ. დაიმახსოვრეთ, იქნებ როგორმე გვეწვიოთ, როცა სადმე ვიქნები წასული, ჰოდა უმორჩილესად გთხოვთ, გააღეთ კარი, შედით, ისე იგრძენით თავი, როგორც საკუთარ სახლში. ამასობაში მეც მოვალ ხოლმე. ხედავთ, გასაღები ახლაც აქა დევს. მაგრამ ეგ მე არ დამჭირდება, უკნიდან მოვუვლი და კარს შიგნიდან გავაღებ. ერთი გასაჭირი გვაქვს – ვირთხები. პირდაპირ საშინელებაა და საშველიც არ ჩანს. ადამიანს თავზე ახტებიან. მოფამფალებული შენობაა, კედლები მორყეულია, ყველგან ნაპრალებია. რაც შემიძლია, შიგ ვჩურთავ რაღაც-რაღაცეებს, ვეომები. თუმცა ჩემს გარჯას დიდი ვერაფერი შედეგი აქვს. იქნებ როგორმე შემოგევლოთ, დამხმარებოდით? ერთად ამოვტენიდით იატაკს, პლინტუსებს, ჰა? კარგი, ბაქანზე დარჩით, იფიქრეთ რამეზე. დიდხანს არ გალოდინებთ, მალე დაგიძახებთ.

დაძახების მოლოდინში იური ანდრეევიჩმა შესასვლელის გატიალებულ კედლებს და კიბის ჩამოსხმულ თუჯის საფეხურებს დაუწყო თვალიერება. იგი ფიქრობდა: „სამკითხველოში მის გატაცებულ კითხვას ნამდვილი საქმის, ხელით მუშაობის აზარტს და ხალისს ვადარებდი. აქ კი პირიქით, წყალი ისე მიაქვს, თითქოს კითხულობსო, ლაღად, მსუბუქად. ეს სინარნარე ყველაფერში ემჩნევა. ეტყობა, ცხოვრების საერთო ქანი დიდი ხნის წინათ, ბავშვობაშივე აიღო, და ახლა ყველაფერი ერთი ხელის დაკვრით, თავისთავად გამოუდის. ეს სინარნარე ზურგის მოხაზულობაშიც ეტყობა, როცა იხრება, ღიმილშიც, ტუჩებს განზე რომ უწევს და ნიკაპს უმრგვალებს, სიტყვებსა და აზრებშიც”.

– ჟივაგო! – გაისმა ზედა ბაქნის ბინის ზღურბლიდან. ექიმი კიბეზე ავიდა.

14

– ხელი მომეცით და მორჩილად გამომყევით. აქ ორი ოთახია, ჩაბნელებული და ხარახურით ჭერამდე გამოტენილი. ფეხს წამოჰკრავთ და იტკენთ რამეს.

– მართლაც რა ლაბირინთია. მარტო ვერაფრით გავიგნებდი. რატომაა ასე? ბინაში რემონტი გაქვთ?

– აჰ, არა, რას ამბობთ. საქმე ამაში როდია. სხვისი ბინაა, არც კი ვიცი, ვისი. ჩვენ ჩვენი გვქონდა, სახაზინო, გიმნაზიის შენობაში. როცა გიმნაზია იურსაბჭოს საბინაო განყოფილებამ დაიკავა, მე და ჩემი გოგონა ამ მიტოვებული ბინის ნაწილში გადმოგვიყვანეს. აქაურობა ძველი პატრონების ნივთებით იყო გაწყობილი. ბევრი ავეჯია. სხვისი სიმდიდრე რაში მჭირდება. მთელი იმათი ავლადიდება ამ ორ ოთახში გამოვიტანე, ხოლო ფანჯრები შევათეთრე. ხელს ნუ გამიშვებთ, თორემ გზა აგერევათ. ასე. ახლა მარჯვნივ. უღრანები უკან მოვიტოვეთ. აი, ჩემი ოთახის კარები. ახლა განათდება. ზღურბლია, ფეხი არ წამოჰკრათ.

ოთახში შესულ იური ანდრეევიჩს კარის პირდაპირ ფანჯარა დახვდა. იქიდან დანახულმა სურათმა ექიმი გააოცა. ფანჯრიდან სახლის ეზოს, სხვა სახლების უკანა მხარეებისა და მდინარისპირა უშენი ადგილების ხედი იშლებოდა. შორიახლო ცხვრები და თხები ბალახობდნენ. თითქოს ჩახსნილი ქურქები აცვიათო, გრძელი ბეწვით და მატყლით მტვერს მიიხვეტავდნენ. მოპირდაპირე მხარეს ექიმისათვის ესოდენ ნაცნობი აბრა ეკიდა: „მორო და ვეტჩინკინი. სათესი და სალეწი მანქანები”.

აბრის ზეგავლენით ექიმმა ლარისა ფეოდოროვნას მაშინვე ოჯახთან ერთად ურალში თავისი ჩამოსვლა აღუწერა. სტრელნიკოვისა და მისი ქმრის იგივეობის შესახებ ხალხში დარხეული ხმები სულ გადაავიწყდა

და ვაგონში კომისართან შეხვედრის თაობაზეც უამბო. ამან ლარისა ფეოდოროვნაზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. – თქვენ ნახეთ სტრელნიკოვი?! – ჰკითხა ქალმა. – ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. მაგრამ რა საგულისხმო ამბავია! თითქოს რაღაც ბედისწერა იყო, რომ თქვენ ერთმანეთი უნდა გენახათ. როდისმე აგიხსნით და პირდაპირ გადაირევით. თუ სწორედ გაგიგეთ, მგონი თქვენზე უფრო სასიკეთო შთაბეჭდილება მოუხდენია, ვიდრე უხეირო.

– დიახ, ეგრე იყო. პირიქით კი უნდა ყოფილიყო. ჩვენ მისი ანგარიშსწორებისა და ნგრევის ადგილები გამოვიარეთ. მეგონა დამსჯელ სალდაფონს ან რევოლუციურ სისხლისმსმელ მანიაკს შევხვდებოდი, მაგრამ ხელში არც ერთი შემრჩა და არც მეორე. კარგია, როცა ადამიანი მოლოდინს გიცრუებთ, როცა მასზე წინასწარ შემუშავებულ წარმოდგენას არაფრით ჰგავს. ტიპობრიობის ჩარჩოში მოქცევა ადამიანის აღსასრული, მისი ღირსების გაბიაბრუებაა. თუ კაცს ვერაფერს მიუსადაგებ, თუ იგი სანიმუშო არ არის, რასაც მოითხოვ მისგან, სანახევროდ უკვე სახეზეა. საკუთარი თავისაგან იგი თავისუფალია, უკვდავების ციცქნა ნამცეცი უკვე მოპოვებული აქვს.

– ამბობენ, უპარტიოაო.

– ჰო, მეც ეგრე მომეჩვენება. იცი, რითი მიზიდავდა? განწირულია, მგონი ცუდად დაამთავრებს. იმ ბოროტებას გამოისყიდის, რომელიც დათესა, რევოლუციის ადამიანები თავიანთი ბოროტმოქმედებით კი არ არიან საშიშარნი, არამედ იმით, რომ უმართავი მექანიზმები, ლიანდაგს აცდენილი მანქანები არიან. სტრელნიკოვიც ისეთივე შეშლილია, როგორიც ისინი, მაგრამ იგი წიგნმა კი არა, განცდილმა და გადატანილმა შეშალა. მე მისი საიდუმლოებები არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რაღაც საიდუმლო ექნება. ბოლშევიკებთან მისი კავშირი შემთხვევითია. სანამ სჭირდებათ, უთმენენ, ერთი გზით მიდიან. მაგრამ პირველი შესაძლებლობისთანავე შეუბრალებლად შორს მოისვრიან და გაქელავენ, როგორც მანამდე მრავალი სამხედრო სპეციალისტისთვის უქნიათ. – თქვენ

ასე ფიქრობთ?

– აუცილებლად.

– მაგრამ ხსნა არსადაა? მაგალითად, რომ გაიქცეს?

– სად გაიქცევა, ლარისა ფეოდოროვნა? ეგ წინათ, მეფეებთან გაუდიოდათ. ახლა კი, აბა, სცადე.

– მეცოდება. მაგ ამბით მის მიმართ თანაგრძნობა გამიღვიძეთ. თქვენ კი შეცვლილხართ. წინათ რევოლუციაზე ასე მკვეთრად არ მსჯელობდით, არ ღიზიანდებოდით.

– საქმეც ეგ არის, ლარისა ფეოდოროვნა, რომ ყველაფერსა აქვს თავისი საზღვარი. ამდენი ხნის განმავლობაში რაღაცა უნდა გაეკეთებინათ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ რევოლუციის სულისჩამდგმელთათვის ცვლილებების და გადაჯგუფება-გადმოჯგუფების ღრიანცელი ერთადერთი მშობლიური სტიქიაა, რომ მათ ხალხის პურით გამოკვება სულაც არ ედარდებათ, აი, მთელი დედამიწის მასშტაბები კი მესმის! სამყაროთა შენება, გარდამავლი პერიოდები მათი თვითმიზანია, სხვა ვერაფერი ისწავლეს, არაფერი შეუძლიათ. იცით, ეს მარადიული მზადებების ალიაქოთი საიდან მოდის? გარკვეული მზამზარეული შესაძლებლობების უქონლობიდან, უნიჭობიდან. ადამიანი იმიტომ იბადება, რომ იცხოვროს, და არა საიმისოდ, რომ ცხოვრებისათვის ემზადოს. მერედა, თავად ცხოვრება, სიცოცხლე, მისი მადლი რაოდენ საოცარი და არასახუმარო რამ არის! მაშ რაღა საჭიროა უმწიფარი მონაჩმახების ბალღური ტაკიმასხარაობით, ჩეხოვის მოწაფეების[85] ამერიკაში გაქცევით მისი გაყალბება? თუმცა საკმარისია. ახლა ჩემი შეკითხვის რიგი მოვიდა. ჩვენ ქალაქს იმ დილით მოვადექით, როცა აქ გადატრიალება იყო. დიდი ხათაბალა დაგატყდათ?

– მაგას კითხვა უნდა? რასაკვირველია. ირგვლივ ყველაფერს ცეცხლი

[85] იგულისხმება ა. პ. ჩეხოვის მოთხრობა „ბიჭები“.

ეკიდა. ჩვენც კინაღამ გამოვიბუგეთ. უკვე გითხარით, სახლი როგორ შეგვიზანზარეს. ეზოს ჭიშკართან აქამდე გდია აუფეთქებელი ჭურვი. ძარცვა, დაბომბვა, ათასგვარი უმსგავსოება... როგორც ხელისუფლების ყოველი შეცვლისას ხდება ხოლმე. ამ დროისათვის ჩვენ უკვე პროფესორები ვიყავით, ყველაფერს მივეჩვიეთ. პირველად ხომ არ ვხედავდით ასეთ ამბებს. ახლა არ იტყვით, თეთრების აქ ყოფნისას რაები ხდებოდა! პირადი შურისძიების მიზნით ღობის ძირებში ჩასაფრებები და მკვლელობები, გამოძალვა, არევ-დარევა! თუმცა მთავარი მაინც არ მითქვამს. გახსოვთ ჩვენი გალიულინი? აქ, ჩეხებთან, დიდი ბობოლა ვინმე გახდა. რაღაც გენერალ-გუბერნატორის მსგავსი.

– ვიცი. გავიგე. ხვდებოდით ერთმანეთს?

– ძალიან ხშირად. მისი წყალობით რამდენი ვინმე ვიხსენი სიკვდილისაგან! რამდენი შევიფარე! სიმართლე უნდა ითქვას, თავი უნაკლოდ, რაინდულად ეჭირა, ისე კი არა, როგორც წვრილ-წვრილ კაცუნებს, კაზაკთა იასაულებს და პოლიციის ურიადნიკებს. მაგრამ მაშინ ხომ ამინდს ეს წვრილფეხობა ქმნიდა და არა წესიერი ხალხი. გალიულინი ბევრ რამეში დამეხმარა, მადლობა მას ამისათვის. ჩვენ ხომ ძველი ნაცნობები ვართ. ქალიშვილობაში ხშირად დავდიოდი იმ ეზოში, სადაც ის იზრდებოდა. იმ სახლში რკინიგზელი მუშები ცხოვრობდნენ, ბავშვობაში ბევრი სიდუხჭირე და ჭაპანწყვეტა ვნახე. ამიტომ რევოლუციასთან სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს, ვიდრე თქვენ. ჩემთან ის უფრო ახლოსაა, ჩემთვის მასში ბევრი რამ მშობლიურია. და აი, ის ბიჭი, მეეზოვის შვილი, ერთბაშად პოლკოვნიკი ხდება, ან შეიძლება თეთრი გენერალიც. მე სამოქალაქო წრიდანა ვარ და ჩინებში ცუდად ვერკვევი. სპეციალობით კი ისტორიის მასწავლებელი ვარ. დიახ, სწორედ ეგრეა საქმე, ჟივაგო. ბევრს დავეხმარე. მასთან დავდიოდი. თქვენც გიხსენებდით. მე ხომ ყველა მთავრობაში ნაცნობები და მფარველები მყავს, საატკივარი და თავში საცემი კი არცერთი ხელისუფლების დროს არ მელევა. ეს ხომ მხოლოდ

ცუდ წიგნებშია, როცა მცხოვრებლები ორ ბანაკად იყოფიან და ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. სინამდვილეში კი ყველაფერი ერთმანეთშია გადახლართული! რა გამოუსწორებელი არარაობა უნდა იყოს ადამიანი, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ერთი როლი ითამაშოს, საზოგადოებაში ერთადერთი ადგილი დაიკავოს, ესე იგი სულ ერთი და იგივე!

– აჰა, შენ თურმე აქა ყოფილხარ?

ოთახში დაახლოებით რვა წლის წვრილნაწნავებიანი გოგონა შემოვიდა. ვიწროდ გაჭრილ თვალებში ანცი ეშმაკუნები უხტოდნენ. როცა იცინოდა, თვალებს წკურავდა. კარებამდე შენიშნა, რომ დედას სტუმარი ჰყავდა, მაგრამ როგორც კი ზღურბლს გადმოაბიჯა, საჭიროდ ჩათვალა, სახეზე უნებური გაკვირვება გამოეხატა, რევერანსი გააკეთა და ექიმს ნაადრევად დაფიქრებული, მარტოსულად გაზრდილი ბავშვის უშიშარი თვალებით მიაჩერდა.

– ჩემი შვილია, კატენკა. გთხოვთ იცნობდეთ და სწყალობდეთ. – მახსოვს, მელიუზეევში მის სურათებს მიჩვენებდით. როგორ გაზრდილა და გამოცვლილა!

– სახლში ყოფილხარ, მე კი ვიფიქრე – სეირნობდი, როგორ შემოხვედი, ვერც კი გავიგე.

– ვიღებ ხვრელიდან გასაღებს, იქ კი აი, ამოდენა ვირთხაა! დავიყვირე და გვერდზე გადავხტი! მეგონა, შიშით გული გამისკდებოდა. კატენკა ლაპარაკობდა, საყვარლად იღუშებოდა, თვალები ეშმაკურად უციმციმებდა და წყლიდან ამოგდებული თევზივით მრგვალ პირს აღებდა.

– გადი ახლა შენს ოთახში. აი, ბიძიკოს როგორმე დავიყოლიებ, რომ სადილად ჩვენთან დარჩეს, ჰაერღუმელიდან ფაფას გამოვიღებ და დაგიძახებ.

– გმადლობთ, მაგრამ იძულებული ვარ უარი გითხრათ. რაც ამ ქალაქში დავიწყე სიარული, სახლში ექვს საათზე ვსადილობთ ხოლმე. დაგვიანება არ მიყვარს, გზა კი არც ისე მოკლეა, ოთხის თუ არა, სამი საათის სავალი მაინც იქნება. იმიტომ ჩამოვდივარ თქვენთან ასე ადრე,

– მაპატიეთ, – და მალე წავალ.

– მხოლოდ ნახევარი საათით.

– სიამოვნებით.

15

– ახლა კი, – გულახდილობისათვის გულახდილობითვე გიპასუხებთ, სტრელნიკოვი, რომელზეც მიყვებოდით, ჩემი ქმარი პაშაა, პაველ პავლოვიჩ ანტიპოვი, რომლის საძებნელადაც ფრონტზე წავედი, ვისი მოჭორილი სიკვდილისაც არა მჯეროდა და მართალიც ვიყავი.

– არ მიკვირს, სამაგისოდ მომზადებული ვარ. ეგ ზღაპარი მოსმენილი მაქვს და სისულელედ მიმაჩნია. სწორედ მაგიტომ გადამავიწყდა ყველაფერი ამ ზომამდე და სრულიად თავისუფლად და გაუფრთხილებლად ვილაპარაკე თქვენთან მასზე, თითქოს ეს ხმები არც კი არსებობდნენ. თუმცა ეს მითქმა-მოთქმა უაზრობაა. მე ვნახე ის კაცი. როგორ შეიძლება მასთან თქვენი დაკავშირება? რა გაქვთ საერთო? – და მაინც ეს ასეა, იური ანდრეევიჩ. სტრელნიკოვი ანტიპოვია, ჩემი ქმარი, საერთო აზრს ვეთანხმები. ეს კატენკამაც იცის და ამაყობს თავისი მამით. სტრელნიკოვი მისი შერქმეული სახელი, ფსევდონიმია, ყველა სხვა რევოლუციური მოღვაწის მსგავსად. რაღაც მოსაზრების გამო იძულებულია სხვისი სახელით იცხოვროს და იმოქმედოს.

აი, იგი იურიატინს იღებდა, ჭურვებს გვიშენდა, იცოდა, აქ რომ ვიყავით, და თავისი საიდუმლო რომ არ გაემჟღავნებინა, არც კი დაინტერესებულა, ცოცხლები დავრჩით თუ არა. ეს, რა თქმა უნდა, მისი მოვალეობა იყო. რომ ეკითხა, როგორ მოვიქცეო, იმასვე ვურჩევდით. თქვენ ახლა მეტყვით, რომ ჩემი ხელშეუხებლობა, ქალაქის საბჭოს მიერ საბინაო პირობების გაუმჯობესება – ჩვენზე მისი იდუმალი ზრუნვის არაპირდაპირი მაჩვენებელია. სულ ერთია, ვერ დამარწმუნებთ. აქვე ახლოს იყოს და ჩვენი ნახვის ცდუნებას სძლიოს?! ამის წარმოდგენა არაფრით შემიძლია,

ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. ჩემთვის ეს რაღაც მიუწვდომელია, ცხოვრება კი არა, რაღაცნაირი რომაული სამოქალაქო თავგანწირვაა, ერთ-ერთი ახლანდელი ჭკუის პეიტრობაა. მაგრამ ვატყობ, თქვენს გავლენაში ვექცევი და თქვენს ჰანგზე ვიწყებ სიმღერას. მე კი ეს არ მინდოდა. ჩვენ არა ვართ თანამოაზრეები. რაღაც უჩინარი, არასავალდებულო ერთნაირად გვესმის. მაგრამ ფართო მნიშვნელობის საგნებში, ცხოვრებისეულ ფილოსოფიაში სჯობია მოწინააღმდეგეები ვიყოთ. თუმცა მოდით, ისევ სტრელნიკოვს დავუბრუნდეთ.

ახლა იგი ციმბირშია, და თქვენ მართალი ხართ, ჩემამდეც მოაღწიეს მის მიმართ საყვედურებმა, რისგანაც გული მეყინება, ახლა ციმბირშია, ჩვენს ერთ-ერთ მეტისმეტად წინ წაწეულ უბანზე იბრძვის, ამარცხებს თავის ეზოს მეგობარს და შემდგომში ფრონტელ ამხანაგს, საცოდავ გალიულინს. რომლისთვისაც არც მისი სახელია საიდუმლო და არც ცოლქმრობა, და რომელიც დაუფასებელი გამჭრიახობის წყალობით ამას არასოდეს მაგრძნობინებდა, თუმცა სტრელნიკოვის სახელის გაგონებაზე წონასწორობას ჰკარგავს, ბრდღვინავს და ლეწავს ყველაფერს. დიახ, ასეა, ესე იგი, ახლა ის ციმბირშია.

როცა აქ იყო (ის აქ დიდხანს იმყოფებოდა და სულ იმ ვაგონში ცხოვრობდა, სადაც ნახეთ), დღედაღამ იმის ცდაში ვიყავი, როგორმე შემთხვევით, მოულოდნელად შევხვედროდი. ხანდახან შტაბში ჩამოდიოდა, იმ შენობაში, სადაც ადრე კომუჩის ანუ დამფუძნებელი კრების ჯარების სამხედრო სამმართველო იყო მოთავსებული. და აი, ბედის უცნაური თამაში: შტაბის შესასვლელი იმავე ფლიგელიდან იყო, სადაც ადრე გალიულინი მიღებდა, როცა სხვებზე სათხოვნელად დავდიოდი. მაგალითად, კადეტთა კორპუსში გახმაურებული ამბავი მოხდა, კადეტებმა ბოლშევიზმისადმი მიდრეკილების ბრალდებით დაიწყეს არასასურველ მასწავლებელთა დევნა, ჩასაფრება და ხოცვა. ან როცა ებრაელთა დევნა და ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. სხვათაშორის, ამასთან დაკავშირებით აი, რისი თქმა მინდოდა. თუ ჩვენ ქალაქელები და გონებრივი შრომის ხალხი

ვართ, ჩვენი ნაცნობების ნახევარი მათი რიცხვიდანაა. და ამგვარი რბევისა და აწიოკების დროს, როცა ასეთი საშინელებები და საძაგლობები იწყება, აღშფოთებასთან, სირცხვილთან და სიბრალულთან ერთად არა გვშორდება გულისმომკვლელი გაორების გრძნობა, რომ არაგულწრფელ უსიამო დანალექთან ერთად ჩვენი თანაგრძნობა სანახევროდ გონებისმიერია.

ადამიანები, რომელთაც ოდესღაც კაცობრიობა კერპთაყვანისმცემლობის უღლისაგან გაათავისუფლეს და ახლა ასე უშურველად უძღვნიან თავიანთ სიცოცხლეს სოციალური ბოროტებისაგან მისი განთავისუფლების საქმეს, უძლურნი არიან საკუთარი თავისაგან განთავისუფლდნენ დრომოჭმული, წარღვნისდროინდელი სახელწოდების გამო, რომელმაც მნიშვნელობა დაჰკარგა, არ შეუძლიათ ამაღლდნენ საკუთარ თავზე და უკვალოდ გაჰქრნენ დანარჩენებში, რომელთა რელიგიურ რწმენას თავად ჩაუყარეს საფუძველი და რომელნიც ეგრერიგად ახლობელნი იქნებოდნენ მათთვის, უკეთ რომ სცოდნოდათ მათი ავანჩავანი, ალბათ დევნა და შევიწროება აიძულებთ მათ, ამგვარი უსარგებლო და დამღუპველი, ასეთი დარცხვენილი თავგანწირული განკერძოების მდგომარეობაში იყვნენ, რასაც მხოლოდ უბედურება მოაქვს, მაგრამ არის ამაში შინაგანი დაძაბუნებაც, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული დაღლილობაც. არ მიყვარს მათი ირონიული თავის გამხნევება, ყოველდღიური სიღატაკის განცდა, მფრთხალი წარმოსახვა. ეს ადამიანს აღიზიანებს, როგორც მოხუცების ჩივილი სიბერეზე ან ავადმყოფთა მოთქმა სნეულებაზე. ასე არ არის?

– არ მიფიქრია ამაზე. ერთი ამხანაგი მყავს, ვინმე გორდონი, ისიც ამავე აზრისაა.

– და აი, პაშას საყარაულოდ სწორედ იქ დავდიოდი. იმის იმედით, იქნებ შევიდეს ან გამოვიდეს-მეთქი. ოდესღაც ფლიგელში გენერალ-გუბერნატორის კანცელარია ყოფილა. ახლა იქ კარზე წარწერაა:

„საპრეტენზიო ბიურო". იქნებ გინახავთ კიდეც. ქალაქის ულამაზესი

ადგილია. წინ მოკირწყლული მოედანია. მოედნის გადაღმა ქალაქის ბაღია. რას არ შეხვდები იქა, ძახველი გინდა, ნეკერჩხალი თუ დევცეცხლა. ვიდექი ტროტუარზე, მთხოვნელთა ბრბოში, და ველოდებოდი. რაღა თქმა უნდა, მიღებაზე კარს არ ვუმტვრევდი, არავის ვეუბნებოდი, ცოლი რომ ვიყავი. გვარები ხომ სხვადასხვა გვაქვს. მერედა, რა შუაშია აქ გულისთქმა? მაგათ სულ სხვა წესები აქვთ. მაგალითად, მისი მშობელი მამა პაველ თერაპონტოვიჩ ანტიპოვი, ყოფილი პოლიტიკური გადასახლებული, მუშათა წრიდან, სადღაც აქ ახლოს, დიდი გზის პირას სასამართლოში მუშაობს, თავისი წინანდელი გადასახლების ადგილას. იქვეა მისი მეგობარი ტივერზინიც. რევოლუციური ტრიბუნალის წევრები არიან. მერედა რა გგონიათ? შვილი არც მამას უტყდება, და ისიც ამას ისე უყურებს, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, არა სწყინს. რაკი შვილი დაშიფრულია, ესე იგი არ შეიძლებაო. ადამიანები კი არა, ქვები არიან. ეს პრინციპებიო, ეს დისციპლინაო...

თუნდაც დამემტკიცებინა, რომ ცოლი ვიყავი, რა დიდი ბედენა იქნებოდა? ცოლებისათვის სცალიათ? თანაც რა დროა? მსოფლიო პროლეტარიატი, სამყაროს გარდაქმნა სხვა საქმეა, მესმის, ცალკეული ორფეხა სულიერი, ვთქვათ, რომელიღაც ცოლი ან მისი მსგავსი კი, ფუჰ, უკანასკნელი რწყილი თუ ტილია.

ადიუტანტი დადიოდა, კითხულობდა. ზოგიერთს უშვებდა. მე გვარს არ ვეუბნებოდი, კითხვაზე, თუ რა საქმე მქონდა, პირადი-მეთქი, ვპასუხობდი. წინასწარვე აშკარა იყო, რომ ჩემს საქმეს არა ეშველებოდა რა, უარით მისტუმრებდნენ. ადიუტანტი მხრებს იჩეჩავდა, ეჭვით მიყურებდა. ასე იყო, ვერა და ვერ ვნახე.

გგონიათ ვეთაკილებით, დავავიწყდით ან არ ვახსოვართ? აჰ, არა, პირიქით! ძალიან კარგად ვიცნობ სამაგისოდ! სწორედ გრძნობების სიჭარბით ჩაიფიქრა ასეთი რამე! უნდა მთელი ეს სამხედრო დიდება ფეხქვეშ დაგვიფინოს, ხელცარიელი კი არა, გამარჯვებული დაგვიბრუნდეს, დიდებით მოსილი! უკვდავება მოგვანიჭოს, დაგვაბრმაოს!

ბავშვივითაა!

ოთახში ისევ კატენკა შემოვიდა. ლარისა ფეოდოროვნამ გაოცებულ ბავშვს ხელი სტაცა, აიყვანა, გულში ჩაიკრა, შეუღიტინა, ჩაჰკოცნა და კინაღამ დაახრჩო.

16

იური ანდრეევიჩი ქალაქიდან ცხენით ბრუნდებოდა ვარიკინოში. უკვე უთვალავჯერ იყო გავლით ამ ადგილებში. გზას მიეჩვია, მას აღარ გრძნობდა, აღარც კი ამჩნევდა.

იგი ტყის გზაჯვარედინს უახლოვდებოდა, სადაც ვარიკინოში პირდაპირ მიმავალ გზას მდინარე საკმაზე მდებარე მეთევზეთა დაბა ვასილევსკოეში მიმავალი გზა ეყრებოდა. მათი განცალკევების ადგილას იმ მიდამოებში სასოფლო-სამეურნეო რეკლამის მესამე სვეტი იდგა. ამ გზაგასაყართან უსწრებდა ხოლმე ექიმს მზის ჩასვლა. ახლაც საღამო ახლოვდებოდა.

ორ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, როცა ქალაქში ერთ-ერთი ჩასვლისას საღამოს სახლში აღარ დაბრუნდა და ლარისა ფეოდოროვნასთან დარჩა, შინ კი თქვა, ქალაქში საქმემ შემიყოლია, ღამე სამდევიატოვის ბაკებში გავათიეო. კარგა ხანი იყო, რაც ანტიპოვას შენობით მიმართავდა და ლარას ეძახდა, ის კი – ჟივაგოს. იური ანდრეევიჩი ტონიას ატყუებდა და სულ უფრო სერიოზულ და ნებადაურთველ რაღაც-რაღაცეებს უმალავდა. ეს გაუგონარი ამბავი იყო, ტონიას აღმერთებდა, ისე უყვარდა. მისი სულიერი სამყარო, მისი სიმშვიდე მთელ ქვეყანაზე ყველაფერს ერჩივნა. ცოლის პატიოსნების დასაცავად მთასავით იყო შემართული და ამ საქმეში უფრო მეტად გამოიდებდა თავს, ვიდრე მამამისი ან თავად ქალი. მისი თავმოყვარეობის შელახვას არავის შეარჩენდა, თავისივე ხელით დაფლეთდა შეურაცხმყოფელს. და აი, ეს შეურაცხმყოფელი თვითონვე იყო.

შინ, ახლობელთა შორის, თავს გამოუაშკარავებელ დამნაშავედ გრძნობდა. შინაურები ბაიბურშიც არ იყვნენ, ძველებურად თვალებში შესიციცინებდნენ და ეს უფრო უკლავდა გულს. გახურებულ საუბარში ერთბაშად ახსენდებოდა თავისი დანაშაული და გახევებულს აღარ ესმოდა, გარშემო რა ხდებოდა.

თუ ამგვარი რამ სუფრასთან ხდებოდა, გადაყლაპული ლუკმა ყელში ეჩხირებოდა, კოვზს ხელს უშვებდა და თეფშს განზე სწევდა. ცრემლები ახრჩობდა. „რა გემართება?" – უკვირდა ტონიას, – „ალბათ ქალაქში ცუდი ამბავი გაიგე. ჩასვეს ვინმე? თუ დახვრიტეს? მითხარი. ნუ გეშინია, არაფერი მომივა. დარდს გაგიქარვებს".

უღალატა ტონიას, ვინმე ირჩია მის თავს? არა, მას არავინ აურჩევია, არავინ შეუდარებია. „თავისუფალი სიყვარულის" იდეები, „გრძნობათა უფლებებისა და მოთხოვნილებების" მსგავსი სიტყვები მისთვის უცხო იყო. ასეთ რამეებზე ლაპარაკი და ფიქრიც კი სიმდაბლედ ეჩვენებოდა. ცხოვრებაში არასოდეს კრეფდა „სიამის ყვავილებს", თავის თავს სანახევროდ ღმერთად ან ზეკაცად არასოდეს თვლიდა, განსაკუთრებულ შეღავათებს და უპირატესობებს არასოდეს მოითხოვდა და ახლა შებღალული სინდისი მოსვენებას არ აძლევდა.

რა მოხდება? – ეკითხებოდა იგი ხანდახან საკუთარ თავს. პასუხს ვერასდიდებით ვერ პოულობდა და რაღაც აუხდენელის იმედი ჰქონდა, ეგონა, რაღაც გაუთვალისწინებელი, ყოვლისმომცველი რამ გამოტყვრება და ყველაფერს ეშველებაო.

მაგრამ ამჟამად ასე არ იყო. გადაწყვიტა, კვანძი ძალით გადაეჭრა. შინ მზამზარეული გადაწყვეტილებით ბრუნდებოდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ტონიას წინაშე ყველაფერი ეღიარებინა, პატიება ეთხოვნა და ლარას აღარასოდეს შეხვედროდა.

თუმცა ამ საქმეში ყველაფერი რიგზე როდი იყო. როგორც ეჩვენებოდა, არც ისე ნათელი იყო, როგორ დაშორდებოდა ლარას სამუდამოდ,

უკუნითი უკუნისამდე. დღეს დილით გაანდო თავისი სურვილი, ყველაფერი ტონიას უნდა ვუთხრა, ამიერიდან ჩვენი შეხვედრა შეუძლებელია-ო, მაგრამ ახლა ისეთ გულზე იყო, თითქოს ყოველივე მეტისმეტად შერბილებულად, არც თუ მტკიცედ განუცხადა.

ლარისა ფეოდოროვნას არ უნდოდა მძიმე სცენებით გული მოეკლა იური ანდრეევიჩისათვის. ესმოდა, რომ იგი უიმისოდაც იტანჯებოდა. შეეცადა, მისი ნათქვამი რაც შეიძლება მშვიდად მოესმინა. სავაჭრო ქუჩაზე გამავალ ძველი პატრონების ცარიელ, ლარისა ფეოდოროვნას მიერ აუთვისებელ ოთახში საუბრობდნენ. ლარას ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა მისთვის შეუმჩნეველი, გაუცნობიერებელი ცრემლები, როგორც იმ წვიმიან დღეს მოპირდაპირე, ჩუქურთმიანი სახლის ქანდაკებებს ეღვრებოდათ სახეზე ცის ნამი. გულწრფელად, მოჩვენებითი დიდსულოვნების გარეშე წაიჩურჩულა: „როგორც გიჯობდეს, ისე მოიქეცი, მე ნუ მიყურებ. მე ყველაფერს ავიტანო". არ იცოდა, რომ ტიროდა და არც ცრემლებს იმშრალებდა.

იმის გაფიქრებაზე, ვაითუ ლარისა ფეოდოროვნამ არასწორად გამიგო და გულში ბუნდოვნად ჩაკირული ამაო იმედების ამარა დავტოვეო, მზად იყო, უკანვე მიბრუნებულიყო და ქალაქისკენ გაექუსლა, რათა ბოლომდე ეთქვა სათქმელი, რაც მთავარია, უფრო მხურვალედ და ნაზად გამომშვიდობებოდა, როგორც ჭეშმარიტ, სამუდამო, საუკუნო გამოთხოვებას შეეფერებოდა. თავს ძლივს მოერია და გზა განაგრძო. ცის დასალიერზე მზის ჩასვენებასთან ერთად ტყეში სიცივე და სიბნელე მატულობდა. ირგვლივ ფოთლების ნოტიო სურნელი დატრიალდა, თითქოს აბანოს წინა ოთახში ცხელ წყალში დამბალ ცოცხს ოხშივარი ავარდაო. ჰაერში ტივტივებივით უძრავად დაეკიდნენ ხმაშეწყობილად, ერთ ჰანგზე მოზუზუნე კოღოს გუნდები. იური ანდრეევიჩი წამდაუწუმ იტყაპუნებდა ხელს შუბლსა და კისერზე. გაოფლილ სხეულზე ხელისგულის ტკაცუნი საოცრად ეხმიანებოდა უნაგირის თასმების ჭრაჭუნს, მღვრიე გუბეებში ფლოქვების დგაფუნს და ცხენის მუცლიდან მომავალ ბუყბუყს.

ერთბაშად შორს, ჩამავალი მზის მხარეს, ბულბულის სტვენა მოისმა.

„გაიღვიძე! გაიღვიძე!" – ეძახდა და არწმუნებდა იგი, თითქოს აღდგომის წინ რეკდა: „სულო ჩემო, სულო ჩემო! იღორძინე, განიღვიძე!"[86] უცებ იური ანდრეევიჩს გონება უმარტივესმა აზრმა გაუნათა. რა ეჩქარება? თავის თავს რომ მისცა, იმ სიტყვას არ გადავა. მხილება იქნება. მაგრამ სად არის ნათქვამი, რომ ყოველივე ეს მაინცდამაინც დღეს უნდა მოხდეს? ტონიამ ჯერ არაფერი იცის. ჯერ კიდევ გვიან არ არის, ეს აღიარება სამომავლოდ გადადოს. ამასობაში კიდევ ერთხელ ჩავა ქალაქში. ლარასთან საუბარს ბოლომდე მიიყვანს, შიგ სულსა და გულს ჩააქსოვს მთელი ამ ტანჯვის გამოსასყიდად. ო, რა კარგია! რა საუცხოოა! საკვირველია, ადრე როგორ ვერ მოისაზრა!

ანტიპოვას კიდევ ერთხელ ნახვის შესაძლებლობამ იური ანდრეევიჩი სიხარულით აავსო. გული გამალებით აუძგერდა. ყველაფერი წინასწარ თვალწინ დაუდგა.

ჯერ გარეუბნის ძელური უბნები და ხის ტროტუარები გამოჩნდება, იგი ლარასთან მიდის. ახლა, ნოვოსვალოჩნისთან, უშენი ადგილები და ქალაქის ხის სახლები დამთავრდება, ქვიტკირის შენობები დაიწყება, მარჯვნივ და მარცხნივ მიფრინავენ გარეუბნის წვრილ-წვრილი სახლები, მიფრიალებენ, როგორც წიგნის სწრაფად გადაშლილი ფურცლები, ისე კი არა, საჩვენებელი თითით სათითაოდ რომ გადაფურცლავ, არა, საჩვენებელსა და ცერს შორის ბლომად ფურცლებს რომ მოიქცევ და ერთბაშად გააფრიალებ, აი ისე! სუნთქვა ეკვრება! აგერ იქ ცხოვრობს, იმ ბოლოში! ნაწვიმარი ცის საღამოჟამს თეთრად მოქათქათე კალთის ქვეშ, შემოქმედის ხელიდან იქ კვლავ მიიღებს საჩუქრად იმ ღვთივ მოვლენილ თეთრ საოცრებას. კარს თალხ სამოსში გახვეული ლანდი – გაუღებს. და ეს ოცნება, ერთი შეხედვით თავშეკავებული, ჩრდილოეთის ნათელი ღა-

[86] საწყისი საგალობელი წმინდა ანდრია კრიტელის კონდაკისა, რომელიც დიდმარხვის პირველ და მეხუთე კვირას იკითხება.

მესავით ცივი, ქვეყნად არავის რომ არ ეკუთვნის, მის შესახვედრად გამოქანდება ზღვის პირველი ტალღასავით, რომლისკენაც სიბნელეში სანაპიროს ქვიშაზე გარბის.

იური ანდრეევიჩმა აღვირს ხელი გაუშვა, უნაგირიდან წინ გადაიწია, ცხენს კისერზე მოეხვია და სახე ფაფარში ჩარგო. ბედაურმა ეს მოფერება წაქეზებად მიიღო და ოთხით გაჭენდა.

ლაღი ქროლვისას, იმ შუალედებში, როცა ცხენის ფლოქვები მიწას სწყდებოდნენ და ორივენი ჰაერში მიფრინავდნენ, სიხარულით მოგუგუნე გულის ბაგაბუგის გარდა რაღაც ყვირილის ხმა ესმოდა, მაგრამ ფიქრობდა, მეჩვენებაო.

უცებ იქვე, შორიახლო თოფმა იჭექა. ექიმმა თავი ასწია, აღვირს სტაცა ხელი და თავისკენ მოზიდა. გაქანებულმა ცხენმა თავი ვეღარ შეიკავა, ფეხებგაფარჩხული რამდენჯერმე გვერდზე გადახტა, უკან დაიხია, გავა ნელ-ნელა ძირს დაუშვა და ყალყზე შესადგომად მოემზადა.

წინ გზა ორად იყოფოდა. მის მახლობლად, ჩამავალი მზის სხივებით განათებული აბრა მოჩანდა: „მორო და ვეტჩინკინი. სათესი და სალეწი მანქანები". გზის გარდიგარდმო სამი შეიარაღებული მხედარი იდგა. ერთ მათგანს რეალური სასწავლებლის ფორმის ქუდი ეხურა და ტყვიამფრქვევის ლენტებით გადაჯვარედინებული ხიფთანი ეცვა. კავალერისტს ოფიცრის მაზარა და ყუბანურა ამშვენებდა, ხოლო მესამე, ჩასუქებული, ისე უცნაურად იყო ჩაცმულ-დახურული, გეგონებოდათ, სამასკარადოდ გამოწყობილაო. დალიანდაგებული შარვალი, დაბამბული ჯუბა ეცვა და თვალებშიც ფართო ფარფლებიანი ხუცესის კუნკულა ჩამოეფხატნა.

– არ გაინძრეთ, ამხანაგო ექიმო, – მშვიდად უთხრა სამეულის უფროსმა, ყუბანურ ქუდიანმა კავალერისტმა. – დამორჩილების შემთხვევაში არაფერს გავნებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ნუ გაგვიწყრებით და აქვე მიგაცხრილავთ. რაზმში ფერშალი მოგვიკლეს. როგორც სამედიცინო მუშაკს, იძულებით მობილიზაციაში გიწვევთ. ჩამოდით ცხენიდან და აღვირი უმცროს ამხანაგს გადაეცით. გაფრთხილებთ, გაქცევაზე

ფიქრს თუ გაივლებთ, ცერემონიებს არ დაგიწყებთ.

– თქვენ მიკულიცინის ვაჟი ლივერი, ამხანაგი ლესნიხი ხართ? – არა, მე მისი კავშირგაბმულობის უფროსი კამენოდვორსკი გახლავართ.

ნაწილი მეათე

დიდ გზაზე

1

გაყურსულიყვნენ დაბა-ქალაქები, სოფლები, საფოსტო სადგურები – ქალაქი კრესტოვოზდვიჟენსკი, სტანიცა ომელჩინო, პაჟინსკი, ტისიაცკოე, იაგლინსკოე, ზვონარსკაია, საფოსტო სადგური ვოლნოე, გურტოვშჩიკი, კეჟემსკაია ზაიმკა, სტანიცა კაზეევო, დაბა კუტეინი პოსადი, სოფელი მალი ერმოლაი.

ციმბირის დიდი, განთქმული, ძველისძველი საფოსტო შარაგზა მათზე გადიოდა. მთავარი ქუჩების დანებით იგი ქალაქებს ზედ შუაზე პურივით სჭრიდა, სოფლებს კი ზედაც არ უყურებდა, ხან აქეთ-იქით ჩარიგებულ ქოხმახთა მწკრივებს ისარივით ჩაუქროლებდა. ხან კი უცაბედი მოსახვევით რკალად ხრიდა და ისევ შორეთს ეშურებოდა.

შორეულ წარსულში, ხოდატსკოეზე რკინიგზის გაყვანამდე, ამ შარაგზაზე სამცხენიანი ეტლები დაჰქროდნენ. ერთ მხარეს ჩაით, პურით და საფაბრიკო ნაკეთობათა რკინეულით დატვირთული აღალები მოირწეოდნენ, მეორე მხარეს კი ბადრაგების თანხლებით ფეხით ჯგუფ-ჯგუფად მიუდიოდათ ტუსაღები. გზას მიჰყვებოდნენ ნაბიჯ-ნაბიჯ, რკინის ბორკილებს აჟღარუნებდნენ უიმედონი, განწირულნი და ცის ცეცხლივით საშიშარნი. ირგვლივ კი ტყენი ბუბუნებდნენ, გაუვალნი და გულდახურულნი.

მთელი შარაგზა ერთი ოჯახივით ცხოვრობდა. ქალაქი ქალაქს იცნობდა და სოფელი – სოფელს, ერთიმეორესთან მიდი-მოდიოდნენ და მოკეთეობდნენ. ხოდატსკოეში, რკინიგზის გადაკვეთაზე, ორთქლმავალშემკეთებელი სახელოსნოები და სარკინიგზო მექანიკური საწარმოები იყო. ყაზარმებში შეყრილ ღარიბობას წლიდან წლამდე რის ვაივაგლახით გაჰქონდა თავი, ავადმყოფობდა და იხოცებოდა. სასჯელმოხდილი პოლიტიკური კატორღელები, ვინც ტექნიკასთან მწყრალად არ იყო, ოსტატებად გადადიოდნენ და საცხოვრებლად იქვე რჩებოდნენ.

თავდაპირველი საბჭოები მთელი გზის გასწვრივ კარგა ხნის წინათ

დაამხეს. ერთხანს ციმბირის დროებითი მთავრობის ხელისუფლება ბოგინობდა, ახლა კი მთელ მხარეს უმაღლესი მმართველი კოლჩაკი[87] განაგებდა.

2

ერთ-ერთ გადასარბენზე გზა სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა. შორეთის ხედიც თანდათან ფართოვდებოდა. კაცი იფიქრებდა, აღმართს და თვალსაწიერის ზრდას დასასრული აღარ ექნებაო. როცა ცხენები და მგზავრები იღლებოდნენ და სულის მოსათქმელად ჩერდებოდნენ, აღმართიც თავდებოდა. წინ, ხიდის ქვეშ თავბრუდამხვევად მიგელავდა მდინარე კეჟმა.

მდინარის გაღმა, უფრო ციცაბო მწვერვალზე ჯვართამაღლების მონასტრის აგურის კედელი მოჩანდა. გზა მონასტერს ქვევიდან უქცევდა მხარს და გარეუბნის უკანა ეზოებს შორის რამდენიმე მოსახვევის შემდეგ ქალაქის სიღრმეში შედიოდა.

იქ იგი კიდევ ერთხელ უვლიდა გვერდით სამონასტრო სამფლობელოს მთავარ მოედანზე, სადაც მონასტრის მწვანედ შეღებილი რკინის ჭიშკარი გადიოდა. შესასვლელის თაღქვეშ გამოსახულ აღსავლის კარის ხატს ნახევარ წრედ გარს შემოვლებული ოქროვანი წარწერა ამკობდა: „გიხაროდენ ჯვარი ცხოველმყოფელი, გვირგვინი ესე ძლევათა საკვირველთა”.

ზამთარი იწურებოდა. იდგა ვნების კვირა, დიდმარხვის დასასრული. გზებზე თოვლი შეპარულ დნობას ვეღარ მალავდა და შავდებოდა, სახურავებზე კი ჯერ ისევ თეთრად ქათქათებდა და სქლად იდო.

ჯვართამაღლების სამრეკლოზე მნათეებთან აცოცებულ ბიჭუნებს

---

[87] 1918 წლის 18 ნოემბერს ადმირალმა ა. ვ. კოლჩაკმა მოახდინა გადატრიალება, გადააყენა ციმბირის მთავრობა, ე. წ. უფის დირექტორია და ციმბირში, ურალსა და შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო დიქტატურა დაამყარა, მიიღო „რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი მმართველის” ტიტული.

ზევიდან სახლები ერთად თავმოყრილ წვრილ-წვრილ კოლოფებად და კიდობნებად ეჩვენებოდათ. სახლების წინ ერთი ციცქნა შავი კაცუნები დაფუსფუსებდნენ. ზოგიერთს სამრეკლოდან სიარულზე სცნობდნენ. მოფუსფუსენი კედლებზე გაკრულ უმაღლესი მმართველის ბრძანებულებას კითხულობდნენ არმიაში სამი მომდევნო ასაკის მოქალაქეთა გაწვევის შესახებ.

3

ღამეს მრავალი მოულოდნელობა მოჰყვა. ამ ხანებისათვის უჩვეულოდ ჩამოთბა. წვრილად ცრიდა, ისე წვრილად, თითქოს წვიმის წყალი მიწას ვერ აღწევდა და მოციაგე მტვრად ჰაერშივე განიმქრეოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა ასე, სინამდვილეში კი მისი თბილი, ნაკადულებად მიმოფანტული წყალი საკმარისი იყო საიმისოდ, რომ პირისაგან მიწისა აღეგავა თოვლი, რომელიც ახლა ოფლიანივით შავად ბზინავდა.

ერთიანად გაკვირტული, ტანდაბალი ვაშლის ხეები თავმომწონედ ყელყელაობდნენ და ღობეებიდან ტოტებს იწვდიდნენ. მსხვილი წვეთები ცვიოდა იქიდან ხის ტროტუარებზე და მთელი ქალაქი ამ არეულ-დარეული დოლურით იყო აღსავსე.

გათენებამდე უყეფდა და უღრენდა ფოტოგრაფიას ეზოში ჯაჭვით დაბმული ლეკვი ტომიკი. მისმა ყეფამ თუ გააღიზიანა, გალუზინების ბაღში მჯდომი ყვავი მთელ ქალაქს ომახიანად გადაჰყრანტალებდა.

ქვევით, ქალაქში ვაჭარ ლიუბეზნოვს სამი საზიდრით მოუტანეს საქონელი. იგი თავს იკლავდა, ასეთი რამ არასოდეს შემიკვეთიაო და საქონლის მიღებაზე უარს აცხადებდა. ახალგაზრდა მეფორნეები ეხვეწებოდნენ, უკვე გვიანია, ღამე მაინც გაგვათევინეო. ვაჭარი ცოფებს ჰყრიდა, ხელებს ატატანებდა და ჭიშკარს არ უღებდა. მათი ყაყანი მთელ ქალაქში ისმოდა.

საეკლესიო დროით ჟამსა მეშვიდესა, საეროთი კი – ღამის პირველ საათზე ჯვართამაღლების ოდნავ შერხეულ დედოზარს წყნარი, მრუმე და ტკბილი გუგუნი აღმოხდა, დინჯად გაცურდა და წვიმის ბნელ სინოტივეს შეერია. ეს ხმა ისე გასცდა ზარს, როგორც წყალდიდობისას ბელტი შორდება ნაპირს, იძირება და მდინარეში იშრიტება.

დიდი ხუთშაბათის ღამე იყო, თორმეტი მოციქულის დილა თენდებოდა. წვიმის ბადურა ბინდის სიღრმიდან დაიძრნენ და გაკრთნენ ოდნავ მბჟუტავი კვარებით განათებული შუბლები, ცხვირები, სახეები. მემარხულენი ცისკრის ლოცვაზე მიდიოდნენ.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მონასტრის მხრიდან ტროტუარის ფიცარნაგზე ფეხის ხმა გაისმა. მედუქნე ქალი გალუზინა ახალდაწყებული ლოცვიდან სახლში ბრუნდებოდა. თავსაფარწაკრულს ქურქი გაეღეღა და ნაბიჯს ხან აჩქარებდა, ხან ანელებდა. ეკლესიაში დახუთული ჰაერი ემძიმა და ჰაერზე გამოვიდა, ახლა კი რცხვენოდა და ნანობდა, ლოცვის ბოლომდე რომ აღარ დარჩა. თანაც მეორე წელი იყო, აღარ და. თუმცა ამაზე ეგრერიგად როდი დარდობდა. დღისით უფრო ყველგან გამოკრულმა სამობილიზაციო ბრძანებულებამ აუმღვრია გრძნობა-გონება, რომელიც მის საცოდავ ტუტუც შვილ ტერეშასაც ეხებოდა.

ცდილობდა, უსიამო ფიქრი თავიდან მოეშორებინა, მაგრამ განცხადების ქაღალდის ნაგლეჯი სულ თვალწინ ედგა და გულს უწამლავდა. სახლი იქვე მოსახვევში, ერთი ხელის გაწვდენაზე ჰქონდა, მაგრამ გარეთ ერჩია. ჰაერზე ყოფნა უნდოდა, ჩახუთულ სახლში გული არ უდგებოდა.

მწარე ფიქრები არ ასვენებდნენ. ერთიმეორის მიყოლებით მათი ხმამაღლა ჩამოთვლა რომ დაეწყო, გათენებამდე დრო არ ეყოფოდა. აქ კი, ქუჩაში, ეს უამური ფიქრები გუნდ-გუნდად დაესივნენ და მათთან ანგარიშის გასწორებას რამდენიმე წუთს თუ მოანდომებდა, მონასტრის კუთხიდან მოედნის კუთხემდე ორჯერ-სამჯერ თუ გაივლიდა.

ბრწყინვალე დღესასწაული ცხვირწინ იყო, სახლში კი ადამიანიშვილი არ ჭაჭანებდა, ყველანი აქეთ-იქით გაიკრიფნენ და მარტო დატოვეს.

მოწაფე ქსიუშა არც კი იყო ანგარიშში ჩასაგდები. მართლაც, ვინ იყო? ბნელეთის უცხო სული. მეგობარია, მტერი თუ მეტოქე, ვინ იცის. ქმარს მოჰყვა პირველი ქორწინებიდან. ვლასუშკას ნაშვილებია. იქნებ ნაშვილები კი არა, ნაბიჭვარია? იქნებ არც ნაბიჭვარია და სულ სხვა ოპერიდანაა! განა კაცს რამეს გაუგებ? თუმცა გოგოს საწინააღმდეგოდ ენაც ვერ მოგიბრუნდება. ჭკვიანი, ლამაზი და სანიმუშოა. გამოტვინებული ტერეშკა ან მამობილი სად შეედრებიან.

და აი, ღვთის კარზე მარტოდმარტოა, მიატოვეს, აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, ვინც საით მოასწრო, იქით წავიდა.

ქმარმა ვლასუშკამ თავი დაადო და ახალწვეულთა გასამხნევებლად, საგმირო საქმეთა ჩასადენად ახალგაზრდობის გასაქეზებლად შარაგზას გაუყვა. არადა იმ ყეყეჩს ერჩია, თავის საკუთარ ლოქოზე ეფიქრა, სასიკვდილო განსაცდელისაგან მის დასახსნელად ეღონა რამე.

შვილმა ტერეშამაც დრო ნახა და თავს უშველა, დიდი დღესასწაულის წინ მოკურცხლა, კუტეინი პოსადში მოუსვა ნათესავებთან, ცოტას გულს გადავაყოლებო, მეყო, რაც გადავიტანეო. რეალური სასწავლებლიდან გამოაპანღურეს. თითქმის ყოველ კლასში ორ-ორჯერ იჯდა, მაგრამ რად გინდა? შეაყარე კედელს ცერცვი. მერვეში კი აღარ დაინდეს, კარებისაკენ მიუთითეს.

ეჰ, რამდენი სადარდებელი აქვს! ღმერთო, ღმერთო! ნეტა რა მოსდის, სული შეეხუთა, ხელები უღონოდ ჩამოეკიდა. ყველაფერი ხელიდან უვარდება, სიცოცხლე აღარ უნდა! ნეტა რა ჭირი ემართება?

ნუთუ ყველაფერი რევოლუციის ბრალია? აჰ, არა, არა! ომის ბრალია. თუ სადმე კარგი ვაჟკაცი იყო, ომში გაჟლიტეს, მომჩვარული ქალაჩუნებიღა შემორჩა დედამიწას.

განა მშობლების სახლში, მოიჯარადრე მამის ოჯახშიც ასე იყო? მამა არ სვამდა, განათლებული კაცი იყო, რა გინდა სულო და გულო, რომ არა ჰქონდათ. ორი და ჰყავდა, პოლია და ოლია. თავიანთი სახელებივით შეხ-

მატკბილებული გოგონები იყვნენ, გუგულებივით შეწყობილები. სილამაზითაც ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. მხარბეჭიანი, წარმოსადეგი, ყაირათიანი კირითხუროთა უსტაბაშები მამას მოსვენებას არ აძლევდნენ. აი, თუნდაც დაიჟინეს, – ოჯახში, გაჭირვება რა იყო, არ იცოდნენ, – დაიჟინეს, გინდა თუ არა, მატყლი უნდა დავჩეჩოთ, დავართათ და შარფები ვქსოვოთო. მერედა რა გგონიათ? ამ საქმეში ისეთი ფხა და მარიფათი გამოიჩინეს, მთელ მაზრაში იმათ მოქსოვილ შარფებს იტაცებდნენ. ყველაფერი თვალსა და გულს ახარებდა, ყველაფერი უხვად იყო, ღვთისმსახურებაც, ცეკვებიც, ხალხიც, ზრდილობაც, მიუხედავად იმისა, რომ უბრალო ადამიანების, მეშჩანების ოჯახი იყო, მუშურ-გლეხური. თავად რუსეთიც იმ გოგონებივით იყო, მასაც ჰყავდა ნამდვილი თაყვანისმცემელნი, ნამდვილი დამცველები, ახლანდელები იმათ გვერდით დადგომასაც ვერ გაუბედავდნენ. ახლა კი ყველაფერი გახუნდა, დღედაღამ ვექილივითღა ლაქლაქებენ გაუთავებლად, სიტყვებსღა იღეჭებიან, სიტყვებში იხრჩობიან. ვლასუშკა ცდილობს, ძველი, ოქროს ხანა შამპანურით და კეთილი სურვილებით დაიბრუნოს. მაგრამ განა დაკარგულ სიყვარულს ასე იბრუნებენ? საამისოდ ქვა ქვაზე არ უნდა დატოვო, მთები უნდა შესძრა და ქვესკნელამდე ჩაეძიო.

4

გალუზინა უკვე მერამდენედ გაუსწორდა მონატანებს, კრესტოვოზდვიჟენსკის სავაჭრო მოედანს. აქედან მისი სახლი მარცხნივ იყო, მაგრამ ყოველთვის აზრს იცვლიდა, უკან ბრუნდებოდა და მონასტრის ახლო მდებარე ვიწრო ქუჩების სიღრმეში დააბიჯებდა.

მონატანების მოედანი სიდიდით მოზრდილ მინდორს არ ჩამოუვარდებოდა. წინანდელ დროში, ბაზრობებზე, აქაურობა გლეხთა საზიდრებით ივსებოდა. ერთი მხრიდან იგი ელენეს ქუჩის ბოლოს ებჯინებოდა. მოედნის მეორე, უსწორმასწორო რკალის მხარეს წვრილ-წვრილი, ერთ

ან ორსართულიანი სახლები ჩაედგათ. მათში საწყობები, კანტორები, სავაჭრო დაწესებულებები და სახელოსნოები იყო მოთავსებული. მშვიდობიანობის დროს აქ ხშირად ნახავდით „კაპიკიანი გაზეთის“[88] კითხვაში გართულ, თავის ფართო, ოთხ რკინის დარაბიანი კარის ზღურბლთან ჩამომჯდარ სათვალეებიან და გრძელ სერთუკიან, დათვივით ტლანქ, ქალთმოძულე ბრიუხანოვს, რომელიც ტყავეულით, კუპრით, საზიდრის თვლებით, ცხენის აკაზმულობით, შვრიით და თივით ვაჭრობდა.

აქ, პაწაწინა, უღიმღამო ფანჯრის რაფაზე, წლობით ეწყო რამდენიმე მუყაოს ყუთი, ბაფთებითა და პაწაწინა თაიგულებით მორთული წყვილი საქორწილო სანთელი. შიგნით, ცარიელ ოთახში, სადაც, ერთმანეთზე დაწყობილ ცვილის რამდენიმე თაბახს თუ არ ჩავთვლით, საქონლის ნასახიც კი არ ჩანდა, კაცმა არ იცის, სადაური მესანთლე მილიონერის სახელით უცნობ რწმუნებულთა მიერ მასტიკაზე, ცვილსა და სანთელზე ათასობით მანეთის ღირებულების გარიგებები იდებოდა. აქ, ქუჩის რიგის შუაგულში, იდგა გალუზინების დიდი, სამფანჯრიანი კოლონიური დუქანი. შიგ დღეში სამჯერ რეცხავდნენ დამსკდარ, შეუღებავ იატაკს უფერული ჩაით, რომლითაც ნოქრები და მედუქნე მთელი დღე უზომოდ იჭყიპებოდნენ. აქ ახალგაზრდა დიასახლისი სიამოვნებით და ხშირად იჯდა სალაროსთან. ყველაზე მეტად ლილისფერი, იისფერი უყვარდა, საეკლესიო, განსაკუთრებით საზეიმო ფერი, გაუშლელი იასამნის, თავისი საუკეთესო ხავერდის კაბის, თავისი სასადილოს შუშის საღვინის ფერი. ბედნიერების ფერად, მოგონებების ფერად, რუსეთის რევოლუციამდელი მზეჩაღამებული ქალწულობის განსახიერებადაც ღია იასამნისფერს თვლიდა. დუქანში, სალაროსთან ჯდომაც იმიტომ უყვარდა, რომ სახამებლის, შაქრისა და შუშის ქილაში ჩალაგებული შავი მოცხარის კარამელის სურნელებით შეზავებული იისფერი ბინდი მის საოცნებო ფერს ეგრერიგად ეხამებოდა.

---

[88] ყოველდღიური ბულვარული გამოცემა. გამოდიოდა პეტერბურგში 1908-1918 წლებში.

აქვე, კუთხეში, ხე-ტყის საწყობის გვერდით იდგა ძველი, გაქექილ-გაღლეტილი ნახმარი ეტლივით ფერგადასული, ნაცრისფერი ყავრის ორსართულიანი სახლი. იგი ოთხი ბინისაგან შედგებოდა. ფასადის ორივე კუთხეში შესასვლელები ჰქონდა. პირველი სართულის მარცხენა მხარე ზალკინდის სააფთიაქო მაღაზიას ეჭირა, მარჯვენა მხარე კი – ნოტარიუსის კანტორას. სააფთიაქო მაღაზიის თავზე ქალთა მკერავი, წვრილშვილიანი მოხუცი შმულევიჩი ცხოვრობდა. მკერავის პირდაპირ, ნოტარიუსის ზევით ბევრი მდგმური სახლობდა, რომელთა ხელობებზეც შესასვლელის გარშემო ნაირფრად აჭრელებული აბრები და ფირფიტები მეტყველებდნენ. აქ საათების შეკეთებაც შეიძლებოდა და ფეხსაცმლის შეკვეთაც. აქ იღებდნენ ფოტოსურათებს შეამხანაგებული ჟუკი და შტროდახი, აქვე იყო კამინსკის საგრავიუროც.

ბინის სივიწროვის გამო ფოტოგრაფთა ახალგაზრდა თანაშემწეებმა, რეტუშის ოსტატმა სენია მაგიდსონმა და სტუდენტმა ბლაჟეინმა ეზოში, ხის სარდაფის პაწაწინა კანტორაში ლაბორატორიის მაგვარი რაღაც მოიწყვეს. როგორც ეტყობოდა, ისინი ახლაც იქ იყვნენ და, იმ ხუხულაში ახამხამებული გამოსამჟღავნებელი წითელი ფარნის მარად მოციმციმე თვალით თუ იმსჯელებდა კაცი, გამალებით მუშაობდნენ. სწორედ ამ ფანჯარასთან იყო დაბმული პაწია ქოფაკი ტომკაც, წკმუტუნითა და წკავწკავით რომ იკლებდა ელენეს მთელ ქუჩას.

„რამოდენა ჯოგი შეიყარა", – გაიფიქრა გალუზინამ ნაცრისფერ სახლთან გავლისას. – „სიღარიბის და ჭუჭყის ბუნაგად იქცა აქაურობა". მაგრამ იმავე წამს დაასკვნა, რომ ებრაელთა მოძულეობაში ვლას პახომოვიჩი მართალი არ იყო. მართლაც, ვისი ტიკი-ტომარები იყვნენ ეს გლახაკები, ამოდენა სახელმწიფოს ბედზე რაიმე გავლენა რომ მოეხდინათ? თუმცა, მოხუც შმულევიჩს რომ ჰკითხოთ, ეს უწესრიგობა და არევ-დარევა საიდან გაჩნდაო, ოთხად მოიხრება, სახე გვერდზე მოეღრიცება,

დაიმანჭება და გეტყვით: „სულ ლეიბოჩკას ოინებიაო”.[89]

ეჰ, აბა რაზე, რაზე ფიქრობს, რითა აქვს თავი გამოტენილი? განა საქმე ამაშია? უბედურების წყარო ეს არის? უბედურება ქალაქებიდან მოდის. რუსეთი მაგათ არ ემყარება. სწავლა-განათლებაზე თავი დადეს, ქალაქელებს აედევნენ და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. თავიანთი ნაპირიც დაკარგეს და სხვისასაც ველარ მიადგნენ, ან იქნებ პირიქით, მთელი უბედურება უწიგნურობაშია? მეცნიერი გულთამხილავია, ყველაფერს წინასწარ ხვდება, ქვესკნელში რა ხდება, ისიც იცის. ჩვენ კი, თავს რომ მოგვჭრიან, ქუდზე ხელს მაშინ ვიტაცებთ ხოლმე. ისეა, როგორც ბნელ ტყეში. თუმცა ახლა მაინცდამაინც აღარც განათლებულებს ულხინთ. აგერ, უპურობამ ქალაქებიდან რამდენ ეგეთას აუკრა გუდა-ნაბადი. მერე რა მოხდა? წადი და გაიგე. თავად ეშმაკიც კისერს მოიტეხს.

და მაინც, გალუზინების სოფლელ ნათესავებზე – სელიტვინებზე, შელაბურინებზე, პამფილ პალიხზე, ძმებზე ნესტორ და პანკრატ მოდიხებზე რაღა შეიძლება ითქვას? იმათ რა უჭირთ, თავი ქუდში აქვთ, საკუთარი ბედ-იღბლის პატრონები არიან და დაუყვედრებელ ლუკმასა სჭამენ. შარაგზის გაყოლებით ისეთი ახალთახალი სახლ-კარი აქვთ, ცქერით ვერ გაძღები. თითოეულს სულ ცოტა თხუთმეტი დესეტინა ნათესი აქვს, ცხენიცა ჰყავთ და ცხვარიც, არც ძროხა აკლიათ და არც ღორი. სამ-სამი წლის პური მაინც ექნებათ მომარაგებული. ინვენტარი – დადექი და უყურე. მოსავლის ასაღები მანქანებიც კი ეშოვებათ. აქეთ კოლჩაკი ელაქუცება, თავისთან ეპატიჟება, იქით კომისრები ტყის ლაშქარში ეხვეწებიან. ომიდან გიორგის ჯვრებით დაბრუნდნენ და იმ წუთშივე აქეთ-იქიდან ხელი სტაცეს, ინსტრუქტორობა ჩააბარეს. გინდა სამხრეებიანი იყავი და გინდა არა, თუ ადამიანს თავში უყრია რამე, ყველგან საჭიროა, არ დაიკარგება.

თუმცა შინ წასვლის დროა. უბრალოდ, უხერხულია ქალის ამდენ

---

[89] იგულისხმება ლევ (ლეიბა) ტროცკი (1879-1940), რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოქტომბრის რევოლუციასა და სამოქალაქო ომში.

ხანს გარეთ წანწალი. კარგი იქნებოდა, თავის ბაღში შეევლო. მაგრამ იქ თოვლი დადნა, გაუვალი ტალახებია. თითქოს ოდნავ მოეშვა გულზე. გალუზინა საკუთარ ფიქრებში საბოლოოდ გაიხლართა, თავი და ბოლო ვეღარ გაიგო და სახლს მიუახლოვდა. მაგრამ ვიდრე კარის ზღურბლს გადააბიჯებდა, ერთხანს პარმაღზე იტკეპნებოდა და კიდევ ბევრ რამეს მისწვდა გონების თვალით.

ხოდატსკოეს ახლანდელი მოთავეები გაახსენდა, დედაქალაქებიდან გადმოსახლებული ტივერზინი, ანტიპოვი, ანარქისტი ვდოვიჩენკო – შავი დროშა და აქაური ზეინკალი გორშენია ცოფიანი დაუდგა თვალწინ, რომელთაც, ასე თუ ისე, შორიდან იცნობდა. ყველანი გონიერი ადამიანები იყვნენ. ბევრი რამ გადახდათ ცხოვრებაში და ალბათ ახლაც რაღაცა აქვთ ჩაფიქრებული, რაღაცას ამზადებენ. უამისოდ არ შეუძლიათ. მთელი ცხოვრება მანქანებთან გაატარეს და თვითონაც მანქანებივით შეუბრალებელნი და გულცივნი არიან. შილიფად აცვიათ, ჯემპრებით, პიჯაკებით დადიან და პაპიროსსაც ძვლის მუნდშტუკებით ეწევიან, ემანდ არაფრით მოვიწამლოთო, წყალსაც ადუღებულს სვამენ. ვლასუშკას მათთან არაფერი გამოუვა, ისინი თავისას მაინც გაიტანენ, ყველაფერს ისე აატრიალებენ, როგორც უნდათ.

თავის თავზეც დაფიქრდა. იცოდა, ჯავარიანი, თავისთავადი ქალი რომ იყო. თვალტანადაც მშვენივრად გამოიყურებოდა, ჭკუაც უჭრიდა და სიტყვაც. მაგრამ ამ ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ სოროში, იქნებ სხვაგანაც, აღარაფერს ჰქონდა ფასი. იმასაც ეჭვობდა, რომ ურალს გადმოღმა ყეყეჩ სენტეტიურიხაზე[90] ეგრერიგად გავრცელებულ უხამს კუპლეტებში, რომელსაც კრესტოვოზდვიჟენსკშიც გატაცებით მღეროდნენ, მას გულისხმობდნენ. არადა, ისეთი ყიამყრალი სიმღერა იყო, მარტო დასაწყისი თუ შეიძლება გაიხსენოს კაცმა:

საზიდრის ფული დედაბერმა ჯიბეს გაიკრა

[90] ურალური ფოლკლორის პერსონაჟი.

და იმ მაყუთით დაითრია ბალალაიკა.

გალუზინამ მწარედ ამოიოხრა და სახლში შევიდა.

5

წინკარში აღარ გაჩერებულა, ქურქიანად თავის საძილე ოთახს მიაშურა. ფანჯარა ბაღს გადაჰყურებდა. ახლა, ღამით, ფანჯრის შიგნითაც თითქმის ისევე ბნელოდა, როგორც ფანჯრის გარეთ. ფანჯრის ფარდებიც ისევე იყო დანაოჭებული, როგორც ეზოში, ხეებზე ჩამოკიდებული შიშველი და შავი, ბუნდოვანი მოხაზულობის მქონე ტომრები. ზამთრის მიწურულია თავთის წყვდიადს მოახლოებული გაზაფხულის მიწიდან ამომსკდარი მუქი ლურჯი ალმური ათბობდა. ოთახშიც დაახლოებით ასევე ერწყმოდა ერთმანეთს ურთიერთმსგავსი ორი საწყისი, და უშნოდ მოჩხლართული ფარდების მტვრიან მხურვალებას მოახლოებული დღესასწაულის მუქი იისფერი გიზგიზი ანელებდა და ალამაზებდა.

ვერცხლით მოჭედილ ხატზე გამოსახულ ღვთისმშობელს წვრილი, ნატიფი ხელისგულები ზევით აღეპყრო. თითოეულ ხელში თავისი ბიზანტიური სახელწოდების აღმნიშვნელი ორ-ორი ბერძნული თავკიდურა ასო ეპყრა მეტერ ტეუ, დედა ღვთისა. ოქროს საძირეში ჩადგმული, სამელნესავით მუქი შუშის ლამპარი საძილე ოთახის ხალიჩაზე ვარსკვლავისებურ, დაკბილული სადგამით აჭრელებულ მკრთალ შუქს გამოსცემდა.

გალუზინამ თავსაფარი მოიხადა, ქურქი გაიძრო და უხერხულად შემოტრიალდა. ერთბაშად გვერდში ჩხვლეტა იგრძნო, მხარიც გაუშეშდა. უნებურად შეჰყვირა და შეშინებული ლუღლუღს მოჰყვა: „დიდო მეოხო დავრდომილთა, მარად უხრწნელო ღვთისმშობელო, შემწევ და მხსნელო, მსასოოვარო ყოვლად ქვეყნისა”, – და ატირდა. მერე ერთხანს შეიცადა, ვიდრე ტკივილი გაუვლიდა, და გახდას შეუდგა. საყელოს და ლი-

ფის უკანა დუგმები ხელიდან უსხლტებოდნენ და მონაცრისფრო ქსოვილის ნაოჭებში იმალებოდნენ. ხელის ფათურით ძლივს პოულობდა.

ოთახში მისი შვილობილი ქსიუშა შემოვიდა. ხმაურზე გაღვიძებოდა. – სიბნელეში რატომ წვალობთ, დედიკო? თუ გინდათ, ლამფას მოგიტანთ.

– არ მჭირდება. ასეც ვხედავ.

– დედიკო ოლგა ნილოვნა, მოდით, მე გაგიხსნით. ნუ წვალობთ. – თითები არ მემორჩილებიან, ეს ოხერი. იმ ბრუციან ქათამს ტვინი არ ეყო, რომ ეს დუგმები ადამიანურად დაეკერებინა. ბოლომდე უნდა ჩაახიოს კაცმა და შიგ ცხვირ-პირში მიახალოს იმ ბოთეს.

– კარგად გალობდნენ ჯვართამაღლებაში. წყნარი ღამეა. ხმა აქამდე მოდიოდა.

– ჰო, არა უშავდა. მე კი, ჩემო კარგო, მაგის გუნებაზე არა ვარ. ისევ ჭვლები მაქვს გახირული აქაც და იქაც. ნეტა ისეთი რა ცოდვა მადევს. პირდაპირ არ ვიცი, რა ცეცხლში ჩავვარდე.

– ჰომეოპათი სტიდობსკი ხომ გმკურნალობდათ.

– შენც იტყვი ხოლმე რაღაც უთავბოლოს! ის შენი ჰომეოპათი ცხენის ექიმბაში გამოდგა. იმას საქმისა არა გაეგება რა, ეს ერთი. მეორეც, წავიდა ის აქედან, წავიდა, წავიდა. მარტო ის კი არა, დღეობის წინ ამ ქალაქს ყველამ ზურგი აქცია. ნეტა ვიცოდე, მიწისძვრას უფრთხიან თუ რა ოხრობაა?

– მაშინ იმ უნგრელ ტყვე ექიმს დავუძახოთ. ადრე ხომ კარგად მოგიარათ?

– ისევ შენებურად არატუნებ. რით ვერ გაიგე, აღარავინ დარჩა, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ-მეთქი. კერენი ლაიოში სხვა მადიარებთან ერთად სადემარკაციო ხანის იქით დარჩა. ჯარში გაიწვიეს ის საცოდავი, წითელ არმიაში.

– თქვენ მხოლოდ ეჭვითა ხართ დაავადებული. გულის ნევროზი გაქვთ. უბრალო ხალხური შელოცვა კი ამ საქმეში სასწაულებს ახდენს.

გახსოვთ, ის მოჩურჩულე სალდათის ქალი რა კარგად გილოცავდათ? თითქოს ხელის ერთი მოსმით გშველოდათ. დამავიწყდა, რა ერქვა. იმისი სახელი დამავიწყდა.

– არა, შენ მართლა საბოლოოდ გამოპრუტუნებული დედაბერი გგონივარ. იქნებ ზურგს უკან ჩემზე სენტეტიურიხასაც მღერიხარ.

– ღმერთს ნუ სცოდავთ! ცოდვაა ეგ, დედიკო. ისა სჯობია, გავიხსენოთ, იმ სალდათ ქალს რა ერქვა? ენის წვერზე მიტრიალებს. სანამ არ გავიხსენებ, ვერ მოვისვენებ.

– იმას ქვედატანებზე მეტი სახელები აქვს, რომელი ერთი გითხრა. კუბარიხასაც ეძახიან, მედვედიხასაც და ზლიდარიხასაც. ამას გარდა ათიოდე მეტსახელი კიდევ ექნება. აქ აღარ არის, დაამთავრა გასტროლები და ეძებე ახლა ქარი მინდორში! ის ღვთის გლახა კეჟემის ციხეში გამოკეტეს. მუცლის მოშლისა და კიდევ რაღაც ფხვნილების გამო. იმან კი საპყრობილეში ყურყუტი არ მოისურვა, დაჰკრა ფეხი და სადღაც შორეულ აღმოსავლეთში გადაიკარგა. ხომ გეუბნები, ყველამ აქეთ-იქით მოუსვა-მეთქი, ვლას პახომიჩმაც, ტერეშამაც, ხათრიანმა დეიდა პოლიამაც. განა თუ ვხუმრობ, მთელ ქალაქში ორად-ორი შტერიღა დავრჩით, მე და შენ. და აღარც ერთი ექიმის დახმარების იმედი აღარ არის. რამე რომ მოხდეს, ვერავის გააგებინებ. ამბობდნენ, მოსკოვიდან იურიატინში სახელგანთქმული ექიმი ჩამოვიდა, იმისი მამა ციმბირელი ვაჭარი იყო, თავი მოიკლაო. სანამ ვყოყმანობდი, მოვიწვიო თუ არა-მეთქი, წითლებმა გზაში ბარე ოცი ისეთი კორდონი ჩააყენეს, უიმათოდ ცხვირსაც ვერ დააცემინებ. ახლა კი აი, რას გეტყვი, წადი, დაიძინე, მეც შევეცდები ჩავწვე. შენ იმ სტუდენტმა ბლაჟეინმა აგირია ტვინი. რას უარობ, სულ ერთია, ვერაფერს გამომაპარებ. აი, ახლაც კიბორჩხალასავით გაწითლდი. ის შენი საწყალი სტუდენტი ამ წმინდა ღამესაც არ ისვენებს, სურათებზე მუშაობს, ჩემს სურათებს ამჟღავნებს და ბეჭდავს. არც თვითონ სძინავთ და არც სხვას აძინებენ. ტომიკი ისე გადარიეს, ლამისაა მთელი ქალაქი აიკლოს. ნეტა იმ ყვავს რაღა აჩხავლებს ვაშლის ხეზე. აჰა, გაიბუტე არა?

ერთი უყურეთ, რა უკადრისი ყოფილა! სტუდენტები იმიტომ არსებობენ, რომ გოგოებს მოსწონდეთ.

6

– ნეტა იმ ძაღლს რა აყავყავებს? უნდა გავიგოთ, რაშია საქმე. უმიზეზოდ არ იყეფებს. დაიცა, ლიდოჩკა, რა საღერღელი აგეშალა, ცოტა ხნით გაჩუმდი. საქმის ვითარება უნდა გავარკვიოთ. არეული დროა, ემანდ იასაულები არ დაგვატყდნენ თავს. ნუ წახვალ, უსტინ. შენც აქ იყავ, სივობლუი. უთქვენოდაც იოლად წავლენ.

ცენტრის წარმომადგენელს არც კი გაუგია, მცირე ხნით გაჩუმებას რომ სთხოვდნენ და სხაპასხუპით განაგრძობდა.

– ციმბირში არსებული სამხედრო-ბურჟუაზიული ხელისუფლების ძარცვის, წელში გამწყვეტი გადასახადების, ძალადობის, წამებისა და ჟლეტის პოლიტიკამ დაბნეულებს თვალები უნდა აუხილოს. ის არა მარტო მუშათა კლასის მიმართაა მტრულად განწყობილი, თავისი არსით მთელ მშრომელ გლეხობასაც ასევე ეწინააღმდეგება. ციმბირელმა და ურალელმა მშრომელმა გლეხობამ უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატთან და ჯარისკაცებთან კავშირით ყირგიზ და ბურიატ ღარიბობასთან კავშირით...

ბოლოს როგორც იქნა, მიხვდა, რომ აჩუმებდნენ ოფლიანი სახე ცხვირსახოცით შეიმშრალა, დაქანცული, შეშუპებული ქუთუთოები დაბლა დახარა, თვალები დახუჭა.

ახლო მდგომები ჩურჩულით ეუბნებოდნენ:

– პატარა დაისვენე. წყალი მოხვრიპე.

პარტიზანთა შეშფოთებულ მოთავეს კი ამშვიდებდნენ:

– რა მოგივიდა, რატომ ღელავ? ყველაფერი რიგზეა. ფანჯარაში სასიგნალო ფარანი გვინთია. საყარაულო პოსტი, როგორც იტყვიან, აქაუ-

რობას თვალებითა სჭამს. ისა სჯობია, მოხსენება გააგრძელოს. ილაპარაკეთ, ამხანაგო ლიდოჩკა.

ფართო ფარდულიდან შეშა გაეტანათ. გაწმენდილ ნაწილში გალური კრება ჰქონდათ გამართული. შეკრებილთა საფარველი იყო ჭერამდე დაწყობილი შეშა, რომელიც ცარიელ ნახევარს გასავლელი პაწია კანტორისა და შემოსასვლელისაგან ჰყოფდა. საშიშროების შემთხვევაში შეკრებილებს შეეძლოთ იატაკქვეშეთში ჩამძვრალიყვნენ და მიწისქვეშა გასასვლელით მონასტრის გალავანს იქით, კონსტანტინოვის ჩიხის მიყრუებულ ადგილებში გასულიყვნენ.

მომხსენებელს მელოტ თავზე შავი კოლენკორის ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული. გაცრეცილ, მწვანე ზეთისხილისფერ სახებზე ყურიდან ყურამდე კუპრივით შავი წვერი ჰქონდა აჯაგრული. მღელვარებისაგან ხვითქი გადასდიოდა. ნავთის ლამფიდან ამომავალი ჰაერის მხურვალე ჭავლზე პაპიროსის ნამწვს ხარბად უკიდებდა და მაგიდაზე მიმოფანტულ ქაღალდებს ცხვირს თითქმის ზედ აჭყლეტდა, ბეცი თვალებით ნერვიულად, სწრაფად ათვალიერებდა, თითქოს ყნოსავსო, და გაბზარული, დაღლილი ხმით განაგრძობდა:

– ქალაქისა და სოფლის ღარიბობის ამ კავშირს მხოლოდ საბჭოების მეშვეობით განვახორციელებთ. ძალაუნებურად, ციმბირელი გლეხობაც ახლა იმისათვის იბრძოლებს, რისთვისაც დიდი ხანია იბრძვის ციმბირელი მუშა. მათი საერთო მიზანია საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყების გზით ხალხისათვის საძულველი ადმირალებისა და ატამანების თვითმპყრობელობის დამხობა და გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელისუფლების დამყარება. ამასთანავე, ბურჟუაზიის მიერ დაქირავებულ, კბილებამდე შეიარაღებულ ოფიცრობასთან და კაზაკობასთან საბრძოლველად აჯანყებულებს სწორად წარმართული, შეუპოვარი და ხანგრძლივი ფრონტული ომის წარმოება მოუწევთ.

კვლავ შეჩერდა, ოფლი შეიმშრალა, თვალები დახუჭა. რეგლამენტის საწინააღმდეგოდ ვიღაც წამოდგა, ხელი ასწია და შენიშვნის ჩართვის

ნება ითხოვა.

პარტიზანთა წინამძღოლი, უფრო სწორედ, იმიერურალის პარტიზანთა კეჟემის გაერთიანების სამხედრო მეთაური ზედ ცხვირწინ ეჯდა მომხსენებელს. დროდადრო აგდებულად და უხეშად აწყვეტინებდა სიტყვას და მის მიმართ იოტისოდენა პატივისცემასაც კი არ ამჟღავნებდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ასეთი ახალგაზრდა სამხედრო, თითქმის ბავშვი, მთელ არმიებს და გაერთიანებებს ხელმძღვანელობდა, მას უჯერებდნენ, მის წინაშე გასუსულები იდგნენ. იგი გამომწვევად იჯდა და ხელ-ფეხი კავალერისტის მაზარაში შეემალა. მაზარის სახელოები სკამის საზურგის უკან ჰქონდა გადაფენილი, მის ქვეშ კი გიმნასტურა მოუჩანდა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა პრაპორშჩიკის სამხრეების მუქი ნაკვალევი.

მას აქეთ-იქიდან მდუმარედ ამოსდგომოდა ორი ბრგე მცველი. ყმაწვილები ასაკით თავიანთი მეთაურის ტოლები იქნებოდნენ. ტანზე ცხვრის ტყავის ოდესღაც თეთრი, ახლა უკვე ნაცრისფრად ქცეული ბეწვიანი ჯუბები ეცვათ. მათი გაქვავებული, ლამაზი სახეები მეთაურის მიმართ ბრმა ერთგულებისა და მისი გულისთვის ნებისმიერი საქმისათვის მზადყოფნის გარდა არაფერს გამოხატავდნენ. კრებას, იქ დასმულ საკითხებს და მათ გარშემო გამართულ კამათს აინუნშიაც არ აგდებდნენ, არც კრინტსა სძრავდნენ და არც იღიმებოდნენ.

მათ გარდა ფარდულში კიდევ ათი-თხუთმეტი კაცი იყო. ზოგი იდგა, ზოგს კი ფეხები იატაკზე გაეშალა ან მუხლებზე ხელები შემოეწყო და ზურგით მრგვალი მორებით დაგმანულ კედელს მიჰყრდნობოდა.

საპატიო სტუმრებისათვის სკამები დაედგათ. ზედ პირველი რევოლუციის მონაწილე სამი-ოთხი ხნიერი მუშა ჩამომსხდარიყო. მათ შორის იყვნენ პირქუში, ერთიანად შეცვლილი ტივერზინი და მოხუცი ანტიპოვი, რომელიც სიყრმის მეგობარს თანხმობის ნიშნად წარამარა თავს უკანტურებდა. რევოლუციამ ისინი ღვთიურ კასტად გადააქცია, ძღვნად

შეწირულებიც ბლომად დაულაგა ფერხთით და მსხვერპლად შესაწირავებიც. ისინიც ისხდნენ მდუმარედ და პირგამეხებით, ვითარცა კერპნი, და მათგან პოლიტიკურ ყოყლოჩინობას ყოველივე ცოცხალი, ადამიანური ძირფესვიანად ამოეძირკვა.

ფარდულში ყურადღებას სხვებიც იმსახურებდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა რუსული ანარქიზმის ბურჯი ვდოვიჩენკო – შავი დროშა, ზორზოხა, ზორბა თავიანი, დიდ ლაშებიანი და ლომის ფაფრიანი გოლიათი, უკანასკნელი რუსეთ-თურქეთის[91] თუ არა, ყოველ შემთხვევაში თითქმის რუსეთ-იაპონიის ომის ოფიცრობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ერთთავად საკუთარ ბოდვებში ჩაფლული მეოცნებე, რომელიც წამით არ ისვენებდა, ხან იატაკზე ჩაიცუცქებდა, ხან ისევ ფეხზე დგებოდა, გაუთავებლად დააბოტებდა, მერე რატომღაც ფარდულის შუაგულში ჩერდებოდა და იდგა ასე გაშტერებული.

უსაზღვრო მიამიტობისა და უზარმაზარი აღნაგობის გამოისობით, ეგრერიგად მცირე და უმნიშვნელო მოვლენების შემჩნევაში ხელს რომ უშლიდნენ, იგი სათანადო გულისყურით არ ეპყრობოდა მის გარშემო დატრიალებულ ამბებს, ყოველივე უკუღმა ესმოდა, საპირისპირო აზრებს საკუთარივით ხვდებოდა და ყველას ყველაფერში ეთანხმებოდა. მის გვერდით იატაკზე იჯდა მისივე ნაცნობი, მონადირე და ნადირთდამჭერი სვირიდი. თუმცა სვირიდს გლეხობა დიდად არ ეპიტნავებოდა, სწორედ მისი გლეხური, მიწისმუშური ასავალ-დასავალი კარგად მოჩანდა მისივე მუქი მაუდის ხალათის გულისპირიდან, რომელიც ჯვართან ერთად მჯიღში ჩაებღუჯა, აქეთ-იქით ამოძრავებდა და მკერდს იქექავდა. იგი ნახევრად ბურიატი იყო, ტლუ და გაუნათლებელი ადამიანი. თმა წვრილ ნაწნავებად დაეწნა და წვერ-ულვაშის მაგივრობასაც რამდენიმე გრძელი ბეწვი უწევდა. მონღოლურ სახეს თანაგრძნობის ღიმილი ღრმა ნაოჭებით უსერავდა და ეს აბერებდა.

---

[91] რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომი 1877-1878 წლებში მოხდა.

მომხსენებელს ცენტრალური კომიტეტის სამხედრო ინსტრუქციით ციმბირი შემოევლო და ფიქრებით კვლავ იმ სივრცეებს დასტრიალებდა, რომლებიც ჯერ კიდევ ელოდებოდნენ. კრებაზე მოსულთა უმეტესობას გულგრილად უყურებდა. მაგრამ იმთავითვე რევოლუციონერი და ხალხისათვის თავშეწირული, პირდაპირ თვალებში შესცინებდა წინ მჯდომ ნორჩ მხედართმთავარს. მას სულ არ სწყინდა ბიჭის უხეშობა, ყოველივეს რევოლუციურობის არაფრისმაქნის გამოძახილად მიიჩნევდა, მის უბოდიშო გამოხდომებს კი ისეთივე აღფრთოვანებით ეგებებოდა, როგორც ყურებამდე შეყვარებულ ქალს მოსწონს ხოლმე თავისი მბრძანებლის ტლანქი ლირფობა.

პარტიზანთა ბელადი მიკულიცინის ვაჟი ლივერი გახლდათ, ცენტრიდან მოვლენილი მომხსენებელი კი – ყოფილი მშრომელი-კოოპერატორი[92] კოსტოედოვ-ამურსკი, რომელიც წინათ სოციალისტ რევოლუციონერებს ემხრობოდა. უკანასკნელ ხანებში მან თავის პოზიციებს გადახედა, საკუთარი პლატფორმის მცდარობა აღიარა, რამდენიმე გრძელი განცხადებით მოინანია და არა მარტო მიიღეს კომუნისტურ პარტიაში, სულ მალე ასეთ საპასუხისმგებლო სამუშაოზეც კი გაამწესეს.

მართალია, სამხედრო საქმესთან არაფერი ჰქონდა საერთო, მაგრამ ეს სამუშაო უფრო იმიტომ დაავალეს, მის რევოლუციურ სტაჟს, ციხეებში ნაჯდომობას სცეს პატივი და ისიც გაითვალისწინეს, რომ მას, როგორც ყოფილ კოოპერატორს, აჯანყებებით მოცული დასავლეთ ციმბირის გლეხთა მასების განწყობილება კარგად უნდა სცოდნოდა.

მოცემულ საკითხში კი ეს სავარაუდო ცოდნა სამხედრო განსწავლულობაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ იყო.

პოლიტიკური მრწამსის შეცვლის მერე კოსტოედს ვეღარ იცნობდით.

---

[92] „მშრომელები“ („მშრომელთა ჯგუფი”) – გლეხობისა და ხალხოსნური ინტელიგენციის წარმომადგენელთა სადეპუტატო ფრაქცია მოწვევის სახელმწიფო დუმაში 1906-1917 წლებში. ჯგუფის ერთ-ერთი საპროგრამო დებულება ივო შრომითი კოოპერაციის იდეა.

ძველებური აღარც გარეგნობა შერჩა, არც სიარული და აღარც მიმოხვრა. არავის ახსოვდა, წინანდელ დროში მელოტი ან წვერიანი ყოფილიყოს. მაგრამ იქნებ ყველაფერი ყალბი იყო? პარტიამ დაავალა, სასტიკად დაშიფრულიყო. მისი იატაკქვეშა მეტსახელები ბერენდეი და ამხანაგი ლიდოჩკა იყო.

როცა ინსტრუქციის წაკითხულ მუხლებთან თავისი თანხმობის თაობაზე ვდოვიჩენკოს უდროო განცხადებით გამოწვეული ხმაური მინელდა, კოსტოედმა განაგრძო:

– გლეხთა მასების მზარდი მოძრაობის სულ უფრო მეტად დაუფლების მიზნით საჭიროა სასწრაფოდ დავამყაროთ კავშირი რაიონში მყოფ საგუბერნიო კომიტეტის ყველა პარტიზანულ რაზმთან.

ამის შემდეგ კოსტოედმა საიდუმლო შეხვედრების მოწყობაზე, პაროლებზე, შიფრებსა და ურთიერთკავშირის ხერხებზე ილაპარაკა. მერე წვრილმანებზე გადავიდა.

– რაზმებს უნდა შევატყობინოთ, რომელ პუნქტებშია თეთრების დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იარაღის, ტანსაცმლისა და სურსათის საწყობები, სად ინახება ან როგორ ინახავენ დიდ ფულად სახსრებს.

საჭიროა დეტალურად, დაწვრილებით დავამუშაოთ საკითხები რაზმების შიდა აგებულებაზე, მეთაურებზე, სამხედრო-ამხანაგურ დისციპლინაზე, კონსპირაციაზე, გარესამყაროსთან რაზმების ურთიერთობაზე, ადგილობრივ მოსახლეობასთან დამოკიდებულებაზე, საველე სამხედრო-რევოლუციურ სასამართლოზე, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ძირგამომთხრელი ტაქტიკის შესახებ, როგორიცაა: ხიდების, სარკინიგზო ხაზების, გემების, კარჭაპების, სადგურების, სახელოსნოებისა და მათი დამხმარე ტექნიკური ნაგებობების, ტელეგრაფის, შახტების, სასურსათო საქონლის დანგრევა, აფეთქება, გაფუჭება და მწყობრიდან გამოყვანა.

ლივერიმ ითმინა, ითმინა და ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა. ყოველივე ეს საქმეში ჩაუხედავი დილეტანტის უსაგნო ლაყბობად მოეჩვენა.

– ვერაფერს იტყვის კაცი, მშვენიერი მოხსენებაა! – მიახალა მან მომხსენებელს. – ყოველ სიტყვას გულისგულში შევინახავ. როგორც ეტყობა, თავიდან ბოლომდე ყველაფერი უყოყმანოდ უნდა მივიღოთ, წითელი არმიის დახმარება რომ არ მოგვაკლდეს.

– რა თქმა უნდა.

– მაშ რაღა ვუყოთ მაგ შენს ბალღურ შპარგალკას, ჩემო კუდრაჭა ლიდოჩკა, შე სახეძაღლო, თუ სამი პოლკისაგან შემდგარი ჩემი ძალები, მათ შორის არტილერია და ცხენოსანი ჯარი, კარგა ხანია ბრძოლის ველზე ბუღრაობენ და მტერს ზურგზე ბოლს ადენენ?

„რა დიდებულია! რა ძალაა!" – ფიქრობდა კოსტოედი.

მოდავეები ტივერზინმა გააზავა. ლივერის აგდებული კილო არ მოსწონდა. მან თქვა:

– ბოდიშს გიხდით, ამხანაგო მომხსენებელო. დარწმუნებული არა ვარ. იქნებ ინსტრუქციის ერთ-ერთი მუხლი არასწორად ჩავიწერე. წაგიკითხავთ. მინდა დავრწმუნდე: „ფრიად სასურველია კომიტეტში რევოლუციის დროს ფრონტზე მყოფი და ჯარისკაცთა ორგანიზაციებში აღრიცხული ძველი ფრონტელების მოზიდვა. სასურველია კომიტეტის შემადგენლობაში იყოს ერთი-ორი უნტერ-ოფიცერი და სამხედრო ტექნიკოსი". ამხანაგო, კოსტოედ, სწორადა მაქვს ჩაწერილი?

– სწორია, სიტყვასიტყვით ჩაგიწერიათ.

– ამ შემთხვევაში, ნება მომეცით ერთი რამ შევნიშნო. სამხედრო სპეციალისტების თაობაზე ეს პუნქტი ძალიან მაწუხებს. ჩვენ, მუშები, ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის მონაწილენი, მიჩვეულნი არა ვართ ჯარის ბიჭბუჭებს ვუგდოთ ყური. მათთან ერთად ჩვენს რიგებში მუდამ მოძვრება კონტრრევოლუცია.

აქეთ-იქიდან ახმაურდნენ:

– კარგი, გეყოფა: რეზოლუცია მივიღოთ, რეზოლუცია! დროა დავიშალოთ. გვიანია.

– უმრავლესობის აზრს ვეთანხმები, – ჩაურთო თავისი როხროხა ბანი

ვდოვიჩენკომ. – პოეტურად თუ ვიტყვით, დიახაც ასეა. სამოქალაქო ინ-სტიტუციები ქვემოდან უნდა იზრდებოდნენ, დემოკრატიულ საფუძველ-ზე როგორც მიწაში ჩარგული და გადაწვენილი ხეები. მესერის ბოძები-ვით მათი ზევიდან ჩარჭობა არ შეიძლება. სწორედ ამაში შეცდა იაკობი-ნელთა დიქტატურა, რის გამოც თერმიდორელებმა კონვენტი გაანადგუ-რეს.

– თავისთავად ცხადია, – მხარი დაუჭირა მეგობარს სვირიდმა, – მა-გას ხომ აღუა ბავშვიც მიხვდება. ადრე უნდა გვეფიქრა, ახლა კი გვიანაა. ახლა ჩვენი საქმე ჯიქური ომი და მიწოლაა. ახლა რაც გინდა, ის ილაპა-რაკე. თორემ რა გამოვიდა, ხელი მოვუქნიეთ და აღარ გავცხოთ ყბაში? რაც დაგვითესია, იმასვე ვიმკით. წყალში თუ შეტოპე, ბოლომდე უნდა გატოპო კიდეც.

– რეზოლუცია მივიღოთ, რეზოლუცია! – მოითხოვდნენ ყოველი მხრიდან, მცირე; ხანს კიდევ ყაყანებდნენ, თუმცა ერთმანეთისა სულ უფ-რო ნაკლები ესმოდათ, ერთი ალთას იყო და მეორე – ბალთას. კრება გან-თიადისას დახურეს. სიფრთხილის გამო სათითაოდ გაეცალნენ იქაურო-ბას.

7

დიდ გზაზე ერთი წარმტაცი ადგილი იყო. ციცაბო ფერდობზე გაშე-ნებული, ჩქარი მდინარით, პაჟინკათი გაყოფილი ორი სოფელი თითქმის ეხებოდა ერთმანეთს: ზევიდან კუტეინი პოსადი ეშვებოდა, ხოლო მის ქვემოთ აჭრელებული მალი ერმოლაი მოჩანდა. კუტეინში ახალწვეუ-ლებს აცილებდნენ, მალი ერმოლაიში კი მიმღები კომისია პოლკოვნიკ შტრეზეს თავმჯდომარეობით სააღდგომო უქმეების შემდეგ განაგრძობ-და მუშაობას მალი ერმოლაეველი და მეზობელი თემების ახალგაზრდო-ბის გასაწვევად. ამასთან დაკავშირებით სოფელში ცხენოსანი მილიცია და კაზაკები ჩამდგარიყვნენ.

მესამე დღე იყო, გვიანი ნააღდგომევისათვის და ადრეული გაზაფხულისათვის უჩვეულოდ წყნარი და თბილი ამინდი იდგა. კუტეინის ქუჩაში, ღია ცის ქვეშ, დიდი გზის გასწვრივ, ცხენოსნებისთვის ხელი რომ არ შეეშალათ, ახალწვეული მეომრებისათვის პურ-მარილი გაეწყოთ. მაგიდები უსწორმასწოროდ დაედგათ და ზედ თეთრი სუფრა გაეფინათ, რომლის ბოლოებიც თითქმის მიწამდე სწვდებოდა.

ახალწვეულებს ფსონის წესით უმასპინძლდებოდნენ. ხორაგეულის უმეტესობა სააღდგომო სუფრიდან იყო მონარჩენი: ორი შებოლილი ბარკალი, რამდენიმე კულიჩი, ორი-სამი პასქა. მაგიდების მთელ სიგრძეზე ჩაემწკრივებინათ დამწნილებული სოკოთი, კიტრით და კომბოსტოთი სავსე ჯამები, შინაური, სოფლური პურის დიდრონი ნაჭრებით დახვავებული თეფშები, მაღალ გროვებად დაწყობილი შეღებილი კვერცხები, რომელთა შორის ვარდისფერი და ცისფერი სჭარბობდა.

მაგიდების შორიახლო ბალახბულახი კვერცხის ნაჭუჭით იყო მოფენილი, რომელიც ცალი მხრიდან ცისფერი და ვარდისფერი იყო, მეორე მხრიდან კი – თეთრი. ბიჭებსაც პიჯაკების ქვეშიდან ცისფერი და ვარდისფერი პერანგები მოუჩანდათ. მათ არც გოგოები ჩამორჩენოდნენ, იმათაც ცისფერ-ვარდისფერი კაბები ეცვათ. ცაც მტრედისფერი იყო და მის ქვეშ ნელა, ნარნარად, თითქოსდა მასთან ერთად მოცურავე ღრუბლებიც – მტრედისფერი.

ვლას პახომოვიჩ გალუზინსაც სარტყელშემორტყმული აბრეშუმის ვარდისფერი პერანგი ეცვა, როდესაც მაგიდების პირდაპირ, ბორცვზე მდგარი პაფნუტკინების პარმაღის მაღალ კიბეზე ჩექმების ბაკუნით ჩამოირბინა, მაგიდებთან მიიჭრა და დაიწყო:

– ხალხური თვითნახადი არყით სამსე ამ ჭიქას შამპანურის ნაცვლათ თქვენთვინა ვცლი, ბიჭებო. მრავალჟამიერ იცოცხლეთ, ომში მიმავალო ახალგაზრდებო! ბატონო ახალწვეულებო! მინდა სხვა რამეებიც გადმოგილოცოთ. ეხლა ყური მიგდეთ. თქვენ წინა დიდი გზა არი გადაშლილი და მკერდით უნდა დადგეთ მოძალადეებისგან სამშობლოს დასაცავათ,

იმ მოძალადეებისგანა, სამშობლოს ველ-მინდვრები ძმათამკვლელი სისხლით რო მორწყეს. ხალხს ძალიანაც უნდოდა, რომა უსისხლოთ გაერჩია რევოლუციის მონაპოვრები, მაგრამა რაკი ბოლშევიკების პარტია უცხო ქვეყნების კაპიტალის მსახურია, მისი სანუკვარი ოცნება, დამფუძნებელი კრება, ხიშტის უხეში ძალითაა გარეკილი და სისხლი იღვრება უმწეო მდინარეთა. ომში მიმავალო ახალგაზრდებო! მაღლა ასწიეთ რუსული იარაღის შეგინებული ღირსება, რომელიცა რომა ვალში ვართ ჩვენ პატიოსან მოკავშირეებთანა, ჩვენ თავი შევირცხვინეთ, როცა წითლების მერე თავხედურათ წამოყო თავი გერმანიამ და ავსტრიამ. ჩვენთან არის ღმერთი, ჩემო საყვარელო ბიჭებო. – გალუზინი ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, მაგრამ ვაშას ძახილი და ვლას პახომოვიჩის ჰაერში ახტუნავების მოთხოვნები მის ხმას ჰფარავდა. ჭიქა პირთან მიიტანა და ნელ-ნელა, ყლუპ-ყლუპით დაიწყო რახის მღვრიე სითხის სმა. პირდაპირ უნდა ითქვას, ეს სასმელი მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. უფრო სურნელოვანი ყურძნის ღვინოების სმას იყო ჩვეული. მაგრამ საქვეყნოდ გაღებული მსხვერპლის შეგნება კმაყოფილების გრძნობით ავსებდა.

– მამა კი არა, არწივი გყავს. ხედავ, რა მხეცური სიტყვა სჭექა! ის შენი ნაქები სათათბიროელი მილიუკოვი ვინ მიგდია. ღმერთმანი, – გალეშილთა მრავალხმოვან ღრიანცელში უქებდა მამას შემთვრალი გოშკა რიაბიხი მაგიდაზე გვერდით მჯდომ ძმაკაცს ტერენტი გალუზინს. – გეფიცები, კაცი კი არა, არწივია. არა მგონია ტყუილად ირჯებოდეს. ეტყობა, ჯარში გაწვევას უნდა გადაგარჩინოს.

– რას ამბობ, გოშკა! რაებს მიჰქარავ. შენც იტყვი რაღა! „გადაგარჩინოს”... ერთ დღეს მოგვცემენ უწყისს და ეგრე გადამარჩენს. ერთ ნაწილში მოვხვდებით. იმ დამპლებმაც რაღა ეხლა გამომაგდეს რეალურიდან, დედაჩემი თავს იკლავს. ემანდ რაიმე ხათაბალას არ გადაეყაროო. რიგითებად გაგვგზავნიან. მამაჩემი კი საპარადო სიტყვებს მართლაც მაგრად უბერავს. ოსტატია. მთავარი კი ის არის, საიდან, როგორ? ბუნებრივი ნიჭი აქვს. არავითარი სისტემატური განათლება არ გააჩნია. – გაიგე სანკა

პაფნუტკინზე?

– გავიგე. ვითომ მართლა აიკიდა?

– სამუდამოდ. ბოლოს ჭლექით დაამთავრებს. თავისი ბრალია. რამდენჯერ გააფრთხილეს, ნუ დადიხარო. თანაც მთავარი ის არის, ვის გადაეყარა.

– ნეტა რა დაემართა?

– ტრაგედიაა. თავის მოკვლა უნდოდა. ახლა კომისიაზეა, ერმოლაიში სინჯავენ. მგონი წაიყვანენ. პარტიზანებში წავალო, გაიძახის. საზოგადოების მუწუკებზე შურს ვიძიებო.

– მისმინე, გოშკა. აი, შენ ამბობ, შეიძლება რამე აგკიდონო. თუ იმათთან არ ივლის კაცი, გადაედება?

– ვიცი, რასაც გულისხმობ. გეტყობა, მაგ საქმეს მისდევ. ეგ ავადმყოფობა კი არა, საიდუმლო მანკიერებაა.

– სიფათში გთხლიშავ, გოშკა, ეგეთი სიტყვებისათვის. განა ეგრე შეიძლება ძმაკაცის წყენა, შე ახვარო?!

– კარგი, გეყოფა, გეხუმრე. იცი, რა მინდოდა მეთქვა? პაჟინსკში გავიხსნილე. პაჟინსკში ვიღაც ჩამოსული ტიპი ლექციას კითხულობდა: „პიროვნების განთავისუფლება". ძალიან მაგარი რამე იყო. მაგრად დამევასა. მაგის დედაც ვატირე, მეც ავდგები და ანარქისტებში ჩავეწერები. ძალაო, ამბობს, ჩვენს შიგნითააო. სქესიო, ამბობს, და ხასიათიო[93] ცხოველური ელექტრობის გამოღვიძებააო. გესმის? ეგეთი ვუნდერკინტი იყო, მაშა! მართლაც მაგრად ვიკაიფე. გარშემო ისე ღრიალებდნენ, ყურები გამიყრუეს. მეტი აღარ შემიძლია, ტერეშკა, გაჩუმდი. შენ გეუბნებიან, შე ნაბიჭვარო, მოკეტე.

– იცი რა, გოშკა, მხოლოდ ამაზე მიპასუხე. სოციალიზმზე ჯერ ყველა სიტყვა არ ვიცი. მაგალითად, საბოტაჟეს გამწევი, რა გამოთქმაა ან რას გამოხატავს.

---

[93] – მინიშნებაა გერმანელი ფსიქოლოგის ო. ვაინინგერის წიგნზე „სქესი და ხასიათი", რომელიც ფართოდ გავრცელდა რუსეთში XX საუკუნის დასაწყისში.

– მართალია, მე ამ სიტყვებში პროფესორი ვარ, მაგრამ, ტერეშკა, როგორც გითხარი, შემეშვი, უკვე მთვრალი ვარ. საბოტაჟეს გამწევი ის არის, ვინც სხვასთან ერთად სხვა გუნდიდანაა. ესე იგი, თუ გითხრეს, სოვატაჟს აქეთ ექაჩებიო, ეს იმას ნიშნავს, ჩვენი ჯიგარი ხარო. გაიგე, შტერო?

– ეგრეც ვიცოდი, სალანძღავი სიტყვა რომ იქნებოდა. ელექტრულ ძალაზე კი მართალი ხარ. მე ჩემდა თავად ისიც ვიფიქრე, პეტერბურგიდან ელექტრული ქამარი გამომეწერა. მოქმედების გასაძლიერებლად. დამატებითი საფასურით. აქ კი ახალი გადატრიალებაა. შენს ქამარს ვინ რა თავში იხლის.

ტერენტიმ სათქმელი ბოლომდე ვეღარ ჩაათავა. მთვრალების ღრიანცელი შორიახლო აფეთქების გრგვინვამ დაფარა. წამით ხმაური შეწყდა. მცირე ხნის შემდეგ უარესი ყაყანი ატყდა. ხალხის ნაწილი ადგილებიდან წამოცვივდა. ვისაც ძალა ერჩოდა, თავი შეიმაგრა, ვისაც არა და, იმის ნაცვლად, რომ გვერდზე გაბარბაცებულიყო, მაგიდის ქვეშ ზღართანი მოადინა და იქვე ამოუშვა ხვრინვა. ქალებმა კივილი მორთეს. ყველაფერი ერთმანეთში აირია.

დამნაშავის ძებნაში ვლას პახომოვიჩი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. თავდაპირველად გაიფიქრა, სადღაც აქვე, კუტეინიში, იქნებ მაგიდების ახლოსაც ისროლესო. კისერი დაეძაგრა, სახე წამოუჭარხლდა და მთელი ხმით შეჰყვირა:

– ეს რომელი იუდა შემომძვრალა ჩვენ რიგებშია და რაღაცას მიჰქარამს? ეს რომელი ასეთი და ასეთი დედის შვილი ეთამაშება ყუმბარებსა? ვისიც არ უნდა იყოს, ჩემიც რო იყოს, დავახჩოფ, მაგ გველის წიწილას! არა, მოქალაქენო, ეგეთი ხუმრობის ნებას არავის მივცემთ. ალყის დარტყმას მოვითხოვ. სოფელ კუტეინი პასადს შემოვერტყათ. დავიჭიროთ ის პრავაკატა! ნება არ მივცეთ დაგვემალოს, ეგ ძაღლის გავარდნილი!

ჯერ უსმენდნენ, მერე ყველას ყურადღება მალი ერმოლაის სათემო

გამგეობიდან ცისკენ ნელ-ნელა წასულმა კვამლმა მიიპყრო. ყველანი ქარაფის პირისაკენ გაცვივდნენ, რათა დაენახათ, იქ რა ხდებოდა. ერმოლაევის ცეცხლმოდებული სათემო გამგეობიდან რამდენიმე ნახევრად შიშველი ახალწვეული გამოვარდა. ერთ მათგანს, უქუდოს და ფეხშიშველს, ჩავარდნილი შარვალი ხელით ეჭირა. იქვე იყო პოლკოვნიკი შტრეზე და სხვა სამხედროები, რომლებიც ახალწვეულებს ამოწმებდნენ. კაზაკები და მილიციელები სოფელში ცხენებს დააჭენებდნენ, მათრახებს იქნევდნენ, თითქოს დაკლაკნილ გველებზე ამხედრებულანო, ტყავში ძვრებოდნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ვიღაცას ეძებდნენ, ვიღაცას იჭერდნენ. გზადაგზა კუტეინისაკენ ბლომად ხალხი მორბოდა. გამოქცეულებს ერმოლაის სამრეკლოდან ზარების საგანგაშო რისხვა დაადევნეს.

შემდგომში მოვლენები საშინელი სისწრაფით განვითარდა. დაბინდებისას შტრეზე კაზაკებით მეზობელ კუტეინის მიადგა და ძებნა განაგრძო. სოფელს გარშემო მზირები შემოარტყეს და თითოეული სახლის, თითოეული კარმიდამოს ჩხრეკას შეუდგნენ.

ამ დროისათვის მოზეიმეთა ნახევრის საქმე უკვე მოთავებული იყო. გამომთვრალ-გამომტყვრალი თავები მაგიდის კიდეებზე ჩამოედოთ ან სულაც მის ქვეშ ეყარნენ. მილიცია რომ მოვიდა, უკვე ბნელოდა. რამდენიმე ბიჭმა ფეხი იშვირა და მილიციის შიშით სოფლის უკანა ეზოებისაკენ მოკურცხლა. ერთმანეთს აჩქარებდნენ, მუჯლუგუნებს და წიხლებს უშენდნენ, მერე კი პირველივე შემხვედრი ბეღლის ქვეშ შეძვრნენ და გაინაბნენ. თავდაპირველად სიბნელეში შეუძლებელი იყო იმის გარჩევა, თუ ის ბეღელი ვისი იყო, მაგრამ თევზისა და ნავთის სუნით მიხვდნენ, რომ სამომხმარებლოს სარდაფი[94] უნდა ყოფილიყო.

---

[94] სამომხმარებლოს სარდაფი – 1917 წლის წინა ხანებში რუსეთის სოფლის მეურნეობაში საკმაოდ განვითარდა სამომხმარებლო კოოპერაცია და მისი საერთო მოცულობის დაახლოებით ერთი მესამედი მოიცვა. ციმბირში მასში ასიათასობით გლეხური მეურნეობა იყი ჩაბმული.

იქ თავშეყრილებს დასამალი არაფერი სჭირდათ. შეცდომა იყო მათი მიმალვა. უმრავლესობამ ეს სიმთვრალის გამო ჩაიდინა. ზოგიერთებს, მათი აზრით, საძრახისი ნაცნობობა ჰყავდათ და ეშინოდათ, არ დაგვღუპონო. ახლა ხომ ყველაფერი პოლიტიკურ ელფერს იძენდა. თავაშვებულობას და ხულიგნობას საბჭოთა ზოლში შავრაზმელობად მიიჩნევდნენ, თეთრგვარდიელთა ზოლში კი შფოთისთავები ბოლშევიკებად ეჩვენებოდათ.

როგორც აღმოჩნდა, ბეღელქვეშ დამალული ბიჭები წინასწარ გააფრთხილეს. იატაკსა და მიწას შორის ბლომად ხალხი შეგროვდა. აქ კუტეინიდანაც იყვნენ და ერმოლაევიდანაც. პირველები უგონოდ გალეშილიყვნენ. მათი ნაწილი ძილში ხვრინავდა, წუწუნებდა, კბილებს ახრჭიალებდა და ღმუოდა, სხვებს გული ერეოდათ და არწყევდნენ. ირგვლივ ისეთი წყვდიადი იყო, კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა. ბოლოს მისულებმა ბეღლის ქვეშიდან იატაკი გამოანგრიეს, შიგ შეძვრნენ და, რომ არავის შეენიშნა, ხვრელის ამოსაქოლავად შიგ ქვები და ბელტებიც შეიყოლეს. მალე ნაბახუსევთა ხვრინვა და კვნესა მთლიანად შეწყდა. სრულმა სიჩუმემ დაისადგურა, მხოლოდ ერთ კუთხეში ისმოდა ნამეტნავად დაუდეგარი ყმაწვილების, შიშისაგან გულგახეთქილი ტერენტი გალუზინისა და ერმოლაეველი ჩხუბისთავის კოსკა ნეხვალენიხის ჩუმი ჩურჩული.

– ჩუმად, შე ვირიშვილო. ყველას დაღუპავ, ცინგლიანო. არ გეყურება, შტრეზელები როგორ დაძრწიან და დაყანყალებენ? ღობეს მოადგნენ, აქეთ მოდიან, მალე აქ იქნებიან. აი, ისინიც. ხმა გაიკმინდე, ნუღარ ხვნეშიხარ, თორემ მიგახრჩვე და ეგ არის! – უჰ, შენი ბედი, რომ იქით წავიდნენ, აგვცდნენ. შენ რაღა ეშმაკმა მოგათრია აქა, ჰა? ამ შტერსაც რომ თავი აუღია და იმალება! ვის რა ჯანდაბად უნდიხარ?

– მესმის, გოშკა ღრიალებს, – დაიმალე, შე ბოთეო. მეც ავდექი და შემოვძვერი.

– გოშკას საქმე სხვაა. რიაბიხების მთელი ოჯახი ნიშანში ჰყავთ ამოღებული, სანდო ხალხი არ არიანო. ნათესავები ჰყავთ ხოდატსკოეში, ოსტატები, ძველი მუშები. გაჩერდი, რას ფუთფუთებ, შე ბრიყვო, წყნარად იწექი. ვერ უყურებ? გარშემო სიბინძურის და ნარწყევის მეტი არაფერია. შენც შიგ ამოიგანგლები და მეც გამსვრი. ვერ უყურებ, როგორა ყარს? ამ შტრეზეს რაღა სოფელ-სოფელ წანწალი აუტყდა? პაჟინსკელებს ეძებს, ჩამოსულებს.

– როგორ მოხდა, კოსკა, ეს ყველაფერი? რითი დაიწყო?

– მთელი ეს აყალმაყალი სანკას გამოისობით მოხდა, სანკა პაფნუტკინის გულისთვის. ტიტლიკანები ვართ ჩამწკრივებული და შემოწმებას ველოდებით. ჯერი სანკაზე მიდგა, იმისი რიგია. არა და არ იხდის. გადაკრულში იყო, შემოწმებაზე მთვრალი მოვიდა. გადამწერმა შენიშვნა მისცა. გაიხადეთო, ზრდილობიანად ეუბნება. სანკას „თქვენაო", ეუბნებიან, იმან კი ენგრე უხეშად შეუღრინა: არაფერსაც არ გავიხდიო. არა მნებავს ჩემი სხეულის ნაწილები დაგანახოთო. ვითომ დაირცხვინა, რაღა! თანაც გადამწერს გვერდულად ისე დაუდგა, გეგონება, შემოტრიალდება და ყბაში სთხლიშავსო, მაშა! და რა გგონია, თვალის დახამხამება ვერ მოასწრეს, რომ სანკა დაიხარა, საკანცელარიო მაგიდას დასწვდა ფეხებში და სამელნეებიან-სამხედრო სიებიანად ძირს დაანარცხა! გამგეობის კარებიდან შტრეზე შემოვარდა. მეო, ყვირის, არეულობას ვერ მოვითმენო, მე თქვენ გიჩვენებთ უსისხლო რევოლუციას და თავშესაყარ ადგილზე კანონის უპატივცემლობას. მოთავე ვინ არისო?

ამასობაში სანკა ფანჯარას ეცა. „აბა, ბიჭებოო, ყვირის, თქვენ-თქვენ ტანისამოსს მიხედეთო! გათავებულია აქ ჩვენი საქმე, ამხანაგებოო!" მე ჩემს ტანსაცმელს ვტაცე ხელი, სირბილ-სირბილში გადავიცვი და სანკასთან გავჩნდი. სანკამ შუშა მუშტით გაამტვრია და სკუპ, ფანჯარაში, ეძებე ქარი მინდორში! მეც იმას მივყევი. მერე ჩვენს გზას სხვებიც გამოჰყვნენ. მოვრბივართ, ფეხებით მიწას არ ვეხებით. უკან კი წივილ-კივილით მოგვდევენ მდევრები. მიდი ახლა და იკითხე, ეს ორომტრიალი რამ

გამოიწვია. კაციშვილი ვერ გაგცემს პასუხს.

– ყუმბარა?

– რა ყუმბარა?

– ყუმბარა ვიღამ ისროლა? ყუმბარა თუ არა, – ხელყუმბარა ხომ მაინც იყო?

– ღმერთო, განა ჩვენ ვისროლეთ?

– მაშ ვიღამ?

– რა ვიცი. ვიღაც სხვა იქნებოდა. შეხედა, ალბათ, არეულობა იყო და იფიქრა, მოდი ერთი ამ ღრიანცელში თემს ავაფეთქებო. სხვაზე იფიქრებენ, იტყვიან, ვინმე პოლიტიკური იყოო. იქ პოლიტიკურების, პაჟინსკელების მეტი რაა. ჩუმად, მოკეტე. რაღაც ხმაურია, გესმის? შტრეზეს შტერები უკან მიდიან. ხმა ჩაიკმინდე-მეთქი, შენ გეუბნები. ხმაური ახლოვდებოდა. ჩექმები ჭრაჭუნობდნენ. დეზები ჟღარუნობდნენ.

– ნუ მეკამათებით. ვერ მომატყუებთ. ეგეთები მინახავს?! სადღაც აქ ლაპარაკობდნენ. – ისმოდა პოლკოვნიკის მედიდური, მკვეთრი პეტერბურგული ხმა.

– შესაძლოა მოგეჩვენათ, თქვენო აღმატებულებავ, – არწმუნებდა მალი ერმოლაეველი სოფლის მამასახლისი, მოხუცი თევზის მეწარმე ოტვიაჟისტინი. – სოფელია აქა და ხალხს ხმაურს ვინ დაუშლის. სასაფლაო ხომ არ არის. შეიძლება, სადღაც მართლა ლაპარაკობდნენ. ხალხია, პირუტყვი ხომ არ არის. ან იქნებ რომელიმეს ძილში მაჯლაჯუნა დააწვა და ახრჩობს.

– აბა-აბა! მე თქვენ გიჩვენებთ, რას ნიშნავს ღვთისგლახაობა, ყაზანელ ობლებად თავის მოჩვენება. მაჯლაჯუნა! თქვენ აქ მთლად წასულხართ ხელიდან. აი ნახავთ, გამოქექავთ საერთაშორისოს და მერე კი გვიან იქნება. მაჯლაჯუნა!

– ღვთის გულისათვის, თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პოლკოვნიკო! რისი საერთაშორისო! აქ გაუთლელი ბრიყვების ქვეყანაა, გაუვალი

წყვდიადი. ძველ კურთხევანში[95] მეხუთედან მეათეზე ხტებიან. რევოლუციას რა თავში იხლიან.

– ყველანი ეგრე ლაპარაკობთ, ვიდრე რამეზე წაგასწრებენ. კოოპერატივის შენობა ძირისძირობამდე გაჩხრიკეთ. ყველა სკივრი და ზანდუკი გადააქოთეთ, ყველა დახლის ქვეშ შეიხედეთ. ახლომახლო შენობებიც დაალაწლაწეთ.

– მესმის, თქვენო აღმატებულებავ.

– პაფნუტკინი, რიაბიხი, ნეხვალენიხი, ცოცხლები იქნებიან თუ მკვდრები, მომგვარეთ. თუნდაც ზღვის ფსკერზე იყვნენ დამალულები. გალუზინების ლეკვიც ყურით მომითრიეთ. დიდი ამბავი, თუ მამამისი პატრიოტულად ყბედობს და ენას ატარტალებს! პირიქით, ამით ვერ მიგვაძინებს. რაკი მედუქნე თავს მჭევრმეტყველებაზე სდებს, ესე იგი აქ რაღაც ხდება. საეჭვო საქმეა, დაუჯერებელი. ჩუმ-ჩუმად იმასაც ამბობენ, კრესტოვოზდვიჟენსკში, თავიანთ ეზოში პოლიტიკურებს მალავენ, საიდუმლო შეკრებებს მართავენო. ის ბიჭი შეიპყარით და აქ მომგვარეთ. ჯერ კიდევ არ ვიცი, რას ვუზამ, მაგრამ თუ ის ეჭვები გამართლდა, შეუბრალებლად ჩამოვკიდებ, რომ სხვებმა ჭკუა ისწავლონ.

მჩხრეკავებმა გზა განაგრძეს. საკმაო მანძილით რომ მოშორდნენ იქაურობას, კოსკა ნეხვალენიხი მისიკვდილებულ ტერეშკა გალუზინს მიუბრუნდა.

– გაიგონე?

– დიახ, – სხვისი ხმით ამოიკნავლა ტერეშკამ.

– ახლა მე, შენ, სანკას და გოშკას ერთადერთი გზაღა დაგვრჩენია და ისიც ტყისკენ მიდის. სამუდამოდ-მეთქი, კი არ ვამბობ. სანამ გონს მოეგებიან. მერე კი, როცა ჭკუაზე მოვლენ, გავარკვევთ, რა გზას დავადგეთ. იქნებ უკანვე დავბრუნდეთ კიდეც.

---

[95] „კურთხევანი“ საეკლესიო წიგნია, რომელშიც მრევლის სხვადასხვა საჭიროებასაც ჩაინიშნავდნენ ხოლმე. სოფლის პირობებში ზოგჯერ მას ანბანის სწავლების დანიშნულებითაც იყენებდნენ.

ნაწილი მეთერთმეტე

ტყის ლაშქარი

1

მეორე წელიწადი იყო, რაც იური ანდრეევიჩი წუთისოფელს პარტიზანებთან ტყვეობაში აღამებდა. მისი მონობის საზღვრები მეტად ბუნდოვანი იყო. ოთხკედელშუა არავის გამოუმწყვდევია. არც გუშაგი ადგა თავს და არც თუ თვალთვალით აწუხებდნენ. პარტიზანთა ლაშქარი ერთთავად აღმა-დაღმა დაგელავდა და იური ანდრეევიჩიც ძალაუნებურად ლანდივით დასდევდა. ეს ლაშქარი არაფრით იყო გამიჯნული იმ ხალხისაგან, რომლის დასახლებებსა და ოლქებშიც მიდი-მოდიოდა, ნიადაგ მას უერთდებოდა და მასშივე ითქვიფებოდა.

გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს ექიმს ხელ-ფეხს არაფერი უბორკავდა და არც ეს ტყვეობა არსებობდა, ყოველმხრივ თავისუფალი იყო და თავისივე უთაურობის ბრალი იყო, მონობისაგან თავდასახსნელად რომ ვერაფერი ეღონა. თუმცა მთლად ასე როდი გახლდათ. ექიმის დამოკიდებულება, მისი ტყვეობა არაფრით განსხვავდებოდა ცხოვრებაში არსებული სხვაგვარი იძულებისაგან, იმგვარივე უხილავისა და ხელშეუხებლისაგან, რომლებიც კაცს ასევე არარსებულად, ქიმერად და გამონაგონად მიაჩნია. მართალია, ბორკილები, ჯინჯილები და ყარაულები თვალდათვალ არსად ჩანდნენ, მაგრამ ექიმი იძულებული იყო დამორჩილებოდა თავის მონობას, ერთი შეხედვით წარმოსახვითს რომ მიაგავდა.

სამჯერ შეეცადა გაქცეულიყო და სამჯერვე დაიჭირეს. მართალია, დაუსჯელად გადარჩა, მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ ცეცხლს ეთამაშებოდა. მას მერე ასეთი რამ აღარ გაუმეორებია.

პარტიზანთა მეთაური ლივერი მიკულიცინი მფარველობდა და ანებივრებდა, ღამით თავის კარავში აძინებდა, მასთან ბაასს არაფერი ერჩია. თავსმოხვეული კეთილგანწყობა იური ანდრეევიჩს სულს უხუთავდა.

2

ეს იყო აღმოსავლეთისაკენ პარტიზანთა თითქმის განუწყვეტელი მოძრაობის ხანა. დასავლეთ ციმბირიდან კოლჩაკის გაძევებისას ეს გადაადგილება დროდადრო შეტევის საერთო გეგმის ნაწილი გახლდათ. ხან კი, როცა თეთრები პარტიზანთა ზურგში ექცეოდნენ და ცდილობდნენ ალყაში მოექციათ ისინი, იმავე მიმართულებით მოძრაობა უკანდახევად გადაიქცეოდა ხოლმე. ამ ურთულესი სიბრძნის სიღრმეებს ექიმი დიდხანს ვერ ჩასწვდომოდა.

დიდ გზაზე მდებარე წვრილ-წვრილი ქალაქები და სოფლები, რომელთა გასწვრივ ან რომლებზეც ეს გადაადგილება ხდებოდა, მხედრული იღბლის თუ უიღბლობის შესაბამისად ნაირფერად გამოიყურებოდნენ, ხან თეთრდებოდნენ და ხანაც წითლდებოდნენ. ზოგჯერ მათი გარეგნული სახით შეიძლებოდა გემარჩიელათ, რომელი ხელისუფლება იყო მათში გაბატონებული.

ამ ქალაქებსა და სოფლებში გლეხთა ლაშქრის გავლისას მათ მთავარ ნიშნად სწორედ ის ჯარი იქცეოდა ხოლმე. გზის აქეთ-იქით ჩამწკრივებული სახლები თითქოს თავს მხრებში რგავდნენ და მიწაში იმალებოდნენ, ლაფში ამოსვრილი მხედრები, ცხენები, ზარბაზნები და ჯგროდ წამოსული ზორბა მსროლელები კი, გეგონებოდათ, სახლებზე გაცილებით დიდრონნი არიანო.

ერთხელ, ერთ ასეთ ქალაქში ექიმი გენერალ კაპელის[96] ოფიცერთა დაჯგუფების უკანდახევისას მიტოვებული და სამხედრო ნადავლის სახით ხელში ჩაგდებული ინგლისური მედიკამენტების საწყობს იბარებდა. მოღუშული, ორფეროვანი წვიმიანი დღე იყო. რასაც სინათლე ეფინებოდა, თეთრად მოჩანდა, ჩრდილში დარჩენილი კი შავად იმზირებოდა.

[96] ო. ვ. კაპელი (1883-1920) – გენერალ-ლეიტენანტი. იბრძოდა ჯერ „კომუჩის“, შემდეგ კოლჩაკის არმიაში. 1920 წლის 25 იანვარს მოკლული იქნა ირკუტსკის მახლობლად.

სულშიც ასეთივე გამარტივებულ წყვდიადს დაესადგურებინა, შემარბილებელი გადასვლების და ნახევარჩრდილების გარეშე.

ხშირი სამხედრო მიმოსვლით საბოლოოდ გატიალებული და ფეხქვეშ გათელილი გზა შავი ტლაპოს ნიაღვარს მიაგავდა, რომელზეც ფონის პოვნა არც ისე ადვილი საქმე იყო. ქუჩაზე რამდენიმე, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ადგილზე გადადიოდნენ, რომელთა მისაგნებად კარგაძალი მანძილის გავლა იყო საჭირო. ამგვარ პირობებში შეხვდა ექიმი პაჟინსკში მატარებელში ოდესღაც დამგზავრებულ პელაგია ტიაგუნოვას.

ქალმა იგი პირველმა იცნო. ექიმი ერთბაშად ვერ მიხვდა, ვინ იყო ის დედაკაცი, რომლის სახეც ეგრერიგად ეცნაურებოდა. თითქოს მდინარის მეორე მხარეს დარჩენილაო, გზის გადაღმიდან ისე უყურებდა. ეტყობოდა, ყოყმანობდა, ხან იმის იმედით, რომ იცნეს, გამოცნაურებას აპირებდა, ხან კი მორიდებულობა ეძალებოდა და მზად იყო, იქაურობას გასცლოდა.

წუთიც და ექიმს ყველაფერი გაახსენდა. ხალხით გაჭედილ საბარგო ვაგონში, შრომით ბეგარაზე გარეკილ ბრბოში, მებადრაგეებისა და მკერდზე დაფენილ ნაწნავებიანი მგზავრის გვერდით, სურათის შუაგულში თითქოს აშკარად დაინახა თავისიანები. უჩვეულო სიცხადით დაუდგა თვალწინ შარშანწინდელი მგზავრობა, ოჯახთან ერთად რომ მოდიოდა. ცოცხლად წარმოუდგნენ მშობლიური სახეები, რომელთა ნახვის ნატვრა უსაშველო დარდით სთანგავდა.

თავით ანიშნა ტიაგუნოვას, მაღლა აჰყოლოდა ქუჩას, რომელზეც ლაფში ჩაყრილი ლოდებით გადადიოდნენ, თვითონვე მონახა გადასასვლელი, მეორე მხარეს გადავიდა და ქალს მიესალმა.

ბევრი რამ უამბო ტიაგუნოვამ. შრომით არმიაში უსამართლოდ გაწვეული მოხდენილი, ალალ-მართალი ბიჭი, ვასია გაახსენა, თბილანა ვაგონში მათთან ერთად რომ მგზავრობდა. სოფელ ვერეტენნიკში, ვასიას

დედასთან ერთად ცხოვრებაც მოიგონა. „იქ რა მიჭირდა, მშვენივრად ვიყავითო, უთხრა. მაგრამ იქაურებს არ ეპიტნავათ, მათთვის უცხო, საიდანღაც შეკედლებული ადამიანი რომ ვიყავი, მთელმა სოფელმა თვალიდან ამომიღო და გასაქანი აღარ მომცა. შარი მომდეს, ვასიასთან სიახლოვე მომიგონეს. მეტი რა ჩარა მქონდა, სანამ მეცემოდნენ და გამფატრავდნენ, გაცლა ვამჯობინე. ერთი პირობა ქალაქ კრესტოვოზდვიჟენსკში დავსახლდი დასთან, ოლგა გალუზინასთან. ყური მოვკარი, პაჟინსკში პრიტულევი უნახავთო. მაშინვე ფეხი დავკარი და აქ გავჩნდი, მაგრამ ის ხმა ტყუილი გამოდგა. რაღა მექნა, სამუშაო გამოვნახე და აქვე ჩავრჩიო".

ამასობაში მის ახლობელ ადამიანებს უბედურება უბედურებაზე დასტყდომოდათ. ვერეტენნიკიდან ამბავი მოსულიყო, სასურსათო გაწერის კანონის შეუსრულებლობისათვის სოფელში სამხედრო ეგზეკუაცია ჩაეყენესო, როგორც ჩანს, ბრიკინების სახლი დაწვეს და ვასიას ოჯახიდანაც ვიღაც დაღუპულა. კრესტოვოზდვიჟენსკში გალუზინებისათვის სახლი და ქონება ჩამოურთმევიათ სიძე ციხეში ჩაუსვამთ თუ დაუხვრეტიათ. დისწულიც უგზოუკვლოდ დაკარგულა. თავდაპირველად მის დას, ოლგას სიდუხჭირესა და შიმშილში უცხოვრია, ბოლოს კი ერთ გლეხ ნათესავს მუცელპურად მოჯამაგირედ დასდგომია ზვონარსკაიაში.

ტიაგუნოვა თურმე შემთხვევით ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა პაჟინსკაიას აფთიაქში, რომლის ქონების რეკვიზიციაც ექიმს უნდა ჩაეტარებინა. ვინც კი ლუკმაპურს ამ აფთიაქში შოულობდა, ტიაგუნოვას ჩათვლით, ცარიელზე რჩებოდა. მაგრამ ბრძანების გასაუქმებლად ექიმს ხელი არ მიუწვდებოდა. საქონლის ჩაბარებას ტიაგუნოვაც ესწრებოდა. იური ანდრეევიჩისათვის გამოგზავნილმა საზიდარმა აფთიაქს უკანა მხრიდან შემოუარა და საწყობის კარებს მიადგა. შენობიდან ფუთებს, ტირიფის წნელით მოწნულ დოქებს და ყუთებს ეზიდებოდნენ.

დატვირთვის სურათს ადამიანებთან ერთად მეაფთიაქის თავლაში

მდგარი ქეციანი ჯაგლაგიც სევდიანად თვალს ადევნებდა. წვიმიანი საღამო იყო. ცამ ოდნავ აიფელიკა. წამით გამოჩნდა ღრუბლებში გამომწყვდეული ჩამავალი მზე. მისი სხივები ეზოში მუქი ბრინჯაოსავით ჩამოიღვენთა და ნეხვის წყალწყალა გუბეები თვალბედითად მოავარაყა.

ქარი მათ ვერას აკლებდა. ნეხვის წუმპე სიმძიმისაგან არ იძვროდა სამაგიეროდ შარაგზაზე წვიმის წყლის გუბეები ქარში ლივლივებდნენ და სინგურისფრად ელვარებდნენ.

ლაშქარი კი ყველაზე ღრმა ტბებს და ღრანტეებს გვერდს უვლიდა, გზის ნაპირ-ნაპირ უფრო და უფრო წინ მიიწევდა. ნაალაფარ წამლეულში მთელი ქილა კოკაინი აღმოჩნდა, რომლის ყნოსვის ცდუნებასაც ბოლო ხანებში პარტიზანთა უფროსი ვერა და ვერ ელეოდა.

3

ექიმს ყელამდე სამუშაო ჰქონდა პარტიზანებში. ზამთარში მუცლის ტიფი მძვინვარებდა, ზაფხულში – დიზენტერია. გარდა ამისა, საომარ მოქმედებათა განახლების დღეებში დაჭრილთა ტალღაც მატულობდა. წარუმატებლობის და უკანდახევის მიუხედავად, იმ ადგილებში, სადაც გლეხთა რაზმებს უხდებოდათ გავლა, პარტიზანთა რიგები ახალახალი აჯანყებულებით და მოწინააღმდეგის ბანაკიდან გამოქცეული ლტოლვილებით ივსებოდა. იმ წლინახევრის განმავლობაში, რაც ექიმმა პარტიზანებთან გაატარა, მათი ლაშქარი გაათმაგდა. როცა კრესტოვოზდვიჟენსკში, იატაკქვეშა შტაბის სხდომაზე ლივერი მიკულიცინმა თავისი ძალების რაოდენობა დაასახელა, დაახლოებით ათჯერ მაინც გადააჭარბა. ახლა ლაშქარმა სწორედ იმ ზღვარს მიაღწია.

იური ანდრეევიჩს ჰყავდა თანაშემწეები, სათანადო გამოცდილების მქონე რამდენიმე ახალგამომცხვარი სანიტარი. სამკურნალო ნაწილში მას მხარში ედგნენ ტყვედ ჩავარდნილი უნგრელი კომუნისტი და სამხედრო ექიმი კერენი ლაიოში, რომელსაც ბანაკში „ამხანაგ ლაიუშის” ანუ

„მყეფარს” ეძახდნენ, და აგრეთვე სამხედრო ტყვე ავსტრიიდან, ხორვატი ფერშალი ანგელიარი. პირველს იური ანდრეევიჩი გერმანულად ელაპარაკებოდა, ხოლო მეორეს, წარმოშობით ბალკანელ სლავს, გაჭირვებით ესმოდა რუსული.

4

წითელი ჯვრის თაობაზე საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, სამხედრო ექიმებს და სანიტარული ნაწილების მოსამსახურეებს ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ, მაგრამ ერთხელ ექიმს უნებურად მოუხდა ამ წესის დარღვევა. გახურებულმა ორთაბრძოლამ ველზე მოუსწრო. იძულებული გახდა მეომართა ბედი გაეზიარებინა და სროლაში ჩაბმულიყო.

პარტიზანთა ჯაჭვი, სადაც ცეცხლში მოქცეული ექიმი რაზმის ტელეგრაფისტის გვერდით ჩაწვა, ტყის პირას იყო განლაგებული. პარტიზანების ზურგს უკან ტაიგა იყო გადაჭიმული, წინ კი – მინდორი, მოტიტვლებული, დაუცველი სივრცე, საიდანაც თეთრები უტევდნენ. ისინი თანდათან უახლოვდებოდნენ და უკვე ახლო იყვნენ. ექიმი მათ კარგად ხედავდა, სათითაოდ სახეებში უყურებდა. დედაქალაქის სამოქალაქო საზოგადოების ფენებიდან გამოსული პირტიტველა ბიჭები და ჭაბუკები, აგრეთვე თადარიგიდან გაწვეული უფრო ხნიერი ადამიანები იყვნენ. ნამეტნავად კი უფრო პირველები, მოხალისეებად სულ ახლახან ჩაწერილი ახალგაზრდობა, პირველკურსელი სტუდენტები და მერვეკლასელი გიმნაზიელები ირჯებოდნენ.

ექიმი მათგან არავის იცნობდა, მაგრამ ყოველი მეორე დიდი ხნის წინათ გათავისებულ, ნანახ და ნაცნობ თავისიანად ეჩვენებოდა. ერთნი ოდინდელ სკოლის ამხანაგებს აგონებდნენ. თუმცა ვინ იცის, იქნებ მართლაც მათი უმცროსი მეგობრები იყვნენ? სხვებს თითქოს წარსულ წლებში ქუჩაში ან თეატრში შეხვედროდა. მათი მეტყველი, მიმზიდველი

სახეები ახლობლებად, მოკეთეებად ეჩვენებოდა.

მოვალეობის შეგნება, როგორც ესმოდათ, მათ აღფრთოვანებული, უსარგებლო და გამომწვევი ბიჭური სიმამაცით აღანთებდა. მოდიოდნენ გაფანტულად, თხელ-თხელ რიგებად, მთელი ტანით შემართულნი. აღნაგობით საკადრო გვარდიელებზე უფრო წარმოსადეგნი იყვნენ. ხიფათს აინუნშიც არ აგდებდნენ, არხეინად მოაბიჯებდნენ, მოკლე გამორბენის მერე მიწას არ ეკვროდნენ, თუმცა მინდორი უსწორმასწორო იყო, უხვად იყო მოფენილი კოლბოხებით და გორახებით, რომელთა უკან შეიძლებოდა დროდადრო დამალულიყვნენ. პარტიზანთა ტყვიები მათ სათითაოდ სცელავდნენ.

ვრცელი, მოტიტვლებული მინდვრის შუაგულში, საითაც თეთრები მოიწევდნენ, ერთი გამხმარ-გამომწვარი ხე იდგა. არავინ იცოდა, მეხს დაენახშირებინა, კოცონის ალს თუ ადრინდელი ბრძოლების ქარცეცხლს დაეხლიჩ-დაებუგა. შეტევაზე გადმოსული ყოველი მოხალისე მსროლელი მას ხარბად უყურებდა, მის ტანს ამოფარების, უფრო უსაფრთხოდ და შედეგიანად დამიზნების ცდუნებას ებრძოდა, მაგრამ საცდურს სძლევდა და წინ მოიწევდა.

პარტიზანებს ტყვია-წამალი ელეოდათ. მას უნდა გაფრთხილებოდნენ. ბრძანება გასცეს და სიტყვიერადაც შეთანხმდნენ, მხოლოდ ახლო მანძილზე მოსული მოწინააღმდეგისათვის ესროლათ შაშხანებიდან და ისიც მაშინ, როცა სამიზნე თვალწინ ეყოლებოდათ.

უიარაღო ექიმი ბალახებში იწვა და ბრძოლას თვალს ადევნებდა. სულით და გულით თანაუგრძნობდა სასიკვდილო განსაცდელში ჩავარდნილ ბავშვებს, რომლებიც გმირულად იღუპებოდნენ. გულის სიღრმეში წარმატებასაც უსურვებდა. ისინი ალბათ იმ ოჯახების ნაშიერები იყვნენ, თავიანთი სულისკვეთებით, აღზრდით, ზნეობრივი მრწამსით და შეხედულებებით თავად ექიმს ასე რომ ენათესავებოდნენ.

ერთი პირობა თავში გაუელვა, წამომხტარიყო, მინდორში მათთან გაჭრილიყო, ტყვედ ჩაბარებოდა და თავი ეხსნა, მაგრამ უმალვე მიხვდა,

ეს ნაბიჯი რაოდენ სახიფათო იქნებოდა და განზრახვაზე ხელი აიღო. სანამ ხელებაწეული მინდვრის შუაგულს მიაღწევდა, უეჭველად სიცოცხლეს გამოასალმებდნენ, ერთნი ტყვიას მკერდში უსწორებდნენ და მეორენი – ზურგში. თავისიანები – ღალატისათვის, ხოლო უცხოები – განზრახვას ვერ მიუხვდებოდნენ. ამგვარ ყოფაში ადრეც ბევრჯერ ყოფილა, ყოველგვარი შესაძლებლობა აუწონ-დაუწონია და მონობისათვის თავის დაღწევის ასეთი გეგმები მაშინაც უსარგებლოდ ჩაუთვლია. და აი, ასე, გაორებული გრძნობებით მოცული ექიმი კვლავ პირქვე იწვა ბალახებში, და ბრძოლის მსვლელობას უიარაღოდ გაჰყურებდა.

თუმცა ასე უმოქმედოდ ყოფნა, როცა ირგვლივ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გაჩაღებული, წარმოუდგენელიც იყო და ყოველგვარ ადამიანურ ძალასაც აღემატებოდა. საქმე იმ ბანაკის ერთგულებაში როდი იყო, რომელსაც ბედისწერამ დაუმონა, არცთუ თავის გადარჩენის გრძნობა გახლდათ დიდი ბედენა. ირგვლივ დატრიალებულმა მოვლენებმა ერთიანად შესძრეს, აიყოლიეს და თავიანთ კანონებს დაუმორჩილეს. ყოველივე იმის მიმართ, რაც იქ ხდებოდა, განურჩევლად ვერ დარჩებოდა. ძალაუნებურად იგივე უნდა ეკეთებინა, რასაც სხვები სჩადიოდნენ. გახურებული ბრძოლა იყო. ამხანაგები ისროდნენ და რატომღაც ისიც სროლის ჟინმა აიტანა.

როდესაც მის გვერდით მწოლ ტელეფონისტს კრუნჩხვამ დარია ხელი, მერე კი დამშვიდდა და უსულოდ გაქვავდა, იური ანდრეევიჩი მასთან მიხოხდა, ზურგჩანთა შეხსნა, ხელებში ჩაბღუჯული შაშხანა აართვა, ძველ ადგილს დაუბრუნდა და სროლა ატეხა.

მაგრამ სიბრალული არ ანებებდა იმ ახალგაზრდებისათვის დაემიზნებინა, რომლებსაც შორიდან ეგრერიგად შეჰხაროდა და შეჰფოფინებდა. ჰაერში სროლა კი მეტისმეტად ფუჭი, უაზრო რამ იქნებოდა და მის გულისწადილს სულაც არ შეეფერებოდა. იმ წუთებს არჩევდა, როცა მას და მის სამიზნეს შორის თავდამსხმელთაგან არავინ იყო და დამწვარ ხეს ტყვიას უშენდა. საამისოდ თავისი ხერხი ჰქონდა მომარჯვებული. ექიმი

საგულდაგულოდ უმიზნებდა, სასხლეტსაც შეუმჩნევლად, თანდათანობით ეზიდებოდა თავისკენ, ვიდრე ჩახმახის დაცემას ყოვლად მოულოდნელი დაქუხება არ მოჰყვებოდა. ასე და ამგვარად, ჩვეული სიზუსტით შეუდგა იგი უსიცოცხლო ხის გარშემო ჩამოცვენილი გამხმარი შტოების აქეთ-იქით ფანტვას.

მაგრამ მოხდა საშინელება! როგორ არ ცდილობდა, არავისთვის მოეხვედრებინა, მაგრამ გადამწყვეტ წამს მას და ხეს შორის ხან ერთმა თავდამსხმელმა გადაირბინა გასროლისას და ხან მეორემ. ორი მათგანი დასჭრა, ხოლო მესამეს, საწყალობელს, ყოველივე ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ის საცოდავი იქვე, ხის შორიახლო დაეცა და აღარც განძრეულა.

ბოლოს, როგორც იქნა, თეთრების მეთაურები დარწმუნდნენ საკუთარი ცდის უაზრობაში და უკანდახევის ბრძანება გასცეს.

პარტიზანები ცოტანი იყვნენ. მათი მთავარი ძალების ნაწილი მარშით მიდიოდა, ნაწილმა კი მხარი იცვალა და მოწინააღმდეგის უფრო დიდ ძალებთან გააჩაღა ბრძოლა. თავისი მცირერიცხოვნება რომ არ გამოემჟღავნებინა, რაზმი უკანდახეულებს აღარ გამოსდევნებია.

ფერშალმა ანგელიარმა ტყის პირას ორი საკაციანი სანიტარი გაიყვანა. ექიმმა უბრძანა, დაჭრილებისთვის მიეხედნათ, თვითონ კი უძრავად მწოლ ტელეფონისტს მიუახლოვდა. სადღაც იმედი უჭიატებდა, ეგებ ჯერ კიდევ სუნთქავს და საამქვეყნოდ მოვაბრუნოო. მაგრამ ტელეფონისტი მკვდარი იყო. საბოლოოდ რომ დარწმუნებულიყო, იური ანდრეევიჩმა პერანგის ღილი შეუხსნა და გულზე მიაყურადა. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

მოკლულს გულზე ავგაროზი ეკიდა. იური ანდრეევიჩმა შეხსნა. შიგ ნაჭერში გამოკერილი, ნაპირებშემომპალი და გადანაკეცზე წაშლილი ქაღალდის ნაგლეჯი აღმოჩნდა. ექიმმა მისი სანახევროდ შემოძარცულ-შემოფლეთილი ნაპირები გაშალა.

ქაღალდი ოთხმოცდამეათე ფსალმუნის ამონარიდს შეიცავდა, იმგვა-

რი ცვლილებებით და გადახრებით, რომელიც ხალხს შეაქვს დედანში გამეორებიდან გამეორებამდე. საეკლესიო სლავური ტექსტი რუსულად იყო გადაწერილი.

ფსალმუნში ნათქვამია: „რამეთუ ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს დაცვად შენთვის ყოველთა გზათა შენთა". ბარათში ეს სიტყვები ლოცვის სათაურად ქცეულიყო: „ყველა გზის დაცვა". ფსალმუნის საგალობელი: „არა გეშინოდეს შენ შიშისაგან ღამისა, არცა ისრისაგან, რომელი ფრინავნ დღისი", ბარათში გამამხნევებელ სიტყვებად ჟღერდა: „არ შეგაშინოს ომის მფრინავმა ისარმა". „რამეთუ მე მესავს, ვიხსნა იგი და მფარველ ვეყო მას, რამეთუ მან იცნა სახელი ჩემი", – ღაღადებს ფსალმუნი, ხოლო ბარათში მოკლედ მოეჭრათ: „მან იცნო ჩემი სახელი". „ხმაყოს ჩემდამო, მე ვისმინო მისი, მის თანა ვიყო ჭირსა" ბარათში ასე შეეცვალათ: „ხმა იყო, ჩემო დაო, მოვუსმინო და დავიჭირო".

ფსალმუნის ტექსტი სასწაულმოქმედად, ტყვიისგან დამხსნელად ითვლებოდა. თილისმის სახით მას ჯერ კიდევ წარსული იმპერიალისტური ომის მეომრები დაატარებდნენ. ათეული წლები გავიდა და მოგვიანებით ტუსაღებმა ტანისამოსში დაიწყეს მისი ჩაკერება. ამასვე იმეორებდნენ პატიმრები, როცა გამომძიებლებთან ღამის დაკითხვებზე გაჰყავდათ.

იური ანდრეევიჩი ტელეფონისტისაგან გამობრუნდა და ახლა მის მიერ მოკლული ახალგაზრდა თეთრგვარდიელისაკენ გაემართა. ჭაბუკის ლამაზ სახეზე უცოდველობისა და ყოვლისმიმტევებელი ტანჯვის ნაკვალევი იყო აღბეჭდილი. „რამ მომაკვლევინა?" – გაიფიქრა ექიმმა.

მოკლულს მაზარა შეუხსნა და მისი კალთები აქეთ-იქით ფართოდ გადაშალა. სარჩულზე ლამაზი ხელით, სიყვარულით და რუდუნებით იყო ამოქარგული: სერიოჟა რანცევიჩი, – ალბათ, თავის დროზე დედამ აღნიშნა შვილის გვარი და სახელი.

სერიოჟას პერანგის ჭრილიდან ძეწკვით დაკიდული ჯვარი, მედალიონი და ოქროს ბრტყელი კოლოფი თუ სათუთუნე გადმოუვარდა, რომელსაც სახურავი თითქოს ლურსმნის წვერით ჰქონდა შეღუნული. იგი

სანახევროდ ღია იყო. შიგნიდან დაკეცილი ქაღალდი გადმოვარდა. ექიმმა გაშალა და თვალებს არ დაუჯერა. ისიც ოთხმოცდამეათე ფსალმუნი იყო, ოღონდ ნაბეჭდი და მთელი თავისი სლავური ზედმიწევნილობით გასრულებული.

ამასობაში სერიოჟას კვნესა აღმოხდა და გაიზმორა. ცოცხალი იყო. როგორც მერე გაირკვა, მსუბუქი შინაგანი კონტუზიით იყო გაბრუებული, გაციებული ტყვია დედის ნაჩუქარ ავგაროზში მოხვედროდა და სწორედ იმას გადაერჩინა. მაგრამ უგონოდ მწოლისათვის რა უნდა ექნა?

იმ ხანებში მეომართა გამხეცებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. დატყვევებულები დანიშნულების ადგილამდე აღარ მიჰყავდათ, გზაში ხოცავდნენ, მოწინააღმდეგის დაჭრილებს კი ბრძოლის ველზევე ჩეხავდნენ.

ტყის ლაშქრის შემადგენლობა განუწყვეტლივ იცვლებოდა, ახალ-ახალი მოხალისენი მოდიოდნენ, ძველები კი მტრის მხარეზე გადარბოდნენ. თუკი საიდუმლოს მტკიცედ დაიცავდნენ, შეიძლებოდა რანჩევიცი ახალშემომატებულ მეკავშირედ გაესაღებინათ.

იური ანდრეევიჩმა თავისი ჩანაფიქრი ანგელიარს გაანდო. მისი დახმარებით მოკლულ ტელეფონისტს ზედა სამოსი გახადა და უგონოდ მყოფ ჭაბუკს ჩააცვა.

ბიჭის გამოსაჯანმრთელებლად მას და ფერშალს ცდა არ დაუკლიათ. როცა რანცევიჩი ფეხზე დადგა, გზა დაულოცეს, თუმცა მას თავისი მხსნელებისათვის არც დაუმალავს, რომ კვლავ კოლჩაკის ჯარში დაბრუნდებოდა და წითლებთან ბრძოლას გააგრძელებდა.

5

შემოდგომით პარტიზანთა ბანაკი მაღალ ბორცვზე შეფენილ ტყეში, ლისი ოტოკში იდგა, რომელსაც სამი მხრიდან უვლიდა ქაფმორეული, ჩქარი მდინარე.

პარტიზანებამდე აქ კაპელეველებს გამოეზამთრებინათ. ტყე საკუთარი და ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა ხელით გაემაგრებინათ და გაზაფხულზე იქაურობას გასცლოდნენ. ახლა მათ ხელუხლებელ ბლინდაჟებს, სანგრებს და თხრილებს პარტიზანები დაჰპატრონებოდნენ.

ლივერი ავერკიევიჩმა თავისი მიწური ექიმსაც უწილადა. მეორე ღამე იყო, მეთაური ქადაგად იყო დაცემული და არც მას აძინებდა. – ნეტა ვიცოდე, როგორ მყავს ახლა ჩემი ფრიად პატივცემული მამა-მშობელი, მარად სანატრელი ფატერ-პაპახენი.

– ღმერთო დიდებულო, როგორ ვერ ვიტან ამ ტაკიმასხრულ კილოს, – თავისთვის ხვნეშოდა ექიმი, – არადა, ზედგამოჭრილი მამაა. – როგორც თქვენი ადრინდელი საუბრიდან დავასკვენი, საკმარისად გაგიცვნიათ ავერკი სტეპანოვიჩი და, მეჩვენება, – არც თუ ურიგო შეხედულებისა უნდა იყოთ მასზე. არა, მოწყალეო ხელმწიფევ?

– ლივერი ავერკიევიჩ, ჯერ ერთი, ბუივიშჩაზე ხვალ წინასაარჩევნო კრება გვაქვს. გარდა ამისა, საცაა არყის მხდელი სანიტრებიც უნდა გავასამართლოთ. მე და ლაიოშს ჯერ სათანადო მასალებიც კი არ მოგვიმზადებია. ხვალ შევიყრებით საამისოდ. მე კი ორი ღამეა, არ მძინებია. მოდი, გადავდოთ ეს საუბარი, ქენით სიკეთე.

– არა, ჩვენ მაინც ავერკი სტეპანოვიჩს დავუბრუნდეთ. რას მეტყვით იმ ჩემს ბებრუცუნაზე?

– თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მამა გყავთ, ლივერი ავერკიევიჩ, ეგრე რატომ იხსენიებთ. ახლა კი გიპასუხებთ. თქვენთვის ხშირად მითქვამს, რომ სოციალისტური ნაყენის ცალკეულ გრადაციებში ცუდად ვერკვევი, განსაკუთრებულ განსხვავებას ბოლშევიკებსა და სხვა სოციალისტებს შორის ვერც კი ვამჩნევ. მამათქვენი ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც რუსეთი უკანასკნელი ხანების მღელვარებებს და არეულობებს უნდა უმადლოდეს. ავერკი სტეპანოვიჩი რევოლუციური ტიპის და ხასიათის კაცია. თქვენსავით ისიც რუსული დუღილის საწყისის წარმომადგენელია.

– როგორ გავიგოთ, გვაქებთ თუ გვაძაგებთ?

– კიდევ ერთხელ გთხოვთ, ეს კამათი უფრო შესაფერისი დროისათვის გადავდოთ. ამას გარდა, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ კოკაინს, რომელსაც ძველებურად უზომოდ ყნოსავთ. თქვენ თვითნებურად იტაცებთ წამალს ჩემი მარაგიდან. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ ეს შხამია და თქვენს ჯანმრთელობაზე პასუხს ვაგებ, ჩვენ ის სხვა მიზნით გვესაჭიროება.

– ისევ არ დაესწარით გუშინდელ მეცადინეობას. წერა-კითხვის უცოდინარი დედაკაცივით და დახავსებული ობივატელივით საზოგადოებრივი ძარღვი თქვენც ატროფირებული გაქვთ. სხვათაშორის, ექიმი ხართ, ნაკითხი კაცი და, ისიც კი მგონია, რაღაც-რაღაცეებს უნდა წერდეთ კიდეც. აბა ამიხსენით, ეს ყველაფერი როგორ გავიგოთ?

– ვერ გეტყვით, როგორ. ალბათ ვერანაირად. რას იზამთ, სიბრალულს ვიმსახურებ.

– ცრუ მორჩილება ამპარტავნობაზე უარესია. რას ქირქილებთ, მაგას აჯობებდა, ჩვენი კურსების პროგრამას გასცნობოდით. მაშინ აღიარებდით, რომ თქვენი ქედმაღლობა უადგილოა.

– ღმერთი გიშველით, ლივერი ავერკიევიჩ! რა შუაშია ქედმაღლობა! ქედს ვიხრი თქვენი აღმზრდელობითი მუშაობის წინაშე. საკითხების სია უწყებებშიც მეორდება. წაკითხული მაქვს, ვიცნობ თქვენს აზრებს ჯარისკაცების სულიერი განვითარების შესახებ. პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ. რაც გამათავისუფლებელი არმიის მეომრის ამხანაგებთან, სუსტებთან, უმწეოებთან, ქალთან, სიწმინდისა და ღირსების იდეასთან ურთიერთობაზე გაქვთ ნათქვამი, ეს ხომ თითქმის იგივეა, რამაც დუხობორთა თემი[97] შექმნა, ეს ტოლსტოველობის ერთგვარი სახეობა, ღირსეულ არსებობაზე ოცნებაა. მთელი სიყმაწვილე მაგ აზრს შევალიე. ასეთ

[97] დუხობორების რელიგიური სექტა რუსეთში XVIII ს-ის მეორე ნახევარში გაჩნდა. მის მიმდევართა უმეტესობას გლეხობა შეადგენდა. დუხობორები უარყოფენ მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმებს და რიტუალებს, საკუთარ თავს

საგნებს როგორ დავცინებ?

მაგრამ, ჯერ ერთი, საყოველთაო სრულყოფის იდეები, იმ გაგებით, როგორც ისინი ოქტომბერს აქეთ ესმით, მაინცდამაინც ჭკუას არ მაკარგვინებენ. მეორეც, ყოველივე ეს ჯერ კიდევ შორსაა განხორციელებისაგან, მარტოოდენ მითქმა-მოთქმამ კი სისხლის ისეთი ზღვები მოითხოვა, როგორც იტყვიან, მიზანი საშუალებას არ ამართლებს. მესამეც, და ეს მთავარია, როცა ცხოვრების გარდაქმნაზე ლაპარაკობენ, თავს ვერ ვიკავებ და სასოწარკვეთილება მიპყრობს.

რაო, ცხოვრების გარდაქმნაო? ასე მსჯელობა მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომელნიც იქნებ ბევრის მომსწრენიც კი არიან, მაგრამ მაინც ვერა და ვერ ჩასწვდნენ ცხოვრებას, ვერ შეიგრძნეს მისი სუნთქვა, სულისკვეთება. მათთვის არსებობა მარტოოდენ მასალის ტლანქი გუნდაა, რომელსაც მათი გამაკეთილშობილებელი შეხება ჯერ არ ღირსებია, მათი ჩარევა და გადამუშავება ესაჭიროება. ცხოვრება კი სულაც არ არის მასალა, ნივთიერება. იგი, თუ გნებავთ, თავად არის განუწყვეტლივ თვითგანმაახლებელი, მარად თვითგადამმუშავებელი საწყისი, თავის თავს იგი მარად გარდაქმნის, გარდასახავს, და თავისთავად განუზომლად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ჩვენი გონებაჩლუნგი თეორიები.

– და მაინც გავბედავდი და მოგახსენებდით, რომ კრებებზე დასწრება და ჩვენს ჩინებულ, დიდებულ ადამიანებთან ურთიერთობა განწყობილებას გაგიუმჯობესებდათ. მელანქოლიას აღარ მიეცემოდით. ვიცი, ეგ დარდი საიდანა გაქვთ. თქვენა გგონიათ, რაკი ახლა მაგრად გვირტყამენ, გამოსავალი აღარსადაა. მაგრამ, ჩემო ძმაო, პანიკაში ნუ ჩავარდებით.

„ქრისტეს სულისკვეთების“ მატარებლად მიიჩნევენ, თავიანთ მოძღვრებს კი – თავად ქრისტეს განსახიერებად, თაყვანს სცემენ შრომისმოყვარეობას, მოყვასის სიყვარულს და ა. შ. იყო მცდელობა ქონებრივი გაერთიანებისა და პირველყოფილი კომუნების შექმნისა. XIX ს-ის ბოლოს დაუმორჩილებლობისა და არმიაში სამსახურზე უარის თქმის გამო მეფის ხელისუფლებამ დაიწყო დუხობორთა შევიწროება, კავკასიაში და კანადაში გასახლება, რასაც სასტიკად გმობდა ლევ ტოლსტოი.

მე უფრო საშინელი რამეებიც ვიცი, პირადად რომ მეხება, – ჯერჯერობით გახმაურება არ შეიძლება, – მაგრამ მაინც არ ვიბნევი. ჩვენი ჩავარდნები დროებითი ხასიათისაა. კოლჩაკის დაღუპვა გარდაუვალია. ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ. ნახავთ. ჩვენ გავიმარჯვებთ.

დამშვიდდით.

– „არა, ეს შეუდარებელია! – ფიქრობდა ექიმი. – რა ბალღობაა! რა სიბეცე! უსასრულოდ ვუმტკიცებ ჩვენი შეხედულებების საპირისპირო ხასიათს, თვითონ ძალით შემიპყრო, ამ ყიამეთში ძალით მიმაღრძო და ამის შემდეგ კიდევ ეჩვენება, რომ მისმა წარუმატებლობამ გული უნდა დამწყვიტოს, მისი ვარაუდები და იმედები კი მხნეობას მმატებს. როგორი თვითდაბრმავებაა! მისთვის რევოლუციის ინტერესები და მზის სისტემის არსებობა ერთი და იგივეა”.

იური ანდრეევიჩს ტანში გააჟრჟოლა. აღარაფერი უთქვამს, მხრები-ღა აიჩეჩა, არც კი ცდილა დაეფარა, რომ ლივერის გულუბრყვილობას მოთმინებიდან გამოჰყავდა და თავს ძლივს იკავებდა. ლივერის ეს არ გამოჰპარვია, – შენ ჯავრობ, იუპიტერო, ესე იგი მართალი არ ხარ, – უთხრა მან. – გამიგეთ, ბოლოს და ბოლოს გამიგეთ, რომ ეს ყოველივე ჩემთვის არ არსებობს. „იუპიტერი”, „პანიკაში ნუ ჩავარდები”, „ვინც აწი თქვა, ბანი უნდა მიაყოლოს”, „ჭირმა თავისი მოჭამა, ჭირს შეუძლია წავიდეს”[98], – მთელი ეს უხამსობა, ეს უგვანი გამოთქმები ჩემთვის არარაობაა. მე ანს ვიტყვი და თუ გინდათ, გასკდით, ზედ შუაზე გაიფაღვეთ, ბანს აღარ ვიტყვი, მე წამით ვუშვებ, რომ თქვენ რუსეთის ლამპრები და გამათავისუფლებლები ხართ, რომ უთქვენოდ იგი დაიღუპებოდა, სიღარიბესა და უმეცრებაში ჩაეფლობოდა, და ამის მიუხედავად გულზე მაინც არ მეხატებით, მომიფურთხებია თქვენთვის, არ მიყვარხართ და

[98] „შენ ჯავრობ, იუპიტერო, ესე იგი მართალი არ ხარ”. – ლათინური ანდაზაა, ხოლო, „ვინც აწი თქვა, ბანიც უნდა მოაყოლოს”, – გერმანული. „მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს”. – ციტატა ფ. შილერის პიესიდან „ფიესკოს შეთქმულება გენუაში”.

ვერც ვერასოდეს შეგიყვარებთ, წადით, თქვენი ბურდღაც არ იყოს. იმ თქვენს აზრთა მპყრობელებს უყვართ ანდაზები, ის კი დავიწყნიათ, ძალით თავს რომ ვერავის შეაყვარებ და გულში ერთი ჩვეულება ჩაჰკირვიათ: განსაკუთრებით ისინი გაათავისუფლონ და გააბედნიერონ, ვინც ამას არ სთხოვს. ალბათ გგონიათ, რომ ჩემთვის ახლა არ არსებობს უკეთესი ადგილი დედამიწაზე, ვიდრე თქვენი ბანაკი და თქვენი საზოგადოებაა. ალბათ კიდეც უნდა გლოცავდეთ და მადლობას გწირავდეთ ჩემი დამონებისთვის, იმისათვის, რომ გამათავისუფლეთ საკუთარი ოჯახისაგან, შვილისაგან, სახლისაგან, საქმისაგან, ყველაფრისაგან, რაც ჩემთვის ძვირფასია და რაც მაცოცხლებს.

ხმა დაირხა, ვარიკინოს უცნობი, არარუსი მომხდურები დაეცნენო. იმასაც ამბობენ, იქაურობა გაანადგურეს და გაძარცვესო. კამენოდვორსკი ამას არ უარყოფს. თითქოს ჩემებს და თქვენებს გაქცევა მოუხერხებიათ. ვიღაც მითიური ელმები იყვნენო, დაბამბულ ჯუბებსა და ბოხოხებში გამოწყობილნი. საშინელ ყინვაში გადმოსულან რინვას ყინულებზე, სიტყვაც არ უთქვამთ, ისე დაუცხრილავთ იქაურობა, სულიერი არავინ დაუტოვებიათ, მერე გაბრუნებულან და ისევე უკვალოდ გამქრალან, როგორც გამოჩნდნენ. იცით ამის თაობაზე რაიმე? მართალია?

– სისულელეა. ჭორებია. ენაჭარტალა ხალხის გავრცელებული ნაბოდვარია.

– თუ მართლაც ისეთი კეთილნი და დიდსულოვანნი ხართ, როგორც ჯარისკაცთა ზნეობრივი აღზრდის თქვენეულ დარიგებებშია ნათქვამი, გამიშვით, ოთხივ კუთხივ გზა დამილოცეთ. წავალ, მოვძებნი ჩემიანებს. მე ხომ ისიც კი არ ვიცი, ცოცხლები არიან თუ არა, ან სად არიან, თუ არა და, გაჩუმდით, თუ ღმერთი გწამთ, თავი დამანებეთ, რადგან დანარჩენი არაფერი მოდის ჩემს გულთან და პასუხსაც არაფერზე ვაგებ.

დალახვროს ეშმაკმა, ბოლოს და ბოლოს, მაქვს თუ არა უფლება, სულ უბრალოდ მეძინებოდეს?

იური ანდრეევიჩი პირქვე მიეგდო საწოლზე და სახე ბალიშში ჩარგო.

ყოველი ღონით ცდილობდა არ მოესმინა ლივერის თავის მართლება, ის კი ისევ ამშვიდებდა, ნუ გეშინიათ, საგაზაფხულოდ თეთრები აუცილებლად დამარცხებული გვეყოლებაო. მერე სამოქალაქო ომიც გათავდება, თავისუფლება, მშვიდობა და კეთილდღეობა დამყარდებაო. მაშინ ვეღარავინ გაბედავს ექიმის დაკავებას. მანამდე კი მოთმენა გვმართებს, დალოცვილო, ამდენი გადაგვიტანია, ამდენი მსხვერპლი გაგვიღია, ამდენი დაგვიცდია და რაღა დაგვრჩა, რა სალაპარაკოაო. ანკი რომ გაგიშვათ კიდეც, სად წახვალთ. თქვენივე სასიკეთოდ ვშვრებით, მარტოდმარტოს არსადაც რომ არ გიშვებთო.

„ძველებურად დაატრიალა ისევ თავისი არღანი, ამ ქაჯმა! აატარტალა ენა! ანდა როგორ არ რცხვენია, ამდენი წლის განმავლობაში ერთსა და იგივეს რომ იღეჭება?" – თავისთვის ხვნეშოდა და გული მოსდიოდა იური ანდრეევიჩს. – „თავისივე ლაქლაქით ტკბება, ეს დამპალი კოკაინისტი. ღამე არ არსებობს ამ წყეულისთვის, ძილი და მოსვენება. ო, როგორ მეზიზღება! ღმერთია მოწამე, ერთხელაც იქნება, მივასაკლავებ.

ო, ტონია, ჩემო საცოდავო გოგონა! ნეტავ თუ ცოცხალი ხარ? სადა ხარ? ღმერთო ჩემო, მას ხომ დიდი ხანია ბავშვი უნდა ჰყოლოდა! როგორ ჩაიარა შენმა მშობიარობამ? ვინ გყავს, ბიჭი თუ გოგო? ჩემო ძვირფასებო, რა დაგემართათ? ტონია, ჩემო მარადიულო საყვედურო და დანაშაულო! ლარა, შენი ხსენებისაც კი მეშინია, რომ შენს სახელს სულიც არ ამოვაყოლო. ღმერთო! ღმერთო! ეს კი ისევ არატუნებს, არა და არ ცხრება, ეს ამაზრზენი, უგრძნობელი პირუტყვი ესა! ო, ღმერთო ჩემო, როდისმე ვეღარ მოვითმენ და შემომაკვდება, შემომაკვდება."

6

დედაბრის ზაფხული მიიწურა. ოქროს შემოდგომის ნათელი დღეები იდგა. ლისი ოტოკის განაპირას, დასავლეთის კუთხეში მოხალისეთა ბლოკჰაუზის გადარჩენილი ხის კოშკი თითქოს პირდაპირ მიწიდან

ამოზრდილიყო. საერთო საკითხების განსახილველად აქ უნდა მოსულიყო იური ანდრეევიჩის ასისტენტი, ექიმი ლაიოში. იური ანდრეევიჩი დანიშნულ დროზე მოვიდა. ამხანაგის მოლოდინში იგი სანგრის ნაპირიდან ჩამოშლილ მიწაზე ბოლთასა სცემდა. რამდენჯერმე საყარაულოშიც ავიდა და ცარიელი სათოფურებიდან მდინარის იქით გადაშლილი ტყეების შორეთს გახედა.

შემოდგომას უკვე მკვეთრად გაემიჯნა წიწვიან და ფოთლოვან სამფლობელოთა საზღვრები. პირველი ბინდით მოცულ, თითქმის შავ კედლად იჭრებოდა სიღრმეში, ხოლო მეორე ცეცხლოვანი ღვინის ფერებად ენთო შუალედებში, თითქოს შუაგულ ტყეში მისივე მორებისაგან ნაშენი გალავნიანი და ოქროსთავიანი კოშკებით დამშვენებული უძველესი ციხე-ქალაქი გადმომდგარაო.

ირგვლივ თხრილებში, ექიმის ფეხებთან თუ დილის ყინვით პირშემხმარი ტყის გზის ნაურმალებში სქლად იყო მოფენილი ტირიფის ხმელი, მრგვლად ჩახვეული წვრილი ფოთლები. შემოდგომას ამ მწარე, ყავისფერი ფოთლებისა თუ სხვა უამრავი საკმაზის სურნელი უდიოდა. იური ანდრეევიჩი ხარბად სუნთქავდა ყინულივით ცივი დამბალი ვაშლის, მწარე სიმშრალის, ტკბილი სინოტივისა და სექტემბრის ლურჯი ხვატის მრავალფეროვანი სანელებლებით შეზავებულ ჰაერს, ასე ძალუმად რომ წააგავდა ახლად წყალგადასხმული კოცონისა და ახალჩამქრალი ნახანძრალის ოხშივარს.

ამასობაში ვერც კი შენიშნა, თავს როგორ წამოადგა ლაიოში. – გამარჯობათ, კოლეგა, – უთხრა მან გერმანულად. უმალვე საქმეზე გადავიდნენ.

– სამი საკითხი გვაქვს: არყის მხდელებზე, ლაზარეთისა და აფთიაქის გადაკეთებაზე, და მესამე, ჩემი დაჟინებული თხოვნით, ამბულატორიულად, სალაშქრო პირობებში სულიერ ავადმყოფობათა მკურნალობის შესახებ. იქნებ თქვენ არც კი თვლიდეთ ამას აუცილებლად, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ჭკუიდან ვიშლებით, ძვირფასო ლაიოშ, და თანამედროვე

შეშლილობის სახეებს ინფექციის, გადამდები სენის ფორმა აქვთ. – ძალიან საინტერესო საკითხია. მაგაზე მერე, ახლა კი აი, რა მინდოდა მეთქვა. ბანაკში მღელვარებაა. არყის მხდელები ებრალებათ. ბევრს თეთრებისაგან გამოქცეული ოჯახების ბედიც აფიქრებს. პარტიზანთა ნაწილი მათი ცოლებით, ბავშვებითა და მოხუცებით დატვირთული აღალის მოახლოების გამო ბანაკიდან გასვლაზე უარს აცხადებს. – დიახ, მოცდა მოუწევთ.

– და ეს ყველაფერი ერთიანი სარდლობის არჩევნების წინ ხდება, იმ სარდლობისა, რომელიც სხვა რაზმებსაც ჩაუდგება სათავეში. მგონი ერთადერთი კანდიდატი ამხანაგი ლივერი უნდა იყოს. ახალგაზრდობა მეორეს, ვდოვიჩენკოს უჭერს მხარს. მას გვერდით უდგას ჩვენთვის უცხო ფრთა, რომელსაც კუდი არყის მხდელებთან აქვს გადაბმული. კულაკების და მედუქნეების შვილებია, კოლჩაკის დეზერტირები. მეტისმეტი ხმაური ატეხეს.

– როგორ გგონიათ, რა მოელით სანიტრებს, რომლებიც არაყს ხდიდნენ და ჰყიდდნენ?

– მგონი დახვრეტას მიუსჯიან, სასჯელს პირობითად შეუცვლიან და შეიწყალებენ.

– ისევ ლაპარაკმა შეგვიყოლია. საქმეს მივხედოთ. პირველ რიგში ლაზარეთის გადაკეთებაზე მსურდა გვესაუბრა.

– კეთილი. მაგრამ იმის თქმა მინდოდა, რომ თქვენს წინადადებაში ფსიქიატრიული პროფილაქტიკის შესახებ გასაკვირი არაფერია. მეც ეგრე ვფიქრობ. წარმოიშვა და ვრცელდება უშუალოდ ეპოქის ისტორიული თავისებურებებით გამოწვეული სულით ავადმყოფობის ყველაზე ტიპიური, დროის განსაზღვრული თვისებების მატარებელი გამოვლინებები, მეფის არმიის ერთი ჯარისკაცი გვყავს, პამფილ პალიხი. შეგნებული კაცია, თანდაყოლილი კლასობრივი ინსტინქტების პატრონი. სწორედ ამაზე შეიშალა, ახლობელთა მოსალოდნელი ხვედრით გამოწვეული შიშის კვალობაზე. მე რომ მომკლან და ჩემიანები თეთრებს ჩაუვარდეთ ხელში,

საცოდავებს რა ეშველებათო. ერთობ რთული ფსიქოლოგიაა. მგონი მისი სახლეული ლტოლვილთა აღალით მოგვდევს და მალე დაგვეწევა. ენის არასაკმარისი ცოდნა ხელს მიშლის, როგორც წესი და რიგია, ყველაფერი ისე გამოვკითხო. ანგელიართან და კამენოდვორსკისთან გამოიკითხეთ, თუ შეიძლება. კარგი იქნებოდა, გაგვესინჯა.

– პალიხს ძალიან კარგად ვიცნობ. ანდა როგორ არ უნდა ვიცნობდე, ერთი დრო იყო, არმიის საბჭოზე ვკამათობდით. შავ-შავი კაცია, სასტიკი, დაბალშუბლიანი. არ ვიცი, რა სიკეთე ნახეთ მასში. ერთთავად უკიდურესი ზომების მომხრეა, აქაოდა, სიმკაცრე დავიცვათ, სიკვდილით დასჯას ნუ მოვერიდებითო. დასანახავად ვერ ვიტანდი. კარგი, მივხედავ.

7

ნათელი მზიანი დღე იყო. წინა კვირასავით წყნარი და მშრალი დარი იდგა.

ბანაკის სიღრმიდან ზღვის შორეული გუგუნივით აღწევდა ხალხის გნიასი. დროდადრო ისმოდა ტყეში მოხეტიალეთა ფეხის ხმა, გადაძახილ-გადმოძახილი, ნაჯახის კაკუნი, გრდემლის ზრიალი, ცხენების ჭიხვინი, ძაღლების წკავწკავი და მამლების ყივილი. ტყეში მზემოკიდებული, თეთრკბილა, მომღიმარი ხალხის ბრბოები ირეოდა. ზოგი იცნობდა ექიმს და თავს უკრავდა, სხვები კი, უცნობები, სალმის გარეშე მიდი მოდიოდნენ.

თუმცა პარტიზანებს არ უნდოდათ საზიდრებით უკან დადევნებული თავიანთი ოჯახების შემოერთებამდე ლისი ოტოკიდან აყრილიყვნენ, მაგრამ იმ საზიდრებს ბანაკიდან რამდენიმე გადასარბენიღა აშორებდათ და ბანაკშიც სწორედ ამიტომ იყო გაჩაღებული ბარგის სახელდახელო აკვრისა და აღმოსავლეთისაკენ გადაადგილების სამზადისი. ყველანი ფუსფუსებდნენ, თავ-თავიანთ საქმეებს უკირკიტებდნენ, ასუფთავებდნენ, ყუთებს აჭედებდნენ, საზიდრებს ითვლიდნენ და ამოწმებდნენ.

ტყის შუაგულში დიდი, გატკეპნილი განაკაფი იყო, ერთგვარი ყორღანი თუ ნაქალაქარი, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ბუივიშჩას ეძახდნენ. ჩვეულებისამებრ აქ საჯარისო კრებებს იწვევდნენ. იმ დღესაც თავყრილობა იყო დანიშნული რაღაც მნიშვნელოვანი ამბის გამოსაცხადებლად.

ტყეში ჯერ კიდევ სიმწვანე სჭარბობდა. დაბურულ უღრანებში ის ძველებურად ერთიანად ხასხასებდა. დასავლეთისკენ გადახრილი ნასამხრალის მზეც ზედ თავის სხივებს უხვად აფრქვევდა. ფოთლები მზის შუქს სიხარულით ეგებებოდნენ და ქვედა მხრიდან გამჭვირვალე ბოთლის სიმწვანით ელვარებდნენ.

ღია მდელოზე, თავისი არქივის ახლო, კავშირგაბმულობის უფროსი კამენოდვორსკი ხელში ჩავარდნილ კაპელელთა პოლკის კანცელარიის შემოწმებულ და უსარგებლო ქაღალდებსა და თავისი პარტიზანული ანგარიშგების ფურცლებს სწვავდა. კოცონის ალს მზე დაჰყურებდა. მისი სხივები, როგორც ტყის სიმწვანეში, გამჭვირვალე ალშიც აღწევდა. ცეცხლი არ ჩანდა და მხოლოდ ჰაერის აღმავალი გავარვარებული ნაკადით შეიძლებოდა იმის დადგენა, რომ რაღაც იწვოდა.

ტყეში აქა-იქ ნაირფრად ჩანდა მწიფე ნაყოფი: შავბალახას მოხდენილი შანები, დუნე შავწითელა ანწლი, ძახველის ჟოლოსფრად მბზინავი მტევნები. ჰაერში შუშის ფრთების ზრიალით ნელა დაცურავდნენ ტყესავით ჭრელი და ცეცხლივით გამჭვირვალე ნემსიყლაპიები.

იური ანდრეევიჩს ბავშვობიდანვე უყვარდა საღამოხანს ჩამავალი მზის გამჭოლი სხივებით დასერილი ტყის ყურება. ამგვარ წუთებში იგი თითქოს თავადაც ატარებდა სინათლის სვეტებს. თითქოს მის მკერდში უწყვეტ ნაკადად იჭრებოდა ცოცხალი სულის მადლი, მთელ მის არსებას ჰკვეთდა და ბეჭების ფრთებქვეშიდან გარეთ გადიოდა. ის ჭაბუკური პირველსახე, რომელიც იმთავითვე უყალიბდება თითოეულ ადამიანს და მერე მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვება, როგორც შინაგანი სახე,

არსი მისი პიროვნებისა, მთელი თავისი პირველყოფილი ძალით იღვიძებდა მასში და ბუნებას, ტყეს, დაისის სხივებს და ყოველივე თვალით ხილულს აიძულებდა ასეთივე პირველქმნილი და ყოვლისმომცველი ძალით გარდაქმნილიყო გოგონას სახედ. „ლარა!" – თვალებს ხუჭავდა და ჩურჩულით ან ოცნებებით ეხმიანებოდა იგი მთელ დედამიწას, მის წინაშე გადაშლილ სამყაროს, მზით გაცისკროვნებულ სივრცეს. თუმცა ცხოვრების ყოველდღიური ჭირ-ვარამი კვლავ გრძელდებოდა. რუსეთში იყო ოქტომბრის რევოლუცია, თავად კი პარტიზანთა ტყვეობაში იმყოფებოდა. ფიქრში წასული უნებურად კამენოდვორსკის კოცონს მიდგა.

– საქმისწარმოებას სპობთ? აქამდე არ დაგიწვავთ?

– აბა როდისღა? აქ იმდენია, დიდხანს ვერ მოვითავებ.

ექიმმა ჩექმის წვერი წაჰკრა და ერთ-ერთი გუნდა გააცალკევა. თეთრების სატელეგრაფო საშტაბო მიმოწერა იყო. თავში ბუნდოვნად გაუელვა, იქნებ ამ ქაღალდებში რანცევიჩის გვარს წავაწყდეო, მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდა. წინა წლების უინტერესო, დაშიფრული მონაცემების კრებული იყო. თითოეული ცნობა წარმოუდგენლად შეემოკლებინათ, თუნდაც ამ სახით: „ომსკი გენსახლუმაღლ პირველს ასლი ომსკი ოლქშტაბი ომსკის რუკა ორმოცი ვერსი ენისეისა არ მოსულა". მეორე გროვაც გაქექა. იქიდან პარტიზანთა ძველი კრებების ოქმები გამოფრიალდა. ზევიდან ერთი ქაღალდი ეგდო, რომელშიც ამოიკითხა: „ფრიად სასწრაფო. შვებულებების თაობაზე. სარევიზიო კომისიის წევრთა გადარჩევნები. მიმდინარე საკითხები. სოფელ იგნატოდვორცის მასწავლებლის ბრალდებათა დაუმტკიცებლობის გამო საარმიო საბჭო ვარაუდობს...

ამ დროს კამენოდვორსკიმ ჯიბიდან რაღაც ამოიღო, ექიმს მიაწოდა და უთხრა:

– აი, თქვენი სამედიცინო ნაწილის განრიგი ბანაკიდან გასვლის შემთხვევაში. პარტიზანთა ოჯახებით დატვირთული საზიდრები საცაა მოვლენ. ბანაკში წამოჭრილი უთანხმოებები დღეს მოგვარდება ჩვენი აყრა

ყოველ დღესაა მოსალოდნელი.

ექიმმა თვალი გადაავლო და სახტად დარჩა.

– ეს იმაზე ნაკლებია, რაც წინათ მომცეს. მას მერე რამდენი დაჭრილი მოგვემატა! ვისაც სიარული შეუძლია ან რაიმე აქვს შეხვეული, ფეხით წამოვლენ, მაგრამ ასეთები ზღვაში წვეთია. მძიმედ დაჭრილები რითიღა წავიყვანო? მედიკამენტებზე, საწოლებსა და მოწყობილობაზე ხომ აღარას ვამბობ!

– მეტი რა ჩარაა. ვითარებას უნდა შეეგუოთ. ახლა აი, რა მინდოდა მეთქვა. საერთო თხოვნაა თქვენთან. აქ ერთი ამხანაგია, გამოჯეჯგილი, შემოწმებული, საქმისათვის თავგანწირული და მშვენიერი მებრძოლი. რაღაც საშინელი ემართება.

– პალიხზე მეუბნებით? ლაიოშმა მითხრა.

– დიახ. შეუარეთ. გამოიკვლიეთ.

– რაღაც ფსიქიკურია, არა?

– ეგრე მგონია. სულ ვიღაც ლტოლვილებს ახსენებს. ეტყობა, მოჩვენებები აქვს. უძილობა სტანჯავს, თავის ტკივილები.

– კარგი. აღარ გადავდებ, ახლავე წავალ. თავისუფალი დრო მაქვს. კრება როდისღა იწყება?

– მგონი უკვე აპირებენ, მაგრამ რაში გაინტერესებთ? ხომ ხედავთ, არც მე წავედი. უჩვენოდაც იოლად გავლენ.

– მაშ თუ ეგრეა, პამფილთან წავალ. თუმცა ისე მეძინება, ფეხზე ძლივს ვდგავარ. ლივერი ავერკიევიჩს ღამღამობით უყვარს ფილოსოფოსობა, წუხელ დიდხანს არ დამაძინა. პამფილთან როგორ მივიდე?

სად ცხოვრობს?

– ყორიანი ორმოს იქით ახალაყრილი არყნალი იცით?

– ვიპოვი.

– იქ მინდორზე მეთაურთა კარვებია. ერთი მათგანი პამფილს დავუთმეთ. ოჯახს ელოდება. ცოლ-შვილი მოუდის აღალით. ჰოდა, ერთ-ერთ სამეთაურო კარავშია. ბატალიონის მეთაურის უფლებითაა, თავისი

რევოლუციური დამსახურების გამო.

8

პამფილთან მიმავალმა ექიმმა გზაში იგრძნო, რომ მუხლები ეკვეთებოდა. არაქათი აღარ ჰქონდა. რამდენიმე ღამე იყო, წესიერად არ სძინებოდა და თვლემა ერეოდა. შეეძლო უკან მიბრუნებულიყო და ბლინდაჟში თვალი მოეტყუებინა, მაგრამ იქ წასვლისა ეშინოდა. ყოველ წუთს შეიძლებოდა ლივერი მოსულიყო და ყველაფერი ჩაეშხამებინა.

ტყეში ერთ პაწია მდელოზე წამოწვა, რომელიც გარშემო მდგარი ხეებისაგან მოფარფატებული ოქროს ფოთლებით იყო მოფენილი. ირგვლივ ფოთლები ჯვარედინად, ხმლებივით ეყარა. მათ ოქროს ხალიჩაზე მზის სხივებიც ასევე ნებივრობდნენ. ეს ორმაგი, ჯვარედინი სიჭრელე კაცს თვალსა სჭრიდა. წვრილად დაბეჭდილი წიგნის კითხვასავით ან რაღაც ერთფეროვანი ბუტბუტის მსგავსად ისიც ძილის მომგვრელი იყო.

ექიმი აბრეშუმივით შრიალა ფოთლებზე იწვა და თავქვეშ ამოდებული ხელი ხავსმოდებული ფესვების ბალიშზე ედო. მყისვე ჩასთვლიმა. მზის ლაქების სიჭრელემ, რომელმაც ძილი გაუცხოველა, სხივებისა და ფოთლების ფერად საფარველში გაახვია და უჩინმაჩინის ქუდი დაჰხურა, მალე იმავე ძალამ, ეგრერიგად ტკბილად რომ მიაძინა, გამოაღვიძა. ასე ყოფილა: პირდაპირი მიზეზები მარტოოდენ თანაზომიერ საზღვრებში მოქმედებენ. ნორმისგან გადახრას უკუქმედება მოჰყვება ხოლმე. ცნობიერებას არ ეძინა, იგი ცარიელ სვლაზე განაგრძობდა მუშაობას. აზრის ნამუსრევები გრიგალივით მოჰქროდნენ და ბორბალივით ტრიალებდნენ თითქმის კაკუნით, გაფუჭებული მანქანასავით. ეს სულიერი აფორიაქება სტანჯავდა და მრისხანებით ავსებდა ექიმს. „დამთხვეული ლივერი”, – ბრაზობდა იგი. – „ის არა კმარა, რომ ახლა ქვეყნად ათასი მიზეზია ადამიანის შესაშლელად. ძალმომრეობით, თავს მოხვეული მეგობრობით და სულელური ლაქლაქით ჯანმრთელ ადამიანს ნევრასთენიკად აქცევს.

ერთხელაც იქნება, შემომაკვდება”.

ფერადოვანი ფარჩის ნაჭერივით გაიფრიალა მზეში მოყავისფრო-დაწინწკლულმა პეპელამ. ექიმმა ნამძინარევი მზერა გააყოლა. პეპელამ თავისივე შეფერილობის გარემო აირჩია, ნაძვის მოყავისფრო-დაწინწკლულ ქერქზე დაჯდა და სრულიად შეუმჩნევლად შეერია, შიგ ჩაიკარგა. ისიც ისევე ძნელად შესამჩნევი შეიქმნა გარეშე თვალისათვის, როგორც მზის შუქრჩდილიანი ფარდაგით დაფარული იური ანდრეევიჩი.

ჩვეული ფიქრები აეშალა. თავის სამედიცინო ნაშრომებში გაკვრით მათ ბევრჯერ შეხებია. ესენი გახლდათ მოსაზრებები ნებისყოფის და მიზანშეწონილობის, როგორც სრულყოფის გზაზე დამდგარი შეგუების შედეგის შესახებ, მიმიკრიის, მიმბაძველობითი და დამცველი შეფერილობის შესახებ, ყველაზე მეტად შეგუებულთა გადარჩენის თაობაზე, იმის თაობაზე, რომ, შესაძლოა, ბუნებრივი შერჩევით მიგნებული გზა ცნობიერების გამომუშავების და გაჩენის გზაა. რას წარმოადგენს სუბიექტი? რა არის ობიექტი? როგორ უნდა განისაზღვროს მათი იგივეობა!? ექიმის აზრით, დარვინი ეთანხმებოდა შელინგს, გაფრენილი პეპელა კი თანამედროვე მხატვრობას, იმპრესიონისტულ ხელოვნებას ეთანადებოდა. იგი ფიქრობდა ღვთიურ ქმნილებაზე და საცოდავ არსებაზე, შემოქმედებასა და ფარისევლობაზე.

ისევ ჩასთვლიმა და წუთის შემდეგ კვლავ გაიღვიძა. შორიახლო მოგუდულ ხმაზე ჩურჩულებდნენ და იმან გააღვიძა. რამდენიმე სიტყვით დაადგინა, რაღაც საიდუმლო, უკუღმართ საქმეზე საუბრობდნენ. აშკარა იყო, შეთქმულებმა ვერ შენიშნეს, მისი მეზობლობა ვერ შეამჩნიეს. საკმარისი იყო, ოდნავ გაეფაჩუნებინა, თავი გაეცა და ეს გაუფრთხილებლობა სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა. იური ანდრეევიჩმა იყუჩა, სული განაბა და ყური მიუგდო.

ზოგიერთის ხმა ეცნაურა. პარტიზანობას მიტმასნილი ნაძირალა ლაწირაკები – სანკა პაფნუტკინი, გოშკა რიაბიხი, კოსკა ნეხვალენიხი და

მათ ფეხის ხმას აყოლილი ტერენტი გალუზინი იყვნენ, ყოველგვარი სიმდაბლისა და სიდამპლის უსტაბაშები. იქვე იყო ზახარ გორაზდიხიც, უფრო შავბნელი პიროვნება, არყის მხდელთა თანამზრახველი, რომელმაც არყის მხდელთა მოთავეები გასცა და ამის გამო პასუხიც აღარ აგებინეს. იური ანდრეევიჩი მათ შორის „ვერცხლის ასეულის" პარტიზანის, მეთაურის ერთ-ერთი პირადი მცველის სივობლუის ყოფნამ გააოცა. რაზინისა და პუგაჩოვის წაბაძულობით და ლივერისთან სიახლოვის გამო მას ატამანის ყურს უწოდებდნენ. ახლა კი ისიც შეთქმულების მონაწილედ ქცეულიყო.

შეთქმულები მტრისგან მოგზავნილ მეწინავე ცხენოსანი პატრულის წევრებს უთანხმდებოდნენ. მსტოვარნი ისე ხმადაბლა ჩურჩულებდნენ, მათი ხმა სულ არ ისმოდა და იური ანდრეევიჩი მხოლოდ მოღალატეთა საუბრის შემდეგ ჩამოწოლილ სიჩუმეში ხვდებოდა, რომ მოწინააღმდეგის წარმომადგენლები საუბრობდნენ.

სხვებზე მეტს ხმაჩახლეჩილი ლოთბაზარა ზახარ გორაზდიხი ლაპარაკობდა, თან წარამარა იგინებოდა. ეტყობოდა, ჭირის ამტეხი სწორედ ის იყო.

– ეხლა, თქვენი ასე და ისე, ყური მიგდეთ. მთავარია, – ჩუმად, ლაილაის გარეშე ავწიოთ. ვისაც შეეშინდება ან გულში ნაბიჭვრობას ჩაიდებს, ამ ბებუთს ხედამთ? ამით ნაწლავებს დავაყრეინებ. გაიგეთ? ეხლა ვეღარც აქეთ წავალთ, ვეღარც იქით, სულ ერთია, ბოძი და საბელი არ აგვცდება. პატიება უნდა მოვიპოვოთ. ისეთი რამე უნდა გავაიმასქნათ, მთელ დუნიაზე არავის ენახოს. ისინი ამას ცოცხალსა გვთხოვენ, გაკოჭილსა. ეხლა ხო გესმით, ამ ტყეებს იმათი ასისთავი გულევოი უახლოვდება. (გაუსწორეს, როგორ უნდა წარმოეთქვა სწორად, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაიგო, და ვითომ შეცდომა გამოასწორა: „გენერალი გალეევი"). ესეთი რამე მეორეთ აღარ იქნება. აი იმათი დელეგატები. ესენი ყველაფერს მოგვაჩვენებენ. ესენი ამბობენ, აუცილებლათ ცოცხალი გვინდაო, გაკოჭილიო. თავისას თითონ იტყვიან. მოდი, თქვი. უთხარი

ამათ რამე, ჯიგარო.

საუბარი უცხოებმა, მოგზავნილებმა განაგრძეს. იური ანდრეევიჩმა ვერც ერთ სიტყვას ვერ მოჰკრა ყური. სიჩუმის ხანგრძლივობით შეიძლებოდა იმის დადგენა, რომ საფუძვლიანად თათბირობდნენ. მერე კვლავ გორაზდიხი ალაპარაკდა.

– გაიგეთ, ბიჭებო? ხო ხედამთ, რა ოქრო ჩაგვიგდია ხელში. მითომ მაგ ფულათ ღირს? ეგაც კაცია რაღა! რაღაცნაირი გაფუჭებული ვინმეა, ან შტერია და ან ბერი. მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა ღრეჭა, ტერეშკა! რას იჭყანები, შე ნაბიჭვარო? შენი სასაცილო ვარ ეხლა მე? ხო. თითქოს ბავშვობიდანვე ბერი ყოფილაო. მაგას თუ ყური უგდე, ბოლოს და ბოლოს ან ბერად გაქცევს, ან დაგკოდავს. მერე რეებსა ჩმახავს, აღარ იტყვი? ძირს ფინთი სიტყვებიო, ვებრძოლოთ ლოთობასაო, ქალთან იმნაირ ამბებსაო. მერე? იქნება ეგეთი ცხოვრება? ბოლო სიტყვა ესეთია. დღეს საღამოს, მდინარეზე გადასასვლელი ქვები როა, იქ გამოვიტყუებ. ერთად მივესევით. რა დიდი ამბავი იმას უნდა? ერთი გადაფურთხებაა, მორჩა და გათავდა. თანაც ხო იცით. ცოცხლათ უნდათ. შევბოჭოთ. თუ ვნახამ, არ გამოდის, ერთსაც ვდრუზამ ჩემებურათ. ესენიც თავისებს გამოგვიგზავნიან, დაგვეხმარებიან.

იგი კვლავ განაგრძობდა შეთქმულების გეგმაზე ლაპარაკს, მაგრამ სხვებთან ერთად იქაურობას შორდებოდა და ექიმსაც მისი ნაუბარი აღარ ესმოდა.

„ამას ხომ ლივერის უპირებენ არამზადები!” – ფიქრობდა შეძრწუნებული იური ანდრეევიჩი და ის კი ავიწყდებოდა, რამდენჯერ დაუწყევლია თავისი მტანჯველი, რამდენჯერ უნატრია მისი სიკვდილი. – „ეს გარეწრები მოკვლას ან თეთრებისათვის გადაცემას უპირებენ. როგორ ჩავუშალო ჩანაფიქრი? კოცონთან მივალ, ვითომ შემთხვევით, არავის დავასახელებ და ისე შევატყობინებ კამენოდვორსკის. მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე ლივერიც უნდა გავაფრთხილო”.

კამენოდვორსკი ძველ ადგილზე აღარ აღმოჩნდა. კოცონის ცეცხლი

მინავლულიყო. მას ახლა კამენოდვორსკის თანაშემწე მეთვალყურეობდა.

თავდასხმა კი მაინც ჩაიშალა. იგი აღკვეთეს. როგორც გაირკვა, შეთქმულების ამბავი იცოდნენ. იმავე დღეს ყველაფერი გამჟღავნდა და შეთქმულები შეიპყრეს. სივობლუი მაძებარიც აღმოჩნდა და წამქებებელიც. ექიმს იქაურობა უფრო მეტად შესძაგდა.

9

ხმა დაირხა, გამოქცეული ქალები და ბავშვები ორიოდე დღის სავალზეღა არიანო. ლისი ოტოკში სახლეულებთან შესახვედრად და ამის შემდეგ დანიშნული ბანაკის აყრისა და გამგზავრებისათვის ემზადებოდნენ. იური ანდრეევიჩმა პამფილ პალიხისაკენ გასწია.

ექიმმა იგი კარვის შესასვლელთან ნახა ნაჯახმომარჯვებული. კარვის წინ ლატანებად დაჭრილი ნორჩი არყის ხეების გვარიანი გორა იყო აღმართული. პამფილს ისინი ჯერ არ დაეთალა. ზოგი იქვე დაეჭრა და მთელი სიმძიმით დაცემისას ისინი წამტვრეული ნუჟრებით ნოტიო მიწაში იყვნენ ჩასობილი. დანარჩენები ახლომახლო ადგილებიდან ნალოდ მოეთრია და ზევიდან დაეწყო. მოქნილ, გადრეკილ ტოტებზე მიწოლილი არყის ხეებიც ცახცახებდნენ, ირხეოდნენ და ღეროებით არც მიწას ეხებოდნენ, არც ერთმანეთს. ისინი თითქოს ხელებით იშორებდნენ თავიდან მათ მომჭრელ პამფილს და კარვის შესასვლელს ცოცხალი სიმწვანის მთელი ტყით უღობავდნენ.

– ძვირფასი სტუმრების მოლოდინში ვარ, – აუხსნა პამფილმა. – ცოლისთვის, ბავშვებისთვის კარავი დაბალი იქნება. თანაც ავდარში წყალი ჩამოდის. სარები მინდა შევუდგა. ჰოდა, დავჭერი.

– ტყუილია ეგ, პამფილ, ოჯახს კარავში არ ჩაგისახლებენ, აბა სად გინახავს, გარეშე ხალხი, ქალები და ბავშვები შიგ შუა ჯარში ჩააყენონ?

ალბათ იმათ სადმე განზე, აღალზე დააბინავებენ. თავისუფალ დროს მიდი და ინახულე, ნება შენია. სამხედრო კარავში კი რაღაც არა მგონია. თუმცა საქმე ამაში როდია. შენზე ამბობენ გახდაო, არცა ჭამს, არცა სვამს, აღარცა სძინავსო. რაღაც არ გეტყობა, კარგ ჯანზე ჩანხარ. ეგ არის, ცოტა წვერი წამოგზრდია.

პამფილ პალიხი ბრგე კაცი იყო. შავად აბურძგნული თმა-წვერი და კოპებიანი შუბლი ჰქონდა, რომელიც შესქელებული შუბლის ძვლის გამო ორმაგად მოუჩანდა, თითქოს საფეთქლების გარშემო სპილენძის სალტე შემოუჭერიათო. ყოველივე ეს პამფილს ქვეშ-ქვეშ მომზირალი ქვეგამხედვარის ავბედით იერს აძლევდა.

რევოლუციის დასაწყისში, როცა ცხრაას ხუთი წლის მაგალითზე შიშობდნენ, ვაითუ ესეც ხანმოკლე მოვლენა გამოდგეს განათლებული ზედაფენის ისტორიაში, ღრმა ძირებს კი არ შეეხოს, მათში ვერ განმტკიცდესო, ყოველი ღონით ცდილობდნენ ხალხისათვის ყურები პროპაგანდით გაეჭედათ, რევოლუციური თესლი დაეთესათ, დიდ-პატარა აეღელვებინათ, აეყაყანებინათ და გაეცოფებინათ.

იმ პირველ დღეებში ისეთი ადამიანები, როგორიც ჯარისკაცი პამფილ პალიხი იყო, ყოველგვარი აგიტაციის გარეშეც უსასტიკესი ზიზღით იყვნენ განმსჭვალულნი ინტელიგენტების, ბატონების და ოფიცრობის მიმართ. აღფრთოვანებული მემარცხენე ინტელიგენტებისათვის ისინი იშვიათი მონაპოვარნი იყვნენ და არაჩვეულებრივი მაზანდა ჰქონდათ. მათ არაადამიანობას კლასობრივი შეგნებულობის სასწაულად ასაღებდნენ, ბარბაროსობას – პროლეტარული სიმტკიცისა და რევოლუციური ინსტინქტის ნიმუშად. პამფილიც ამგვარი დიდებით იყო გარემოსილი, პარტიზანთა მოთავეები და პარტიული მეთაურები მას ხელისგულზე ატარებდნენ და ცივ ნიავს არ აკარებდნენ.

ეს პირქუში და გულჩათხრობილი კამეჩი იური ანდრეევიჩს იმთავითვე შექანებულ, გადაგვარებულ ხეპრედ მიაჩნდა მისი საერთო უსულგულობის და იმ საქმეში გამოჩენილი სიჩლუნგისა თუ არარაობის გამო,

რაც თვით ექიმის სულსა და გულს ეგრერიგად ესალბუნებოდა, რითაც ცოცხლობდა.

– შემო კარავში, – შეიპატიჟა პამფილმა.

– არა, რა საჭიროა. ვერც შემოვეტევი. ჰაერზე აჯობებს.

– კარგი, როგორც გინდოდეს, მართლაც სოროა. თუ ლაყბობაა, ამ ნაჩეხზეც შეიძლება (ასე უწოდა გრძივად დაყრილ ხეებს).

ზამბარასავით მოქანავე არყის ხეებზე ჩამოსხდნენ.

– ეგრე იტყვიან, ზღაპარი ითქმება ნაჩქარევად, თორემ საქმეს თავისი ასავალ-დასავალი აქვსო. მაგრამ ჰაიჰარაზე ჩემი ზღაპარიც არ ითქმება. სამი წელიწადი რო ვილაპარაკო, სათქმელს მაინც ვერ ავუთავდები. არც კი ვიცი, საიდან დავიწყო.

იქნებ ასე იყოს. ვცხოვრობდით მე და ჩემი დედაკაცი. ჯეელები ვიყავით. ოჯახში ისა ტრიალებდა. მეც ჩემებურად ვირჯებოდი, გლეხურ საქმეს ვუძღვებოდი. ბავშვები გავაჩინეთ. ჯარში წამიყვანეს. მერე ომშიც გამაგდეს. ომი ომია. აბა რა უნდა გითხრა, შენ თითონ გამოვლილი გაქვს, ამხანაგო სამხედრო სამედიცინო ექიმო. მერე რევოლუციამაც მოგვისწრო. ცოტა გამოვიჩენჩე. ჯარისკაცს თვალები ამეხილა. ის კი არ არის მტერი, რომელიც გერმანელია, არამედ ჩვენიანებში, შიგნით უნდა ვეძებოთ. მსოფლიო რევოლუციის ჯარისკაცებო, ხიშტები მიწაში ჩაარჭეთ, ფრონტიდან შინისკენ იბრუნეთ პირი, დასცხეთ ბურჟუებს! და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი შენ თითონ იცი, ამხანაგო სამხედრო სამედიცინო ექიმო. ასე და ამგვარად, სამოქალაქო ომია. შევერიე პარტიზანებს. ეხლა ბლომად გამოვტოვებ, თორემ თუ გუდას პირი ავხსენი, ვეღარ გავათავებ. ეხლა რა, როგორაა საქმე, რას ვხედავ მიმდინარე მომენტში? იმან, იმ პარაზიტმა, რუსეთის ფრონტიდან სტავროპოლის პირველი და მეორე მოხსნა და ორენბურგის კაზაკების პირველიცა. განა თუ პატარა ვარ და ვერა ვხედავ? განა თუ ჯარში არ მიმსახურია? ფინთათაა ჩვენი საქმე, სამხედრო ექიმო, ჩვენი საქმე გაჭედილშია. იმ გამჩენძაღლს რაღა უნდა?

უნდა რო მთელი ის ნაგავი ჩვენ მოგვაყაროს. უნდა, რო ალყაში მოგვიქ-ციოს.

ახლა მე ცოლი მეყოლება აქა, ბავშვები. თუ მოგვერია, სად გაექცევი-ან? განა თუ იფიქრებს, ამათ არაფერი დაუშავებიათ, რათ უნდა ვერჩო-ლოო. ამაზე თავს აღარ გაიცხელებს. ჩემი გულისთვინა ჩემ ცოლსა ხე-ლებს გადაუგრიხავენ, ჩემი გულისთვინა ცოლსა და ბავშვებს დამიტან-ჯავენ, ზედ სახსრებში გადაუმტვრევენ, ძვლებს არ შეარჩენენ. აჰა, ესეც შენა, იყავი აქა და ჭამე არხეინათა. ქვისაც რო იყო კაცი, მაინც გული დარდით აგევსება, შეიშლები.

– უცნაური კაცი ხარ, პამფილ. შენი არ მესმის. წლები ისე გავიდა, უიმათოდ იოლად გადიოდი, იმათი არაფერი იცოდი და სძლებდი, არა-ფერი მოგდიოდა. ახლა კი დღეს-ხვალ უნდა ნახო და იმის ნაცვლად, გა-გიხარდეს, ცხვირი ჩამოგიშვია, პანაშვიდებს მართავ.

– ადრე სხვა იყო და ეხლა სხვაა. დიდი სხვაობაა. გვჯაბნის ის თეთ-რსამხრეებიანი გველეშაპი. ჩემ თავზე არა ვდარდობ. ვიცი, სიკვდილი არ ამცდება, როგორც ვატყობ, გზაც იქით მქონია, მაგრამ ჩემ ძვირფასებსა იმ ქვეყანას ხო არ წავიყვან? იმ დამპალს ჩაუვარდებიან თათებში. ის ხო სუ წვეთ-წვეთ გამოადენს სისხლებსა.

– მორბენლებიც აქედანაა? რაღაც მორბენლები ეჩვენებაო, მითხრეს.

– კარგი, ექიმო. ყველაფერი არ მითქვამს. მთავარი არ გითხარი. მაშ კარგი, ყური უგდე ჩემ მართალ ამბავსა. ოღონდ არ გამამტყუნო, ყველა-ფერს გეტყვი დაუფარავათა.

ბევრი შენნაირი გავამგზავრე იმ ქვეყანას, ბევრი ბატონისა და ოფიც-რის სისხლი მადევს კისრათა, მაგრამ წარბიც არ შემიხრია. არც სახელე-ბი ვიცი იმათი და არც საფლავები, წყალივით მოდიოდა და მიდიოდა. ერთი კი თავიდან არ ამომდის, ერთი ისეთი მოვკალი, ვერ ვივიწყებ. არა და ნეტა რათ მოვკალი ის ბიჭი? გამაცინა იმანა, სიცილით მომკლა. მეც ავდექი და სიცილ-სიცილში მივახვრიტე. ისე, გიჟურათა, არაფრის გუ-ლისთვინა.

თებერვლისაში იყო ესა, კერენსკის დროსა. ავჯანყდით მაშინ. ერთი ბალღი გამოგვიგზავნეს, აგიტარი, ლაყბობით უნდოდა შეტევაზე გადავეყვანეთ, გამარჯვებამდე რო გვეომნა. მოვიდა ერთი პატარა კადეტუნა, ბალღური რატარუტით რო დავეწყნარებინეთ. ნაღინკალა ბიჭი იყო. ერთი ლოზუნგი ჰქონდა ამოჩემებული, გამარჯვებამდე ვიომოთო. იმ ლოზუნგის ანაბარა შეხტა ერთ სადგურში სახანძრო კასრზე. შედგა იმ კასრზე, რო იქიდან საომრათ მოგვიწოდოს. ერთბაშათ ფეხქვეშ სახურავი დაუყირავდა და წყალში ტყაპანი მოადინა. თავდაყირა ჩავარდა შიგა. ოჰ, რა ვიცინეთ! მიწაზე გავგორდი სიცილისგანა. მეგონა, გავსკდებიმეთქი, უჰ, რა იყო! ხელში კი თოფი მიჭირავს. ვიცინი, ვიცინი, ვიჭაჭები, ის კი ისევ იქ არის. თითქოს მიღიტინებდა. რაღას ვიზამდი, ნიშანში ამოვიღე და ბახ, ადგილზევე. მე თითონ არ მახსოვს, როგორ მოხდა. თითქოს ვიღაცამ ხელი მკრაო.

– ქალაქ მელიუზეევში იყო ეგა, სადგურ ბირუჩიში?

– დამავიწყდა.

– ზიბუშინოს მცხოვრებლებთან ერთად აჯანყდით?

– დამავიწყდა.

– რომელი ფრონტი იყო? რომელ ფრონტზე მოხდა? დასავლეთის ფრონტზე?

– მგონი დასავლეთისა იყო. ყველაფერი შეიძლება. დამავიწყდა.

ნაწილი მეთორმეტე

ცირცელი შაქარში

1

კარგა ხანი იყო, პარტიზანთა ოჯახები ბავშვებითა და ბარგი-ბარხანით დატვირთული საზიდრებით საერთო ჯარს მიჰყვებოდნენ. ლტოლვილთა აღალის კუდში, ყველაზე უკან, საქონლის ურიცხვ ჯოგებს მიერეკებოდნენ. მეტწილად ნახირი იყო, რამდენიმე ათასი სული.

პარტიზანების ცოლების გარდა ბანაკს კიდევ ერთი ქალი შემოემატა, სახელად ზლიდარიხა თუ კუბარიხა. იგი მეომარიც იყო და პირუტყვის მკურნალი ვეტერინარიც, თანაც ჩუმ-ჩუმად მკითხაობდა კიდეც.

ქუდი გვერდზე ეხურა, ტანზე შოტლანდიური სამეფო მსროლელის მაზარა ეცვა, რომელსაც ინგლისის მთავრობა ციმბირის უმაღლეს მმართველს, კოლჩაკს უგზავნიდა ჯარის შესამოსავად, და ირწმუნებოდა, ეს ყველაფერი ტუსაღის ხალათიდან და ჩაჩიდან შევიკერე, ასე და ასე იყო საქმე, წითლებმა კეჟემის ცენტრალური ციხიდან გამათავისუფლესო, თუმცა კაცმა არ იცოდა, რაში დასჭირდა კოლჩაკს მისი ციხეში ჩასმა.

იმხანად პარტიზანები ახალ ადგილზე იდგნენ. გადაწყვეტილი ჰქონდათ, მცირე ხნით შეჩერებულიყვნენ, ვიდრე იმ მიდამოებს დაზვერავდნენ და უფრო ხანგრძლივი და საიმედო გამოზამთრებისათვის ხელსაყრელ ადგილს შეარჩევდნენ. მაგრამ შემდგომში საქმე სხვაგვარად შეტრიალდა და პარტიზანები იძულებულნი გახდნენ იქვე გამოეზამთრებინათ. ახალი სადგომი ცოტა ხნის წინათ დატოვებულ ლისი ოტოკს არაფრით ჰგავდა. აქ დაბურული, გაუვალი უღრანი ტყე იყო. ერთ მხარეს, გზისა და ბანაკის გადაღმა, იგი უკიდეგანოდ იყო გადაშლილი. პირველ დღეებში, სანამ ლაშქარი ახალ ბანაკს აწყობდა და საცხოვრებლად ემზადებოდა, იური ანდრეევიჩს მეტი დრო ჰქონდა. იქაურობა ყურადღებით მოათვალიერა, გარემო რამდენიმე მიმართულებით დაზვერა და დარწმუნდა, თუ რა ადვილი იყო იქ გზა-კვალის დაკარგვა. ამ პირველივე შემოვლისას მისი ყურადღება ყველაზე მეტად ორმა კუთხემ მიიპყრო.

ბანაკის გამოსასვლელში, ტყის პირას, რომელიც ახლა შემოდგომის

კვალობაზე შემოძარცულიყო და თავისუფლად ილანდებოდა, თითქოს მის სიცარიელეში კარი გაუჭრიათო, ეულად მდგარი, თვალად ტურფა, ჟანგისფრად მოელვარე ცირცელი იზრდებოდა. იგი ერთადერთი იყო ირგვლივ ტანაშოლტილ ხეებში, ფოთოლი რომ შერჩენოდა. მაღლობზე იდგა, ჭაობიანი ბელტნარის თავზე და მაღლა, ზამთრის პირის ტყვიისფერი, ავდრიანი ცისკენ იწვდიდა თავის ბრტყლად გაშლილ, წითლად მოელვარე კენკრის ნაყოფს. ყინვიანი ალიონივით ლამაზფრთიანი ზამთრის ჩიტუნები, გულწითელები და წიწკანები, ცირცელზე სხდებოდნენ, ნება-ხება, შერჩევით კენკავდნენ მსხვილ კენკრას, თავებს მაღლა სწევდნენ, კისრებს იგრძელებდნენ და ძლივსძლივობით ყლაპავდნენ ნაყოფს.

რაღაც საოცარი, ცხოველმყოფელი სიახლოვე სუფევდა ჩიტებსა და ხეს შორის. თითქოს ცირცელი ყველაფერს ხედავდა, დიდხანს ჯიუტობდა, მერე კი ჩიტები ეცოდებოდა, ნებდებოდა, უთმობდა, ღილ-კილოებს იხსნიდა და ძუძუს აწოვებდა, როგორც დედა ჩვილს. „აბა, რა გიყოთ, განაღა თქვენთან კაციშვილი გააწყობს რამეს? აჰა, იგემეთ, მიირთვით და დაპურდითო". და კისკისებდა.

ამ ადგილს არც მეორე ჩამორჩებოდა.

ისიც ტყეში იყო, მაღლობზე. ერთი მხრიდან ეს მაღლობი ციცაბოდ ეშვებოდა. კაცი იფიქრებდა, ქვევით, ფრიალო კალთის ძირში, სხვა რამ იქნება, ზედა ნაწილისაგან განსხვავებული, – მდინარე, ხევი ან ყრუ, აბალახებული მდელოო, მაგრამ ქვევითაც იგივე იყო, რაც ზევით, თუმცა თავბრუდამხვევ სიღრმეში იყო ყოველივე ჩაკარგული, სულ სხვა, თვალშეუდგამი ხეების ქვევით, დაბლა ჩავარდნილ ტაფობზე. ეტყობოდა, ნამზღვლევი მიწით იყო გაჩენილი.

თითქოს ამ მკაცრ, ღრუბლებს დაწეულ, გოლიათურ ტყეს როგორღაც ფეხი დასხლტომია, როგორც ყოფილა, ეგრევე უფსკრულში გადაჩეხილა, ქვესკნელს ჩაჩუმქრულა, მაგრამ უკანასკნელ წამს სასწაულებრივად გადარჩენილა, სადღაც ქვესკნელში უვნებლად ჩარჩენილა და იქ ხმაურობსო.

მაგრამ ტყიანი მაღლობი უფრო სხვა რამით განირჩეოდა. მის კიდეებზე გადმოკიდებული, ყირაზე მდგარი გრანიტის ლოდები იყო შემორიგებული. ისინი უხსოვარი დროის დოლმენების[99] ბრტყლად გათლილ ფილებს მიაგავდნენ. როდესაც იური ანდრეევიჩი პირველად მოხვდა ამ მოედანზე, მზად იყო დაეფიცნა, რომ ქვებით მოფენილი ეს ადგილი ბუნებრივი წარმოშობისა სულაც არ იყო და ადამიანის მარჯვენის კვალს ატარებდა შესაძლოა, უძველეს დროში აქ უცნობ წარმართთა კერპების საუფლო, სალოცავი და მსხვერპლის შესაწირავი ადგილი ყოფილიყო. ერთ ცივ, ღრუბლიან დილით სწორედ ამ ადგილზე აღასრულეს შეთქმულების თერთმეტი აქტივისტისა და ორი არყის მხდელი სანიტრის სასიკვდილო განაჩენი.

ისინი აქ რევოლუციისათვის ყველაზე მეტად თავგამოდებულმა ოცმა პარტიზანმა მორეკა, რომელთა ბირთვს შტაბის საგანგებო დაცვა წარმოადგენდა. მებადრაგენი მსჯავრდებულებს გარს ნახევარწრედ შემოერტყნენ, შაშხანები მოიმარჯვეს, სწრაფი ნაბიჯით მიიმწყვდიეს და მოედნის კლდოვან კუთხეში შექენცეს, საიდანაც გამოსავალი აღარსაით ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ უფსკრულში თავით გადაშვებულიყვნენ.

დაკითხვებს, ხანგრძლივ პატიმრობას და გადატანილ დამცირებებს მათთვის ადამიანური სახე საბოლოოდ დაეკარგვინებინა. დაძაბუნებულთ და ჩაშავებულ-ჩაჟამებულთ თმა-წვერი აბურძგნოდათ და შემზარავი ლანდებივით დალასლასებდნენ.

იარაღი გამოძიების დაწყებისთანავე აჰყარეს. არავის მოსვლია აზრად დასჯის წინ კიდევ ერთხელ შეემოწმებინათ. მოახლოებული სიკვდილის წინ ეს ყოველივე მეტისმეტ სიმდაბლედ და მკრეხელობად ეჩვენებოდათ.

უეცრად ვდოვიჩენკოს გვერდით მიმავალმა მისმა მეგობარმა და ისე-

[99] ოთხკუთხედი ლოდებით შემოსაზღვრული და ფიქლებით გადახურული ძველი სამარხი.

თივე ძველმა იდეურმა ანარქისტმა რჟანიცკიმ ბრაუნინგი იძრო, სივობ-ლუის დაუმიზნა და მებადრაგეთა მიმართულებით სამჯერ ისროლა. რჟანიცკი ჩინებული მსროლელი იყო, მაგრამ ახლა მღელვარებისაგან ხელი უცახცახებდა და ააცდინა. ყოფილ ამხანაგთა მიმართ ისევ იმ თა-ვაზიანობამ და სიბრალულმა ნება არ მისცა ყარაულს დაუყოვნებლივ შური ეძია და ამ უეცარი გამოხდომისათვის ბრძანების მიღებამდე ნაად-რევი ბათქით ეპასუხნა. რჟანიცკის კიდევ სამი ტყვია ჰქონდა, მაგრამ აღ-გზნებულს იქნებ იმათი არსებობა გადაავიწყდა, მარცხისაგან განაწყენე-ბულმა ბრაუნინგი ლოდებს მიანარცხა. ბრაუნინგი მეოთხედ გავარდა და მსჯავრდებული პაჩკოლია ფეხში დაჭრა.

სანიტარმა პაჩკოლიამ ერთი შეჰბღავლა, ფეხში იტაცა ხელი, მიწაზე დაეცა და ტკივილისაგან კივილი მორთო. მასთან ახლო მყოფმა პაფნუტ-კინმა და გორაზდიხმა წამოაყენეს. რაკი თავი აღარავის ახსოვდა, არეუ-ლობაში ამხანაგებს ზედ რომ არ გადაევლოთ და ფეხქვეშ არ გაეთელათ, ხელი სტაცეს და აითრიეს. პაჩკოლიას დაჭრილ ფეხზე დგომა აღარ შე-ეძლო იგი კოჭლობდა და ასკინკილით მილაყუნობდა ქვიანი კიდისაკენ, საითაც სიკვდილმისჯილებს აწვებოდნენ, თან შეუჩერებლივ მოსთქვამ-და. მისი არაადამიანური გოდება გადამდები იყო. თითქოს ნიშანს ელოდნენო, ყველანი მოეშვნენ, ნებისყოფა დაჰკარგეს. წარმოუდგენელი ამბავი დატრიალდა. ლანძღვა-გინება, ხვეწნა-მუდარა, წყევლა. კრულვა ერთმანეთში აირია.

უმწიფარმა გალუზინმა თავიდან რეალისტის ყვითელბოლიანი ქუდი მოიგლიჯა, რომელსაც ჯერ კიდევ ატარებდა, მუხლებზე დაეცა და ასე ფორთხვა-ფორთხვით გაემართა ბრბოში იმ საშინელი ლოდებისაკენ, იგი ხშირ-ხშირად მიწამდე უკრავდა თავს მებადრაგეებს, ზლუქუნებდა და სანახევროდ გონებადახშული წამღერებით ეეედრებოდა:

– ვტყუივარ, ძმებო, შემიბრალეთ, მეტს აღარ ვიზამ. არ დამღუპოთ, ნუ მომკლავთ. ჯერ არაფერი მიცხოვრია, სიკვდილისათვის ახალგაზრდა ვარ. ჯერ კიდევ უნდა ვიცოცხლო, დედიკო, ჩემი დედიკო ერთხელ კიდევ

უნდა ვნახო. მაპატიეთ, ძმებო, შემიბრალეთ. ფეხებს დაგიკოცნით. წყალს გიზიდავთ. ვაიმე, ღმერთო, ღმერთო, – დავიღუპე, დედიკო, დედიკო.

შუაგულიდან ვიღაც მოსთქვამდა, თვალად კი არ ჩანდა:

– საყვარელო ამხანაგებო, კარგებო! რასა ჰგავს თქვენი საქციელი? გონს მოდით. ორ ომში ერთად სისხლი დაგვიღვრია. ერთ საქმეზე ვიდექით, ვიბრძოდით. ქენით სიკეთე, გაგვიშვით. თუ არ გაგვწირავთ, საუკუნოდ არ დაგივიწყებთ, ღვთისნიერებას დაგიფასებთ. საქმით დაგიმტკიცებთ. რაო, დაყრუვდით, პასუხს რომ არ მცემთ? ჯვრის მადლი აღარა გწამთ?!

სივობლუის უყვიროდნენ:

– უჰ, შე ქრისტეს გამყიდველო იუდავ! რომელი მოღალატეები ჩვენა გვნახე? შენ თვითონა ხარ სამგზის მოღალატე, შე ძაღლის გაგდებულო, შენა! წყეულიმც იყავ! ჯერ იყო და შენივე კანონიერი მეფე მოჰკალი, მერე ჩვენ გვეფიცებოდი ერთგულებას და გვიღალატე. ახლა ის შენი უწმინდური ლესნი პროშტნე, ვიდრე იმასაც მოინელებ. შენ ისეთი ხარ, მოინელებ.

ვდოვიჩენკოს საფლავის პირზეც კი წარბი არ შეუხრია. თავი ამაყად აეწია, ჭაღარა თმები ქარში უფრიალებდა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად, როგორც კომუნარი კომუნარს, რჟანიცკის ისე მიმართავდა:

– თავს ნუ იმცირებ, ბონიფაცი! მაინც ვერ მიაღწევს შენი ხმა მაგათ ყურამდე. ვერ გაიგებენ ეს ახალი ოპრიჩნიკები, ახალი საპყრობილის ჯალათები. მაგრამ სულით ნუ დაეცემი. ისტორია ყველაფერს გაარკვევს. შთამომავლობა სამარცხვინო ბოძზე გააკრავს კომისართმპყრობელობის ბურბონებს და მათ შავ საქმეებს. ჩვენ მსოფლიო რევოლუციის განთიადზე იდეისათვის წამებულებად ვიხოცებით. გაუმარჯოს სულის რევოლუციას! გაუმარჯოს მსოფლიო ანარქიას!

უხმო, მხოლოდ მსროლელთათვის გასაგებ ბრძანებაზე ოცმა თოფმა

იჭექა და სიკვდილმისჯილთა ნახევარი მოცელა, უმეტესობა – სასიკვდილოდ. დანარჩენები მეორე ზალპით მიაწვინეს. ყველაზე დიდხანს ერთი ბიჭი ფართხალებდა, ტერეშა გალუზინი, მაგრამ საბოლოოდ ისიც უძრავად გაიჭიმა და სამუდამოდ გაყუჩდა.

2

საზამთროდ სადგომის სხვა ადგილზე, აღმოსავლეთით გადატანის განზრახვაზე ხელი ერთბაშად არ აუღიათ. დიდი გზის იქით, ვიტისა და კეჟემის წყალგამყოფის გასწვრივ დაზვერვა და ძიება დიდხანს გრძელდებოდა. ლივერი ხშირად მიდიოდა ტაიგაში და ექიმს მარტო სტოვებდა. თუმცა სადმე გადაბარგებისათვის არც დრო იყო და აღარც ადგილი. პარტიზანებს ყველაზე დიდი შეჭირვების ხანა დაუდგათ. თავიანთი საბოლოო განადგურების წინ თეთრებმა გადაწყვიტეს, ტყის ლაშქრის რაზმებისათვის ერთხელ და სამუდამოდ მოეღოთ ბოლო და ყველა ფრონტის საერთო მოწადინებით გარს შემოერტყნენ. პარტიზანებს ყოველი მხრიდან ავიწროებდნენ. ალყის რადიუსი უფრო ნაკლები რომ ყოფილიყო, გარდაუვალი დაღუპვა უქადდათ, მაგრამ ძველებურად ისევ უნაპირო სივრცეები შველოდათ. ზამთრის პირი იყო და მოწინააღმდეგეს ძალა არ შესწევდა უკიდეგანო ტაიგის გაუვალ გზაზე ფლანგები შეევიწროებინა, გლეხთა ურდოები უფრო მჭიდრო ალყაში მოემწყვდია.

ასე იყო თუ ისე, ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობა შეუძლებელი შეიქმნა. რაღა თქმა უნდა, გადაადგილების რაიმე გეგმა რომ ყოფილიყო, გარკვეულ სამხედრო უპირატესობათა მოპოვების იმედით, შესაძლო იყო ალყა ბრძოლით გაერღვიათ და ახალ პოზიციაზე გასულიყვნენ.

მაგრამ ამგვარად შემუშავებული ჩანაფიქრი არ არსებობდა. ადამიანებს არაქათი აღარა ჰქონდათ. უმცროსმა მეთაურებმა თვითონაც ყურები ჩამოყარეს და ხელქვეითებზე ხომ არავითარი ზეგავლენა აღარ გააჩნდათ უფროსები კი ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ სამხედრო საბჭოზე

და ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებს აფრქვევდნენ. გამოსაზამთრებ-ლად სხვა ადგილის ძებნას როგორმე უნდა შელეოდნენ და დაკავებული ტევრის სიღრმეში გამაგრებულიყვნენ. ზამთრის ღრმა თოვლში თხილა-მურებით უხეიროდ მომარაგებული მოწინააღმდეგისათვის ამ ადგილებ-ში გავლა შეუძლებელი იქნებოდა. ისევ აქ უნდა მოეკალათნათ და სურ-სათი ბლომად მოემარაგებინათ.

პარტიზანთა მნე ბისურინი ფქვილისა და კარტოფილის ნაკლებობას უჩიოდა. საქონელი საკმარისად ჰყავდათ და, ბისურინის აზრით, ზამ-თარში საკვებად უმთავრესად ხორცი და რძე ექნებოდათ.

ისე, ვერც საზამთრო ტანისამოსით დაიკვეხნიდნენ. პარტიზანები სა-ნახევროდ შიშველ-ტიტველნი დაიარებოდნენ. ამის გამოისობით ბანაკ-ში ძაღლების სინსილა გაწყვიტეს. ჭონის ხელობის ოსტატები მათი ტყა-ვისაგან პარტიზანებს გარეთმიან ბეწვის ქურქებს უკერავდნენ. ექიმს ტვირთის გადასატან საშუალებებზე უარს ეუბნებოდნენ. საზიდრები ახ-ლა უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისთვის სჭირდებოდათ.

უკანასკნელ გადასასვლელზე საკაცეებზე მწოლი ყველაზე მძიმე ავადმყოფები ორმოც ვერსზე ხელით ატარეს.

წამლეულიდან იური ანდრეევიჩს მხოლოდ ქინაქინა, იოდი და გლა-უბერის მარილიღა შემორჩა. ოპერაციებისათვის და შესახვევად აუცი-ლებელი იოდიც კრისტალის სახითღა ეშოვებოდა. საჭირო იყო იგი სპირ-ტში გაეხსნათ. ახლა კი ინანეს, არყის წარმოება მთლიანად რატომ მოვ-სპეთო, მაგრამ წასულ საქმეს რაღა ეშველებოდა. ისევ ნაკლებად დამნა-შავე, თავის დროზე გამართლებული არყის მხდელები მოძებნეს და და-ავალეს, დამტვრეული სახდელები შეეკეთებინათ ან სულაც ახლები და-ემზადებინათ. მიტოვებული წარმოება სამკურნალო მიზნით ძველებუ-რად აამოქმედეს. ბანაკში ერთმანეთს ჩუმ-ჩუმად თვალს უკრავდნენ და ნიშნის მოგებით თავებს იქნევდნენ. კვლავ აღორძინდა ლოთიფოთობა, რაც მათ სადგომში უიმისოდაც ფეხმოკიდებულ რღვევას კიდევ უფრო აღრმავებდა.

არყის სიმაგრე თითქმის ას გრადუსამდე აიყვანეს. ასეთი სითხე ადვილად ხსნიდა კრისტალურ ნივთიერებას. უფრო მოგვიანებით, ზამთრის დასაწყისში, ქინაქინის ქერქზე დაყენებული ამგვარი არყით იური ანდრეევიჩი სიცივეების დადგომის გამო გახშირებულ მუცლის ტიფსაც მკურნალობდა.

3

იმ დღეებში ექიმი პამფილ პალიხს და მის ოჯახს გადაეყარა. მთელი გასული ზაფხულის განმავლობაში მისი ცოლ-შვილი ღია ცის ქვეშ, მტვრიან გზებზე დაეხეტებოდა. საცოდავები გადატანილი საშინელებებით დამფრთხალიყვნენ და კვლავაც საფრთხე ელანდებოდათ. ამდენ წანწალს მათზე წარუხოცელი კვალი დაეტოვებინა. პამფილის ცოლს და შვილებს, ბიჭს და ორ გოგონას მზეზე გახუნებული სელივით ღია ფერის თმები ჰქონდათ და შავ, აქერცლილ, მზემოკიდებულ სახეებზე კოპებდამსხდარი წარბების ქვეშიდან კუშტად იმზირებოდნენ. ბავშვები მეტისმეტად პატარები იყვნენ საიმისოდ, რომ გადატანილი ტანჯვა-ვაებიდან რაიმე ნიშანი შემორჩენოდათ, დედის სახიდან კი მწუხარებას და განსაცდელს სიცოცხლის ხალისი ერთიანად გადაერეცხა და მარტოოდენ ნაკვთების მშრალი სისწორე, ძაფად შეკრული ბაგეები და თავდაცვისთვის გამზადებული, წამების დაძაბული უძრაობაღა დაეტოვებინა.

პამფილს ყველანი ძალიან უყვარდა, ნამეტნავად პატარებზე იყო შეექანებული და ფხიანი ნაჯახის ფრთით ექიმისათვის განსაცვიფრებელი ოსტატობით უთლიდა ბავშვებს ერთიმეორეზე უკეთეს ხის სათამაშოებს – ბაჭიებს, დათუნიებს, მამლაყინწებს.

იმათი ჩამოსვლა და პამფილის გამხიარულება ერთი იყო. თვალდათვალ გახალისდა, მოიკეთა კიდეც. მაგრამ მალე ხმა დაირხა, რაკი ოჯახების ჩამოსვლამ ბანაკის გუნებაგანწყობილებაზე ცუდად იმოქმედა, პარ-

ტიზანებს უთუოდ გააცალკევებენ მათი ახლობლებისაგან, ბანაკს ზედმეტი ბარგისაგან გაათავისუფლებენ და ლტოლვილთა აღალს საკმარისი დაცვით სადმე მოშორებით დააყენებენო. სინამდვილეში საამისოდ უფრო მეტი მითქმა-მოთქმა იყო, ვიდრე სამზადისი. ექიმს ამგვარი ღონისძიების შესაძლებლობაც კი ეეჭვებოდა. პამფილს კი დარდი მოეძალა და წინანდელი „მორბენლებიც" კვლავ დაუბრუნდნენ.

4

ზამთრის დამდეგს რამდენიმე მიზეზის გამო ბანაკში კარგა ხნით დაისადგურა შეშფოთებამ, გაურკვევლობამ, ერთიმეორეზე საშიშარმა, ჩახლართულმა ვითარებამ და უცნაურმა შეუსაბამობებმა.

თეთრებმა თავიანთი განზრახვა შეასრულეს და აჯანყებულთა გარს შემოვლა დაამთავრეს. დასრულებულ ოპერაციას გენერლები ვიცინი, კვადრი და ბასალიგო მეთაურობდნენ. გენერლების სიმტკიცე და სისასტიკე ყველას პირზე ეკერა. მათი სახელის გაგონებაც კი თავზარს სცემდა ბანაკში მყოფ აჯანყებულთა ცოლებს და მოწინააღმდეგის ალყის იქით საკუთარ სოფლებში მცხოვრებ გლეხობას, რომელსაც მშობლიური ადგილები ჯერ არ მიეტოვებინა.

როგორც ითქვა, შეუძლებელი იყო იმ ხერხების გათვალისწინება, რაც მოწინააღმდეგის ალყას უფრო შეავიწროვებდა. თუმცა არც მტრული გარემოცვის სათვალავში ჩაუგდებლობა ივარგებდა. გარემოებათა წინაშე ქედის მოხრა მოწინააღმდეგეს მორალურად განამტკიცებდა. უნდა ცდილიყვნენ, რომ ეს ხაფანგი, თუნდაც იგი უვნებელი ყოფილიყო, სამხედრო ძალისა და ძლიერების საჩვენებლად მაინც გაერღვიათ. საამისოდ დიდძალი პარტიზანული ძალები გამოყვეს და ალყის დასავლეთ რკალთან მოუყარეს თავი. მრავალდღიანი გაცხარებული ბრძოლების შემდეგ პარტიზანებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე, იმ ადგილას მისი წრე გაარღვიეს და ზურგში მოექცნენ.

ამის შედეგად წარმოშობილი თავისუფალი სივრცის მეოხებით შესაძლებელი გახდა ტაიგაში აჯანყებულებთან დაკავშირება. მათთან შესაერთებლად გამოქცეულთა ახალ-ახალმა ბრბოებმა იხუვლეს. სოფლის მშვიდობიანი მოსახლეობის ეს ნაკადი მარტო პარტიზანთა პირდაპირი ნათესავებით არ ამოიწურებოდა. თეთრების დამსჯელი ღონისძიებებით დაშინებული მთელი ახლომახლო გლეხობა აიყარა, მშობლიური კერა მიატოვა და თანდათანობით მიაწყდა გლეხურ ტყის ლაშქარს, რომელშიც თავის დამცველს ხედავდა.

მაგრამ ბანაკში საკუთარ მუქთამჭამელებსაც ვეღარ აუდიოდნენ და ერთი სული ჰქონდათ, როგორმე თავიდან მოეშორებინათ, ახალ-ახალი უცხო ხალხის შეფარება ხომ არა და არ ეხატებოდათ გულზე. გამოქცეულებს გზაში ხვდებოდნენ, აჩერებდნენ და სხვა მხარეს, მდინარე ჩილიმკაზე, ჩილიმის განაკაფში მდებარე წისქვილისაკენ ერეკებოდნენ. წისქვილის გარშემო, ახოს პირებში გაშენებულ ამ დასახლებას ეზოებს უწოდებდნენ სწორედ იქ ჰქონდათ განზრახული ლტოლვილთა გამოზამთრება და მათთვის გამოყოფილი სურსათისათვის საწყობის აგებასაც იქვე აპირებდნენ.

ამასობაში, ვიდრე ამგვარ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, ყველაფერი თავისი წესით და რიგით მიდიოდა, ბანაკის ხელმძღვანელობა კი მოძალებულ საქმეებს ვეღარ აუდიოდა.

მოწინააღმდეგეზე მოპოვებულ გამარჯვებას ყავლი თანდათან გაუვიდა. თეთრებმა თავიანთი მძლეველი პარტიზანული გუნდი იმ მხარის სიღრმეში გაატარეს და გარღვეული ალყა ხელმეორედ შეკრეს, ზურგში მოქცეულ რაზმს ტაიგაში თავისიანებთან დასაბრუნებელი გზა გადაკეტილი დახვდა.

უკეთესად არც ლტოლვილი ქალების საქმე იყო. გაუვალ ტევრებში ხალხის ძებნა იოლი საქმე როდი გამოდგა. გამოქცეულთა დასახვედრად გაგზავნილები მათ კვალს ვერ აგნებდნენ, გზაში სცდებოდნენ და ხელცარიელი ბრუნდებოდნენ, ხოლო ქალები ალალბედზე მიიწევდნენ ტაიგის

სიღრმეში, გზაში საზრიანობისა და მიხვედრილობის სასწაულებს ახ-დენდნენ, ტყეს მუსრს ავლებდნენ, ხიდებსა და ბოგირებს აგებდნენ, გზები გაჰყავდათ.

ყოველივე ეს კი ეწინააღმდეგებოდა ტყის შტაბის განზრახვებს და ყი-რამალა აყენებდა ლივერის გეგმებს.

5

სწორედ ამიტომ ბობოქრობდა იგი დიდი გზის მახლობლად, რომე-ლიც ამ ადგილას მცირე მანძილზე ჰკვეთდა ტაიგას. მის წინ სვირიდი ატუზულიყო. თავად გზაზე კი მისი მეთაურები იდგნენ და კამათობდნენ, გადაეჭრათ თუ არა გზის პირას გაჭიმული ტელეგრაფის მავთული. უკა-ნასკნელი, გადამწყვეტი სიტყვა ლივერის ეკუთვნოდა, ის კი იდგა და მა-წანწალა ნადირთდამჭერს ელაყბებოდა, თანაც დროდადრო ხელს უქ-ნევდა, არსად წახვიდეთ, მალე მოვალო.

სვირიდს ვერა და ვერ მოენელებინა ვდოვიჩენკოს გასამართლება და დახვრეტა. მას ხომ არაფერში მიუძღოდა ბრალი, გარდა იმისა, რომ თა-ვისი გავლენით ლივერის ჩრდილავდა, რასაც ბანაკში განხეთქილება შეჰქონდა. გულით უნდოდა, პარტიზანებს გაშორებოდა, გუდა-ნაბადი აეკრა და ძველებურად თავის ნებაზე ლაღად ეცხოვრა, მაგრამ ვინ გაუშ-ვებდა! სულით ხორცამდე მახეში იყო გაბმული და ტყის ძმებისაგან თა-ვის დაძვრენის მცდელობისათვის დახვრეტილთა ხვედრი არ ასცდებო-და.

საშინელი ამინდი იდგა. მკვეთრი, მძაფრი ქარი ზედ მიწის პირას ჭვარტლივით შავი ღრუბლის ნაფლეთებს მიაქანებდა. ხანდახან ფეთია-ნივით თოვლს წამოჰყრიდა ხოლმე და არემარე თეთრ ჯოჯოხეთს ემსგავ-სებოდა.

წუთით შორეთი თეთრ სუდარაში ეხვეოდა, დედამიწასაც თეთრი ზე-

წარი ეფინებოდა. მომდევნო წუთში ზეწარი იწვოდა და ფერფლად იქ-ცეოდა. ისევ იჩენდა თავს ნახშირივით შავი მიწა, შორს დადენილი ალ-მაცერი თავსხმებით გადარეცხილი შავი ზეცა. მიწა წყლით იყო გაჟღენ-თილი. ცა მცირე ხნით რომ გადაიკარებდა, თითქოს სადღაც ზევით ფან-ჯრები გამოაღეს და მიდამოს ანიავებენო, ღრუბლები გამალებით მიჰ-ქროდნენ. იქაურობას შუშასავით ცივი სითეთრე ეფინებოდა. მიწაზე ჭარბად დამდგარი წყალიც ცას ისეთივე შუქით აღსავსე გუბეების და ტბების გამოღებული სარკმელებით ეპასუხებოდა.

უამინდობა კვამლივით დაცურავდა წიწვიანი ტყის ფისიან ნემსებზე და მის სიღრმეში ვერ აღწევდა, ისევე, როგორც მუშამბაში ვერ ატანს წყალი. სატელეგრაფო მავთულებზე მძივებივით იყვნენ ასხმული წვიმის წვეთები. ისინი მიჯრით, ერთიმეორის მიყოლებით გამწკრივებულიყ-ვნენ, მაგრამ დაბლა არ ცვიოდნენ.

სვირიდი სხვებთან ერთად იყო გაგზავნილი ტაიგის სიღრმეში ლტოლვილ ქალებთან შესახვედრად და ახლა სურდა მეთაურისთვის ეამბნა, თუ რისი მოწმე გახდა. იგი ჰყვებოდა, რა აურზაურს იწვევდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძანებები, რომელთა შესრულება შეუძლე-ბელი იყო, რა ურჯუკობას სჩადიოდნენ ყველაზე სუსტი, რწმენადაკარ-გული ქალთა ბრბოები. ახალგაზრდა დედები ფეხით მიეხეტებოდნენ, ზურგზე გუდა-აბგები და ტომრები ეკიდათ, თან ძუძუთა ბავშვებიც ჰყავ-დათ აკონწიალებულნი. ძუძუგამშრალნი და ქანცგაწყვეტილნი ბავშვებს პირდაპირ გზაში ჰყრიდნენ, ტომრებიდან ფქვილის ნარჩენებს იმცვრევ-დნენ და უკან ბრუნდებოდნენ. გვიჯობს ერთბაშად ამოგვხდეს სული, ვიდრე შიმშილით თანდათანობით ამოვწყდეთო, გვირჩევნია მტერს ჩა-ვუვარდეთ ხელში, ვიდრე მხეცების ლუკმა გავხდეთო. სხვები, უფრო უშიშარნი, ისეთ სიმტკიცეს და მამაცობას იჩენდნენ, მამაკაცებს რომ არც მოლანდებიათ. სვირიდს ბევრი სხვაც ჰქონდა სათქმელი. უნდოდა მეთაური გაეფრთხილებინა, რომ ბანაკში ახალი, გაცილებით სახიფათო აჯანყება მზადდებოდა, ვიდრე ჩახშობილი იყო. შესაფერისი სიტყვები

ვერ გამოენახა და ღობე-ყორეს აწყდებოდა, რადგან ლივერის გული არ უთმენდა და ღვარძლიანად აჩქარებდა, რაც მოსაუბრეს ლაპარაკის ხალისს უკარგავდა. ლივერი კი იმიტომ როდი აწყვეტინებდა წარამარა, გზაზე რომ ელოდებოდნენ, ხელს უქნევდნენ და უყვიროდნენ. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ყველანი ამას ჩასჩიჩინებდნენ და ყველაფერი ხუთი თითივით იცოდა.

– ეგრე ძალდაძალ ნუ მაჩქარებ, ამხანაგო უფროსო, თორემ დიდი მოლაყბე არც უმისოდ ვარ და ახლაც სიტყვა პირში მეჩხირება, ლამისაა დავიხრჩო კაცი! შენა გგონია, წახვალ, იმ ქალებს კანონს უხსენებ და ყველაფერი ეგრე ერთბაშად მორჩება განა?! არაფერიც არ მორჩება. ნახავ ერთი, რა წივილ-კივილი ატყდეს. შენ გეკითხები, ჩვენ რა გვინდა? „ყველანი კოლჩაკის წინააღმდეგ" თუ დედაკაცების წეწვა-გლეჯვა? – მოკლედ მოსჭერი, სვირიდ, ხომ გესმის, მეძახიან. ნუ ჩაახუჭუჭე. – ახლა ზოგი რამე იმაზეც უნდა გითხრა, რა ეშმაკი ჰქვია, ზლიდარიხაა თუ რაღაც ჯანდაბა. სულ იმას გაიძახის, ესაო, გინდა თუ არა, საქონელში გამიშვით, მეო ვეტრენიანკა ვარო...

– ვეტერინარიო, სვირიდ.

– ჰოდა, მეც რაღას გეუბნები? სწორედ ვეტრენიანკობა უნდა, რომ პირუტყვი მოარულისგან გააჯანსაღოს. ახლა კი აღარც შენი პირუტყვი ახსოვს, არც ჯანდაბა და აღარც დოზანა. ძროხებსა წირვას უტარებს, ახალ-ახალ ქალებს გზიდან აცდენს და აფუჭებს. ეგეც თქვენაო, ეუბნება, აგე, სადამდე მიგიყვანათ წითელი დროშის კუდში ტუნტულმაო. სხვა დროს გარეთ ფეხსაც აღარ გამოდგამთო.

– არ მესმის, რომელ ქალებზე მელაპარაკები. ჩვენი, პარტიზანების ცოლებზე თუ სხვა ვიღაცეებზე?

– რა თქმა უნდა, სხვებზე, ახლებზე, უცხო ადგილებიდან მოსულებზე.

– მათ ხომ ვუბრძანეთ, ეზოებში წასულიყვნენ, ჩილიმკის წისქვილში. აქ როგორღა გაჩნდნენ? – – ეზოებში კი არა, ის არ გინდა! იმ შენი ეზოე-

ბიდან მარტო ნაცარიღა დახვედრიათ. ჩილიმკაზე რო მოსულან, ცარიელი ადგილის მეტი აღარაფერი ყოფილა. ნახევარი ჭკუიდან შეშლილა, უკივლია და უკან წასულა, თეთრებთან. სხვები უკან გამობრუნებულან და აღალით მოგვადგნენ.

– მიყრუებულ უღრანებში, გაუვალ ლაფებში, უგზო-უკვლოდ?

– ნაჯახები და ხერხები მაშ ღმერთს რიღასთვინ გაუჩენია? ჩვენი კაცები გაუგზავნეს, მტრისგან დასაცავად. იმათ კიდენა ხელი უტაცნიათ და სხვა საქმეში გამოუყენებიათ. ეგრე ამბობენ, ოცდაათი ვერსი გაჩეხესო, თავისი ხიდებით, ბოგირებით. მოდი და ამის მერეც თქვი, დიაცებია, ჭკუა არა აქვთო. მიხედ-მოხედვაზე ისეთ რამეს მოიფიქრებენ, სამი დღე და ღამე რო იფიქრო, აზრად არ მოგივა.

– შაბაშ, ჩვენს საქმეს! შენ რაღა გიხარია, შე მუტრუკო, ოცდაათ ვერს გზას ეხუმრები? ვიცინისა და კვადრის სანატრელიც ხომ ეგ არის, ისეთი შარაგზა გაუყვანიათ ტაიგაში, თუ გინდა, არტილერია შემოაგრიალე.

– ახლა საფარი, საფარი გვინდა. საფარი რაზმი ჩააყენე და გათავებული საქმეა.

– ნუ გეშინია, უშენოდაც მოვიფიქრებ რასმე.

6

დღემ იკლო. ხუთ საათზე ღამდებოდა. დაბინდებისას იური ანდრეევიჩმა სწორედ იმ ადგილას გადასჭრა დიდი გზა, სადაც რამდენიმე დღის წინათ ლივერი სვირიდს ეკამათებოდა. ექიმი ბანაკში მიდიოდა. ამ მინდვრისა და ბორცვის მახლობლად, სადაც მათი ბანაკის მიჯნის დამდები ცირცელი იზრდებოდა, როგორც ხუმრობით იხსენიებდა, თავისი მეტოქის, მკურნალ-ექიმბაშის კუბარიხას ონავრული, გამომწვევი ლაპარაკი შემოესმა. იგი გამყივანი ხმით წარმოთქვამდა რაღაც მხიარულს, დარდიმანდულს. გარშემო მყოფნი სულგანაბულნი უსმენდნენ.

დროდადრო ქალებისა და კაცების ხარხარი ისმოდა. მერე ყველაფერი

მიწყნარდა. ეტყობა, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

როგორც ჩანდა, კუბარიხამ იფიქრა, მარტოდმარტო დავრჩიო, და სხვანაირად, თავისთვის ხმადაბლა ამღერდა. იური ანდრეევიჩი შიშობდა, ჭაობში არ ჩავარდნილიყო. ცირცელის წინ გადაშლილ საფლობ მდელოს განზე უვლიდა და გზას ბინდბუნდში ფრთხილად, ნაპირ-ნაპირ მიიკვლევდა. უეცრად ადგილზე გაშეშდა. კუბარიხა რომელიღაც ძველ რუსულ სიმღერას მღეროდა. იური ანდრეევიჩს პირველად ესმოდა იგი. ან იქნებ სულაც იმავე ქალის იმპროვიზაცია იყო?

სწორედ რუსული სიმღერა იყო, ისეთი წყნარი, როგორც წყალი გუბურაში. გეგონებოდა, მთლად გაჩერდა, აღარ მოძრაობსო. თუმცა კი ქვევით, სადღაც ძირში, განუწყვეტლივ მოწანწკარებდა და ზედაპირზე მისი სიმშვიდე მაცდური იყო.

ყველანაირად, გამეორებებით, პარალელიზმებით იგი აბრკოლებდა შინაარსის თანდათანობით განვითარებულ მდინარებას, რომელიღაც მიჯნასთან კი უეცრად იხსნებოდა. თავის თავს ასე გამოხატავს საკუთარ თავზე გაბატონებული გულჯავრიანი ძალა. ეს საოცარი მცდელობაა სიტყვის მეოხებით დროის შეჩერებისა.

კუბარიხა კი სანახევროდ მღეროდა და სანახევროდ ლაპარაკობდა:

„ნეტა ყურცქვიტა საით გარბოდა,
საით გარბოდა, საით გარბოდა?
ან ცირცელის ხეს გარს რად უვლიდა,
რას შესტიროდა ან რას დარდობდა?
ნეტა ვიცოდე, ჩემო ყურგრძელო,
ჩემო გიჟო და ჩემო ცანცარავ,
ვის უფრო მწარედ გვიტირის გული,
ვის უფრო გვითრთის და გვიფანცქალებს?
გული ცუდს მიგრძნობს, ჩემო ნაცარავ,
ნადირთ კვალია, ეტყობა ჯერაც.
არ გადააწყდე სადმე მშიერ მგელს,

არ გახდე მისი კბილების წერა.
ცირცელის ბუჩქო, ხეთა მშვენებავ,
ახლა შენა გთხოვ, მისმინე, კარგო,
შენს ნუგბარ ნაყოფს ნუ მისცემ ავსა.
ავსა და შავსა, მჩხავანა ყვავსა...
შენი მშვენებით ბოროტს არ არგო.
ქარში გაშალე, ლაღად გაშალე
ფარჩხა-ფოთლები, მხრები – რტოები,
გაალამაზე მშობელი მხარე,
თოვლში იდექი განმარტოებით.
სოფლის ნაპირას, ორღობის ბოლოს,
ერთი სახლია შორს გამიჯნული.
იქა ზის ჩემი საბრალო სატრფო,
მე კი აქა ვარ, მისი მიჯნური.
მე კი აქა ვარ, გულგათანგული;
უცხოობაში ტყვედ დაკარგული,
მიდი და ყურში ჩუმად უთხარი
სიტყვა მხურვალე, სიტყვა გრძნეული,
ყარიბ ჯარისკაცს, უღვთოდ განწირულს
როგორ მომწყინდა ყოფნა ეულად.
ერთხელაც იქნება, გამოვეშვები,
სხვა ფიქრს, სხვა ნატვრას გულს არ გავივლებ,
ჩემს მზეთუნახავ ცირცელთან მივალ
და ჭრელ ოცნებებს ავიყვავილებ.

7

კუბარიხა პალიხას, პამფილის ცოლის, აღათი ფოტიევნას, ანუ უბრალოდ, ფატევნას ავადმყოფ ძროხას ულოცავდა. პირუტყვი ნახირიდან

ბუჩქნარში გამოიყვანეს და რქებით ხეზე მიაბეს. წინა ფეხებთან დიასახლისმა ჩაიჩოქა, უკან კი, მოსაწველ სკამზე მკითხავი ჩამოჯდა. დანარჩენი ნახირი პატარა ველზე ძოვდა. მას ყოველი მხრივ კედელივით გარს შემორტყმოდა შავი წიწვნარი. მთებივით უზარმაზარი, სამკუთხა ნაძვები თითქოს თავიანთ გაფარჩხულ, ვეება ქვედა ტოტებზე ჩაცუცქულიყვნენ.

ციმბირში რომელიღაც პრემიამიღებულ შვეიცარიულ ძროხას აშენებდნენ. თითქმის ზუსტად ერთნაირი შავ-თეთრი ძროხები ადამიანებზე არანაკლებად იყვნენ გაწამებულნი ათასნაირი გაჭირვებით, ხანგრძლივი წოწიალით, აუტანელი სივიწროვით. ერთმანეთს გვერდებით აწვებოდნენ და ისეთი ჯგლეთა იყო, სავათება აღარა ჰქონდათ. იმდენად იყვნენ გამოთაყვანებული, ზოგჯერ თავიანთი ძროხობა ავიწყდებოდათ და ბუღებივით აბღავლებულნი ერთმანეთს ახტებოდნენ. კუდამოძუებული დეკეულები ქვეშიდან გაურბოდნენ, გადარეულნი ბუჩქებსა და ჩინჩხვარს ლეწავდნენ და ტევრში დაშლიგინობდნენ, სადაც მოხუცი მწყემსები და მათი ნორჩი მორბედები კისრისტეხით დასდევდნენ. განაკაფის თავზე ნაძვის კენწეროებით ზამთრის ცაზე ვიწროდ შემოხაზულ წრეშიც სწორედ ასე მქუხარედ და უწესრიგოდ დაბორიალობდნენ თოვლის შავთეთრი ღრუბლები, ერთმანეთს გაშმაგებით ეხლებოდნენ, ყალყზე დგებოდნენ და გაავებით იგრაგნებოდნენ.

შორიახლო შეჯგუფული ცნობისმოყვარენი ექიმბაშს ხელს უშლიდნენ. კუბარიხა მათ თავით ფეხამდე ალმაცერად ათვალიერებდა, მაგრამ თავს არ უყადრიდა. მსახიობის თავმოყვარეობა აკავებდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერავის ამჩნევსო. ექიმიც მაყურებელთა უკანა რიგებიდან უთვალთვალებდა, ისე, რომ ქალი ვერ ამჩნევდა.

პირველად იყო, იური ანდრეევიჩი ამ დედაკაცს ამგვარი გულისყურით რომ შესცქეროდა. კუბარიხას თავზე განუყრელი პილოტურა ეხურა, ტანზეც დაუდევრად გადაკეცილ საყელოიანი ინტერვენტული მაზარა ეცვა. ისედაც, ამ არცთუ ახალგაზრდა ქალის ფარული ჟინიანობის

დამადასტურებელი ქედმაღლური ნაკვთები, ახალგაზრდულად შავად შეღებილი თვალ-წარბი აშკარად მეტყველებდა, რომ მისთვის სულ ერთი იყო, რა ეცვა და რა არა.

მაგრამ ექიმი პამფილის ცოლის გარეგნობამ უფრო გააოცა. ის კი არა და, თითქმის ვეღარ იცნო. საბრალო დიაცი ამ რამდენიმე დღეში საშინლად მობერებულიყო. გადმოკარკლული თვალები ლამის იყო უპეებიდან გადმოსცვენოდა. წაგრძელებულ კისერზე გამობერილი ძარღვი უფეთქავდა. აი, იდუმალ შიშს რა დღეში ჩაეგდო.

– არ იწველება, საყვარელი, – ამბობდა აღათი. – კარგა ხანია, უნდა იწველებოდეს, მაგრამ არაფერს მაწველინებს.

– როგორ მოგაწველინებდა, ვერ უყურებ, ძუძუზე იარა გამოსვლია. ქონიან ბალახს მოგცემ, წაუსვი. თანაც, რა თქმა უნდა, გამოვულოცავ. – ჩემი მეორე გასაჭირი – ქმარია.

– ვუმკითხავებ, რომ ქალებში არ იწანწალოს. მაგაზე ადვილი რა არის. ისე მოგეკვრება, ვეღარ მოიშორებ. მესამე გასაჭირიც მითხარი. – სიარულით არსად დადის. ნეტა ევლო, რა მიჭირდა. მთელი უბედურებაც ეგ არის, რომ საქმე პირიქითაა. მეც და ბავშვებსაც ისე მოგვაცივდა, პირდაპირ სულს აპნევს ჩვენთვის. ვიცი, რასაც ფიქრობს. აიო, ფიქრობს, – ბანაკს გაჰყოფენ, სხვადასხვა მხარეს გადაგვყრიანო. იმას დარდობს, რომ ბასალიგას ჯალათების კერძი გავხდებით ჩვენა, ის კი ჩვენს გვერდით არ იქნება. კაცი არ იქნება, თავი გამოიდოს. დაგვტანჯავენ, ჩვენს წვალებაზე იხარხარებენ. აი, ასეა, სუ ზეპირად ვიცი მისი ფიქრები. ემანდ თავს არა აუტეხოს რა.

– მოვიფიქრებთ რასმე. დარდს გავუქარვებთ. მესამე გასაჭირიც მითხარი.

– მესამე არაფერი მაქვს და რა გითხრა. სულ ეგ არის, ძროხა და ქმარი.

– ეჰ, მოიკოჭლებ გასაჭირში, დედილო! ხედავ, ღმერთი როგორ გწყალობს? სანთლით რო ეძებო, ეგეთს ვერ იპოვი. სულ ორი გასაჭირი ჰქონია

საწყალს და აქედან ერთი – თავს გადამკვდარი ქმარია. ძროხაში რას მომცემ? ბარემ დავიწყებ შელოცვას.

– შენ რას მოითხოვ?

– გამტკიცულ პურსა და ქმარსა.

გარშემო გადაიხარხარეს.

– დამცინი, თუ რა?

– კარგი, თუ გეძვირება, პური არ მინდა. მარტო ქმარზე დაგყაბულ-დები.

ხარხარი გაათმაგდა.

– რას ეძახიან? ქმარზე კი არ გეუბნები, – ძროხასა.

– ლამაზოს.

– ნახევარ ნახირს ლამაზო ჰქვია, მიდი ახლა და შეულოცე. კარგი, მოვრიგდით.

ძროხას შელოცვა დაუწყო. თავიდან მართლაც პირუტყვს ულოცავ-და, მერე ეშხში შევიდა და დიდხანს ელაპარაკა აღათის ჯადოქრობაზე და მის გამოყენებაზე. იური ანდრეევიჩი მონუსხულივით უგდებდა ყურს მის ნაბოდვარს, როგორც ოდესღაც, ევროპული რუსეთიდან ციმბირში ჩამოსვლისას მეეტლე ვაკხის ლაყბობას ისმენდა.

კუბარიხა კი ბუტბუტებდა:

– „დეიდა მორგოსი", გული გაქვს ოქროსი, ტკივილი ჩაგვიცხრე, არას-დროს გაგვიწყრე. რატომ ხარ მდუმარი, ღვთისაა სტუმარი. გვეწვიე სამ-შაბათს, გვეწვიე ოთხშაბათს, მოგვხედე, გვიშველე, გვაჩუქე სიმართლე. ჩვენს საწყალ ფუჩინას ცური მოურჩინე. გაჩერდი, ლამაზო, გეყო, ნუ ალ-მასობ. გული გაგვიხარე, ნატვრა აგვისრულე, წყლული და იარა შორს გადაისროლე. აგვავსე ბარაქით, რძითა და კარაქით. უფალმა ისმინოს ეს სიტყვა მისნური.

ყველაფერი უნდა იცოდეს კაცმა, აღათუშკა, შელოცვაც, დალოცვაც, სიტყვა თუ მოგაწყენს, სიტყვავე მოგალხენს. თვალმა არ უნდა მოგატ-

ყუოს. აი, ახლა უყურებ და გგონია, ტყეაო. ის კი უწმინდური სულია, ანგელოზთა ლაშქარს შერკინებული, ერთმანეთს ჩეხავენ, როგორც თქვენები და ბარალიგელები.

თუნდაც იქით გაიხედე, საითაც გიჩვენებ. საით იყურები, შე კაი ქალო. კოკროჭინით კი არა, თვალებით უნდა გაიხედო. იქით მიბრუნდი, საითაც თითს ვიშვერ. აგერ, აგერ. როგორ გგონია, რა არის ისა? გგონია, ქარმა არყის ხის ტოტი ტოტს შეახალა და შეახლართა? გგონია, ჩიტმა ბუდის გაკეთება გადაწყვიტა? არა, გენაცვა, ეგ ავსულთა ნახელავია. ალს თავისი გოგონასათვის გვირგვინი დაუწნია. ყური მოუკრავს, ხალხი მოდისო და დაბლა ჩამოუგდია. შეშინებულა. ამაღამ დაამთავრებს, დაწნავს, ნახე თუ ასე არ მოხდეს.

ან კიდევ ისა, თქვენი წითელი დროშა ავიღოთ. როგორ გგონია, მართლა დროშაა? ვერ მოგართვი, დროშა კი არა, ჭირის ამტეხი ჭინკის ჟოლოსფერი სატყუარა თავსაფარია. სატყუარა-მეთქი, გითხარი, მაგრამ სატყუარა რაღა შუაშია? ახალგაზრდა ბიჭებს თავსაფარს უქნევს, თვალს უკრავს, ახალუხლებს იტყუებს და სასიკვდილო ჭირს ურიგებს, მუსრს ავლებს. შენ კი გეგონა, ისაო, დროშააო, – მოდით აქ ჩემთან, ყველა ქვეყნის პროლებო და ყროლებოო.

ახლა ყველაფერი უნდა იცოდე, დედილო აღათია, ყველაფერი, ყველაფერი, რაც კია ქვეყნად, ყველაფერი. რა ჩიტია, რა ქვა, რა ბალახი. ეგ ჩიტი, მაგალითად, შოშია იქნება, ის ნადირი კიდევა – მაჩვი. ახლა ის უნდა გითხრა, რომ ვისაც გინდა, იმას ჩაგიგორებ საყვარლადა, შენ მარტო მითხარი. ის შენი თლა უფროსი გინდა, თქვენი ლიურია თუ ტყიური, გინდა კოლჩაკს მოგიცუხცუხებ და გინდა ივანე უფლისწულსა. გგონია ჰაერზე გელაპარაკები, გატყუებ, არა? არაფერსაც არ გატყუებ. აბა, მიყურე, ყური მიგდე. დადგება ზამთარი, ველზე ქარბუქი ამოვარდება, სვეტები დადგება. ავდგები და თოვლის იმ სვეტში დანას ვატაკებ, ტარამდე ჩავასობ და თოვლიდან თლა სისხლით მოსვრილს გამოვიღებ. რაო, გი-

ნახია? ჰა? თუ მაინც გგონია, გატყუებ? ახლა მითხარი, თოვლის კორიანტელში სისხლს რაღა უნდა? ქარი ხომ ჰაერია, თოვლის მტვერი? საქმეც მაგაშია, ჩემო ნათლიდედ, ქარი კი არა, თოვლის ბზრიალ-ტრიალამ შვილი დაკარგა მინდორში, პატარა ალქაჯი, ჰოდა, დაეხეტება სოფელ-ქვეყანაზე, მინდორ-ველად, ვერ უპოვია და ტირის საბრალო. ეს ჩემი დანაც იმას განგმირავს. სისხლიც იმისი იქნება. იმავე დანით ვის კვალსაც გინდა, იმას გამოვჭრი იქიდან და აბრეშუმივით კალთაზე მოგაკერებ. იმისი დანახვა და კოლჩაკის, სტრელნიკოვისა თუ რომელიმე ახალი მეფის კუდში ადევნება ერთი იქნება. საითაც წახვალ, ტუსტუსით გამოგყვება. შენ კი გეგონა გატყუებდი, გეგონა – მოდით აქ ჩემთან, ყველა ქვეყნის პროლეტილებო და გაღლეტილებოო!

ან კიდევ, მაგალითად, ახლა ციდანა ქვები ცვივა, როგორც წვიმა, გამოყოფს კაცი სახლიდან ცხვირსა და ბუხ! ზედ კინკრიხოზე დაეცემა, უარესს გეტყვი, ცაში მხედრებმა გადაიარეს, ისეთებმა, რომა ცხენები ფლოქვებით სახურავებს ეხებოდნენ. ან ეგ რა არის, ძველად კუდიანები, აი, რას სჩადიოდნენ: ქალი ვინმე ხორბლის მარცვალს, თაფლის წვეთს ან კვერნის ბეწვს გადაყლაპავდა. მერე აბჯროსნები იმათ მხრებს გადაუხსნიდნენ და ბეჭის ფრთის ქვეშიდან უღებდნენ ზოგს ხორბალსა, ზოგს კვერნასა და ზოგსა კიდევა თაფლის ფიჭასა”.

ზოგჯერ ამქვეყნად გვხვდება დიდი, ძლიერი გრძნობა. მას მუდამ ახლავს სიბრალულიც. ვისაც თაყვანს ვცემთ, მით უფრო მსხვერპლად გვეჩვენება, რაც მეტად გვიყვარს. ზოგს ქალისადმი თანაგრძნობა ყველანაირ ზღვარს აკარგვინებს. იმათი გულისხმიერება ქალს არარსებულ, მარტოოდენ ზღაპრულ სამყაროში თუ წარმოიდგენს. ასეთნი ეჭვით უმზერენ, რაც კი მათ სატრფოს ირგვლივ გარემოიცავს, თუნდ მზეს და ჰაერს ან იმ კანონებს, რომელთა ძალით თავად იმ ქალის დაბადებამდე ათასეული წლებით ადრე დედაბუნების დვრიტა ფეთქავდა.

იური ანდრეევიჩი საკმაოდ განათლებული იყო საიმისოდ, რომ მკით-

ხავის ბოლო სიტყვებში დამახინჯებათა დანაშრევებით აპოკრიფად ქცეული, ნოვგოროდის თუ იპატის რომელიმე მატიანის საწყისი ნაწილი არ ამოეცნო. საუკუნეთა განმავლობაში მათ ექიმბაშები და მეზღაპრეები სულ უფრო მეტად ღვლარჭნიდნენ და ამახინჯებდნენ. უფრო ადრე კი გადამწერები რყვნიდნენ და თავიანთი ჯიბე-აბგიდან ტყუილს თუ მართალს უმატებდნენ.

მაშ იმ თქმულების სისასტიკემ მისი გონება რაღად შეიპყრო? იმ გაუგებარ აბდაუბდას რად შეხვდა ისე, თითქოს მოჭორილი კი არა, ჭეშმარიტების ღაღადი ყოფილიყო?

ლარას მარცხენა მხარი გადაუხსნეს. როგორც კარადაში ჩატანებული საიდუმლო რკინის ზარდახშის ფარულ კარში გასაღებს არგებენ, მახვილის გადატრიალებით ისე გამოუღეს ბეჭის ფრთა. გამოღებული სულის სიღრმეში გამოჩნდა მისი საიდუმლოებები. უცხო ქალაქები, სადაც ნამყოფი იყო, უცხო ქუჩები, უცხო სახლები, უცხო სივრცეები დახვეულ ლენტებზე იყო აღბეჭდილი.

ო, როგორ უყვარდა! რა კარგი იყო! სწორედ ისეთი, როგორზეც იური ანდრეევიჩი ფიქრობდა და ოცნებობდა, როგორიც სჭირდებოდა! მაგრამ ასე ძალუმად რითი ხიბლავდა? ისეთი რამით, რისი დასახელებაც ან გამოყოფაც შეიძლებოდა? ო, არა, არა! მხოლოდ იმ უბადლოდ უბრალო და მკვეთრი ხაზით, რითაც იგი ერთი ამოსუნთქვით იყო თხემით ტერფამდე შემოქმედის ხელით შექმნილი და ამ ღვთიური გარშემოწერილობით ისე იყო ექიმის სულში გამოხვეული, როგორც ახალნაბანავებ ჩვილსა ხვევენ ფაქიზ ზეწარში.

ახლა კი სად არის გადმოხვეწილი ან რა დღეშია? ტყე, ციმბირი, პარტიზანები. ალყაში არიან და ისიც მათ ბედს გაიზიარებს. რა უბედურებაა, რა წარმოუდგენელი ხათაბალაა. იური ანდრეევიჩს თვალებიც და გონებაც ისევ აემღვრა. ყველაფერს ფერი გაეცრიცა. თოვლი შეწყდა და წვიმა წამოვიდა. ქალაქის ქუჩაში სახლიდან სახლამდე გაჭიმული უზარმაზარი ტილოს პლაკატივით გადაეშალა თვალწინ ტყის განაკაფის

ერთი ბოლოდან მეორემდე მკრთალი სინათლით განათებული ერთი საოცრად სათაყვანო, მრავალჯერ გადიდებული სახის აჩრდილი. იგი ტიროდა, ხშირი წვიმა კი ეამბორებოდა და ასველებდა.

– წადი, – ეუბნებოდა მკითხავი აღათის, – შენს ძროხას შევულოცე, კარგად გახდება. ილოცე ღვთისმშობელზე, ნათლისა ბჭეზე და სიტყვისა ეტლზე.

8

ტაიგის დასავლეთის მისადგომებთან ბრძოლები იყო გაჩაღებული. მაგრამ იგი იმდენად უსაშველო იყო, თითქოს ყოველივე სახელმწიფოს შორეულ საზღვრებთან ხდებოდა, მის უღრანებში ჩაკარგულ ბანაკში კი იმდენი ხალხი ირეოდა, გეგონებოდათ, რაც უფრო მეტნი მიდიან საომრად, მით უფრო მეტნი რჩებიანო.

შორეული ბრძოლის გუგუნი ბანაკის სიღრმეს თითქმის ვერ აღწევდა. უეცრად ტყეში რამდენიმე გასროლის ხმა გაისმა. თავდაპირველად ერთიმეორის მიყოლებით გახმიანდა ახლო, სულ ახლო, მერე კი ერთბაშად ხშირ, უწესრიგო ბათქაბუთქად იქცა. სროლის ადგილას ხალხი აქეთ-იქით მიმოიფანტა. ბანაკის დამხმარე სათადარიგო ნაწილებიდან ყველანი თავ-თავიანთი საზიდრებისკენ გაცვივდნენ. ატყდა ერთი ალიაქოთი. მოლაშქრეები საომრად გაემზადნენ.

მალე აყალმაყალი ჩაცხრა. ტყუილუბრალო განგაში გამოდგა. მაგრამ ჩოჩქოლი მალე განახლდა და ხალხიც იქით მიაწყდა, სადაც ცოტა ხნის წინათ სროლა იყო გაჩაღებული. ბრბო იზრდებოდა. მას სულ ახალ-ახალი ხალხი ემატებოდა.

ბრბოს შუაგულში მიწაზე დაჩეხილი და სისხლში ამოთხვრილი ადამიანი თუ მორგვი ეგდო. საშინლად იყო დასახიჩრებული და ჯერ კიდევ სუნთქავდა. მარჯვენა ხელი და მარცხენა ფეხი აღარა ჰქონდა. წარმოუდგენელი იყო, ის უბედური შერჩენილი ხელით და ფეხით ბანაკამდე

როგორ მოფორთხდა. მოჩეხილი ხელ-ფეხი სისხლის საზარელი გუნდებივით ჰქონდა ზურგზე დაკრული. ზედვე მოზრდილი დაფაც მიემაგრებინათ, რომელზეც მყრალ გინებებთან ერთად ნათქვამი იყო, ამას ამა და ამ წითელი რაზმის მხეცობის სანაცვლოდ ჩავდივართო, თუმცა იმ რაზმთან ტყის ძმებს საერთო არა ჰქონდათ რა. ბოლოს იმუქრებოდნენ, ყველას სათითაოდ ეს დღე მოგელით, თუ ამა და ამ ვადამდე არ დაგვნებდებით და იარაღს ვიცინის კორპუსის წარმომადგენლებს არ ჩააბარებთო.

სვეგამწარებული ხეიბარი თვალდათვალ სისხლიდან იცლებოდა. წამდაუწუმ ხმა უწყდებოდა და გული მისდიოდა. მაინც მიკნავებული ხმით რის ვაი-ვაგლახით ამოღერღა, თუ როგორ აწამებდნენ ხალხს გენერალ ვიცინის ზურგის სამხედრო-საგამომძიებლო და დამსჯელ ნაწილებში, მისთვის ჯერ ჩამოხრჩობა მიესაჯათ, მერე შეეწყალებინათ, სასჯელი ხელ-ფეხის დაჭრით შეეცვალათ და პარტიზანთა დასაშინებლად ბანაკში ამგვარი სახით გამოეგზავნათ. ბანაკის საყარაულო ხაზის მისადგომებამდე ხელით მოეყვანათ, მერე მიწაზე დაეგდოთ, ებრძანებინათ, ამას იქით თავად იფორთხეო, და ჰაერში რამდენჯერმე გაესროლათ.

ტანჯულ-გვემული სიკვდილის პირას იყო მისული და ტუჩებს ძლივსღა ამოძრავებდა. მისი გაუგებარი ლუღლუღი რომ გაერჩიათ, გარშემო მყოფნი დაბლა დახრილიყვნენ და სულგანაბულნი უსმენდნენ. იგი ამბობდა: – ფრთხილად იყავით, ძმებო. თქვენი თავდაცვა გარღვეულია.

– რაზმი გაგზავნეს. დიდი ბრძოლაა. მოვიგერიებთ.

– გაარღვიეს, გაარღვიეს... ერთბაშად უნდათ. ვიცი. ოჰ, აღარ შემიძლია, ძმებო, ხომ ხედავთ, სისხლიდან ვიცლები, სისხლის ნახველი ამომდის პირიდან, მალე მოვკვდები.

– ნუ მოძრაობ, წყნარად იწექი. იყუჩე. რაღას ალაპარაკებთ, თქვე უკუღმართებო. ვერ უყურებთ, ძლივსღა უდგია სული.

– არაფერი დამიტოვა მთელი, იმ სისხლისმსმელმა, ძაღლმა. საკუთარ სისხლში გაბანავებო, მეუბნება, მითხარი ვინა ხარო. მე კი, ძმებო აბა

როგორ ვეტყოდი ამას, როცა მე, როგორც იტყვიან, ნამდვილი დიზელ-ტერი ვარ. ჰო. იმას გამოვექეცი და თქვენებთან ვიყავი. – ისაო, ამბობ. მაინც ვინ იყო, რომ გაწვალებდა?

– ოჰ, ძმებო, გულ-მუცელი ჩემი აღარ არის, ცოტა მაცალეთ, სული მოვითქვა. ახლავე გეტყვით. ატამანი ბეკეშინი, შტრეზე პოლკოვნიკი, ვი-ცინელები. თქვენ აქ ტყეში არაფერი იცით. ქალაქი კვნესის. ცოცხალი ადამიანებისაგან რკინას ადუღებენ. ზოდებად აძრობენ ტყავსა. ქეჩოში გტაცებენ ხელსა და არც კი იცი, სად გისვრიან, გარშემო სიბნელეა. ხე-ლებს მოაფათურებ, – გალიაა, ვაგონი. გალიაში მარტო ქვევით ორმოცზე მეტი კაცია. ზოგჯერ იმ გალიას გააღებენ და ვაგონში თათს შემოჰყოფენ. ვინც შეხვდებათ, გარეთ მიათრევენ. სულ ერთია, გინდა ქათამი დაგიკ-ლია. ზოგი ჩამოსახრჩობად მიჰყავთ, ზოგი თოფის ზუმბაზე დასასმე-ლად, ზოგი დასაკითხად. კაცს ტყავს აძრობენ, ჭრილობებში მარილს აყ-რიან, მდუღარე წყლით ფუფქავენ. ქვეშ თუ გაუვიდა, აძალებენ, შეჭა-მეო. ახლა ბავშვები რა დღეში ჰყავთ, ახლა ქალები... ო, ღმერთო!

საბრალოს სული ამოსდიოდა. სიტყვა შუაზე გაუწყდა, ერთი შეჰყვი-რა და სული განუტევა. როგორღაც ყველა ერთბაშად გამოერკვა, ქუდები მოიხადეს და პირჯვარი გადაიწერეს.

საღამო ხანს ბანაკში ახალი, ამ შემთხვევაზე უფრო საზარელი ხმა დაირხა.

პამფილ პალიხიც მომაკვდავის გარშემო შეკრებილ ბრბოში იდგა. ისიც ხედავდა განწირულს, ესმოდა მისი ნაუბარი, ბოლომდე წაიკითხა მუქარით აღსავსე დაფა.

თავისი სიკვდილის შემთხვევაში თავისიანების მოსალოდნელი ხვედ-რის თაობაზე იმთავითვე აკვიატებული შიში უჩვეულოდ გაუცხოველდა. თვალწინ დაუდგა, როგორ გაიყვანდნენ მათ ხანგრძლივად საწამებლად, როგორ მოეღრიცებოდათ ნატანჯი სახეები, ესმოდა მათი კვნესა და ძა-ხილი. სახლეულები მოსალოდნელი ტანჯვისგან რომ ეხსნა და საკუთა-რიც შეემოკლებინა, მოძალებული ბოღმისაგან გაცოფებული დაერია და

თავისი ცოლ-შვილი თვითონვე ამოხოცა. ცოლიც და ბავშვებიც იმავე ნაჯახით დაჩეხა, რომლითაც ციცქნა გოგონებს და საყვარელ ვაჟს ფლეინუშკას ხის სათამაშოებს უთლიდა.

უფრო საკვირველი კი ის იყო, რომ ჩადენილის შემდეგ საკუთარ თავზე ხელი აღარ აღუმართავს. რაზე ფიქრობდა? რიღას იმედი უნდა ჰქონოდა? რა აზრი ან განზრახვა უნდა შერჩენოდა? ეს უკვე აშკარად შერყეული, სამუდამოდ გათავებული არსებობა იყო.

ვიდრე ლივერი, ექიმი და არმიის საბჭოს წევრები მის ბედზე თათბირობდნენ, პამფილი ბანაკში თავისუფლად დაეხეტებოდა. თავი მკერდზე ჰქონდა ჩამოვარდნილი და შუბლქვეშიდან გამომზირალი ყვითლად ამღვრეული თვალებითაც ვეღარაფერს ხედავდა. სახიდან არაადამიანური, დაუძლეველი ტანჯვის ბრიყვულად მოთამაშე ტანჯვის ღიმილი არ სცილდებოდა.

არადა, არავის ებრალებოდა. ყველანი პირს არიდებდნენ, ზურგს აქცევდნენ. შიგადაშიგ ისიც ისმოდა, ჩვენ თვითონ გავასამართლოთ, ანგარიში გავუსწოროთო, მაგრამ ამ მოთხოვნას მხარს არ უბამდნენ. მას კი ამქვეყნად აღარაფერი ეკითხებოდა. განთიადისას გაჰქრა ბანაკიდან, როგორც ცოფიანი პირუტყვი საკუთარ თავს გაურბის ხოლმე.

9

კარგა ხნის დაზამთრებული იყო. საშინელი ყინვები დაიჭირა. გათოშილ ნისლში შეუმჩნევლად ჩნდებოდნენ ხმისა და ფორმის ნაფლეთები, ერთი პირობა ბოგინობდნენ, მიდი-მოდიოდნენ. და ისევ ჰქრებოდნენ. ის მზე კი აღარ ანათებდა, რომელსაც ეგრერიგად მიეჩვივნენ დედამიწაზე, ტყის თავზე რაღაც სულ სხვა, შეცვლილი, მეწამული ბურთი ეკიდა. როგორც სიზმარში ან ზღაპარშია ხოლმე, იგი მდორედ და დუნედ ასავსავებდა თაფლივით სქელ, შედედებულ, მოყვითალო ქარვისფერ სხივებს, რომლებიც ჰაერშივე იყინებოდნენ და აქა-იქ ხეებს ზედ ახმებოდნენ.

თექის ჩექმებიანი უხილავი ფეხები მრგვალი ტერფებით დედამიწას ძლივს ეხებოდნენ, თითოეული ნაბიჯის გადადგმისას თოვლს გაავებით ახრჭიალებდნენ და ყოველი მხრივ მიემართებოდნენ, ბაშლიყებით და მოკლე ჯუბებით შემოსილი სხეულის დანარჩენი ნაწილები კი ცის თავანზე მოციაგე მნათობებივით მიცურავდნენ ჰაერში.

ნაცნობები ჩერდებოდნენ, ერთმანეთს ებაასებოდნენ. ახალნააბანოვარივით წამოჭახებული სახეები და წვერ-ულვაშის შეჭირხლული ნეჭები ერთმანეთთან ახლო მიჰქონდათ. პირიდან ორთქლის სქელი, ბლანტი ბოლქვები ასდიოდათ და ამ უსაშველო ღრუბლებთან შედარებით საოცრად მცირე და ძუნწი, თითქოს შეყინულიც კი იყო ის ორიოდე სიტყვა, ჟამიდან ჟამად ერთმანეთს რომ გადაუგდებდნენ ხოლმე. ლივერი და ექიმი ბილიკზე შეეჩეხნენ ერთმანეთს.

– აჰა, თქვენა ხართ? სად დაიკარგეთ, რომ აღარ ჩანხართ? ამაღამ ჩემს მიწურში მოხვალთ. ჩემთან გაათევთ ღამეს. ერთი ძველებურად ვიჯეროთ გული მუსაიფით. ახალი ამბავი მაქვს თქვენთვის.

– რაო, შიკრიკი დაბრუნდა? გაიგეთ რამე ვარიკინოზე?

– პატაკში არც ჩემებზეა ნათქვამი რამე და არც თქვენებზე. მაგრამ სწორედ ეგ მამშვიდებს. ესე იგი, დროზე გაუსწრიათ, თორემ უთუოდ მოიხსენიებდნენ. თუმცა ამაზე შეხვედრისას ვილაპარაკოთ. მოკლედ, გელოდებით.

მიწურში ექიმმა კითხვა გაუმეორა:

– მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რა იცით ჩვენი ოჯახების შესახებ? – თქვენ ისევ არ იხედებით საკუთარი ცხვირის იქით. ჩვენები ალბათ ცოცხლები არიან და არა უჭირთ რა. მაგრამ საქმე ამაში როდია. დიდებული ახალი ამბები შევიტყვეთ. არ გინდათ ხორცი? ხბოს ცივი ხორცი მაქვს.

– არა, გმადლობთ. სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ. საქმეზე ვილაპარაკოთ.

– ტყუილად დამიწუნეთ. მე კი შევჭამ. ბანაკში სურავანდი მძვინვარებს, ადამიანებს დაავიწყდათ პური ან მწვანილი რა ფერისაა. სანამ გამოქცეული ქალები აქ იყვნენ, შემოდგომით უფრო ორგანიზებულად უნდა მოგვეკრიფა თხილი და კენკრა. ჰო, იმას ვამბობდი, ჩვენი საქმე დიდებულადაა. ის, რასაც მუდამ ვწინასწარმეტყველებდი, აღსრულდა. ყინული დაიძრა. კოლჩაკი ყველა ფრონტზე უკან იხევს. ეს სრული, სტიქიურად განვითარებული დამარცხებაა. ხედავთ? რას გეუბნებოდით? თქვენ კი ყურები ჩამოყარეთ.

– ყურები როდისღა ჩამოვყარე?

– სულ ეგრე არ იყავით? განსაკუთრებით, როცა ვიცინი გვავიწროებდა.

ექიმს გაახსენდა გასული შემოდგომა, მეამბოხეთა დახვრეტა, პალიხის მიერ საკუთარი ცოლ-შვილის ამოხოცვა, სისხლისღვრა და ხოცვაჟლეტა, რასაც ბოლო არ უჩანდა. ულმობლობასა და სისასტიკეში თეთრები და წითლები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ, ერთის მოქმედებას მეორის პასუხი მოსდევდა, უფრო სასტიკი და ულმობელი. ექიმს სისხლისაგან გული ერეოდა, ყელში ბურთივით ებჯინებოდა, თავში სცემდა და თვალებს უბნელებდა. ეს აღარ იყო ყურების ჩამოყრა, ეს უკვე სრულიად სხვა რამე იყო. არადა, ყოველივე ეს ლივერისათვის როგორ აეხსნა?

მიწურში ნატისუსალის სუნი იდგა. ექიმს იგი სასაზე ეგლისებოდა, ცხვირში და ყელში უღიტინებდა. მიწურს თხელ ფურცლებად დახლეჩილი, რკინის სამფეხა ზედადგარზე დადგმული კვარებით ანათებდნენ, რომელიმე მათგანი რომ ჩაიწვებოდა, ნამწვავი ქვეშ შედგმულ წყლიან ტაშტში ვარდებოდა და ლივერი მის სანაცვლოდ ახალს, ანთებულს დებდა.

– ხედავთ, რასა ვწვავ? ზეთი გამითავდა. ნაკოდალი გავახმობინე, კვარი მალ-მალე იწვის. ჰო, ბანაკში სურავანდია. ხბოს ხორცზე მაინც უარს ამბობთ? სურავანდია. თქვენ კი სადა ხართ ამ დროს, ექიმო? არ

შეიძლება, შტაბი შეკრიბოთ, მდგომარეობა გააშუქოთ, ხელმძღვანელობას სურავანდზე და მასთან ბრძოლის ღონისძიებებზე ლექცია ჩაუტაროთ?

– ღვთის გულისათვის, სული ნუ ამომართვით. ჩვენს ახლობლებზე დანამდვილებით თუ იცით რამე?

– უკვე გითხარით, დანამდვილებით არაფერი ვიცი. მაგრამ ბოლომდე აღარ მითქვამს, რაც უკანასკნელი სამხედრო მონაცემებით შევიტყვე. სამოქალაქო ომი დამთავრდა. კოლჩაკი განადგურებულია. წითელი არმია რკინიგზის გაყოლებით ერეკება მას აღმოსავლეთისაკენ, ზღვაში რომ გადაუძახოს. წითელი არმიის მეორე ნაწილი ჩვენთან შესაერთებლად მოეშურება, რათა გაერთიანებული ძალებით შევუდგეთ მისი მრავალრიცხოვანი, დაქსაქსული ნაწილების მოსპობას. რუსეთის სამხრეთი გაწმენდილია. რატომ არ გიხარიათ? განა ეს ცოტაა?

– მიხარია, როგორ არ მიხარია, მაგრამ ჩვენი ოჯახები სადღა არიან.

– ვარიკინოში არ არიან, და ეს დიდი ბედნიერებაა. კამენოდვორსკის ზაფხულის ლეგენდები, როგორც ვვარაუდობდი, არ დადასტურდა. გახსოვთ, ვარიკინოზე რაღაც გამოუცნობი ეროვნების ხალხის თავდასხმაზე რომ იყო მითქმა-მოთქმა? თუმცა დაბა მაინც მთლიანად დაცარიელდა. იქ, როგორც ეტყობა, მაინც რაღაც მოხდა, და ძალიან კარგია, რომ ორივე ოჯახი წინასწარ გახიზნულა. ვირწმუნოთ, რომ ყველანი გადარჩნენ. ასეთია, ჩემი დაზვერვის სიტყვით, რამდენიმე იქ დარჩენილის ვარაუდი.

– იურიატინი? იქ რაღა მოხდა? ქალაქი ვის ხელშია?

– იქაც რაღაც გაუგებრობაა. უეჭველი შეცდომაა.

– კერძოდ?

– თითქოს იქ ჯერ კიდევ თეთრები არიანო. ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია, აშკარა შეუსაბამობა, რასაც ახლავე დაგიმტკიცებთ.

ლივერიმ ზედადგარში ახალი კვარი ჩადგა, დაჭმუჭნული ორვერსიანი რუკის საჭირო ნაკვეთი ზევით მოაქცია, დანარჩენი მხარეები ქვევიდან ამოუკეცა, ფანქარი მოიმარჯვა და ახსნას შეუდგა.

– შეხედე, ყველა ამ მონაკვეთზე თეთრები უკან არიან გადაყრილები. აი, აქ, აქ და აქ, მთელ წრეში. ყურადღებით მისმენთ?

– დიახ.

– იურიატინის მიმართულებით ისინი ვერ იქნებიან. სხვანაირად, გადაჭრილი კომუნიკაციების პირობებში, უთუოდ ტომარაში მოხვდებიან. ეს არ შეიძლება მათმა გენერლებმაც არ იცოდნენ, როგორი უტვინოებიც არ უნდა იყვნენ. თქვენ რა, ქურქი ჩაიცვით? საით გაგიწევიათ?! – უკაცრავად, სულ ერთი წუთით გავალ. მალე დავბრუნდები. აქ ყველაფერი წეკოს სუნით და კვარის ნამწვითაა გაჟღენთილი, თავს ცუდადა ვგრძნობ. ცოტა ხნით სულს მოვითქვამ სუფთა ჰაერზე. მიწურიდან გარეთ გამოსულმა ექიმმა შესასვლელში ჩამოსაჯდომად დაგდებული მსხვილი ნამორიდან ხელთათმანით თოვლი გადახვეტა, ზედ ჩამოჯდა, წინ წაიხარა, თავს ორივე ხელით დაეყრდნო და ფიქრებში წავიდა. თითქოს ირგვლივ აღარც ზამთრის თოვლში ჩაფლული ტაიგა იყო, არც ტყის ბანაკი და აღარც პარტიზანებთან გატარებული თვრამეტი თვე. მათი არსებობაც კი დაავიწყდა. გონებაში მხოლოდ ახლობელთა სახეები უტრიალებდა. ერთიმეორეზე უარესი ფიქრი აეკვიატა. აი, ტონია მოდის ქარბუქში და ხელში შურაჩკა უჭირავს. ბიჭს საბანში ფუთნის, თვითონ კი ფეხები თოვლში ეფლობა. რის ვაი-ვაგლახით თოვლიდან ამობობღდება, მაგრამ ქარი კვლავ აქცევს. ქალი ეცემა და ისევ დგება. ღონე წართმევია, მუხლი ეკვეთება. უჰ, სულ მუდამ ავიწყდება, სულ ავიწყდება. მას ხომ ორი ბავშვი ჰყავს და პატარას აწოვებს ძუძუს. ორივე ხელი დაკავებული აქვს, როგორც დარდისა და ვაებისაგან გონწართმეულ ჩილიმკელ ლტოლვილ ქალებს.

ორივე ხელი დაკავებული აქვს, მაგრამ ირგვლივ კაცი არ არის, რომ მიეშველოს. არავინ იცის, შურაჩკას მამა სადღაა. იგი შორსაა, მუდამ შორსაა, თავისი დღე და მოსწრება სულ სადღაცაა, ბოლოს და ბოლოს მამაა ვითომ? განა ნამდვილი მამები ასეთები არიან? სად არის ალექსანდრ ალექსანდროვიჩი? სად არის ნიუშა? სად არიან დანარჩენები?

უმჯობესია, საკუთარ თავს ასეთი კითხვები არ დაუსვას, უმჯობესია, არ იფიქროს, სჯობს არ გაიგოს.

ექიმი წამოდგა ნამორიდან და უკან უნდოდა მიწურში ჩასვლა. უეცრად მისმა ფიქრებმა სულ სხვა მიმართულება მიიღეს. ლივერისთან დაბრუნება გადაიფიქრა.

თხილამურები, ორცხობილათი სავსე ტომარა და გაქცევისათვის საჭირო ყველა სხვა ნივთი კარგა ხნის წინათ ჰქონდა მომარაგებული. ყველაფერი ბანაკის საყარაულო ხანის იქით დამალა თოვლში, ერთი დიდი სოჭის ძირში. რომ არ შეშლოდა, ცულით ზედ ნაჭდევიც გაუკეთა. ნამქერში გატკეპნილი ბილიკით სწორედ იქით გაემართა. ნათელი ღამე იყო. სავსე მთვარე ანათებდა. ექიმმა იცოდა, სად იდგნენ ღამის გუშაგები და იოლად აუარა მათ გვერდი. მაგრამ გაყინულ ცირცელთან გუშაგმა მაინც შეამჩნია, შორიდანვე შეუძახა და გაქანებული თხილამურებით მიუახლოვდა.

– შესდექ! გესვრი! ვინა ხარ? ნიშანი მითხარი.

– რა იყო, ძამია, ხომ არ გადაირიე? შენიანი ვარ, ვერ მიცანი? თქვენი ექიმი ჟივაგო ვარ.

– ბოდიშს გიხდი! არ გამიჯავრდე, ამხანაგო ჟელვაკო. ვერ გიცანი. მაგრამ თუნდაც ჟელვაკი იყო, იქით აღარ გაგიშვებ. ყველაფერს თავისი წესი აქვს.

– რომელ წესზე მელაპარაკები? პაროლი „წითელი ციმბირია”, პასუხი – „ძირს ინტერვენტები”.

– ეს უკვე სხვა საქმეა. საითაც გინდა, იქით წადი. ამ შუაღამისას რა ეშმაკებს ასდევნებიხარ? ავადმყოფებთან მიდიხარ?

– არ მეძინება და მომწყურდა კიდეც. ვიფიქრე, მოდი გავივლი, ცოტა თოვლს გადავყლაპავ-მეთქი. ის ცირცელი დავინახე. ვიცი, შეყინული კენკრა ექნება. ჰოდა, მივალ, ცოტას გავღეჭავ.

– ესეც შენი ბატონკაცური ახირება! ამას არ უყურებ? შუა ზამთარში

კენკრა მომინდომა. სამი წელია, ჭკუას გასწავლით, მაინც ვერაფერი შეგასმინეთ. არავითარი შეგნება!... წადი იმ შენ ცირცელთან, ტუტუცო. მენანება თუ რა?

გუშაგი თავისი გრძელი, შრიალა თხილამურებით გაუკვალავ თოვლზე ისეთივე სისწრაფით გაქანდა, როგორც მოვიდა, და მალე შეთხელებული თმასავით გამეჩხერებულ ზამთრის ბუჩქნარში თვალს მიეფარა. ექიმი კი იმავე ბილიკს გაუყვა და ცირცელთან მივიდა.

იგი სანახევროდ თოვლში იყო ჩაფლული, სანახევროდ კი თავს შეყინული ფოთლებით და ნაყოფით იწონებდა. წინ წამოშვერილი ორი დათოვლილი ტოტი თითქოს მასთან შესახვედრად გამოეშალა. ლარას დიდი, თეთრი, მრგვალი და ბარაქიანი ხელები გაახსენდა, ტოტებს ხელი ჩაავლო და მთელი ხე თავისკენ მიიზიდა. თითქოს საპასუხოდ შეინძრაო, ცირცელმა თავით ფეხამდე თოვლი დააფრქვია. იური ანდრეევიჩი კი თავდავიწყებით ებუტბუტებოდა და თვითონაც არ იცოდა, რას ამბობდა:

– უთუოდ გნახავ, ჩემო კალმით ნახატო, ჩემო ცირცელის დედოფალო, ჩემო ლამაზო ციცინათელავ.

ნათელი ღამე იყო. მთვარე ანათებდა. ექიმი ტაიგის სიღრმეში შევიდა, სანუკვარ სოჭთან მივიდა. თოვლიდან თავისი ნივთები ამოიღო და ბანაკს ზურგი აქცია.

ნაწილი მეცამეტე

ჩუქურთმიანი სახლის პირისპირ

1

უსწორმასწორო გორაკიდან მალაია სპასსკაიას ქუჩისა და ნოვოსვალოჩნის გამზირისაკენ დიდი სავაჭრო ქუჩა ეშვებოდა. მასზე ქალაქის ყველაზე მაღალი სახლები და ეკლესიები იყო აღმართული.

კუთხეში იდგა მუქი ნაცრისფერი ჩუქურთმიანი სახლი. მისი ირიბად დახრილი საძირკვლის უზარმაზარ ქოშაქვებზე შავად მოჩანდნენ ახლად გაკრული სამთავრობო გაზეთების ნომრები, მთავრობის დეკრეტები და დადგენილებები. გამვლელთა პატარ-პატარა ჯგუფები ტროტუარზე დიდი ხნით ჩერდებოდნენ და საჯაროდ გამოფენილ ლიტერატურას მდუმარედ კითხულობდნენ.

ის იყო ჩამოთბა და ახლა მშრალი ამინდი იდგა. ყინვა თანდათან მატულობდა. დღემ მოიმატა. ზამთარი ახალი გასული იყო. მოხალვათებულ ადგილს სინათლე ავსებდა, რომელსაც იქაურობა საღამოობითაც არ ეთმობოდა. იგი კაცის გულს აღელვებდა, შორს უხმობდა, აშინებდა და აფაციცებდა.

ცოტა ხნის წინათ თეთრებმა ქალაქი წითლებს ჩააბარეს და მის შემოგარენს გაეცალნენ. ბოლო მოეღო სროლას, სისხლისღვრას, საომარ განგაშებს. ზამთრის წასვლასთან და გაზაფხულის დღის ზრდასთან ერთად ესეც შიშსა და ძრწოლას თესავდა.

უწყებებში, რომელთაც გამვლელები მომატებული დღის სინათლეზე კითხულობდნენ, ნათქვამი იყო:

„მოსახლეობის საყურადღებოდ. შეძლებულთათვის სამუშაო წიგნაკები ცალი 50 მანეთად გაიცემა იურსაბჭოს სურსათგანში, ოქტომბრის, ყოფილი გენერალ-გუბერნატორის 5, ოთახი 137.

ის პირნი, რომელთაც სამუშაო წიგნაკი არ აღმოაჩნდებათ ან მას არასწორად, მითუმეტეს, დამახინჯებით შეავსებენ, საომარი ვითარების შესაბამისად, მთელი სიმკაცრით დაისჯებიან. სამუშაო წიგნაკების ზუსტი ინსტრუქცია გამოქვეყნებულია ამა წლის ს.ს.ს.კ. №86(1013)-ში და

გამოკრულია იურსაბჭოს სურსათგანში, ოთახი №137”.

მეორე განცხადება ქალაქში არსებული სასურსათო მარაგის საკმარისობაზე იუწყებოდა, რომელსაც, თურმე ნუ იტყვით, მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზია მალავდა, რათა მისი განაწილება ჩაეშალა და სასურსათო საქმეშიც ქაოსი დაეთესა. განცხადება შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა:

„სასურსათო მარაგის შენახვასა და გადამალვაში მხილებული პირნი ადგილზევე დაიხვრიტებიან”.

მესამე განცხადება მკითხველს სთავაზობდა:

„სასურსათო საკითხის სწორად გადაჭრის მიზნით არაექსპლოატატორული ელემენტები უნდა გაერთიანდნენ მომხმარებელთა კომუნებში. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება იურსაბჭოს სურსათგანში, ოქტომბრის, ყოფილი გენერალ-გუბერნატორის 5, ოთახი 137”.

სამხედროებს აფრთხილებდნენ:

„ის პირნი, რომელთაც იარაღი არ ჩაუბარებიათ ან მას ახალი ნიმუშის შესაბამისი ნებართვის გარეშე ატარებენ, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან. ძველი ნებართვების ახლით შეცვლა წარმოებს იურრევკომში, ოქტომბრის 6, ოთახი 63”.

2

მკითხველთა ჯგუფს გაძვალტყავებული, დიდი ხნის დაუბანლობით ჩაშავებული, გაველურებული გარეგნობის აბგიანი და ხელჯოხიანი კაცი მიუახლოვდა. მეტისმეტად ჩამოზრდილ თმაში თეთრი არ ერია, მუქი ქერა წვერი კი უკვე შესჭაღარავებოდა. ექიმი ჟივაგო იყო. ქურქი ალბათ გზაში გახადეს, ანდა იქნებ სულაც ლუკმაპურში გადაცვალა. სხვისი ნაქონი, გაქექილი უსახელო ჯუბა ეცვა, რომელიც ოდნავაც ვერ ათბობდა.

აბგაში მახლობელ სოფელში აქეთობას ჩამოთხოვნილი პურის ყუა და ქონის ნაჭერი ეგდო. ერთი საათი იყო, რაც იურიატინში რკინიგზის

მხრიდან შემოვიდა. უკანასკნელ დღეებში ისე იყო მისავათებული, ქალაქის ჭიშკრიდან ამ გზაჯვარედინამდე მოსაღოღებლად მთელი საათი დასჭირდა. წამდაუწუმ ჩერდებოდა, თავს ძლივს იკავებდა, რომ მიწაზე არ დამხობილიყო და სათითაოდ არ დაეკოცნა ქალაქის ქვები. აქაურობის ნახვის იმედი საბოლოოდ ჰქონდა გადაწურული და ახლა ამ მიდამოებს სანუკვარ არსებასავით შესიციცინებდა.

ძალიან დიდხანს მოდიოდა. მთელი გზა ფეხით იწანწალა და სანახევროდ ლიანდაგებს მოუყვებოდა. რკინიგზა ერთიანად გაუკაცრიელებულიყო და უმოქმედოდ მიტოვებულს თოვლი ჰფარავდა. გზაზე თეთრგვარდიელთა ბევრ სამგზავრო თუ საბარგო მატარებელს გადაეყარა, თოვლის ნამქერების, კოლჩაკის დამარცხებისა და საწვავის გამოლევის გამოისობით ვეღარსად წასულიყვნენ. შუა გზაში გაჩხირული, სამარადჟამოდ გაჭედილი და თოვლქვეშ ჩამარხული მატარებლების თითქმის უწყვეტი მწკრივი ათობით ვერსზე გაჭიმულიყო. ისინი ერთდროულად კბილებამდე შეიარაღებული შარაგზის ყაჩაღების ციხე-დარბაზებიც იყვნენ და სისხლის სამართლის დამნაშავეების, პოლიტიკური ლტოლვილების თუ იმჟამინდელი სხვა უნებური მაწანწალების თავშესაფრებიც. მეტიც, ისინი იყვნენ ყინვისგან და რკინიგზის გაყოლებით გამძვინვარებული, ახლომახლო სოფლების დედაბუდიანად ამომწყვეტი პარტახტიანი ტიფისაგან მუსრგავლებულთა საძმო სასაფლაოები და საერთო საძვალეები.

ამ დრომ გაამართლა ძველი ანდაზა: ადამიანი ადამიანისათვის მგელიაო. მგზავრი მგზავრს ერიდებოდა, გზად მიმავალი შემხვედრს ჰკლავდა, ემანდ არ დამასწროს და სიცოცხლეს არ გამომასალმოსო. კაცთმოყვარეობის კანონებს ყავლი გაუვიდათ. აქა-იქ კაციჭამიობასაც კი მიჰყვეს ხელი. მხეცურმა საწყისმა იძალა. ადამიანები გამოქვაბულის ხანის მოჩვენებებით იტანჯებოდნენ.

ბილიკებზე ხანდახან სადღაც შორს შეშინებული ლანდები გადარ-

ბოდნენ. იური ანდრეევიჩიც, როგორც შეეძლო, ერიდებოდა მათ, საგულ-დაგულოდ შორიდან უვლიდა. ხშირად ეჩვენებოდა, ნაცნობებია, სადღაც მინახავსო. რატომღაც თვლიდა, ყველანი პარტიზანთა ბანაკიდან არიანო. რაღა თქმა უნდა, უფრო ხშირად ცდებოდა, მაგრამ ერთხელ თვალმა არ მოატყუა. თოვლის მთიდან, რომლის ქვეშ საერთაშორისო საძილე ვაგონი იყო ჩამარხული, ვიღაც ბიჭი გამოძვრა, საჭირო საქმე მოითავა და ისევ ნამქერში გაუჩინარდა. უეჭველად ტყის ძმებიდან უნდა ყოფილიყო. ვითომ დახვრეტილი ტერენტი გალუზინი გამოდგა. თურმე იმ ავადმოსაგონარ დღეს დაიჭრა, მაგრამ ბოლომდე აღარ დაუცხრილავთ. დიდხანს ეგდო გულწასული. მერე გონს მოვიდა, სასაკლაოს ხოხვით გაშორდა, ერთხანს ტყეებში იმალებოდა, ჭრილობებს იშუბებდა. ახლა სხვისი გვარით მიდიოდა კრესტოვოზდვიჟენსკში თავისიანებთან და გზადაგზა გამვლელ-გამომვლელს თოვლში ჩაფლულ მატარებლებში ემალებოდა.

ეს სურათები და სანახაობები რაღაც არაამქვეყნიურის, განყენებულის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ისინი დედამიწაზე შეცდომით მოვლენილი რომელიღაც იდუმალი, არამიწიური არსებობის ნაწილაკებს წაგავდნენ. მარტოოდენ ბუნება იყო ისტორიის ერთგული და თვალს ისე წარმოუდგებოდა, როგორც უახლესი დროის მხატვრები ხატავენ.

ზამთრის წყნარი, ღია ნაცრისფერი, მუქი ვარდისფერი საღამოები იყო. დაისის ცაზე არყის ხეების შავი, გაკრული ხელით ნაწერივით წვრილი კენწეროები იკვეთებოდა. მსუბუქი ყინვის ნაცრისფერი კვამლის ქვეშ, თეთრ მთებად დადგმული, ქვევიდან მდინარის რუხი წყლით დამბალი თოვლის წიაღში შავი ნაკადულები მოჩუხჩუხებდნენ. და აი, ერთიორი საათის შემდეგ იურიატინში, ჩუქურთმიანი სახლის პირდაპირ ასეთი ცივი, ღია ნაცრისფერი, ტირიფის ბუსუსივით გულჩვილი საღამო უნდა დამდგარიყო.

სახელმწიფო უწყებების გასაცნობად ექიმი სახლის ქვის კედელზე მიმაგრებულ ცენტროპეჩატის დაფასთან მივიდა. მაგრამ თვალი წარამარა

საპირისპირო მხარეს მდებარე სახლის მეორე სართულის რამდენიმე ფანჯრისკენ გაურბოდა. ოდესღაც ეს ფანჯრები ცარცით იყო შეთეთრებული. მათ მიღმა მოთავსებულ ორ ოთახში სახლის პატრონის ავეჯი ეწყო. თუმცა ყინვას ფანჯრის ძირებზე ბროლის თხელი ფირფიტები გადაეკრა, მაინც ჩანდა, რომ მინებიდან ცარცი ჩამოერეცხათ და ახლა ისინი გამჭვირვალენი იყვნენ. ნეტავ ეს ცვლილება რას ნიშნავდა? ნუთუ პატრონები დაბრუნდნენ? ან იქნებ ლარა სადღაც წავიდა, ბინაში სხვები ცხოვრობდნენ და ახლა იქ ყველაფერი სხვანაირად იყო?

ექიმს გაურკვევლობა აწვალებდა. მღელვარებას ვერ იოკებდა. ქუჩა გადაჭრა, სადარბაზოდან წინკარში შევიდა, ნაცნობსა და მისთვის ესოდენ ძვირფას საპარადო კიბეებს აუყვა. რა ხშირად აგონდებოდა ხოლმე ტყის ბანაკში ამ კიბეების თუჯისაგან ჩამოსხმული საფეხურების ცხაურა ნაყშის თითოეული ხვეული! აღმა მიმავალი კიბის რომელიღაც მოსახვევში, ფეხებქვეშ, იმ ცხაურებში კიბის ქვეშ მიყრილი უვარგისი ვედროები, ტაშტები და დამტვრეული სკამები ეყარა. ახლაც ასე იყო. არაფერი შეცვლილიყო, ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა. ექიმი მადლიერი იყო, ის კიბე ეგრერიგად ერთგული რომ იყო წარსულისა.

ოდესღაც კარს ზარი ჰქონდა, მაგრამ ადრე, ექიმის ტყეში დატყვევებამდე გაფუჭდა და აღარ მუშაობდა. კარზე დაკაკუნება უნდოდა, მაგრამ შენიშნა, იგი ახლებურად, დაკიდებული მძიმე ბოქლომით იყო დაკეტილი, რომელიც ძველებურ, მშვენივრად მოპირკეთებულ და ალაგ-ალაგ საღებავაცვენილ მუხის კარებში უხეშად მიჭედებულ რგოლებში იყო გაყრილი. წინათ ასეთ ბარბაროსობას არ სჩადიოდნენ. კარში ჩასასმელ კლიტეებს იყენებდნენ. ისინი კარგად იკეტებოდა, მაგრამ თუ მაინც გაფუჭდებოდა, ქალაქში ზეინკლებს რა გამოლევდა. ეს უმნიშვნელო წვრილმანი თავისებურად მეტყველებდა მდგომარეობის საერთო, მნიშვნელოვან გართულებაზე.

ექიმი დარწმუნებული იყო, რომ ლარა და კატენკა არც სახლში იყ-

ვნენ, არც იურიატინში და, შესაძლოა, აღარც ამქვეყნად. იგი იმედის ყველაზე საშინელი გაცრუებისთვისაც კი მზად იყო. მარტო ნამუსის მოსაწმენდად გადაწყვიტა იმ ხვრელში მოეფათურებინა ხელი, ის და კატენკა ეგრერიგად რომ უფრთხოდნენ. ხელში ვირთხა რომ არ შერჩენოდა, ფეხით კედელს მიუბრახუნა. დათქმულ ადგილზე რაიმეს პოვნის იმედის ნასახიც კი არ შერჩენოდა. ხვრელი აგურით იყო დაგმანული. იური ანდრეევიჩმა აგური გამოიღო, ღრმულში შეყო ხელი და აი, სასწაული! გასაღები და ბარათი დახვდა. ბარათი დიდ ფურცელზე დაეწერათ და საკმაოდ ვრცელი იყო. ექიმი კიბის ბაქნის ფანჯარას მიუახლოვდა და უფრო დიდი, დაუჯერებელი სასწაულის მოწმე შეიქნა! ბარათი მისთვის იყო მიწერილი! გულისფანცქალით სასწრაფოდ ჩაიკითხა:

„ღმერთო დიდებულო, რა ბედნიერებაა! შენზე ამბობენ, ცოცხალია და გამოჩნდაო. ქალაქის შემოგარენში უნახიხართ, მოირბინეს და ყველაფერი მითხრეს. ვიცი, უწინარესად ვარიკინოს მიაშურებ და ამიტომ მე და კატენკა იქით მივდივართ. ყოველი შემთხვევისათვის, გასაღებს ძველ ადგილზე ვტოვებთ. არსად წახვიდე, ვიდრე ჩამოვალ, დამელოდე. ჰო, არ გეცოდინება, მე ახლა ბინის წინა ნაწილში, ქუჩის მხარეს რომ ოთახებია, იქა ვსახლობ. თუმცა თავად მიხვდები. ვეებერთელა სახლია, შიგ იმოდენა სიცარიელეა, პატრონის ავეჯის ნაწილის გაყიდვა მომიხდა. ცოტაოდენი საჭმელი დაგიტოვე, ძირითადად, მოხარშული კარტოფილი. ვირთხებისაგან დასაცავად ქვაბის სახურავს ზევიდან უთო ან სხვა სიმძიმე დაადე. სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდე”.

ბარათის წინა მხარე ამით თავდებოდა. ექიმმა ყურადღება აღარ მიაქცია, რომ ქაღალდზე მეორე მხრიდანაც იყო ნაწერი. ხელისგულზე დადებული ფურცელი ტუჩებთან მიიტანა, მერე ზედ არც კი დაუხედავს, დაკეცა და გასაღებთან ერთად ჯიბეში ჩაიდო. მის თავბრუდამსხვევ სიხარულს საშინელი ტკივილიც შეერია. რაკი ვარიკინოში ჯიქურად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე წავიდა, მაშ მისი ოჯახი იქ არ ყოფილა. თავისიანებზე დარდი და ვარამი ისედაც გულს უღრღნიდა. ლარა მათზე

სიტყვასაც არ სძრავდა, თითქოს ამქვეყნად არც არსებობდნენ. თუმცა ფიქრის დროც აღარ იყო. საცა იყო დაბინდდებოდა. სანამ დღე იყო; ბევრი საქმე უნდა მოესწრო. ქუჩაში გამოკრული დეკრეტების გაცნობის გადადებაც აღარ ეგებოდა. ავი დრო იდგა. შეიძლებოდა არცოდნის გამო რომელიმე აუცილებელი დადგენილების შეუსრულებლობა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. არც ბინის კარი გაუღია და აღარც ზურგზე მოგდებული აბგა ჩამოუღია, ისე გავიდა ქუჩაში და ნაირნაირი განცხადებებით აჭრელებულ კედელს მიადგა.

3

კედელზე საგაზეთო სტატიები, სხდომებზე წარმოთქმული სიტყვების შინაარსი და დეკრეტები იყო გამოკრული. იური ანდრეევიჩი ნაჩქარევად კითხულობდა სათაურებს. „მქონებელი კლასების რეკვიზიციისა და დაბეგვრის შესახებ. მუშათა კონტროლის შესახებ. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების შესახებ". ეს წინანდელი წესების ნაცვლად ქალაქში შემოსული ახალი ხელისუფლების განკარგულებები იყო. ამით იგი ხალხს თავისი საფუძვლების ურყევობას ახსენებდა, რომელიც, შესაძლოა, მცხოვრებთ თეთრების დროებითი მმართველობის დროს მივიწყებულიც ჰქონდათ. იური ანდრეევიჩს გაუთავებელი ერთფეროვანი გამეორებების გამო თავბრუ ესხმოდა. რომელ წელს ეკუთვნოდნენ ეს სათაურები? ან ეს წარწერები როდინდელი იყო? შარშანდელი? შარშანწინდელი? ერთად-ერთხელ იყო ცხოვრებაში ამ ენის სიმკვეთრით და აზრის პირდაპირობით აღტაცებული. ნუთუ ამ გაუფრთხილებელი აღტაცების გამო უნდა ზღოს იმით, რომ ცხოვრებაში აღარასოდეს აღარაფერი ნახოს, გარდა მრავალი წლის განმავლობაში შეუცვლელი, შეშლილი ღრიალისა და მოთხოვნებისა, რომლებიც, რაც დრო გადის, მით უფრო არაამქვეყნიური, გაუგებარი და შეუსრულებელია? ნუთუ წუთიერად გამოვლენილი მეტისმეტი თანალმობით თავი საუკუნო მონობაში ჩაიგდო?

ხელთ საიდანღაც ამოფლეთილი ნაგლეჯი ჩაუვარდა. შიგ ამოიკითხა: „ცნობები შიმშილის შესახებ ადგილობრივი ორგანიზაციების წარმოუდგენელ უმოქმედობაზე მეტყველებენ. ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები აშკარაა, სპეკულაციამ საზარელი სახე მიიღო, მაგრამ რა იღონა ადგილობრივ პროფორგთა ბიურომ, რა გააკეთეს საქალაქო და სამხარეო ფაბრქარხკომებმა? სანამ იურიატინი – საბარგოს პაკჰაუზებში, იურიატინი-რაზვილიეს და რაზვილიე-რიბალკის მონაკვეთში მასობრივ ჩხრეკას არ მოვაწყობთ, სანამ სპეკულანტების ადგილზე დახვრეტამდეც კი ტერორის უმკაცრეს ზომებს არ მივმართავთ, შიმშილისაგან საშველი არ იქნება”.

„რა შესაშური სიბრმავეა! – ფიქრობდა ექიმი. – რომელ პურზეა ლაპარაკი, როცა კარგა ხანია ის ბუნებაშიც კი აღარ მოიპოვება? რომელ მქონებელ კლასებზე, რომელ სპეკულანტებზე გაჰყვირიან, როცა ისინი წინა დეკრეტების აზრით დიდი ხანია მოსპობილნი არიან? რომელ გლეხებზე, რომელ სოფლებზე ჩასჩიჩინებენ ხალხს, როცა არც ერთი აღარ არსებობს? რა იოლად დავიწყნიათ საკუთარი წინასწარდასახულობანი და ის ღონისძიებები, რომელთაც დიდი ხანია ცხოვრებაში ქვა ქვაზე აღარ დატოვეს! ვინ უნდა იყოს ადამიანი, რომ წლითიწლობით ასე პირზე დუჟმორეული, ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდეს არარსებულ, დიდი ხნის წინათ გამქრალ თემებზე და არაფერი იცოდეს, არაფერს ხედავდეს გარშემო?“

ექიმს თავბრუ დაესხა. გრძნობა დაკარგა და გულწასულმა ტროტუარზევე ჩაიკეცა. გონს რომ მოვიდა, წამოდგომაში ეშველებოდნენ და „სად მიგიყვანოთო”, ეკითხებოდნენ. „გმადლობთო, – იუარა, – ნუ შეწუხდებით, აქვე ვცხოვრობ, გზის გადაღმაო.“

4

კიდევ ერთხელ ავიდა კიბეზე და ლარას ბინის გაღება დაიწყო. კიბის

ბაქანზე ჯერ კიდევ სინათლე იყო, არანაკლები, ვიდრე წინა ამოსვლისას. მადლიერი სიხარულით შენიშნა, რომ მზე არ აჩქარებდა.

კარის ჭრიალზე შიგნით უსაშველო ალიაქოთი ატყდა. გამოცარიელებული ბინა თითქოს საიდანღაც ჩამოცვენილი, ძირს დანარცხებული თუნუქის ნაჭრების ჟღარუნითა და ჟღრიალით შეხვდა. იატაკზე ტევა არ იყო, უამრავი ვირთხა ირეოდა და აქეთ-იქით მიმორბოდა. ექიმს უამურად გააჟრჟოლა, უმწეობამ დარია ხელი. ეტყობა იბარტყა ამ სისაძაგლემ და მთელ ბინაში ასეთი ფუთფუთი იყო.

რადაც არ უნდა დასჯდომოდა, პირველ რიგში ამ შემოსევისაგან უნდა დაეცვა თავი. საძილედ ისეთი ოთახი უნდა შეერჩია, რომელიც კარგად დაიკეტებოდა, ვირთხის სოროები კი შუშის ნამტვრევებით და რკინის ნაჭრებით საგულდაგულოდ ამოეტენა.

წინკარიდან მარცხნივ, ბინის უცნობ ნაწილში შევიდა. ჩაბნელებული შუა ოთახი გაიარა და ნათელ ოთახში აღმოჩნდა. აქედან ქუჩას ორი ფანჯარა გადაჰყურებდა. ფანჯრების პირდაპირ, ქუჩის გადაღმა ჩაშავებული ჩუქურთმებიანი სახლი გაყურსულიყო. ქვევით, მის კედლებზე გაზეთები იყო გამოკრული, ლანდად ქცეული გამვლელები კი იდგნენ და კითხულობდნენ.

ოთახშიც და გარეთაც ერთნაირი სინათლე იყო, ადრიანი გაზაფხულის მოცახცახე, გაუბედავი სინათლე. ეს ერთიანობა იმდენად თვალში საცემი გახლდათ, თითქოს ოთახი არც კი იყო ქუჩიდან გამოყოფილი. მხოლოდ ერთადერთი სხვაობა იყო. ლარას საძილე ოთახში, სადაც იური ანდრეევიჩი იდგა, უფრო ციოდა, ვიდრე გარეთ, სავაჭრო ქუჩაზე. ქალაქს რომ უახლოვდებოდა, ორიოდე საათის წინ თავისი უილაჯობა და სისუსტე მოახლოებულ ავადმყოფობად ენიშნა და შეშინდა.

ახლა სახლში და გარეთ ჩამომდგარი ერთნაირი სინათლე ასევე უმიზეზოდ ახარებდა. ეზოში და საცხოვრისშიც ჰაერის ერთი და იგივე ცივი სვეტი იყო აღმართული და ესეც საღამოს ქუჩაში გამვლელებთან, ქა-

ლაქში გამეფებულ განწყობილებასთან, მთელ ქვეყნიერებაზე ფესვგადგმულ ცხოვრებასთან აახლოებდა. შიში გაუქარწყლდა. ავადმყოფობაზე აღარც კი ფიქრობდა. გაზაფხულის ყველგან გამჭოლი, საღამური გამჭვირვალება შორეული და უხვი იმედების საწინდრად ესახებოდა.

და, ყოველივეს ეშველებოდა, ცხოვრებაშიც ყველაფერს შეძლებდა, ყველას მოძებნიდა, შეარიგებდა, ყველაფერს აწონ-დაწონიდა და გამოთქვამდა. ლარასთან შეხვედრის სიხარულიც ყოველივე ამის უახლოეს დადასტურებად ეჩვენებოდა.

წინანდელი დათრგუნულობა დაუცხრომელი აღგზნებით და დაუოკებელი ფუსფუსით შეეცვალა. ეს სიკისკასე ავადმყოფობის უფრო ნაღდი ნიშანი იყო, ვიდრე ადრინდელი დაძაბუნება. ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. გული ისევ ქუჩისკენ მიუწევდა და აი, რატომ.

ვიდრე საბოლოოდ აქ დაიდებდა ბინას, თმის შეკრეჭა და წვერის გაპარსვა უნდოდა. ქალაქზე გამოვლისას ყოფილ საპარიკმახეროთა ვიტრინებსაც ამ მიზნით ათვალიერებდა. შენობათა ნაწილი ცარიელი იყო ან სხვა საქმეს ემსახურებოდა, სხვებს კი, რომელთაც ჯერ არ განეცადათ ფერისცვალება, კარებზე დიდრონი ბოქლომები ეკიდათ. კაცი თმა-წვერს ვერსად შეისწორებდა. სამართებელი იური ანდრეევიჩს არ გააჩნდა. ლარას რომ სადმე მაკრატელი აღმოსჩენოდა, მის გაჭირვებას წაადგებოდა. გულაჩქროლებულმა მისი სამკაულების მაგიდა ერთიანად გადააქოთა, მაგრამ მაკრატლის კვალს ვერსად მიაგნო.

გაახსენდა, რომ მალაია სპასსკაიას ქუჩაზე ოდესღაც სამკერვალო იყო. თუ ის სახელოსნო ისევ ბოგინობს და მკერავებიც აქამდე შერჩნენ სამუშაოს, ეგებ მივასწრო დაკეტვამდე და რომელიმე ოსტატს ვთხოვო მაკრატელი, ვინძლო არ დამამადლოსო, გაიფიქრა და ხელმეორედ გავიდა ქუჩაში.

5

მეხსიერებას არ უმტყუნია. სამკერვალო მართლაც ძველ ადგილზე დახვდა, შიგ მუშაობდნენ. სახელოსნო სავაჭრო შენობის პირველ სართულზე, ტროტუარის დონეზე იყო მოთავსებული. მთელი კედელი სავიტრინო ფანჯარას ეჭირა და შესასვლელიც ქუჩის მხრიდან ჰქონდა. ფანჯრიდან მოპირდაპირე კედლამდე ყველაფერი ჩანდა, ისე რომ, ხელოსნები გამვლელ-გამომვლელთა თვალწინ მუშაობდნენ.

ოთახში საშინელი სივიწროვე იყო. ეტყობოდა, ნამდვილ მკერავებთან ერთად ჩუქურთმიანი სახლის კედელზე გამოკრულ დეკრეტში მოხსენიებული შრომის წიგნაკის მისაღებად სამუშაოზე ახალფეხადგმული მკერავები და იურიატინის საზოგადოების სიბერეში წასული მანდილოსნებიც მოწყობილიყვნენ.

ხელმარდი მკერავებისაგან ისინი აშკარად განირჩეოდნენ. სამკერვალოში მხოლოდ სამხედრო დაბამბულ შარვლებს, დალიანდაგებულ ჯუბებს და ქურთუკებს ჰკერავდნენ ან ძაღლის ნაირ-ნაირი ტყავიდან სასაცილო ფორმის ტყაპუჭებს ბლანდავდნენ, რომელთა მსგავსიც იური ანდრეევიჩს პარტიზანთა ბანაკშიც ბლომად ენახა. ახალბედა მკერავები მოუქნელი თითებით უმარჯვებდნენ საკერავი მანქანების ნემსებს კალთების შემოსატეხ ბოლოებს და სანახევროდ საჭომო საქმეს ძლივძლივობით უთავდებოდნენ.

იური ანდრეევიჩმა ფანჯარაზე მიუკაკუნა და ხელით ანიშნა, შემომიშვითო. ასეთივე მოძრაობით ანიშნეს, კერძო პირებისაგან შეკვეთებს არ ვიღებთო. იური ანდრეევიჩი არ ეშვებოდა, ისევ და ისევ ანიშნებდა, შემომიშვით, სათქმელი მაქვს და მომისმინეთო. შიგნით მყოფებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, გვეჩქარება, თავი დაგვანებე, შენს საქმეს მიხედეო. ერთ ხელოსანს სახეზე შეეტყო, რომ ვერაფერიც ვერ გაიგო. გაჯავრებულმა ხელი გამოშალა. თვალებით ეკითხებოდა, მაინც რა გინ-

დაო, იური ანდრეევიჩმა ორი თითით, სალოკით და შუა თითით მაკრატ-ლის მოძრაობა უჩვენა. მაინც ვერაფერი გაუგეს. იფიქრეს, ვიღაც მოცლილია, გველაზღანდარება, რაღაც უხამსობას გვანიშნებსო. შემოგლეჯილი ტანისამოსით და უცნაური საქციელით ექიმი მართლაც ავადმყოფის თუ შეშლილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სახელოსნოში ხითხითებდნენ, ერთიმეორეს თვალს უკრავდნენ და ხელს უქნევდნენ, აქედან დაგვეკარგეო. ბოლოს იური ანდრეევიჩმა იაზრა, უმჯობესია ეზოდან შემოვუარო და უკანა მხრიდან შევიდეო. როგორც იყო, ის კუტი კარიც მოძებნა და დაუკაკუნა.

6

კარი ხნიერმა, თალხით მოსილმა შავგვრემანმა ქალმა გაუღო. მკაცრი სახე ჰქონდა. შესაძლოა, სამკერვალოში უფროსობდა კიდეც.

– რას გადაგვეკიდა ეს კაცი! ნეტავ ასეთი რა დავაშავეთ. ჩქარა თქვით, რა გნებავთ?

– ნუ გაგიკვირდებათ, ქალბატონო მაკრატელი მინდა. ერთი წუთით მათხოვეთ, თუ შეიძლება. აქვე, თქვენს თვალწინ შევიკრეჭ წვერს და მადლობით დაგიბრუნებთ.

მკერავს თვალებში უნდო გაკვირვება შეეტყო. აშკარა იყო, მოსაუბრის გონებრივ წონასწორობაში ეჭვი ეპარებოდა.

– შორიდან მოვდივარ. ქალაქში ახლახან შემოვედი, თმა-წვერი წამომეზარდა. მინდოდა შემესწორებინა. სადალაქოს ვერსად მივაგენი. აი ამიტომ, თუ ნებას მომცემთ, მე თვითონ მოვახერხებ, ოღონდ მაკრატელი არა მაქვს. მათხოვეთ, გეთაყვა.

– კარგი, მე თვითონ გაგკრეჭთ. ოღონდ იცოდეთ, თუ რაღაც სხვა გაქვთ გუნებაში, რაიმე ეშმაკობა, გარეგნობის შეცვლა ან სხვა რამ პოლიტიკური, ნუ დაგვემდურებით, თქვენი გულისთვის თავს არ გავწი-

რავთ, სადაც ჯერ არს, იქ მიგაბრძანებთ. ახლა სხვა დროა. – როგორ გეკადრებათ, ქალბატონო!

მკერავმა ექიმი შეუშვა და საკუჭნაოს ოდენა გვერდით ოთახში გაიყვანა. წუთიც და იური ანდრეევიჩი სკამზე იჯდა, როგორც სადალაქოში, და ყელ-კისერზე ზეწარი ჰქონდა მჭიდროდ შემოხვეული.

მკერავი ოთახიდან გავიდა და მცირე ხნის შემდეგ მაკრატელი, სავარცხელი, რამდენიმე სხვადასხვა ზომის თმის საკრეჭი მანქანა, თასმა და სამართებელი შემოიტანა.

– ცხოვრებაში ყველაფერი გამოვცადე, – თქვა მან, როცა შენიშნა, რომ ექიმი გაოცებული იყო, ეს ყველაფერი მზამზარეულად სადღა ჰქონდაო. – ერთი დრო იყო, დალაქობასაც ვეწეოდი. იმ ომში მოწყალების დად ვიყავი გამწესებული და თმა-წვერის შესწორებაც იქ შევისწავლე. წვერს ჯერ მაკრატლით დაგიმოკლებთ და მერე სუფთად გაგპარსავთ.

– თუ შეიძლება, თმა გვარიანად დამიმოკლეთ.

– შევეცდებით. განათლებული კაცი ყოფილხართ და თავს კი უცოდინარობაზე დებთ. ახლა დროს კვირეებით კი არა, დეკადებით ითვლიან. დღეს ჩვიდმეტია. შვიდიანით დამთავრებულ რიცხვებში კი დალაქები ისვენებენ. თითქოს არ იცით.

– პატიოსან სიტყვას გაძლევთ. ფარისევლობას როგორ გაკადრებთ! ხომ გითხარით, შორიდან მოვდივარ, აქაური არ გახლავართ.

– წყნარად, ნუ ხტუნაობთ. სახე არ გამაჭრევინოთ. ესე იგი, – ჩამოსული ხართ? რითი ჩამოხვედით?

– ფეხით.

– დიდ გზას მოჰყვებოდით?

– ნაწილობრივად – დიდ გზას, დანარჩენი რკინიგზის გასწვრივ ვიარე. ყოველ ნაბიჯზე მატარებლები დგანან, თოვლში ჩაფლული მატარებლები. ყველანაირია, ლუქსები, საგანგებოები...

– ცოტაღა დაგვრჩა, ამასაც შეგისწორებთ და თავისუფალი იქნებით. ოჯახურ საქმეზე იყავით?

– ოჯახი ვიღას ახსოვს! ყოფილი საკრედიტო ამხანაგობათა კავშირის საქმეებზე გახლდით. ინსპექტორი ვარ და სულ ეგრე მიწევს წანწალი. შემოვლაზე გამაგზავნეს რევიზიით. ეშმაკმა იცის, სად არ ვიარე, აღმოსავლეთ ციმბირში ჩავრჩი. უკან ვეღარაფრით გამოვაღწიე. მატარებლები ხომ აღარ დადიან. რაღას ვიზამდი, ფეხით მოვდიოდი. თვენახევარი ეგრე ვეწამე. ისეთი რამეები ვნახე, იმის მოყოლას მთელი სიცოცხლე ვერ მოვათავებ.

– არცაა საჭირო. ერთ რჩევას მოგცემთ და დაიმახსოვრეთ. ახლა კი წუთით მაცალეთ. აი, სარკეც. ზეწარქვეშიდან გამოყავით ხელი და გამომართვით. დატკბით საკუთარი მშვენებით. როგორ მოგწონთ?

– მგონი ცოტა აგიღიათ. უფრო დაბალზეც შეიძლებოდა.

– ვარცხნილობას ვეღარ შეინარჩუნებთ. დიახ, იმას გეუბნებოდით, არაფრის მოყოლა არ არის-მეთქი საჭირო. ახლა ყველაფერს ისა სჯობია, ენას კბილი დააჭიროთ. თქვენ ის გირჩევნიათ, საკრედიტო ამხანაგობებიც დაივიწყოთ, თოვლში გაჩხირული ლუქსის მატარებლებიც, ინსპექტორებიც და რევიზორებიც. მაგათი ხსენებაც კი აღარ გაბედოთ, თორემ მაგეებით, შესაძლოა, ისეთი რამ გამოქექოთ!.. ენაზე წამოფრენილ ყოველ სიტყვას გზას ნუ მისცემთ, ახლა სამაგისო დრო აღარ არის. სჯობია ექიმობა ან მასწავლებლობა დაიბრალოთ. ასე, წვერის საქმეც სანახევროდ მოვამთავრეთ. ახლა სუფთად გაგპარსავთ. გავისაპნებით, ერთი, ორი და ათი წლით მაინც გავახალგაზრდავდებით. ახლა წავალ, წყალს გავაცხელებ.

„ნეტავ ვინ არის ეს ქალი?” – ფიქრობდა მარტო დარჩენილი ექიმი. „ისეთი გრძნობა მაქვს, უნდა ვიცნობდე. თითქოს სადღაც მინახავს ან მსმენია. როგორც ვატყობ, ვიღაცას მაგონებს. მაგრამ დალახვროს ეშმაკმა, მაინც ვის?“

მკერავი დაბრუნდა.

– ახლა გაგპარსავთ. ჰო, იმას ვამბობდი, უმჯობესია ზედმეტი რამე არსად წამოგცდეთ. ეს მარადიული ჭეშმარიტებაა. სიტყვა ვერცხლია,

დუმილი კი ოქრო. სალიტერო მატარებლები და საკრედიტო ამხანაგობები! მაგას ისა სჯობია, მოიგონოთ, ვითომ ექიმი ან მასწავლებელი ხართ. ის კი, რაც ამ სოფელ-ქვეყანაზე გინახავთ, თქვენთვის შეინახეთ. ამით ახლა ვიღას გააკვირვებთ? სამართებელი ხომ არ გაწუხებთ?

– ცოტათი მტკივა.

– კანს გიქერცლავთ. ეგრეც უნდა ყოფილიყო, ვიცი. ცოტა კიდევ მოითმინეთ, ძვირფასო. უმაგისოდ არ გამოვა. წვერი წამოგზრდიათ და ნამეტანი გაუხეშებულა, კანი პარსვას გადასჩვევია. ჰო, იმას ვამბობდი, სანახაობებით ახლა ვეღარავის გააკვირვებთ-მეთქი. ხალხი ყველაფერს შეეჩვია. ჩვენც შეგვხვდა სატანჯველი. ატამანობის დროს აქ ისეთი რამეები ხდებოდა! ხალხს იტაცებდნენ, ხოცავდნენ, სადღაც მიერეკებოდნენ. ადამიანებზე ნადირობდნენ. მაგალითად, ერთმა პატარა სატრაპმა, საპუნოველმა, პორუჩიკი აითვალწუნა. ჯარისკაცები გაგზავნა და კრაპულსკის სახლთან ჩაუსაფრა. პორუჩიკს იარაღი აჰყარეს და ბადრაგის თანხლებით რაზვილიეში უკრეს თავი. რაზვილიე კი მაშინ იგივე იყო, რაც ახლა გუბჩეკაა, ესე იგი სასაკლაო. თავს რატომ ამოძრავებთ? გტკივათ? ვიცი, ძვირფასო, ვიცი. რას იზამთ, უნდა მოითმინოთ., პირდაპირ თმის ძირში გპარსავთ, თანაც თმა კი არა, ჯაგარია. ეგეთი ადგილია. ცოლი გადაირია. პორუჩიკის ცოლი. კოლია, ჩემო კოლიაო! თავი დაადო და პირდაპირ მთავარს მიეჭრა. ესე იგი, სიტყვით ასე ითქმის, პირდაპირო, თორემ ვინ მიუშვებდა. ჩააწყო. აქ, მეზობელ ქუჩაზე, ერთ ქალს მიესვლებოდა მთავართან და ყველას იცავდა. სხვებს როდი ჰგავდა, გამორჩეულად კეთილი ადამიანი იყო, გულისხმიერი. გენერალ გალიულინზე მოგახსენებთ. ირგვლივ კი ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა, იყო ერთი შეხლა-შემოხლა, თვითგასამართლება, მხეცობა, ეჭვიანობის ნიადაგზე დატრიალებული საშინელებები... მოკლედ, როგორც ესპანურ რომანებშია.

„წეღან ლარაზე ლაპარაკობდა, – მიხვდა ექიმი, მაგრამ სიფრთხილის

გამო დუმილი არჩია და წვრილმანებში აღარ ჩაეძია. – როცა თქვა: „როგორც ესპანურ რომანებშიაო”, ვიღაცა გამახსენა რაღაც საოცრად, სწორედ ამ შეუფერებელი სიტყვით, რომელიც არც სოფელზე იყო ნათქვამი და არც ქალაქზე”.

– ახლა, რა თქმა უნდა, საქმე სულ სხვანაირადაა. გამოძიება, დაბეზღება, დახვრეტა, იცოცხლე, არც ახლა გვაკლია. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ახლა სულ სხვაა. ჯერ ერთი, ახალი ხელისუფლებაა. დიდი ხანი არ არის, რაც მოვიდნენ და ჯერ ეშხში არ შესულან. მეორეც, რაც უნდა იყოს, უბრალო ხალხის მხარეზე არიან და მათი ძალაც ამაშია. ჩვენ, ჩემიანად, ოთხნი დანი ვართ, ყველანი მშრომელები. ბუნებრივია, ბოლშევიკებს ვემხრობით. ერთი და მოგვიკვდა, ქმარი ჰყავდა პოლიტიკური. მისი მეუღლე ერთ აქაურ ქარხანაში იყო მმართველად. იმისი ვაჟი, ჩემი დისშვილი, – ჩვენი სოფლელი აჯანყებულების მეთაურია, შეიძლება ითქვას, შორსა აქვს სახელი გავარდნილი.

„აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!” – გონება გაუნათდა იური ანდრეევიჩს. – „ლივერის დეიდა ყოფილა, ახლომახლო ყველას სალაპარაკო და თითით საჩვენებელი ცოლისდა მიკულიცინისა, იგივე დალაქი, იგივე მკერავი და მეისრე, აქაურობაში ყველასთვის კარგად ცნობილი ოსტატი, რომელსაც ხელიდან ყველაფერი გამოუდის. თუმცა სჯობია, ძველებურად ენას კბილი დავაჭირო და თავი არ გავცე”.

– ჩემს დისშვილს ბავშვობიდანვე გული ხალხისკენ მიუწევდა. მამასთან იზრდებოდა, მუშებში, სვიატოგორელი გოლიათის ქარხანაში. იქნებ გაგონილი გქონდეთ ვარიკინოს ქარხნების ამბები? ეს რა ჩავიდინეთ? რა გამოჩერჩეტებული ვარ! ნიკაპის ნახევარი მოგპარსეთ, დანარჩენისთვის კი ჯერ ხელი არ მიხლია. აი, რას ნიშნავს ენად გაკრეფა. თქვენ რაღას უყურებდით, ვეღარ მითხარით? საპონი შეგაშრათ სახეზე. წავალ, წყალს გავაცხელებ. გამიცივდა.

როცა ტუნცევა დაბრუნდა, იური ანდრეევიჩმა ჰკითხა:

– ვარიკინო ხომ მიყრუებული, ღვთისგან მივიწყებული ადგილია. ალბათ იქ მაინც იქნება სიმშვიდე. აქაური აურზაური იქამდე ვეღარ მიაღწევდა.

– ღვთისგან მივიწყებაზე რა მოგახსენოთ. იმ მიყრუებულ უღრანებში უარესი საცოდაობა დატრიალდა. ვარიკინოზე რომელიღაც ბანდებმა გადაიარეს, არავინ იცის, ვინ იყვნენ. ჩვენებურად არ ლაპარაკობდნენ. სახლი არ დაუტოვებიათ, ხალხს გარეთ ერეკებოდნენ და ხვრეტდნენ. მერე უსიტყვოდ მიდიოდნენ. ისე რომ, გვამებს პირდაპირ თოვლში ტოვებდნენ. ეს ამბავი ხომ ზამთარში მოხდა. რა მოგივიდათ, რატომ ტოკავთ? კინაღამ ყელში გამომასმევინეთ სამართებელი.

– აი, თქვენ თქვით, რომ სიძე გყავთ ვარიკინოელი. იმასაც იგივე ბედი ეწია?

– არა, რატომ. ღმერთი მოწყალეა. ცოლთან ერთად დროზე უშველა თავს. ახალი, მეორე ცოლი ჰყავს. არავინ იცის, სად არიან, მაგრამ რომ გადარჩნენ, წყალი არ გაუვა. ბოლო ხანებში იქ ახალი ხალხი ჩამოვიდა, მოსკოველების ოჯახი. ისინი კიდევ უფრო ადრე წავიდნენ. ახალგაზრდა კაცი, ექიმი, ოჯახის უფროსი, უკვალოდ დაიკარგა. თუმცა უკვალოდ რაღას ჰქვია! მხოლოდ ასე ითქმება, უკვალოდო, გული რომ არავის დასწყდეს. სინამდვილეში კი უნდა ვიფიქროთ, რომ დაიღუპა, მოკლეს. ეძებეს, ეძებეს და ვეღარ იპოვეს. ამასობაში მეორე მამაკაცი, უფროსი, სამშობლოში გამოიძახეს. პროფესორია, სოფლის მეურნეობის დარგში. როგორც გავიგე, მიწვევა თავად მთავრობისაგან მიუღია. სანამ თეთრები მეორედ მოვიდოდნენ, იურიატინის გავლით წავიდნენ. ისევ არ იშლით თქვენსას, ძვირფასო ამხანაგო? სამართებლის ქვეშ ამდენი თუ იწრიალა მუშტარმა, ყელი გამომიჭრია და ისაა. მეტისმეტად ბევრს მოითხოვთ დალაქისაგან.

„ესე იგი, მოსკოვში ყოფილან!“

7

„მოსკოვში! მოსკოვში!” ყოველ ნაბიჯზე უგუგუნებდა გულში და თუჯიც კიბეზე მესამედ ადიოდა. ცარიელი ბინა კვლავ ზევიდან ჩამოცვენილი და აღმა-დაღმა მოხტუნავე ვირთხების ალიაქოთით შეეგება. იური ანდრეევიჩმა იცოდა, როგორი დაღლილ-დაწყვეტილიც არ უნდა ყოფილიყო, ამ სისაძაგლეში თვალს ვერ მოხუჭავდა. ღამის გასათევი სამზადისი ვირთხის სოროების ამოქოლვით დაიწყო. საბედნიეროდ, საძილე ოთახში სოროები გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე დანარჩენ ბინაში იყო. სხვაგან იატაკი და კედლის ძირებიც უარესად გამოიყურებოდა, უნდა აჩქარებულიყო, თორემ ღამდებოდა. სამზარეულოში, მაგიდაზე, შესაძლოა, საგანგებოდ მისთვის, კედლიდან ჩამოღებული და სანახევროდ გაწყობილი ლამფა იდგა. იქვე გახსნილი ასანთის კოლოფიც იდო ათიოდე ღერით. მაგრამ ერთსაც და მეორესაც უნდა გაფრთხილებოდა, საძილე ოთახში ჭრაქი და პატრუქიც აღმოჩნდა. ეტყობოდა, ადრე შიგ ხატის ზეთიც იქნებოდა, მაგრამ ვირთხებს ერთიანად გამოეცალათ. ზოგან პლინთუსების ნაწიბურები იატაკს დაშორებოდნენ. იური ანდრეევიჩმა იმ ნაპრალებში რამდენიმე ფენად ჩაჭედა შუშის ნატეხები, რომელთაც ბასრი ბოლოები შიგნით მოუქცია. საძილე ოთახის კარი ზღურბლს მჭიდროდ ეკვროდა. შეიძლებოდა კარი მაგრად მოეხურა, ჩაეკეტა და თუ ხვრელებსაც საგულდაგულოდ ამოქოლავდა, ოთახი დანარჩენი ბინიდან შეუვალი იქნებოდა. ეს საქმეც დაახლოებით ერთ საათში მოითავა.

საძილე ოთახის კუთხეს ირიბად ჭრიდა შორენკეცებიანი ღუმელი, რომლის ლავგარდანი ჭერამდე არ აღწევდა. სამზარეულოში ათიოდე იღლია შეშა იყო მომარაგებული. იური ანდრეევიჩმა გადაწყვიტა, ორიოდე იღლია შეშით გაეძარცვა ლარა. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, ნაპობი შეშა მარცხენა მკლავზე დაილაგა, საძილე ოთახში შეიტანა, კუთხეში დააწყო, მერე ღუმელს ახედ-დახედა და სახელდახელოდ შეამოწმა, თუ

რა მდგომარეობაში იყო. ისიც იფიქრა, კარს გასაღებით დავკეტავო, მაგრამ კლიტე მოშლილი აღმოჩნდა. იძულებული გახდა, დაკეცილი ქაღალდი ჩაეტანებინა და, თავისით რომ არ გაღებულიყო, კარი მჭიდროდ გამოეხურა. ამის შემდეგ აუჩქარებლად შეუდგა ღუმელის გახურებას.

ღუმელში შეშას რომ უკეთებდა, ერთ-ერთი კუნძის გადანამორზე რაღაც ნიშანი შეამჩნია. დააკვირდა და გაოცდა. ძველი ნიშნულის ნაშთი იყო. ჯერ კიდევ დაუხერხავი მორის თავზე ორად ორი ასო, „კ" და „ტ" გამოეყვანათ.

იმის მაჩვენებლად, თუ რომელი საწყობიდან იყო ხე-ტყე მოტანილი. ამ ასოებით ოდესღაც, კრიუგერის დროს, ვარიკინოს კულაბიშევის ტყე-საკაფიდან გამოტანილ მორებს აღნიშნავდნენ, როცა ქარხნები მოჭარბებული ხე-ტყით ვაჭრობდნენ.

ლარას ბინაში ამგვარი შეშის არსებობა იმაზე მეტყველებდა, რომ იგი სამდევიატოვს კარგად იცნობდა და ანფიმ ეფიმოვიჩი მასზეც ისევე ზრუნავდა, როგორც ოდესღაც ექიმის ოჯახს ამარაგებდა. ამ აღმოჩენამ ექიმს გულში ხანჯალივით დაუარა. სამდევიატოვის დახმარება ადრეც ეხამუშებოდა, ახლა კი ამგვარი მოწყალებით გამოწვეულ უხერხულობას სხვა გრძნობებიც ემატებოდა.

საეჭვო იყო ანფიმს თავისი გულმოწყალება მარტოოდენ ლარას ლამაზი თვალებისათვის გამოეჩინა. იური ანდრეევიჩს თვალწინ დაუდგა ანფიმ ეფიმოვიჩის თავისუფალი ქცევა და ლარას ქალური სითამამე. შეუძლებელი იყო, მათ შორის არაფერი ყოფილიყო.

ღუმელში ტკაცუნით ღუღუნებდა კულაბიშევური ხმელი შეშა და იური ანდრეევიჩსაც მასთან ერთად სულ უფრო მეტად უძლიერდებოდა დამაბრმავებელი ეჭვის ხანძარი. თავდაპირველად ამ განცდამ პაწაწკინტელა ვარაუდის სახით გაუკენწლა გული, მერე და მერე კი იძალა და ერთიანად მოიცვა.

თუმცა გული ისე ჰქონდა დასერილი, ერთ ტკივილს წამსვე მეორე ენაცვლებოდა. შეეძლო ეჭვი ხელუხლებლად დაეტოვებინა. მისი გონება

პატრონს არც კი ეკითხებოდა, საგნიდან საგანზე მისდა უნებურად ისე გადარბოდა. თავისიანებზე ფიქრი განახლებული ძალით მოაწყდა და ეჭვის ბურუსიც დროებით გაუფანტა.

„მაშ ასე, მოსკოვში ხართ, ჩემო კეთილებო?" უკვე ისე ეჩვენებოდა, თითქოს ტუნცევამ დაარწმუნა, შინ მშვიდობით ჩავიდნენო. „ესე იგი, თქვენ უჩემოდ გაიმეორეთ ეს შორეული, უმძიმესი გზა? როგორ ჩახვედით? ალექსანდრ ალექსანდროვიჩის ეს მივლინება, ეს მიწვევა გავიგოთ? ალბათ ლექციების წასაკითხად მიიწვიეს აკადემიაში. რა დაგხვდათ სახლში? ან კი, საერთოდ, ჩვენი სახლი ძველებურად ისევ არსებობს? ო, ღმერთო ჩემო, რა მძიმე და მწარე ფიქრია! აღარ ვიფიქრებ, აღარ ვიფიქრებ! ეს ფიქრებიც როგორ მერევა! რა მემართება, ტონია? მგონი ავად ვხდები. ან რა მოგველის ცხოვრებაში, ან მე და ან თქვენ, ტონია, ტონეჩკა, ტონია, შურაჩკა, ალექსანდრ ალექსანდროვიჩ? რისთვის განმაგდე მე, უფალო, პირისაგან შენისა? რად ხდება ასე, მთელი ცხოვრება რატომ დაგეძებთ და ვერ გპოულობთ? ცალ-ცალკე რატომ დავიარებით? მაგრამ ჩვენ მალე ვნახავთ ერთმანეთს, ასე არ არის? სხვას თუ ვერაფერს მოვახერხებ, ფეხით ჩამოვალ. ისევ გნახავთ და ყველაფერი კარგად იქნება, ასე არ არის?

თუმცა, რა პირით დავალ ამქვეყნად? სულ მავიწყდება, ტონიას რომ უნდა ემშობიარა და იქნებ ეყოლა კიდეც? პირველად არ არის, ასეთი რამ რომ მემართება. როგორ ჩაიარა მშობიარობამ? როგორ მორჩა? მოსკოვისაკენ მიმავლებმა გზად იურიატინში შეიარეს. მართალია, ლარა მათ არ იცნობს, მაგრამ მკერავს თუ დალაქს, სრულიად უცხო ადამიანს, მათი ამბავი შეუტყვია, ლარა კი თავის ბარათში მათზე სიტყვასაც არ სძრავს. რა უცნაური, გულგრილობაში გარდამავალი უყურადღებობაა! ეს ისეთივე აუხსნელია, როგორც მისი დუმილი სამდევიატოვთან ურთიერთობაზე".

იური ანდრეევიჩმა სხვანაირი, გამომცდელი თვალი მოავლო საძილე ოთახის კედლებს. იცოდა, ირგვლივ მდგარი და დაკიდული ნივთებიდან

ლარას ერთიც არ ეკუთვნოდა, და წინანდელი, უცნობი და ამჟამად მიმალული პატრონების მიერ შექმნილი გარემო ლარას გემოვნებაზე არ მეტყველებდა.

მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო, კედლებზე დაკიდებული გადიდებული ფოტოებიდან მომზირალ ქალებსა და კაცებს შორის უეცრად თავი უხერხულად იგრძნო. ულაზათოდ ახორხლილი ავეჯი მტრულად აჯაგრულიყო. საძილე ოთახში თავი უცხო და ზედმეტ ადამიანად იგრძნო.

ის კი, სულელი, ამ სახლს რამდენჯერ იგონებდა, როგორ მოენატრა და ამ ოთახში ისე კი არ შემოდიოდა, როგორც საცხოვრისში, მისთვის იგი უპირველესად ლარას მონატრება იყო! ალბათ შორიდან რა სასაცილოდ გამოიყურება მისი მოჭარბებული გრძნობიერება! განა ასე ცხოვრობენ, ასე იქცევიან ან ამგვარად უჭირავთ თავი ძლიერ, პრაქტიკოს ადამიანებს, სამდევიატოვისთანა მომხიბლავ მამაკაცებს? ან კი სხვას რატომ უნდა არჩიოს ლარამ მისი უხასიათობა, ბუნდოვანი, არარეალური ენა მისეული გაღმერთებისა? რაში სჭირდება ეს აბდაუბდა? მერედა თავად უნდა განა იქცეს იმგვარად, როგორიც ექიმის წარმოდგენაშია? ანკი ვინ არის ეს ქალი მისთვის, რად ესახება? ო, ამ კითხვაზე პასუხი მუდამ მზადა აქვს.

აი, ეზოში გაზაფხულის საღამოა. ჰაერი ნაირ-ნაირი ბგერებითაა დახუნძლული. მოთამაშე ბავშვების ხმები სხვადასხვა სიშორეზეა მიმოფანტული, თითქოს იმის ნიშნად, რომ სივრცე თავიდან ბოლომდე ცოცხალია. და ეს შორეთი – რუსეთია, მისი შეუდარებელი, ზღვებს გადაღმა გახმაურებული, სახელგანთქმული დედა-მშობელი, წამებული, ჯიუტი, დამთხვეული, გადარეული, გაღმერთებული, მარად დიადი და დამღუპველი გამოხდომებით, რომელთაც ვერასოდეს გაითვალისწინებ. ო, რა ტკბილია არსებობა! რა ტკბილი განცდაა ქვეყნად სიცოცხლე და სიცოცხლის სიყვარული! ო, როგორ ძლიერ სწყურია მუდამ, მადლობა უძღვნას

თავად სიცოცხლეს, თვით არსებობას, და ყოველივე მოახსენოს იმათ პირისპირ!

ლარაც ხომ სწორედ ასეთი არის. მათ ვერას ეტყვის, ლარა კი მათი ხატებაა, მათი განსახიერება. სიტყვისა და სმენის ნიჭია, არსებობის უენაპირო საწყისთათვის მიმადლებული.

და სიცრუეა, ათასგზის სიცრუე ყოველივე, რაც ეჭვიანობისას მასზე იფიქრა. რა სრულყოფილი და საუცხოოა მასში ყველაფერი!

თვალებში აღფრთოვანების და სინანულის ცრემლები აუციმციმდა. ღუმელის კარი გამოაღო და მუგუზლები გაასწორა. გავარვარებული ნაღვერდლები უკან გასწია, ჩაუმწვარი მუგუზლის ბოლოები კი წინ გამოხვეტა, სადაც ძლიერი წევა იყო. ღუმელის კარი ერთხანს აღარ მიუხურავს. სახეზე და ხელებზე სინათლისა და სიცხოვლის განცდა სიამოვნებას ჰგვრიდა. ალის მოცახცახე გამონაშუქმა საბოლოოდ გამოაფხიზლა. ო, როგორ აკლდა ახლა ლარა, როგორ სწყუროდა ამ წუთებში მისი შეხება. ჯიბიდან მისი დაჭმუჭნული ბარათი ამოიღო და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ფურცელზე მეორე მხრიდანაც ნაწერი იყო. ქაღალდი გაშალა და აგუგუნებული ღუმელის აცეკვებულ სინათლეზე ამოიკითხა: „შენებზე ალბათ გეცოდინება. მოსკოვში არიან. ტონიას გოგო ეყოლა". ამას რამდენიმე ამოშლილი სტრიქონი მოსდევდა, მერე კი ეწერა: „იმიტომ წავშალე, რომ ბარათში სულელურად ჟღერს. როცა პირისპირ შევხვდებით, მაშინ გეტყვი. მეჩქარება, ცხენის საშოვნელად მივდივარ, თუ ვერ ვიშოვე, აღარ ვიცი, რა ვიღონო. კატენკას გაუჭირდება..." ფრაზის დასასრული წაშლილიყო და აღარ იკითხებოდა.

„ცხენის საშოვნელად ანფიმთან წავიდოდა და რაკი აღარ მობრუნებულა, ალბათ იშოვა", – მშვიდად ფიქრობდა იური ანდრეევიჩი. „ამ მხრივ სინდისი სრულიად სუფთა რომ არ ჰქონოდა, ბარათში წვრილმანს აღარ ჩაწერდა".

8

ღუმელი რომ გახურდა, ექიმმა კარი მიუხურა და წაიხემსა. დანაყრების მერე დაუოკებელი ძილი მოეძალა. გაუხდელად მიწვა დივანზე და ღრმად მიეძინა. აღარ ესმოდა ოთახის კარისა და კედლების მიღმა ატეხილი ვირთხების გამაყრუებელი ურცხვი ხმაური. ორი სიზმარი ნახა ზედიზედ, ერთიმეორეზე უარესი.

ვითომ მოსკოვში იყო, ოთახის შუშის კარი დაკეტილი ჰქონდა, მაგრამ სამშვიდობოზე უფრო მეტად რომ ეგრძნო თავი, კარის სახელურსაც ჩაჰფრენოდა და თავისკენ ექაჩებოდა. კარს იქით მისი ვაჟი შუროჩკა ტიროდა, აბრახუნებდა და ეხვეწებოდა, შემომიშვიო. თვალად მოხდენილიც იყო და საცოდავიც. საბავშვო პალტო, მეზღვაურის შარვალი ეცვა და ასეთივე ქუდი ეხურა. ბავშვის უკან ყურისწამღები გრუხუნით იფრქვეოდა გაფუჭებული წყალსადენის თუ კანალიზაციის ჩანჩქერი, იმდროინდელი ყოფაცხოვრების გამოვლინება. ან შესაძლოა, სინამდვილეში აქ მთავრდებოდა და კარს აწყდებოდა რომელიღაც ველური მთის ვიწროები, რომელშიც თავ-პირს მოიმტვრევდა ღვარცოფი და ხეობაში საუკუნეობით დაგროვილი ყინვა და წყვდიადი.

ჩამოქცეული წყლის ნაკადის ზათქი და გუგუნი შიშის ზარს სცემდა ბიჭუნას. ირგვლივ ყოველივე ჰქუხდა, გრგვინავდა. ყურთასმენა აღარ იყო და აღარც ის ისმოდა, რას გაჰყვიროდა. მაგრამ იური ანდრეევიჩი კარგად ხედავდა და მისი ტუჩების მოძრაობით არჩევდა ყვირილს: „მამიკო! მამიკო!“.

იური ანდრეევიჩს გული გასკდომაზე ჰქონდა. მთელი არსებით სურდა, ბიჭისათვის ხელი ეტაცნა, გულში ჩაეკრა და მასთან ერთად უკანმოუხედავად გაქცეულიყო, საითაც თვალი მიუწვდებოდა.

ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა, მაგრამ დაკეტილი კარის სახელურს მაინც თავისკენ ეწეოდა, ბიჭს არ უშვებდა, მსხვერპლად სწირავდა ღირსებისა და მოვალეობის ყალბ გრძნობას სხვა ქალის მიმართ, რომელიც

ბიჭის დედა სულაც არ იყო და შეეძლო სხვა კარიდან წუთი წუთზე შემოსულიყო.

ჭირის ოფლით და ცრემლებით დასველებულ იური ანდრეევიჩს გამოეღვიძა. „სიცხე მაქვს. ავად ვხდები", – მყისვე გაუელვა. – „ტიფი არ არის. რაღაც უმძიმესი, საშიში, ავადმყოფობის საბურველში გახვეული დაღლილობაა. რომელიღაც დაავადებაა და ყველა სერიოზული ინფექციის მსგავსად კრიზისიც ახლავს. მთელი უბედურება ახლა ის არის, რომელი გაიმარჯვებს, სიცოცხლე თუ სიკვდილი. მაგრამ როგორ მეძინება!" და ისევ ჩაეძინა.

ზამთრის ადრიანი დილა დაესიზმრა. მოსკოვის რომელიღაც ხალხმრავალი, განათებული ქუჩა იყო. ჯერჯერობით რევოლუციის ხსენებაც არ იყო, რაზეც მეტყველებდა ქუჩის ნაადრევი გამოღვიძება, ტრამვაის პირველი ვაგონების ზარის წკრიალი, ღამის ფარნების შუქი, დილაბნელის ბინდში ჩაკარგული ქვაფენილების ნაცრისფერ თოვლს ყვითელი ზოლებით რომ აჭრელებდა.

ესიზმრებოდა გრძელი ბინა, რომელსაც ფანჯრები ცალ მხარეს ჰქონდა ჩამწკრივებული, ქუჩიდან არც ისე მაღლა იყო, ალბათ მეორე სართულზე, და გრძელი ფარდები იატაკს ეხებოდა. ბინაში ხალხს გაუხდელად ეძინა, შორეული გზიდან დაბრუნებულ მგზავრებს რომ შეჰფერით, ვისაც როგორ მოეხერხებინა, ისე მიწოლილიყო. გაშლილ, ქონიან გაზეთებზე ეყარა ნასუფრალი, შემწვარი ქათმების დახრული ძვლები, ფრთები და ფეხები. იატაკზე წყვილ-წყვილად ეწყო მცირე ხნით შემოკედლებული ნათესავების და ნაცნობების, შორს მიმავალი მგზავრების და უსახლკარო ბოგანოების ფეხსაცმელები. ბინაში ერთი ბოლოდან მეორეში სწრაფად და უხმაუროდ დაჰქროდა საფიქრალ-საზრუნავში ჩაფლული, დილის ხალათში ნაჩქარევად გამოწყობილი დიასახლისი, ლარა. თვითონ ქალს მომაბეზრებლად დასდევდა ფეხდაფეხ, ერთთავად რა ღაცას ეკითხებოდა უნიჭოდ და უადგილოდ, ლარას კი საამისოდ წუთის მოცლაც არა ჰქონდა და მის ლაპარაკზე მხოლოდ თავს უკან აბრუნებდა,

წყნარად, გაოცებით უყურებდა და უცოდველად, თავისებური წკრიალა ხმით კისკისებდა. ეს ერთადერთი განცდა იყო სიახლოვისა, რაიც ჯერ კიდევ შერჩენოდათ. და იმდენად შორეული, ცივი და უკარება იყო ის, რასაც ყველაფერი შესწირა, რაც ყველაფერს ირჩია და რის საპირისპიროდაც ყოველივე დაამდაბლა და გააუფასურა!

9

თვითონ კი არა, რაღაც მასზე უფრო ზოგადი ქვითინებდა და მოსთქვამდა მასში ნაზი, ნათელი, სიბნელეში ფოსფორივით მოციმციმე სიტყვებით. და თავის ატირებულ სულთან ერთად თვითონაც ტიროდა, თავისი თავი ეცოდებოდა.

„ავადა ვხდები, ავადა ვარ", – ხვდებოდა იგი გონების განათების წუთებში, ძილის, სიცხიანი ბოდვის და უგონობის ზოლებს შორის. – „არა, ეს მაინც ტიფის რომელიღაც სახეობაა, სახელმძღვანელოებში რომ არ არის აღწერილი და არც სამედიცინო ფაკულტეტზე გაგვივლია. რაიმე უნდა მოვამზადო, უნდა ვჭამო, თორემ შიმშილით ამომხდება სული", მაგრამ იდაყვზე წამოწევის პირველივე მცდელობისას რწმუნდებოდა, განძრევის თავი აღარა ჰქონდა და გული მისდიოდა ან ეძინებოდა, „რამდენი ხანია, რაც ასე გაუხდელად მძინავს?" – ფიქრობდა იგი ერთი ასეთი გამონათებისას. „რამდენი საათია? რამდენი დღე? როცა ჩავწექი, გაზაფხული იწყებოდა. ახლა კი ფანჯრებს თრთვილი მოსდებია, თანაც ისეთი ფაშარი და ჭუჭყიანია, ოთახს აბნელებს".

სამზარეულოში ვირთხების გნიასი იდგა. გადაყირავებულ თეფშებს არახუნებდნენ, მერე იქიდან კედელ-კედელ გამორბოდნენ, მძიმე ზღართანით ეცემოდნენ იატაკზე და კონტრალტოს მტირალა ხმებით წიოდნენ.

მერე კვლავ ეძინა, ისევ იღვიძებდა და ხედავდა, რომ თრთვილის ბა-

დეში მოქცეული ფანჯრები დაფიონის ვარდისფერი ნაღვერდლით იყვნენ აფერადებული და ისე კიაფობდნენ, როგორც ბროლის სასმისებში აელვარებული წითელი ღვინო. ვერაფერი გაეგო და საკუთარ თავს ეკითხებოდა, რომელი დაფიონი ნათობდა, აისისა თუ დაისისა.

ერთხელ სადღაც, სულ ახლო ადამიანის ხმები მოეყურა და შეეშინდა, ხომ არ შევიშალეო. თავისი თავის სიბრალულით მოგვრილი ცრემლებით უხმო ჩურჩულით შესტიროდა ზეცას, რად მიმატოვე, ზურგი რატომ მაქციეო.

და უცებ მიხვდა: კი არ ეჩვენება, სრული სიმართლეა, რომ გახდილია, დაბანილი, სუფთა პერანგი აცვია და დივანზე კი არა, გაკრიალებულ ლოგინში წევს. ატირებული ლარაც იქვე უხის, სასთუმალთან, მისკენ იხრება, თმებში იმისი თმები ერევა და მის ცრემლებსაც მისი მდუღარე ცრემლები ერთვის. და ბედნიერებისაგან გრძნობა დაკარგა.

10

ამასწინანდელი ბოდვისას ცას გულცივობას აბრალებდა, ახლა კი ზეცა თავით ბოლომდე მის საწოლთან ჩამოინქრა და ქალის ვეებერთელა, მხრებამდე თეთრ მკლავებში იყო მოქცეული. სიხარულისგან თვალებზე ბინდი ეფინებოდა და ცნობამიხდილივით თავდავიწყებით ეშვებოდა განცხრომის ზღვაში.

მთელი ცხოვრება სულ რაღაცას ჩაჰკირკიტებდა, ერთთავად საქმეში იყო ჩაფლული, მუშაობდა სახლში, მკურნალობდა, აზროვნებდა, სწავლობდა, ჰქმნიდა. რა კარგი ყოფილა, როცა ზურგს აქცევ მოქმედებას, სწრაფვას, ფიქრს და ამ შრომას მიანდობ ბუნებას, თავად კი საგნად, ჩანაფიქრად, ნაწარმოებად იქცევი მის წყალობის მთოველ, მომაჯადოებელ, სილამაზის მფლანგველ ხელებში!

იური ანდრეევიჩმა მალე მოიკეთა. მას თავისი მზრუნველობით, თა-

ვისი გედურად მოქათქათე მშვენიერებით, თავისი კითხვებისა და პასუხების ნოტიო, ყელისმიერი ჩურჩულით ჰკვებავდა და უვლიდა ლარა. მათი ყველაზე მარტივი ჩურჩულიანი საუბრებიც კი მნიშვნელობით იყო აღსავსე, როგორც პლატონის დიალოგები.

სულთა შერწყმაზე მეტად მათ დანარჩენი სამყაროსაგან გამყოფი უფსკრული აერთებდა. ორივესათვის ერთნაირად უცხო იყო თანამედროვე ადამიანში ყოველივე ფატალურად ტიპობრივი, მისი წინასწარ დასწავლილი აღფრთოვანება, მყვირალა ზეაწეულობა და ის მომაკვდინებელი ფრთაშეკვეცილობა, რასაც ასეთი დაჟინებით ავრცელებენ მეცნიერებისა და ხელოვნების ურიცხვი მუშაკები, რათა ხელთუქმნელი დიდებულება კვლავინდებურად უდიდეს იშვიათობად დარჩეს ამქვეყნად.

დიადი იყო მათი სიყვარული. მაგრამ სიყვარულით ყველას უყვარს, თავად გრძნობის არნახულობას კი ვერავინ ამჩნევს.

მათთვის კი, – და მათი განსაკუთრებულობაც სწორედ ამაში მდგომარეობდა, – ის წამები, როცა მარადისობის ქროლვის მსგავსად, მათ განწირულ ადამიანურ არსებაში ვნების ქროლვა გაიბრწყინებდა, იყო საკუთარი თავისა და სიცოცხლის თაობაზე სულ ახალ-ახლის გაცხადების და შეცნობის ჟამი.

11

– აუცილებლად უნდა დაბრუნდე შენიანებთან. არც ერთ ზედმეტ დღეს არ გაგაჩერებ. მაგრამ ხომ ხედავ, რა ხდება. როგორც კი საბჭოთა რუსეთში მოვექეცით, მაშინვე მისი ნგრევა გადმოგვედო. თავიანთ ცოდვებს ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთს ანაცვალებენ. შენ ხომ არაფერი იცი. სანამ ავად იყავი, ქალაქში იმდენი რამე შეიცვალა! თუ რამ მარაგი გაგვაჩნდა, ჩვენი საწყობებიდან ცენტრში, მოსკოვში გადააქვთ. მისთვის ეს ზღვაში წვეთია, ეს ტვირთი მის ხახაში ისე ჰქრება, როგორც

ძირგავარდნილ კასრში, ჩვენ კი უსურსათოდ ვრჩებით. ფოსტა არ მოაქვთ, სამგზავრო მატარებლების მიმოსვლაც შეწყდა და მხოლოდ პურით სავსე ეშელონებს ეშურებიან. ისევე, როგორც გაიდის[100] აჯანყების წინ, ქალაქში ახლაც დრტვინავს ხალხი, უკმაყოფილების გამოხატვისას ახლაც მძვინვარებს ჩეკა.

ასეთი გაძვალტყავებული სად წახვალ, პირში სული ძლივს გიდგას. ისევ ფეხით ხომ არ აპირებ? ვერც კი ჩააღწევ იქამდე! მომაგრდი, ძალღონე მოიკრიბე და მაშინ სულ სხვა საქმე იქნება.

ჭკუის დარიგებას ვერ გაგიბედავ, მაგრამ შენს ადგილზე, ჩემიანებთან წასვლამდე ცოტაოდენს წავიმუშავებდი, თანაც აუცილებლად სპეციალობით. ამას აფასებენ. გუბჯანში წავიდოდი, მაგალითად. ისიც იქვეა, სადაც ძველად საექიმო გამგეობა იყო.

თორემ თავად განსაჯე. მამაშენმა, ციმბირელმა მილიონერმა, თავი მოიკლა. შენი ცოლიც აქაური მეფაბრიკის და მემამულის შვილია. პარტიზანებთან იყავი და გამოიქეცი. რაც გინდა, ის თქვი, ეს სამხედრო-რევოლუციური რიგებიდან გამოქცევა, დეზერტირობაა. არამც და არამც არ უნდა დარჩე უსაქმურ, უფლებააყრილ შავსიელად. ისე, არც ჩემი მდგომარეობაა მთლად საიმედო. მუშაობის დაწყებას მეც ვაპირებ, გუბჯანში მოვეწყობი. შენი არ იყოს, მეც მეწვის მიწა ფეხქვეშ. – როგორ თუ გეწვის? მაშ სტრელნიკოვი?

– სწორედ სტრელნიკოვის გამო მეწვის. ადრეც მითქვამს შენთვის;

---

[100] იგულისხმება ჩეხებისა და სლოვაკების კორპუსის აჯანყება ბოლშევიკურ მთავრობას არ უნდოდა მის მიმართ დაპირისპირებული ჩეხებისა და სლოვაკების სამხედრო ტყვეებისა და ემიგრანტების უმოკლესი გზით სამშობლოში დაბრუნება, ამიტომ მათი ევაკუაცია შორეული აღმოსავლეთის გზით წარმოებდა, თუმცა შვიდი ათას ვერსზე გაჭიმულმა ეშელონებმა ახალი საფრთხე შექმნეს: 1918 წლის მაისის ბოლოს, კორპუსის განიარაღების მცდელობისას კაპიტან რადოლ გაიდის (იგივე რუდოლფ გაიდის) მეთაურობით მოხდა აჯანყება. შემდგომში იგი გენერალ-ლეიტენანტის ჩინით კოლჩაკის არმიაში მსახურობდა და 1919 წლის იანვრიდან ივლისამდე ციმბირის არმიის სარდალი იყო.

რამდენი მტერი ჰყავდა. წითელმა არმიამ გაიმარჯვა. ახლა უპარტიო სამხედროებს, რომლებიც მთავრობასთან ახლო იდგნენ და მეტისმეტად ბევრი იციან, მაგრად დაფერთხავენ. თუმცა დაფერთხვას ვინ უჩივის თუ კვალის დასაფარავად თავები არ დააყრევინეს. მათ შორის პაშა პირველ რიგშია. დიდ საფრთხეში აქვს თავი გაყოფილი. ბოლო ხანებში შორეულ აღმოსავლეთში იყო. ყური მოვკარი, გაქცეულა, იმალებაო, თურმე ეძებენ. თუმცა კმარა, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ტირილი არ მიყვარს. ვიცი, ერთი სიტყვაც რომ ვთქვა მასზე, ქვითინი ამივარდება. – გიყვარდა? აქამდე კიდევ ძალიან გიყვარს?

– მე ხომ მას ცოლად გავყევი, ის ქმარია ჩემი, იურიჩკა. მტკიცე, ნათელი ხასიათის კაცია. ძალიან ვტყუივარ მის წინაშე. მისთვის ისეთი არაფერი დამიშავებია, ამის თქმა უსამართლობა იქნებოდა. მაგრამ ის უაღრესად მართალი, ძალიან, ძალიან პირდაპირი ადამიანია, მე კი უწმინდური, მასთან შედარებით არარაობა ვარ. აი, ჩემი დანაშაული. მაგრამ გთხოვ, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. როგორმე სხვა დროს ამას მე თვითონ დავუბრუნდები, პირობას გაძლევ. რა საოცარი ქალია ის შენი ტონია. ბოტიჩელისებურია. ბავშვი რომ ეყოლა, იქ ვიყავი. ერთმანეთს ძალიან შევეწყვეთ, მაგრამ ამაზეც მერე ვისაუბროთ, გთხოვ. ჰო, მართლა, მოდი ორივემ ვიმუშაოთ, სამსახურში ერთად ვივლით. ყოველთვიურად მილიარდობით ხელფასს ავიღებთ. ჩვენთან უკანასკნელ გადატრიალებამდე ციმბირული საკრედიტოები იყო ბრუნვაში. დიდი ხანი არ არის, რაც გააუქმეს და სანამ შენ ავად იყავი, კარგა ხანს ფულის ნიშნების გარეშე ვცხოვრობდით. დიახ, წარმოგიდგენია! ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ როგორღაც იოლად გავდიოდით. ახლა ყოფილ ხაზინაში მატარებლით მთელი შემადგენლობა ქაღალდის ფული ჩამოიტანეს, ასე ამბობენ, ორმოც ვაგონზე ნაკლები არ იქნებაო. დიდ თაბახებადაა დაბეჭდილი ორ ფერად, ლურჯად და წითლად, საფოსტო მარკებივით, და წვრილ-წვრილ უჯრებადაა დაყოფილი. ლურჯები ხუთმილიონიანებია,

ხოლო წითლები – ათმილიონიანები. რაღა თქმა უნდა, უხეიროდაა დაბეჭდილი, ხუნდება და საღებავიც იდღაბნება.

– ეგეთი ფული ნანახი მაქვს. მოსკოვში იყო შემოღებული, სანამ წამოვიდოდით.

12

– რას აკეთებდი იმდენ ხანს ვარიკინოში? იქ ხომ არავინაა, სიცარიელეა. რამ დაგაბრკოლა?

– კატენკასთან ერთად თქვენს სახლს ვალაგებდი. მეშინოდა ვაითუ პირველ რიგში იქ წავიდეს-მეთქი. არ მინდოდა, თქვენი საცხოვრებელი იმ ყოფაში გენახა.

– რა ყოფაში? რა მოხდა იქ, ყველაფერი დანგრეულია, მიყრილ–მოყრილია?

– უწესრიგობა, ჭუჭყი იყო. დავალაგე.

– რა მარტივი თავის არიდებაა. რაღაცას ბოლომდე არ მეუბნები, მიმალავ. მაგრამ ნება შენია, თავს არ შეგაწყენ. მომიყევი რამე ტონიაზე, გოგოს რა სახელი დაანათლეს?

– მაშა დაარქვეს. დედაშენის სახსოვრად.

– მომიყევი რამე მათზე.

– როგორმე სხვა დროს იყოს, თუ შეიძლება. ხომ გითხარი, ცრემლებს ძლივს ვიკავებ.

– ეგ სამდევიატოვი, ცხენი რომ გათხოვა, საინტერესო კაცია. შენ როგორ ფიქრობ?

– მეტისმეტად საინტერესო.

– ძალიან კარგად ვიცნობ ანფიმ ეფიმოვიჩს. ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო. აქ, ჩვენთვის ამ უცხო ადგილებში, გვეხმარებოდა.

– ვიცი, მიამბობდა ხოლმე.

– ალბათ ერთმანეთთან მეგობრობთ კიდეც, არა? ცდილობს რაიმე სიკეთე გაგიკეთოს, ხომ ასეა?

– თავზე მევლება, არაფერს მაკლებს, აღარც კი ვიცი, უმაგისოდ რა მეშველებოდა.

– ყველაფერი მშვენივრად მესმის. თქვენს შორის ალბათ უბრალოდ მოკლე-მოკლე ამხანაგური ურთიერთობაა, არა? ალბათ თავგადაკლული გეარშიყება.

– რაღა თქმა უნდა, სულ კუდში დამდევს.

– შენ? თუმცა ბოდიშს ვიხდი. ნებადართულ მიჯნებს ვცილდები. ამას რა უფლებით გეკითხები? მაპატიე. კადნიერად გამომივიდა. – ო, რას ამბობ. შენ ალბათ სულ სხვა რამეები გაინტერესებს, – ერთმანეთთან რა სახის ურთიერთობა გვაქვს, ასე არ არის? გინდა იცოდე, ხომ არ შემოიპარა ჩვენს კეთილ ნაცნობობაში რაღაც უფრო პირადული? არა, რასაკვირველია. მე უთვალავი რამითა ვარ დავალებული ანფიმ ეფიმოვიჩისაგან, თავიდან ბოლომდე მისი მოვალე ვარ, მაგრამ ყელამდე ოქროშიც რომ ჩავესვი, სიცოცხლეც რომ შემოეწირა, მისკენ ნაბიჯსაც არ გადავდგამდი. დაბადებიდან ვერ ვიტან ასეთ არანათესაური გაგების ხალხს. ცხოვრებისეულ საკითხებში ამგვარ გამბედავ, თავდაჯერებულ, მბრძანებლური ბუნების ადამიანებს ვერავინ შეცვლის გულის საკითხში კი მათი მამლაყინწური, ულვაშიანი მამაკაცური თვითკმაყოფილება აუტანელია. სიახლოვე და ცხოვრება მე სულ სხვაგვარად მესახება. გარდა ამისა, ზნეობრივ საკითხში ანფიმი სხვა, გაცილებით უფრო საზიზღარ ადამიანს მაგონებს, რომელსაც დანაშაული მიუძღვის, რომ ასეთი ვარ, რომლის წყალობით ისეთი ვარ, როგორიცა ვარ. – არ მესმის. განა როგორი ხარ? რას გულისხმობ? ამიხსენი, მთელ დუნიაზე შენზე კარგი ადამიანი არ მეგულება.

– ეჰ, იურიჩკა, აბა ასე შეიძლება? მე სერიოზულად გელაპარაკები, შენ კი ქათინაურებს მეუბნები, თითქოს სასტუმრო ოთახში ვიყოთ. მეკითხები, როგორი ხარო. როგორი ვარ და მოტეხილი, მთელ ცხოვრებაში

გულგატეხილი ადამიანი ვარ. მე ნაადრევად, დანაშაულებრივად ადრე მაქციეს ქალად, ცხოვრებაში ყველაზე ცუდი მხრიდან ჩამახედეს ძველი დროის თავდაჯერებული ბებრუხანა მუქთახორის ყალბი, ბულვარული გაგებით, რომელმაც ქვეყნად ყველაფერი თავისი ჭიის გასახარებლად გამოიყენა და თავს ყველაფრის ნება მისცა.

– ვხვდები. ზოგ რამეს ვვარაუდობდი. მაგრამ მოიცა. ადვილი წარმოსადგენია შენი იმდროინდელი არაბავშვური ტკივილი, შეძრწუნებული გამოუცდელობის შიში, პატარა გოგონას პირველი წყენა. მაგრამ ეს ხომ წასული საქმეა. იმის თქმა მინდა, ეს ახლა შენი კი არა, შენი მოყვარული ადამიანების საქმეა, როგორიც მე ვარ. ეს მე უნდა დავიგლიჯო თმები და სასოწარკვეთილებაში ჩავვარდე, რომ დავიგვიანე და უკვე მაშინ შენს გვერდით არ ვიყავი, რათა მოსალოდნელი უბედურება ამეცილებინა, თუ ის, რაც მოხდა, შენთვის მართლაც უბედურებაა.

საკვირველია. მეჩვენება, რომ ძლიერ, სასტიკად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შემიძლია ვიეჭვიანო მხოლოდ მდაბალზე, შორეულზე. ღირსეულ კაცთან მეტოქეობა ჩემში სულ სხვა გრძნობებს იწვევს. თუ სულიერად ჩემმა ახლობელმა და საყვარელმა ადამიანმა იგივე ქალი შეიყვარა, რომელიც მიყვარს, მასთან დავა და კამათი კი არა, სევდიანი ძმობა მექნება. ჩემს სათაყვანებელ არსებას, რა თქმა უნდა, წუთითაც ვერ დავუთმობდი. მაგრამ სულ სხვანაირი წამების განცდით დავიხევდი უკან, ვიდრე ეჭვია, არა ასეთი სისხლიანით და კვამლიანით. იგივე დამემართებოდა იმ მხატვართან მიმართებითაც, რომელიც ჩემნაირ ნამუშევრებში თავისი ძალების უპირატესობით დამიპყრობდა. ალბათ იმ ჩემი ძიებისაგან, რაც ჩემს მეტოქეს უკეთ გამოსდის, სამუდამოდ ხელს ავიღებდი.

მაგრამ მთავარი სათქმელი გვერდზე დამრჩა. მგონია, ასე ძალიან არ მეყვარებოდი, არაფერს რომ არ უჩიოდე ან არ ნანობდე. არ მიყვარს ის ხალხი, ყველაფერში რომ მართლები არიან, არასოდეს დაცემულან და არც როდისმე წაბორძიკებულან. მათი სათნოება მკვდარია და ნაკლებად ფასეული. ცხოვრების ხიბლი მათ არ უხილავთ.

– სწორედ მაგ ხიბლზე გელაპარაკები. ასე მგონია, მაგის დასანახავად წარმოსახვის უმანკოება, აღქმის შეურყვნელობაა საჭირო. სწორედ ეგ წამართვეს. შესაძლოა, ცხოვრებაზე ჩემი შეხედულება მქონოდა, პირველივე ნაბიჯების გადადგმისას უცხო და გაბითურებულ სამოსელში გახვეული რომ არ მეხილა. ეგ კიდევ არაფერი. ჩემი ცხოვრებიც დასაწყისში ზნედაცემული, გახრწნილი კაცის ჩარევის გამო უკუღმართად წამივიდა დიდ და ჩინებულ ადამიანთან ქორწინება, რომელსაც ძლიერ ვუყვარდი და მეც ამითვე ვპასუხობდი.

– მოიცა, ქმარზე სხვა დროს მიამბე. როგორც გითხარი, საერთოდ, ჩემში ეჭვს მდაბალი იწვევს და არა თანასწორი. შენს ქმარზე არ ვეჭვიანობ. იმაზე მომიყევი.

– რომელ „იმაზე"?

– იმ ნაძირალაზე, რომელმაც დაგღუპა. რა კაცია?

– საკმაოდ ცნობილი მოსკოველი ვექილია. მამაჩემის ამხანაგი იყო და მისი სიკვდილის შემდეგ დედას ეხმარებოდა, სანამ წელში მოვმაგრდებოდით. უცოლო კაცია, მდიდარი. ალბათ მეტისმეტ ყურადღებას ვიჩენ მის მიმართ და დაუმსახურებელ მნიშვნელობას ვანიჭებ, ასე რომ ვაბიაბრუებ. მეტად ჩვეულებრივი ამბავია. თუ გინდა, გეტყვი მის გვარს. – არ არის საჭირო. ვიცნობ. ერთხელ ვნახე.

– მართლა?

– ერთხელ, ნომრებში, როცა დედაშენმა თავი მოიწამლა. გვიანი საღამო იყო. ჯერ კიდევ ბავშვები ვიყავით, გიმნაზიელები.

– მახსოვს ის შემთხვევა. თქვენ მოხვედით და სიბნელეში იდექით, ნომრების წინკარში. იქნებ ის ამბავი არც არასოდეს გამხსენებოდა, შენ რომ დავიწყების სკივრიდან არ ამოგექექა. მგონი მელიუზეევშიც გამახსენე.

– იქ კომაროვსკი იყო.

– მართლა? ადვილი შესაძლებელია. ადვილი იყო, მასთან გენახე. ხშირად ვიყავით ერთად.

– რაღად გაწითლდი?

– შენგან წარმოთქმული „კომაროვსკის” გამო. უჩვეულობის და მოულოდნელობის გამოისობით.

– ერთი ამხანაგიც იყო ჩემთან, თანაკლასელი გიმნაზიელი. აი, მაშინ რა მიამბო. კომაროვსკის სახით ის ადამიანი იცნო, რომელიც როდესღაც შემთხვევით, გაუთვალისწინებელ გარემოებაში ნახა. ერთხელ ეს ბიჭი, გიმნაზიელი მიხეილ გორდონი უნებურად მამაჩემის – მეწარმე მილიონერის თვითმკვლელობის მოწმე გახდა. მიშაც იმავე მატარებლით მიდიოდა. მამას კომაროვსკიც ახლდა, მისი იურისკონსულტი. კომაროვსკი მამას ართობდა, მისი საქმეებიც აურია, გაკოტრებამდე მიიყვანა და დაღუპვის გზაზე დააყენა. სწორედ ის არის დამნაშავე, მამამ თავი რომ მოიკლა და ობლად დამტოვა.

– შეუძლებელია! როგორი საგულისხმო დამთხვევაა! ნუთუ ყოველივე მართალია? მაშ შენი ბოროტი სულიც ის იყო? როგორ გვაახლოებს ეს ამბავი! უბრალოდ რაღაც ბედისწერაა!

– აი, ვისზე ვეჭვიანობ სიგიჟემდე, გამოუსწორებლად.

– რას მეუბნები! მიყვარს კი არა, მეზიზღება.

– ვითომ საკუთარ თავს ეგრე კარგად იცნობ? ადამიანის, განსაკუთრებით ქალის ბუნება ხომ ესოდენ ბნელი და წინააღმდეგობრივია!

მაგ შენი ზიზღის რომელიღაც კუთხით იქნებ იმას უფრო მეტად ემორჩილები, ვიდრე სხვა ვინმეს, ვინც ნებით გიყვარს, იძულების გარეშე. – რა საშინელი რამე მითხარი. თანაც ჩვეულებისამებრ ისე ზუსტად თქვი, რომ ეს არაბუნებრივობა სიმართლედ მეჩვენება. არადა, რა საშინელებაა!

– დამშვიდდი. ყურს ნუ მიგდებ. იმის თქმა მინდოდა, რომ ბნელზე, შეუგნებელზე ვეჭვიანობ, იმაზე, რის ახსნაც წარმოუდგენელია, რისი მიხვედრაც შეუძლებელია. მე ვეჭვიანობ შენს სამკაულებზე, შენი სხეულის ოფლის ცვრებზე, ჰაერში გავრცელებულ გადამდებ დაავადებებზე, რომლებიც შესაძლოა შეგიჩნდნენ და სისხლი მოგიწამლონ. აი, სწორედ

ასეთ სენად მიმაჩნია კომაროვსკიც, რომელიც ოდესმე წამართმევს შენს თავს, როგორც ოდესღაც ჩემი ან შენი სიკვდილი გაგვაცალკევებს. ვიცი, ამასაც უაზრო აბდაუბდად ჩამითვლი. არ შემიძლია ეს ყველაფერი უფრო დალაგებულად და გასაგებად გითხრა. მე შენ უგონოდ, თავდავიწყებით, დაუსაბამოდ მიყვარხარ.

13

– უფრო მეტი რამ მომიყევი ქმარზე. როგორც შექსპირი ამბობდა, „ბედის დავთარში ვით ავდარში, დარშიც ერთნი ვართ".

– საიდანაა?

– „რომეო და ჯულიეტადან".

– როცა ვეძებდი, მელიუზეევში მის შესახებ ბევრი რამ მითქვამს შენთვის. მერე ეს აქაც განმეორდა, იურიატინში, ჩვენი პირველი შეხვედრისას, როცა მიამბე, როგორ უნდოდა შენი დაპატიმრება თავის ვაგონში. არ მახსოვს, გიამბე თუ არა, მეჩვენება, რომ ერთხელ ვნახე, მანქანაში ჩაჯდომისას. შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ იცავდნენ. გარეგნულად სულ არ შეცვლილიყო. ისეთივე ლამაზი, პატიოსანი, მტკიცე სახე ჰქონდა, ყველაზე პატიოსანი იმათ შორის, ვინც კი ოდესმე შემხვედრია. პირდაპირ ხორცშესხმული ვაჟკაცობა იყო, ვერავითარ თვალთმაქცობას ვერ შეამჩნევდი. თავისი დღე და მოსწრება ასეთი იყო და ასეთად დარჩა. და მაინც ერთი ცვლილება შევამჩნიე, რამაც შემაშფოთა.

თითქოს რაღაც განყენებული შენივთებოდა მის შესახედაობას და მთლად გაეუფერულებინა. ცოცხალი ადამიანური სახე იდეის განსახიერებად, პრინციპად, გამოხატულებად ქცეულიყო. ამის დანახვაზე გული შემეკუმშა. მივხვდი, რომ ეს იმ ძალების შედეგი იყო, რომელთაც თავი მიუძღვნა, ამაღლებული და მაინც სიკვდილის მთესველი, შეუბრალებელი ძალებისა, რომლებიც ოდესმე არც მას დაინდობენ. მომეჩვენა, რომ

ბედისწერას განწირული ჰყავდა. მაგრამ იქნებ ვცდები. იქნებ შენი იმ-დროინდელი გამოთქმები მომეძალა, თქვენი შეხვედრა რომ ამიწერე. ჩვენი გრძნობების ერთობის გარდა მე ხომ ბევრი რამ გადავიღე შენგან!

– არა, რევოლუციამდე როგორ ცხოვრობდით, ისიც მიამბე.

– ადრე დავიწყე ბავშვობაში სიწმინდეზე ოცნება. ის სწორედ ამის განსახიერება იყო. ჩვენ ხომ თითქმის ერთი ეზოდან ვართ, მე, ის, გალიუ-ლინი. მე მისი ბავშვობის გატაცება ვიყავი. ჩემი დანახვისას ფითრდებო-და, ტანში აჟრჟოლებდა. ალბათ ცუდია, ამას რომ ვამბობ და ვიცი. მაგ-რამ უარესი იქნებოდა, უცოდინარობაზე დამედო თავი. მე მისი ბავშვო-ბის საოცნებო სატრფო ვიყავი, ისეთი დამატყვევებელი გატაცება, რომ-ლის გამჟღავნებაც ბავშვურ სიამაყეს ეთაკილება, რომელიც უსიტყვო-დაა აღბეჭდილი სახეზე და უიმისოდაც ყველასათვის ნათელია. ჩვენ ვმე-გობრობდით მე და ის ისე განვსხვავდებით ერთმანეთისგან, როგორც მე და შენ ვართ ერთნაირები. მაშინ მე იგი გულით ავირჩიე. გადავწყვიტე, ბედი ამ საუცხოო ბიჭუნასათვის დამეკავშირებინა, როგორც კი ცხოვრე-ბაში ფეხს შევდგამდით, და ფიქრში იმთავითვე დავეწინდე.

წარმოიდგინე, რა ნიჭის პატრონია! არაჩვეულებრივი! უბრალო მეის-რის თუ რკინიგზის დარაჯის ვაჟმა მარტოდმარტო თავისი ნიჭით და შე-უპოვარი შრომით მიაღწია, – კინაღამ წამომცდა, უმაღლეს დონეს-მეთ-ქი, არადა, უნდა მეთქვა, თანამედროვე საუნივერსიტეტო ცოდნის მწვერვალებს ორ სპეციალობაში, მათემატიკურსა და ჰუმანიტარულში. სახუმარო საქმე ხომ არ არის!

– მაშ თუ ასე გიყვარდათ ერთმანეთი, თქვენი ოჯახური მყუდროება რაღამ დაარღვია?

– ეჰ, როგორ ძნელია ამაზე პასუხის გაცემა. ახლავე გეტყვი. თუმცა საოცარია, განა მე, სუსტმა დიაცმა უნდა აგიხსნა ასეთ ჭკვიანს, რა ემარ-თება ახლა ცხოვრებას საერთოდ, ადამიანის ცხოვრებას რუსეთში, და რატომ ინგრევა ოჯახები, მათ შორის შენი და ჩემი? ეჰ, თითქოს ყველა-ფერი ადამიანებზე, ხასიათების შესაბამისობასა თუ შეუსაბამობაზე,

სიყვარულსა და სიძულვილზე იყოს დამოკიდებული. მთელი საზოგადოების გადატრიალებასთან და გარდაქმნასთან ერთად ცხოვრების წესთან, ადამიანის ბუდესთან დაკავშირებული ყველა ზედნაშენი დაინგრა და გაცამტვერდა. დარჩა ერთადერთი არაყოფითი, დაუკავშირებელი ძალა შიშველი, სულით ხორცამდე გაძარცული სულიერებისა, რომლისთვისაც არაფერი შეცვლილა, რამეთუ იგი ყოველთვის ითოშებოდა, ცახცახებდა და ისწრაფოდა ახლოს მყოფი მოყვასისაკენ, ისეთივე გაძარცულისა და მარტოსულისაკენ. მე და შენ ახლა ორ პირველ ადამიანს, ადამს და ევას ვემსგავსებით. სამყაროს შექმნის პირველ ხანებში არც მათ გააჩნდათ სამოსელი. ქვეყნიერებას ბოლო ეღება და ჩვენც ისეთივე შიშვლები და უსახლკარონი ვართ. მე და შენ უკანასკნელ მოგონებებად შემოვრჩით იმ აურაცხელი სიდიადიდან, რაც კი ამქვეყნად შეუქმნიათ მრავალი ათასწლეულის მანძილზე ჩვენსა და მათ შორის. ამ გარდასული საოცრებების სახსოვრად ვსუნთქავთ და გვიყვარს, მოვთქვამთ, ვქვითინებთ, ერთურთს ვეყუდნით და ვეკონებით.

14

ლარამ მცირე ხნით სული მოითქვა და გაცილებით მშვიდად განაგრძო:

– მე ამას ვიტყვი: სტრელნიკოვი ისევ პაშენკა ანტიპოვად რომ გადაიქცეს, უგუნურებაზე და მეამბოხეობაზე ხელი აიღოს, დრო-ჟამი უკან შემობრუნდეს, სადღაც შორს, ქვეყნიერების დასალიერში ჩვენი სახლის ფანჯარა ლამფით და პაშას მაგიდაზე გაშლილი წიგნებით ძველებურად კვლავ რომ განათდეს, ასე მგონია, იქამდე სულ მუხლისჩოქით მივიდოდი. ძირფესვიანად შევიცვლებოდი. წარსულის ძახილის, ერთგულების ძახილის წინააღმდეგ ვერაფერს გავაწყობდი. ყველაფერს მსხვერპლად შევწირავდი. ყველაზე სანუკვარსაც კი ვანაცვალებდი, შენს თავსაც,

ჩვენს სიახლოვესაც, ასე მსუბუქი, ძალდაუტანებელი რომ არის და თავისთავად იგულისხმება. მაპატიე, სხვას ვლაპარაკობ. ეს არ არის სიმართლე.

ქალი ყელზე მოეხვია და ატირდა. მალე დამშვიდდა. ცრემლებს იწმენდდა და განაგრძობდა:

– ეს ისეთივე ძახილია მოვალეობისა, შენ რომ გეწევა ტონიასაკენ, ღმერთო, რა უბედურები ვართ! რა გვეშველება? რა უნდა ვქნათ? მერე თავს საბოლოოდ მოერია და განაგრძო:

– მაინც ვერ გითხარი, რატომ გაგვიფრინდა ბედნიერება. მერე და მერე ყველაფერს ჩავწვდი. ახლავე გეტყვი. მარტო ჩვენ კი არა ვართ ამ ყოფაში. ჩვენი ბედი ბევრმა გაიზიარა.

– ილაპარაკე, ჩემო სიცოცხლევ.

– ომის წინ შევუღლდით, მის დაწყებამდე ორი წლით ადრე. ის იყო, საკუთარი ჭკუით დავიწყეთ ცხოვრება, სახლი მოვაწყეთ და ომიც გამოცხადდა. ახლა დარწმუნებული ვარ, სწორედ ის არის ყველაფერში დამნაშავე, ყველაფრის თავი და თავი, რაც კი ჩვენს თაობას უბედურება შეხვედრია და აქამდე მოსდევს. ბავშვობა კარგად მახსოვს. იმ დროსაც შევესწარი, როცა ჯერ კიდევ ძალაში იყო წინა საუკუნის მშვიდობიანი წარმოდგენები, გონიერების ხმას ენდობოდნენ. სინდისის კარნახი ბუნებრივად და საჭიროდ ითვლებოდა. ადამიანის ხელით ადამიანის სიკვდილი იშვიათი, საგანგებო და ყოვლად უჩვეულო მოვლენა იყო. ითვლებოდა, რომ მკვლელობები მხოლოდ ტრაგედიებში, მაძებართა ცხოვრების ამსახველ რომანებსა და ფათერაკების საგაზეთო დღიურებში თუ დაიძებნებოდა, ჩვეულებრივ ცხოვრებაში კი არამც და არამც არ არსებობდა.

და აი, უცებ ამ უშფოთველი, უცოდველი წონასწორობიდან სისხლისა და წივილ-კივილის, საყოველთაო უგუნურების, ყოველდღიურ და ყოველსაათობრივ, დაკანონებულ და ქება-დიდებით ცამდე აყვანილ ველურ მკვლელობათა მორევში გადავეშვით.

ალბათ ასეთ რამეს ყოველთვის მოსდევს თავისი შედეგი. ალბათ ჩემზე უკეთ გახსოვს, როგორ მოიცვა ყველაფერი ერთბაშად ნგრევამ. ყველაფერი ჩაკვდა, მატარებლების მოძრაობაც, ქალაქების სურსათით მომარაგებაც, ოჯახური ყოფის საფუძვლებიც და ცნობიერების ზნეობრივი საწყისებიც.

– განაგრძე. ვიცი, რასაც იტყვი. როგორ ერკვევი ყველაფერში! სიამოვნებით გისმენ.

– მაშინ მოვიდა სიცრუე რუსეთის მიწაზე. მთავარი უბედურება, მომავალი ბოროტების ფესვი საკუთარი აზრის ღირებულების მიმართ რწმენის დაკარგვა იყო. ყველას მოეჩვენა, რომ სამუდამოდ წავიდა ის დრო, როცა ზნეობრივი ალღოს კარნახს უსმენდნენ, რომ ერთიანი ხმით უნდა იმღერონ და უცხო, ყველასთვის თავსმოხვეული წარმოდგენებით იცხოვრონ. ჯერ მონარქისტულმა ფრაზამ იძალა, მერე – რევოლუციურმა.

ამ საზოგადოებრივმა დაბნეულობამ ყოველივე მოიცვა, ყველას, ყველაფერს გადაედო. მისი გავლენა ყველამ განიცადა. მის დამღუპველობას ველარც ჩვენი სახლი გადაურჩა. იქაც რაღაც შებარბაცდა. ჩვენში ერთთავად გაბატონებული ანგარიშმიუცემელი სიმკვირცხლის ნაცვლად ჩვენს საუბრებშიც შემოაღწია სულელურმა ლაყბობამ, აუცილებელ მსოფლიო თემებზე რაღაც მოჩვენებითმა, აუცილებელმა ჭკუის პეიტრობამ. ისეთ ნატიფ და საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნ ადამიანს, როგორიც პაშა იყო, ეგრერიგად უშეცდომოდ რომ არჩევდა არსებითსა და მოჩვენებითს, განა შეეძლო შემოპარული სიყალბისათვის გვერდი აევლო და არ შეემჩნია?

და აი, აქ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, რომელმაც ყველაფერი იმთავითვე გადაწყვიტა. დროის ნიშანი, საზოგადოებრივი ბოროტება ოჯახურ მოვლენად ჩათვალა. ჩვენი მსჯელობის არაბუნებრივი კილო, გარეგნული დაძაბულობა საკუთარ თავზე მიიღო, ირწმუნა, რომ გამოფი-

ტული, თავის ნაჭუჭში გამოკეტილი წყალწყალა ადამიანია. ალბათ დაუჯერებლად გეჩვენება, რომ ასეთ წვრილმანებს შეეძლოთ რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდათ ჩვენს ერთობლივ ცხოვრებაში. ვერ წარმოიდგენ, ამას რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენი სისულელე ჩაიდინა პაშამ ამ ბალღობისათვის.

ისე წავიდა ომში, არავის დაუძალებია. და ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ თავისი თავისაგან, მისგანვე გამოგონებული ტანჯვისაგან გავეთავისუფლებინეთ. მის უგუნურებებსაც აქედანვე დაედო სათავე. რაღაც ბალღური, ყალბად გაგებული თავმოყვარეობით ცხოვრებაში ისეთ რამეს გაუნაწყენდა, რაც არ უნდა სწყენოდა. მოვლენათა მიმართულებას, ისტორიას გაებუტა, მასთან დაიწყო უთანხმოება. ის გამომწვევი ახირებულობაც აქედანაა. ეს ტუტუცური თავკერძობა დაასამარებს. ნეტა შემეძლოს, რითიმე ვუშველო!

– რა ალალად და ძლიერ გიყვარს! დაე გიყვარდეს, გიყვარდეს. არ ვეჭვიანობ და არც გიშლი.

15

შეუმჩნევლად მოვიდა და წავიდა ზაფხული. ექიმი გაჯანსაღდა. მოსკოვში ნავარაუდები წასვლის იმედით დროებით სამუშაოდ სამ ადგილზე მოეწყო. ფულის უსწრაფესი გაუფასურება აიძულებდა ერთდროულად რამდენიმე სამსახურში ემარჯვა.

დილით მამლის ყივილისას დგებოდა, სავაჭრო ქუჩაზე გამოდიოდა და ილუზიონ „გიგანტის" გვერდის ავლით ურალის კაზაკთა ჯარის ყოფილი სტამბისაკენ ეშვებოდა, რომელიც ახლა „წითელი ამწყობის" სახელს ატარებდა. საქალაქო ქუჩის კუთხეში, საქმეთა მმართველობის კარზე „საპრეტენზიო ბიუროს" წარწერა ხვდებოდა. მოედანს ირიბად ჭრიდა და მალაია ბუიანოვკაზე გადიოდა. მერე სტენგოპის ქარხანას

გვერდს უქცევდა და საავადმყოფოს უკანა კარიდან სამხედრო ჰოსპიტალის ამბულატორიაში შედიოდა, სადაც მისი ძირითადი სამსახური იყო. გზის ნახევარი ქუჩის გარდიგარდმო გადაფოფრილ ხეებქვეშ გადიოდა, აქეთ-იქიდან კი უცნაური, მეტწილად ხის სახლები იდგა, რომლებიც თავს იწონებდნენ მკვეთრად დაქანებული სახურავებით, ცხაურა ღობეებით, მოხატული ალაყაფის კარებითა და მოჩუქურთმებულ თამასიანი დარაბებით.

ამბულატორიის მახლობლად, ვაჭრის ცოლის, გორეგლიადოვას სამემკვიდრეო ბაღში ძველი რუსული ყაიდის დაბალი სახლი იდგა. იგი წახნაგოვანი, მოჭიქული შორენკეცებით იყო მოპირკეთებული და ბოიართა ძველი მოსკოვური პალატების მსგავსად წახნაგები გარედან ჰქონდა მოქცეული.

ამბულატორიიდან იური ანდრეევიჩი დეკადაში სამჯერ თუ ოთხჯერ – ძველი მიასის ქუჩაზე მდებარე ლიგეტის ყოფილ სახლში დადიოდა იქ მოთავსებული იურიატინის გუბჯანის სხდომებზე.

სულ სხვა, შორეულ რაიონში იდგა ქალაქისათვის ანფიმის მამის, ეფიმ სამდევიატოვის მიერ თავისი განსვენებული ცოლის სახსოვრად შეწირული სახლი. ქალი ანფიმზე მშობიარობას გადაჰყვა და დაქვრივებულმა სამდევიატოვმაც იმ სახლში გინეკოლოგიისა და მეანობის ინსტიტუტი დააარსა. ახლა იქ როზა ლუქსემბურგის სახელობის დაჩქარებული სამედიცინო-ქირურგიული კურსები იყო მოთავსებული, სადაც იური ანდრეევიჩი ზოგადი პათოლოგიისა და რამდენიმე მეორეხარისხოვანი საგნის კურსს კითხულობდა.

ამ თანამდებობებიდან შეღამებისას ბრუნდებოდა მისავათებული და დამშეული. საოჯახო საქმიანობაში ჩაფლული ლარისა ფეოდოროვნა ამ დროს ქურასთან ან ვარცლთან ტრიალებდა. ასე პროზაულად და საყოველდღეოდ გამოწყობილი, თმაგაწეწილი, სახელოებდაკაპიწებული და კალთებაკეცილი ქალი თითქმის აფრთხობდა თავისი მეფური, სულის შემხუთველი მიმზიდველობით, უფრო მეტად, ვიდრე მაღალ ქუსლებზე

შემდგარი, გულამოღებულ კაბაში ან ფართო, შარიშურა ქვედატანში სამეჯლისოდ გამოწყობილი რომ ენახა.

იგი საჭმელს ამზადებდა ან სარეცხს რეცხავდა, მერე კი დარჩენილი საპნიანი წყლით სახლში იატაკს აკრიალებდა. ან კიდევ, უფრო მშვიდი და ნაკლებად აღგზნებული, იური ანდრეევიჩის, კატენკას და თავის თეთრეულს აკერებდა. საჭმლის მომზადებას, სარეცხს და სახლის დალაგებას რომ მორჩებოდა, კატენკას ასწავლიდა, ან სახელმძღვანელოებს შემოიწყობდა და ვიდრე ახლად გარდაქმნილ სკოლაში მასწავლებლობას დაუბრუნდებოდა, საკუთარი თავის პოლიტიკური გადამზადებით იყო დაკავებული.

თუმცა რაც უფრო მეტად ახლობელნი ხდებოდნენ მისთვის ეს ქალი და გოგონა, მით უფრო უჭირდა მათ შორის თავი ოჯახურ გარემოში ეგრძნო, მით უფრო მკაცრ ყადაღას ადებდა საკუთარ გრძნობებს, თავისიანების მიმართ მოვალეობისა და პირუმტკიცობის ტკივილის გამო, შეზღუდვაში ლარასთვის და კატენკასათვის საწყენი არა იყო რა. პირიქით, გრძნობიერების ეს არაოჯახური წესი მოწიწებისა და კრძალვის მთელ სამყაროს მოიცავდა და კადნიერებას თუ მოურიდებლობას მთლიანად გამორიცხავდა.

მაგრამ ეს გაორება მუდამ სტანჯავდა, გულს უსერავდა, და იური ანდრეევიჩიც შეეჩვია მას, როგორც შეუხორცებელ, ხშირად პირშეხსნილ ჭრილობას ეჩვევიან.

16

ორი-სამი თვე ასე გავიდა. ერთხელ, ოქტომბერში, იური ანდრეევიჩმა ლარისა ფეოდოროვნას უთხრა:

– იცი, მგონი სამსახურის მიტოვება მომიწევს. ძველი ამბავია, ისევ და ისევ რომ მეორდება. ყოველთვის ისე იწყება, უკეთესს ვერ ინატრებ. „პატიოსან მუშაობას ყოველთვის მივესალმებით, ახალ-ახალ აზრებს კი

– მითუმეტეს. ან კი როგორ არ გვიხაროდეს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. იმუშავეთ, იბრძოლეთ, ეძიეთ.”

მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, აღმოჩნდება, რომ აზრებში მხოლოდ პირმოთნეობა, რევოლუციისა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა დუჟმორეული ქება-დიდება იგულისხმება. ეს კი მომქანცველი და მოსაბეზრებელი საქმეა, თანაც არც ისე მეხერხება.

ისე კი რას ერჩი, ალბათ მართლები არიან. რაღა თქმა უნდა, მათთან არა ვარ. მაგრამ მე მიჭირს იმ აზრთან შერიგება, რომ ისინი გმირები, ნათლით მოსილი პიროვნებანი არიან, მე კი ადამიანის უმეცრების და დამონების მომხრე გულნამცეცა კაცუნა. ნიკოლაი ვედენიაპინის სახელი გაგიგონია როდისმე?

– რასაკვირველია. ვიდრე გაგიცნობდი, და მერეც, ხშირად მიამბობდი. სიმოჩკა ტუნცევაც ხშირად იგონებს. ისიც იმ კაცის მიმდევარია, მაგრამ, ჩემდა სამარცხვინოდ, მისი წიგნები არ წამიკითხავს არ მიყვარს თავიდან ბოლომდე ფილოსოფიისადმი მიძღვნილი თხზულებები. ჩემი აზრით, ფილოსოფია ხელოვნების და ცხოვრების მცირე საკმაზი უნდა იყოს. მარტო ფილოსოფიით გატაცება კი მხოლოდ პირშუშხას ჭამას ჰგავს. თუმცა რას ვამბობ, მაპატიე, ჩემი სისულელეებით სათქმელ დაგავიწყე.

– არა, პირიქით. გეთანხმები. დაახლოებით მეც ეგრე ვფიქრობ. ჰო, ბიძაჩემზე ვლაპარაკობდი. იქნებ მართლაც წამხდარი ვარ მისი გავლენით, მაგრამ თვითონვე გაიძახიან: სწორუპოვარი დიაგნოსტიკოსი ხარ, სწორუპოვარი დიაგნოსტიკოსი ხარო. მართლაც, ავადმყოფობის განსაზღვრისას იშვიათად ვცდები, მაგრამ ეს სწორედ ის ალღოა, რასაც ისინი ვერ იტანენ და რომლითაც თითქოსდა ვცოდავ, – საერთო სურათის ერთი შეხედვით აღმქმელი შემეცნება.

თავით ფეხამდე შეძრული ვარ გარემოს შეფერილობასთან ორგანიზმების გარეგნული შეგუების უნარით, რასაც მიმიკრიას უწოდებენ. აქ, ამ

ფერთა შეხამებაში შინაგანის გარეგნულში გადასვლის საოცრება იმალება.

გავბედე და ლექციებზეც შევეხე ამ საკითხს. დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! „წმინდა წყლის იდეალიზმია, მისტიკაა, გოეთეს ნატურფილოსოფიაა, ნეოშელინგიანელობაა.

უნდა წამოვიდე. გუბჯანიდან და ინსტიტუტიდან საკუთარი თხოვნით გავთავისუფლდები, საავადმყოფოში კი შევეცდები ადგილი შევინარჩუნო, ვიდრე არ გამომაგდებენ. არ მინდა შეგაშინო, მაგრამ ხანდახან ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დღეს თუ არა, ხვალ დამაპატიმრებენ. – ღმერთმა დაგვიფაროს, იუროჩკა. საბედნიეროდ, იქამდე ჯერ შორსაა. მაგრამ მართალი ხარ. სიფრთხილეს თავი არა სტკივა. როგორც შევამჩნიე, ამ ახალი ხელისუფლების დამკვიდრება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. თავდაპირველად გონიერების ზეიმია, კრიტიკული სულისკვეთება, ბრძოლა ცრურწმენებთან.

მერე მეორე პერიოდი დგება. თვალთმაქცურად თანამგრძნობი „მიტმასნებულთა“ ბნელი ძალები გადასძალავენ. იზრდება ეჭვი, დაბეზღება, ხრიკები, სიძულვილი. და შენ მართალი ხარ, ჩვენ ახლა მეორე ფაზის დასაწყისში ვიმყოფებით.

მაგალითებისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. აქაური რევტრიბუნალის კოლეგიაში ხოდატსკიდან ორი ძველი პოლიტკატორღელი მუშა გადმოიყვანეს, ვინმე ტივერზინი და ანტიპოვი.

ორივენი ჩინებულად მიცნობენ, ერთი კი, უბრალოდ, ჩემი მამამთილია. და სწორედ მათი აქ გადმოყვანის მერე, სულ ახლახან ამიტანა შიშმა. კატენკასი და ჩემი სიცოცხლე მეფიქრება. იმათგან ყველაფერია მოსალოდნელი. ანტიპოვს არ ვუყვარვარ. მაგათგან მოულოდნელი არ იქნება, უმაღლესი რევოლუციური სამართლიანობის სახელით ერთ მშვენიერ დღეს მე და პაშასაც სიცოცხლე მოგვისწრაფონ. ამ საუბრის გაგრძელება საკმაოდ მალე მოუხდათ. იმხანად ღამით მალაია ბუიანოვკაზე, ორმოცდარვა ნომერში, ამბულატორიის გვერდით. გორეგლიადოვის

ქვრივის სახლი გაჩხრიკეს. სახლში იარაღის საწყობი იპოვეს და კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აღმოაჩინეს. ქალაქში ბევრი დააპატიმრეს. ჩხრეკა და დაპატიმრება კარგახანს გრძელდებოდა ხალხში ჩუმ-ჩუმად ხმა დადიოდა, ეჭვმიტანილთა ნაწილი მდინარის იქით გადავიდაო. იმასაც ამბობდნენ: „ვითომ ეს უშველით? მდინარეც არის და მდინარეც. ზოგი ისეთი მდინარეა, მართლა გეშველება, ბლაგოვეშჩენსკში, ამურზე, მაგალითად, ერთ ნაპირზე საბჭოთა ხელისუფლებაა, ხოლო მეორეზე – ჩინეთი. გადახტი წყალში, გაცურე და ჰაიდა ისხდნენ მერე და იმარჩიელონ, რა გერქვაო. აი, ის მდინარე მესმის, სულ სხვა ამბავიაო!“

– საქმე ცუდადაა, – ამბობდა ლარა. – ის დრო წავიდა, თავს არხეინად რომ ვგრძნობდით. უეჭველად დაგვაპატიმრებენ, შენც და მეც. მაშინ კატენკას რაღა ეშველება? დედა ვარ. მოსალოდნელ უბედურებას უნდა დავასწრო და რაღაც მოვიფიქრო. ამის თაობაზე გადაწყვეტილება მზად უნდა მქონდეს. ამას რომ ვფიქრობ, გონება მეკარგება.

– მოდი, ვიფიქროთ. რა გამოსავალი დაგვრჩენია? შეგვწევს ძალ-ღონე, რომ ეს დარტყმა თავიდან ავიცილოთ? ეს ხომ საბედისწერო საქმეა.

– გაქცევა არც შეიძლება და გასაქცევიც არსადა გვაქვს. მაგრამ შესაძლოა სადმე ჩრდილში, მოფარებულში გადავინაცვლოთ. მაგალითად, ვარიკინოში წავიდეთ. ბოლო ხანებში რატომღაც სულ ვარიკინოს სახლზე ვფიქრობ. საკმაოდ შორსაა და თანაც მიყრუებული ადგილია. მაგრამ იქ თვალში ეკალს არავის ამოვუყვანთ. ზამთარი ახლოვდება გამოზამთრების ტვირთს მე ვიკისრებდი. სანამ მოგვაგნებდნენ, ერთ წელს მოვიგებდით, ეს კი ცოტა როდია. ქალაქთან შუაკაცობას სამდევიატოვი გაგვიწევდა. იქნებ არც ჩვენს დამალვაზე ეთქვა უარი. ჰა? რა იტყვი? მართალია, იქ ახლა კაცის ჭაჭანება არ არის, უკაცრიელი სიცარიელეა. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო მარტში, როცა იქ ჩავედი. თანაც ამბობენ, მგლები იცისო. საშინელებაა. მაგრამ ადამიანები, განსაკუთრებით ანტიპოვის და ტივერზინის მსგავსი ადამიანები, ახლა მგლებზე უფრო საშიშარნი არიან.

– არც კი ვიცი, რა გიპასუხო. შენ ხომ ერთთავად მოსკოვში მერეკები, სულ იმას ჩამჩიჩინებ, გამგზავრებას ნუ გადასდებო. ახლა ეს საქმე უფრო გაადვილდა. სადგურში გავიკითხე. მეტომრეობაზე, როგორც ჩანს, ხელი ჩაიქნიეს. მგონი არც ყველა უბილეთო მგზავრს ჰყრიან მატარებლებიდან. ხალხის დახვრეტაც მოსწყინდათ, ნაკლებს ხვრეტენ.

ისიც მაფიქრებს, მოსკოვში გაგზავნილი წერილებიდან პასუხი ჯერ არც ერთზე რომ არ მიმიღია. როგორმე უნდა ჩავაღწიო და გავარკვიო, რა დაემართათ. ამას შენ თვითონ მიჩიჩინებ. მაშ ვარიკინოზე შენი სიტყვები როგორღა გავიგო? ნუთუ მარტოდმარტო, უჩემოდ წახვალ იმ საშინელ უღრანებში?

– არა, უშენოდ, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია.

– მეც რომ მოსკოვში მგზავნი?

– ჰო, ეგეც აუცილებელია.

– მისმინე. იცი რა? ჩინებული აზრი მომივიდა. მოდი, მოსკოვში წავიდეთ. შენ და კატენკა ჩემთან ერთად წამოდით.

– მოსკოვში? ხომ არ გაგიჟდი! მოსკოვში რა დამრჩენია. არა, მე უნდა დავრჩე. აქ სადმე ახლო უნდა ვიყო გამზადებული. პაშას ბედი აქ გადაწყდება. ვიდრე რაიმე გაირკვევა, აქ უნდა ვიყო, რომ საჭიროების შემთხვევაში მის გვერდით გავჩნდე.

– მაშინ მოდი კატენკაზე ვიფიქროთ.

– ხანდახან სიმუშკა მოდის ხოლმე ჩემთან, სიმა ტუნცევა. ამ დღეებში იმაზე ვსაუბრობდით.

– ვიცი, როგორ არა. აქ ხშირად ვხედავ ხოლმე.

– შენი არ მიკვირს? სადა გაქვთ კაცებს თვალები? შენს ადგილზე უთუოდ შევიყვარებდი. რა მშვენიერებაა! რა გარეგნობა აქვს, რა სიმაღლე, ტანი, ჭკუა-გონება, ნაკითხობა, სიკეთე, ნათელი აზროვნება!.. – ტყვეობიდან აქ ჩამოსვლის დღეს იმისმა დამ, მკერავმა გლაფირამ გამპარსა.

– ვიცი. ისინი ერთად ცხოვრობენ უფროს დასთან, ბიბლიოთეკარ ავდოტიასთან. პატიოსანი, მშრომელი ოჯახია. უკიდურეს შემთხვევაში მათ მინდა ვთხოვო, თუ მე და შენ დაგვაპატიმრეს, კატენკას მიმიხედონ. საბოლოოდ კი ჯერ არ გადამიწყვეტია.

– მაგრამ მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში... იმ უბედურებამდე კი, ღვთის შეწევნით, იქნებ ჯერ კიდევ შორი იყოს.

– ამბობენ, სიმა რაღაც ვერ არისო კარგად. ჭკუადმყოფელად მართლაც ვერ ჩათვლი. მაგრამ ეს მისი სიღრმისა და ორიგინალურობის ბრალია. შეუდარებლადაა განათლებული, მაგრამ ინტელიგენტურად კი არა, – ხალხურად. თქვენი შეხედულებები საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. გულარხეინად მივანდობდი კატიას აღზრდას.

17

ისევ სადგურში იყო და კვლავ ხელცარიელი დაბრუნდა. ჯერჯეროობით ყველაფერი ჰაერში იყო გამოკიდებული. მისი და ლარას ბედიც გაურკვეველი იყო. ცივი, ჩამოღამებული დღე იყო, პირველი თოვლის წინ რომ იცის, ისეთი. გზაჯვარედინებზე, სადაც ქუჩებთან შედარებით მეტი სივრცე იყო, ირგვლივ ყველაფერს ზამთრის სუნი უდიოდა.

სახლში დაბრუნებულ იური ანდრეევიჩს ლარასთან სტუმრად მყოფი სიმუშკა დახვდა. ქალები საუბრობდნენ. უფრო სწორედ, სტუმარი დიასახლისს ლექციას უკითხავდა. იური ანდრეევიჩს არ უნდოდა მათთვის ხელი შეემალა, თანაც მარტო ყოფნა ერჩია. ქალები მეზობელ ოთახში ლაპარაკობდნენ. კარი ღიად იყო დატოვებული. კარის წირთხლიდან იატაკამდე ფარდა იყო ჩამოშვებული, რომლის იქიდან მათი ნაუბარი სიტყვა-სიტყვით ისმოდა.

– მე თან შევკერავ, მაგრამ თქვენ ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, სიმოჩკა. სმენად ვარ ქცეული. თავის დროზე კურსებზე ისტორიას და ფი-

ლოსოფიას ვისმენდი. თქვენი აზრები ძალიან მომწონს. ამას გარდა, როცა გისმენთ, გულზე მეშვება. იმდენი საზრუნავი გაგვიჩნდა, ბოლო ღამეები აღარ გვძინავს. ჩემი დედობრივი ვალია, რაიმე უსიამოვნება თუ შეგვემთხვა, კატენკა სამშვიდობოზე დავიგულო. ფხიზელი გონებით უნდა ავწონ-დავწონოთ. მე ამ საქმისა ბევრი არაფერი გამეგება. მიჭირს ამისი აღიარება. მიჭირს დაღლილობის და უძილობის გამო. თქვენი საუბარი მამშვიდებს. საცაა თოვა დაიწყება. რა სჯობია, როცა თოვაში გრძელ, ჭკვიანურ განსჯას ისმენ. თოვის დროს ფანჯარაში თუ გაიხედავ, მოგეჩვენება, ეზოში ვიღაც შემოსულა და სახლისაკენ მოემართებაო, ასე არ არის? დაიწყეთ, სიმოჩკა. გისმენთ.

– რაზე გავჩერდით ამასწინათ?

იური ანდრეევიჩმა ვერ გაიგო, ლარამ რა უპასუხა. მხოლოდ სიმას ლაპარაკზე ჰქონდა ყური გამახვილებული.

– შეიძლება ვისარგებლოთ სიტყვებით: კულტურა, ეპოქები. მაგრამ ისინი სხვადასხვანაირად ესმით. მნიშვნელობის აღრევის გამო მათ ნუ გამოვიყენებთ. სხვა გამოთქმებით შევცვალოთ.

მე ვიტყოდი, რომ ადამიანი ორი ნაწილისაგან შედგება, ღვთისა და შრომისაგან. ადამიანის სულის განვითარება უზარმაზარი ხანგრძლივობის ცალკეულ სამუშაოებად იყოფა. ისინი თაობების მხრივ ხორციელდებოდა და ერთი მეორით იცვლებოდა. ასეთი სამუშაო იყო ეგვიპტე, ასეთი სამუშაო იყო საბერძნეთი, ასეთი სამუშაო იყო წინასწარმეტყველთა ბიბლიური ღვთის შემეცნება. დროის მიხედვით ასეთივე უკანასკნელი, ჯერჯერობით შეუცვლელი სამუშაოა ქრისტიანობა, რომელიც მთელი თანამედროვე შთაგონებით და აღმაფრენით ხორციელდება.

მთელი სიახლით, მოულოდნელად, ისე კი არა, როგორც თავად იცით და მიეჩვიეთ, უფრო მარტივად, უშუალოდ რომ წარმოგიდგინოთ ის ახალი, ჯერარნახული, რაც მან მოიტანა, თქვენთან ერთად განვიხილავ რამდენიმე ნაწყვეტს ღვთისმსახურების ტექსტებიდან, ისიც მცირეს და შემოკლებულს.

სტიქარონთა უმრავლესობა გვერდიგვერდ მოთავსებული ძველი და ახალი აღთქმების წარმოდგენების ერთიანობას ჰქმნის. ძველი სამყაროს ისეთ დებულებებს, როგორიცაა ცეცხლშეუგზნებელი მაყვლოვანი, ისრაელის გამოსვლა ეგვიპტიდან, ცეცხლოვან ქურებში ჩაყრილი ყრმანი, ვეშაპის წიაღში მოქცეული იონა და ასე შემდეგ, გვერდით უდგანან ახალი აღთქმის დებულებები, მაგალითად, წარმოდგენები ღვთისმშობლის მუცლადღების და ქრისტეს აღდგომის შესახებ.

ამ ხშირ, თითქმის მუდმივ შესაბამისობაში ძველის სიძველე, ახლის სიახლე და მათი სხვაობა განსაკუთრებით ნათლად იკვეთება.

უამრავ საგალობელში მარიამის უბიწო დედობა მეწამულ ზღვაზე იუდეველთა გადასვლასთანაა შედარებული. მაგალითად, საგალობელში ნათქვამია: „ვითარცა ზღუა არს განუვლელ შემდგომად ისრაელისა გავლისა მას ზედა, ესრეთ უბიწო ქალწული იგი დაშთა უხრწნელ შემდგომად შობისა ემანუილისა.” ანუ ისევე, როგორც ისრაელის გავლის შემდეგ ზღვაზე გავლა კვლავ შეუძლებელი გახდა, წმინდა ქალწულიც უფლის შობის მერე უბიწოდ დარჩაო. როგორი მოვლენებია აქ ერთმანეთთან შედარებული? ორივე მათგანი ზებუნებრივია, ორივე ერთნაირ სასწაულადაა აღიარებული. რაში ხედავდა სასწაულს ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებული ორი დრო, ერთი მხრივ უძველესი, პირველყოფილი, და მეორე მხრივ ახალი, რომის შემდგომი, გაცილებით დაწინაურებული? ერთ შემთხვევაში სახალხო ბელადის, მოსე წინასწარმეტყველის ბრძანებით და მისი სასწაულმოქმედი კვერთხის დაქნევით ზღვა ორად იპობა, თავის შუაგულში ატარებს მთელ ერს, ურიცხვ, ასიათასობით ადამიანს, და როცა ეს უკანასკნელი გაივლის, იგი კვლავ უკუმოიქცევა, ეგვიპტელ მდევრებს გადაუვლის და დაახრჩობს. ძველისძველი სულისკვეთებით აღსავსე სანახაობაა, სტიქიონი ჯადოქრის ხმას ემორჩილება, საომრად ამხედრებულ რომაელთა ჯარივით აურაცხელი ლაშქარიც არის, ხალხიც და ბელადიც, არც ხილული საგნების სიმცირეა და არც ყურთასმენის წამღებისა.

მეორე შემთხვევაში გოგონა – ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც ძველი სამყარო ყურადღებას არც კი მიაქცევდა, – საიდუმლოდ და ფარულად ანიჭებს სიცოცხლეს ყრმას, ამქვეყნად ჰბადებს სიცოცხლეს, სიცოცხლის საოცრებას, ყოველთა სიცოცხლეს, როგორც შემდგომში უწოდებენ. მისი გაჩენა არა მარტო მწიგნობართა თვალსაზრისითაა უკანონო, ვითარცა ქორწინების გარეშე. იგი ბუნების კანონებსაც ეწინააღმდეგება. გოგონა მას აუცილებლობის გამოისობით კი არა, სასწაულით, ზეშთაგონებით შობს. ეს ის ზეშთაგონებაა, რომელზეც ჩვეულებრივის განსაკუთრებულთან და სადაგ დღეებთან დღესასწაულის დამაპირისპირებელ სახარებას ყოველგვარი იძულების საპირისპიროდ სიცოცხლის აღზევება სურს.

რა უდიდესი მნიშვნელობის ცვლილებაა! როგორ გადაიქცა ზეცისათვის (ეს ყოველივე ზეცის თვალით უნდა შეფასდეს, რამეთუ ქვეყნად ყველაფერი მარტოოდენ მის წინაშე, ერთადერთობის წმინდა ჩარჩოში წარიმართება) – როგორ გადაიქცა ზეცისათვის ძველების თვალსაზრისით ესოდენ უმნიშვნელო კერძო ადამიანური გარემოება მთელი ერის დედაწულიანად გადასახლების ტოლფას მოვლენად?

რაღაც შეირყა მსოფლიოში, დასრულდა რომი, რაოდენობის ძალაუფლება, იარაღით დაკისრებული მოვალეობა მთელი სიმრავლით, სულადობით, მოსახლეობით ცხოვრებისა. ბელადები და ხალხები წარსულს ჩაბარდნენ.

იმათ სანაცვლოდ ამ ქვეყანას პიროვნება, თავისუფლების ქადაგება მოევლინა. ცალკეული ადამიანური სიცოცხლე საღვთო ამბად გადაიქცა, თავისი შინაარსით მან სამყაროს სივრცე შეავსო. როგორც ხარების ერთ საგალობელშია ნათქვამი, ადამს უნდოდა გაღმერთება, მაგრამ შეცდა და თავის საწადელს ვეღარ ეწია, ახლა კი თავად ღმერთსა ნებავს ადამის ხვედრი და სურს ადამი გააღმერთოს („ადამიანი არის ღმერთი, და იგი ადამს ღმერთად გარდაქმნის”).

სიმა განაგრძობდა:

– ზოგიერთ რამეს კიდევ გეტყვით ამ საკითხზე. მანამდე კი სასაუბრო საგანი მცირე ხნით გვერდზე გადავდოთ. მშრომელებზე ზრუნვის, დედობის დაცვის, მომხვეჭელობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში ჩვენი რევოლუციური დრო არნახული, დაუვიწყარი დროა თავისი ხანგრძლივი, სამუდამო მონაპოვრებით. რაც შეეხება ცხოვრების გაგებას, ბედნიერების ფილოსოფიას, რომელიც ახლა ინერგება, ეს ისეთი სასაცილო გადმონაშთია, უბრალოდ დაუჯერებელია, რომ ამას სერიოზულად ლაპარაკობენ. ბელადებზე და ხალხებზე გაჩაღებულ ამ ქაქანს ცხოვრების ჩარხის უკუღმა დატრიალებისა და ისტორიის ათასობით წლით უკან გადასროლის ძალა რომ შესწევდეს, ძველი აღთქმის მეჯოგე ტომებთან და პატრიარქებთან დაგვაბრუნებდა. საბედნიეროდ, ეს შეუძლებელია. რამდენიმე სიტყვას გეტყვით ქრისტეზე და მაგდალინელზე. სახარებაზე კი არ მოგახსენებთ, ვნების შვიდეულის ლოცვები მაქვს მხედველობაში, აღარ მახსოვს, დიდი სამშაბათის თუ ოთხშაბათის ლოცვა[101].

თუმცა ეს ყველაფერი უჩემოდაც მშვენივრად იცით, ლარისა ფეოდოროვნა. თქვენს დამოძღვრას სულ არ ვაპირებ, უბრალოდ, მინდა ზოგი რამ შეგახსენოთ.

ვნება სლავურად, თქვენც კარგად იცით, უპირველესად ტანჯვას ნიშნავს, უფლის წამებას, „ნებისად მივალს უფალი ვნებად” (უფალი თავისი ნებით მიდის საწამებლად). გარდა ამისა, უფრო მოგვიანებით ეს სიტყვა რუსულში მანკიერებისა და გულისთქმის მნიშვნელობით იხმარებოდა. „ვნებით წარხოცა ყოველნი სულისა ჩემის”, „აღვიჭურვოთ მოთმინებითა და დავიშრიტოთ ვნებანი ჩვენნი”. და ა.შ. იქნებ მომეტებულად ვცოდავდე კიდეც, მაგრამ არ მიყვარს ასეთი სახის წინასააღდგომო მოწოდებანი, რომელნიც გრძნობის ალაგმვისა და ხორცის დაჭკნობისაკენ მოუწოდე-

[101] ამის შემდეგ მოთხრობილია ბეთანიაში, სვიმონ კეთროვანის სახლში უცნობი დედაკაცის მიერ იესოსათვის ძვირფასი ნელსაცხებლის ცხების ამბავი (მათე, 26:7-13).

ბენ ადამიანს. მუდამ მეჩვენება, რომ სასულიერო ტექსტებისათვის ეგრეერიგად განუყრელი პოეზიისაგან დაცლილი ეს ტლანქი, ცალსახა ლოცვები ღიპიანი, ლოყებღაჟღაჟა ბერების შეთხზულია. საქმე ის როდი გახლავთ, თავად ისინი უწესოდ რომ ცხოვრობდნენ და ხალხს აბრიყვებდნენ. სინდისიერადაც რომ ეცხოვრათ, ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარი ამ ნაწყვეტების შინაარსია. ამგვარი ჭმუნვა მეტისმეტად აზვიადებს სხეულის სხვადასხვაგვარ უძლურებას, ნაპატივებია იგი თუ ღონემიხდილი. ეს აუტანელია. აქ რაღაც ბინძური, არაარსებითი მეორეხარისხოვნება დაუმსახურებელ, უჩვეულო სიმაღლეზეა აყვანილი. მომიტევეთ, რომ ასე გამიჭიანურდა სიტყვა, მოთმინებისათვის ახლავე დაგაჯილდოვებთ.

მუდამ მაოცებდა, მაგდალინელის ხსენების დღე რაღა აღდგომის წინ, ქრისტეს მოწამებრივი სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის წინა ხანებშია-მეთქი[102]. არ ვიცი, ასე რატომაა, მაგრამ იმის შეხსენება, თუ რა არის სიცოცხლე, ესოდენ დროულია მასთან განშორებისა და მისივე დაბრუნების ჟამს. ახლა მისმინეთ, რა ჭეშმარიტი ვნებით, რა შეუდარებელი პირდაპირობითაა აღბეჭდილი ეს ხსენება.

დავობენ, მაგდალინელია ეს მანდილოსანი, მარიამ მეგვიპტელი თუ რომელიმე სხვა მარიამი. ასეა თუ ისე, იგი ღმერთს ევედრება: „დამხსენ ცოდვათა მრავალთა, ვითარცა ვიხსნი მე თმასა ჩემსაო". რა საგნობრივადაა გაცხადებული წყურვილი პატიებისა, სინანულისა! შეიძლება პირდაპირ ხელით შეეხო.

ასეთივე შეძახილია იმავე დღის ამსახველ მეორე, დაწვრილებით ტროპარში, სადაც უფრო დამაჯერებლადაა მოთხრობილი მაგდალინელის შესახებ.

---

[102] საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას მენელსაცხებლე დედათა, და მათ შორის მარიამ მაგდალინელის ხსენების დღეს დაწესებული აქვს აღდგომის შემდგომ მესამე კვირას (ხსენება მარიამ მაგდალინელისა, მარიამ კლეოპასი, სალომესი, იოანასი, მართასი და მარიამისა, სუსანასი და სხვათა").

აქ იგი საშინელი სიცხადით განიცდის წარსულს, იმას, რომ თითოეული ღამე წინანდელ, ჩვეულ ზნეს ახსენებს. „ხოლო ყოველსა ჟამსა მწუხრისასა ვნებასა უზომოსა შთავვარდები, რომელ ცეცხლითა მწველითა მწვავს სახმილი იგი ცოდვათა გარდასულთა”. იგი ევედრება ქრისტეს, შეიწყნაროს მისი სინანულის ცრემლები, შეისმინოს მისი გულწრფელი მუდარა და ამით მიანიჭოს ძალა წმინდა ფეხების შემშრალებისა იმ თმით, რომლის შრიალში იმალება სამოთხეში დაყრუებული და დარცხვენილი ევა. „ვეამბორები შენს წმინდა ფერხთა და შეგიმშრალებ ჩემივე თმებით. და ეს ხმაური სამოთხეში დააფრთხობს ევას.” მერე უეცრად, ამ თმების კვალდაკვალ აღმომსკდარი შეძახილი: „ვინ განსჯის ჩემთა ცოდვათ სიმრავლეს ან შენი ბედის უფსკრულთა სიღრმეს?” რა მოკლედაა ნათქვამი, რა თანასწორობაა ღვთისა და სიცოცხლისა, ღვთისა და პიროვნებისა, ღვთისა და დიაცისა!

18

იური ანდრეევიჩი სადგურიდან დაღლილი დაბრუნდა. ეს იყო მისი საყოველდეკადო დასვენების დღე. ჩვეულებისამებრ, მთელი კვირის განმავლობაში მოკლებულ ძილს იმ დღეს ინაზღაურებდა. დივანზე იჯდა, დროდადრო მუთაქას ეყრდნობოდა იდაყვით ან სულაც მხარ-თეძოზე წვებოდა. თუმცა სიმას ძილბურანში უსმენდა, მისი მსჯელობა ნეტარებას ჰგვრიდა. რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძია კოლიასგანაა, – ფიქრობდა იგი. – მაგრამ ეს ქალი მაინც რა ნიჭიერი და გონიერია!“ დივანიდან ჩამოხტა და ფანჯარასთან მივიდა. იმ ოთახივით, სადაც ახლა ლარა და სიმუშკა ჩურჩულებდნენ, ეს ფანჯარაც ეზოს გადაჰყურებდა.

ამინდი ფუჭდებოდა. ბინდი ეშვებოდა. ეზოში ორი კაჭკაჭი შემოფრინდა იქაურობას ფრენა-ფრენით ათვალიერებდნენ, დასაჯდომ ადგილს ეძებდნენ ქარი მათ ბუმბულს უფრიალებდა, ფრთებს უბერავდა. კაჭკაჭები სანაგვე ყუთის სახურავზე დაეშვნენ, ღობეზე გადაფრინდნენ,

მიწაზე დასხდნენ და ეზოში სიარულს მოჰყვნენ.

„კაჭკაჭები თოვლში", – გაიფიქრა ექიმმა. იმავ წუთს ფარდის იქიდან შემოესმა:

– კაჭკაჭის გამოჩენას რაღაც ახალი ამბავი მოჰყვება ხოლმე. – სიმა იყო, ლარას ელაპარაკებოდა. – სტუმრები მოგივლენ ან წერილს მიიღებთ.

ამასობაში კარზე პაწაწინა ზარი აწკრიალდა, რომელიც ცოტა ხნით ადრე იური ანდრეევიჩმა შეაკეთა. ფარდის იქიდან ლარისა ფეოდოროვნა გამოვიდა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა წინკარისაკენ. იური ანდრეევიჩი შემოსასვლელ კართან გამართული მისი საუბრით მიხვდა, რომ სიმას და, გლაფირა სევერინოვნა უნდა ყოფილიყო.

– დას მოაკითხეთ? – ჰკითხა ლარისა ფეოდოროვნამ. – სიმუშკა ჩვენთანაა.

– არა, მისთვის არ მოვსულვარ. თუმცა რა უშავს, თუ წამოვა, ერთად წავალთ სახლში. არა, საამისოდ არ მოვსულვარ. წერილია თქვენი მეგობრის სახელზე. მადლობა მითხრას, რომ ოდესღაც ფოსტაში ვმსახურობდი. რამდენი ხელი გამოიარა და ნაცნობობით მე ჩამივარდა. მოსკოვიდანაა. ხუთი თვე ყოფილა გზაში. ვისი იყო, არ იცოდნენ. მე კი ვიცი, ვინც არის. ერთხელ წვერი გაიპარსა ჩემთან.

გრძელი, რამდენიმე გვერდზე დაწერილი, დაჭმუჭნილი, გაქონილი, გახსნილი, გაქექილ კონვერტში ჩადებული წერილი ტონიასგან იყო. ექიმი ვერც კი მიხვდა, როგორ აღმოჩნდა იგი მის ხელში, ვერც კი შენიშნა, როგორ გადასცა ლარამ კონვერტი. წერილის კითხვის დაწყებისას კიდევ ახსოვდა, რომელ ქალაქში იყო ან ვის სახლში იმყოფებოდა, მაგრამ კითხვისას თანდათანობით ყველაფერი გადაავიწყდა. სიმა გამოვიდა, მიესალმა და ემშვიდობებოდა. ექიმი უაზროდ ჰპასუხობდა, რაც უნდა ეთქვა. არც ის გაუგია, როგორ წავიდა. მერე და მერე ყველაფერს დავიწყების ლიბრი გადაეკრა, აღარ იცოდა სად იყო და ირგვლივ რა ხდებოდა.

„იურა, – სწერდა ანტონინა ალექსანდროვნა, – იცი თუ არა, რომ გოგონა გვყავს? სახელად მაშა დავანათლეთ, შენი განსვენებული დედის, მარიამ ნიკოლაევნას სახსოვრად.

ახლა სულ სხვა საქმეზე გადავიდეთ. რამდენიმე გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, პროფესორებს კადეტთა პარტიიდან და მემარჯვენე სოციალისტებს, მელგუნოვს, კიზევეტერს, კუსკოვას, ზოგიერთ სხვას. აგრეთვე ბიძია ნიკოლაი გრომეკოს, მამას და ჩვენ, როგორც მისი ოჯახის წევრებს, რუსეთიდან საზღვარგარეთ გვასახლებენ[103].

ეს უბედურებაა, განსაკუთრებით შენს არყოფნაში, მაგრამ რას ვიზამთ ბედს უნდა დავმორჩილდეთ და ღმერთს მადლი შევწიროთ, რომ ასეთ საშინელ დროში გაძევების ასეთი მსუბუქი ფორმა გვერგო, თორემ ხომ იცი, შეიძლებოდა ყველაფერი გაცილებით უარესად გათავებულიყო, რომ გამოჩენილიყავი და ჩვენთან ყოფილიყავი, შენც წამოხვიდოდი. მაგრამ სადა ხარ ახლა? ამ წერილს ანტიპოვას მისამართზე ვგზავნი, ის გადმოგცემს, თუ მოგნახა. გაურკვევლობა მტანჯავს. თუ ცოცხალი ხარ და გამოჩნდი, ნეტა შენზე, როგორც ოჯახის წევრზე, თუ გაავრცელებენ საზღვარგარეთ წამოსვლის ნებართვას? შენს მიმართ სიყვარულით სავსე გული ამას ჩამაგონებს და ამ გულისხმას უყოყმანოდ ვენდობი. იმ დროისათვის, როცა გამოჩნდები, შესაძლოა რუსეთში ცხოვრების პირობები შემსუბუქდეს. მაშინ შენ თვითონ გამოჩხრიკავ საზღვარგარეთ წამოსვლის ცალკე ნებართვას და ყველანი ისევ ერთად შევიყრებით. თუმცა ამას გწერ და თავად არ მჯერა ამგვარი ოცნების განხორციელების შესაძლებლობა.

---

[103] ლენინის მითითებით, 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში ხელისუფლებისათვის არასასურველი ბევრი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოჯახებით საზღვარგარეთ გაასახლეს, მათ შორის იყვნენ ისტორიკოსი და პუბლიცისტი, სახალხო სოციალისტების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ს. პ. მელგუნოვი (1879-1956), კადეტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი პ. ა. კიზევეტერი (1866-1933). პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ე. დ. კუსკოვა (1869-1958).

მთელი უბედურება იმაშია, რომ მე მიყვარხარ, შენ კი არ გიყვარვარ. სულ იმას ვცდილობ, ასეთი მსჯავრის აზრს ჩავწვდე, განვმარტო, გაგამართლო. ვეძებ, საკუთარ თავში ვიქექები, მთელ ჩვენს ცხოვრებას და ყოველივეს, რაც საკუთარ თავზე ვიცი, ყირამალა ვაყენებ, და მაინც ვერაფრით გამიგია, ისეთი რა ჩავიდინე, რით დავიტეხე თავს ეს უბედურება. რაღაც უამური, ავი თვალით მიყურებ, თვალში მახინჯად გეჩვენები, როგორც მრუდე სარკეში.

მე კი მიყვარხარ. ეჰ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ! მე შენში მიყვარს ყოველივე განსაკუთრებული, ყველაფერი ხელსაყრელი და არახელსაყრელი, ყველა შენი ჩვეულებრივი თვისება, თავიანთი უჩვეულო ერთობით ესოდენ ძვირფასნი რომ არიან, შინაგანი არსით, კეთილშობილების შარავანდედით მოსილი სახე, რომელიც უამისოდ, შესაძლოა, ულამაზოდ მოსჩვენებოდა ადამიანს, ნიჭი და გონება, რომელთაც საერთოდ არარსებული ნებისყოფის ადგილი უჭირავთ. ჩემთვის ყოველივე ეს ძვირფასია და შენზე უკეთესი ადამიანი არასოდეს შემხვედრია.

მაგრამ მისმინე, იცი, რას გეტყვი? ჩემთვის ასეთი სათაყვანოც რომ არ ყოფილიყავი, ამ ზომამდე რომ არც მომწონდე, სულ ერთია, საკუთარი გულცივობის სამწუხარო სინამდვილეს თავს მაინც ვერ გავუმხელდი, სულ ერთია, ვიფიქრებდი, რომ მიყვარხარ. თუნდაც იმ შიშის გამო, თუ რა დამამცირებელი, გამანადგურებელი სასჯელია უსიყვარულოდ ყოფნა, მე შეგნებულად მოვერიდებოდი იმის გაგებას, რომ არ მიყვარხარ. ვერც მე და ვერც შენ ამას ვერასოდეს გავიგებდით. საკუთარი გული დამიმალავდა, რამეთუ უსიყვარულობა თითქმის სიკვდილია, და არასოდეს მეყოფოდა ძალა, ვინმესთვის ასეთი დარტყმა მიმეყენებინა.

თუმცა საბოლოოდ ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, ჩვენ ალბათ პარიზში წავალთ. სწორედ იმ შორეულ მხარეში მოვხვდები, სადაც ბავშვობაში იყავი და სადაც მამა და ბიძა იზრდებოდნენ. მამა მოკითხვას გითვლის. შურა გაიზარდა, მაინცდამაინც სილამაზით ვერ დაიკვეხნის,

მაგრამ ტანმაღალი, მკვრივი ბიჭია და როგორც კი შენს სახელს ახსენებენ, გულამომჯდარი მწარედ ქვითინებს. მეტი აღარ შემიძლია. გული გასკდომაზე მაქვს. მშვიდობით. მოდი, პირჯვარს გადაგსახავ. გვფარავდეს უფალი მთელი ჩვენი უსასრულო განშორების, განცდების, გაურკვევლობის, მთელი შენი ხანგრძლივი, ხანგრძლივი, ბნელი გზის თვალსაწიერზე. არაფერში გამტყუნებ, არც გსაყვედურობ, ისე ააწყვე შენი ცხოვრება, როგორც გენებოს, არას ვჩივი, ოღონდ შენ იყავ ბედნიერი.

ამ საშინელი, ჩვენთვის ესოდენ საბედისწერო ურალიდან გამგზავრების წინ ერთობ ზერელედ გავიცანი ლარისა ფეოდოროვნა. მადლობელი ვარ, ვიდრე მიჭირდა, გვერდიდან არ მომცილებია. მშობიარობის დროსაც დამეხმარა. გულწრფელად უნდა ვაღიარო, კარგი ადამიანია, მაგრამ არც სულს დავწვავ, – მთლიანად ჩემი საპირისპიროა. მე იმისათვის გავჩნდი ამქვეყნად, ირგვლივ ცხოვრება გავამარტივო და მარად სწორი გზები ვეძიო, ის კი იმიტომ, რომ გაართულოს და სხვასაც თავგზა აუბნიოს.

მშვიდობით, უნდა დავამთავრო. წერილის წასაღებად მოვიდნენ, ბარგის ჩალაგების დროც არის. ოჰ, იურა, იურა, ჩემო ძვირფასო, საყვარელო, ჩემო მეუღლევ და ჩემი შვილების მამავ, ეს რა საშინელებაა? ჩვენ ხომ ერთმანეთს ვერასოდეს, ვეღარასოდეს ვეღარ ვიხილავთ. აი, დავწერე ეს სიტყვები, შენ კი გესმის ან გჯერა მათი მნიშვნელობა? გესმის, გესმის? მაჩქარებენ, და ეს სწორედ იმის ნიშანია, რომ ჩემს წასაყვანად მოვიდნენ, სასიკვდილოდ მივყავარ. იურა! იურა!“ იური ანდრეევიჩმა წერილს მიმქრალი, ცრემლებგამშრალი, უაზროდ მზირალი, დარდისა და ვარამისაგან სხივჩამქრალი და გაქვავებული თვალები მოსწყვიტა. ვეღარაფერს ხედავდა ირგვლივ, აღარაფერი ესმოდა.

ფანჯარაში ფაფუკი ფიფქები აფარფატდნენ. მერე ქარმაც იძალა და ის თეთრი ყიამეთი ერთიანად ააფორიაქა. თითქოს დაკარგულს ინაზღაურებსო, ქარი სულ უფრო გამალებით ჰქროდა, თოვლსაც უფრო და უფრო ბარაქიანად ბარდნიდა. იური ანდრეევიჩი ისე გაჰყურებდა ფან-

ჯარას, თითქოს თვალწინ თოვლი კი არა, ისევ ტონიას წერილი უტრიალებდა, თითქოს სივრცეში ქარისაგან დაფეთებული ფანტელების უსპეტაკესი ვარსკვლავები კი არ ირეოდა, შავ-შავ ასოებს შორის აფეთქებული შუალედები იყო, თეთრზე უთეთრესი, უსასრულო და დაუსაბამო, იური ანდრეევიჩმა უნებურად ამოიკვნესა და გულზე იტაცა ხელი, იგრძნო, რომ გული მისდიოდა. რის ვაი-ვაგლახით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და უგონოდ დაეცა დივანზე.

ნაწილი მეთოთხმეტე

ისევ ვარიკინო

1

დადგა ზამთარი. მსხვილად ბარდნიდა. იური ანდრეევიჩი საავადმყოფოდან შინ დაბრუნდა.

– კომაროვსკი ჩამოვიდა, – გაბზარული, ხრინწიანი ხმით თქვა მის შესახვედრად გამოსულმა ლარამ. წინკარში იდგნენ. ქალს სახე შეშლოდა, თითქოს უცემიათო.

– სად მიდის? ვისთან? ჩვენთანაა?

– არა, რა თქმა უნდა. დილით იყო. საღამოთიც მოვალო. მალე გამოჩნდება. შენთან უნდა მოლაპარაკება.

– რისთვის ჩამოვიდა?

– ბოლომდე ვერ გავუგე. ასე ამბობს, შორეულ აღმოსავლეთში მივდივარ, გზად შემოგიარეთო. იურიატინში განგებ გადმოვუხვიე, თქვენი ნახვა მინდოდაო. უმთავრესად შენს და პაშას ნახვას იმიზეზებს. ორივეზე ბევრს ლაპარაკობს. იფიცება, ვითომც სამივენი, მეც, შენც და პატულიაც, სასიკვდილო საფრთხის წინაშე ვიმყოფებით და, თუ დავუჯერებთ, ჩვენი შველა იმის მეტს არავის შეუძლია.

– მე წავალ. მისი დანახვაც კი არ მინდა.

ლარა აქვითინდა, სცადა მის წინ მუხლებზე დაცემულიყო, ფეხებზე ხელი შემოეხვია და ზედ მიჰკვროდა, მაგრამ ექიმმა აღარ დაანება, ძალისძალად შეაჩერა.

– ჩემი გულისთვის დარჩი, გემუდარები. მასთან პირისპირ ყოფნისა სულაც არ მეშინია, მაგრამ მიმძიმს. მარტოდმარტო ნუ დამტოვებ. გარდა ამისა, გამოცდილი კაცია, ათასნაირად ნათრევი და გამოჯეჯგილი. იქნებ მართლაც რამე გვირჩიოს. რომ გეზიზღება, ბუნებრივია. მაგრამ გეხვეწები, თავს მოერიე. დარჩი.

– რა გემართება, ჩემო ანგელოზო? დამშვიდდი. აბა, რას სჩადიხარ? ნუ იჩოქებ. ადექი, შუბლი გაშალე. ადევნებულ ეშმაკს მიაფურთხე. მთელი სიცოცხლე გაფრთხობს და გაწამებს. მე შენთანა ვარ. თუ საჭიროა,

თუ მიბრძანებ, სიცოცხლეს გამოვასალმებ.

ნახევარ საათში კიდეც დაღამდა. მთლად ჩამობნელდა ნახევარი წელი იყო, იატაკის სოროები საიმედოდ იყო დაგმანული. იური ანდრეევიჩი თვალყურს ადევნებდა და ახალ ხვრელებს მათი გაჩენისთანავე სასწრაფოდ ჩურთავდა. ბინაში დიდი, ბომბორა კატაც გაიჩინეს, რომელიც მეტწილად დროს გამოუცნობ გარინდებაში ჰკლავდა, ვირთხები სახლში ბლომად იყვნენ, მაგრამ უკვე ფრთხილობდნენ. კომაროვსკის მოლოდინში ლარისა ფეოდოროვნამ ნაულუფარი შავი პური დაჭრა და რამდენიმე მოხარშულ კარტოფილთან ერთად მაგიდაზე თეფშში ჩაალაგა. სტუმრის მიღებას სახლის ძველი პატრონების ყოფილ სასადილო ოთახში აპირებდნენ, რომელიც თავის წინანდელ დანიშნულებას ახლაც ასრულებდა. მასში უშველებელი მუხის სასადილო მაგიდა და ისეთივე ჩაშავებული მუხის ვეებერთელა მძიმე ბუფეტი იდგა. მაგიდაზე ექიმის ხელით სახელდახელოდ გამართული ჭრაქი ბჟუტავდა – სასაქმებელი ზეთით სავსე პატრუქიანი წამლის შუშა.

კომაროვსკი პირდაპირ დეკემბრის წყვდიადიდან მოვიდა. თავით ფეხამდე თოვლში იყო ამოგანგლული. ქურქიდან, ქუდიდან, კალოშებიდან ფენა-ფენა თოვლი სცვიოდა, იატაკზე დნებოდა და გუბეებს აყენებდა. მიწებებული თოვლისაგან წვერ-ულვაში, რომელსაც ადრე იპარსავდა, ახლა კი რატომღაც მოეშვა, ტაკიმასხარას მიუგავდა. კარგად შემონახული საპიჯაკო წყვილი და ზოლიანი, ნაკეცებიანი შარვალი ეცვა. ვიდრე მასპინძლებს მიესალმებოდა და რაიმეს იტყოდა, ნესტიან, დასორსლილ თმას ჯიბის სავარცხლით დიდხანს ივარცხნიდა, მერე სველ ულვაშებს და წარბებს მისდგა, საგულდაგულოდ გაიმშრალა ცხვირსახოცით. ესეც რომ მოითავა, მდუმარედ, მრავალმნიშვნელოვნად გაუშვირა ორივე ხელი, მარცხენა – ლარისა ფეოდოროვნას, ხოლო მარჯვენა – იური ანდრეევიჩს.

– ჩავთვალოთ, რომ ნაცნობები ვართ, – მიმართა იური ანდრეევიჩს. – მე ხომ გულით და სულით ვმეგობრობდი მამათქვენთან, – ალბათ იცით

კიდეც. ჩემს ხელში დალია სული. სულ გაკვირდებით, მსგავსებას ვეძებ. არა, როგორც ჩანს, მამას არ ჰგავხართ. დიდი გაქანების კაცი იყო, ფიცხი, ცეცხლოვანი. გარეგნობით თუ ვიმსჯელებთ, ეტყობა, უფრო დედამ გიმგვანათ. ალერსიანი ქალი იყო, მეოცნებე.

– ლარისა ფეოდოროვნამ მთხოვა, თქვენთვის მომესმინა. როგორც მითხრა, რაღაც საქმე გქონიათ ჩემთან. თხოვნას დავყევი. ასე რომ, ჩვენი საუბარი, ძალაუნებურად, იძულებითია. მე ჩემდა თავად მაინცდამაინც დიდი მოსურნე არ გახლავართ თქვენთან ნაცნობობისა და არც მიმაჩნია, რომ ერთმანეთი გავიცანით. ამიტომ საქმეზე ვილაპარაკოთ. მაინც რა გნებავთ?

– გამარჯობათ, ჩემო კეთილებო. ყველაფერს ვხვდები, ძირისძირობამდე ყველაფერი მესმის. კადნიერებისათვის მომიტევეთ, საშინლად შეეფერებით ერთიმეორეს. უაღრესად ჰარმონიული წყვილი ბრძანდებით.

– იძულებული ვარ შეგაჩეროთ. გთხოვთ იმ საქმეებში, თქვენ რომ არ გეხებათ, ნუ ჩაერევით. არავინა გთხოვთ თანაგრძნობას. მგონი სათქმელი დაგავიწყდათ.

– თქვენ კი ერთბაშად ნუ ცხარდებით, ახალგაზრდავ. არა, ღმერთმანი, უფრო მამას ჰგვანებიხართ, ისიც მისდღემში ჩახმახივით იყო შემართული. მაშ ასე, თუ ნებას მომცემთ, მოგილოცავთ, ჩემო შვილებო. სამწუხაროდ, მართლაც ბავშვები ყოფილხართ, უზრუნველი და გულარხეინი ბავშვები, არაფერი იცით და არც არაფერი გადარდებთ. სულ ორი დღეა, რაც აქა ვარ, და უფრო მეტი გავიგე თქვენზე, ვიდრე გგონიათ. თავადაც არ იცით, რომ უფსკრულის პირას დაიარებით. თუ არაფერი მოიფიქრეთ, თქვენი თავისუფლებისა კი არა, შესაძლოა, სიცოცხლის დღეებიც კი დათვლილი იყოს.

არის ერთგვარი კომუნისტური სტილი. ამ საზომს ცოტა თუ შეეფერება, მაგრამ ამ წესრიგს ისე აშკარად არავინ არღვევს, როგორც თქვენ, იური ანდრეევიჩ, თქვენ დაცინვა ხართ ამ ქვეყნისათვის, შეურაცხყოფა.

ეს რომ მარტოდმარტო თქვენი საიდუმლო ყოფილიყო, კიდევ რა უჭირდა, მაგრამ აქ გავლენიანი ხალხია ჩამოსული მოსკოვიდან. საგულდაგულოდ აქვთ შესწავლილი, გულში რას ფიქრობთ. დიდი ხანია, აქაური თემიდის ქურუმებს თვალში არ მოსდიხართ. ამხანაგი ანტიპოვი და ამხანაგი ტივერზინი თქვენზეც და ლარისა ფეოდოროვნაზეც კბილებს ილესავენ.

თქვენ კაცი ხართ და რასაც გინდათ, იმას ჩაიდენთ, ოთხივ კუთხივ გზა ხსნილი გაქვთ. თავზე აიღებთ ხელს თუ სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე დაიწყებთ თამაშს, თქვენი ნებაა, ხელის შემშლელი არავინა გყავთ. მაგრამ ლარისა ფეოდოროვნა თავისუფალი ადამიანი არ გეგონოთ. იგი დედაა. ბავშვის სიცოცხლე აბარია, შვილის ბედ-იღბალი. თავქარიანობის და ღრუბლების ზევით ფარფატის უფლება არა აქვს.

მთელი დღევანდელი დილა ვარწმუნებდი და ჭკუას ვარიგებდი, აქაურ ამბებს ნუ ეხუმრები-მეთქი, მაგრამ ვის ეტყვი?! არაფრის მოსმენა არა ნებავს. გამოიყენეთ თქვენი გავლენა, ზემოქმედება მოახდინეთ ლარისა ფეოდოროვნაზე. ამას არა აქვს უფლება კატენკას ყოფნა-არყოფნა სასწორზე შეაგდოს, ჩემი რჩევები არად ჩააგდოს.

– მე ცხოვრებაში ჩემი აზრი არავისთვის მომიხვევია, განსაკუთრებით ახლობლებისთვის. დაგიჯერებთ თუ არა, ლარისა ფეოდოროვნას ნებაა. მისი საქმეა. ესეც არ იყოს, ისიც არ ვიცი, რაზეა ლაპარაკი. რასაც საკუთარ აზრებს უწოდებთ, ჭორადაც არ ვიცი.

– არა, სულ უფრო და უფრო მაგონებთ მამათქვენს. ისიც ასეთი უჯიათი იყო. მაშ ასე, მთავარ სათქმელზე გადავიდეთ. მაგრამ რაკი ეს საკმაოდ რთული მატერიაა, მოთმინებით აღიჭურვეთ. გთხოვთ მომისმინოთ და არ შემაწყვეტინოთ.

ზევით დიდრონი ცვლილებები მზადდება. არა, არა, მე ეს ყველაზე სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, შეგიძლიათ მენდოთ. უფრო დემოკრატიულ საწყისებზე აპირებენ გადასვლას, საერთო კანონიერების მიმართ

დათმობაზე მიდიან და ყოველივე ეს არც თუ შორეული მომავლის საქმეა.

მაგრამ სახელდობრ ამის გამო, გასაუქმებლად განწირული დამსჯელი დაწესებულებები ბოლო ხანს უფრო გაცოფდებიან და ადგილობრივ ანგარიშებსაც უფრო გამწარებით გაასწორებენ. თქვენი მოსპობა დღის წესრიგშია, იური ანდრეევიჩ. თქვენი სახელიც სიაშია. არ გეხუმრებით, ჩემი თვალით ვნახე, შეგიძლიათ დამიჯეროთ. გადარჩენაზე იფიქრეთ, თორემ მერე გვიან იქნება.

მაგრამ რაც აქამდე ვთქვი, მხოლოდ შესავალია. საქმის არსზე ახლა გადავდივარ.

ზღვისპირეთში, წყნარ ოკეანესთან, იკრიბებიან დამხობილი დროებითი მთავრობისა და გარეკილი დამფუძნებელი კრების ერთგული, გადარჩენილი პოლიტიკური ძალები. ყოველი მხრიდან იქით მიემგზავრებიან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები, საზოგადო მოღვაწეები, ყველაზე გამოჩენილი ყოფილი საერობო მოღვაწეები, საქმოსნები, მეწარმეები. მოხალისე გენერლებიც თავიანთი არმიების ნაშთებს იქ აგროვებენ.

საბჭოთა ხელისუფლება შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის შექმნაზე თვალს ხუჭავს[104]. განაპირა მხარეში წითელ ციმბირსა და სამყაროს შორის ამგვარი ბუფერული წარმონაქმნის არსებობა მისთვის ხელსაყრელია. რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა შერეული იქნება. მის მესვეურებს მოსკოვიდან პირობა ჩამოართვეს, რომ ადგილების ნახევარზე მეტს კომუნისტებს დაუთმობენ. როცა ხელსაყრელი დრო დაუდგებათ, მათი დახმარებით გადატრიალებას მოახდენენ და რესპუბლიკას ხელში ჩაიგდებენ ჩანაფიქრი სრულიად ნათელია და ისღა დარჩენიათ, შესაფერისი დრო შეარჩიონ.

---

[104] ამგვარი ბუფერული სახელმწიფოს შექმნით საბჭოთა ხელისუფლებამ დროებით აიცილა თავიდან იაპონიასთან დაპირისპირება. 1920 წლის 6 აპრილს შექმნილმა ამ წარმონაქმნა ორიოდე წელი იარსება და 1922 წლის ნოემბერში რსფსრ-ს შეუერთდა.

ოდესღაც რევოლუციამდე ძმები არხაროვების, მერკულოვების და სხვა სავაჭრო თუ საბანკო სახლების საქმეები ვლადივოსტოკში მე მებარა და იქ მიცნობენ. მომავალი მთავრობის საიდუმლო ემისარმა სანახევროდ ფარულად, სანახევროდ საბჭოების ყურის წაყრუებით შორეული აღმოსავლეთის მთავრობაში იუსტიციის მინისტრად მიმიწვია. დავთანხმდი და ახლა იქით მივემგზავრები. ყოველივე ეს, როგორც გითხარით, საბჭოთა ხელისუფლებამ იცის და დუმილს ამჯობინებს, მაგრამ საქმეს მაინც საიდუმლო ხასიათი აქვს და ამაზე ხმაური არ შეიძლება.

შემიძლია თქვენც და ლარისა ფეოდოროვნაც თან წაგიყვანოთ. იქიდან თქვენებამდე ზღვით ადვილად მიაღწევთ. თქვენ, რა თქმა უნდა, გეცოდინებათ მათი გასახლების ამბავი. გახმაურებული ისტორიაა, ამაზე მთელი მოსკოვი ლაპარაკობს. ლარისა ფეოდოროვნას დავპირდი, რომ პაველ პავლოვიჩს მოსალოდნელ დარტყმას ავაცილებ. როგორც დამოუკიდებელი და აღიარებული მთავრობის წევრი, აღმოსავლეთ ციმბირში სტრელნიკოვს მოვძებნი და ხელს შევუწყობ, რომ ჩვენს ავტონომიურ ოლქში გადმოვიდეს. თუ გამოქცევას ვერ მოახერხებს, მოკავშირეთა მიერ შეპყრობილ რომელიმე პირში გაცვლას შევთავაზებ, რომელსაც მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლებისათვის ღირებულება ექნება.

ლარისა ფეოდოროვნა გაჭირვებით უსმენდა საუბარს, რომლის აზრი ხშირად მის გონებამდე ვერ აღწევდა, მაგრამ კომაროვსკის უკანასკნელ სიტყვებზე, ექიმისა და სტრელნიკოვის უსაფრთხოებას რომ ეხებოდა, დუმილი დაარღვია, ოდნავ გაწითლდა და საუბარს თავისი სიტყვაც შეაშველა:

– გესმის, იუროჩკა, რა მნიშვნელოვანია ეს ჩანაფიქრი შენი და პაშას საქმისათვის?

– მეტისმეტად ალალი და მიმნდობი ხარ, ჩემო ძვირფასო. ჩანაფიქრსა და განხორციელებას შორის დიდი მანძილია. იმას არ ვამბობ, ვიქტორ იპოლიტოვიჩს ჩვენი მოღორება უნდა-მეთქი, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერჯერობით ხომ ყინულზე სწერია! ახლა კი, ვიქტორ იპოლიტოვიჩ,

რამდენიმე სიტყვას ჩემი მხრიდანაც გეტყვით. მადლობას მოგახსენებთ ჩემზე ზრუნვისათვის, მაგრამ ნუთუ ფიქრობთ, რომ თვალებს დავხუჭავ და საკუთარ ბედს ისე მოგანდობთ? რაც შეეხება სტრელნიკოვზე თქვენს მცდელობას, ამაზე ლარამ უნდა იფიქროს.

– კი ვფიქრობ, მაგრამ მე ამ საქმისა არა მესმის რა. როგორც გვთავაზობს, წავყვეთ თუ არა? მშვენივრად იცი, რომ უშენოდ ფეხის გამდგმელი არსადა ვარ.

კომაროვსკი მალიმალ წრუპავდა იური ანდრეევიჩის მიერ ამბულატორიიდან მოტანილ გაზავებულ სპირტს, კარტოფილს ღეჭავდა და თვალდათვალ იბრუჟებოდა.

2

უკვე გვიანი იყო. დროდადრო ჭრაქის პატრუქს ნამწვი შორდებოდა, მინავლული ალი ახალი ძალით იფეთქებდა და ოთახს მკვეთრი სინათლე ეფინებოდა. მცირე ხნის შემდეგ იქაურობა ისევ ბინდბუნდში იძირებოდა. მასპინძლებს ეძინებოდათ, თანაც ცალკე მოლაპარაკება იყო საჭირო, კომაროვსკი კი წასვლას არ აპირებდა. მისი იქ ყოფნა ოთახში მყოფთ სულს უხუთავდა, როგორც მუხის მძიმე ბუფეტი და ფანჯრის იქით ჩამოწოლილი დეკემბრის გათოშილი წყვდიადი.

ენად გაკრეფილი კომაროვსკი მასპინძლებს კი არ უყურებდა, სასმელით გამოლენჩებული, დამრგვალებული თვალებით სადღაც მათ თავებს ზემოთ ამოჩემებულ წერტილს მისციებოდა, ძილმორეული ხმით გაუთავებლად და მოსაბეზრებლად იმეორებდა ერთი და იგივე ლათაიებს. მისი სათქმელი და საფიქრალი შორეული აღმოსავლეთი გამხდარიყო. ახლაც იმაზე იცოხნებოდა, ლარას და ექიმს მონღოლეთის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე თავის აზრებს უზიარებდა.

იური ანდრეევიჩმა და ლარისა ფეოდოროვნამ ვერ შეამჩნიეს, საუბრის რომელ ნაწილში აიკვიატა მონღოლეთი. რაკი მასზე გადახტომას

გონების თვალი ვეღარ მიადევნეს, ამ განყენებულ საკითხზე მსჯელობაც მით უფრო უცხოდ და მოსაწყენად ეჩვენებოდათ.

კომაროვსკი კი განაგრძობდა:

– ციმბირი, ეს ჭეშმარიტად ახალი ამერიკა, როგორც მას უწოდებენ, უმდიდრეს შესაძლებლობებს შეიცავს. იგი დიადი რუსული მომავლის აკვანი, ჩვენი დემოკრატიზაციის, აყვავების, პოლიტიკური გაჯანსაღების საწინდარია. თავისი მომაჯადოებელი შესაძლებლობებით უფრო მაცდურია მონღოლეთის, გარე მონღოლეთის, შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი დიდი მეზობლის მომავალი. განა რა იცით მის შესახებ? არც კი გრცხვენიათ, ამაზე საუბრისას რომ ამთქნარებთ და თვალები გებლიტებათ. მისი ფართობი მილიონნახევარი კვადრატული ვერსია. ამ ქვეყანას აურაცხელი წიაღისეული გააჩნია და უხსოვარი დროის ქალწულებრიობა აქვს შერჩენილი. სწორედ მისკენ არის მიმართული ჩინეთის, იაპონიის, ამერიკის ხარბი თვალები. და ეს ხდება ჩვენი რუსული ინტერესების საზიანოდ, იმ ინტერესებისა, რომელთაც დედამიწის ამ უშორეს კუთხეში გავლენის სფეროების ნებისმიერი გაყოფისას ყველა ჩვენი მოწინააღმდეგე აღიარებს.

ჩინეთი სარგებლობს მონღოლეთის ფეოდალურ-თეოკრატიული ჩამორჩენილობით, გავლენას ახდენს ლამებზე და ჰუთუჰთებზე. იაპონია ბატონყმობის დამცველ იქაურ თავადებს ეყრდნობა, მონღოლურად – ჰოშუნებს. წითელი კომუნისტური რუსეთი მოკავშირედ ჰამჯილსებს ანუ მონღოლეთის აჯანყებული მწყემსების რევოლუციურ ასოციაციას იყენებს. მე თუ მკითხავს კაცი, მე ჩემდა თავად მირჩევნია ნამდვილად აყვავებულ მონღოლეთს ვხედავდე, რომლის მართვასაც თავისუფლად არჩეული ყურულთაი ითავებდა. პირადად ჩვენთვის სულ სხვა რამეა უმთავრესი. მონღოლეთის საზღვარს გადააბიჯებთ და წინ მთელი მსოფლიო გადაგეშლებათ, თავს თავისუფალ ჩიტებად იგრძნობთ.

მოსაბეზრებელ, მათგან ესოდენ დაშორებულ თემაზე გაუთავებელი

ქაქანი აღიზიანებდა ლარისა ფეოდოროვნას. გაჭიანურებული სტუმრობით გულგაწყალებულმა გამოსამშვიდობებლად გაუწოდა ხელი კომაროვსკის და ქარაგმების გარეშე, მოურიდებლად, დაუფარავი სიძულვილით უთხრა:

– გვიანია, თქვენი წასვლის დროა. მეძინება.

– იმედი მაქვს, არც ისეთი სტუმართმოძულენი აღმოჩნდებით, ამ შუაღამისას ქუჩაში გამაპანღუროთ. დარწმუნებული არა ვარ, გავიგნებ თუ არა გზას გაუნათებელ, უცხო ქალაქში.

– ამაზე ადრე უნდა გეფიქრათ და დროზე წასულიყავით. არავინ გაკავებდათ.

– ო, ასე უგულოდ რატომ მელაპარაკებით? მკითხეთ მაინც, ღამის გასათევი მაქვს თუ არა.

– მაგის მეტი დარდი არ მომცა გამჩენმა. ერთბაშად თავი არავის დაარჩაგვრინოთ. თუ მაინც არ დაიშლით და ღამის გათევას მოგვთხოვთ, საერთო ოთახში, სადაც მე და კატენკას გვძინავს, ვერ დანარჩენში კი ვირთხები საშველს არ მოგცემენ.

– მე მათი არ მეშინია.

– როგორც გენებოთ.

3

– რა გემართება, ჩემო ანგელოზო? ეს მერამდენე ღამეა, თვალზე რული არ გეკარება, მაგიდასთან ზიხარ და საჭმელს პირს არ აკარებ, მთელი დღე გაოგნებული დადიხარ. სულ ფიქრობ, ფიქრობ... რა არ გასვენებს? შფოთიანი ფიქრების ეგრე ნებაზე მიშვებაც არ ივარგებს. – ისევ შემოიარა საავადმყოფოდან დარაჯმა იზოტმა. აქ, ჩვენს სახლში, ერთ მრეცხავს ეკურკურება. გზად შემოიარა. თავისი ჭკუით, ვითომ დამამშვიდა. საშინელი საიდუმლო ვიციო, მითხრა. შენს კაცს ოთხკედელშუა ჩაყუდება არ ასცდებაო. აგერ ხარ და შენი თვალით ნახავ, დღეს თუ არა, ხვალ

მოაყუჩებენო. მერე, შე საწყალო, შენც იმის გზა-კვალს გაგიყენებენო. საიდან მოიტანე-მეთქი, იზოტ, ვეუბნები. ნუ გეშინია, ყველაფერი ეგრე იქნებაო, მეუბნება. ნაღმისკომში ამბობდნენო. მგონი ხვდები, იმის ენაზე ნაღმისკომი აღმასკომს ნიშნავს. ლარისა ფეოდოროვნამ და ექიმმა გადაიხარხარეს.

– მართალია და რას ერჩი. საფრთხე მომწიფებულია, ზედ კარის ზღურბლთან გვიდარაჯებს. აქაურობას დაუყოვნებლივ უნდა გავეცალოთ. საკითხავი მხოლოდ ის არის, საით წავიდეთ. მოსკოვში წასვლის მცდელობა ფიქრადაც არ არის გასავლები. იქ წასვლას მეტისმეტად დიდი აურზაური დასჭირდება და ყურადღებას მივიპყრობთ. საჭირო კია დაუყოვნებლივ მოვუსვათ აქედან, რომ ვერავინ შეამჩნიოს. იცი რა, ჩემო სიცოცხლევ? მეტი გზა არაა, როგორც ადრე თქვი, ისე მოვიქცეთ. გარკვეული დროის განმავლობაში აქაურობას უნდა გავშორდეთ. დაე, ის თავშესაფარი ვარიკინო იყოს. წავიდეთ იქ ორიოდე კვირით, ერთი თვით. – გმადლობთ, საყვარელო, გმადლობთ. როგორ გამახარე. ვიცი, როგორ გიმძიმს იქ წასვლა. მაგრამ საქმე თქვენს სახლს როდი ეხება. შენთვის იქ ცხოვრება მართლაც მეტისმეტად ძნელი იქნება. გამოცარიელებული ოთახები, სინდისის ქენჯნა, მოგონებები, შედარებები... განა არ მესმის? საშინელებაა სხვის უბედურებაში ბედნიერების ძიება, იმის გათელვა, რაც სულისათვის ძვირფასი და სანუკვარია. არც არასოდეს მივიღებდი შენგან ასეთ მსხვერპლს., მაგრამ საქმე მთლად ასე როდია. თქვენი სახლი ისეა დანგრეული, რომ ოთახების საცხოვრებლად მოწყობა შეუძლებელიცაა. მე უფრო მიკულიცინის სახლს ვგულისხმობდი.

– ცამდე მართალი ხარ. მადლობელი ვარ ასეთი გულთამხილაობისთვის. მაგრამ მომხედე, სულ მინდა გკითხო და ყოველთვის მავიწყდება. სად არის კომაროვსკი? ისევ აქ არის თუ გაემგზავრა? მას შემდეგ, რაც ჩხუბი მოგვივიდა და კიბეებზე დავარახრახე, აღარაფერი მსმენია მასზე.

– აღარც მე ვიცი რამე. თუმცა ეშმაკსაც წაუღია. რაში გჭირდება? –

სულ უფრო მეტად ვფიქრობ იმაზე, რომ მის წინადადებას სხვადასხვანაირად უნდა მივდგომოდით, ჩვენ ერთნაირ პირობებში როდი ვიმყოფებით. შენ შენი გოგონას ბედი გაბარია. ჩემთან ერთად დაღუპვა თავადაც რომ მოინდომო, უფლება არ გაქვს, თავს ამისი ნება მისცე.

მაგრამ ისევ ვარიკინოს დავუბრუნდეთ. რაღა თქმა უნდა, იმ დასაკარგავში მკაცრ ზამთარში მარაგის გარეშე, უიმედოდ და უილაჯოდ წასვლა სისულელე და უგუნურება იქნებოდა. მაგრამ მოდი უგუნურად მოვიქცეთ, ჩემო სულისდგმავ, თუ უგუნურების მეტი არა დაგვრჩენია რა. მოდი ერთხელ კიდევ დავიმციროთ თავი. როგორმე ცხენი ჩამოვითხოვოთ ანფიმისაგან. ვთხოვოთ მას, ან მას კი არა, მის ხელქვეით სპეკულანტებს, თუნდაც დაუჯერებელი პირობით გვასესხონ ფქვილი და კარტოფილი. როგორმე დავითანხმოთ, ჩვენთვის გაწეული სიკეთის გადახდა ჩამოსვლისთანავე არ მოგვთხოვონ და ცხენიც მხოლოდ მაშინ დავუბრუნოთ, როცა დასჭირდება. მცირე ხნით მარტო დავრჩეთ. ავაგუზგუზოთ ღუმელი და ერთ კვირაში იმდენი შეშა დავბუგოთ, რამდენიც ალბათ ნამუსიანი მოხმარებისას მთელ წელიწადს გვეყოფოდა.

და აი, ამას ვერც ახლა გადავურჩი. მაპატიე, რომ შიგადაშიგ სიტყვა მერევა. როგორ მინდა, რომ ამ სულელური პათოსის გარეშე გელაპარაკო! მაგრამ ჩვენ ხომ სხვა არჩევანი არ გაგვაჩნია. რაც გინდა, ის დაუძახე, სიკვდილი მართლაც კარს მოგვდგომია და გვიკაკუნებს. ჩვენს ხელთ მხოლოდ დათვლილი დღეებია. ისიც ჩვენებურად უნდა გამოვიყენოთ. მოდი, ეს დრო ცხოვრების გასაცილებლად, განშორების წინ უკანასკნელი პაემანისთვის გამოვიყენოთ. გამოვეთხოვოთ ყოველივეს, რაც კი ამქვეყნად სათაყვანოდ მიგვაჩნდა, ჩვენთვის ეგრერიგად ჩვეულ ცნებებს, იმ ოცნებებს, სამომავლოდ რომ ვესათუთებოდით და რასაც სინდისი გვკარნახობდა, გამოვეთხოვოთ ჩვენს იმედებს, ერთიმეორეს გამოვეთხოვოთ. ისევ მივაგებოთ ერთმანეთს ჩვენი ღამეული საიდუმლო სიტყვები, ისეთივე დიადი და წყნარი სიტყვები, როგორიც აზიის ოკეანის სახელწოდებაა. ტყუილად კი არ ასვეტილხარ ჩემი ცხოვრების დასალიერთან, ჩემო

იდუმალო, აკრძალულო ანგელოზო, ომებისა და აჯანყებების მოჩუქურთმებული ცის ქვეშ. მახსოვს, ცხოვრების დასაწყისში, ჩემი ბავშვობის მშვიდობიანი ზეცის ქვეშაც სწორედ ასევე აღიმართე.

შენ იმ ღამითაც, უკანასკნელი კლასების გიმნაზიელის ყავისფერ ფორმაში, სანახევროდ ჩაბნელებული სასტუმროს ტიხარს იქითაც ასეთივე იყავი, როგორიც ახლა ხარ, ასევე თავბრუდამხვევად კარგი.

ცხოვრების გზებზე მას შემდეგ ხშირად მიცდია, გამომეკვეთა და სახელი დამერქმია იმ ჯადოსნური სინათლისათვის, რომელიც მაშინ შემომაფრქვიე, თანდათანობით მიმქრალი სხივისა და მილეული ბგერისათვის, რამაც სულით ხორცამდე მოიცვა მთელი ჩემი არსება და შენი მადლით მთელ ქვეყანაზე ყოველთა არსთა გასაღებად მექცა.

როდესაც ნომრის სიღრმიდან მოსწავლის კაბით წყვდიადს გამოეყავი, უწვერულ ჭაბუკს საშინელი ტკივილით შემიფრთხიალდა გული და მივხვდი: რაც კი ამქვეყნად ქალურობის ხიბლი არსებობს, არსთაგამრიგეს ამ კაფანდარა, ცქრიალა გოგონასათვის მიუმადლებია და ამ წყალობით ელექტრონივით ისეა დამუხტული, რომ მივუახლოვდე ან თითი მივაკარო, ოთახს ნაპერწკლები გააცისკროვნებს, ადგილზევე გამაქრობს, ან კიდევ მთელი ცხოვრების მანძილზე მაგნიტურად მიმზიდველი ვილით და სევდით ამავსებს-მეთქი. მთელი არსება მოციმციმე ცრემლით ამევსო, მთელი არსება მიბრწყინავდა და მიტიროდა. ჩემივე თავი, პატარა ბიჭი სიკვდილამდე მეცოდებოდა, და უფრო მეტად მებრალებოდი პატარა გოგო. მთელი არსება გაოცებად მექცა, რომელიც მიწყივ მეკითხებოდა: თუ სიყვარული და ელექტრობის შთანთქმა ეგრერიგად მტკივნეულია, მაშ ქალად ყოფნა, ანუ ელექტრობის, სიყვარულის გამოსხივება უფრო რთული და მტკივნეული იქნება-მეთქი.

აი, როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, მე ეს გამოვთქვი. ამან, შესაძლოა, სიგიჟემდე მიიყვანოს ადამიანი. მე კი მთლიანად ამ გრძნობების ტყვეობაში ვარ.

შეუძლოდ მყოფი ლარისა ფეოდოროვნა საწოლის კიდეზე იწვა საცოდავად მოკუნტულიყო და სახეზე თავსაფარი წაეფარებინა იური ანდრეევიჩი იქვე გვერდით სკამზე იჯდა და წყნარად, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა. ხანდახან ლარისა ფეოდოროვნა წამოიწევდა, იდაყვს ეყრდნობოდა, ნიკაპზე ხელისგულს შემოიდებდა და იური ანდრეევიჩს პირდაღებული უსმენდა. მერე მხარზე ეხუტებოდა და თავადაც ვერ ამჩნევდა, ისე ტიროდა ჩუმად, ნეტარებით. ბოლოს საწოლიდან გადმოიწია, ხელები შემოხვია და სახეგაბრწყინებული აჩურჩულდა:

– იუროჩკა! იუროჩკა! რა ჭკვიანი ხარ. ყველაფერი იცი, ყველაფერს ხვდები.

იუროჩკა, შენ ჩემი ბჭე, ციხე-გალავანი, თავშესაფარი, ჩემი დასაყრდენი ხარ. ღმერთმა შემინდოს ამგვარი მკრეხელობისთვის. ო, რა ბედნიერი ვარ! მივდივართ, მივდივართ, ჩემო ძვირფასო. იქ როცა ჩავალთ, მაშინ გეტყვი, თუ რა მაწუხებს.

ექიმმა იფიქრა, ეტყობა ჰგონია, ფეხმძიმედაა, რაც ალბათ სინამდვილეს არ შეეფერებაო, და უთხრა:

– ვიცი.

4

ქალაქიდან ზამთრის ნაცრისფერი დილით გავიდნენ. სადაგი დღე იყო. ქუჩებში გამვლელები თავთავიანთ საქმეებზე მიიჩქაროდნენ. ხშირად ხვდებოდათ ნაცნობები. ოღროჩოღრო გზაჯვარედინებზე, წყლის გამანაწილებელ ძველ ჯიხურებთან ჭების არმქონე მცხოვრებთა მწკრივები იდგა. გვერდით ვედროები და მხარიხეები ეწყოთ და წყლის ასაღებად თავ-თავიანთ რიგებს ელოდნენ. ექიმი ძლივს იოკებდა სამდევიატოვის მოყვითალო-ნისლისფერ ზერდაგს და თავისი მარხილით აჩოჩქოლებულ დიასახლისებს ფრთხილად უვლიდა. გაქანებული მარხილი წყალ-

შეყინული ქვაფენილიდან გვერდზე სხლტებოდა და გვერდითი ლატანებით ფარნის ბოძებს ეხლებოდა.

ჭენებ-ჭენებით წამოეწივნენ ქუჩაში ფეხით მიმავალ სამდევიატოვს, გვერდით ჩაუქროლეს და უკან არც კი მოუხედავთ, რომ დარწმუნებულიყვნენ, თავისი ცხენ-მარხილი და მისი მგზავრები იცნო თუ არა, ანდა სულაც ხომ არაფერი მიაძახა. სხვა ადგილას ასევე უსალმოდ გაუსწრეს კომაროვსკის და დარწმუნდნენ რომ იგი ჯერ კიდევ იურიატინში ყოფილიყო.

მოპირდაპირე ტროტუარიდან გლაფირა ტუნცევამ მთელი ქუჩის გასაგონად მიაყვირა:

– მე კი მითხრეს, გუშინ წავიდნენო. მოდი და ამის მერე დაუჯერე ვისმე. – კარტოფილზე მიდიხართ, არა? – ხელები გაასავსავა, არაფერი მესმისო და ხელითვე ანიშნა, მშვიდობით გევლოთო.

სიმას დანახვისას შეეცადნენ მარხილი დაღმართში გაეჩერებინათ, მაგრამ საამისოდ უხეირო ადგილი იყო. ცხენს უიმისოდაც ძლივს იკავებდნენ და სადავეებს ერთთავად უკან ექაჩებოდნენ. სიმა თავიდან ფეხებამდე ორ-სამ თავშალში იყო გამოხვეული, რაც გარეგნულად გაფიჩხულ ნამორს ამსგავსებდა. ქვაფენილის შუაგულში მარხილამდე სწორი, მუხლში მოუხრელი ნაბიჯებით მივიდა, გამოემშვიდობა და ბედნიერი მგზავრობა უსურვა.

– როცა დაბრუნდებით, უნდა მოგელაპარაკოთ, იური ანდრეევიჩ, ბოლოს, როგორც იყო, ქალაქი უკან მოიტოვეს. თუმცა იური ანდრეევიჩს ამ გზაზე ზამთარშიც ევლო, მაგრამ მგზავრობა მეტწილად მაინც ზაფხულობით უხდებოდა და იქაურობა არ ეჩემებოდა.

ხორაგეულით სავსე ტომრები და სხვა ბარგი-ბარხანა მარხილის წინა ნაწილში ღრმად ჩაფლეს თივაში და საიმედოდ დაქანჩეს. იური ანდრეევიჩი ან მუხლებზე იყო წამომართული და ცხენს ისე ერეკებოდა, ანდა მარხილზე გვერდულად იჯდა და სამდევიატოვისეული ნაბდის ჩექმები ლატანზე ჰქონდა გადმოკიდებული.

ნაშუადღევს, როცა ზამთრის ცუღლუტობის გამო მზის ჩასვლამდე დიდი ხნით ადრე გვეჩვენება, საცაა დაღამდებაო, იური ანდრეევიჩმა არ-ცთუ გულმოწყალედ გაუტყლაშუნა შოლტი ზერდაგს და ისიც ისარივით გაფრინდა. უსწორმასწორო, გატკეპნილ გზაზე მარხილი ნავივით ხან აღმა მიცურავდა, ხან თავქვე მიექანებოდა. ქურქებში გამოწყობილი კა-ტია და ლარა შებოჭილები ისხდნენ. გვერდელა გზებზე და ღირღალებზე მარხილის ერთი გვერდიდან მეორისაკენ გორდებოდნენ, გატიკნული ტომრებივით თივაში ეფლობოდნენ, კიოდნენ და ფერდებში ჭვლების დადგომამდე იჭაჭებოდნენ. ხანდახან ექიმი ერთ-ერთ თავკავს განგებ, ხუმრობით თოვლის გვერდით ბორცვზე შეაგდებდა, მარხილს გვერდზე აბრუნებდა და ისე, რომ არაფერი სტკენოდათ, ლარას და კატიას თოვ-ლში აკოტრიალებდა. სადავეებს ჩაფრენილი იური ანდრეევიჩი თოვლზე რამდენიმე ნაბიჯზე მისრიალებდა, მერე ბედაურს აჩერებდა, მარხილს ასწორებდა, ორივე თავკავზე აყენებდა, ლარასაგან და კატიასაგან გვა-რიანად იტყიპებოდა. მერე ყველანი ტანისამოსს იფერთხავდნენ, მარ-ხილში სხდებოდნენ, იცინოდნენ და ბუზღუნებდნენ.

– იმ ადგილს გაჩვენებთ, სადაც პარტიზანებმა გამაჩერეს, – დაჰპირდა ექიმი, როცა ქალაქს საკმაო მანძილით დაშორდნენ, მაგრამ დანაპირები ვეღარ შეასრულა, რადგან დაზამთრებული ტყეების სიშიშვლეს, მკვდრულ მყუდროებას და უკაცრიელობას ირგვლივ სანახები საოცრად შეეცვალა. – აგერ! – შესძახა შეცდომით, როცა მოროს და ვეტჩინკინის მინდორში ჩასმული პირველი საგზაო ბოძი ტყეში მდგარ მეორე ბოძად ჩათვალა, სადაც შეიპყრეს. როცა ბოლოს მაინც ძველ ადგილზე, საკმის გზაგასაყართან, უღრან ტყეში მეორე ბოძს ჩაუქროლეს, თვალების ამაჭ-რელებელი სქელი ჭირხლის გისოსებს იქით, მთელ ტყეს მოსევადებული ვერცხლით რომ აზარნიშებდა, ძველი ნიშნული ვერც კი იცნო და ბოძიც ვეღარ შენიშნეს.

ჯერ კიდევ დღის სინათლე იყო, ვარიკინოში რომ ჩავიდნენ და ჟივა-გოების ძველ სახლთან შეჩერდნენ, რაკი მიკულიცინების სახლამდე გზად

იქით უნდა გაევლოთ. სახლში ნაჩქარევად, ყაჩაღებივით შეიჭრნენ, – მალე უნდა დაღამებულიყო. შიგნით უკვე ბნელოდა. სიჩქარეში იური ანდრეევიჩმა დანგრეულ-გატიალებული სახლი სანახევროდაც ვერ შეათვალიერა. ნაცნობი ავეჯის ნაწილი მთელი იყო. გამოცარიელებულ ვარიკინოში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ვინც შეიძლებდა დაწყებული ნგრევა ბოლომდე მიეყვანა. საოჯახო ნივთებიდან იური ანდრეევიჩს აღარაფერი დახვდა. მაგრამ ოჯახის გამგზავრებას არ ესწრებოდა და არც ის იცოდა, რა წაიღეს ან რა დატოვეს. გზადაგზა ლარა ეუბნებოდა:

– უნდა ვიჩქაროთ. საცაა ჩამოღამდება. ფიქრის დრო აღარაა. აქ თუ დავრჩებით, ცხენი ფარდულში უნდა დავაბათ, სანოვაგე წინკარში დავაბინაოთ, ჩვენ კი აქ, ამ ოთახში მოგვიწევს ცხოვრება. მაგრამ მე ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგი ვარ. ამაზე უკვე საკმარისად ვილაპარაკეთ. შენც და, ესე იგი მეც, გაგვიჭირდება. აქ რაღა იყო, თქვენი საძილე ოთახი? არა, შენი ბიჭის საბავშვო საწოლია. კატიასათვის პატარა იქნება. მეორე მხრივ, – ფანჯრები მთელია. არც კედლები და ჭერი დაბზარულა. გარდა ამისა, რა დიდებული ღუმელია. ჯერ კიდევ წინა ჩამოსვლისას აღმაფრთოვანა. მართალია, წინააღმდეგი ვარ, მაგრამ შენ თუ არ დაიშლი, მაშინ ამ წამსვე გავიძრობ ქურქს და სახელდახელოდ საქმეს შევუდგები. პირველ რიგში კი ღუმელის გახურება მოგვიწევს, სულ უნდა ვახუროთ, ვახუროთ და ვახუროთ. პირველ ხანებში დღე და ღამე არ უნდა ჩავაქროთ. მაგრამ რა გემართება, ჩემო ძვირფასო, რატომ არაფერს მეტყვი?

– ახლავე. არაფერია. მაპატიე, გეთაყვა. არა, იცი, მართლაც სჯობია, მიკულიცინებთან მოვსინჯოთ.

და გზა განაგრძეს.

5

მიკულიცინების სახლის კარებს რგოლებში გაყრილი ბოქლომი ეკიდა. იური ანდრეევიჩი დიდხანს აგდებინებდა მას და ბოლოს ხრახნიანად და ფიცრის ნახეთქიანად გამოგლიჯა. ისევე, როგორც წინა სახლში, ტანისამოსი არც აქ გაუხდიათ, შიგნიშიგან ოთახები ქურქებით, ქუდებით და ნაბდის ჩექმებით დაიარეს.

უმალვე თვალში ეცათ, რომ სახლის ზოგიერთი კუთხე, მაგალითად, ავერკი სტეპანოვიჩის კაბინეტი, მილაგებული იყო. ეტყობოდა, აქ ვიღაც ცხოვრობდა, თანაც არც ისე დიდი ხნის წინათ. მაგრამ სახელდობრ ვინ უნდა ყოფილიყო? თუ სახლის პატრონები ან რომელიმე მათგანი იყო, სადღა წავიდნენ, ანდა გარეთა კარი რატომ ჩასმული კლიტით არ დაკეტეს, ბოქლომის დაკიდება რაღად დასჭირდათ? გარდა ამისა, სახლის პატრონები რომ ყოფილიყვნენ და აქ დიდხანს, მუდმივად ეცხოვრათ, სახლი მთლიანად იქნებოდა დალაგებული და აქა-იქ ხელის წაკვრით არ დაკმაყოფილდებოდნენ. შემოხიზნულებს რაღაც ანიშნებდა, რომ მიკულიცინები არ უნდა ყოფილიყვნენ. მაშ ვინღა იყო? ექიმი და ლარა ამ გამოცანაზე თავს არ იმტვრევდნენ. განა ცოტა იყო ახლა სანახევროდ გაძარცული, ამგვარად მიტოვებული საცხოვრისი? ცოტა იყო მდევარს გამოქცეული ლტოლვილი? „რომელიღაც დევნილი თეთრი ოფიცერი იქნება", – დაასკვნეს ერთხმად. – „მოვა და ჩვენც აქ დავხვდებით, მოვრიგდებით, საერთო ენას გამოვნახავთ".

და ისევ ისე, როგორც ოდესღაც, იური ანდრეევიჩი კვლავ გახევდა კაბინეტის კარის ზღურბლთან. თვალით ესიყვარულებოდა მის სივრცეს და ძველებურად აოცებდა ფანჯარასთან მიდგმული მაგიდის სიფართოვე და მოხერხებულობა. მაშინდელივით კვლავ გაიფიქრა, ასეთი მკაცრი მყუდროება ვინ იცის, როგორ განაწყობს და როგორ იზიდავს ადამიანს თავდადებული ნაყოფიერი მუშაობისთვისო.

სხვა შენობებთან ერთად მიკულიცინების ეზოში ზედ ფარდულის კედელზე მიშენებული საჯინიბოც იდგა. მაგრამ იგი დაკეტილი იყო და იური ანდრეევიჩმა არ იცოდა, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა. დრო რომ არ დაეკარგა, გადაწყვიტა, ამ პირველ ღამეს ცხენი ადვილად გასაღებ, დაუკეტავ ფარდულში შეეყვანა. პირუტყვი მარხილიდან გამოხსნა და როცა იგი საკმარისად გაგრილდა, ჭიდან მოტანილი წყლით მხოლოდ მაშინ დაარწყულა. უნდოდა, მისთვის მარხილის ძირზე დაფენილი თივა დაეყარა, მაგრამ იგი მგზავრების ქვეშ ისე მოფშვნეტილიყო, ცხენის საკვებად აღარ ივარგებდა. საბედნიეროდ, ფარდულსა და საჯინიბოს ფართო თავანზე, კედლების გასწვრივ და კუთხეებში თივა გვარიანად აღმოჩნდა.

იმ ღამეს ტანთ არ გაუხდიათ, ქურქებითვე დაიძინეს ნეტარებით, ღრმად და ტკბილად, როგორც მთელი დღის ონავრობის და ათასგვარი ეშმაკობის შემდეგ დაღლილ-დათეთქვილ ბავშვებს სჩვევიათ.

6

იური ანდრეევიჩს დილიდანვე წარამარა გაურბოდა თვალი ფანჯარასთან მიდგმული მაცდური მაგიდისაკენ. ხელები ექავებოდა, ერთი სული ჰქონდა, ქაღალდებში ჩაფლულიყო. მაგრამ ეს სიამოვნება საღამოსათვის შემოინახა, როცა ლარა და კატენკა დასაძინებლად დაწვებოდნენ. მანამდე კი ორი ოთახი მაინც უნდა მიელაგებინათ და საქმე ყელამდე იყო.

საღამოს მუშაობაზე ოცნება მაინცდამაინც დიდ-დიდ მიზნებს როდი დაჰფოფინებდა. უბრალოდ, მელანი, კალამი და წერა იზიდავდა. უნდოდა, რაღაც დაეჯღაბნა ანდა ჩაეწიკწიკებინა. პირველ ხანებში რაიმე ძველის, დაუწერელის გახსენებით და ჩაწერით დაკმაყოფილდებოდა, რომ უმოქმედობით ჩაჟანგებული, დიდი ხნით მიძინებული შთაგონება შეეძრა. მერე კი, იმედი ჰქონდა, ლარასთან ერთად აქ კარგახნით დარჩებოდა

და საშუალება მიეცემოდა რაღაც ახალი, მნიშვნელოვანი საქმისათვის მოეკიდნა ხელი.

– დაკავებული ხარ? რას აკეთებ?

– ვახურებ და ვახურებ. გინდოდა რამე?

– ვარცლი მინდოდა.

– ასეთი გახურებისათვის დიდი-დიდი სამ დღეს გვეყოს შეშა. ჩვენს ძველ ფარდულშიც მომიწევს შევლა. იქაურობას მივივლ-მოვივლი და თუ რამე დარჩა, რამდენიმე გზად გადმოვიტან. იმ საქმეს ხვალ მივხედავ, მგონი ვარცლს მეკითხებოდი. იცი, სადღაც მოვკარი თვალი, მაგრამ სად, – გადამავიწყდა, ვერაფრით ვიგონებ.

– მეც ეგრე მემართება. სადღაც ვნახე და თვალს მიმეფარა. ალბათ სადმე უადგილო ადგილას იყო და იმიტომაც აღარ მახსენდება, მაგრამ ჯანდაბას. იცოდე, ბლომად წყალს ვაცხელებ სახლისათვის, რაც მომრჩება, ჩემი და კატიას სარეცხს მოვახმარ. ამ გახსენებაზე შენც თუ რამე გასარეცხი გაქვს, მომეცი. საღამოთი, დალაგებას რომ მოვითავებთ და უახლეს საქმეებზე მოვითათბირებთ, ძილის წინ ყველანი ვიბანავებთ. – ახლავე მოგიტან თეთრეულს. მადლობელი ვარ. კარადები და მძიმე საგნები კედლებიდან გამოწეულია, როგორც მთხოვე.

– კეთილი. ვარცლის მაგიერ ჭურჭლის ტაშტში გავავლებ. მაგრამ ძალიანაა გაქონილი. ცხიმის გაცლაა საჭირო.

– როგორც კი ღუმელს გავახურებ, დავხურავ და დანარჩენი უჯრების დალაგებას გავაგრძელებ. მაგიდაში და კომოდში სულ ახალ-ახალ რამეებს ვპოულობ. საპონი, ასანთი, ფანქარი, ქაღალდი, საწერი მოწყობილობა, სულო და გულო, რა გინდა, აქ რომ არ იყოს. ამგვარ მოულოდნელობებს კაცი თვალის ერთი შევლებითაც შეამჩნევს. მაგალითად, მაგიდაზე დადგმულ ლამფაში ნავთია ჩასხმული. მე ხომ ვიცი, მიკულიცინის საქმე არ არის, ვიღაც სხვისი ნახელავია.

– საოცრად მოგვემართა ხელი! ყველაფერი კი იმ იდუმალი ხიზნის წყალობითა გვაქვს. პირდაპირ ჟიულ ვერნის სამყაროში გეგონება თავი.

ეჰ, ისევ ძველებურად გავუტიეთ, ენად გავიკრიფეთ. მე კი იქ ქვაბი მიდუღს.

კვლავ თავ-თავიანთ საქმეებში ჩაეფლნენ. ერთთავად ფუსფუსებდნენ, ოთახიდან ოთახში დარბოდნენ, ხელებში რაღაცეები ჰქონდათ ახორხლილი, ერთმანეთს აწყდებოდნენ ან კატენკა ებლანდებოდათ ფეხებში. გოგონა ხან ერთ კუთხეში აიბუზებოდა, ხან მეორეში, დალაგებაში ხელს უშლიდა და თუ ვინმე შენიშვნას მისცემდა, იბუტებოდა. სციოდა და ამაზე ჩიოდა. „საცოდავი ჩვენი ბავშვები, ჩვენი ბოშური ცხოვრების მსხვერპლები, ჩვენი წანწალის პატარა, უდრტვინველი მონაწილენი“, – ფიქრობდა ექიმი, ხმამაღლა კი გოგონას ეუბნებოდა:

– მაპატიე, საყვარელო, ნუ იბუსხები. ეგ სულ შენი წიწლიკების ბრალია, თორემ ხომ ხედავ, ღუმელი ისეა გახურებული, წითლად ღუდღუდებს.

– ღუმელს შეიძლება სთბილა, მე კი მცივა.

– მაშინ მოითმინე, კატიუშა. საღამოს ძალიან, ძალიან გავახურებ, მეორედ ავაგუგუნებ. თანაც დედიკომ თქვა, ვაბანავებო, გესმის? ჯერჯერობით კი აჰა, დაიჭი. – და იგი გაყინული საკუჭნაოდან იატაკზე ხორახორად ჰყრიდა ლივერის სათამაშოებს. რას არ ნახავდით აქ: მთელი თუ დამტვრეული პაწია აგურები, კუბები, ვაგონები, ორთქლმავლები თუ კოჭებითა და კამათლებით სათამაშო, უჯრებად დახატული და ციფრებით მონიშნული მუყაოს ნაჭრები ერთმანეთში იყო არეული.

– აბა რას ამბობთ, იური ანდრეევიჩ, – დიდივით სწყინდა კატენკას. – ეს ყველაფერი სხვისია, თანაც პატარებისაა, მე კი დიდი ვარ. ორიოდე წუთის შემდეგ კი ხალიჩის შუაგულში მოიკალათებდა და გატაცებით თამაშობდა. მის ხელში ყოველგვარი სათამაშო საშენ მასალად იქცეოდა, რითაც ქალაქიდან გამოყოლილ თავის თოჯინა ნინკას გაცილებით მყუდრო და მუდმივ სახლს უშენებდა, ვიდრე ის სადგომები იყო, სადაც აქეთ-იქით გაუთავებლად დაატარებდნენ.

– ერთი შეხედე, რა უძლეველი გრძნობა აქვს სახლისა, როგორ მოსწონს ბუდე და წესრიგი! – ამბობდა ლარისა ფეოდოროვნა და გოგონას თამაშს სამზარეულოდან უთვალთვალებდა. – ბავშვები გულწრფელები არიან, სიმართლე სულ არ ეთაკილებათ, ჩვენ კი იმის შიშით, ჩამორჩენილობა არ დაგვწამონო, მზად ვართ ყველაზე ძვირფასსაც კი ზურგი ვაქციოთ, უმსგავსოს ვაქებთ და გაუგებარს კვერს ვუკრავთ. – ვიპოვე ვარცლი, – შეაწყვეტინა ჩაბნელებული წინკარიდან გამოსულმა ექიმმა. – მართლაც თავის ადგილზე არ დებულა. ჭერიდან ჩამოდენილი წყლის ქვეშ იდგა იატაკზე. ეტყობა, შემოდგომის აქეთ იქ იყო.

7

ლარისა ფეოდოროვნამ სურსათის მარაგს თავი მოხადა და ერთბაშად სამი დღის საჭმელი მოამზადა. სადილად მართლაც არნახული ნუგბარები ჰქონდათ: კარტოფილის სუპი და კარტოფილშივე ჩახრაკული ცხვრის ხორცი. გახალისებულმა კატენკამ ვერა და ვერ მოისვენა, სულ კისკისებდა, ცელქობდა. მერე მადიანად ისადილა, სითბოზე მოითენთა, დივანზე მიწვა, დედის პლედი დაიფარა და ტკბილად ჩაეძინა.

დაღლილ-დაქანცული, ოფლიანი, თავისი გოგონასავით ძილ-ბურანში მყოფი და საკუთარი ხელით მომზადებული საჭმელისაგან გამოწვეული სიხარულით კმაყოფილი ლარისა ფეოდოროვნა მაგიდის ალაგებას აღარ ჩქარობდა. დასასვენებლად ჩამოჯდა და რაკი დარწმუნდა, გოგონას სძინავსო, მკერდი მაგიდას ჩამოადო, თავით ხელს დაეყრდნო და ექიმს უთხრა:

– თავს არ დავზოგავდი და ბედნიერებად ესეც მეყოფოდა, ოღონდ მცოდნოდა, რომ ეს ყველაფერი ამაო არ არის და რაღაც მიზანს მაახლოებს. ყოველ წუთს უნდა გამახსენო, რომ აქ მხოლოდ ერთად ყოფნისთვისა ვართ. გამამხნევე და გონს მოსვლა აღარ მაცალო, რადგან მკაცრად თუ ითქვა, ფხიზელი თვალით რომ შევხედოთ, რას ვაკეთებთ, რა

ხდება ჩვენთან? უცხო სახლს დავეცით, კარი შემოვამტვრიეთ, ყველაფერს დავეპატრონეთ და სულ ვჩქარობთ, რათა არ დავინახოთ, რომ ეს ცხოვრება კი არა, სათეატრო დადგმაა, ნამდვილი კი არა, „მოგონილია", როგორც ბავშვები ამბობენ, თოჯინების კომედიაა, რომელზეც მარტო ქათმებს თუ გაეცინებათ.

– მაგრამ, ჩემო ანგელოზო, აქ ჩამოსვლას ხომ შენვე მაძალებდი. აბა გაიხსენე, რამდენ ხანს ვიყავი უარზე და გაგონებაც არ მინდოდა.

– სწორია. არ გეკამათები. მაგრამ მე უკვე დავაშავე. შენ შეგიძლია იყოყმანო, ჩაფიქრდე, მე კი ყველაფერი თანმიმდევრული, ლოგიკური უნდა მქონდეს. იმ სახლში შევედით, შენი ბიჭის საბავშვო საწოლი დაინახე და ტკივილისაგან ცუდად გახდი, კინაღამ გული წაგივიდა. შენ გაქვს ამის უფლება, მე კი ეს აკრძალული მაქვს. კატენკას გამო შიშმა, მომავალზე ფიქრმა შენს მიმართ ჩემს სიყვარულს უნდა დაუთმოს.

– ლარუშა, ჩემო ანგელოზო, გონს მოდი. გადაფიქრება, გადაწყვეტილებაზე ხელის აღება არასოდესაა დაგვიანებული. პირველმა მე გირჩიე, კომაროვსკის სიტყვებს სერიოზულად მოჰკიდებოდი. ცხენი გვყავს. გინდა ხვალვე გავფრინდეთ იურიატინში. კომაროვსკი ჯერ კიდე იქ არის, არსად წასულა. ჩვენ ხომ მარხილიდან დავინახეთ ქუჩაში, იმან კი, მგონი, ვერც შეგვამჩნია. ალბათ მივუსწრებთ.

– მე ჯერ არაფერი მითქვამს, შენ კი ხმაში უკვე უკმაყოფილო კილო შეგეპარა. აბა მითხარი, სწორი არა ვარ? ასე არასაიმედოდ, ალალბედზე დამალვა იურიატინშიც შეგვეძლო. და თუკი ხსნას ვეძებთ, ალბათ რაიმე გეგმა უნდა მოგვეფიქრებინა, როგორც ის გამოცდილი და ფხიზელი, მაგრამ საზიზღარი ადამიანი გვთავაზობდა. ჩვენ ხომ აქ უფრო ახლო ვართ საფრთხესთან, ვიდრე სადმე სხვაგან. აქ ერთი უკიდეგანო, ქარბუქის სათარეშო ადგილია. ჩვენ კი მარტოდმარტონი ვართ და ხმის გამცემი არავინა გვყავს. შეიძლება ღამე იმდენი თოვლი მოვიდეს, ერთიანად შიგ ჩავიმარხოთ და დილით მშველელად კაცი არ გვეყოლება.

ან იქნებ სულაც ის საიდუმლო კეთილისმყოფელი, ამ სახლში რომ

დაიარება, ყაჩაღი აღმოჩნდეს, მოგვეჭრას და ყელები დაგვჭრას. თუნდაც იარაღი გაგაჩნია? არა. აი, ხომ ხედავ. შენი უზრუნველობა მაგიჟებს და რა ვქნა, არ ვიცი.

– კი მაგრამ, რას მოითხოვ? რას მირჩევ, როგორ მოვიქცე?

– არც კი ვიცი, როგორ გითხრა. მუდამ მორჩილებაში მიყოლიე. გამუდმებით და წამდაუწუმ გამახსენე, რომ მე შენი ბრმად მოყვარული მონა ვარ და შენი ბრძანება სიტყვის გადაუბრუნებლად უნდა აღვასრულო. იმასაც გეტყვი, რომ ჩვენი ახლობლები, შენებიც და ჩემებიც, ჩვენზე ათასჯერ უკეთ არიან. მაგრამ განა საქმე ეს არის? სიყვარულის მადლიც ყველა სხვა მადლივითაა. ის შეიძლება დიადია, მაგრამ დალოცვის გარეშე არა მჟღავნდება. ჩვენ კი თითქოს ზეცაში გვასწავლეს კოცნა, მერე კი ბავშვებად მოგვავლინეს ერთდროულად ცხოვრებისათვის, რომ ეს ნიჭი ერთმანეთზე გამოვცადოთ. ჩვენი ერთობა ერთიანობის რაღაცნაირი დაგვირგვინებაა, არც მხარეები გააჩნია, არც ხარისხები, არც მაღალი და არც დაბალი, მთელი არსების ტოლფასოვნებაა, ყველაფერი სიხარულს გვანიჭებს, ყველაფერი სულად იქცა.

მაგრამ ამ ველურ, ყოველ წუთს მოდარაჯე სინაზეში არის რაღაც ბავშვურად დაუცხრომელი, ნებადაურთველი. ეს თვითნებური, დამანგრეველი სტიქიაა, სახლში სიმშვიდეს ეგრერიგად რომ ემტერება. ჩემი ვალია მეშინოდეს მისი და არ მივენდო.

იური ანდრეევიჩს ყელზე ეხვეოდა, ცრემლებს ებრძოდა და ისე დაასრულა:

– იცი, ჩვენ სხვადასხვა მდგომარეობაში ვართ. შენ ფრთაშესხმული იმიტომ ხარ, ღრუბლებზე მაღლა რომ იფრინო, მე კი ქალი ვარ, მიწაზე უნდა ვიდგე, ფრთებით ჩემს ბარტყს გადავეფოფრო და საფრთხისაგან დავიცვა.

ექიმს საშინლად მოსწონდა, რასაც ქალი ეუბნებოდა, მაგრამ შიშობდა, გულისნადები რომ გავამჟღავნო, ვაითუ სიყალბეში ჩამომართვასო, და არ იმჩნევდა. ოღონდ ეგ იყო, თავშეკავებით შენიშნა:

– ჩვენი კარდაკარ წოწიალი მართლაც თავის მოტყუებაა. ცამდე მართალი ხარ, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ ხომ არ დაგვიწესებია ასე. ეს უთავბოლო ხეტიალი ყველას ხვედრია, ჩვენი დროის სულისკვეთებაა, ამ დილიდანვე დაახლოებით მეც მაგას ვფიქრობ, მინდა ყველაფერი გავაკეთო საიმისოდ, რომ აქ რაც შეიძლება დიდხანს დავრჩეთ. ვეღარც კი გეტყვი, მუშაობა როგორ მომენატრა. სასოფლო საქმეებზე არ გეუბნები. ჩვენ აქ იმჯერად მთელი ოჯახით შევებით მას და ცდა არ გაგვცუდებია. მაგრამ ახლა ძალა არ შემწევს, რომ ასეთი რამ კიდევ ერთხელ გავიმეორო. მე გონებაში სულ სხვა რამე მაქვს. ცხოვრება თანდათანობით დგება კალაპოტში. იქნებ ოდესმე ისევ დაიწყონ წიგნების გამოცემა.

აი, რაზე ვფიქრობდი. ნუთუ არ შეიძლება სამდევიატოვს მოველაპარაკოთ, მისთვის ხელსაყრელი პირობებით, რომ თავისი სანოვაგით შრომითი გირაოს სახით ნახევარ წელიწადს შეგვინახოს? ჩემდა თავად კი ვალდებულებას ვიკისრებდი, ამ ხნის განმავლობაში, დავუშვათ, მედიცინის სახელმძღვანელო ან რაიმე მხატვრული, თუნდაც ლექსების წიგნები დამეწერა. ან, თუნდაც, უცხო ენებიდან ვთარგმნიდი რაიმე სახელგანთქმულს, მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებს. ენები კარგად ვიცი. ამასწინათ ერთი განცხადება წავიკითხე, თურმე ერთი დიდი პეტერბურგული გამომცემლობა მარტოოდენ თარგმანებს გამოსცემს. ამგვარი სახის სამუშაოებს ალბათ ფულადი გამოხატულების საცვლელი ღირებულება ექნებათ. ბედნიერი ვიქნებოდი, ამგვარი რაიმესათვის მომეკიდნა ხელი.

– მადლობელი ვარ, რომ გამახსენე. მეც დღეს რაღაც ამის მსგავსზე ვფიქრობდი. თუმცა დარწმუნებული არა ვარ, რომ აქაურობას დიდხანს შევრჩებით. პირიქით, წინასწარ ვგრძნობ, ბედისწერა მალე სადღაც გადაგვისვრის. მაგრამ ვიდრე აქა ვართ, ერთი თხოვნა მაქვს. უახლოეს ღამეებში რამდენიმე საათი შემომწირე და დამიწერე ყველაფერი, რასაც სხვადასხვა დროს ზეპირად მეუბნებოდი. მისი ნახევარი დაკარგულია, დანარჩენი კი ჩაწერილი არ არის. მეშინია, მერე და მერე ყველაფერი არ

დაგავიწყდეს და სამუდამოდ კვალწმინდად არ დაიკარგოს. თავადვე ამ-ბობ, ასეთი რამ ხშირად მოგსვლია.

8

საღამო ხანს სარეცხიდან ბლომად მორჩენილი ცხელი წყლით ტანი ყველამ დაიბანა. ლარამ კატენკა აბანავა. სისუფთავის ნეტარებით აღ-სავსე იური ანდრეევიჩი ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდას მისჯდომოდა და ზურგი იმ ოთახისკენ ჰქონდა შექცეული, სადაც სურნელოვანი, საბა-ნაო ხალათში გახვეული, სველ თმებზე ხაოიან პირსახოცშემოხვეული ლარა კატენკას აწვენდა ლოგინში და თვითონაც დასაძინებლად ემზა-დებოდა. იური ანდრეევიჩი წინასწარ ტკბებოდა მოსალოდნელი შთაგო-ნების სიამით და ყოველივეს, რაც კი თავს გადახდომოდა, საგულისგუ-ლოდ გაფაქიზებული და საყოველთაოდ განმაზოგადებელი ყურადღე-ბით აღიქვამდა.

ღამის პირველი საათი იყო, როცა ლარას, აქამდე თავს რომ იმძინა-რებდა, მართლა ჩაეძინა. მისი, კატენკას და ლოგინის ახალგამოცვლილი, სუფთა, გაუთოებულ-გატკიცინებული და მაქმანებიანი თეთრეული სა-ამოდ ქათქათებდა. მის გახამებას ლარა იმ წლებშიც რაღაცნაირად ახერხებდა.

იური ანდრეევიჩის გარშემო სანეტარო, ბედნიერებით აღსავსე, ცხოვ-რების მადლით გაბრწყინებული სიჩუმე იდგა. ქაღალდის თეთრ ფურ-ცლებს ლამფის შუქი მშვიდი სიყვითლით ეფინებოდა და სამელნის შიგ-ნით, მელნის ზედაპირზეც ოქროსფერ ჭავლად ციმციმებდა. ფანჯრის მიღმა ზამთრის ყინვიანი, ცისფერი ღამე გაყურსულიყო. იური ანდრეე-ვიჩი მეზობელ ოთახში გავიდა, რომელიც სიბნელეს და სიცივეს მოეცვა. აქედან სივრცე უფრო კარგად მოჩანდა. ფანჯრიდან გაიხედა. სავსე მთვარის შუქი დათოვლილ მინდორს კვერცხის ცილასავით თუ წებოს თეთრასავით ეღვენთებოდა. აუწერელი სილამაზის ყინვიანი ღამე იდგა.

ექიმის სულში მშვიდობა სუფევდა. იგი ნათელ, თბილ ოთახში დაბრუნდა და წერას შეუდგა.

გაკრული ხელით წერდა. უნდოდა, ნაწერს გარეგნულადაც გადმოეცა ზელის მოძრაობა, არ დაეკარგა თავისი სახე, სულისკვეთება, არ დამუნჯებულიყო. გაიხსენა და გაუმჯობესებული, ადრინდელისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სახით ჩაიწერა ყველაფერი, რაც უფრო გამოკვეთილი და სამახსოვრო რამ შეექმნა, მათ შორის, „შობის ვარსკვლავი", „ზამთრის ღამე" და საკმაოდ ბევრი მათი მსგავსი ლექსი, რომლებიც მერე და მერე მივიწყების ბურუსმა შთანთქა, დაივიწყეს და მას მერე ხელთ აღარავის ჩავარდნია.

მერე დასრულებული ლექსებიდან ოდესღაც დაწყებულსა და მიტოვებულებზე გადავიდა, კილო შეუწყო და ისე, რომ ამ საქმის დაუყოვნებლივ დამთავრების უმცირესი იმედიც კი არა ჰქონია, მათი გაგრძელების მინიშნებები აღნუსხა, მერე კი ესეც აღარ იკმარა, წერამ გაიტაცა და ახალ-ახლებზე გადავიდა.

თავისით მოსული ორი-სამი სტროფისა და თავად მისთვისაც საოცარი რამდენიმე შედარების შემდეგ საქმემ თავი დაავიწყა და იმ საოცრების მოახლოება იგრძნო, აღმაფრენას რომ ეძახიან. შემოქმედების წარმმართველ ძალთა თანაფარდობა ამ წუთისათვის თითქოს ყირამალა დგება. თავი და თავი ამ შემთხვევაში ადამიანი და მისი სულის მდგომარეობა კი არ არის, რომლის ასახვას იგი აპირებს, არამედ ენა, რომლითაც სურს გულისნადები დააგვირისტოს. ენა, სამშობლო, სილამაზის და აზრის სასუფეველი თავად იწყებენ ადამიანის ნაცვლად ფიქრს და საუბარს და ყოველივე მუსიკად გარდაიქმნება, რომელსაც გარეგნულად მოსასმენი ჟღერადობა კი არ ახლავს, თავისი შინაგანი მდინარების სიმძლავრით და სიდიადითაა გამორჩეული. მაშინ იგი იმ მქუხარე ნიაღვარსა ჰგავს, რომელიც ლაღად, მხარგაშლით მოსჩქეფს, ფსკერზე ვეება ლოდებს ხვეწავს და თავის გზაზე ატრიალებს წისქვილის ბორბლებს. სიტყვის ნაკა-

დიც თავისთავად, თავისი კანონების ძალით ჰქმნის გზადაგზა და სხვა-თაშორის ზომას და რითმას, აგრეთვე ათასობით სხვა უფრო მნიშვნე-ლოვან, მაგრამ მანამდე შეუცნობ, გაუთვალისწინებელ, ჯერარგაგონილ ფორმებს და წარმონაქმნებს.

ასეთ წუთებში იური ანდრეევიჩი გრძნობდა, რომ მთავარ სამუშაოს თვითონ კი არა, ის ასრულებდა, რაც მასზე მაღლა იმყოფებოდა, თავს ედგა და წარმართავდა, სახელდობრ: მსოფლიო გონის და პოეზიის მდგო-მარეობა, და ისიც, რაც მისი მომავლისათვის არის განსაზღვრული, მომ-დევნო ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგას პოეზიამ თავისი ისტორიული განვითარების გზაზე. ექიმი თავს მხოლოდ საბაბად და საყრდენ წერტი-ლად გრძნობდა, პოეზიას რომ ეს მოძრაობა შეესრულებინა.

იგი ხელს იღებდა საკუთარი თავის მიმართ საყვედურებზე, უკმარი-სობის, არარაობის განცდაც დროებით სტოვებდა. აქეთ-იქით იხედებო-და, გარშემო მყოფთ ათვალიერებდა.

თოვლივით ქათქათა ბალიშებზე მძინარე ლარას და კატენკას თავებს უმზერდა. თეთრეულის, ოთახების, მათ მოხაზულობათა სისუფთავე ღა-მის, თოვლის, მთვარისა და ვარსკვლავების სიწმინდეს ერთ თანაბარ-მნიშვნელოვან, ექიმის გულში გამავალ ტალღად ერწყმოდა და არსებო-ბის მოზეიმე სიწმინდის გრძნობისაგან აიძულებდა ეხარხარა და ექვითი-ნა „ღმერთო! ღმერთო!" – მზად იყო ასე ეჩურჩულა – „ეს ყველაფერი ნუ-თუ ჩემია! მაგრამ ამდენი რად მომიძღვენი? როგორ მიმიშვი შენს სიახ-ლოვეს, ან ვით მიბოძე ნება, უფალო, რომ მეყიალა შენს უძვირფასეს დე-დამიწაზე, ამ ვარსკვლავებით მოჩარდახული ზეცის თავანქვეშ, რომ და-მეჩოქა ამ განუსჯელი და უდრტვინველი, ბედდანავსული მზეთუნახავი ქალის წინაშე."

ღამის სამი საათი იყო, როცა ექიმმა მაგიდიდან და ქაღალდებიდან – თავი აიღო. შთაგონებიდან, რომელშიც თავდავიწყებით გადაეშვა, თავის თავს, სინამდვილეს უბრუნდებოდა ბედნიერი, ღონიერი და დამშვიდე-

ბული. უეცრად ფანჯრის მიღმა გადაშლილ შორეულ სივრცეთა მდუმარებაში სევდიანი ხმა შემოესმა.

მეზობელ ჩაბნელებულ ოთახში გავიდა, რათა ფანჯარაში გაეხედნა. იმ რამდენიმე საათის განმავლობაში, წერაში რომ გაატარა, მინები სქლად შეჭირხლულიყო და იქიდან აღარაფერი ჩანდა. იური ანდრეევიჩმა დასათბუნებლად შეჩურთული ხალიჩა კარის ქვეშიდან გამოაძრო, მხრებზე ქურქი მოიგდო და პარმაღზე გავიდა.

უმტვერო თოვლზე უთეთრესი ცეცხლივით აალებულმა მთვარის შუქმა თვალი მოსჭრა. თავდაპირველად ვერაფერი გაარჩია. წუთიც და შორიდან ყრუ ყმუილი შემოესმა. მაშინღა შენიშნა, რომ მინდვრის ბოლოში, ხევს გადაღმა წინ წამოწვდილი პატარა ხაზისოდენა ოთხი ჩრდილი მოჩანდა.

მგლები გვერდიგვერდ იდგნენ, პირები სახლისაკენ ექნათ თავები აეწიათ და მთვარეს თუ მიკულიცინის სახლის ვერცხლისფრად მოციმციმე ფანჯრებს შეჰყმუოდნენ. ერთხანს უძრავად იდგნენ, მაგრამ როგორც კი იური ანდრეევიჩი მიხვდა, რომ მგლები იყვნენ, თითქოს ექიმის აზრს მიხვდნენო, კუდები ძაღლებივით ამოიძუეს და მინდორს ძუნძულით გაშორდნენ. ექიმმა ვეღარ მოასწრო თვალი მიედევნებინა, თუ რომელ მხარეს წავიდნენ.

„უსიამო ამბავია!" – გაიფიქრა მან. – „ეგენიღა გვაკლდნენ! ნუთუ, ბუნაგი სადმე ახლოს აქვთ? იქნებ სულაც ხევში არიან დაბუდებული. რა საშინელებაა! რაღაც ეშმაკად, ეს სამდევიატოვის ზერდაგიც საჯინიბოშია... ალბათ იმისი გეში აიღეს".

გადაწყვიტა, ჯერჯერობით ლარასთვის არაფერი ეთქვა, რომ არ შეეშინებინა. შიგნით შევიდა, გარეთა კარი დაკეტა, შუალა კარიც მიხურა, ნაჩვრეტები და ჭუჭრუტანები ამოქოლა და მაგიდასთან მივიდა, ლამფა ძველებურად ალერსიანად ლიცლიცებდა. მაგრამ ექიმს წერის თავი აღარა ჰქონდა. ვერა და ვერ დამშვიდდა. თავში სულ მგლები და სხვა გარ-

თულებები უტრიალებდა. დაიღალა კიდეც. ამასობაში ლარასაც გაეღვიძა.

– შენ ისევ ფხიზლობ და ანათებ, ჩემო სანთელო! – ნოტიო, ნამძინარევი ხმით ხმადაბლა წაიჩურჩულა მან. – ერთი წუთით ახლო ჩამომიჯექი. უნდა გიამბო, რა სიზმარი ვნახე.

და იური ანდრეევიჩმა ლამფა ჩააქრო.

9

ეს დღეც უხმაურო ზრუნვაში მიილია. სახლში საბავშვო ციგა აღმოჩნდა. სახეაწითლებული, ქურქში გახვეული კატენკა ხმამაღლა ტკარცალებდა და ყინულის ბორცვიდან ბაღჩის გაუკვალავ ბილიკებზე ეშვებოდა. ყინულის ბორცვი ექიმმა გაუკეთა, შეგროვილი თოვლი მაგრად დატკეპნა და ზედ ბლომად წყალი დაასხა. გოგონას დაღლა და პირიდან ღიმილი არ სცილდებოდა და ბაწარგამობმულ ციგას ისევ და ისევ ზევით მიათრევდა.

ყინავდა. სიცივე თვალდათვალ მატულობდა. მზიანი დღე იყო შუადღის სხივებით თოვლი ყვითლად იყო შეღებილი და მის თაფლისფერ სიყვითლეს ადრე დამდგარი საღამოს ნარინჯისფერი ათინათი ტკბილი ნალექივით ერწყმოდა.

გუშინდელი რეცხვისა და ბანაობის გამო სახლი ერთიანად დანესტიანებული იყო. ფანჯრის მინები ხორხოშელა ჭირხლით იყო დაფარული.

ორთქლისაგან დალიშხული შპალერი იატაკიდან ჭერამდე აქა-იქ მაქ წერტილებად აიგუდა. ოთახები სიბნელემ და მოუსვენრობამ მოიცვა იური ანდრეევიჩს გარედან შეშა და წყალი შემოჰქონდა, სახლის დათვალიერებას განაგრძობდა, სულ ახალ-ახალ აღმოჩენებს აკეთებდა და ლარას გაუთავებელ საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა.

შრომაში გართული მათი ხელები კვლავ ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და ერთიმეორეში ირინდებოდნენ, გადასატანად აწეულ ტვირთს,

ვიდრე ადგილზე მიიტანდნენ, იატაკზე უშვებდნენ, თვალები ებინდებოდათ და ყოვლისმძლე სინაზის ტყვეობაში ექცეოდნენ. ყველაფერი კვლავ ხელებიდან უცვიოდათ, აღარაფერი ახსოვდათ. ისევ გადიოდა წუთები, საათები, რაღაც ავიწყდებოდათ, სადღაც აგვიანდებოდათ, გამოფხიზლებულნი და შემკრთალნი ერთს იტკიცავდნენ, უყურადღებოდ მიტოვებული კატენკა ან მშიერ-მწყურვალი ცხენი ახსენდებოდათ, თავპირისმტვრევით გარბოდნენ საქმის გამოსასწორებლად და სინდისის ქენჯნით იტანჯებოდნენ.

ექიმს უძილობისგან თავბრუ ესხმოდა, ნაბახუსევივით თვალებში ტკბილი ნისლი ებლანდებოდა და მთელ სხეულშიც ყრუ, სანეტარო სისუსტეს გრძნობდა. მთელი არსებით მოელოდა შემოღამებას, საყვარელ საქმეს გატაცებით რომ შესდგომოდა.

საქმის ნახევარს ის გრძნეული ნისლი სწალდავდა, სული ძალუმად რომ ჩასდგომოდა. მასვე მოეცვა ირგვლივ ყოველი და მის აზრებსაც იმავ ნისლის ბადე ებურათ. განზოგადებული ბუნდოვანება, რასაც იგი ანიჭებდა ქვეყნად ყველა არსს, იქითკენ იყო წარმართული, რაც წინ უძღოდა საბოლოო განსახიერების უტყუარობას. პირველ ჩანაწერთა უსახურობის მსგავსად მთელი დღის მტანჯველი უსაქმურობაც ღამეული ჯაფისათვის აუცილებელ მომზადებას საჭიროებდა.

დაუღალავად მოფუსფუსე გამრჯე ხელები ყველგან სწვდებოდნენ. ირგვლივ ყველაფერი განახლებას და ფერისცვალებას განიცდიდა. თუმცა იური ანდრეევიჩს გული უგრძნობდა, რომ მის ოცნებებს ვარიკინოში უფრო მტკიცედ დამკვიდრების თაობაზე აღსრულება აღარ ეწერათ, თავად ლარასთან განშორების საათიც მალე დაჰკრავდა და მას უთუოდ დაჰკარგავდა, რომ მასთან ერთად გამოეთხოვებოდა სიცოცხლის ხალისს და, შესაძლოა, თვით სიცოცხლესაც. სევდა უღრღნიდა გულს, მაგრამ უფრო მეტად სჯიჯგნიდა საღამოს მოლოდინი, იმის სურვილი, რომ ეს ბალღამი ცრემლებად ისე გადმოეფრქვია, ქვეყნად ყველა და ყოველივე ატირებულიყო.

მგლები, მთელი დღე თვალწინ რომ ედგნენ, ამიერიდან მისთვის მთვარიან ღამით თოვლში დანახული მგლები კი აღარ იყვნენ, მგლების თემად იქცნენ, იმ მტრული ძალის განსახიერებად გადაიქცნენ, რომელთაც მიზნად დაისახეს დაეღუპათ ექიმი და ლარა, ან ვარიკინოდან გაეძევებინათ. ამ მტრობის აზრი თანდათანობით ვითარდებოდა და საღამო ხანს ისე იმძლავრა, თითქოს შუტმაში წარღვნის წინარე საფრთხობელის ნაკვალევი აღმოეჩინოთ და ხევში უზარმაზარი ზომის ზღაპრულ, ექიმისა და ლარას სისხლმოწყურებულ ურჩხულს დაებუდებინოს.

მოსაღამოვდა. ექიმმა გუშინდელივით აანთო მაგიდაზე ლამფა. ლარა და კატენკა გუშინდელზე ადრე დაწვნენ.

წინა ღამით ნაწერი ორი სახისა იყო. ნაცნობი, ახალ სახესხვაობად გადათეთრებული სუფთად, ლამაზად იყო გადაწერილი. ახალი ჩანაწერები შემოკლებებით, წერტილებით, გაურკვეველი ნაჯღაბნებით იყო აღსავსე.

ამ ნაცოდვილარს რომ ათვალიერებდა, ექიმი ჩვეულებრივ გულის გაცრუებას განიცდიდა. ღამით ეს შავი ნაგლეჯები ცრემლებს ჰგვრიდა, ზოგიერთი სამკაულის მოულოდნელობით თავზარსა სცემდა. ახლა კი სწორედ ამ მოჩვენებითმა სამკაულებმა მიიპყრეს მისი ყურადღება და გული დასწყვიტეს მკვეთრად გამოხატული ნაძალადეობით.

მთელი ცხოვრება ოცნებობდა დახვეწილი, გარეგნულად უცხო, საყოველთაოდ მისაღები ფორმის სინატიფეზე, მთელი ცხოვრება ცდილობდა ჩამოეყალიბებინა ისეთი მორიდებული, სადა ენა, როცა მკითხველი ანდა მსმენელი შინაარსს ისე ჩასწვდებოდა, თავადაც ვერ მიხვდებოდა, ყოველივე როგორ მოახერხა. მთელი ცხოვრება ზრუნავდა შეუმჩნეველ სტილზე, არავის ყურადღებას რომ არ მიიპყრობდა, და შეძრწუნებული იყო იმით, თუ რაოდენ შორს იმყოფებოდა ამ იდეალისაგან.

გუშინდელ ჩანაწერებში უნდოდა ლუღლუღამდე მისული უბრალოებით და იავნანის მომიჯნავე სიალალით გამოეხატა თავისი მრავალფეროვანი განწყობილება, რომელშიც სიყვარულიც იქნებოდა ჩაქსოვილი

შიშიც, სევდაც და ვაჟკაცობაც, თანაც იმგვარად, რომ ყოველივე სიტყვებისაგან დამოუკიდებლად, თავისუფლად გადმოღვრილიყო.

ახლა, მეორე დღეს, წინა ღამის ჭაშნიკის გადათვალიერებისას მიხვდა, რომ მათ შინაარსობრივი კავშირი აკლდათ, რაც უთავბოლოდ გაბნეულ სტრიქონებს ერთად შეჰკრავდა. იური ანდრეევიჩმა ნაწერი თანდათანობით გადაჯღაბნა და იმავე ლირიკულ ყაიდაზე შეუდგა მამაცი იგორის თქმულების გადმოცემას. თავდაპირველად ფართო ხუთტაეპიანი სტროფით დაიწყო, რომელიც ფრთების გასაშლელად საკმაო სივრცეს იძლეოდა. შინაარსისაგან დამოუკიდებელი, თავად ზომისათვის დამახასიათებელი კეთილხმოვანება თავისი ერთფეროვანი ყალბი ჟღერადობით აღიზიანებდა, ცეზურასა და ღვლარჭნილ ზომაზე იმთავითვე ხელი აიღო და სწორედ ისე, პროზაში რომ ერიდებიან სიტყვამრავლობას, სტრიქონთა რაოდენობა ოთხ ტაეპამდე შეამცირა. წერა რთული და წარმტაცი გახდა. საქმე უფრო ცოცხლად წარიმართა, მაგრამ შიგადაშიგ ზედმეტი ჩენჩო კვლავ თავს იჩენდა. იძულებული გახდა სტრიქონები უფრო მეტად შეეფერთხა. სამტაეპიან ლექსში სიტყვები თავს გაცილებით მჭიდროდ გრძნობდნენ, მათი დამწერიც თვლემას საბოლოოდ მოერია, გამოფხიზლდა და აღეგზნო. სტრიქონთა შუალედების სივიწროვე თავად ჰკარნახობდა, რითი შეევსო. ის საგნები, რომელთაც ძლივს ერქვათ სახელები, თვითონ ამოიზარდნენ თავ-თავიანთ ჩარჩოებში, ექიმს შემოესმა ლექსის ზედაპირზე მიმავალი ცხენის ფეხის ხმა, როგორც შოპენის ერთ ბალადაში ისმის გაჭენებული ბედაურის ფლოქვების თქარუნი. წმინდა გიორგი მიაგელვებდა თავის მერანს თვალუწვდენ ველზე. იური ანდრეევიჩი უკნიდან ხედავდა, თანდათან როგორ პატარავდებოდა უკიდეგანო სივრცეში გაფრენილი მხედარი. გამალებით წერდა, სიტყვა სიტყვას მოსდევდა, სტრიქონი – სტრიქონს, ერთიმეორის უმჯობესი და უტყუარი.

ვერც კი შენიშნა ლარა, რომელიც საწოლიდან წამოდგა და მაგიდასთან მივიდა. ღამის პერანგი კოჭებამდე სწვდებოდა და ამის გამო ჩვე-

ულებრივზე უფრო გამხდარი, ტანკენარი და მაღალი ჩანდა. იური ანდრეევიჩი მოულოდნელობისაგან შეკრთა, როცა ერთბაშად გაფითრებული, შეშინებული ქალი გვერდით აესვეტა, ხელი წინ გაიშვირა და ჩურჩულით ჰკითხა:

– გესმის? ძაღლი ყმუის. ერთი კი არა მგონი ორია, ო, რა საშიშია, რა ავის მომასწავებელი ნიშანია! როგორმე გავძლოთ დილამდე და წავიდეთ აქედან, წავიდეთ. არც ერთი წუთით აღარა ვარ აქ გამჩერებელი, ერთი საათის შემდეგ, დიდი ხნის ხვეწნა-მუდარის მერე, როგორც იქნა, ლარისა ფეოდოროვნა დამშვიდდა და ისევ ჩაეძინა. იური ანდრეევიჩი პარმაღზე გავიდა. წინა ღამესთან შედარებით მგლები უფრო ახლო მოსულიყვნენ და იქაურობასაც უფრო მალე გაშორდნენ. იური ანდრეევიჩმა ვერც ამჯერად დაინახა, რომელ მხარეს წავიდნენ. მთელი ხროვა იყო და დათვლა ვეღარ მოასწრო. მოეჩვენა, რომ უწინდელზე გაცილებით მეტნი იყვნენ.

10

მეცამეტე დღე იყო, რაც ვარიკინოში ცხოვრობდნენ, და ეს მეცამეტე პირველი დღეებისაგან არაფრით განსხვავდებოდა. წინა ღამესაც ყმუოდნენ მგლები, შუა კვირაში სადღაც რომ იყვნენ გადაკარგულნი, ლარისა ფეოდოროვნამ ისინი კვლავ ძაღლებად ჩათვალა. ძველებურად ავად ენიშნა და გადაწყვიტა, მეორე დილითვე გასცლოდა იქაურობას, სიმშვიდე და წონასწორობაც სევდიანი შეშფოთებით ასევე ეცვლებოდა, რაც ასე ბუნებრივია მთელი დღეების განმავლობაში გულის გადაშლასა და წრეგადასული სინაზის ყოვლად ამაო, შეუწყნარებელ ფუფუნებას მიუჩვეველი შრომისმოყვარე ქალისათვის.

ყველაფერი ზუსტად მეორდებოდა. ასე რომ, როცა მეორე კვირის ამ დილით წინა დღეების მსგავსად ლარისა ფეოდოროვნამ უკვე მერამდე-

ნედ გადაწყვიტა შინ დაბრუნებულიყო, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, შუალედებში აქ გატარებული კვირანახევარი საერთოდ არც არსებობდაო.

მოღუშული, ღრუბლიანი ამინდის გამო ერთიანად ჩამობნელებული ოთახები კვლავ ნესტით იყო გაჟღენთილი. ყინვამ იკლო და ჩამოწოლილი ღრუბლებით დაფარული ნაცრისფერი ციდან, სადაც იყო, თოვლი წამოვიდოდა. ხანგრძლივი უძილობით გამოწვეული სულიერი და ხორციელი დაქანცულობის გამოისობით იური ანდრეევიჩს მუხლები ეკვეთებოდა, აზრები ერეოდა და არაქათი აღარა ჰქონდა. სისუსტისაგან ტანში საშინელ სიცივეს გრძნობდა. აბუზული და მხრებში აწურული, გათოშილ ხელებს იფშვნეტდა, გაყინულ ოთახში ბოლთასა სცემდა. არ იცოდა, რას გადაწყვეტდა ლარისა ფეოდოროვნა და მისი გადაწყვეტილების შესაბამისად თავადაც რა გზას დაადგებოდა.

ლარისა ფეოდოროვნამ კი თავადაც არ უწყოდა, რას აპირებდა. ახლა ნახევარ სიცოცხლეს მისცემდა, რომ ასე უთავბოლოდ თავისუფალნი არ ყოფილიყვნენ და ნებისმიერ, თუნდაც სასტიკ, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესრიგს დამორჩილებოდნენ, ევლოთ სამსახურში, ჰქონოდათ მოვალეობანი, გონივრულად და პატიოსნად ეცხოვრათ.

ქალმა ეს დღეც ჩვეულებისამებრ დაიწყო, ლოგინები აალაგა, ოთახები დააკრიალა, ექიმს და კატიას საუზმე გაუმზადა. მერე ბარგის ჩალაგება დაიწყო და ექიმს სთხოვა, ცხენი შეება. წასვლის განზრახვა მტკიცე იყო და შეუვალი.

იური ანდრეევიჩი არც კი ცდილა გადაეთქმევინებინა. ამასწინანდელი გაქრობის მერე მათი ქალაქში დაბრუნება სრული უგუნურება იყო. მაგრამ ამაზე გონივრული არც ის იქნებოდა, მარტოდმარტონი მსხდარიყვნენ ამ საზარელ ზამთრის უდაბნოში, რომელიც თავისი მხრივაც კარგს არას უქადდათ.

გარდა ამისა, ექიმის მიერ მეზობელ ფარდულებში მომცვრეული უკანასკნელი თივის ბუწებიც უთავდებოდათ, ახალი კი აღარსად ჩანდა. რა-

საკვირველია, აქ უფრო მყარად დამკვიდრების საშუალება რომ ჰქონოდა, ახლომახლო სანახებს მიივლ-მოივლიდა, საალაფო და სასურსათო მარაგის შევსებაზეც იზრუნებდა, მაგრამ აქ ამ ხანმოკლე და სამარჩიელო ყოფნისათვის არ ღირდა ამგვარ დაზვერვაში ყანყალი. ექიმმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და ცხენის შესაბმელად წავიდა.

უხერხულად აბამდა. ეს საქმე სამდევიატოვმა შეასწავლა, იური ანდრეევიჩს მისი დარიგებები ავიწყდებოდა, მაგრამ გაუწაფავი ხელით, რაც საჭირო იყო, ყველაფერი გააკეთა, თასმის ბალთიანი წვერი, რომლითაც რკალი ხელნებს მიაბა, ერთი ხელნის ბოლოზე რამდენჯერმე შემოახვია და გამონასკვა, მერე ცხენის გვერდს ფეხით მიებჯინა და ცალუღის გახსნილი მარწუხები მაგრად შეკრა. დანარჩენი საქმეებიც მოითავა, ცხენი პარმაღთან მიიყვანა, ზედ გამოაბა და თვითონ ლარასთან ავიდა იმის სათქმელად, რომ მომზადებულიყო.

ქალი ჭკუაზე აღარ იყო. ისიც და კატენკაც ჩაცმულები და საგზაოდ გამზადებულები იყვნენ, ყველაფერი ჩაელაგებინათ, მაგრამ ლარისა ფეოდოროვნა თითებს იმტვრევდა, ცრემლებს ძლივს იკავებდა. იური ანდრეევიჩს სთხოვა, წუთით ჩამოჯექიო, თვითონ კი მოუსვენრად ცქმუტავდა, სავარძელში მოწყვეტით ეშვებოდა, მერე კვლავ ფეხზე დგებოდა, „ასე არ არისო?" ხშირ-ხშირად გაიძახოდა და ხმამაღლა, წამღერებით, სხაპასხუპით ლაპარაკობდა:

– ჩემი ბრალი არ არის. მეც არ ვიცი, ეს როგორ მოხდა. მაგრამ განა ახლა წასვლის დროა? მალე დაღამდება. სიბნელე მოგვისწრებს გზაში, სწორედ იმ მენს საშინელ ტყეში, ასე არ არის? როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი. მე კი, ჩემდა თავად, ვერ გამიბედნია. რაღაც მეწევა უკან, გული საგულეს აღარა მაქვს. შენ როგორც გინდა, ისე ჰქენი. ასე არ არის? რას გაჩუმებულხარ, რატომ არაფერს იტყვი? მთელი დილა პირდაღებულები და გულხელდაკრეფილები ვიყავით, ისიც არ ვიცით, ნახევარი დღე რაში დავკარგეთ. ხვალ ეს აღარ გამეორდება, უფრო ვიფრთხილებთ, ასე არ არის? იქნებ ერთი დღე კიდევ დავრჩენილიყავით?

ხვალ ადრე ავდგებით, როგორც კი ინათებს, გზას გავუდგებით, ასე, შვიდ თუ ექვს საათზე. რას იტყვი? შენც ღუმელს გაახურებ. კიდევ ერთი საღამო გექნება საწერად, ერთ ღამესაც აქ გავატარებთ. ო, რა განუმეორებელი, ჯადოსნური რამ იქნება! რატომ არაფერს ამბობ? ისევ ჩემი ბრალია? რა უბედური ვარ!

– აჭარბებ. შებინდებამდე ჯერ ადრეა, საკმაოდ ადრე, მაგრამ ნება შენია. კარგი, დავრჩეთ. ოღონდ დამშვიდდი. ნახე, რა დღეში ხარ. მართლაც, დავლაგდეთ, ქურქები გავიხადოთ. აგერ, კატენკა ჩივის, მშიერი ვარო. წავიხემსოთ. მართალი ხარ, ასე ნაუცბათევად, მოუმზადებლად სად უნდა წავსულიყავით. ოღონდ დამშვიდდი, ნუ სტირი, ღვთის გულისათვის. ახლავე ცეცხლს გავაჩაღებ. თუმცა რაკი ცხენი შებმულია და მარხილიც პარმაღთანა დგას, წავალ, ჟივაგოების ნასახლარის ფარდულიდან შეშას მოვიტან, თორემ აქ წკირიც აღარა გვაქვს. მალე დავბრუნდები.

11

ფარდულის წინ თოვლს რამდენიმე წრედ აჩნდა იური ანდრეევიჩის მარხილის ნაკვალევი. იგი ორი დღის წინაც იყო აქ შეშაზე. შესასვლელთან თოვლი ახლაც გატკეპნილი და ჭუჭყიანი იყო.

დილიდანვე წამოშლილმა ღრუბლებმა გადაიარეს. ცა მოიწმინდა. ყინავდა. ვარიკინოს პარკი სხვადასხვა მანძილზე ერტყა გარს ამ ადგილებს, ზედ ფარდულამდე იყო მომდგარი, თითქოს სურს, ექიმს სახეში შეხედოს და რაღაც მოაგონოსო. თოვლი ამ ზამთარს ხვავრიელად იდო, ფარდულის ზღურბლს ასცილებოდა. გეგონებოდათ, კარის ზედა წირთხლი დაშვებულა და ფარდული წელში გაზნექილაო, მისი სახურავიდან თითქმის ექიმის თავამდე უზარმაზარი სოკოს ქუდივით წამოზრდილიყო თოვლის ბულული. პირდაპირ სახურავის კიდულზე, თითქოს წვერით თოვლს შესობიაო, ნაცრისფრად ანათებდა ახალთახალი მთვარე.

თუმცა ჯერ ისევ დღე იყო და სინათლე იდგა, ექიმს ეჩვენებოდა, ქვეყნიერება ბნელს მოუცავს და ჩემი ცხოვრების ჩაჟამებულ უღრანებში ვარო დაყუდებული. სულშიც ასეთივე წყვდიადი ჩაჰგუბებოდა, სულიც ასეთივე ნაღველით უტიროდა. ახალი მთვარეც განშორების წინამორბედად, მარტოობის ხატებად ენთო ხელის გაწვდენაზე.

დაღლილ-დაქანცულს მუხლები ეკეცებოდა. შეშას ფარდულის ზღურბლის იქით ჰყრიდა, პირდაპირ მარხილში, და აშკარად გრძნობდა, თითო ჯერის კვალობაზე ჩვეულებრივზე ნაკლებს უდებდა. სიცივეში თოვლ-ყინულიანი ნაპობის აღება ხელთათმანითაც კი მტკივნეული იყო. გამალებული მუშაობაც კი არ ათბობდა. გულში რაღაც გაუჩერდა და ჩასწყდა. თავის გამწარებულ ბედს სწყევლიდა და ღმერთს ევედრებოდა, ის ხელთუქმნელი, სევდიანი, მორჩილი, ალალი სილამაზე გადაერჩინა. მთვარე კი ისევ ფარდულზე იდგა, იწვოდა და არ ათბობდა, ანათებდა და არ აშუქებდა.

უეცრად ცხენი იქით შებრუნდა, საიდანაც იყო მოსული. თავი ასწია, ჯერ ყრუდ და მორიდებით ჩაიფრუტუნა, მერე ხმამაღლა, რიხიანად დაიჭიხვინა.

„რა მოუვიდა?” – გაიფიქრა ექიმმა. „რამ გაახარა? არაფრით ეტყობა, შეშინებული რომ იყოს. შიშისაგან ცხენები არ ჭიხვინებენ, რა სისულელეა. თუ მგლის სუნი იკრა, გიჟი კი არ არის, შეეხმიანოს, თანაც ასე მხიარულად. ეტყობა, სახლი მოენატრა. ცოტაც მაცალე, ჩემო კარგო, ახლავე დავიძვრებით”.

მარხილზე დადებული შეშის გარდა იური ანდრეევიჩმა ფარდულში ნაფოტი და ჩექმის ყელივით მოღუნული, ნამორებიდან აცვენილი არყის ხის ქერქიც შეაგროვა, შეშას ზევიდან ჭილობი გადააფარა, თოკი გადაუჭირა, მარხილს გვერდიგვერდ მიჰყვა და მიკულიცინების ფარდულისაკენ გასწია.

სადღაც შორიდან აშკარად მოისმა ცხენის ჭიხვინი და ზერდაგმაც არ დააყოვნა, ჭიხვინითვე გაეპასუხა. „ნეტა საიდან უნდა იყოს? – გაიფიქრა

ექიმმა და გული უცნაურად შეუფრთხიალდა. – ცარიელი გვეგონა ვარიკინო. როგორც ჩანს ვცდებოდით". ფიქრადაც არ გაუვლია, რომ შეიძლებოდა სტუმრები სწვეოდნენ და ის ჭიხვინიც მიკულიცინების პარმაღის მხრიდან, ბაღიდან მოდიოდა. ცხენი შემოვლით, საქარხნო კარ-მიდამოების გავლით მოჰყავდა და ბორცვების იქით სახლს ვერ ხედავდა.

შეშა ფარდულში აუჩქარებლად გადატვირთა (ანკი სად ეჩქარებოდა?), ცხენი გამოხსნა, მარხილი ფარდულშივე დატოვა, ხოლო პირუტყვი იქვე ახლო, ცარიელ საჯინიბოში წაიყვანა. თავლის კუთხეში, მარჯვენა მხარეს დააბა, სადაც ნაკლებად უბერავდა, და ბაგაში ფარდულიდან წამოღებული ორიოდე იღლია თივა ჩაუყარა.

სახლისაკენ აფორიაქებული მიდიოდა. პარმაღთან მეტისმეტად ფართო, მოხერხებულ ძარიან, გლეხურ მარხილში შებმული ნასუქალი მავრა ულაყი იდგა. ცხენს გარს უვლიდა, გვერდზე ხელს უტყაპუნებდა და ქაჩაჩებს უმოწმებდა მასავით ნაპატიები და მაძღარი, მშვენიერ ხიფთანიანი ყმაწვილკაცი.

სახლიდან ხმაური ისმოდა, იური ანდრეევიჩს ყურისგდება არც უფიქრია, უიმისოდაც მოსმენის თავი არა ჰქონდა. უნებურად ნაბიჯი შეანელა, მერე კი სულაც გახევებული ერთ ადგილს მიეჯაჭვა. სიტყვებს ვერ არჩევდა, მაგრამ კომაროვსკის, ლარას და კატენკას ხმები იცნო. ეტყობა პირველივე ოთახში იყვნენ, შესასვლელთან. კომაროვსკი ლარას ეკამათებოდა, ის კი, მისი ხმით თუ იმსჯელებდა კაცი, ღელავდა, ტიროდა და ხან მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა, ხანაც ეთანხმებოდა. რაღაც განუსაზღვრელი ნიშნის მიხედვით იური ანდრეევიჩს მოეჩვენა, რომ კომაროვსკიმ სწორედ მასზე ჩამოაგდო სიტყვა, ალბათ იმ აზრით, რომ იგი სანდო კაცი არ იყო („ორი ბატონის მსახურიაო", – მოეყურა იური ანდრეევიჩს), კაცმა არ იცის, ვინ ან რა უფრო ძვირფასია მისთვის, ოჯახი თუ ლარა, და რომ ლარას უფლება არა აქვს დაეყრდნოს, რადგან, თუ ექიმს მიენდობა, ქალი „ორ კურდღელს გამოუდგება და ორ სკამს შორის აღმოჩნდება". იური ანდრეევიჩი სახლში შევიდა. მართლაც, პირველ ოთახში

გაუხდელი, იატაკამდე ჩაფართხუნებულ ქურქიანი კომაროვსკი იდგა. ლარას კატენკას ქურქის საყელო ეჭირა, უნდოდა შეეკრა, მაგრამ დუგმას კილოში ვერ ახვედრებდა. ბავშვს უწყრებოდა, მაცალე, რას წრიალებო, კატენკა კი ებუზღუნებოდა, „დედიკო, ნელა, თორემ დამახრჩობო". ყველანი ჩაცმულნი და წასასვლელად გამზადებულნი იდგნენ. იური ანდრეევიჩს შესვლისთანავე მისცვივდნენ ლარა და ვიქტორ იპოლიტოვიჩი.

– სად დაიკარგე? რომ იცოდე, როგორ გვჭირდები!

– გამარჯობათ, იური ანდრეევიჩ! თუმცა ბოლო ხანს ერთმანეთი იმდენი უშვერი სიტყვებით ვლანძღეთ... როგორც მიყურებთ, ისევ დაუპატიჟებლად გეახელით.

– გამარჯობათ, ვიქტორ იპოლიტოვიჩ.

– ამდენ ხანს სად იყავი დაკარგული? მოუსმინე, რას გეტყვის, და სასწრაფოდ გადაწყვიტე შენი საქმეც და ჩემი ბედიც. დრო აღარ არის. უნდა ვიჩქაროთ.

– რაღას ვუდგევართ? დაჯექით, ვიქტორ იპოლოტოვიჩ. როგორ თუ სად დავიკარგე, ლაროჩკა? ხომ იცოდი, შეშაზე ვიყავი წასული, მერე ცხენსაც მივხედე. ჩამოჯექით, ვიქტორ იპოლიტოვიჩ, გთხოვთ.

– არ გიკვირს? რატომ გაკვირვებას არ გამოხატავ? ჩვენ ვნანობდით, რომ ეს კაცი წავიდა და წინადადებაზე უარი ვუთხარით, ის კი აგერ, შენს წინაშეა და არ გიკვირს. მაგრამ უფრო საოცარი ის ახალი ამბებია, ამან რომ ჩამოიტანა. მოუყევით, ვიქტორ იპოლიტოვიჩ.

– არ ვიცი, რას გულისხმობს ლარისა ფეოდოროვნა, ჩემდა თავად კი ამას ვიტყვი. განზრახ გავავრცელე ხმა, ვითომ წავედი, სინამდვილეში კი რამდენიმე დღით დავრჩი, თქვენთვის და ლარისა ფეოდოროვნასათვის დრო რომ მომეცა, რათა ახლებურად აგეწონ-დაგეწონათ ჩვენს მიერ განხილული საკითხები და გონივრული განსჯით ნაკლებად წინდაუხედავ გადაწყვეტილებამდე მისულიყავით.

– მაგრამ მეტი გადადება აღარ შეიძლება. გამგზავრებისათვის ყველაზე ხელსაყრელი დრო ახლაა, ხვალ დილით, – თუმცა სჯობია, ვიქტორ იპოლიტოვიჩი თავად მოგიყვეს.

– ერთი წუთით, ლაროჩკა. მაპატიეთ, ვიქტორ იპოლიტოვიჩ. ქურქებით რატომღა ვდგავართ? გავიხადოთ და ჩამოვსხდეთ. სახუმარო საქმე ხომ არ არის. ასე ჰაიჰარად არ შეიძლება. მომიტევეთ, ვიქტორ იპოლიტოვიჩ. ჩვენი კამათი ზოგიერთ ფაქიზ სულიერ საგნებს შეეხება. მათი გარჩევა სასაცილო და უხერხულია. მე თქვენთან ერთად სადმე წასვლა აზრად არასოდეს მომსვლია. ლარას საქმე კი სულ სხვა არის. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა სხვადასხვა საფიქრალი გვქონდა და გვახსენდებოდა, რომ ჩვენ ერთი კი არა, ორი არსება ვართ ჩვენ-ჩვენი ბედით, მიმაჩნდა, რომ ლარა, განსაკუთრებით კატიას გულისთვის, თქვენს გეგმებზე უფრო ყურადღებით უნდა ჩაფიქრებულიყო. ის თვითონაც სულ ამ ფიქრშია, ისევ და ისევ უბრუნდება ამ შესაძლებლობებს.

– მაგრამ იმ პირობით, თუ შენც წამოხვიდოდი.

– ორივეს გვიჭირს განშორებაზე ფიქრი, მაგრამ იქნებ თავს ვძლიოთ და ეს მსხვერპლი გავიღოთ, იმიტომ, რომ ჩემს წამოსვლაზე ლაპარაკი ზედმეტია.

– მაგრამ შენ ხომ ჯერ არაფერი იცი. ჯერ მოისმინე, ხვალ დილით... ვიქტორ იპოლიტოვიჩ!

– ჩანს, ლარისა ფეოდოროვნა იმ ცნობებს გულისხმობს, რაც ჩამოვიტანე და უკვე ვუთხარი. იურიატინში გამზადებულია და საცაა გაემგზავრება შორეული აღმოსავლეთის მთავრობის საგანგებო მატარებელი გუშინ ჩამოვიდა მოსკოვიდან და ხვალ კვლავ გზას გაუდგება. ეს ჩვენი გზათა სამინისტროს მატარებელია. სანახევროდ საერთაშორისო საძილე ვაგონებისგანაა შედგენილი.

მე ამ მატარებლით უნდა წავიდე. დათმობილი მაქვს ადგილები მათთვის, ვინც ჩემს სამუშაო კოლეგიაშია მოწვეული. სრული კომფორტით წავიდოდით. ასეთი შემთხვევა მეტი აღარ იქნება. ვიცი, თქვენ უბრალოდ

არაფერს იტყვით და აღარც წამოსვლაზე დაგვთანხმდებით, თქვენს სიტ-ყვას წყალი რომ არ გაუვა, ესეც ვიცი. და მაინც, მოერიეთ თავს ლარისა ფეოდოროვნას გულისათვის. ხომ გაიგონეთ, უთქვენოდ არ მოდის. თუ ვლადივოსტოკამდე არა, იურიატინამდე მაინც წამოგვყევით, იქ კი ვნა-ხოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვიჩქაროთ. წუთი რომ წუთია, იმისი დაკარგვაც კი არ შეიძლება. მე კაცი მახლავს. მაინცდამაინც ვერ ვმარ-თავ მარხილს. იმ ჯაბახანაში ხუთნი მაინც ვერ მოვთავსდებით, თუ არ ვცდები. სამდევიატოვის ცხენი თქვენთანაა, თქვენვე თქვით, შეშაზე ვი-ყავიო. ჯერ ხომ არ გამოგიხსნიათ? – არა, უკვე გამოვხსენი.

– მაშინ სასწრაფოდ შეაბით. ჩემი მეეტლე დაგეხმარებათ. თუმცა თქვენი ნებაა, ეშმაკსაც წაუღია მეორე მარხილი. ჩემითაც ჩავაღწევთ როგორმე. ოღონდ იჩქარეთ, ღვთის გულისათვის. რაც ხელში მოგხვდე-ბათ, საგზაოდ ის წამოიღეთ. სახლს არა უჭირს, ღიადვე დავტოვოთ. ბავ-შვის სიცოცხლეზე უნდა ვიზრუნოთ და არა გასაღების მორგებაზე.

– არ მესმის თქვენი, ვიქტორ იპოლიტოვიჩ. ისე ლაპარაკობთ, თით-ქოს ეს არის და თქვენთან ერთად მეც მოვდივარ. თუ ლარასაც უნდა წა-მოსვლა, ია-ვარდი გფენიათ, სახლზე კი ნუ შეწუხდებით. მე აქ დავრჩები, თქვენი წასვლის მერე აქაურობას მივალაგებ და დავკეტავ კიდეც.

– რას ამბობ, იურა? რა შუაშია ეგ სისულელე, რისაც შენ თვითონ არა გჯერა? „თუ ლარისა ფეოდოროვნას გადაწყვეტილი აქვსო...“ თავადაც კარგად მოეხსენება, რომ უამისოდ ფეხსაც არ გამოვდგამ და ამაზე ფიქ-რიც კი არ გამივლია გულში. მაშ ეს სიტყვები რიღას მაქნისია: „სახლს მე მივალაგებ და ყველაფერზე ვიზრუნებო“?

– მაშ თქვენ ასეთი შეუბრალებელი ყოფილხართ... თუ ასეა, სხვა სათ-ხოვარი მაქვს. ლარისა ფეოდოროვნას ნებართვით ორი სიტყვა მაქვს თქვენთან სათქმელი, და თუ შეიძლება, ცალკე გავიდეთ.

– კარგი. თუ ასეა საჭირო, სამზარეულოში გავიდეთ. წინააღმდეგი ხომ არ ხარ, ლარუშა?

– სტრელნიკოვი შეიპყრეს, უმაღლესი სასჯელი გამოუტანეს და განაჩენი აღსრულებულია.

– რა საშინელებაა. ნუთუ მართალია?

– ეგრე გავიგე. მე ამაში დარწმუნებული ვარ.

– ლარას ნუ ეტყვით. გაგიჟდება.

– რაღა თქმა უნდა. ცალკეც ამისთვის გამოგიყვანეთ. ამ დახვრეტის შემდეგ ის და გოგონა უშუალოდ მოახლოებული საფრთხის წინაშე დგანან. დამეხმარეთ, რომ გადავარჩინო. თქვენ საბოლოოდ უარს ამბობთ ჩვენთან წამოსვლაზე?

– ხომ გითხარით. რასაკვირველია.

– მაგრამ უთქვენოდ არ წამოვა. რა წყალში ჩავვარდე, აღარ ვიცი. მაშინ სხვანაირ დახმარებას გთხოვთ. ლიტონი სიტყვა მაინცა თქვით, ისე, ყასიდად, ვითომ დათმობაზე მიდიხართ. ისეთი სახე მიიღეთ, თითქოს თქვენი დაყოლიება იოს შესაძლებელი. თქვენი განშორება ვერ წარმომიდგენია. ვერც აქ, ადგილზე, ვერც იურიატინის სადგურში, გასაცილებლად მაინც რომ წამოსულიყავით. როგორმე უნდა დააჯეროთ, რომ თქვენც მოდიხართ, თუ ახლა, ჩვენთან ერთად არა, გარკვეული დროის მერე, როცა ახალ საშუალებას გამოგიძებნით. თქვენ კი დამპირდებით, რომ გამოიყენებთ. როგორმე უნდა შეძლოთ და ყალბად შეჰფიცოთ. ჩემი მხრივ კი ეს ცარიელი სიტყვები არ არის. პატიოსნებას გეფიცებით, როგორც კი საამისო სურვილს გამოხატავთ, ვკისრულობ, ნებისმიერ დროს აქედან ჩვენთან ჩაგიყვანოთ, იქიდან კი სადაც გნებავთ, იქ გაგამგზავროთ. ლარისა ფეოდოროვნა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გვაცილებთ. ამაში მთელი დამაჯერებლობით დაარწმუნეთ. ვთქვათ, სათვალფერისოდ გაიქეცით ცხენის შესაბმელად და დაგვითანხმეთ, რომ დაუყოვნებლივ გზას გავუდგეთ, აღარ დაგელოდოთ, ვიდრე აქაურ საქმეებს მოაგვარებთ, მერე კი გზაში დაგვეწევით.

– შეძრწუნებული ვარ პაველ პავლოვიჩის დახვრეტის ცნობით და გონს ვეღარ მოვსულვარ. თქვენი სიტყვების აზრიც ბუნდოვნად მესმის, მაგრამ გეთანხმებით. მას შემდეგ, რაც სტრელნიკოვს გაუსწორდნენ, ჩვენი ახლანდელი ცხოვრების ლოგიკით, ლარისა ფეოდოროვნას და კატიას სიცოცხლეც საფრთხეშია. ჩვენგან რომელიმეს ალბათ ჩასვამენ. და ესე იგი, ასე თუ ისე მაინც დაგვაშორიშორებენ. ისევ სჯობია თქვენ დაგვათითოოთ და სადმე, ქვეყნიერების კიდემდე წაიყვანოთ. ახლა, როცა ამას გელაპარაკებით, სულ ერთია, საქმე მაინც უკვე თქვენებურად მიდის. როცა გასაქანი აღარსაით მექნება, ალბათ სიამაყეს და თავმოყვარეობას დავივიწყებ, მორჩილად მოვხოხდები თქვენთან, თქვენი ხელიდან რომ მივიღო ისიც, სიცოცხლეც, ჩემიანებთან მიმავალი საზღვაო გზაც და საკუთარი ხსნაც. მაგრამ ახლა ყველაფერში გასარკვევად დრო მჭირდება. თქვენმა ნათქვამმა შემაცბუნა. დარდმა და ვაებამ გამთანგა, ფიქრისა და განსჯის უნარი წამართვა. თქვენ რომ გემორჩილებით, იქნებ საბედისწერო, გამოუსწორებელ შეცდომას ჩავდივარ, რაც მთელ სიცოცხლეს მომიშხამავს, მაგრამ ერთადერთი, რაც ამ გამაოგნებელი ტკივილის ბინდში შემიძლია, თავის დაკანტურება და ბრმა, უნებისყოფო მორჩილებაა. მაშ ასე, სათვალფერისოდ, მისივე სიკეთისათვის, გავალ ახლა და გამოვუცხადებ, ცხენის შესაბმელად მივდივარ და დაგეწევით-მეთქი, მე კი აქ მარტო დავრჩები. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს. ღამით მოგიწევთ მგზავრობა და როგორ ივლით? გზა ტყეზე გადის, გარშემო მგლებია, ფრთხილად იყავით.

– ვიცი. თოფიც მაქვს და რევოლვერიც. ნუ გეშინიათ, ჰო, მართლა, ცოტაოდენი სპირტიც წამოვიძღვანიე. საკმაოდა მაქვს. გიწილადებთ, არ გინდათ?

13

„რა ჩავიდინე? რა ჩავიდინე? მივეცი, ხელი დავიბანე, დავუთმე. იქნებ

სირბილით გამოვუდგე, დავეწიო, დავიბრუნო. ლარა! ლარა!

არ ესმით. ქარი ჩემსკენ უბერავს. ალბათ ხმამაღლა ლაპარაკობენ. მას ყოველგვარი საფუძველი აქვს, მშვიდად იყოს და იმხიარულოს. იგი ადვილად დაჰყვა ტყუილს, აზრად არ არის, რა მწარედ შეცდა.

ალბათ ფიქრობს, რომ ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც მას სურდა, უკეთესს კაცი ვერც კი მოისაზრებდაო. ეტყობა ფიქრობს, ჩემი მეოცნებე და კერპი იუროჩკა, მადლობა უფალს, როგორც იყო, დავიყოლიე და ჩემთან ერთად სადღაც, საიმედო ადგილას მოემგზავრება, სადაც უფრო გონიერი ადამიანები შეგვხვდებიან, სადაც კანონიერება და წესრიგი სუფევსო. თუ მაინც გაჯიქდა და თავისი არ დაიშალა, თუ ხვალ ჩვენივე მატარებლით არ წამოვიდა, ვიქტორ იპოლიტოვიჩი სხვას გამოუგზავნის და სულ ერთია, ცოტა ხნის შემდეგ მაინც ჩვენთან გაჩნდებაო.

რაღა თქმა უნდა, ახლა საჯინიბოში იქნება, აღელვების და სიჩქარის გამო ხელები უკანკალებს, არც კი ემორჩილება, ისე აბამს ზერდაგს მარხილში. შეაბამს თუ არა, დაუყოვნებლივ, იმ წამსვე შოლტს გაატყლაშუნებს და ჯერ ჩვენ ტყეშიც არ ვიქნებით შესული, რომ წამოგვეწევაო”.

აი, ასე ფიქრობს ალბათ. ისინი კი ერთმანეთს წესიერად არც კი გამომშვიდობებიან, მხოლოდ ის იყო, იური ანდრეევიჩმა ხელი დაუქნია, შებრუნდა და შეეცადა ყელში ტკივილად მობჯენილი ბურთი გადაეყლაპა, გადაცდენილი ვაშლივით რომ ახრჩობდა.

ექიმი ცალ მხარზე მოგდებული ქურქით იდგა პარმაღზე, თავისუფალი, ქურქით დაუფარავი ხელით ისე მძლავრად ჩაჰფრენოდა ზედ ჭერთან პარმაღის გაჩარხულ ბოძს, თითქოს ახრჩობსო. მთელი გონებით იყო მიჯაჭვული შორეულ სივრცეში მოციაგე ერთადერთ წერტილს. იქ, ცალკე მდგარ რამდენიმე არყის ხეს შორის, მცირე მანძილზე მოჩანდა მთაზე ამავალი გზის ნაწილი. სწორედ ამ ადგილს ეფინებოდა ახლა ჩამავალი მზის მკრთალი სხივები. გაქანებული მარხილი მცირე ხნით ბექობს გადაეფარა და, სადაც იყო, იქ, იმ განათებულ ზოლში უნდა გამოჩენილიყო.

– მშვიდობით, მშვიდობით, – იმ წუთს ასწრებდა და უხმოდ, უაზროდ

იმეორებდა ექიმი და ამ ოდნავ მფეთქავ ბგერებს მკერდიდან საღამოს ყინვიან ჰაერში უშვებდა. – მშვიდობით! ერთადერთო საყვარელო, სამუდამოდ დაკარგულო!

– მიდიან! მიდიან! – გაფითრებული ბაგეებით წაიჩურჩულა მან, როდესაც მარხილი ღარტაფიდან ისარივით აიჭრა ზევით, ერთიმეორის მიყოლებით გასცდა არყის ხეებს, სვლა შეანელა და, ჰოი, საკვირველებავ, ბოლო ხესთან გაჩერდა.

გული ძალუმად აუძგერდა, ო, როგორ აუძგერდა! მუხლი მოეკვეთა და მღელვარებისაგან მთლად მოეშვა, როგორც ნაბადი, როგორც მხრიდან ჩამოცურებული ქურქი! „ო. ღმერთო! როგორ ჩანს, ისევ უკან მიბრუნებ?! ნეტავ რა მოხდა? ნეტავ რა ხდება იქ, ცისკიდურზე, რატომ შეჩერდნენ? პასუხს ვინ მომცემს? რად არ იძვრიან? არა. გათავდა. ისევ დაიძრნენ, ისევ მიჰქრიან. ეტყობა ლარამ ითხოვა, წუთით შეჩერებულიყვნენ, გამომშვიდობებისას კიდევ ერთხელ რომ შეევლო მზერა სახლისათვის. ან იქნებ იმის გაგება სურდა, გაჰყვა თუ არა იმათ კვალს იური ანდრეევიჩი? ალბათ ჰგონია, საცაა დაგვეწევაო. წავიდნენ. წავიდნენ.

თუ მოასწრებენ, თუ მზე უფრო ადრე არ ჩავა (სიბნელეში ხომ ვერ დაინახავს!), კიდევ ერთხელ გაიელვებენ, ამჯერად უკვე უკანასკნელად გამოჩნდებიან ხრამის გადაღმა, მინდორზე, გუშინწინ ღამით მგლები რომ იყვნენ დაყუნცულები.

აი, ის წუთიც, როგორც მოვიდა, ისე წავიდა. მეწამული მზე ისევ დაგორავდა ნამქერების ლურჯ ზოლზე. თოვლი ხარბად იწოვდა მისგან გადმოღვრილ, ანანასივით დაშაქრულ წვენს. და აი, ისინი კვლავ გამოჩნდნენ, გაიქროლეს და შორეთს მიაშურეს. „მშვიდობით, ლარა, ნახვამდის, ჩემო, იმ ქვეყანაში შეხვედრამდე. მშვიდობით, ჩემო მშვენიერო, მშვიდობით, ჩემო სიხარულო, უკიდეგანო, უნაპირო, სამარადისო”. და ჰა, ისინი თვალს მიეფარნენ. „ამიერიდან ვეღარ გნახავ, ვერა, ვეროდეს, ვერასოდეს, სიცოცხლეში ვეღარასოდეს ვეღარ გნახავ”.

ბნელდებოდა. ელვის სისწრაფით ხუნდებოდნენ და ჰქრებოდნენ

თოვლზე მიმოფანტული დაისის მეწამული და ბრინჯაოსფერი ლაქები. სივრცეთა ფერფლისფერი სიმსუბუქე თვალდათვალ იძირებოდა იასამნისფერ ბინდში, რომელიც სულ უფრო მეტად მუქდებოდა და სოსანისფერში გადადიოდა. ნაცრისფერ მარმაშს საოცრად ერწყმოდა გზისპირებში ჩამწკრივებული არყის ხეების მოქარგული, კალმით ნახატი სინატიფე, რომელიც ღია ვარდისფერ, თითქოს ერთბაშად გათავთხელებულ ცაზე ყალმით ნახატს მოგაგონებდათ.

გულის ვარამმა იური ანდრეევიჩს გეში და ალღო გაუძლიერა. ყველაფერს გაათმაგებული ძალით აღიქვამდა. ირგვლივ რაც იყო, თვით ჰაერიც, იშვიათი ერთადერთობის თვისებას იძენდა. არნახული თანაგრძნობით სუნთქავდა ზამთრის საღამო, ვითარცა დიდსულოვანი მოწმე და მოწამე. თითქოს აქამდე არასოდეს დაბინდებულიყო და მხოლოდ იმ დღეს ჩამოღამდა, დაობლებული, მარტოდ შთენილი ეული ადამიანის სანუგეშოდ. თითქოს არასოდეს მდგარა ასე ცისკიდურისკენ ზურგშექცეული, ბექობებსა და ბორცვებზე შეფენილი ტყე და მხოლოდ ახლა წამოშლილა, ქვესკნელიდან გამოსულა, გულს მოწოლილი ნაღველი რომ გაუქარვოსო.

ექიმი თითქმის გაურბოდა ამ მძიმე საათის უცნაურ სილამაზეს, როგორც თავმომაბეზრებლად აკვიატებულ თანამგრძნობთა ბრბოს, და დაისის დაღალული სხივებისათვის კინაღამ ეთქვა: „მადლობელი ვარ. ნუ წუხდებითო”.

კვლავ პარმაღზე იდგა. მთელი ქვეყნიერებისათვის ზურგი შეექცია და დახურულ კარს მიშტერებოდა. „ავაჰმე, ჩემი მზე ჩაესვენა”, – გლოვის ზარივით გუგუნებდა მის არსებაში ვიღაც თუ რაღაც. თავად კი ამ სიტყვებს ვერა და ვერ იმეორებდა. მთელი სხეულით აცახცახებულს ყელი უშრებოდა და სიტყვა შუაზე უწყდებოდა.

სახლში შევიდა. საკუთარ თავთან გულში ორმაგი საუბარი ჰქონდა გაბმული: მშრალი, ვითომდა საქმიანი, რაც თავად ეხებოდა, და გულ-

დამდუღრული, უნაპირო – ლარას მიმართ. „ახლა მოსკოვში უნდა წავიდე, – ფიქრობდა იგი. – უპირველესი საქმე – გადარჩენაა. უძილობა არ უნდა მომერიოს. დასაძინებლად არ უნდა დავწვე. ღამ-ღამობით გამოთაყვანებამდე უნდა ვიმუშაო, ვიდრე დაღლილობისაგან მკვდარივით არ მივეგდები. და კიდევ: ახლავე უნდა გავახურო ღუმელი საძილე ოთახში, თორემ ღამით გავიყინები”.

მაგრამ აი, კიდევ როგორ მუსაიფობდა საკუთარ თავთან: „დაუვიწყარო ჩემო სულისდგმავ! სანამ პირში სული მიდგას, სანამ ამ ხელებს და ბაგეებს შენი სურნელი არ გაშორებიათ, შენთან ვიქნები, შენზე დასაღვრელ ცრემლებს ღირსეულად ამოვაფრქვევ, ისე, რომ დარჩეს სამარადისოდ. მე შენს სახსოვრად უნახეს, უფაქიზეს, სევდიან ხატებას შევქმნი. ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე ამას არ შევასრულებ. მერე მეც წავალ. აი, როგორ დაგხატავ. შენს ძვირფას სახეს აღვბეჭდავ ქაღალდზე, როგორც საშინელი ქარიშხლის შემდეგ, ქაფმორეულ ზღვას ერთიანად რომ აბობოქრებს, ქვიშაზე რჩება უმძლავრესი ტალღების კვალი, ხმელეთის დამსხვრეულ, უსწორმასწორო ხაზზე გამორიყავს ხოლმე ზღვა საცობებს, ნიჟარებს, წყალმცენარეებს, ყველაფერს მსუბუქს და უწონადოს, რასაც თავის უძირო უფსკრულში მოიხელთებს. ეს ზღვის მოქცევის შორს გატყორცნილი, უსასრულო ზღვარია. სწორედ ამგვარად გამოგრიყა ჩემთან ცხოვრების ქარიშხალმა, ჩემო სიამაყევ. ასევე შევქმნი მე შენს ნატიფ, ხელთუქმნელ სახეს”.

სახლში შევიდა, კარი მიკეტა, ქურქი გაიხადა. იმ ოთახის კარი რომ შეაღო, რომელიც დილით ლარამ დაალაგა ისე ბეჯითად და გულდადებით, ნაჩქარევი გამგზავრების გამო კი ხელმეორედ იყო არეული და გადაქოთებული, როცა აწეწილ საწოლს, იატაკზე და სკამებზე უწესრიგოდ მიმოყრილ საგნებს შეავლო თვალი, საწოლთან ჩაიჩოქა, მკერდით მის უხეშ კიდეს მიეყრდნო, ყურთუკის ბალიშში ჩარგო თავი და ბავშვურად, იოლად და მწარედ აზლუქუნდა. თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. იური ანდრეევიჩი წამოდგა, ცრემლები მყისვე შეიმშრალა, იქაურობას

გაოცებულ-დაბნეული, დაღლილ-დაქანცული მზერა მოავლო, წინ კომაროვსკის დანატოვარი ბოთლი დაიდგა, საცობი მოხსნა, ნახევარი ჭიქა დაისხა, წყალი დაუმატა, ცოტაოდენი თოვლიც ჩაყარა და თითქმის ახლახან დაღვრილი უნუგეშო ცრემლებით მოგვრილი ნეტარებით, ნელი, ხარბი ყლუპებით შეუდგა ამ ნარევის სმას.

14

იური ანდრეევიჩს რაღაც უსაშველო ემართებოდა. ნელ-ნელა ჭკუიდან გადადიოდა. ასე უცნაურად არასოდეს უცხოვრია. სახლს ხელი მიუშვა, აღარც საკუთარ თავზე ზრუნავდა, ღამე დღედ ექცა და ლარას წასვლის მერე დროის სათვალავი აერია.

ნიადაგ სასმელს ეძალებოდა და რასაც წერდა, პირწმინდად მას უძღვნიდა, მაგრამ მისი ლექსების და ჩანაწერების ლარა, ამოშლილი და გადასწორებული სიტყვების კვალად, სულ უფრო მეტად შორდებოდა პირველსახეს, კატენკას ცოცხალ დედას, რომელიც ახლა შვილთან ერთად სადღაც შორეთში მიემგზავრებოდა.

ეს შესწორებები იური ანდრეევიჩს სიზუსტისა და გამოსახვის სიძლიერისათვის შეჰქონდა თავის ჩანაწერებში, მაგრამ ამ საქმეს შინაგანი თავშეკავებისადმი მისწრაფებაც შთააგონებდა, რომელიც აიძულებდა, პირადად განცდილი და სინამდვილეში მომხდარი ამბები მეტისმეტი გულახდილობით არ გაეშიშვლებინა და ამით აღწერილის და გადატანილის უშუალო მონაწილეებს არ შეხებოდა, მათთვის გული არ დაეკოდა. ამგვარად იდევნებოდა ლექსებიდან ყოველივე სისხლხორცეული, მტკივნეული და მოუშუშებელი. ამის სანაცვლოდ მათში ჩნდებოდა დაოკებული გაქანება, რასაც კერძო შემთხვევა ყველასათვის ახლობელი გრძნობის სიმაღლემდე აჰყავდა. თვითონ ამ მიზანს არ ისახავდა, მაგრამ ეს გაქანება შორეულ გზებზე გადაგებული სატრფოსაგან შემონათვალი მოკითხვის, სიზმრად მისი გამოცხადებისა და შუბლზე ხელის შეხების

მსგავსად ანუგეშებდა და თავის ლექსებში გაცხადებული გამაკეთილშობილებელი ნიშანიც სწორედ ამიტომ იტაცებდა.

ლარას რომ დასტიროდა, დროთა ვითარებაში ათასნაირ საგანზე, ბუნებასა და ყოველდღიურობაზე ნაგრძნობ-ნაფიქრსაც ამოთქვამდა. როგორც ყოველთვის, საზოგადოებრივ თუ კერძო ცხოვრებაზე ახლაც მრავალი აზრი უტრიალებდა და მოსვენებას არ აძლევდა.

წინანდებურად ფიქრობდა, რომ ისტორია, ის, რასაც ისტორიის მსვლელობა ჰქვია, მთლად ისე არ ესახებოდა, როგორც მიღებულია, და თვალწინ მცენარეული სამეფოს ცხოვრების მსგავსად წარმოუდგებოდა. ზამთარში, თოვლში, ფოთლოვანი ტყის გაშიშვლებული ღეროები ბებრულ მეჭეჭზე ამოსული ბუსუსებივით საცოდავად გამოიყურებიან. გაზაფხულზე რამდენიმე დღეში კი ტყე იმოსება, ღრუბლებამდე ადის, მის უღრანებში შესაძლოა კაცი დაიმალოს ან დაიკარგოს კიდეც. ამგვარი ფერისცვალება მოძრაობით მიიღწევა და თავისი სისწრაფით ცხოველთა მოძრაობას აღემატება, რადგან ცხოველი არ იზრდება ისე ძალუმად, როგორც მცენარე. თუმცა თვალდათვალ არც მისი ზრდა ჩანს. ტყე არ მოძრაობს, არასოდეს ინაცვლებს ადგილს. მას ერთთავად უძრავად ვხედავთ. სწორედ ასეთი, უძრაობაში გარინდებული გვეჩვენება მუდმივად მზარდი, მარად ცვალებადი, შეუმჩნეველ ფერისცვალებაში მყოფი საზოგადოების ცხოვრება, ისტორია.

ტოლსტოის თავისი აზრი ბოლომდე არ მიუყვანია, როცა ნაპოლეონის, მმართველების და მხედართმთავრების, ვითარცა საქმის წამომწყებთა როლს უარყოფდა. ისიც სწორედ ამას ფიქრობდა, მაგრამ სათქმელი მთელი სიცხადით არ თქვა ბოლომდე. ისტორიას არავინ ჰქმნის, იგი უჩინარია, როგორც ბალახის ზრდაა შეუმჩნეველი. ომები, რევოლუციები, მეფეები, რობესპიერები მისი ორგანული აღმაგზნებელნი, მისი დუღილის დამაჩქარებელი საფუარები არიან. რევოლუციას ქმედითი ადამიანები, ცალმხრივად ფანატიკოსები, თვითშეზღუდული გენიები ახდენენ. წინანდელ წესრიგს ისინი რამდენიმე საათში ან დღეში ამბობენ.

გადატრიალებები რამდენიმე კვირას ან წელს გრძელდებოდა, მერე კი ათეული წლების, საუკუნეების განმავლობაში წმინდანივით თაყვანსა სცემდნენ შეზღუდულობის სულისკვეთებას, რამაც გადატრიალება გამოიწვია.

ლარას რომ დასტიროდა, იური ანდრეევიჩი მელიუზეევის იმ შორეულ ზაფხულსაც გლოვობდა, როცა რევოლუცია იმჟამინდელი ცით მოვლენილი ღმერთი ეგონათ, თავისებურად ყველა გიჟმაჟობდა, ყველას სიცოცხლე თავისთავად მიმდინარეობდა, თვალსაჩინოებით და ახსნა-განმარტებით უმაღლესი პოლიტიკის სისწორის დასამტკიცებლად კი თავს არავინ იწუხებდა.

ფიქრთა ამგვარი განჩხრეკისას მან კვლავ გამოწვლილვით აწონ-დაწონა და აღნიშნა, რომ ხელოვნება მუდამ სილამაზეს ემსახურება. თავის მხრივ, სილამაზე ფორმის ფლობის ბედნიერებაა, ხოლო თვით ფორმა – არსებობის უცილობელი გასაღები. ფორმა ყოველ არსს უნდა ჰქონდეს, რომ არსებობდეს. ამრიგად, ხელოვნება, თვით ტრაგიკულიც, არის მოთხრობა ყოფიერების ბედნიერებაზე. ამგვარი განსჯა იური ანდრეევიჩს ბედნიერებას ანიჭებდა, თუმცა ყოველივე იმდენად გულის დამამძიმებელი და ცრემლების მომგვრელი იყო, რომ ქანცი ელეოდა და თავი უსკდებოდა.

ანფიმ ეფიმოვიჩი ჩამოვიდა მოსანახულებლად, იმანაც არაყი ჩამოიტანა და კომაროვსკისთან ერთად ანტიპოვას და მისი გოგონას გამგზავრების ამბავი შეატყობინა. ანფიმ ეფიმოვიჩი სარკინიგზო დრეზინით ჩამოვიდა. ექიმს უსაყვედურა, ეს ჩემი ცხენი რა დღეში ჩაგიგდია, მთლად მიგისიკვდილებიაო, ყური არ უგდო იური ანდრეევიჩის თხოვნას, სამიოთხი დღით კიდევ დამიტოვეო, და მარხილიანად თან წაიყვანა. სამაგიეროდ შეჰპირდა, იმავე დროის გასვლის შემდეგ პირადად შემოევლო ექიმთან და ვარიკინოდან საბოლოოდ წაეყვანა.

ხანდახან, წერით რომ დაიღლებოდა, იური ანდრეევიჩს მთელი სიცხადით უდგებოდა თვალწინ გამგზავრებული ქალი და გული სინაზით და

მარტოობის ბალღამით ევსებოდა. მაშინდელივით, როცა ოდესღაც ბავშვობაში, ზაფხულის ხვატში ჩიტების სტვენა გარდაცვლილი დედის ხმას აგონებდა, ყურში ახლაც ლარას ესოდენ ჩვეული და ახლობელი ხმა ჩაესმოდა, ეჩვენებოდა, თითქოს იგი ხანგამოშვებით მეზობელი ოთახიდან უხმობდა.

იმ კვირას ალღომ უმტყუნა. კვირის ბოლოს, შუაღამისას, თავზარდამცემმა მოჩვენებამ გამოაღვიძა, ვითომ სახლის ქვეშ უზარმაზარი ურჩხულის ხევი გაჩენილიყო. თვალები გაახილა. უეცრად ხევში ცეცხლმა იფეთქა და დაიქუხა. ალბათ ვიღაცამ თოფი ისროლა. საოცარი კი ის იყო, რომ ამ უცნაური მოვლენის მერე ექიმს მალევე ჩაეძინა, დილით კი დაასკვნა, ეს ყველაფერი სიზმრად ვნახეო.

15

აი, რა მოხდა იმ დღეებში მოგვიანებით. ექიმმა საბოლოოდ შეისმინა გონების კარნახი. იფიქრა, თუ მაინცდამაინც გასავათება და მისიკვდილება გადამიწყვეტია, უფრო სწრაფად მოქმედი და ნაკლებად მტანჯველი საშუალების გამოძებნაც შეიძლებაო. თავის თავს სიტყვა მისცა, როგორც კი ანფიმ ეფიმოვიჩი შემოუვლიდა, იქაურობა დაუყოვნებლივ მიეტოვებინა და გაჰყოლოდა.

დაბინდებამდე, როცა ჯერ კიდევ სინათლე იყო, თოვლის ხრაშუნის ხმა შემოესმა. ვიღაც მოდიოდა სახლისაკენ მხნე, გაბედული, მშვიდი ნაბიჯებით.

უცნაური იყო. ვინ უნდა ყოფილიყო? ანფიმ ეფიმოვიჩი ცხენით მოვიდოდა. უკაცრიელ ვარიკინოში არც გზად მიმავალნი შემოუხვევდნენ, „ჩემთან მოდის – დაასკვნა იური ანდრეევიჩმა. – ეტყობა, ქალაქში მეძახიან. ან იქნებ ჩემი დაპატიმრება აქვთ განზრახული? მაგრამ რითი მიპირებენ წაყვანას? ეგრე რომ იყოს, ორნი მაინც იქნებოდნენ. არა, მგონი

მიკულიცინია, ავერკი სტეპანოვიჩი". – მოეჩვენა, რომ სტუმარი სიარულზე იცნო და გაუხარდა. ჯერ კიდევ გამოცანად ქცეული ადამიანი წუთით შეყოვნდა ურდულგამოგლეჯილ კართან, რაკი ზედ მოსალოდნელი ბოქლომი აღარ დახვდა, მერე გზა ისევ თავდაჯერებით განაგრძო, შემხვედრ კარებს პატრონის მზრუნველობით აღებდა და ზურგს უკან ისევ ფრთხილად ხურავდა.

ამ უცნაურობას იური ანდრეევიჩი საწერ მაგიდასთან შეხვდა. იგი კარისკენ ზურგშექცევით იჯდა. ვიდრე სკამიდან წამოიმართა და კარისაკენ შეტრიალდა, გახევებული უცნობი უკვე ზღურბლთან იდგა.

„ვინ გნებავთ?" – უნებურად წამოსცდა ექიმს და არც გაჰკვირვებია, რომ პასუხი ვერ მიიღო.

ახალმოსული ღონიერი, წარმოსადეგი, სანდომიანი შესახედაობის კაცი იყო. ბეწვის მოკლე ქურქი, ბეწვისავე შარვალი, თხის თბილი ჩექმები ეცვა და მხარზე შაშხანა ჰქონდა თასმით გადაკიდებული.

ექიმს მისი მოსვლის წამი გაუკვირდა და არა მოსვლა. სახლში აღმოჩენილმა უცხო საგნებმა და სხვა ნიშნებმაც იგი საამისოდ წინასწარ შეამზადეს. ეტყობა, მოსული სწორედ ის ადამიანი უნდა ყოფილიყო, რომელსაც სახლში აღმოჩენილი მარაგი ეკუთვნოდა. ექიმმა პირველი შეხედვისთანავე იგრძნო, რომ სადღაც უკვე ჰყავდა ნანახი. ჩანდა, იმანაც წინასწარ იცოდა, რომ სახლი ცარიელი არ იყო. ამიტომ ხიზნის დანახვა დიდად არ გაჰკვირვებია. იქნებ წინასწარ გააფრთხილეს კიდეც, თუ ამ ჭერქვეშ ვის შეხვდებოდა. ან იქნებ ექიმს თავადაც იცნობდა. „ნეტა ვინ არის? ვინ უნდა იყოს?" – მეხსიერებას ძაბავდა და თავს ძალას ატანდა იური ანდრეევიჩი. „ღმერთო დიდებულო, სადა მყავს ნანახი ეს კაცი? ვითომ ის არის? რომელიღაც წლის მაისის ცხელი დილა. რაზვილიეს რკინიგზის სადგური. კომისრის პირქუში ვაგონი, ცნებების სიცხადე, სწორხაზოვნება, განსჯის სიმკაცრე, სიმართლე, სიმართლე, სიმართლე... სტრელნიკოვი!".

16

კარგა ხანი იყო საუბრობდნენ, მთელი რამდენიმე საათი. ლაპარაკობდნენ როგორც რუსეთში რუსებმა იციან მუსაიფი, განსაკუთრებით ისეთმა დაშინებულებმა და დარდიანებმა, ცოფიანებმა და გაშმაგებულებმა, როგორიც მაშინ ყველა იყო ამ ქვეყანაში. საღამო იყო. ბინდდებოდა.

გარდა შფოთიანი ენაწყლიანობისა, რითაც სტრელნიკოვი ყველას უხვად უმასპინძლდებოდა, იგი რაღაც სხვა, საკუთარი მიზეზის გამოც შეუჩერებლივ ლაპარაკობდა.

იგი ლაპარაკით ვერა ძღებოდა და მარტოდმარტო რომ არ დარჩენილიყო, ექიმთან მუსაიფს ყოველი ღონით ებღაუჭებოდა. ვინ იცის, იქნებ სინდისის ქენჯნის ან აკვიატებული სევდიანი მოგონებებისა ეშინოდა, ან იქნებ საკუთარი თავის მიმართ უკმაყოფილების გრძნობა სტანჯავდა, რომლის ტყვეობაში მყოფი ადამიანი თავის თავს ვეღარ იტანს, ეზიზღება და სირცხვილისაგან მზად არის, თავი აღარ იცოცხლოს? ანდა იქნებ სულაც რაღაც საზარელი, ურყევი გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული, რომელთანაც პირისპირ დარჩენა არ უნდოდა და რომლის შესრულებასაც ექიმთან ლაყბობით და თავის შექცევით ყოველი ღონით აჭიანურებდა?

ასე იყო თუ ისე, სტრელნიკოვი რაღაც მნიშვნელოვან, მისთვის მტანჯველ საიდუმლოს მალავდა და ყოველივე დანარჩენში მით უფრო მეტი თავგამოდებით იჩენდა გულახდილობას.

ეს საუკუნის ავადმყოფობა იყო, ეპოქის რევოლუციური შლეგიანობა. კაცით კაცამდე სულ სხვას ფიქრობდნენ და სულ სხვა რამეს ლაპარაკობდნენ თუ გამოხატავდნენ. სინდისი სუფთად არავის ჰქონდა. თითოეულს საფუძვლიანად შეეძლო ეგრძნო თავი ყველაფერში ბრალეულად, ფარულ დამნაშავედ, გაუმჟღავნებელ თაღლითად. როგორც კი საბაბი მიეცემოდათ, უკიდურესად მძლავრობდა თვითგვემის ტალღა. ადამიანები მოჩვენების ტყვეობაში იმყოფებოდნენ, საკუთარ თავზე ტყუილს და

მართალს მარტო შიშის ზემოქმედებით კი არა ფქვავდნენ, ყოველივეს დამანგრეველი ავადმყოფური მიდრეკილებით, თავიანთი ნებით, მეტა-ფიზიკური აშლილობით და თვითგაკიცხვის ისეთი ჟინით სჩადიოდნენ, მისთვის ოღონდ გზა მიგეცა და მერე ვეღარაფრით შეაჩერებდი.

თავის დროზე რამდენი ასეთი წერილობითი თუ ზეპირი წინასასიკ-ვდილო ჩვენება წაუკითხავს და მოუსმენია დიდ სამხედრო, ზოგჯერ კი სამხედრო-სასამართლო მოღვაწე სტრელნიკოვს. ახლა თავად განიცდი-და თვითგამოაშკარავების ამგვარ შემოტევას, თავის თავში ყველაფრის გადაფასებას ახდენდა. ყველაფერს თავიდან აჯამებდა, ყოველივე უმ-სგავსო, საზარელ, გულისამრევ სიმახინჯედ ეჩვენებოდა.

სტრელნიკოვი უთავბოლოდ ჰყვებოდა, ერთი აღიარებიდან მეორეზე ხტებოდა.

– ეს ამბავი ჩიტასთან მოხდა. ალბათ გაგაოცათ იმ საოცრებებმა, რი-თაც ამ სახლში კარადები და ზანდუკები გამოვტენე, ეს ყველაფერი იმ სამხედრო რეკვიზიციებიდან შემომრჩა, რასაც წითელი არმიის მიერ აღ-მოსავლეთ ციმბირის აღებისას ვაწარმოებდით. რაღა თქმა უნდა, ყველა-ფერს მარტო ვერ მოვერეოდი. ბედი ყოველთვის მანებივრებდა ერთგუ-ლი, თავგანწირული ადამიანებით. ეს სანთლები, ასანთები, ყავა, ჩაი, სა-წერი მოწყობილობა და სხვა ათასი რამ, ნაწილი ჩეხების სამხედრო ავ-ლადიდებიდანაა, ნაწილი კი იაპონელების და ინგლისელების ნაქონია, საოცრებაა, ხომ მართლია? „ხომ მართალია” ჩემი ცოლის საყვარელი გა-მოთქმა გახლავთ, ალბათ შენიშნეთ. ვერ გადამეწყვიტა, მეთქვა თუ არა თქვენთვის ეს თავიდანვე, და მაინც უნდა გამოგიტყდეთ. აქ იმისათვის ჩამოვედი, მინდოდა ის და ჩემი გოგონა მენახა. ძალიან გვიან შემატყო-ბინეს, რომ აქ იყვნენ. და აი, დამაგვიანდა კიდეც. როცა ჭორებით და პა-ტაკებით გავიგე მასთან თქვენი დაახლოების ამბავი და პირველად დამი-სახელეს „ექიმი ჟივაგო”, ამ წლების განმავლობაში ჩემს თვალწინ გაელ-ვებულ ათასობით ადამიანს შორის, ვერც კი წარმოიდგენთ, ისე გავიხსე-ნე ოდესღაც ჩემთან დაკითხვაზე მოყვანილი ამ გვარის ექიმი.

– ალბათ ინანეთ, რატომ არ დავხვრიტეო, არა?

სტრელნიკოვს ამ სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია. შესაძლოა, ვერც კი იგრძნო, მოსაუბრემ აღსარება რომ შეაწყვეტინა. ფიქრში წასული დაბნეულად ლაპარაკობდა.

– რაღა თქმა უნდა, ვეჭვიანობდი თქვენზე და გულდამშვიდებული არც ახლა ვარ. განა სხვანაირად იქნებოდა? ამ ადგილებში ბოლო თვეების განმავლობაში ვიმალები, მას შემდეგ, რაც შორს, აღმოსავლეთში ჩემი სხვა სამალავები აღმოაჩინეს. ცილისწამების გამო უნდოდათ ჩემი საქმე სამხედრო სასამართლოსათვის გადაეცათ. ძნელი არ იყო იმის გათვალისწინება, თუ ეს ამბავი როგორ დასრულდებოდა. არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია. იმედი მქონდა, როცა უკეთესი დროება მოვა, თავს გავიმართლებ, კეთილ სახელს აღვიდგენ-მეთქი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, სანამ დრო იყო, თვალში არ გავჩხეროდი, დაპატიმრებისათვის თავი დამეღწია, დავმალულიყავი, მეხეტიალა და განდეგილის ცხოვრებით მეცხოვრა. იქნებ ყველაფერი კარგად ყოფილიყო, სანდო კაცად მიღებულ ერთ ვიგინდარა ჯეელს რომ არ ემტყუნა.

ზამთარი იყო. ციმბირის გავლით დასავლეთისაკენ ფეხით მოვდიოდი, გზადაგზა ვიმალებოდი, ვშიმშილობდი, ნამქერებში ვძვრებოდი, ღამღამობით თოვლში ჩაფლულ მატარებლებში მეძინა. მაშინ თოვლით გადალესილი ასეთი შემადგენლობები უსასრულო ჯაჭვად იდგენენ ციმბირის მაგისტრალზე.

დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ბედმა ერთ მაწანწალა ბიჭს გადამყარა, რომელიც ვითომც პარტიზანებს გადარჩენოდა მწკრივში ცოცხლად, საერთო დახვრეტისას. როგორც მიამბო, თურმე დახოცილთა ზედახორაში გამოხოხებულა ცოცხალ-მკვდარი, საამქვეყნოდ მოუხედნია და ამის შემდეგ ჩემსავით სხვადასხვა სოროებსა და ბუნაგებში დაუწყია მომთაბარეობა. თვითონ ასე მითხრა. მაგრამ ვერ გეტყვით, რამდენად სანდო იყო მისი ნაამბობი.

რაც უფრო დაწვრილებით ჰყვებოდა სტრელნიკოვი, მით უფრო მეტად ეცნაურებოდა ექიმს ის ბიჭი.

– სახელად ტერენტი ხომ არ ერქვა და გვარად გალუზინი ხომ არ იყო?

– დიახ.

– მაშინ, რაც პარტიზანებზე და დახვრეტაზე უთქვამს, მართალია, არაფერი გამოუგონია.

– ერთადერთი სიკეთე სჭირდა იმ ბიჭს, – დედაზე გიჟდებოდა. მამა მძევლად წაუყვანიათ და კვალწმინდად დაკარგულა. ბიჭს შეუტყვია, რომ დედამისი ციხეში ყოფილა გამომწყვდეული და სადაც იყო, მამამისის ბედს გაიზიარებდა. გადაუწყვეტია, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დედა გამოეხსნა. მაზრის საგანგებო კომისიაში გამოცხადებულა და თავისი სამსახური შეუთავაზებია. შეჰპირებიან, ყველაფერს გაპატიებთ, ოღონდ რაც იცი, ყველაფერი დაყაჭეო. დროზე ვიყნოსე მისი ღალატი და იქაურობას გამოვერიდე.

არაადამიანური ტანჯვა-წამების ფასად, ათასი ხიფათისა და თავგადასავლის შემდეგ გამოვიარე ციმბირი და აქ ჩამოვედი, ამ ადგილებში, სადაც მოხარშულს მიცნობენ, მაგრამ ჩემი მხრივ ასეთ კადნიერებას არ ელიან და ჩემს აქ ყოფნას არაკადაც კი არ იფიქრებენ. მართლაც, ჩიტასთან დიდხანს მეძებდნენ. მაგრამ ახლა უკვე ჩემი ახრიზამანი მოსულია. აქაც მომაგნეს. მისმინეთ. ბინდდება. გვიახლოვდება ის საათი, რომელსაც ვერ ვიტან, რადგან დიდი ხანია დავკარგე ძილიც და მოსვენებაც. გეცოდინებათ, ეს რა წამებაცაა. თუ სულ არ დაგიწვავთ ჩემი სანთლები – მშვენიერი სტეარინისა, ხომ მართალია? – ცოტა ხანს კიდევ ვილაპარაკოთ. მოდი იმდენი ვიმუსაიფოთ, რამდენის ატანასაც შეძლებთ, მთელი განცხრომით, გათენებამდე, ანთებულ სანთლებთან.

– სანთლები უკლებლივაა. მხოლოდ ერთი კოლოფია გახსნილი. მე აქ ნაპოვნ ნავთსა ვხმარობდი.

– პური გაქვთ?

– არა.

– მაშ თავი რიღათი გაგქონდათ? თუმცა რა სისულელეებს გეკითხებით? ვიცი, კარტოფილით.

– კი. რამდენიც გინდათ, იმდენია. ამ სახლის პატრონები გამოცდილი და თადარიგიანი ხალხი იყო, იცოდნენ, როგორ შეენახათ. უვნებლადაა სარდაფში. არც დამპალა და არც გაყინულა.

ანაზდად სტრელნიკოვი რევოლუციაზე ალაპარაკდა.

17

ყოველივე ამას თქვენთვის არ ვამბობ. ვერ გამიგებთ. თქვენ სხვანაირად იზრდებოდით. იყო ქალაქის გარეუბნების სამყარო, სარკინიგზო ხაზებისა და მუშათა ყაზარმების სამყარო. ირგვლივ ტალახი, სივიწროვე, სიდუხჭირე, მშრომელ კაცში ადამიანის დამცირება, ქალის მიწასთან გასწორება იყო გამეფებული. იყო გარყვნილების ახარხარებული, დაუსჯელი პარპაში, დედიკოების ბიჭუნების, თეთრსაყელოიანი სტუდენტების, ვაჭრების ნაშიერთა გახრწნილება. ღარიბ-ღატაკთა, ჩაგრულთა, შეცდენილთა ცრემლებს და საჩივრებს აინუნშიც არ აგდებდნენ, დასცინოდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ. ო, რა ოლიმპიურ სიმშვიდესა და განცხრომაში იყვნენ მუქთახორები! მარტო იმით ყელყელაობდნენ, რომ თავს არაფრით იწუხებდნენ, არაფერს ეძიებდნენ, საქვეყნოდ თითი თითზე არ დაუკარებიათ და ჩხირი გვერდზე არ გადაუბრუნებიათ!

ჩვენ კი ცხოვრება სამხედრო ლაშქრობასავით ჩავიბარეთ. იმათთვის, ვინც გვიყვარდა, ქვებსა ვკოდავდით. და თუმცა მათთვის დარდისა და ვაების მეტი არაფერი მოგვიტანია, მაინც იოტისოდენადაც არ გაგვინაწყენებია, რადგან მათზე უფრო მეტად წამებულები ჩვენ აღმოვჩნდით.

თუმცა, ვიდრე სათქმელს გავაგრძელებდე, აი, რისი თქმა მინდა. საქმე ის არის, რომ თუ სიცოცხლე გიღირთ რაიმედ, აქაურობას უნდა გაეცა-

ლოთ, თანაც დაუყოვნებლივ. ჩემს გარშემო ალყა უფრო და უფრო ვიწროვდება და რითიც არ უნდა გათავდეს ეს საქმე, დიდი სიკეთე არც თქვენ მოგელით. თქვენ უკვე ჩემს საქმეებში ხართ გარეული, თუნდაც იმიტომ, რომ ახლა ერთმანეთს ვესაუბრებით. გარდა ამისა, აქ ბევრი მგელი ირევა და ამასწინათ მათ მოსაგერიებლად სროლის ატეხა მომიხდა.

– მაშ თქვენ ისროდით?

– დიახ. თქვენ, რა თქმა უნდა, გაიგონეთ? მეორე თავშესაფარში მივდიოდი, მაგრამ იქ მისვლამდე სხვადასხვა ნიშნით მივხვდი, რომ საიდუმლო გამჟღავნებული იყო და იქაური ხალხიც ალბათ უკვე დახვრიტეს. არც აქ დავრჩები დიდი ხნით, ღამეს გავათევ და დილით გავილალები. მაშ ასე, თქვენი ნებართვით გავაგრძელებ.

განა ტვერელ-იამელი და გოგონებთან ერთად იორღა ცხენებშებმული ეტლებით აღმა-დაღმა მიმომქროლი, ჩატეხილ ქუდიანი და პაჭანაკებიან შარვლიანი კოხტაპრუწა ფრანტები მარტო მოსკოვში ან მხოლოდ რუსეთში იყვნენ? ქუჩა, საღამოს ქუჩა, საუკუნის საღამოს ქუჩა, ჩორთით მავალი ჩალისფერი ცხენები ყველგან იყვნენ. რამ გააერთიანა ეპოქა, რამ შეკრა მეცხრამეტე საუკუნე ერთ ისტორიულ მთლიანობად? სოციალისტური აზრის ჩასახვამ. ხდებოდა რევოლუციები, თავგანწირული ახალგაზრდები ბარიკადებზე ადიოდნენ. პუბლიცისტები თავებს იმტვრევდნენ, როგორ აელაგმათ ფულის ცხოველური სილირფე, როგორ დაეცვათ და აემაღლებინათ უპოვართა ადამიანური ღირსება. გამოჩნდა მარქსიზმი. მან აღმოაჩინა, სად იყო ბოროტების სათავე, სად იყო სამკურნალო საშუალება, იგი საუკუნის ძლევამოსილ ძალად გადაიქცა. ყოველივე ეს ტვერულ-იამური საუკუნეც იყო, ტალახიც, სიწმინდის შარავანდედიც, გარყვნილებაც, მუშათა უბნებიც, პროკლამაციებიც და ბარიკადებიც.

ეჰ, რა კარგი გოგონა იყო, რა მომხიბლავი გიმნაზიელი! ვერც კი წარმოიდგენთ. ხშირად მოდიოდა ხოლმე თავისი სკოლის ამხანაგთან იმ სახლში, სადაც ბრესტის რკინიგზის მოსამსახურენი ცხოვრობდნენ. ასე ერ-

ქვა იმ გზას თავდაპირველად, ვიდრე შემდგომში სახელს მრავალჯერ გადაარქმევდნენ. მამაჩემი, იურიატინის ტრიბუნალის ახლანდელი წევრი, მაშინ სადგურის უბნის გზის ოსტატად მუშაობდა. იმ სახლში დავდიოდი ხოლმე და ისიც იქ ვნახე. ჯერ ერთი ციდა გოგო იყო, მთლად ბავშვი, მაგრამ სახესა და თვალებში უკვე საუკუნის დაძაბული აზრი და შეშფოთება ჰქონდა ჩაბუდებული. სახეზე და ტანზე, მის ქალწულებრივ კდემამოსილებასა და თამამ ტანკენარობაში დროების ყველა სატკივარი, ყველა ცრემლი და წყენა, ყველა მისწრაფება, მთელი მისი ბოღმა და სიამაყე იყო აღბეჭდილი. შეიძლებოდა საუკუნისათვის მსჯავრი მისი სახელით, მისი ბაგეებით გამოგეტანათ. დამეთანხმებით, რომ ეს უბრალო ამბავი არ არის. ერთგვარი მოწოდება, დანიშნულებაა. ეს მადლი ბუნებისაგან უნდა ჰქონოდა მინიჭებული, ამის უფლება უნდა ჰქონოდა.

– ჩინებულად ლაპარაკობთ. მეც იმ დროს ვნახე, სწორედ ისეთი, როგორც აღწერეთ. მასში გიმნაზიის მოწაფე და არაბავშვური საიდუმლოს მტვირთველი იყო გაერთიანებული. მისი ჩრდილიც კი კედელზე იმგვარად იყო განრთხმული, გაფაციცებული თვითდაცვის გრძნობა გამოსჭვიოდა. ასეთი ვნახე. ასეთი მახსოვს. თქვენ ეს საოცრად გამოხატეთ.

– ნახეთ და გახსოვთ? მერე საამისოდ რა გააკეთეთ?

– ეგ სულ სხვა საკითხია.

– აი, ხომ ხედავთ, მთელი ის მეცხრამეტე საუკუნე თავისი პარიზული რევოლუციებით, გერცენიდან მოკიდებული რუსული ემიგრაციის რამდენიმე თაობა, ყველა ჩაფიქრებული მეფეთმკვლელობა, აღსრულებული თუ განუხორციელებელი, მსოფლიოს მთელი მუშათა მოძრაობა, ევროპის პარლამენტებისა და უნივერსიტეტების მთელი მარქსიზმი, იდეების მთელი ახალი სისტემა, დასკვნათა სიახლე და სისწრაფე, დამცინაობა, სიბრალულის სახელით გამომუშავებული მთელი დამხმარე სისასტიკე, ყოველივე ეს შეისრუტა და განზოგადებულად გამოხატა ლენინმა, რათა ძველს, ყავლგასულს ჩადენილი ბოროტების სანაცვლოდ შურის საძიებლად თავს დასტყდომოდა.

მასთან ერთად წამოიზარდა წარმოუდგენლად უშველებელი სახე რუსეთისა, რომელიც მთელი მსოფლიოს თვალწინ უეცრად კაცობრიობის მთელი სიღატაკის და ტანჯვა-ვაების მომნანიებელ სანთლად აელვარდა. თუმცა ამას რისთვის გეუბნებით? თქვენთვის ხომ ეს ყველაფერი გაუგებარი წინწილის ხმაა, ცარიელი სიტყვებია.

ამ გოგონას გულისათვის ჩავირიცხე უნივერსიტეტში, მისთვის გავხდი მასწავლებელი და სამუშაოდ ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობ იურიატინში ჩამოვედი. ის უამრავი წიგნიც იმიტომ წავიკითხე და საჭირო ცოდნაც მისთვის შევიძინე, მას რომ გამოვდგომოდი და მხარში ამოვდგომოდი, თუ ჩემი დახმარება დასჭირდებოდა. ომშიც იმიტომ წავედი, ქორწინებიდან სამი წლის შემდეგ მისი გული ხელმეორედ რომ მომენადირებინა. მერე კი, ომის შემდეგ და ტყვეობიდან დაბრუნებისას ვისარგებლე იმით, რომ მოკლულად მთვლიდნენ და უცხო, გამონაგონი სახელით რევოლუციაში გადავეშვი, რათა ერთიანად გადამეხადა ყველაფრისათვის, რაც მან გადაიტანა, რათა მთლიანად წარმეხოცა ის სამწუხარო მოგონებები, რათა წარსული არასოდეს დაბრუნებულიყო, რათა ტვერელ-იამელებს ძველებურად აღარასოდეს ეგრიალათ. და ისინი, ცოლიც და შვილიც, სულ ახლოს, აქვე იყვნენ! წარმოიდგინეთ, რა ძალა დამჭირდა საიმისოდ, მათთან ყოფნის სურვილი, მათი ნახვის წყურვილი რომ დამეძლია, მაგრამ მანამდე ჩემი ცხოვრების საქმე ბოლომდე უნდა მიმეყვანა. ო, რას არ მივცემდი ახლა, რომ მათთვის თუნდაც ერთხელ დამეკრა თვალი! როცა ის ოთახში შემოდიოდა, თითქოს ფანჯარა იღებოდა, ოთახი შუქით და ჰაერით ივსებოდა.

– ვიცი, რა ძვირფასი იყო თქვენთვის. მაპატიეთ, მაგრამ თქვენ თუ წარმოგიდგენიათ როგორ უყვარდით?

– ბოდიში, რა თქვით?

– იმას გეუბნებით, თუ წარმოგიდგენიათ, რა ძვირფასი იყავით მისთვის, ქვეყნად თქვენისთანა არავინ ეგულებოდა – მეთქი. – საიდან მოიტანეთ?

– თვითონ მითხრა.

– თვითონ? თქვენ?

– დიახ.

– მაპატიეთ. მესმის, ამ თხოვნის შესრულება შეუძლებელია, მაგრამ თუ თავმდაბლობის ჩარჩოებში დასაშვებია, თუ შეგიძლიათ, ზუსტად გაიხსენეთ, გეთაყვა, სახელდობრ რა გითხრათ.

– სიამოვნებით. იშვიათი ადამიანიაო, მეუბნებოდა, მაგისი ბადალი მთელ დუნიაზე არ მინახავს, ისეთი ალალია, ვერავინ შეედრებაო. ასე ამბობდა, ქვეყნის კიდეზეც რომ აკიაფდეს ჩვენი ძველი სახლის ფანჯრების შუქი, მისი კარის ზღურბლამდე ხოხვით, მუხლისჩოქვით მივალო.

– ბოდიშს გიხდით, თუ ამას პირად საქმეებში უხეშ ჩარევად არ ჩამითვლით, გაიხსენეთ, როდის, რა ვითარებაში გითხრათ ეს ყველაფერი?

– ამ ოთახს ალაგებდა. მერე კი ხალიჩის დასაბერტყად გარეთ გავიდა.

– მაპატიეთ, რომლის? აქ ორი ხალიჩაა.

– დიდის.

– ამოდენა ხალიჩას მარტო ვერ მოერეოდა. თქვენც ეხმარებოდით? – დიახ.

– ხალიჩის თავ-ბოლო გეჭირათ აქეთ-იქიდან. ის ფერთხავდა. ხელებს მაღლა სწევდა, როგორც საქანელაზე, მერე ავარდნილ მტვერს პირს არიდებდა, თვალებს წკურავდა და ხარხარებდა, არა? ხომ მართალია? რა კარგად ვიცი მისი ხასიათი! მერე მძიმე ხალიჩა მოკეცეთ ჯერ ორად, მერე ოთხად, თან დროდადრო ერთმანეთს უახლოვდებოდით, ის კი იცინოდა და ნაირ-ნაირ ეშმაკობას იგონებდა. ხომ მართალია? ხომ მართალია?

თავ-თავიანთი ადგილებიდან წამოდგნენ, სხვადასხვა ფანჯარასთან მივიდნენ და სხვადასხვა მხარეს დაიწყეს ცქერა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ სტრელნიკოვი იური ანდრეევიჩს მიუახლოვდა. ხელებში ხელი ჩაავლო, გულთან მიიტანა და წეღანდელივით სხაპასხუპით ალაპარაკდა:

– მაპატიეთ, მესმის, რომ რაღაც ძვირფასს, სანუკვარს ვეხები. მაგრამ

თუ შეიძლება, ორიოდე კითხვას კიდევ დაგისვამთ. ოღონდ ნუ წახვალთ, მარტოს ნუ დამტოვებთ. მე თვითონ წავალ მალე. აბა დაფიქრდით, ექვსი წელია, რაც ერთმანეთს დავშორდით, წარმოუდგენელი მოთმინების ექვსი წელი. მაგრამ მეგონა, – ჯერ სრული თავისუფლება არ მომიპოვებია, აი, ჯერ მოვიპოვებ, გავითავისებ, მერე კი ხელ-ფეხი გამეხსნება, სულით თუ ხორცით მათი საკუთრება გავხდები-მეთქი. და აი, მთელი ჩემი ნაოცნებარი წყალში გადაიყარა. ხვალ შემიპყრობენ. თქვენ მისთვის ახლობელი, ძვირფასი ადამიანი ხართ. იქნებ როდისმე ნახოთ. თუმცა რასა გთხოვთ? ეს უგუნურებაა. ხელსა მტაცებენ და თავის მართლების საშუალებას არც კი მომცემენ. წივილ-კივილით მომცვივდებიან და ლანძღვა-გინებით პირში ბურთს ჩამჩრიან. განა ვისგანმე მესწავლება, ეს როგორ ხდება?

18

ბოლოს და ბოლოს გემრიელად გამოიძინებს. დიდი ხნის მერე პირველად იყო, როცა იური ანდრეევიჩმა ვერ შენიშნა, საწოლში ჩაწოლისთანავე როგორ ჩაეძინა. სტრელნიკოვი ღამის გასათევად მასთან დარჩა. იური ანდრეევიჩმა იგი მეზობელ ოთახში დააწვინა. იმ წამიერი გაელვებისას, როცა იური ანდრეევიჩს ეღვიძებოდა, რათა მეორე გვერდზე გადაბრუნებულიყო ან იატაკზე ჩაცურებული საბანი გაესწორებინა, თავისი ჯანმრთელი ძილის შვების მომგვრელ ძალას გრძნობდა და კვლავ ტკბილად იძინებდა. გამთენიისას ბავშვობის დროინდელი მოკლე-მოკლე სწრაფად ცვალებადი სიზმრები ნახა. თითოეული იმდენად ჭკვიანური და წვრილმანებით დახუნძლული იყო, სინამდვილისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა.

მაგალითად, დედამისის კედელზე დაკიდებული იტალიური ზღვის ყურის აკვარელი უეცრად ადგილს მოსწყდა, იატაკს დაენარცხა და იური ანდრეევიჩი დამსხვრეული შუშის ხმამ გამოაღვიძა. თვალები გაახილა.

არა ეს რაღაც სხვა რამ უნდა ყოფილიყო. ეტყობოდა, ანტიპოვი, ლარას ქმარი, პაველ პავლოვიჩი, გვარად სტრელნიკოვი, ვაკხის თქმისა არ იყოს, შუტმაში ისევ მგლებს აფრთხობდა. არა, რა სისულელეა. რა თქმა უნდა, კედლიდან სურათი ჩამოვარდა. აგერ, იატაკზე ჰყრია მისი ნამ-სხვრევები, – დაამტკიცა მან ძილ-ბურანში.

დიდხანს ეძინა და ბოლოს თავის ტკივილმა გააღვიძა. ერთბაშად ვერც კი გამოერკვა, ვინ იყო, სად იმყოფებოდა, ან იმ ქვეყანას რა ერქვა.

უეცრად გაახსენდა: „ჩემთან ხომ სტრელნიკოვი ათევს ღამეს, უკვე გვიანია. უნდა ჩავიცვა. ის ალბათ უკვე ადგა, თუ არა და გავაღვიძებ, ყა-ვას მოვადუღებ, ერთად დავლევთ".

– პაველ პავლოვიჩ!

არავინ უპასუხა. „ესე იგი, ისევ სძინავს. გულისძილშია". იური ან-დრეევიჩმა აუჩქარებლად ჩაიცვა და მეზობელ ოთახში გავიდა. მაგიდა-ზე სტრელნიკოვის სამხედრო ბოხოხი იდო, თვითონ კი სახლში არ ჩანდა. „ალბათ სეირნობს", – გაიფიქრა ექიმმა. „უქუდოდ გასულა. იწრთობა. ისე კი კარგი იქნებოდა, დღეს ვარიკინოსთვის ზურგი მექცია და ქალაქში წავსულიყავი. მაგრამ გვიანღაა. ისევ დამეძინა. ასეა ყოველ დილით".

იური ანდრეევიჩმა ღუმელში ცეცხლი დაანთო, ვედრო აიღო და წყლის მოსატანად ჭისკენ წავიდა. პარმაღიდან რამდენიმე ნაბიჯზე, გზა-ზე გარდიგარდმო ირიბად ეგდო ნამქერში პირქვე ჩამხობილი, თავისივე ტყვიით განგმირული პაველ პავლოვიჩი. მარცხენა საფეთქელთან სის-ხლის გუბეში გაწითლებული თოვლი დაგუნდავებულიყო, ირგვლივ და-წინწკლული სისხლის წვრილი წვეთები წითელ ბურთულებად ქცეულიყ-ვნენ და გათოშილი ცირცელის ნაყოფივით ციმციმებდნენ.

ნაწილი მეთხუთმეტე

დასასრული

1

ისღა დაგვრჩენია, დავასრულოთ იური ანდრეევიჩის სიკვდილისწინა რვა-ცხრა წლის ამბის თხრობა, როცა იგი სულ უფრო მეტად უძლურდებოდა, თანდათანობით ჰკარგავდა ექიმის ცოდნას, გაწაფულობას, უჩლუნგდებოდა სამწერლო ალღო. ზოგჯერ მცირე ხნით სძლევდა ხოლმე გულის დარდს და კაეშანს, აენთებოდა, სასოებით აღივსებოდა, მაგრამ მალევე უქრებოდა იმედის სხივი, უსასოობის მრუმე ზღვაში იძირებოდა, არც თავი ეხატებოდა გულზე და აღარც მთელი ქვეყნიერება. იმ წლებში კვლავ წინანდელი გულის ტკივილი მოეძალა, უფრო მწვავე და სულის შემხუთველი, მაგრამ წუთისოფელზე გულაყრილმა და ხელჩაქნეულმა არც კი იცოდა, თუ რა საფრთხე უდარაჯებდა.

მოსკოვში ნეპის, საბჭოთა პერიოდებიდან ყველაზე ყალბი და ორაზროვანი ხანის დასაწყისში ჩამოვიდა. გახდა, თმა-წვერი წამოეზარდა და იმაზე მეტად გაველურდა, პარტიზანთა ტყვეობიდან იურიატინში დაბრუნებისას რომ იყო. გზა-გზა კვლავ ძველებურად იხდიდა, თუ რაიმე ღირებული ეცვა, და ლუკმა-პურსა და ძველმანებში ცვლიდა, მთლად შიშველი რომ არ დარჩენილიყო. ასე შემოეჭამა გზაში მეორე ქურქი, ჟილეტი და მოსკოვის ქუჩებში ნაცრისფერი ბოხოხის, ფეხსახვევებისა და გაქუცული მაზარის ამარაღა გამოჩნდა, რომელსაც ყველა ღილი დაწყვეტილი ჰქონდა და ტუსაღის მოსასხამს უფრო წააგავდა. ამგვარი სამოსით იგი არაფრით განირჩეოდა დედაქალაქის მოედნებზე, ბულვარებსა და სადგურებში მოზღვავებული წითელარმიელებისაგან.

მოსკოვში მარტო არ ჩამოსულა. ფეხდაფეხ ერთი მასავით ჯარისკაცულად გამოწყობილი, მოხდენილი გლეხის ბიჭიც დასდევდა. ასე ჩამოძონძილ-ჩამოფლეთილები დაიარებოდნენ ორივენი სასწაულებრივად გადარჩენილ მოსკოვურ ფუნდუკებში, სადაც იური ანდრეევიჩის ბავშვობამ ჩაიარა, სადაც იგი ახსოვდათ და თანამგზავრთან ერთად იფა-

რებდნენ, ოღონდ ეგ იყო, წინასწარ თავაზიანად ეკითხებოდნენ, ნამგზავ-რებმა აბანოში თუ შეიარეთო, – მუცლის ტიფი ისევ მძვინვარებდა – და სადაც იური ანდრეევიჩს მისი გამოჩენის პირველივე დღეებში უამბეს, თუ მის ახლობლებს რა პირობებში მოუხდათ მოსკოვიდან საზღვარგა-რეთ გამგზავრება.

ხალხში გამოჩენას ორივენი ერიდებოდნენ. სირცხვილის გრძნობა ისე ჰქონდათ გამძაფრებული, ცალ-ცალკე სადმე სტუმრად წასვლას გაურ-ბოდნენ, როცა სიჩუმე შეუძლებელი იქნებოდა და იძულებულნი გახდე-ბოდნენ საუბრისათვის მხარი აებათ. ჩვეულებრივად, ნაცნობებს თავ-ყრილობებზე თავიანთი გაძვალტყავებული ტანით ორივენი ერთად აეს-ვეტებოდნენ ხოლმე, სადმე კუთხეში შეუმჩნევლად შეიყუჟებოდნენ, გვი-ანობამდე კუშტად ისხდნენ და მასლაათში არ ერეოდნენ.

თავის ახალგაზრდა ამხანაგთან ერთად გზად მიმავალი გამხდარი, აწოწილი, ულაზათოდ აჩაჩული ექიმი სიმართლის მძებნელ გლახაკსა ჰგავდა, მისი მუდმივი მხლებელი კი მორჩილ, ბრმად მინდობილ შეგირდს და მიმდევარს.

ეს ახალგაზრდა თანამგზავრი ვინღა იყო?

2

მოსკოვს მიტანებულმა იური ანდრეევიჩმა გზის უკანასკნელ მონაკ-ვეთზე მატარებლით იმგზავრა, მანამდე კი გაცილებით შორი მანძილი ფეხით გამოიარა.

შესახედავად ის სოფლები, გზად რომ შემოხვდა, იმათზე უკეთესად არ გამოიყურებოდნენ, ტყის ტყვეობიდან გამოქცევისას ციმბირსა და ურალში რომ იხილა. ოღონდ მაშინ ზამთარი იყო, ახლა კი ზაფხული იწურებოდა, თბილი, მშრალი შემოდგომა ახლოვდებოდა და ყველაფერი შეუდარებლად ადვილი იყო.

გამოვლილი სოფლების ნახევარი ცარიელი იყო, როგორც მტრის შემოსევის შემდეგ, მინდვრები კი – მიტოვებული. მოსავალიც აუღებელი დარჩენოდათ. ყველაფერს მართლაც ომის კვალი ეტყობოდა, სამოქალაქო ომის კვალი.

სექტემბრის ბოლოს ორი-სამი დღის განმავლობაში მისი გზა მდინარის გასწვრივ აღმართული ქარაფის პირებს მიუყვებოდა. იური ანდრეევიჩის საპირისპიროდ მომავალი მდინარე მარჯვნივ რჩებოდა, მარცხნივ კი, გზიდან მოკიდებული ღრუბლებით მოსილ ცისკიდურამდე უკიდეგანო მინდვრები იყო გადაჭიმული. დროდადრო მათ ფოთლოვანი ტყეები ენაცვლებოდათ, რომლებშიც მუხა, თელა და ნეკერჩხალი სჭარბობდა. ტყეები ღრმა ხევხუვებით გამორბოდნენ მდინარისაკენ და გზას ფლატეებით და ციცაბო დაღმართებით ჰკვეთდნენ.

სამკალში გადამწიფებული ჭვავის თავთავები მარცვალს ვეღარ იკავებდნენ და ძირს ეპნეოდათ. იური ანდრეევიჩი მარცვალს მუჭა-მუჭა იყრიდა პირში და გაჭირვებით ღეჭავდა. როცა ფაფის გაკეთების საშუალება არ გააჩნდა, ნიადაგ ასე იტანჯებოდა, მთელ-მთელ, ოდნავ დაღერღილ საკვებს კუჭი რის ვაი-ვაგლახით ინელებდა.

იური ანდრეევიჩს თავის დღეში არ ენახა ასე ავბედითად წაბლისფერი, მოყავისფრო, ძველი ბაჯაღლოსავით ჩამუქებული ჭვავი. ჩვეულებრივად, როცა დროულად მკიან, იგი გაცილებით ღია ფერისაა.

ამ უცეცხლოდ აბურბურებულ, საშველად უხმოდ აკივლებულ მინდვრებს გარს ცივი, მშვიდი არშიასავით ევლებოდა ვეებერთელა, ზამთრისაკენ პირშექცეული ზეცა, რომელზეც განუწყვეტლივ მიცურავდნენ უშველებელი, ფენა-ფენა, შავგულა და თეთრკუწუბიანი თოვლის ღრუბლები, როგორც სახეზე გადავლილი შავი ჩრდილები.

და ყველაფერი მოძრაობდა ნელა, თანაბრად. მიედინებოდა მდინარე. საპირისპიროდ მიემართებოდა გზა. მასზე ექიმი მიაბიჯებდა. იმავე მიმართულებით მიირწეოდნენ ღრუბლები. არც თუ მინდვრები იყვნენ უძრავად გაყურსულები. მათზეც რაღაც მიიხლახნებოდა, ისინიც ერთგვარ

იდუმალსა და ამაზრზენ ფუთფუთს შეეპყრო.

მინდვრებში მანამდე არნახული რაოდენობის აურაცხელი თაგვი მომრავლებულიყო. ისინი ექიმს სახეზე და ხელებზე აცოცდებოდნენ, შარვლის ტოტებსა და სახელოებში უძვრებოდნენ, როცა მინდორში უღამდებოდა და იძულებული იყო ღამის გასათევად სადმე ნაღარში ან მიჯნაზე მიწოლილიყო. მათი უზომოდ გამრავლებულ-გასუქებული ხროვა დღისით გზებსა და ბილიკებზეც დაშლიგინობდა და ფეხის დადგმისას მწივანა, გასიპულ ტლაპოდ იქცეოდა ხოლმე.

სოფლის საშიშარი, გატყიურებული ბომბორა ძაღლები ექიმს შორიახლო გუნდ-გუნდად მისდევდნენ, თან ცალი თვალით ერთმანეთს გაჰყურებდნენ, თითქოს თათბირობენ, როდის მივცვივდეთ და ნაფლეთებად ვაქციოთო. ისინი ლეშით იკვებებოდნენ, მაგრამ შიგადაშიგ არც თაგვის ხორცს იწუნებდნენ, რითაც მთელი მინდორი იყო მოდებული. შორიდან ექიმს უთვალთვალებდნენ, ერთთავად რაღაცას ელოდნენ და თავდაჯერებით ფეხდაფეხ მისდევდნენ. უცნაური იყო, მაგრამ ტყეში რატომღაც აღარ შედიოდნენ, მასთან მიახლოებისას ნელ-ნელა ფეხს ითრევდნენ, უკან ბრუნდებოდნენ და იკარგებოდნენ.

ტყე და მინდორი მაშინ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ. მინდვრები ადამიანის გარეშე ობლად გამოიყურებოდნენ, თითქოს უიმისოდ შეუჩვენებიათო. ადამიანისაგან თავდახსნილი ტყეები კი საპყრობილედან გამოშვებული ტუსაღებივით თავისუფლებით თავს იწონებდნენ.

ჩვეულებრივად, ადამიანები, ნამეტნავად კი სოფლელი ბიჭბუჭები, თხილს დამწიფებას არ აცდიან, ნაყოფი ჯერ კარგად არც კია გამოსახული და საცოდავ ხეებს წინდაწინ ტოტებს ალეწავენ. ახლა კი გორაკებისა და ხევხუვების ტყიანი ფერდობები ერთიანად ხელუხლებელი, დაკბილული ოქროსფერი, თითქოსდა შემოდგომის მზით გახეშეშებული და დამტვერილი ფოთლებით იყო დაფარული. იქიდან ლამაზად გამობურცუ-

ლი, კოხტა ბაფთებით გამოფსკვნილი, სამ-სამად და ოთხ-ოთხად შეტ-ყუპული, მწიფე, ბუდეებიდან გადმოსახტომად გამზადებული, მაგრამ რაღაც სასწაულით ჯერ კიდევ შიგ შერჩენილი თხილის მარცვლები იჭ-ვრიტებოდნენ. გზადაგზა იური ანდრეევიჩი მათ უსასრულოდ აკნაწუ-რებდა, ჯიბე-უბეებსაც იმით იტენიდა და გუდაშიც ბლომად იმარაგებდა. მთელი კვირის განმავლობაში მისი საზრდოც და სარჩოც უმთავრესად ეს თხილი გახლდათ.

ექიმს ეჩვენებოდა, რომ მინდვრები მძიმედ იყვნენ დაავადებულნი და სიცხიანებს აბოდებდათ, ტყე კი გაჯანსაღების გზაზე შემდგარიყო. ტყეში ღვთაების სუფევა იყო, მინდვრად კი ეშმა დაქირქილებდა.

3

სწორედ იმ დღეებში, გზის იმ ნაწილში ექიმი ერთ გადაბუგულ, მცხოვრებთაგან მიტოვებულ ნასოფლარში შევიდა. ხანძრამდე იგი ერთ რიგად, გზის ცალ მხარეს გაეშენებინათ, მდინარის გასწვრივ კი უშენი ადგილი იყო.

სოფელში დაწვას ორიოდე სახლიღა გადარჩენოდა, ისინიც გარედან გაშავებულ-შეტრუსულები იყვნენ. ძეხორციელი არც მათში ჭაჭანებდა. სხვა ქოხმახები ნახშირის გროვად ქცეულიყვნენ, საიდანაც შავად გაჭ-ვარტლული საკვამურებიღა ამოჩრილიყო.

მდინარის მხარეს ფლატეები ალაგ-ალაგ გადათხრილი იყო, ამ ადგი-ლებში აქაურებს ადრე ქვის სამტეხლოები ჰქონდათ, წისქვილის სადო-ლაბე ქვას იღებდნენ და იმით ცხოვრობდნენ. სამი დაუმუშავებელი დო-ლაბი ახლაც მიწაზე ეყარა სოფლის ბოლოში გადარჩენილი ერთი ქოხის შორიახლო. თუმცა დანარჩენი ქოხების მსგავსად ისიც ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული.

იური ანდრეევიჩი შიგ შევიდა. წყნარი საღამო იყო, მაგრამ როგორც კი ექიმმა შეაბიჯა, თითქოს ქარიც შეიყოლაო. იატაკზე მიმოფანტული

თივის ბუწები და ძენძი აბორიალდა, კედლებზე ქაღალდის ნაგლეჯები აფრიალდა, ქოხში ყველაფერი შეინძრა, შეიშმუშნა. აქეთ-იქით წრიპინით გაცვივდნენ თაგვები. მათი ნაკლებობა, როგორც ყველგან, არც აქ იგრძნობოდა.

ექიმი ქოხიდან გამოვიდა. მინდვრებს გადაღმა მზე ჩადიოდა, მდინარის მეორე ნაპირი, ცალკეული ბუჩქები და ყურეები, რომელთა მქრქალი ანარეკლის ელვარება წყლის შუაგულამდე აღწევდა, დაისის ოქროს დაფიონში იყო ჩაძირული. იური ანდრეევიჩმა გზა გადაჭრა და დასასვენებლად ერთ-ერთ დოლაბზე ჩამოჯდა.

ქარაფის პირიდან ჯერ ქერათმიანი თავი ამოიწვერა, მერე მას მხრები და ხელებიც ამოჰყვა. მდინარის მხრიდან ბილიკზე ვიღაც ამოდიოდა და წყლით სავსე ვედრო მოჰქონდა. მომავალმა ექიმი დაინახა და ქარაფიდან წელს ზევით ამოსვეტილი გაირინდა.

– თუ გინდა, წყალს დაგალევინებ, კეთილო კაცო, ხელს ნუ მახლებ და არც მე შეგაწუხებ.

– გმადლობთ. მომეცი, დავლევ. რაღას უდგეხარ, მომიახლოვდი. ნუ გეშინია, არაფერს გერჩი.

ქარაფიდან ამოსული წყლის მზიდავი ახალგაზრდა ბიჭი გამოდგა. ფეხშიშველი იყო, თმაგაბურძგნული და ტანისამოსშემოგლეჯილი.

თავისი გულითადი სიტყვების მიუხედავად ექიმს შეშფოთებული, გამჭოლი მზერა შეაგება. გამოუცნობი მიზეზის გამო ბიჭი უცნაურად ღელავდა. გულაჩქროლებულმა ვედრო მიწაზე დადგა, ექიმისაკენ გამოექანა, მერე რატომღაც შუა გზაზე შეჩერდა და წაიბურტყუნა:

– არა... არა... შეუძლებელია, ალბათ მეჩვენება. ბოდიშს გიხდით, ამხანაგო, ერთი კითხვა მაქვს, თუ შეიძლება. ვიფიქრე, მეცნობა-მეთქი... ხო! ხო! ძია ექიმი ხართ?!

– შენ თვითონ ვინ ხარ?

– ვერ მიცანით?

– ვერა.

– მოსკოვიდან ერთად ვიმგზავრეთ ეშელონით. ერთ ვაგონში ვიყავით. შრომით ბეგარაზე მივყავდი, ბადრაგით.

ვასია ბრიკინი გამოდგა. ექიმის წინ დაეცა, ხელებზე კოცნა დაუწყო და ატირდა.

ნახანძრალი ადგილი ვასიას მშობლიური სოფელი ვერეტენნიკი ყოფილიყო. დედა ცოცხალი აღარ ჰყოლოდა. სოფლის აკლებისას, როცა ირგვლივ ცეცხლი მძვინვარებდა, თურმე ვასია გამოქვაბულში, გამოღებული ქვის სამალავში იმალებოდა, დედამისს კი ეგონა, ქალაქში წაიყვანესო. ელდანაცემი ჭკუაზე შეირყა და სწორედ იმ მდინარე პელგაში დაიხრჩო თავი, რომლის ნაპირზეც ახლა ექიმი და ვასია ისხდნენ და მუსაიფობდნენ. ვასიას დები, ალიონკა და არიშკა, ეტყობა სხვა მაზრის საბავშვო სახლში იმყოფებოდნენ. ექიმმა ვასიაც მოსკოვში წამოიყვანა. გზაში მან იური ანდრეევიჩს ათასნაირი საშინელი რამ უამბო.

4

– რასაც უყურებთ, შარშანდელი ნათესებია, საშემოდგომო. ხომ ხედავთ, იპნევა მარცვალი. მაგისი დათესვა იყო და ერთიმეორეს მოჰყვა შემოსევები. უბედურება უბედურებას ემატებოდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ დეიდა პოლია გაემგზავრა. დეიდა პალაშა გახსოვთ? – არა. და არც არასოდეს ვიცნობდი. ვინ იყო?

– როგორ თუ არ იცნობდით?! პელაგია ნილოვნას! ჩვენთან ერთად მოდიოდა. ტიაგუნოვა იყო გვარად. ფართო სახე ჰქონდა, ტანსრული, თეთრი ქალი იყო.

– ისა, ერთთავად ნაწნავებს რომ იშლიდა და ისევ იწნავდა?

– ნაწნავებს, დიახ, ნაწნავებს! სწორედ ეგრე იყო, ნაწნავებს! – აჰ, გამახსენდა: მოიცა, მერე სადღაც ციმბირში ვნახე, რომელიღაც ქალაქში, ქუჩაში.

– რას მეუბნებით! დეიდა პალაშა?

– რა მოგივიდა, ვასია? მკლავებში რაღას ჩამაფრინდი? ემანდ არ მომამტვრიო თანაც რა ქალიშვილივით გაწითლდი.

– როგორ არის? ჩქარა მიამბე, ჩქარა!

– რა უშავდა, როცა ვნახე, არა უჭირდა რა. თქვენზე მიყვებოდა მგონი თქვენთან მდგარიყო თუ სტუმრად ყოფილიყო. თუმცა, შესაძლოა, ვიღაცაში შემეშალა.

– ეგრე იყო, ეგრე! ჩვენთანა, მაშა, ჩვენთანა! დედაჩემმა დასავით შეიყვარა. წყნარი ქალი იყო, საქმიანი. მერედა რა ოქროს ხელი ჰქონდა! სანამ ჩვენთან ცხოვრობდა, საქმე ალჩუზე გვქონდა. გააძევეს ვერეტენნიკიდან, იმდენი იქაქანეს, საშველი აღარ მისცეს.

ერთი ავყია კაცი ცხოვრობდა ჩვენს სოფელში, ხარლამა დამპალს ეძახდნენ. პოლიას აეტორღიალა ის უცხვირპირო მაბეზღარა. ქალმა კი ზედაც არ შეხედა. განაწყენებულმა ყბა დამადგა. ჩემზე და პოლიაზე ატარტალებდა ენასა. ქალსაც რა ექნა, ადგა და წავიდა. სისხლი გაუშრო და მა რას იზამდა! თუმცა მერე დაიწყო, რაც დაიწყო.

აქ ერთი საშინელი მკვლელობა მოხდა. ტყის ხუტორში, ბუისკის ახლო ერთი საწყალი ქვრივი დედაკაცი მოკლეს. მარტო ცხოვრობდა, ტყის პირასა. რეზინის ძირიანი კაცის ბათინკებით დადიოდა. ჯაჭვით მავთულზე გამობმული ავი ძაღლი ხუტორს გარშემო უვლიდა. დოღრიალას ეძახდნენ. ოჯახის საქმეს, მიწას ის ქალი თითონ უძღვებოდა, დამხმარეების გარეშე. იმ წელს ერთბაშად დაგვიზამთრდა. ადრე გათოვლდა. ქვრივმა კარტოფილის ამოღება ვეღარ მოასწრო. ვერეტენნიკში ჩამოვიდა, – მომეშველეთო, გვეუბნება, მოსავალი ამაღებინეთ და გინდათ წილს მოგცემთ, გინდათ ფულად გადაგიხდითო.

დავადე თავი და კარტოფილის ამოსაყრელად წავედი. ხუტორში მივედი და რას ვხედავ, ხარლამა უკვე იქაა დარჭობილი. ამაზე იმ ქალს სიტყვაც არ დაუძრავს. რაღას ვიზამდი, ამის გამოისობით ჩხუბს ხომ აღარ ავუტეხავდი. ერთად შევუდექით მუშაობას. კარტოფილს ავდარსა

და ძანძახში ვიღებდით. წვიმა და თოვლი, ტლაპო და ტალახი ერთმანეთში იყო არეული. ვიმუშავეთ, მაგრამ რა ვიმუშავეთ! კარტოფილი ხო ამოვყარეთ და ამოვყარეთ, ხმელი ღეროებიც შევაგროვეთ, ცეცხლი მოვუკიდეთ და სულ თბილი ბოლით გავაშრეთ. საქმეს რომ მოვრჩით, დიასახლისი პატიოსნად გაგვისწორდა. ხარლამა გაუშვა, მე კი თვალით მანიშნა, შენთან საქმე მაქვს, შემომიარე ან სულაც დარჩი, ნუღარ წახვალო.

იმჯერად წამოვედი და მერე მივედი. არ მინდაო, მითხრა, კარტოფილის ნამეტი სასურსათო გაწერაში ჩამომართვანო. კარგი ბიჭი ხარ, ვიცი, არ გამთქვამ, ხომ ხედავ, არ გიმალავ. თითონვე ამოვთხრიდი ორმოს ეზოში მაგის შესანახად, მაგრამ ვერ უყურებ, ეზოში რა ხდებაო?! გვიანღა მოვეგე გონს, – ზამთარმა მომისწრო. მარტო თავს ვერ მოვაბამ. ქენი სიკეთე, ორმო ამომითხარე და გულნაკლულს არ დაგტოვებ. გამოვაშროთ და კარტოფილი შევინახოთო.

ამოვთხარე ორმო, როგორც საიდუმლო საკუჭნაოს შეეფერება, დაბლა და დაბლა განივრად გამოვთხარე, ზევიდან კი დოქივით ვიზრო ყელი დავაყოლე. ის ორმოც ბოლით გავათბეთ და გამოვაშრეთ. გარშემო ქარბუქი ბუღრაობდა. რაც კარტოფილი იყო, ორმოში ჩავყარეთ და ზედ მიწა გადავაყარეთ. ეშმაკიც ვეღარ გაიგებდა იმის თავსა და ბოლოს. მე, რა თქმა უნდა, ორმოზე სიტყვაც არ დამცდენია არც ერთ სულიერთან. ასე გასინჯე, დედასთან და დებთანაც კი არაფერი წამომიყრანტალებია, აპაპა-პა!

აი, ასე იყო. ერთი თვის თავზე ხუტორი გაძარცვეს, ბუისკიდან მომავალ მგზავრებს ენახათ, სახლის კარები ყურთამდე ყოფილიყო ღია, იქაურობა პირწმინდად მოესუფთავებინათ, ქვრივის ჭაჭანებაც აღარ იყო. დოღრიალასაც ჯაჭვი გაეწყვიტა და სადღაც გადაკარგულიყო.

გავიდა ხანი. ზამთრის პირველივე დათბობისას, ახალი წლის წინა დღეებში, ბასილის ღამის დადგომამდე კოკისპირული წვიმები იყო. გორაკებიდან თოვლი ჩამოირეცხა და მიწა გამოჩნდა. უეცრად დოღრიალა

მოვარდა, ლილოჭრილოში სწორედ იმ ადგილს ეცა, საცა კარტოფილის ორმო იყო და თათებით თხრა დაუწყო. გაქექა, მიწა აქეთ-იქით მიყარ-მოყარა და ცოტა ხნის მერე იმ ორმოდან დიასახლისის რეზინის ძირგა-მოკრულ ფეხსაცმლიანი ფეხები არ გამოჩნდა?! ხედავ, რა ამბები ტრია-ლებს!

ვერეტენნიკში ის ქვრივი ყველას შეეცოდა, აღაპში ისე გამოიტირეს, ხარლამაზე არაფერი უფიქრიათ. ანკი რა უნდა ეფიქრათ? განა ადამიანი ეგეთ რამეს გულში გაივლებს? ის რომ ყოფილიყო, განა ვერეტენნიკში დარჩებოდა და ყველას თვალწინ იყელყელავებდა? თავპირისმტვრევით მოცოცხავდა და ახლომახლო მისი ბურდღაც არ იქნებოდა.

ხუტორში ჩადენილმა ბოროტებამ სოფლის კულაკი მოთავეები სიხა-რულით ააჭიკჭიკა. იმდენი ქნეს, სოფელში წყალი აამღვრიეს. ხედავთო, გაიძახოდნენ, ქალაქელები რაებს სჩადიანო? დაე, ეს ამბავი ჭკუის სას-წავლებელ გაკვეთილად დაგრჩეთო. სულ იმას ჩაგვჩიჩინებდნენ, პური არ დაგვიმალოთ, კარტოფილი არსად ჩაფლათო. იმათ, თქვე ბრიყვებო, ერთი რამე აქვთ აჩემებული, – ხუტორში ყაჩაღები, ტყის ყაჩაღები ელან-დებათო. რა ყეყეჩები ხართ! ეგრე ქენით, ეგრე, ყური უგდეთ და რასაც გეტყვიან, თავი უკანტურეთ, მერე რაც მოგვიდეთ, სუ თქვენ თავებს და-აბრალეთო. სუ თავბედს გაწყევლინებენ, შიმშილით სულს გაგაფრთხო-ბინებენ სოფლელებო, თუ თქვენი თავისთვის სიკეთე გინდათ, ჩვენ გა-მოგვყევით. ჭკუას დაგარიგებთ, გზაზე დაგაყენებთ. როცა მოვლენ და თქვენი ნაწვავ-ნადაგის, ნაოფლარის წართმევას დაგიპირებენ, ასე უთ-ხარით, ნამეტი ვინ მოგვაქვავა, ჭვავის მარცვალიც არ გაგვაჩნია-თქო. თუ რამე მოხდა, ორთითებს დაავლეთ ხელი. ვინც არ დაგვიჯერებს, თა-ვის თავს დააბრალოსო. ჰოდა, აყაყანდნენ ბერიკაცები, შეიქნა ერთი მი-წევ-მოწევა, სიტყვა ააქარეს და თავყრილობებიც გააჩაღეს. მუზმუზელა ხარლამასაც მეტი რა უნდოდა! სტუცა თავი და ქალაქში გავარდა. გაძ-ვრა-გამოძვრა, ასისინდა, ვერ უყურებთ, სოფელში რაები ხდება, თქვენ კი აქ გულ-ხელი დაგიკრეფიათ და არხეინად დაყუდებულხართო. არიქა,

ჩქარა ღარიბკომი გამოგვიგზავნეთ, მიბრძანეთ და თვალის დახამხამე-ბაში ძმას ძმას გადავკიდებო. თვითონ კი გუდა-ნაბადი აიკრა და ჩვენს არემარეზე მეტად აღარ გამოჩენილა.

დანარჩენი ყველაფერი თავისით მოხდა. არავის უხიმანდრია, არავის არაფერი დაუშავებია. ქალაქიდან წითელარმიელები გამოგზავნეს და საველე სასამართლოც მოაყოლეს, არც აციეს, არც აცხელეს, პირდაპირ მე მეტაკნენ. ხარლამა დამპალს დავებეზღებინე. ტყუილი და მართალი სულ ერთად წამომაკეცეს. გამოქცევაც გამიხსენეს, შრომითი ბეგარისა-გან თავის არიდებაც. სოფელში შფოთის ჩამოგდებაც და ქვრივის მოკ-ვლაც მე დამაბრალეს. ხელი მტაცეს და ოთხკედელშუა გამომამწყვდიეს. მადლობა უფალს, იატაკიდან ფიცრის აძრობა მოვიფიქრე, გავექეცი. მი-წის ქვეშ, გამოქვაბულში ვიმალებოდი. ჩემს თავზე სოფელი იწვოდა – არ დამინახავს, საწყალმა დედაჩემმა ყინულჭრილში დაიხრჩო თავი და არც ის ვიცოდი. ყველაფერი თავისით მოხდა. წითელარმიელები ცალკე ქოხში დააბინავეს, ღვინო ასვეს და უგრძნობლად გამოაბრუჟეს. ღამით ცეცხლისთვის ყური არ ეგდოთ, სახლს ცეცხლი მოსდებოდა, მერე სხვა სახლებზეც გადასულიყო. ჩვენიანებმა დროზე შეამჩნიეს და თავს უშვე-ლეს, მოსულები კი, რაღა თქმა უნდა, ერთიანად გამოიბუგნენ. სახლკარ-დამწვარი ვერეტენნიკელები თავიანთი დანაცრებული კერიებიდან არა-ვის გაუყრია. შეშინებულები თვითონვე მიმოიფანტნენ, ემანდ შარსა და ბოროტს არ გადავეყაროთო. ისევ ჭირის ამტეხმა მოთავეებმა წააქეზეს, – ყოველ მეათეს ხვრეტენ. აღარავინ დამხვდა, ვინც სად მოასწრო, იქით გადაიხვეწა და დაწანწალებენ ახლა სოფელ-ქვეყანაზე.

5

ექიმი და ვასია მოსკოვში ოცდაორი წლის გაზაფხულზე, ნეპის და-საწყისში ჩამოვიდნენ. თბილი, ნათელი დღეები იდგა. მაცხოვრის ტაძრის ოქროს გუმბათებზე არეკლილი მზის ათინათი თლილი ოთხკუთხა ქვით

მოკირწყლულ და ქვათა შორისებში ბალახით ამწვანებულ მოედანს დასთამაშებდა.

ყადაღა ახსნეს კერძო საქმიანობას, მკაცრ არტახებში იქნა დაშვებული თავისუფალი ვაჭრობაც. ძველმანების ბაზარში ხდებოდა გარიგებები მეძველმანეთა საქონელბრუნვის ფარგლებში. მათი ლილიპუტური ზომები ხელს უწყობდა სპეკულაციას და ხალხს ბოროტმოქმედებისაკენ უბიძგებდა. საქმოსანთა წვრილმანი ჩალიჩი ახალს არაფერს იძლეოდა, ქალაქის გაპარტახებას ნივთიერად არაფერს ჰმატებდა. ქონებას ათჯერ გაყიდულის ხელახალი გაყიდვით იხვეჭდნენ.

რამდენიმე საკმაოდ მწირი შინაური ბიბლიოთეკის პატრონები წიგნებს თავიანთი კარადებიდან სადმე ერთი ადგილისაკენ მიათრევდნენ. ქალაქის საბჭოში შეჰქონდათ განაცხადი წიგნით კოოპერაციული ვაჭრობის თაობაზე და საამისოდ შესაფერის შენობას ითხოვდნენ. იღებდნენ რევოლუციის პირველივე თვეებიდან გამოცარიელებულ ფეხსაცმლის საწყობს ან იმავე ხანებში გამოკეტილ მეყვავილეების ორანჟერეას და თავიანთ კინკილა, აქა-იქა წიგნებს მათ ვრცელ თაღებქვეშ ჰყიდდნენ.

მოსკოვში იური ანდრეევიჩმა თქვა:

– რაღაცას უნდა მოვკიდოთ ხელი, ვასია.

– მე სწავლა მინდა.

– ეგ თავისთვად იგულისხმება.

– თანაც ნატვრა მაქვს. თავს ძალა მინდა დავატანო და დედაჩემის სახე დავხატო.

– კეთილი და პატიოსანი, მაგრამ სამაგისოდ ხატვა უნდა იცოდე. გიცდია როდისმე?

– აპრაკსინოში, ბიძაჩემისგან მალულად ნახშირით ვმაიმუნობდი ხოლმე.

– რა მაქვს საწინააღმდეგო. ღმერთმა გისმინოს. ვცადოთ.

ხატვის დიდი ნიჭი ვასიას არ აღმოაჩნდა, მაგრამ გამოყენებითი დარგისათვის ის საშუალოც საკმარისი იყო. იური ანდრეევიჩმა ნაცნობობით

მოაწყო იგი ყოფილი სტროგანოვის სასწავლებლის ზოგადსაგანმანათლებლო განყოფილებაზე, საიდანაც პოლიგრაფიის ფაკულტეტზე გადაიყვანეს. აქ შეისწავლა ლითოგრაფიული ტექნიკა, ტიპოგრაფიული და საამკინძაო საქმე, წიგნის მხატვრული გაფორმების ხელოვნება. ექიმი და ვასია მხარდამხარ შრომობდნენ. ექიმი პატარ-კატარა წიგნებს წერდა, რომლებშიც ნაირ-ნაირ, ერთმანეთისაგან დაშორიშორებულ საკითხებს თითო გვერდი ეთმობოდა, ხოლო ვასია მათ ჩასათვლელი საგამოცდო სამუშაოების სახით ბეჭდავდა. თითებზე ჩამოსათვლელ ცალებად გამოცემულ ამგვარ წიგნებს თავიანთივე ნაცნობების ახლად გახსნილ ბუკინისტურ მაღაზიებში ავრცელებდნენ.

წიგნებში გადმოცემული იყო იური ანდრეევიჩის ფილოსოფია, მისი სამედიცინო შეხედულებანი, ჯანმრთელობის და ავადმყოფობის მისეული განსაზღვრებანი, მოსაზრებანი ტრანსფორმიზმსა და ევოლუციაზე, პიროვნებაზე, ვითარცა ორგანიზმის ბიოლოგიურ საფუძველზე, ბიძამისის და სიმას შეხედულებებთან მიახლოებული იური ანდრეევიჩის აზრები ისტორიისა და რელიგიის თაობაზე, ნარკვევები პუგაჩოვისეულ ადგილებზე, სადაც ექიმს მოუხდა ყოფნა, იური ანდრეევიჩის ლექსები და მოთხრობები.

– ნაშრომების დედააზრი ხელმისაწვდომად, სასაუბრო ფორმით იყო გადმოცემული, თუმცა მეტისმეტად სცილდებოდა სხვისი აზრების გამავრცელებელთა მიზნებს, რადგან ისინი საკამათო, თვითნებური, არასაკმაოდ შემოწმებული, მაგრამ ყოველთვის ცოცხალი და თავისთავადი აზრებით იყვნენ გაჯერებულნი. წიგნებს იტაცებდნენ, მოყვარულები მათ სათანადოდ აფასებდნენ.

იმ ხანებში ყველაფერი ხელობად იქცა, ასე გასინჯეთ, მელექსეობაც და მხატვრული თარგმანის ხელოვნებაც. ყველაფერზე თეორიულ გამოკვლევებს წერდნენ, ყველაფრისათვის ინსტიტუტებს ქმნიდნენ. გაჩნდნენ სხვადასხვა სახის აზრთა სასახლეები, მხატვრული იდეების აკადემიები. ამ გაფუყულ დაწესებულებათა ნახევარში იური ანდრეევიჩი შტატიან

ექიმად ირიცხებოდა.

ექიმი და ვასია დიდხანს მეგობრობდნენ და ერთად ცხოვრობდნენ. ამ ხნის განმავლობაში მათ ერთიმეორის მიყოლებით საცხოვრებლად სხვადასხვანაირად უვარგისი და მოუხერხებელი უამრავი ოთახი და ნახევრად დანგრეული კუთხე გამოიცვალეს.

მოსკოვში ჩამოსვლისთანავე იური ანდრეევიჩმა სივცევში შეიარა და ძველი სახლი ინახულა, რომელშიც, როგორც შეიტყო, მოსკოვში გავლით მყოფი მისი ახლობლები აღარ სახლობდნენ. მათ გასახლებას ყველაფერი თავდაყირა დაეყენებინა. ექიმზე და მის ოჯახზე დამტკიცებულ ოთახებში სხვები ჩაესახლებინათ, მათი ნივთებიდან კი კვალიც აღარ დარჩენილიყო. იური ანდრეევიჩს, როგორც სახიფათო ნაცნობს, ყველა გაურბოდა.

აი, მარკელის საქმე კი წაღმა წასულიყო. იგი სივცევში აღარ ცხოვრობდა. ფქვილის დასახლებაში კომენდანტად გადასულიყო. სამსახურებრივი მდგომარეობის შესაბამისად, მისი ოჯახისათვის მმართველის ბინა გამოეყოთ, მან კი თურმე მეეზოვის მიწის იატაკიან, ერთადერთ ონკანიან, უზარმაზარ რუსულ ღუმელიან ბინაში არჩია ცხოვრება. ზამთარში ყველა კორპუსში წყალსადენის და გათბობის მილები დასკდა, მეეზოვის ბინას კი არც წყალი დაჰკლებია და არც სითბო.

ამასობაში ექიმსა და ვასიას შორის შავმა კატამ გაირბინა. ვასია უჩვეულოდ გამოიქეცა, მისი ფიქრი და საუბარი ახლა ისე განსხვავდებოდა მდინარე პელგის პირას, სოფელ ვერეტენნიკში გაზრდილი ფეხშიშველა და თმაგაბურძგნული ტლუ ბიჭის ფიქრისა და საუბრისაგან, როგორც ცა და დედამიწა. მას სულ უფრო მეტად იზიდავდა რევოლუციის მიერ გამოცხადებულ ჭეშმარიტებათა სიცხადე და შეუვალობა. ექიმის არცთუ იოლად გასაგები, ხატოვანი მეტყველება მას იმთავითვე დაგმობილი, თავისი სისუსტის მაღიარებელი და, ამიტომაც, მიკიბულ-მოკიბული სიყალბის გამოძახილად ეჩვენებოდა.

ექიმი სხვადასხვა უწყებაში დაიარებოდა. ორი საკითხი აწუხებდა და

მათ მოსაგვარებლად ცოდვილობდა: თავისი ოჯახის პოლიტიკური გამართლება, სამშობლოში მისი ჩამოსვლის დაკანონება და თავისთვის საზღვარგარეთული პასპორტის აღება, ცოლისა და ბავშვების ჩამოსაყვანად პარიზში წასვლის ნებართვის მიღება.

მთელი ეს გაწამაწია ვასიას ერთობ გულცივად, დუნედ ეჩვენებოდა და გაოცებული იყო. იური ანდრეევიჩი მეტისმეტად ნაჩქარევად და ნაადრევად თვლიდა განწირულად თავის ფაციფუცს, მეტისმეტად თავდაჯერებით და კმაყოფილებითაც კი აცხადებდა შემდგომი ცდების ამაოებას და უნაყოფობას.

ვასია სულ უფრო ხშირად ამტყუნებდა ექიმს. მისი სამართლიანი გაკიცხვა იური ანდრეევიჩს არ სწყინდა, მაგრამ ვასიასთან მისი ურთიერთობა მაინც დღითიდღე უარესდებოდა. ბოლოს ერთიმეორეს ზურგი აქციეს და თავ-თავიანთი გზები მონახეს. ექიმმა ვასიას დაუტოვა ოთახი, რომელშიც მასთან ერთად ცხოვრობდა, და ფქვილის დასახლებაში გადასახლდა, სადაც ყოვლისშემძლე მარკელმა სვენტიცკების ნაქონი ბინის ერთ კუნჭულში შესახლება მოუხერხა. ბინის ამ განაპირა ნაწილში შედიოდა: სვენტიცკების ძველი, ან უკვე უმოქმედო სააბაზანე, მის გვერდით მდებარე ცალფანჯრიანი ოთახი, დაფერდებული სამზარეულო და სანახევროდ ჩამოქცეული, დაწეული კუტი კარი. იური ანდრეევიჩი გადმოვიდა აქ, ექიმობაზე ხელი აიღო, ფეთხუმური ცხოვრება დაიწყო, ნაცნობებს ჩამოშორდა და გაჭირვებაში ჩაეფლო.

6

ზამთრის ნაცრისფერი კვირადღე იყო. ღუმელების კვამლი სახურავებზე სვეტებად კი არ ადიოდა, სარკმელებიდან შავად ხრჩოლავდა.

თუმცა თავიდან ბევრი უშალეს, მობინადრენი ჯაჯღანსა და მუქარას მაინც არ შეეპუვნენ და რკინის დროებითი ღუმელების მილებს ხან ერთ ფანჯარაში აყოფინებდნენ თავს და ხან მეორეში. საქალაქო ცხოვრება

ვერა და ვერ ჩადგა კალაპოტში. ფქვილის დასახლების მცხოვრებნი პირდაუბანელი თხუპნიებივით დადიოდნენ, ფურუნკულოზით იტანჯებოდნენ, ითოშებოდნენ და ცივდებოდნენ.

კვირადღე იყო და მარკელ შჩაპოვის მთელი ოჯახი ისვენებდა. შჩაპოვები სწორედ იმ მაგიდაზე სადილობდნენ, რომელზეც ადრე, პურის საბარათო ნორმებით გაცემისას, დილაუთენია მთელი სახლის მცხოვრებთა პურის კუპონებს მაკრატლით წვრილ-წვრილად ჭრიდნენ, ახარისხებდნენ, თვლიდნენ, კატეგორიების მიხედვით ჰკრავდნენ ან ქაღალდში ახვევდნენ და პურის მაღაზიაში მიჰქონდათ. მერე იქიდან დაბრუნების შემდეგ აქუცმაცებდნენ, ჭრიდნენ, ანამცეცებდნენ და უბნის მცხოვრებთა ულუფებად წონიდნენ. ახლა ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა. სასურსათო რეგისტრაცია აღრიცხვიანობის სხვა ფორმამ შეცვალა. გრძელ მაგიდაზე ახლა მადიანად ილუკმებოდნენ, ისე, რომ ყურებთან ძვლები უტკაცუნებდათ, იღეჭებოდნენ და ენებს აწკლაპუნებდნენ. ოთახის ნახევარი შუაგულში აღმართულ ფართო რუსულ ღუმელს ეჭირა, რომლის კიდეზე ბალახანიდან ჩამოშვებული დალიანდაგებული საბანი მოჩანდა.

შესასვლელთან, ონკანის თავზე, წინა კედელში ჩატანებული მოქმედი წყალგაყვანილობის მილი იყო გამოჩრილი. ოთახის გვერდითი კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ მერხებქვეშ ხაბაკხუბაკით გამოტენილი ტომრები და ზანდუკები იყო მიხორხლილი. მარცხენა მხარეს სამზარეულო მაგიდა იდგა, მის ზემოთ, კედელზე კი ჭურჭლის თარო მიეჭედებინათ.

ღუმელი გახურებული იყო. ოთახში ცხელოდა. ღუმელის წინ იდაყვებამდე სახელოებდაკაპიწებული მარკელის ცოლი აღათი ტიხონოვნა იდგა და გრძელი სატაცით ღუმელში ღრმად შედგმულ ქოთნებს ცეცხლს უფიცხებდა, ხან ერთმანეთზე მიჯრით აწყობდა, ხან კი უფრო ხალვათად ალაგებდა. გაოფლილი სახე ხან ღუმელის მხურვალე ალმურით უბრწყინდებოდა, ხანაც ათუხთუხებული შეჭამანდის ბუღით ებინდებოდა.

ანაზდად ქოთნები გვერდზე გასწია, რკინის ფურცელზე დაკრული ღვეზელი გამოიღო, ხელის ერთი გაქნევით გადააბრუნა, ზევითა პირი ქვევით მოუქცია და შესაბრაწავად უკანვე შეაბრუნა. ოთახში იური ანდრეევიჩი შემოვიდა, ხელში ორი ცარიელი ვედრო ეჭირა.

– მოგესალმებით.

– გთხოვთ მოწყალებას, დაჯექი, გვეწვიე.

– გმადლობთ, – ვისადილე.

– ვიცით, რასაც ისადილებდი. ისა სჯობია, დაჯდე და ჭამო ცხელი კერძი. რას იპრანჭები. შემწვარი კარტოფილი გვაქვს და ფაფიანი ღვეზელი – არა, მართლა ვისადილე, გმადლობთ. მაპატიე, მარკელ, ხშირად რომ შემოვდივარ, ბინას გიციებ. ერთბაშად მინდა წყალი დავიგროვო. სვენტიცკების ნაქონი მოთუთიებული აბაზანა გავაკრიალე. იმას გავავსებ. ავზებშიც ჩავასხამ. ხუთჯერ თუ ათჯერ კიდევ შემოვალ, მერე კი დიდხანს აღარ შეგაწუხებთ. მაპატიე, გეთაყვა, რომ დავდივარ. სხვა არავინ მყავს შენს გარდა.

– წაიღე, არ მენანება. სიროფი არ მომთხოვო, თორემ წყალი რამდენიც გინდოდეს, იმდენი წაიღე. მუქთად გაძლევ, ხომ არ გევაჭრები. მაგიდასთან გადაიხარხარეს.

იური ანდრეევიჩი მეხუთე და მეექვსე ვედროს წასაღებად მესამედ რომ შევიდა, მასპინძელმა კილო შეიცვალა და სხვანაირად ალაპარაკდა.

– სიძეები მეკითხებიან, ეგ რა ჩიტიაო. ვეუბნები, – არ მიჯერებენ. აიღე წყალი, რაღას იშმუშნები. ოღონდ იატაკი არ დამისველო, იცოდე. ვერ უყურებ, შემოსასვლელი როგორ მომიწკუმპლე? გაიყინება და შენ კი არ დამიმტვრევ ყინულს ძალაყინითა! კარები კარგად გაიხურე, შე ბოთე, შენა, – ეზოდან სიცივე შემოდის. ხო, სიძეებს ვეუბნები, ვინცა ხარ, მაგრამ არ მიჯერებენ. რამდენი ფული დაგახარჯეს! შენი დღე და მოსწრება სწავლობდი, თვალებს ითეთრებდი, მაგრამ ბოლოს ხელში რა შეგრჩა, ეგეც მითხარი.

მეხუთე თუ მეექვსე შესვლაზე მარკელი აილურსა.

– ერთხელ კიდევ შემო და მერე კი ბასტა! ნამუსი უნდა გქონდეს, – ძმაო. შენ აქ ეს მარინა გიცავს, ჩვენი ნაბოლარა, თორემ გნახავდი, რა ვაჟბატონიცა ბრძანდები. ცხვირსაც არ შემოგაყოფინებდი. გახსოვს მარინა? აგე, ის არი, მაგიდის ბოლოს, შავყვავილა. ამას არ უყურებ, როგორ ჭარხალივით გახდა. არაო, მამილოო, მეუბნება, არ აწყინოთო, ხელი დამიდია რო?! ჩემი მარინა მთავარ ტელეგრაფში მუშაობს, უცხო ენები სუ ზეპირად იცის. უბედური კაციაო, შენზე ამბობს. ახლა რო ვუთხრა, შენთვის ცეცხლში შევარდება, ისე ეცოდები. მე რა! ჩემი ბრალი ხო არ არის, შენ რო უვარგისი გამოდექი. არ უნდა მოგესვა ბაყაყური ციმბირისაკენ, იმ არეულ დროში სახლი არ უნდა მიგეტოვებინა. თქვენი ბრალია, აი, ჩვენ მთელი ის შიმშილი და თეთრი ბლუკატა აქ ვისხედით, ფეხი არ მოგვიცვლია და არც არაფერი დაგვმართნია. შენ თავს დააბრალე. ვერ გაუფრთხილდი ტონკას და ახლა ისიც სხვათა მიწაზე დაწანწალობს. მე რა, შენი სადარდებელია. არ გეწყინოს და იმასაც გკითხავ, ეს ამოდენა წყალი სად მიგაქვს? მთელ ეზოში ყინულის საცურაოს გასაკეთებლად ხო არ დაგიქირავეს? ეე, რა უნდა გითხრას კაცმა, შე ქათმის გაგდებულო, შენა.

მაგიდასთან ისევ გადაიხარხარეს. მარინამ უკმაყოფილოდ შეუბღვირა თავისიანებს, ვეღარ მოითმინა, იფეთქა და რაღაცა შეუბუხუნა. იური ანდრეევიჩმა გაიგო მისი ხმა, გაუკვირდა კიდეც, მაგრამ მის საიდუმლოში ჯერაც ვერ გარკვეულიყო.

– ბევრი რამე მაქვს სახლში დასარეცხი, მარკელ. უნდა დავალაგო. იატაკიც საშინელ დღეშია. რაღაც-რაღაცეებიც უნდა გავრეცხო. მაგიდასთან მსხდომებმა მხრები აიჩეჩეს.

– არცა გრცხვენია, მაგას რო ამბობ, გაკეთებას ვიღა ჩივის. ჩინური სამრეცხაო გაგიხსნია და ეგ არი, რაღა!

– თუ ნებას მომცემთ, გოგოს გამოგიგზავნით, იური ანდრეევიჩ. მოვა, გაგირეცხავთ, დაგიგვით. თუ რამე გინდათ, ხელს წაგახმარებთ. ნუ გეშინია, შვილო, ხომ ხედავ, რა კაცია, სხვას კი არა ჰგავს, ჭიანჭველას ფეხს

არ დაადგამს.

– არა, რას ბრძანებთ, აღათი ტიხონოვნა, საჭირო არ არის მაგას როგორ გკადრებთ, ჩემი გულისთვის მარინა რატომ უნდა გაისვაროს. რა შავი მუშა ეგა მყავს. თავად მივხედავ ჩემს საქმეებს.

– თქვენ თუ შეგიძლიათ გაითხუპნოთ, მე რაღა მომსვლია? რა უთქმელი ხართ, იური ანდრეევიჩ. რატომ უკადრისობთ? სტუმრად რომ გეწვიოთ, ნუთუ გამომაგდებთ?

მარინასაგან შეიძლებოდა მომღერალი გამოსულიყო. მაღალი, სუფთა, ძლიერი ხმა ჰქონდა. ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ საუბრის კვალობაზე ერთობ ძლიერი ხმა ჰქონდა, რომელიც მას სულ არ შეეფერებოდა და სრულიად განცალკევებით ჟღერდა, თითქო ის ხმა მის უკნიდან, მეორე ოთახიდან ისმოდა. ეს ხმა მისი ბჭე, მისი მფარველი ანგელოზი იყო. ასეთი ხმის პატრონი ქალის წყენა და შეურაცხყოფა ადვილი საქმე როდი გახლდათ.

ექიმისა და მარინას მეგობრობაც სწორედ იმ საკვირაო წყლის ზიდვისას ჩაისახა. ქალი ხშირად დადიოდა მასთან საოჯახო საქმეებში მისახმარებლად. ერთხელ სულაც დარჩა და მას მერე მეეზოვის კერაზე აღარც დაბრუნებულა. ასე გადაიქცა იგი იური ანდრეევიჩის ჯვარდაუწერელ მესამე ცოლად, ისე, რომ იგი ჯერ პირველსაც კი არ გაჰყროდა. მალე ბავშვებიც შეეძინათ. ცოლ-ქმარი შჩაპოვები თავიანთ ქალიშვილს თავმოწონებით ექიმის მეუღლეს ეძახდნენ. მარკელი ბუზღუნებდა, მარინაზე ჯვარს რატომ არ იწერს, ხელს რად არ აწერენო.

– ხომ არ გადაირიე? – სიტყვას უბრუნებდა ცოლი, – ანტონინა ხომ ცოცხალია და რა გამოვა? ორცოლიანობა? – შენ თვითონა ხარ სულელი, – ჰპასუხობდა მარკელი, – ტონკა რაღაში გვენაღვლება. ჩათვალე, რო ის ცოცხლებში აღარ ურევია. იმას აღარც ერთი კანონი აღარ დაიცავს.

იური ანდრეევიჩი ზოგჯერ ხუმრობით იტყოდა ხოლმე, ოცთავიანი ან ოცწერილიანი რომანებისა არ იყოს, ჩვენი დაახლოებაც ოცვედროიანი რომანი იყოო.

მარინა უდრტვინველად იტანდა ექიმის უცნაურ, იმხანად აკვიატებულ ახირებულობას, იმ ადამიანის ხუშტურებს, ყველაფრისაგან რომ განიძარცვა, შეიცნო თავისი დაცემა და განადგურება, იტანდა სიბინძურეს და უწესრიგობას, ითმენდა ჯუჯღუნს, უხეშობას, ფხუკიანობას. ქალის თავგანწირვა უფრო შორს მიდიოდა. როცა ექიმის უგერგილობით ცვივდებოდნენ მის მიერვე შექმნილ სიდუხჭირეში, ამ შუალედებში იგი მარტო რომ არ დარჩენილიყო, მარინა მიატოვებდა ხოლმე სამსახურს, სადაც ეგრერიგად აფასებდნენ და სიამოვნებით იღებდნენ უკან ამ იძულებითი შესვენების შემდეგ. ქალი ემორჩილებოდა იური ანდრეევიჩის ფანტაზიას და მასთან ერთად კარდაკარ დაიარებოდა საშოვარზე. ორივენი ნარდად უხერხავდნენ შეშას სხვადასხვა სართულზე მცხოვრებ მდგმურებს. ზოგიერთებმა, განსაკუთრებით ნეპის დასაწყისში გამდიდრებულმა სპეკულანტებმა, მთავრობასთან ახლო მდგომმა მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებმა საკმაოდ მოიკეთეს და თავიანთ სასარგებლოდ მდგომარეობის გამოყენებას მიჰყვეს ხელი. ერთხელ მარინა და იური ანდრეევიჩი ფეხაკრეფით დააბიჯებდნენ ერთი მოსახლის ხალიჩაზე, თავიანთი ნაბდის ჩექმებით ქუჩიდან ნახერხი რომ არ შეეტანათ, და ბინის პატრონის კაბინეტში შეშას ეხიდებოდნენ. ის კი არხეინად გათხლაშულიყო სავარძელში, კითხვაში ჩაფლულიყო და მხერხავებს შეხედვის ღირსადაც კი არ თვლიდა. ორივეს დიასახლისი გაურიგდა, საჭირო მითითებები მისცა და ანგარიშიც მანვე გაუსწორა.

„ნეტა ეს ღორი ასე თავაუღებლივ რას მისციებია?"– ცნობისწადილი მოეძალა ექიმს. – „ან ფანქრით ასე გაცხარებით რას ინიშნავს?"– ათაკრული შეშით საწერ მაგიდას რომ ჩაუარა, მკითხველის ზურგს უკნიდან დაბლა დახედა. მაგიდაზე ვასიას მიერ ვხუტემასოვის გამომცემლობაში ადრე გამოცემული იური ანდრეევიჩის ფარატინა წიგნები ეწყო.

7

მარინა ექიმთან ერთად სპირიდონოვკაზე ცხოვრობდა. გორდონმაც ოთახი იქვე ახლო, მალაია ბრონნაიაზე იქირავა. მარინას და ექიმს ორი გოგონა ჰყავდათ, კაპა და კლავა. კაპიტოლინა, კაპელკა მეშვიდე წელში იყო გადამდგარი, პაწია კლავდიას კი ის-ის იყო ექვსი თვე შეუსრულდა.

ათას ცხრაას ოცდაცხრა წლის ზაფხულის დასაწყისში ჩამოცხა. ნაცნობ-მეგობრები ორი-სამი ქუჩის იქით ერთმანეთთან სტუმრად უქუდოდ და უპიჯაკოდ გადარბოდნენ.

გორდონის ოთახი უცნაურად იყო მოწყობილი. მის ადგილზე ოდესღაც ორგანყოფილებიანი მოდური სამკერვალო იყო მოთავსებული. ზედა და ქვედა ნაწილები ქუჩის მხრიდან მთლიან სარკეებიან ვიტრინას ეჭირა, ვიტრინის მინაზე ოქროსფრად იყო ამოტვიფრული მკერავის გვარი და მოსაქმეობა. უკანა მხრიდან კი ქვედა განყოფილებიდან ზევით ხვეული კიბე ადიოდა.

შენობა ახლა სამ ნაწილად ექციათ.

სახელოსნოში იარუსებს შორის ანტრესოლი იყო გამოყვანილი საცხოვრებელი ოთახისათვის ერთობ უჩვეულო ფანჯრით. იგი სიმაღლით ერთი მეტრი იქნებოდა და იატაკის დონეზე მდებარეობდა. ფანჯარას ოქროს ასოების ნარჩენები ჰფარავდა. მათ შუალედებში ოთახში მყოფთა ფეხები მოჩანდა მუხლებამდე. ოთახში გორდონი ცხოვრობდა. მასთან ისხდნენ ჟივაგო, დუდოროვი და მარინა თავისი ბავშვებით. უფროსებისგან განსხვავებით ბავშვები ფანჯრის ჩარჩოში თავით ფეხებამდე თავსდებოდნენ. მალე მარინამ პატარები წაიყვანა და წავიდა. სამი მამაკაცი მარტო დარჩა.

ისხდნენ და საუბრობდნენ ხამუშ-ხამუშად, ზანტად და აუჩქარებლად, სწორედ ისე, ზაფხულს რომ შეშვენის და სკოლის ამხანაგებს რომ შეეფერებათ, რომელთა მეგობრობის წლებს თვლა არა აქვთ. როგორ წარიმართება ხოლმე ამგვარი საუბრები?

რომელიმე მათგანს უთუოდ სიტყვის სათანადო მარაგი გააჩნია. იგი ბუნებრივად და დალაგებულად ლაპარაკობს. ასეთი მხოლოდ იური ანდრეევიჩი იყო.

მის მეგობრებს კი საჭირო გამოთქმები არ ჰყოფნიდათ. საუბრის ნიჭი მათ არ გააჩნდათ. თავიანთი მწირი სიტყვის მარაგის ასანაზღაურებლად ოთახში ბოლთასა სცემდნენ, პაპიროსს ექაჩებოდნენ, ხელებს იქნევდნენ და ერთსა და იგივეს იმეორებდნენ („ეს უსინდისობაა, ძმაო, სწორედ რომ უსინდისობა, დიახ, დიახ, უსინდისობა”).

ვერც კი ხვდებოდნენ, რომ მათი ურთიერთობის ზედმეტი დრამატიზმი გულითადობის და დიდბუნებოვნების ნიშანი კი არა, არასრულყოფილების, ხარვეზის დასტური იყო.

გორდონი და დუდოროვი კარგ საპროფესორო წრეში ტრიალებდნენ, ცხოვრებას კარგი წიგნების, კარგი მოაზროვნეების, კარგი კომპოზიტორების, კარგი, გუშინდელი თუ დღევანდელი, ოღონდ კარგი და მარტოოდენ კარგი მუსიკის გარემოცვაში ატარებდნენ და არ იცოდნენ, რომ საშუალო გემოვნების უბედურება უგემოვნობის უბედურებაზე უარესია, გორდონმა და დუდოროვმა არ იცოდნენ, რომ ის საყვედურებიც კი, რომლებითაც ჟივაგოს ეგრერიგად ამკობდნენ, მეგობრის ერთგულებით და მასზე ზემოქმედების სურვილით კი არა, მარტოოდენ თავისუფალი აზროვნებისა და საკუთარი ნებით საუბრის წარმართვის უუნარობით იყო გამოწვეული. გაქანებული საუბრის ეტლი იქით მიჰქროდა, საითაც იმათ სულ არ უნდოდათ. იმისი მართვა არასდიდებით აღარ შეეძლოთ, ბოლოს და ბოლოს რაღაცას უნდა გადასწყდომოდნენ და თავიანთი ქადაგებით თუ დარიგებებით მთელი ძალით ასკდებოდნენ იური ანდრეევიჩს.

მისთვის კი ძირისძირობამდე ნათელი იყო მათი პათოსის ზამბარები, მათი თანაგრძნობის უსუსურობა, მათი მსჯელობის ავანჩავანი, მაგრამ ხომ ვერ ეტყოდა: „ძვირფასო მეგობრებო, ო, რა უიმედოდ უღიმღამონი ხართ თქვენც, ის წრეც, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, იმ თქვენი საყ-

ვარელი სახელების და ავტორიტეტების ბრწყინვალებაც და ხელოვნებაც. თქვენში ერთადერთი ცოცხალი და ნათელი რამ ის არის, რომ ჩემთან ერთად ერთსა და იმავე დროში ცხოვრობდით და მე მიცნობდით". მაგრამ რა იქნებოდა, მეგობრებს ამგვარ რამეში რომ გამოსტყდომოდა! და ისინი რომ არ გაენაწყენებინა, იური ანდრეევიჩი მორჩილად უსმენდა.

დუდოროვმა ცოტა ხნის წინათ მოიხადა თავისი პირველი გადასახლება და იქიდან დაბრუნდა. ის უფლებები, რომლებიც დროებით ჰქონდა ჩამორთმეული, დაუბრუნეს. ნება დართეს განეახლებინა ლექციების კითხვა უნივერსიტეტში.

ახლა მეგობრებს გადასახლებაში გადატანილ განცდებს და სულიერ მდგომარეობას უზიარებდა. იგი გულწრფელად, პირუთვნელად ლაპარაკობდა. ის შენიშვნებიც გულდედლობით ან რომელიმე სხვა მოსაზრებით არ ყოფილა გამოწვეული.

იგი ამბობდა, რომ ბრალდების დასაბუთებამ, ციხეში და იქიდან გამოსვლის შემდეგ მის მიმართ გამოჩენილმა მოპყრობამ, განსაკუთრებით, გამომძიებლის გასაუბრებამ გონება გაუნათა, პოლიტიკურად ხელახლა აღზარდა, ბევრ რამეზე თვალი აუხილა და როგორც ადამიანი, გაიზარდა.

დუდოროვის მსჯელობა გორდონის სულსა და გულს სწორედ თავისი გულახდილობით ესალბუნებოდა. იგი თანაგრძნობით უქნევდა თავს ინოკენტის და ყველაფერში ეთანხმებოდა. დუდოროვის ნათქვამ-ნაგრძნობიდან გორდონს გულზე სწორედ შაბლონურობა ეხატებოდა.

უმარტივესი გრძნობების წამხედურობა ზოგადსაკაცობრიოდ ესახებოდა.

– ინოკენტის კეთილისმყოფელი სიტყვები დროის სულისკვეთებით იყო ნაკარნახევი. მაგრამ იური ანდრეევიჩის გულისწყრომასაც სწორედ მათი ფარისევლობის კანონზომიერება და გამჭვირვალება იწვევდა, და-

მონებული ადამიანი ყოველთვის ძრწოლით დაჰფოფინებს თავის მონობას. ასე იყო შუა საუკუნეებში და ამას მუდამ იყენებდნენ იეზუიტები. იური ანდრეევიჩი ვერ იტანდა საბჭოთა ინტელიგენციის პოლიტიკურ მისტიციზმს, იმას, რაც მის უმაღლეს მიღწევას, ან როგორც მაშინ იტყოდნენ, ეპოქის სულიერ სამანს წარმოადგენდა. მეგობრებს რომ არ წაჩხუბებოდა, იური ანდრეევიჩი ამ შთაბეჭდილებასაც მალავდა.

მაგრამ დუდოროვის ნაამბობში სულ სხვა რამემ მიიპყრო მისი ყურადღება. ეს გახლდათ ინოკენტის საკანში გაცნობილი ამხანაგის, ტიხონოველი მღვდლის[105] ბონიფატი ორლეცოვის ამბავი. ტუსაღს ექვსი წლის გოგონა ქრისტინა ჰყოლია. საყვარელი მამის დაპატიმრებას და მის შემდგომ ბედს გოგონასათვის თავზარი დაუცია. „კულტის მსახური", „შავსიელი" და მსგავსი სიტყვები შეურაცხყოფად მიუღია. ეტყობა, წრფელ ბავშვურ გულში აღთქმა დადო, თავისი მშობლის კეთილი სახელისათვის როგორმე ეს ლაქა ჩამოერეცხა. ასე ნაადრევად ესოდენ შორეული მიზნის დასახვა, რაიც მის არსებაში მარად ელვარე ცეცხლად იგიზგიზებდა, ამთავითვე ყოველივე იმის ბავშვურად თავდადებულ მიმდევრად ხდიდა, რაც კომუნიზმში ყველაზე მეტად უდავოდ მიაჩნდა.

– მე წავალ, – თქვა იური ანდრეევიჩმა, – არ გეწყინოს, მიშა. ოთახში სუნთქვა ჭირს, ქუჩაში ცხელა. ჰაერი არ მყოფნის.

– ხომ ხედავ, იატაკზე სარკმელი გამოღებულია. მაპატიე, ბლომად მოვწიეთ. სულ გვავიწყდება, შენთან მოწევა რომ არ შეიძლება. რა ჩემი ბრალია, რომ ასე სულელურადაა მოწყობილი აქაურობა. სხვა ოთახი მინახე, თუ შეგიძლია.

– ჰოდა, მეც წავალ, გორდოშა, საკმარისად ვილაპარაკეთ. ჩემზე

---

[105] „ტიხონოველებს" უწოდებდნენ პატრიარქ ტიხონის (ბელავინის, 1865-1925) მომხრეებს, რომელთაც არ ისურვეს მიმხრობოდნენ ჩეკას ხელდასმით შექმნილ ე. წ. „განახლებულ" ეკლესიას, რისთვისაც გასული საუკუნის 20-იან – 30-იან წლებში სასტიკ დევნას განიცდიდნენ.

ზრუნვისთვის გმადლობთ, ძვირფასო ამხანაგებო. ახირებად ნუ ჩამომართმევთ. ეს ავადმყოფობაა, გულ-სისხლძარღვთა სკლეროზი. გულის კუნთის კედლები ცვდება, თხელდება და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გასკდეს. მე კი ჯერ ორმოცისაც არა ვარ. ხომ იცით, ლოთბაზარა და სიცოცხლის მფლანგველი არ გახლავართ.

– ადრე უგალობ საკუთარ თავს სულთბრძოლის ლოცვას. ნუ სულელობ. ჯერ ყველაფერი წინა გაქვს.

– ჩვენს დროში გულში სისხლჩაქცევის მიკროსკოპული ფორმები მეტისმეტად გახშირდა. ყველა მათგანი არ არის სასიკვდილო. ზოგ შემთხვევაში ადამიანი ცოცხალი რჩება. ეს უახლესი დროის ავადმყოფობაა. მისი მიზეზი ზნეობაში უნდა ვეძიოთ. ჩვენს შორის უდიდესი უმრავლესობისაგან ყოველ წამს სისტემად ქცეულ ორპირობას და თაღლითობას მოითხოვენ. არ შეიძლება ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუყენებლად ყოველდღიურად იმის საწინააღმდეგოს ამბობდე და აკეთებდე, რასაც განიცდი, თავი გამოიდო იმისათვის, რაც არ გიყვარს, შეჰხაროდე იმას, რასაც შენთვის უბედურების მეტი არა მოაქვს რა. ჩვენი ნერვული სისტემა ლიტონი სიტყვა ან გამონაგონი სულაც არ არის. იგი ბოჭკოებისაგან შემდგარი ფიზიკური სხეულია. ჩვენი სული სივრცეში დაფრენს და ჩვენშივეა მოთავსებული, როგორც კბილები პირის ღრუში. არ შეიძლება უსასრულოდ და დაუსჯელად მისი ჯიჯგნა. ძალიან გამიჭირდა გადასახლებაზე შენი ნაამბობის მოსმენა, ინოკენტი, იმაზე, თუ როგორ ამაღლდი საკუთარ თავზე და ხელახლა როგორ აღიზარდე. ეს იმასა ჰგავს, ცხენი რომ ჰყვებოდეს, როგორ უსწრებდა საკუთარ თავს იგი მანეჟში. – მე დუდოროვის მხარეზე ვარ. უბრალოდ შენ ადამიანურ სიტყვას გადაეჩვიე. იგი შენამდე ვეღარ აღწევს.

– ადვილი შესაძლებელია, მიშა. ყოველ შემთხვევაში, მაპატიეთ და სახლში გამიშვით. სუნთქვა მიჭირს. არ ვაჭარბებ, ღმერთმანი.

– მოიცა. თავის დაძვრენაა ეგ და სხვა არაფერი. არსად გაგიშვებთ, ვიდრე პირდაპირ და გულწრფელად არ გვიპასუხებ. თანახმა ხარ თუ არა

იმაზე, რომ უნდა გარდაიქმნა, უნდა გამოსწორდე? რის გაკეთებას აპირებ ამ მხრივ? ტონიასთან და მარინასთან დამოკიდებულებაში ერთხელ და სამუდამოდ სინათლე უნდა შეიტანო. ისინი ხომ ცოცხალი არსებები, ქალები არიან, რომელთაც ძალუძთ იტანჯებოდნენ და განიცდიდნენ. უხორცო იდეები როდი არიან, მარტო შენს თავში რომ იარსებონ ნებისმიერი შეხმატკბილებით. გარდა ამისა, სირცხვილია, ისეთი ადამიანი, როგორიც შენ ხარ, უსარგებლოდ გადაეგოს. უნდა გამოფხიზლდე ძილისა და სიზარმაცისაგან, ფუჭი ამპარტავნობა მოიშორო და ისე გაერკვე საქმის ვითარებაში, დიახ, დიახ, სწორედ რომ უსარგებლო ქედმაღლობის გარეშე უნდა ჩასწვდე ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდება, ხელი მოჰკიდო სამსახურს, საექიმო პრაქტიკას.

– მაშ კარგი, გიპასუხებთ. ბოლო ხანებში თავადაც ხშირად ვფიქრობ მაგ სულისკვეთებით და ამიტომ სირცხვილისმიერი სიწითლის გარეშე შემიძლია ზოგ რამეს შეგპირდეთ. მგონი ყველაფერი მოგვარდება. თანაც საკმაოდ მალე. აი, ნახავთ. არა, ღმერთმანი. ყველაფერს სასიკეთო პირი უჩანს. წარმოუდგენლად, ტკივილამდე მინდა სიცოცხლე, მაგრამ სიცოცხლე ხომ წინსვლას ნიშნავს, უმაღლესისკენ, სრულყოფისაკენ აღმაფრენას და მის მიღწევას.

მოხარული ვარ, გორდონ, მარინას რომ იცავ, როგორც უწინ ტონიას იცავდი. მაგრამ მე ხომ მათთან არა მაქვს განხეთქილება, არც მათ ვეომები და არც სხვა ვინმეს ამქვეყნად. დასაწყისში იმას მიკიჟინებდი, რომ ის თქვენობით მომმართავს, მე კი შენობით ველაპარაკები, თანაც ჩემს მიმართ მოწიწებას მამის სახელით გამოხატავს, თითქოს მე ეს არ მაწამებდეს. მაგრამ უფრო დიდი გაუგებრობა, რაც ამ არაბუნებრიობის საფუძველთა საფუძველია, ხომ დაძლეულია, ყოველივე გაქარწყლებულია, თანასწორობა აღდგენილია.

შემიძლია სხვა სასიამოვნო სიახლეც გაუწყოთ. ისევ მწერენ პარიზიდან. ბავშვები დაზრდილან, თავისუფლად გრძნობენ თავს თურმე ფრანგ თანატოლებთან. შურა იქაურ დაწყებით სკოლას, L'école primaire-ს

ამთავრებს, ხოლო მანია იქ ახლა შეჰყავთ. მე ხომ თვალითაც არ მინახავს ჩემი გოგონა. რატომღაც მჯერა, მიუხედავად საფრანგეთის ქვეშევრდომობის მიღებისა, მალე დამიბრუნდებიან და ყველაფერი რაღაც მანქანებით კვლავ აეწყობა.

მრავალი ნიშნის მიხედვით ვხვდები, რომ სიმამრს და ტონიას მარინას და გოგონების ამბავი გაგონილი აქვთ. მე საამისოდ არაფერი მიმიწერია. ალბათ ვიღაცამ შეატყობინა. ალექსანდრ ალექსანდროვიჩს, რაღა თქმა უნდა, შელახული აქვს მამობრივი თავმოყვარეობა, ტონიასათვის გული შესტკივა. ჩვენს მიმოწერაში ხუთწლიანი შესვენებაც სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული. მოსკოვში დაბრუნების მერე მე ხომ ერთხანს წერილებს ვწერდი, მერე უეცრად აღარ მიპასუხეს. ყოველივე შეწყდა.

ახლა, სულ ახლახან, ისევ მივიღე წერილი მათგან. ყველა მკითხულობს სათითაოდ, ასე გასინჯე, ბავშვებიც მწერენ თბილად, ალერსით. ეტყობა, რაღაც შეიცვალა, სასიკეთოდ შემოტრიალდა. იქნებ ტონიას ცხოვრებაში გაჩნდა სიახლე, იქნებ ახალი მეგობარიც კი გაიჩინა. ღმერთმა აჩუქოს. რა ვიცი. ხანდახან მეც ვწერ. მაგრამ ახლა კი მეტი აღარ შემიძლია. წავალ, თორემ საცაა სულის ხუთვა დამეწყება. ნახვამდის.

მეორე დილით გორდონთან ცოცხალ-მკვდარმა მარინამ მიირბინა. გოგონები ვერავისთან დაეტოვებინა. უმცროსი, კლაშა, მაგრად, შეეხვია საბანში და ცალი ხელით გულზე ჰყავდა მიხუტებული, მეორე ხელი კი უკან ჩამორჩენილი კაპასთვის ჩაევლო და მოარბენინებდა.

– იურა თქვენთანაა, მიმა? – სხვისი ხმით იკითხა.

– როგორ, ღამე შინ არ გაუთევია?

– არა.

– მაშინ ინოკენტისთან იქნება.

– იქაც ვიყავი. ინოკენტი უნივერსიტეტშია მეცადინეობაზე, მაგრამ მეზობლები იცნობენ იურას. არ გამოჩენილაო, მითხრეს.

– მაშ სადღა არის?

მარინამ შეხვეული კლაშა დივანზე დააწვინა. ქვითინი აუვარდა.

8

ორი დღის განმავლობაში გორდონი და დუდოროვი მარინას არ მოსცილებიან. მორიგეობით მასთან იყვნენ, მარტო დატოვებისა ეშინოდათ. შუალედებში ექიმის საძებნელად დადიოდნენ. ყველა ადგილი მოირბინეს, სადაც მათი ვარაუდით შეეძლო შევლა, იყვნენ ფქვილის დასახლებასა და სივცევის სახლში, ყველა აზრის სასახლე და იდეების სახლი შეაწრიალეს, სადაც ოდესმე ემსახურა, ყველა ძველ ნაცნობს ჩამოუარეს, ვისზეც კი ოდნავი წარმოდგენა ჰქონდათ და რომელთა მისამართების მოძიება შეიძლეს. ძებნას შედეგი არ მოჰყოლია.

მილიციაში არ განუცხადებიათ, რათა ხელისუფლებისათვის არ გაეხსენებინათ ადამიანი, რომელიც თუმცა ჩაწერილიც იყო და ნასამართლობაც არ ჰქონია, მაგრამ თანადროული გაგებით სულაც არ იყო საინიმუშო. მის კვალში მილიციის ჩაყენება უკიდურესი შემთხვევისათვის შემოინახეს.

მესამე დღეს მარინამ, გორდონმა და დუდოროვმა სხვადასხვა დროს მიიღეს წერილები იური ანდრეევიჩისაგან. მათში გამოთქმული იყო წუხილი თავს დატეხილი შიშისა და მღელვარების გამო. გემუდარებით, მაპატიეთ და დამშვიდდითო, იწერებოდა, რაც კი რამ წმინდა გაგაჩნიათ, ყველას გაფიცებთ, ხელი აიღეთ ჩემს ძებნაზე, სულ ერთია, ვერაფერს გახდებითო.

ატყობინებდა, რომ თავისი ბედის უსწრაფესი და ძირფესვიანი გარდაქმნის შემდეგ ერთხანს მარტოობა სურდა, რათა შექმნილ გარემოებებს მთელი გულისყურით ჩაღრმავებოდა. როგორც კი ახალ ასპარეზზე ასე თუ ისე ფეხს მოიკიდებდა და დარწმუნდებოდა, რომ მომხდარი გარდატეხის მერე ძველი აღარ განმეორდებოდა, თავისი საიდუმლო თავშესაფრიდან გამოვიდოდა და მარინას და ბავშვებს დაუბრუნდებოდა.

გორდონს წინასწარ აფრთხილებდა, რომ მის სახელზე მარინასათვის ფულს ურიცხავდა, სთხოვდა, ბავშვებისათვის ძიძა ექირავათ, რათა მარინას ხელ-ფეხი გახსნოდა და სამსახურში დაბრუნების შესაძლებლობა მისცემოდა, თანაც უხსნიდა, ფულს უშუალოდ მის მისამართზე იმიტომ არ ვგზავნი, ვშიშობ, უწყებაში დასახელებულმა თანხამ გაძარცვის საფრთხეს არ გადაჰყაროსო.

მალე იმდენი ფული მოვიდა, ექიმის მასშტაბებსაც გადააჭარბა და მისი მეგობრების მოლოდინსაც. ბავშვებს ძიძა დაუქირავეს, მარინა კვლავ ტელეგრაფში მიიღეს. იგი დიდხანს ვერ დამშვიდებულიყო, მაგრამ რაკი იური ანდრეევიჩის წინანდელ უცნაურობებს შეჩვეული იყო, ბოლოს და ბოლოს ამ უსაქციელობასაც შეურიგდა. იური ანდრეევიჩის თხოვნის მიუხედავად, მეგობრები და ახლობელი ქალი მის ძებნას განაგრძობდნენ და თან მისი წინასწარმეტყველების სისწორეში რწმუნდებოდნენ. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, მისი კვალი ვერსად იპოვეს.

9

ის კი ორიოდე ნაბიჯზე ცხოვრობდა, მათ ცხვირწინ, სწორედ იქ, სადაც ეძებდნენ.

თავისი გაუჩინარების დღეს, დაბინდებისას გორდონისაგან ბრონნაიაზე რომ გამოვიდა და სპირიდონოვკისაკენ, შინისაკენ იბრუნა პირი, იქვე, ასიოდე ნაბიჯზე ქუჩაში საპირისპიროდ მომავალ თავის გერ ძმას, ევგრაფ ჟივაგოს გადაეყარა. სამ წელიწადზე მეტი იყო, რაც არ ენახა და არაფერი გაეგო მასზე. აღმოჩნდა, რომ ევგრაფი ცოტა ხნის წინათ შემთხვევით ჩამოსულიყო მოსკოვში ჩვეულებისამებრ, თითქოს ციდან ჩამოვარდაო, ძველებურად შეუვალი და გამოუცნობი იყო. შეკითხვებზე არ პასუხობდა. უსიტყვოდ იღიმებოდა და ხუმრობდა. სამაგიეროდ, ცხოვრებისეული წვრილმანები არად ჩააგდო, იური ანდრეევიჩისათვის მიცე-

მული ორი-სამი კითხვის შემდეგ მთელ მის საწუხარს და აბურდულ საქმეებს ჩასწვდა და იქვე, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ შესახვევში, გამვლელთა ჯიკაობაში ძმის დახმარების და გადარჩენის უტყუარი გეგმა შეადგინა. იური ანდრეევიჩის გაუჩინარება და სამალავში ყოფნაც ევგრაფის ნააზრევი და მოფიქრებული იყო.

იური ანდრეევიჩს იმ შესახვევში, რომელიც ჯერ კიდევ კამერჰერის სახელს ატარებდა, სამხატვრო თეატრის ახლო ოთახი უქირავა. ჯერ ფულით მოამარაგა, მერე საიმისოდაც შეუდგა ზრუნვას, რომ სადმე კარგ სამსახურში, რომელიმე საავადმყოფოში მოეწყო, სადაც სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზიც ექნებოდა. ძმას ყოველგვარი ცხოვრებისეული საკითხის გადაწყვეტაში მფარველობდა და დაჰფოფინებდა. ბოლოს იმასაც შეჰპირდა, რომ პარიზში მისი ოჯახის ორჭოფულ მდგომარეობასაც ასე თუ ისე ბოლოს მოუღებდა, ან იური ანდრეევიჩი წავიდოდა იქ, ან ისინი ჩამოვიდოდნენ მასთან. ყველა ამ საქმის მოგვარება ევგრაფმა თვითონ ითავა. ძმის დახმარება იური ანდრეევიჩს ფრთებს ასხამდა. წინანდებურად მისი ძლევამოსილების გამოცანა კვლავ აუხსნელი რჩებოდა. იური ანდრეევიჩი არც ცდილობდა ამ საიდუმლოში ჩაწვდომას.

10

ოთახი სამხრეთისაკენ იყო მიქცეული. იგი ორი ფანჯრით გაჰყურებდა თეატრის მოპირდაპირე სახურავებს, რომელთა გადაღმა, ოხოტნი რიადის თავზე, ზაფხულის მზე კაშკაშებდა, შესახვევის ქვაფენილს კი ჩრდილი ეფინა.

ის ოთახი იური ანდრეევიჩისათვის სამუშაო ოთახზე, კაბინეტზე მეტი იყო. ამ ყოვლის შთანმთქმელი მოღვაწეობის ხანაში, როცა მისი გეგმები და ჩანაფიქრები მაგიდაზე მიმობნეულ ჩანაწერებში ვერ ეტეოდა, მოფიქრებული სახეები და აჩრდილები კი კუთხე-კუნჭულებში დაბორიალებდნენ, სწორედ ისე, როგორც მხატვრის სახელოსნოა ჩახერგილი

უამრავი ახალდაწყებული და კედლებისაკენ პირშექცეული ნამუშევრებით, ექიმის საცხოვრებელი ოთახი სულის დარბაზად, აღმაფრენის განჯინად, ზეშთაგონების საგანძურად იყო გადაქცეული.

საბედნიეროდ, საავადმყოფოს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება ჭიანურდებოდა, სამსახურის დაწყების ვადა გაურკვეველ მომავალში ინაცვლებდა. შეიძლებოდა ამ ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლა და წერაში ჩაფლულიყო.

იური ანდრეევიჩმა დაიწყო უკვე შეთხზულის წესრიგში მოყვანა, რომლის ნამსხვრევებიც თავად ახსოვდა, ანდა რომელსაც სადღაც პოულობდა და მოარბენინებდა ევგრაფი, ნაწილს მისივე ხელნაწერების, ნაწილს კი ვიღაცის მიერ გადაბეჭდილის სახით. მასალის აბურდულობა იური ანდრეევიჩს აიძულებდა ღობე-ყორეს მოსდებოდა იმაზე მეტად, ვიდრე ამისათვის განაწყობდა მისი ბუნება. მან მალე უკან მოიტოვა ეს სამუშაო და, ახალ-ახალი ჩანაწერებით გატაცებული, დაუმთავრებლის აღდგენიდან ახლის შექმნაზე გადავიდა.

ვარიკინოში თავდაპირველი ყოფნისას გაკეთებული სახელდახელო ჩანაწერების მსგავსად იგი ადგენდა ნარკვევების მონახაზებს, მონაცვლეობით და განურჩევლად იწერდა მოძალებული ლექსების ცალკეულ ნაწყვეტებს, დასაწყისებს, დაბოლოებებს და შუა ადგილებს. ხანდახან თვალის მიდევნებას ვერც კი ასწრებდა, ისე სწრაფად მოსდიოდა სხვადასხვა აზრი, მისი გაკრული ხელით ნაწერი სიტყვის საწყისი ასოები და შემოკლებები მათ გადმოცემას ვეღარ აუდიოდნენ.

ჩქარობდა. როცა წარმოსახვა ეღლებოდა და მუშაობა ბრკოლდებოდა, ნაწერის არშიებზე რაღაც-რაღაცეებს ხატავდა, გაჭირვეულებულ შთაგონებას ელოლიავებოდა და კვლავ საქმეს ეშურებოდა. იმ ნახატებში გამოსახული იყო ტყის ნაკაფები და ქალაქის გზაჯვარედინები, რომელთა შუაგულში აღმართული იყო სარეკლამო ბოძი წარწერით: „მორო და ვეტჩინკინი. სათესი და სალეწი მანქანები”.

სტატიები და ლექსები ერთადერთ თემას დასტრიალებდნენ. მათი საგანი და საფიქრალი ქალაქი იყო.

11

შემდეგში მის ქაღალდებში ამგვარი ჩანაწერი აღმოჩნდა:

ოცდაორში რომ მოსკოვს დავბრუნდი, უკაცრიელი, დანგრეული ქალაქი დამხვდა. ამგვარი სახით გამოიარა რევოლუციის პირველი წლები და ასეთივე დარჩა ბოლომდე. მოსახლეობა ფრიად შეთხელდა. ახალსახლობას ვიღა ჩივის, ძველ შენობებსაც აღარ უვლიან.

მაგრამ ასეთიც ვეებერთელა, თანამედროვე ქალაქია, ჭეშმარიტად თანამედროვე ხელოვნების ერთადერთი დასაფიცარი.

ერთი შეხედვით შეუფერებელი, ერთიმეორის გვერდით თვითნებურად მიხორხლილი საგნებისა და ცნებების უთავბოლო ჩამონათვალი სიმბოლისტებთან – ბლოკთან, ვერჰარნთან და უიტმენთან სულაც არ არის სტილისტური უხიაკობა. ეს ცხოვრებაში მარჯვედ შენიშნულ და ბუნებიდან გადმოღებულ ნააზრევთა ანარეკლია.

როგორც ისინი ერეკებოდნენ სახეთა მწკრივებს სტრიქონებში, მიცურავს ლაღად და სადღაც შორს მიერეკება ჯგრო ხალხს, კარეტებს და ეკიპაჟებს მშფოთვარე ქუჩა მეცხრამეტე საუკუნისა. ახლა მომდევნო ასწლეულის გარიჟრაჟია. ის კი არ ცხრება, ძველებური სახით ბუღრაობს, მიახრიგინებს საქალაქო, ელექტრულ რაშებს თუ მიწისქვეშა რკინიგზების უამრავ ვაგონს.

მწყემსურ გულისთქმას და სიალალეს ამ პირობებში ვეღარსად ნახავთ. მისი მაცდური ბუნებრიობა ლიტერატურის თვალთმაქცობაა. ეს ხელოვნური სიკეკლუცეც წიგნისმიერი მოვლენაა, რაიც სოფლიდან კი არ არის წამოღებული, აკადემიურ წიგნთსაცავთა სურნელი დაჰკრავს. მისი ცოცხალი, ნატიფი ენა, დღევანდელობის მაჯისცემას რომ ესიტყვება, ძახილი არის ურბანიზმისა.

ვცხოვრობ ხალხმრავალ გზაჯვარედინზე. ზაფხულის თვალისმომ-ჭრელი მზით აზიმზიმებული მოსკოვი ეზოების გავარვარებული ასფალ-ტით, მაღალსართულიანი სახლების ფანჯრის მინებზე აცეკვებული მზის ათინათებით და აყვავებული ბულვარების მხურვალე სუნთქვით ჩემს ირგვლივ ბრუნავს, თავბრუს მახვევს, სურს ვუგალობო ქებათაქება და დავახვიო მსმენელს თავბრუ... სწორედ ამიტომ მაწოვა ძუძუ და ხელოვ-ნებაც მისთვის მიბოძა.

კედელს მიღმა კი გამუდმებით გუგუნებს ქუჩა, ბობოქრობს, ბორგავს დღისით თუ ღამით. დღევანდელობის მთრთოლვარე სულთან ისე არის შენივთებული, როგორც წყვდიადით მოცულ დარბაზში აჟღერებული უვერტიურა რამპის სინათლით გაბრწყინებულ და ასაწევად გამზადე-ბულ მძიმე ფარდასთან. კარ-ფანჯრის იქით მარადიულად მოფუსფუსე დიდი ქალაქიც უკიდეგანო შესავალია ცხოვრებისა თითოეული ჩვენგა-ნისათვის. მე სწორედ ასე მესახება ქალაქზე წერა".

ჟივაგოს ლექსების შემორჩენილ რვეულში ამგვარი ლექსები არ შე-მონახულა. ვინ იცის, იქნება ამ რიგს მისი ლექსი „ჰამლეტი" მიეკუთვნე–ბა?

12

აგვისტო იწურებოდა. იური ანდრეევიჩი დილაადრიან გაზეთის შე-სახვევის კუთხეში მდებარე გაჩერებაზე ნიკიტსკაიას ქუჩაზე უნივერსი-ტეტიდან კუდრინის ქუჩისაკენ აღმა მიმავალი ტრამვაის ვაგონში ჩაჯ-და. პირველად იყო, სამსახურში რომ მიდიოდა ბოტკინის საავადმყოფო-ში, რომელსაც მაშინ სოლდატენკოვის სახელით იხსენიებდნენ.

იური ანდრეევიჩს არ გაუმართლა. მოშლილ ვაგონში მოხვდა, რომე-ლიც წარამარა ათასნაირ ხათაბალაში იხლართებოდა. ხან რომელიღაც საზიდარს ეჭედებოდა ბორბალი ლიანდაგის ღარში და გზაზე ეღობებო-

და, ხან ვაგონის იატაკქვეშ ან სახურავზე იზოლაცია ფუჭდებოდა, მოკლე ჩართვა ხდებოდა და რაღაცა ტკაცუნით იწვებოდა.

ქანჩის გასაღებიანი ვატმანი წინა ბაქნიდან გამოდიოდა, შუა გზაში გახირულ ვაგონს გარს უვლიდა, ბორბლებსა და უკანა ბაქანს შორის სამანქანო ნაწილთან ცუცქდებოდა და უკირკიტებდა.

თარსი ვაგონი მოძრაობას აბრკოლებდა. ჩახერგილ ქუჩას ახალ-ახალი ტრამვაები ემატებოდნენ. უკანა წვერმა უკვე მანეჟს მიაღწია და უფრო და უფრო გრძელდებოდა. გულშეწუხებული მგზავრები უკანა ვაგონებიდან წინაში გადმოდიოდნენ, რომელიც ამ ალიაქოთის მთავარი მიზეზი იყო, და ასე ცდილობდნენ დაკარგული დროის ნაწილობრივად ანაზღაურებას. უიმისოდაც ცხელი დილა იყო და ხალხით გაჭედილ ტრამვაიში სუნთქვა ჭირდა. ქვაფენილზე გამოფენილი ბრბოს თავზე ნიკიტსკის ჭიშკრის მხრიდან ლილისფრად ჩამუქებული ღრუბელი იგრაგნებოდა და მაღლა-მაღლა მიიწევდა. საცა იყო გაავდრდებოდა.

იური ანდრეევიჩი ვაგონის მარცხენა მხარეს ერთადგილიან სკამზე იჯდა და ფანჯარასთან მიყუჟულს ხალხის ტალღა ტალღაზე აწყდებოდა. ერთთავად ნიკიტსკაიას ქუჩის მარცხენა ტროტუარს გაჰყურებდა, სადაც კონსერვატორიის შენობაა. ძალაუნებურად, სულ სხვა რამეზე ჩაფიქრებული ადამიანის მოდუნებული ყურადღებით იმ მხარეს მიმავალ გამვლელებს სათითაოდ ათვალიერებდა.

ერთი ჭაღარა მანდილოსანი მოუყვებოდა ტროტუარს ხვნეშა-ხვნეშით და ბრტყელი შეკვრის ქნევით. ღია ფერის ჩალის შლაპაზე ტილოს გვირილები და ღიღილოები ჰქონდა დაბნეული. ტანზე ვიწროდ შემოტმასნილი იასამნისფერი ძველმოდური კაბა ეცვა. უღმერთოდ იყო კორსეტში ჩაჭედილი, სიცხისგან გული ელეოდა, ხვითქი გადასდიოდა და გაოფლილ წარბებს და ბაგეებს მაქმანიანი ცხვირსახოცით იმშრალებდა. ტრამვაის ხაზის გაყოლებით მოდიოდა. იური ანდრეევიჩს იგი რამდენჯერმე დაეკარგა თვალთახედვიდან, როცა შეკეთებული ტრამვაი ადგი-

ლიდან იძვროდა და უკან იტოვებდა. მერე კი, როცა ტრამვაი ისევ ფუჭ-დებოდა და ჩერდებოდა, მანდილოსანი კვლავ ეწეოდა.

იური ანდრეევიჩს სკოლის ამოცანები გაახსენდა ერთი და იგივე მი-მართულებით სხვადასხვა დროს გასული მატარებლების თაობაზე. უნ-დოდა, მათი ამოხსნის საერთო წესიც გაეხსენებინა, მაგრამ არაფერი გა-მოუვიდა. ამაზე ფიქრი არც კი ჰქონდა მოთავებული, რომ უფრო რთულ-მა საგონებელმა გაიტაცა.

იგი ფიქრობდა ერთიმეორის გვერდით სხვადასხვაგვარი სისწრაფით მსრბოლავ საგნებზე, და იმაზე, თუ ცხოვრებაში ვისი ბედი აჯობებს, ვინ ადრე წავა ამქვეყნიდან და ვინ კი – გვიან. წუთისოფლის თვალსაწიერზე ფარდობითობის მსგავსი რაღაც დაუდგა თვალწინ, მაგრამ საბოლოოდ დაიბნა და ამ ფიქრებსაც თავი ანება.

გაიელვა და დაიქუხა. საცოდავი ტრამვაი უკვე მერამდენედ გაიჩხირა კუდრინის ქუჩიდან ზოოლოგიურისაკენ მიმავალ აღმართზე. მცირე ხნის შემდეგ იასამნისფერ კაბიანი ქალი გამოჩნდა ფანჯრის ჩარჩოში, ტრამ-ვაის გვერდი უქცია და თავის გზას გაჰყვა. წვიმის პირველი მსხვილი წვე-თები დაეცა ტროტუარს და ქვაფენილს, მანდილოსანს. უეცრად საიდან-ღაც მოიჭრა მტვრიანი კორიანტელი, ხეებს ეკვეთა, ააფორიაქა, მერე მანდილოსანს მიაწყდა, შლაპის მოხდა და ქვედატანის შეტრიალება მო-უნდომა და უეცრადვე ჩაცხრა.

ექიმმა სულის შემხუთველი გულისრევა იგრძნო. სისუსტეს სძლია, სკამიდან ადგა, სარკმლის თასმებს დაეჯაჯგურა და ვაგონის ფანჯრის გაღება სცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

აქეთ-იქიდან უყვიროდნენ, ჩარჩო ყრუდაოო წირთხლზე მიხრახნი-ლი, მაგრამ ექიმი იმ ყვირილს ყურადღებას არც კი აქცევდა, იდუმალი შფოთით შეპყრობილი გამწარებით ებრძოდა შემოტევას. თავისას მაინც არ იშლიდა, თავგანწირული ანჯღრევდა ჩარჩოს. ბოლოს სამმაგი მოძ-რაობით – ზევით, ქვევით და თავისკენ ქაჩვით როგორც იქნა გამოგლიჯა. უეცრად სხეულის შიგნით საშინელი, აუტანელი ტკივილი იგრძნო და

მიხვდა, რომ რაღაც ჩასწყდა, რაღაც საბედისწერო ჩაიდინა და ყველაფერი დაკარგულია. ამ დროს ვაგონი დაიძრა, მაგრამ პრესნაზე ცოტაოდენი მანძილი გაიარა და ისევ შეჩერდა.

იური ანდრეევიჩმა ნებისყოფის არაადამიანური დაძაბვით, ბარბაცბარბაცით და ჯიკაობით გაარღვია სკამებს შორის გასასვლელებში გაკვეხებული ბრბო და უკანა ბაქანს მიაღწია. გზას არ აძლევდნენ, ეღრინებოდნენ, ემუქრებოდნენ. მას კი ეჩვენებოდა, ჰაერის ნაკადმა გამომაცოცხლაო, იქნებ ჯერ კიდევ ყველაფერი არც იყოსო დაკარგული, ასე ეგონა, მოვკეთდიო.

კიდევ ერთხელ გაიბრძოლა უკანა ბაქანზე, გამწარებული ეკვეთა ბრბოს, ლანძღვა-გინების, მუჯლუგუნების და გაბოროტების ახალი ტალღა დაიმსახურა. წივილ-კივილისათვის ყური აღარ უთხოვებია, ხალხის ზედაჟლეტა რის ვაი-ვაგლახით გაარღვია, გაჩერებული ტრამვაის საფეხურიდან ქვაფენილზე ჩამოაბიჯა, ერთი, მეორე, მესამე ნაბიჯი გადადგა, პირქვე ჩაემხო და აღარასოდეს ამდგარა.

ატყდა ხმაური, ყაყანი და ერთი ვაი-უშველებელი. რამდენიმე ადამიანი ბაქნიდან ჩამოვიდა და ძირს გაშხლართულს გარს შემოერტყა. მალე დაადგინეს, რომ იგი აღარ სუნთქავდა და გულიც გასჩერებოდა. ცხედრის გარშემო შეგროვილ ხალხს ტროტუარიდანაც ემატებოდნენ. ერთნი მშვიდდებოდნენ და მეორეებს იმედი უცრუვდებოდათ იმის გამო, რომ იგი არაფერს გაესრისა და იქვე მდგომ ვაგონს მის სიკვდილთან არაფერი ჰქონდა საერთო. ბრბო იზრდებოდა. ხალხს ის იასამნისფერ კაბიანი ქალიც მიუახლოვდა, ერთხანს შეჩერდა, დახედა მიცვალებულს, მითქმა-მოთქმას ყური მიუგდო და გზა განაგრძო. იგი უცხოელი იყო, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ზოგიერთები რჩევას იძლეოდნენ, ცხედარი ტრამვაიში ავასვენოთ და საავადმყოფოში მივიტანოთო, სხვები კი ამტკიცებდნენ, მილიციას უნდა დავუძახოთო. ქალმა აღარ დაუცადა, თუ რას გადაწყვეტდნენ, და გზა განაგრძო.

იასამნისფერ კაბიანი მანდილოსანი შვეიცარიის ქვეშევრდომი, მოფამფალებული მელიუზეეველი დედაბერი მადემუაზელ ფლერი გახლდათ. თორმეტი გრძელი წელიწადი იყო, რაც წერილობით ცდას არ აკლებდა სამშობლოში დაბრუნების უფლების მოსაპოვებლად. სულ ცოტა ხნის წინათ მისი შუამდგომლობა წარმატებით დაგვირგვინდა. მოსკოვშიც გასამგზავრებელი ვიზის მისაღებად ჩამოვიდა. იმ დღეს ამ მიზნით მიდიოდა თავის საელჩოში და ბაფთით გამოფსკვნილ საბუთებს მიიქნევდა. კვლავ წინ წავიდა, ბარე მეათედ გაუსწრო ტრამვაის და ბაიბურშიც არ იყო, რომ ამასობაში თავად ჟივაგო მოინელა.

13

დერეფნიდან კარებში ოთახის კუთხე და ირიბად დადგმული მაგიდა მოჩანდა. მაგიდიდან კარებს უშნოდ გაჩორკნილი ნავივით გამოჰყურებდა კუბოს ვიწრო ქვედა ბოლო, რომელსაც მიცვალებულის ფეხები ებჯინებოდა. ეს ის მაგიდა იყო, რომელზეც ადრე იური ანდრეევიჩი წერდა. მის გარდა ოთახში სხვა არა იდგა რა. ხელნაწერები ყუთში ჩაალაგეს, ხოლო მაგიდა კუბოს დასადგმელად გამოიყენეს. სასთუმლის ბალიშები გაფუებული იყო და ცხედარი თითქოს შემაღლებულ ბექობზე იწვა.

გარშემო უამრავი ყვავილი ჰქონდა შემორიგებული. იმ დროისათვის იშვიათი თეთრი იასამნის მთელი ბუჩქი, ყოჩივარდები და ცინერარიები ქოთნებით და კალათებით იყო დახვავებული. ყვავილები ფანჯრიდან შემოსულ სინათლეში ილანდებოდნენ. მკრთალი სინათლე ყვავილთა მწკრივში იხლართებოდა, მიცვალებულის სანთლისფერ სახეს და ხელებს, კუბოს ფიცრებს და გადასაკრავებს ეფინებოდა. მაგიდაზე თითქოს სულ ახლახან გარინდებული ჩრდილების წარმტაცი ნაყში გაყურსულიყო. იმხანად ფართოდ გავრცელდა კრემატორიუმში მიცვალებულთა დაწვის ჩვეულება. ბავშვებისათვის პენსიის მიღების იმედით, მათი სას-

კოლო მომავლის შიშით და სამსახურში მარინას სახელის მოფრთხილების მიზნით საეკლესიო წესის აგებაზე ხელი აიღეს და გადაწყვიტეს, სამოქალაქო კრემაციას დასჯერებოდნენ. სათანადო ორგანიზაციებს უკვე მიმართეს. წარმომადგენლებსღა ელოდებოდნენ.

მათ მოლოდინში ოთახში სიცარიელეს დაესადგურებინა, როგორც ძველ მცხოვრებთა გადასვლის მერე, ახლების მოსვლამდე იცის ხოლმე. ამ სიჩუმეს ჟამიდან ჟამად გამოსათხოვრად მოსულთა ფეხაკრეფით სიარულის ხმაღა არღვევდა. მაინცდამაინც ბევრნი არ ჩანდნენ, თუმცა მოსალოდნელზე გაცილებით მეტი ხალხმრავლობა იყო. თითქმის უსახელო კაცის სიკვდილის ამბავი მთელ მათ წრეს საოცარი სისწრაფით მოედო. საკმაოდ შეგროვდნენ ის ადამიანები, რომელნიც მიცვალებულს მისი ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთში იცნობდნენ და მისგან სხვადასხვა დროს დაკარგულნი და მივიწყებულნი იყვნენ. მის მეცნიერულ აზრს და მხატვრულ მუზას უფრო მეტი უცნობი მეგობარი გასჩენოდა. არასოდეს ენახათ ეს ადამიანი და გული მაინც მისკენ მოუწევდათ. მის სანახავად, უკანასკნელად თვალის შესავლებად მოსულიყვნენ. ახლა, როცა საერთო სიჩუმე ღვთისმსახურებით არ ივსებოდა და გათანგულ გულს უსაშველო ტკივილი ღრღნიდა, გალობისა და წესის აგების მაგივრობას ყვავილებიღა ეწეოდნენ.

ისინი მარტოოდენ კი არ ჰყვაოდნენ, მძაფრი სურნელით ეფრქვეოდნენ იქაურობას, საოცარ ძალას ანიჭებდნენ ირგვლივ ყველაფერს და ყოველივეს სასწაულით ასხივოსნებდნენ.

რაოდენ ახლოა მცენარეთა სამეფო სიკვდილის საბრძანებელთან! აქ, მიწის სიმწვანეში, სასაფლაოს ხეთა შორის, აღაღანებულ ყვავილნარებში ეგებ გარდასახვის საიდუმლოებანი და ყოფნა-არყოფნის მარადიული გამოცანებია თავმოყრილი, რომელთა ახსნაზე კაცთა მოდგმა მიწყივ თავს იმტვრევს. თუნდაც ის რად ღირს, მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი თავდაპირველად მარიამმა რომ ვერ იცნო და საგოდებელზე მიმავალი მეწალკოტე ეგონა. (მას ეგონა, ვითარმედ მემტილე იგი არს...).

14

როდესაც მიცვალებული კამერჰერის ქუჩაზე, უკანასკნელ საცხოვრისში მიასვენეს, წინასწარ გაფრთხილებული და მისი სიკვდილით შეძრწუნებული მეგობრები სადარბაზოდან ბინის ყურთამდე გამოღებულ კარებში შეცვივდნენ. საშინელი ამბით თავზარდაცემული, სანახევროდ ჭკუაზე შერყეული მარინა კარგა ხანს გონს ვეღარ მოსულიყო. იატაკზე ეგდო და თავით ეხეთქებოდა წინკარში დადგმულ გრძელ სკამლოგინს, რომელზეც ცხედარი დროებით დაასვენეს, ვიდრე შეკვეთილ კუბოს მოიტანდნენ და არეულ ოთახს მიალაგებდნენ. ქალი ცრემლებად იღვრებოდა, ხან ჩურჩულებდა, ხან კი სათქმელი ახრჩობდა, სიტყვა უწყდებოდა, ანგარიშმიუცემლად ბღაოდა და თვითონაც არ ესმოდა, რას მოსთქვამდა. ენა ერეოდა. ხალხურ კილოზე მოთქმით ტიროდა, არც ერიდებოდა და ვერც თუ ვინმეს ამჩნევდა. ცხედარს ზედ დააკვდა და ვეღარაფრით ააგლიჯეს, რომ მიცვალებული მოხალვათებულ ოთახში გაეყვანათ, განებანათ და მოტანილ კუბოში ჩაესვენებინათ. ყოველივე ეს გუშინ იყო. სადღეისოდ კი საბრალო ქალი დაცხრა და გააფთრება დაბეჩავებით შეეცვალა, თუმცაღა უწინდებურად გაშტერებული იყო, ზარდაცემული იჯდა და დუმდა.

წინა დღიდან მოკიდებული ფეხმოუცვლელად აქ იჯდა და მთელი ღამეც აქვე გაატარა. აქვე მოჰყავდათ ძუძუს მოსაწოვებლად კლავა, აქვე მოჰყავდათ და უკან მიჰყავდათ კაპა და მცირეწლოვანი ძიძა.

თავისიანები გარს ეხვეოდნენ. დამწუხრებული დუდოროვი და გორდონიც იქვე ტრიალებდნენ. იმავე სკამზე ხანდახან მამამისი მარკელიც ჩამოჯდებოდა, უხმოდ ზლუქუნებდა და ცხვირს გამაყრუებლად იხოცავდა. ატირებული დედა და დაც აქვე მოდიოდნენ მარინასთან.

და იყო ხალხის ნაკადში ორი ადამიანი, ქალი და კაცი. რომელნიც ყველასგან განირჩეოდნენ. ისინი მიცვალებულთან უფრო მეტ სიახლო-

ვეს არ იჩემებდნენ, ვიდრე ხსენებული ახლობლები. არც მარინას ეცილებოდნენ გლოვაში, არც მის შვილებს და მიცვალებულის მეგობრებს, პირიქით, მომეტებული რიდით ეპყრობოდნენ. ამ ორს მიცვალებულზე თავისი, სრულიად გამორჩეული უფლება ჰქონდა. ამ გაუგებარ და იდუმალ უფლებამოსილებას, რითაც ორივე როგორღაც იყო აღჭურვილი, არავინ ეხებოდა, არავინ ხდიდა სათუოდ. როგორც ჩანს, იმთავითვე სწორედ მათ იკისრეს მზრუნველობა დაკრძალვაზე. ყოველივეს ისე დარბაისლურად უძღვებოდნენ, თითქოს ამგვარი საქმიანობა სიამოვნებას ანიჭებთო. მათი სულის სიდიადე ყველას თვალში ხვდებოდა და უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა. თითქოს ეს ადამიანები არა მარტო დაკრძალვის მონაწილენი იყვნენ, არამედ სიკვდილისაც, მაგრამ დამნაშავენი ან უბრალოდ მომიზეზენი კი არ იყვნენ, გეგონებოდათ, მომხდარის შემდეგ ამ მოვლენას დასტური დასცეს, შეურიგდნენ და საქმის უმთავრეს მნიშვნელობას ამაში სულაც არ ხედავენო. ზოგიერთებმა იცნობდნენ მათი ვინაობა, სხვები გუმანით ხვდებოდნენ, ვინც უნდა ყოფილიყვნენ, უმრავლესობა კი საერთოდ ვერ ხვდებოდა, ირგვლივ რა ხდებოდა.

როდესაც ეს გამომცდელი, ცნობისწადილის აღმძვრელი, ვიწრო ყირგიზულ თვალებიანი მამაკაცი და გაურჯელად ლამაზი ქალი იმ ოთახში შედიოდნენ, სადაც კუბო იდგა, ყველანი, ვინც კი იქ იდგა, იჯდა ან ფუსფუსებდა, მარინას ჩათვლით, უდრტვინველად, თითქოს შეთანხმებულნი არიანო, ერიდებოდნენ, კედლების გასწვრივ ჩარიგებული სკამებიდან და ტაბურეტებიდან იშლებოდნენ და საჩქაროდ დერეფანში ან წინკარში გადიოდნენ. ქალი და კაცი მიხურულ კარს შიგნით მარტონი რჩებოდნენ, ვითარცა საქმეში ჩახედული ადამიანები, რომელთაც სიჩუმეში, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, აუღელვებლად უნდა აღესრულებინათ დაკრძალვასთან უშუალოდ დაკავშირებული უაღრესად მნიშვნელოვანი რომელიღაც წესი. ახლაც ასე მოხდა. ორნი განმარტოვდნენ, კედლებთან მიდგმულ ტაბურეტებზე ჩამოსხდნენ და საქმეზე დაიწყეს საუბარი:

– რაო, რა შეიტყვეთ, ევგრაფ ანდრეევიჩ?

– კრემაცია ამ საღამოსაა. ნახევარ საათში მედმუშაკთა პროფკავშირიდან მოვლენ და პროფკავშირების კლუბში წაასვენებენ. ოთხზე სამოქალაქო პანაშვიდია დანიშნული. არც ერთი ქაღალდი არ იყო წესრიგში. შრომის წიგნაკი ვადაგასული აღმოჩნდა. ძველი ნიმუშის პროფკავშირული ბილეთი თავის დროზე არ შეუცვლია. რამდენიმე წელიწადია, საწევროები არ გადაუხდია. ყველაფრის მოგვარება მომიხდა. ამიტომ იყო, ხან იქით მივაწყდი, ხან აქეთ, და დავიგვიანე კიდეც. ვიდრე სახლიდან წაასვენებენ, – სხვათაშორის, ეს წუთი არც ისე შორსაა და უნდა მოვემზადოთ, – როგორც მთხოვეთ, აქ მარტო დაგტოვებთ. უკაცრავად, გესმით? ტელეფონია, ერთი წუთით გავალ.

ევგრაფ ჟივაგო დერეფანში გავიდა, რომელიც ექიმის უცნობი თანამშრომლებით, მისი სკოლის ამხანაგებით, საავადმყოფოში მომუშავე წვრილფეხობით და გამომცემლობის მუშაკებით იყო სავსე. მარინაც იქვე, სკამლოგინის ბოლოში იჯდა. ორივე ხელი ბავშვებისათვის შემოეხვია და მხრებზე მოგდებული პალტოს კალთებიც ზევიდან გადაეფარებინა (ცივი დღე იყო და სადარბაზოდანაც უბერავდა). იჯდა და კარის გაღებას ელოდებოდა, თითქოს პატიმართან შესახვედრად მოსულა და ელის, გუშაგი როდის გამოიძახებს, ციხის მისაღებში როდის შეუშვებსო. დერეფანში ტევა არ იყო. სამძიმარზე მოსულთა ნაწილი გარეთ დამდგარიყო. კიბეზე გამავალი კარი ღია იყო. წინკარში და კიბის ბაქანზე უამრავი ხალხი ირეოდა. ზოგი იდგა, ზოგი ბოლთას სცემდა და აბოლებდა. რაც უფრო ახლო იყო ქუჩა, საფეხურებზე მით უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ხალხი ყრუდ გუგუნებდა და ევგრაფიც სმენას ძაბავდა, თან ყურმილს ხელს აფარებდა და, როგორც ამისთანა შემთხვევებს შეეფერება, მოგუდული ხმით ჰპასუხობდა. ეტყობა, საუბარი ექიმის დაკრძალვისა და სიკვდილის გარემოებებს შეეხებოდა. მალე კვლავ ოთახში დაბრუნდა და მუსაიფი განახლდა.

– ლარისა ფეოდოროვნა, კრემაციის შემდეგ ნუ დაგვეკარგებით, გე-

თაყვა. თქვენთან დიდი სათხოვარი მაქვს. არ ვიცი, სად ხართ გაჩერებული. ისე ნუ დამტოვებთ, რომ არ ვიცოდე, სად მოგაკითხოთ. სულ მალე, ხვალ ან ზეგ, მინდა ჩემი ძმის ნაწერების გარჩევას შევუდგე. თქვენი დახმარება დამჭირდება. იმდენი რამ იცით მასზე, ალბათ ყველაზე მეტი. წეღან წამოგცდათ, მეორე დღეა, რაც ირკუტსკიდან ჩამოვედიო. მოსკოვში მცირე ხნით ყოფილხართ ჩამოსული და ამ ბინაშიც სულ სხვა მიზეზით, შემთხვევით შემოგივლიათ. არც ის გცოდნიათ, ბოლო თვეების განმავლობაში ჩემი ძმა აქ რომ ცხოვრობდა და არც ის, რაც აქ მოხდა. თქვენი ნაუბრის ერთი ნაწილი ვერ გავიგე და არც განმარტებას გთხოვთ. მაგრამ თქვენი მისამართი არ ვიცი და ნუ დაიკარგებით. ისე, აჯობებდა, ეს რამდენიმე დღე, ხელნაწერების ქექვას რომ უნდა მოვანდომოთ, ერთ ჭერქვეშ ან ერთმანეთის ახლოს, იქნებ სულაც ამავე სახლის ორ სხვა ოთახში გაგვეტარებინა. ამის მოხერხება შეიძლებოდა. სახლმმართველს ვიცნობ.

– ვერ გავიგეო, მეუბნებით. ნეტა რა არის აქ გაუგებარი? ჩამოვედი მოსკოვში, ჩავაბარე ბარგი შემნახველ საკანში, მოვდივარ ძველ მოსკოვში და სანახევროდ ვერ ვცნობ, – გადამავიწყდა. მოვდივარ, მოვდივარ... ჩამოვიარე კუზნეცკის ხიდი, ამოვიარე კუზნეცკის შესახვევი და აი, უეცრად საოცრად ნაცნობ შესახვევს გადავეყარე – კამერჰერისას. აქ იქირავა ოთახი დახვრეტილმა ანტიპოვმა, ჩემმა ცხონებულმა ქმარმა, როცა ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, სწორედ ეს ოთახი, სადაც ახლა ვზივართ. ვიფიქრე, მოდი შევივლი, იქნებ ბედმა გამიღიმოს და ძველი პატრონები ცოცხლები დამხვდნენ-მეთქი. მერე გავიგე, მეორე დღეს და დღესაც, კითხვა-კითხვით, რომ აქ მათი სახსენებელიც აღარ არსებობს. თუმცა განა თქვენც აქ არ იყავით, რაღას გიყვებით? თითქოს მეხი დამცემოდეს, ისე ვიყავი გაოგნებული, როცა ქუჩიდან კარები ყურთამდე ღია დამხვდა. ოთახში ხალხი ირეოდა, კუბო იდგა და შიგ მიცვალებული ესვენა. ნეტა ვინ არის – მეთქი, ვიფიქრე, კიბეებს ამოვყევი, შემოვედი, – ასე მეგონა, ჭკუიდან შევიშალე და მეჩვენება-მეთქი. მაგრამ ყველაფრის მოწმე თქვენც იყავით, ხომ მართალია? ყველაფერ ამას რაღად გიყვებით?

– უკაცრავად, ლარისა ფეოდოროვნა, შეგაწყვეტინებთ. უკვე გითხარით, მე და ჩემმა ძმამ არც კი ვიცოდით, თუ ამ ოთახთან ამდენი საოცრება იყო დაკავშირებული. თუნდაც ის, რომ აქ ოდესღაც ანტიპოვი ცხოვრობდა. მაგრამ მე უფრო ერთმა თქვენმა გამონათქვამმა გამაოცა. ახლავე გეტყვით, რას ვგულისხმობ, – მაპატიეთ. ანტიპოვზე, რომელიც სამხედრო-რევოლუციური მოღვაწეობისას სტრელნიკოვის სახელით იყო ცნობილი, ერთი ხანობა, სამოქალაქო ომის დასაწყისში ბევრი რამ მესმოდა, თითქმის ყოველდღიურად. ერთი-ორჯერ პირადადაც ვნახე, მაგრამ მაშინ არც კი მიფიქრია, ოჯახურ გარემოებათა გამო ჩვენი გზები ოდესმე ასე თუ გადაიკვეთებოდა. მაგრამ მომიტევეთ, იქნებ მომეყურა და მომეჩვენა, იქნებ ენაზე უნებურად წამოგიფრინდათ, როცა თქვით, „დახვრეტილი ანტიპოვიო", ნუთუ არ იცით, რომ თავი მოიკლა? – ეგრე ამბობენ, მაგრამ არ მჯერა. პაველ პავლოვიჩი არასოდეს ყოფილა თვითმკვლელი.

– მაგრამ ამას წყალი არ გაუვა. ანტიპოვმა იმ სახლში მოიკლა თავი, საიდანაც, როგორც ძმა მიამბობდა, ვლადივოსტოკში წასასვლელად იურიატინს გაემგზავრეთ. ეს იმ ახლო ხანებში მოხდა, როცა გოგონასთან ერთად იქაურობა დატოვეთ. ჩემს ძმას უპატრონებია, დაუმარხავს. ნუთუ ამ ამბავს თქვენამდე არ მოუღწევია?

– არა. მე სხვა მონაცემები მქონდა. ესე იგი მართალია, რომ ამბობდნენ, თავი მოიკლაო? ბევრნი ლაპარაკობდნენ ამას, მე კი არ მჯეროდა. იმავე სახლში? შეუძლებელია! რა მნიშვნელოვანი ამბავი მითხარით! მაპატიეთ, იქნებ იცოდეთ, ის და ჟივაგო შეხვდნენ ერთმანეთს? ისაუბრეს?

– ცხონებული იურის სიტყვით, დიდხანს იმუსაიფეს.

– ნუთუ მართლა? მადლობა ღმერთს. ეგრე სჯობია (ანტიპოვამ მძიმედ გადაიწერა პირჯვარი). – რა საოცარი, ცით მოვლენილი დამთხვევაა! ნება მომეცით, ერთხელ კიდევ დავუბრუნდე ამას და ყველა წვრილმანი გამოვიკითხო. აქ თითოეული წვრილმანი ძვირფასია ჩემთვის. ახლა კი არ შემიძლია, ასე არ არის? მეტისმეტად აღელვებული ვარ. ცოტა ხანს

ვიყუჩებ, სულს მოვითქვამ, აზრს მოვიკრებ. ხომ მართალია? – ო, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. კი, ბატონო.

– ასე არ არის?

– რასაკვირველია.

– აჰ, კინაღამ დამავიწყდა. თქვენ მთხოვთ, რომ კრემაციის მერე არ წავიდე. კარგი, პირობას გაძლევთ. არ დავიკარგები. თქვენთან ერთად დავბრუნდები ამ ბინაში. და დავრჩები, სადაც მეტყვით და რამდენიც საჭიროა. ჩავუჯდეთ და იუროჩკას ხელნაწერები გადავათვალიეროთ. დაგეხმარებით. იქნებ მართლაც გამოგადგეთ. ეს ჩემთვის დიდი ნუგეში იქნება! მისი ნაწერის თითოეულ ნაკვთს მთელი გულით) ყოველი ძარღვით ვგრძნობ. თანაც მეც მაქვს თქვენთან საქმე, თქვენ მე დამჭირდებით, ასე არ არის? მგონი იურისტი ხართ, ან, ყოველ შემთხვევაში კარგად იცნობთ არსებულ წესებს, უწინდელსაც და ახლანდელსაც. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნასაც, რომელი ცნობისათვის რომელ დაწესებულებას უნდა მიმართოს კაცმა. ამაში ყველა ვერ ერკვევა, ასე არ არის? თქვენი რჩევა დამჭირდება ერთ საშინელ, გამანადგურებელ საკითხში. საქმე ერთ ბავშვს ეხება. მაგრამ ამაზე მერე ვილაპარაკოთ, კრემატორიუმიდან რომ დავბრუნდებით. მთელი ცხოვრება ვიღაცას ვეძებ, ასე არ არის? მითხარით, თუ ოდესმე, რომელიღაც შემთხვევაში გამხდარა აუცილებელი ბავშვის კვალის მიგნება, აღზრდის მიზნით სხვის ხელში ჩავარდნილი ბავშვის მოძებნა, არის თუ არა საამისოდ არსებული საბავშვო სახლების საერთო, სრულიად საკავშირო არქივი და თუ როდესმე ჩაუტარებიათ უპატრონო ბავშვთა საერთო სახელმწიფოებრივი აღწერა ან აღრიცხვა? მაგრამ გემუდარებით, ამაზე ახლავე ნუ მიპასუხებთ. მერე იყოს, მერე. ო, რა საშინელებაა, რა საშინელება, რა საზარელი რამეა ცხოვრება, ხომ მართალია? არ ვიცი, რა მომელის, როდის ჩამოვა ჩემი ქალიშვილი, მაგრამ მანამდე შემიძლია ამ სახლში ვიყო. კატიუშას საუცხოო ნიჭი აღმოაჩნდა, ნაწილობრივ დრამატული, მეორე მხრივ კი –

სამუსიკო. ყველას ჩინებულად ჰბაძავს და თავისივე შეთხზული ნაწარმოებების მთელ სცენებს თვითონვე ასრულებს. გარდა ამისა, ერთი მოსმენით ოპერებიდან მთელ პარტიებს მღერის, გასაშტერებელი ბავშვია, ხომ მართალია? სათეატრო სასწავლებლის ან კონსერვატორიის დაწყებით კურსებზე მინდა მივაბარო. უიმისოდაც იმიტომ ჩამოვედი, რომ ყველაფერი მოვაგვარო, მერე კი უკან გავბრუნდები. ყველაფერს ხომ ვერ მოგიყვები, ხომ მართალია? ამაზე მერე იყოს. ახლა კი ცოტას გავყუჩდები, ვიდრე მღელვარება გამივლის, გავჩუმდები, აზრებს მოვიკრებ, შევეცდები შიშსა ვძლიო. გარდა ამისა, იურას ახლობლებიც დიდხანს გავაჩერეთ დერეფანში. ორიოდეჯერ მომეჩვენა, თითქოს კარებზე დააკაკუნეს. იქ, სადღაც, ჩოჩქოლია, ხმაურობენ. ალბათ დამკრძალავი ორგანიზაციიდან მოვიდნენ. ვიდრე ფიქრები დამიმარტოხელებენ, კარი გააღეთ და ხალხი შემოუშვით. დროა, ხომ მართალია? მოიცა, მოიცა. კუბოს გვერდიდან სკამი უნდა მივუდგათ, თორემ იურას სხვანაირად ვერ შესწვდებიან. მე ჩემდა თავად თითის წვერებზე დავდექი, მაგრამ ძალიან გამიჭირდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მარინა მარკელოვნას და ბავშვებს ხომ მაინც დასჭირდებათ ამის გაკეთება. თანაც, წესია ასეთი. „უკანასკნელად მეამბორეთო," – ხომ გაგიგონიათ? ოჰ, არ შემიძლია, არ შემიძლია! გაუსაძლისად მტკივნეულია, ხომ მართალია?

– ახლავე ყველას შემოვუშვებ. მაგრამ მანამდე აი, რას გეტყვით. იმდენ იდუმალ რამეზე მელაპარაკეთ და თქვენთვის მტკივნეული იმდენი საკითხი წამოჭერით, პასუხის გაცემა მიჭირს. ერთი რამ მინდა, რომ იცოდეთ. სიამოვნებით, მთელი სულითა და გულით გთავაზობთ დახმარებას ყველაფერში, რაც გაწუხებთ. დაიმახსოვრეთ: არასოდეს, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიეცეთ სასოწარკვეთას. იმედი და მოქმედება – ჩვენი მოვალეობაა უბედურებისას. სასოწარკვეთილი უმოქმედობა – მოვალეობის დავიწყება და დარღვევაა. გამოსათხოვრად მოსულებს ახლავე შემოვუშვებ. სკამის თაობაზე მართალი ხართ. სადმე ვიშოვი და შევუდგამ.

მაგრამ ანტიპოვა უკვე აღარ უსმენდა. არც ის გაუგია, როგორ გააღო ოთახის კარი ევგრაფ ჟივაგომ და როგორ მოაწყდა იქაურობას დერეფანში დაგუბებული ბრბო, არ გაუგია, როგორ მოელაპარაკა იგი დაკრძალვის მომწყობთ და მთავარ გამცილებლებს, არ ესმოდა ირგვლივ მოფუსფუსე ხალხის ხმაური, მარინას ქვითინი, კაცების ხველება, ატირებული ქალების შეძახილები.

ერთგვაროვანი ხმაურის ორომტრიალი თავბრუს ახვევდა და გულს ურევდა. რაც შეეძლო, თავს იკავებდა, გული რომ არ წასვლოდა. ბოღმა ახრჩობდა და თავი უსკდებოდა. თავჩაქინდრული ფიქრში წავიდა, მოგონებებში ჩაიძირა. რამდენიმე საათში რომელიღაც მომავალ ასაკში შეაბიჯა, რომელსაც, ვინ იცის, მიაღწევდა თუ არა, და რომელიც რამდენიმე ათეული წლით აბერებდა და დედაბრად ხდიდა. ლარა ფიქრებში ჩაიჩუმქრა, თითქოს თავისი უბედურების უფსკრულში გადაიჩეხა და ფსკერზეღა ბოგინობსო. იგი ფიქრობდა:

„აღარავინ მყავს. ერთი მომიკვდა, მეორემ კი თავი მოიკლა. ერთიღა დარჩა, ვინც არ იყო სიცოცხლის ღირსი, ვისაც ვესროლე და ავაცდინე. ეს ყოვლად უცხო, უსარგებლო არარაობა, ვინც ეს ცხოვრება მანამდე უცნობ დანაშაულთა ჯაჭვად მიქცია. დაეხეტება ეს ურჩხული ახლა ალბათ აზიის ზღაპრულ ქუჩაბანდებში, რომელთა ქვეყნად არსებობაც მხოლოდ მარკების შემგროვებელთ ეცოდინებათ, ხოლო იმათგან, ვინც მიყვარდა და მჭირდებოდა, აღარავინ მყავს.

ეჰ, განა საშობაოდ არ იყო, ვიდრე იმ სიმდაბლის საფრთხობელასათვის სროლას ვიფიქრებდი, ჯერ კიდევ ბიჭუნა პაშას რომ ველაპარაკებოდი ამ ოთახის სიბნელეში, ხოლო იურა, რომელსაც ახლა ეთხოვებიან, ჩემი ცხოვრების თვალსაწიერზე ჯერ არც კი ჩანდა?“

მეხსიერება დაძაბა, პაშენკასთან საშობაო საუბარი რომ გაეხსენებინა, მაგრამ ფანჯრის რაფაზე დადგმული სანთლისა და მის მახლობლად, შუშასთან შეზრდილი ყინულის საფარველში გამლღვალი წრის გარდა ვეღარაფერი გაიხსენა.

განა შეეძლო იმის გაფიქრება, რომ მაგიდაზე მწოლიარე მიცვალებული ქუჩიდან ხედავდა იმ საჭვრიტინოს და იმ სანთელს ყურადღება მიაქცია, რომ გარედან თვალმოკრული ალი, როცა „სანთელი ენთო მაგიდაზე, სანთელი ენთო", – მის ცხოვრებაში შეიჭრა და ბოლომდე გაჰყვა?

აზრი დაებნა. გაიფიქრა: „მაინც რაოდენ სამწუხაროა, საეკლესიო გალობით რომ არ აცილებენ! რა დიადი და საზეიმოა დაკრძალვის წესი! მიცვალებულთა უმეტესობა არც კი არის იმისი ღირსი, იუროჩკას კი როგორ დაამშვენებდა! იგი ისევე იმსახურებდა ამას, როგორც ალილოს ღვთიური მადლით გაბრწყინებული სამგლოვიარო ზარი მოუხდებოდა აქაურობას.

გულზე სიამაყის და სიმსუბუქის ტალღამ გადაუარა, როგორც ყოველთვის ემართებოდა ხოლმე იურიზე ფიქრისას და მასთან ცხოვრების ხანმოკლე დროის განმავლობაში. ახლაც მოიცვა მისგან მარად მომდინარე თავისუფლებისა და უზრუნველობის ამოქროლებამ. ვეღარ მოითმინა, ტაბურეტიდან ადგა. თავადაც არ იცოდა, რა ემართებოდა. უნდოდა, მისი დახმარებით თუნდაც მცირე ხნით გაჭრილიყო თავისუფლად, სუფთა ჰაერზე მწუხარების ამ მორევიდან, ძველებურად ეგრძნო განთავისუფლების ბედნიერება. ამგვარ ნეტარებად ესახებოდა მასთან გამომშვიდობების ბედნიერება, შემთხვევა და უფლება იმისა, რომ ერთადერთს ეტირა განსვენებულზე თავისუფლად და დაუბრკოლებლად. ბრბოს ამღვრეული მზერა მოავლო, ტკივილისაგან გაბზარული და უხილავი ცრემლებით სავსე, თითქოს ოკულისტს თვალებში მწველი წამალი ჩაუწვეთებიაო. ყველანი შეჩოჩქოლდნენ, აქეთ-იქით მიმოიწიეს, ოთახიდან გარეთ გასვლა იწყეს და დახურული კარის მიღმა მარტო დატოვეს. ის კი აჩქარებული პირჯვრის წერით მიუახლოვდა მაგიდას და კუბოს, ევგრაფის მიერ მიდგმულ სკამზე შედგა, სამჯერ ფართოდ და მძიმედ გადასახა ჯვარი სხეულზე და ცივ შუბლსა და ხელებზე მიეხუტა. არც კი უგრძვნია, რომ მიცვალებულს გაყინული შუბლი შეკრული მუშტივით

შეკუმშვოდა. ერთხანს ასე იყო გარინდებული, რამდენიმე წამის განმავლობაში არც ფიქრობდა და აღარც ტიროდა. კუბოზე, ყვავილებსა და ცხედარზე იყო გადამხობილი თავისი სხეულით, მკერდით, სულით და დიდი, სულივით დიდი ხელებით.

15

შეკავებული ქვითინი ერთიანად აცახცახებდა. სანამ შეეძლო, უმკლავდებოდა, მაგრამ ხანდახან ეს მის ძალებს აღემატებოდა, ცრემლები მოსკდებოდა და ულტობდა ლოყებს, კაბას, ხელებს და კუბოს, რომელსაც ეხუტებოდა.

არას ამბობდა, არც ფიქრობდა. აზრთა რიგები, ერთობანი, ცოდნა და რწმენა ცაზე აშლილი ღრუბლებივით, მათი უწინდელი ღამეული საუბრებივით ლაღად მოღელავდნენ და სადღაც მიეშურებოდნენ. აი, ალბათ სწორედ ამას მოჰქონდა ბედნიერება და შვება. არათავისმიერი, მხურვალე, ერთიმეორით შთაგონებული ინსტინქტური და უშუალო ცოდნა.

ასეთი ცოდნით იყო აღსავსე იგი ახლაც, მრუმე, გაურკვეველი ცოდნით სიკვდილის თაობაზე, მისთვის მზად ყოფნით და მის წინაშე უდრტვინველობით. თითქოს ამქვეყნად უკვე მეოცედ ცხოვრობს, უთვალავჯერ ეცლება ხელიდან ჟივაგო და ამის შესახებ ვეებერთელა გამოცდილება დააგროვაო. ასე რომ, ყველაფერი, რასაც ამ კუბოსთან გრძნობს და სჩადის, შესაფერისი და ზედგამოჭრილიაო.

ო, რა სიყვარული იყო ეს, როგორი ლაღი, თავისუფალი და არნახული! ისე ფიქრობდნენ, ვით ერთმანეთთან შეხმატკბილებით მღერიან სხვანი.

აუცილებლობის გამო კი არ უყვარდათ ერთმანეთი, „ტრფიალების ცეცხლზე კი არ იწვოდნენ", როგორც მავანნი ხანდახან ყალბად გამოხატავენ. მათ ერთმანეთი უყვარდათ იმად, რომ ასე სურდა ირგვლივ ყველაფერს: მიწას, რომელზეც დადიოდნენ, ზეცას, რომელიც დაჰნათოდათ,

ღრუბლებს და ხეებს. მათი სიყვარული, შესაძლოა, გარშემო მყოფებს უფრო მეტად ეხატებოდათ გულზე, ვიდრე თავად მათ. შემხვედრ უცნობებს ქუჩაში, სეირნობისას მოლივლივე შორეულ სივრცეს, ოთახებს, სადაც სახლობდნენ ან ხვდებოდნენ ერთიმეორეს.

დიახ, ეს იყო, სწორედ ეს იყო უმთავრესი, რაც ერთმანეთთან აახლოებდათ, ერთსულ და ერთხორც აერთიანებდათ! არასოდეს, არასდროს, ბედნიერების თვით ყველაზე სანეტარო და ცით მოვლენილ წუთებშიც კი არ ტოვებდა მათ ყველაზე მაღალი და მიმზიდველი: სამყაროს ერთად გამოძერწვის სიამოვნება, საერთო სურათთან მათი ერთიანობის გრძნობა, მთელ სანახაობასთან, მთელი ქვეყნიერების მშვენიერებასთან წილნაყარობის განცდა.

ისინი მხოლოდ ამ თანაზიარობით სუნთქავდნენ. ამიტომ იყო, რომ დანარჩენ ბუნებაზე ადამიანის მაღლა დაყენება, ადამიანის გაზულუქება და სათვალფერისო წამხედურობით მისთვის წითელი ვაშლების გორება მათ არ იზიდავდა. პოლიტიკად ქცეული ყალბი კაცთმოყვარეობის საწყისები საცოდავ კუკუმალულობად ეჩვენებოდათ და მისი თავი და ბოლო არ ესმოდათ.

16

და აი, ქალი ეთხოვებოდა მას რეალურობის ჩარჩოს დამამსხვრეველი მხნე, პირდაპირი საუბრის ჩვეულებრივი, საყოველდღეო სიტყვებით და უაზროდ, როგორც უაზროა ტრაგედიების გუნდები და მონოლოგები, სალექსო ენა, მუსიკა და სხვა პირობითობანი, რომელნიც მხოლოდ პირობითობით ამართლებენ მღელვარებებს. ამ შემთხვევაში პირობითობა, რომელიც მისი მსუბუქი, უშუალო საუბრის დაძაბულობას ამართლებდა, იყო მისი ცრემლები. მისი ცხოვრებისეული, ნიადაგ სახმარი სიტყვები სწორედ მათში იძირებოდნენ, დაცურავდნენ და ყელყელაობდნენ.

თითქოს ცრემლებით დასველებული ეს სიტყვები თვითონვე ეწებებოდნენ ერთმანეთს მის ალერსიან, ნაჩქარევ ტიტინში, როგორც აშრიალებს ქარი თბილი წვიმებით ერთმანეთში ჩახლართულ, აბრეშუმივით ხასხასა ნოტიო ფოთლებს.

– აი, ჩვენ ისევ ერთადა ვართ, იურიჩკა. როგორ შეგვახვედრა ძველებურად ღმერთმა ერთმანეთს. აბა დაფიქრდი, რა საშინელებაა! ო, აღარ შემიძლია! ღმერთო დიდებულო! ვბღავი და ვბღავი! აბა დაფიქრდი! ხედავ, ისევ ჩვენებურად და ძველებურად ვაგრძელებ. შენი წასვლა ხომ ბოლოა ჩემი. კიდევ რაღაცა უსაშველო და გამოუსწორებელი დამემართება. სიცოცხლის გამოცანა, სიკვდილის გამოცანა, გენიის მშვენიერება, სიშიშვლის მშვენიერება, კი ბატონო, ეს ჩვენ გვესმოდა. რაც შეეხება წვრილმან მსოფლიო კინკლაობებს, როგორიცაა დედამიწის ხელახალი გადანაწილება, ნურას უკაცრავად, თავი დაგვანებონ, ეგეთი რამეები ფიქრად სულაც არა გვქონია.

მშვიდობით, ჩემო დიდო და მშობლიური, მშვიდობით, ჩემო სიამაყევ, მშვიდობით, ჩემო ღრმა და სწრაფო მდინარევ. როგორ მიყვარდა დაუღალავი შენი დგაფუნი, როგორ მიყვარდა შენს გრილ ტალღებში თავდავიწყებით გადაშვება.

გახსოვს, იქ, თოვლში რომ გეთხოვებოდი? როგორ მომატყუე! განა უშენოდ წავიდოდი? ო, ვიცი, ვიცი, რად დაგიჯდა ამის ჩადენა, შენ ხომ ეს ვითომდა ჩემი სიკეთისათვის ჩაიდინე. მაშინ ყველაფერი წყალში ჩაიყარა. ღმერთო, მაშინ რა სამსალა ვსვი, რა გადავიტანე! მაგრამ შენ ხომ არაფერი იცი. ო, რომ იცოდე, რა ჩავიდინე, იურა, რა ჩავიდინე! ვერ წარმოიდგენ, რა დამნაშავე ვარ! მაგრამ არ არის ჩემი ბრალი. სამი თვე ვიწექი მაშინ საავადმყოფოში, აქედან ერთი უგონოდ გავატარე. მას მერე ჩემს წოწიალს სიცოცხლეც აღარ ეთქმის, იურა. სიბრალულის და ტანჯვისაგან სამუდამოდ დავკარგე სულის მყუდროება. მაგრამ მე ხომ ჯერ მთავარს არ ვამბობ, მთავარს არ ვამჟღავნებ. არ შემიძლია, ვერაფრით

ვიტყვი, როდესაც ჩემი ცხოვრების ამ ადგილამდე ვაღწევ, შეძრწუნებისაგან თმა ყალყზე მიდგება. ის კი არა და, იცი, ველარც კი გეტყვი, სრულ ჭკუაზე თუ ვარ. მაგრამ ხომ ხედავ, სხვათა და სხვათა მსგავსად, სასმელს არ ვეტანები, ამ მოლიპული გზით არ ვექანები, რადგან გალეშილი ქალი უკვე ყველაფრის დასასრულია, ეს რაღაც წარმოუდგენელია, ხომ მართალია?

კიდევ ბევრი ილაპარაკა, იზლუქუნა და ითავცემა. უეცრად გაკვირვებით ასწია თავი და მიმოიხედა. კარგა ხანი იყო, ოთახში ხალხი ირეოდა, ირგვლივ მწუხარებას და ფუსფუსს დაესადგურებინა. ქალი სკამიდან ჩამოვიდა, კუბოს გაშორდა, თან ხელისგული თვალებზე მოისვა. თითქოს დაუღვრელ ცრემლებს იწურავს, იატაკზე რომ დააფრქვიოსო.

კუბოს კაცები მიუახლოვდნენ და სამ ტილოზე დაასვენეს. გამოსვენება დაიწყო.

ლარისა ფეოდოროვნამ რამდენიმე დღე გაატარა კამერჰერის შესახვევში. ნაწერების გარჩევა, რაზეც ევგრაფ ანდრეევიჩთან იყო საუბარი, მისი მონაწილეობით დაიწყო, მაგრამ ბოლომდე აღარ მისულა. ევგრაფ ანდრეევიჩთან ის საუბარიც გაიმართა, ქალი რომ სთხოვდა. კაცმა რაღაც მნიშვნელოვანი შეიტყო მისგან.

ერთხელ ლარისა ფეოდოროვნა სახლიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. ეტყობა, იმ დღეებში ქუჩაში დააპატიმრეს და საერთო თუ ქალთა საკონცენტრაციო ბანაკის სახელდახელოდ შედგენილი სიის რომელიღაც ნომრად მივიწყებულმა, სადმე სული განუტევა ან კვალწმინდად დაიკარგა. ჩრდილოეთში ხომ ასეთ ბანაკებს თვლა არა ჰქონდა.

ნაწილი მეთექვსმეტე

ეპილოგი

1

ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის ზაფხულში, კურსკის რკალის გარღვევისა და ორიოლის განთავისუფლების შემდეგ, მოსკოვიდან თავიანთ საერთო სამხედრო ნაწილში ცალ-ცალკე ბრუნდებოდნენ ახლახან უმცროსი ლეიტენანტის ჩინმიღებული გორდონი და მაიორი დუდოროვი, პირველი სამსახურებრივი მივლინებიდან, ხოლო მეორე – სამდღიანი შვებულებიდან.

უკან დაბრუნებისას ორივემ ღამე ჩერნიში გაათია. ეს პაწაწინა ქალაქი თუმცა გაეპარტახებინათ, მაგრამ უკანდახეული მტრის მიერ მიწის პირიდან აღგვილი ამ „უდაბნოს ზონის" დასახლებული ადგილების უმეტესობის მსგავსად არ იყო მთლიანად მოსპობილი.

აგურის ნამტვრევებად და ღორღის გროვად ქცეულ ქალაქის ნანგრევებში საღამო ხანს ერთი დაუზიანებელი სათივე ნახეს და თავი იქ შეაფარეს.

ძილი არ ეკარებოდათ. მთელი ღამე საუბარში გაატარეს. სამ საათზე თვალმილულული დუდოროვი გამთენიისას გორდონის ჩოჩქოლმა გააღვიძა. თითქოს წყალშიაო, რბილ თივაზე უხერხულად ფართხალებდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით შეკრა ფუთად თავისი საცვლები, თივის ბულულიდან ჩაბობღდა და სათივის კარისაკენ გაემართა.

– საით შენი მგზავრობა? ჯერ ადრეა.

– მდინარეზე ჩავალ. რაღაც-რაღაცეები მინდა გავირეცხო.

– რამ გადაგრია, საღამოს ნაწილში ვიქნებით. მეთეთრეულე ტანკა სუფთა საცვლებს მოგცემს. რა სულწასულობაა.

– საქმის გადადება არ მინდა. გავიოფლე, გამოსაცვლელი მაქვს, ცხელი დილა იქნება. სახელდახელოდ გავავლებ, კარგად გავწურავ, თვალის დახამხამებაში გაშრება მზეზე. ვიბანავებ და გამოვიცვლი კიდეც. – მაინც უხერხულია. სხვა რომ არა იყოს რა, ოფიცერი ხარ.

– ჯერ ადრეა. გარშემო ყველას სძინავს. სადმე ბუჩქებში გავალ. ვერავინ დამინახავს. შენ დაიძინე. ნუღარ ლაპარაკობ, ძილი გაგიფრთხება.

– სულ ერთია, აღარ დამეძინება. მეც გამოგყვები.

და ისინი გაემართნენ ქვის თეთრ ნანგრევებს შორის, რომელთაც უკვე მოესწროთ გახურება ცოტა ხნის წინათ ამოწვერილ მცხუნვარე მზეზე. ყოფილ ქუჩებში, მიწაზე, მზის გულზე ხვრინავდნენ ოფლიანი, სახეშეწითლებული ადამიანები. მეტწილად ადგილობრივი, უსახლკაროდ დარჩენილი მოხუცები, ქალები და ბავშვები იყვნენ. შიგადაშიგ თავთავიანთ ნაწილებს ჩამორჩენილი და მათ კვალდაკვალ გამოდევნებული წითელარმიელებიც ერივნენ. გორდონი და დუდოროვი მძინარეთა მორის ფეხაკრეფით მიიპარებოდნენ, სულ ძირს იყურებოდნენ, შიშობდნენ, ფეხი არავის დავადგათო.

– ჩუმად ილაპარაკე, თორემ მთელ ქალაქს გავაღვიძებთ და დარჩება ოხრად ჩემი სარეცხი.

ჩუმი ჩურჩულით განაგრძობდნენ ღამეულ საუბარს.

2

– რას ეძახიან ამ მდინარეს?

– არ ვიცი. არ მიკითხავს. მგონი ზუშას.

– არა, ზუშას არა. რაღაც სხვა სახელია.

– მაშინ არ ვიცი.

– ზუშაზე არ იყო, ის ამბავი რომ დატრიალდა? ქრისტინაზე გეუბნები.

– ჰო, მაგრამ სხვა ადგილი იყო, სადღაც ქვევით. ამბობენ, ეკლესიამ წმინდანად შერაცხაო.

– იქ ქვის ნაგებობა იყო, „საცხენეს” ეძახიან. მართლაც, საბჭოთა მეურნობის ცხენსაშენის თავლა იყო. ზოგადად ეგრე ერქვა, მერე კი ისტო-

რიულად გადაიქცა ძველებური შენობა იყო, სქელკედლებიანი გერმანელებმა გაამაგრეს და მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ აქციეს. იქიდან ხელისგულივით ჩანდა მთელი ახლომახლო ადგილები. ტყვიას გვიშენდნენ და ჩვენი შეტევა ბრკოლდებოდა. ის საჯინიბო უნდა აგვეღო:

ქრისტინამ სასწაულებრივი სიმამაცის, ჭკუის და მოხერხების წყალობით შეაღწია გერმანელთა განლაგებაში, თავლა ააფეთქა. ცოცხლად შეიპყრეს და ჩამოახრჩვეს.

– რატომ ქრისტინა ორლეცოვა, განა დუდოროვად არ იწერებოდა? – ჩვენ ხომ ჯერ შეუღლებულნი არ ვიყავით. ორმოცდაერთი წლის ზაფხულში პირობა დავდეთ, ომის დამთავრებისთანავე დავქორწინებულიყავით. მას მერე დანარჩენ არმიასთან ერთად ვეწეოდი მომთაბარეობას. ჩემს ნაწილს გაუთავებლად დაარბენინებდნენ აღმა-დაღმა. ამ თრევა-თრევაში თვალთახედვიდან დავკარგე კიდეც. მერე აღარასოდეს მინახავს. მისი სიმამაცისა და გმირული სიკვდილის ამბავი მეც ისე შევიტყვე, როგორ სხვებმა – გაზეთებიდან და პოლკის ბრძანებებიდან.

ამბობენ, სადღაც ამ მიდამოებში მისთვის ძეგლის დადგმას აპირებენო. როგორც გავიგე, განსვენებული იურის ძმა, გენერალი ჟივაგო დადის ამ ადგილებში და მასზე ცნობებს აგროვებსო.

– მაპატიე, მასზე სიტყვა რომ ჩამოგიგდე. ალბათ გიმძიმს საუბარი. – საქმე ეგ როდია. თუმცა მართლაც ენად გავიკრიფეთ. ხელს აღარ შეგიშლი. გაიხადე, ჩადი წყალში და საქმეს შეუდექი. მე კი ნაპირზე წამოვწვები და წველს გავღეჭავ. იქნებ როგორმე წავთვლიმო კიდეც. რამდენიმე წუთის შემდეგ საუბარი განახლდა.

– ასეთი რეცხვა სად ისწავლე?

– გაჭირვება ყველაფერს გასწავლის. ჩვენ, ჩემო ძმაო, არ გაგვიმართლა, საჯარიმო ბანაკებიდან ყველაზე საშინელი შეგვხვდა. იშვიათად თუ ვინმემ გამოაღწია ცოცხალმა. მისვლისთანავე გვეცნენ, პატიმრების პარტია ვაგონიდან გამოყარეს. გარშემო თოვლის უდაბნოა, შორს კი ტყეა. დაცვა, შაშხანების დაბლა დაშვებული ლულები, ქოფაკი ძაღლები,

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ახალ-ახალი ჯგუფები მორეკეს. მთელ იმოდენა მინდორზე ფართო მრავალკუთხედის სახით მოგვაწყვეს. ერთმანეთი რომ არ დაგვენახა, ზურგი შიდა მხარეს გვქონდა მიქცეული.

დაიჩოქეთო, გვიბრძანეს და დაგვემუქრნენ, გვერდზე გახედვა და ზურგში ტყვია ერთი იქნებაო. დაიწყო სიის ამოკითხვის გაუთავებელი, მრავალსაათიანი დამამცირებელი პროცედურა. თანაც სულ მუხლებზე ვიდექით.

მერე წამოვდექით, სხვა პარტიები სხვადასხვა ადგილას გაანაწილეს, ჩვენ კი გამოგვიცხადეს: „აი თქვენი ბანაკი. როგორც გენებოთ, ისე მოეწყვეთო". წარმოიდგინე ღია ცის ქვეშ გადაჭიმული თოვლიანი მინდორი, შუაგულში დასობილი ბოძი, ბოძზე წარწერაა „გულაგი 92 იან 90" და სხვა არაფერი.

– არა, ჩვენთან უფრო იოლი იყო. ბედმა გაგვიღიმა. მე ხომ მეორედ ვიჯექი, რაც პირველს მოჰყვა. გარდა ამისა, მუხლიც სხვა იყო და პირობებიც. განთავისუფლების მერე კვლავ აღმადგინეს, როგორც პირველად, და კიდევ ერთხელ დამრთეს ნება უნივერსიტეტში ლექციები მეკითხა. ომშიც მაიორის სრული უფლებებით გამიწვიეს და არა საჯარიმოს სახით, როგორც შენ.

– დიახ, ერთადერთი ბოძი იყო წარწერით „გულაგი 92 იან 90" და სხვა არაფერი. პირველ ხანებში ყინვაში შიშველი ხელებით ქოხებისათვის ლატანს ვამტვრევდით. და როგორ ფიქრობ, არც კი დაიჯერებ, რომ თანდათანობით ჩვენვე მოვიწყვეთ, ჩვენვე გავიჩორკნეთ დილეგები, გარს შემოვივლეთ მესერი, მოვიწყვეთ კარცერები, საყარაულო კოშკურები, – ყველაფერი თავად მოვახერხეთ. და დაიწყო ხე-ტყის დამზადება. ხეებსა ვჭრიდით. რვა-რვა კაცი ვებმებოდით მარხილებში, ყელამდე თოვლში ჩაფლულებს ჩვენივე ხელით გამოგვქონდა მორები. დიდხანს არც კი გაგვიგია, ომი რომ დაიწყო. გვიმალავდნენ. და ერთბაშად – შემოგვთავაზეს. ვისაც გინდათ, საჯარიმო ნაწილებში გადითო ფრონტზე, და თუ გაუთა-

ვებელი ბრძოლებიდან ცოცხლად გამოხვალთ, თავისუფლებას მოგანიჭებთო. მერე შეტევას შეტევა მოჰყვა, კილომეტრობით მავთულხლართები, რომლებშიც დენი იყო გატარებული, ნაღმები, ნაღმმტყორცნები, გრიგალისებური ცეცხლის თვეები სულ ერთმანეთში აირია. იმ ასეულებში ტყუილად კი არ გვიწოდებდნენ სასიკვდილოდ გადადებულებს. უკანასკნელ კაცამდე გვცელავდნენ. არადა, მაინც როგორ გადავრჩი? როგორ გადავრჩი? მაგრამ, ისიც იცოდე, მთელი ის სისხლიანი ჯოჯოხეთი ბედნიერება იყო საკონცენტრაციო ბანაკის საშინელებებთან შედარებით, თანაც პირობების სიმძიმით კი არა, სულ სხვა რამით. – ჰო, ჩემო ძმაო, საკმაოდ შესვი შხამის სამსალა.

– რეცხვა კი არა, რა გინდა სულო და გულო, იქ რომ არ გესწავლა. – საოცარია. მარტო შენი კატორღული ხვედრის წინაშე კი არა, ოცდაათიანი წლების დროინდელ ყოფასთან შედარებით, თავისუფალი ცხოვრების პირობებშიც კი, როცა არც საუნივერსიტეტო მოღვაწეობის სიკეთე გვაკლდა, არც წიგნები, ფული და სხვა რამ წყალობა, ომი გამწმენდი ქარიშხალივით, სუფთა ჰაერის ნაკადივით, ხსნის ნიავივით მოგვევლინა.

ჩემი აზრით, კოლექტივიზაცია ყალბი, წარუმატებელი ღონისძიება გამოდგა და შეცდომის აღიარებაც შეუძლებელი იყო. ის ჩავარდნა რომ დაემალათ, საჭირო იყო დაშინების ყოველგვარი საშუალებით აეძულებინათ ხალხი, ფიქრსა და განსჯას გადაჩვეულიყო, არარსებული დაენახა და ემტკიცებინა იმის საწინააღმდეგოდ, რაც დღესავით ნათელი იყო. სწორედ ამას მოჰყვა ვიგინდარა ეჟოვის უმაგალითო სისასტიკეც, თვალის ასახვევად ჩაფიქრებული უმოქმედო კონსტიტუციის გამოქვეყნებაც და არჩევითობის საწყისებზე დაუფუძნებელი არჩევნების შემოღებაც. და როცა ომის ქარცეცხლი დატრიალდა, მისი რეალური საშინელებანი, რეალური საფრთხე და რეალური სიკვდილის მუქარა წყალობა იყო სიცრუისა და ორპირობის არაადამიანურ მბრძანებლობასთან შედარებით, მათ შვება მოჰქონდათ, იმის გამო, რომ მკვდარი კანონის გრძნეულ ძალას ფრთები ეკვეცებოდა.

ადამიანებმა, არა მარტო კატორღაში, შენს მდგომარეობაში, არამედ ყველგან, ზურგშიც და ფრონტზეც, თავისუფლად, მთელი გულით ამოისუნთქეს და გატაცებით, ჭეშმარიტი ბედნიერების გრძნობით გადაეშვნენ მრისხანე, სასიკვდილო და ამავე დროს მხსნელ ქურაში.

– ომი რევოლუციური ათწლედების ჯაჭვის განსაკუთრებული რგოლია. ყავლი გაუვიდა იმ მიზეზთა მოქმედებას, რომელთაც უშუალოდ მოიცავდა გადატრიალების ბუნება. ზემოქმედება დაიწყეს ირიბმა შედეგებმა, ნაყოფთა ნაყოფებმა, მიზეზთა მიზეზებმა. ჩვენს წინაშეა უბედურებათა ცეცხლში გამოტარებულ ხასიათთა წრთობა, გაკაჟება, გმირობა, მზად ყოფნა დიადი, თავგანწირული, არნახული საქმისათვის. ეს კი ზღაპრული, განსაცვიფრებელი თვისებებია და თაობის ზნეობრივ სახესაც სწორედ ისინი შეადგენენ.

ეს დაკვირვება ბედნიერების გრძნობით მავსებს, მიუხედავად კრისტინას მოწამეობრივი სიკვდილისა, ჩემი ჭრილობებისა, ჩვენი დანაკარგებისა, ომის ესოდენ ძვირად ღირებული სისხლიანი ფასისა. ორლეცოვას სიკვდილით გამოწვეული სიმძიმილის გადატანაში თავგანწირულობის სწორედ ის ნათელი მეხმარება, რითაც გაბრწყინებულია მისი აღსასრულიც და თითოეული ჩვენგანის სიცოცხლეც.

სწორედ მაშინ, როცა შენ, შე საწყალო, აურაცხელი სატანჯველით იტანჯებოდი, გამათავისუფლეს. ორლეცოვაც სწორედ იმ ხანებში მოეწყო ისტორიის ფაკულტეტზე. სამეცნიერო ინტერესებმა ჩემამდე მოიყვანეს. კარგა ხანი იყო, რაც ეს საუცხოო გოგონა თვალში ჩამივარდა, საკონცენტრაციო ბანაკში პირველად მოხვედრის შემდეგ, როცა ჯერ კიდევ ბავშვი იყო. გახსოვს, იური ცოცხალი იყო, მასზე რომ ვყვებოდი. და აი, ახლა, ესე იგი, ჩემს მსმენელთა შორის ისიც მოხვდა.

მაშინ ის-ის იყო მოდაში შემოვიდა მოსწავლეთა მიერ მასწავლებელთა დამუშავება. ორლეცოვაც გატაცებით შეუდგა ჩემს განქიქებას ერთადერთმა უფალმა უწყის, რას მერჩოდა, ისეთი გააფრთებით დამეძგერა.

მისი თავდასხმები იმდენად შეუპოვარი, თავგადაკლული და უსამართლო იყო, კათედრის დანარჩენი სტუდენტები ზოგჯერ პირს ჰკრავდნენ და ერთიანად მიცავდნენ. ორლეცოვა ჩინებული ენაკვიმატი ვინმეც იყო, კედლის გაზეთში ყველასათვის ადვილად საცნაურ გვარს მომიგონებდა, მომდგებოდა და გიყვარდეს, ის მე მამათრახებდა. მერე უეცრად სრულიად შემთხვევით გაირკვა, რომ თურმე ის გაანჩხლებული მტრობა ახალგაზრდული, მტკიცე, ფარული და დიდი ხნის შეგუბებული სიყვარულის ერთგვარი შესანიღბავი საშუალება ყოფილა. მეც იმგვარადვე ვპასუხობდი.

ორმოცდაერთში, ომის პირველ წელს, მის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე და მისი გამოცხადების პირველ ხანებში საოცარი ზაფხული გვქონდა. რამდენიმე სტუდენტი, გოგონებიც და ბიჭებიც, მათ შორის ისიც, მოსკოვის ახლოს დასახლდნენ, სააგარაკო ადგილზე, სადაც შემდგომში ჩემმა ნაწილმა დაიბანაკა. ჩვენი მეგობრობაც მაშინ დაიწყო და იქვე გაგრძელდა, მათი სამხედრო მომზადების პირობებში, საგარეუბნო სახალხო რაზმების ჩამოყალიბებისას, როცა ქრისტინა პარაშუტით ხტომაში ვარჯიშობდა, როცა მოსკოვის სახურავებიდან გერმანელთა პირველ თავდასხმებს ვიგერიებდით. უკვე გითხარი, რომ ნიშნობა იქ გადავიხადეთ და იმის გამო, რომ ჩემი ნაწილი ახალ ადგილზე უნდა გადასულიყო, ერთიმეორეს მალე დავშორდით. ის იყო და ის, მას მერე თვალით აღარ მინახავს.

როცა ჩვენს საქმეებში სასიკეთო გარდატეხა მოხდა და გერმანელებმა ათასობით დაიწყეს ტყვედ ჩაბარება, ორჯერ დაჭრისა და ჰოსპიტალში წოლის შემდეგ საზენიტო არტილერიიდან შტაბის მეშვიდე განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც ენების მცოდნე ხალხი სჭირდებოდათ. მას შემდეგ, რაც თითქოსდა ქვესკნელში მოგნახე, ყველაფერი ვიღონე, რომ შენც იქ გადმოეყვანეთ.

– მეთეთრეულე ტანია კარგად იცნობდა ორლეცოვას. ისინი ფრონტზე შეხვდნენ ერთმანეთს და მეგობრობდნენ. ტანია ბევრ რამეს ჰყვება

ქრისტინაზე. არ ვიცი, შენიშნე თუ არა, რომ ეს გოგო იურისავით მთელი სახით იცინის, წუთით აღარც ცხვირი მოუჩანს პაჭუად და ეგრერიგად აღარც ყვრიმალის კუთხეები გხვდება თვალში. მიმზიდველი, ლამაზი სახე უხდება. ეს ჩვენში ფართოდ გავრცელებული ერთი და იგივე ჯიშის სახეა.

– ვიცი, რასაც ამბობ., მართლაც რომ ეგრეა. ადრე არ დავკვირვებივარ.

– რა ბარბაროსული, უმსგავსო მეტსახელია ტანკა ბეზოჩერედოვა. ყოველ შემთხვევაში, ეს გვარი კი არა, რაღაც გამონაგონი, მახინჯი სიტყვაა. რას იტყვი?

– ხომ აგვიხსნა. უპატრონოდ გაზრდილა, მშობლები არც კი ახსოვს. ალბათ სადღაც, რუსეთის სიღრმეში, სადაც ჯერ კიდევ წმინდაა და ურყვნელი ენა, თავდაპირველად „ბეზ ოტჩაია" ანუ „უმამო" შეარქვეს. ქუჩამ კი მისი მნიშვნელობა ვერ გაიგო. ის ხომ ყველაფერს ზერელედ ისმენს, მერე კი თავის ყაიდაზე ასხვაფერებს და აბიაბრუებს. ჰოდა, ეტყობა, ეს სიტყვაც ხელზე დაიხვია და თავისებურად, ქუჩურად ააბურთავა.

3

ეს ამბავი ძირფესვიანად განადგურებულ ქალაქ კარაჩევში მოხდა, გორდონისა და დუდოროვის ჩერნიში ღამისთევისა და იქაური საუბრის ახლო ხანებში. თავიანთი არმიის კვალდაკვალ დადევნებული მეგობრები მის მთავარ ძალებს ჩამორჩენილ ზურგის ნაწილებს სწორედ აქ წამოეწივნენ.

თვეზე მეტი იყო, ცხელი შემოდგომის მზიანი დარი იდგა. ლურჯი, უღრუბლო ციდან მხურვალე სხივებდაფრქვეული, ორიოლსა და ბრიანსკს შორის მოქცეული დალოცვილი მხარის – ბრიანშჩინის შავი, ნოყიერი მიწა მზეზე ყავის თუ შოკოლადის ფერად ელავდა.

ქალაქს მთავარი, სწორი ქუჩა ორად ჰკვეთდა და დიდ გზას უერთდებოდა. ერთი მხრივ მას მიუყვებოდა დანგრეული, ნაღმებით სამშენებლო ნაგვად ქცეული სახლებისა და მიწასთან გასწორებული ხეხილის ბაღების მიწიდან ამოყრილი, დახლეჩილი და დამწვარ-დახრუკული ხეების წყება. ქუჩის მეორე მხარეს უდაბურობას დაესადგურებინა. ეტყობა, ქალაქის განადგურებამდეც არ იყო აქ ბევრი შენობა და რაკი მოსასპობიც აღარაფერი იყო, ეს ადგილები ცეცხლსაც და დენთის აფეთქებებსაც შედარებით მეტად დაენდოთ.

წინანდელი განაშენიანების მხარეს უსახლკარო მცხოვრებნი აბოლებულ ნაცარში იქექებოდნენ, რაღაც-რაღაცეებს პოულობდნენ და ნახანძრალის შორეული კუთხეებიდან ერთ ადგილზე აგროვებდნენ. სხვები ნაჩქარევად თხრიდნენ მიწურებს და საცხოვრისის გადასახურად ბელტებს ჭრიდნენ.

მოპირდაპირე, უშენ ადგილებში თეთრი კარვები იყო გაშლილი და მეორე ეშელონის ათასნაირი სამსახურის საბარგო მანქანები და ცხენის ფურგონები, თავ-თავიანთი დივიზიონების შტაბებიდან მოწყვეტილი საველე ჰოსპიტლები, გზაარეული, დამფრთხალი და ერთმანეთის მაძებარი ნაირ-ნაირი პარკების, საინტენდანტოების და სასურსათო საწყობების განყოფილებები ირეოდნენ. აქვე უთავბოლოდ დალასლასებდნენ, დასანაყრებლად აქა-იქ იკუნჭებოდნენ, ძილს ეძალებოდნენ და მერე ისევ დასავლეთისკენ მიემართებოდნენ სამარშო ასეულების შევსების გაძვალტყავებული, ლანდად ქცეული, ნაცრისფერ პილოტურიანი, მძიმე ნაცრისფერ სახვევებიანი, გამოთავებულ, მიწისფერ, დიზენტერიით ფერწასულ სახეებიანი ბიჭბუჭები.

სანახევროდ ფერფლად და ნაცარტუტად ქცეული ქალაქი ისევ იწვოდა და ფეთქდებოდა შორს, დაყოვნებული მოქმედების ნაღმების განლაგების ადგილებში. მიწა რომ შეზანზარდებოდა, ბაღებში მომუშავენი ჩერდებოდნენ, წელში იმართებოდნენ, ბარის ტარს ეყრდნობოდნენ, თავს

აფეთქების მხარეს ატრიალებდნენ, ისვენებდნენ და იმ ადგილებს დიდ-ხანს თვალს არ აშორებდნენ.

იქ ჯერ სვეტებად და შადრევნებად, მერე ზოზინით, მძიმე ნაკადებად ადიოდნენ ცისკენ ჰაერში ატყორცნილი ნაგვის ნაცრისფერი, შავი, აგურივით წითელი და კვამლიან-ცეცხლოვანი ღრუბლები, იშლებოდნენ, იფანტებოდნენ და ისევ მიწას უბრუნდებოდნენ. მომუშავენიც თავიანთ საქმეს განაგრძობდნენ.

დაუსახლებელ მხარეზე გაშლილ მინდორს გარშემო ბუჩქები ჰქონდა შემორიგებული, შუაგულში კი ბებერი ხეების ფოთლებით იყო დაჩრდილული. ამ მცენარეული საფარით იქაურობა დანარჩენი სამყაროსაგან განცალკევებული იყო და გრილ ბინდბუნდში ჩაფლულ, განმარტოებულ ეზოს წააგავდა.

მინდორზე მეთეთრეულე ტანია, მისი ორი-სამი თანაპოლკელი და რამდენიმე შეკედლებული მგზავრი, აგრეთვე გორდონი და დუდოროვი დილის აქეთ ტანიას წასაყვანად და პოლკის ქონების წასაღებად გამოგზავნილ საბარგოს ელოდებოდნენ. მთელი ავლადიდება ერთმანეთზე დახორებულ ყუთებში იყო მოთავსებული. ტატიანა სდარაჯობდა მას და ფეხს არ იცვლიდა. დანარჩენებიც შიშობდნენ, ემანდ მანქანა უჩვენოდ არ წავიდესო, და შორიახლო ტრიალებდნენ.

ბარე ხუთი საათი იქნებოდა, რაც იცდიდნენ. საქმეშემოლეულებმა აღარ იცოდნენ, თავი რითი შეექციათ. იდგნენ და ენაჭარტალა, მრავალჭირვარამგამოვლილი გოგოს გაუთავებელ ტიკტიკს ისმენდნენ. იგი შეკრებილთ გენერალ-მაიორ ჟივაგოსთან თავის შეხვედრაზე უამბობდა: – ეგრე იყო. გუშინ პირადად მიმიყვანეს გენერალთან, გენერალ-მაიორ ჟივაგოსთან. გავლით იყო ამ ადგილებში. ქრისტის საქმე აინტერესებდა და იმაზე მეკითხებოდა. თვითმხილველების ნახვა უნდოდა, თავისი თვალით რომ უნახავთ ის გოგო, იმათი. ჩემზე მოასწავლეს. ისაო, ეთქვათ, იმისი დაქალიაო. ასე რომ, გამომიძახეს, მიმიყვანეს. საშიში ვინმე სულაც არ ყოფილა. ისეთი არაფერია, სხვებისგან სულ არ განსხვავდება.

ელამი კაცია, შავგვრემანი. რაც ვიცოდი, ხომ არ დავუმალავდი, სუყველაფერი გადმოვულაგე. მომისმინა და გმადლობთო, მითხრა. შენ თვითონაო, მკითხა, სადაური და ვისი ხარო? მე, რა თქმა უნდა, მივუკიბმოვუკიბე. აბა რით უნდა მომეწონებინა თავი? უპატრონო ვარ და საერთოდ, ხომ იცით, რა აღარ გადამხდენია. ეს გამოსასწორებელი სახლებიო, ეს მაწანწალობაო. ის კი მიყურებს და თვალსაც არ ახამხამებს. მიდიო, მეუბნება, რისი გრცხვენია, შეუბერეო. თავიდან მერიდებოდა, ერთი-ორი სიტყვა ძლივს ამოვღერღე. მერე და მერე გავუტიე. რაკი დავინახე, თავს მიქნევდა, გავთამამდი. მოსაყოლი კი, იცოცხლე, ბლომადა მაქვს. რომ მოგიყვეთ, არ დამიჯერებთ, იფიქრებთ, იგონებსო. ჰოდა, ისიც ეგრე იყო. რომ დავამთავრე, წამოდგა, ქოხში გაიარ-გამოიარა, კუთხიდან კუთხეში. ღმერთო, რა მესმისო, ამბობს, ეს რა სასწაულიაო. იცი რაო, მეუბნება, ახლა დრო არა მაქვსო. ნუ გეშინია, გიპოვი და კიდევ ერთხელ დაგიძახებო. უბრალოდ, არ მეგონა, თუ როდისმე ამას მოვისმენდიო. მეო, მეუბნება, ეგრე არ დაგტოვებო. კიდევ რაღაცეების გარკვევა მინდა, სხვადასხვა წვრილმანებისაო. ერთიც ვნახოთ და შენს ბიძად ჩავეწერო, გენერლის ძმისშვილად გაქციოო. გასწავლი კიდეც, უმაღლესში მიგაბარებ, რომელსაც ისურვებო. ღმერთმანი, არა ვტყუივარ, აი ასეთი ხუმარებითაა ქვეყანა სავსე.

ამ დროს მინდორზე გრძელი, ცარიელი, მაღალგვერდებიანი საზიდარი შემოჭრიალდა, რომლითაც პოლონეთსა და დასავლეთ რუსეთში ძნას ეზიდებიან. ამ ორცხენიანი საზიდრის კოფოზე აღალის ჯარისკაცი იყო შესკუპებული, რომელსაც ძველად ფურლეიტს ეძახდნენ. მოსაუბრეებს რომ გაუსწორდა, საზიდარი შეაჩერა, ძირს ჩამოხტა და ცხენების გამოხსნას შეუდგა. ტატიანას და რამდენიმე ჯარისკაცის გარდა ყველანი იმ მეეტლეს შემოეხვივნენ და ხვეწნა დაუწყეს, ღმერთი გიშველის, მაგ ცხენებს ნუ გამოხსნი, სადაც გეტყვით, წაგვიყვანე და რაც ღირს, გადაგიხდითო. ჯარისკაცმა ცივად იუარა, არც ეს ცხენებია ჩემი და არც საზიდა-

რი, დავალება მაქვს, იმას ვასრულებო. გამოხსნილ ცხენებს ხელი მოჰკიდა, სადღაც წაასხა და მას მერე აღარ გამოჩენილა, მიწაზე მსხდომნი წამოიშალნენ და ცარიელ საზიდარში ჩასხდნენ. ტატიანაც კვლავ თავის ამბავს მიუბრუნდა.

– რა უამბე გენერალს, – ჰკითხა გორდონმა, – თუ შეიძლება, გაგვიმეორე.

– რა უჭირს, შეიძლება.

და გარშემო მყოფთ უამბო თავისი საშინელი თავგადასავალი.

4

– მოსაყოლი მართლაც ბევრი მაქვს. გამიგონია, თითქოს უბრალო ხალხის შვილი არ უნდა ვიყო. არ ვიცი, სხვამ მითხრა თუ მე ჩამრჩა გულში, მაგრამ გაგონილი მაქვს, ვითომც დედაჩემი, რაისა კომაროვა, თეთრ მონღოლეთში შეფარებული თუ მიმალული რუსი მინისტრის, ამხანაგ კომაროვის ცოლი ყოფილა. არა, მამა არ ყოფილა ჩემი, როგორცა ჩანს, ის კომაროვი. მე კი, რა თქმა უნდა, ერთი უსწავლელი გოგო ვარ, უდედმამოდ ვიზრდებოდი ობლად. იქნებ გაგეცინოთ კიდეც ჩემ ნათქვამზე, მაგრამ იმას ვამბობ, რაც ვიცი და უნდა შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში.

დიახ. ესე იგი, რასაც მოგიყვებით, კრუშიცების იქით იყო, ციმბირის მეორე მხარეს, ჩინეთის საზღვართან ახლო. როცა ჩვენ, ესე იგი ჩვენი წითლები იმათ მთავარ თეთრ ქალაქს მიუახლოვდნენ, სწორედ იმ კომაროვ-მინისტრმა დედაჩემი მთელ მათ ოჯახებთან ერთად საგანგებო ლიტერის მატარებელში ჩასვა და უბრძანა წასულიყვნენ, რაკი დედაჩემი დაშინებული ჰყავდა და უიმისოდ ფეხის გადადგმასაც ვერა ბედავდა. ჩემზე კი იმან არაფერიც არ იცოდა. კომაროვმა მეთქი. არ იცოდა, რომ, როგორც ასეთი, ვარ ქვეყანაზე. დედაჩემმა მის არყოფნაში გამაჩინა და შიშისაგან გული უსკდებოდა, ვაითუ ვინმემ რამე წამოაყრანტალოსო. იმ

კაცს საშინლად არ უყვარდა ბავშვები, სულ ყვიროდა და ფეხებს ატყაპუნებდა, ბავშვი რას მიქვია, სიბინძურის და წვალების მეტი სახლისთვის რა მოაქვსო. მეო, ყვიროდა, ამას ვერ მოვითმენო. და აი, თურმე როგორც კი წითლები მიუახლოვდნენ, დედამ დარაჯის ცოლის – მართას დასაძახებლად ნაგორნაიას გადასახვევზე, ქალაქიდან სამი გადასარბენის იქით კაცი აფრინა. ეხლავე აგიხსნით. ჯერ ნიზოვაიას სადგურია, მერე ნაგორნაიას გადასახვევი და მერე სამსონოვის უღელტეხილი. საიდან იცნობდა დედა იმ დარაჯის ქალსა? მგონი ის მართა ქალაქში ვაჭრობდა მწვანილით, რძეც მოჰქონდა ხოლმე. დიახ. და აი, რას გეტყვით. მგონი აქ რაღაც არ ვიცი. ეტყობა, დედა მოატყუეს, სხვა რამე უთხრეს. ღმერთმა იცოდეს, რა დაწერეს, ვითომ დროებითაო, ვითომ ორი დღითაო, სანამ არეულობა გათავდებაო. თორემ უცხო ქალის ხელში სამუდამოდ როგორ ჩამაგდებდა?! სამუდამოდ გასაზრდელად-მეთქი. განა შეეძლო დედას თავისი ღვიძლი შვილი სამუდამოდ სხვისთვის მიეცა?

ბავშვის ამბავი ხომ იცით. მოდი დეიდასთან, დეიდა კაკას მოგცემს, კარგი დეიდაა, დეიდასი ნუ გეშინიაო. მერე კი რას ვიღრიალე და ცრემლი ვღვარე, ბავშვურ გულში რა ბოღმა მიტრიალებდა, სჯობია სულაც არ მოვიგონო. თავის ჩამოხრჩობა მინდოდა, ცოტა რომ მოვიზარდე, კინაღამ ჭკუაზე გადავედი. პატარა ვიყავი და აბა რას ვიზამდი. ჰო, მართლა, ჩემს გასაზრდელად ფული მისცეს დეიდა მართას, ბევრი ფული. საგუშაგოსთან გაფუფუნებული ეზო ჰქონდათ, ძროხა გინდა, ცხენი გინდა თუ ნაირ-ნაირი ფრინველი. იქით კიდევ, ბოსტნის გაყოლებაზე, რამდენიც გინდა, შემოღობე, კაცი არაა შენი დამშლელი. ბინაც, რა თქმა უნდა, უფასო იყო, ზედ რკინიგზაზე დადგმული სახაზინო საყარაულო. ქვევიდან, შინაური ადგილებიდან, მატარებელი ძლივსძლივობით მოჩოჩავდა, აღმართში უჭირდა. თქვენგან, რუსეთიდან კიდევ სულ რიხინ-რიხინით მოგრიალებდა, კაცი ვერ გააჩერებდა. ქვევით, შემოდგომით, ტყე რომ გატიტვლდებოდა, როგორც თეფშზე, ისე ჩანდა ნაგორნაიას სადგური.

თვითონ ბიძია ვასილის სოფლურად ძიას ვეძახდი. ისე, რა უჭირდა,

მხიარული და კეთილი კაცი იყო, მაგრამ მეტისმეტად განდობილი ვინმეც ბრძანდებოდა. რომ გადაყლურწავდა, დააღებდა პირსა და რასაც გინდა, იმას როშავდა. მერე ხომ იცით, გინდ ორსა სცოდნია და გინდა ღორსა, იმისი ნათქვამი გაჰქონდათ და გამოჰქონდათ. რაც გულში ჰქონდა, ვისაც გადაეყრებოდა, ერთიანად დაუყაჭავდა ხოლმე.

დარაჯის ცოლზე კიდევ ენა არ მიბრუნდებოდა, დედა რომ დამეძახნა. არ ვიცი, ჩემი დედილოს დავიწყება არ შემეძლო თუ რაში იყო საქმე, იქ-ნებ სულაც იმიტომ იყო ასე, რომ ის მარფუშა დეიდა ისეთი საშინელი ქალი იყო. ჰო, ეგრე იყო, დარაჯის ცოლს მარფუშა დეიდას ვეძახდი.

დრო კი მიდიოდა. წლები გავიდა. რამდენი იყო, აღარც მახსოვს. უკვე დროშით ხელში გამოვრბოდი მატარებლის შესახვედრად. ცხენის გამოხ-სნა იყო თუ ძროხის მიხედვა, აღარაფერი მესწავლებოდა. მარფუშა დე-იდამ ნართის დართვაც მასწავლა. ქოხზე ხომ ნუღარა მკითხავთ! იატა-კის მორეცხვას იტყვით, მილაგებას თუ ცომის მოზელას, ვერა საქმე ვე-ღარ მიძლებდა, ყლაპად მყოფნიდა და ყლუპად აღარა. ჰო, დამავიწყდა, პეტენკას ლალაც მე ვიყავი. პეტენკას ფეხები ჰქონდა გამხმარი, სამი წლისა იყო და ფეხზე კი ვერა დგებოდა. სულ იწვა, ვერ დადიოდა. ძიძაო-ბას ვუწევდი. აგერ, იმის მერე რამდენი წელი გავიდა და ახლაც ტანში მბურძგლავს, როცა მახსენდება, რა ავი თვალით გადმოხედავდა ხოლმე მარფუშა დეიდა ჩემს ჯანმრთელ ფეხებს. ისაო, რატო ღმერთს სამართა-ლი არა აქვს, ეს დასამიწებელი ფეხმართალი უნდა იყოს და ჩემი პეტენკა კი ასე ჩავარდნილი მყავდესო? უფალსა ვთხოვ, მაგას გაუხმოს და ამას მოურჩინოსო. ისე გამოდიოდა, თითქოს თვალი მეკრას და ის პეტენკა მე დამენავსოს. წარმოგიდგენიათ, რა ბოროტება და სიბნელეა ამ ქვეყანა-ზე?!

ჯერ სადა ხართ, რაც გითხარით, სულ ყვავილებია იმასთან შედარე-ბით, რაც უნდა გითხრათ. პირდაპირ გაგიჟდებით.

მაშინ ნეპი იყო, მაშინ ათას მანეთს კაპიკის ფასი არა ჰქონდა. გაყიდა ვასილი აფანასიევიჩმა ქვევით ძროხა, გატენა ორი ტომარა ფულით, –

კერენკები ერქვა. თუმცა არა, შემეშალა, – ლიმონები ერქვა, ლიმონები, – გადაყლურწა და თავისი სიმდიდრის ამბავი მთელ ნაგორნაიას მოსდო.

მახსოვს, შემოდგომის ქარიანი დღე იყო, ქარი სახურავებს გლეჯდა და მიმავლებს ძირს ახეთქებდა. ორთქლმავლებსაც უჭირდათ აღმართის ამოთავება, პირქარი საშველს არ აძლევდათ. გავიხედე და რას ვხედავ, ვიღაც მგზავრი მოდის, დედაბერი, ქარი თავსაფარს და ქვედატანს მოუფრიალებს.

მოდის მგზავრი, კვნესის, მუცელზე აქვს ხელები შემოწყობილი. სახლში შემიშვითო გვთხოვა. სკამლოგინზე დააწვინეს, – ვაი, ხალხნო; მიშველეთო, ყვირის, მეტი აღარ შემიძლია, მუცლის გვრემა მკლავს, ჩემი აღსასრულის დღე მოსულაო. ღვთის გულისათვის, საავადმყოფოში წამიყვანეთ, ფული არ მენანება, გადაგიხდითო. შეაბა ძიამ ქურანა, ის დედაბერი საზიდარზე დააწვინა და საერობო საავადმყოფოს გზას გაუყენა, რკინიგზის მიღმა, თხუთმეტ ვერსზე.

ბევრი დრო გავიდა თუ ცოტა, მარფუშა დეიდა და დანარჩენები დავწექით დასაძინებლად და უცბად ფანჯარასთან ჩვენი ქურანას ჭიხვინი არ გვესმის? ცოტაც და ეზოში ჩვენი საზიდარიც შემორახრახდა. რაღაც საეჭვოდ ადრე მობრუნდა და პირკატა გვეცა. მარფუშა დეიდამ ცეცხლს შეუბერა, კოფთა მოიხურა და არც კი დალოდებია, ძია როდის მოაკაკუნებდა, კარის რაზა ისე ასწია.

რახა ასწია, კარი გამოაღო, ზღურბლზე კი რა ძია, რის ძია, ვიღაც შავი, საშინელი უცხო კაცი გალაჯულა. „აბა, დაყაჭეო, ეუბნება, ძროხის ფული სადა გაქვსო. მეო, ეუბნება, შენი ქმარი ტყეში გავაგორეო. შენ კი დედაკაცი ხარ და დაგინდობ, ოღონდ მითხარი, ფული სადა გაქვსო. თუ არ მეტყვი, შენ იცოდე და შენმა საქმემ, რაც მოგივიდეს, საკუთარ თავს დააბრალე, ჩემი ბრალი აღარ იყოსო. ახლა სჯობია, ლაი-ლაი არ გამიბა, შენთან ლაყბობის დრო არა მაქვსო”.

ო, ღმერთო დიდებულო, ძვირფასო ამხანაგებო, რომ იცოდეთ, რა დაგვემართა! შედით ჩვენს მდგომარეობაში! ვდგავართ, ვცახცახებთ,

აღარც მკვდრები ვართ, აღარც ცოცხლები. შიშისგან ენა ჩაგვივარდა. ღმერთო რა უბედურება იყო! ჯერ ერთი, ვასილი აფანასიევიჩი მოუკლია, თვითონვე თქვა, ნაჯახით დაუჩეხია. მეორეც ისა, რომ საყარაულოში ჩვენა ვართ და ის ყაჩაღი. ყაჩაღი მოგვივარდა სახლში და ისაა, აშკარად ყაჩაღია.

აქ როგორც ეტყობა, მარფუშა დეიდას ერთი წამით თვალთ დაუბნელდა. ქმრის უბედურებამ გულ-მუცელი ჩაუთუთქა. არადა, მეტი რა გზა ჰქონდა, თავი უნდა შეემაგრებინა, არ უნდა შეემჩნია, მარფუშა დეიდა ჯერ იყო და ფეხებში ჩაუვარდა, შეგვიბრალეო, ეუბნება, ნუ დაგვღუპავო. რა ჭირი ვიცი, მე უბედურს ან საიდან მეცოდინება, ის შენი ფულია თუ რაღაც ოხრობა, სად ჯანდაბაშია, აჰა, შენ ამბობ და მე მესმისო. მაგრამ ის წყეული განა ეგეთი გულუბრყვილოა, რომ სიტყვას დასჯერდეს? და აი, ქალმა ერთბაშად იაზრა, როგორ მოეტყუებინა. „რაც არის-არისო, ეუბნება, როგორც შენ გინდა, ისე იყოსო. ნავაჭრი ფული იატაკქვეშაა. სახურავს ავხდი, ჩადი და ამოიტანეო", იმან კი, იმ უწმინდურმა, წინასწარ იცის ქალის ხრიკები. „არაო, ეუბნება, ამ სახლის დიასახლისი შენა ხარ და შენი საქმისა შენ უფრო კარგად გეცოდინებაო. შენ თვითონ ჩადიო, ეუბნება, გინდა ქვესკნელში ჩაძვერი და გინდა ზესკნელში აიყაყვე, რაც გინდა, ისა ჰქენი, ოღონდ ფული ახლავე აქ გააჩინეო. თანაც გახსოვდეს, მაგდენი ჩირთიფირთის თავი არა მაქვს, ჩემთან ხუმრობა არ გაგივაო".

ქალი კი ეუბნება: „რა იყო, რისი გეშინია. მე თვითონ ჩავიდოდი, მაგრამ არ შემიძლია. სჯობია ზედა საფეხურიდან გაგინათებ. ნუ გეშინია, ერთგულების დასამტკიცებლად ამ ჩემ გოგოსაც გამოგაყოლებო", – ესე იგი, ჩემზე ეუბნება.

ოი, ღმერთო, ძვირფასო ამხანაგებო, აბა დაფიქრდით, რა მომივიდოდა, ეს რომ გავიგე! ეგ არის-მეთქი, ვფიქრობ, ახლავე სულს გავაფრთხობ-მეთქი. თვალთ დამიბნელდა, ვგრძნობ, ვეცემი, ფეხები მეკეცება.

ბოროტმოქმედს კი, საქმეში ხარ? რას მოატყუებ?! ორივეს მოგვშტერებია, თვალებსა ჭუტავს, პირი გვერდზე ეღრიცება, აქაოდა, მიჰქარავ, ვერ გამაცურებო. ხედავს, არ ვენანები, ესე იგი მისიანი არა ვარ, უცხო ჯიშისა ვარ. ცალი ხელი პეტენკას სტაცა, მეორით სარდაფში ჩასასვლელი სახურავის რგოლს დაეჯაჯგურა, ასწია, გამინათეო, ესღა შეუღრინა, პეტენკასთან ერთად კიბეზე დაეშვა და მიწისქვეშეთში გაუჩინარდა.

და აი, ვფიქრობ, მარფუშა დეიდა უკვე მაშინ იყო ჭკუაზე შერყეული, აღარაფერი ესმოდა, რას აკეთებდა. როგორც კი ბოროტმოქმედი პეტენკასთან ერთად იატაკქვეშ ჩავიდა, მაშინვე ეცა სახურავს, დახურა, კლიტე დაადო, ვეებერთელა ზანდუკს დაებღაუჭა და თავით მანიშნებს, ჩქარა მომეხმარე, მარტო არ შემიძლია, მძიმეაო. როგორც იყო, მივაჩოჩეთ. ზედ შესკუპდა ის სულელი და სიხარულით არ იცის რა ქნას. ის იყო, ზანდუკზე შეხტა, რომ ყაჩაღმა ქვევიდან ბრახაბრუხი ატეხა და ღრიალი მორთო, გირჩევნია ამომიშვი, თორემ ამ შენს პეტენკას ახლავე გავათავებო. მართალია, სქელი ფიცრების ქვეშიდან იმისი სიტყვები კარგად არ ისმოდა, მაგრამ განა სიტყვებშია საქმე? ისე ბღაოდა; დაჭრილი მხეცი გეგონებოდა, იქაურობას შიშის ზარს სცემდა. აიო, ყვირის, ამ შენს პეტენკას ახლავე სულს გავაფრთხობინებო. იმ როკაპს კიდევ არა ესმის რა, ზანდუკზე გაჩაჩხულა, იღრიჭება და მალიმალ თვალს მიკრავს, აბა, ჩემო აპრაკუნე, მოდექი და აბრაგუნეო. ზანდუკზე ვარ გადამჯდარი, გასაღებიც ხელში მიჭირავს და სადღა წამიხვალო. მე კი ტყავში ვძვრები, ვიჭაჭები, მარფუშა დეიდას გარშემო ვურბენ, ვღრიალებ, ზანდუკიდან დაბლა ვექაჩები, მინდა გადმოვაგდო, ახადე-მეთქი სახურავი, პეტენკა გადავარჩინოთ-მეთქი, ვეხვეწები, მაგრამ ვის ესმის! გააგებინებ რამეს?

ერთი იატაკქვეშიდან აბრახუნებს, კინაღამ დაანგრიოს იქაურობა, მეორე კი ზანდუკზე ზის, თვალებსა პრაწავს და ამქვეყნისა არა ეყურება რა.

მერე და მერე – ღმერთო, ღმერთო, რაღა არ მინახავს ცხოვრებაში, მაგრამ ისეთი საშინელი არაფერი მახსოვს. სანამ ცოცხალი ვარ, სულ

მუდამ მეხსომება პეტენკას საცოდავი ხმა – ერთი კი შეჰყვირა და ამოიკ-ვნესა ჯურღმულიდან პეტენკამ, ანგელოზის სულმა, – ის იყო და ისა, სა-სიკვდილოდ დაფლითა იმ წყეულმა.

ახლა რაღა ვქნა-მეთქი, ვფიქრობ, ან ამ შეშლილ დედაბერს რა ვუყო, ან იმ სისხლისმსმელ ავაზაკსა? დრო კი გადიოდა. ამის გაფიქრება და ფანჯარასთან ქურანას ჭიხვინი ერთი იყო. ის ხომ მთელი იმ ხნის გან-მავლობაში საზიდარში იყო შებმული და ადგილიდან ფეხი არ მოუც-ვლია. ჰო, დაიჭიხვინა ქურანამ, თითქოს უნდოდა ეთქვა, მოდი, ტანიუშა, სასწრაფოდ გავფრინდეთ კეთილ ადამიანებთან, საშველად ვუხმოთო. ვუყურებ, თენდება. ეგრე იყოს-მეთქი, გავიფიქრე, მადლობელი ვარ, ჩე-მო ქურანა, წავიდეთ, ყველას გავაგებინოთ-მეთქი ეს ამბავი. ის იყო, გას-ვლას ვაპირებდი, რომ თითქოს ვიღაცამ ტყიდან გამომძახა: „მოიცა, ნუ ჩქარობ, ტანიუშა, ამ საქმეს სხვანაირად მოვუვლითო". მერე კვლავ ვი-ღაც შემეხმიანა. ნაცნობი ორთქლმავალი იყო, აღმართზე საყვარელი მა-მალივით დაიყვირა. ხმაზე ვიცნობდი იმ ორთქლმავალს, თავისი დღე და მოსწრება ნაგორნაიაში იდგა, მიმწოლს ეძახდნენ, სატვირთო ვაგონებს ეხიდებოდა აღმართზე, ახლა კი შერეული მატარებელი იყო, ყოველღამ სწორედ ამ დროს ჩაივლიდა ხოლმე, – ჰოდა, მესმის, ქვევიდან ნაცნობი ორთქლმავალი მეძახის. მესმის და გული ამოვარდნაზე მაქვს, ვაითუ მარფუშა დეიდასავით მეც ჭკუიდან გადავედი-მეთქი, ვფიქრობ, რაკი ყველა პირუტყვი, ყველა უსულო მანქანა ასე გასაგებად მელაპარაკება-მეთქი რუსულ ენაზე.

თუმცა ფიქრის დრო სადღა მქონდა? მატარებელი სულ ახლო იყო. უნდა მეჩქარა. გულგახეთქილმა ფარანს ვტაცე ხელი, ფეთიანივით გა-რეთ გამოვვარდი, ლიანდაგებს შორის, ზედ შუა გზაზე ვდგავარ და ფა-რანს ვიქნევ წინ და უკან.

აბა, რაღა გითხრათ. მატარებელი გავაჩერე. მადლობა ღმერთს, ქარის გამოისობით ნელ-ნელა, შეიძლება ითქვას, ნაბიჯ-ნაბიჯ მოდიოდა, გა-ვაჩერე მატარებელი, ნაცნობი მემანქანე სარკმელს მოადგა და რაღაცას

მეკითხება, მაგრამ არ მესმის, რას მეკითხება, – ქარია. მე კი ვუყვირივარ, სარკინიგზო საყარაულოს თავს დაესხნენ, მკვლელობა და ძარცვა-გლეჯაა, ყაჩაღი სახლში გვყავს, გვიშველეთ-მეთქი, ამხანაგო ბიძია, საჩქარო დახმარება გვჭირდება-მეთქი. სანამ ამას ვამბობ, თბილანა გაგონებიდან ლიანდაგებზე წითელარმიელები ჩამოხტნენ ერთიმეორის მიყოლებით. სამხედრო მატარებელი იყო. დიახ, წითელარმიელები ჩამოცვივდნენ გზაზე და „რა ხდებაო", მეკითხებიან, თან უკვირთ, ისეთი რა უნდა მომხდარიყო, შუაღამისას მატარებელი ამ ციცაბო აღმართზე რომ გააჩერესო.

ყველაფერი რომ ჩავუკაკლე, ამოათრიეს ყაჩაღი სარდაფიდან. ის კი პეტენკაზე უფრო წვრილი ხმით კნავის, შემიბრალეთო, კეთილო ხალხო, არ დამღუპოთ, მეტს აღარ ვიზამო. გამოათრიეს ზედ შუა გზაზე, ხელფეხით ლიანდაგებზე დააკრეს და ცოცხალ-ცოცხალ მატარებელი გადაატარეს – თავიანთი სამართალი გაუჩინეს.

ისე ვიყავი შეშინებული, უკან ტანისამოსისთვისაც კი აღარ მივბრუნებულვარ. შევეხვეწე: ამომიშვით-მეთქი, ბიძიებო, მატარებელზე. ამსვეს და წამომიყვანეს. რაღა დაგიმალოთ და იმის მერე უპატრონოებთან ერთად ქვეყნიერების ნახევარი მოვიწანწალე, ჩვენი თუ სხვისი. ჩემი ბავშვობის ვაების მერე ამ თავისუფლებას და ბედნიერებასაც მოვესწარი! მაგრამ სიმართლე თვალის სინათლეა, ამასობაში ბევრი სიმწარეც გადავიტანე და ცოდვაც ბლომად მადევს კისერზე. ეს მერე იყო, როგორმე სხვა დროს მოგიყვებით, მაშინ კი მატარებლიდან ერთი რკინიგზელი მოხელე გადავიდა, საყარაულოში შევიდა, რომ სახაზინო ქონება ჩაებარებინა და მარფუშა დეიდას ბედზეც ეზრუნა. ამბობენ, მერე საგიჟეთში მოკვდაო, თუმცა სხვებისგან ისიც მსმენია, მორჩა და საღ-სალამათი გამოვიდაო.

მოსმენილის შემდეგ ხმაგაკმენდილი გორდონი და დუდოროვი დიდხანს სცემდნენ ბოლთას მდელოზე. ამასობაში საბარგო მანქანაც მორახრახდა და უშნოდ, უხეშად გადმოაბოტა გზიდან მინდორზე საბარგოზე ყუთების დატვირთვას შეუდგნენ.

– მიხვდი, ვინ ყოფილა ეს მეთეთრეულე ტანია? – ჰკითხა გორდონმა. – ჰო, რა თქმა უნდა.

– ევგრაფი იზრუნებს ამაზე. – მცირე ხნით იყუჩა და დაუმატა. – ისტორიაში რამდენჯერმე ყოფილა ასე. დიდებულად,. ამაღლებულად ჩაფიქრებული ბოლოს გაუხეშებულა, განივთებულა. ასე გადაიქცა საბერძნეთი რომად, რუსული განმანათლებლობაც სწორედ ამგვარად იქცა რუსულ რევოლუციად. აიღე თუნდაც ბლოკის „ჩვენ, რუსეთის საშინელი წლების ბავშვები" და ეპოქების განსხვავებას უმალ მიხვდები. როცა თვით ბლოკი ამას ამბობდა, ყველაფერი გადატანითი, ხატოვანი მნიშვნელობით უნდა გაგეგო. მართლა ბავშვებზე როდია ლაპარაკი, ხალხის შვილები, პირმშოები, ინტელიგენცია იგულისხმება. არც საშინელებაა უბრალო შიშის ტოლფასი. იგი სხვა რამეს – საბედისწეროს, აპოკალიფსურს მიგვანიშნებს, ეს კი სრულიად სხვა რამეა. ახლა კი ყოველივე გადატანითი პირდაპირად იქცა, ბავშვებიც ბავშვებია და შიშიც საშინელი. აი, რაშია განსხვავება.

5

გავიდა ხუთი თუ ათი წელი და ერთხელ, ზაფხულის წყნარ საღამოს გორდონი და დუდოროვი კვლავ ერთად ისხდნენ სადღაც მაღლა გამოღებულ ფანჯარასთან, თვალუწვდენელი მოსკოვური საღამოს თავზე. ისინი ევგრაფის მიერ შედგენილი იურის ნაწერების რვეულს ფურცლავდნენ, რომელიც არაერთხელ ჰქონდათ წაკითხული და სანახევროდ ზეპირად იცოდნენ. კითხულობდნენ, ერთიმეორეს შენიშვნებს უზიარებდნენ და თავ-თავიანთ ფიქრებს ეძლეოდნენ. შუაგულ კითხვაში ჩამობნელდა, ნაწერის გარჩევა გაჭირდა და ლამფის ანთება მოუწიათ.

ქვევით, შორეთში გადაჭიმული მოსკოვი, მშობლიური ქალაქი ავტორისა და მისი თავგადასავლის ნახევრისა, ამ მოვლენათა ადგილად კი არა, ვრცელი მოთხრობის მთავარ გმირად ეჩვენებოდათ, რომელიც ახლა

ჩაათავეს, ამ წყნარ საღამოს, რვეულით ხელში.

და თუმცა გასხივოსნება და განთავისუფლება, რომელთაც ომის შემდეგ ასე ძალუმად მოელოდნენ, გამარჯვებასთან ერთად არ მოსულა, როგორც ფიქრობდნენ, მთელი ომისშემდგომი წლების განმავლობაში თავისუფლების გამოძახილი ჰაერში მაინც ტრიალებდა და მათ ერთადერთ ისტორიულ არსს და გულისთქმას წარმოადგენდა.

ფანჯარასთან მსხდომ ჭარმაგ მეგობრებს ეჩვენებოდათ, რომ ეს სულიერი თავისუფლება უკვე მოვიდა. სწორედ ამ საღამოს ქვევით, ქუჩაში მომავალი დააბიჯებდა. თავად მათაც შეაბიჯეს ამ მომავალში და ამიერიდან განუყრელად ერთად ივლიდნენ. ამ წმინდა ქალაქის, მთელი დედამიწის, ამ ამბის დღემდე მოღწეულ მონაწილეთა და იმათ შვილთა თაობაზე შვების მომგვრელი, თავბრუდამხვევი სიმშვიდე ეუფლებოდათ და ბედნიერების შორს დარხეული, იდუმალი მუსიკის ჰანგებში ეხვეოდნენ. წიგნმაც, რომელიც ხელში ეჭირათ, თითქოს იცოდა ყოველივე, ისიც მათ გრძნობებს ესიტყვებოდა, მხარს უბამდა და უდასტურებდა.

ნაწილი მეჩვიდმეტე

ამონარიდი იური ჟივაგოს ლექსებიდან

ჰამლეტი

ჩაცხრა გუგუნი. აქა-იქ სიცილს
შორით შორს ერთვის ჩუმი გოდება.
სცენაზე ვდგავარ. ვდგავარ და ვიცი,
ამ ყიამეთში რაც მელოდება.

ავად აშლილა ღამის წყვდიადი,
და ათასობით თვალმაც გამთვალა.
შენ შემეწიე, ღმერთო დიადო,
შენ ამაცილე შხამი, სამსალა.

განგება შენი წმინდა რამაა,
მე სხვა ბედის და ხვედრის არ მჯერა,
მაგრამ ამჟამად სულ სხვა დრამაა, –
მომიტევე და მიხსენ ამჯერად.

თუმცა ამაო არის ყოველი,
წინ კი მსახვრალი შავი ზვირთია.
მარტოდმარტო ვარ. ცრუა სოფელი.
სიცოცხლე არცთუ მჩატე ტვირთია.

მარტი

მზე აცხუნებს. მზემ მოიცა ძალი.
ნაკადული ჰქარგავს მინდორ-ველებს.
როგორც ზორბა მენახირე ქალი,
გაზაფხულიც ვერ აჩერებს ხელებს.

თოვლი დნება, ეპარება თალხი.
დიდ-პატარა საზრუნავს არ ილევს,
ბოსელს ბლომად ახვევია ხალხი
და ორთითიც აკაწკაწებს კბილებს,

ო, ეს დღენი, ღამენი და დღენი!
შუადღისას გამლღვალ თოვლის შფოთვა...
გალეული ლოლუების წვენი
და უძილო ნაკადულთა ბოდვა!

ღია არის გომური და თავლა.
თეთრი მტრედი თოვლში ჰკენკავს საკენკს.
და ყველაფრის დვრიტასა და დავლას –
გრილი სიოს სუნი უდის ნაკელს.

ზაფხული ქალაქში

ნახევარ ხმაზე ჩურჩული,
ხმა – სიყვარულით სავსე.
თმა – ნაჩქარევად შეკრული
და აზიდული თავზე.

თმაში სავარცხელგაჩრილი,
პირზე ღიმილით მკრთალით,
სულ ოდნავ თავგადახრილი
მზეობს ლამაზი ქალი.

ქუჩას თუმც შერჩა თაკარა,
ცას პირი უჩანს ავდრის.

ამიტომ დიდიც, პატარაც
ჩქარობს, შინისკენ გარბის.

გამოგონილი სიავით
ელავს და გრგვინავს მჭახედ.
აშარიშურებს ნიავი
ფარდებს და არხევს ჭაღებს.

სიჩუმე დგება ანაზდად
და მაინც ისევ ცხელა.
ელვა კვლავ ზეცას ანათებს,
ისე ელავს და ელავს.

როცა დილის მზე მხურვალე
ააგიზგიზებს ფერებს,
როცა ააშრობს ბულვარებს
ღამის თავსხმების მერე, –

ათასწლოვანი ცაცხვები,
სურნელს რომ გვფენენ ამოს,
იღუშებიან დარცხვენით
უძილო ღამის გამო.

ქარი

მე აღვესრულე. შენ ხარ ცოცხალი.
ქარის ბორგვას კი ბოლო აღარ აქვს.
მარად მშფოთვარე და დაუმცხრალი
ძალუმად არწევს ტყეს და აგარაკს.

გუგუნებს ქარი, ზარით და ზათქით
სივრცეებს არყევს და აქანავებს.
თითქოს გრიგალი დაატყდა ბათქით
მყუდრო ყურეში აფრიან ნავებს.

განა თუ ავად იგონებს ხრიკებს,
ან თავად არის ავი და ქუში...
– სურს სევდის ველზე სიტყვები ჰკრიფოს
და იავნანად ჩაგიწნას სულში.

სვია

სუროჩაწნული წნორის ძირში ვართ
უამინდობას გამოქცეულნი.
ყელგადაჭდობით ბუჩქებში ვზივართ
მხრებზე ლაბადაშემოხვეულნი.

შევცდი, ძვირფასო, წნორს კი არა და
ამ ტევრში სვიას გააქვს ბაბანი.
ჰოდა, ავიღოთ, ჩვენც ეს ლაბადა
და გარდიგარდმო ქვეშ გავიფონოთ.

შემოდგომა

შინაურები გავხიზნე შორეთს.
კარგა ხანია, არვინ მხვდება შინ.
და მარტოობის სიმღერა მდორედ
შემოდის გულშიც და ბუნებაშიც.

და ჰა, შენთან ვარ. მეტყევის ქოხი
მიაგავს ჩვენი ოცნების კარავს.
აჭრელებულა სექტემბრის ნოხი,
გზას და ბილიკებს ბალახი ჰფარავს.

და თუ ერთმანეთს როგორ ვჭირდებით,
ჰკითხე ამ ქოხის სევდიან კედლებს.
კოშკებს ვერავის ვერ შევპირდებით,
მაგრამ ლამაზად სიკვდილს ხომ შევძლებთ.

ვსხდებით პირველზე და სამზე ვდგებით,
მე ჩემი წიგნით, შენ – საქარგავით,
განთიადს ხვევნა-ალერსით ვხვდებით,
არაფერი გვაქვს დასაკარგავი.

ბევრის მნახველო, დაუძრახველო,
ხეთა ფოთლებო, კვლავ იშრიალეთ
და გუშინდელი სევდა-ნაღველი
დღევანდელი მზით გაატიალეთ!

დავთვრეთ ტრფობით და სიცოცხლის ეშხით!
შევერთოთ ზეცას, მზეს შევერიოთ!
დავინთქეთ, გავქრეთ სექტემბრის ხმებში!
დავცხრეთ ან სულაც გადავირიოთ!

შენ ისე იხდი მოჩითულ კაბას,
თითქოს ზამთრის პირს შიშვლდება ჭალა.
და ხიბლს ჯადოსნურს ვერაფრით მალავ,

როდესაც იცვამ მოჩითულ ხალათს.

შენ აცისკროვნებ დამღუპველ ნაბიჯს,
როცა ცხოვრება უღვთოდ მწარეა,
რადგან სიტურფე გმირობით ჰყვავის,
ერთურთთან იმად მოგვიხარია.

ზამთრის ღამე

თოვდა და მთელი დედამიწა
თეთრ ზღაპარს ენდო.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

როგორც ზაფხული ფარვანის გუნდს
ცეცხლის ალს აფრქვევს,
ისე ფიფქების მთელი ჯარი
მოაწყდა სარკმელს.

ქარი ჰქარგავდა ფანჯრის მინებს,
ყინავდა ერთობ.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

ჭერს შეელეკა მოციალე
რიალი ფერთა,
სულით და ხორცით, საუკუნოდ
ერთად, სულ ერთად.

და იატაკზე ეცემოდა
ფეხსაცმლის წყვილი,
და კაბას წვეთ-წვეთ ეღვრებოდა
ცრემლები ცვილის.

თოვლის ბურუსი ნთქავდა ირგვლივ
მთასა და ფერდობს.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

ალიცლიცებდა სიო სანთელს
და ოდნავ მკრთალი
ანგელოზივით მაღლდებოდა
ცდუნების ალი.

მთლად გაათეთრა თებერვალმა
ბანი და ერდო.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

განშორება

ადამიანი დგას კარის ზღურბლზე
და ვეღარა სცნობს აკლებულ ბინას.
ყველა საგანი მოწყენით უმზერს
და გულსაკლავად კვნესის და გმინავს.

ყველა ოთახში ქაოსი სუფევს,
თითქოს ეს სახლი უცებ დაიქცა,

ხოლო ქალი კი, ცხადია უკვე,
კი არ წასულა, ალბათ გაიქცა.

ცრემლები აღრჩობს, ვერაფერს ხედავს,
ეს რა ჩასძახის ყურში კვიმატად?
ან ამ დილიდან, იცოდეს ნეტავ,
ეს ზღვა რატომღა აეკვიატა!

არადა, როცა დაჭირხლულ მინებს
უფლის ნათელი არ ეკარება,
როცა იმედი ვერ შემოგცინებს,
ცხოვრება პირქუშ ზღვას ედარება.

ისე ძვირფასი იყო ის მისთვის,
ისე უხმობდა ხმითაც, ქცევითაც,
როგორც ეძახის ნაპირი ზვირთებს
ზვირთცემისას და ზღვის მოქცევისას.

როგორც ლელიანს ქარიშხლის შემდეგ
ზღვა დატბორავს და ფსკერზე დარჩება,
გულის სიღრმეში შემორჩა დღემდე
მისი სითბო და მისი ხატება.

როს ავმა ჟამმა ჩამოიქროლა,
შიმშილმა, გლოვამ, ძარცვა-ტაცებამ, –
ტალღამ ფსკერიდან ამოისროლა
და განუყრელად ზედ მიანება.

მერე წვალობდა დიდიც, პატარაც.

ბედმა სამსალა ვის არ მიაგო,
ტალღამ ატარა, ბევრი ატარა,
და საბოლოოდ მასთან მიაგდო.

და აი, ახლა, ეს წუთიც დადგა,
ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა.
ეს განშორება ორივე მათგანს
სულით ხორცამდე გაანადგურებს.

ფიქრობს და გული კვლავ ეურჩება,
აქედან წასვლის ნებას არ აძლევს.
ყველგან გულაღმა ჰყრია უჯრები
და დაუღიათ პირი კარადებს.

დაბინდებამდე დადის, ალაგებს,
სდუმს და ჭრილობებს ვეღარ იშუშებს.
ჰკრეფს კუთხეებში მიყრილ კალათებს
და საკერავის ჭრელ-ჭრელ ნიმუშებს.

ბოლოს, როდესაც საკერავში ნემსს
გადააწყდება, უცებ შეკრთება.
მისი ხატება თვალწინ უელვებს
და ბნელში ჩუმად აქვითინდება.

პაემანი

გადაბარდნა თოვლმა გზები.
წავალ, სადმე გავივლი.
კარს ვაღებ და ზღურბლთან მხვდები:

უნაზესი ყვავილი.

შემოდგომის პალტოში ხარ
შილიფად გახვეული.
ღელავ, კიდეც გათოშილხარ
კაფანდარა, ეული.

არემარე გადათეთრდა.
თოვს და ქარიც არ ცხრება.
შენ კი დგახარ ჩემი ერთა,
საოცნებო არსება.

დნება თოვლი და წურწურით
თავსაფარზე ჩამოგდის.
დგახარ ასე გაწუწული
და ვერ ხვდები, რა მოგდის.

ოქროსფერი ნაწნავების
ცეცხლი წაგკიდებია
და ცვარ-ნამი წამწამებზე
ცრემლად დაგკიდებია.

ვერ გაშორებ წუთით მზერას,
სანატრელი ხატი ხარ.
ამ ჩემს გულზე ბედისწერას
კალმით დაუხატიხარ.

ეგ ღიმილი მევარდება,
ეგ ხმა ჩემი სუნთქვაა,

და სულაც არ მედარდება,
რომ სამყარო გულქვაა.

აი, რატომ მენატრება
სახლი, თოვლში ჩაფლული,
ბნელში ჩვენი კელაპტრების
ტრფიალება ზღაპრული.

თუმცა განა გადარჩება
ქარს ფარფატა ფიფქები?
ჩვენი ნატვრა აქ დარჩება,
ჩვენ კი აღარ ვიქნებით,

შობის ვარსკვლავი

იდგა ზამთარი.
ტრამალიდან ქარი კიოდა.
და მთის ფერდობზე, ძველ გომურში
ჩვილ ყრმას სკიოდა.

მას სასთუმალთან თავდახრილი
ხარი ათბობდა.
იდგა ნახირი, ხარის რქებზე
მადლი ნათობდა.

შორს კი ფარეხის
პაწაწინა სარკმლით ვეება
ღამეულ სივრცეს ჭვრეტდნენ ძრწოლით
მეჯოგეები.

თოვლს დაეფარა ირგვლივ გზები
და საფლავები.
ოქროს მტევნებად შესეოდნენ
ცას ვარსკვლავები.

იქვე ახლოს კი ჭრაქის დარად,
მორცხვი კანკალით,
ბეთლემის გზაზე ციმციმებდა
ერთი ვარსკვლავი.

ის გიზგიზებდა
როგორც ზვინი ცეცხლმოდებული,
როგორც კალოზე მოცეკვავე
ალთა კრებული.

ქვეყნიერებას დაჰნათოდა,
ის კი, ბედკრული,
უცხო მნათობის გამოჩენით
იყო შეძრული.

თითქოს უხმობდა მთელ ცისქვეშეთს
ალი ფიცხელი,
ეშურებოდა მისკენ სამი
ვარსკვლავთმრიცხველი.

იმათ კვალდაკვალ
შეძლებულთა და უმწეოთა
ძღვნით დატვირთული

ქარავანი მიირწეოდა;

და ცისკიდურზე უცნაური კრთოდა ჩვენება,
ქებათა ქება რომ უმღერეს მერე მგოსნებმა, –
ქვესკნელ-ზესკნელის სიტურფე და ხმელთა მშვენება,
ყველა ფიქრი და ყველა განცდა, ყველა ოცნება,
საუკუნეთა გარდასულთა მძაფრი აზრები,
მუზეუმები, ქალაქები, ციხე-ტაძრები,
ყველა ფერია, ჯადოქრობა ნათილისმარი,
ყველა ნაძვის ხე, პაწიების ყველა სიზმარი.

ყველა ჯაჭვი და მოცახცახე ყველა სანთელი,
ყველა სურვილი, ყველა ნატვრა, ყველა წყურვილი...
...უფრო ავობდა მინდვრად თოვლის კორიანტელი.
...ყველა ვაშლი და ყველა ბურთი ოქროცურვილი.

ქვევით ტბის ნაპირს მოსდებოდა ტევრი მურყანის,
ხოლო დანარჩენს მეჯოგენი კარგად ხედავდნენ.
იქ ჯორ-აქლემი მიჰკვალავდა კლდეებს, უღრანებს,
შურით უმზერდნენ, კრინტის დაძვრას კი ვერ ბედავდნენ.
თითქოს იქითკენ დაძრულიყო მთელი სამყარო,
თითქოს ზეობდნენ და სამზეო ზეიმს მართავდნენ.
– წამო, წავიდეთ, იმ სასწაულს ჩვენც ვეთაყვანოთ, –
თქვეს და საგზაოდ ტყაპუჭები აიკალთავეს.

თოვლში მიმავალთ დასცხათ კიდეც ყიალ-ყიალში.
ქოხის მახლობლად ცხადად ჩანდა ნატერფალები.
მათ დანახვაზე, როგორც მიმქრალ სანთლის ციალზე,
ვარსკვლავის შუქზე წკავწკავებდნენ შიშით ძაღლები.

ის ღამე დია ზღაპარს ჰგავდა. თოვდა. ციოდა.
თითქოს ვიღაცა გულისწადილს ვერ იოკებდა,
შუაგულ ბრბოში უხილავად შემოდიოდა
და ბალანაშლილ, დამფრთხალ ძაღლებს აწიოკებდა.

მართლაც იმავ დროს, სიკეთის და სითბოს მთოველი,
ბრბოში მრავალი ანგელოზი იარებოდა.
უხორცო იყვნენ და თვალისთვის მიუწვდომელი,
ნაკვალევი კი უნებურად თოვლში რჩებოდათ.

ლოდებთან ხალხი ზიმზიმებდა აურაცხელი.
რიჟრაჟზე კედრის ხეივანში თვალებს კვესავდნენ.
– ვინ ბრძანდებითო? – მარიამმა, – თქვენი სახელი?
– მეჯოგენი ვართ, ცის ელჩები, შენი კვნესამე.
ქებად მოვსულვართ, თქვენით ვილხენთ, თქვენით ვიშვებთო.
– აქ მოიცადეთ, ყველას ერთად ვერ შეგიშვებთო.

დილის ბინდბუნდში ირეოდნენ დავა-ყაყანით
მეცხვარეები, ჩალვადრები, ფიცხი მხედრები.
იყო ძილგამკრთალ მოგზაურთა აყალმაყალი,
ყოყინ-ყროყინი აქლემების და სახედრების.

შორეულ მთებზე იყრებოდა ნისლის არშია,
იცრიცებოდა ცის თავანზე ლურჯი ცისკარი,
როს მარიამმა ურიცხვ ბრბოში გამოარჩია
და ოდენ მოგვებს წინ განუხვნა ვიწრო ჭიშკარი.

მას კი ეძინა. ბდღვრიალებდა მუხის ბაგაში,

ვით ფუღუროდან მოკიაფე სხივი მთვარისა.
თავს ევლებოდნენ, როგორც კოკორს ახალგადაშლილს
ვირის დრუნჩი და ნესტოები ნიშა ხარისა.

ბოსელში ბაგას გარს ეხვივნენ შიშმორეულნი,
ბნელში ლანდებად ასვეტილნი იდგნენ მდუმარედ.
მერე უეცრად განზე გადგა ერთი გრძნეული
და ყველამ იქით გაიხედა ძრწოლით, კანკალით:
კარის ზღურბლიდან წმინდა ქალწულს, როგორც სტუმარი,
თავს დასდგომოდა სხივოსანი შობის ვარსკვლავი.

განთიადი

შენ იყავ ჩემი სიცოცხლის აზრი.
მერე მოვიდა ომი და დელგმა.
იწვოდა მიწა, დრო იყო მკაცრი.
ერთურთს დიდი ხნით გაგვყარა ბედმა.

გრიგალებს გაჰყვა მრავალი წელი,
ვიდრე ამ სხივმა გაჰფანტა იჭვი.
მთელ ღამეს თრთოლვით ვკოცნი შენს წერილს
ო, ღმერთო, თითქოს ხელახლა ვიშვი!

მინდა გავვარდე ქუჩაში, ხალხში,
ყველას გავენდო, გული ვაჩუქო.
მინდა სიკეთეს დავუდგე მხარში,
ბოროტს ვეკვეთო და დავაჩოქო.

აი, ჩავრბივარ კიბეზე მარტო

და ვერ მეწევა ქარი გაფრენილს.
თითქოს პირველად ვხედავდე ამ თოვლს,
უკაცურ ქუჩას, ხეებს, ქვაფენილს.

ყველა ფუსფუსებს, ანთებს, ალაგებს,
მიეშურება ან ცხელ ჩაის სვამს,
და რამდენიმე წუთში ქალაქი.
სამოსს შეიცვლის, ახალს ჩაიცვამს.

ირგვლივ ყინვაა, ბარდნის და ბარდნის.
ქარი თოვლს აყრის გზათა ნაპირებს.
ყველა საკუთარ საქმეზე გარბის,
ყველა რაღაცას ახალს აპირებს.

მე მათი მესმის, ვარ მცნობი ყოვლის,
მხიარულების თუ პირქუშების.
მეც ისე ვდნები, როგორც ეს თოვლი,
როგორც ეს დილა, მეც ვიღუშები.

ჩემთან არიან მადლით ცხებულნი,
ავის მდომნიც და კარგის მთესავნიც,
მე მათგანა ვარ დამარცხებული
და გამარჯვებაც სწორედ ეს არის.

სასწაული

იერუსალიმს მიდიოდა ჩაფიქრებული,
ავი გუმანით შეპყრობილი, გაფითრებული.

ირგვლივ ღარიბულ ქოხმახებზე კვამლი არ ჩანდა.
ქარაფის პირას ეკლის ბუჩქი გადამწვარიყო.
აღარ იძვროდა ლელიანში მწვანე ფარჩა და
სიჩუმის ზღვაში მკვდარი ზღვაც ხომ მთლად ჩამკვდარიყო.

იმ ზღვის წყალივით მწარე იყო მისი ნაღველიც,
თუმცა მის გვერდით ღრუბელთაც კი მიუხაროდათ.
უდაბნოს ხვატში, ქალაქისკენ გზათა მლახველი,
მოწაფეებთან შესახვედრად მიიჩქაროდა.

ერთხანს მდუმარედ გაირინდა ფიქრმორეული,
დაღვრემილ მინდორს მოეძალა თითქოს აბზინდა.
დაყრუვდა არე, მხოლოდ იგი იდგა ეულად.
ირგვლივ მიდამო დავიწყების ნისლმა დაბინდა.

სულ ერთმანეთში აირია: სიცხე, ხვლიკები,
ნაკადულები, წყაროები და ბილიკები.

იქვე, მახლობლად, უნაყოფო ლეღვის ხე იდგა,
მიუსაფარი, გაძარცული, დედიშობილა...
მას შეუძახა: „რას უდგახარ, ან რისთვის მინდა
შენი აქ ყოფნა, უაზროდ რომ გაშეშებულხარ.

მშია, მწყურია, შენ კი ისიც არ იცი, რა ხარ,
ან რა აზრი აქვს, ასე ბერწად რისთვის გამყოფო?
ისემც გიქნია, საუკუნოდ სულ ეგრე მდგარხარ
არასმაქნისი, ფუჭყვავილა და უნაყოფო!“

საწყალობელ ხეს ტანში მწარედ შეაჟრიალა,

ელვამ დაჰკრა და ჩაინაცრა ძირფესვიანად.

სულ ერთი წუთით რომ ჰქონოდათ თავისუფლება
იმ ლეღვის ფოთლებს, რტოებს, კვირტებს, ღეროს და ფესვებს,
ეგებ ეშრომათ სასიკეთოდ ბუნების წესებს.
მაგრამ ვინ მისცა იმ საბრალოს ამის უფლება...
მსგავს შემთხვევაში სასწაული მხოლოდ ერთია
და ყველამ უწყის, – სასწაული თავად ღმერთია.
ყოველთვის, როცა დრო ირევა, ბედი ძირმწარობს,
ის თავს გვატყდება უეცრად და საბედისწეროდ.

ავი დღეები

როცა სახედრით, იმ ბოლო კვირას,
იერუსალიმს შევიდა იგი,
ირგვლივ ოსანას მღეროდა ყველა,
ფეხქვეშ ხის რტოებს უფენდნენ რიდით.

მერე კი ავად იცვალნენ დღენი,
სიყვარულის წილ მიაგეს შხამი,
წარბების ჭმუხვნით, კბილების ღრჭენით
ახლოვდებოდა განკითხვის ჟამი.

ტყვიის სიმძიმით, ზედ მიწის პირზე
ცა ჩამოემხო ეზოებს თავზე.
ფარისეველნი ეძებდნენ მიზეზს
და ყრანტალებდნენ ყორნების მსგავსად.

ქვედამხედვართა იძალეს ტაძრად,

ბილწთა სამსჯავროს ჩაუგდეს სრულად,
და მათ, ვინც გუნდრუკს უკმევდა ადრე,
დაუწყეს კრულვა და ლაფის სროლა.

აქეთ-იქიდან იხუვლა ბრბომ და
ცნობისწადილით დაიწყეს ჭვრეტა.
არვინ უწყოდა, ვინ საით რბოდა,
შეიქმნა ჯგლეთა და ზედაჟლეტა.

ყავლი დაუდგა ჩურჩულს და სისინს,
გადასწვდნენ ჭორებს, აუტყდათ როკვა.
ზოგმა ბალღობა ახსენა მისი,
ზოგი ეგვიპტეს გაქცევას მოჰყვა.

ისიც თქვეს, თურმე ბავშვებს და ქალებს
როგორ უბნევდა უდაბნოს გზა-კვალს,
როგორ ებრძოდა მსოფლიო ძალებს,
როცა ამხელდა სატანის ზაკვას.

ან ის ღრეობა რა იყო მაშინ,
სასწაულით რომ გაშალა სუფრა,
მერე კი, როცა ჯდებოდა ნავში,
ზღვაზე, ვით ხმელზე, ვიდოდა უბრად.

ან ქოხმახებში ღარიბთა კრება,
ან სანთლით ხელში ძებნა ზედაშის...
იმ სანთლით, რაიც მაშინღა ქრება,
როს მაცხოვარი ადის ზეცაში.

გეთსიმანიის ბაღი

შორეულ ვარსკვლავთა ელვარე ხომლიდან
ციმციმა ციალი გზას ეფინებოდა.
გზა ზეთისხილის მთას გარშემო უვლიდა,
ქვევით კი მდინარე მიედინებოდა.

ქარაფთან ხასხასა მინდორი წყდებოდა
და ირმის ნახტომიც იქვე იწყებოდა.
ხეთა კენწერონი ცის თავანს სწვდებოდნენ
და ღამის სივრცეში შორს მიირწეოდნენ.

მას უნდა ელოცა იმ ღამით ტაძარში
და მოწაფეები დატოვა ჭიშკართან.
„გული ავს მიქადის, იფხიზლეთ, აქ დარჩით", –
ეს უთხრა და თავად მძიმე კარს მიჰფარდა.

მოუხმო სიმტკიცეს და სულის მხნეობას,
შეუნდო ცოდვილთა, უმეცართ, მოდავეთ,
უარყო ზეძალა, ყოვლისშემძლეობა,
და იყო უბრალო, როგორც ჩვენ, მოკვდავნი.

ღამის სიშორეში მოჩანდა სამყარო,
ვითარცა სიკვდილი და გადაშენება.
ის იყო ცივი და მთლად მიუსაფარი,
ბაღში კი ჰყვაოდა სიცოცხლის მშვენება.

მას ცელი მსახვრალი რომ არ შეხებოდა,
არ წარხოცილიყო კაცთ მოდგმის მშვიდობა –

ის მამაზეციერს ემუდარებოდა
და სისხლის ცრემლებით შესთხოვდა შენდობას.

ლოცვით და მუდარით გული რომ იჯერა,
გარეთ გამოვიდა გულდამძიმებული,
მაგრამ როს იხილა, (თვალს არ დაუჯერა),
მოწაფეთ კრებული იქ ჩაძინებული, –

წამუყო და უთხრა ძილის ძლით ძლეულებს:
„მამამან გვიბრძანა ჭირთ თმენა, გატანა.
კაცთ მოდგმის განკითხვის ჟამი მოწეულა,
სადაც არს, ქვეყანას წალეკავს სატანა”.

ამის თქმა იყო და მონათა ბრბოებმა
იხუვლეს, მოზღვავდა ავაზაკთ ლაშქარი.
ხმლებით და წათებით ჯარი ჯარს მოება,
გამოჩნდა იუდაც და მისი ამქარიც.

პეტრემ მტერს გონს მოსვლა აღარ დააცალა,
გამართა მარჯვენა და იქვე, მესერთან
ერთ მომხდურს მახვილით ყური წაათალა.
მაგრამ ხმა ესმა და უეცრად შეჩერდა.

„შესდექო, – უბრძანა, – ჩააგე მახვილი!
არა ხამს, სისხლის წილ სისხლი სვან მოკვდავთა.
საჭირო რომ იყოს, არ უნდა ქადილი,
მამაზეციერი მათ თავად მოსრავდა.

ცხოვრების დიდ წიგნში აწ აღჩნდა ფურცელი,

ქვეყნად სხვა სიწმინდე რომ ვერ შეედრება.
ახლა ის წერილი ხამს, ახდეს უცვლელად
და, ამინ! გეტყვი შენ. აღსრულდეს ღვთის ნება.

ხომ ხედავთ ჟამთასვლის ქარაგმას გამხელილს,
ზოგჯერ რომ ბრწყინდება სიმართლის წყურვილით.
იმისი მრისხანე დიდების სახელით
მე ჩავალ სამარეს ჩემივე სურვილით.

მე ჩავალ სამარეს, სამ დღეში აღვსდგები,
და, ვით სატივეზე ტივებს აცურებენ,
საუკუნეების გრძელი ქარავნები
ჟამთა სამსჯავროზე იქ მომაშურებენ”.